## კარი პირველი

... გარნა იყო უწვართთა კაცებისა სულსა შინა ზნე რამ მიმალული და ვერსაჩინარი და არსი მისი – მონება მამონისა. რა არღა აპყრია ერმან გონებისა თვალი ზნესა მას კნინსა – განღვივდა იგი და შთავარდა თესლად ცთუნებისა. იმძლავრა ფესვმან უკეთურმან ნიადაგსა შინა ლბილსა, შთასწვდა გეენიასა შესრუტვად ცოდვისა შხამთა. აღმოცენდა ყვავილი კეკლუცი – გარნა დამალპობელი ხორცისა, სურნელოვანი – გარნა დამთრგუნველი სულისა. იხილა და იყნოსა ყვავილი იგი ერმან და უხაროდის, რამეთუ იყო უბრყვილ მიმართ არსისა და უმეცარ მიმართ შედეგისა.

კაცთა გონებისა კარი განიღო ერთი, დახშული მოაქჟამამდე შვიდითა საკლიტულითა უმტკიცესითა, განიხვნა გზა სლვად მორიელისა და იმძლავრა წყურვილმან ხვეჭისა ილეკროთა.
აღაშფოთნა თვალნი უკეთესობითა ყოფამან სხვისმან, მოიცვა გული შხამმან სიხარბისამან და დააბნელა გონება შურმან. განიმახვნენ კაცნი ლახვრად და განიბრტყნენ ფარად მიმართ ერთურთისა. გათითოკაცდა ერი მოგებად საქონელისა და განიბნა წვნევად უმეტესის ფუფუნებისა.

შეება თუთაშხა სატკივართა ქვეყნიერთა, მეოხ ექმნა შეჭირვებასა შინა მყოფსა მრავალსა და განუცრუვნა სხვისისა ოფლითა მოპოვებული ქონება ვიეთთა; მიაგო სამართალი მანქანებითა აღზევებულთა რომელთამე და იღვაწა სახსნელად მიმძლავრებით დამდაბლებულთა; შთაუდო გულსა შინა მშვიდობა მტრად ქმნილთა და გაუცუდა ბოროტთა საქმეთა განზრახვა სხვათა, გარნა იმატა უფრორე:

გამცემლობამან ძმათა და მრუშებამან მეუღლეთა; უმადურებამან მადლფენილთა და ამპარტავნებამან ხელისუფალთა; ლიქნმან ხელქვეითთა და მზაკვრობამან მეცნიერთა; სიმდიდრისა წყურვილმან მცონარეთა, აღზევებისა სურვილმან უმეცართა და სიცრუვემან მერჯულეთა.
ურკვეველ დარჩა თუთაშხა ვითარებასა შიგან, რამეთუ არა უწყიდა, რომლითა ძალით მიეზღო ვალი ქვეყნისათვის თვისისა. მოეკვეთა უნარი მიზეზთა განჭვრეტისა, უქმ ექმნენ ძალნი აღსრულებისათვის საქმეთა საგმიროთა, და ჰრქვა:

– არღა მაქვს ცნობა, კეთილსა ვიქმ ანუ ავსა, უმჯობეს არს, დავიკრიფო მკლავნი მკერდსა ზედა და ვიპყრა ძალი ჩემი უმოქმედობად.
განდგა თუთაშხა ქვეყნისაგან თვისისა, დაინთქა ჭვრეტად და არღა გულისხმა ჰყო სადარდებელი ერისა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა.

### გრაფი სეგედი

...ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსებები ერთი მონაცემია, მათი სწორად გამოყენების უნარი – მეორე. ორ ადამიანს იქნებ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სხვადასხვაგვარი ზნეობა ჰქონდეს, მაშინ ყოველი მათგანი თავის შესაძლებლობებს საკუთარი ზნეობის თანახმად გამოიყენებს. ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობის ღირებულებით განისაზღვრება. დარწმუნებული ვარ, ყველა დროის

საზოგადოებაში იყო არწივის, სვავის თუ ჩიორას მეტ-ნაკლები ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს ზნეობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა.

ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ხანგრძლივმა სამსახურმა, ხოლო გადადგომის შემდეგ ამ წრეებთან სიახლოვემ, შესაძლებლობა მომცა, თავიდან ბოლომდე გამედევნებინა თვალ-ყური ზემოთქმულის დამამტკიცებელ მკაფიო მაგალითისთვის. ეს არის ორი ძლიერი პიროვნების – აბრაგ დათა თუთაშხიას და მისი მამიდაშვილის, პოლკოვნიკ მუშნი ზარანდიას ცხოვრება და ურთიერთობა. განგებამ ისინი თანაბრად მდიდარი შესაძლებლობებით მოუვლინა ქვეყანას, მაგრამ ზნეობამ სხვადასხვა ასპარეზზე გაიყვანა.

დავიწყებ იმით, რომ თუმც ღმერთმა მშვენიერება ყოველგვარი სიკეთისა და სათნოების წყაროდ დასახა, მაგრამ წესს გამონაკლისიც უნდა ჰქონდეს და ამჯერად მშვენიერებამ უბედურება შვა: ქართველი ქალიშვილის – ელე თუთაშხიას სილამაზემ სამსახურიდან გადამდგარ პორუჩიკს, გვარად ანდრიევსკის, დაუფიქრებელი, გრძნობისმიერი ნაბიჯი გადაადგმევინა. ამის გამო ქალიშვილის ძმამ, დათა თუთაშხიამ, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ანდრიევსკის და აბრაგობას მიჰყო ხელი. ეს მოხდა ათას რვაას ოთხმოცდახუთ წელს, როცა დათა თუთაშხია ცხრამეტი წლისა იყო.

ელე თუთაშხია ორჯერ პირადად დავკითხე და, ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ზღვის ქაფიდან ვინმე შობილა, უთუოდ ელე თუთაშხიასთანა ქმნილება უნდა ყოფილიყო...

**არქივში მოძიებული მასალებიდან პორუჩიკ ანდრიევსვის დღიურები 1884 წლის 9 აპრილი**

დაწესებულებაში გადამწერი ერთის მეტი არ მყავს. საქმე აუარებელია. ვერა და ვერ ვიპოვე რიგიანი, წიგნიერი კაცი. ამიტომ აქციზის ერთ მოხელესთან ვარ მორიგებული, თვეში ათ მანეთს ვუხდი; საღამოობით მოდის და მუშაობს. ახალგაზრდა კაცია; გიმნაზია აქვს დამთავრებული, მაგრამ საერთო ცოდნით უმაღლეს განათლებამიღებულსაც არ ჩამოუვარდება. ჰუმანიტარული მეცნიერებები, განსაკუთრებით სამართალი აინტერესებს და ეხერხება კიდეც. მუშნი ჰქვია, ზარანდიაა გვარად. კანცელარიის გამგის ოთახში ზის ხოლმე. ჩემს კაბინეტს ამ ოთახთან კარი აერთებს. ეს კარი ხშირად ღია მაქვს, რათა მოხელეს გავაგონო, როცა დამჭირდება.

სამსახური დამთავრდა. ზარანდიას დაველოდე, საბუთები მქონდა შესადგენი და გადასაწერი. მოვიდა. დავისვი და კარნახს შევუდექი. იჯდა, წერდა. ცოტა ხნის შემდეგ ზარანდიამ ცხვირსახოცი ამოიღო. ცხვირსახოცს ოქროს თუმნიანი ამოჰყვა, იატაკზე დაგორდა. ზარანდიამ ფულს დახედა და მკითხა, – თქვენ ხომ არ დაგივარდათო... დავინახე კიდეც, თქვენს ცხვირსახოცს რომ ამოჰყვა-მეთქი. ზარანდია განცვიფრდა, - თან ფული არ მქონია და რანაირად ამოჰყვებოდაო.

თუმნიანი იატაკზე ეგდო, ბზინავდა. ზარანდია ზემოდან დასცქეროდა. ალბათ, ფიქრობდა, საიდან უნდა მოხვედრილიყო ეს ფული ჩემს ჯიბეშიო. მერე შუბლში ხელი იტაცა, ფულს დასწვდა, მაგიდაზე დადო. მოუსვენრობა შეეტყო, აწრიალდა. როცა ჩემი ნაკარნახევის ჩაწერა დაამთავრა, მითხრა, წავალ, ნახევარ საათში დავბრუნდები და გადავწერო.

გამოვკითხე, თუ რამ შეაშფოთა და საით მიიჩქაროდა. აღმოჩნდა, რომ დღისით ვიღაც წვრილფეხა მრეწველი შეუმოწმებია, გადასახადს გარიდებული საქონელი უპოვია და დაუბეგრავს. ირწმუნებოდა, – სხვა შესაძლებლობა არ არის, ეს თუმნიანი იმ მრეწველმა შეუმჩნევლად ჩამიგდო ჯიბეში, ქრთამს პირდაპირ ვერ შემომბედავდაო. ახლავმ უნდა მიმიდე, დავუბრუნო და დავტუქსოო. ეს სხაპასხუპით განმიმარტა, ქაღალდები კანცელარიაში გაიტანა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მეც კანცელარიაში გავედი, გამგეს დავემშვიდობე, შინისკენ გავწიე.

რვა საათი იქნებოდა, სამსახურში დავბრუნდი, კაბინეტში შევედი, მაგრამ ისე, რომ კანცელარიაზე არ გამივლია, უკანა კარიდან შევედი და, ჩანს, ჩემი მისვლა გამგეს და ზარანდიას შეუმჩნეველი დარჩათ.

– გამოგართვათ ის ოქროს თუმნიანი? არ უთქვამს, მე არაფერი ჩამიდმიაო? – მოისმა ცოტა ხნის მერე კანცელარიის გამგის ხმა.

– გამომართვა. დარცხვენილი იყო, – მიუგო ზარანდიამ.

– ჰმ, დარცხვენილი! დარცხვენილი კი არა, შეფიქრიანებული იქნებოდა; ალბათ, ეცოტავა და იმიტომ მიბრუნებსო, – თქვა კანცელარიის გამგემ.

– არ ვიცი. შეიძლება, ასეც იყოს.

– არ უნდა დაგებრუნებინათ!

– როგორ? – გამოელაპარაკა ზარანდია.

– უბრალოდ. არ უნდა დაგებრუნებინათ!

– არ შეიძლება.

– შეიძლება. ხაზინა მათხოვრულ ჯამაგირს რომ გიხდით, შეიძლება?: ჯამაგირი გყოფნით? - გამგემ ჩაახველა და ზარანდიას პასუხს დაელოდა.

– ისეთი ჯამაგირი არ არსებობს, კაცს რომ ეყოს. კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს. რაც მეტს მოგცემენ, მით მეტი მოგინდება. ჯამაგირიკი არ არის დიდი და პატარა, მადაა დიდი და პატარა.

კანცელარიის გამგემ, ჩანს, დროზე ვერაფერი მოიფიქრა და კარგა ხნის შემდეგ თქვა:

– თქვენ, უფალო, მადა ჯამაგირზე სამჯერ მეტი გქონიათ!

– მაგაზე არ დავფიქრებულვარ. რაში მატყობთ?

– იმაში, რომ თქვენი ჯამაგირი არ გყოფნით და აქ კვირაში სამჯერ, საღამოობით, თვეში თუმნად კალამს აწრიპინებთ.

ზარანდიამ გულიანად გაიცინა:

– მე ამ თუმნისთვის არ ვმუშაობ, დრო მრჩება, ხომ უნდა გამოვიყენო რამეში?

– თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ ფულის გულისთვის არ მუშაობთ. მაშ, ხუთ მანეთადაც იმუშავებდით, არა?

– არა, ხუთ მანეთად არ ვიმუშავებდი!

– მაშ, რას იზამდით?

– თუმნიან სამსახურს მოვძებნიდი.

– თუმანი, რა, ავგაროზია?

– არა, ჩემი ძირითადი ჯამაგირი და კიდევ ერთი თუმანი ის თანხაა, რომელიც საშუალებას მაძლევს, სამსახურისგან თავისუფალი დრო, ანუ კვირაში დანარჩენი ოთხი საღამო და კვირადღე, პირადი საჭიროებისთვის გამოვიყენო. მეორე მხრივ, ის დრო, რომელსაც მუშაობას ვანდომებ, თუმანი ღირს და არა ხუთი მანეთი.

– ხი, ხი, ხი, საოცარი თეორიაა, ღმერთმანი! მაგ სიბრძნის ნყაროს ხომ არ დამისახელებთ, მოწყალეო ხელმნიფევ?

– როგორ არა, მაგრამ სხვა დროს იყოს. – ზარანდიამ საუბრის გაგრძელებისგან თავი შეიკავა.

– ახლავე ხომ არ აჯობებდა?

– ინებეთ: ძველქართული საერო მწერლობა და ღმრთისმეტყველების ზოგიერთი წყარო.

საინტერესოა, ეს ზარანდია მართლაც ასეთი კაცია, თუ ასეთ კაცს თამაშობს?

1884 წლის 14 ნოემბერი

გუშინ მე და დათა თუთაშხია კედიას ორადგილიანი ეტლით მაზრაში წავედით. ცხენი ტაატით მიდიოდა. დროდადრო ცრიდა. გზად მიმავალ შუახნის ქალს წამოვეწიეთ. დაღლილი, სველი, სიცივისგან გაცრეცილი იყო. დათამ თქვა, ეს ქალი დავსვათ, რაღა დარჩა, ფეხით სიარული კიდეც მეხალისებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. დავსვით, მაზრაში ჩავიყვანეთ.

ჯერ საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში შევედით, საყიდლები მქონდა. მერე მანუფაქტურისთვის შევიარეთ, ორთავეს რაღაც გვჭირდებოდა. საბაზრო კვირადღე იყო, მუშტარი ბლომად ტრიალებდა, დახლთან პატარა რიგიც კი იდგა. ჩვენც დავდექით და დაველოდეთ. რიგმა მალე მოგვიწია, ნოქარს საქონელი გადმოვაღებინეთ. ამ დროს დარბაზში შაფათავას ცოლი შემოცქრიალდა. მასწავლებელი შაფათავა ახალგაზრდა კაცია, ცოლიც ახალგაზრდა, ლამაზი ჰყავს, მაგრამ ცოტა ცანცარაა. შემოცქრიალდა და პირდაპირ ჩვენი დახლისკენ წამოვიდა. ხალხი საკმაოდ მოურიდებლად გასწი-გამოსწია. დათას მოადგა, იგივე დაუპირა. დათამ ქალს თვალი შეავლო, გზა არ მისცა. მისი თავაზიანობის ამბავი ვიცოდი და გამიკვირდა. ქალი ეჯაჯგურებოდა, დაჟინებით ცდილობდა, დათა

როგორმე გზიდან ჩამოეცილებინა, ნოქრამდე მიეღწია, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, დათას დაძვრას მამაკაცის ღონე სჭირდებოდა. შაფათავას ლამაზი ცოლი მაინც არ ცხრებოდა. არც დათა გამოდგა ნაკლებად ჯიუტი, გოჯი არ დაუთმო. ნოქარმა ნაყიდი საქონელი გაგვიხვია, ფულიც გადავიხადეთ, მაგრამ დათამ ადგილი არც ახლა დათმო, არც მე გამიშვა, – იდექიო, და ჩვენს შემდეგ მდგომ ქალს ჰკითხა, რომელი ნაჭერი გნებავთო. როცა ნოქარს ის ნაჭერი მოატანინა, პოზიცია მერეღა დატოვა.

გამოვემგზავრეთ. გზაში ვკითხე, – ეტლიდან ჩამოხვედი, უცნობი ქალი დასვი, მაზრამდე ფეხით იარე და შაფათავას ლამაზი ცოლი კი, მოკვდი და დახლს არ მიაკარე. ეს როგორღა გავიგოთ-მეთქი?

– მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ! – მითხრა დათა თუთაშხიამ.

გამოდიოდა, რომ დათა თუთაშხიას საქციელი შაფათავას ცოლის ინტერესებს ემსახურებოდა. ამ თავზეხელაღებულმა ალტრუიზმმა დამაეჭვა. რიგიანად გამოვკითხე, თუ რას გულისხმობდა, და, აი, რა

გამოვიდა:

თურმე თავხედებად იმდენნი არ იბადებიან, რამდენნიც მერე ხდებიან. თვითონ კი არ ხდებიან, ჩვენ ვაქცევთ თავხედებად: ქალი იქნება თუ კაცი, – შაფათავას ცოლისთანა ტუტუცი, – ერთხელ ინსტინქტურად რომ ჩაიდენს თავხედობას და ამას მორიდებული, ხათრიანი კაცის მიმართ იზამს, ეს კაცი, თავისი ზნეობრივი მონაცემებიდან გამომდინარე, თავხედობას შეარჩენს. მეორედ სხვა სიტუაციაშიც შეიძლება ასე გამოუვიდეს. მესამედაც. ტუტუცი კია, მაგრამ მიხვდება, – თავხედობა ცხოვრებას აადვილებსო, და სიკვდილამდე თავხედი იქნება. ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამიდის და ვტირიო!

ახლა პირიქით ვნახოთ: ტუტუცს დღეს არ დაუთმეს გზა თუ რაც არის, და თავხედობა არ გაუვიდა. ხვალაც ასე მოხდა. ეგ იქნებ ისეთსაც გადაეყაროს, რომ თავხედობისთვის მიუზღოს კიდეც. როგორი ტუტუციც უნდა იყოს ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, თავხედობაზე ხელს აიღებს და სამარემდე წესიერი კაცი იქნება.

პარადოქსია. თავხედურს თავხედი იზამს. თავხედთან კი ასე ნაზად მოქმედი საშუალებებით, ვფიქრობ, ვერაფერს გახდება კაცი. მიუხედავად ამისა, ჩემი მასპინძლის თვალსაზრისში მაინც არის ერთგვარი, ჩემთვის გაუგებარი ჭეშმარიტება და ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინება.

**დაკითხვის ოქმი ქ: ფოთი. სამხედრო ლაზარეთი: 1805 წლის მარტის 11.**
**გამომძიებელი** – ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის როტმისტრი, ევტიხი აგათონის ძე იევლევი.

**დაზარალებული** – მოსკოვის გუბერნიის ტახტის აზნაური, გადამდგარი პორუჩიკი სერგი რომანის ძე ანდრიევსკი.

**კითხვა:** ბატონო ექიმო, თვლით თუ არა დაზარალებულის ჯანმრთელობას საკმაოდ ნორმალურად იმისთვის, რომ ჩვენება ჩამოვართვა და დაკითხვის ოქმს უფლებამოსილი იურიდიული საბუთის ძალა ჰქონდეს?

**პასუხი:** ბატონ ანდრიევსკის მიღებული აქვს ჭრილობა ღვიძლის ზედა არეში. ეს თქვენთვის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც არის ცნობილი. ამჟამად ბატონ ანდრიევსკის დაბალი ტემპერატურა აქვს, მისი ფსიქიკური მდგომარეობაც ნორმალურია და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად შეუძლია, მოგცეთ ჩვენება. ხოლო ექნება თუ არა მის ჩვენებას უფლებამოსილი იურიდიული საბუთის ძალა, ამის დადასტურება ან უარყოფა ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

**კითხვა:** ბატონო პორუჩიკო, გთხოვთ, განუმარტოთ გამოძიებას სამხედრო სამსახურიდან თქვენი გადადგომისა და მხატვრის თავისუფალი პროფესიის არჩევის მოტივები.

**პასუხი:** ეგ საკითხი საქმეს არ ეხება და პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ.

**გამომძიებელი:** ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა პირადად გთხოვათ, გასცეთ პასუხი ამ კითხვაზე.

**ანდრიევსკი:** გადაეცით გრაფ სეგედის ჩემი უღრმესი სინანული იმის გამო, რომ ჯანმრთელობა ხელს მიშლის, შევასრულო მისი თხოენა. არცა ვარ ამ თემაზე სასაუბროდ განწყობილი. ვიმედოვნებ, მისი თხოვნის შესრულებას ახლო მომავალში შევძლებ.

**კითხვა:** ვინ მოგაყენათ ჭრილობა, რომელსაც ამჟამად, აქ, ფოთის სამხედრო ლაზარეთში მკურნალობთ?

**პასუხი:** ზუგდიდის მაზრის მცხოვრებმა დათა თუთაშხიამ.

**კითხვა:** რით შეგიძლიათ, დაამტკიცოთ, რომ ჭრილობა, სახელდობრ, ხსენებულ დათა თუთაშხიას მოყენებულია?

**პასუხი:** ამას იგი თვითონ დაადასტურებს: დადასტურება შეუძლია, აგრეთვე, მის დას, ელე თუთაშხიას და ჩემს მსახურს თედორე ნიკიშოვს. ჩემსა და დათა თუთაშხიას შორის სროლა ურთიერთთანხმობით, ნებაყოფლობით მოხდა.

კითხვა: თქვენ გნებავთ, თქვათ, რომ თქვენს შორის დუელს ჰქონდა ადგილი?

**პასუხი:** არა. ჩვენს შორის მოხდა ურთიერთთანხმობაზე დამყარებული სროლა, წიწასწარ დადგენილი პირობებისა და სეკუნდანტების გარეშე. მოგახსენებთ, ეს დუელად ვერ ჩაითვლება.

**კითხვა:** გსურთ, თუ არა, აღძრათ სისხლის სამართლის საქმე დათა თუთაშხიას ნინააღმდეგ მის მიერ მოყენებული ჭრილობის გამო?

**პასუხი:** არავითარ შემთხვევაში და, ამასთან ერთად, ვაცხადებ, რომ დათა თუთაშხიას მიმართ ვინმეს მიერ რაიმე საქმის აღძვრის კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ჩვენი დამოკიდებულებების ფარგლებს.

**გამომძიებლის განმარტება:** გამოძიების წინაშე არის დანაშაულის ობიექტური მხარე ანუ ფაქტი: მძიმედ დაჭრილი გადამდგარი ოფიცერი, თავისუფალი პროფესიის პირი, ტახტის აზნაური. ჟანდარმერიის სამმართველო, არსებული კანონების საფუძველზე, ვალდებულია, აღძრას სისხლის სამართლის საქმე ჭრილობის მიმყენებლის წინააღმდეგ. დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ანუ ჩადენის მოტივებს, სასამართლო გამოარკვევს და შემამსუბუქებელ გარემოებებს,თუკი ასეთები აღმოჩნდება, განაჩენის გამოტანისას მიიღებს მხედველობაში. ამჟამად ბოროტმოქმედი დათა თუთაშხია პასუხისგებას თავს არიდებს. მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დანიშნულია დამნაშავის ძებნა.

**დაზარალებულის კითხვა:** რა სასჯელი ელის დათა თუთაშხიას?

**გამომძიებლის განმარტება:** თუ დანაშაული არ შეიცავს პოლიტიკურ ან წოდებრივ მოტივს, ანუ ისეთ კრიმინალს, რომელსაც კანონი ტერორისტულ აქტად მიიჩნევს, მაშინ ბოროტმოქმედება კვალიფიცირებულ იქნება, როგორც წინასწარგანზრახული, მაგრამ შეუსრულებული მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება ჯანმრთელობისთვის მძიმე შედეგებით. რაც შეეხება სანქციას, ანუ სასჯელის ზომას, ამას სასამართლო განსაზღვრავს.

**დაზარალებულის კითხვა:** დაკმაყოფილებულ იქნება თუ არა ჩემი წერილობითი თხოვნა თუთაშხიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე?

**გამომძიებლის განმარტება:** ასეთი თხოვნით შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს, რომელსაც თუთაშხიას საქმე ჩვენ უსათუოდ უნდა გადავცეთ.

**გამომძიებლის კითხვა:** გამოძიებას ესაჭიროება თქვენი ამომწურავი ჩვენება მომხდარი ინციდენტის გამო. როგორ გირჩევნიათ, თანმიმდევრობით მიამბოთ ყველაფერი და მე თქვენი ნაამბობი სიტყვასიტყვით ჩავიწერო, თუ კითხვებზე გამცემთ პასუხს?

**პასუხი:** კითხვები დამისვით.

**კითხვა:** ჭრილობის მიღებამდე იცნობდით თუ არა დათა თუთაშხიას და თუ იცნობდით – როდის, რა პირობებში გაიცანით?

**პასუხი:** დათა თუთაშხია მესაქონლე, მეჯოგე კაცია. ზამთრობით თავად ანჩაბაძისგან ზღვისპირა საძოვრებს იჯარით იღებს და საქონელს იქ აზამთრებს. იჯარა თითქმის მუდმივია, ამიტომ საძოვარზე დათა თუთაშხიას ფაცხა უდგას და იმ ფაცხაში ატარებს ზამთარს თავის დასთან – ელე თუთაშხიასთან ერთად. იმ ადგილზე ნაპირი

კლდიანია და ჩემთვის, მხატვარ-პეიზაჟისტისთვის, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. როცა ადგილი მომეწონა, საძოვრის მოიჯარადრეს მივმართე, კარვის დადგმის უფლება მოეცა. როგორც მოგახსენეთ, მოიჯარადრე დათა თუთაშხია იყო. ნებაც დამრთო და მე და ჩემს მსახურს კარვის დადგმაში და დაბინავებაშიც მოგვეშველა. ეს მოხდა გასული, 1884 წლის ოქტომბერში, ანუ ხუთი თვის წინათ.

**კითხვა:** როგორი გარეგნობის არის დათა თუთაშხია და აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული შესაცნობი ნიშნები?

**პასუხი:** საშუალოზე მაღალია, მძლავრი აღნაგობისაა. შესახედავად – წარმოსადეგი. აქვს ლურჯი თვალები, კეხიანი ცხვირი, ოდნავ მოღუნული, მხედრის წვივები. კოხტად, მოხდენილად იცვამს. უყვარს შავი ფერის ქართული ჩოხები და ხშირად იცვლის ერთიმეორეზე უკეთეს ცხენებს. ერთი სიტყვით, მის არისტოკრატ თანამემამულეთაგან თითქმის არაფრით განსხვავდება.

**კითხვა:** ელე თუთაშხია?

**პასუხი:** არა მგონია, ეგ შეკითხვა საქმეს ეხებოდეს.

**კითხვა:** რა იცით დათა თუთაშხიას ახლო ნათესავებისა?

**პასუხი:** ეს და-ძმა ბავშვობიდანვე ობლები არიან. რამდენადაც ვიცი, ჰყავთ მამიდა, მისი ქმარი და მამიდაშვილები.

**კითხვა:** რას გვეტყოდით თუთაშხიას განათლებაზე?

**პასუხი:** სასწავლებელში არ უსწავლია, მაგრამ მაინც საკმაოდ განათლებული კაცია. დაობლებული ბავშვები აღსაზრდელად ხსენებულ მამიდას და მის ქმარს, ხელობით დიაკვანს, აუყვანიათ. საკუთარ შვილებთან ერთად ზრდიდნენ. ორივეს ასწავლეს წერა-კითხვა, საღმრთო წერილი და სხვაც ბევრი რამ. დათა თუთაშხია კარგად ფლობს რუსულ სალაპარაკო ენას, უკეთესად, ვიდრე მე – ქართულს. ალბათ, რუსებთან ურთიერთობაში ისწავლა, მაგრამ სად და როდის – არ ვიცი. მკვირცხლი, საღი გონება აქვს. უაღრესად პატიოსანი, სამართლიანობის მოყვარული ახალგაზრდა კაცია.

**კითხვა:** რა გაკავშირებდათ, რა ურთიერთობა გქონდათ დათა თუთაშხიასთან?

**პასუხი:** ძლიერ ახლო მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა. მიუხედავად მომხდარი კონფლიქტისა, ახლაც უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული, როგორც დათა თუთაშხიას, ისე მისი დის, ელეს მიმართ.

**კითხვა:** ასე ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტება მოგიხდათ; ალბათ, საამისო სერიოზული მიზეზიც იყო: მითხარით, რას მოჰყვა კონფლიქტი?

**პასუხი:** დათა თუთაშხიამ მე და თავის დას, ელეს, ტახტზე ნახევრად წამოწოლილებს მოგვასწრო. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენს შორის პლატონური დამოკიდებულების მეტი არასოდეს არაფერი ყოფილა.

**კითხვა:** როგორ დაგინახათ დათა თუთაშხიამ და რა მოხდა ამის შემდეგ?

**ექიმი:** ბატონო როტმისტრო, ავადმყოფი მოიქანცა, დაკითხვის განგრძობა მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს. ბატონ ანდრიევსკის დასვენება ესაჭიროება.

**გამომძიებელი:** ვაკმაყოფილებ თქვენს თხოვნას. იმედი მაქვს, ბატონი ანდრიევსკი რამდენიმე დღის შემდეგ გაცილებით უკეთესად იქნება და საშუალება მოგვეცემა, განვაგრძოთ დაკითხვა.

ჩემი ჩვენებები სწორად არის ჩაწერილი...

**დაზარალებული:** (ს. რ. ანდრიევსკი)

**გამომძიებელი:** (ე. ა. იევლევი)

**დაკითხვას დავესწარი** – ექიმი: (ნ. ტ. შულცი)

**ლ. დ. შვანგირაძის 1885 წლის 27 მარტი.**
თანახმად თქვენი ბრძანებისა, მოვაწყე თვალთვალი ფოთის სამხედრო ლაზარეთში მკურნალობისთვის მყოფი გადამდგარი ოფიცრის, ს. რ. ანდრიევსკის სანახავად მისულ პირებზე, ლაზარეთის პერსონალთან ურთიერთობაში მყოფ პირებზე და შემდეგ გარდაცვლილი პორუჩიკის სამარეზე მიმსვლელებზეც.

მოგახსენებთ, რომ ბ-ნ ანდრიევსკის გარდაცვალებამდე არ შემოსულა რაიმე ცნობა ბოროტმოქმედ დათა თუთაშხიას ან მისი კაცის ფოთში, კერძოდ, ლაზარეთში გამოჩენის შესახებ. დაკრძალვის შემდეგ მეცხრე დღეს, ანუ მიმდინარე წლის 26 მარტს, დილის თერთმეტ საათზე, ლაზარეთის დარაჯთან – ნასალდათარ ს. ტაბაღუასთან – მივიდა მისი თანამესუფრე და მასავით ლოთი ნავსადგურის მტვირთავი ი.ბიბილეიშვილი, გაუბა საუბარი და, სხვათა შორის, დაინტერესდა ბ-ნ ანდრიევსკის ჯანმრთელობით. როცა ბიბილეიშვილმა პორუჩიკის გარდაცვალება შეიტყო, დაკრძალვის ადგილი იკითხა. ტაბაღუამ სამარის ადგილი დაწვრილებით აუწერა. ბიბილეიშვილმა კიდევ ცოტა ხანს დაჰყო და წავიდა, ხოლო ტაბაღუამ ამ შეხვედრის შესახებ დაუყოვნებლივ მაცნობა.

ამ ბოლო დროს ფოთის დუქნებში დ.თუთაშხიას სახელი ხშირად იხსენიება და შესაძლებელი გახდა იმ პირთა აღრიცხვაზე აყვანა, ვინც თუთაშხიას ნაცნობობას ან ამხანაგ-მეგობრობას კისრულობს. ასეთთა რიცხვში იყო ხსენებული ბიბილეიშვილიც.

ტაბაღუას ცნობის შემდეგ დაუყოვნებლივ გავეცი ბიბილეიშვილზე თვალთვალის ბრძანება და მოვაწყე ორი საფარი სამხედრო სასაფლაოზე. ბიბილეიშვილზე თვალთვალმა შედეგი ვერ მოიტანა. როგორც ახლა გახდა ცხადი, თუთაშხიამ მასთან შეხვედრა მოასწრო იქამდე, სანამ თვალთვალის დაწყება მოხერხდებოდა. ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბიბილეიშვილი გადაჭრით უარყოფს როგორც თუთაშხიასთან შეხვედრის ფაქტს, ისე მასთან ნაცნობობას საერთოდ, მაგრამ ტყუის: თუთაშხიას მისვლა სასაფლაოზე და ბ-ნ ანდრიევსკის სამარის ადვილად მიგნება ბიბილეიშვილის მიერ მიწოდებული ცნობით მოხდა.

ბოროტმოქმედი თუთაშხია სამხედრო სასაფლაოს მიდამოში შეღამებისას გამოჩნდა. მოდიოდა და იქაურობას მალულად ათვალიერებდა. ერთ მხარეს საფარში ისხდნენ ფელდფებელი ივანიცკი და პოლიციელი შარია. მეორე მხარეს – ვახმისტრი სტროპილინი

და გოროდოვოი მახათაძე. მე და უბნის პოლიციელი თურნავა მოშორებით ჩირგვებში ვიწექით და თვალს ვადევნებდით ოპერაციის მსვლელობას.

თუთაშხიამ ვერც ერთი საფარი ვერ შენიშნა, პირდაპირ ბ-ნ ანდრიევსკის სამარისკენ გასწია. საფლავის ბორცვთან მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა. ჩანს, ადგილის დასახსომებლად იყო მოსული, - სტროპილინმა დაუყვირა, ხელები მაღლაო, წამოდგა, ბოროტმოქმედი მიზანში ამოიღო. ასევე მოიქცა მახათაძეც. მაშინ თუთაშხიას ზურგს უკან ფელდფებელმა ივანიცკიმ ჰაერში გაისროლა და პოლიციელ შარიასთან ერთად თუთაშხიას შესაპყრობად გაემართა. ბოროტმოქმედი ჩაწვა, ორი მაუზერი მოიმარჯვა: იგი სტროპილინის და მახათაძის მხრიდან სამარის ბორცვით აღმოჩნდა დაცული. ამიტომ მათთვის ყურადღება არ მიუქცევია – მიზანში ივანიცკი და შარია ამოიღო. ივანიცკიმ მეორე იარაღიდან ესროლა, მაგრამ დააცდინა. მოპირდაპირე მხრიდან სროლა ატყდა. შარიამ იყვირა და კოჭლობით გაიქცა. ამას ორმხრივი სროლა მოჰყვა: თუთაშხია სამარის ბორცვებს შორის მიხოხავდა და ისროდა. ივანიცკი მძიმედ დაიჭრა: მე და უბნის პოლიციელი თურნავა დროულად გავეშურეთ თუთაშხიასთვის გზის გადასაჭრელად, მაგრამ სტროპილინისა და მახათაძის შაშხანების ცეცხლის არეში მოვხვდით და, რა თქმა უნდა, ჩავწექით: თუთაშხიამ არეულობით ისარგებლა და მიიმალა.

მოგახსენებთ კიდევ ერთ დეტალს: პოლიციელი შარია ირწმუნება, რომ ჭრილობა გოროდოვოი მახათაძის მიერ ნასროლი ტყვიით მიიღო და არა თუთაშხიას მაუზერიდან ნასროლით. ამის შემოწმება შეუძლებელია, რადგან შარიას ჭრილობაში ტყვია არ ჩარჩენილა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ შარიას თუთაშხიამ მიაყენა ჭრილობა. რაც შეეხება ფელდფებელ ივანიცკის – მისი ჭრილობიდან მაუზერის ტყვიაა ამოღებული.

ბოროტმოქმედ დ. თუთაშხიას ძებნა, მისი შესაძლებელი მისვლის ადგილების თვალთვალი გრძელდება.

**გრაფი სეგედი**

... როდესაც დამნაშავე პასუხისგებას თავს არიდებს, თვით ეს პროცესი სხვა, ახალ დანაშაულებებს ქმნის. მართლმსაჯულების წინაშე მით უფრო გადაჭრით დგება ბოროტმოქმედის შეპყრობის საჭიროება, რაც უფრო იზრდება მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. აბრაგის ცხოვრება, არშიყი ქალის ცხოვრების დარად, შედგება იმისგან, რაც მან ჩაიდინა და სამძებრო დაწესებულებებისთვის ცნობილი გახდა; იმისგან, რაც მას არ ჩაუდენია და მიეწერა; და იმისგან, რაც მან ჩაიდინა და გაგებით კი ვერავინ ვერაფერი გაუგო. აქედან გამომდინარე, თუთაშხიას დოსიე სწრაფად გაიზარდა და იმდენად წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ საეჭვო ხასიათის ცნობებით შეივსო, რომ სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, პროფესიული ცნობისმოყვარეობაც გვამოძრავებდა, ნამდვილად გაგვეგო, რა ჩაიდინა და რა არ ჩაუდენია თუთაშხიას. პირადად მე უაღრესად მაინტერესებდა მასთან პირისპირ შეხვედრა, საუბარი, მის ფსიქიკაში ჩახედვა. აბრაგობის პირველი ოთხი წლის მანძილზე თუთაშხია, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევდა, ასე თუ ისე, უწყვეტი თვალ-ყური გვედევნებინა მისთვის და იმედი გვქონდა, რომ დღეს თუ ხვალ გაებმებოდა ჩვენს მიერ დაგებულ რომელიმე მახეში.

თუთაშხიას, ეტყობა, ეხალისებოდა პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან ამგვარ დამოკიდებულებაში ყოფნა, რაც, იქნებ, იმითაც აიხსნებოდეს, რომ ხალხში ყოველი მისი

პატარა წარმატებაც კი დიდ გამოხმაურებას პოულობდა, ამაღლებდა მის ავტორიტეტს, აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას. არსებობს გარდუვალი კანონზომიერება. აბრაგის ხვედრი, ბოლოს და ბოლოს, სახრჩობელა, მდევრის ტყვია ან გამცემის ხანჯალი თუ საწამლავია, მაგრამ თუთაშხია, ჩანს, განგების რჩეული იყო და მისი ბედისწერა ჯერჯერობით კანონზომიერებებს არ ემორჩილებოდა. ზემოხსენებული ოთხი წლის მანძილზე სამძებრო დაწესებულებებმა ოცამდე ისეთი კაცის გადმობირება შეძლეს, ვისაც თუთაშხია ენდობოდა და სტუმრობდა. დასაშვებია, რომ ამ ოციდან ათმა მას მოსალოდნელი საფრთხე გაუმხილა, მაგრამ დანარჩენ ათს თუთაშხიამ ალღო უდავოდ თვითონ აუღო და აღარ გაჰკარებია. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენთვის მრავალგზის გახდა ზუსტად ცნობილი, თუ სად და როდის უნდა მისულიყო იგი. აქედან ხუთჯერ თუ შვიდჯერ თუთაშხია დანიშნულ ადგილზე სულ არ მისულა და პოლიციის გაძლიერებული რაზმი მას ამაოდ ელოდა. ერთხელ ისიც მოხდა, რომ საიმედოდ შემორტყმული ალყიდან გაიპარა, პოლიციისავე საჯინიბოდან რვა ცხენი წაიყვანა და, როგორც შემდგომში გამოირკვა, ოზურგეთში გაყიდა. ისეთი შემთხვევაც იყო, რომ თურმე, ამაოდ შემორტყმულ ალყაში რაღაცნაირად შეიპარა, მასპინძელთან ივახშმა და კვლავ გაიპარა. ეს რამდენიმე მაგალითი იმისთვის მომყავს, რომ ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა აბრაგი გაუგებარი თავგამოდებით ეხუმრებოდა და ეთამაშებოდა – სახრჩობელას თუ არა, კატორღას მაინც.

ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელს თუთაშხია უკვალოდ გაქრა. ამის გამო ხალხში ათასნაირი ხმა დაირხა, მაგრამ სარწმუნო – არც ერთი. ვფიქრობ, მეტისმეტად სუსტ, მისი ღირსებებისთვის სათაკილო მოწინააღმდეგეებად მიგვიჩნია, თამაში მობეზრდა...

**თიყვა ძაძუა**

– ვიცნობდი რას ქვია! ცალი თვალი გაფუჭებული რომ მაქვს, დათა თუთაშხიას გულისთვის მაქვს, თითქმის. თვალი არ დამკარგვოდა, რა გამაჩერებდა მნათედ. ისეთი ხელობა მქონდა, წავიდოდი სამუშაოდ და ორმოცი-ორმოცდაათი თუმანი მომქონდა ოჯახში. ამ ოდა-სახლს რომ უყურებ, წაბლია სუფთად, იმ ფულებით არის აშენებული და ჯიჯიხიას საყანე მიწებიც იმ ფულით ვიყიდე მაშინ. კასრის ფიცარს ვთლიდი, ორ კაპიკს იძლეოდნენ ცალში, ძალიან მაგარი საშოვარი იყო და ხელობადაც კაი სასიამოვნო; მიადგები უშველებელ წიფელს – კენწერო მზემდე წვდება, სწორია ლარივით და სუფთა, სადამდეც თვალი აგიწვდება, ნუჟრის ნასახი არ უჩანს არსად. თუ ხარ შეჩვეული, წიფლის ხის ხასიათი თუ გესმის – შეატყობ უცებ, დასკდება ადვილად, თუ ძარღვს დაიყოლიებს და გაგაწვალებს. ეს კია, ნაფოტი უნდა გამოუღო მაინც. ასე, მტკაველი, მტკაველ-ნახევარი უნდა ქონდეს სიგრძე ნაფოტს და სამი-ოთხი თითის დადება სისქე. დახეთქავ ნაჯახით; გაჩვენებს მაშინ, ვარგა თუ არ ვარგა საკასრედ. მარტო კაცი ვერ დაამუშავებ კასრის ფიცარს, ამხანაგი გჭირია, ან მუშა, ბირდაბირი უნდა გაგიწიოს ვინმემ. ამხანაგი ჯობია, კაი მუყაითი ამხანაგი.

ავიღე მოსავალი იმ შემოდგომაზე, გასაყიდი გავყიდე, სარჩო დავაბინავე და წავედი ყუბანში სამუშაოდ – სტანიცა არის ერთი, მთებშია, ბარაკაევკა ქვია. ბარაკაევკას აქეთ, ჩვენსკენ, დიდი წიფლის ტყეებია და იმ ტყეებში კასრის ფიცარი კეთდება – ცის და ქვეყნის, უთვალავი! პატარ-პატარა დაბებია იქ, ტყის მუშების დაბები. ათასი რჯულის ხალხია იმ დაბებში. ვიცნობდი ძველებს ყველას. ყოველ წელიწადს მივდიოდი და მეცნობებოდა, აბა რა იქნებოდა! ათისთავებს ჩემი მისვლა უხაროდათ ძალიან: ხელობა

კარგი ვიცოდი და იმიტომ... მივედი, ვიპოვნე ამხანაგი, კაზაკი იყო ერთი, კრავეცი გვარად, კარგზე კარგი ხელოსანი და კიდევ უკეთესი კაცად კაცი. ვიმუშავეთ ერთი თვე. შეხვდა სახადი საწყალს და მოკვდა. იმ წელიწადს დიდი სახადი იყო იქ, ბევრი ხალხი წაიღო სენმა. ნამეტნავად, მოსული ხალხი დაიხოცა, თვარა, იქაურებს სახლებიც უკეთესი აქვთ, სახნავ-სათესიც არ აკლიათ, საქონელი ყავთ თავისი. მაძღრად, სუფთად მაცხოვრებელს სახადი იმდენად ვერ მიუდგება. ასეა ეს.

დავრჩი მარტო. ხალხი შეთხელდა და მუშაც არ იშოვნებოდა. ადგილობრივი კაცი მუშად არ დაგიდგება და არც ამხანაგად უნდიხარ; მთელი ოჯახით გადის სამუშაოზე, ტყეს ბალახივით თიბავენ და ხვეტენ ფულებს. მუშად აყვანა იქით უნდა მას შენი.

იმსიშორეს მისული უკან ხომ არ წამოვიდოდი და დავიწყე ჯახირი მარტომ. გავწვალდი, გავბეზრდი კაცი. ხელის ჩაქნევა მქონდა გულში. მივატოვებ და წავალ, ვფიქრობდი მე, და ამ დროს მოვიდა ტყეში დათა თუთაშხია. ფერდობზე უცხო კაცი რომ ამოდიოდა, დავინახე, მაგრამ შორიდან კი არა, ახლოს რომ მოვიდა, მაშინაც ძლივს ვიცანი. სად იყო დათა თუთაშხიას წელში გამოყვანილი შავი ჩოხები და ჯიშიანი კვიცები! ფეხით მობანდალებდა, ექვსშაურიანი ნათრევი წუღები ეცვა. ვაი, შენს დათას, ვიფიქრე მე, ახლოს რომ მოვიდა და გამიცინა.

– რა გაქვს სასაცილო, რა დაგმართნია ეგ?! – ვუთხარი მე

– ისე მაქვს საქმე, პატარა ხანს სადმე უნდა შევაფარო თავი, – მითხრა.

ერთი კია: ძველმანი ეცვა, თუ რა იყო, იმ ჩანჩურა და შეუხედავ ხალხში ბატონიშვილივით გამოჩნდა. ტანი აკლდა თუ ფეხი! ქალებმა ხომ მთლად თვალები დაივსეს მისი ცქერით.

რას იქმს კაცი! მივიყვანე ათისთავთან, აგერ, ამხანაგი მომივიდა-მეთქი. დავიწყეთ მუშაობა. კასრის ფიცრის გათლისა დათას არაფერი ესმოდა, მაგრამ ნაჯახის ხმარება კაი იცოდა, ადვილად ისწავლა ყველაფერი და მუყაითი კაცი რომ იყო, ის არის მთავარი.

პირველ დღეს ხის წაქცევა არ დაგვჭირვებია, მქონდა წაქცეული ხე და იმის დაჭრა დავიწყეთ. შორიახლოს პოკლონსკი და მისი ვაჟიშვილი ჭრიდნენ ხეს მაგრამ რანაირი იყო ის ხე თუ იცი! შემოწვდომა სამ-ოთხ კაცს რომ გაუჭირდებოდა, ისეთი. მეორე დღე თავდებოდა, რომ ჭრიდნენ და დათას სულ იქით ქონდა თვალი – ხან სისქეს უთვალიერებდა და ხან სიმაღლეს. ხის წაქცევა დათას არ უნახავს-თქვა – უნახავს, მაგრამ ის ხეები სულ სხვა ხეებია, მათი წაქცევა სხვა წაქცევაა სულ და მიტომ ქონდა დათას ცნობისმოყვარეობა. დაიყვანეს პოკლონსკებმა, როგორც იქნა, ის უშველებელი წიფელი. გაიტკაცუნა ხემ. გაიგონა დათამ ტკაცანი, შემატოვა ხელში ბირდაბირი და მიაშტერდა წიფელს. დაიძრა ხე, დაენარცხა მიწაზე. შევხედე დათას: ხერხვის დროს რომ იყო მუხლებზე, ზის ისევ ისე, კაცის ფერი არ ადევს, ოფლი ნამივით აყრია სახეზე და, გეფიცები მაღალ ღმერთს, წამოხტომაზე და გაქცევაზეა. თუ არ გაიქცეოდა, არ მეგონა. დიდხანს იყო ასე. მერე მკლავით მოიწმინდა ოფლი, მოტრიალდა და მოკიდა ისევ ბირდაბირს ხელი.

მეგონა, შეეჩვია უკვე და აღარ გაიკვირვებს ხის წაქცევას-მეთქი, მაგრამ ერთი საოცრება დაჩემდა: ამოვარჩევდით ხეს, მივადგებოდით წყვილი ცულით, მკლავის სიმსხო ნაფოტს

ხოშკაკალივით ვაყრევინებდით. იმაზე რომ მივიდოდა საქმე, აგერ-აგერ უნდა წაიქცეს ხე, დაანებებდა თავს, გადგებოდა განზე და უყურებდა, როგორ დაწვებოდა ის დევივით წიფელი. არა მართლაა კაი საყურებელი: მეხივით გაიღებს ტკაცანს, თითქოს ხერხემალში გადატყდაო. ზეზეა ჯერ კიდევ, ერთს შემოტრიალდება ადგილზე და მერე გადაქანდება დასაწოლად. მიდის და ლეწავს ყველაფერს, რაც დახვდება გზა-გზა. ფოთოლი ქშინავს: ტოტებს ლიწინ-ლიწინი გააქვს – იმტვრევა ტოტები და იმიტომ. ისეთი ხმა გამოდის, ამირანი რომ კვდებოდეს და სიკვდილის წინ ამოიოხროს. დაასკდება მიწას – შეინძრევა ნიადაგი, დაიზანზარებს ყველაფერი. თვითონ ხე ბუყუნს გამოიღებს, – კაი მაგარ ვაჟკაცს მუშტი რომ შემოუკრავს მკერდში, იმისთანა ბუყუნს, ოღონდ ათასჯერ უფრო დიდს, და მიჩუმდება ყველაფერი – დავყრუვდიო, იფიქრებ. გდია ხე საცოდავად. იმწამსვე ჩაკიდებენ თავს ფოთლები. სიჩუმეა ისეთი, წყვდიადში გეგონება თავი დიდი სიჩუმეა, ძალიან!

ამის ყურება უყვარდა დათას. ახლოს თუ ჭრიდნენ ხეს სხვები, მიანებებდა თავს სამუშაოს და წავიდოდა საყურებლად. რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის:

– თიყვა, ძმაო, კისერი მომჭერი, თუ გინდა, და ხეს ადამიანივით და კიდევ უკეთესად გაეგება ყველაფერი. ადამიანზე ლამაზად და უკეთესად სიკვდილიც შეუძლია და სიცოცხლე ხომ იცის და იცის უკეთესი.

ასეთების თქმა უყვარდა დათა თუთაშხიას და რომ იტყოდა, ჯეროდა თავისი ნათქვამის მერე.

გადავუხვიე სათქმელს. დავბერდი და მავიწყდება სალაპარაკო. გაიარა ცოტა ხანმა, მოვიდა დაბაში ერთი ნასალდათარი კაცი თავისი ცოლით. ის ცოლი თან დასდევდა, თურმე, სანამდე მისი სალდათი ქმარი სამსახურს იხდიდა. უშვილოები იყვნენ და ლოგინი რომ ლოგინია, ისიც არ ქონდათ, ისე მოვიდნენ. რატომ მაინცდამაინც იქ მოიყვანა ღმერთმა თუ ეშმაკმა, რა ვიცი, რას გაიგებ კაცის ასავალ-დასავალს, მარტო ის სალდათი ხომ არ მოსულა ასე. რამდენიც იყო იქ მაცხოვრებელი, ყველა ასე შიშვლიკანა მოვიდა და მერე გაიჩინეს სარჩო-საბადებელი და მოიკიდეს ფეხი. კითხა ათისთავმა, ტყის ჭრა თუ იციო. არაო, სალდათმა, ტრამალის კაცი ვარ, ცულით შეშას თუ დავჩეხავ, თვარა ტყის მუშაობისა არ გამეგებაო. მაინც მიიღო სამუშაოდ ათისთავმა, მუშახელი აკლდა. მე და დათას გვთხოვა, ატარეთ ტყეში, მუშად გამოიყენეთ და ასწავლეთ კასრის ფიცრის გათლაო. დაიქცეს ის დღე, იქიდან დაიწყო ყველაფერი უბედურება და რა დაიწყო, აგერ ვიტყვი დალაგებით.

სალდათს და მის ცოლს ბუდარა და ბუდარიხა ერქვათ. რა ერის და რა რჯულის იყვნენ, კაცმა არ იცის. რუსულს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისეთი რუსული იმ ერთხელ გავიგონე მე. ბუდარას ორივე თვალი მთელი ქონდა და მაინც ნამეტანი გლახად ხედავდა, სალდათობაში მოკლებია სინათლე. კარგი მუშა იყო ორივე. ბუდარიხა დედაკაცი იყო, მაგრამ თავის ბუდარაზე უკეთესად თუ არა, უარესად არ მუშაობდა. დათამ მათ ჯაფას ორი დღე უყურა და მითხრა, დღეში ათ შაურად ცოდონი არიან, თითო მანეთი ვაძლიოთო. მუშის ფასი მაშინ იქ ორი აბაზი იყო, ჩვენ ათ შაურს ვაძლევდით და ახლა კიდევ მანეთი რატომ უნდა მიგვეცა! დაიჟინა დათამ და რას ვიზამდი, თხუთმეტ შაურზე დამიყოლია მაინც. გაუხარდათ და უფრო უკეთესად დაიწყო მუშაობა ორივემ. ვასწავლეთ ნელ-ნელა ხის ამორჩევა, მისი წაქცევა, მისი დაჭრა, დახეთქვა, გათლა და დალაგება. მალე ისწავლეს, მონდომებით მოეკიდნენ საქმეს და იმიტომ. არა, მაინც რანაირი მუყაითები

იყვნენ, ღმერთო შენი სახელის ჭირიმე: ტყეში ქინქლა იცის იმდენი, თუ დამპალ კუნძს არ წაუკიდე და არ ახრჩოლე, სადაც მუშაობა გიხდება, იქ, ერთ საათში შემოგაცლის ის ქინქლა ხორცს და ძვალს დაგიტოვებს მარტო. ბუდარას და ბუდარიხას არაფერი დამპალი კუნძი და მისი ხრჩოლება არ ჭირდებოდათ, არაფერი ქინქლა მათთვის არ არსებობდა... წაღუნავდნენ თავს დილაუთენია და დაღამებამდე დასვენება არ იცოდა არცერთმა. ეს არაფერი კიდევ, როგორი თავაზიანი და კაი გაზრდილი იყო ორივე! პირზე სულ ღიმილი და მოკრძალებული სიტყვა-პასუხი ქონდათ და უბატონოდ ქათამს არ გაცემდნენ ხმას. სალამი იცოდნენ – ორად იკეცებოდნენ, დღე იქნებოდა თუ ღამე, და ლოცულობდნენ იმდენს, დაყუდებულ ბერს შეშურდებოდა მათი ღვთისმოსაობა.

ერთხელ, სხვათა შორის, ვთქვი, დოქში წყალი მოგვძველებია-მეთქი. გაიგონა ბუდარამ, გამომტაცა ხელიდან ჭურჭელი, დაეშვა ფერდობზე. ვეძახე და ვემუდარე, – ნუ იზამ-მეთქი. ვინ გაიგონა! ერთი ვერსი წყლამდე იყო ჩაფრიალებული დაღმართი და ერთი ვერსი აქეთ, აღმართში სასიარულო. ამოარბენინა. დაგვალევინა, არ წყურებია მას თვითონ.

სიყვნენ ჩვენთან ერთი თვე, ისწავლეს ხელობა და დაიწყეს მუშაობა თავისთვის, ცალკე. ჩვენთან რომ იყვნენ, ქოხის აშენებას მაშინვე მოკიდეს ხელი. ვასწავლიდით, როგორ უნდოდა, და კიდეც ვეშველებოდით მე და დათა; ვუკეთებდით, რაც თვითონ ვერ მოდევდათ ხელში – კოჭი, ჩალანგარი, კარი და რა ვიცი, კიდევ რა. ჩვენთან რომ იყვნენ, იმ ერთ თვეში გააკეთეს ოთხი თუმანი ფული. გაძღნენ, საცოდავები. პატარა კიდეც ჩაიცვეს და დაიხურეს ტყის კვალობაზე. ქოხის კედლები ამოყვანილი ქონდათ უკვე, მიანებეს ქოხს თავი და ბოსლის აშენება გამოიწყეს. გამოიწყეს და ორ კვირაში ბოსელი ამოიყვანეს, ხუთი ძროხა რომ თავის ნაშენით მოთავსდებოდა, ისეთი. ესენი აქ გასამდიდრებლად და დასასახლებლად მოსულან, ვიფიქრე მე. დათას ისე უხაროდა ცოლ-ქმრის შრომა და მოცადეობა, თითქოს მისთვის შენდებოდა ის ქოხი და ის ბოსელი.

კაი, ბატონო! ერთხელ, შუადღე იქნებოდა, ასე. ვსხედვართ მე და დათა ტყეში, ვისვენებთ, ვჭამთ რაღაცას. მოვიდნენ ბუდარა და ბუდარიხა. დავიწვიეთ. ვთქვით ამ მთის, იმ მთის. ბუდარიხა გველაპარაკება, არ ვიცით ხელობა ისე კარგად ჯერ, რომ ჩქარა ვიმუშაოთ და ბევრი ფიცარი გავთალოთ, დღეში თითო მანეთს გამოვდივართ

და ხარჯი რამდენი გვაქვს, ხომ იცით კარგადო. ქოხი დასამთავრებელი გვაქვს, ლოგინები და ოჯახში ათასი სხვა რამე გვჭირდება. ძროხაც გვინდა და ფული არ გვყოფნისო. თხუთმეტი მანეთი გვასესხეთ, ამკვირია ძროხას ვიყიდით და, გინდათ, გიმუშავებთ იმ ფულს და გინდათ, ფულად დაგიბრუნებთო. სიტყვის თქმა არ მაცალა დათამ, მისცა თხუთმეტი მანეთი ბუდარიხას და უთხრა, – თქვენისთანა გამრჯელი ადამიანებისთვის ყველაფერი ალალია, იყიდეთ ძროხა და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო. თქვეს ცოლ-ქმარმა ასი მადლობა, ისხდნენ კიდევ და წავიდნენ თავისი ქოხისკენ.

არ მომეწონა, სიმართლეს ვიტყვი, არც მათი მოსვლა და არც დათასგან ფულის სესხება. არ დამნანებია, ღმერთია მოწამე, მაგრამ არ მესიამოვნა და ვუთხარი დათას ეს. მაინც, რატომ არ გესიამოვნაო, მკითხა დათამ. არ ვიცი, ვუთხარი მე, წინათგრძნობა მაქვს ცუდი და მერე გამოჩნდება, მართალი რომ ვარ-მეთქი. კვირას ბუდარა და ბუდარიხა ღამიანად გავიდნენ დაბიდან, ბარაკაევკაში ბაზრისთვის ადრიანად რომ მიესწროთ. გაიგო ყველამ, დიდმა და პატარამ, მუდმივად მაცხოვრებელმა თუ დროებით ჩამოსულმა, ძროხის საყიდლად წავიდნენო. დილითვე დავინახე, დაბაში რაღაც შეიცვალა, უფრო სხვანაირად იყო

ყველაფერი, თითქოს. მამაკაცები დაფიქრებული იყვნენ, ქალები ქვეშ-ქვეშ იყურებოდნენ გაჯავრებულებივით. რა ამბავია, ვიფიქრე მე. ამას იქაურებზე ვლაპარაკობ, თვარა, მოსულები წავიდ-წამოვიდნენ საითღაც მეტი წილი და ვინც დაბაში დარჩა, იყო ისე, როგორც სხვა დროს მინახავს.

ის ჩვენი დაბა ბექობზე იდგა და სალაყბო ადგილიდან ფერდობზე იყო გადასახედი. იმ ფერდობით გზა ამოდიოდა. ბარაკაევკიდან მომავალი მგზავრი ამ გზაზე უნდა ამოსულიყო, სხვაფრად ვერ მოვიდოდა დაბაში. შუადღე კაი ხნის გადასული იქნებოდა. დავინახე, იქაურ მოსახლეებს ყველას, ოჯახის მთელი შემადგენლობით, სალაყბოზე მოეყარათ თავი და გადაჰყურებდნენ გზას. ჩუმად იყვნენ, ხანდახან ვინმე თუ იტყოდა კანტიკუნტად რამეს, თვარა გზას თვალს არ აშორებდნენ, ისხდნენ ასე, ჭოტებივით, ვითომ მიცვალებული უნდა მოესვენებინათ იქიდან. კი მივხვდი, რა მოლოდინიც ტრიალებდა, მაგრამ მაინც მივაყურე მათ გადალაპარაკება-გადმოლაპარაკებას და დავრწმუნდი სწორედ რომ მივხვედრილვარ: ბუდარების და მათი ძროხის მოსვლას ელოდნენ. გლეხი კაცისთვის საკვირველი არ არის, მეზობელი რომ საქონელს იყიდის, იმ საქონლის ნახვა მოუნდეს, მაგრამ მამაცხონებულებს, ხუთზე ნაკლები ძროხა არც ერთს არ ყავდა; ახლა მათი ნაშენი, აქეთ ღორები, იქით კრუხ-წიწილი და ბატი, და ბუდარების ერთი ძროხა მოლოდინად რომ უღირდათ, ამან გამაკვირვა ძალიან. ეს ხალხი, თავის დროზე, შიშველი და მშიერი მოვიდა აქ, მაგრამ ახლა ნამეტანი მდიდარი იყო ყველა. ნაკაფი ტყეები ქონდათ ამოძირკვული, კარტოფილს თესდნენ ზედ უამრავს. კარტოფილის მოსავალი იცის იქ, უკეთესს ნუ იტყვი. ერთნაირი ჯიშია, იისფერი კანი აქვს, სულ წვრილი ბოლქვი მუშტისხელაა და კომბოსტოსხელაც მინახავს. ერთ ტომარა სათესლეს, ერთიმეორეზე, ოცდახუთი ტომარა მოსავალი მოყავს. ხუთასი და ექვსასი ტომარა კარტოფილი ყველა ოჯახს მოუდის. ყიდიან. გაზაფხულის პირზე ყიდიან, რომ გაძვირდება, მაშინ. პურის და სიმინდის ყანები ცალკე აქვთ, ტყის დამუშავებიდან შემოსავალი – ცალკე. მთავრობა იმ ტყე-ღრეში და გადასაკარგავში არ არის და გადასახადის ასაკრეფად კაცი არ მოდის. მდიდრები არიან, ნამეტანი მდიდრები! ბუდარას ძროხის ასე გაფაციცებული და მუშტმოღერებული მოლოდინი რა იყო, ვერ გავიგე ვერაფრით. ვუთხარი დათას, ასე და ასეა-მეთქი. რაღაცას ჩხირკედელაობდა ნაჯახით. მიანება თავი, წამოვედით და დავსხედით ჩვენც იმ სალაყბოზე.

სადაცაა უნდა გამოჩენილიყო ბუდარა ბუდარიხიან-ძროხიანად, მაგრამ იგვიანებდა. ეს ხალხი კრინტს არ ძრავდა არც ერთი და გაგიჟებას კი იყო ყველა.

– ყაჩაღები დაუხვდნენ, ალბათ, და წაართვეს ძროხა! – თქვა ერთმა ისეთი ხარხარი ატყდა, ვითომ უსაშველოდ სასაცილო ეთქვას რამე. გაუხარდა ამის მთქმელს, ოხუნჯობა მომიწონესო, და კიდევ თქვა:

– დახოცეს ყაჩაღებმა, ალბათ, ბუდარა და ბუდარიხა!

ისევ ახარხარდა ხალხი.

აღარ მოიშალა ასეთების ლაპარაკი იმ კაცმა და იცინოდნენ სხვები, სანამდე დაიღლებოდნენ. დაიღალნენ და გაჩუმდნენ უწინდებურად. იმ კაცმა კიდევ სცადა მასხრობა, მაგრამ რომ აღარ აყვა აღარავინ, გაჩუმდა ისიც. ნახევარი საათი ისე გავიდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი.

გამოჩნდა, როგორც იქნა, ბუდარა, ეგერ, შორს. ახლოვდებიან თანდათან. ყუბანზეც მსხვილფეხა საქონლისთვის რქებში იციან თოკის წაბმა და წინ გამოძღოლა. მოდის წინ ბუდარა, უჭირავს ხელში თოკი, მოყავს ძროხა. უკან ბუდარიხა მოდევს წკეპლით ხელში.

მოახლოვდნენ.

– თხა უყიდიათ, თხა! – დაიძახა ვიღაცამ.

ხალხმა ჩუმად ჩაიხითხითა, ხარხარს მოერიდნენ, ბუდარიხამ არ დაგვინახოსო. თხა არ იყო ის, ძროხა იყო, კაი ჯიშის მთის ძროხა. არ იცოდნენ, უბედურებმა, იმ ძროხის ამბავი. მათი ძროხებივით ბევრ რძეს ვერ მოიწველიდა, მაგრამ რასაც მოიწველიდა, ის რძე მეტ ერბოს დაიყენებდა, ვიდრე მათი ბათმანი. არ იცოდნენ ეს და უხაროდათ, პატარა ძროხა პატარას მოიწველისო.

ფერდობს ამოყვნენ და რომ მოაწიეს, ასე, ოც ნაბიჯზე, დაიჩურჩულა ვიღაცამ:

– უკუდო ძროხა უყიდიათ, შეხედე!

კუდი მართლა წაკვნეტილი ქონდა ბოლოში იმ ძროხას, მტკაველზე თუ ცოტა მეტი. ტყიან ადგილში ძროხას რაც მეტი გრძელი კუდი ექნება, მით უკეთესია, ბუზს და ქინქლას უკეთ მოიგერიებს. კუდმოკლე ძროხა გაწვალდება, ბუზი შეაწუხებს. გაწვალებული და შეწუხებული საქონელი წველაში იკლებს. წაკვნეტილი კუდი რომ დაინახეს, იმწამსვე დამშვიდდა და დაწყნარდა ყველა: უარესია ბუდარების ძროხა ჩვენს ძროხებზეო!

დაიშალა ხალხი, წავიდნენ სახლებში და თავის გზაზე.

– ასეთი უგუნური და ბოროტი ხალხი თუ გინახავს სადმე! – მითხრა დათამ. – რა უხარიათ, ნეტავი? რამდენი მეტი მდიდარი მეზობელი ეყოლებათ, უკეთესი არ არის მაგათთვის? გაგიჭირდება რამე, მიხვალ შეძლებულ მეზობელთან, დაგეხმარება და გაგიმართავს ხელს. ეს რა ხალხია, არ მესმის მე!

იმ ხალხის ამბავი დათამ მართლა არ იცოდა. მე ვიცოდი. დაჭმული ყავდათ ერთმანეთი, შურით აღარ იყო არც ერთი, ღატაკი რომ გამდიდრდება, ასე იცის. ის დაბები გამდიდრებული ღატაკების დაბებია. ცუდი ხალხია ნამეტანი, თვარა, მიგდე ყური და აგერ ნახავ, რაც გამოვიდა ბუდარებიდან და მათი ძროხიდან. შენს მტერს!

დააბეს თავისი კუდმოკვნეტილი ძროხა ცოლ-ქმარმა ჩიქვანის სასახლისხელა ბოსელში, დაუწყეს წველა და რა მოხდა, თუ იცი? რა მოხდა და, იმ დაბაში ისეთი მეწველი ძროხა არ გამოდგა მეორე. არ ჯეროდა არავის, ჩვენს ძროხებზე მეტს და უკეთესს ეს კუდწაკვნეტილი თხა როგორ მოიწველისო, მაგრამ კაი მამაძაღლი დედაკაცი ყოფილა ბუდარიხაც; იშოვნა სადღაც შუშის ჭურჭელი, შეიტანდა ბოსელში ცარიელს, გამოიტანდა იქიდან სავსეს, ჩამოატარებდა თავისი ქოხისკენ საქვეყნოდ, იცოდა, ფანჯრებიდან ცალი თვალით რომ უჭვრიტინებდნენ გულგახეთქილი მეზრბლები და ისე გამოივლიდა, ვითომ ქილა რძე კი არა, დადიანების მემკვიდრე მოყავდა საძიძოდ. გადარია ეშმაკმა დედაკაცმა მთელი დაბა.

გავიდა კიდევ პატარა ხანი. დაიწყო გაშრობა ბუდარების ძროხამ. გაშრა ერთ კვირაში. იყო მშრალად თვე, თუ ნაკლები, და გაიპარა ერთ დღეს ნახირიდან. ბუდარების ძროხა გაიპარაო, გაიგო დაბამ და უარესად გადაირია დიდიან-პატარიანად ყველა: სულ ერთი თვე ცოდნია ამ თხას გაშრობა, მეტი არა, და ახლა უკვე ხბოც ეყოლება მოგებული სადმე, მყუდრო ადგილასო. იცის ზოგმა საქონელმა ხბოს მოსაგებად გაპარვა. დაძებნეს ერთხელ თავისი ძროხა ცოლ-ქმარმა – ვერ იპოვნეს. მე და დათაც წავედით საძებნელად, მოვიარეთ ყველა ხევი და კუნჭული – სად არის ძროხა! შეღამებული იყო უკვე, დაბაში ვბრუნდებოდით და ამასობაში შემოგვესმა დედაკაცის მოთქმა. ავედით იმ ზარის და ტირილის ხმაზე. რას ვხედავთ: გდია ბუდარების ძროხა ყელგამოჭრილი, უწევს გვერდით მარგილით თავგაჩეჩქვილი რუხი ბოჩოლა. ბუდარიხას გაუწეწია თმა, დგას მუხლებზე და ტირის, შულაიას ქალების კაი დატირება რომ გაგიგონია, იმაზე უკეთესაღ. შვიდი-რვა კაცი დგას გარშემო, ისინი, ბუდარების ძროხის მოკლე კუდი რომ უხაროდათ. დაუკრეფიათ გულ-ხელი და ისეთი სახეები აქვთ, ვითომ ამსიმძიმე სადარდებელი არც მათ და არც მათ მამა-პაპას არ შეხვედრია არასდროს...

– შეხედე ამ მამაძაღლებს რა საქმე უქნიათ, თიყვა, ძმაო! – გადმომჩურჩულა დათამ. – ამ ცოდვის ჩამდენი ამათშია რომელიღაცა, მომკალი თუ გინდა.

გაჯავრებული იყო დათა უზომოდ, ლოყები უცახცახებდა სულ. წამოავლო მოულოდნელად ხელი მარგილს, დაერია იმ დადარდიანებულ ხალხს და ვინ საით გაიქცა, ვერც ერთს ვერ შევასწარი თვალი. გაშველება რომ ვიფიქრე, მარგილი უკვე გადაგდებული ქონდა დათას, ისე უცბად მოხდა ყველაფერი.

ათისთავმა ბარაკაევკაში კაცი აფრინა. ამოვიდა მეორე დღეს ულვაშებგაბზეკილი ბოქაული, სკირდა ქონდა იმ ბოქაულს გვარი. ნახა ის საცოდაობა, მიიკითხ-მოიკითხა ხალხში, როგორ იყო ამბავიო. ჩუმად უჩივლეს ნაცემებმა დათას, მაგრამ იძუნწეს, ფული ვერ გაიმეტეს ბოქაულისთვის მისაცემად. ხუთი მანეთი მივართვი სკირდას. მაამბობინა, მარგილის ტრიალი როგორც მოხდა. მოკვდა სიცილით, – კაი უქნია, ცოტა მოგხვედრიათო, გამოუცხადა ხალხს, გამოთვრა არაყით და წავიდა, საიდანაც იყო მოსული, იქით. დამრჩნენ ხლისტები ნაცემიც და ხახამშრალებიც. ხლისტებიო, რომ ვამბობ, ასე ეძახიან მათ, სარწმუნოება აქვთ ასეთი და იმიტომ დაარქვეს ასე. იმას მერე ვიტყვი, რანაირიც იყო მათი სარწმუნოება. გავიდა სამი დღე, ნაცემი ხლისტები რაღაც მალულად და ჩუმ-ჩუმად დაიარებიან სამუშაოდ. შევნიშნე, გაცეცხლებით, მაგარი გაცეცხლებული იყო დათა იმ მარგილს რომ ატრიალებდა, მაგრამ მაინცდამაინც გამეტებით არ დაურტყამს არავისთვის, იქ ვიყავი და ვხედავდი ყველაფერს.

გამინაპირა ერთმა, დამიწყო გამოკითხვა, შენი ამხანაგი რას ფიქრობს და რა გუნებაზე არისო. მივხვდი მაშინვე: რომ დააბეზღეს ბოქაულთან დათა, ამის შინებიათ, დაგვხოცავს სათითაოდო. დათა რას ფიქრობდა და, ნანობდა, რატომ გავლახე ის კაცები, დამნაშავე ეგებ მათში არც იყო ვინმეო, მაგრამ ასე ხომ არ ვეტყოდი ხლისტებს. ჯერჯერობით გზად ნუ შეეფეთებით, მოერიდეთ, რამე საშინელება არ დაგმართოთ-მეთქი. აბა რა ვქნათ, როდემდის ვიმალოთ, იქნება არც გვიპირებს რამეს, მაგრამ ესეც ხომ უნდა ვიცოდეთო. ხვალ მოდი, გაგიგებ ყველაფერს-მეთქი. მოვიდა მეორე დღეს, – გვიშველე რამე, ღმერთი გადაგიხდის მაგიერსო. ღმერთი არ ვიცი მე, ხუთი მანეთი შემიგროვეთ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. წავიდა, უთხრა სხვებს ეს ამბავი. კითხეს თავის ქრისტეს... იმ

ხლისტებს საკუთარი ქრისტე ყავდათ იქ, ცოცხალი ქრისტე, მათსავით კასრის ფიცრის მუშა იყო ისიც. მიეცით ეგ ხუთი მანეთი და დააშოშმინეთო, ქრისტემ. მომიტანეს და მომცეს. ჩავიდე ჯიბეში, დავიბრუნე ბოქაულისთვის მიცემული ფული და დავრთე ნება – თამამად იარეთ სამუშაოზე, მე ვარ პასუხისმგებელი-მეთქი.

ბუდარები თავის ზარალს გლოვობდნენ. იგლოვებდნენ, აბა რა, მაგრამ აქეთ დათას კრიჭა რომ ვერ გაუხსნა ვერაფერმა, ის თქვი შენ. ასეთი მოწყენა და ჯავრი თუ შეეძლო, არ ვიცოდი მანამდე. იყო ასე დარდიანი და მოღუშული.

ერთ დღეს უცებ გამხიარულდა დათა. გამეხარდა, გუნება რომ დაუბრუნდა, მაგრამ ისიც მითხრა გულმა, რაღაც საკვირველს რომ აპირებდა. ვკითხე. არაფერი არ უთქვამს შაბათამდე. შაბათს საქვეყნოდ თქვა, – ბუდარებს ფული ვასესხე, ბარაკაევკაში ერთად მივდივართ, ძროხები და ცხენი უნდა ვიყიდოთო.

– რატომ შვრები მაგას-მეთქი, – ვკითხე.

– შემიძლია და მიტომ, რატომ არ უნდა ვშვრებოდე, ნეტავი! – მითხრა დათამ.

გადავიქნიე თავი და გავჩუმდი.

ღამიანად წავიდნენ ერთად სამივენი. საღამოს დაბრუნდნენ. ორი ძროხა ამოიყვანეს თან, თავისი ბოჩოლებით, და კაი მშვენიერი ცხენი. დათას არ შეცდებოდა ამორჩევა. კაცი არ გამოჩენილა სალაყბოზე მათ შესახვედრად. შინიდან ცხვირი არ გამოუყვია არავის, ფარდების იქით იყვნენ ჩასაფრებული და იქიდან უჭვრიტინებდნენ ამბავს.

იქირავეს ბუდარებმა მუშები, ამოძირკვეს საკარტოფილედ და საყანედ კაი ძალი მიწა. იყიდეს სათესლე, მოხნეს და დაფარცხეს. დაამთავრეს ქოხი, იყიდეს საჭირო ნივთები, ღორები და ფრინველებიც გაიჩინეს.

ვეღარ მომითმინა გულმა ვკითხე ერთ დღეს დათას: – რამდენი მიეცი ბუდარებს, ასე რომ აივსნენ და აშენდნენ-მეთქი.

შემომხედა დათამ, მიყურა პატარა ხანს, ისევ მიუშვა ფიცარზე ნაჯახი და მერე მითხრა:

– შენ რა გაგიფუჭდა, თიყვა, ისინი თუ აივსნენ და აშენდნენ?

– რა უნდა გამიფუჭდეს, მაგრამ შენ რომ გაგიჭირდეს, თუ გგონია, ბუდარები და მისთანები გადაგყვებიან ზედ?!

– მე არ გამიჭირდება ისე, მაგენის დახმარება რომ დამჭირდეს, – მომიბრუნდა დათა. – ქონებას გაიჩენენ, შეძლებული კაცისთვის სიკეთე ადვილი საქნელია. სხვა შეხვდებათ ვინმე გაჭირვებული და როგორც მე დავეხმარე მაგათ, ისე დაეხმარებიან მაგენიც იმ გაჭირვებულს. ჩემი გასაჭირი თუ დადგა, მეფისნაცვლის ნათლული რომ ვიყო, ის ვერ მიშველის.

– დავინახავთ მაგასაც! – გავიცინე მე. – ყველას დასანახად და შესაშურებლად რომ გამოქონდა ბოსლიდან მონაწველი რძით სავსე ჭურჭელი, იმაში შევატყვე, რაც ხალხია მაგენი... აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია. რამდენი მიეცი მაინც?

– სამასი მანეთი. თვითონ მივეცი. ვასესხე. ვაჩუქებდი, მაგრამ ქონება შენით ნაშოვნი უნდა. ნაჩუქარი უყუათოა, არ გაგიჩერდება კაცს.

გაზაფხულდა და წამოვედი აქეთ. მოვუარე ყანას და საქონელს. დავბრუნდი ისევ დაბაში, სამუშაოდ. ძალიან ცუდ გუნებაზე დამხვდა დათა და ვერც ვათქმევინე ვერაფერი, რა აწუხებდა.

დადგა შემოდგომა, აიღო დაბის ხალხმა მოსავალი. ბუდარამ და ბუდარიხამ ქვეყნის პური და კარტოფილი დააბინავეს, ქვეყნის ერბო და ყველი შეინახეს, ათფუთიანი ტახი დაკლეს. დათას ვალიც გაისტუმრეს, მაგრამ ის თავაზიანი, ზრდილობიანი და კეთილი ბუდარები სადღა იყვნენ, თავიდან რომ იყვნენ ისეთი! ბუდარა-ბრუციანმა თვალში უკეთესად გამოიხედა. ბუდარიხამ ტყეში მუშაობას თავი დაანება, შინ დაჯდა, საქსოვი და სხვა ხელსაქმე დაიჭირა ხელში, – ოჯახს მოვლა უნდაო. ბუდარამ, ღმერთმა იცის საიდან, ერთი კოჭლი მოიყვანა მუშად. იმ კოჭლს ჭკუაც კაი გვარიანად აკლდა, იღრიჭებოდა სულ და თავისთვის ბურტყუნებდა რაღაცას. ამუშავებდნენ გათენებიდან დაღამებამდე, აბაზს აძლევდნენ დღეში, წელი მოწყვეტაზე ქონდა, საცოდავს. არა, ზედმეტი არ იყო ის კოჭლი, სოფელს ერთი სულელი ჭირდება უეჭველად, მაგრამ იმდენ შრომაში აბაზი უღმერთობა იყო და ცოდვა. უთხრა დათამ ბუდარას ეს. ბუდარამ, – სულელს მეტი არ ჭირდებაო.

ტყიდან რომ ბრუნდებოდა ბუდარა, ის ღირდა ნახვად: მოდის დიდბატონივით წინ თვითონ, მოდევს უკან სევა-სულელი ძუნძულ-ძუნძულით და მოაქვს ბუდარას მთელი ხელსაწყო თან - ცულები, რანდები, კომბალი, ხერხი, სოლები და ურიები, გადასდის ხვითქი. ხელსაწყოს ტყეში ვტოვებდით ყველა. შევინახავდით სადმე, წვიმას რომ

არ გაეფუჭებინა, ისე. კაცს არ ახსოვს, ხელი ეხლოს ვინმეს. მომპარავენო, ოთხ-ხუთ ვერსს ატარებინებდა იქით-აქეთ, აკლდა ვითომ უამისოდ ჯაფა და ჭაპანწყვეტა სევას!

ადრეც მქონდა შემჩნეული, მაგრამ, არ დავფიცავ, მეჩვენება-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის: ბუდარიხა დათაზე თვალებს რომ აცეცებდა, იმაზე ვამბობ და მოგახსენებ. ახლა, რომ მოძღა და მოსუქდა, შეტევაზე გადმოვიდა, პირდაპირ. არ აქცევდა დათა ყურადღებას და ამაზე მთლად გადაირია ქალი, აღარ იცოდა, რა ექნა, დაურეცხავი არ დაუტოვებია ჭინჭი და დაულაგებელი კუნჭული. ისე, კი იყო ვალდებული, ერეცხა და ეკერებინა ჩვენთვის, ჩვენით აშენდნენ და აივსნენ, მაგრამ ეს ფაციფუცი იმის რომ არ იყო და სხვა რაღაც უნდოდა ბუდარიხას, ეტყობოდა ყველაფერში. არ მომწონდა ჯერ მისი საქციელი. მერე ვიფიქრე, დათას რა დაუშავდება ამით, რას წააგებს-მეთქი. ხლისტები ისე იყვნენ ერთმანეთში, ვითომ ყველა ცოლ-ქმარი ყოფილიყო. მათი სარწმუნოებით, სხვა ხლისტის ცოლთან წოლა ცოდვა კი არა, მტრედების ღუღუნად ითვლებოდა. ამის შემყურე ბუდარიხა გადაირეოდა, აბა რა იქნებოდა! ვუთხარი დათას, ქალებზე ნაკლებობაა მაინც, ხლისტები მართლმორწმუნეებთან საქმეს არ იჭერენ, ხომ ნახე ეს, და ბუდარიხას ნამდვილად არა უშავს, ნუ გააწვალე მაგ ქალი, აუსრულე გულის ნადები რა გიჭირს-მეთქი! არ მიიკარა დათამ ბუდარიხა. მე ეს საქმე ვიკისრო, ისე გამოვა, თითქოს იმისთვის დავეხმარე მაგენს, რომ მერე საწადელი ამესრულებინაო. იტრიალა ბუდარიხამ ერთხანს

კიდევ, გადაუწყდა იმედი და აღარ დაადგა ჩვენსას ფეხი. მოგვიწია ისევ ღელეზე ჩვენი საცვალის ჭყლეტამ და საცოდაობამ.

სანამდე არაფერი ებადათ ბუდარებს, პირიდან ლუკმას იცლიდნენ და სხვას უყოფდნენ. გამდიდრდნენ – ბუდარა წეკოს არ მოაწევინებდა არავის და ბუდარიხა კვერცხს – ბარაკაევკაში რომ ღირდა ათი ერთი შაური – ტყეში ორ შაურნაკლებ საკუთარ დედას არ მიცემდა. ჩემთვის და დათასთვის ხომ გაწყვიტეს ყველაფერი: რამე რომ დაგვჭირვებოდა და გვეთხოვა, არ მოგვცემდნენ – ენანებოდათ, და არც მოგვყიდდნენ – დათას ფულით იყვნენ აშენებული და ერთ ჩარექა რძეში ფულის გამორთმევა რცხვენოდათ. უარს გვეუბნებოდნენ, არ გვაქვსო!

ბუდარიხამ არყის ქვაბი გაიჩინა. ხდიდა არაყს და ყიდდა. სევა-სულელს ტყიდან შეშის ზიდვით ზურგი ქონდა გადატყავებული, მაგრამ მათი არაყი უფულოდ გემოთი არ გაუსინჯავს. მაგიერში, ბუდარიხა ბრაგას რომ დააყენებდა და გადაწურავდა, ბაზალუყი მთლად სევასი იყო. ჭამდა, საცოდავი, ბაზალუყს, დადიოდა გამოლენჩებული და მუცელი წყალმანკიანივით ქონდა გაბერილი.

მიუხოხდნენ ხლისტები ბუდარებს, დაუწყეს ქადაგება – ჩვენი სარწმუნოება მიიღეთო. ბუდარიხა დაიყოლიეს მალე, – დალევა არ შეიძლება არყის, თვარა, ისე ხადე და ყიდე, რამდენიც გენებოსო. გახლისტდა და კურო არ მოკლებია მას მერე, მაგრამ ბუდარამ არ ქნა არაფრის დიდებით. მართალია, ცოლი გაუხლისტდა და ბუდარამ, როგორც მართლმადიდებელმა, მის ლოგინში წოლის უფლება დაკარგა და არც უნდოდა, მაინცდამაინც, ეს საქმე, მაგრამ თვითონაც რომ მიეღო მათი სარწმუნოება, თამბაქოს წევას და არყის სმას უნდა ჩამოშორებოდა და ამას ვერ შეელია. რა იცოდა, უბედურმა, რა დღე მოელოდა, თვარა მოკლავდა ცოლს და არ შეუშვებდა იმ სარწმუნოებაში ცოცხალი თავით.

რა მოელოდა და, აიშვა თავი ბუდარიხამ. მოიარა ყველა ხლისტის ლოგინი, რამდენიც იყო დაბაში. უფლება ხომ ქონდა, მაგრამ არც არავისი პატივისცემა არ დაიკლო – მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. იქით ხლისტები სკდებოდნენ გულზე, ბუდარას რომ ვერაფერი დააკლეს და რომ ვერ გადაიბირეს, მტრად გადაეკიდნენ, მოსაკლავად არ დაინდობდნენ, მაგრამ იცოდნენ, ჩვენი ნაამაგარი რომ იყო ბუდარა, დათასი ეშინოდათ ნამეტანი და ვერ უბედავდნენ ვერაფერს. ცემდა ბუდარა ბუდარიხას ყოველდღე, სხვა კაცებთან ნუ მიდიხარო. არ იშლიდა ბუდარიხა, ასეთი სარწმუნოება მაქვს, ეს საქმე რომ არ გავწიო, საიქიოს წარვწყმდებიო. ქალს საბაბი მიეცი და დააოკებ მერე?!

უყურა დათამ ამ ბინძურ ამბავს, უყურა და მეუბნება ერთ დღეს:

– თიყვა, ძმაო, ადლობელი ვარ შენი, რომ მიმიღე და შემიკედლე. გადაგიხდი პატივისცემას, თუ მაცალა ღმერთმა, მაგრამ ვეღარ გავჩერდები აქ, არ შემიძლია ამ ხალხის ყურება, ცოდვას დავიდებ ნამდვილად – ღვთის შვილებია მაინც. მოვიცდი პატარას კიდევ, სანამდე ამხანაგს იპოვნიდე ან მუშას გაიჩენდე, და წავალ მერე.

ვარწმუნე, დარჩი, რა გესაქმება ამ ხალხის-მეთქი, მაგრამ არ მოიშალა და ახლა ვფიქრობ, არ ვიყავი მართალი, დარჩენას რომ ველაპარაკებოდი: დათა თუთაშხია ისეთი კაცი იყო, უმსგავსობას ვერ მოითმენდა, ჩაერეოდა უსათუოდ და იმ გაფუჭებული ხალხის ცხოვრებაში ჩარევა საქმეს შორს წაიყვანდა ძალიან.

შეღამებული იყო, ერთხელ, ძილს ვაპირებდით. ატყდა დაბაში ყვირილი და დავიდარაბა. გადავიხედე ფანჯარაში, მისდგომოდა ბუდარა ხალიუტკინის ქოხს კეტით ხელში, უბაგუნებდა კარებს და უყვიროდა თავის ბუდარიხას, გამოეთრიე მანდედანო! არ გამოვიდა ბუდარიხა. ხლისტები კარში გამოფენილიყვნენ დიდიან-პატარიანად, სეირს უყურებდნენ. იცოცხლე, მათ ხელები ექავებოდათ და ფეხი ეწეოდათ ბუდარას საცემრად, მაგრამ ცალი თვალი აქეთ ეჭირათ, ჩვენკენ, და სკდებოდნენ ჯავრით. შეამტვრია კარი ბუდარამ, შევარდა ქოხში. ხალიუტკინი თავპირისმტვრევით გამოვარდა იქიდან, იყვირა, მიშველეთო! ცემა ბუდარამ ჯერ, როგორც მოეხასიათა, თავის ცოლს, და უთხრა მერე, – შინ წამოდი ახლავეო. არ ქნა ბუდარიხამ, – სანამ ღვთის ნებას არ ავასრულებ, არ წამოვალო. მაშინ კეტი დასცხო ბუდარამ. ცემს ბუდარა, იკლაკნება ხვლიკივით ბუდარიხა და არ მიდის შინ. გარეთ ერთი ჩოჩქოლი და გაქცევა-გამოქცევაა. რომ დაიღალა ბუდარა ცოლის ცემით, კიდევ უთხრა, – არც ახლა წამოხვალო? სულ არ წამოვალ, აღარ მინდა შენი ცოლობა, ხალიუტკინთან ვრჩებიო. დაუდასტურა გარედან ხალიუტკინმა: იყავი მანდ, არ წაყვე, ეგ უღმერთო და ჭირიანი რაში გჭირდებაო. გაშრა ბუდარა, იფიქრა, ტკბილი სიტყვით ვეტყვი, ეგება დამიჯეროს და წამომყვესო. იქამდე მივიდა საქმე, თვალცრემლიანმა დაუწყო ხვეწნა, მაგრამ ბუდარიხა თავისაზე დადგა, არ ქნა არასგზით. რომ აღარ გაჭრა აღარაფერმა, უთხრა ბუდარამ, წავალ, მოვიყვან დათას და რაღაცას არ წამოხვალ, იმასაც დავინახავო და შენ რაღაცას შეიკედლებ და არ გამოუშვებ, – ხალიუტკინს გამოსძახა შიგნიდან, – იმასაც დავინახავო!

დაადო თავი ბუდარამ და წამოვიდა ჩვენი ბინისკენ, ნელი ნაბიჯით მოდიოდა, ფიქრობდა, ეგება დამიძახოს ბუდარიხამ, დათას ნუ მოიყვან, მოვდივარო. არა კაცმა არ დაუძახა! დაბა მთლად კარში იყო გამოფენილი. ხლისტები მოგროვილიყვნენ ერთად და ქონდათ დიდი ჩურჩული და შეთქმულება! ვიფიქრე ეცემიან ახლავე ბუდარას, გაპტყვნიან, გამოშიგნავენ და ნასუქი დედალივით კურტუმის ქონს ამოუბრუნებენ-მეთქი, მაგრამ ხელი არ უხლია არავის: ჩვენს ბინაში ჭრაქი ბჟუტავდა, ხედავდნენ, ორივე რომ ღია ფანჯარაში ვიყურებოდით, და ვერ გაბედეს ვერაფერი.

შემოვიდა ბუდარა ჩვენსას. სველ კატას გავდა, საცოდავი. გრძნობდა, ალბათ, რომ არ მოესვლებოდა, ჩაქინდრა თავი და გაჩერდა შუა ოთახში.

მოიჩოჩეს ხლისტებმა ჩვენი ფანჯრისკენ. ზოგიერთმა ისე ახლოს მობედა, რომ ლაპარაკსაც გაიგონებდა პირწმინდად. მიჩუმდა ყველაფერი. ბინაში შემოპარული, სადღაც კუნჭულში მიმალული ჭრიჭინას ხმა ისმოდა მხოლოდ.

– მიშველე რამე დათა! დამჩაგრეს ხლისტებმა, ცოლი შემიცდინეს... დავალებული ვარ შენგან, ვერ დაგიფასე პატივისცემა... უთხარი, წამოვიდეს შინ. შენს მეტს არავის დაუჯერებს! – წაილუღლუღა ბუდარამ, როგორც იქნა, და გაჩუმდა ისევ.

გარედან ხლისტების აჩურჩულება მოისმა და მიწყდა ისიც.

იდგა დათა თუთაშხია გაჩუმებული, მიწაში იყურებოდა.

– წადი, – ვუთხარი მე, – ცოდვაა ეს მამაძაღლი. ეგებ დაგიჯეროს იმ დედაკაცმა, მართლა.

– რას არის, რომ ლაპარაკობ თიყვა! – გამიწყრა დათა. – კახპა დედაკაცების საქმეში ჩარევა რა ვაჟკაცის საქმეა?! მე კარგი მინდოდა ამათთვის და წახდნენ, პირიქით. შევცდი ერთხელ და რომ შევცდე კიდევ არ ივარგებს!

კახპა დედაკაცების საქმეში არ ჩავერევიო! ფოთში კახპას რომ აწყენინეს მეზღვაურებმა და გამოესარჩლა, – ვინ იყო, აბა. დათას ნეკი მოაკვნიტეს მაშინ, სანახევროდ.

ისევ ჩურჩული მოისმა გარედან, უფრო ხმამაღალი და უფრო გაბედული. ბუდარაც მიხვდა დათას ნათქვამს, დაჯდა იატაკზე და შესტირა დათას, – არ წავალ, სანამ ცოლს სახლში არ მიმიგვრიო.

მივიდა დათა, ააყენა ზეზე, – მამაკაცი ხარ, მაგას რას კადრულობო.

ეხვეწა ბუდარა. ლამის მუხლები დაუკოცნა, მაგრამ არ ქნა დათამ არასგზით. ფანჯარაში რომ გავიხედე, ხლისტები ზედ იყვნენ მომდგარი და ძალიან უხაროდათ, დათა რომ უარს ეუბნებოდა ბუდარას.

– წადი ახლა და მოუარე შენს საქმეს. არ წამოვალ მე! – წყალი გადაუწურა დათამ.

ხლისტებმა შვებით ამოისუნთქეს, მოცილდნენ ფანჯარას, შორიახლოს მოიყარეს თავი, აჩურჩულდნენ და ახითხითდნენ. ხელი რომ აიღო დათამ ბუდარების მოსარჩლეობაზე, ის უხაროდათ.

– რახან არ გინდა, მიშველო მე თვითონ წავალ! – დაიძახა უცებ ბუდარამ და გასწია ხალიუტკინის ქოხისკენ სალდათური ნაბიჯით.

რომ გაუსწორდა ბუდარა ხლისტების ბრბოს – მოხვდა ზურგში. მოხვედრა იყო და, მიესიენ ხლისტები ტურებივით, დაუშინეს ბუდარას კეტები, წიხლი თუ მუშტი, დააწყებინეს კივილი დასაკლავი ღორივით.

გავვარდი ბინიდან, მივირბინე, დავიწყე გაშველება. იმ სისხლმოწყურებულ ცხოველებს რას დავაოკებდი მარტოკაცი! სიმართლეს ვიტყვი, ჩემთვის ხელი არ დაუკარებია არავის, მაგრამ სიბნელეში, – ვისი იყო, ახლაც არ ვიცი, – კეტი მეტაკა თვალში, წამომიგდო კაკალი.

ვიყვირე მე უბედურმა, აბა, რას ვიზამდი!

ჩემი ყვირილი იყო და, გამოიჭრა დათა ლომივით, – ნუ გეშინია, თიყვა, აგერ ვარო! გაიგონეს ხლისტებმა დათას ღრიალი და გაიფანტა ყველა. დათამ რომ მოირბინა, ფერდებდაბეგვილი ბუდარა იკლაკნებოდა მიწაზე და მე ვიძახდი ვაის. მეტი აღარავინ იყო იქ.

დაინახა დათამ, რაც დამმართეს იმ უღმერთოებმა, გადაირია მთლად, მაგრამ რა შეეძლო ნუგეშის მეტი.

აღარ შეიძლებოდა მოცდა, შეკაზმა დათამ ცხენები. წავიყოლეთ თან ცხენების უკან მომყვანი კაცი, გავუდექით გზას ლაზარეთისკენ. მეორე დღის საღამო იყო, ლაზარეთს რომ მივაწიეთ. დიდი ტკივილი და ტანჯვა გადავიტანე მაშინ.

მომიარა დათამ, არ მომშორებია გვერდიდან, გამომაცილა შინისკენ. გათავდა ჩვენი კასრის ფიცრის ოსტატობა.

– არ გამოვიდა სიკეთე ბუდარების ხელიდან! – ისე გულდაწყვეტით მითხრა დათამ გამომშვიდობებისას, კაცს ეგონებოდა, ჩემი თვალის დაკარგვაზე უფრო ბუდარების უხეირობა წყინდა.

ასე დასრულდა ის ამბავი.

მას მერეც ბევრჯერ მინახავს დათა თუთაშხია. ცუდ საქმეებს ლაპარაკობდნენ დათასას, მაგრამ არ მჯერა მე ისინი არც ერთი, არ იყო დათა გლახა საქმის მქნელი კაცი.

**გრაფი სეგედი**

... მარტოხელა კაცს, რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა მისი მოსვლა. მცირედი საუბრის შემდეგ საკმაოდ ვრცელი წერილი გადმომცა, – წაიკითხეო. ეპისტოლე მისთვის მის ნათლულს, ვინმე მუშნი ზარანდიას გამოეგზავნა, სამეგრელოში აქციზის ჩინოვნიკად ყოფილიყო. წერილი მთავრდებოდა ავტორის აღიარებით, რომ მის შეთხზვას სრული წელიწადი მოანდომა. იქ მოყვანილი მსჯელობა, მართლაც, დახვეწილად და დამაჯერებლად გამოიყურებოდა. აქციზის ჩინოვნიკი თავის ნათლიას დაახლოებით შემდეგს უმტკიცებდა:

კაცობრიობის ისტორია შედგება იმისგან, რომ კონკრეტული პიროვნებები თუ ადამიანთა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფები უმტკიცებდნენ დანარჩენ კაცობრიობას, – ჩვენს მიერ მოთავაზებული ცხოვრებისა და რწმენის სახე ემჯობინება იმ ცხოვრებასა და რწმენას, რომელიც თქვენ ამჟამად გაგაჩნიათო.

ერთი მხრივ, მატერიალური პროგრესის მარადისი წყურვილის, მეორე მხრივ, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობის და ახლის ძიების ციებ-ცხელების და კიდევ მრავალი ფაქტორის არსებობის გამო ადამიანთა მასები ახალ პრინციპებს ეზიარებოდნენ და იწყებდნენ ახალ ცხოვრებას ახალი რწმენით.

ასეთი გარდატეხების შედეგად ადამიანები, ვთქვათ, კავით აღარ იჩიჩქნებოდნენ მიწაში და რკინის გუთნით ხვნას იწყებდნენ, ტყავებით აღარ იფარავდნენ სარცხვინელს და სელის თუ მაუდის სამოსლის ხმარებაზე გადადიოდნენ, კერპებს აღარ ეთაყვანებოდნენ და ლამაზად დახატულ ხატებზე ლოცულობდნენ, მაგრამ მსოფლიო, საკაცობრიო სევდასა და უბედურებას, განსაცდელსა და ვარამს დაუკმაყოფილებლობისა და გაუმაძღრობის იგივე ნიშანი ახლდა, როგორიც კავის, ბარის, ქვის იარაღისა თუ კბილ-ბრჭყალის ხანაში. იცვლებოდა ყველაფერი, გარდა სულიერი წყურვილისა, ანუ თვითონ ადამიანისა.

გამოდის, რომ ერთი სოციალური სისტემის მეორით შეცვლა, თავისთავად, რაიმე გამართლებას მოკლვბულია. ეს, რა თქმა უნდა, საუცხოოდ იციან იმ კონკრეტულმა პიროვნებებმა, თუ ადამიანთა ჯგუფებმა, რომელნიც ახლის მომთავაზებელთა და მქადაგებელთა ფუნქციას კისრულობენ. მათი რწმენა, – არც მეტი, არც ნაკლები, –

ანგარებით არის გაპირობებული, თუმცა ყოველ მოძრაობას ფანატიკოსთა საკუთარი არმიებიც ჰყავს.

ჩვენს ერაში ძველს, როგორი მომპალ-მოფამფალებულიც უნდა იყოს იგი, მტრის, ანუ ახლის მოგერიების სავსებით სრულყოფილი საშუალებები გააჩნია. ამიტომ ძველის დამხობა მხოლოდ ძალმომრეობით, სისხლის ღვრით თუ შეიძლება. უნდა გაუბედურდნენ მილიონები, დატრიალდეს კვლა, ბოროტება და ყოველივე ეს იმისთვის, რომ ადამიანი თავისმა ვარამმა, დაუკმაყოფილებლობამ და გაუმაძღრობამ უწინდებურად, და იქნებ უფრო მეტადაც, ტანჯოს, რაც არამცთუ საღ გონებასა და აზრს არის მოკლებული, არამედ სიკეთისა და სათნოების პრინციპებსაც ეწინააღმდეგება. ყველა წესიერი კაცი მოვალეა, ებრძოლოს ამას, რადგან ასვთი ბრძოლა ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლაა.

ამის შემდეგ თავად გრიგოლ ფაღავას ნათლული მსჯელობდა ახლისა და ძველის შეტაკების პროცესში გონიერი და სათნო ადამიანის დანიშნულებასა და ადგილზე. მსჯელობა ასეთი დასკვნით გვირგვინდებოდა: როდესაც ახალი ძალმომრეობა ძველი ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვის, წესიერი კაცი ძველ ძალმომრეობას უნდა მიემხროს, რადგან არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, მიემხრო იმას, რაც არსებითად ვერ გააუკეთესებს ადამიანს, მაგრამ მოიტანს ახალ უბედურებებს, კვლას და ათასგვარ ბოროტებას მაშინ, როდესაც ძველიც თავსაყრელიაო.

მსჯელობის დასასრულს ნათლული ნათლიას არწმუნებდა, რომ აქციზში სამსახურის ხუთი წლის მანძილზე არაფრით არ მიუყენებია ჩრდილი თავისი კარიერისთვის, რომ ეს გარემოება სამსახურებრივ მოვალეობათა მიმართ ასკეტური დამოკიდებულებით კი არ აიხსნებოდა, არამედ მისი სულიერი ღირსებების პროდუქტი იყო და რომ მისი ნიჭი, ზნეობა და შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვან სამსახურს მოითხოვდნენ. მუშნი ზარანდიას საიდანღაც გაეგო, მე და მისი ნათლია რომ მეგობრები ვიყავით, უმორჩილესად სთხოვდა მისთვის ჟანდარმერიის უმდაბლესი ჩინის გამოხერხებას და პირობას აძლევდა, რომ თავისი მუყაითობითა და ტახტისადმი ერთგულებით ხელმძღვანელობის მადლობას დაიმსახურებდა.

თვით მე სამი ათეული წლის მანძილზე ვემსახურე რომანოვთა დინასტიას. არსებულ ხელისუფლებათა წმიდათაწმიდა საფუძვლების დაცვის მრავალგვარი მაგალითი და სხვადასხვანაირი პრინციპი იყო ჩემთვის ცნობილი როგორც ნანახიდან, ისე წაკითხულიდან, მაგრამ მუშნი ზარანდიას ფილოსოფიამ სხვა, ახალი ტიპის ერთგულქვეშევრდომი დამანახვა და თავად გიორგი ფაღავას თხოვნა ერთგვარი ცნობისმოყვარეობითა და ინტერესითაც კი დავაკმაყოფილე.

ამგვარად, მუშნი ზარანდიამ, დიაკვნის შვილმა, ათას რვაას ოთხმოცდაათ წელს თავისი ძირითადი კარიერა ჟანდარმერიის უმცროსი ჩინიდან დაიწყო. ამ დროისათვის დათა თუთაშხია ხუთი წლის გააბრაგებული იყო.

მუშნი ზარანდიამ ჟანდარმერიაში ოცდასამი წელი იმსახურა და ამ ხნის განმავლობაში: არც ერთი ფიასკო, ხუთი ორდენი, სამი რიგს გარეშე ჩინი, პეტერბურგში სამსახურის პერიოდში მისი უდიდებულესობის აუდიენცია პირადი საჩუქრით და ჟანდარმერიის პოლკოვნიკის წოდება. თუნდ რიგიანად განათლებული, მაგრამ მდაბიო წარმოშობის კაცისთვის ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო. ცხადია, იღბლის ელემენტი ვერც ერთი

საქმიდან ვერ გამოირიცხება, მაგრამ მუშნი ზარანდია, ჩემი აზრით, უმთავრესად, საკუთარი ტალანტის წყალობით დაწინაურდა. ამ ძალზე სხარტი გონების კაცს მოქნილ, ხალისიან ხასიათთან ერთად, საოცარი სიფრთხილე და გამჭრიახობა ახასიათებდა. თუ არ ვცდები, პოლკოვნიკ ზარანდიას მეტი სამსახურში წარმატებული კაცი არ შემხვედრია, მოშურნეები რომ არ ჰყოლოდა. მისმა უდიდებულესობამ, მუშნი ზარანდიას ერთი დიდი სამსახურებრივი გამარჯვების გამო ინება, ეთქვა, ჟანდარმერიის მაკედონელიაო. ეს მეტსახელი დაუმკვიდრდა კიდეც. ბოლო ექვსი წელი ზარანდია იმპერიის ჟანდარმთა შეფის საიდუმლო მოადგილედ იყო. ამ ფრიად მოკლე ხანში იგი ერთ ისეთ კაცად იქცა, რომელთაც პეტერბურგში თითქმის არავინ იცნობდა და სახელმწიფო კი, სახელდობრ, მათ შრომასა და ნიჭს ემყარებოდა...

**ალექსი სნეგირი**

– ფესვით ყუბანის დიდი სტანიციდან ვარ. მამაჩვენი ბუნდოვნად მახსოვს, სიმთვრალეში გაციებულიყო, ფილტვების ანთებამ მოკლა. მშობლებს ორნი ვყავდით, ტყუპი ბიჭები. თორმეტ-თორმეტისა ვიყავით, როცა დედა ავად გაგვიხდა. ცოტა მიწა გვქონდა, ერთი ცხენი, ერთი ძროხა, ერთი ღორი და ბატებიც გვყავდა. ჩვენი სტანიცა საბატე ადგილია. ვაძოვებდით, შემოდგომაზე ას, ასორმოცდაათ ფრთას ვყიდდით, ისეთი ოჯახებიც იყო, ხუთასს, ექვსასს ჰყიდდნენ.

დედაჩვენი ლოგინად ჩავარდა და გაგვიჭირდა – ბავშვები ვიყავით, თავი ვერაფერს მოვაბით. მეზობელმა გვირჩია, ერთი ოთახი გააქირავეთო. მდგმური მოვიყვანეთ. ახალგაზრდა კაცი იყო, ოცდახუთ-ოცდაექვი წლისა იქნებოდა. თვეში სამ მანეთად მოვურიგდით. ერთი თვისა დაბინადრებისთანავე გადაგვიხადა. მერე ჩვენს საცოდაობას უყურა და კიდევ ხუთი თვისა წინასწარ მოგვცა, – დედათქვენს უწამლეთო.

ჩვენი მდგმური ლუკას ირქმევდა, მაგრამ ნამდვილად დათა თუთაშხია იყო. ეს კარგა ხნის მერე გავიგე... დიახ, ლუკამ ხუთი თვის ქირა წინასწარ მოგვცა. ორთავე ძმა წავედით, ექიმი მოვიყვანეთ. ექიმმა დედაჩვენი გასინჯა, გვითხრა, – აღარაფერი ეშველებაო, და ფული არ გამოგვართვა. ლუკამ მეორე ექიმი მოგვაყვანინა. ვერც იმ მეორემ უშველა რამე. ვინ რას უშველიდა, ჭლექი სჭირდა, სანთელივით დნებოდა. დედა ჯერ კიდევ ცოცხალი გვყავდა, როცა მარუდა მოვიდა და ფულის დაბრუნება მოგვთხოვა. მარუდა ჩვენებური არ იყო, ზაფხულის პირში ჩამოვიდოდა, როცა ბატებს ჭუკები უკვე გამოჩეკილი ჰყავდათ, მაშინ. ბოგანო ოჯახებს ჩამოივლიდა, დაზრდილილი, დასუქებული ბატების შესყიდვაზე მოურიგდებოდა, ბეს გასცემდა, თამასუქებს ჩამოართმევდა და შემოდგომამდე ბაზარზე ატარებდა დროს. იქაც სარფიან საქმეს ეწეოდა. იმ საქმეს მერე ვიტყვი. შემოდგომაზე ისევ ჩამოივლიდა, ფასის განსხვავებას გადაიხდიდა და ბატებს გაირეკავდა. გვარი მალინოვსკი ჰქონდა. მარუდას იმიტომ ეძახდნენ, რომ ლოხი, დონდროხა კაცი იყო. ქვედა ტუჩი ძირს გადმოვარდნილი ჰქონდა და ერთთავად პირღია დაიარებოდა. ღორივით ვიწრო თვალებით იყურებოდა. ისე იყურებოდა, თითქოს დაბადებიდანვე ვინმეს თავსატეხი ამოცანა დაესვას და იმის ამოხსნაზე ყოფილიყოს გადაგებული. არ ვიცი, დედა გვიკვდებოდა, ეს გაიგო, არ ვიცი – სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ მოვიდა, ბატებზე უარი თქვა და ბეს დაბრუნება მოითხოვა. იმ დღეს ბატების ძოვების ჩემი რიგი იყო, მე ვაძოვებდი, შინ ჩემი ძმა დაუხვდა, მარუდას უთხრა, არაფერი გვაბადია და რა უნდა მოგცეთო. მაშინ ბატები მომეცითო. სტეფანემ – ჩემმა ძმამ – ბატები ჯერ არ დაზრდილანო,

როგორებიც არიან, ისეთებს წავიყვან და ქვით ვიყოთო. აყალმაყალი ატყდა. დედაჩვენმა იმ ლაპარაკს ყური მოჰკრა. რა ხანი იყო, ზეზე ვეღარ დგებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, აივანზე გამოვიდა, მუხლმა უმტყუნა, წაიქცა, იატაკს თავი დაჰკრა. მეზობლები მოცვივდნენ, მარუდას კეტები უთავაზეს და გააგდეს.

გვიჩივლა. ერთი კვირის შემდეგ ბოქაული მოვიდა, ბატები წაიყვანა. წაიყვანა და ცოტა ხანში ლუკაც დაბრუნდა. იქით დედაჩვენი კვნესოდა, აქეთ ორთავე ტყუპები ვისხედით და გაბმით ვყმუოდით. ლუკამ ვითარება გამოგვკითხა, ამოიღო, ოთხი თუმანი გვაჩუქა, დაწყნარდით, ნუ იტირებთო, მაგრამ საწყალ დედაჩვენს იმ კაცის კეთილმა გულმა და გამხნევებამ ვერ უშველა – ერთ კვირაში სული დალია.

წავიდა ლუკა, კუბო მოიტანა. მეზობლებმა სამარე გაჭრეს. დავმარხეთ. ვიტირეთ, ვიგლოვეთ პატარა ბიჭებმა და დავწყნარდით. ბრალი საიქიოს წასულისა, თორემ ცოცხალს ყველაფერი ეშველება. ობლად დავრჩით, მაგრამ ისევ ლუკას წყალობით, არც დავბნეულვართ, არც უქმად დავმსხდარვართ. დიდი იყო თუ პატარა – სახლ-კარი და მეურნეობა გვქონდა და გავუძეხით, როგორც შეგვეძლო.

მაშინ არც მე, არც ჩემი ძმა არ დავფიქრებულვართ, თუ ვინ იყო ლუკა, ჩვენს სტანიცაში რისთვის ჩამოვიდა, სად დადიოდა და რას საქმიანობდა. პატარები ვიყავით. ამაში მერეღა გავერკვიე, იმის შემდეგ, როცა მარუდასთან ხელის ბიჭად დავდექი ეს ასე მოხდა: დედაჩვენის სიკვდილის შემდეგ ორი თვე იქნებოდა გასული. ცხელი ზაფხული იდგა. მედუქნესთან კვერცხები მიმქონდა. დავინახე, მარუდას თავისი პატარა მაგიდა იღლიაში ამოუჩრია, ბაზრისკენ მიდის. მიმიხმო, – აქ მოდიო. ავმეხსიერი არ ვიყავი. მივედი. ბიჭი მჭირდება, დღეში ათ შაურს მოგცემო. ჩემი ტოლი ბავშვისთვის მაშინდელი დროის კვალობაზე ათი შაური დიდი შემოსავალი იყო. აკი გყავს-მეთქი ბიჭი. ფულს მპარავდა და გავაგდეო. იმ ბიჭს ვიცნობდი და ისიც ვიცოდი, რა მოვალეობას ასრულებდა.

მარუდას იღლიაში რომ პატარა მაგიდა ჰქონდა ამოჩრილი, იმაზე ექვსი ოთხკუთხედი ეხატა. ყოველ ოთხკუთხედს წერტილები ჰქონდა: იაქი, დუ, სე, ჩარი, ფანჯი და შაში, – როგორც ნარდის კამათელზეა, ისე. მარუდა იმ მაგიდას ბაზარში მიიტანდა და საცა მეტი ხალხი ირეოდა, იქ დადგამდა. იმ ბიჭს ლამბაქი და ლამბაქზე პირქვე დამხობილი ფინჯანი ჰქონდა. ფინჯნის ქვეშ ორი კამათელი იყო. მარუდა ყვიროდა:

– შაურს დადებ – ორს აიღებ! იქნებ, აბაზიც გერგოს! ორ შაურს დადებ – აბაზს აიღებ! იქნებ, ორი აბაზიც გერგოს!

მაგიდის გარშემო ხალხი ქუჩდებოდა. დააგდებდა ვინმე შაურიანს, ვთქვათ, იაქიან ოთხკუთხედზე: მარუდას ბიჭი ფინჯნის ქვეშ კამათელს აარახრახებდა, ლამბაქიანად მაგიდაზე დადგამდა და ფინჯანს ახდიდა. თუ რომელიმე კამათელი იაქზე იჯდა, შაურის დამდები ორ შაურს მიიღებდა. თუ იაგანი დაჯდებოდა – აბაზს მიიღებდა. იაქზე თუ არც ერთი კამათელი არ იჯდა, მარუდა ოთხკუთხედზე დაგდებულ შაურიანს ჯიბეში ჩაიდებდა. ხანდახან ერთროულად ათი კაცი თამაშობდა და გვარიან მსხვილადაც. იმ ბიჭს ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა, – დღე გამოდის, თხუთმეტ მანეთამდე მოგება რჩებაო, მაგრამ ისეთი დღეც არის, მარუდა ხუთ მანეთზე მეტს ვერ იგებსო.

ამ შემოთავაზებამ, პირდაპირ ვიტყვი, ძალიან გამახარა. მარუდას ხელის ბიჭისთვის რამდენჯერმე მიყურებია, კამათელს რომ აჩხაკუნებდა. სევდა შემომწოლია, ჩემი თავი ქვეყანაზე უუბედურეს ადამიანად მიმიჩნევია, შინისკენ გულდაწყვეტილი წავჩანჩალებულვარ... დავთანხმდი, კვერცხებს მივიტან და მოვალ-მეთქი.

ხანი გავიდა, ლუკამ როგორღაც მკითხა, – ვეღარ გხედავ, საითა ხარო. ვმუშაობ, მარუდასთან ვარ-მეთქი. დაფიქრდა და აღარაფერი უთქვამს. ამის შემდეგ სამი-ოთხი დღე გავიდა, მარუდას ხურდა ფული შემოელია, სამმანეთიანი მომცა, – გაიქეცი, დუქნებში დაგიხურდავებენო.

მექუდეების რიგისკენ გავიქეცი, უფრო ახლო იყო. ამ ხელობას უმთავრესად ქართველები მისდევდნენ. დუქნის კარი შევაღე და ლუკა დავინახე.

იდგა, ორ სხვა კაცთან ერთად ნარდის მოთამაშეებს დასცქეროდა. მექუდეები მუშაობდნენ. ის სამმანეთიანი ოსტატს მივაწოდე, გედევანი ერქვა. ლუკა ზურგით იდგა, არ დავუნახივარ. სანამ გედევანი ფულს მიხურდავებდა, მონარდეები თამაშს მორჩნენ და წამოიშალნენ. ერთ მოთამაშეს ჩოხა ეცვა, ჩერქეზი იყო, მაჰმუდი ერქვა. მეორე სელიმა იყო, კასრებით ვაჭრობდა ჩვენს ბაზარზე. სელიმა-მეკასრემ ჯიბეები ამოიბრუნა, დაჭმუჭნული ფულების გასწორება-დალაგებას მიჰყო ხელი. სამმანეთიანის ნაშალი უკვე ხელში მეჭირა, მაგრამ ვიდექი და იმ ფულებს შევცქეროდი, იმდენი ფული ერთად არსად მენახა. სელიმამ ფულები დასტად დაალაგა. ორად მოკეცა, ჯიბეში ჩაიბრუნა. მერე ქამარი შემოიხსნა, ნარდზე დადო, სამოსელის შესწორებას შეუდგა!

– კამათელი ხელში აიღე, სელიმ! – უთხრა მეკასრეს ლუკამ.

სელიმამ ლუკას შეხედა, აგდებულად გაიღიმა და მიუგო:

– რათა ვითომ.

– აიღე, გელაპარაკები მე შენ!

– აჰა, ავიღე. მერე რა? – სელიმამ კამათელი ხელში აათამაშა.

– შაში გააგორე!

მეკასრემ კამათელი ნარდზე დადო, ლუკას ხელი აუქნია და თქვა:

– წადი, შენი გზა ნახე!

ლუკამ უბეში ხელი შეიყო, რევოლვერი გამოიღო, ფეხზე შეაყენა, ლულა სელიმას მიაშვირა და უბრძანა, – დაჯექიო. სელიმა მიხვდა, ეს ხუმრობა ან სხვა ისეთი რამ აღარ იყო, რის უგულვებელყოფაც შეიძლებოდა, და გაფითრებული დაეშვა სკამზე.

დამსწრეები გაინაბნენ.

– აიღე კამათელი!

სელიმა კამათელი აიღო.

– შაში გააგორე, შაში!

სელიმამ კამათელს დახედა, ხელში რაღაცნაირად შეათამაშა და გააგორა.

მართლაც, შაში დასვა სელიმამ.

– აიღე კიდევ და ჩარი გააგორე!

სელი ას გაცრეცილი, ოფლიანი სახე ჰქონდა, ბოღმიანი თვალებით იყურებოდა.

– გააგორე, გააგორე, ჩარი გააგორე!

ჩარიც დაჯდა.

– ახლა ამოიღე ეგ ფული და დაუბრუნე თავისი მაჰმუდს! – უთხრა ლუკამ.

სელიმა აყოვნებდა.

ლუკა ელოდებოდა.

სელიმამ მკერდში მობჯენილ ლულას თვალი შეავლო, ორთავე ჯიბიდან ფულები ამოიღო და ნარდზე დაყარა.

– აიღე შენი, რამდენიც იყო, – უთხრა ლუკამ მაჰმუდს.

მაჰმუდმა თავისი ფული გადაითვალა – მთელი ფულის სამ მეოთხედზე მეტი იქნებოდა: დანარჩენი ისევ ნარდზე დააგდო.

სიჩუმე კარგა ხანს არავის დაურღვევია.

სელიმამ ლუკას ხმადაბლა, თავშეკავებით კითხა:

– რატომ წამართვი?

– მოტყუებით მოუგე და იმიტომ!

– ყველა კაცი იმას აკეთებს, რაც იცის და რაც უნდა: მე ნარდს ვთამაშობ.

ლუკამ ჩაიცინა:

– მეც, რაც ვიცი და რაც მინდოდა, ის გავაკეთე: შენ წაგართვი – ამას დავუბრუნე!

სელიმამ კარისკენ გასწია. ზღურბლთან დადგა. ერთხანს ჩუმად იყო მერე ისევ ლუკას მიმართა:

– შენ მაგით ის გინდოდა გეთქვა, რომ კარგი ვაჟკაცი ხარ?.. ეგ ისეც ყველამ იცის, მართლა კაი ვაჟკაცი ხარ, შენისთანები ცოტა მინახავს. რაც მართალია – მართალია!..

– შენისთანებია ბევრი და მე არაფერ ვაჟკაცობას არ ვჩემულობ! – სიტყვა ჩამოართვა ლუკამ.

სელიმამ ადგილი მოტკეპნა, კარი გააღო და სანამ გავიდოდა, უთხრა:

– მაგაშიც მართალი ხარ, დათა, ჩემისთანები ბევრია, ჩემისთანების ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა. შენი ხნისა მეც შენისთანა, იქნებ ცოტა უარესი ვიყავი. დრომ გაიარა – ქვეყნის გასწორებაზე ხელი ავიღე, კასრებით ვვაჭრობ. ამისთანების ქვეყანას რა გაასწორებს! – სელიმამ მაჰმუდს მიაშვირა თითი. – ხარბები არიან. იცის, ჩემთან მომგები არ არის და, დღეს-ხვალ ნახე, ორი მაგდენი თუ ისევ ჩემთან არ წააგოს. რატომ? ჰგონია, მოიგებს და იმიტომ!

ჩერქეზმა სელიმას სილა სტკიცა.

– ჯერ ეს იმყოფინე.

სელიმამ უხმოდ დატოვა დუქანი. ლუკაც წავიდა და მაშინ ერთმა ქართველმა თქვა:

– კაცმა რომ იფიქროს, რა მაგის საქმეა, ატყუებს თუ რას აკეთებს!

– ეგეთი კაცია, არ უყვარს... – ჩაილაპარაკა გედევანმა და აზრი აღარ დაუსრულებია, კისერში ხელი წამითათუნა, წადიო.

გამოვიქეცი.

მარუდამ შემომიტია, – ამდენ ხანს სად მამაჩემთან იყავიო. ისე ვღელავდი, არ ეკითხა, მაინც ყველაფერს ვუამბობდი, ვუამბე კიდეც. დალაგებით, დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე მოვუყევი. მარუდამ მკითხა, ის ჩერქეზი ქერა ხომ არ იყოო. ქერა იყო-მეთქი. ბლომა ხანი გავიდა და ისევ შემეკითხა:

– იმ ქაჯს ლუკა ჰქვია და სელიმამ წასვლის წინ დათა დაუძახა.

დავუდასტურე და რატომღაც შიშმა ამიტანა. არ მესმოდა, რისა მეშინოდა, მაგრამ ნამდვილად ვიცოდი, რომ რაღაც ცუდი ჩავიდინე.

საღამოთი ლუკა ადრე დაბრუნდა ვახშმის შემდეგ ვკითხე:

– სელიმას ფული იმიტომ წაართვი, რომ ატყუებდა?

ლუკამ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

– ყველანაირი თამაში მოტყუებაა! – ვთქვი მე.

– მართალია! – დამეთანხმა ლუკა. – შენ ეგ საიდან იცი?

– მარუდამ მითხრა და ისიც მითხრა, ქვეყანაზე ყველა ერთმანეთს ატყუებსო.

ლუკა დაფიქრდა. იმდენ ხანს იყო დაფიქრებული, რომ მეგონა, პასუხის მოცემა დაავიწყდა-მეთქი, მაგრამ ისევ გამომელაპარაკა..

– ყველა არა, უმრავლესობა!

ლუკასათვის ბაზარში იშვიათად მომიკრავხ თვალი. ძალიან გამიკვირდა, რომ მეორე დღეს ჩვენს მაგიდასთან მოვიდა და თამაშს დაუწყო ყურება. მთელ საათს უყურა. წავიდა. მერე იხევ დაბრუნდა და სეზე აბაზიანი დააგდო. ნელ-ნელა აგებდა. ნელ-ნელა-მვთქი, ამიტომ ვამბობ, რომ ის თამაში ასეთია: სამჯერ, ოთხჯვრ წააგებ, მერე ერთხელ, იქნებ ორჯერაც მოიგო, მაგრამ საბოლოოდ უეჭველად წაგებული რჩები. ლუკამ სამმანეთიანი ნახევარ ხაათში წააგო. რამდენჯერმე ვანიშნე, ნუ თამაშობ-მეთქი...

წააგო და წავიდა.

შიწ დავბრუნდი. ვხედავ, ლუკას დიდ ქაღალდზე ჩვენი თამაში დაუხატავს, ბლომად ხურდა ფული უდევს, კამათელხ აგორებს, თავის თავხ ეთამაშება. დიდხანს ვუცქირე. რადაც უხაროდა. რაც მეტხანს თამაშობდა, უფრო უხაროდა.

– მარუდამ იცის, რომ შენი მდგმური ვარ? – მოულოდნელად მკითხა ლუკამ. – კარგად გაიხსენე, ნათქვამი გაქვს?

მეხსიერებას დავაწექი, ისიც ვთქვი თუ არა, რომ ლუკა ჩვენი მდგმურია-მეთქი?

– ერთი დაიხსომე: თუ რამე გკითხა ჩემზე, რაც გინდოდეს ის უთხარი, მაგრამ ეს არ გაუმხილო, - ლუკამ ქადალდს თითი დააშვირა, თავის თავთან თამაშს გულისხმობდა.

მეორე დილას ბაზარში ისევ დავინახე ლუკა. ცალი თვალი ჩვენი მაგიდისკენ ეჭირა. როცა მოზრდილი ბრბო მოქუჩდა, ლუკაც მოვიდა და თამაშში ჩაება.

ერთი საათის შემდეგ მარუდამ მაგიდა ამკიდა, ბაზრიდან წავედით.

– სამთუმან-ნახევარი მქონდა, კაპიკი აღარა მაქვს! – მაცნობა ჩემმა ბატონმა. – წავაგე. ვერაფერი გამიგია...

მარუდასთან ჩემი ყოფნის განმავლობაში ახეთი რამ ირ მომხდარა და ისე ვიცოდი, რომ არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჩემი ბატონის სოროში მივედით. არაყი და წნილი გადმოიღო. სვამდა, წნილს აყოლებდა, ფიქრობდა. ხანდახან ხმამაღლა ფიქრობდა. წნილს მეც შევექცეოდი, მარუდას შევცქეროდი, მის საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდი.

როცა ბოთლი ნახევრამდე დაიყვანა, მითხრა, მაგიდა ბაზარზე წაიღე, დაგეწევიო.

წამოვიდე. მართლაც, გზაში დამეწია. ცა მოწმენდილი იყო, არც ქარი ქროდა – კარგი ხათამაშო ამინდი იდგა. ბაზრის შეხასვლელთან მარუდამ ხუთთუმნიანი მომცა,

დაახურდავეო. მეუნაგირეებთან შევედი, ლუკა იქ დამხვდა და მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მთელ დღეებს ქართველი ხელოსნების დუქნებში ატარებდა.

დამიხახა და მკითხა, ისევ მოხვედითო?

თავი დავუქნიე.

თამაში დავიწყეთ. ხალხი უმალ შემოგვეხვია. ცოტა ხანში ლუკაც მოვიდა. მოვიდა და ერთ საათში აღარც მარუდას ხუთთუმნიანი იყო და აღარც სხვებთან სახელდახელოდ მოგებული ფული.

ისევ ამკიდა მარუდამ მაგიდა, ისევ მისი ბინისკენ გავწიეთ.

– იმ ქართველმა მომიგო! – განაცხადა ჩემმა ბატონმა. – ლუკა ჰქვია, არა? ეგეთი მოსვლა არ მინახავს. მერე, დროზე რომ მოსდის, ის არის საქმე. როცა ბლომად ფულს დაჰყრის, სწორედ მაშინ მოსდის. ეგეც არაფერი. ვნახოთ, როდემდის მოუვა!

მესამე დღეს ლუკამ ისევ გაგვწმინდა. მეოთხე დღეს ლუკამ მაგიდაზე ფული დაგვიდო. მარუდამ უთხრა, არ გეთამაშებიო, ლუკამ მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და წავიდა. ჩემი ბატონის განსაცდელი, თითქოს, ამით უნდა დამთავრებულიყო.

ასე არ მოხდა: მარუდა და მე ბაზრიდან ყოველდღე ნაადრევად და გატყავებული მივდიოდით. ხან ვინ გვიგებდა და ხან ვინ. უმთავრესად ქართველი ხელოსნები გვიგებდნენ.

ლუკას პირველი თამაშის შემდეგ ორი კვირა გავიდა და მარუდას ფული გამოელია. ფულზეც არ იყო, თამაშს აზრი აღარ ჰქონდა, უეჭველად ვაგებდით. მარუდა მარტო წაგებულ ფულს და სარფიანი საქმის ჩაშლას როდი დარდობდა. ვერ გაეგო, ლუკას მოგზავნილი კაცები მოგებას როგორ ახერხებდნენ, და ამითაც იყო გამწარებული. ასეა თუ ისე, მარუდა გაკოტრდა, თამაში შეწყდა. ახლაღა გავიგე, თურმე ჩემი ბატონი დასუქებული ბატების გამოსასყიდ თანხას ზაფხულის განმავლობაში თამაშით აკეთებდა და ახლა ისეთ დღეში ჩავარდა, რომ გაცემული ბეც კი ეკარგებოდა.

მაინც არ მიშორებდა, სამსახური – სამსახურიაო! მართალია, ჯამაგირი დამიკლო, დღეში აბაზის მეტს აღარ მაძლევდა, მაგრამ მე ამაზეც ყაბულს ვიყავი. ვისხედით მის სოროში – მარუდა არაყს სვამდა და წნილს ატანდა. მე წნილს ვჭამდი და პურს ვატანდი. პირველი ჭიქის მერე ასე მესაუბრებოდა:

– ერთ თვეში ბატები უნდა გამოვისყიდო. ბატების გამოსასყიდი ფული არა მაქვს. მორიგებებზე უარის თქმა და ბეს დაბრუნება აღარ შეიძლება. ზაფხულის მეორე ნახევარია, უფლება არა მაქვს. გამოდის, რომ ბე დამეკარგა! რა ვქნა? ფული უნდა ვიშოვნოთ! სად ვიშოვნოთ?..

საუბრის პირველი ნაწილი ამ შეკითხვით მთავრდებოდა და მეორე ჭიქის შემდეგ ასე გრძელდებოდა:

– ბაზარი გაფუჭდა, თამაში აღარ შეიძლება. ვთქვათ, სხვა სტანიცაში გადავბარგდით. მერე რა? ჰა?.. მერე – არაფერი! ბატების გამოსყიდვამდე ერთი თვეღა დარჩა. როგორი თამაშიც არ უნდა წავიდეს, საკმარის ფულს ერთ თვეში სულ ერთია ვერ მოვიგებ. მაშ, რა ვქნათ?

მესამე ჭიქა ნახევრამდე დავიდოდა თუ არა, ჩემი ბატონი საუბარს თავის თავთან განაგრძობდა:

– ღმერთი არისო! ღმერთი იყოს, ეს საქმე დამემართებოდა?! თამაში გაფუჭდა, ბე დაიკარგა...

ჩაღუნავდა თავს მარუდა და ცხარე ცრემლებით ტიროდა. იქამდე ტიროდა, სანამ ჩაეძინებოდა, და მაშინ მე შინ მივდიოდი. დილით ისევ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ერთ დღეს მარუდამ პირველი ჭიქის ნახევარი მოსვა, გაინაბა და მომაშტერდა.

– ლუკა ჰქვია და სელიმამ – დათაო?.. – გაფაციცებით შემეკითხა.

ენა ჩამივარდა, მაგრამ მარუდა ჩემს პასუხს აღარ დალოდებია, ორიოდე ყლუპი არაყი მოსვა, წნილი მიატანა და ისევ დაფიქრდა.

შემიძლია, ხატზე დავიფიცო, ერთი საათი გაუნძრევლად იჯდა. მერე მანიშნა, მივდივართო, და ბაზრისკენ გავემართეთ.

კვირა დღე იყო. ბაზარი ფუთფუთებდა, ჭრელი ბრბო თხელ ტალახს ზელავდა. მარუდამ შუადღემდე დუქნებში, სახელოსნოებში, საყასბოებში იარა, ვიღაცეებთან ისაუბრა და იჩურჩულა. თვითონ სადგომში შედიოდა, მე კარში მტოვებდა. ვერაფერი გავიგე, რას საქმიანობდა, მაგრამ ცუდი წინაგრძნობა მქონდა და უგუნებოდ ვიყავი. ბოლოს სელიმასთან შევიდა, იმ კასრით ვაჭართან, ლუკამ ფული რომ წაართვა და მაჰმუდს რომ დაუბრუნა. იქ კარგა ხანს იყო. მერე ერთად გამოვიდნენ, დუქნის კარებთანაც იჩურჩულეს. ნათლად დავინახე, სელიმას რაღაცის შიში ჰქონდა.

– ჰასანა არ დაგინახავს? – მკითხა მარუდამ, როცა სელიმა დუქანში შებრუნდა.

– ქვევით ჩაიარა.

ჰასანა ჩვენი ბაზრის გოროდოვოი იყო. ყოველი მედუქნე, მუდმივი მოვაჭრე, დალალი თუ ჩარჩი ყოველდღიურ ქრთამს უხდიდა ჰასანას. წუწკი იყო, ოღონდ მიეცა ვისმე და შაურიანსაც აიღებდა. როცა მაგიდა გვედგა და ვთამაშობდით, ჰასანა-გოროდოვოისთვის ჩემს ბატონს ყოველდღიური ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული.

გამოვუდექით. მსხვილფეხა საქონლის სავაჭროზე მივაგენით, ბოშებს ედავებოდა, ეგ ცხენი მოპარულიაო. დავიცადეთ, ბოშამ ჰასანა-გოროდოვოის მაზარის ჯიბეში ათშაურიანი ჩაუგდო. ჰასანა დაცხრა, იქაურობას გამოეცალა.

– საქმე მაქვს! – ჩაულაპარაკა ჩემმა ბატონმა.

განზე გადგნენ.

– კაცია დასაჭერი, – უთხრა მარუდამ.

– რა კაცია?

– არის. კაცია.

– რა დააშავა?

– რა შენი საქმეა! დაიჭირე, უბანში მიიყვანე, გყავდეს, სანამ პოლიცმეისტერს მოვიყვან. რა ეღირება.

– შეველიხინს? შეველიხინს დღეს შენთვის არა სცალია.

– ეგ შენი საქმე არ არის. მოვიყვან. რა ეღირება?

– იმ კაცს იარაღი აქვს? – იკითხა ჰასანა-გოროდოვოიმ.

– მგონი, ზედ არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მარტო შენ ვერ დაიჭერ.

კიდეე ორი-სამი კაცია საჭირო!

– ეგეთი ვინ არის!.. ორი-სამი პოლიციელი... ისინიც საქმეში გავლენ!

– გაგეხარდა?! ჩამოგიჩხრიალე, ეგ არის.

– უფასოდ არ ამოვლენ.

– რა დამიჯდება... სამი პოლიციელი?

– თითო სამი მანეთი.

– ცხრა მანეთი? – შეიცხადა ჩემმა ბატონმა.

– თუმანი. მანეთისაც არაყი და მისაჭმელი უნდა.

– შენა?

– მე? – ჰასანა-გოროდოვოი დაფიქრდა. – მე – ხუთი მანეთი.

– ვითომ რათაო? შენმა თავის გახეთქვამ, გოროდოვოი პოლიციელზე ძვირად იყიდება?

– არ გინდა?.. წადი, გაიარ-გამოიარე, მერე მოდი. ახლა თხუთმეტი მანეთი უნდა, მერე ხუთი თუმანი დაგიჯდება! ეგ იმისთანა საქმე ჩანს... არა არა!

ჰასანა-გოროდოვოიმ პირი იბრუნა. მარუდამ მკლავში ხელი სტაცა, გააჩერა.

– ყაბული მაქვს, დაიჭირე, მიიყვანე, ფული – მერე.

ჰასანამ ჩაიცინა, ვერ მოგართვიო.

მეტი გზა ადარ იყო, მარუდამ ფული ამოიღო..

– აჰა!.. ხუთიც – მერე.

ჰასანამ მიიხედ-მოიხედა, ვიღაცას შეუღრინა, – აქ ხუ დგეხარ, გაიარეო. ამასობაში მარუდამ თუმნიანი ჯიბეში ჩაუგდო. ჰასანამ ხელი ჩააცურა, ოქრო მოსინჯა.

– ვინ არის, სად არის?

– ჯერ პოლიციელები მოიყვანე.

ბაზრის საპოლიციო უბნისკენ წავედით. ხუთი წუთის შემდეგ ჰასანა-გოროდოვოიმ უბნიდან სამი პოლიციელი გამოიყვანა. ჰასანა და მარუდა წინ მიდიოდნენ, ხმადაბლა ბწობდნენ, არ მესმოდა, რაზე. მერე, გზადაგზა ჰასანამ და პოლიციელებმაც ისაუბრეს. მარუდა და მე მეხანჯლეების დუქნებთან გავჩერდით. ჰასანა პოლიციელებს გაუძღვა. ყველანი ერთად პაპჩუკის სამიკიტნოში შეცვივდნენ. ცოტა ხანი გავიდა, გამოვიდნენ. ჩემი ლუკა ხელებშეკრული გამოიყვანეს და საპოლიციო უბნისკენ წაიყვანეს.

მარუდამ ხელები სიხარულით გადაიფშვნიტა, პოლიციელებს თვალი მიაყოლა და მითხრა:

– ფული ნაშოვნია! ათასი მანეთი... ნაკლებს არ დავჯერდები. – დაფიქრდა და დასძინა: – თუ ათასი მანეთი დავტყუე, ხუთ თუმანს შენ გაჩუქებ. გეკუთვნის. შენ რომ არა, ამ საქმეს ვერ მოვხარშავდი. ახლა ისა თქვი, პოლიცმეისტერი რანაირად ვინახულო. კვირა დღეა. მიმიშვებენ?.. წამო!

უნებლიეთ გავყევი. ერთხანს ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენილიყავი. მერე მარუდა ისე დამეკარგა, ვერც კი გავიგე. როცა გავიგე, რომ დამეკარგა, არც ვცდილვარ, დავწეოდი. ვიდექი. ხან ვინ გამკრავდა მხარს, ხან ვინ. ხან საით მიმაგდებდნენ, ხან საით. გაბრუებული ვიყავი. ქვეყანა სადღაც სხვაგან და თავისთვიხ იყო.

როგორ და რანაირად, ახლა აღარ მახსოეს, მაგრამ თავი მექუდეებიხ დუქანთან ამოვყავი. დუქანში ყველაფერი ძველებურად იყო. გედევანი ყალმუხის ტყავებს ჭრიდა, ქარგლებს აწვდიდა. დუქნის სიღრმიდან კამათლის ჩხარუნი ისმოდა.

– ძია გედევან, ლუკა დაიჭირეხ, – ისე ვთქვი, თითქოს სასხვათაშორისო რამ მეცნობებინოს.

გედევანმა დამათვალიერა, მიმიხმო, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. მერე ნარდს მიუახლოვდა, ახალი ამბავი მოთამაშეებს აცნობა. ერთ-ერთი მოთამაშე მაჰმუდი იყო. თავიდან გამომკითხეს, რაც მოხდა და როგორც მოხდა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე მონარდემ ჩაილაპარაკა:

– სელიმას თქმისა არ იყოს, ქვეყნის გასწორება უნდა და ეგ არის! ვეუბნებოდი, მოეშვი მარუდას, ავ საქმეს დაგმართებს-მეთქი. სულელი კაცია. გააგორე!

– გავაგორო? აქაოდა, ქვეყანა შენისთანა ნეხვით არის სავსე, მზემაც აღარ გამოიხედოს? – მიუგო მაჰმუდმა. – გავაგორო, არა? გაგორებული არა ხარ! რიგიანი კაცის ნამოქმედარის განსჯა რა შენი ქათმის ტვინის საქმეა. დაიკარგე აქედან!

მონარდემ რაღაცის თქმა დააპარა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და დუქნიდან გავიდა.

ისევ სიჩუმე იყო. ყველა ფიქრობდა და როცა ამდენი უფროსი კაცი ლუკას ბედზე დაფიქრებული ვნახე, გული მომეცა.

მაჰმუდმა ჩაიცინა და თქვა:

– გამოდის, რომ ჰასანა-გოროდოვიმ არ იცის, ვინ დაიჭირა და რისთვის დაიჭირა!

– შენი საქმე არ არისო მარუდამ ასე უთხრა! – დავაშველე მე.

– მარუდა შეველიხინთან ნავიდა?

– შეველიხინთამ წავიდა. მარუდა ამბობს კვირაა და მიმიშვებენო!

– გასაგებია! მარუდაო ეძახე. როგორი ხრიკი მოუგონია! – მაჰმუდმა ისევ ჩაიცინა თითებს ტკაცანი გააღებინა და თქვა: – ერთ რამეს გავაკეთებ – შვილიშვილებს სამარემდის სიცილად გაჰყვეთ და ეყოთ!

გედევანმა მაჰმუდს ფულები გაუწოდა.

– არ მინდა მაგდენი არ დასჭირდება! – ღიმილით უთხრა მაჰმუდმა. – ამ ჩვენს ქვეყანაში კანონი ყველაზე იაფი საქონელია. მაზანდა ჭიქა არაყიდან იწყება, ათ თუმანს ზევით არ მიდის. ეს ქვეყანა იმისთვის მიყვარს, სიკეთე იაფი ჯდება. ესე არ იყოს, სხვა ქვეყანაში გადავსახლდებოდი.

მაჰმუდმა ბაზრის საპოლიციო უბნისკენ გასწია. მეც ავედევნე. პოლიციის პირდაპირ, გურიანოვის სახლის ღობესთან გაჩერდა, იფიქრა და მითხრა:

– ეზოდან შედი. რკინებიანი სარკმელია. საპოლიციო უბანში გადაიხედე, ნახე, შიგ რა ხდება.

სარკმელს მივეპარე, გადავიხედე, იქაურობა კარგად მოვათვალიერე და ისევ მაჰმუდთან მივირბინე.

– წინა ოთახში სამი პოლიციელი ზის. ორი თვლემს, ერთი წეკოს ეწევა. უკანა ოთახში ჰასანა-გოროდოვი მაგიდას უზის. ლუკა მერხზეა წამოწოლილი. სხვა არავინ არის.

– ახლა შიგ შედი, ჰასანას უთხარი, გარეთ მაჰმუდი გელოდება, გადაუდებელი საქმე აქვს, გამოდი-თქო! ჩუმად უთხარი.

საპოლიციო უბანში შევედი, პოლიციელებს ჩავუარე, დანაბარები ჰასანა-გოროდოვოის გადავეცი.

ჰასანამ ყურები ცქვიტა:

– წადი, მოვალ.

გარეთ გამოვედი, მაჰმუდს მივაძახე, ახლავე გამოვა-მეთქი, გურიანოვის ღობეზე გადავხტი და ჩავიმალე.

ჰასანა მოვიდა.

– რა გინდა?

– იმ კაცის გამოშვება რა ეღირება? – ჰკითხა მაჰმუდმა.

– რომელი კაცის გამოშვებაო, რაებს ლაპარაკობ?

– წყნარად! რომელიც მარუდასთვის დაიჭირე.

ჰასანა-გოროდოვოიმ მაჰმუდს თვალი თვალში გაუყარა.

მაჰმუდმა სხვათა შორის აცნობა:

– გუშინ შეველიხინმა მკითხა, ბასტანოვისგან მოპარული სამი ცხენის ასავალ-დასავალი ხომ არ იციო? მომპარავს ჯანი გავარდეს, ოღონდ გამიგე რამე და საკუთარი ფულით გამოვისყიდიო.

– რა უთხარი? – ჰკითხა ჰასანამ გაფაციცებით, მაგრამ თავს უცბადვე დაეუფლა და... დაამთქნარა.

– არაფერი ვიცი, თუ გავიგე რამე, გეტყვი-მეთქი. იმას ხომ არ ვეტყოდი, შენმა ჰასანა-გოროდოვოიმ ქურდებს წაართვა და პაშკოვსკაიაში მიწის მზომელ ინჟინერს შვიდ-შვიდ თუმნად მიჰყიდა-მეთქი!

– შესცინა მაჰმუდმა.

– შენ და ჩემი უფროსი ძალიან დაძმაკაცდით! ეს იმის შემდეგ მოხდა, ბოქაულის ადგილის გაყიდვაში რომ დაეხმარე? – ჰასანა-გოროდოვოიმ თავი საყვედურით გადაიქნია. - შე კაი კაცო, და კაი კაცის შვილო, სამოცდათხუთმეტი თუმანი გაშოკოვს ბოქაულობაში გამოართვი და შეველიხინი ოცდახუთ თუმანზე გადაატარე, ნამუსი აღარ არის?

– ეგ მე და შეველიხინმა ვიცით. არ შეიძლება, შენი ტურტლიანი სიფათი წესიერი ხალხის საქმეში არ წაჰყო? თქვი, რა ეღირება, და მოვრჩეთ!

– იმ კაცის გაშვება არ იქნება! – მოკლედ მოუჭრა გოროდოვოი .

– ვითომ რათაო?

– მარუდამ შეველიხინი უნდა მოიყვანოს! კაცი აქ არ დავახვედრო, არ იქნება.

– შენც ადექი და სხვა დაახვედრე.

– ვინ სხვა დავახვედრო?

– ხალხის მეტი რა არის, ნახე, რამდენი დადის! – თქვა მაჰმუდმა და ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ქაღალდი ამოაცურა.

ჰასანა-გოროდოვოიმ ფულს თვალი სტაცა, განზე გაიხედა. აღმა ვიღაც მთვრალი კაზაკი მილასლასებდა, იმ კაზაკს გასძახა, – აქ მოდიო!

კაზაკმა იფიქრა, ალბათ, სხვას ვისმე ეძახიანო, მაგრამ ჰასანამ ბრძანება გაუმეორა. კაზაკი მოვიდა.

– რა გვარი ხარ?

– ჩერტკოვი.

– წადი.

– რატომ გაუშვი! – უსაყვედურა მაჰმუდმა.

– ჩერტკოვის ძმისწულია, ვერ იცანი.

– ჩერტკოვი ვინ ოხერია.

– იასაული. იყვირებს, – რა გინდათ, რა დამიშავებიაო!

– ყველა იყვირებს. გიჟი ვინ არის, გაჩუმდეს. შენც ისეთი კაცი იშოვნე, რომ არ იყვიროს. მაშ ფულს რაში გაძლევ?

– ახლა ძებნის დრო არა მაქვს. შეველიხინს ველი. წადი, შენ თვითონ იშოვნე და მოიყვანე. ისეთი იყოს, არ იყვიროს! – ჰასანა-გოროდოვოიმ ხელი ოცდახუთმანეთიანისკენ წაიღო.

– კაციც მე ვიშოვო, ოცდახუთიანიც მოგცე – მინისტრის ფასს იდებ?

ჰასანა-გოროდოვოის გუნება წაუხდა.

– აჰა გამომართვი და თუმანი ხურდა მომე! – უბრძანამაჰმუდმა. – დროზე!

ჰასანამ ზანტად, ძალისძალად ამოიდო თუმნაანი ოქრო, მაჰმუდს ოცდახუთმანეთიანში გაუცვალა, თავისი ხაბრძანებლისკენ გაბრუნდა და ფეხის ქირასავით დაუგდო:

– მიდი, კაცი მოიყვანე.

– მოიცა მოიცა! – მიაძახა მაჰმუდმა. ჰასანა-გოროდოვოი შეჩერდა. მაჰმუდი რაღაცას ფიქრობდა, იდგა, შუბლზე ხელხ ისვამდა.

– ჰა, დროზე! – დაიძახა ჰასანამ.

– მე წამოვალ! – ბადაწყვიტა თავისი საფიქრალი მაჰმუდმა.

ჰასაჩა დაიბჩა, მერე რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ მაჰმუდმა არ დააცადა, მკლავში ხელი გაუყარა და საპოლიციო უბანში შევიდნენ.

ცოტა მოვიცადე, საფარიდაწ ამოვძვერი. ლოდინი არ დამჭირვებია. ლუკა მალე გამოვიდა. დამინახა და გამიღიმა. დაწვრილებით გამომკითხა, რაც ვიცოდი, თავში წკიპურტი წამკრა და ბაზრისკენ წავიდა.

ეზოში შევედი. საპოლიციო უბანში გადავიხედე. მაჰმუდი იმ მერხზე მოკალათებულიყო, სადაც ლუკა იწვა. ჰასანა-გოროდოვოი კვლავინდებურად მაგიდას უჯდა, დავთარში იქექებოდა. წინა ოთახში პოლიციელები თვლემდნენ – კალთებში სამთავეს ერთნაირი, შუაზე გადაშლილი წიგნები ედოთ და თვლემდნენ.

პოლიცმეისტერ შეველიხინის ეტლის ხმა ჯერ კიდევ ნიავის ქიქინივით ისმოდა, როცა ჰასანა-გოროდოვოი ზეზე წამოიჭრა, მთვლემარე პოლიციელებს დააცხრა და მუჯლუგუნებით დააღვიძა. მაჰმუდმა შემოსასვლელ კარს ზურგი შეუქცია, თავი მოიმძინარა. პოლიციელებმა მუნდირები მიისწორ-მოისწორეს, ულვაშები გადაიგრიხეს, მერხზე ჩამოსხდნენ, სამთავემ წიგნებში წაყვეს ცხვირები და დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ ბუტბუტს.

ეტლი საპოლიციო უბნის წინ დადგა, გახურებულმა, ხაზინის ქერით ნასუქმა ცხენებმა ქვაფენილს ფლოქვი დაუშინეს.

პოლიცმეისტერი ეტლიდან ჩამოხტა. საპოლიციო უბანში ჰასანა-გოროდოვოის ყურადღებისა და სმენის ბრძანება გაისმა. პოლიცმეისტერმა ზღურბლს გადმოაბიჯა. მარუდა ფეხაკრეფით შემოჰყვა. ჰასანა-გოროდოვოი უმალ გამოეჭიმა, უპატაკა, ერთი კიდევ დაიღრიალა, – თავისუფლადაო, და შუბლზე აშვერილი ხელი ძირს ჩამოიღო.

– რასა იქმთ, არწივებო! – მოიკითხა შეველიხინმა ნამძინარევი პოლიციელები.

პოლიციელებმა თავის უფროსს ერთხმად მოახსენეს, რომ მეფესა და მამულს ემსახურებიან. ამის შემდეგ შეველიხინი პოლიციელების ხელებში ჩაკვეხებული წიგნებით დაინტერესდა, გაიგო, რომ მისი ხელქვეითები თავისუფალ დროს სახარების კითხვახ ანდომებენ, მეცადინეობა მოუწონა და სახელდახელოდ მცირე გამოცდაც ჩაუტარა. ერთმა პოლიციელმა მის კეთილშობილებას ჩაუბულბულა, – არა კაც ჰკლაო. მეორემ, – არა იმრუშოო. მესამემ, – გიყვარდეს მოყვასი შენიო... სანამ შეველიხინი ამ საქმით იყო გართული, მარუდა ცდილობდა, სკამზე წამოწოლილი კაცი შეეთვალიერებინა, მაგრამ პოლიციელების განსწავლულობით აღტაცებული კეთილშობილება აქეთ-იქით ირხეოდა და მარუდას ხელხ უშლიდა.

შეველიხინი თავის მრევლთან საუბარს მორჩა, ჰასანა-გოროდოვოის სამფლობელოში შემოვიდა. რა თქმა უნდა, ჰასანა და მარუდაც შემოჰყვნენ.

პოლიცმეისტერმა მარუდას თვალი გაუსწორა. მარუდამ ზურგშექცევით მწოლარე მაჰმუდზე მიანიშნა და კეთილშობილებამ ამხელა იყვირა, – აეთრიეო, რომ იმპერატორის პორტრეტმა კინაღამ იატაკზე დაიტანა რიალი. მაჰმუდი ჯერ გაიზმორა, მერე ზანტად გადმობრუნდა, შემოსული ხალხი ერთხანს წოლელამ ათვალიერა და ნელა წამოდგა.

– სალამი, თქვენო კეთილშობილებავ! – მიესალმა მაჰმუდი პოლიცმეისტერს.

– მოსიე ჟამბეკოვი!.. – ჩაილაპარაკა გაოცებულმა შეველიხინმა და ხარხარი აუვარდა.

პოლიცმეისტერი დიდხანს და როყიოდ ხარხარებდა.

ჰასანა-გოროდოვოი მლიქვნელურად იღიმებოდა. მაგრამ ყურები თაგვნაყნოს კატასავით ჰქონდა – იცოდა, ეს ამბავი ხარხარში არ ჩაივლიდა. მარუდა ქუთუთოებს აფახულებდა. პოლიციელებიც დიდი მოცადეობით ხვიხვინებდნენ. მარტო მაჰმუდი იყო მშვიდად და იქაურობას აუმღერევლად ათვალიერებდა.

შეველიხინმა ხარხარი შუა გზაზე შეწყვიტა და მარუდახ მიაჩერდა. საპოლიციო უბანი მდუმარებამ მოიცვა.

– ეს ის არ არის... – ჩაიჩიფჩიფა მარუდამ.

– ჰმ, მაშ, ეს ის არ არას, ჰა?! – შეველიხინი ისევ ახარხარდა.

როცა ხარხარით გული იჯერა, მაჰმუდისკენ ორიოდე ნაბიჯი წასდგა და ჰკითხა:

– მოსიე ჟამბეკოვ, რატოვ ხართ აქ?

– რატომ ვარ აქ? აი, ეს პირუტყვი, – მაჰმუდმა ჰასანა-გოროდოვოიზე მიათითა, – სამი პოლიციელის თანხლებით პაპჩუკის დაწესებულებაში შემომივარდა და დამაპატიმრა!

– რა საფუძველზე?! – შეუღრანა შეველიხინმა ჰასანა-გოროდოვოის.

ჰასანას ენა დაება, მაგრამ თავს დაეუფლა და მიუგო:

– თქვენო კეთილშობილებავ, აი, ამ იდიოტის დასმენის საფუძველზე! – იდიოტი ჩემი ბატონი გახლდათ. – ასე მითხრა, – ის ორი ცხვარი, გუშინ ყაბარდოელებს რომ დაეკარგათ, ამისი მოპარულიაო. დააპატიმრე და მოწმეებს ახლავე მოგიყვანო...

ამის თქმა იყო, შეველიხინმა ჰასანა-გოროდოვოის ისეთი სილა გააწნა, რომ მექუდე გედევანი მეორე დღეს იფიცებოდა, ლაწანი დუქანში გავიგონეო.

– რეგვენო! – დაიღრიალა შეველიხინმა.

მარუდამ, ყოველ შემთხვევისთვის, რამდენიმე ნაბიჯით განზე გაიწია.

– თქვენო კეთილშობილებავ! – დაუყოვნებლივ აღშფოთდა მაჰმუდი. – ასეთი შეურაცხყოფა?! ორი ცხვარიო... მე ორი ცხვრის კაცი ვარ? ხომ მოგეხსენებათ... არმავირში ორთქლმავლის ტენდერი დაკარგულა, ბაქოში აქლემების ქარავანი ტვირთიანად მოუპარავთ. ორი ცხვარი! სირცხვილი არ არის?

– დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, ორიო! – გაიმეორა ჰასანა-გოროდოვოიმ.

– რა – ორი?

– ორი ცხვარიო, ასე მითხრა ამან. – ჰასანამ ისე კარგად მოისულელა თავი, რომ შემეცოდა კიდეც.

შეველიხინმა ხელები აღაპყრო:

– უფალო შენ დაიფარე ჩვენი იმპერატორი! რა უნდა ქნას ბრძენმა მეფემ, როცა ასეთი რეგვენი ქვეშევრდომები ჰყავს! თქვენოუდიდებულესობავ, – პოლიცმეისტერმა იმპერატორის პორტრეტს შეჰღაღადა, – ესოდენ უღირსი ქვეშევრდომების მეფედ ყოფნა?! საბრალო მამავ და პატრონო ჩვენო!

ჰასანა-გოროდოვოის ხელები გულზე მოწიწებით დაეკრიფა, სახეზე განუზომელი თანაგრძნობა და ჭმუნვა გამოხატოდა და, ვფიცავ ადამიანობას, თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

– კმარა! – შეველიხინი პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდა, მარუდას ხელისგული გაუშვირა.

ჩემმა ბატონმა გამოწვდილ ხელში ქაღალდების ფულების მოზრდილი დასტა ჩაუდო. ეს ის ათასი მანეთი იყო, რომლიდანაც მარუდა ხუთ თუმანს საჩუქრად შემპირდა.

– თქვენო კეთილშობილებავ, – მიმართა მაჰმუდმა შეველიხინს. – ამ პირუტყვმა რატომღაც ოცდახუთი მანეთითაც დამაჯარიმა!

– დაუბრუნე! – დაუსისინა შეველიხინმა ჰასანას.

ჰასანა-გოროდოვოი ასეთ თავხედობას აღარ მოელოდა, პროტესტი დააპირა, მაგრამ მაჰმუდმა არ დააცადა, პოლიცმეისტერთან საუბარი განარგძო:

– თქვენო კეთილშობილებავ, ბასტანოვის სამი ცხენის თაობაზე რომ იკითხეთ...

პოლიცმეისტერმა ყურები ცქვიტა, სმენად იქცა. ჰასანა-გოროდოვოიმ ოცდახუთმანეთიანი მყისვე დააძრო და მაჰმუდს საჩქაროდ მიაჩეჩა.

– დღეს ამბობდნენ, ბასტანოვს თავისი ცხენები უპოვნიაო! – თქვა მაჰმუდმა და ჰასანა-გოროდოვოისგან სარგებლით დაბრუნებული ფული ჯიბეში დინჯად ჩაიდო.

პოლიცმეისტერს ცხენების პოვნის ვერსიამ სიხარული მოჰგვარა, აქვე ჰასანა-გოროდოვოის და პოლიციელებს მიუბრუნდა, მარუდაზე მიუთითა, თხუთმეტი როზგიო, ბრძანა, მაჰმუდი ეტლში ჩაისვა და წარახრახდა.

ჩემს ბატონს საპოლიციო უბნის ეზოში შარვალი ჩააძრეს, დააწვინეს და უღმერთოდ სცემეს.

ყველაზე მეტად ჰასანა-გოროდოვოი ცდილობდა.

შინ მივედი. ლუკა აღარსად იყო. მაგიდაზე თუმნიანი დაეტოვებინა და წასულიყო. ბაზრამდე სულ ტირილ-ტირილით ვირბინე, იქნებ სადმე ვნახო-მეთქი, იმედი მქონდა. ბინდდებოდა, მარტო მეკასრე სელიმასღა მივასწარი და ლუკა ვკითხე.

– ლუკა? – მიპასუხა სელიმამ. – ლუკამ ეს ქვეყანა უკვე გაასწორა. ეხლა სხვა ქვეყნის გასასწორებლად წავიდა.

დიდი ხნის ძებნამ არაფერი მომცა და ნელ-ნელა მიმავიწყდა კაცი, რომელმაც ბავშვობაშივე მოახდინა ჩემზე კეთილისმყოფელი გავლენა და ვის ხსოვნასაც დღემდე უღრმესი პატივისცემის გრძნობით ვინახავ.

რამდენიმე წლის შემდეგ მე და ჩემმა ძმამ სახლ-კარი გავყიდეთ, დონის როსტოვში გადავსახლდით. იქ ნათესავები გვყავდა. სასტუმროში შიკრიკად დავდექი. მერე იქვე, რესტორანში, მსახურად დამაყენეს.

ერთი სიტყვით, კაი ხანი იყო გასული, რაც ლუკა აღარ მენახა და ბედისწერამ, ის – მუშტრის, და მე – მსახურის როლში შეგვახვედრა. წინადღეს ჩვენს სასტუმროში გაჩერებულიყო, ხვალ ისევ გამგზავრებას აპირებდა. შეხვედრამ ორივე ძალიან გაგვახარა. მუშაობის შემდეგ ნომერში ვესტუმრე, უხვი ვახშამი მივიტანე. ბევრი ვისაუბრეთ, ჩვენი ამბები მოვიგონეთ, ვიცინეთ და ვიმხიარულეთ. წამოსვლის წინ ლუკამ მითხრა:

– დრო გავიდა და სასაცილოა ახლა ის ყველაფერი. იფიქროს კაცმა და რა აზრს გამოიტანს, თუ იცი? რას და, მარუდა ბაზარზე წლობით ატყუებდა და ატყავებდა ხალხს – ხომ ასეა?

– ასეა.

– რაც გავაკეთე მე, თითქოს, ჩემთვის უცნობი ხალხის სიბრალულით გავაკეთე – მოვაშლევინე მარუდას მისი ოინბაზობა. რა გამოვიდა მერე აქედან? აგერ გეტყვი: მარუდას საქმე, ბატები რომ ვერ გამოისყიდა და რაც გააჩნდა, ის ფულიც რომ დაკარგა, – ვერ იქნა და ვერ გამოსწორდა. დარდმა გაალოთა მარუდა, პაშკოვსკაიაში დარდით და ლოთობით მოკვდა. ეს ერთი. შენ შემოსავალი დაკარგე და სად და როგორ დაეხეტებოდით ორივე ძმა მშიერ-მწყურვალები – ბევრი ვიფიქრე მერე ამაზე. ეს ორი. ჰასანა-გოროდოვოი რომ სამსახურიდან გააგდეს, იცი შენ და – ეს სამი. გედევანი მთელი წელიწადი ჟანდარმერიაში დაყავდათ, გააწვალეს. ეს ოთხი, და მაჰმუდმა იმ ოინისთვის ექვსი თვე ციხეში რომ გაატარა, გაიგებდი ამასაც. – ეს ხუთი. ახლა, მთავარი რაა თუ იცი? ხალხს, ჩანს, არ უნდა ისე ცხოვრება, ვინმემ თუ არ დაჩაგრა, მოატყუა და გაატყავა. თქვენს ბაზარზე მარუდას თამაში რომ მოისპო, გრიშკა პიმენოვმა დაუწყო ხალხს გატყავება სამი კარტის თამაშით: არ

გამოვიდა ჩემი მოქმედებიდან არაფერი. არ გამოვიდა კი არა, რამდენი ცუდი საქმე ჩამოვთვალეთ?! წაკითხულიც მაქვს ბევრგან და კიდეც ვნახე ზოგიერთი კაცები, ასე რომ ამბობენ: ვინმეს გასაჭირს ან ცუდ საქმეს თუ დაინახავ, გულმა როგორც გითხრას, ისე მოიქეცი და ის შენი საქციელიც რასაც მოიტანს, მისი უკმაყოფილო ნუ იქნებიო. შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ისიც საფიქრალია, რომ იქნებ არ ღირდეს ადამიანის მოდგმა წესიერი კაცის ზრუნვად და არც ქვეყნის არეულ-დარეულ საქმეებში ჩარევა. ვინ იცის?.. რასაც ვლაპარაკობ, დაიხსომე ეს, მაგრამ იცოდე, თვითონ არ ვიცი, სიმართლე რაშია და სადაა. ფიქრი და გამოცდილება სჭირია ამას.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და აღარც მეგონა თუ როდისმე ვნახავდი. განგებამ თბილისის საგუბერნიო ციხეში ისევ შეგვახვედრა მრავალი წლის შემდეგ. ამაზე – როდისმე სხვა დროს იყოს.

## გრაფი სეგედი

... ათას რვაას ოთხმოცდაცამეტ წელს თუთაშხიას გვარი ჩრდილოეთ კავკასიის რამოდენიმე გუბერნიის საიდუმლო პოლიციის მასალებში ერთდროულად ამოტივტივდა. ამ ტერიტორიაზე მაშინ საკმაოდ ინტენსიურად ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა, შემოვიდა აგენტურული დასმენაც მისი უმაღლესობის, დიდი მთავრის მოკვლის განზრახვის შესახებ. ამას გარდა, ვიღაც ბოროტმოქმედებმა კავკაზსკაიაში მდიდარი ვაჭრის ოჯახი ამოწყვიტეს და დიდი თანხა გაიტაცეს. პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოსული გენერალი შანინი, მასალების შესწავლის შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედებდა კარგად კონსპირირებული პოლიტიკური ორგანიზაცია ბაზებით ამიერკავკასიაში, ანუ ჩემს კომპეტენციაში შემავალ ტერიტორიაზე, რომ თანხა ვაჭრის ოჯახიდან ტერორისტული აქტის დასაფინანსებლად გაიტაცეს და, რომ ყოველივე ამის მეთაური თუ არა, ერთ-ერთი მოთავეთაგანი მაინც, დათა თუთაშხია იყო. თვით საკითხას ასე დაყენება ჩემს წინააღმდეგ ბრალდების წამოყენებას ნიშნავდა, ხოლო თუთაშხიას ახალი კრიმინალური ამპლუა თითიდან გამონაწოვს ჰგავდა. ასე იყო თუ ისე, საჭირო ზომები უნდა მიმეღო, რადგან შეფი კატეგორიულად მთხოვდა ახსნა-განმარტებას – ერთი მხრივ, ხოლო როგორც ძირგამომთხრელი საქმიანობის ლიკვიდაციას, ისე თუთაშხიას ხელში ჩაგდებას – მეორე მხრივ.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩასატარებელი მუშაობის ერთ ნაწილს თუთაშნიას დანაშაულებითი ხელწერის განსაზღვრა-დაზუსტება შეადგენდა. ამიტომ პირადად გამოვითხოვე ჩეენს ხელთ არსებული ყველა მასალა და შევუდექი მის ანალიზს.

ჩემი ჩანაწერების საგანს ეს არ ეხება, მაგრამ გაკვრით მაინც აღვნიშნავ, რომ გენერალ შანინის დასკვნები ზერელე და უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჟანდარმერიის სამმართველომ საქმე, ბოლოს და ბოლოს, გახსნა. დიდი მთავრის მკვლელობის განზრახვა არ დადასტურებულა. ვაჭრის ოჯახის ამოწყვეტასთან პოლიტიკურ დანაშაულობათა დაკავშირების ცდა ჩაფლავდა და არც ამოწყვეტის მონაწილეებს და არც პოლიტიკურ დამნაშავეებს თუთაშხია საერთოდ არ სცნობიათ. სამაგიეროდ, თუთაშნიას მასალების შესწავლამ უფრო ახლოდან, უფრო მკაფიოდ დამანახვა ეს კაცი და ერთობ საინტერესო დასკვნებამდე მიმიყვანა.

პირველი და უმთავრესი, რაც თვალში მეცა და დამაბნია, ის იყო, რომ დანაშაულებრივი ხელწერა თუთაშხიას, შეიძლები ითქვას, საერთოდ არ აღმოაჩნდა. სხვა სიტყვებით: მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს შესრულების მხრივერთი რამ ხერხი, ჩვევა და, მით უმეტეს, სისტემა არ ახასიათებდა. ამდენად, რომელიმე "უპატრონო" დანაშაულის თუთიშხიაზე მიკერება ისევე ადვილი ჩანდა, როგორც თვით თუთაშხიასთვის ინკრიმინირებული დანაშაულის გასხვისება. მისი საქმე მრავალ სხვადასხვანაირ დანაშაულს შეიცავდა, მაგრამ ვერავინ გაიგებდა, რომელი იყო მართლაც მისი ჩადენილი და რომელი – არა. ჩემთვის კი აუცილებელ საჭიროებას წაომოადგენდა მისი კრიმინალური ტიპის, კრიმინალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენა. ამაში ეჭვებსა და ჰიპოთეზებზე დამყარებული მასალა ვერ გამომადგებოდა. ერთი თვის მუშაობის შემდეგ ჩემთვის მხოლოდ ის შეიქნა ცხადი, რომ მოქმედების რაიმე პროგრამა, მით უმეტეს, გარკვეული პოლიტიკური მრწამსი, თუთაშხიას არ ჰქონდა. ყველა მისი საქციელი აფექტის შედეგი იყო და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარეობდა. დავრწმუნდი, აგრეთვე, ერთ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო გარემოებაშიც: მისი პოპულარობა და გავლენა მოსახლეობაში უზომოდ დიდი იყო. ამ დონემდე ასული ავტორიტეტები სტიქიური არეულობის დროს ბრბოთა ბელადებად იქცევიან ხოლმე. მასალებიდან ჩანდა, რომ ხალხი თავისი გადაკარგული კერპის დაბრუნებას ელოდა და მოლოდინს არც მალავდა.

აქ უკვე გადამჭრელი ნაბიჯები იყო საჭირო. სხვა ზომებთან ერთად, მის დასაჭერად ხუთი ათასი მანეთი გამოვაცხადეთ. თუთაშხია თითქოს სწორედ ამას უცდიდა – ჯილდოს გამოცხადების დღიდან თვე არ იყო გასული, რომ დაბრუნდა და დაბრუნება სათანადოდ აღნიშნა: ანარქისტ ბუბუტეიშვილთან ერთად ფოთში მევახშე კაჯა ბულავა დაარბია.

მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო, თუ რამ იფეთქა ამ სახელიანი აბრაგის გულსა და გონებაში ისეთმა, რომ ძველებური ჟინით, გამჭრიახობითა და ენერგიით დაუბრუნდა საქართველოში საქმიანობასა და ცეცხლთან თამაშს...

**ნიკიფორე ბუბუტეიშვილი**
– ტერორისტულ აქტს ამზადებდა ვიღაცაზე ჩვენი ხალხი, ფული იყო საჭირო. სადმე სამი ათასი მანეთი იშოვნეო, მითხრეს. ფული ვიცოდი, სადაც იყო, მაგრამ სანდო კაცი მჭიროდა, ამფერ საქმეებში რომ გამოგადგებოდა, ისეთი. ავედი სამურზაყანოში, დათა თუთაშხია ვიკითხე ერთ კაცთან. ახალი დაბრუნებული იყო დათა მაშინ. ის კაცი ჩვენი კაცი იყო იქ, სამურზაყანოში, და დათას ამბავიც იცოდა. ჭალებში არის ახლა თავშეფარებული მეჯოგეებთანო. ასე, შვიდი-რვა წლის გაფირალებული იყო მაშინ დათა თუთაშხია.

კაცი იმისთვის მჭიროდა, რომ ფოთში მევახშე იყო ერთი – კაჯა ბულავა. მისგან უნდა მომეხდინა იმ სამი ათასი მანეთის ექსპროპრიაცია, მაგრამ, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვააო, და ესეც არ იყოს, მოხარშულს მიცნობდა მევახშე, თვითონ ვერ გავაკეთებდი ამ საქმეს. პოლიტიკა ისეთი რამეა, უბრალოზე არ უნდა ჩაჯდე კაცი. შენ თუ ჩაჯექი და კატორღაში ბორკილი ათროკიალე, იდეისთვის ობივატელმა იბრძოლოს, თუ? დათას პოლიტიკა და პარტიები არ წამდა, არ ესმოდა, პოლიტიკურად უსწავლელი და ბნელი კაცი იყო, მაგრამ მეფეს და ჟანდარმებს რომ ყველაფერი ჯობდა, ეს იცოდა კარგად. ძმადნაფიცი იყო ჩემი დათა თუთაშხია და უარს არ მეტყოდა, დარწმუნებული ვიყავი.

მივაგენი, ჯოჯუებში ელარჯს ჭამდა, არაყს შეექცეოდა და იყო ასე. მოვუყევი, რისთვისაც მოვნახე. რამდენია საჭიროო, მკითხა. სამი ათასი-მეთქი. ამდენი ფული სად უნდა ვიშოვნოთო, გაუკვირდა. მევახშის ამბავი ვუთხარი. მაგას ის ჯობია, ფოსტას დავეცეთო. ფოსტასთან და მის კაზაკებთან საქმის დაჭერა რაში მჭირდებოდა, მევახშე აგერ არ იყო?! დაიჟინა, ფოსტის გაძარცვა აჯობებსო. დიდი აგიტაცია მომიხდა, სანამ კარგად გავაგებინე მევახშის ამბავი, - წურბელა, ობობა, მახრჩობელა გველი და ყველაფერი რომ ერთად არის. გაგებით – გაიგო, მაგრამ მაინც – ფოსტასო! სხვა გზა არ იყო, ძმობა დავაფიცე. მჭირდები და ზურგი არ მიჩვენო-მეთქი, ნამუსზე შევაგდე.

ჩაიქნია ხელი, კაიო. ეგებ მე არ მესმის და მართლა რამე ეშველოს ამ გაჭირვებულ და დაბეჩავებულ ხალხსო, მითხრა. წამოვიდა.

ბუნაგი კაჯა ბულავას ფოთის განაპირა უბანში ქონდა. ბუნაგი იყო, აბა რა?! ნალია შელესა შიგნიდან და გარედან, შუაში ჭინჭი ჩამოკიდა. ჭინჭის იქით ექვსი შვილი და ცოლი ყავდა, ჭინჭის აქეთ – თვითონ და მისი ფულები. ფული შინ რომ ქონდა, ამას არ უნდოდა ლაპარაკი. ისეთმა კაცმა მომცა ის საქმე – ტყუილი არ იქნებოდა არაფრის დიდებით, მაგრამ სად და რომელ კუთხეში იყო დამალული, ამის გამოცნობა ეშმაკს გაუჭირდებოდა. შეშინება იყო საჭირო. შეშინდებოდა და იტყოდა, აბა რა!

იმდენად ძუნწი იყო მევახშე, ძაღლიც არ ყავდა. გადავედით ღობეზე. მთვარე ანათებდა. მსხლის ძირში ღორი ება და ღრუტუნებდა თავისთვის. ამოვიღეთ მაუზრები, მივეპარეთ კაჯაია ბულავას ნალიას. ერთადერთი სარკმელი ქონდა, ღია იყო და იქიდან სიმყრალე გამოდიოდა, კინაღამ წაგვაქცია ორივე. მივაყურეთ. ბავშვები ჭინჭის იქით სხვადასხვანაირ ხმაზე ფშვინავდნენ. თვითონ კაჯა ჭინჭის გადმოღმა იყო, ჭრაქს მიჩერებოდა. ნეკი თითი ცხვირში ქონდა და ფიქრობდა. რაზე იფიქრებდა, წუპაკი მამაძაღლი – სესხზე სამჯერ უძვირესი ნივთი, ალბათ, გირაოდ წაართვა ვინმეს და იმას თუ ნატრობდა, ერთ დღეს მაინც გადააცილებდეს მევალე სარგებლის მოტანასო.

წავიხვიე პირზე ყაბალახი, გადავყავი სარკმელში მაუზერი, – ადექი, კარი გააღე-მეთქი. კაი სანახავი იყო, მართალი უნდა თქვას კაცმა: ასე განაბული მწყერზე წამდგარი ძაღლი არ მინახავს. თითი ისევ ნესტოში ქონდა შეკვეტებული და იყურებოდა ლულაში. გავაჩხაკუნე იარაღი. იცოცხლე, იმან წამოხტომა და კარის გაღება იკადრა. შევიდა დათა, ისევ ჯორკოზე დასვა კაჯაია ბულავა, მოიხადა ნაბადი, მიაყუდა კუთხეში, ამოიღო მეორე მაუზერი, ორივე წინ დაიდო მაგიდაზე და მიაჩერდა მევახშეს. სანამდე ასე ღომის კაკალივით დაბნეული და გამოშტერებული იყო კაჯაია ბულავა, მანამდე უნდოდა დაჭირება, თორემ გონს რომ მოვიდოდა, მერმე ვის რას მიცემდა? არ დაადგა საშველი დათას არ ამოიღო ხმა; დაიწყო კედლების თვალიერება, ჭერის თვალიერება და, რა ვიცი მე... მივაშვირე მევახშეს მაუზერი და,

– ამოალაგე ფულები-მეთქი, დავუსისინე! მოიხედა კაჯა ბულავამ, გაიცინა, – სად მაქვს მე უბედურს, ფულებიო. ფულები მქონდეს, ნალიაში რა მინდაო, და სხვა მისთანები. მივხვდი, გონს მოვიდა მევახშე და ახლა უარესად უნდა მივწოლოდი. ამოალაგე ფულები, თვარა, გაგისტუმრებ საიქიოს, შე წურბელა-მეთქი, მივაყვირე, სასროლი დავუმიზნე და ფეხს დავაწექი. არ მომკლაო, დაიჩურჩულა, დიდი ზანდუკი იდგა, ახადა თავი იმას: დაიწყო უნაგირების, ჩოხების, ჩაქურების, ხმლების, ქალამნების, ხანჯლების ამოლაგება – მთა დააყენა! ჩამოჯდა ჯორკოზე, ეს არის ჩემი ქონებაო, თქვა და გაინაბა. ადექი,

ზანდუკში ჩაიხედე-მეთქი, ვანიშნე დათას. ადგა დათა, ჩაიხედა ზანდუკში, დიდი დავთარი ამოიღო იქიდან, ისევ მაგიდას მიუჯდა და გადაშალა. ქვეყნის თამასუქებით და საბუთებით იყო დავთარი სავსე. აგერ მომეცი-მეთქი. დახურა დათამ დავთარი და გამომიწოდა.

იყვირა მევახშემ:

– გოჯაბა, ცაბუ, ბიკი, კიკუ, ცუცუ, დომენტი!.. წაიღეს ჩვენი თამასუქები ყაჩაღებმა ვაა-ვა, შვილებო! ვაა-ვა!

გამოწოდებული ხელი ჰაერში გაუშეშდა დათას. მართალი თქვას კაცმა, მეც არ მოველოდი ამხელა ყვირილს. დავიბენი, პაწა. გადაიწია ჭინჭი, გამოსხდნენ ბავშვები შაშვის ბარტყებივით, აკივლდნენ – გაძვალტყავებულები, ყვითლები. იქ ამბავი დატრიალდა – გატრეტილი, მთვრალი სურებლები რომ ხასანბეგურას იტყვიან – ისეთი!.. დაინახა კაჯა ბულანამ, გავფუჭდით კაძახები. დაწვა იატაკზე, დაიწყო ფეხების დრიგინი და "ვაა-ვას" ყვირილი უარესად, ეშმაკის ფეხმა. ამასობაში, პატარა ჭიშკარი ქონდა ეზოს, იმის ჭრიალი გავიგონე. მივხვდი, კაჯაიას ყვაყვა ბრუნდებოდა პორტიდან. იმხელა ფულის პატრონი, ცოლს, ექვსი შვილის დედას, სადღაც, კანტორაში იატაკებს ახეხიებდა კიდევ. ქალთან, ექსპროპრიაციისას, მტერმა და ოხერმა დაიჭირა საქმე. მისი კივილი და გაწევ-გამოწევა აკლდა იქაურობას?! გავიქეცი ჭიშკრისკენ, ღორი რომ იყო დაბმული იმ მსხლის ძირში შევეყარე ქალს, მივაშვირე მაუზერი. ჩაუვარდა დედაკაცს ენა, ნალიაშიც მიჩუმდა ყველაფერი. გამიკვირდა ძალიან – რა ქნა და რა უთხრა დათამ იმისთანა იმ აწრიალებულ ხალხს, აქამდე არ ვიცი! რა მექნა აწი ამ აშარი დედაკაცისთვის?! საქნელი დროზე უნდა მექნა, თვარა, გონს მოვიდოდა და ისეთ დღეს დააწევდა, გასაქცევად შეგვექნებოდა საქმე. ხილაბანდებით ქონდა თავი წაკრული, მოვხადე. ერთი დავკუჭე და პირში ჩავტენე. მეორეთი ტუჩები წავუკარი. ახლა? შემოვიხსენი ქამარი, ხელები ზურგზე გავუკოჭე და მსხლის ძირში მივაგდე. ღორი რომ იყო დაბმული, ავუშვი ის ღორი – გამხდარი, ძვალი და ტყავი ღორი იყო – ის ჯაჭვი ხელებზე დავადე ქალს. დაწექი-მეთქი. დაწვა. ღრუტუნი არ გავიგონო, თვარა, მაგ ღორის ნეხვზე დაგაკლავ-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი ჩემი სარკმლისკენ. ჩუმად მივეპარე სარკმელს, ბნელში გავჩერდი, ვიფიქრე, ბავშვებმა არ დამინახონ, თვარა, ისევ კრიმანჭულს დაცხებენ-მეთქი. მივაყურე. კაჯაია ბულავა და დათა თუთაშხია, წირვის მერე ქალები ორღობეს რომ გამოუყვებიან და ჭორაობენ, ისე მუსაიფობენ, სწორედ:

– აგერ, მარტო ამ თამასუქებში ასი ათასი დავითვალე უკვე. დამპალ ნალიაში რომ გიზის შენი სისხლი და ხორცი...

– დათა-ბატონო, მეც აგერ არ ვარ, ამ ნალიაში? – მოუჭრა მევახშემ.

– მაგას ვამბობ სწორედ. ახლა, დაჯექი აგერ და ნუ იყვირებ ტყუილად, შენი ყვირილის კაცს არ ეშინია!

იცოდა მევახშემ, არა კაცს რომ არ ეშინოდა, მაგრამ დათა ვერ მიხვდა: თავის შესაცოდებლად იყო, რომ ყვიროდა.

ადგა მევახშე, მიუჯდა მაგიდას.

დათამ ხანდისხან ისეთი ლაპარაკი იცოდა, რაშიც გინდა, იმაში დაგარწმუნებდა. ელაპარაკოს, ვიფიქრე, პატარა ხანს, ეგებ გახდეს რამეს და უდავიდარაბოდ მოგვცეს ფული მევახშემ.

– მითხარი, ახლა რომ გეკითხები, – აუხირდა დათა. – ამ სოროში თუ გამოახრჩობ შვილებს, ფული რაღად გინდა მაშინ?

მოაწვა ნალიას, მე რომ მსხლიდან ღორი ავუშვი, ის ღორი, შემოაღო კარი და უღლიანად შემოვიდა შიგ. კაცს ხმა არ დაუძრავს მისთვის. დატრიალდა ღრუტუნ–ღრუტუნით, რაღაცის თლაფვა დაიწყო ძირიდან.

– ასი ათასი რა ფულია, დათა-ბატონო!.. აგერ, პორტში რომ სიდოროპულო-ბერძენია, გეცოდინებათ, ალბათ... – კაჯაიას უფროსი გოგო ღორს გაუჯავრდა მიუბრუნდა გოგოს მამამისი: – იყოს აქ. ნახავს რამეს, ნამცეცი იქნება, შეჭამს... დათა-ბატონო, სიდოროპულო-ბერძენი გეცოდინებათ, ალბათ. იმ ბერძენს ერთი მილიონი ასრულებული აქვს უკვე და მეორე დაიწყო კაი ხანია. ფულმა ფული უნდა მოიგოს.

კაჯაია ბულავა კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ დათას მისთვის ყური აღარ დაუგდია, ფიქრობდა. მერმე, როცა მევახშე გაჩუმდა მიაშტერდა თვალებში და ჩაილაპარაკა:

– დაუღუპიხარ ფულს, კაჯაია-უბედურო! – კიდევ ჩუმად იყო დათა პატარა ხანს და დაუმატა: – ნავთი თუ გაქვს?

– ნავთი? ნავთი სად მაქვს, დათა-ბატონო, ნავთი მდიდარი კაცის საქმეა...

– კაი. მითხარი, აბა: რომ გაჩნდეს ცეცხლი შენს ნალიაში და რომ დაიწვას ყველაფერი – ეს უნაგირები და ჩოხა-ჩაქურები, ეს ქამარხანჯლები, ეს თამასუქების დავთარი და ის ფულებიც რომ დაიწვას, სადღაც აქ შენახული უეჭველად რომ გაქვს, მითხარი, თუ კაცი ხარ, რას იზამ მერე?

კაჯა-მამაძაღლს ფერი წაუვიდა, დედას ვფიცავარ, სიმინდის ნაქუჩივით გაფითრდა და კინაღამ გადავარდა ჯორკოდან.

– ფუ ეშმაკს! – თქვა და კაი წმინდანივთი პირჯვარი გადაიწერა. – სადღაა ჯანი, დათა-ბატონო, რაც მე ამ ფულისთვის გავიტანჯე, მეორედ ვეღარ ავიტან იმდენს!

– თავიდან დაიწყებ ფულის გროვებას? – სიცილი აუვარდა დათას.

– ნავთი რომ მკითხე... ბოროტს ნუ ჩაიდებ გულში, დათა-ბატონო, შვილებს ნუ დამიმშევ!

იმ ბავშვებს თუ შიმშილი აკლდა და, რა ვიცი მე.

– არ ყოფილა შენი საშველი, საწვალებლად მოსულხარ ამ ქვეყანას. კაი, ახლა, კაჯაია-უბედურო, ფული გვჭირია. რომ წაგართვა, მოკვდები და კაცის ცოდვა არ მინდა დავიდო. მასესხე სამი ათასი. დაგიბრუნებ, თუ კაცი ვარ.

მევახშემ, მასესხეო, რომ გაიგონა, ისე გაუხარდა, ვითომ იქით ჩუქნიდა ფულს დათა თუთაშხია.

– მქონდეს, დათა-ბატონო, სესხება რა საკადრისია, ისე მოგართმევდით. თქვენისთანა ადამიანის სიკეთე დამეკარგებოდა, თუ?!

– დათა თუთაშხია, – გადავულაპარაკე სარკმლიდან, – გირაო დაუტოვე, გირაო, და თამასუქის მიცემა არ დაგავიწყდეს, თუ კაცი ხარ!

ვერ მიხვდა დათა ჩემს ნათქვამს, გაუკვირდა, დაყვლიპა თვალები, შემოაშტერდა სარკმელს.

– შე გლახაკო, მაგის ფასი გირაო მქონოდა და ამ სოროში გამოგახრჩობინებდი, სწორედ! – მითხრა დათამ და კაჯაიას მიუბრუნდა ისევ.

მომბეზრდა ეს გაუთავებელი მუსაიფი და არც დათა ჩანდა იქიდან ფულის გამომტანი. შემოვუარე ნალიას, შევვარდი შიგ და დავაყარე კაჯაია-მევახშეს ფეხებში ტყვია:

– ამოიღე ფულები, თორემ დაგაცივე მიწაზე, შე წუპაკო მამაძაღლო, შენ!

ბავშვები მამამისის ტახტზე რწყილებივით შეხტნენ და მორთეს კივილი. ღორი კარს ეტაკა, გაარღვია, მაგრამ უღლიანად ვერ გაეტია ნარღვევში, გაეკვეტა. ჭერში ქათმები აკაკანდნენ. დაიწყო ნალიამ ზანზარი და ქანაობა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ახლა დამემხობა თავზე და დამიტანს-მეთქი, მაგრამ სად იყო ფიქრის დრო... ვწყვიტე და ვწყვიტე მევახშეს მაუზერის ტარი ფერდებში და ღრანჭებში. იკადრა ადგილიდან დაძვრა, გადმოწია ცარიელი ზანდუკი, რაღაც ახადა იატაკს და, ჭურის სარეცხავად გადაყუდებული კაცი რომ მინახავს, ისე დაიკარგა წელს ზევით.

– ჩქარა, ჩქარა, კაჯაია-მევახშე! – მივაყვირე და სახალისოდ წიხლიც დავაყოლე ერთი-ორი.

შევხედე დათას, – კაჯაიას მკივან ბავშვებს მიშტერებოდა აბდალივით, კაცის ფერი აღარ ქონდა. ბავშვები მგლის ლეკვებივით წამომსხდარიყვნენ ტახტზე და კაი რომ ჩვენი იარაღი აკავებდათ, თვარა ნაჭერ-ნაჭერ შეგვჭამდნენ ორივეს.

წავავლე წვივში ხელი მევახშეს..

– აეთრიე, ამოიღე ახლა, თორემ გაგხევ მოხარშული ქათამივით!

ადგა. არც მკვდარი იყო, არც ცოცხალი. კაი მოზრდილი ქისა ეკავა. წავგლიჯე ხელიდან.

– ჩემი ყვაყვა ყოფილიყო აქ – რაღაცას წაიღებდით, დავინახავდი იმას! – ამოიოხრა მევახშემ.

– შენი ყვაყვა მსხლის ძირში, აგერ, იმ ღორის მაგიერ მყავს დაბმული! – ვუთხარი მე.

– უჰ! – დაიძახა დათამ, ეს რომ გაიგონა. ამოხტა, დაავლო ხელი ნაბადს, ეცა კარს, მაგრამ ღორი რომ იყო გაჭედილი, ვერ გადაიარა კარი. აქეთ ეცა დათა, იქით ეცა – ღორს საშველი ვერ დააწია. მაშინ წაკრა კარს წიხლი, გაამტვრია, გავარდა ღორი და მიყვა დათა.

– რამდენია ამ ქისაში? – ვკითხე მევახშეს:

– ხუთასი თუმანი... თქვენ სამასი არ თქვით?

გამეცინა.

ნუ გაიცინებ, თუ კაცი ხარ!..

გამოვნასკვე ქისა, ჩავიდე უბეში და ამ დროს იკივლა მსხლის ძირში ჩემმა დაბმულმა კაჯაიას ყვაყვამ. კაჯაია ტიროდა. ბავშვებმა ყვაყვას კივილი რომ გაიგონეს, მთლად გადაირივნენ.

მსხალთან რომ მივირბინე, კაჯაია-მევახშის ყვაყვა კიოდა – ცა ძირს ჩამოქონდა! დათა ღორის ჯაჭვს ექაჩებოდა, ვერ გაეხსნა, ალბათ, თვითონ ყვაყვა არ აცლიდა ახსნას და მოგლეჯას ცდილობდა დათა. მთვარის სინათლეზე, ღობის გაღმა, აქა-იქ ვიდაც-ვიღაცეები დავინახე. არ მომეწონა ეს...

– წამოდი აწი! მოინახება მაგის ამშვები! – ვუთხარი დათას, მაგრამ არ დაანება თავი.

– ვაა ვა! წაიღეს ყაჩაღებმა ჩემი სარჩო-საბადებელი! – ყვიროდა ნალიასთან კაჯა ბულავა. – დაიჭირეთ მოკალით! მაგი დათა თუთაშხიაა, დათა თუთაშხიაა! ვინც მაგის თავს მთავრობას მიუტანს, ხუთი ათასი მანეთია, ვაა-ვა!..

ეს რომ დაიძახა მევახშემ, ღობის იქით თითო-ოროლა ხალხი რომ იყო, ისინიც სადღაც მიიმალნენ.

მოქაჩა დათამ ჯაჭვს კიდევ და კიდევ, მოგლიჯა, როგორც იყო.

გავიქეცით გზა-გზა. ვინ დაგანება თავი! გამოგვეკიდა კაჯაიას ყვაყვა, ზურგზე ჩემი ქამრით ელებგაკოჭილი, რიყეზე ღორის ჯაჭვს მოახოკიალებდა და კიოდა.

მივბრუნდი, ვისროლე ჰაერში ორი ტყვია. დაგვანება თავი, მაგრამ კივილით, უარესად აკივლდა.

– დათა თუთაშხია! მაგ ფული გასესხე მე გასესხე! – ყვიროდა კაჯა ბულავა. – მთხოვე და გასესხე! უნდა დამიბრუნო, თუ სინდისი გაქვს! გასესხე!

– კაია, ქე მაინც სარგებელს რომ არ გთხოვს, – ვთქვი მე.

გავედით სამშვიდობოს, შევჯექით ცხენებზე და დათა თუთაშხია მელაპარაკება:

– გითხარი მე შენ, ფოსტაზე დაცემა აჯობებდა!

არა, ისე, არ მოვიქეცი სწორად, თვითონ რომ შევედი ნალიაში, მაგრამ არ გამოდგა დათა თუთაშხია და რა მექნა აბა?!

ორი წლის მერმე ჩვენი ხალხი ჩავარდა სხვა საქმეზე და გაასამართლეს ექვსი კაცი. ჟანდარმერია მეძებდა მაშინ, პროცესზე ფეხს რა დამადგმევინებდა. მაგრამ სხვებისგან გავიგე ყველაფერი. სასამართლოზე თურმე ისიც გამოირკვა, რომ ის ტერორისტული აქტი, მე და დათამ რისთვისაც წავართვით ფულები კაჯაია ბულავას, არ შემდგარა. ჩემი მიტანილი ფული პარტიას ემიგრაციაში მყოფი ხალხისთვის გაუგზავნია და მეფის სატრაპებმა სასამართლოზე ისე დახატეს საქმე, ვითომ, ემიგრანტებს ის ფულები ქალებში დაუხარჯავთ და კარტში წაუგიათ. მეც მომცხეს ჩირქი, ბულავასგან წაღებული ხუთასი თუმნიდან, პარტიას ოთხასი ჩააბარა და ასი თუმანი მიითვისაო. ანარქისტებმა სამასის შოვნა დამავალეს, ოთხასი მივიტანე და გაქცეული, დევნილი ტერორისტი კაცი ას თუმანს დავიტოვებდი, აბა, რა იქნებოდა! ხომ უნდა მეჭამა, ჩამეცვა და დამეხურა რამე.

დათა თუთაშხიამ ის თუ არ იცოდა, ჟანდარმერია და პოლიცია რომ განგებ ცხებს პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩირქს და ტყუილებს უგონებს ხალხში სახელის წასახდენად, ის მაინც უნდა ცოდნოდა, არალეგალურ ცხოვრებას რომ დიდი ხარჯი აქვს. შემხვდა იმ პროცესის მერე და რაცხა ცალი ყბით მომცა სალამი. ვკითხე, ხომ არაფერი მიწყენინებია-მეთქი? არაო, გაჩუმდა ჯერ და რომ ჩავაცივდი, მაშინ მითხრა: არ ყოფილან თქვენი კაცები კაი კაცები და არც შენ ვარგებულხარო. არ დამიჯერა არაფერი.

რას იქმს კაცი. პოლიტიკურად მოუმზადებელი ადამიანი იყო. წიგნი და კითხვა უყვარდა, მაგრამ სულ ისეთს კითხულობდა, ტვინს რომ ამახინჯებს და ანაგვიანებს. ბრძოლას თავისი დანაკარგები აქვს, – დავკარგეთ დათა თუთაშხია. არც ერთ პარტიას აღარ გაკარებია მერე, თავისთვის იყო მარტოდ ბოლომდე.

**გრაფი სეგედი**

...თვით მოხელე და მისი ერთი სამსახურიდან მეორეში გადასვლა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არც ერთი დიდი თანამდებობის პირის ყურადღება არ მიუპყრია, მაგრამ სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მუშნი ზარანდიას სახელმა ლაღუმივით იფეთქა და, აი, როგორ:

ზარანდიას, როგორც ჟანდარმერიის უმცროს მოხელეს, გამოსაძიებლად ჩააბარეს ერთი კონდტრაბანდისტის საქმე. ზარანდია მარტო ამას როდი დასჯერდა. მან ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიას წარუდგინა ხუთი ტომი, რომელიც შეიცავდა გასაოცარი სიზუსტით დამუშავებულ მასალებს ბათუმიდან ტუაფსემდე მოქმედი კონტრაბანდისტული ბანდების საქმიანობაზე და ამ ბანდებთან დანაშაულებრივ ურთიერთობაში მყოფ სახელმწიფო მოხელეებზე. საქმე არა მარტო ფაქტებით ამხილებდა ორმოცდაათამდე კაცს, არამედ ყოველი მათგანის დანაშაულზე წასწრების საშუალებას და ამ ბანდების ერთი დარტყმით შეპყრობის შესაძლებლობას იძლეოდა. გამოსაძიებელი, თითქმის, აღარაფერი რჩებოდა. თამამად შეიძლებოდა ორმოცდაათივე დამნაშავის პირდაპირ სასამართლოში მიყვანა. ზარანდიამ გაითვალისწინა ზოგიერთი დამნაშავის პირადი, თუ ნათესაობრივი ურთიერთობები თბილისში მყოფ გავლენიან პირებთან და ასეთებს ოსტატურად აუარა გვერდი. ამით მან იმას მიაღწია, რომ მცირედი ყოყმანის შემდეგ საქმემ მსვლელობა მიიღო და ოპერაციის ჩატარება თვით მუშნი ზარანდიას მიენდო. ორი კვირის შემდეგ ფოთის, ბათუმისა და ქუთაისის სატუსაღოებში გვყავდა დანაშაულში მხილებული ყველა პირი უკლებლივ და კიდევ სამი კაცი, რომლებიც

შეეცადნენ ზარანდიას მოსყიდვას ათი ათას მანეთად ოქროთი. ესენი ზარანდიამ თვითონვე დააპატიმრა.

ამისთვის ზარანდიამ უფროსი გამომძიებლის თანამდებობა მიიღო, ხოლო კავკასიის მეფისნაცვალმა პეტერბურგის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ჩინისა და ორდენის გამო. სანამ პეტერბურგიდან წარდგინების პასუხი მივიღეთ, მუშნი ზარანდიამ გაცილებით რთული და მნიშვნელოვანი ოპერაცია განახორციელა და ისეთივე წარმატებით, როგორც წინა შემთხვევაში. ამჯერად მან გამოიკვლია და ზუსტად დაადგინა გზები, რომლებითაც უცხოეთიდან კავკასიაში არალეგალური ლიტერატურა შემოდიოდა, დააპატიმრა შემომტანები და უვნებელჰყო რამდენიმე არალეგალური ჯგუფი კავკასიის სხვადასხვა ქალაქში. ყოველივე ეს ზარანდიამ ფანტასტიკური სისწრაფით შეასრულა და მახვილგონიერი ხრიკებისა და სამძებრო საქმეში ახალი მეთოდების დამნერგავის სახელი დაიმკვიდრა. ამჯერად ზარანდიას დაწინაურება-დაჯილდოებაზე პეტერბურგმა თვითონ იზრუნა.

ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს, ანუ თუთაშხიას აბრაგობის ათი წლის და მუშნი ზარანდიას სამძებრო-საგამომძიებლო სამსახურში ყოფნის ხუთი წლისთავზე, ჟანდარმერიის სამმართველოსთვის ანონიმური წერილის მეშვეობით ცნობილი შეიქმნა, რომ მოუხელთებელი აბრაგი და აღზევებული ჟანდარმი მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ. ამ ცნობამ ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია და მესამე განყოფილებამ საგანგებო დავალება მიიღო, მუშნი ზარანდიას მოღვაწეობაზე მოკვლევა ჩაეტარებინა. მოკლევამ ცხადჰყო, რომ მუშნი ზარანდია, დღიდან აქციზის მოხელედ სამსახურისა, თავის აბრაგ ბიძაშვილთან რაიმე ურთიერთობაში შემჩნეული არ ყოფილა...

**მოსე ზამთარაძე**

– ერთხელ კეტებით გაგვლახეს ეს ორი სახელიანი აბრაგი. ნამეტანი დაბეგვილები დავრჩით. მე ფეხი მქონდა მოტეხილი, დათა თუთაშხიას – კისერი გაშეშებული და იარაც გაუმიზეზდა მკლავზე. ათ დღეს ცხენებზე ვერ შევჯექით ვერც ერთი. გასული კაცი ექიმთან მიხვალ თუ საავადმყოფოში დაწვები? ან სად იყო იქ და იმ დროში საავადმყოფოები.

მისი ბრალი იყო, რომ გაგვლახეს. კაცი თვითონ არის დამნაშავე, თუ მოუვა რამე. ამაზე ანდაზაც არის ერთი, ეეე... გადამიხტა გონებიდან. ის ანდაზა ვითომ სულელ კაცებზეა ნათქვამი, მარა ჭკვიან კაცებს უფრო ემართებათ ისე. ზოგჯერ მოწყვება საქმე – არ ჩაერიო – არ შეიძლება. ჩაერევი და გაილახები და გვერდში ვინც გყავს, ისიც გაილახება.

ფირალი კაცისთვის ზამთარია ძნელი. საირმის ტყეებში მასპინძელი მყავდა, მასთან ვაპირებდი გამოზამთრებას. დათა თუთაშხია წავიყვანე თან, – საირმეზე არ ვყოფილვარო. ავედით. დავმალეთ ჩვენი იარაღი შორიახლოს, თითო რევოლვერი დავიტოვეთ მარტო. მივედით მასპინძლისას, სეთური იყო გვარად. მარტო ცხოვრობდა. ოჯახი ქუთაისში ყავდა. ერთგვარი მიწა იყო იმ ადგილებში, – მუშებს ათხრევინებდა იმ მიწას, არჩევდნენ, რეცხდნენ, აშრობდნენ და ქუთაისში ჩაქონდათ საპალნეებით და ურმებით. ინგლისელები ყიდულობდნენ იქ. ნავთის, წყლის და მისთანების ამოღებაში ყოფილა გამოსადეგი. კაი გვარიან ფულს აკეთებდა. ადრე მასთან ერთი ზამთარი მქონდა გატარებული. მაშინ სამი მუშა ყავდა, მეოთხე თვითონ იყო, თვითონაც თხრიდა იმ მიწას. რომ მოვდიოდი, მითხრა სეთურმა, კიდევ მესტუმრეო. დიდი ყაჩაღობა იყო იმ ხანებში, სახელისთვის ჭირდებოდა

ჩემი სტუმრობა, სხვები აღარ დამეცემიანო, თვარა, სხვაფრივ?! ქონდა, ალბათ, დასაცემი და გასაძარცვი. დათას ვინაობა არ გამიმხელია, სხვა გვარით გავაცანი, თვითონ დათამ ინდომა ასე:

– ქვაზე მაგარია კაცი, თუ არ იცის საიდუმლო. გაიგებენ, სეთურისას უზამთრია თუთაშხიასო. დაცხებენ სეთურს, ათქმევინებენ, კიო. კიო, და ჩააგდებენ საპყრობილეში! ფორიად და ჩაჩავად თუ ვეცოდინები, დააჟინდება თავისას, ფორია იყო, თუთაშხიასი არ ვიცი არაფერიო, და დააჯერებს მათაც. ამოკრავენ პანღურს, გააგდებენ.

ფორიად გავაცანი სეთურს დათა. შეგვიპატიჟა. იქ თაბაგარი დაგვხვდა ერთი, – ჩემი მარჯვენა ხელიაო. მედავითნედ ყოფილა წმინდა კვირიკეში. წაიკოჭლებდა პატარას და, ბოდიში ამ სიტყვისათვის, მისთანა ცინგლიანი და გაუშრობელი ცხვირი მეორე არ მინახავს არსად. მის შემაცქერალს საჭმელზე არ მიმივიდა გული. პირველად რომ სეთურისას ზამთარი ვიზამთრე, ეს თაბაგარი არ ყავდა მაშინ. მერე მოუყვანია.

გააწყო თაბაგარმა სუფრა, მოიტანა ყველაფერი და ფეხზე იდგა, სანამ სეთურმა არ უთხრა, დაჯექი ახლაო. რა ხმაზე ლაპარაკობდა ის მარჯვენა ხელი, ვერ გავიგონეთ კაი ხანს, კრინტი არ დაუძრავს იმ ღამეს. ცოტა ხანი გავიდა და სეთურმა გვითხრა, – თაბაგარს კაკო ქვიაო, და სახელები თუა რამე ქვეყანაზე, ქალის იქნება თუ კაცის, ღმერთის სამსახურში აქვს ნასწავლი, ყველა იცის და ისიც იცის, რომელი საიდან წარმოდგებაო. ამაზე, ოჯახში რომ მიხვალ სტუმრად და ბავშვს რომ ეტყვი, რამისილამაზე ხარ, შენ დაურჩი დედაშენსო, და ბავშვი რომ დაირცხვენს, თაბაგარმა სწორედ ისე ქნა: დაბერა ტუჩები, ჩაღუნა თავი, დაირცხვინა და დაიწყო თითების ერთმანეთში ხლართვა. ასე მოკრძალებულად და მორცხვად იყო სულ. ერთი კია, სუფრას ქორივით დასტრიალებდა, ჩიტის რძეს არ გვაკლებდა. კოჭლი იყო, ტანმორჩილი, უზომოდ მსუქანი და მაინც ძალიან მარდად აუდიოდა ყველაფერს.

მოვრჩით ვახშამს. ოთახი მოგვიჩინა სეთურმა, იყავით, სანამდე მოგბეზოდებათო. შეგვპირდა, – დედაბერს მოგიყენებთ, გემსახურებათო.

დავწექით, გვეძინა ერთხანს. ჯერ ღამე იყო კიდევ და ეზოში ზარს დაუწყეს რეკვა. მისთანა ალიაქოთი ატეხეს, კაცს ეგონებოდა, იწვის იქაურობა, აპა, ჰე, თავს უშველეთ როგორმეო! გამოგვეღვიძა და ვეღარ დავიძინეთ. ისაა ადგომას ვაპირებთ, გავიგოთ ერთი, რა მოხდაო – მოაკაკუნა ვიღაცამ. შემოვიხმეთ. გაიღო კარი, დაკონკილი დედაბერი შემოვიდა. წელკავი ქონდა თუ სიბერით იყო მოხრილი, არ ვიცი, მარა მეტი მოკუზვა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. მაინც ყოჩაღად შემოვიდა, ნამეტანი ყომაღად. იმას რა გამართავდა და გაიმართა წელში, რამდენიც შეძლო. წაიღო გაშლილი ხელისგული შუბლისკენ. კარგად გაწვრთნილი სალდათივით მოგვესალმა, მოგვახსენა რაღაც. ნახევარიც ვერ გავიგეთ მისი ნათქვამი. არც ერთი კბილი არ ქონდა, საცოდავს. გაათავა ჩიფჩიფი, ჩამოიღო ხელი, დადგა სმენაზე.

კაი ხანს ვერ დავძარით ენა ვერც მე და ვერც დათამ.

– საჭმელიო, მგონია, და კიდევ, ხელ-პირის დაბანას ამბობს, - გადაველაპარაკე დათას.

ისევ დააპირა დედაბერმა მოხსენება. გააჩერა დათამ, ჩავიცმევთ და მერე მობრძანდიო, უთხრა.

წავიდა. გადავხედეთ ერთიმეორეს და დავიწყეთ ჩაცმა.

– ვინ იყო და რა იყო ეს ქალი, მოსე-ჩემო, რას იტყვი შენ? – მკითხა დათამ.

– ვინ იყო და, დედაბერს მოგიყენებთ და გემსახურებათო, სეთურმა რომ გვითხრა, ის დედაბერია, ალბათ. სხვა ვინ იქნება?.. კი მარა, მაინცდამაინც გადარეული რომ მოგვიყენა, რაო, ვითომ!

– არაა ეგ ქალი გადარეული. გიჟების ამბავი ვიცი მე.

– გიჟების ამბავი?

– კი ვიცი. გიჟებთან ლაპარაკი მიყვარს მე. ხანდახან ისეთს იტყვიან, იცოდე შენ, ბრძენისგან ძვირად გაიგონებ მისთანას. არაა მაგ ქალი გიჟი. რაღაც სხვა ამბავია აქ... რა მინდოდა, მეთქვა: წუხელის

სეთურისას კაი მაგარი მთვრალი იყავი და არ გახსოვდეს, იქნება. ამ ჩვენს მასპინძელს მანამდეც და გუშინაც აბელს უძახდი შენ. აბელია მართლა თუ სხვა ქვია რამე?

– აბელია, შე კაცო, გამოთაყვანებული კი არ ვარ!

– აბელი თუა, რატომ შემოგაპარა ორჯერ, არქიფო მქვიაო?

– არქიფო მქვიაო?!

მეც გამახსენდა, მართლა შემომაპარა, მერე აბელი და არქიფო ერთი ჭირია-მეთქი, ვიფიქრე. როგორც მოეხასიათებოდა სეთურს, ისე დავარქმევდი და ამის დარდს არ ავყოლილვარ დიდად.

ამ ლაპარაკში ჩაცმა დავასწარი დათას. ფანჯარასთან მივედი, გადავიხედე. ეს ვაი-უშველებელი რომ ატეხეს და ქათმებივით უთენია წამოგვყარეს, რისი იყო, მინდოდა გამეგო რამენაირად. პირდაპირ მინაზე მისვლა აბრაგის წესი არ არის – შორს დავდექი ფანჯრიდან და ისე გადავიხედე ეზოში. არაფერი, ერთმა კაცმა გადაიარა და მიწურში შეძვრა მგელივით. ბნელოდა, თოვლი რომ არ დებულიყო, ვერც ამას დავინახავდი. ფანჯრის წინ აივანი გვქონდა. ჩვენი ოთახის კარიც აივანზე გადიოდა. დედაბერი ამ კარებთან ატუზული დავინახე. მივჩერებივარ და ვფიქრობ, – რომელი გენერლები ჩვენ ვიყავით და რომელი ფელდფებელი მაგი იყო, სალდათურად რომ მოგვესალმა-მეთქი... ამ დროს დახრა და დაკუზვა მას არ ჭიროდა და, კარის ჭუჭრუტანას მოუმარჯვა თვალი. არის ასე და ათვალიერებს ჩვენს ოთახს. აფაცურდა რაღაცაზე, მივხვდი, მარტო დათას ხედავს და უკვირს, ალბათ, მეორე სად გაქრა, ნეტავიო. ისიც იფიქრა, ეშმაკმა-მამაძაღლმა, ფანჯარასთან ხომ არ დგას ის მეორე და ხომ არ მხედავს, ჭუჭრუტანაში რომ ვიყურებიო. ერთი ამოხედვა ამოხედა ფანჯარას, მარა ვერ დამინახა, შორს ვიყავი გაჩერებული. ვანიშნე

დათას, მივეპარე კარს, ყურთამდე გამოვაღე უცბად. ამას აღარ მოელოდა დედაბერი და რანაირადაც იყო წაკუზული ჭუჭრუტანასთან, ისე დარჩა ღია კარში.

– გაიმართე აწი, დედიკო, და შემოდი შიგ, – უთხრა დათამ.

შემოვიდა, შემოიხურა კარი.

– სხვის ოთახში ჭვრიტინი სადაური წესია, ბიცოლა! – ვუსაყვედურე მე.

– სადაური წესია და აქაური წესია!

უყურე შენ ამ კუდიან დედაბერს, რაფერ გამართულად თქვა ყველაფერი.

– რისთვისაა შემოღებული და ვისი შემოღებულია მაგ წესი, მითხარი, თუ ღმერთი გწამს? – კითხა დათამ.

– ხართ აქ ორი კაძახი და უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რას ფიქრობთ და რას აკეთებთ. აპა, როგორ?! მარჩენალმა ყველაფერი უნდა იცოდეს არ შეიძლება ისე!

– თუ უკაცრავად არ ვიყო და, მაგ შენი მარჩენალი ვინ ოხერია, ნეტავი? – გული მომივიდა ძალიან.

– ვაი შენს პატრონს! – შემომიტია დედაბერმა – ვისაა, ოხერს რომ უძახი! ოხერიც ხარ და ტილიანიც. სარკეში ჩაგახედა, რას გავხარ, ნეტავი, შე ღვთის გლახა შენ! – ამ სიტყვებს საკუთრივ მე მეუბნებოდა. – ვინ არის ჩვენი მარჩენალი და, არქიფო სეთური არის ჩვენი მარჩენალი, მამა, დედა და ღმერთი. აპა!

დედაბერი კიდევ კაი ხანს ილანძღებოდა. დათა ისე უსმენდა, ვითომ სოლომონ წინასწარმეტყველი იდგა მის წინ. მე აქეთ-იქით ვიყურებოდი, სარკეს ვეძებდი, ერთი ჩამახედა, ნეტავი, რას ვგავარ ისეთს, რომ ეს მახინჯი დედაბერიც კი შევაწუხე და შევაზარე-მეთქი.

– გამაგებინე, დედიკო, აბელი ქვია სეთურს თუ არქიფო? – მოახერხა სიტყვის ჩაკერება დათამ.

– აბელი ერქვა უწინ. ახლა არქიფო ქვია! თვითონ გადაირქვა. ასეა საჭირო და იმიტომ.

სიჩუმე იყო პატარა ხანს და მერე თქვა დათამ:

– კაი, აბა, წავიდეთ ახლა და დაგვაბანინე ხელ-პირი.

გაგვიყვანა დედაბერმა სახლის უკან, დაგვისხა ტოლჩიდან წყალი, შეგვამშრალებია ხელ-პირი და ამ დროს ისევ გაისმა ის ზარი და გუგუნი, დილაუთენია რომ წამოგვყარა ლოგინიდან. დასანახავზე გამოვიწიეთ, გამოვხედეთ იქაურობას.

მე რომ სეთურისას ზამთარი გავატარე, მაშინ აქ მისი პატარა ქოხი იდგა მარტო. ახლა იმ ქოხის მაგიერ კაი ოდა იყო და მის წინ მოედანს მიწური სახლები ერტყა გარშემო, ბარე

თხუთმეტი-ოცი. ჯერ ისევ რეკდა ზარი, რომ გამოცვივდა მიწურებიდან კაცი და ქალი, ბებერი და ახალგაზრდა. ყველა სეთურის სახლისკენ წავიდა ძუნძულით. როგორი ფაციფუცი და მირბენ-მორბენა იყო! თხუნელებისთვის გოგირდი რომ შეგიბოლებია და ძაღლთუმრავლესი რომ ამოცვენილა ზოგი საიდან და ზოგი საიდან – ისეთი სწორედ. ერთ წუთში მიწყდა და მიწყნარდა ყველაფერი, ბუზის გაფრენას გაიგონებდი. მიწყნარდა და მაშინ ვიღაც კაცმა დაიწყო ლაპარაკი, მარა როგორი, თუ იცი? როგორი და, "პუტი-პუტი-პუტი-პუტი" – ასეთი. რას ამბობდა და რას ლაპარაკობდა, ჩვენ რომ ვიყავით ამ სიშორეზე, გელათელი მელანია ვერ მიხვდებოდა ვერაფერს. რომ გაათავა ამ კაცმა ლაპარაკი, ახლა მიწურებიდან ამომძვრალმა ხალხმა დაიწყო ბუტბუტი. ვერც მათსას გაიგონებდი რამეს, ყველა ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდა.

– წამოდი, მოსე, მივიდეთ ახლოს და ვნახოთ, რასაა, რომ სჩადის ეს ხალხი, – მითხრა დათამ.

მოედნისკენ გამოვიწიეთ კიდევ. გავჩერდით და აგერ გეტყვი, რაც ამბავი ვნახეთ: ის კოჭლი მედავითნე თაბაგარი – წუხელის რომ გვემსახურებოდა და სეთურმა თავის მარჯვენა ხელად რომ გაგვაცნო, – საგულდაგულოდ გადახერხილ კუნძზე გასულიყო და გულხელდაკრეფილი იდგა ზედ. მის წინ ორ მწკრივად გაშტრინგული ოცი თუ ოცდახუთი ქალი და კაცი რაღაც ლოცვას თუ ლექსს ლაპარაკობდა გაცხარებით. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და გაჩუმდნენ. ისინი რომ გაჩუმდნენ, მაშინ კუნძზე შესკუპებულმა თაბაგარმა ჩაიბუტბუტა:

– ხოლო მომძღვნელმან ჩვენი პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან, უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, იცოცხლოს მარადჟამს!

ნიშანი მისცა თაბაგარმა და დაიწყო ისევ მრევლმა ბუტბუტი.

კაი ხანს იბუტბუტეს, იმსიგრძეს რა დაიხსომებდა, მარა ერთი კია, ყველა პწკარი არქიფოთი თავდებოდა და "პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონით!" ეს სიტყვა მიტომ დამამახსოვრდა, რომ საჩხერეში იმედაძეს ერქვა ერთს. პოლიქრონიონი ქართულად მრავალჟამიერს ნიშნავს, თურმე.

დამთავრდა ეს ამბავი და თავისუფლადო, უბრძანა თაბაგარმა იმ ხალხს.

მოკეცეს ცალი ფეხი მუხლში.

– სპრიდონა სულანჯია, შე მამაძაღლო, არ არის შენთვის დღეს სამუშაო! – პუტპუტით გამოაცხადა თაბაგარმა. – პილატე სვანიძემ ჩაცხოს კისერში ერთი და გააგდოს მაქედან!

პილატე სვანიძემ ჩაცხო კისერში სპირიდონა სულანჯიას და მუჯლუგუნით გამოაგდო მწკრივიდან. მსჯავრდადებული კაცი განზე გავიდა, თოვლზე დაჯდა, მოთქმა დაიწყო, ვაი ჩემს ცოლ-შვილს და ვაი მეო! არავინ მიაქცია ყურადღება სპირიდონა სულანჯიას.

სმენა ბრძანა თაბაგარმა. მერე მარჯვნისკენო, მერე – ნაბიჯითო, და წავიდა სადღაც ეშმაკებისკენ ის შემოფხრეწილ-შემობღლანძული ხალხი.

– საით მიდის ეს ხალხი, დედიკო? – კითხა დათამ ჩვენს დედაბერს.

– სამუშაოზე.

– ეგერ, ის დაგვალული კაციც სამუშაოზე მიდის, თუ?

– ეგ მიდის, თუ მიდის, თვარა...

– სპირიდონა სულანჯიამ რა დააშავა?

– მეტი ეკუთვნოდა, მაგ სასიკვდილეს. არქიფოს უმადლოდეს – დედაბერმა ენაზე იკბინა და ჯორი შემოაბრუნა: – არაა თქვენი საქმე. ჭკუით იყავით, თვარა, ვნახავ თქვენი კუდებით ნასროლ ქვას და ვაი-უბედურებას!

წარმოიდგინე, კრინტი აღარ დაგვიძრავს არც ერთს.

მიყვებოდა გვერდში მედავითნე თაბაგარი თავის ხალხს კოჭლობა-კოჭლობით და იძახდა:

– ატ, ტვა, ტლი! ატ, ტვა, ტლი!

– ავყევით დედაბერს. შეგვიძღვა სეთურის სახლში.

მუთაქებით და ჭრელი ბალიშებით მორთული ტახტი ქონდა სეთურს, იმაზე იყო წამოგდებული. დაგვინახა შესულები, ადგა, დიდი ამბით ჩამოგვართვა ხელი. მზამზარეული სუფრა ედგა წინ: რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი იყო ზედ, მიგვიწვია, დაგვსვა და მერე კითხა დედაბერს:

– ხომ კარგად მოუარე სტუმრებს, ასინეთა?

– უწესო კაცებია ორივე!

მასპინძელმა წარბი შეიკრა, დაფიქრდა და მიუგო:

– აჰაააა!.. კაი, წადი შენ. მე მოვუვლი ამათ.

გაიხურა კარი ასინეთა-კუდიანმა. გადაგორდა ტახტზე სეთური. იმდენი იცინა და იხარხარა, მეგონა, ფაშვი ჩაწყდებოდა და დასამარხი შეგვექნებოდა.

იჯერა სიცილით გული, შეიმშრალა ცრემლები და გვითხრა:

– ასეა, მამა და შვილო, უწესო კაცები ხართ. ხომ გაიგონეთ, რა თქვა ასინეთამ!

სიმართლე თუ გინდა იცოდე, რაც იმ დილით ვნახე, ისეთ გუნებაზე დაგვაყენა იმან მეც და დათაც, ორივე, რომ იქნებ არაფერი გვეკითხა და ჩუმად გავპარულიყავით, მარა თვითონ დაიწყო ხუმრობა სეთურმა და შევგულიანდი მაშინ. ვიფიქრე, ვინ რას გაგვიბედავს ამ ორ სახელიან აბრაგს-მეთქი. მეც იმ ხუმრობის კილოზე ვკითხე ბალიშებში ჩაფლულ მასპინძელს:

– რა იყო, შე კაცო, ღამიანა რომ აგვაყენა მაგ შენმა ასინეთამ!

– ხუთ საათზე ვაყენებთ ხალხს. უნდა ხედავდეს ხალხი, რომ წესი ერთნაირია ყველასთვის, თვარა, თვითონაც შუადღემდე ძილს მომთხოვს და საქმე დაზარალდება. საქმეს რომ ვამბობ, სამუშავარს კი არ ვფიქრობ – კაცებს ვფიქრობ, მათი ცხოვრებისთვის და კეთილდღეობისთვის ვლაპარაკობ... გრძელი ამბავია ეს, მოსე-ბატონო!.. ერთი სახარება შეგვეწიოს, აგერ, ეს გადაზელილი ნამეტანი უხდება არაყს.

დავილოცეთ, დავლიეთ და კიდევ ვეუბნები სეთურს:

– სპირიდონა სულანჯიას რომ დაცხეს ამ დილას და კატის ცინდალივით გამოათრიეს იქიდან, ის, რავა, მისი ცხოვრების და კეთილდღეობის იყო?

– მასეა, აპა, რავა გგონია შენე?! კაცი შიშს და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება სწორედ. არ იტყვი, რა აქვს ნათქვამი სპირიდონა სულანჯიას? არქიფო სწორედ იმდენს გვაძლევს, შიმშილით რომ არ დავწყდეთო! სიმდიდრეს და ფუფუნებას მოაქვს ყველაფერი გარყვნილება და უზნეობა. ვთქვათ, და, მივეცი სპირიდონა დოყლაპიას, რომ ვაძლევ, იმაზე მეტი. კიდევ მეტი მოუნდება და რომ აღარ ექნება, მაშინ გაუბედურდება – პარვას და შურიანობას მოკიდებს ხელს. თხა თუ გაძღა, მგელზე ნადირობას მოინდომებს, ხომ გაგიგონია? რა გამოდის აქედან? კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გააძღო და გააღორმუცელო. რატომ თქვა სპირიდონა სულანჯიამ ის, რაც თქვა? გოჭები დააზარდა მაგან. ცხრა იყო, ექვსი მე წამოვიყვანე და სამი მას დავუტოვე. გაყიდა, ფული შეუვიდა ოჯახში და მიტომ. რვა უნდა წამომეყვანა, მისთვის ერთი დამეტოვებინა და არაფერს იტყოდა მაშინ. ასეა ეს. ახლა, ერთ კვირას არ გაიყვანს კაკოია თაბაგარი სამუშაოზე სპირიდონა ყბედს, დააკლდებათ მის შვილებს და ინანებს, რატომ ვთქვიო. სხვისთვისაც მაგალითი იქნება ეს, აღარავინ იტყვის მისთანას და თვითონ სპირიდონაც სიხარულით ცას ეწევა, ისევ რომ მისცემენ სამუშაოს და საშოვარს. სპირიდონას ნათქვამი დიდი ცოდვაა ნამდვილად. თვითონ შეცდა და დაზარალდა, ეს არაფერი კიდევ, მარა სხვასაც რომ წაუჯიკავა და უბიძგა, შენც თქვი და გაუბედურდიო – ისაა, რაცაა. მე თუ ამ ხალხის პატრონი ვარ, იმაზეც უნდა ვიფიქრო, რომ რაც ხალხს დააზარალებს და გზიდან გადააცდენს, სანამდე გაზრდილა და მოღონიერებულა ის, იქამდე უნდა ჩაიქოლოს და ჩაქვავდეს. ხალხზე თუ არ ვიზრუნე და სულ მათ კაი ცხოვრებაზე თუ არ ვიფიქრე, აპა, რისთვის ვარ მე! მოხვიდე ამ ქვეყანას, ჭამო, სვა, დრო ატარო და ხალხისთვის არაფერი სიკეთე არ ქნა, რა ცხოვრება იქნება ასეთი ცხოვრება?! ორი სახარება შეგვეწიოს! აგერ ეს დოში მაგ გადაზელილზე უკეთესია, ნახეთ, თუ არა.

ნახა ჩვენმა მასპინძელმა, მეც და დათაც გულდასმით რომ ვუგდებდით ყურს, წახალისდა უფრო და განაგრძო:

– ასეა, ჩემო ბატონო, შიში თუ არ აქვს ადამიანს, შიში – დაიღუპება უეჭველად. მარა მარტო შიშიც არ კმარა. სხვაცაა საჭირო კიდევ. ერთი, რომ კაცი ჩონგურის სიმივით უნდა იყოს დაჭიმული სულ. თავის ნებაზე თუ მიუშვი, მოდუნდება და დაძაბუნდება. დაძაბუნებული კაცი ვერც თავს წაადგება და ვერც ქვეყანას. მერე, რა იცის დაძაბუნებამ?! ხო ხო, ხო! ათასი სენი, ავადმყოფობა შეუჩნდება სხეულს და მიდის კაცი საიქიოს. მიდის! რავარც მოაკლებ საზრუნავს და რავარც მოსუსტების და მოდუნების საშუალებას მიცემ,

უმოკლდება წუთისოფელი. ასეა ეს. აბა, რატომაა, ღამიანად რომ ვაყენებ და სალდათურ ცხოვრებაზე რომ მყავს გადაყვანილი? აგერ, კუზიანი ასინეთა მასე რომ არ მყავდეს, რა აცოცხლებდა ამდენ ხანს. იცის, სიცოცხლეს რომ ვუგრძელებ, და მიტომაა ჩემი მადლიერი და ერთგული. ახლა, რაა კიდევ, თუ იცით? "გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა

ჰგმირდესო", - კაკოია თაბაგარმა იცის მალ-მალე ამის თქმა და ნამდვილი ნათქვამია ეს. ადამიანი უგუნურია და მე მათთვის რომ ვარ, ისინი ჩემს წინააღმდეგ და ეშმაკეულის მხარეს არიან აპაა! სიკეთე თუ გინდა ხალხისთვის, სიყვარული უნდა ჩაუთესო გულში. უგუნური

თუა, სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ. აპა, როგორ? რაფერ და, დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებიო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევიო. თაბაგარი ამისთვის წამოვიყვანე კვირიკედან. დავაწერინე ლოცვები - ზოგი ლექსად, ზოგი სიმღერად და ზოგიც ისე. ნამეტანი კარგად და ძვირფასად აკეთებს ამას. უყენია ეს ჩემი ხალხი, ამეორებიებს დღეში სამჯერ: ერთს – დილით, მეორეს – სამუშაოზე და მესამეს – შინ რომ ბრუნდებიან საღამოთი, მაშინ. დროდადრო გამოცვლა უნდა ლოცვებს. ბერდება ლოცვა და ძალას კარგავს, დიდხანს ერთი და იგივე თუა... დავლიოთ ახლა და მთლად მთავარი რაცაა, გეტყვით იმასაც. სამი სახარება შეგვეწიოს! ზეთისხილს არ ჭამთ არც ერთი. არ გიყვართ, ალბათ. მიატანეთ ზეთისხილი, ნამეტანი კაი გემოს დატოვება იცის პირში.

– აბელი რომ გერქვა, არქიფო რატომ დაირქვი? – ლაპარაკის ხასიათზე იყო სეთური და, კითხვა თუ იყო, ახლა უნდა მეკითხა.

– რატომ და, აბელი ბერძნულად რას ნიშნავს, თუ იცი? აბელი ნიშნავს... მომაწოდე, ეგერ რომ წიგნი დევს, თუ კაცი ხარ... მასე. აგერ, ა!.. მოფუსფუსე, შეწუხებულ კაცს ნიშნავს და, სხვაფრად, არარაობას და მოჩვენებას... ბნელი ხალხი იყო ჩემი მშობლები, არ იცოდნენ ეს. ახლა, არქიფო... არქიფო! აგერ, ა, თავლის უფროსს, ცხენთა უფროსს ნიშნავს არქიფო.

– შენმა ხალხმა თუ იცის, ცხენების და თავლის უფროსი რომ დაირქვი?

– იცის აპა, რავა გგონია შენე?! ხალხს თუ უთხარი – ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მაშინ მეც შემიძლია, შენი მაგიერობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაჯდება შენს მაგიერ და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას. თვითონაც იციან, ასე რომაა, იჯერებენ და წესიერად და ბედნიერად არიან. ასეა ეს, მარა პირდაპირ არ უნდა ელაპარაკო, შეპარვით უნდა უთხრა, ქარაგმით!

ესეც რომ გვასწავლა თავლის უფროსმა კარს მიაყურა და დაიძახა:

– შე სასიკვდილე, ასინეთა, შემოდი ახლავე, ტკიპასავით რო მოკვრიხარ მაგ კარს!

შემოვიდა ასინეთა და, ჩვენ რომ მოგვესალმა, ისე მიესალმა სეთურსაც.

– დამითვალე და ჩამიანგარიშე ნათქვამი, ხომ? წადი ახლა და ჩაჯექი ნაობახტში შენით! ცეცხლის დანთება არ გაბედო, თვარა სამ დღეს არ გაკმარებ, დაგიმატებ კიდევ!

– კი წავალ ნაობახტში და ჩავჯდები, მარა შენთვის არ მიგდია ყური მე. ამ კაცებზე ვიყავი მიყურადებული.

– რავა, ამათ ნათქვამს მე ვერ გავიგონებდი, თუ?

– კი გაიგონებდი, მამავ და მარჩენალო, გაიგონებდი, აპა, ვერ გაიგონებდი? მარა ორი ადამიანი რომ გაიგებს და მიხვდება ყველაფერს, ერთი კაცი გაიგებს და მიხვდება ისე?

სეთური დფიქრდა, ხელი ნიკაპზე მიისვ-მოისვა და თქვა:

– კაი. ნაობახტში ნუ წახვალ, მიპატიებია. შედი კოკინაშვილისას და მის პელაგიას შეაპარე ლაპარაკში, ამ დილას სპირიდონა სულანჯია მიტომ დასაჯეს, რომ არქიფოზე ულაპარაკია რაღაც და მისი ნალაპარაკევი თაბაგართან კოლპინოვს მიუტანია-თქვა. გაიმეორე!

დაემხო დედაბერი მუხლებზე და კაკოია მედავითნის შეთხზული ლოცვა – ჩაბულბულების რა მოგახსენო, ენა ღრძილებიდან უვარდებოდა და ყვავის ბახალის ხმაზე ლაპარაკობდა – მარა სხაპასხუპით და ყოჩაღად თქვა. ადგა ზეზე. თავისი მარჩენალის ნათქვამი გაიმეორა, ისევე სალდათურად გამოემშვიდობა, გაბრუნდა და კარებამდე ნაბიჯი აკლდა, გააჩერა სეთურმა.

– კოკინაშვილის პელაგია თუ არ იქნა შინ, კოლპინოვებისას შედი და მის ტერეზიას შეაპარე ლაპარაკში, სპირიდონა სულანჯიას ნათქვამი თაბაგართან კოკინაშვილმა მიიტანა-თქვა. უკუღმაა ეს, მარა სულერთია. აპა-ჰე!

წავიდა ასინეთა დედაბერი და ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა სეთური:

– ადამიანი სანამდე მარტოა და არავის არ ენდობა, იქამდე ვარგა სხვისთვისაც და თავისთვისაც. პირის შეკვრას რომ ისწავლიან, მერე კაი აღარაფერი გამოვა მათი ხელიდან. მერეა, ყველაფერ უბედურ საქმეს რომ ბედავს კაცი. ისე, რომ თქვას ადამიანმა, არ ვქენი ღვთისნიერი საქმე, ასინეთა რომ ენის მისატანად გავაგზავნე, ხომ ასე გამოდის ვითომ? მარა, სინამდვილეში სწორედ ღვთისნიერ საქმეს ვაკეთებ მათთვის: ნდობა აღარ ექნებათ ერთმანეთის, მარტო იქნებიან, რამდენნიც არიან, და ყველა სათითაოდ მოერიდება პირის შეკვრას, ცუდ საქმეს და გაუბედურებას. ბრალი ჩემი, რომ ეშმაკობა მიხდება და გაწვალებული ვარ, მარა სხვისთვის კაი საქმის გაკეთება ძნელია, თვითონ თუ არ დაიჩაგრე და თუ არ დაიტანჯე. დაინანებს თავს კაცი – კეთილ საქმეს ვეღარ იზამს... სამი სახარება შეგვეწიოს!

– სამი სახარება იყო უკვე! – შევახსენე სეთურს.

– აჰ! არ ყოფილა სამი სახარება. სამი სახარების მადლი შეგვეწიოს... რაცხა, არ ჭამთ არაფერს და მიწუნებთ, მგონია, პურ-მარილს.

არ ღირდა შედავება და მეოთხე სახარების მადლი მესამე სახარებად დავლიეთ, მარა არც მერე აღარ მოგვეშვა სეთური, უზომო დაგვალევინა კიდევ და რამდენი ჭიქა ასწია, იმდენი მესამე სახარება დაარქვა. არ ქნა, არ მოუმატა არც ერთი, მამაძაღლმა. უარის თქმა, სასმელზე იყო თუ საჭმელზე, არ გაგვივიდა არც მე და არც დათას. ისეთები გვითხრა, ისე შეგვაგდო ნამუსზე, რომ სირცხვილით დავიწვით ორივე. ტიკი არაყი ეთქვა და შამფურზე დატრიალებული დეკეული – ან დავლევდით და შევჭამდით და ან დავიხოცებოდით.

– წავიდეთ ახლა, თუ გნებავთ, და გაჩვენებთ იმ ჩემ სამუშავარს და ჩემი ხალხის საშოვარს, – შემოგვთავაზა სეთურმა.

დათამ თავი დამიქიცინა, – წავიდეთო. მართალი გითხრა, სეთურის ლაპარაკის შემდეგ მეც მომინდა, მენახა, სად და რანაირად ირჯებოდა მისი ხალხი.

მალე მივედით და მასპინძელმა ხევს გადაღმა კლდეში გამოქვაბული დაგვანახა, – ისაა მაღარო და იქ მუშაობს ჩემი ხალხიო.

– ასე, ორასი საჟენი იქნება მაგ გვირაბის სიგრძე. აღმართში თხრიან და დაღმართში გამოაქვთ ზურგით. აქაურობა სულ მასეთი მიწაა. ის მთაც სულ მასეთი მიწაა და სხვაც, მარა ხალხს სარჩო ადვილად თუ აშოვიე, გაფუჭდებიან. ძნელი რომ არის და იმ სიღრმიდან ზურგით რომ უნდა ატარო – შეგიყვარდება საქმე. სიყვარული რაა, თუ იცით? რაა და, რასაც მეტ შრომას დაახარჯავ და მეტს იზრუნებ და უამაგებ, ის უფრო მეტად გეყვარება. სნეული და ძნელი მოსავლელი ბავშვები რომ უფრო უყვარს დედას, თუ შეგინიშნავთ ეს? მარა აქ სხვაც არის კიდევ. აგერ გეტყვით. ხალხის ბედნიერებისთვის რაა საჭირო? შიმშილი – ერთი. ახლა, მთლად შიმშილი კი არა, მარა მთლად სიმაძღრეც არაა კაი. მეორე – შიში. სიყვარული იცის შიშმა და ქება-დიდება და ლოცვაც სიყვარულისთვისაა საჭირო – ორივე ერთად უნდა. კიდევ რაა ხალხის ბედნიერებისთვის საჭირო? ჯანმრთელობა. ჯანმრთელი მაშინ იქნება ეს ჩემი ხალხი, თუ არ მოვადუნე და დაჭიმული თუ მეყოლება მუდამ. დაჭიმული – აუცილებლად. ერთია კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვა არაფერი: იმედი! სადაა და შენ უნდა მოიგონო ხალხის იმედი. მოვიგონე მე ჩემი ხალხისთვის იმედი და ნამეტანი იმედიანად მყავს ყველა. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში არაფერს და იქნება ბედნიერად. მოდით, აგერ მომყევით, განახვებთ, როგორი იმედი მოვიგონე ჩემი

ხალხისთვის.

გადაუხვია სეთურმა გზიდან, გავიარეთ ცოტა და მივადექით ჭას. ჭის თავზე ბოძი იდგა. ბოძზე კაი მოზრდილი ზარი ეკიდა. ზარის ენაზე წაბმული ბაწარი ჭაში იყო ჩაშვებული. ჭაში კაცი იჯდა და ეჭირა ხელში ბაწრის მეორე ბოლო.

– ეს ის ქონდრისკაცია, დილით თაბაგარმა რომ სამუშაოზე წამოიყვანა სხვებთან ერთად! – ვიცანი მე.

– კი, ისაა, – დამიდასტურა სეთურმა. – ხუთ შაურს ვაძლევ დღეში და ყველამ იცის ეს. მუნჯი და ყრუა.

– ზის მასე დილიდან ღამემდე და უჭირავს ხელში მაგ ბაწარი? – იკითხა დათამ.

– კი. მანდ ზის და უჭირავს.

– რას აკეთებს ამსიღრმე ჭაში მაგ დალოცვილი? – კაი ღრმა იყო ის ჭა და გამიკვირდა, წყალი რომ არ იდგა შიგ.

– იმედს აკეთებს, მოსე-ჩემო, ე იმ ხალხის იმედს! – გვითხრა სეთურმა და ხევის გადაღმა მაღაროსკენ გაიშვირა ხელი.

– კაცო, ღმერთი ცაშია, მის იმედად ჩემი მტერი დადგეს თუ უნდა, და ამ ჭაში ჩაგდებული კაცის იმედი ვისაა, რომ აქვს!

– გეტყვით აგერ და გაიგებთ, როგორ მაქვს დაყენებული საქმე. ხალხი გაღმა გამოქვაბულში რომ თხრის, მათი ხვრელი აქ მოვა, ამ ჭაში და მის იმედზე არიან.

– მოიცა, არქიფო თუ კაცი ხარ! – შევაწყვეტინე ლაპარაკი. – შენ თვითონ არ თქვი ის ხვრელი სულ აღმართში მიდის და იქით მიდისო?!

– კი. ვთქვი. რაა მერე?

– რაა და, ის შენი ხვრელი თუ სულ უფრო ცილდება ამ ჭას და აღმართში იწევს სულ, რანაირად გამოვა გამოღმა და რანაირად გამოიხედავს ჭაში?

– არც გამოღმა გამოვა და არც ჭაში გამოიხედავს. იმ მთას ხომ უყურებ შენ? მაგ მთაში იტრიალებს ხვრელი და არსად არ წავა იქედან. ასეა ნაანგარიშევი, – თქვა სეთურმა.

– ხალხმა თუ იცის ეგ?

– იცის, აპა რავა, მარა ადვილი საცოდნელი რომ არის, რას ფიქრობს ხალხი, თუ იცი? რას ფიქრობს და, ჩვენ რომ ასე ადვილად ვწვდებით ჩვენი ჭკუით მაგ საქმეს, სხვანაირად არის, ალბათო. ასე მტკნარ ტყუილს სეთური როგორ გვეტყვის, და გამოვა ჭაში ეგ ხვრელი, აბა, რას იზამსო.

– ეს ზარი რისთვის კიდია აქ და ქონდრისკაცი რატომ ზის ჭაში?

– კითხა თუთაშხიამ სეთურს.

– ზებო ქვია მაგ ქონდრისკაცს. გრძნეულიაო, სახელი აქვს დავარდნილი, და ას საჟენზე რომ მოაწევს ხვრელი, გაიგებს ზებო. გაიგებს თუ არადა, ჩამოკრავს ზარს. რანაირად ელიან ამ ზარის დარეკვას, თუ იცით? აქეთ აქვთ ყურები გამობასრული სულ. არა, სიმართლეს ვიტყვი, ვაპირებ, მოვუმატო რამე, მარა ჭაში რომ გამოიხედავს გვირაბი, მერე რანაირად მოწყვება საქმე, იმაზე კიდია ყველაფერი. ერთია კიდევ: ახალი ფანდის მოგონება ჯობს სარჩოს მომატებას. უფრო სიამედოა ეს, მარა მოგონება არ გინდა?!

დათა თუთაშხიას სიცილი აუვარდა. იკავა თავი, იფარა პირზე ხელი, მასპინძელს არ ეწყინოსო. არ გამოუვიდა არაფერი.

ჩავიხედე ჭაში. ქონდრისკაცი მალ-მალე კლდეს ადებდა ყურს და ჩურჩულებდა რაღაცას.

– ყრუ არისო, ასე არ თქვი?

– ვთქვი.

– მერე, ყრუ თუა, რას გაიგონებს, ეგ უბედური?

– მოსე ჩემო, ამდენი რომ ვილაპარაკე, ვერაფერს ვერ მიხვედრილხარ შენ და თავიდან ლაპარაკი ძალიან მეზარება ახლა, – გული მოუვიდა სეთურს. – იქნები ამ ზამთარს აქ, მიაყურებ და ნახავ აქაურ ამბებს. გაიგებ, მართალი რომ ვარ, გაზაფხულისთვის.

დათამ თვალი მიქნა.

– ნუღარ შეწუხდები, არქიფო-ბატონო. მადლობელი ვართ დიდი, წავალთ აწი ჩვენ, დავისვენებთ პატარას და მერე ვიმუსაიფოთ კიდევ.

– კი, ბატონო, მიბრძანდით. საღამოთი, ვახშმობისას, უფრო კარგ ამბებს გეტყვით კიდევ, – დაგვაიმედა სეთურმა.

გამოვბრუნდით. დათასი არ ვიცი და მე ისე მქონდა თავი, ვითომ ათასი ჭრიჭინა მყავდა შიგ და ყველა ერთად სხვადასხვა ხმაზე ჭრიჭინებდა.

– სადილს ასინეთა მოგართმევთ, იცის მან, – მოგვაძახა სეთურმა.

წამოვედით. ვიარეთ ერთხანს ჩუმად. წყარო იყო გზად. გავისველეთ პირი და დათა მეუბნება:

– რა ვქნათ აწი, მოსე? ვიყოთ აქ თუ წავიდეთ სხვაგან?

ისეთ ბედნიერ ადგილს სხვას სად ვიპოვნიდით ეს ორი აბრაგი! მე შენ გეტყვი და, სტრაჟა ამოვიდოდა იმ გადასაკარგავში, ანდა სმაჭამას და მოსვენებას მოგვაკლებდა მასპინძელი.

– სხვაგან რატომ უნდა წავიდეთ, დათა-ბატონო?

– ეს ბოროტი კაცი და მის ხელში ჩავარდნილი ხალხი ძნელი საყურებელია მეტად. ჩემი ხასიათის პატრონი გადავეყრები რამე უბედურებას და სხვასაც უარესს შევამთხვევ, ალბათ. ვიცი მე ეს, პირველი არაა. ახალგაზრდა კაცი ვარ, შედარებით, მაგრამ ქვეყანა მაქვს მოვლილი და ასეთი გველეშაპის ნახვა არ მომხდენია არსად. ნახვა რაია – მსგავსი არ გამიგონია და არც წამიკითხავს არაფერი.

ვთქვი ყველაფერი, რაც სათქმელი მქონდა და მებადა. გლახას არავინ არაფერს გვიპირებდა და თუ დაგვიპირებდა ძღინკიანი აბელა... არქიფო, თუ რაცხა ეშმაკი სეთური რამეს, მის საიქიოში გაშვებას რა დიდი ამბავი უნდოდა?!

– დათა-ბატონო, რა ჩვენი საქმეა, რას უშვრება და რას უპირებს ამ ხალხს სეთური, – ვარწმუნებდი მე, მარა დაიჯერე, თურმე, და დაიკარგე აქედან, სანამ გვიან არ არის. – ბოროტებას სჩადის, მართალია, მარა, თუ მაგ ხალხს ღვთის რისხვა მამაო ჩვენო გონია, დამნაშავე სეთურია ვითომ? უარესის ღირსნი არიან მაგ ოხრები და მუდრეგები! შედგომიან ყმებად და მონებად დაფეხვილ კაკოია თაბაგარს. უნდათ, ალბათ, ყმობა და მონობა, თვარა, აგერ გზა და აგერ სავალი – იჭერს ვინმე, თუ? ასე ვქნათ ჩვენ: თუ დაგვიშავეს რამე და თუ იმდენი დაგვიშავეს, წასვლა რომ არ იკმაროს, მაშინ გადავკიდოთ კაპზე ხურჯინივით აქეთ სეთური, იქით თაბაგარი და ისე წავიდეთ.

იფიქრა დათა თუთაშხიამ კაი ხანს და გადაწყვიტა:

–იყოს მასე. ამ ზამთარში არ მიმიწევს მაინცდამაინც გული სხვაგან.

დავიძარით ისევ.

გასული კაცისთვის, საირმეზე იქნება თუ სხვაგან იქნება, გზებზე და ბილიკებზე სიარული არ ვარგა არაფრად. გასულმა კაცმა ისე უნდა იაროს, რომ გზას და ბილიკს ზემოდან ხედავდეს. ხომ გესმის, რაფრად გელაპარაკები? ზემოდან! მოვდივართ ასე, ტყე-ტყე, გზას მოშორებული. გაჩერდა დათა და გაიხედა იქით, ხევის გადაღმა.

– მოსე-ბატონო, ეგერ, იმ ბუჩქნარში რა ხდება, თუ მეტყვი?

დავაკვირდი.

– თვალი თუ არ მატყუებს, ბოვშვები გადარბიან და გადმორბიან, თამაშობენ. ომობანა იქნება ან ყაჩაღობანა. ხის ხმლები უკავიათ და მშვილდ-ისრებიც აქვთ, ეგერ, ე!

– კაი ორმოცი, ორმოცდაათი იქნება.

– კი იქნება.

– ამ ერთ მუჭა გასაცოდავებულ ხალხს ამდენი შვილები ვინ მიცა, ნეტავი!

– ღმერთმა, დათა-ბატონო, მშიერ-მწყურვალისთვის ღმერთს ბოვშვები არ ენანება, ქე იცი ეს შენ.

იყო ერთხანს დათა ჩუმად და მითხრა:

– ბოგაზე ნუ გადავივლით. არც წესია და... რას იტყვი შენ?

არ გადავსულვართ ბოგაზე. ჩავედით ხევში, მოვითქვით სული და ავყევით აღმართს. კაი გრძელი აღმართი იყო და ნამეტანი ძნელი ასავალიც. ბოგირი ხელმარჯვნივ მოვიტოვეთ, ასე, ორას-სამას ნაბიჯზე. ირიბად მივდივართ და სულ უფრო ვცილდებით ბოგას. ნახევარი რომ ავიარეთ, სიმღერა მოისმა, ბოგა რომ იყო გადებული, იმ ადგილიდან.

– იქ არიან ისევე, – ვთქვი მე.

– ბოვშვებზე ლაპარაკობ?

– დიახ.

დათა თუთაშხიამ გაიცინა:

– ვაითუ არ გამოვიდეს ის, მე რომ მგონია, და შევრცხვები კაცი. მშვიდობით მიგვიყვანოს ღმერთმა ასინეთასთან და გეტყვი მერე.

კაი, ბატონო, მარა ვერ მოვისვენე, ვერ იქნა. ჭია რომ ფიცარს შე-

უჩნდება, ისე შემიჩნდა რაღაც.

– თუ სასაცილოდ გვაქვს საქმე, მითხარი, შე კაცო, და გავიცინებ მეც!

დაინახა დათამ, რომ მეწყინასავით და მითხრა:

– ბოგასთან ორი თუ სამი ბიჭი რომ დატოვეს ბოვშვებმა, – იმღერეთო, ჩვენს მოსატყუებლად ჭირიათ ეს. თვითონ აქ არიან სადმე ჩასაფრებული და დაგვეცემიან მალე, ნახავ, თუ არა.

იმის გაფიქრება მოვასწარი მარტო, რასაა, ეს კაცი რომ მელაპარაკება-მეთქი, და დაიკივლა ვიღაცამ, მარა რა დაიკივლა თუ იცი! აქანა რომ დამკრა ჟრუანტელმა, ე, იქ ჩაიტანა ჟრიალი, ქუსლებში. იმ მამაძაღლს, ვიღაც იყო, არ ქონდა ჯერ ბოლომდე დაკივლებული, რომ ერთად იღრიალა ორმოცმა თუ ორმოცდაათმა ბოვშვმა და წამოვიდა ქვის, გორახის, ჯოხების, ისრების სეტყვა. შურდულის ზუზუნი დააყენეს მისთანა, რომე ცას რომ ექუხა და ჩამოქცეულიყო, ამას ვერ გაიგონებდა კაცი. გავშტერდი და სანამდე ნიკაპში არ მომხვდა მუშტისხელა ქვა და ღრანჭი არ მომიქცია, ასე, ა, – ვერ მოვიცვალე ფეხი... იბრუნა დათა თუთაშხიამ პირი და დაეშვა დაბლა. ისეთი თავპირისმტვრევით და შიშით გაქცეულს თუ როდისმე ვნახავდი დათა თუთაშხიას – არ მეგონა, სწორედ... პირი იბრუნაო! წამოიშალა ის, – სად და რანაირად ჩამალულ-ჩასაფრებული ბოვშვები და წამოვიდნენ, მძორზე სვავების გუნდი რომ წამოვა, ისე.

“აწი გჭირია კაცობა, მოსე ზამთარაძე!” – გავიფიქრე მე, შევაპარე უბეში ხელი, ვიშიშვლე რევოლვერი და ვისროლე. ეს დომებია, თურმე, და სხვა არაფერი: ზოგი მიბრუნდა და გაიქცა, სხვებმა დაყარეს ქვები და შემომცქეროდნენ პირღია და გაფითრებულები.

– ფეხი არ გამოადგას ვინმემ, თვარა, დაგხოცავთ სათითაოდ, თქვე გველის წიწილებო და ტურის ლეკვებო, თქვენ! – მაინც ვიყვირე კიდევ.

ქვემოდან დათა თუთაშხიას ხმა მომესმა:

– მოსე, არ შეგცდეს, შიშმა არ აგიტანოს და არ დაიდვა ბოვშვის ცოდვა, არ გაგიწყრეს ღმერთი! რას გეუბნებოდი მე, ბოგასთან რომ სამღერად ბიჭები დატოვეს-მეთქი... არ გჯეროდა, ხომ?

– რას გვერჩიან, ეს გასაწყვეტლები, თუ იცი? – ჩავძახე, მარა სიცილით კვდებოდა და არ გამცა პასუხი.

– ვინ ხართ, თქვენი სინსილა გაწყვა, და რა გინდათ ჩვენგან! – ვკითხე იმ ხალხს.

ხმა არ გაუღია არავის. შეკრეს ტუჩები და იყვნენ გაბუსუნებული.

ამოვიდა დათა თუთაშხია ხრამიდან და მეუბნება:

– ველურები არიან აგენი. უცხო კაცი არ დაუნახავთ, ისე გაიზარდნენ. მატარებელი კი არა და, ეტლი რომ დაინახონ, ქვას ესვრიან უეჭველად. ბოვშვებთან და დედაკაცებთან ჩემ მტერს ქონდეს საქმე. იარაღს მათთან ვერ იხმარ და რომ შეინახავდე...

– ხომ არ გაგიჟებულხარ, დათა-ბატონო! კინაღამ დაგვხოცეს ამ ძაღლისშვილებმა. იარაღს ვერ ვიხმარ კი არა... სამარემდე გზა ქონიათ. დავწყვეტ ყველას! რავა, ბოშო, ჩემი ხელის შემომკრავი ამ საქართველოში კაცი არ მეგულება და...

დედა, რას გავდნენ, აუუ! ჩამოდღლეზილები ჭუჭყიანები, გაუბედურებულები. გალიაში ჩამწყვდეული მელიები თუ გინახავს, სწორედ ისე აბრიალებდნენ თვალებს.

– არ შეშინდეთ, ბიჭებო, – მოუწოდა თავის ამხანაგებს – ერთი გოგო იყო – ჩვენში რომ სამ-სამი შვილი უკვე ყავთ და მეოთხეზე რომ არიან ორსულად – მისთანამ, – ბოვშვები ვართ ჩვენ და არ გვესვრიან მაგენი ტყვიას.

– რა ვქნათ, აწი? – გადაველაპარაკე დათას.

დათამ მხრები აიჩეჩა, არ თქვა არაფერი.

– კაცო, ვინ ხართ და რა გინდათ ჩვენგან, არ იტყვით?

– არქიფოს მტრები ხართ თქვენ! – დაიყვირა გოგომ და აიღო ისევ ყველამ თავ-თავისი ქვა და იარაღი.

– ჩვენ ვართ, გოგო, არქიფოს მტრები? არქიფოს სტუმრები ვართ ჩვენ და ძმასავით ვუყვარვართ ორივე. ვინ გითხრათ მაგ ამბავი, რავა გეკადრება მაგხელა ქალს!

– ასინეთა ბებიამ თქვა და მართალია ეს!

– შეხედე, კუზიან მამაძაღლს! გაიგონე, სიდან მოდის ეს ამბავი, დათა-ბატონო?!

– წადით, ბავშვებო, და ითამაშეთ. აბა, ჰე! – ისე უთხრა დათამ, ვითომ საკუთარ შვილებს ელაპარაკებოდა.

ჩვენი დაძვრა იყო და, დაიძახა ვიღაცამ, – არ გაუშვათო! – შემოგვიარეს ყველა მხრიდან, შემოგვარტყეს ალყა...

– მართლა შემომაკვდება, ვინცხა იქნება! – ვთქვი მე.

– გაჩერდი, მოსე, კარგად იცი ძალიან, ამ პატარა გოგო-ბიჭებზე იარაღს ვერ იხმარ და ნუ ლაპარაკობ ტყუილად.

ასე იყო, მეც მივხვდი, მარა რო მოიწევდნენ და რკალი რომ სულ უფრო ვიწროვდებოდა გარშემო, ამას რა ეშველებოდა, ნეტავი! იმდენი წლის აბრაგობაში, კატორღაში თუ კატორღის მერე გინდა, რა არ გადამხდენია – ბოვშვებთან არ მქონია საქმე არასდროს. გავიხედ-გამოვიხედე, აგერ, ბიჭი მოიწევს და დიდ, შამფურისხელა ისარს მიმიზნებს... ეგერ, ე, მთელი გუნდი მოდის, დიდი ქვები უკავიათ ორივე ხელში და უბეებში ცალკე აქვთ კიდევ... უკავიათო? საქმე ისაა, რა ხელს უკავია და რა გუნებაზეა ის კაცი ვიღაცას უკავია! რა გუნებაზეა და იმფერი კაცისხორცმოშიებული ბრბო სადმე თუ უნახავს ძეხორციელს ვინმეს, არ ვიცი მე.

შევხედე დათას, ფერი აღარ ადევს სახეზე.

– ხმა გაიღეთ, ქე მაინც, თქვე კაი კაცის შვილებო. არ იტყვით, რას გვიპირებთ?. – ვთქვი მე.

– მოსე-ბატონო, სახუმარო საქმე არ არის ეს საქმე. მასე ვერ გავხდებით ვერაფერს. მოვიგონოთ რამე, თვარა, ბავშვის სიკვდილის ცოდვას კისერზე ვერ ჩამოვიკიდებთ და აგენი სამწვადედ აგვქნიან იცოდე!

დათა თუთაშხია ხელმწიფის ტახტის ფასად ვერ მოახერხებდა ტყუილს, ყველამ იცის ეს და ეშმაკობის და სიცრუის ოსტატი არც მე ვიყავი დიდი. მარა, ნათქვამი რომ არის, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, მართალია ეს. კაცს რომ გაგიჭირდება, ჭკუა და გონება ხანდახან ისე გიყოჩაღებს და გიმარჯვებს – დრო გაივლის და გაგიკვირდება მე ვთქვი და მე გავაკეთე ესო?!

– რომ ლაპარაკობთ, არქიფოს მტრები ხართო, ახლა არ ვიყავით ერთად არქიფო, აგერ, ბატონი ფორია და მე ჭაზე? მტრები თუ ვიქნებოდით, ჭაზე რა გვინდოდა ერთად? – იმ ზღარბივით აფაფრულ ჭინკებს და ეშმაკებს ვუთხარი და, წარმოიდგინე შენ, მოუკლეს ნაბიჯს.

კაი, ბატონო, ვთქვი, ნაბიჯსაც უკლეს, მარა მთლად კი არ გაჩერებულან. მოიწევდნენ და კიდევ უნდა მეთქვა რამე. რა მეთქვა, აწი? გეტყვი რა ვთქვი:

– რა ვნახეთ იქ, თუ იცით? ისეა საქმე, რომ მამათქვენების ხვრელი საცაა უნდა გამოვიდეს ჭაში!

გაქვავდა ყველა და ისეთი თვალებით შემომაშტერდნენ, ვითომ ქრისტეს გამოცხადების ამბავი მეთქვას.

– ვინ თქვა ეგ? – ის მკივანი გოგო რომ იყო, მასაც სანახევროდ ყრონტში გადავარდნოდა ენა.

– ზებომ! აგერ, ბატონმა ფორიამაც თქვა. ვინაა, თუ იცით, ბატონი ფორია? ბატონი ფორია ხვრელების, გვირაბების და სხვა მისთანა მამაძაღლობის პირველი ოსტატია ამ ქვეყანაზე.

ლიხის მთაში რომ გვირაბია გაჭრილი, ვისი გაჭრილია ის? აგერ, ა, ბატონ ფორიას გაჭრილია! სეთურმა საგანგებოდ ამომაყვანინა ქუთაისიდან ბატონი ფორია და ისეა საქმე, რომ ზემობ აგერ-აგერ უნდა ჩამოკრას ზარს და მერე ნახეთ თქვენ!

ვთქვი ეს და იღრიალა ყველამ ერთად, დაიწყო მიწამ ზანზარი და ზეცამ ქანაობა. უნდა ვთქვა მართალი, კიღამ ძირს დამაგდო ელდამ: ისევე შეტევაზე გადმოსვლა მეგონა, მარა, თურმე, სიხარულისგან ღრიალებდნენ და მომეშვა გულზე.

– მოიცათ, გაათავეთ ყვირილი! – დაიძახა გოგომ. – გაჩუმდით ახლავე ყველა!

გაჩუმდა ყველა.

– არქიფოს მტრები თუ არ ხართ, რატომ არ გიხარიათ თქვენც! – თქვა გოგომ.

– ჩვენ არ გვიხარია? ჩვენ რომ გვიხარია, ვის უხარია ისე!

– რატომ არ იყვირეთ, თუ გიხარიათ?

– ვყვიროდით, აპა, არ ვყვიროდით? – კი ვთქვი, მარა ვერ დავაჯერე ვერავინ.

– ფეხი არ მოიცვალოთ არც ერთმა! – გვიბრძანა გოგომ.

ნამეტანი ახლოს მოვიდნენ ის მოსასპობები. გრძელი, წვეტიანი, მარგილივით კეტი ეკავა ერთს. ემძიმებოდა, ალბათ, და მკლავი რომ დაეღალა და დასვენება რომ იფიქრა, იმ კეტის წვეტი ქამარზე დამანდო.

დედა, რაფრა იყო გამახული!

გაიყვანა გოგომ განზე სამი მოზრდილი ბიჭი. იჩურჩულეს რაღაც და დაბრუნდნენ ისევ.

– ახლა გამოჩნდება, თუ გიხარიათ. იმღერეთ ჩვენთან ერთად!

აწია ერთმა ცხვირმოუხოცელმა ღლაპმა ხელები ლოტბარივით და დაიწყეს სიმღერა. შენს მტერს! თაბაგარი დილაობით რომ ლოცვას ალაპარაკებდა იმ ხალხს და ყველა პწკარი რომ არქიფოთი მთავრდებოდა – ის სიმღერა იყო. დათამ და მე არც სიტყვები ვიცოდით მისი და არც ხმა. მღერიან ისინი, ვდგავართ აწურულები. რომ არ ვმღერით, ბრაზდებიან თანდათან და გვეცემიან სადაცაა, ალბათ. რა გვექნა და რა გვეღონა, ამის ფიქრში რომ ვარ, მომაწვა მუცელში ის გამახული მარგილი, ჩემს ქამარზე რომ იყო ჩამოსვენებული. ასე სიმღერა-სიმღერაში დაგვხოცავდნენ, ლაპარაკი არ უნდოდა ამას.

– არ ვიცით მაგ სიმღერა ჩვენ! – ვიყვირე მე – კაცო, გვასწავლეთ ჯერ და ერთად ვიმღეროთ მერე.

გაწყვიტეს ხმა. დავჯექით კაი ძმაკაცებივით და დავიწყეთ სწავლა. არაფერი ძნელი არ იყო, რომ თქვას კაცმა. დაფეხვილ თაბაგარს მისი მრევლის ჭკუის კვალობაზე ქონდა შეთხზული სიმღერები. ადვილად ვისწავლეთ ორივემ. დათა იყო კარგი სანახავი – ნამეტანი ცდილობდა, დალოცვილი. რომ ვისწავლეთ, დადგნენ მწყობრში, ჩაგვიყენეს წინ.

გამოვარდა ერთი ბზიკივით ბიჭი, სწორედ თაბაგარივით დაიპუტუნა და დავიძარით. დაბამდე სულ სიმღერით და არქიფოს ძახილით ვიარეთ. მერე “პოლიქრონიონი” გვათქმევინეს სამჯერ და, წარმოიდგინე შენ, გაგვიშვეს.

შევედით ოთახში, ჩავემხეთ ლოგინებში. სანამდე სათუოდ გვქონდა საქმე, კი ეშინოდა დათას, მარა მაინც სიცილის გუნებაზე იყო. მოვედით შინ და მოიშალა ჩემი ამხანაგი თანდათან და ახლა, დანა რომ დაგეკრა, წვეთი სისხლი არ გადმოუვიდოდა, ისეთ გუნებაზე შეიქნა.

– რას მოვესწარი ამას, დასწყევლოს ზეცა-უფალმა! სალდათობა რომ არ მინდოდა, გააბრაგებამ მიტომ მომიწია და შეხედე, ერთი... ჰა? – ვთქვი მე.

– წავიდეთ აქედან, მოსე-ბატონო, თვარა, ასე ხუმრობა-ხუმრობაში, იმ მიწასაც მოგვათხრევინებენ მაგენი.

ვიწექით და ვისვენებდით განსაცდელის შემდეგ. არქიფო სეთურის ხალხის სოროებიდან და ბუნაგებიდან სულ სიმღერა და ტაშ-ფანდური ისმოდა. მამის სულს ვფიცავარ, არ გაჩერებულან ღამემდე.

ასინეთა მობრძანდა, სადილი შემოგვიტანა.

– დღეს ანგელოზია რომელიმე, დღეობაა თუ რაა, ნეტავი, ეს ხალხი რომ მღერის და მხიარულობს? – კითხა დათამ.

– არაფერი დღეობა და ანგელოზი არ არის დღეს.

– აბა, რა დაემართათ?

– რომ არ დამართიათ და არ აწუხებთ არაფერი, მიტომ მღერიან სწორედ!

შევჭამეთ თითო ლუკმა, მივწექით ისევ და გვეძინა, სანამ მასპინძელმა ასინეთა-კუდიანი გამოგვიგზავნა, ჩემსას მობრძანდითო.

ნამეტანი უხალისოდ წამოვიდა დათა. არც მე ვიყავი ხასიათზე, მარა წაუსვლელობაც არ ივარგებდა.

შევედით სეთურისას. თავის ბალიშ-მუთაქიან ტახტზე იწვა. გვერდში თაბაგარი ყავდა ჯორკოზე იმ წიგნით ხელში, საიდანაც დილით აბელის და არქიფოს ამბავი გვითხრა. ფურცლავდა წიგნს და ეპუტუნებოდა თაბაგარი თავის პატრონს. სეთურმა გვანიშნა, დაბრძანდით და ჩუმად იყავით პატარა ხანსო. გვანიშნა, თვარა, არც განძრეულა და არც ხმა დაუძრავს. თაბაგარმა, – არ ვიცი, გართული იყო, თუ ადამიანებად არ მიგვიჩნია, – ჩვენსკენ არც კი გამოიხედა. წიგნს ფურცლავდა და პუტუნებდა თავისთვის.

უხერხულად ვიგრძენი თავი, მარა რას ვიზამდი. საჭმელ-სასმელს არავინ გვთავაზობდა და თაბაგარს მივაყურეთ, აბა, რა გვექნა!.. სახელებს კითხულობდა:

– ექვთიმე გულკეთილს ნიშნავს. გამოდგება ეს. ა, მელენტი, – მზრუნველი ყოფილა ბერძნულად. ვუკოლ – ხარების მწყემსი. არ გვინდა ეს. თავლის უფროსი ქე ხარ უკვე და ხარების მწყემსი აღარაა საჭირო. პოლიევქტი... კაია, დიდად სასურველს ნიშნავს. დომენტიც კაია – დამწყნარებელი. აბესალომი – ებრაული სახელი ყოფილა და მშვიდობის მამაა, თურმე. ესეც კაია ნამდვილად – ტიხონ! უჰ, ნამეტანი კაია, ბედნიერების მომტანს ნიშნავს და, აგერ ერთი მეგულება კიდევ... კალენიკე – ბრწყინვალედ გამარჯვებული. რამდენია? შვიდი, ხომ? იყოს. გვეყოფა შვიდი: ექვთიმე მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე, დარჩეს ასე?

– მასე დარჩეს.

ხელი აუქნია სეთურმა თაბაგარს. წავიდა თაბაგარი და გვეუბნება სეთური:

– ხალხზე ზრუნვას რომ იკისრებს კაცი, არც ძილი უნდა იცოდეს და არც მოსვენება. ცუღლუტობა შევატყე ზოგიერთს. არ შეიძლება, აიყოლიებენ სხვებს და ყველა გაუბედურდება. რაა საჭირო ასეთ დროს? რაა და, უნდა მოუჭირო! ყველას უნდა მოუჭირო ერთად. დააყენებს ხალხს კაკოია თაბაგარი, ასწავლის, აქ რომ სახელები ვილაპარაკეთ, ზეპირად. სახელებს რომ დაისწავლიან, მერე რომელი რას ნიშნავს, იმას დაასწავლის. შენი კაცის გონებას საქმე შენ თვითონ უნდა გაუჩინო, თვარა, კაცი თვითონ გაუჩენს საქმეს თავის თავს უშენოდ და რა უბედურებას გამოიგონებს, ვინ იცის! შენ რომ გჭირია, ის საფიქრალი უნდა მიცე. მაშინ იქნება მათი საქმე კარგად და ბედნიერად.

– კი, მარა, არ კითხავს ის ხალხი თაბაგარს, რად გვინდა, მაგ სახელებს რომ გვასწავლიო? – ვკითხე მე.

– აუხსნის ჯერ და აღარ კითხავენ. მაგ ჩემი სახელებია ყველა. აწი ერთი სახელით, – არქიფოთი, ვეღარ მახსენებენ. რვა სახელი უნდა თქვას, ჩემს ხსენებას თუ მოინდომებს ვინმე. აპა, რავა!

– ბოდიშს მოვიხდი თქვენთან, მარა შეუძლოდ ვარ მე. უნდა წავიდე და მოვისვენო პატარა, – თქვა დათამ, ადგა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

ვერ გავყევი, მომერიდა, არ იწყინოს სეთურმა-მეთქი. კაი ხანს შევრჩი იქ. ილაპარაკა მასპინძელმა ამ მთის და იმ მთის. მალაპარაკა მეც. რომ წამოვედი იქიდან, შუაღამე გადასული იყო უკვე. შემოვუარე სახლს, მივედი. წამოუხურავს დათა თუთაშხიას ნაბადი, ზის კიბეზე, მიყუდებია მოაჯირს და ასცქერის ზეცას. შევედით, ჩავწექით ლოგინში. ნაბახუსევს ჩამეძინა მალე და არ ვიცი, დათამ ადრე დაიძინა თუ გვიან.

უთენია ისევ ატეხეს ზარის რეკვა და ალიაქოთი. ასინეთას მოსვლას აღარ დავლოდებივართ, ჩავიცვით, გამოვედით კარში. გავიდა პატარა ხანი, მოგროვდა ხალხი. დაეწყვნენ. მობრძანდა კაკოია თაბაგარი, შედგა თავის კუნძზე. თქვეს ჯერ ლოცვები. მერე აუხსნა თაბაგარმა, – დღეის იქით მარტო არქიფოდ გიხსენებიათ ჩვენი მამა და მარჩენალი, – არქიფომ იცოდეს და თქვენო! ჩამოუთვალა ის შვიდივე სახელი. გაყუჩდა ხალხი. მერე ვიღაცამ თქვა, დაგვასწავლე, თვარა, დავიღუპეთ და ის არისო. თაბაგარმა, – გასწავლით, აპა, რავაო.

– “რომელი არს არქიფო”! – აქამდე თქვით და გაჩერდით, აღარ თქვათ მეტი!

– ხოლო მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელი არს არქიფო...

– მიუმატეთ მაგას: ექვთიმე, მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე – და დაუმატეთ კიდევ, ძველად რომ იყო, ისე: იცოცხლოს მარადჟამს!

არაფერი არ გამოვიდა აქედან, ვერ დაიხსომეს სახელები. სამჯერ თუ ოთხჯერ ცადა თაბაგარმა – მაინც ვერ დაიხსომეს. გაწყრა სეთურის მარჯვენა ხელი, ძალიან გაწყრა.

– ასე უცბად, კაკო-ბატონო?! – თქვა ვიღაცამ.

– ლაპარაკი! – დაიპუტუნა თაბაგარმა.

გაწყვიტა ხმა ყველამ.

– რას ნიშნავს ეს სახელები, თუ იცით?

– არ ვიცით.

– საიდან უნდა ვიცოდეთ.

– არქიფოიანა რვაა ხომ? – თქვა თაბაგარმა.

– რვაა, ვითომ?

– რვაა, რვა!

– გეტყვით ახლა რვავეს, რომელი რას ნიშნავს, – დაიპუტუნა თაბაგარმა. – სახელები ამ საღამოსთვის უნდა იცოდეთ ყველამ. მიგდეთ ყური: თავლის უფროსი – ეს ქე იცოდით თქვენ.

– ვიცოდით.

– აპა, არ ვიცოდით?!

– ვიცით ახლაც.

– სმენა იყოს! მე რომ ჩამოვთვალე, ის სახელები ნიშნავს: გულკეთილს, მზრუნველს, დიდად სასურველს, დამწყნარებელს, მამას მშვიდობისას, ბედნიერების მომტანს და ბრწყინვალედ გამარჯვებულს. გაიგეთ?

– მასე ვისწავლოთ, კაკო-ბატონო. ქართულია ეგ და უფრო გვეხერხება ჩვენ.

– არ გამაგონოთ! ლაპარაკი, ახლა! ისე უნდა ისწავლოთ, როგორც გითხარით. არაფერი არ ვიცი მე.

– კიდევ გვასწავლე, თვარა...

– ვადა მოგვეცი, კაკო-ბატონო, ასე ერთ დღეში მაგდენ სიბრძნეს რა ისწავლის!

– კი, ვადა კაი იქნებოდა, ნამდვილად.

– ლაპარაკი! არ იქნება ვადა. ქაღალდზე დავწერ, მოგიტანთ და სერაპიონამ ქე იცის ასოების გარჩევა, მოგეხმარებათ სერაპიონა.

გაბრუნდა თაბაგარი ქაღალდის მოსატანად.

– ახლა დავიღუპეთ ფესვიანად და ცოლშვილიანად. წელებს დაგვწყვეტს სერაპიონა მისი წილი მიწის თრევით!

– ვინ მიცემს მაგის ნებას! იცის ასოები და უნდა მოგვეხმაროს უსასყიდლოდ, აპა, რავა!

– კი, აბა! მე წუღის შეკერვაც მეხერხება რა ვქნა აწი, წუღებიც უსასყიდლოდ გიკეროთ თუ?

იქ ჩოჩქოლი და ვაი-ვიში ატყდა, კაცს ეგონებოდა, კლდიდან გადაყრას უპირებს ყველას კაკოია თაბაგარიო.

– რას შვრებით, ხალხო, რას გავხართ, თუ ხედავთ ამას! – დაიძახა დათა თუთაშხიამ და გაინაბა ხალხი. – ერთი დღის მოსული კაცები ვართ ჩვენ, უცხო კაცები... ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელმა სეთურმა და, აგერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!

– რაო, რას ამბობს მაგ კაცი?

– რა ამბობს და, მარჩენალზე – მამაძაღლიო, და თაბაგარზე – მოსასპობიო!

– მამაძაღლი და მოსასპობიო!

– გაგვაუბედუროს უნდა, ხომ!

ერთი წამით გაინაბა ხალხი, მერე იყვირა ვიღაცამ, – დასცხეთ მაგათ, ბიჭებოო! ამის დაძახება იყო და, ცოფიანი ქოფაკებივით გვეტაკა ყველა... დათას უკნიდან მარგილი ჩაცხეს, დააგდეს ძირს და ამ დროს დამაყარეს მეც.

– დამბაჩები აქვთ მაგენს! – დაიყვირა ვიღაცამ.

თვალის დაფახუნებაში აგვართვეს იარაღი და გვირტყეს, მარა რა გვირტყეს! სანამდე მობეზრდათ – იქამდე. რომ მობეზრდათ, გამოიყვანეს თავლიდან ჩვენი ცხენები, მიგვაბეს კუდებზე და გადაკრეს მათრახები. ორასი, სამასი ნაბიჯი გვათრიეს დამფრთხალმა ცხენებმა.

კაი ხანს ვეყარეთ მიწაზე. არავინ მოგვკარებია. მოვითქვით სული, გავიხსენით, რავარც იქნა, ხელ-ფეხი, მარა სიარული არ შეგვეძლო და რაფრად ავფორთხდით ცხენებზე, ახლაც ვერ გამიგია. ავფორთხდით და ჯერ ჩვენი იარაღის სამალავს მივაკითხეთ. დიდი წვალება გადაგვხდა იქაც, სანამდე დავქვეითდებოდით, იარაღს ავისხამდით და ისევ შევჯდებოდით. მერე დავიძარით ამ უბელო ცხენებით, მთაში მეჯოგეების კარვები ვიცოდი – ავედით იქ და დავბინავდით.

ზამთარი იდგა. მეჯოგეები ქვემოთ იყვნენ, ჭალებში. კაცი პატრონი არ გვყავდა, არც წყლის მომტანი იყო ვინმე, თვარა, პურის ნატეხს ვინ ჩივის. ქე ვთქვი უკვე, ათ დღეს ვერც ცხენებზე შევჯექით, არც პირში ჭადის ნატეხი გვქონია და რანაირად ვიქნებოდით, უნდა

ამას ლაპარაკი?

მთლად დაბეგვილ-დალეწილები რომ ვიყავით, – ეს ცალკე იყოს. გული ცალკე მქონდა გასიებული. როდისმე ხომ მოვითქვამდი სულს?! ჩავიდოდი, ჩავჯდებოდი ბუჩქებში და სეთურით და მისი მარჯვენა ხელით დაწყებული, ქონდრისკაცით გათავებული – სინსილას

გავწყვეტდი მათსას, მარა დათა თუთაშხიამ არ დამანება:

– მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, მოსე-ბატონო, ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს, და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალოს ხელი. შენ გატანჯული გგონია და მას უხარია და მოსწონს, თურმე, თავისი დღე და ხვედრი. ჩემი ბრალია ყველაფერი. იქ რომ მითხარი, უნდა, ალბათ, მაგ ხალხს ყმობა და მონობაო, – მასე ყოფილა მართლაც. აგერ შენ, აგერ მე და იქ, მაღლა ღმერთი – ფიცი დამიდვია, აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში, სანამდე არ დავრწმუნდები, ჩარევა ჯობს თუ ჩაურევლობა. მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევის და დახმარების ღირსი რომ იყოს.

ფოთთან ადგილია ერთი, სახელი აღარ მახსოვს მისი: ფერშალი იყო იქ, სანდო კაცი, და პატარა ლაზარეთი ქონდა საკუთარი. სხვა გზა და გამოსავალი არ იყო – მე მოტეხილი ფეხი უნდა მემკურნალა და დათა თუთაშხიას – გამიზეზებული იარა.

შევჯექით ცხენებზე, როცა შევიძელით, და დავეშვით საირმის მთიდან.

**გრაფი სეგედი**

...ისინი ერთსა და იმავე ოჯახში რომ ყოფილან აღზრდილი, ეს ჩემთვის მიგნება, უაღრესად საინტერესო აღმოჩენა იყო. სამძებრო-საგამომძიებლო პრაქტიკის სპეციფიკა ისიც არის, რომ ხელმძღვანელობა ზედმიწევნით უნდა სწავლობდეს მოუხელთებელი დამნაშავის ფსიქიკას, მაშასადამე, მისგან მოსალოდნელ საქციელს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ამომწურავად უნდა იცნობდეს იმ მოხელეს, თუ მოხელეთა ჯგუფს, რომელსაც მისი გამომჟღავნება და შეპყრობა აქვს დავალებული. აქ იგულისხმება პროფესიული და ბუნებრივი მონაცემების კომპლექსი. ხშირად ხდება, მოუხელთებელი დამნაშავის მდევარი ამოცანას ვერ სძლევს და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი და დამნაშავის ღირსებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მაგალითად, ბუნებით მეტისმეტად ეჭვიანი დეტექტივი გულუბრყვილო, უეშმაკო დამნაშავესთან ვერაფერს ხდება – ვერ წარმოუდგენია, რომ

დევნილი ასე მარტივ ხერხებს მიმართავს და მაშინ ღირსებათა თანაფარდობის საჭიროება იჩენს თავს, დევნილისა და მდევრის ფსიქიკურ მონაცემთა გაწონასწორების საკითხი დგება.

როდესაც სამძებრო დაწესებულებას საქმე აქვს ტრივიალურ დანაშაულთან (ასეთ შემთხვევაში კი თვით დამნაშავეც მეტ-ნაკლებად პრიმიტიული პირია), მაშინ მისი ძებნისა და შეპყრობის მთავარი იარაღი განზოგადება და დანაშაულის ხელწერის დადგენაა. ეს საშუალებას იძლევა, მივაკუთვნოთ მისი ჩამდენი გარკვეულ, საკმაოდ ზუსტად ლოკალიზებულ, ფსიქიკურ-კრიმინალურ ჯგუფს დამნაშავეებისას და განვაგრძოთ მისი ძებნა დადგენილი ჯგუფის ფარგლებში. ამის შემდეგ გამორიცხვის ხერხი, ბოლოს და ბოლოს, საძიებელ პირამდე დაგვიყვანს და, რამდენადაც პრაქტიკა ამტკიცებს, ასიდან ოთხმოცდაათჯერ – უცდომლადაც.

გაცილებით რთულია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დამნაშავის კრიმინალური აქტივი შეიცავს ბოროტმოქმედების ხერხთა სრულ ოქტავას, იქნებ, რამდენიმე ოქტავასაც. მაშინ იმის მეტი აღარაფერი გვრჩება, რომ სწორედ ეს ვრცელი დიაპაზონი მივიჩნიოთ დამნაშავის ხელწერად და ბოროტმოქმედის ფსიქიკის შესწავლაში მხოლოდღა ანალოგიები მოვიშველიოთ. რაც, სამწუხაროდ, ძლიერ იშვიათია. ამგვარად, ასეთი დამნაშავის ფსიქიკურ-კრიმინალური ტიპი თითქმის განუმეორებელ ფენომენს წარმოადგენს, ხოლო მის გამომჟღავნებას თუ შეპყრობას ისეთივე სიძნელეები ეღობება, როგორსაც ბაქტერიოლოგი აწყდება ხოლმე უცნობი მიკრობის აღმოჩენის გზაზე. ამ სიძნელეთა გადასალახავად კრიმინალისტები სხვადასხვა ხერხს იყენებენ. პირადად მე ხშირად მივმართავდი ხოლმე მოდელის გამოყენების ხერხს, მეთოდს, ანუ ვსწავლობდი თვით საძიებელი პირის (და არა მისი დანაშაულის) მსგავს ადამიანებს – ისეთებს,

რომელნიც, არსებული ცნობების თანახმად, ჩემთვის საინტერესო პიროვნებას ხასიათის ნიშნებით ჰგავდნენ. მათზე დაკვირვება, მათი შესწავლა შედარებით იოლია, რადგან პირადი კონტაქტია შესაძლებელი. ამ გზით არაერთხელ გამიცია პასუხი უპირველესი მნიშვნელობის კითხვაზე, თუ ვინ არის და რას წარმოადგენს დამნაშავე. როცა ეს პასუხი ნაპოვნია, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საძიებელი პირიც ნაპოვნი და შეპყრობილია.

ზოგი რამ ზემონათქვამი უნდა გავიმეორო. დათა თუთაშხიას დოსიემ, ამ კაცის მრავალი წლის აბრაგობის მანძილზე, დანაშაულთა და ჩადენის ხერხთა მთელი კლავიატურა მოიცვა. ზედმეტი იყო ლაპარაკი არა მარტო ყველა დანაშაულში გამოყენებული ერთი რომელიმე, საერთოდ დამახასიათებელი ხერხის აღმოჩენაზე, არამედ იმის დადგენაზეც, თუ, სახელდობრ, რომელი დანაშაულთაგანი იყო თუთაშხიას ჩადენილი და რომელი არა. მაშასადამე, შეუძლებელი გახლდათ დათა თუთაშხიას ფსიქიკურ თავისებურებათა წვდომაც და უამისოდ კი აბრაგის ჩვენს ხელში ჩავარდნა მხხოლოდ ბრმა შემთხვევის წყალობით თუ მოხდებოდა.

თავისი მიზნების განხორციელების დროს ამა თუ იმ ილეთის ჩატარების შესაძლებლობას მოკლებული ადამიანი წააგავს ხეიბარს, რომელიც, ვთქვათ, ცალხელაა და თავის ყველა წარუმატებლობას მხოლოდ ამით ხსნის; ცალხელა არ ვიყო, კურდღელს დავეწეოდი და გადავასწრებდიო! ეს ამა თუ იმ უნარს მოკლებული კაცის ფილოსოფიაა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყავი რამდენიმე წლის მანძილზე და სრულიად მოულოდნელად გამოირკვა, რომ დათა თუთაშხიასთან ერთად, ერთი დედ-მამის მიერ, ერთნაირ

პირობებში აღზრდილი, მრავალ წელს ერთად ნაცხოვრები და, ალბათ, მსგავსი ღირსების ადამიანი ჩემი ხელქვეითია – მუშნი ზარანდია.

ჟანდარმის პროფესიის არსს იქნებ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც ის, რომ მავანი ადამიანის შესწავლისას მის მიერ დატოვებულ პირველ შთაბეჭდილებას ვიღებდი ხოლმე შემდგომი კვლევის ამოსავალ წერტილად და არა ჩემს ხელთ არსებულ ფაქტობრივ მონაცემთა გაანალიზებით მიღებულ დასკვნებს. პირადი ღირსებების როლს ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში მუდამ უპირველეს მნიშვნელობას ვანიჭებდი, ამ ასპექტში არც საკუთარ ღირსებებს უგულებელვყოფდი, ხოლო ჩემს მთავარ ღირსებად კი დღემდე ის მიმაჩნია, რომ რომელიმე ადამიანთან ერთი შეხვედრით მიღებულ შთაბეჭდილებას, შეიძლება ითქვას, არასოდეს მოვუტყუებივარ, ალღოს, თითქმის, არასოდეს უღალატია ჩემთვის. ანალიზისთვის არც ამჟამად მიმიმართავს. ჩამოვწერე დათა თუთაშხიას საქმეებში არსებულ ბოროტმოქმედებათა სრული სია, მოვიმარჯვე ჩემს წარმოდგენაში ფიქსირებული მუშნი ზარანდიას დადებითი პიროვნება და ინტუიციურად გადავუსვი ხაზი სიაში შეტანილ ყველა დანაშაულს, რომელთა ჩადენა ჩემმა ქვეცნობიერებამ თუთაშხიას ადგილზე მყოფ მუშნი ზარანდიას ვერ მიაწერა. როდესაც სია ხელმეორედ გადავიკითხე, განვცვიფრდი: გამოდიოდა, რომ სიმპათიები მქონდა, გულშემატკივარი ვიყავი სისხლის სამართლის დამნაშავისა, რომელმაც ამდენი წლის მანძილზე მრავალი უსიამოვნება მიაყენა ჩვენს უწყებას და, მაშასადამე, პირადად მეც. ასეა თუ ისე, მეთოდი – მეთოდია და ხელთ მქონდა აბრაგ თუთაშხიას დანაშაულთა სია, რაც ამ ცდაში შემდგომი კვლევის საფუძვლად უნდა მიმეჩნია. ამ ცდაში-მეთქი, ვამბობ, რადგან იგივე მეთოდი შეიცავს მეორე ცდასაც: უნდა მიმემარჯვებინა ჩემს წარმოდგენაში ფიქსირებული მუშნი ზარანდიას უარყოფითი პიროვნებაც და ამ პოზიციიდან მემოქმედა, მაგრამ ჯერ პირველი ცდის შედეგებამდე მივიდეთ.

გავიხსენოთ: მეთოდის თავისებურება ის არის რომ ცნობილის თვისებებს უცნობში ვვარაუდობთ. თუთაშხიას დანაშაულთა პირობითი სიაც ხომ ამ გზით მივიღეთ. ამის შემდეგ ქმედების ხარისხის საკითხს უნდა გაეცეს პასუხი. განმარტებისთვის ვიტყვი: ჩემი სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის პარიზულ პერიოდში ერთ აღმოსავლელ არისტოკრატთან ვმეგობრობდი. იგი მორგანატიკული ქორწინების პროდუქტი იყო. მისი დედა წარსულში პარიზის ღამის კაბარეების ცნობილი მსახიობი ყოფილა – მომღერალი და მოცეკვავე. მამა – ტახტის მემკვიდრე. ბატონიშვილს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვეულებრივსა და არტისტულთან ერთობ ჭირვეული დამოკიდებულება ჰქონდა. მოთხრობა თუ რომანი მისთვის ან ნაწერი იყო ან თხზულება. ტილო და ქანდაკება – ნაკეთობა ან ქმნილება. მოცეკვავის ნომერს ან როლს იგი განსაზღვრავდა სიტყვებით - შესრულება ან როკვა. მოყვანილი ზმნებიდან პირველთ – ჩვევის, დასწავლის, დაზეპირების რეზულტატად თვლიდა, ხოლო მეორეებს – კათარზისად. აქედან გამომდინარე, ხელოვანთა ამქარს ორ ჯგუფად ჰყოფდა – პლებეებისა და არისტოკრატების ჯგუფებად. დანარჩენ საზოგადოებასაც ასე აღიქვამდა. წარმოშობასა და გენეალოგიას არც აქ ანიჭებდა რაიმე მნიშვნელობას. ადამიანებს იგი ერთსა თუ მეორე ჯგუფში ჩარიცხავდა ხოლმე იმის მიხედვით, თუ როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ისინი თავის საქმესთან, ხელოვნებასთან, სამსახურთან. მისთვის არისტოკრატი მხოლოდ ის იყო, ვინც ყოველდღიურობასაც კი შემოქმედებითი პოზიციებიდან უდგებოდა. რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი ბატონიშვილის თვალსაზრისი ერთობ რადიკალურია, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ამგვარ მიდგომაში არის ჭეშმარიტების საკმაოდ ძლიერი მარცვალი. ათასნაირი

ხელქვეითი მყოლია და მათში ყველაზე პუნქტუალურს, მუყაითსა და დამჯერს, მაინც ფანტაზიის მქონე, თავის საქმეზე შეყვარებული და, თუნდაც, რამდენადმე თავნება ხელქვეითი მერჩივნა. ასეთთაგან საქმის წახდენაც არ არის მოულოდნელი, მაგრამ მათი მოქმედება მუდამ მშვენიერი და პერსპექტიულია. დიახ, პერსპექტული, რადგან სწორედ ეს ადამიანები ამდიდრებენ კაცობრიობის გამოცდილების მარაგს, ხვეწენ პროფესიონალიზმს, ხელოვნებად, თავისუფალ შემოქმედებად აქცევენ სამსახურებრივ საქმიანობას.

გამოვიყენებ აღმოსავლელი ბატონიშვილის გამოთქმას და ვიტყვი, რომ დავალების მიღებამდე მუშნი ზარანდია მოხელე იყო, ხოლო იმ მომენტის შემდეგ, როცა მის ხელთ რაიმე ახალი საქმე აღმოჩნდებოდა – აღტყინებული, ვნებათა ღელვას აყოლილი მსახიობი. მახვილი ინტუიცია ჰქონდა და ამიტომ მის მიერ გამოძიებულ, მოკვლეულ, თუ სხვა რამ შესრულებულ საქმეს არასოდეს რჩებოდა "კუდები", ანუ შეუსწავლელი და გამოუმზეურებელი კუნჭულები. მის მასალებს შვიდივე ელინი ბრძენიც ვეღარაფერს დაუმატებდა. ჯერ, დამნაშავეს დედიშობილას გამოიყვანდა დღის სინათლეზე. მერე, თუკი დასასჯელად განწირულს გამოძიების მსვლელობაში ერთ რაიმე კარგ თვისებას მაინც შენიშნავდა, სასტიკ წინააღმდეგობაში ვარდებოდა თავისსავე ნამოქმედართან: მოსამართლეებს, მსაჯულებს, ადვოკატებს უმარტავდა, თუ რა გზით შეიძლებოდა მინიმალური სჯავრის გამოტანა და თავგამოდებით იცავდა საკუთარი დასკვნების საწინააღმდეგო მოხაზრებებს. კიდევ ერთი თავისებურება ჰქონდა და ესეც არტისტიზმის ნიშნად მიმაჩნია: სძულდა ერთსა და იმავe ტიპის საქმეებზე მუშაობა და თუ იძულებული გახდებოდა, აეღო – სძულდა ცნობილი მეთოდების გამოყენება, გაკვალული გზებით სიარული. ასეთი იყო მუშნი ზარანდიას ქმედების ხარისხი და ამას სავსებით დაემთხვა დათა თუთაშხიას დანაშაულებებში არსებული ქმედების ხარისხი. ეს მსგავსება, მე ვიტყოდი, იდენტურობა, აქვე შემიძლია მრავალი მაგალითით დავადასტურო, მაგრამ ჩემი ჩანაწერები, ძირითადად, ამ ორი ადამიანის მოქმედებებს ეხება და პარალელებსაც უხვად შეიცავს.

ამგვარად, მიღებულ იქნა პასუხი კითხვაზე – "როგორ" და საძებნელი იყო ქმედების მიზეზი, ანუ პასუხი კითხვაზე – "რა ამოძრავებს"? ანალოგია: ფულს შოულობს ყველა, მაგრამ ვინ – რისთვის? ზოგს საარსებო სახსრების შოვნა ამოძრავებს. მეორეთ – შენახვისა. მესამენი ფულით ფულისავე შოვნით არიან გატაცებულნი, თანხის, კაპიტალის გასაზრდელად იღვწიან. ასევეა სამსახურიც. მსახურობენ იმიტომ, რომ სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ. რევოლუციამდე ზოგს არც ფული აკლდა, არც ქონება, მაგრამ სამსახურს ხალხთან სიახლოვის, ფილანთროპიული მოღვაწეობის საშუალებად მიიჩნევდა და მსახურობდა: ისეთებიც იყვნენ, რომ მხოლოდ ტახტისა და სამშობლოს ერთგულების გამო მსახურობდნენ, ჯამაგირს არაფრად აგდებდნენ, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობისთვის სამსახური მაინც დაწინაურების, კარიერის გაკეთების საშუალება იყო. ასეთი მიზანი თუმც პატივმოყვარეობით, გამდიდრებისა და ძალაუფლების წყურვილით და კიდევ სხვა მდაბალი ადამიანური თვისებებით არის განპირობებული, მაგრამ, საერთოდ, კარგი კარიერის გაკეთებისთვის, დაწინაურებისთვის სამსახური დადებით ნიშნად მიმაჩნია, თუ ეს არ ხორციელდება აკრძალული ილეთების, უსუფთაო ხერხების გამოყენების გზით.

მუშნი ზარანდიას ქმედების მიზეზის დადგენა, ბუნებრივია, მისი სამსახურის პირველსავე თვეებში მოექცა ჩვენს, ანუ კავკასიის ჟანდარმერიის ხელმძღვანელობის, ინტერესთა სფეროში და ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. საკითხი წლების მანძილზე ვერ პოულობდა გადაწყვეტას, რადგან ზარანდიას პიროვნება ვერა და ვერ მოერგო რომელსამე ცნობილ ყალიბს. ამ კაცისა ყველაფერი გაუგებარი იყო. მაგალითად, მან ერთობ თავისებური დამოკიდებულება გამოამჟღავნა შრომის ანაზღაურებისა და დაწინაურების მიმართ. იყო შემთხვევა, როცა ერთი თანამდებობიდან მეორე, უფრო დაბალ თანამდებობაზე გადავიყვანეთ იმიტომ, რომ ზარანდია იმ ადგილზე იყო საჭირო. ჯამაგირი დააკლდა, მაგრამ მას არც დაქვეითების გამო უთქვამს რამე და არც ჯამაგირის შემცირების გამო. მეორე შემთხვევაში ზარანდიას რომელიღაც საგადასახადო უწყების მმართველის მოადგილედ დაუპირეს გადაყვანა. არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობაც მაღალი იყო და ჯამაგირიც სამჯერ მეტი ექნებოდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამგვარ თანამდებობათა სხვაგვარ შემოსავლიანობასაც. ამ და მსგავსმა მაგალითებმა დამარწმუნეს, რომ ზარანდიას ქმედების მიზეზი არც დაწინაურების წყურვილი იყო და არც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. შეცდომა იქნებოდა, თუ მის ერთგულქვეშევრდომულ გრძნობებსა და დიდმპყრობელურ იდეებს მივაწერდი იმ მუყაითობას, კეთილსინდისიერებას, რასაც ზარანდია – ეროვნებით ქართველი და წარმოშობით გლეხი, – მოვალეობათა აღსრულებისას იჩენდა. ხსენებული გრძნობებისა და იდეებისგან იგი მეტად შორს გახლდათ. ამას გარდა, ეს ადამიანი არც ნეტარი ჩანდა და არც იმ პრიმიტივთა რიცხვს ეკუთნოდა, ვისაც ბავშვობაშივე ჩააგონეს, რომ უნდა იყოს მორჩილი, გამგონე, იმსახუროს უანგაროდ, თავგანწირვით და სამარის კარამდე. ერთი სიტყვით, ზარანდია იყო ლაბირინთი, საიდანაც კარში გამოსასვლელს მხოლოდ შემთხვევის ძალა ან ჟამთა მსვლელობა გაპოვნინებს.

დრო საუკეთესო მკურნალია და ამგვარი შემთხვევა მოიტანა კიდეც. უკეთ რომ ვთქვათ, შემთხვევამ დაადასტურა ჩემი ერთობ პირობითი შეხედულებები, კერძო ჰიპოთეზა ფაქტად აქცია და ეს იყო შედეგი ერთი სამძებრო ოპერაციისა, რომელიც ზარანდიამ ლამაზად დაგეგმა, მაგრამ ლამაზადაც წააგო.

ჩემი ჩანაწერების მიზანს ამა თუ იმ შემთხვევის მოყოლა არ შეადგენს, რაოდენ საინტერესოც უნდა იყოს იგი, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში მოქმედების დროს ადამიანები კარგად მჟღავნდებიან და ეს ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანის საშუალებას ქმნის. ამ კერძო შემთხვევაში მოყოლა სწორედ იმისთვის მჭირდება, რომ ზარანდიას ქმედების მიზეზი უნდა დადგინდეს, ანუ გაეცეს პასუხი კითხვას: რა ამოძრავებდა ამ პიროვნებას.

ცხრაასიანი წლების დასაწყისში გერმანიაში მომუშავე ვენი რეზიდენტის დაშიფრული დეპეშა მივიღეთ. დეპეშაში ზუსტად იყო აღნიშნული, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ერთი ცნობილი დოცენტი, ეროვნებით ქართველი, გემ “ადელაიდათი”, ასე, ერთი თვის შემდეგ დღიდან დეპეშის მიღებისა, ბათუმს მოემგზავრებოდა. დოცენტს თან უნდა წამოეღო არალეგალური, აკრძალული ლიტერატურა, დაახლოებით, ნახევარი ჩემოდნის რაოდენობით.

ბევრი არ მიფიქრია, საქმეც და რეზიდენტთან კავშირის საშუალებებიც ზარანდიას ჩავაბარე. პროგრამა-მაქსიმუმი, ცხადია, ის იყო, რომ ლიტერატურა ხელში ჩაგვეგდო, მისი ჩამომტანი და მიმღები ჯგუფი უვნებელგვეყო. პროგრამა-მინიმუმი – არასგზით არ დაგვეშვა ლიტერატურის გავრცელება. რამდენიმე დღის შემდეგ ზარანდიამ ოპერაციის გეგმა წარმოადგინა. ჩვენ იგი გადატვირთულად მივიჩნიეთ, მაგრამ ავტორი დაჟინებით ითხოვდა თავისი გეგმის უცვლელად დამტკიცებას. ბოლოს დაგვიყოლია კიდეც და საქმეს შეუდგა.

უპირველესად ყოვლისა, მან გერმანიაში გაგზავნა აგენტი, რომელმაც რეზიდენტისგან დოცენტი "ჩაიბარა". შემდეგ აგენტმა შეიძინა ჩემოდნების ისეთივე კომპლექტი, როგორიც დოცენტს ჰქონდა. როცა დოცენტმა არალეგალური ლიტერატურა სასტუმროში მიიტანა, აგენტმა და რეზიდენტმა შეამოწმეს, თუ სახელდობრ, რომელი ჩემოდნით მოდიოდა ჩვენთვის საინტერესო ტვირთი და რამსიმძიმე იყო ჩემოდანი.

დადგა დღე, როცა ღია ზღვაში გამოსულ "ადელაიდაზე" იყო დოცენტი, ჩვენი აგენტი და ამ ორი კაცის ორი აბსოლუტურად ერთნაირი ჩემოდანი.

გემი ბათუმში შუადღისას უნდა მოსულიყო. წინაღამეს აგენტმა დოცენტის ლიტერატურიანი ჩემოდნის ადგილზე თავისი ჩემოდანი დატოვა. ეს ზარანდიას გეგმით იყო გათვალისწინებული, რადგან იმხანად არალეგალური ლიტერატურის შემოტანის საქმეში ერთმა ეშმაკობამ იჩინა თავი: დანიშნულების ნავსადგურიდან ოთხი-ხუთი საათის სავალზე, იმ გემის სიახლოვეს, რომლითაც ლიტერატურა მოდიოდა, უპირატესად შეღამების ხანს გამოჩნდებოდა ხოლმე აფრიანი "მებადური" ან სხვა რამ ხომალდი. თუ ნავი წინასწარ დათქმული რაიმე პირობითი ნიშნებით იყო აღჭურვილი და, ამასთან ერთად, იგი დანიშნულების ნავსადგურისკენ გემის კურსით მოემართებოდა, შემომტანი ლიტერატურიან ჩემოდანს გემის ერთ-ერთ საშველ რგოლზე ამაგრებდა და ზღვაში აგდებდა. "მებადურს" ჩემოდნიანი რგოლი თავის ერდოზე აჰქონდა, რის შემდეგ ლიტერატურის აღმოჩენა უკვე ვეღარ ხერხდებოდა ხოლმე. ასეთ ფანდზე რამდენიმეჯერ წამოვეგეთ და ახლა დოცენტს კიდეც რომ მიემართა ამ ხრიკისთვის, "მებადურზე" ჩვენი ჩემოდანი აღმოჩნდებოდა და არა ლიტერატურა. უნდა აქვე ვთქვათ, რომ შემომტანს ზემოაღწერილი ხერხისთვის არ მიუმართავს და ჩემოდნების გაცვლას კი სხვა აზრიც ჰქონდა, რაც ქვემოთ გამოჩნდება.

"ადელაიდა" ნავსაყუდელს მოადგა. დოცენტი ნაპირზე გადმოვიდა. გადმოვიდა აგენტიც. საბაჟოს მოხელეებმა რამდენიმე მგზავრი და მათ შორის დოცენტიც, თავის ხელბარგიანად საბაჟოში შეიპატიჟეს. რა თქმა უნდა, დოცენტის ნაპირზე ჩამოსვლის შემდეგ, ვისაც ჯერ არს, თვალი ეჭირა, აბა, დააპირებდა ვინმე თუ არა მისი შავი ჩემოდნის წაღებას, თუ დააპირებდა, სახელდობრ, ვინ, და თუ წაიღებდა – სად მიიტანდა. ლიტერატურის დამხვდურებმა სიფრთხილე გამოიჩინეს, დოცენტს არავინ გაჰკარებია. აგენტმა ლიტერატურიანი ჩემოდანი, რომლის სანაცვლოდ დოცენტს თავისი დაუტოვა, საბაჟოში უკანა კარიდან შეიტანა. მებაჟეებმა ჯერ სხვა მგზავრების ბარხანა შეამოწმეს და შემდეგ დოცენტს ჰკითხეს, საბაჟოდ რა გაქვთო. მთელი ამ ხნის მანძილზე ზარანდია გულდასმით ადევნებდა თვალს თავის მსხვერპლს. დოცენტი ღელავდა და კითხვაზე მიუგო, რომ საკუთარ ბარგში დასაბაჟავი არაფერი ეგულებოდა, ხოლო აგერ, იმ შავ ჩემოდანში რა იყო, თვითონაც არ იცოდა, რადგან იგი მავანმა კაცმა გამოატანა კაცისთვის, რომელმაც

ჩემოდანს აქ, ბათუმშივე, ან თბილისში უნდა მოაკითხოსო. სანამ სხვა ჩემოდნების შემოწმება მიმდინარეობდა, დოცენტი, ასე თუ ისე, ყოჩაღად იყო, მაგრამ შავი ჩემოდნის გახსნას რომ შეუდგნენ, მუხლი მოეკვეთა, სკამზე უმწეოდ დაეშვა და გაფითრებულ სახეზე ხელები აიფარა.

– ცუდად ხომ არ შეიქენით, ბატონო? - ჰკითხა ზარანდიამ და წყალი მოურბენინა.

დოცენტმა წყალი მოსვა, ლიტერატურის აღმოჩენის საბედისწერო მომენტის ლოდინს შეუდგა. ცხადია, ჩემოდანში ლიტერატურა არ აღმოჩნდა. დოცენტის განცდებზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ლიტერატურის წონისა ჩემოდანში გერმანული წარმოების ქლიბების კომპლექტები ეწყო. ამ საქონელს ბაჟი ეკუთვნოდა და სანამ დოცენტი მეორე ოთახში ფორმალობას ასრულებდა, ჩემოდნები კვლავ შეიცვალა.

ნახევარი საათის შემდეგ დოცენტს სასტუმროს ნომერში შეჰქონდა ლიტერატურიანი ჩემოდანი, თუმც კი დარწმუნებული იყო, რომ ქლიბებიანი შეჰქონდა. ასე იყო საჭირო ზარანდიას გეგმის მიხედვით. ამაში არ ყოფილა ცინიზმი და, მით უმეტეს, ის სადიზმი, რომელსაც კატა მონადირებული თაგვის მიმართ იჩენს: გაუშვებს – დაიჭერს, გაუშვებს – კვლავ დაიჭერს. ზარანდიას სჭირდებოდა დოცენტის მტკიცე რწმენა, რომ იგი ახლა კანონის წინაშე უკვე მართალი და შეუვალია, რომ თვალთვალი და ჩხრეკა უკან დარჩა და, ამასთან ერთად, პასუხისგებისთვის საჭირო ნივთიერი მტკიცება კი თან ჰქონოდა. ჩემოდნების პირველი გაცვლის მთავარი მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩხრეკის შემდეგ ისინი მეორედაც გაცვლილიყვნენ, დოცენტს ეს გაცვლა არ სცოდნოდა და ამით მისი ფსიქიკის ის მდგომარეობა მიღწეულიყო, რომელიც საბაჟოდან გამოსვლის შემდეგ დაეუფლა: დაბნეულობა, გაუგებრობა, მაგრამ შეუვალობის გრძნობაც და ამის შედეგად სიფრთხილის მოდუნებაც. მე არ ვაპირებ მოვლენათა განვითარების ყველა იმ ვარიანტის განხილვას, რაც ზარანდიას ჰქონდა ნავარაუდევი და გათვალისწინებული, მაგრამ, სანამ ამ ოპერაციის ფინალს შევეხებოდე, ვიტყვი, რომ, ერთი შეხედვით, ლიტერატურას, მის შემომტანს და მიმღებთ გადარჩენის რაიმე თეორიული შესაძლებლობაც კი არ გააჩნდათ, თუ არ ვიგულისხმებთ წარღვნას ან სხვა რამ კატაკლიზმს, როცა ყველა და ყველაფერი იღუპება. ვისაც ამაში დარწმუნება სურს – გააანალიზოს. ახლა კი ფინალი, რომელიც არცთუ ბანალური იყო.

დოცენტი დაბინავდა, შემდეგ ნომერი ჩაკეტა, ქალაქში გამოვიდა. იგი ესტუმრა ერთ ბათუმელ ქართველ მილიონერს, ჩვენთვის ცნობილს თავისი ფრონდიორობითა და დევნილი რევოლუციონერების მატერიალური დახმარებით. აქ დოცენტმა საათი, საათ-ნახევარი დაჰყო. შემდეგ ამდენივე ხანს ქალაქში ისეირნა და სასტუმროში დაბრუნდა. მალე მასთან მივიდა ორი კაცი. მასპინძელმა სტუმრები მიიღო, კარი შეიკეტა, ხუთიოდე წუთის შემდეგ იძულებული შეიქნა, კვლავ გაეღო, – დოცენტს ზარანდია ესტუმრა. მას ორი ხელქვეითი ახლდა. სალმისა და უფლებამოსილების საბუთის წარდგენის შემდეგ ზარანდიამ დოცენტს მიმართა:

– ჩვენ დაინტერესებული ვართ თქვენი თავშეყრის მიზეზით.

დოცენტმა ცოტა ხანს იფიქრა და მიუგო:

– თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ მე დღეს მოვედი გერმანიიდან “ადელაიდით”? ჩამოვიტანე ამანათი ამ ბატონებისთვის. წასაღებად არიან მოსული. ეს არის და ეს.

– ადასტურებთ? – მიუბრუნდა ზარანდია დოცენტის სტუმრებს.

– დიახ, – თქვა უყოყმანოდ ერთ-ერთმა.

მეორემ თავი დაიქნია, მაგრამ საკმაოდ უხალისოდ.

ზარანდიამ კითხვა-პასუხი ოქმში შეიტანა.

– გთხოვთ, ხელი მოაწეროთ იმაზე, რომ თქვენი პასუხები სწორად არის დაფიქსირებული.

დოცენტმა ჩანაწერი წაიკითხა და დაუყოვნებლივ მოაწერა ხელი,

სტუმრებმა კარგა ხანს იფიქრეს, იყოყმანეს, ბოლოს ერთმა თქვა, ამანათი ჩემია, ხელსაც მე მოვაწერო. ზარანდია აღარ შედავებია, ორი ხელისმოწერა იკმარა.

– რომელ ჩემოდანშია ამანათი? – იკითხა ზარანდიამ.

– აგერ, იმ შავში, - მიუგო უკვე დაეჭვებულმა დოცენტმა.

– ჩვენ უნდა დავესწროთ ამანათის გადაცემა-მიღებას!

სიჩუმე ჩამოვარდა. მასპინძელი და სტუმრები ერთმანეთს ათვალიერებდნენ.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა დოცენტმა. - აქ არის ქლიბების კომპლექტები. თქვენ ეს საბაჟოშიც ნახეთ.

მან ჩემოდანი მაგიდაზე დადო და თავი ახადა.

ალბათ, ცხადია, რომ ამ სამი კაცის სამართალში მისაცემად სრულიად საკმარისი და დასაბუთებული დოკუმენტაცია ბათუმშივე გამზადდა და საქმეს შავი კატა ველარ გადაურბენდა. საგამომძიებლო მასალა ამომწურავი იყო. გამომჟღავნდა, უკეთ რომ ვთქვათ, ერთხელ კიდევ დადასტურდა აკრძალული ლიტერატურის საზღვარგარეთული წყაროს ადგილსამყოფელი, იქ მომუშავე ემიგრანტთა გვარები, დამხვდურთა და გამავრცელებელთა ურთიერთობები, გამოცხადებისა და შეხვედრების მისამართები და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ასეთ შემთხვევაში სამძებრო დაწესებულებებს აინტერესებს ხოლმე.

დამნაშავეები თბილისში ჩამოვიყვანეთ, მეტეხის ციხეში მოვათავსეთ, როგორც გამოძიებული და მსჯავრისთვის გამზადებული დამნაშავეები.

დოცენტი შეძლებულ არისტოკრატთა წოდებიდან იყო. მისი ნათესაობა დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ კავკასიაში. მათ შორის ჩემი პირადი ნაცნობ-მეგობრებიც იყვნენ – გენერლები, მაღალი თანამდებობის პირები და, უბრალოდ, კარგი ინტელიგენტები. საქმე ისე მოტრიალდა, რომ არამცთუ რამდენიმეჯერ მომმართეს დახმარებისთვის, არამედ

კავკასიის მეფისნაცვალიც დააინტერესეს დოცენტის ბედ-იღბლით. ესეც არ იყოს, თანამდებობა მაკისრებდა, პირადად გავცნობოდი საქმესაც, დამნაშავეებსაც, და ზარანდიას ვუბრძანე, ერთი დაკითხვა ჩემი თანდასწრებით მოეწყო. აღვნიშნავ, რომ ბრალდებულმა ჩემი ვინაობა არ იცოდა.

ჯერ თანაბრალდებულებმა და შემდეგ თვით დოცენტმაც სავსებით და უცვლელად დაადასტურეს ადრინდელი ჩვენებები. დავრწმუნდი, რომ მათთვის მსჯავრის შემსუბუქებაც კი არ შემეძლო, საქმის მოსპობაზე აღარას ვამბობ. კაბინეტში დავბრუნდი იმ მძიმე გულითა და უსიამოვნო წინათგრძნობით, რაც ადამიანებისთვის რაიმე დახმარებაზე უარის თქმას უძღვის ხოლმე წინ. ამით ვიყავი შეწუხებული და იმასაც მივხვდი, რომ ზარანდიამ დაკითხვა დოცენტის ბედ-იღბალთან ჩემი დამოკიდებულების გამორკვევის ნიშნის ქვეშ ჩაატარა. იგი ყოველნაირად ცდილობდა, გაეგო, თუ რა მსურდა მე და, ამასთან ერთად, თავისი ეს დაინტერესება არ გამოემჟღავნებინა.

ამ დროს ზარანდიამ კარი შემოაღო და შემოსვლის უფლება მთხოვა. ათი-თხუთმეტი წუთის წინ ერთად ვიყავით, მის შემოსვლას არ ველოდი.

– სათხოვარი მაქვს, გრაფ.

– ბრძანეთ მუშნი!

– ჩამოდით ჩემთან, თუ დრო და სურვილი გაქვთ საამისოდ... კიდევ ნახევარი საათით.

– მოვალ, – იმწამსვე დავთანხმდი.

ზარანდიას კაბინეტში დოცენტის მეტი არავინ იყო.

– ბატონო დოცენტო, – ჰკითხა ზარანდიამ. – რას მოელით რევოლუციისგან პირად ასპექტში. გვითხარით, თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ თქმა და თუ ბოლომდე გესმით შეკითხვის არსი.

დოცენტმა გაიღიმა:

– ჩემი და ჩემისთანების მამულებისა და სხვა ქონების კონფისკაციას, რასაც დიდი ხანია თვითონვე მოვახდენდი, პირადად, განუყოფლად რომ მეკუთვნოდეს ისინი და, ამას გარდა, ფანფარონობად რომ არ მიმაჩნდეს გლეხებისთვის მიწების ერთპიროვნული დარიგება, მიწაზე საყოველთაო კერძო საკუთრების პირობებში. მოველი იმას, რომ ამეყრება წოდება, რომელსაც პირადად მე ვატარებ, როგორც მამლაყინწა - ბიბილოს. მოველი სულიერ კმაყოფილებას იმის გამო, რომ ყველა ადამიანს თანაბარი შესაძლებლობები შეექმნება საკუთარი ღირსებების სარეალიზაციოდ, საკაცობრიო გენიას ახალი, უფართოესი ასპარეზი შეექმნება სამოქმედოდ. ღირს თუ არა, ბატონო ოფიცერო, ასეთი შედეგების მიღება იმ სასჯელის ფასად, რომელსაც განაჩენით მომისჯიან?

– ეღირებოდა, თუკი მართლაც ყველაფერი ასე იქნება, როგორც ბრძანებთ, მაგრამ სად არის ამის გარანტია? თქვენ განა აბსოლუტრად გწამთ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუცია ადამიანს სულიერ კმაყოფილებას, ბედნიერებას მოუტანს? დაფიქრებულხართ როდისმე

იმაზე, რომ ყოველგვარი ახალი იდეის ქადაგება ავანტიურიზმის მნიშვნელოვან ელემენტსაც შეიცავს და, ამდენად და ამზომით, რევოლუციური მოღვაწეობა ცალკე სიკეთეს და ცალკე ადამიანის ზნეობას ეწინააღმდეგება?

– დავფიქრებულვარ! დავფიქრებულვარ მაგაზეც და ბევრ სხვა საკითხზეც! – დოცენტს ნერვიულობა დაეტყო. ზარანდიამ, ჩანს, მტკივნეულ ადგილს მიუგნო. – დავფიქრებულვარ იმაზეც, რომ რევოლუციამ პატიოსანი ინტელიგენტებისა და არისტოკრატების ინტელექტი უნდა გამოიყენოს და შემდეგ გაუსწორდეს მათ, როგორც საფრანგეთის რევოლუცია გაუსწორდა მიშელ დე ლეპელეტიეს და სხვათ. მე ეს რევოლუციის კანონზომიერებად მიმაჩნია, მაგრამ მაინც მის მხარეზე ვარ... "აქა ვდგავარ და სხვარიგად არ ძალმიძს"! – დოცენტი, ჩანს, დაამშვიდა და გაამხნევა თავისმა ნათქვამმა და ზარანდიას უკვე ღიმილით ჰკითხა: – იცით, ვისია ეს სიტყვები?

ზარანდიამ თავი გაიქნია. იგი დაფიქრებული იჯდა. მივხვდი, თვით სიტყვებზე ფიქრობდა და არა იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა ეს გამოთქმა.

– "აქა მდგავარ და სხვარიგად არ ძალმიძს"! – გაიმეორა ზარანდიამ ხმადაბლა და დასძინა: – არც წამიკითხავს და არც მსმენია ასე მოკლე და, ამასთან ერთად, ამომწურავი განსაზღვრა გარკვეული, საკმაოდ იშვიათი ტიპის ადამიანთა ქმედების მიზეზისა. მშვენიერია! ვისი ნათქვამია ეგ, ბატონო დოცენტო?

– მარტინ ლუთერისა.

სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა:

– ბატონო დოცენტო, – მიმართა ზარანდიამ. – თქვენს რწმენას და იმას, რომ "სხვარიგად არ ძალგიძთ" დიდი გამოცდა ელის. სამწუხაროდ, ახლავე ელის... მესამე პირი ამ ოთახში არის კავკასიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, გენერალი, გრაფი სეგედი.

დოცენტი მოულოდნელობამ წამით შეაცბუნა, შემდეგ მან ოდნავ და ცივად დამიკრა თავი, ზარანდია კვლავ დუმდა. ღმერთმანი, ტანმა მიგრძნო, რომ აი, ახლავე გავხდებოდი მოწმე ზარანდიას ისეთი ფანდისა, როგორითაც მას არაერთხელ შემოუტანია ჩემ განწყობაში აღრევა, აღტაცება, მწუხარება, ერთი სიტყვით, რაც გნებავთ, გარდა სიმშვიდისა და ჩვეულებრიობისა. იგი რაღაცას აპირებდა, თორემ ხელმეორედ აქ არ მომიყვანდა.

– თქვენი ნათესავები, – განაგრძო ზარანდიამ, – ყოველნაირად ცდილობენ, გიხსნან თქვენც და თქვენი საზოგადოებრივი რენომეც. ჩვენი საუბრიდან გამოჩნდება, რომ ეს ორი რამ ცალ-ცალკეა სახსნელი, მაგრამ დავიცვათ მიმდევრობა. მის ბრწყინვალებას, გრაფ სეგედის, ისეთმა ადამიანებმა მიმართეს თქვენთვის დახმარების აღმოჩენის თხოვნით, რომ, ვგონებ, იგი შინაგანად მზად არის, გიშველოთ რამე, თუკი ამის საშუალება გამოჩნდება. თქვენი ბედ-იღბლით მეფისნაცვალიც კია დაინტერესებული. დასასრულ, არც მე ვარ განწყობილი რადიკალურად, თუ ამას მნიშვნელობა აქვს. იქმნება ვითარება, როცა მცირედი დავიდარაბის შემდეგ შეგიძლიათ, კვლავ დაუბრუნდეთ თქვენს ძირითად მოღვაწეობას. სწორედ ამ მიმართებით გვაქვს ჩვენ ზოგი რამ გამოსარკვევი და დასაზუსტებელი.

ზარანდია შეჩერდა. მე და დოცენტი, სიმართლეს ვიტყვი, თანაბარი გაფაციცებით მოველოდით სცენის განგრძობას.

– ცნობილია, რომ ახალი იდეის ნერგისა თუ რაიმე პოლიტიკური მოძღვრების ჩანასახის ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა, როგორც ეშმაკობასა და სიცრუეში გამოხატული რაციონალური დამოკიდებულება, ისე მოწამებრივი მსხვერპლი. ჩვენ გვსურს, ვიცოდეთ,

რომელს აირჩევდით: ისარგებლებდით გათავისუფლების შესაძლებლობით, თუ მსჯავრს დაიდებდით აქვე მინდა, გაგაფრთხილოთ, რომ არჩევანი არ გაქვთ. თქვენი მომავალი მაშინვე იყო გადაწყვეტილი, როდესაც შავ ჩემოდანში ლიტერატურას დებდით. ჩვენი საუბრის დანიშნულება მხოლოდ დეტალების დაზუსტებაა.

ზარანდია ამას თავჩაღუნული ლაპარაკობდა. როცა დაამთავრა, თავი ასწია და თვალები დოცენტს მიაპყრო.

– მოვიქცეოდი ისე, როგორც უმჯობესი იქნებოდა, უფრო სასარგებლო იქნებოდა იმ საქმისთვის, რომლის სამსახურმა ციხეში მომიყვანა. საქციელი პირადი ხასიათიდან, ჩემი ინდივიდუალური ღირსებებიდან იქნებოდა გამომდინარე. მინდა, გაგაფრთხილოთ, ბატონო ოფიცერო, – დასძინა დოცენტმა, – რომ ვერავითარ გარიგებაზე ვერ წამოვალ, არავითარ კომპრომისს არ დავუშვებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახით თქვენ საქმე გაქვთ თანამგრძნობთან, მოყვარულთან და არა პროფესიულ რევოლუციონერთან. რას შემეკითხებით კიდევ?

– ჩვენ გვჭირდება უფრო კონკრეტული პასუხი. – ზარანდიამ გარიგებასა და კომპრომისზე ნათქვამი ერთი ყურიდან შეუშვა, მეორიდან გაატარა. – თქვენს წინაშე, დავუშვათ, არის ორი შესაძლებლობა, აი, ამ კონკრეტულ სიტუაციაში დღეს და აქ. მეცნიერი ხართ და, ამავე დროს, პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწევით – რას აირჩევდით, თავისუფლებას თუ გადასახლებას? ვიმეორებ, შექმნილ სიტუაციაში. დღეს და აქ!

– თუ სიმართლე გნებავთ – სულ ერთია! ჩემს წინაშე ამჟამად ორი ამოცანა დგას: უნდა დავამთავრო საკმაოდ ვრცელი ნაშრომი ძველ ქართულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე და, ერთდროულად, აქტიური მუშაობა გავწიო ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერების დარგში. ამ ორი მიზნის განხორციელებას შევძლებ ციხეშიც, გადასახლებაშიც და უნივერსიტეტის პირობებშიც.

– ალბათ, სამწუხარო იქნება თქვენთვის, მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ მეორე მიზნის განხორციელებას – პოლიტიკურ მოღვაწეობას ვგულისხმობ, – ვეღარ შეძლებთ.

დოცენტმა გაიცინა და იკითხა:

– რატომ, ბატონო ოფიცერო? ეს ხომ მხოლოდ ჩემი ნება-სურვილისა და ადამიანური ღირსების საქმეა!

– არა მგონია, – მიუგო ზარანდიამ. – თუმცა, გამოსავალი მოიძებნება. მოგეხსენებათ, ერთმა სოფისტმა, რომელსაც ყოფილი შეგირდი განსწავლის საფასურის გადახდაზე უარს ეუბნებოდა, ამ თავის ნამოწაფარს უთხრა, მე შენ ორჯერ გიჩივლებ და შემოპირებულ

თანხას ამ საშუალებით მივიღებო. თქვენც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ თქვენი მიზნის განხორციელებას, თუ განთავისუფლების შემდეგ ახალ დანაშაულს ჩაიდენთ.

– თუ საჭირო შეიქნა, იქნებ მაგ ხერხსაც მიმართოს ადამიანმა, მაგრამ არ მესმის, საითკენ მიგყავთ ეს, თითქმის ზოგადი საუბარი.

– იქითკენ, რომ თქვენი გასამართლება ვერასგზით ვერ მოხერხდება.

– რატომ? – ეჭვით იკითხა დოცენტმა.

– იმიტომ, რომ იმთავითვე ასე იყო განზრახული.

– მაპატიეთ, – თქვა პაუზის შემდეგ დოცენტმა, – როგორ, განზრახული... ვის მიერ?

– გეგმით განზრახული. ამას ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა. თქვენს საქმეში წინასწარ არის დატოვებული კარი, რომელიც პირდაპირ უნივერსიტეტში დაგაბრუნებთ. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: მე ვიბარებ თქვენს ვექილს და ვაცნობებ, რომ არსებობს ბათუმის საბაჟოში შედგენილი ოქმი თქვენი ხელბარგის ჩხრეკის და შიგ აღმოჩენილი ქლიბების დაბაჟვის თაობაზე. ოქმში არაფერი წერია აკრძალული ლიტერატურის პოვნაზე. თქვენს ხელბარგში იგი არ აღმოჩენილა. არის თუ არა ეს იმის მტკიცება, რომ თქვენ გერმანიიდან მსგავსი არაფერი ჩამოგიტანიათ?

– არის, - მიუგო დოცენტმა, – მაგრამ არსებობს ჩემს ნომერში ჩატარებული ჩხრეკის ოქმიც, ნაპოვნი ლიტერატურაც და შემდეგ, ჩვენებებიც, – სამი ადამიანის ჩვენება.

– როდესაც საქმეში საბაჟოს ოქმი ჩაერთვება, გამოძიება იძულებული იქნება, დაამტკიცოს, რომ ნომერში ლიტერატურა თქვენი მიტანილია. ასეთი მტკიცებები გამოძიებას არ გააჩნია. სასამართლოზე ჩვენ ვერ გამოვაჩენთ აგენტს, რომელმაც თქვენი ჩემოდანი ორჯერ შეცვალა. წარმოვადგინოთ კიდეც, სასამართლო არ მიიღებს ოხრანკის აგენტის ჩვენებას, როგორც წანამძღვარსა და საფუძველს. თავისთავად წამოიჭრება კითხვა: ვინ შეიტანა დოცენტის ნომერში ლიტერატურა? ამაზე გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიტერატურა თვით ჟანდარმერიის მიერ შეტანილად ჩაითვლება. ეს თავისთავად, მექანიკურად მოხდება.

– ჩვენებები?

– ჩვენებებზე ყოველთვის უარს ამბობენ, როცა განთავისუფლების, პროცესით გამართლების საშუალება ჩნდება.

– იქნებ არ ვამბობთ უარს ჩვენებებზე?

– იქნებ? ჩვენ სათუოდ ვერ გავხდით სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქმეს...

– ბატონო ოფიცერო, პირადად თქვენ, მისი ბრწყინვალება და მთლად თქვენი სამსახური ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ლიტერატურა ჩემი შემოტანილია...

– მისმინეთ! – ზარანდიამ გაიცინა, – მიაქციეთ ყურადღება, როლები შეიცვალა. თქვენ, რატომღაც დაჟინებით, ცდილობთ, ყოველ მიზეზს გარეშე, წარსდგეთ სასამართლოს წინაშე. ამას მე უნდა ვცდილობდე. ეგ დაჟინება ნაადრევია და ჩვენი საუბრის ამ ეტაპზე – მოულოდნელიც. ცოტა მოგვიანებით, ასე, ათი წუთის მერე თქვენი ახლანდელი პოზიცია და სასამართლოს წინაშე წარდგომა, იქნებ, საუკეთესო გამოსავლად იქცეს. ჯერჯერობით კი სათქმელს მივყვეთ. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ პროცესი შედგეს, რადგან ამ პროცესის ვერცერთნაირი შედეგი ვერ მოგვცემს ხელს. თუ მოგისჯიან, საზოგადოებაში გავრცელდება ვერსია, რომ ჩვენი პროვოკაციის მსხვერპლი ხართ. თუ გაგამართლეს, გავრცელდება ვერსია, რომ ჩვენი პროვოკაციის ჩაფუშვის შედეგად გაგამართლეს. არსებულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში სახელმწიფოსთვის მისი სამძებრო დაწესებულებების დისკრედიტაცია გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე თქვენი და კიდევ ათი თქვენისთანა, მაგრამ მხილებული დამნაშავის განთავისუფლების შედეგად მოსალოდნელი ზიანი. აქ ლაპარაკია, სახელდობრ, თქვენი რანგის, თქვენი პოპულარობისა და შესაძლებლობების მქონე დამნაშავეებზე.

ზარანდიამ საქაღალდე გახსნა. რაღაც საბუთი ამოიღო და განაგრძო:

– მე ხელში მიჭირავს თქვენი განთავისუფლების ორდერი. იგი შევსებული და ხელმოწერილია ჩემს მიერ, საჭიროა მისი ბრწყინვალების ხელმოწერა და შემდეგ პროკურორის სანქცია, რომელსაც, ვფიქრობ, ადვილად მივიღებთ. თქვენი საქმის გამოძიება შეწყდება. კი არ მოისპობა, შეწყდება ჩვენთვის ხელსაყრელ მომენტამდე.

ყოველივე ამან ჩემზე იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ვერა და ვერ ვაიძულე თავი, ზარანდიას ნალაპარაკევში ხარვეზების ძებნას შევდგომოდი, მისი კონცეფცია გამეანალიზებინა. დოცენტი თავრეტდასხმული იჯდა. არ ვიცი, ზარანდიას ხრიკზე ფიქრობდა, თუ ციდან ჩამოვარდნილ თავისუფლებას განიცდიდა.

– კარგი, მაგრამ ისიც ხომ არ არის გამორიცხული, რომ ჩემი ესოდენ მოულოდნელი განთავისუფლებაც თქვენს მიერ მოწყობილი პროვოკაციის ჩავარდნით იქნება ახსნილი საზოგადოებაში, ადამიანთა გონებაში. ეს ბრძოლაა და, არ დავმალავ, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ძალები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, სწორედ პროვოკაციის ჩავარდნის ვერსია გაავრცელონ, მით უმეტეს, რომ ეს არცთუ ძლიერ შორს არის საქმის ჭეშმარიტი ვითარებისგან, – თქვა დოცენტმა.

– დიახ. ეს ბრძოლაა და თქვენს მიერ მოყვანილ აქციას მოველით კიდეც, მაგრამ სწორედ იმავე უფლებით, რა უფლებითაც ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ძალები მიმართავენ თქვენს მიერ აღნიშნულ ვერსიის გავრცელებას, იმავე უფლებით, ბატონო დოცენტო, ჩვენც მივიღებთ ზომებს: გაგათავისუფლებთ თქვენ და ორ თქვენს თანადამნაშავეს, დავაპატიმრებთ ძიების პროცესში თქვენი წყალობით ამოტივტივებულ სამ-ოთხ პირს, გავასამართლებთ მათ და გავავრცელებთ ხმებს, რომ ისინი თქვენი გაცემული არიან, რომ სწორედ ამის ფასად მიიღეთ თავისუფლება. ამასთან ერთად, ასეთი ვერსია ბატონო დოცენტო, არცთუ ისე შორს იქნება საქმის ჭეშმარიტი ვითარებისგან. მე ჩვენი საუბრის დასაწყისშივე ვთქვი, თქვენს რწმენას და იმას, რომ "სხვარიგად არ ძალგიძთ" სერიოზული გამოცდა ელის-მეთქი.

აი, თურმე, რატომ მოითხოვდა ზარანდია ისე გადაჭრით და დაჟინებით, რომ ოპერაციის გეგმა უცვლელად მიგვეღო!

– ბატონო ოფიცერო, თქვენ ისეთი დახვეწილი არამზადა ბრძანდებით, რომ აქ, იმპერიის რომელიღაც მივარდნილ კუთხეში, თქვენი გამოყენება არსებული პოლიტიკური სისტემის გონებრივი უსუსურობის ერთ-ერთ გამოვლენად უნდა ჩაითვალოს, – თქვა დოცენტმა.

– გმადლობთ, და გთხოვთ, გაიხსენოთ, რომ ჩვენი ურთიერთობის ორი თვის მანძილზე არც ერთხელ არ მიმიმართავს თავხედობისა და შეურაცხყოფისთვის. მაგას სისუსტეში ჩამოგარომევდით, მართლაც უმძიმესი ალტერნატივის წინაშე რომ არ იდგეთ და კიდევ ერთი რამ: თქვენს რევოლუციურ გატაცებაში ორაგულობას მოწყურებული კალმახი იგრძნობა, მაშინ, როდესაც მე ბალახი ვარ და არ ვცდილობ, ხედ ვიქცე.

– თქვენ არ გაქვთ უფლება... მე მოვითხოვ პროცესს! – შეჰყვირა დოცენტმა.

– იმისთვის, რომ დემაგოგებს მოქმედების საშუალება შეუქმნათ?

ჩვენ უკვე გაცნობეთ, პროცესი არ შედგება, – მშვიდად მიუგო ზარანდიამ იყუჩა და მერე უთხრა: – მე წაკითხული მაქვს თქვენი ფსევდონიმებით ხელმოწერილი სტატიები ლეგალურ და არალეგალურ პრესაში. მართლაც, ჩინებული სტატიებია, ამაღლებული და პატიოსანი აზროვნების პროდუქტი. რევოლუცია, როგორც თქვენ ბრძამეთ, სარგებლობს თქვენი ინტელექტით. ვნახოთ, როგორ მოგეპყრობათ შემდგომში. ვგონებ, რომ, უმჯობეს შემთხვევაში, მარიონეტის ხვედრი მოგელით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხსენებულ ლეპელეტიეთა და პარტიული უთანხმოებების შედეგად ემიგრაციაში გადახვეწილ მებრძოლთა უპატრონო სამარეებს, მაგრამ ეს მოსალოდნელია მაშინ, თუ თქვენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე დარჩებით. ამაში კი ეჭვი მეპარება.

– ეს ვერაგული გეგმა იმ ვარაუდით იყო შექმნილი, რომ კომპრომეტაციის გზით პოლიტიკური ბრძოლისგან ჩამოგეშორებინეთ? – იკითხა დოცენტმა ჯიბრითა და ირონიით.

– არა, გეგმის ოფიციალური მიზანი იყო ლიტერატურის რეკვიზიცია, დამნაშავეთა დაპატიმრება და დასჯა, მაგრამ, თუ სიმართლე გნებავთ, გეგმას საფუძვლად დაედო ჩემი პირადი დამოკიდებულება თქვენი პერსონის მიმართ. ამ შემთხვევაში სამსახური პირადი მიზნისთვის გამოვიყენე, უკეთ ვთქვათ, სამსახურებრივი ინტერესები პირად მიზნებს დავამთხვიე. სხვათა შორის, მის ბრწყინვალებასთანაც არ დავმალავ, რომ ტახტისა და სახელმწიფოსთვის გაკეთებული ზოგი საქმიდან პირადი სარგებლობაც მაქვს ხოლმე.

– ჩემს შემთხვევაში რა სარგებლობის იმედი გქონდათ?

– მე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოდგმისა და ერის შვილთაგანი ვარ. აქედან - ვალდებულებებიც და, რა თქმა უნდა, არავითარი პარტიები. ვარ ჩემი ერის მოქმედი ერთეული, გალოკილი თითივით მარტოკაცი. დიახ, და მე მირჩევნია, რომ თქვენ ჩემი ხალხი აზიაროთ იმ მეცნიერულ ცოდნასა და შეხედულებებს, რაც ჩვენი შორეული წინაპრების გენიამ შექმნა ან რომელსაც საკუთრივ თქვენი და თქვენისთანების ტალანტი, ქართველი კაცის ბუნება შეიმუშავებს. ახლო მომავალში, სულ ერთია, დაარსდება

ქართული უნივერსიტეტი, აღსდგება მეცნიერული ცოდნის გამომუშავების ძველთაძველი ტრადიციები. თქვენ და თქვენისთანების ამ დაწესებულებაში მოღვაწეობა გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემს ხალხს, ვიდრე ანარქისტთა იდეების ქადაგება და, მით უმეტეს, მათი ნაძალადევად დამყნობისთვის თქვენი სიკვდილი. ამ პირადი სარგებლობის იმედი მქონდა, ბატონო დოცენტო!

ბრალდებული ერთხანს გულდასმით ათვალიერებდა ზარანდიას, მერე მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა და თქვა:

– რისთვის გჭირდებათ ამდენი თვალთმაქცობა? ან თუ ეგ თვალთმაქცობა არ არის, რატომ ლაპარაკობთ ასე გულახდილად მისი ბრწყინვალების თანდასწრებით? არ გეშინიათ, რომ ჟანდარმერიიდან დაგითხოვონ?

– "აქა ვდგავარ და სხვარიგად არ ძალმიძს"!

ეს ლაპარაკი თანდათან ინტერესს კარგავდა და კამათს ემსგავსებოდა. მისი განგრძობა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი დასწრება აღარ ღირდა. მხარეთა პირდაპირობა თავხედობაში გადადიოდა. არ მსიამოვნებდა დოცენტის გამომწვევი ტონი. გარდა ამისა, მივხვდი, რომ ზარანდიას მიერ დაგებული მახე საშუალებას მაძლევდა, საქმის გაურთულებლად გამეთავისუფლებიანა დოცენტი და მთავარმართებლისთვის მომეხსენებინა, საქმე დამთავრებულია-მეთქი.

– მისმინეთ, ბატონო დოცენტო! – მივმართე ბრალდებულს. – მე ვაწერ ხელს ორდერზე და თქვენ ახლავე წაბრძანდებით შინ. თქვენ აქ განაცხადეთ, რომ გარიგებებზე და რაიმე კომპრომისზე არ წახვალთ და ნურც ისე იფიქრებთ, რასმე ამდაგვარს ჩვენ გთავაზობდეთ. მაგრამ თავს მოვალედ მივიჩნევ, გითხრათ... არავის არ დავაპატიმრებთ, არავის კომპრომეტაციას არ შევუდგებით, თუ თქვენს ზურგს უკან მდგომი პირები თქვენი გათავისუფლების ფაქტს ჩვენს წინააღმდეგ არ გამოიყენებენ. ალბათ, გასაგებია, თუ რას ვგულისხმობ. ამასთან ერთად, გაფრთხილებთ: რა წამს მივიღებთ აგენტურულ ცნობას, რომ ჩემი ეს მოთხოვნა დარღვეულია, ჩათვალეთ, რომ ავმოქმედდებით და გამცემის რეპუტაცია სამუდამოდ ჩამოგეკიდებათ კისერზე. მე მოვრჩი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

იმისთვის, რომ მონათხრობმა დასრულებული სახე მიიღოს: დოცენტისა და მისი თანამოსაქმეების გათავისუფლება მაინც ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს. გავრცელდა ხმები, რომელთა მიხედვით, დოცენტს გმირის, გამჭრიახი ადამიანისა და თავდადებული მებრძოლის რეპუტაცია უმტკიცდებოდა. მაშინ ჩვენ მას დაპირებული შევუსრულეთ: დავაპატიმრეთ გამოძიების პროცესში გამომჟღავნებული რამდენიმე პირი და გავასამართლეთ ისინი. ამ სასამართლო პროცესზე დოცენტის სახელმა მისთვის არასასურველი ინტონაციით გაიჟღერა. შემდეგ მიღებულ იქნა დამატებითი ზომებიც და საბოლოოდ მას გამცემის იარლიყი ხვდა წილად.

დოცენტმა პოლიტიკური ცხედრის ხვედრი არ ისურვა, საკუთარი ინიციატივით შექმნა ანარქო-სინდიკალისტთა არალეგალური ჯგუფი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთაგან და მალე კამჩატკის გადასახლებაში მოხვდა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მან ზარანდიას რჩევით ისარგებლა, შეგირდს ორჯერ უჩივლა, ანუ განმეორებით ჩაიდინა

დანაშაული, განზრახ დაიდო მსჯავრი და თანამზრახველთა წინაშე პოლიტიკური რეაბილიტაცია გაინაღდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სუსტი ჯანმრთელობის აღმოჩნდა, გადასახლებაში დაავადდა და გარდაიცვალა.

მჯერა, რომ მას "სხვარიგად არ ძალედვა".

ამ ეპიზოდის დასაწყისშივე ვთქვი, ზარანდიამ ეს საქმე ლამაზად ჩაატარა და ლამაზადაც წააგო-მეთქი. ასეთი დასასრულის გამო ვთქვი, თუმცა თვით ზარანდია ამ საქმეს წაგებულად არ თვლიდა.

ახლა კი დასკვნა, რომლის გულისთვისაც ვიყავი იძულებული, ამსიგრძე ამბავი მომეყვანა. როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ჩემი წინასწარი მოსაზრებები დრომ და მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა. მუშნი ზარანდიას ქმედების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მას "სხვარიგად არ ძალედვა" ეს ცხადია, მაგრამ აქ აუცილებელია, ორიოდე სიტყვა ითქვას ამგვარ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თვისებებზე და ადამიანში ამ მონაცემის წარმომავლობაზეც. იმისთვის, რომ მსჯელობამ არ გამიტაცოს, სიტყვა არ გამიგრძელდეს და ადვილად გასაგებს ბურუსი არ შემოვახვიო, მოვიყვან დიალოგს ჩემსა და მუშნი ზარანდიას შორის; დიალოგს, რომელმაც დასმულ საკითხს სინათლე მოჰფინა.

იმხანად სენსაცია გამოიწვია ატლანტის ოკეანეში დიდი სამგზავრო გემისა და მგზავრთა უმრავლესობის დაღუპვამ. ხომალდი სულ რაღაც ერთ საათში ჩაიძირა. ამ ტრაგიკული მოვლენის პროცესში მოხდა ისეთი ამბავი, რამაც თუმც კომიკური, მაგრამ უფრო ძლიერი რეზონანსი მიიღო, ვიდრე თვით ტრაგედიამ. როდესაც გემი იძირებოდა და იქაურობა პანიკით იყო მოცული, ერთმა კომივოიაჟერმა მოახერხა არა მარტო ისტერიის მდგომარეობიდან გამოეყვანა და დაემშვიდებინა მანამდე მისთვის უცნობი ოცდათოთხმეტ-თხუთმეტი წლის მარტოხელა ქალი, არამედ ისიც შეძლო, რომ მას მადემუაზელ ბრინონის ნახელავი კორსეტი და, კორსეტთან ერთად, ახალი ტიპის ხორცის საკეპი მანქანა მიჰყიდა. ორას ორმოცდაათამდე ადამიანიდან გადარჩა თორმეტი, მათ შორის კომივოიაჟერი ნავაჭრი ფულით და ქალი, წარმოიდგინეთ, თავისი კორსეტითა და ხორცის საკეპი მანქანითურთ.

– ამას რა ახსნას მოუძებნიდით, მუშნი? – ვკითხე ჩემს ხელქვეითს ერთი მომქანცველი თათბირის შემდეგ.

ზარანდიამ გაიღიმა და მითხრა:

– ეგ სასაცილოც არის, თქვენო ბრწყინვალებავ, და უკიდურესად საინტერესოც. ჩემი აზრით, მსგავსი მოვლენები ცალმხრივი, ერთი რომელიმე მიმართულებით გამახვილებული მიდრეკილების ბრალია. ასეთი ადამიანები, ვგონებ, საკმაოდ იშვიათად ევლინებიან ქვეყანას. არ ვიცი, რა სახელი მოერგებოდათ მათ, მაგრამ ვიცი, როგორ და რა გზით მოდიან ისინი. – ზარანდიამ აზრი მოიკრიბა და განაგრძო: – ხომ შესაძლებელია, რომ მომავალში მეცნიერებამ, მენდელეევის პერიოდული სისტემის დარად, ადამიანის ხნეობრივი თვისებების სისტემაც ჩამოაყალიბოს? აღმოჩნდება, რომ არსებობს ამდენი და ამდენი უკვე ცნობილი თვისება, ვთქვათ, სიყვარული, სიძულვილი, სიკეთე, ბოროტება, სხვანი და სხვანი, ხოლო ცხრილის ამდენი და ამდენი უჯრა დროებით შეუვსებელი

დარჩება. მერე გავა დრო და თავისი ბინადარი, ალბათ, ყველა უჯრას გამოენახება, - ზარანდია ჩემს რეაქციას დაელოდა.

– განაგრძეთ, მუშნი. მესმის, რისი თქმაც გსურთ.

– ვფიქრობ, რომ ნორმალურ ახალშობილს იმთავითვე დაჰყვება ხოლმე ადამიანის ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი.

– თქვენ ნორმალურ ახალშობილზე ლაპარაკობთ, არა?

– დიახ. გამონაკლისებზე და გადახრებზე მერე ვიტყვი. მაშასადამე, ნორმალურ ახალშობილს აქვს ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი და ამ ჩანასახის ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების, დახვეწის შესაძლებლობაც.

– აქვს.

– საფიქრებელია, რომ ერთსა და იმავე ახალშობილს ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი ტოლი სიდიდისა ვერ ექნება. ალბათ, ზოგი ჭარბი პოტენციისა ექნება და ზოგიც ნაკლებისა, მაგრამ თუკი მათი ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების და დახვეწის პირობები, ანუ გარემო, ერთი რომელიმე ზნეობრივი თვისების მძაფრ ზრდას არ იწვევს, მოსალოდნელია, რომ პროდუქტიც მეტ-ნაკლებად ნორმალურთვისებებიანი დადგება, ანუ ისეთი, რომელსაც ჩვენ ნორმალურ ადამიანებს ვუწოდებთ. ახლა გამონაკლისებსა და გადახრებს მივმართოთ. ხომ შეიძლება, რომ დაიბადოს ისეთი ადამიანი, რომელსაც სიხარბე, მომხვეჭელობა და სიძუნწე მძლავრი მონაცემებით დაჰყვება, ხოლო ამის საწინააღმდეგო თვისებები – სუსტ, უმწეო ჩანასახად?

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

– ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ასეთ ადამიანს შეექმნას ზრდა-განვითარების გარემო, რომელიც მძლავრ მონაცემს მძაფრად განავითარებს და სუსტ მონაცემებს კი დათრგუნავს, დაასუსტებს, პრაქტიკულად მოსპობს კიდეც?

– ეგეც შესაძლებელია.

– მაშინ, გრაფ, ასეთნაირად ჩამოყალიბებული ადამიანი რა გზას დაადგება და ამ გზაზე როგორ თვისებებსაც გამოამჟღავნებს, მგონი, ამაზე ლაპარაკი ზედმეტიც უნდა იყოს.

– გასაგებია.

– ჩვენ, გრაფ, საუბარი დავიწყეთ კომივოიაჟერით და კორსეტებისა და ხორცის საკეპი მანქანების მოყვარული დედაკაცით. ასეთებს “სხვარიგად არ ძალუძთ” და რატომაც არ ძალუძთ, ამაზე უკვე ვთქვით. ვიმეორებ, რა დავარქვა მათ, არ ვიცი, მაგრამ საიდან და როგორ მოდიან, მგონი, ვიცი, და მოგახსენეთ კიდეც. ისინი არანორმალურ მონაცემებზე მძაფრად მოქმედი გარემოს თანხვედრის შვილები არიან. როდესაც კაცი ასეთია, იგი ფსკერისკენ დაქანებულ გემზე ქალს ისტერიიდან გამოიყვანს იმისთვის, რომ კორსეტი მიჰყიდოს. თავად ისტერიაში ჩავარდნილი დამშვიდდება, საკეპი მანქანის ყიდვის

პერსპექტივით გამხნევებული, და იყიდის კიდეც. ის საკეპი მანქანა, იქნებ, წელზე შეიბას და ისე გადაეშვას წყალში, მაგრამ იღბალი მუდამ ასეთების მხარეზეა, ისინი ყოველნაირი განსაცდელიდან საღ-სალამათები გამოდიან.

ზარანდიამ, იქნებ, არც იცოდა, რომ თვითონაც ამ რიცხვს ეკუთვნოდა. ჩემი აზრით, სწორედ ანომალიისა და სათანადო გარემოს თანხვედრის შედეგი იყო, რომ ზარანდიასაც არ ძალედვა სხვარიგად.

ასეა თუ ისე, ჩემი მოდელის ეს თვისებაც გამოირკვა და, მეთოდის მიხედვით, იგივე ქმედების მიზეზი დათა თუთაშხიაშიც უნდა მეგულისხმა, მის დანაშაულებებში მეძებნა...

ქუჯი თორია

– თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ დათა თუთაშხიასი თუ ვიცი რაიმე, ისიც გაინტერესებთ და, ვირთაგვების ხსენება და მათთან კაცების შედარება რატომ იცოდა ხოლმე თუთაშხიამო, ისიც. ეს ამბავი სხვადასხვა დროს ბევრისთვის მაქვს ნაამბობი. ალბათ, ნახეთ ვინმე, ვისაც ჩემგან ეგ გაუგონია, და იმიტომ მომაკითხეთ. კეთილი და პატიოსანი, გიამბობთ.

ზოგი ადამიანი. სახელიან ხალხთან ნაცნობობას საგანგებოდ ეძებს და მერე ტრაბახობს, წუხელის ამ და ამ კაცთან ერთად აქ და აქ ვიყავიო. ამაში პატივმოყვარეობაცაა და ანგარებაც. ასეთი საქციელისგან ყოველთვის შორს მეჭირა თავი. მე დათა თუთაშხიასთან ახლო დამოკიდებულება არ მქონია.

პირველად თორმეტი წლისამ ვნახე. ვნახე კი არა და, იმ დროს ჩვენი ოჯახი თურქეთში, ქალაქ სამსუნში ცხოვრობდა და თუთაშხია დედაჩემის ძმას ესტუმრა. ორი კვირა იყო იქ. ბავშვს მისი გარეგნობა მეხსიერებაში კარგად ჩამრჩა. ცხრა წლის მერე რომ ვნახე, უცებ ვიცანი, გახსენება არ დამჭირვებია. მანაც მიცნო, თითქოს, მაგრამ სად ათი წლის ბიჭის გარეგნობა და სად ოცი წლის ბიჭის. ძალიან გამოვიცვალე და, მგონი, უცებ ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. არც მე გამიმხელია ჩემი ვინაობა, – არაფრად მჭიროდა! ახლა, ერთი თვე იყო თუ ცოტა მეტი, ერთად გავატარეთ კიდევ. ოცი წლის ვიყავი მაშინ. რაც შეეხება, ციხეში რომ შევხვდი ცხრაასიან წლებში, იმას, – იქ უკვე სულ სხვა კაცი იყო დათა თუთაშხია და ცალკეა საამბობელი ის. ისე ნუ მიიღებთ, ვითომ აბრაგთან ურთიერთობას მისთვის დახმარების აღმოჩენად ჩამითვლიდა ვინმე და ამის მშინებოდეს. სრულიადაც არა. მე ეგოისტი არ ვარ და ეს იქედანაც ჩანს, რომ თუთაშხიაზე მაშინ დიდი ფული იყო გამოცხადებული, იმ თანხის ხელში ჩაგდება სულ ადვილად შემეძლო, მაგრამ ამგვარი რამ აზრადაც არ მომსვლია! მე თვითონ პირველი არ გამოვეცნაურე მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები არ მიყვარს. სახელის მაძიებლები არიან ისინი და, მაშასადამე, ავანტიურისტებიც. კაცის ყველაზე მაღალ ღირსებად მოკრძალება მიმაჩნია, თავიდანვე ასე მზრდიდნენ. როგორც ხედავთ, თუთაშხიას პიროვნება ჩემი ინტერესების გარეთ იდგა. გეტყვით მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. რასაც თვითონ შევესწარი, მაშინ, ბიძაჩემის ლაზარეთში, დათა თუთაშხიას არაფერი საყურადღებო არ გაუმჟღავნებია. ადვილი შესაძლებელია, ჩემი ნაამბობი თქვენთვის ინტერესს მოკლებულიც აღმოჩნდეს, მაგრამ რადგან მთხოვთ, მოგიყვებით მაინც.

თორიები ვართ ჩვენ. თითქოს კოლხური გვარია და, ამასთან ერთად, არც ერთმა წინაპარმა არ იცოდა, რომელი ადგილია ჩვენი ფუძე. იქედან, ალბათ, უძველეს დროში ვართ

წამოსული. ჩემი სხვა მოგვარ-ნათესავები ახლაც, უმთავრესად, ზღვისპირა ქალაქებში ცხოვრობენ, ჩარჩნენ იქ. მამაჩემი სამსუნში დასახლდა. ლაზის ქალი შეირთო. ზღვისპირა ქალაქებში ცხოვრება ჩვენი საგვარეულო ხელობით იყო გამოწვეული. იყო-მეთქი, მიტომ ვამბობ, რომ ჩვენი გვარის ხალხი ახლა იმ საქმეს აღარ მისდევს, უწინ მისდევდა. ხომ არის ოჯახები, საგვარეულო წამალი რომ აქვთ. ისე ვიყავით ჩვენც, მაგრამ წამალი არ გვქონია, ვირთაგვები გამოგვყავდა. თაგვიჭამია და ვირთაგვაჭამია ვირთაგვებია, კაციჭამიები ქვიათ! ხომ გესმით, როგორ არის საქმე?.. ძველ დროში ხის ხომალდები რომ იყო, მღრღნელები დიდ ზიანს აყენებდნენ საქონელსაც და ხომალდსაც. კაციჭამიამ ერთმა თუ გაიჭაჭანა ხომალდზე, ადგილობრივი მღრღნელები, ათასობითაც რომ იყვნენ იქ, ეს ვირთაგვა სათითაოდ დაუწყებს დახრჩობას, ჭამას და, რომელიც გასწრებას შეძლებს, თვითონ გაიქცევა გემიდან. ასეთი ვირთაგვა ძალიან ძვირად ფასობდა. მეხომალდეები თითოში ორმოცდაათ, სამოც თუმანს იძლეოდნენ ოქროთი. ჩვენმა გვარმა იცის ეს საიდუმლო, სხვამ არავინ! იქნებ იმ საგვარეულო ხელობის ბრალიც არის, მედიცინაში, ბოლოს და ბოლოს, სანიტარიისა და ჰიგიენის განხრა რომ ავირჩიე.

ეს - ასე. ახლა ჩემი ბიძის, მურმან თორიას ამბავს მოგახსენებთ და მერმე იმის მოყოლაც შეიძლება, მის ლაზარეთში რომ თუთაშხიასთან ერთად ვიყავი. ბიძაჩემი მურმან თორია საფელდშერო სასწავლებელში შეიყვანეს. დაამთავრა და მას მერე ოცდაათი წელიწადი გემებზე იყო. არც ცოლი ყოლია როდისმე და არც შვილი. პრაქტიკული ცოდნით გამოცდილ ექიმებს არ ჩამოუვარდებოდა. მთავარი ისაა, რომ აღმოსავლეთში ძველი მედიცინა შეისწავლა და იმ მეთოდებით მკურნალობაში იშვიათი კარგი შედეგი ქონდა. მობეზრდა ზღვებზე ხეტიალი, ფოთის ახლოს მიწის ნაჭერი იყიდა ზღვის პირას, პატარა სახლი აიშენა და დაიწყო ხმელეთზე ექიმობა. მოკლე ხანში გაითქვა სახელი. საიდან არ მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ უიმედო ავადმყოფები! მერე და მერე სტაციონარულად მკურნალობის საჭიროებამაც იჩინა თავი და პატარა ლაზარეთი გამართა, ათსაწოლიანი. მიღებასაც აწარმოებდა, მწოლიარეებსაც უვლიდა და ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ერთი მოხუცი ყავდა სანიტრად, სახელად ხოსრო, მეტი არავინ. ძალიან მშრომელი კაცი იყო ბიძაჩემი მურმანი. მოსვენება მან არ იცოდა წესიერი, სმა-ჭამა და ძილი. ავადმყოფებს იყო გადაყოლილი. ჰონორარის აღების წესიც თავისებური ქონდა: ზოგს ისეთს არ გამოართმევდა

კაპიკს, რომელიც არც უფულო კაცს გავდა და წოლითაც ექვსი თვე რომ უნდა წოლილიყო. ზოგს, შესახედავად მშიერსა და მწყურვალს, მარტო გასინჯვაში გადაახდევინებდა. ამისთვის, ალბათ, თავისი საზომი და ნიშანი გააჩნდა – არ ვიცი მე. ასეთი კაცი იყო მურმან თორია.

ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაშინაც არდადეგებს უფრო ხშირად და მეტხნობით ბიძაჩემის ლაზარეთში ვატარებდი. სამსუნში მშობლებთან ორი კვირით თუ მივდიოდი ზაფხულობით. ლაზარეთში მერჩივნა, უფრო სასარგებლო იყო ჩემთვის. ერთი, რომ საექიმო განათლების მიღებას ვაპირებდი, პრაქტიკა იყო იქ ყოფნა ჩემთვის და აღმოსავლურ მედიცინასაც რომ ვეცნობოდი, ეს კიდევ სხვაა. მე რომ ამბავს მოგიყვებით, მაშინ გიმნაზია ახალი დამთავრებული მქონდა, ბიძაჩემ მურმანთან ვიყავი ჩასული სამსუნიდან. მურმანის სახლი სამი ოთახისგან შედგებოდა. ერთ ოთახში თვითონ ცხოვრობდა, ამბულატორიაც იქ ქონდა, მიღებას იქ აწარმოებდა და სხვა ტახტი რომ ვეღარ იდგმებოდა, ხოსროს იატაკზე, სანახევროდ მაგიდის ქვეშ ეძინა, მაგრამ ეს მაშინ, როცა მე

ვესტუმრებოდი იქ. მეორე ოთახი დიდი იყო – მამაკაცების ექვსსაწოლიანი პალატა. მესამე ოთახი ქალების პალატად იყო განზრახული და ვინაიდან მურმან თორიას მდედრობითი სქესის ავადმყოფები თითქმის არასოდეს ყოლია დასაწვენი, იმ ოთახში, ზამთრის არდადეგებზე თუ იქ ვიყავი, მე მეძინა, და თუ არა – ხოსროს. იმ პატარა ოთახში კიდევ ორი საწოლი იდგა და პირსაბანი და მაგიდაც იყო. მამაკაცების პალატასთან კარი მაერთებდა, უფრო სწორად – კარის სიო. სიოში ფარდა მქონდა ჩამოკიდებული, უწინ კრეტსაბმელს რომ ეტყოდნენ – ის. მე ყველაფერს ვხედავდი და ყველაფერი მესმოდა, რაც პალატაში ხდებოდა. იქედან ჩემსკენ არაფერი ჩანდა.

ერთ დილას ხმაურმა გამაღვიძა. მესმის, რომ ბიძაჩემს შემოვლა დაუმთავრებია და ავადმყოფებს ელაპარაკება:

– ყველას უკეთესობა გეტყობათ, ოთხივეს. ახლა მთავარია, კარგად ჭამოთ, რომ მალე გამოჯანმრთელდეთ. მე იმის არც სახსარი გამაჩნია და არც პირობები, რომ გაჭამოთ. იცით ეს თქვენ და თქვენმა ჭირისუფლებმაც. სანოვაგეს არ მოგაკლებენ, ალბათ. თუ როელიმეს შემოგელიოთ საჭმელი – უწილადეთ ერთმანეთს. ავადმყოფები ხართ და ლაზარეთში ერთმანეთის დაუხმარებლობა სასიკვდილოდ გამეტებას ნიშნავს. წამლები, რაც დაგინიშნეთ და რაც მოგცეთ ხოსრომ, წესიერად მიიღეთ ყველაფერი. კვიშილაძე, ფეხების გაციება არ შეიძლება შენი. დაიხსომე ეს და სითბოში გქონდეს მუდამ. მშვიდობით იყავით, ნუ მოიწყენთ. დარდი და ფიქრი ავადმყოფობას აჭიანურებს, იცოდეთ ეს.

გავიდა პალატიდან მურმანი და ჭონიამ უთხრა კვიშილაძეს:

– ქუჩულორიამ და ვარამიამ გუშინ იყო, ფქვილის პარკები ქვაბში ჩამიფერთხეს ორივემ. რა ვქნათ აწი, რა ვჭამოთ და როგორ ვიცხოვროთ, ნეტავი?

ბიძაჩემ მურმანს იმის საშუალება მართლაც არ ქონდა, ავადმყოფებისთვის საჭმელი ეკეთებინა. არც აწვენდა თავისთან ისეთს, დიეტა და საგანგებო კვება რომ სჭიროდა. არა, მაშინდელ დროში გლეხი ღარიბი იყო და სასიკვდილოდ რომ ქონოდა საქმე, იმდენ ფულს ან ვერ გამოიღებდა და ან ვერ გაიმეტებდა, რამდენიც სრულ პანსიონს უნდოდა. ავადმყოფებს თან მოქონდათ სარჩო. როცა გამოელეოდათ, მერე ოჯახიდან ამარაგებდნენ დამატებით.

ჭონიაო, რომ ვთქვი, ლაზარეთში სხვებზე გვიან მოვიდა. ისეთი გამხდარი იყო – მხოლოდ ძვალი და ტყავი ქონდა შერჩენილი. მართალია, იმ დროში ხალხს უჭირდა, მაგრამ ისე ნამშევი, გასაცოდავებული კაცის ნახვა მაინც გაჭირდებოდა. დააწვინა მურმანმა, დაიკავა ჭონიამ მიჩენილი ადგილი. იმ დღეს ლუკმა არ ჩაუდვია პირში – არაფერი ებადა. მეორე დილას ხერხემლის ტკივილებისგან გაფითრებულ ქუჩულორიას ღომის ჩოგანი ჩამოართვა, – მომეცი აქ, შენ არც შეგიძლია და არც იცი მაგ საქმის არაფერიო. მოხარშა ღომი და ქერქი მას ერგო. კვიშილაძემ – დავრდომილმა ავადმყოფმა – ასე, ოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, თავისი ღომიდან უწილადა და ახალმა მზარეულმა, ვარამიას მიცემულ სულგუნის ნაჭერთან ერთად, წუთში შეყლაპა ყველაფერი. ასე დაისაკუთრა ჭონიამ მზარეულის მოვალეობა. ქუჩულორიას წინააღმდეგობა არ გაუწევია. იმდენად სნეული იყო მაშინ, რომ ღომის ხარშვაც კი უჭირდა. ვარამიას ორივე ხელი, იღლიიდან მტევნამდე, თაბაშირში ქონდა. საჭმლის კეთება კი არა, ჭამა არ შეეძლო თვითონ. მისი

საწოლი კვიშილაძის და ქუჩულორიას საწოლებს შორის იდგა, ხან ერთი აჭმევდა თავისი ხელით და ხან – მეორე.

რა ვჭამოთ და როგორ ვიცხოვროთო, ჭონიამ თქვა და კვიშილაძე, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ლაპარაკი მისი ფქვილის ნარჩენებისკენ იყო მიმართული. ჩანს, ამ საკითხზე ნაფიქრი ადრეც ქონდა და საამშემთხვევო გადაწყვეტილებაც წინასწარ მომზადებული, თორემ, ალბათ, ისე არ მოიქცეოდა როგორც მოიქცა:

– აგერ კიდია ჩემი ფქვილი. ორ დდეს იკმარებს ყველასთვის, თუ დაზოგვით ვიქენით! – კვიშილაძემ კედელზე ჩამოკიდებულ პარკს მიაშვირა ხელი. – ამ ორ დღეში მოგვაკითხავს ჭირისუფალი რომელიღაცას იქნება.

ჭონიამ პარკი ჩამოხსნა, ღუმელისკენ წაიღო, კვიშილაძემ პარკს სევდიანი თვალი გააყოლა:

– კარგი კაცი ყოფილხარ, კვიშილაძე, შენ. მიცემა თუა, მასე უნდა მიცე. პირდაპირ, დაუნანებლად უნდა მიცე მისაცემი, – თქვა ვარამიამ ცოტა ხნის მერე და თაბაშირში მომწყვდეული მკლავები კედლისკენ შეშებივით გადაალაგა.

– დაუნანებლადო – კი, აბა! ამოხვნეშა არ გაგიგონია მაგისი შენ და თვალები არ დაგინახავს, პარკს რომ გამოუყენა ფრინველზე მიშვებული ქორივით. იფიქრა მაგან, – მარტო თუ ვჭამე ეს ერთი მუჭა ფქვილი და სხვებს არ მივუკითხე, ორ-სამ დღეზე მეტს ხომ არ მეყოფა მაინცო. მერე ვინმეს მოაკითხავენ ოჯახიდან და აღარც ეგენი მაჭმევენ მეო. მიტომ გაიმეტა, თვარა! ანგარიშია ყველაფერი, ძამიკო! – თქვა ჭონიამ და ჩოგანი დაატრიალა.

ქუჩულორიამ ბალიშის შემარჯვება დააპირა, დაავიწყდა, რომ განძრევა ხერხემალში ტკივილებს უმახვილებდა, და შეყვირა.

– ჯერ არის და, არ იცი შენ, მასე ვიფიქრე თუ სხვაფრივ. – მიუგო კვიშილაძემ, – მერეა და, ანგარიშიც რომ იყოს ჩემი საქციელი, არც ანგარიშად არის გლახა და არც საქციელად. სიმართლე თუ გინდა – გეტყვი აგერ: მაინცდამაინც არ მიხარია შენისთანა გლახაკისთვის ჩემი ლუკმის მიწილადება, მარა ვალი მადევს ადამიანური და ადამიანური უნდა ვქნა!

– ჭონია, შენისთანა კაცებია, სხვა კაცების სიცოცხლეზე შხამს რომ ღვრიან! – გამოელაპარაკა ვარამია. – კვიშილაძეს გლახა საქმე არ გაუკეთებია იმით, ფქვილი რომ გაგვიყო, მარა თითო ისეთი კაცი არ გამოილევა ამქვეყნად, რომ არ გააშაოს და არ წაპილწოს ყველაფერი კარგი. მასეთი მარტო ფიქრიც რომ მოგადგეს, იცოდე, ბოროტია ის ფიქრი და გააგდო უნდა. გაფიქრებას კი არა და, თქმასაც არ ერიდები შენ მაგისას.

– კაი, ახლა, ნუ წაიკიდეთ პატარაზე, – ჩაერია ქუჩულორია. – ორ დღეს გვეყოფა ეგ და, მოვიდეს იქნება ამ ორ დღეში კვიშილაძის ცოლი კიდევ. რა ქვია, კვიშილაძე, შენ ცოლს, თუ კაცი ხარ?

– ცოლი არაა ის ქალი კვიშილაძის, – აღნიშნა ჭონიამ სიამოვნებით. – ცუცა ქვია იმ ქალს და სხვისი ცოლია ის. კვიშილაძემ მითხრა ასე. სიჩუმე ჩამოვარდა. ქუჩულორიამ თვალები

ააპაჭუნა, ხან ჭონიას უყურებდა და ხან კვიშილაძეს. მართალი გითხრათ, მეც დამაინტერესა ამ ამბავმა და მივაყურე.

ჭონიამ ავადმყოფებს ჭურჭელი გამოართვა, ღომი გაანაწილა, სათითაოდ ჩამოურიგა. ყველი ნამცეციც აღარ ქონდათ და ასე შეუდგნენ ჭამას.

კაი ხნის სიჩუმე ქუჩულორიამ დაარღვია:

– არ ყოფილა ის ცუცა შენი ცოლი, ხომ? ვისი ცოლია, აბა?

კვიშილაძემ თითები გაილოკა და თქვა:

– სპირიდონა სიორიძის იყო. სპირიდონა სიორიძე გადაკარგულია საითღაც. ცოცხალი აღარაა, მგონია. ცუცას ვერ შევირთავ ცოლად, სანამდე ნამდვილად არ გავიგებ, მკვდარი რომაა. იქამდე არ შეიძლებაო, მღვდელმა. მერე – კიო.

– კაი და, სპირიდონა სიორიძეა თუ ვინც არის ის კაცი, რამ გადაკარგა, ნეტავი? – იკითხა ქუჩულორიამ.

– ქალის სინსილა გაწყდა. გასაწყვეტია ახლანდელი ქალი ყველა! – ჩაუმატა ჭონიამ. – შეჭამა, ალბათ, მაგ ცუცამ, კვიშილაძის საყვარელმა, ის სიორიძე. ვეღარ გაუძლო, იქნება, და წავიდა სადღაცას.

– საყვარელი არაა ცუცა ჩემი, ცოლია, მარა ქმრად არ მიკარებს. სანამდე ღმერთის და ხალხის წინაშე სხვისი ცოლი ვარ, არ შეიძლებაო, – გაუსწორა კვიშილაძემ.

– სხვისი ცოლი თუა, შენი როგორ იქნება ის?! – თქვა ჭონიამ.

– მოყევი, თუ კაცი ხარ, კაი გასართობი ამბავი ეტყობა მაგ სპირიდონა სიორიძის ამბავს, – თხოვა ქუჩულორიამ.

კვიშილაძემ პატარა ხანს იფიქრა და დათანხმდა:

– კაი, ბატონო, შევჭამ ამას და მოგიყვებით.

ყველა მოსასმენად მოემზადა. ჭონიამ ჭურჭელი სასწრაფოდ მოაგროვა, გასარეცხად ქვაბში ჩადო და ამბავის მოლოდინში ჯორკოზე მოიკალათა.

ბოლოს კვიშილაძეც მორჩა ჭამას, ნალოკი თითები შეიმშრალა, ლოგინზე წამოჯდა, ზურგში ბალიში მოიხერხა. მერე მსმენელებს თვალით ჩამოუარა და თქვა:

– რა ვიცი, რა უნდა გიამბოთ ახლა. დაადო თავი სპირიდონა სიორიძემ ამ სამი წლის წინ და გადაიკარგა. ესაა და ეს.

გრძელი ამბის მომლოდინე ავადმყოფებში დაბნეულობამ იჩინა თავი. ხმა კაი ხანს ვერც ერთმა ვერ ამოიღო.

– ასე, პირდაპირ, დაადო თავი და წავიდა? სხვა არაფერი? – დაარღვია სიჩუმე ქუჩულორიამ.

კვიშილაძემ თავი დაიქნია.

– მიზეზი ქონდა იქნება, თვარა, მასე, – დაადო თავი და გადაიკარგა. – ვის გაუგონია, შე კაცო! – გამოეხმაურა ჭონია.

– ექნება, უთუოდ, – დაუდასტურა კვიშილაძემ.

– კაი და, არ უთქვამს ქე მაინც, სად მივდივარო? – იკითხა ვარამიამ.

– არაფერი არ უთქვამს, სულ არაფერი.

– მაგ ისეთი კაცი ჩანს, ნამდვილად არ იტყოდა არაფერს! – განაცხადა ქუჩულორიამ.

– რატომო ვითომ?! – ჭონიამ გაიკვირვა.

ქუჩულორია დაფიქრდა ქეჩო მოიქექა:

– კაცი რომ დაადებს თავს, წავა, გადაიკარგება და წასვლისას არ იტყვის, სადმივდივარო... ასეთი კაცი იტყვის რამეს წასვლისას? არ იტყვის!

– ე, უყურე ერთი ამას რასაა რომ ლაპარაკობს! – აღშფოთდა ჭონია. – ამხელა კაძახს ჭუკის ჭკუა გაქვს, უბედურო, შენ. დედა, რა თქვა ეს, გაიგონეთ?. იჯექი მანდ, არ გაიღო კრინტი! აბა, არ გამოჩენილა მას მერე, ხომ?

– არ გამოჩენილა. გადაკარგულია. ეგებ ცოცხალიც არაა, რა ვიცი მე.

– ბერიძის ქალმა – მაგ შენი ცუცა რომ არის, – რაო? არ იცის, ვითომ მისი ქმრის, იმ სპირიდონა სიორიძის, არაფერი? – ეჭვი შეეპარა ჭონიას.

– ბერიძის ქალი არაა ცუცა, დოღონაძის ქალია. არ იცის არაფერი. მეტყოდა მე, რომ იცოდეს. ცუცამ კი არა და, რამხელა სოფელია ყვეში – ჩვენი სოფელი – არა კაცმა არ იცის სპირიდონა სიორიძის ასავალ-დასავალი, – მიუგო კვიშილაძემ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით და მერე, რომ მოდგნენ სპირიდონა სიორიძეზე ლაპარაკს, ოთხ-ხუთ დღეს სხვა არ უთქვამთ სიტყვა. ყველაფერი გამოიკვლიეს, რაც იმ კაცს ეხებოდა. ფეხზე რას იცვამდა და საჭმელი რომელი უყვარდა, ისიც კი დაუდგინეს, მაგრამ რატომ და რისთვის გადაიკარგა, ამ საკითხში ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს ვერაფრით. ბოლოს ისე გამაბეზრეს თავი თავისი სპირიდონა სიორიძით, რომ მისი გვარ-სახელის ხსენებისას გულზე მეყრებოდა. აკრძალვას ვაპირებდი ამ ლაპარაკისას ის იყო, მაგრამ დამასწრო ჭონიამ, ერთ დღეს გიჟივით წამოვარდა საწოლიდან შეშა აიღო და დაიყვირა:

– გითქვამთ კიდევ მაგ ძაღლის და მამაძაღლის სახელი... ამ შეშას რომ უყურებთ, თავი გავუხეთქო იქნება იმას ვინც იტყვის კიდევ!

ყველამ ჩაიკმინდა ხმა და ასე დამთავრდა სპირიდონა სიორიძეზე ლაპარაკი, თვარა, გადაირეოდი, უეჭველია ეს.

ეს, როგორც გითხარით, ოთხი თუ ხუთი დღის მერე იყო, მაგრამ იქამდე აი, რა მოხდა. კვიშილაძის ფქვილი მართლაც ორ დღეში გამოილია. მესამე დღეს ავადმყოფები ფანჯრებზე იყვნენ მიკრული და მიჩერებული – ვის როგორც შეეძლო, მაგრამ არც ერთი ჭირისუფალი არ მოსულა. რომ დაღამდა, ჭონიამ აივანზე დამიმარტოვა და წერილისთვის კონვერტი მთხოვა: მივწერ ოჯახში, მომაკითხონ, თვარა, შიმშილით ამომძვრება სულიო. შევედი ბიძაჩემის ოთახში - ჩემს ბარგ-ბარხანას იქ ვინახავდი, გამოვიტანე კონვერტი, ქაღალდი, საწერ-კალამი და მივეცი ჭონიას. მაშინვე დაჯდა საწერად.

– სიბნელეში ნუ წერ, თვალები გაგიფუჭდება, ჭონია, – უთხრა ქუჩულორიამ, ალბათ, იმ ვარაუდით, რომ სიტყვა სიტყვას მოყვებოდა და იტყოდა, სად და ვის წერდა წერილს.

– ჩვენს გაფუჭებას ჩემი თვალების გაფუჭება ჯობია, ბიძია, ბიძაშვილის შვილი მყავს, აგერ, სამტრედიაში, და ჩამომიტანოს, იქნება, პატარა ყბის მოსაქნევი, თვარა, მომსვლელი არ ჩანს არავინ, – არ დააყოვნა ჭონიამ დამსწრეთა ინტერესის დაკმაყოფილება.

ძილის დროა საცაა. მე, ბიძაჩემი და ხოსრო ვზივართ, ლამპა გვინთია, ვვახშმობთ. ჭონიას რომ კონვერტი მივეცი, ის კონვერტი დავინახე მაგიდაზე თვალი გადავავლე. – კვიშილაძის სატრფოს - ცუცა სიორიძის მისამართი ეწერა ზედ. რა არის-მეთქი, ვკითხე.

– ჭონიამ მოიტანა. კვიშილაძეს წერა-კითხვა არ ცოდნია, ჭონიას დაუწერია მისთვის. მთხოვა, ფოთში წაიღეთ და ჩააგდეთო, – თქვა ხოსრომ.

– საჭმელს თხოულობს, ალბათ. დროზეა წასაღები მაგ წერილი. წამლებიც მოსატანია იქედან, – დასძინა მურმანმა.

ვივახშმეთ. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ პალატაში ჭონიამ ერთი თქვა და აქ, კონვერტზე, სხვა მისამართი ეწერა ახლა, მაგრამ არ ვთქვი არაფერი. მე მჭირდებოდა ფოთში წასვლა. ჯერ იყო და, ვირთაგვები მყავდა მოსაყვანი ფოთიდან. მერე ის, რომ წინა ზაფხულს გამოვზარდე ერთი კაციჭამია, ფარაონი სახელად. მაშინ მუშტარი არ მყავდა და ლაზარეთში გავუშვი, მე სულელმა. გავუშვი და მუშტარიც გამომიჩნდა, მაგრამ ვერ გავიმეტე გასაყიდად, ნამეტანი კარგი კაციჭამია გამოდგა, მეტი ღირდა, ვიდრე მუშტარი მთავაზობდა. შემორჩა და შემორჩა ლაზარეთს, გააწყო ვირთაგვები, ვერსზე ვეღარ დაიჭერდა კაცი ვერც ერთს. ამიტომ იყო, ფოთის პაკჰაუზებში რომ დამჭირდა ცხოველების მონადირება – სათაგურის დადგმას ვგულისხმობ ამაში. ვიფიქრე, ბარემ ფარაონსაც წავიყვან და გავყიდი-მეთქი იქ.

– მე მივდივარ ფოთში დილით, – ვთქვი ხოსროს გასაგონად.

– მაშინ წამლებიც წამოიღე იქიდან და მე შეშას მოვიტან აქ, – გაუხარდა ხოსროს და ასეც შევთანხმდით.

წამოვიშალეთ, ჩავიდე გულისჯიბეში ჭონიას წერილი, გავედი ჩემსას და დავიძინე. დილით ფარაონს დავუწყე ძებნა. ვერ ვიპოვნე, მამაძაღლი, სანადიროდ თუ იყო წასული საითმე. ჩავიქნიე ხელი, გავწიე ფოთისკენ. ახლო იყო ფოთი, ბიძაჩემის ლაზარეთის ადგილი ახლა ქალაქის განაპირად ითვლება უკვე. კაი მანძილით რომ გამოვცდი ლაზარეთს, ცნობისმოყვარეობამ შემაწუხა. ამოვიღე უბიდან ჭონიას წერილი, დიდხანს ვათვალიერე, მრცხვენოდა, გახსნას ვერ ვბედავდი. მერე სულმოკლეობამ წამძლია მაინც. კონვერტი საგულდაგულოდ იყო დაწებებული, მაგრამ დანაკრობი ადგილი წყლით დავასველე, წებო დალბა და დაუზიანებლად გაიხსნა წერილი. გავშალე ქაღალდი, წავიკითხე. ჭონია ცუცა სიორიძეს ყვეშში კვიშილაძის სახელით წერდა, – შენი სპირიდონა სიორიძე გამოჩნდა და აგერ წევს ჩემთან ერთად ლაზარეთშიო. საჭმელი შემომელია, ჩამოდი, ჩამომიტანე, ჩვენს სიყვარულს გაფიცებო, მაგრამ შენი მოსვლა ლაზარეთში ჩემთან არ შეიძლება, – სპირიდონა მიხვდება ჩვენს ამბავსო. ამიტომ, ამ დღეს, ჩემი მეგობარი კაცი ჭონია დაგიხვდება სადგურიდან ლაზარეთისკენ წამოსულს, ფოთს რომ გამოცდები, თხმელები და ბუჩქნარი რომ არის, იქ, და მას ჩააბარე, რასაც გწერ, ის საჭმელ-სასმელიო. ფულსაც თხოვდა, ათ მანეთს, – ექიმისთვის მინდაო. ჭონიას რომ ნახავ, სხვა დანარჩენ ამბავს, სპირიდონზეც და ჩემზეც, ის გიამბობსო, და ასე შემდეგ და შემდეგ.

შევფიქრიანდი, როგორ მოვიქცე-მეთქი. ხან დახევა და გადაყრა ვიფიქრე. ხან – სიმართლეს მივაწერ ამ ქაღალდს, ისე გავუგზავნი-მეთქი, ხან რა და ხან რა, მაგრამ კაი ვერაფერი გადავწყვიტე. ამასობაში ფოთში შევედი. ფოსტაც აგერ არის. მივაფურთხე ეშმაკს, – ამ ამბის გამჟღავნება გვიანი არც მერე იქნება-მეთქი და კონვერტი საფოსტო ყუთში ჩავუშვი. რომ ჩავაგდე, მაშინ მეტად ვინანე ჩემი საქციელი, გავწვალდი კაცი, მთელ დღეს ამაზე ვფიქრობდი სულ.

გამოვიტანე აფთიაქიდან წამლები, პაკჰაუზში მივედი, ვირთაგვებით სავსე ჩემი სათაგური წამოვიღე და ლაზარეთისკენ გამოვწიე. მოვედი შინ, დავაბინავე ცხოველები. ამ დროს შებინდდა კიდეც. ვივახშმე და ადრე დავიძინე, დაქანცული ვიყავი.

დილით ძილ ღვიძილში ვარ და ქუჩულორიას ხმა მესმის:

– წუხელის სიზმარი ვნახე ისეთი, დღეს რომ არ მოგვაკითხონ რომელიმეს, არ შეიძლება არაფრით. უეჭველია, მოგვაკითხავენ დღეს.

სიზმრის მოყოლა თხოვეს ქუჩულორიას. ერთი საათი მოანდომა ამას. იმდენი ილაპარაკა, მამაცხონებულმა, რომ ქოშინი აუტყდა. მეოთხე დღე იყო მათი შიმშილის და მეც ასე ვფიქრობდი, რომ უნდა მოეკითხათ რომელიმესთვის, მაგრამ გავიდა ის დღეც და არავინ არ მოვიდა.

ამ საღამოს მოხდა სწორედ, რომელი წელი იყო, მეზარება ახლა ამის გამოთვლა და არც არის, მგონია, საჭირო. უკვე კაი ხნის დაღამებულია, ასე, ათი საათი იქნება. ნარდს ვთამაშობთ მე და ბიძაჩემი. ხან თამაშს ადევნებს თვალს ხოსრო, ხან თვლემს. ცხენების ფლოქვის თქარათქური მოისმა შორიდან.

– საწოლები თუ მოამზადე, ხოსრო? – იკითხა ბიძაჩემმა.

ხოსრომ თავი დაიქნია, კიო.

– ვის ელოდებით ასე გვიან? – დავინტერესდი მე.

ცოტა შეიცადა ბიძაჩემმა და მერე მითხრა:

– ავადმყოფებს. ერთი მეჯოგე იყო აქ დღისით და მეორეს მოსაყვანად წავიდა. ისინი მოდიან, ალბათ. სხვა ვინ იქნება.

– რა ჭირთ?

პასუხი გაუჭირდა და არც აჩქარებულა მურმან თორია.

– დათვების დატორილები არიან, – თქვა ბოლოს.

რაღაც დამალული ვიგრძენი და გავიფიქრე, – ვნახოთ, ერთი, რა და როდემდე დაიმალება-მეთქი.

ფლოქვის ხმა თანდათან მოახლოვდა.

– მურმან-ბატონო! – დაიძახა ვიღაცამ გარეთ.

ბიძაჩემმა მითხრა, ლამპა მოგვინათეო. ხოსროს ცხენების ჩამორთმევა და დაბინავება დაავალა.

ერთი ავადმყოფი თვითონ ჩამოვიდა ცხენიდან. მეორეს ხოსრომ უშველა ჩამოხტომაც და შინ შესვლაც – ფეხი ქონდა მძიმედ დაშავებული.

დავდგი მაგიდაზე ლამპა. ჯერ კოჭლს შევხედე, მერე მეორეს; ფეხდაშავებული არასოდეს მენახა. მეორე დათა თუთაშხია იყო, ვიცანი! მის გარეგნობაში თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო გარდა იმისა, რომ საფეთქლებში შავი თმა აღარ შერჩენოდა. თვითონაც დამაკვირდა, მაგრამ ისე დაიჭირა თავი, რომ მისი დაინტერესება შეუმჩნეველი დამრჩენოდა. მე რატომ უნდა გამოვცნაურებოდი, ვითომ! გასინჯვის და ჭრილობების დამუშავების დრომ მოაწია. შევატყვე, ბიძაჩემი მურმანი ფეხს ითრევდა, საქმეს აჭიანურებდა და, ჩანდა, არ უნდოდა, მოწმედ დავსწრებოდი. მაინცდამაინც არც მე მეხალისებოდა იქ ყოფნა. ჩემთვის ყველაფერი ცხადი იყო და დარჩენა მუშაობის მეტს არაფერს მომიტანდა.

ღამე მშვიდობისა ვთქვი, წამოსვლა დავაპირე. ამ დროს შემოგოგმანდა ჩემი ფარაონი, კურტუმზე დასკუპდა, წინა თათები გამოიშვირა და ქანაობას მოყვა. გაბრაზებული ვიყავი, დილით რომ ვერ ვიპოვნე, ოხერი, და გავუჯავრდი:

– წაეთრიე აქედან!

ფარაონმა უკმაყოფილოდ შემომხედა და წავიდა კუდგაბზეკილი.

– ასე გაკეთებული და მსუქანი გოჭიც კი არ მინახავს მე! გაწვრთნილიც რომ ყოფილა?! - თქვა თუთაშხიას ამხანაგმა.

– კაციჭამიაა ეგ? – მკითხა თუთაშხიამ.

თავი დავიქნიე. თუთაშხიამ ოდნავ ჩაიცინა და აღარაფერი უთქვამს, ეს იყო მისი ერთადერთი ნიშანი ჩვენი ერთად ყოფნის მანძილზე – ნიშანი იმისა, რომ მიხვდა, ვინც ვიყავი. არც მე ამომიღია ხმა, წავედი ჩემს გზაზე. ჩვენმა საგვარეულო ხელობამ დიდი ხანია თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ამიტომ, რასაც გიამბობთ, საიდუმლოების გაცემად არ ჩამეთვლება.

კაციჭამიების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება: შიმშილით და სიმაძღრით. საბოლოო ჯამში ორივე ერთნაირ კაციჭამიას იძლევა. მაგრამ მე შიმშილის ხერხს ვამჯობინებდი, ნაკლები დროა საჭარო. აუცილებლად შვიდი ან ცხრა ვირთაგვაა საჭირო. დაჭერილი ცხოველები ცარიელ კასრში უნდა მოვათავსოთ. თუ კაციჭამიას გამოყვანას შიმშილის ხერხით ვაპირებთ, კასრი ლითონის უნდა იყოს, თორემ ძალიან რომ მოშივდებათ, ხისას გაღრღნიან და გაიქცევიან. სიმაძღრის ხერხის დროს კი ჩვეულებრივი კასრის გამოყენებაც შეიძლება – მაძღარი ცხოველები კედელს არ ერჩიან სიბნელეც აუცილებელია! სიბნელე თუ არ იქნა, კაციჭამია ვერ გამოიზრდება. კასრში და მის ფსკერზე სიბნელეა, აბა, რა იქნება, თუ არ ჩაანათე შიგ. თუ შიმშილის ხერხია – წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი. თუ სიმაძღრის არის – თავსაყრელი უნდა ქონდეს ერთი რომელიმე საკვები – სიმინდი ან ხორბალი, თუ გნებავთ, ამას მოკლედ გელაპარაკებით, თვარა, მთელი პედაგოგიური სისტემაა ეს.

დიახ, მივატოვე სტუმრები, არავის დავლოდებივარ, დავიძინე. არც გამიგონია, ახალი ავადმყოფები როდის შემოიყვანა ხოსრომ. დილით, როგორც ყოველთვის, დიდი პალატის ავადმყოფების ფუსფუსმა გამომაღვიძა. დათა თუთაშხია ჩემსკენ ზურგშემოქცეული იწვა და ვერ მივხვდი, ეძინა თუ ეღვიძა, მისი ამხანაგი ჭერში იყურებოდა, ფიქრობდა რაღაცას. გამოღვიძებული რომ დამინახა, – დილა მშვიდობისო. ცოტა ხნის მერე ხოსრო შემოვიდა, პირსაბანში წყალი ჩაასხა და თუთაშხიას ამხანაგს უთხრა:

– ბესო-ბატონო, საჭმელი რომ მოინდომოთ, დაიძახეთ, – ხოსრო-თქო, და მოგართმევთ მაშინ.

კი გავიგონე, ბესო-ბატონოო, მაგრამ ვიცოდი, დათა თუთაშხიასთან ერთად მოსული კაცი თავის ნამდვილ სახელს არ გაამხელდა. ხმები დადიოდა, თუთაშხიას ახალი ამხანაგი გაუჩენია, ვინმე მოსე ზამთარაძეო. მაშინვე ვიფიქრე, ის არის, ალბათ-მეთქი, და შემდგომში ასეც აღმოჩნდა.

– ოტია-ბატონო, გაიღვიძე ახლა და მოვწესრიგდეთ, სანამდე საჭმელს მოგვიტანდნენ, – მიმართა ზამთარაძემ თუთაშხიას.

წვალებით, ვაი-ვაგლახით, ერთმანეთის წახმარებით ჩაიცვეს და დაიბანეს. მერე ხოსროს დაუძახეს და ღორის ხორცში ჩახრაკულ კარტოფილს და კვერცხს თითო არაყი დააყოლეს. გაათავეს ჭამა. მოსე ზამთარაძე ისევ დაწვა. თუთაშხიამ ხურჯინიდან “ვეფხისტყაოსანი” ამოიღო, წინასწარ ჩანიშნულ ადგილზე გადაფურცლა და კითხვას შეუდგა.

– რომ ამბობდი, ამ ფარაონის შიშით სათოფეზე ვერ გაივლის ვერც ერთიო, სავსეა აქაურობა ვირთაგვებით, – უთხრა პატარა ხნის შემდეგ ზამთარაძემ თუთაშხიას. – აგერ, ჩემი საწოლის ქვეშ, თუ კედელშია აქ, არ ვიცი, – გამთენიისას ან ბაზრობა ქონდათ და ან ქორწილი... – ზამთარაძემ სიჩუმით ისარგებლა მიაყურა და დასძინა: – ფაჩუნობენ ახლაც! დაუგდე ყური, თუ გნებავს, და გაიგონებ შენც.

ჩემი ახალი მდგმურების საწოლები ისე იდგა, რომ თავსასთუმალი კედლისკენ ქონდათ. კედელს იქით, აივანზე, ჩემი კასრი იყო, ვირთაგვები მყავდა შიგ. თუთაშხიამ მიაყურა. ერთხანს იფიქრა. გაფაციცებული იყო.

– ღრუბლიანია დღესაც ცა, – წაილაპარაკა მან და ზეზე ადგა.

მხრის სახსარი მძიმედ ქონდა დაზიანებული, მოძრაობა უჭირდა. ძლივს დაიძრა ადგილიდან. დიდ პალატაში გავიდა, აივნისკენ აიღო გეზი. ღუმელსა და საწოლს შორის უნდა გაევლო, ისე ქონდა გზა. იქ ჭონია იდგა, გასასვლელი ვიწრო რჩებოდა, მაგრამ გამვლელი მაინც თავისუფლად გაეტეოდა. თუთაშხიამ მხარი იბრუნა, რომ გავლისას

ჭონიას არ შეხებოდა.

– იქედან შემოუარე, ხომ ხედავ ვიწროა აქით! – დაასწრო ჭონიამ, სანამდე თუთაშხია გაივლიდა.

აბრაგი ნათქვამს უნებლიეთ დაემორჩილა, შებრუნდა, ღუმელს მეორე მხრიდან მოუარა.

– მასე! – თქვა ჭონიამ.

თუთაშხია შეჩერდა. ჭონიას თვალი შეავლო. ყურები ვცქვიტე, - ახლა კი წააწყდა-მეთქი ჭონია ისეთ კაცს, მის ყიამყრალობას რომ მოუვლიდა.

სიჩუმე იყო კაი ხანს.

ჭონია თავისი ბჟოლისფერი, თავხედი თვალებით უყურებდა დათა თუთაშხიას და თითქოს ეუბნებოდა, მე ვარ აქ და მე რომ მომწონს, იმ წესებს დაემორჩილე, თვარა, ვინც გინდა იყო, შენზეც მოინახება ჯოხიო. წესი კი ლაზარეთში ისეთი ჩამოყალიბდა, რომ ჭონიას თავხედობას ემორჩილებოდა ყველა ავადმყოფი.

დათა თუთაშხიას ისეთი სახე ქონდა, როგორც ბავშვებს დაფაზე დაწერილი ახალი ამოცანის თვალიერების დროს აქვთ ხოლმე. მერმე ოდნავ, სულ ოდნავ გაიღიმა. ეს უკვე იმ სიხარულს წააგავდა, როდესაც ადამიანი ფიქრებში რაღაცას მიხვდება, რაღაცაში რომ გაერკვევა. მან თავიც დააქიცინა – ეს მისი ფიქრების გაგრძელება იყო, ვიცი მე, და აივანზე გამოვიდა.

ლოგინიდან წამოვხტი, ჩაცმას შევუდექი. მოსე ზამთარაძემ ხელი მომიცაცუნა და წაიჩურჩულა:

– ბოდიშს ვიხდი, ბატონო, დავინახო, რომელია ეგ.

ჩამოვეცალე. მან ჭონიას თვალი შეავლო და ისევ ბალიშზე მიწვა.

ჭონია ცეცხლს უჩხიკინებდა, ღუმელთან ხმაური იყო. კვიშილაძეს, ალბათ ეგონა, ჭონია ვერ გაიგონებსო და ქუჩულორიას გადაულაპარაკა:

– ბოშო, რანაირად ებდღვნა ამ უცნობ კაცს, დაინახე?!

ქუჩულორიამ ჯერ ჭონიას გადახედა, დარწმუნდა, ამ წუთში ვერ მხედავსო, და მხოლოდ ამის მერე გაუღიმა კვიშილაძეს. ჭონიამ ამასობაში ღუმელის კარი მიხურა, ორატორივით ჩაახველა და დაიწყო:

– ახლა, ბატონო კვიშილაძე, იკითხა კაცმა, რატომაა, რომ ლაპარაკობ და არ ფიქრობ არაფერს?! ოთხი დავრდომილი ვართ აგერ და რამდენი დღეა, ჩვენს პირს ლუკმა არ უნახავს. ფული ჩვენ არ გვაქვს. გვქონდეს, თუ გინდა, მარა წელს ქვევით კუტი რომ ხარ, გავიწყდება ეგ და, ჩემს მეტი, რომელია, მურმან თორიას ღობეზე გადაღოღებას რომ მოახერხებს, – ფოთამდე მისვლას, ხორაგის ყიდვას და მის მოტანას არ ვამბობ მე... – ჭონიას, ჩანს, მჭევრმეტყველეობამ უმტყუნა და აზრი ვეღარ დაამთავრა.

– მართალია ეგ! – ისე დაუჭირა მხარი ქუჩულორიამ, რომ წააქეზა, კიდევ ილაპარაკეო.

– კაი, მარა, იმ კაცმა რა დააშავა, ნეტავი, და მისი ბრალი თუა, ჩვენ რომ სურსათი შემოგველია და მშივრები რომ ვართ? – იკითხა ვარამიამ.

– ვიცი მე, რასაც ვლაპარაკობ, ვარამია-საცოდავო! – მოუჭრა ჭონიამ. – ეს ორი კაცი წუხანდელი მოსულებია აქ. ცარიელი ხომ არ მოვიდოდნენ? იმის მაგიერ, რომ გამოვიდოდეს ერთი და ერთი და იტყოეს: აგერ ვართ, ღვთის შვილებო, ვჭამოთ ერთად, რაც გვაბადია; ჩვენი რომ გამოილევა, მანამდე მოგაკითხონ, იქნება ჭირისუფლებმა და მაშინ თქვენი ვჭამოთო... ასე რომ თქვას ერთმა და ერთმა, მის მაგიერ რას შვრებიან ეგენი? რას და, ჭამენ მოხრაკულებს ამ მშიერი ხალხის გვერდით და დადიან აქ... მაგათი სალამი რომ კაცს აძღობდეს!

– რა ქნან, აბა, შე კაცო?! – ისევ იკითხა ღიმილით ვარამიამ.

– ადამიანები თუა ეგენი და ჭკუა თუ აქვთ თავში ნატამალი, ისე უნდა ქნან სწორედ, მე რომ ვლაპარაკობ, თვარა, ისე გავუხდი საქმეს... ღამღამობით თავზე საბნის წაფარება და ბალიშიდან გამოცოცებული ხმელი ჭადის ხრაშუნ-ხრაშუნი გავიგონო, იქნება მე. მიქნია

და მინახავს სხვაგან. მიტომ ვამბობ ასე.

– ისე შეგვაშინებ და გაგვაუბედურებ, რომ ახდილად ვეღარ გავბედავთ და ჩუმ-ჩუმად დავიწყებთ ხმელი ჭადის ჭამას, ხომ? – სიცილით გამოეხმაურა ზამთარაძე.

– გამოჩნდება ეგ! – დაუდასტურა ჭონიამ.

– მაგარი ყოფილხარ, ნამეტანი, და, რომ გავრბოდეთ აქედან, ის დროა, ალბათ, დედას ვფიცავარ! – მიუგო ზამთარაძემ.

ერთხანს სიჩუმე იყო. აივნისკენ გავწიე და კარის გაღებას ვაპირებდი უკვე, ზამთარაძის ხმა რომ მოისმა ისევ:

– შე კაცო, რა იცი, ეგებ ჩვენც არაფერი გვაბადია და თუ გვაბადია, შენ რომ აპირებ, იმ გზით აქედან არაფრის წამღები რომ არა ხარ, რატომ არ ფიქრობ ამაზე?!

– რაღაცის წამღები ვარ, დაინახავ იმას! ჭონია ვარ მე. ტყვილად და უბრალოდ არ ვაკეთებ არაფერს. თქვენ მოხრაკულები ჭამოთ და ჩვენ ვიყოთ ასე, ხომ? კი, აბა!

– კაცო, არ გვაქვს ხორაგი ჩვენ. ხოსროსთან ვართ მორიგებული, მან უნდა გვაჭამოს ფულად. რა ვქნათ, აწი? თქვენ მშივრები რომ ყოფილხართ, ჩვენც ვიშიმშილოთ? – თქვა ზამთარაძემ.

– მეტი არაა ჩემი მტერი, შენ და შენისთანებმა მაგის გაკეთება ვერ შეძლოთ! მარა კაცი თუ კაცია იპოვნის გამოსავალს... გაათავე ახლა! შენმა ტირილმა და ყბედობამ გადაიტანა აქაურობა.

– წერას ხომ არ აუტანიხარ, ვიღაც ოხერი ხარ მანდ!

– წერას, თვარა, ფეხები არ მომაჭამო ცხელ გულზე! ჯერ, რა შეგიძლია, შე გლახის ჭირო, შენ. მერე, რომ შეიძლო კიდეც, ჩემთვის ერთი კაი მუშტიც კმარა, გავჭიმავ ფეხებს და შენს მაგიერ სახრჩობელაზე საქანაოდ არავინ რომ არ წავა, ამასაც დააყოლე ტვინი, თუ გაქვს მაგ თავში რამე!

ზამთარაძე დადუმდა. ცეცხლი გიზგიზებდა და სიჩუმეში მხოლოდ ღუმლის ქრიალი ისმოდა. აივანზე გავედი. დათა თუთაშხია ეზოში და სახლის მახლობლად დაიარებოდა. იმპერიალისტურ ომში რომ ვიყავი, იმას, რასაც თუთაშხია აკეთებდა, რეკოგნოსცაროვკა ერქვა.

ჩემს კასრში ჩავიხედე. ცხოველებს წყლის ჭურჭელი გადაებრუნებინათ. შევავსე და ჩავდგი ისევ. თუთაშხიამ აივანზე რომ დამინახა, ამოვიდა, ვირთაგვებს დაუწყო ყურება და მკითხა:

– მანდ... კაციჭამია უნდა გამოიზარდოს, ხომ?

– დიახ, ბატონო.

– შიათ უკვე?

– შიათ, მაგრამ ნამდვილი შიმშილი შორსაა ჯერ. კაი ხანი უნდა ნამდვილ შიმშილს.

სანამ საუზმისთვის მოვიცალე, ერთი საათი გავიდა. შევედი ხოსროსთან საჭმელად. ბიძაჩემი არ დამხვედრია, ავადმყოფის სანახავად წაეყვანა ვიღაცას. პალატის ამბებზე და შიმშილზე მინდოდა ლაპარაკი მასთან. რომ გამოვედი იქიდან, დათა თუთაშხია მოაჯირზე იჯდა, მზეს ეფიცხებოდა და კითხულობდა. დავბრუნდი ჩემს ოთახში, სამეცადინო მქონდა. მივუჯექი მაგიდას. ცოტა ხნის მერე ზამთარაძემ ზურგზე ხელი

მომიცაცუნა, თავისკენ მიმახედა. შევცქერი და ვხედავ, რომ რაღაცის თქმას აპირებს და ყოყმანობს, ვერ მეუბნება, რატომღაც.

– რა გნებავთ, ბატონო?

– რაა და... რა ვქნათ, აწი? – წამჩურჩულა ზამთარაძემ.

მივხვდი, რომ დანარჩენი სათქმელიც ჩურჩულით უნდა გვეთქვა, მაგრამ არ მესმოდა, რას გულისხმობდა, და ვიყავი გაჩუმებული.

– როგორ გგონიათ თქვენ, თუ გაიგონა ოტიამ ჩემი და ამ მამაძაღლი ჭონიას ლაპარაკი?

– არ გაუგონია, ეზოში დადიოდა... სეირნობდა იქ.

ზამთარაძე დაფიქრდა და მითხრა:

– ახლა, დიდი ოხერი და ბრიყვი კაცი ჩანს მაგ ჭონიაა, თუ რა გვარია. მარა ისე, მართალს ლაპარაკობს, მაინც. ჩვენ აქ ვძღებოდეთ და ეგენი მანდ მშივრები იყვნენ - არ გამოდის ლამაზი...

– ღარიბი კაცია ბიძაჩემი მურმანი, – ვთქვი მე. – რასაც შოულობს, ავადმყოფებს და მათ წამლებს ახმარს ისევ. არ შეუძლია ამდენი ხალხის რჩენა. ხოსროსი რვა თვის ჯამაგირი მართებს უკვე. ვერ უხდის, არ აქვს სახსარი.

– მაგას არ მოგახსენებთ მე, როგორ გეკადრებათ, ბატონო. სხვაა აქ... სხვა დროს თუ ყოფილა აქ საქმე ასე და რა გიქნიათ მაშინ?

– არ მახსოვს, ასე რომ მომხდარიყოს.

გავჩუმდით ორივე.

– მე გეტყვით ერთ გამოსავალს, – მივმართე ზამთარაძეს ცოტა ხნის მერე. – მოელაპარაკეთ თქვენს ამხანაგს, ფული თუ გაქვთ – დადეთ ნახევარ-ნახევარი, უყიდეთ ერთი ბათმანი ფქვილი და ცოტაოდენი ყველი ავადმყოფებს. ბევრი არ დაგიჯდებათ ეს. ეგენიც მაძღრები იქნებიან და არც თქვენ დარჩებით უხერხულად. მანამდე მოაკითხავს ჭირისუფალი რომელიმეს. ასე აჯობებს, მგონია.

– მაგას ვფიქრობდი მეც, ამხანაგთან გამხელა არ შეიძლება ამის, არაფრით არ დამრთავს ნებას.

– რატომ?

– მისი საქმეა ეგ.

– აბა რას იზამს?

– რას იზამს და, შეიძლება, თვითონაც არ მიეკაროს საჭმელს, სანამდე მაგათ არ გამოუჩნდებათ საკვები. ასე იზამს ნამდვილად, მარა ამ ხალხის გასაჭირში არც თვითონ ჩაერევა და არც მე დამანებებს. ვიცი მე. დაფიცებული აქვს ასე. მისი საქმეა ეგ.

სხვა სათქმელი მე არ მქონდა და ხმა აღარც ზამთარაძეს ამოუღია კაი ხანს.

დიდ პალატაში ხოსრო შემოვიდა, ავადმყოფებს წამალი მიაღებინა და მილაგ-მოლაგებას მიჰყო ხელი.

– არის ერთი კაცი ჩვენს სოფელში, ყარსის ომშია ნამყოფი, – მოისმა პალატიდან კვიშილაძის ხმა. – ხოდა, ცხენის ხორცის მწვადი მაქვს ნაჭამიო, ამბობს. არ იცრუებს ის კაცი, ისეთი კაცია და მეც ასე ვფიქრობ, რომ რაა მერე, რა უჭირს ცხენის ხორცს, ვითომ? ბალახს, თივას, ქერს და შვრიას აჭმევენ სამხედრო ცხენებს, სხვას ხომ არაფერს, რომ თქვას კაცმა.

– ცხენის ხორცის რა მოგახსენო, – გამოელაპარაკა ქუჩულორია, – მარა დროზე გამოუშიგნავ ნანადირევს სუნი რომ დაეცემა და კაცს რომ ეგონება, გაფუჭებულია უკვეო – არაა მართალი ის. კურდღელი მომიკლავს, ასვლია სუნი, მარა არ გადამიგდია. გამოშიგნე, შე კაცო, გაატყავე, გარეცხე კარგად და ისევ ის საჭმელია, მაინც. სიმართლე თუ გინდათ, უფრო გემრიელიცაა. რომ წამოაგებ, დაატრიალებ ცეცხლზე და რომ გამოუშვებს ცვარს! უკეთესს რას ნახავს კაცი!

ხოსრომ ავადმყოფებს თვალი გადაავლო, თავი გაიქნ-გამოიქნია და წავიდა.

– დღეგრძელი ხარ, მაგას ვფიქრობდი სწორედ, – კვერი დაუკრა კვიშილაძემ – ერთხელ მთაში სხვისი მოკლული კაკაბი ვიპოვნე. ასე, სამი დღის მოკლული იქნებოდა...

– ვერ გრძნობთ თქვენ, შიმშილი რომ გალაპარაკებთ მაგას, – შეაწყვეტინა ვარამიამ. – არ შეიძლება შიმშილში საჭმელზე და მისთანებზე ლაპარაკი, უარეს დღეში ჩაგაგდებთ ეგ. თავს ნუ გაიღიზიანებთ ტყვილად. ღმერთია მოწყალე, გამოჩნდება საშველი.

– საჭმელზე ლაპარაკი აღარ გავიგონო აქ! – ბრძანა ჭონიამ

ყველა გაჩუმდა.

– აუუუ! დაიღუპა ეს ხალხი, – თქვა ზამთარაძემ და ისევ ჩურჩულით მომმართა: – აგერ ფული, ჩემო ბატონო, პირდაპირ მათ რომ მივცე, არ ივარგებს; მადლობას ვერ დამალავენ, გაიგებს ოტია, სიდან და რა გზით გაუჩნდათ საჭმელი, და არ შეიძლება ასე. ხოსროს მიეცით ეს, იყიდოს ფოთში სანოვაგე და მურმანის სახელით მიცეს ამ უბედურებს. ა, გამომართვით!

ორი საათიც არ იყო გასული, რომ ხოსრომ ბლომად სიმინდის ფქვილი და სამი ოყა სულგუნი შემოუტანა ავადმყოფებს და ბიძაჩემის სახელით მიართვა.

პალატა გაინაბა, მადლობის თქმა ვარამიამ მოიფიქრა მხოლოდ და ისიც მაშინ, როცა ხოსრომ კარი გააღო და გადიოდა. მერე ისევ მიჩუმდა ყველაფერი.

თუთაშხია ამ დროს “ვეფხისტყაოსანს” ჩაჰკირკიტებდა, მაგრამ გულისყური, ზამთარაძესავით, იმ ამბისკენ ჰქონდა. ბოლოს, სიჩუმე რომ დიდხანს გაგრძელდა, წიგნი გადადო და საგანგებოდ მიაყურა. გაიარა კიდევ ცოტა ხანმა და მიჩუმებულ-მიკმენდილი პალატა უცბად ახმაურდა. ჭონიამ ქვაბს დაავლო ხელი წყალი მოარბენინა, ცეცხლს შეუჩუჩხუნა, ტომარა გახსნა, ფქვილი პირისკენ გააქანა, – დამწარებული ხომ არ არისო, გასინჯა... სხვები ბიძაჩემი მურმანის ქებას და თაყვანისცემას მოსდგნენ. კვიშილაძემ ამბავი წამოიწყო, აქ და აქ ამ და ამ კაცმა ასეთი და ასეთი სიკეთე ქნაო. ქუჩულორიამ, – ტყუილია მაგ, ის კაცი მურმან თორიასთანა კეთილი და ხელგაშლილი არაფრით არ იქნებოდაო. აწრიალდა და აფორიაქდა პალატა. სანამდე ღომი მოიხარშებოდა და ჭამას შეუდგებოდნენ, ენა არც ერთს არ გაუჩერებია. იმ დღეს ჭონიამ კიდევ შედგა ქვაბი და დააპურა ეს რამდენიმე დღის ნამშევი ხალხი. შუადღე გადასული იყო, ქუჩულორიამ აზრი წამოჭრა, – კიდევ ხომ არ მოვხარშოთო. დაუჭირეს მხარი, ატყდა ისევ ლაპარაკი და ღუმელის კარის ხრიგინი.

გვიანობამდე არ დამაძინა ხმაურმა, ძილი გამიფრთხა და როდის გამომეღვიძა, ვერ ვიტყვი ახლა. ალბათ, დილის თერთმეტზე ან უფრო გვიან. ერთი კია, ისევ ღომის სუნი ტრიალებდა, ისევ ხმაური იყო.

დათა თუთაშხია არ ჩანდა ზამთარაძემ გამიღიმა და მითხრა.

– დიდხანს გეძინათ დღეს – მერე ხმას დაუწია. – დილას აქეთ მეორედ მოხარშეს უკვე. სანამ თვალი არ გაძღება, კუჭი არ გაძღება იქამდე. შიმშილმა იცის ეს.

– სხვისია, ჭამენ, რა ენაღვლებათ, – მივუგე მე.

ხოსრომ თუთაშხიას და ზამთარაძეს საუზმე შემოუტანა. ზამთარაძე კარგ გუნებაზე იყო, მარდად წამოიწია, ჯამებში ჩაიხედა, ხოსრომ თავი აივნისკენ გაიქნია და თქვა:

– ბატონმა ოტიამ ბრძანა ასე. ღომი და სულგუნიო. სხვას ნუ მოგვიტანენ ნურაფერსო.

ზამთარაძემ ერთხანს მიყურა და ხოსროს კითხა:

– ხომ არ გაუგია რამე ოტიას... ფული რომ მოგეცით, ხომ არ გაუგია ეს?

– არ უკითხავს არაფერი, – მიუგო ხოსრომ.

– საიდან გაიგებდა, – დავძინე მე. ზამთარაძე დამშვიდდა, გულაღმა დაწვა და ამხანაგის მოლოდინში ფიქრს მიყვა. თუთაშხია მალე შემოვიდა. საუზმეს შეუდგნენ.

– მარხვას არ ინახავდი შენ, ოტია-ბატონო, და...

– რაც შეგვერგება და ადგილს რაც შეეფერება, ის და იმდენი ვჭამოთ, ბესო-ჩემო, – ღიმილით მიუგო თუთაშხიამ.

შემდგომი ხუთი დღის მანძილზე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა. ზამთარაძეს ფეხზე სიმსივნემ უკლო, გაბზარული ძვალი დაუამდა და უფრო თამამად დაიწყო ყავარჯნების ხმარება. დათა თუთაშხიასაც დაუცხრა ტკივილები, მკლავს

თითქმის თავისუფლად ამოძრავებდა. ავადმყოფებმა ხოსროს მოტანილი საჭმელი ძირამდე დაიყვანეს. ზამთარაძე იძულებული იყო, ისევ გაეღო სახსარი და საკვები კვლავ გაჩნდა. ცხენის ხორცისა და სუნდაკრული ნანადირევის ამბავს აღარავინ იხსენებდა. ჭამდნენ, როცა მოისურვებდნენ, რამდენსაც მოერეოდნენ, და საეჭვოდ იყვნენ მიჩუმებულები. იშვიათად ლაპარაკობდნენ, რაღაც დაძაბულობა იგრძნობოდა.

ერთ დილას ზამთარაძე თურქეთში მცხოვრები ქართველი ტომების ამბავს მეკითხებოდა, ვსაუბრობდით. თუთაშხია გარეთ იყო გასული. დიდ პალატაში ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ.

– ჭონია, აგერ, კვირაზე მეტია გიყურებ და... – მოისმა პალატიდან კვიშილაძის ხმა. – გიყურებ და... ისე გაანაწილე მაგ ღომი და ყველიც, თუ კაცი ხარ, რომ ერთნაირად შეგვხვდეს ყველას!

ჭონიას ქუჩულორიასთვის გაშვერილი საინი ჰაერში გაუშეშდა.

– ე, ეგეც იმისაა, – წამჩურჩულა ზამთარაძემ, – ერთნაირ საჭმელს ჭამენ სულ, თვალი ვერ გაძღა და ისე ეჩვენება, ვითომ მის საინზე ნაკლები იყოს ღომი.

– უყურეთ ერთი ამას! – წამოიძახა ჭონიამ. – შენ ნაკლებს გიდებ და ჩემთვის მეტს, ხომ?!

– შენთვის მეტი რომ აიღო და ქერქსაც რომ იტოვებ, მაგ არაფერი – ხარშავ და გერგება, მარა ქუჩულორიას ჩემზე მეტს რომ უდებ და ვარამიას ჩემზე ნაკლებს, არ ვარგა მასე და მოიშალე მაგ! – უთხრა კვიშილაძემ.

– არ მიდებს შენზე ნაკლებს მე, არაა მართალი! – ხაზგასმით თქვა შესაძლო უთანხმოებით შეშინებულმა ვარამიამ.

– ჭონია არ იკადრებს მაგას, – დასძინა ქუჩულორიამ, – და სხვის საინში ყურებას შენსაში იხედებოდე, აჯობებს ის.

– არ მოგწონს ჩემი განაწილებული, ხომ? მაგერ ფქვილი, მაგერ ყველი, აგერ ცეცხლი და მოხარშე შენთვის თვითონ. შენს არჩივს აღარ ვხარშავ მე! – განაცხადა ჭონიამ.

– ნუ წაიჩხუბებით, არ შეიძლება ასე, – თქვა ვარამიამ. – შიმშილი რომ იყოს, მაშინაც თავის შეკავება გვმართებს და ამ თავსაყრელ სიმაძღრეში ნუ დავჭათ ერთმანეთს. ჩემი არჩივის ნახევარს დავჯერდები მე, არ მინდა მეტი, ძალით ვჭამ, მაინც, და ის ნახევარი თქვენ რომ შეგემატებათ, იკმარებს მაშინ.

– კვიშილაძისთვის არ ვხარშავ მე! – გაიმეორა ჭონიამ გადაჭრით.

– მოხარშვა არც მე შემიძლია და არც ქუჩულორიას და, აბა, მშიერი იყოს კვიშილაძე? – თქვა ვარამიამ:

– არ ვიცი მე!

პალატის კარი დათა თუთაშხიამ შემოაღო, ლაპარაკი შეწყდა.

– გაძღნენ, ამოიყორეს მუცლები და დაესივნენ ერთმანეთს, – წამჩურჩულა ზამთარაძემ. – სიმაძღრემ იცის ეგ!

თუთაშხია გაფაციცებული იყო. არც დაჯდა, არც საჭმელს შეუდგა, იტრიალა ერთხანს და მერე, ვითომ დიდ საიდუმლოს მელაპარაკებოდა, ხმადაბლა დაძაბულად მითხრა:

– რაღაც ამბავია იქ, კასრში.

– რა? – ვკითხე მშვიდად.

– ერთი ვირთაგვა შუაში ზის და კვდება მგონია. სხვები მის გარშემო არიან შემომჯდარი, შეცქერიან იმ ერთს... მის სიკვდილს ელიან, ალბათ.

ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. რომ დაიმშევიან და დასუსტდებიან ცხოველები, როცა მათგან ყველაზე დაუძლურებული სიკვდილის პირზე მივა, მაშინ ეცემიან სხვები და შეჭამენ. აქ იმ ცხოველის დახსომებაა აუცილებელი, რომელიც პირველი მიიტანს იერიშს მომაკვდავზე. ამ ცხოველს დაცვა და საგანგებო მოვლა სჭირია, თორემ დაუძლურებულის შეჭმისას ერთმანეთში ჩხუბი მოსდით ვირთაგვებს და ნაკბენობა თუ მიიღო, იქნებ თვითონაც დაუძლურდეს და სხვისი შესაჭმელი გახდეს. კაციჭამიას გამოყვანისას, ხანდახან ხდება ისე, რომ სულ ბოლო ცხოველიც კვდება – ნაკბენობა არ შეუხორცდება, გაუმიზეზდება წყლული და მოკვდება. ტყუილად დაკარგული შრომაა ასეთი შემთხვევა.

– ეგ უკვე შიმშილს ნიშნავს, ოტია-ბატონო, – ვთქვი მე და კარისკენ გავემართე.

თუთაშხია გამომყვა, მაგრამ კასრში საინტერესო უკვე აღარაფერი იყო, გარდა იმისა, რომ შვიდის მაგიერ ექვსი ვირთაგვა დამხვდა. ერთ-ერთს შეჭმული ცხოველის კუდი მიესაკუთრებინა და უხალისოდ წიწკნიდა. დასახიჩრება ვერც ერთ ცხოველს ვერ შევნიშნე. ეს იმას ნიშნავდა, რომ კანიბალიზმი იმავე დღეს აღარ განმეორდებოდა.

დათა თუთაშხია მოაჯირზე ჩამოჯდა, ზღვას გაჰყურებდა, დაფიქრებული იყო.

მოვითავე ჩემი საქმეები, მივუჯექი მაგიდას და ვარამიამ დაიწყო ლაპარაკი. სათქმელი კარგად მოფიქრებული და დალაგებული ქონდა:

– კაცმა რომ თქვას, ბატონი მურმანი ამ საჭმელს რომ გვაძლევს, ხომ არ გვეუბნება, ერთ ჭამაზე ამდენი ჭამეთო და მეტი არაო, რაა აქ სადავო და სალაპარაკო, არ მესმის მე. თუ გვაკლდება ვინმეს, მოვხარშოთ მეტი და ის იქნება. კვიშილაძე-ბატონო, ასე მგონია, არ ხარ მართალი, ჭონიას რომ ეუბნები, მე ნაკლებს მიღებ და სხვას მეტსო. ჯამებია სხვადასხვანაირი, თვალი ადვილად ტყუვდება, ამის ბრალია შენი სიტყვები. ჭონია-ბატონო, ხდება ხანდახან ისე, რომ ადამიანი შეცდება და გაკადრებს რაღაცას. არ უნდა მოგვიდეს გული, თვარა, მან რომ თავისი შეცდომით ჩაიდინა, იმ შეცდომაზე უარესს ჩაგადენინებს წყენა და გაბრაზება. სწორედ ასე გამოგივა შენც, თუ დააჟინდი შენსას. არაფერი არ მომხდარა ისეთი, წყენად და მაგიერის გადახდად რომ ღირდეს. დაივიწყეთ ახლა ის თქვენი წაკინკლავება. აგერ, ღვთის და ბატონი მურმანის მოვლა-პატრონობით,

მოვრჩებით ყველა, წავალთ ჩვენ-ჩვენ ოჯახებში და ერთმანეთის ჯავრი რომ წაგვყვეს თან, არ ივარგებს ჯავრის წაყოლა.

– დიაკვანი ხომ არ ხარ, ვარამია, შენ? – კითხა ჭონიამ.

ვარამიამ ისევ გადაალაგა თავისი თაბაშირები კედლისკენ, გადაბრუნდა და ცოტა ხნის მერე ჩაილაპარაკა:

– არ ვარ მე სასულიერო პირი.

– აბა, გაათავე მაშინ ლოცვა და ქადაგება. არაა შენი საქმე, რას ვიზამ მე!

ქუჩულორიამ ხმამაღლა გაიცინა, მაგრამ ეს ისეთი გაცინება იყო, რომ ჭონიასაც და ვარამიასაც, ორივეს ერთდროულად, თავის მომხრედ შეეძლოთ მიეჩნიათ ქუჩულორია.

შუადღეზე ჭონიამ ქვაბი შედგა. ფქვილის მოკიდების დრო მოვიდა და იმდენი მოუკიდა, რამდენსაც წინა დღეებში ოთხი კაცისთვის ვარაუდობდა ხოლმე. ვიფიქრე, თავის მუქარაზე ხელი აიღო-მეთქი. ვერ გეტყვით, რატომ: იმიტომ, რომ თავიდანვე ქონდა გადაწყვეტილი, კვიშილაძისთვის არ ეწილადებინა, თუ იმიტომ, რომ სწორედ ულუფებად გაყოფის წინ კვიშილაძემ იმ გარემოებისთვის უადგილო ლაპარაკი წამოიწყო, მაგრამ ჭონიამ გამზადებული საჭმელი მაინც სამ ჯამში გაანაწილა და არა ოთხში.

კვიშილაძეს კი, აი, რა ქონდა ნათქვამი:

– ვარამია-ბატონო, ჩახედული კაცი ჩანხარ შენ. რჯულში და სახარებაში რომ წერია, ვინმე თუ იხრჩობოდეს, ხელი გაუწოდე და ამოიყვანეო, რანაირადაა მაგ საქმე, თუ იცი? რანაირადაა და, ვინც რჯული და სახარება გამოიგონა, ასე მაქვს გაგონილი, ერთხელ თვითონ იხრჩობოდა, თურმე. ვის წინააღმდეგაც გამოიგონა ის რჯული და სახარება, იმან ჩამოიარა ამ დროს. შეეცოდა, კაცი რომ ნახა საიქიოს მიმავალი, გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და იმ ამოყვანილმა წიწილივით შეჭამა თავისი მხსნელი და გადამრჩენელი. რაც წერია რჯულში და სახარებაში, ის უნდა დაისწავლოს კაცმა და უკუღმა გააკეთოს მერე. თუ ნახე სადმე, წყალწაღებული რომ ამოსვლას ცდილობდეს, უნდა წაკრა ფეხი და დაიხრჩოს ჯობია, თვარა ამოვა, მოითქვამს სულს, მოგიბრუნდება და შეგჭამს.

ვარამიას პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ დაინახა, კვიშილაძეს საჭმელი არ მიცესო წამოიწია და უთხრა:

– აიღე, კვიშილაძე-ბატონო, ჩემი ჯამი, ნახევარი გადაიღე შენთვის, მიირთვი ჯერ შენ და რომ გაათავო, მაჭამე მერე მე.

ჭონიამ ულვაშებში ჩაიცინა.

კვიშილაძემ არასგზით არ ქნა, – რომ მოვკვდე, მაინც არ დავაკარებ პირსო. ვარამიამ საკითხი გადაჭრით დასვა: თუ არ გამომართმევ, არც მე შევჭამო. კვიშილაძემ მაინც უარი განაცხადა.

ქუჩულორიამ თავისი ულუფა რომ შეჭამა, ვარამიას უთხრა:

– მოვრჩი მე. გადმობრუნდი ჩემსკენ და გაჭმევ ახლა.

ვარამიამ ჭამაზე ცივი უარი თქვა. დიდი დავა და რჩევა-დარიგება ატყდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა ქუჩულორიას, არ ჭამა ვარამიამ. ერთიც კია, ქუჩულორიას ლაპარაკში პატარა სიყალბეც იგრძნობოდა. კიდეც უნდოდა ვარამიას დაპურება და არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ ულუფა უპატრონოდ დარჩენილიყო. ბოლოს ქუჩულორიამ ვარამიას ჯამს თითი დააშვირა და თქვა:

– თუ მართლა არ მიირთმევ, ბატონო ვარამია, ნუ გააცივებ მაინც, ავიღებ და მე შევჭამ მაშინ მაგ შენს ღომს.

– აღარაა ჩემი ეგ, – მიუგო ვარამიამ წყნარად.

– თუ აღარაა შენი, აბა, არავისი ყოფილა... – ქუჩულორია გადაწვდა, აიღო და სასწრაფოდ შეჭამა, ალბათ, ეშინოდა, არ გადაიფიქროს პატრონმა და დაბრუნება არ მოითხოვოსო.

ავადმყოფების კინკლაობა ამით დამთავრდა. ზამთარაძემ დათა თუთაშხიას წასჩურჩულა:

– მაგ ღომი გააფუჭებს მაგათ, ნახავ, თუ არა!

– ასე იქნება, ალბათ. მუცლით სიმაძღრემ იცის ეგ, მარა საშველი არის მაინც, – მიუგო თუთაშხიამ.

ზამთარაძემ ანიშნა, ბარემ თქვი, რასაც გულისხმობო.

– ან ის ცხრასახელიანი სეთური ჭირდება აქაურობას, რომ იმედი გაუჩინოს, იქნება, მაგენს... – თუთაშხიას სიცილი აუვარდა და გული რომ მოიჯერა დასძინა: - ანაა და, მაგათ ღომს და ყველს საწებლად ტყემალიც უნდა წაუმატოს ვინმემ. მაშინ დაშოშმინდებიან პატარა ხნით. პატარა ხნით-მეთქი, ვამბობ.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ თუთაშხია ისევ თავის ამხანაგს მიუბრუნდა:

– ბესო-ბატონო, კარგს იზამდი, საირმეზე მომხდარი ამბავი თუ არ გაგვიმეორდებოდა აქ. ლაზარეთი სხვა აღარ იცი, მგონია, და რა ვქნათ მერე?

რას გულისხმობდა დათა თუთაშხია, ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ ზამთარაძე ბავშვივით გაწითლდა – დათა თუთაშხიასთვის უკვე ნათელი იყო, თუ ვინ ამარაგებდა პალატას სანოვაგით.

– მშივრები იყვნენ და რა მექნა, აბა, – წაილუღლუღა ზამთარაძემ.

– რომ გააძღე, მერე დაჭამეს ერთმანეთი, – მიუგო დათა თუთაშხიამ. – გეცლია, შე კაცო...

საღამოთი ჭონიამ მორიგი საჭმელი გაამზადა და ახლა აღარც ვარამიას უწილადა. მოხუცს ხმა არ დაუძრავს, მაგრამ ჭონიამ თვითონ აუხსნა მიზეზი:

– ვარამია, არ ჭამ, მაინც, და მიტომ არ მოვხარშე შენთვის. რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს ის.

– უყურე ერთი ამას, ამ მათხოვარს და ღვთის გლახას! – აღშფოთდა კვიშილაძე. – მე რომ ამომიჩემე – მე და შენ ვიცოდეთ მაგ ამბავი, შე ძაღლის შვილო ჭონია, მარა ამ საწყალ ვარამიას რას ერჩი, ნეტავი. იმისთვის თუ მოიძულე, მე რომ საჭმელი შემომთავაზა, ის მაინც რატომ დაგავიწყდა, თავისი ლუკმა რომ გაჭამა. მათხოვრად მოთრეულს სული მოგათქმევინეთ აქ და ახლა ოსმალოდ დაგვადექი და შიმშილით დაწყვეტას გვიპირებ ხომ?!

– კვიშილაძე-ბატონო, – სიტყვა ჩამოართვა ვარამიამ, – ერთი იცოდე: არაფერი პატივისცემა და კეთილი საქმე არაა, გაჭირვებულს შენი ლუკმა რომ გაუტეხო; კაცის მოვალეობაა ეგ. ეს თუ გეცოდინება, აღარც დააყვედრებ მაშინ, - ეს და ეს პატივი გეციო, და სინდისიც სუფთა გექნება. მასეთებს ნუ ილაპარაკებ, თვარა ჩაივლის ეს უსიამოვნება და რამდენჯერ ჭონიასთვის ნათქვამი სიტყვები მოგაგონდება, იმდენჯერ გაწითლდები და შეწუხდები.

– გაწითლებას ეს სისხლისმსმელი ყაჩაღი არ აპირებს, შე კაცო, და მე რა გამაწითლებს, ვითომ? – მიუგო კვიშილაძემ.

– ისეთს ნუ ვიზამთ, მერე რომ ვინანოთ. შევიკავოთ თავი. მოგვაკითხავენ ან შენ და ან მე დღეს თუ ხვალ, – თქვა ვარამიამ.

– მიყევით და ილაპარაკეთ, ჰე! – მშვიდად, განაღდებული საქმის პატრონივით თქვა ჭონიამ, და მაშინ მომაგონდა, რომ ორი დღის მერე კვიშილაძის ცუცას უნდა შეხვედროდა ჭონია წერილში მიწერილ ადგილზე.

პალატაში ხოსრო შემოვიდა, წამლების ყუთი შემოიტანა. ჯაჯღანი შეწყდა.

– ჭონია, არ იქცევი სწორად, – მიმართა ხოსრომ, როცა წამლების დარიგებას მორჩა და გასვლა დააპირა. – ბატონმა მურმანმა არ გაგიგოს ეგ. დაგითხოვს ლაზარეთიდან იცოდე!

კვიშილაძემ იმწამსვე ჩაიფხუკუნა.

– რა გაცინებს, ღორის შვილო, შენ! – დაუსისინა ჭონიამ.

ქუჩულორიამ შეშინებული თვალები მიაცეც-მოაცეცა, კვნესა-კვნესით ადგა და თქვა:

– რამ მაწყინა, ვიცოდე, ერთი, არასდროს არ მტკივებია მუცელი ასე.

– ზეზე დგომა შემეძლოს და ღორის შვილი ვიღაცაა, გაჩვენებდი იმას! – შეეპასუხა კვიშილაძე ჭონიას.

ქუჩულორიამ თავის გარიდება არჩია, კარი გააღო, აივანზე გაჩანჩალდა.

– ჰმ, ვითომ მუცელი ატკივდა ამ მელაკუდას! – თქვა ზამთარაძემ, წამოიწია, ფანჯრიდან აივანზე გაიჭვრიტა, გაიცინა და ჩაიჩურჩულა: – აგერ დგას, კარზე უდევს ყური.

– საიდან იცის ხოსრომ ეგ ამბავი? - იკითხა თუთაშხიამ ხმადაბლა და ვიგრძენი, რომ ზამთარაძეს საყვედურობდა.

– ჩემგან იცის, მუ ვუთხარი, მაგრამ თავისითაც იყო მიხვედრილი ყველაფერს. ხოსრო ბრძენი კაცია, – მივუგე თუთაშხიას. – ეს ხალხი ვინმემ თუ არ მოიყვანა ჭკუაზე, ალბათ, თვალებსაც დათხრიან ერთმანეთს, უბედურები.

– უბედურები ჩვენ ვართ, მაგათ საქციელს რომ ვუყურებთ. მაგენი თავის საქმეს აკეთებენ, არ შეუძლიათ უმაგამბავოთ, – ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

– ასე ქენი ჭონია შენ... – შეწყვიტა ხოსრომ შეხლა-შემოხლა, – ნუ მიაქცევ ყურადღებას, თუ გაწყენინა ვინმემ. სხვებზე ჯანმრთელი ხარ და მოუარე ამ ხალხს. თავი დაიჭირეთ ყველამ! ერთად და ერთ და იგივე კაცებში დიდხანს ყოფნამ შეძულება იცის. ნუ აყვებით ამას.

– ხოსრო-ბატონო, – მიუგო ჭონიამ, – არავინ შემიძულებია მე და არც ამ ძაღლის შვილის მწყენია რამე, კვიშილაძე თუ ვიღაც ოხერია. ცუდად და შეუძლოდ ვარ ნამეტანი. ვეღარ ვერევი ვერც ქვაბს და ვერც ჩოგანს. წყალში გადავარდიო, რომ მითხრათ, გადავვარდები, რას ვიზამ, აბა, მარა ხვალ დილით ისევ ასე თუ ვიქენი, ვერ მოვხარშავ ღომს, ვფიცავ მიწაზე დედ-მამის საფლავს და ზეცაში ღმერთს, მართალს ვლაპარაკობ!

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ქუჩულორიამ კარი ემოაღო ამ დროს.

– კაი ახლა, ნუ შევაწუხებთ ბატონ ხოსროს, – თქვა მან, თითქოს ლაპარაკს თავიდან ბოლომდე შესწრებოდეს. – მართლა არ შეუძლია, იქნება, ჭონიას. ცოტათი მოვიკეთე ამ ბოლო დროს. მოვხარშავ მე. რას იზამს კაცი, ხან ასეა და ხან ისე.

– მასე აჯობებს. მიდი, აბა, ქუჩულორია, მიყევი საქმეს. – ეშმაკური ღიმილით თქვა ხოსრომ და წავიდა.

– დაიბრუნა ქუჩულორიამ ქვაბი, ჩოგანი და ღომის ქერქი, – აღნიშნა ზამთარაძემ. – გამოიცვალა გუბერნატორი.

გავიდა, ასე, ერთი საათი და ქუჩულორიამ განაცხადა:

– ბატონმა მურმანმა ბრძანა, საჭმელი არ დაიკლოთო. ხომ გაიგონეთ ყველამ ეს? მოვხარშავ ახლა, მარა, კვიშილაძე-ბატონო, დანაწილებით შენ დაანაწილებ, კუტი რომ ხარ, არაფერია ეგ. არ თქვას უარი ვინმემ, თვარა... საერთოა ეს სურსათი და ერთობით გავუძღვეთ საქმეს.

ერთობით გაძღოლამ და ქუჩულორიას გადამჭრელმა ტონმა გაამართლა. საჭმელი ყველამ სიამოვნებით მიირთვა ვარამიას გარდა; ვარამია კვიშილაძის მიწოდებულ კოვზს ღია პირს უხვედრებდა, უხალისოდ ჭამდა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა.

მეორე დღეს თუთაშხიამ ისევ მაცნობა, რომ კასრში მორიგი კანიბალიზმი მზადდებოდა. აბრაგი ისე გულმოდგინედ მეხმარებოდა კაციჭამიების გამოყვანაში, ვითომ ამხანაგად მყავდა აყვანილი.

– ქუჯი-ბატონო, დაიმშნენ და ჭამენ ერთმანეთს, გასაგებია, მარა სიმაძღრის ხერხითაც შეიძლება კაციჭამიას გამოყვანაო, რომ მითხარი, მაძღრები თუ იქნებიან... არ მესმის მე ეს.

– მაძღრები კი იქნებიან, მაგრამ ერთი რამე საჭმელი ექნებათ მხოლოდ – სიმინდი ან ხორბალი, მაგალითად. რომ დასუქდებიან და ყელში ამოუვათ, მაშინ ბოლში გამოყვანილ ღორის ტყავის ნაჭერს ჩაუგდებენ კასრში. რომელიც მათში ღონიერია და ავია, ის დაისაკუთრებს იმ ტყავს. ვერ ჭამს, ქვასავით ტყავია, მართალია, მაგრამ სუნი აქვს კარგი, იზიდავს სხვებს და ესეც ვერ ელევა, სიკვდილის ფასად არ დაუთმობს სხვა ვირთაგვას. ბოლოს და ბოლოს, წასართმევად დაეცემიან, იმ ომში შეიჭმევა რომელიმე და ღორის ტყავის ნაჭერი ისევ ერთ ცხოველს დარჩება. მერმე მისი ჯერიც მოვა და ასე.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დღეს ჭონიასაგან დანიშნულ პაემანზე კვიშილაძის ცუცა რომ უნდა მოსულიყო ის იყო ახლა საქმე! ბევრი ვიფიქრე, რა მექნა და როგორ მოვქცეულიყავი. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე შემაწუხა ამ საკითხმა, რომ ვინ იცის, რა ხნის გადასული იყო შუაღამე, როცა ძლივძლივობით ჩამეძინა. დილითაც ადრე გამომეღვიძა. ერთი რამე გეგმა ან მკვიდრი გადაწყვეტილება არ მქონია, მაგრამ თავისთავად მოხდა ყველაფერი. ვისაუზმე, დავიჭირე ჩემი ფარაონი, ჩავისვი ჯიბეში და წავიყვანე ფოთში გასაყიდად.

ამ საქმეს რომ მოვრჩი, კაი მოშიებული ვიყავი, დუქანში შევედი, ვჭამე. მატარებლის მოსვლამდე, ასე, ორი საათი რჩებოდა. პაემნის ადგილას დროზე მისვლა იყო საჭირო, თვარა, ჭონია მიმასწრებდა და მისი იქ ყოფნა მოხერხებული ადგილის შერჩევას გამიძნელებდა. წავედი და მალე იქ ვიყავი უკვე. შორს მოვიარე, კარგად დავზვერე, ფრთხილად მივუახლოვდი ადგილს. ჭონია არ ჩანდა ჯერ. გზის პირას თხმელებში ბლომად შეშა ეყარა. იმ შეშებიდან დიდი ბუნაგი ამოვაშენე, ისეთი, გაჭიმულად წოლაც რომ შეიძლებოდა და, ვინმე თუ იყო დამალული შიგ, ადვილად ვერ მიხვდებოდა ვერაკაცი. ახლა მხოლოდ ის მქონდა საფიქრალი, რომ ჭონიას და კვიშილაძის ცუცას შეხვედრა გასაგონარზე მომხდარიყო, თვარა, დანახვით – ვერსზე ჩანდა ყველაფერი.

დეკემბრის მიწურული თუ იანვრის დამდეგი იყო. ამ დროს ქვენა ქარი იცის. ქროდა, მაგრამ თბილოდა მაინც.

მალე ბატონი ჭონიაც გამოჩნდა. ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად თავის სიცოცხლეში წამოსული – დინჯად, ინდოურივით გაფხორილი, წარმატებაში დარწმუნებული მობრძანდებოდა. ჯერ შეშები დაათვალიერა. მერე გზის მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა. იქ ბუჩქნარი იყო და ქვაზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე, ალბათ, უკანალზე შესცივდა, ჩემსკენ გადმოვიდა ისევ, ერთი შეშა წაიღო და ქვეშ ამოიდო. კიდევ ცოტა ხნის მერე თამბაქო გააბოლა. ნამწვავი რომ გადააგდო, ღიღინს მოჰყვა და ამ დროს ფოთის სემაფორს მატარებელმაც მოაყვირა.

ჭონია ლაზარეთში რომ მოლასლასდა, ბავშვი მეგონა პირველად, ისე პატარა და მილეული იყო. მერმე და მერმე ცოტა მოიკეთა, მაგრამ მაინც მეტისმეტად აკლდა ხორცი. ახლა შევცქეროდი ჩემი საფარიდან და ვფიქრობდი, ნეტავი რით ინახავდა ასეთი ქონდრისკაცი თავს-მეთქი: ბარი და თოხი ჭონიას მესამე მოქნევაზე დაღლიდა, იმდენი ნასწავლიც არ ჩანდა, რომ რაიმე სამსახურით ეარსება. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, ალბათ, სადმე დარაჯად იდგა, ან დუქანში მსახურად მუშაობდა-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და "საბაჩი ვალსის" სტვენა დაიწყო, ვარიაციებით ასრულებდა. ააა, ოჯახშია, უთუოდ, ნამსახური!

ოჯახში, თვარა, მაზრის უფროსს თავის ქალიშვილებთან გუვერნიორად ეყოლებოდა! საჯინიბოს ხვეტდა სადმე, ალბათ, მაგრა ამასაც რომ ფიზიკური ძალა ჭირდება?.. ერთი სიტყვით, ამაზე ფიქრს კარგად გადავაყოლე გული და გავერთე, სანამ ზურგიდან თუ საიდანღაც უცნაური ფაჩუნი არ შემომესმა. მივიხედე, მაგრამ როგორ დაინახავს კაცი რაიმეს, როდესაც სანგრის მშენებლობისას ზურგიდან ვისიმე მოსვლა არ გამითვალისწინებია და სათვალთვალოები არ დამიტოვებია. შეშებში რაც ჭუჭრუტანები იყო, ყველაში გავიხედე. არავინ ჩანდა, ფაჩუნი კი, ამასობაში, ფეხის ხმად იქცა - ნელა, ფრთხილად მიახლოვდებოდა ვიღაც, გავიფიქრე, ვაითუ შეშის პატრონი მოვიდა, იქნებ გაზიდვას მიჰყოს ხელი, მეპაემნეებიც დამიფრთხოს, ამ შეშებში ჩამალული კაციც მიპოვნოს და მერმე რა ვქნა ან რა ვთქვა-მეთქი! ამ დროს ერთ ჭუჭრუტანაში ადამიანის ხელ-ფეხი დავინახე. ოთხზე იდგა ვიღაც, მაგრამ სახე და ტანი არ ჩანდა მისი. ავწრიალდი, ხან ერთ ჭუჭრუტანას ვეცი, ხან - მეორეს და ზემოდან გადმოფარებულ შეშებს ავკარი თავი მაგრად. ბოლოს, ვიპოვნე შესაფერისი ადგილი, გავიხედე და დათა თუთაშხია შემრჩა ხელში! ხანჯლებივით თვალები ქონდა თუთაშხიას, ადრეც მქონდა შემჩნეული ეს. ჩემი სამალავისკენ იყურებოდა პირდაპირ. ალბათ, ჩემი წრიალი და ფაჩუნი რომ გაიგონა, შეშინდა და ახლა ხელში უზარმაზარი მაუზერი ეკავა. ვფიცავ შვილებს, სწორედ წარბებს შორის მეცემოდა ტყვია, შემთხვევით თითი რომ გამოეკრა ფეხისთვის ან განზრახ რომ ესროლა.

– გამოდი მანდედან! – ჩურჩულით თქვა აბრაგმა, მაგრამ ის დაჩურჩულება ჩემთვის მეხზე უარესი იყო – გამოუცდელი კაცის ამბავი მოგესხენებათ.

სამალავის უკანა კედელში შეშები გადავწიე ფრთხილად და სახე დავანახე დათა თუთაშხიას. განაბული შევცქეროდით ერთმანეთს. მერმე თუთაშხიამ მაუზერი წელში გაირჭო, გაიღიმა და მანიშნა, – აქ რას აკეთებო. მეც, ჩემი მხრივ ვანიშნე, – ჭონიას ვუთვალთვალებ-მეთქი! სიცილი ვერ შეიკავა აბრაგმა, პირზე ხელი აიფარა. სამალავში შემოვიპატიჟე, – აქ უფრო მოხერხებულია-მეთქი. პატარა ხანს იფიქრა და შემომიერთდა.

– რა უნდა მოხდეს აქ? – ჩამჩურჩულა თუთაშხიამ.

მოვუყევი ყველაფერი. აიფარა პირზე ყაბალახი და ძალიან ბევრი და ძალიან გულიანად იცინა. საერთოდ, ამ კაცს ერთი საოცარი თვისება ქონდა: ან ღრმად დაფიქრებული იყო და ან მხიარულობდა. ამ ორ სულიერ მდგომარეობას შორის საშუალო, რაც ხანს ლაზარეთში იყო, ერთხელაც არ შემიმჩნევია. მოვრჩით ჩურჩულს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, თუ რისთვის აედევნა ჭონიას ეს კაცი. პაემანის დაწყებამდე სულ ამაზე ვფიქრობდი. ადვილი შესაძლებელია, თუთაშხიას ალღოთი ქონდა პაემანის ამბავი ნაგრძნობი და ცნობისმოყვარეობა მოიყვანა. არც ის არის გამორიცხული, რომ სადღაც წასვლის სამზადისი შეამჩნია ჭონიას და იმის შესამოწმებლად გამოყვა, ხომ არ მიხვდა, ვინც ვართ მე და ზამთარაძე და პოლიციაში ხომ არ აპირებს მიბრძანებას და გამჟღავნებასო.

ამ ფიქრებში გართულს თუთაშხიამ გამკრა იდაყვი, ჭონიას შეხედეო, მანიშნა. ჭონია ისევ შეშაზე იჯდა, მაგრამ ახლა გაფაციცებით იყურებოდა ფოთისკენ. რამდენიმეჯერ მოიჩრდილა თვალები. მერმე ადგა, ტანსაცმელი მიისწორ-მოისწორა, მოწესრიგდა, ბოლოს ისევ დაჯდა, თავი ჩაქინდრა და რაღაც ფიქრებს გაყვა. მგონია, მოლოდინით გულგაწყალებული კაცის იერის მიღებას ცდილობდა – ვითომდა, ეს რა მოსაწყენი ვალის მოხდამ მომიწიაო.

მალე ჩვენი თვალთვალის არეშიც გამოჩნდა ის, რამაც ჭონიას ყურადღება დაიმსახურა. ერთი ვეებერთელა ქალი მოდიოდა. თავისი სიგრძე-სიგანის შესაფერი ხურჯინი მოქონდა, ხელში მძიმე კალათი ეჭირა. წყალზე მიმავალ სპილოსავით დინჯად, გამოზომილად და დაბეჯითებით მოაბიჯებდა.

– ამხელა დედაკაცი თუ გინახავთ? – ვკითხე თუთაშხიას.

აბრაგმა გაიღიმა და თავი გაიქნია.

დედაკაცი კი დიდი ხომალდივით მოიწევდა. მალე გაგვისწორდა კიდეც და შეჩერდა. ჭონიამ ზანტად აწია თავი, ქალს დაღლილი თვალები შეავლო მკვახედ კითხა:

– რას მომჩერებიხარ, ნეტავი?

დედაკაცმა კალათი ძირს დადო, დოინჯი შემოიყარა.

– შე კაცო, დედაშენს შენთვის სალამი არ უსწავლებია?! რას მომჩერებიხარო! მოგჩერებივარ, თვარა, ქვეყანაზე შენზე უკეთესს და ულამაზესს რას ნახავს ადამიანი! – მიუგო დედაკაცმა.

– წადი ახლა, გაიარე, არ მომიყვანო მანდ! – ჭონია ადგა, ხალათი შეისწორა, გაიარ-გამოიარა.

დინჯად დააბიჯებდა, გაუწვრთნელი ახალწვეულივით უკუღმა იქნევდა მკლავებს.

– დედა, რავა ჩასუნთქული დაიარება ე ბოვშვი! – გულწრფელად გაუკვირდა დედაკაცს და თქვა: – ვისი ხარ, ბიჭიკო, შენ? აქ ერთი კაცი უნდა დამლოდებოდა, – ბუჩქნარი და თხმელები რო არისო.

ჭონიამ სიარულს თავი დაანება, ქალს დააკვირდა, გზაზე გადმოვიდა და აღშფოთებით იკითხა:

– ცუცა დოღონაძე ხომ არა ხარ, შენ, ბესია კვიშილაძის ჭირისუფალი და სპირიდონა სიორიძის ცოლი?

– კი ვარ.

– კი ხარ და, რა სინდისია ეს, ამდენ ხანს რომ მალოდინებ აქ! მოვკვდი კაცი. უთენია დილას გამომაგდო იმ შენმა ბესიამ. დილის მატარებლით მოვაო. ჭონია ვარ მე. მომეცი ახლა, რა გაქვს გასატანებელი, არ მცალია!

კვიშილაძის ცუცამ ჭონია აათვალიერ-ჩათვალიერა, ტაში შემოკრა და გულიანად გაიცინა:

– კი, მარა, ქვეყნის სურსათ-სანოვაგე მომწერა იმ ჩემმა სულელმა, ძლივს მომაქვს ამხელა ქალს და შენ რაფრა უნდა ზიდო, ნეტავი, შე ჩხიკვო, შენ!

– გაათავე ლაპარაკი! ორ გზობად წავიღებ რაც იქნება.

კვიშილაძის ცუცამ ერთი კიდევ ჩაიცინა, კალათი აიღო, წელში გაიმართა და ჭონიას კითხა:

– რაფრად არის იქ ჩემი კაცების საქმე? წამოდი, ჩამოვჯდეთ ეგერ, შეშებთან და მიამბე დალაგებით.

დედაკაცმა თავისი ხელბარგი პირდაპირ ჩვენს ცხვირწინ დაალაგა. ჭონია ხურჯინს და კალათს მეორე მხრიდან მოუჯდა. სანამ ის კვიშილაძის და სიორიძის ავადმყოფობა-კარგამყოფობაზე ტყუილებს ლაპარაკობდა, დედაკაცმა ხურჯინიდან მოხარშული დედალი, ჭყინტი ყველი, ბურვაკის ხორცი და კვარტიანი ბოთლით არაყი ამოიღო. მერე ორი კაი მოზრდილი ნათალი ჭიქაც გააჩინა, არაყი ჩამოასხა. მიუჭახუნეს მეპაემნეებმა, გადაკრეს და ჭამას შეუდგნენ.

სიორიძეზე ლაზარეთში რაც ითქვა, ჭონიას, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად ახსოვდა. სხვას, იქნებ, ათასნაირი რაიმე ქონდეს გაგონილი ვინმეზე და მსმენელი კი ვერ დაარწმუნოს, რომ იმ ვინმეს პირადად იცნობდა. ჭონიას სიტყვების სიმართლეში კი ეშმაკიც ვერ შეიტანდა ეჭვს. ლამის მეც დავრწმუნდი, რომ სპირიდონა სიორიძეს და ჭონიას ახლო ნაცნობობა აკავშირებდა.

– მომშივნია, თურმე, – თქვა დედაკაცმა. – სპირიდონა ოხერმა თუ იცის, ბესია ჩემს ქმრობას რომ აპირებს?

– როგორ გეკადრება! დაჭამენ ერთმანეთს!

– კი, დაჭამენ, სპირიდონას ჭაღარა თუ გაუჩნდა, ნეტავი?

– სპირიდონას ხუთი წლის წინათ არ ქონდა ბეწვი თავზე და, ნეტავი, რა უნდა გაუჭაღარავდეს ახლა?

– ხუთი წლის წინ რა ქონდა და რა არ ქონდა სპირიდონას, სიდან იცი შენ?

– სიდან და, აჯამეთის სადგურში ერთად ვმუშაობდით. სპირიდონა მეისრე იყო, სანამდე ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადაუვარდებოდა. შპალის მუშად ვიყავი იქ. სპირიდონა რომ გააპანღურეს, მის მაგიერ მინდოდა დადგომა. არ ქნა ერთაოზ ნიკოლაძემ.

– მაგ კაცი რას აკეთებდა აჯამეთში?

– რას და სპირიდონას ფეხზე თითებს ითვლიდა! რას გააკეთებდა, ნაჩალნიკ სტანციად იყო ერთაოზ ნიკოლაძე და დღესაც იქაა, მგონია. კაი ხანი არ ვყოფილვარ იქეთ, რა ვიცი, აღარცაა იქნებ.

კვიშილაძის ცუცამ და ჭონიამ თითო არაყი კიდევ გადაკრეს.

– მაგ მართალია, სპირიდონას ექვს-ექვსი თითი აქვს ფეხებზე, მარა ერთი არ მჯერა მე, ეს ქათმის სკინტლივით კაცი შპალს რანაირად ერეოდი, ნეტავი?

დედაკაცმა თვალები მოჭუტა და ჭონიას დააკვირდა.

– ავადმყოფობა და სენი ხეს გაახმობს, თუ შეუჩნდა. ასეთი არ ვიყავი მაშინ მე!

ქალმა ცოტა ხანს იფიქრა, თვითონ მესამე არაყი გადაკრა, ჭონიას არ მიცა, – ნამეტანი მილეული ხარ, მოგერევა, ბარგს ვეღარ მიიტან ლაზარეთშიო, და კითხა:

– რას ამბობს სპირიდონა სიორიძე, სად ვიყავი ამდენ ხანსო?

– არ ლაპარაკობს არაფერს. ბესიას სიტყვა ჩამოართვა, ცუცასთან არ გამთქვა თუ მნახეო.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჭონია ყბაგაუჩერებლად ჭამდა. დედაკაცი ფიქრობდა.

– ბესია თუ დამიბრუნდება მალე? რას ეუბნება ექიმი, როდის წახვალ შინო?

– ასე, ორ კვირაში აიდგამ ფეხს და შენით წახვალო.

– ბეჩა რამდენი ჭამა შეგძლებია ამ ერთ ფიორა კაცს! – გაუკვირდა კვიშილაძის ცუცას. – კმარა, აწი. გადაგიცლი, აგერ, ამ ტომარაში ჯერ ხურჯინს და წაიღე პირველი გზა, თვარა სანამდე შენ იქ მიჩანჩალდები და დაბრუნდები, მატარებელი გამასწრებს ამასობაში.

დედაკაცი ხურჯინის დადაცლას მორჩა, ერთი არაყიც დალია, ბოთლი ტომარაში ჩაუდო ჭონიას და ტვირთის მხარზე შეგდება უშველა.

– ჩქარა იარე, აბა ჰე!

ჭონიას ჩქარი სიარული საერთოდ არ შეეძლო, ამ სიმძიმე ტვირთს ლაზარეთამდე როგორ მიიტანდა – გაუგებარი იყო, მაგრამ, ალბათ, სიხარბემ და საქმის წარმატებით დაგვირგვინებამ წაახალისა, რომ მაინც მიჩოჩავდა და საკმაოდ მხნედაც.

– დაიტანჯება ეს უბედური, მარა თუ მიიტანა იქამდე, ჩემს კაცებს საჭმელი ექნებათ ერთ-ორ კვირას... ბესიას, თვარა, სპირიდონა-ოხერის სახელი გაწყდა და გადაშენდა! – თავისთვის ალაპარაკდა დედაკაცი.

– არა, თუ გაგონილა სადმე, ერთ დედაკაცს ორი ქმარი ლაზარეთში ყავდეს ერთად, ერთიმეორის გვერდით ლოგინებში, ა?! – ცუცა კვიშილაძე ხარხარს მოყვა, მაგრამ იმწამსვე პირზე ხელი აიფარა, მიიხედ-მოიხედა და თქვა: – ბეჩა, გიჟი არ ვეგონო ვინმეს! ქმარი ქვია მაგას?! ჯერ იმიტომ შემირთო, ქცევა სიმინდის გათოხვნა რომ შემიძლია დილიდან საღამომდე. კიდევ იმიტომ, რომ ხორციანი დედაკაცი ვარ და სპირიდონას კი არა, ყველას გაუხარდება ჩემთან წოლა. კაი დედაკაცი ვარ მე, ყველა ასე მეუბნება და უმათოდ ვიცი ეს. ვაითუ, ბესიასაც მიტომ ვუნდავარ! რა იციან მაგათ ქალის სიყვარულის. თუ მოიფიქრა რომელიმემ ერთი... ერთი... თუ გინდა, ერთი ფოჩიანი კამფეტის ყიდვა ოდისმე ჩემთვის? მუშად ვუნდივარ მაგათ, ხარად და კამეჩად, თვარა... – ცუცას ცრემლები გადმოსკდა თვალებიდან და მოყვა ხვლიპინ-ხვლიპინით მოთქმას. – ქალის გაჩენის დღე დაიქცა, სულ ტანჯვაში და წვალებაში უნდა გაიყვანოს წუთისოფელი უბედურმა. დედაკაციო. დედა – კი, თუ შვილები გეყოლა, მარა კაცად და ადამიანად ვინ მამაძაღლმა ჩაგაგდო, ნეტავი.

მუშაობა – ქალს, ორსულობა, შვილების გაჩენა და მათი გაზრდა – ქალს. სატირალში ქალი ტირის, თვარა, კაცი?! კაცი ზის და ღვინოს მიირთმევს, ოხერი. ქორწილში არის და, სანამდე კაცები გამოთრობას ეღირსებიან, ქალი უნდა იჯდეს და იგენის საცოდაობას უყუროს. დედაა, რაფერი ანდლები არიან, რომ დაითვრებიან... არც ისე უქნია ღმერთს. გამოთვრება კაცი და ქალმა უნდა ატაროს სახლამდე და შინ მისულს, თუ მოგერია, გაგლახავს უსათუოდ. დავბადებულიყავი კაცად, რა იქნებოდა, ვითომ. რა და, მოვიყვანდი ცოლს, გამიჩენდა შვილებს, იწვალებდა თვითონ და მე ქე ვიქნებოდი კარგად. არა, თვითონ რომ იწვალებდა, არ ვარგა ეს. აბა, მაშინ რა, თუ იცი? სულ არ შევირთავდი ცოლს! – დედაკაცმა ცრემლები ხილაბანდით შეიმშრალა, ხვლიპინს მორჩა და ოცნება ჩვეულებრივი ლაპარაკით განაგრძო: – არ შევირთავდი სულ. ქალების მეტი რაა ქვეყანაზე, ვიშოვნიდი ქალს, თუკი მომინდებოდა. წავიდოდი და, შეიარაღებული კაცები რომ ყავთ, ჩავდგებოდი იმ სამსახურში მეც. ცხრა ფუთს რომ ვიწონი და ამხელა ღონე რომ მაქვს, ტანად არ ვივარგებდი თუ თვალად? მოიცა, მოიცა, ჭიდაობას დავიწყებდი, ჭიდაობას! წამოვიღებდი და წამოვიღებდი კისრულით ამ ჭიაღუა კაცებს მასე! სიმონიკა ვაჭარაძე რომ არის, მოჭიდავე – სიმონიკაზე უკეთესი და ღონიერი რომელი იქნება, ქალაქებში ფულად რომ ჭიდაობენ, მათში? არავინ! თუ არავინ და, პელაგიას ქორწილში ღვინო რომ მომეკიდა და რომ გამაქეზეს, ხომ ვატარე სიმონიკა ვაჭირაძე ხელზე აყვანილი. საითაც მინდოდა, იქით გადავისვრიდი სიმინდის ტაროსავით. ახლა ხერხსაც რომ ვისწავლიდი! ვიარდი ამ ქვეყანაზე, ქალაქიდან ქალაქში და მოვიხვეჭდი სახელს... ვაი, შენს თავს, უბედურს, მალაქია დოღონაძის ქალო! დედა შენ არ გყავს და მამა, შვილი და ქმარი. რა დაგრჩენია მეტი, ინატრე რაცხა სისულელეები და იყავი მასე! – ისევ აცრემლდა და აქვითინდა დედაკაცი, ისევ დაიწყო მოთქმა და ვაი-ვიში. – და-ძმა მაინც გყავდეს, შე გამოწყვეტილო და პა ტახო...

რაღა ბევრი გავაგრძელო, იტირა ერთხანს კვიშილაძის ცუცამ და თვითონ ვერ შეამჩნია, ისე გადავიდა ჯერ სიმღერაზე, მერმე ღიღინზე დაიყვანა და ბოლოს ჩათვლიმა იმ ღიღინში. თხმელის შეშებში

მიეძინა დაშოშმინებულს და საცოდავს.

დათა თუთაშხია ისე იყო განაბული, ისეთნაირად ქონდა ჩაქინდრული თავი, რომ, მგონია, დედაკაცზე ადრე მან ჩათვლიმა. არაფერი არ მითქვამს მისთვის, სულ ერთია, პაემანის ბოლომდე ცხვირს ვერ გავყოფდით საფარიდან ვერც ერთი. გავიდა ხანი, თუთაშხიამ თავი აწია, მიაყურა და მანიშნა, ჭონია გვიახლოვდებაო. დედაკაცი – ხვრინავდა-მეთქი, რომ ვთქვა – ხვრინვა არ იყო ის, მაგრამ კაი გვარიანად ფშვინავდა. ჭონია თავზე წამოადგა, დარწმუნდა, რომ ეძინა, და დაცლილი ხურჯინი გაუჩხრიკა. ვერაფერი ნახა. კალათის ამოქექვას შეუდგა. ქალი შეინძრა.

ჭონიამ ჩხრეკას თავი დაანება, ფეხზე ადგა და ხმამაღლა უთხრა:

– გაიღვიძე, ცუცა, მოვედი მე!

დედაკაცმა თვალები გაახილა, წამოიწია, კალათის გადაცლას შეუდგა. ჭონია გვერდში მიუჯდა, ქალს თვალიერება დაუწყო, თითქოს პირველად ხედავდა, ისე შესცქეროდა.

– რამდენი წლის ხარ, ცუცა, შენ? – კითხა ჭონიამ.

– რამდენის და, ოცდათორმეტის. რატომ მეკითხები მაინც?

– ოცდათორმეტის არ იქნები შენ. ოცდახუთის ან ოცდაექვსის იქნები. ძალიან ლამაზი და გემრიელი ქალი ხარ. ძალიან, რომ მეტი არ შეიძლება!

ქალი შეკრთა, მაგრამ სულ ერთი წამით, და ისევ სანოვაგის გადალაგება განაგრძო.

– კი, მარა, ასე გაფურჩქნული, ყაყაჩოსავით აყვავებული და სადედოფლო ქალი, უქმროდ როგორ ხარ და როგორ ძლებ, საკვირველია სწორედ.

– გაგიხმეს მაგ თავი შენ! – ქათინაური იუხერხულა ცუცამ. მერე გაშეშდა უცებ. დაფიქრდა პატარა ხნით და უთხრა: – მასეთებს რომ მიბედავ და მეკითხები შენ! როგორ ვძლებ და, ვძლებ როგორღაც. რა ვქნა, აბა, და რა წყალში გადავვარდე, ნეტავი. ვარ ასე, ა, – გულწრფელად, მწარედ დააყოლა დედაკაცმა.

– ოხერი და ბრმა რომ იქნება კაცი, ის თქვი შენ, თვარა, შენისთანა ცოლის პატრონს, რა უნდოდა კიდევ, სპირიდონა სიორიძეს. კაცები ვიცი ისეთი მე, არაფერს არ დაინანებენ შენისთანა ქალის ქმრობისათვის, – ქათინაურებს უმატა ჭონიამ.

კვიშილაძის ცუცა იღიმებოდა. ჩანს, სიამოვნებდა ჭონიას სიტყვები. ისე სიამოვნებდა, რომ ბავშვივით იყო გაბადრული იმხელა ქალი.

– სადაა ღმერთი და მისი სამართალი, თვარა, ადამიანისთვის ამ ერთი სიტკბოების მეტი სხვა სულ უბედურება აქვს მოგონილი და მაგ ერთიც რომ მოგაკლო და წაგართვა – რაა ეს?

– უიღბლო ვარ, ჭონია, მე, და უბედური ვარ, – მიუგო დედაკაცმა, – არ მარგუნა ღმერთმა ოჯახი და მისი სიტკბო.

– თვითონ იუბედურებ თავს და ვინაა დამნაშავე, შე საცოდაო... – თანაგრძნობით უსაყვედურა ჭონიამ. – კაი და, რომ მოგაგონდება ხოლმე ალერსი და ქმრის სიყვარული, რას შვრები მაშინ?

– რას ვშვრები და ვითმენ. რას ვიზამ მეტს. დავიწყებ ფიქრს აქით ძროხაზე და ღორზე, იქეთ ქათამზე და ყანაზე და მავიწყდება მაშინ ის საწუხარი... აღარ მელაპარაკო მასეთები, გითხარი მე! – უეცრად გაწყრა დედაკაცი.

– ეეეჰ! – ღრმად ამოიხვნეშა ჭონიამ – ესაა ღვთის სამართალი?!

ისე მოიწყინა ჭონიამ, ისე მოიღუშა და მოიბუზა, ვიფიქრე, ტირილს მოყვება-მეთქი ახლა, მაგრამ ამის მაგივრად ხმადაბლა, ალერსიანად, შემპარავად დაუწყო ქალს:

– უცოდველი დეკეული ხარ შენ და უმანკო სამოთხის ფრინველი, ჩემო ცუციკო, ჩემო. ვინ თქვა, ღმერთი არ არის ქვეყანაზეო! აბა ვინ გამოგვაგზავნა ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის? აგერ არ ვარ მე? მოგიალერსებ ახლა, სიყვარულს გაჩუქებ ჩემსას და ისე გაჩუქებ, რომ არ დაგავიწყდეს იქნება არასოდეს. ნახავ, ასე თუ არ იქნა.

ჭონიამ დედაკაცის მკერდს შეავლო თვალი, მიეპარა, ხელის წავლებაც დაუპირა. გამბედაობამ უღალატა, გადაიფიქრა. კვიშილაძის ცუცა თავის საქმით იყო გართული, მაგრამ ჩანდა, რომ ჭონიას ახალ სიტყვებს თუ საქციელს გაფაციცებით ელოდა. ამასობაში კალათი თითქმის დაცალა. ჭონიამ განზრახვის გადადება, ეტყობა, მიზანშეუწონლად მიიჩნია და ქალს გულისპირში ხელი ხვლიკივით ჩაუცურა, იმ ვეებერთელა მკერდში ჩაუყურყუმელავა. დედაკაცი კალათს დაეთხოვა, მოარშიყეს მიუბრუნდა, გულდასმით დააცქერდა.

– მაგარი ვარ მე, ძალიან მაგარი ვარ. მოდი ჩემთან. ჩემისთანა არ გყოლია, იქნება, არასდროს. ნახავ, თუ არა! – ჩაურთო ჭონიამ ტკბილ-ტკბილი სიტყვებისა და ქათინაურების ნაკადში.

დედაკაცმა გულიანად გაიცინა და სიცილითვე კითხა:

– რა გინდა, ჭონია, შენ, თქვი, თუ კაცი ხარ.

ჭონია ტუჩებში ჩააფრინდა, კოცნა დაუპირა. დედაკაცმა ხელები საფეთქელში მოკიდა, მოიშორა და უთხრა.

– რომ დავაღო პირი, შევისუნთქო და ჰაერთან ერთად შეგიყოლო უცაბედად შენც, რას შვრები მერე?

კვიშილაძის ცუცამ, ალბათ, ეს სურათი წარმოიდგინა და იმდენად გამხიარულდა, რომ ახლა სიცილისგან გადმოსკდა ცრემლები. მერმე უცბად, მოულოდნელად გაინაბა, დაიძაბა, შუბლი შეიკრა, მიადგა საცოდავ ჭონიას და ცემა დაუწყო. როგორ ცემდა! სასტიკად ცემდა და თან ეუბნებოდა:

– ჩემი კაცების მეგობარი ხარ შენ? ჩემი კაცების – შენი მეგობრების ცოლთან საქმის დაჭერა მოინდომე, ხომ? ა შენ, ა კიდევ! მაგარი და ძალიანი მაგარი ხარ, ხომ? მასე ტრაბახობთ ყველა, თქვე მამლაყინწებო და საპყარებო, თქვენ! თვალის დახუჭვას ვერ მოასწრებს ადამიანი და გარბიხართ – ვეღარ დაგეწევათ ეშმაკი! ა შენ ა შენ, ა კიდევ, მაგრები და ძალიანი მაგრები რომ ხართ, იმისთვისაც!

ისეთ დღეში ჩააგდო ბიძაჩემ მურმანის ავადმყოფი კვიშილაძის ცუცამ, რომ კინაღამ მივატოვეთ მე და დათა თუთაშხიამ ჩვენი საფარი იმ პირგამეხებული და გაცეცხლებული დედაკაცის დასაოკებლად.

ჭონიას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. სახეზე ხელებს და მკლავებს იფარებდა მხოლოდ. მერე ამის არაქათიც გამოელია და მაშინ იყო, ცხვირ-პირიც რომ დაუსია დედაკაცმა.

– აიღე ახლა ეს ტომარა და გაქრი აქედან! – დაუტატანა ცემით თავგაბე რებულმა ქალმა თავის მსხვერპლს.

ჭონია რის ვაი-ვაგლახით ადგა. კვიშილაძის ცუცამ ტომარა აიტაცა, მხარზე დაუგდო და ხელი წაკრა, – წადი, იარეო. ჭონია დაიძრა.

ათიოდე ნაბიჯი არ ქონდა გავლილი, ქალმა უთხრა:

– დადე მაგ ტომარა და მოდი აქ!

ჭონიამ ბრძანება შეასრულა, მაგრამ ყოყმანით, შიშით მოდიოდა დედაკაცისკენ.

ქალმა კისერში ჩაკიდა ხელი, გულისპირში კოტიტა თითები ჩაიყო, დაკეცილი ქაღალდის ფულები ამოაცოცა იქიდან და ჭონიას ჩაუდო ჯიბეში ის ფულები. მერმე გზაზე დატოვებული ტომრისკენ მიატრიალა ჭონია, აწია, გაისროლა და ტომარასთან დააგდო.

– ადექი, ახლა, თვითონ აიკიდე მაგ ტომარა. თუმანია ექიმისთვის მისაცემი მანდ. სრულად ჩააბარე ბესიას ყველაფერი, შე მამაძაღლო, თვარა, მოვალ ერთი კვირის მერე მე და რაცხა ძალიან მაგარი ხარ, მაშინ განახვებ და დაგიმატებ კიდევ.

დედაკაცმა გზა-გზა მიმღოღავ ჭონიას იქამდე უყურა, სანამ ის გორაკს გადაცდებოდა და თვალს მიეფარებოდა.

– ნამეტანი მომივიდა. არ უნდა გამელახა ასე... გლახის ჭირი, ეგ!

– ჩაილაპარაკა კვიშილაძის ცუცამ.

ნელი ნაბიჯით ვბრუნდებოდით, ჩუმად ვიყავით. უკვე ლაზარეთს მივუახლოვდით და მხოლოდ მაშინ დაარღვია სიჩუმე თუთაშხიამ.

– რა ეშველება ამ საქმეს, ნეტავი?

– რომელ საქმეს? – ვკითხე, რადგან უცბად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ჩემი თანამგზავრი თავის ფიქრებში იყო. სანამ გამოერკვა, კაი ასი ნაბიჯი გავიარეთ კიდევ. მოაგონდა მერმე, რომ მისგან პასუხს ველოდი, და თქვა.

– ამ ყველაფერს, ერთად.

– მართლაცდა, როგორ მოვიქცე, რას მირჩევთ თქვენ. ეგ ჭონია ბიძაჩემისთვის მისაცემ ფულსაც ჩაიჯიბავს, ალბათ. ასე ვფიქრობ მე.

კიდევ დიდხანს იყო სიჩუმე. აივნის კიბეებზე ავდიოდით, თუთაშხიამ მაშინღა გამცა პასუხი:

– თავისით უნდა გაირკვეს და ადგეს ეს საქმე კალაპოტში. თავისით მორიგდებიან და მოწესრიგდებიან ეგენიც და ის ფულიც.

აივანზე ავედით. ვირთაგვებს ჩავხედეთ, ცვლილება შევნიშნე და თუთაშხიას ვუთხარი:

– კიროსი შეიჭმევა.

– საბოლოოდ ეგ დარჩებაო, ასე არ იყო ნათქვამი?

– რა მოხდა, თუ იცი. ეგ ცხოველი სხვებზე გაცილებით ღონიერი და საღი იყო. მოერია სხვებს, ყველაზე დიდი წილი შეჭამა, ის ორი ცხოველი რომ გაგლიჯეს, იქიდან, და აწყინა ამან. ვერ მოინელებს, მოკვდება. ხომ ხედავთ, როგორაა მობუზული. დღესვე თუ არა, ხვალ უეჭველად გაგლეჯენ მაგას.

პალატაში ჭონია ტომრის დაცლით, სანოვაგის დაბინავებით იყო გართული. შემოგვხედა. ვიგრძენი, რომ მის გონებაში ეჭვის სიმი დაიჭიმა. ან იქნებ ეს ერთგვარი გაფაციცება იყო იმის გამო, თუ რას ვფიქრობდით ჩვენ იმ აუარება სანოვაგეზე, რომელიც მას ასე ერთბაშად და მოულოდნელად გაუჩნდა მაშინ, როცა თვითონვე ქონდა ბიძაჩემისთვის ნათქვამი, ქვეყანაზე არავინ მყავს და ჩემი მომხედავის მოლოდინი ნურავის ექნებაო.

ავადმყოფები რა თქმა უნდა არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ჭონიას სამეურნეო საქმიანობაში, გასუნტრული იწვნენ. ყოველ მათგანს ისე ეჭირა თავი, თითქოს, არც ჭონია იყო იქ და არც მისი ხორაგი, მაგრამ ჩანდა რომ ყველას ერთი საფიქრალი ქონდა: საიდან გაუჩნდა ამდენი სიმდიდრე ჭონიას?

ფანჯრების რაფებზე ქილები, ქოთნები, პარკები და სხვადასხვა ზომის ბოთლები ელაგა. კედლებში აქა-იქ შერჭობილი ლურსმნებიც აეთვისებინა ჭონიას: იქ ფქვილის პარკი ეკიდა, აქ – კანაფზე აცმული სულგუნები. ზოგზე - ბოლში გამოყვანილი ბარკლებისა და შაშხის ვეებერთელა ნაჭრები... ერთი სიტყვით, პალატა შეძლებული ოჯახის საკუჭნაოს დაემსგავსა და, ამასთან ერთად, ციხის გოდოლს, რომელსაც საძირკველში ნაღმი და ლაღუმი ქონდა შემარჯვებული.

ჭონია, სარჩო რომ დააბინავა, ვახშამს შეუდგა. გაფიცხებულ ხაჭაპურს შეექცა, მერმე არაყი გადაკრა და ქინძმარი მიაშველა მოხარშულ ლოქოს. ამას, რატომღაც, ცივი მჭადი, ნიორი და შაქარი დააყოლა. თითქოს, გაძღა. ვახშმის მონარჩენი დააბინავა, ჯამი გარეცხა, წამოწვა კიდეც, მაგრამ ცოტა ხანში ფელამუში მოინდომა და სავსე კათხას კაი ძალი მიაკლო. ისე გააფრებული ჭამდა, ვითომ სულ ერთი საათის წინ არ ყოფილიყო, ცუცა დოღონაძის დედლის ძვლებს თავზე რომ გვაყრიდა მე და დათა თუთაშხიას.

ვარამია კედლისკენ იყო მიბრუნებული, მძინარეს გავდა. კვიშილაძე კრიალოსანს აკაკუნებდა, ჭონიასკენ ერთხელაც არ გაუხედია. ქუჩულორია მალვით, ქურდულად და საგანგებო გულისყურით ადევნებდა თვალს ჭონიას ვახშმობას, მის სასმელ-საჭმელს, ჭურჭელს და როცა დარწმუნდა, რომ ჭონია არაფერს უწილადებდა, ღვარძლიანად იკითხა:

– კი მარა, საიდან მოიტანე, შე უბედურო, ამდენი საჭმელი, ნეტავი?!

ჭონიას ყური არ უთხოვებია.

დათა თუთაშხია ჩვენს თავგადასავალს და პაემანის შინაარსს დიდი გრძნობით უჩურჩულებდა მოსე ზამთარაძეს. ზამთარაძე სიცილით იხრჩობოდა; ხანდახან მოწოლილ ხარხარს ვეღარ იკავებდა და მისი მჭექარე ხმა კედლებს აზანზარებდა.

– ქუჩულორია, ჩაუწიე ლამპას, დავიძინოთ! – ერთობ გადაჭრით ბრძანა ჭონიამ.

ამან ერთგვარი დაბნეულობა შემოიტანა.

– შე კაცო, ქათმები ხომ არ ვართ, რომ დაბინდდება, ქანდარაზე შევსხდეთ მაშინვე, – მიუგო ქუჩულორიამ ცოტა ხნის მერე რბილად.

– მოვხარშავთ ღომს, რაცხა ყველის ნაჭრები გადაგვრჩა, მივატანთ იმას და დაძინების და დაუძინებლობის მერე ვილაპარაკოთ.

– არ არის ჩემი საქმე, ივახშმეთ თუ არ გივახშმიათ და დაგრჩათ თუ არ დაგრჩათ, ყველია თუ კოპტონი. ვთქვი მე, ჩაუწიეთ ლამპას და დავიძინოთ! ხმა აღარ გავიგონო არავისი, დაღლილი და დაქანცული ვარ ნამეტანი!

პასუხი დიდხანს არ გაუბედია არც ერთს. მხოლოდ ვარამიამ ჩაილაპარაკა:

– მეტი რა გითხრა, ადამიანი არ იყო შენ!

– ჩაუწიეთ, ჩაუწიეთ! არ ვარ თქვენთან ლაპარაკის ხასიათზე! – ჭონიამ ავადმყოფებს გადახედა, მიხვდა, რომ ასე ადვილად არავინ დაემორჩილებოდა, წამოდგა, თვითონ ჩაუწია და დაწვა.

კვიშილაძეს ლოგინიდან წამოდგომა სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო, ლამპა მისგან შორს იყო, ეს მართალია, მაგრამ ასეთ ვითარებაში სიტყვიერი წინააღმდეგობა ხომ მაინც უნდა გაეწია? ხმა არ დაუძრავს. ვარამიას ადგომა შეეძლო, მაგრამ თაბაშირიანი ხელებით მაინც ვერაფერს გახდებოდა და, მეორე მხრივ, მისი ხასიათის კაცისგან, რაც ითქვა, იმაზე მეტი ძნელი მოსალოდნელი იყო. არც ქუჩულორიას გაუმჟღავნებია თავისი დამოკიდებულება შექმნილი ვითარების მიმართ.

საქმეს ისე ეტყობოდა, რომ ლამპა ჩაწეული და საღამოს ღომი შეუჭმელი უნდა დარჩენილიყო.

ასე გავიდა ათი თუ თხუთმეტი წუთი და ბუკის ხმა სულ სხვა მხრიდან გაისმა. ჭონია ჩვეულებრივზე უფრო ცქვიტად წამოხტა და აივანს მიაშურა, თუმცა აივანი რა უაშია - საითაც მას მიეჩქარებოდა, იქამდე კიდევ კაი მანძილი ქონდა გასავლელი, თუ, რა თქმა უნდა, ხოსროს მტკიცე მითითებას არ დაარღვევდა. გაიხურა კარი ჭონიამ და კვიშილაძემ სიცილი მიაყოლა.

– რა გაცინებს, შე გამოთაყვანებულო, შენ! - შეუტია ქუჩულორიამ.

კვიშილაძემ უნებლიეთ ხმა ჩაიწყვიტა:

– რავა?!

– რავა, და... – ქუჩულორიამ თვალი ჩვენი კრეტსაბმელისკენ გამოაპარა, კვიშილაძესთან მიიჭრა და სათქმელი ყურში ჩასჩურჩულა.

– რაიო?.. ჰა?.. - აღმოხდა კვიშილაძეს. – მომიტანე აქ!

ქუჩულორიამ ლამპას აუწია, ფელამუშის კათხა მოიტანა და კვიშილაძეს გაასინჯა.

– აუუუ! – იყვირა კვიშილაძემ – აუუუ!

ვარამია გადმობრუნდა.

– ჩემი ცუცას კათხა! აუუუ!

– ჭონია შეიჭმება, ნამდვილია ეს! – თქვა ზამთარაძემ.

– მოერევიან, ვითომ? ნამეტანი თავხედია, მამაძაღლი, – დაეჭვდა თუთაშხია.

– მასეთი საქციელისას ჯარიან მეფეებს ჭამენ, – მიუგო ზამთარაძემ.

– ჩემი ცუცას კათხა! აუუუ! – ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ახერხებდა აღმოჩენით თავრეტდასხმული კვიშილაძე.

– კაცო, რაღა მაინცდამაინც შენი ცუცასია მაგ კათხა. გურია და აჭარა მთლად კათხების ქვეყანაა და არც იმერეთშია ნაკლები, – თქვა ვარამიამ.

– სსსუ, გაჩერდი შენ მანდ, – დიუსისინა ქუჩულორიამ. – ცუცას კათხას კვიშილაძე კი არა და, ას კათხაში მე გამოვარჩევ თვალხუჭუნა. ცუცასია მაგ, სახელურს ორივე მხარეზე ჯვრები აქვს. კვიშილაძე გამოიხედე აქეთ! გაჩუმდი ახლა შენ, იწექი მასე და გეჭიროს კათხა. ვნახოთ, რომ შემოვა, რას იტყვის, წუპაკი მამაძაღლი ეგ!

პალატაში სიჩუმე ჩამოდგა. ჭონია იგვიანებდა.

– უყურე შენ! რას თლაფავდა და თლაფავდა ოხერი ამ სხვის საჭმელს, ჰა? აბაააა! – ქუხილივით გაისმა ქუჩულორიას აღშფოთება იმ დაძაბულ და კოკისპირულისთვის მიყუჩებულ ჰაერში.

ისევ დუმილი იყო.

ქუჩულორიაზე მიშტერებული კვიშილაძე თავის მორიგი “აუუუ”-სთვის მოემზადა. მაგრამ ქუჩულორიამ ანიშნა, არ გაბედოო, და ცუცას შეყვარებულს სათქმელი პირზე შეაშრა.

ჭონია დაბრუნდა.

– ვინ აუწია ლამპას! – ისე იკითხა მან, რომ ამ საქმის მქნელს სიკვდილი არ უნდა აცდებოდა.

კვიშილაძემ კათხის ხუფი გაატკაცუნა. ჭონიამ ხმაზე მიიხედა. წამით, მხოლოდ წამით შეცბა. მერმე კატასავით ისკუპა და კათხას ჩააფრინდა. კვიშილაძე კათხას მოეშვა, ცალი ხელი კისერში ჩაავლო ჭონიას, მეორეთი შეშის ნაჭერი აიტაცა და გამეტებით ჩასცხო.

ჭონია ძირს დაეცა... მაშინ ქუჩულორია უმალვე იქ გაჩნდა და, სანამ მე გასვლას და გაშველებას მოვისაზრებდი, საწოლებს შუა ჩაკუჭულ ჭონიას წიხლები ისე მარდად და მოხდენილად დაუშინა, ვითომ ხერხემლის არეში ტკივილები არც არასოდეს ქონია.

შეყვირებებზე და ბრახუნზე ბიძაჩემი მურმანი და ხოსრო თავისი ოთახიდან გამოცვივდნენ. მურმან თორიას ლაზარეთის მთელი მოსახლეობა შემთხვევის ადგილზე იყო.

– რა ხდება აქ? – დაიძახა ხოსრომ.

ჭონიას ნიშადური აყნოსეს, მოასულიერეს.

– არაფერია, მურმან-ბატონო, ვიხუმრე რაცხა, – ჩაიკვნესა ჭონიამ და კვიშილაძეს უსაყვედურა: – ხუმრობა არ იცი შეენ?

– ა, შეხედე ამას! – წამოიძახა კვიშილაძემ და უმალვე ხმა გაწყვიტა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მურმანი კაი ხანს იდგა, ეგება ვინმემ გამაგებინოს, აქ რა ამბავი ტრიალებსო, მაგრამ ყველა თავისთვის იყო ხმაგაკმენდილი.

მეც შემომხედა მურმანმა. ვანიშნე, მერმე გეტყვი-მეთქი.

– ჭკუით იყავით ჩხუბი და უსიამოვნება არ გავიგონო აქ! – თქვა ბიძაჩემმა და წავიდა.

ჩვენც ჩვენს ოთახში შევბრუნდით.

ჭონია ძაღლივით მოკუნტულიყო საბნის ქვეშ. ქუჩულორია ცუცა დოღონაძის მოტანილ სანოვაგეს, წინასწარი მოხილვის შემდეგ, კანონიერი მფლობელის სურვილისამებრ უცვლიდა ადგილს. მის სასთუმალთან და მის საწოლის ქვეშ ალაგებდა ყველაფერს.

– შეიჭამა ჭონია, – აღნიშნა ზამთარაძემ.

ქუჩულორია სანოვაგის გადალაგებას რომ მორჩა, ქვაბი შედგა, ვახშმის სამზადისს მიჰყო ხელი. სანამ ღომი გამზადდებოდა, ჭონიამ კიდევ ორჯერ თუ სამჯერ კვნესითა და წყევლით მიაშურა აივანს.

ეს კვიშილაძისა და ქუჩულორიას ღვარძლიან შენიშვნებს იწვევდა. ვარამია ჩუმად იწვა, ბორგავდა, ხანდახან ამოიკვნესებდა ხოლმე, მომხდარმა ამბებმა მოსვენება დაუკარგა.

კვიშილაძემ მეფური სუფრა გაშალა, თითო ჭიქა არაყიც ჩამოარიგა. მადიანად, ძღომაზე შეექცნენ. ნავახშმევს კიდევ წაისაუბრეს ცოტა და დაშოშმინდა ლაზარეთი.

დილით იმან გამომაღვიძა, რომ ზამთარაძემ ჭონიას უხმო, – შემოდიო.

ჭონიამ კრეტსაბმელი გადაწია, ზღურბლზე შემოდგა.

– მოდი ახლოს! – უთხრა ზამთარაძემ.

ჭონია დაემორჩილა.

– ცუცა დოღონაძემ კვიშილაძისთვის გადასაცემად ექიმის ფული რომ მოგცა, რას უპირებ იმას? – კითხა აბრაგმა.

ჭონია, ერთი პირობა, შემამლებული ჭუკივით გაიფხორა, ჩხუბი დააპირა, მაგრამ მერმე უცბად იხტიბარი გაუტყდა, უბეში ხელი ჩაიყო ცუცას მიცემული ფული ზამთარაძეს გაუწოდა და წაილუღლუღა – რა იცი შენ?

– მე რომ გამომიშვირე მაგ ფული, რავა, მურმან თორია მე ვარ თუ?

ჭონია შეყოყმანდა.

– რა ვქნა, აბა?

– რა უნდა ქნა და, უნდა პატრონს დაუბრუნო.

– ვინაა პატრონი, კვიშილაძე თუ ბატონი მურმანი? – ჩურჩულით იკითხა ჭონიამ.

– კვიშილაძეა. მან უნდა მიცეს მურმანს.

– გამლახავენ მესამედ. მომკლავენ მაგენი მე.

ზამთარაძე დადუმდა, ცოტა ხანს იფიქრა და ყოყმანით თქვა:

– არ უნდა გაიხადო საქმე გასალახავად. მაგ ფული ექიმის კია, მარა კვიშილაძემ უნდა მიცეს მას.

– არც თქვენ უნდა გაგეხადათ საქმე გასალახავად... იქ! – ამოსცრა ჭონიამ.

ზამთარაძემ თვალები დააჭყიტა.

– სად, ბოშო?

– იქ, საირმეზე.

ვერაფერი გავიგე იმის მეტი, რომ ჭონია სადღაც ზამთარაძის გალახვას იყო შესწრებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზამთარაძე უარს მაინც იტყოდა, - რას არის, რომ ბროდიალობო. ამის მაგივრად ჭონიას მიშტერებოდა და დაძაბული ფიქრობდა რაღაცაზე.

ჭონიამ ზამთარაძის დაბნეულობით ისარგებლა, გამოცოცხლდა და სხაპასხუპით იცრუა:

– ცუცა ამ ფულს რომ მაძლევდა, ასე მითხრა, ექიმს შენ თვითონ მიეციო.

– აბა, მიუტანე და მიეცი, – ხელი ჩაიქნია ზამთარაძემ.

ჭონია პირდაპირ ბიძაჩემ მურმანის ოთახს მიადგა, დააკაკუნა და შევიდა.

– ოტიასთან ნუ იტყვით, ჭონიას რომ ველაპარაკე, - მითხრა ზამთარაძემ.

სანამ საუზმეს და სხვა საქმეებს მოვრჩებოდი და პალატაში შევიდოდი, ქუჩულორიასაც მოეთავებინა დილის ღომის კეთება. როგორც მისი გამზარეულების შემდეგ იყო შემოღებული, სკამზე ოთხივე ჯამი დაალაგა და კვიშილაძეს მიუჩოჩა. ჩოგნიანი ღომის ქვაბი ხელმისაწვდომზე დაუდგა, ყველის ნაჭრებიც მიუტანა.

კვიშილაძემ განაწილება დაიწყო, მაგრამ ჭონიას ჯამი ცარიელი დატოვა. მერმე საწოლის ქვეშ შეყო ხელი, პარკი გამოიღო, ღორის ბარკალს ჩამოათალა თითო ფიორა და ჯამებში ჩადო.

– ტყემალი მივაყოლოთ, ეგერ დევს, – თქვა მან. – აწი გამოზოგვით ვიყოთ, თვარა, რა ვიცი, როგორ იქნება საქმე.

ქუჩულორიამ თავისი ჯამიც ვარამიასკენ გადადგა. უგუნებოდ იყო, უფრო უხვი საუზმის იმედი რომ გაუცრუვდა, ალბათ, იმიტომ.

– ერთად ვჭამოთ, – უთხრა მან ვარამიას. - ერთ ლუკმას შენ მოგაწვდი და ერთს მე ჩავიდებ პირში, თვარა, სანამდე შენ გაჭმევ ხოლმე, იქამდე ჩემი ღომი ცივდება, აღარ ვარგა მერე საჭმელად ის.

– ჭონიას რატომ არ უზიარეთ? - იკითხა ვარამიამ.

– მუცელი ტკივა და არ ეჭმევა მაგას, – ჩაიფხუკუნა ქუჩულორიამ.

– მაგ წუხელის იყო. დღეს აღარ ტკივა, მგონია, – შენიშნა ვარამიამ.

– საკმარისად მიირთვა ჭონიამ ჩემი საჭმელი. რომ შეერგებოდა, იმაზე მეტი მიირთვა, ჩემია და მე ვიცი. ვაჭმევ თუ არ ვაჭმევ! - განაცხადა კვიშილაძემ.

– შენი აჭამე-თქვა, არ ვამბობ მე, - მიუგო ვარამიამ. - ეს ღომი და ეს ყველიც ბატონ მურმანის მორთმეულია. ყველასთვის არის მორთმეული. შენთან და ღმერთთან დამნაშავე რომ არის ჭონია, ეგ სხვა ამბავია. ღომს და ყველს რაც შეეხება, ერგება და უნდა მივცეთ თავისი წილი. სამართლიანობა თუ გინდათ – სამართალი ასეა.

– კაცო, შენ ხომ არ გაგიჟებულხარ! რაის სამართალიო, რას არის რომ მიქარავ! – შეუყვირა კვიშილაძემ.

– ხო აბა! – მხარი მისცა ქუჩულორიამ. – შენ მაინც რომ ემხრობი, მაგ ძაღლის შვილს, რაა ნეტავი ეს?!

– არავის და არასოდეს არ ვემხრობი მე, – მიუგო მშვიდად ვარამიამ.

– რას იტყვის ბატონი მურმანი, რომ გაიგოს? სამართალს ვემხრობი მე. მიეცით ჭონიას ბატონ მურმანის მორთმეული საჭმლიდან მისი წილი!

პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა უნდა მაგ უბედურს, ნეტავი, – წავჩურჩულე ზამთარაძეს, – თავისი ხელით ვერც ჭამას ახერხებს და ვერც სხვას აკეთებს რამეს. შემოიმწყრალებს ყველას, პირში საჭმლის ჩამდები არავინ ეყოლება. ჩივილით ვერ იჩივლებს მურმანთან, ისეთი კაცი ჩანს ეგ, და უნდა ამოძვრეს სული შიმშილით.

– კაი, აბა! – მოისაზრა ამასობაში კვიშილაძემ. – რა ქენი, ახლა, ქუჩულორია, თუ იცი შენ? რა და, გადაიღე ღომის ნაჭერი ვარამიას ჯამიდან შენ ჯამში. მასე. ახლა მოდი აქ და დაუდგი ეს ჯამი ჭონიას, – კვიშილაძემ თავისი ჯამიდანაც ამოიღო ხორცის ნაჭერი. – ვარამია-ბატონო, არ ვჭამ მე ბატონ მურმანის მორთმეულ ღომს და ყველს, მაქვს საკუთარი საჭმელი და მადლობელი ვარ ბატონ მურმანის, მის ხარჯზე რომ გადავიარე, სანამდე არ მქონდა სარჩო. ასე ხომ არის სწორი და სამართლიანი?!

– მასე?.. კი, არის! – დაუდასტურა ვარამიამ ყოჩაღად, მაგრამ ხასიათი და ნირი წამხდარი რომ ქონდა, ეს ცხადი იყო.

– მოიტანე აქ შენი ჯამი, ქუჩულორია. დაანებე თავი მაგ სამართლიან და პატიოსან კაცებს! – ხაზგასმით, თითქმის დამარცვლულად თქვა კვიშილაძემ.

ქუჩულორია ღომს და ყველის ნაჭერს შეექცა, ხორცის ფიორა ნაჭერი დააყოლა. კვიშილაძემ ცუცას მოტანილ სანოვაგეს შეუტია.

ვარამია იჯდა, თავის ჯამს დასცქეროდა.

ჭონია კედლისკენ მიბრუნებულიყო, განაბული იწვა, ალბათ, შექმნილ ვითარებაში გარკვევას ცდილობდა. მერმე ერთბაშად წამოდგა, ვარამიას მიუჯდა და ლუკმა მიაწოდა.

თუთაშხია შემოვიდა.

– გაცივდა ყველაფერი, ოტია-ბატონო, – მიაგება ზამთარაძემ.

ვარამიას ხმა გაისმა.

– შე საცოდაო, რანაირად ხარ ნაცემი და ნაბეგვი რაა ეს!

– არც შენ მოგხვედრია ნაკლები, ვარამია. ა, ჭამე და გაჩერდი, თუ კაცი ხარ.

– ყველაზე მეტი და მტკივნეული ვარამიებს ხვდება, მე თუ მკითხავს კაცი, – ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

– მაინც შენ გამოდექი მართალი, ოტია-ბატონო, – თქვა მოსე ზამთარაძემ ცოტა ხნის მერმე.

დათა თუთაშხიამ თვალებით კითხა, რას გულისხმობო.

– ყველაფერი თავისით დალაგდა. ნათქვამია, წყალი ნაგუბარში დგებაო ა, უყურეთ ახლა თქვენ: კვიშილაძე გემრიელებს მიირთმევს! მისია და მიითრმევს. ქუჩულორია მელაა და

მასეთები ლაქიობით არიან მაძღრები. ეგეც თავის ადგილზეა ახლა. ჭონიას, მართალია, არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ერგება, მარა მისი ხვედრი მაინც ახვედრა ღმერთმა. საცოდავი ვარამია მართალი კაცია. სამართალმა პური უნდა ჭამოს, პური და სხვა არაფერი. არც ერგო რამე ღომის მეტი უბედურს. თავისით ჩადგა წყალი. კალაპოტში. ასე უნდა მომხდარიყო და ასეც არის ეს.

– ასე რომ არის ეგ, სხვაა, მაგრამ ასე თუ უნდა იყოს, ეს არის საკითხავი, – თქვა თუთაშხიამ. – რომ დაჭამეს ერთმანეთი და აღარც ერთი აღარაა ადამიანი მაგათში?

– შენ, ოტია-ბატონო, ადამიანი რაცხა უკეთესი გგონია. ე, ეგ არის რა არის! – ზამთარაძემ ხელი დიდი პალატისკენ გაიშვირა. – როგორიც არიან, ისე აწყობენ და აწესრიგებენ თავის ცხოვრებას და სურვილებს ერთმანეთში. პირველად შენ თქვი ეს და ახლა მეც დავრწმუნდი – არასოდეს არ უნდა ჩაერიოს კაცი სხვის ბედ-იღბალში.

– არასოდესო, – არ მითქვამს მე. იქამდე არ ჩავერევი, სანამ გავიგებდე, ჩარევით უფრო ეშველება წამხდარ საქმეს თუ ჩაურევლობით, – თუთაშხიამ წიგნი წაიღო და აივანს მიაშურა.

ლაზარეთში, მართლაც, სიმშვიდემ დაისადგურა. მეორე დღეს ბიძაჩემმა კვიშილაძეს დღეში სამჯერ თითო საათის სეირნობა დაუნიშნა და ვარამიას თაბაშირები ახსნა.

გავიდა კიდევ სამი, ოთხი დღე. ყველაფერი ძველებურად მიდიოდა.

ჭონია და ვარამია ერთად ჭამდნენ მოსე ზამთარაძის ღომს და ყველს და ისევ მურმან თორიას მორთმეული ეგონათ, ქუჩულორიაც იღებდა იქიდან თავის წილს და კვიშილაძე, თავის მხრივ, დილაობით თითო ციცქნა ხორცს აძლევდა დაძატებით. მაგიერში, თვითონ კვიშილაძე ჭამდა, რაც შეეძლო და როგორც შეეძლო. მის მაცქერალს ისე მეჩვენებოდა, რომ ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე გაეთავებინა თავისი სურსათი. ზამთარაძე მთლად გამოკეთდა. პატარას კოჭობდა, თვარა სხვაფრივ სულ ჯანმრთელად იყო აბრაგი. დღეები გადიოდა, ხმას არ იღებდა არც ერთი ავადმყოფი, ვითომ აღთქმა ქონდათ დადებული, კრინტს არ დავძრავთო.

ერთ ღამეს, ასე, სამი საათი იქნებოდა, პალატაში კვიშილაძემ იყვირა:

– ქუჩულორია, აანთე ახლავე ლამპა! ვინ მამაძაღლმა ჩააქრო ვიცოდე ერთი! აანთე ლამპა ახლავე!

– რაია, რას ყვირი ამ შუაღამისას, ნეტავი, რა დაგემართა, შე კაცო! – გამოეხმაურა ვარამია.

– აანთეთ ლამპა... აანთე, ქუჩულორია! – თავისას გაიძახოდა კვიშილაძე. – გაჩერდი, ჭონია, შე ბაცაცა მამაძაღლო! ხომ ხედავ, ვერ გამექცევი ვერსაით. რას იწევ, რომ იწევ ტყვილა!

პალატიდან ჯაჯგური, გაწევ-გამოწევა, ხვნეშა ისმოდა და ლამპის ანთებას კი, ჩანს, არავინ აპირებდა.

მოსე ზამთარაძე წამოდგა, ჩვენი ლამპა აანთო, პალატაში გასვლა დააპირა.

– დადე მაგ და დაწექი, თუ ძმა ხარ! – საკმაოდ ცივად უთხრა თუთაშხიამ ამხანაგს.

ზამთარაძე შეცბა, ალბათ, ასეთ კილოს არ ელოდა, მაგრამ არც ლამპა დაუდგამს.

– დახოცავენ და შეჭამენ ერთმანეთს, შე კაცო... – ზამთარაძე თუთაშხიას თვალებს შეეყარა და სიტყვა გაუწყდა, – დავიკრიფოთ გულხელი და ვიყოთ ასე, ხომ?

– კი, – სანამდე გავიგებდეთ, რა უშველის საქმეს.

– მაგას ვერ გავიგებთ ვერასდროს, – ტყვედ დანებებულივით ჩაილაპარაკა ზამთარაძემ და ლამპა მაგიდაზე დადგა.

– გამოიტანეთ ლამპა ხალხი არა ხართ?! არ გესმით რა ხდება?!

– იძახდა კვიშილაძე.

ავიღე ლამპა და დიდ პალატაში გავედი.

ვარამია საწოლზე წამომჯდარიყო, თვალებს აცეცებდა. ჭონია მხართეძოზე იწვა, თავი ხელისგულზე ქონდა ჩამოდებული, სეირს ელოდა. ქუჩულორია იატაკზე პირქვე ეგდო და მისი მარჯვენა მკლავი კვიშილაძეს ეკავა ორივე ხელით. ბიძაჩემი მურმანი და ხოსრო იმ ღამეს ლაზარეთში არ ყოფილან, ავადმყოფთან წაიყვანეს საღამო ხანს, თვარა, ხოსროს ვინ დაასწრებდა ყვირილზე გამოსვლას.

კვიშილაძემ თავის მსხვერპლს ხელი შეუშვა. ქუჩულორია ნელნელა ადგა, იქაურობას თვალი შეავლო. მერმე ადგილს მოწყდა, აივანზე გავარდა და ღამის სიჩუმეში მისი ფოსტლების ტყაპატყუპი გზიდან მოისმა.

– აუუუ! – აღმოხდა კვიშილაძეს. – გველი მყოლია გულში ჩახუტებული. გველი და უხსენებელი!

მოსე ზამთარაძემ გულიანად გაიცინა და თავის ლოგინს დაუბრუნდა.

– გაჩერდი, ჭონია შე მამაძაღლო! ხომ ხედავ, ვერ გამექცევი ვერსაით! – გამოაჯავრა კვიშილაძეს ჭონიამ, კედლისკენ იბრუნა პირი და ამაყად დასძინა: – ჭონია მასეთი საქმეების გამკეთებელი რომ იყოს ნახავდი მაშინ შენ!

გათენდა.

მე და დათა თუთაშხია ცხოველებს დავყურებდით აივანზე. კასრში ორი ვირთაგვაღა იჯდა და უკვე ცხადი იყო, მეხომალდეებში რომელიც გაიყიდებოდა. თუთაშხიამ ლაზარეთისკენ მომავალი ახალგაზრდა კაცი ჩემზე უწინ დაინახა, უყურა ერთხანს. მერმე კიბეებზე ჩავიდა, სტუმარს მიეგება. ილაპარაკეს ცოტა. წავიდა ახალგაზრდა კაცი. საღამო ხანს აბრაგებმა ცხენები შეკაზმეს და გამოგვემშვიდობნენ.

ვარამიასთან მისი ძმა მოვიდა, აუარებელი სურსათ-სანოვაგე მოუტანა, მაგრამ აღარ გაჩერდა ვარამია ლაზარეთში, მურმანს გაუსწორდა, ძმის მოტანილი საჭმელი ჭონიას დაუტოვა და წავიდა.

შუადღის მერე კვიშილაძემ ყავარჯნები აიღო, გარეთ გავიდა სასეირნოდ. ჭონიამ ვარამიას ნაჩუქარი სანოვაგე ჩაალაგა, შეკრა, მხარზე წამოიგდო და ფოთისკენ გასწია. კვიშილაძემ თვალი გააყოლა, მერმე პალატაში შებრუნდა, თავისი ქონება დაათვალიერა, წასულებმა ხელს ხომ არაფერი გააყოლესო.

ქილებში, კათხებში, პარკებში, ტომრებში – ზოგში მიწა იყო ჩაყრილი, ზოგში - ღუმელიდან გამოხვეტილი ნაცარი, ზოგშიც ჭონიას შარდი აღმოჩნდა.

ასე მოხდა ეს და ასეთ ამბებში მომიხდა დათა თუთაშხიასთან ერთად ყოფნა.

## კარი მეორე

...ოდეს კნინ იქმნა ზნეობა და მიიტაცა სულმოკლებამან უფლება განსჯა-განგებისა საქმეთა, სულგრძელობისა მიერ განსაგებელთა – ჰრქვეს კაცთა:

– ვიეთთაგა მოვიღო ჩემდა რგება ნივთიერი, იგი იყვნენ მოყვასნი ჩემნი!

ვინათგან შემოადგა მოალყე დიდი მეციხოვნეთა რიცხვით მცირეთა – მათ, რომელნი იდგეს ზნეობასა ძველსა ზედა, ეყოთ ზიანი ძნელი და დარჩა წიაღსა შინა კაცთასა სიყვარული იგი, ვითა ბოლქვი უმწეო ნიადაგსა ზედა მწირსა და მოუსავალსა. და იქმნა:

სინდისი – ცნებად გარდასულთა ჟამთა და სიტყვათღა სათრევად ძვირის მეტყველთაგან; ძალა – იარაღად დათრგუნვისათვის სათნოებისა სულსა თვისსა შინა და მიმძლავრებისათვის მოყვასისა; სიკეთე – ნიღბად ავისა განზრახვისა და ქმნისა; დედაკაცი – განმართლებად მეძავეობისა და ბერწობისა; მეგობარი – მალამოდ შიშისათვის წუთისოფლისა და საგნად სხვათა ფარულთა ანგარებათა; ერი – ასპარეზად ნივთთა მოხვეჭისა და ხნულად მიმოთესვისათვის სიცრუვეთა; ვენახი და მინდორი – ადგილად მოყვასისა ნაღვაწის მითვისებისა; პური და საქონელი ყოველი – თავნად აღებისა სარგებელთა და ვახშთა; სოფელი – სივრცედ შურის მიგებისა და სიძულვილისა, რაიცა იქმნა ღმერთად.

იქმნა ყოველი მარტოოდენ, ვითარცა ზემორე ითქვა და დაიხშო ბრწყინვალება მზისა ჭყრტიალისაგან ოქროისა. რწმენა და ზნე ესევითარი განჯდა სიძულვილად ყოველსა ასოსა შიგან და სიღრმეთა სულისასა კაცთა. აღიარა ერმან განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ურჩხული იგი საშინელი. საზრდელი მისი – სული და ხორცი კაცთა. მუცელი მისი – აღუვსებელი მარად. არა იყო იგი არსება ერთი და ნადირი ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი ერთი მისი, განძლიერებული აწ.

შვა ამა ვითარებამან სიბრჯგუე გონებისა, რომელმან: დაიდვა პური არსობისა მონობითა საპყრობად კაცთა; არა კმასაყოფელ ექმნა ხარი და დაადგა უღელი შვილსა თვისსა; ააგორა ბორბალი იავარქმნად სხვათა ტომთა; მოიმარჯვა ცავარსკვლავეთისა ცოდნა მორჩილებისათვის ხალხთა; დალახნა წყალნი და ხმელნი მოზიდვად დავლისა და ილეკროთა; განსწავლნა ერნი მომსპოლველისა რწმენისა განსავრცელებლად და ახარა ვაზი სამებრუვეოდ მოდგმათა.

ხედვიდა ერი მას ურჩხულსა განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თვისთა სრა-სასახლეთა შინა გუშაგად მამონისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, რამეთუ უჩნდა იგი საწადელ, თუცა

საზრდელი მისი – ხორცი და სული ერისავე.

მაშინ ჰრქვა თუთაშხამან:

– შეიმუსრა სიყვარული, რამეთუ არა აქვნდა მას სატევარი მძლეველი. აღზევდა ურჩხული, რამეთუ ძალთა მორყევნითა წარსტაცა მხნეობა მამრთა და ქმნა გული მათი დედალ!

აღიღო შუბი თუთაშხამან, აღმხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დათრგუნვა ბოროტისა – ძალითა თვისითა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა...

**გრაფი სეგედი**

...ყაჩაღობის სახეობათა განსაზღვრა სამძებრო საქმეში აუცილებელია, ვინაიდან ბრძოლის სწორი მეთოდების შერჩევაა საჭირო. დათა თუთაშხია აბრაგთა სახეობას განეკუთვნებოდა. რამდენადაც ჩემი ხანგრძლივი დაკვირვებიდან გამეგება, მდაბიო ხალხის დამოკიდებულება აბრაგებისადმი შემდეგნაირია: მოსახლეობა აბრაგს აქტიურად თანაუგრძნობს და მხოლოდ ისეთს კი არა, ვინც ხალხის მოსარჩლეობა რაიმეთი გაამჟღავნა, არამედ ისეთსაც, ვინც საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით მდევარს საპასუხო ტყვია ესროლა და მიიმალა. ასეთი დამოკიდებულების საფუძველი, ჩემი აზრით, ის მარადისი მოვლენაა, რომ მიუხედავად მმართველობის სახისა და უფლებრივი პირობებისა, ხელისუფალთა მიმართ დაუმორჩილებლობა ხალხის პერმანენტული მდგომარეობა იყო. ესა თუ ის ინდივიდუუმი პირადად მისთვის ხელმისაწვდომი ხერხით ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას. ცნობილია, დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის გაწევის ხერხთა დიაპაზონი ფართოა; ვთქვათ, შემოსავლის მიჩქმალვიდან და ქურდობიდან დაწყებული – ვიდრე აბრაგის მფარველობამდე და თვით იარაღით მოქმედებამდე. ხსენებული ფსიქიკური მდგომარეობა განპირობებულია, ერთი მხრივ, ზოგადი საწყისით: განვითარების, ცვლილების სტიქიური წყურვილით, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტულით, რაც მატერიალური მოთხოვნილებების სფეროში უნდა ვეძებოთ.

თუ მართალია ის, რომ ადამიანთა სიახლოვე ურთიერთსაჭიროების ნიადაგზე ხორციელდება, მაშინ ისიც სწორია, რომ რაც უფრო თავგამოდებით ესარჩლება ხალხს აბრაგი, მით პოპულარულია იგი და, მაშასადამე, მით მყარი დასაყრდენი აქვს მოსახლეობაში. ხალხი არც მძარცველებს და მკვლელებს ეუბნება უარს დახმარებაზე, მაგრამ ეს დახმარება, ძირითადად, მარტო შიშზეა დამყარებული. ხალხის მოსარჩლე აბრაგისთვის გაწეულ დახმარებას საფუძვლად შიშიც უდევს და პატივისცემაც. თვით დახმარების აღმოჩენა ამაგის გაწევას, ზრუნვას ნიშნავს, აბრაგის კეთილდღეობისთვის გაწეულ შრომას და საკუთარი ინტერესების, ხანდახან თვით სიცოცხლის, საშიშროებაში ჩაგდებას ნიშნავს. ეს კი ქმნის იმას, რასაც სიყვარულს ვუწოდებთ ხოლმე. თუთაშხიას შემთხვევაში, სახელდობრ, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი: ადამიანებს მისი შიშიც ამოძრავებდა და პატივისცემაც. ისინი ზრუნავდნენ თუთაშხიაზე, მისი გულისთვის რისკს ეწეოდნენ და ამის შედეგად უყვარდათ კიდევაც იგი, სანამ ზემოხსენებული ურთიერთსაჭიროება არსებობდა.

მაგრამ უწყვეტი და მარადისი მზისა ქვეშე არაფერია და თუთაშხიას უზადო რეპუტაციამაც იწყო რყევა. საკვირველი ის იყო, რომ ამას იგი, თითქოს განზრახ, განუხრელად და გამიზნულად აღწევდა. ჩვენ მის კომპრომეტირებას აქტიურად ვუწყობდით ხელს...

**გიგო ტატიშვილი**

– უმაღლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული მქონდა. ხელმოკლედ ვიყავი, სამსახური უმალვე დავიწყე. დასავლეთ საქართველოში ჭიათურის სააქციო საზოგადოება გზებს აწესრიგებდა, იმათთან დავდე კონტრაქტი და საქმეს შევუდექი.

ჭალადიდის მიდამოებში პროფილები მქონდა გადასაღები, ხელსაწყოს სატარებლად, ლატნის დასაჭერად ორი მუშა ვიქირავე, იქაური კაცები.

ერთ საღამოს ვივახშმეთ, მუშებმა კარვები გამართეს, ჯამაგირი მომთხოვეს. დრო იყო, ერგებოდათ და გავუსწორდი. მე ჩემს კარავში შევძვერი, მუშები – თავისაში. დავიძინეთ. დილით აღარც მუშები იყვნენ, აღარც ცხენები – მომპარეს და გამექცნენ. ისეთ უკაცრიელ ტყეში ვიყავი შესული, კაცი ათ-თხუთმეტ ვერსზე ციებით გაჟღენთილი ჭაობების მეტს ვერაფერს ნახავდა. იმდენ ბარგსა და ბარხანას ორი ცხენი ძლივს ატარებდა, მარტო კაცი რას მოვერეოდი! გერმანული სამზომელო ოპტიკა მქონდა, საზოგადოების საკუთრება იყო, მაშინდელ დროში ძალზე ძვირად ფასობდა. ის ყუთები ავიკიდე და საურმეზე გამოსასვლელად ჭაობ-ჭაობ წამოვედი. შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მუხლამდის ტალახიან საურმე გზაზე გამოვაღწიე. ვაი იმ გამოღწევას! ყუთების თასმებმა მხრები ჩამაგლიჯეს. დაქანცულობა იქით იყოს, ჩექმებმა ქუსლებზე ტყავი გადამაძრეს, კვნესა კბილით მეჭირა. იმ ყიალ-ყიალში, როგორ და რანაირად, ახლაც არ ვიცი, საათი დამეკარგა. კარგი საათი იყო, პაველ ბურეს ფირმისა. ჩამოვჯექი, ლოდინი დავიწყე, იქნებ ურემმა ჩამოიაროს ან ვინმემ ცხენები ჩამოატაროს-მეთქი.

რამდენ ხანს ვიჯექი – ერთი ბავშვიანი დედაკაცის მეტი არავინ გაჭაჭანებულა. თავბედს ვიწყევლიდი, ეს რა დღეში ჩავვარდი-მეთქი, მაგრამ რაც მერე გადამხდა, ჯობდა, იმ გზის პირზე კიდევ სამ დღეს ვმჯდარიყავი. კაცმა არ იცის რა ელის. ბედისწერამ ისე მოინდომა, რომ მაგ ყბადაღებულ დათა თუთაშხიას გადავეყარე.

დიდი უბედურება და ღვთის რისხვა დატრიალდა. რაც მე იმ საქმეზე პოლიციასა და ჟანდარმერიაში მატარეს, იმდენი ზოგ კაცს სამსახურში არ უვლია. იმ ღამის, იმ ამბის შემდეგ თხუთმეტი, ოცი წელიწადი სინდისი მქენჯნიდა. ვერა და ვერ გავამართლე ჩემი თავი. დარდს ვერავის ვუზიარებდი, გულზე ქვასავით მაწვა. ორმოცდაათი წლის წინანდელი ამბავია. ადამიანი დროთა განმავლობაში თავის თავს ყველაფერს მიუტევებს, ყველაფერს ურიგდება, ყველაფრის გამართლებას პოულობს; ეხლა იმის გახსენება და სიმართლის თქმა ისე აღარ მეძნელება.

მოსაღამოვდა. მშველელი არსაიდან გამოჩნდა. შვიდ-რვა ვერსზე დუქანი მეგულებოდა. იმ დუქანში რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი და ღამეც მქონდა გათეული. დურუ ძიგუას დუქანს ეტყოდნენ, მედუქნის გვარ-სახელის მიხედვით. დავიძარი. ცოტა ვიარე, ჩექმა ვერ ვიგუე, სიარული გამიჭირდა, ჩატყავებულ-ჩასიებულმა ქუსლებმა შემაწუხა. გავიძრე და უარესი დამემართა. უჩვევი ვიყავი, ფეხშიშველს ავი დღე დამადგა. იარებზე რომ ტალახი მომხვდა, ისე დამეწვა, ვითომ ფეხები მარილწყალში მქონოდა.

ასე, ორი ვერსი მექნებოდა გამოვლილი. ბინდდება და ვფიქრობ, თუ დამიღამდა, მთვარის ამოსვლამდის ნაბიჯს ვეღარ გადავდგამ-მეთქი. ცხენის ფლოქვის ხმას მოვკარი ყური. კი არ გამეხარდა, შემეშინდა, ვაითუ ვტყუვდებოდი. მერე ვეღარაფერი გავიგონე, დავრწმუნდი, მომეჩვენა-მეთქი, და სიმწრისგან კინაღამ თავში მუშტი წავიშინე. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივაყურე. ფლოქვის თქაფანი და ხმადაბალი საუბარი შემომესმა. ჩამოვჯექი, დაველოდე, – ჩემზე გახარებული და ბედნიერი ქვეყანაზე, ალბათ, არავინ იყო.

გამოჩნდნენ. ორნი იყვნენ, ორთავე ქვეითები, მაგრამ ერთს ცხენი მოჰყავდა სადავით. მომიახლოვდნენ. ერთი ბერი იყო, როგორც მერე გავიგე – მეროჭიკე ბერი, მეორე –

მგზავრი, რიგიანად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდა კაცი. ნაბადქვეშ ძვირფასი ქამარ-ხანჯალი და ხისბუდიანი მაუზერი შევნიშნე. სააქციო საზოგადოებას თავისი მცველთა რაზმი ჰყავდა, ერთი შეხედვით, ეს კაცი რაზმელად ჩავთვალე. ბრგე კაცი იყო, მაინცდამანიც დიდი ტანისა არა, მაგრამ ზორბა და ღონიერი ჩანდა. ეს ახალგაზრდა კაცი ბოლოს დათა თუთაშხია გამოდგა.

გამისწორდნენ. ზეზე ავდექი, მივესალმე, ბერი გაჩერდა, მკითხა, რა გაგჭირვებია, აქ რას აკეთებო. თუთაშხიას ნაბიჯი არ შეუნელებია, გამარჯობა მითხრა და გზა განაგრძო. ბერი რაში მჭირდებოდა, თუკი თუთაშხიას ცხენს ვერ გამოვიყენებდი. გავძახე, – მოიცა, შე კაი კაცო, ქრისტიანი არა ხარ რას გარბიხარ-მეთქი!

გაჩერდა.

– რა გნებავთ, ბატონო?! – საკმაოდ ზრდილობიანად მკითხა.

დასავლეთ საქართველოში ყველა ზრდილობიანია, ყველაფერს თავაზიანად აკეთებენ. სტუმრად მისულს ზრდილობიანად გიმასპინძლებენ; ალბათ, ყელის გამოჭრასაც ზრდილობიანად ახერხებენ.

ჩემი გასაჭირი ავუხსენი, ვთხოვე, – ცხენი მომაქირავე, ეს ხელსაწყოები დურუს დუქნამდე მიმატანინე-მეთქი.

– არ ვაქირავებ ცხენს, ბატონო, – მითხრა თუთაშხიამ მცირეოდენი დუმილის შემდეგ და დაიძრა.

გავშრი. ეს ერთადერთი ხსნა იყო და ესეც ხელიდან მეცლებოდა.

– გასაჭირი მაქვს და ამ უდაბურ ადგილებში ნადირის საძიებლად უნდა დამტოვოთ?.. – მივაძახე გამწარებულმა.

ისევ გაჩერდა. ეხლა კარგა მანძილზე იდგა, ჯაგებისკენ იყურებოდა და ფიქრობდა.

ბერი მიუახლოვდა უთხრა:

– ცოდვაა, ადამიანის შვილია. დაეხმარე, მაღალი ღმერთი სამაგიეროს არ დაგიკარგავს!

თუთაშხიამ გაიცინა და თავის გზას გაუდგა.

ბერი სახტად დარჩა.

მერე ბერი, ის მოხუცი კაცი, მოვიდა, ჩემი ტვირთის ნახევარი წამოიკიდა და დავიძარით. ცოტა ხანი ვიარეთ. თუთაშხიამ მოიხედა, არ ვიცი, ის ენიშნა, რომ მოხუცი კაცი იმსიმძიმე ტვირთს მიათრევდა, თუ სხვა რაიმე მოსაზრება ჰქონდა – გაჩერდა, ცხენს მიუტრიალდა, მოსართავები მოუჭირა. ვიფიქრე, შეჯდება და წავა-მეთქი. როცა დავეწიეთ, თუთაშხიამ ბერს ტვირთი ჩამოართვა, ცხენზე გადაჰკიდა. მეც გამომართვა, ესეც გადაჰკიდა.

– დაბრძანდით ბატონო! – მითხრა და შეჯდომაც მიშველა.

მივხვდი, ისეთი კაცი იყო, მადლობა უნდა მეთქვა და გავტვრენილიყავი. ესეთებთან ბევრი ლაპარაკი ზიანის მეტს არაფერს მოგიტანს.

იასე ბერიც, ალბათ, იმასვე ფიქრობდა, რომ კრინტი არ დაუძრავს. თუთაშხიაც ჩუმად იყო. მხოლოდ კარგა ხნის მერე ჩაილაპარაკა თავისთვის:

– შემაცდინეს მაინც!

მე იმ ნათქვამისას ვერაფერს მივხვდი, მაგრამ იასე ბერმა იგულისხმა, თუთაშხია თავის საქციელს ნანობს, უდრტვინველად რომ არ დამეხმარა და ნუგეში სცა:

– ღმერთი მოწყალეა!

თუთაშხიამ გაიცინა:

– მე ის ვთქვი, შევცდი, რომ შეგიბრალე მამაო!

ბერმა პირჯვარი გადაისახა, რაღაც წაიჩიფჩიფა. მე ისევ სიჩუმე ვარჩიე, თუთაშხიას გული არ მოუვიდეს, არ ჩამომსვას და ბარგიც არ მომიყაროს-მეთქი. ისეთ წვალებას დავაღწიე თავი, ღმერთმა ისე ერთბაშად ამყარა გასაჭირი, რომ ცოტა ხნით თუთაშხიაც კი გავამართლე: მერე რა, – ვფიქრობდი მე, – ქვეყანა ჭრელია, ღმერთს ათასნაირი კაცი ჰყავს და სიკეთე ყოველ მათგანს თავისებურად ესმის. ეს კაცი ესეთია – რას იზამ?!

ჯაგებიდან გზაზე თხები გამოცვივდნენ. თხებს ერთი სტვენა-ყიჟინით დურუ მედუქნის ბიჭი, ძობა გამოჰყვა. მაშინვე დაგვინახა, მოგვიცადა და სათითაოდ სამივეს მოგვესალმა. ძობას იასე-ბერიც სცნობია, მოხუცი დუქანში თურმე ადრეც იყო ნამყოფი.

თუთაშხიამ ბიჭს რაღაც ჰკითხა, ყური ვერ მოვკარი. ბიჭმა სადავე ჩამოართვა და მიუგო:

– იყვნენ უკვე, დათა-ბიძია. აწი, ხვალ შუადღემდე აღარ ჩამოივლიან!

ძობას პასუხიდან აზრი ვერაფერი გამოვიტანე, ბაყაყების აუტანელ ყიყინს მივაწერე, ალბათ, რიგიანად ვერ გავიგონე-მეთქი. რანაირი ყიყინი გაჰქონდათ! რამდენი ბაყაყიც იყო, იმდენი თავის ხმაზე გაიძახოდა.

ის ძობა მეტისმეტად მარდი და გონებამახვილი ბავშვი იყო. ცოდნა, რა თქმა უნდა, არავითარი ჰქონდა, მაგრამ თავისი ბუნებრივი ნიჭით რამდენჯერმე გამაოცა. წერა-კითხვა და ანგარიში როგორღაც თვითონ ისწავლა და თავის უფროს დას, კიკუსაც ასწავლა, ოღონდ კიკუ უნიჭო იყო. მოხდენილობასა და სილამაზესთან ერთად ზომას გადასული ჭკუანაკლებობა და გულუბრყვილობაც ჰქონდა. უფრო ზუსტად, კიკუ სულელზე მეტი იყო, სულით ავადმყოფზე ნაკლები და მისი გონებრივი დეფექტი ნათლად გამოხატულ სექსუალურ ხასიათს ატარებდა. მაშ, რით უნდა აიხნას ის, რომ ერთხელ პირდაპირ მკითხა, – მართალია თუ არა, რომ ბავშვები ქალისა და მამაკაცის ერთ ლოგინში წოლის მერე იბადებიანო? დავიბენი. ამას თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგო თითქმის უცნობ კაცს მეკითხებოდა. ეგრეა-მეთქი. ერთი საათის შემდეგ ისევ შემეკითხა, – როგორ ხდება ეგ ამბავიო. თვალებში ცეცხლი ჰქონდა და ის ეშმაკური ღიმილი უთამაშებდა, რომელიც

მოწმობდა, რომ ყველაფერს მიხვედრილი იყო, ან უკვე პრაქტიკულად იცოდა, მაგრამ ჩემგან განმარტების მოსმენა აინტერესებდა. სულელი ქალი ადვილი დასაყოლიელებელია. მამაკაცები ამ სისუსტეს ალღოთი გრძნობენ და ამიტომ მათ უფრო ეტანებიან, ვიდრე საშუალო გარეგნობის, მაგრამ გონიერ ქალებს. კიკუ, თავისი იერით, დუქანში მომსვლელ მამაკაცებზე აღმგზნებად, გამომწვევად მოქმედებდა. ეს ქათინაურებსა და ცუღლუტურ შენიშვნებს იწვევდა და სულ უფრო მეტად აღიზიანებდა ამ, უკვე კარგად მოწიფულ, გოგოს. ერთი სიტყვით, რაც ღმერთს დურუს ოჯახისთვის ნიჭი და გონებამახვილობა ჰქონდა განკუთვნილი, სულ ძობას ერგო, ხოლო კიკუ და, სხვათა შორის, თვით დურუ ძიგუაც ნაკლულად დარჩნენ. ერთხელ ძობამ ლექსების პატარა კრებული დამინახა. ვაჩუქე. თვე არ იყო გასული, ისევ დუქანში მოვედი. ყველა ლექსი ზეპირად ჩამიბულბულა და ახლა როგორი გრძნობითა და სიმართლით! დურუს შემოსავალ-გასავლის ანგარიში გაუჭირდებოდა ხოლმე და ძობაც აქ არა ჰყავდა! ბიჭს გემი არ ენახა. მკითხა, როგორიაო. გარეგანი აგებულებაც ვუამბე და მუშაობის პრინციპიც. დაჯდა და დახატა. ისეთი წვრილმანები დაუხატა, რაც არც ამიხსნია, არც მიხსენებია. ესენი საიდან იცი-მეთქი? სხვანაირად ვერ იქნებაო. გაგებული ჰქონდა, რომ გიმნაზიები არსებობს. ოცნებად ექცა, გიმნაზიაში უნდა ვისწავლო, მხატვარი უნდა გამოვიდეო. დურუს ქუთაისში ძმა ჰყავდა. ერთხელ შეჰპირდა – გაგგზავნი და ისწავლეო. ამ იმედით ცოცხლობდა ეს პატარა, ერთობ სანდომიანი ბიჭი – ძობა.

– როგორ ხარ, ძობა, ძამიკო? – თუთაშხიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო.

რაღაცას ეძებდა.

– რა მიჭირს, დათა-ბიძია, ვარ, გვარიანად.

– აგერ, ფანქარი მოგიტანე, კაი წესიერი ფანქარია, – თუთაშხიამ ბიჭს ნახევარზე დაყვანილი ფანქარი გაუწოდა.

ძობამ სიხარულით და დიდი მადლობით გამოართვა, ფანქარი ენაზე მოისინჯა და ჰკითხა:

– ქაღალდი თუ გაქვს, დათა-ბიძია.

– ქაღალდი არ მაქვს, მარა კიდევ რომ მოვალ, მოგიტან უეჭველად.

ბიჭმა უნდო ღიმილით შეხედა, მერე ანაზდად გამომეტყველება შეეცვალა და თქვა:

– კი მომიტან! შენ არ მატყუებ არასდროს. მამაჩემია, რომ მატყუებს სულ: ქუთაისში წაგიყვან და გიმნაზიაში გასწავლიო.

– ქაღალდს მე მოგცემ, ძობა. ბევრ ქაღალდს მოგცემ, სქელ რვეულს, – შევპირდი ბიჭს.

დუქანი გზაჯვარედინზე იდგა და იმ მიდამოში ერთადერთი შენობა იყო. ირგვლივ ცოტაოდენი სახნავ-სათესი ერტყა. თვითონ დურუ ძიგუა დახლს უძღვებოდა და მზარეულობდა კიდეც, რადგან ცოლი კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა. კიკუ კერძების მიმტანის, მრეცხავ-დამლაგებლის და საწოლი ოთახების განმგებლის მოვალეობას

ასრულებდა. ძობას ხანდახან თუ დაასაქმებდნენ, თორემ ისე დუქანში უქმად ტრიალებდა, ვაჭრობის სიბრძნეს ეუფლებოდა.

– ხალხი ბევრი გყავთ? – იკითხა თუთაშხიამ, როცა დუქანი გამოჩნდა.

– სამი კაცია. აგერ, თქვენც სამნი ბრძანდებით. ექვსი კაცი იქნებით სულ. თითო ტახტს დავამატებთ და კარგად მოგასვენებთ, – დაგვაიმედა ძობამ.

ერთი რამ იყო საკვირველი: გზა-გზა იქნებ ორი საათი გევლო და მგზავრი ვერ გენახა, მაგრამ დურუს დუქანს მუშტარი მუდამ ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ათ ვერსზე არც სოფელი ჰქონდა, არც სხვა რამ დასახლებული ადგილი.

ტვირთი დუქნის კარებთან ჩამოვცალეთ. თუთაშხიამ ძობას ჰკითხა:

– ვინ კაცებია?

– ბოდღო ყვალთავა და მისი ორი კაცია! – ძობას ნათქვამში საიდუმლომ დაიჟღერა.

– ბოდღო ყვალთავა და მისი ორი კაციო. – ელდასავით მეცა. ეს ის ყაჩაღებია, ფოთში ბერძნების გემიდან ფული და სამკაულები რომ გაიტაცეს?! იქნებ სხვა ყვალთავაა, მაგრამ ასეთი დამთხვევა?

დათა... ეს კაცი რაღაცას ერიდება. ხვალამდე არ ჩამოივლიანო, ძობამ რომ უთხრა, – ვინ აღარ ჩამოივლის? ეს დათა აუცილებელი არ არის, თუთაშხია იყოს, მაგრამ ესე დაჟინებით რატომ ვფიქრობ თუთაშხიაზე!.. ცნობისმოყვარეობამ და სწორი პასუხის მიგნების სურვილმა ისე ამიტაცა, რომ ლამის ლეკვივით ავცქმუტებულიყავი. ყვალთავას ხსენებაზე დათა ოდნავ შეყოყმანდა, თითქოს, ზღურბლის გადავლაც შეაგვიანა. მერე იასე ბერს გზა დაუგდო, დუქანში შეუშვა. შევატყე, გუნებაში ხელი ჩაიქნია – ყვალთავა კი არა, თუნდ ბაყბაყდევი იყოს, რახან მოვედი, შევალ კიდევაცაო, – იარაღი მიმალ-მომალა, ნაბადი შემოიტმასნა და იასე ბერს შეჰყვა.

მეც შევედი.

დუქანი კარგა მოზრდილი ოთახი იყო, ოთხი მაგიდით, სკამებით და დურუს პატარა დახლით მარცხენა კუთხეში. დარბაზს ცალი გვერდიდან სტუმრებისთვის ორი ოთახი ეკვროდა. კარი არც ერთს ჰქონდა, არც მეორეს. მეორე გვერდიდან სამზარეულო და დურუს ოჯახის საცხოვრებელი ორი ოთახი იყო. თუთაშხიას დუქანში შესვლისთანავე დურუ-მედუქნემ დახლს თავი მიანება, კარისკენ გამოეშურა, თუთაშხიასთან პირისპირ, სულ ახლოს მოვიდა და ხმადაბლა უთხრა:

– მობრძანდი დათა-ბატონო! კეთილი იყოს შენი სტუმრობა და ჩემი მასპინძლობა!

ამასობაში დურუს კიკუც გამოგვეგება, მამას გვერდში ამოუდგა, როგორც დიასახლისს შეჰფერის, თავაზიანად მოგვესალმა და ჩემს ყუთებზე ააფაციცა თვალები.

დურუ თავს იკავებდა. ცდილობდა, საგანგებო დახვედრა-მიღება სხვებს არ შეენიშნათ, მაგრამ ახლოს ვიყავი, მედუქნეს სახეში შევცქეროდი და თუთაშხიასადმი მისი

განსაკუთრებული მოკრძალება არ გამომპარვია; მედუქნეები, ჩვეულებრივ, მუშტარს ხაზგასმული თავაზიანობით ხვდებიან; საპატიო სტუმარს, სახელიან კაცს – უშუალო მოკრძალებით, გულახდილად, ისე, როგორც თუთაშხიას დახვდა დურუ.

– როდის ჩამოიარეს? – თქვა თუთაშხიამ ხმადაბლა და მივხვდი, რომ გზაზე ძობასაც იგივე ჰკითხა და ბაყაყებმა კი გაგონება არ დამაცადეს.

– იყვნენ უკვე, დათა-ბატონო. აწი ხვალ შუადღემდე აღარ ჩამოივლიან, – მიუგო დურუმ იმავე სიტყვებით, როგორც ძობამ, და დასძინა: – ესენი არ გიცნობენ შენ. მე მკითხეს, დათა თუთაშხია თუ გი-

ნახავს სადმე და როდისმეო – დურუ თავის ქალიშვილს მიუბრუნდა:

– წადი ახლა, გოგო, მიხედე სტუმრებს. უნდა ემსახურო და სულ უღიმოდე სტუმარს, რა გითხარი მე...

– ძალიან დიდი ფულები აქვთ მაგენს! – კიკუმ ანთებული თვალები ყვალთავას მაგიდისკენ სტყორცნა.

– მიდი ახლა, რომ გელაპარაკები! ემსახურე კარგად და გაჩუქებენ კარგად! – დურუმ თუთაშხიას გაუღიმა და დასძინა. – მომკლეს ბავშვებმა, ქუთაისში გადავიდეთო. ა, ვწვალობ და ვჯახირობ რაცხას, ვაგროვებ ფულს... – მედუქნეს მოაგონდა, რომ ერთსა და იმავეს ვინ იცის მერამდენედ ეუბნებოდა დათა თუთაშხიას, მიხვდა, ზედმეტს რომ სჩადიოდა, და აბრაგისთვის საინტერესო ცნობა გაიმეორა:

– არ გიცნობენ აგენი, დათა-ბატონო. მე მეკითხებოდნენ, დათა თუთაშხია თუ გინახავს სადმე და როდისმეო.

თუთაშხია ჩემსკენ ზურგით იდგა, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ რაღაც წაუჩურჩულა.

– როგორ გეკადრება, დათა-ბატონო! დურუ ძიგუა ვარ მე. – ეს თუთაშხიას წაჩურჩულების პასუხი იყო.

ეჭვები ერთბაშად დამიდასტურდა: ჩემი თანამგზავრი დათა თუთაშხია აღმოჩნდა. დუქანში მოვახშმე – ბოდღო ყვალთავა და მისი ორი კაცი – ცნობილი ყაჩაღები.

ეს სამნი მაგიდას ისე უსხდნენ, რომ კარისკენ ზურგი არც ერთს არ ჰქონდა შექცეული. ნაბდები სამთავეს სკამების საზურგეებზე გადაეფინათ. ორ მათგანს ფეხზე შეყენებული ვინჩესტერები მაგიდაზე მიეყუდებინა, მესამეს – კედელთან, თოფები ხელთა ჰქონდათ, იქვე, ერთ მტკაველზე. სამთავეს ხისბუდიანი მაუზრები ეკიდათ და ქამრებშიც თითო დამატებითი იარაღი მოუჩანდათ. ბარაქიანად მოოჭვილ-მოოქრული ხანჯლები ჰქონდათ. საგულდაგულოდ, თითქოს სადღეობოდ გამოწკეპილები იყვნენ და მიმინოს თვალებით შემოგვცქეროდნენ. ამ ხალხს და მათ მზადყოფნას რომ შევხედე – თხუთმეტ კაზაკს ხუთ წამში დააწვენდნენ.

თუთაშხიამ შეპირებული ოთახის მიმართულებით გასწია. იქ თავისუფალი მაგიდა იდგა, იმ მაგიდას მიაშურა. დურუმ ჩვენთვის მოიცალა, შეგვიპატიჟა, თუთაშხიას მიერ შერჩეული მაგიდისკენ გაგვიძღვა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ჩვენი მისვლით მაინცდამაინც გახარებული არ იყო; ალბათ, იმის ვარაუდმა შეაწუხა, რომ სადმე ვიტყოდით, დურუს დუქანში ესა და ეს ხალხი ვნახეთო.

მე და იასე-ბერი თუთაშხიასი არც ნაცნობები ვიყავით და არც არაფერი. უფრო გამართლებული იქნებოდა, სხვადასხვა მაგიდებს მივჯდომოდით. აზრადაც არ მოგვსვლია! მივედით, გვერდზე მივუსხედით. სკამზე დავეშვი და მაშინვე გავიფიქრე, რომ სწორად მოვიქეცით; ოღონდაც! ყვალთავასი და მისი ამხანაგების დამნახავი სხვას რას ვიზამდით. იმ აზრმა, რომ ყვალთავას შეშინებულები თუთაშხიას მაგიდას შევეფარეთ, ღიმილიც კი მომგვარა. თავი არხეინად ვიგრძენი და ის ხალხი რიგიანად შევათვალიერე.

ბოდღო ყვალთავა, დაახლოებით, ოცდახუთმეტი წლისა ჩანდა. მეორე ოცდაოთხის, ოცდახუთისა იქნებოდა. მესამეს ჯერ წვერ-ულვაშიც არ დასტყობოდა, მაგრამ დიდი ტანისა იყო, ბავშვურად ყოყოჩური გამოხედვა და მიხრა-მოხრა ჰქონდა. მაგიდაზე უხვი პურ-მარილი ელაგათ, ღვინოს დიდი ჯამებით სვამდნენ და სამთავეს ერთად, მთელ მათ ღრეობას აჯაგრული ზღარბის იერი დაჰკრავდა. ბერისა რა მოგახსენოთ, მე ჩემსას ვიტყვი, იმათ შემხედავს ჟრუანტელმა დამიარა, გადატყავებული ქუსლებიც დამავიწყდა, ჩაწყვეტილი მხრებიც და დაქანცულობაც. შიშმა შემიპყრო, თავზარმა ამაწრიალა. ერთი ისეთი წამი მქონდა, რომ კინაღამ წამოვვარდი და გავიქეცი. თავი დროზე შევიკავე და ახლა ის ფიქრი მეტაკა, – იქნებ თუთაშხიას სულაც არ ეჭაშნიკება მის მაგიდაზე ჩვენი ყოფნა და კი არ დაგვითხოვოს ან არ გადაჯდეს-მეთქი. ალბათ, იასე-ბერიც ამასვე ფიქრობდა, რომ თუთაშხიას ორივემ ერთდროულად შევხედეთ. მის თვალებში სრული სიმშვიდე და განურჩევლობა სუფევდა. ის სიმშვიდე მეც გადმომედო. გავიფიქრე, მაგ მამაძაღლებს, თუნდ ზარბაზნები სდგმიათ და აგერ იმ თეფშზე კაცის ხორცის ხაშლამა ჰქონიათ. თუკი არავისთვის არაფერი დამიშავებია, რატომ უნდა მეშინოდეს-მეთქი.

ერთხანს ყვალთავამ და მისმა ამხანაგებმაც მუყაითად, დაჟინებით, თითო-თითომ და სამთავემ ერთად გვათვალიერეს. მერე თავისი ამღვრეული თვალები მოგვაშორეს, სმა-ჭამა განაგრძეს და ამით, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა.

ძობამ ჩემი ხელსაწყოების მსუბუქი ნაჭრების შემოზიდვას მიჰყო ხელი. მძიმე ყუთი კიკუსთან ერთად შემოიტანა. მორჩნენ, კიკუ მოგვიტრიალდა, – რას ინებებთ, რა მოგართვათო, მაგრამ პასუხის მოსმენა აღარ დასცალდა, ბოდღო ყვალთავამ გამოსძახა:

– მოდი, გოგო, აგერ. დაანებე თავი მაგათ!

– ამ წუთში, ბატონო, სტუმრებს მივხედავ და გეახლებით. ამ წუთში! – თავაზიანად მიუგო კიკუმ.

– გესმის შენ, რას გელაპარაკებიან! – დაიყვირა ბოდღო ყვალთავამ.

– დაიცადე პატარა ხანს, ბოდღო, – უთხრა უმცროსმა, გვარ-სახელად ყურუ ქარდავამ. – ხალხია მაგენიც, რა იცი შენ!

ყურუ ქარდავას რჩევამ არ გასჭრა, ყვალთავამ თვალები ააბრიალა, ისევ ყვირილი დააპირა. ეს კიკუმაც შენიშნა, შემოგვხედა, მხრები აიჩეჩა, გვანიშნა, – აბა, რა ვქნა, გალეშილები არიანო, ბოდიში მოგვიხადა და ყვალთავას სუფრასთან მივიდა.

ყვალთავას უზრდელობისთვის თუთაშხიას ყურადღება არ მიუქცევია. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება არაფრით გაუმჟღავნებია. იჯდა და საითღაც იყურებოდა.

– კიდევ ერთი დოქი ღვინო მოგვიტანე ჩვენ, – უთხრა ყვალთავამ კიკუს, როცა თვალების ბრიალს მორჩა. – ერთი დოქი მაგათ მიართვი, მანდ რომ დაჯდნენ. ყველი მოგვიტანე კიდევ.

ამ ხნის განმავლობაში შუათანა სტუმარი, კაზა ჩხეტია, ხარბად, მსუნაგი მზერით ათვალიერებდა კიკუს და გოგომ როცა დახლს მიაშურა, კაზა ჩხეტიამ ჟინიანად ამოიხრიალა:

– ოხხხ!

მაშინდელ სამეგრელოში ასეთი ამოხრიალებით ან დიდ აღტაცებას გამოხატავდნენ, ან განცვიფრებას, ან რაიმე ხვაშიადს. ხანდახან გულის ჯავრიც ამოჰქონდათ. ეს დაბგერება ძლიერ გავრცელებული იყო.

კაზა ჩხეტიას კიკუსთვის თვალი ვერ მოეშორებინა. ამ გოგოს მართლაც გააჩნდა ერთი რამ, რაც განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა: თვალები ისეთი ჰქონდა, თითქოს ეს არის ეხლა გამოეღვიძა და ლოგინში ნებივრობსო. მისი იერი უეჭველად სარეცელს გაგახსენებდათ.

გარეთ დაღამდა. ძობამ შანდლები მოიტანა, ერთი ყვალთავას მაგიდაზე აანთო, მეორე – ჩვენთან. კიკუმ სტუმრებს დანაბარები დოქი გამოუტანა, მოძღვნილი ღვინო მოგვართვა და კვლავ გვკითხა, რას შეექცევითო.

მე და დათა თუთაშხიამ კერძები მოვითხოვეთ. ბერმა ყველაფერზე უარი თქვა, მარტო წყალი მომიტანეო.

კიკუმ ვერც ამჯერად მიაღწია დახლამდე – ყვალთავამ ისევ მიიხმო.

– წაიღე ეს... ყველაფერი წაიღე. ღვინო დატოვე, წნილი და ყველი. გადაგვიწმინდე მაგიდა. ერთი შანდალი მოიტანე კიდევ!

კიკუმ უმალ აასრულა ბრძანება.

კაზა ჩხეტია ქალიშვილს საგულისპირეში ჩააცქერდა. კიკუმ შეამჩნია, ხელი დაიფარა.

– შერცხვა კიკუს! – ჩაიხითხითა ყვალთავამ, ჯიბიდან სათამაშო ქაღალდი ამოიღო და აჭრას მიჰყო ხელი.

კაზა ჩხეტია კიკუს ხან ღაწვებს უთვალიერებდა, ხან მკერდს, ხან თეძოებს და როცა გოგო წავიდა, თქვა:

– შერცხვა, თვარა ის მყავს, ღვთისმშობელი! ხუთ მანეთად აქვე გაიძრობს, თუ გინდა.

– კაი ახლა, ნუ ლაპარაკობ მაგას, – ჩაილაპარაკა ყურუ ქარდავამ.

– არ იცი შენ. პატარა ხარ ჯერეთ. ქალს ფარა ანახვე, ფარა ყველაფერს აქნევინებს. უჯიშოა ქალი, მოკლე ფეხები აქვს. დააკვირდი და ნახავ, – მიუგო კაზა ჩხეტიამ ყურუ ქარდავას და ყვალთავას უთხრა: – დაარიგე, თუ არიგებ!

– მოკლე ფეხები? – ეს ყვალთავასაც გაუკვირდა. – მოიტანენ შანდალს კიდევ და დავარიგებ, აბა, რას ვიზამ!

– კი, მოკლე. კაცზე მოკლე აქვს კანჭები და ბარძაყები ქალს. აბა, ქალის ფეხსაცმელი მაღალი ქუსლით მოგონილი რატომაა? ფეხს აგრძელებს და მიტომ, – თქვა კაზა ჩხეტიამ და ისევ დახლთან მოფუსფუსე კიკუს მიაშტერდა.

ძობამ ყაჩაღებს მეორე შანდალი გამოუტანა. ყვალთავამ ჯამები შეავსო. სამივემ ძირამდის დაცალა და თამაშს შეუდგნენ. კიკუმ ვახშამი ჩვენც მოგვიტანა. იასე-ბერმა მორთმეული დოქიდან კიკუს მოტანილ წყალს ცოტაოდენი ღვინო ჩაუმატა, ქამარზე შებმული პარკი შემოიხსნა, პურის ნაჭრები ამოიღო და ბოღლიწო ჩააბუჟბუჟა.

ყაჩაღები ღვინოს ეძალებოდნენ და მსხვილად თამაშობდნენ. ერთხელ წაიკინკლავეს კიდეც. ისეთი მთვრალები იყვნენ, რომ ის წაკინკლავება სერიოზულ ჩხუბადაც გადაიქცეოდა, მაგრამ ყურუ ქარდავამ დასთმო:

– კაი, კაი! ა, შენ ოცდახუთი მანეთი! დაარიგე, მაგრამ მეტის მეტს ნუ იზამ, არ შეგარჩენ, იცოდე.

კაზა ჩხეტიამ ფული გამოართვა. კმაყოფილი იყო, ყურუს მკვახე სიტყვები და მუქარა ვითომ ვერც გაიგონა. სანამ ეს ორი კამათობდა, ყვალთავას ჩვენი მაგიდისკენ ჰქონდა თვალი.

– ითამაშეთ, მოვალ ახლავე მე! – უთხრა მან თანამესუფრეებს, როცა ისინი დაშოშმინდნენ, წამოდგა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა.

იდგა, დოინჯშემოყრილი დაგვცქეროდა. იასე-ბერმა პირჯვარი გადაისახა, ყვალთავას მიაჩერდა. მეც იმის ბრაზმორეულ სახეს ავყურებდი, მაგრამ კინაღამ გული ამერია და თვალი გავარიდე. თუთაშხიას ყვალთავასთვის არც ახლა მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ვხედავდი, რომ ზამბარასავით შეიკუმშა და გასაშლელად მზად იყო.

– ბოდღო, მოდი, ითამაშე, თუ თამაშობ! რა გინდა მანდ?! – გამოსძახა ყურუ ქარდავამ.

იქით გავიხედე.

კაზა ჩხეტიამ თვალი თვალში გამიყარა. მგონი, სწორედ ისე შემომყურებდა, როგორც კიკუს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქ ხორცზე უკაწკაწებდა სული და აქ – სისხლზე.

– ითამაშეთ მოვალ ახლავე! – უპასუხა ყვალთავამ ამხანაგებს და თუთაშხიას მიმართა: – რატომაა ჩემს გამოგზავნილ ღვინოს რომ არ სვამთ! – ისეთ კილოზე გვითხრა, რომ იმას უფრო გავდა, – დალიეთ თორემ კისერში ჩაგასხამთო!

თუთაშხია დოქს მართლაც არ მიჰკარებია, არც მე; ღვინო თუთაშხიას ძღვნად მიმაჩნდა, მას ჩემთვის არ მოუთავაზებია, – დალიეო. ესეც არ იყოს, ღვინის ხასიათზე არ ვიყავი, ერთი სული მქონდა, როგორმე ლოგინამდე მიმეღწია. თუთაშხიამ კიდევ ცოტა ხანს დააყოვნა, თავი ასწია, ყვალთავას ახედა და თავაზიანად უთხრა:

– ძღვენის მადლობელი ვართ ყველა, მაგრამ სასმელს ვერიდები მე, არ ვსვამ.

ყვალთავას მარცხენა წარბი ქოჩრისკენ დაიძრა და ისე აიპრიხა, ვიფიქრე, ეხლა ყალყზე ადგება და კეფაზე დაიტანს-მეთქი ტლაშანს.

თუთაშხიაზე ვერც ამ სახისცვალებამ იმოქმედა, პირში ლუკმა ჩაიდო და დინჯ ღეჭვას მიჰყვა. მაშინ ყვალთავამ ჩემზე გადმოიტანა მზერა, თავხედობა და დაუნდობლობა ნიაღვრად მომანთხია.

– ვსვამთ, როგორ არა, – დამასწრო იასე-ბერმა. – აი, მე თქვენი ნაბოძები ღვინით ბოღლიწო გავიკეთე!

ბერის ნათქვამი ყვალთავას არც გაუგონია, მე მითხრა:

– შენც ერიდები სასმელს, თუ?

– დიახ, ბატონო, ვერიდები, მაგრამ თქვენს სადღეგრძელოს სიამოვნებით დავლევ, – უნებლიეთ, რაღაც თავისთავად მივუგე; ღვინო დავისხი, ვადღეგრძელე, სულმოუთქმელად გადავკარი, სასმისი გადმოვაბრუნე, ასე მტერი და დუშმანი დაგეცალოთ-მეთქი.

სხვა რა გზა მქონდა.

– მასე! თქვა ყვალთავამ და თუთაშხიას ჰკითხა: – ვინ ხარ შენ?!

– მე მეკითხებით? – თავაუწევლად მიუგო თუთაშხიამ.

– შენ აბა ვის!

– მგზავრი ვარ.

ყვალთავა ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ შეცბა და დაიბნა.

– მოდი ახლა, შე კაცო! – ბრაზიანად დაიყვირა ყურუ ქარდავამ.

ყვალთავამ თავისიანებს გახედა.

ყურუ ქარდავას ფულების ბულული ედგა. კაზა ჩხეტიას აღარაფერი ებადა.

– მომეცი, ბოდღო, ჩემი ფულებიდან ასი თუმანი. წავაგე, – გამოსძახა კაზა ჩხეტიამ.

ეს გადმოძახებები ერთობ დროული იყო. ყვალთავას წასვლის მიზეზი სჭირდებოდა, ასე ხახამშრალი თავს ხომ ვერ დაგვანებებდა. ძახილი რომ არა, თავის ახირებულ კითხვა-გამოკითხვას გააგრძელებდა, და რა მოხდებოდა – ვინ იცის.

ყვალთავამ უბეში ხელი ჩაიყო, ფულის თოქმა დასტა ამოიღო, ასი თუმანი ჩვენს თვალწინ გადათვალა, ერთხელ კიდევ შემოგვავლო ქედმაღალი მზერა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

დურუ მედუქნეს გულზე მოეშვა, ღრმად ამოისუნქა.

კიკუმ გამოიარა, საძინებელი ოთახებისკენ თეთრეული წაიღო. ისეთი სიარული იცოდა, თითქოს იატაკს არც ეხებაო. კი არ დადიოდა – დალივლივებდა.

– ოხხხ! – კვლავ დაიხრიალა კაზა ჩხეტიამ და როცა კიკუ კრეტსაბმელს იქით მიიმალა, დასძინა: – აგერ ვნახოთ თუ არ გაიძრობს ხუთ მანეთად!

კიკუ თეთრეულის გაშლას მორჩა, დუქანში გამოვიდა. კაზა ჩხეტიამ მიიხმო.

თუთაშხიამ თვალი ერთი წამით მათ მაგიდას სჭიდა და კვლავ გაარიდა.

ბუხარში შეშამ გაიტკაცუნა, ბრიალა ალი ავარდა, ცეცხლი აგიზგიზდა.

კაზა ჩხეტიამ კიკუსკენ ოქროს თუმნიანი მიაჩოჩა, მამამისს გახედა, აქეთ ხომ არ იყურებაო და გოგოს უთხრა:

– აგე , თუმანი შენ... ეს თუმნიანი ოქრო შენი რომ იყოს, ხომ გინდა? თუმანს მამაშენი თვეში ვერ მოიგებს. აგერ, ერთი წამით გაიძრე, შიშველი დაგვენახვე ერთი წამით და შენი იყოს ეს თუმანი.

- რასაა რომ აკეთებ, არ გრცხვენია ამხელა კაცს?! – ჩაუსისინა ყურუ ქარდავამ, ფულს ხელი სტაცა და პატრონს მიუგდო.

კიკუმ სანთლების შუქზე ალაპლაპებულ თუმნიანს დახედა, სტუმრები ალმაცერად შეათვალიერა.

– რა შენი საქმეა, ღლაპო, შენ! ვის საქმეშია რომ ერევი! – საკმაოდ ხმამაღლა მიუგო კაზა ჩხეტიამ და ზეზე წამოიჭრა.

ყურუ ქარდავა სათამაშო ქაღალდში იყურებოდა, ისე წაილაპარაკა:

– დაჯექი ახლა, ნუ შემაშინებ, თუ ღმერთი გწამს!

ყვალთავამ ყალყზე შემდგარ ამხანაგს მხარზე ხელი დაადო, დასვა.

კამათი და ჯაჯღანი გაგრძელდა.

– გაინძერი, გოგო! – დაუყვირა დურუ-მედუქნემ თავის ქალიშვილს. – გამოიტანე ლოგინები. ამოდი, ძობა, ამაწევინე ტახტები.

კიკუ წავიდა.

– არც მე მჭირია, ყურუ, შიშველი კიკუს დანახვა, – მიმართა ყვალთავამ უმცროს ამხანაგს, – მაგრამ ყველა კაცმა თავისი საქმე თვითონ იცის და ხელი არ უნდა შეუშალო. ასეა ამხანაგობა, აბა რა! ისე, სწორი ხარ შენ. ასეთი ამბავი ფულის საშოვრად თუ კეთდება, საქმისთვის თუა საჭირო – შეიძლება კიდევ. ფულშია ყველაფერი. ქალიც შიგ არის – ფულში.

კამათი დასრულდა, თამაში ახალი აზარტითა და ჯიბრით განახლდა. ყურუ ქარდავა განუწყვეტლივ იგებდა.

– ას თუმანს ვთამაშობ, ვალს! – გამოაცხადა კაზა ჩხეტიამ.

– არა, ძამიავ, მასეთი დანაპირები... აგერ, ა, ფულად გასესხებ თუ გინდა და ვითამაშოთ მაშინ.

ყურუმ ფული მიუთვალა.

– ასი თუმანი გმართებს ჩემი. ბოდღო, მოწმე ხარ შენ, – თქვა ყურუმ და დაარიგა.

კაზა ჩხეტიამ თავისი ქაღალდი ნახა, ორმოცდაათ თუმანს გავიდა. ყურუ ქარდავას არ ეჭაშნიკა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და კაზას ორი ქაღალდი მისცა.

დუქანში სიჩუმე ჩამოვარდა.

დათა თუთაშხიამ მოთამაშეებს ცნობისმოყვარეობით გახედა. როცა გამოირკვა, რომ კაზა ჩხეტიამ ცხრა გააკეთა და მოიგო, თუთაშხია ისევ ბუხარს მიაჩერდა.

სულ რაღაც სამ, ოთხ წუთში ყურუ ქარდავას ფულის ბულული კაზა ჩხეტიასთან გადაბარგდა. კიკუმ ჩვენი თეთრეულიც გაშალა და დუქანში გამოვიდა.

კაზა ჩხეტიამ ისევ მიიხმო.

– ჰა შენ კიდევ თუმანი! – თქვა ჩხეტიამ, ფული პირველ თუმნიანს დაადო და კიკუს მიუჩოჩა.

ყურუმ ისევ თვალები ააბრიალა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ალბათ, ყვალთავას შეგონებამ იმოქმედა, საქმეში არ ჩარეულა, თანამოსუფრეებს ზურგი შეაქცია და ბოღმიანი თვალები კუთხეში ჩამოკიდებულ მაცხოვრის ხატს მიაპყრო.

– რას გაჩუმებულხარ, გოგო! გაიძრე, თუ იძრობ, – ავი ღიმილით უთხრა ბოდღო ყვალთავამ.

კიკუს თითქოს ენა წაერთვაო, გაქვავებულივით იდგა და მარტო თვალებს აციცებდა. იასე-ბერი ზურგით იჯდა, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ყველაფერი ეყურებოდა.

– ღმერთო, უშველე, ღმერთო, უშველე ღმერთო, უშველე! – წაიჩიფჩიფა მოხუცმა და პირჯვარიც სამჯერ გადაისახა.

თუთაშხიამ ბერს შეხედა. მერე იქითა სუფრაზე გადაიტანა თვალი.

დაძაბული სიჩუმე იყო.

ბუხარში კუნძმა ოდნავ გაიტკაცუნა, მაგრამ სიჩუმეს თოფივით ეცა.

უკანა ოთახებიდან რაღაც ყრუ ჩახანი მოისმა. ალბათ, დურუ და ძობა ტახტებს ეჯაჯგურებოდნენ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– მთლად გათახსირებული ყოფილან ეს კაცები! – ხმადაბლა, თავისთვის ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

ისეთი აზრი შემექმნა, რომ ამ სიტყვის თქმა და ენის ჩაკვნეტა – ერთი იყო. თითქოს თავის თავს გაუწყრა აბრაგი, – “რა გალაპარაკბსო”!

თექვსმეტი წლის უმანკო, მაგრამ ღარიბი, ფულის ძალაზე გადამეტებული წარმოდგენის მქონე და მხვეჭელი მამის ხელში აღზრდილი გოგოსთვის ასეთი ცთუნების მითავაზება, მართლაც, უმაგალითოდ გათახსირებული კაცის მეტს, აბა, ვის შეეძლო! მზად ვიყავი, იმ კაზა ჩხეტიას მაინც ვცემოდი, მაგრამ რას გავხდებოდი გამოუცდელი, ასეთი ნაბიჯისთვის სრულიად მოუმზადებელი და უიარაღო მარტოკაცი.

თავჩაქინდრული კიკუ ფულებს დასცქეროდა და ვგრძნობდი, თავის არსებაში ნებისყოფასა და სიმტკიცეს ეძებდა. ეს არც ბოდღო ყვალთავას გამოჰპარვია.

– ეცოტავება! – თქვა მან. – უყურე ერთი ამას! ორ თუმნად ფოთის პოლიცმეისტერი გაიძრობს, შე ქალო! კაი. ა, კიდევ თუმანი შენ და გაიძრე აწი. ვითომ რიონში ბანაობ და ბუჩქებიდან გიყურებს ვინმე, შენ რომ არ იცი, ისე.

ბოდღო ყვალთავამ კიკუსთვის განკუთვნილი ორი თუმნიანისკენ მესამე ისე გადააგდო, როგორც ძაღლს ნალოღნ ლუკმას გადაუგდებენ ხოლმე.

კაზა ჩხეტიამ ეს მესამე ფული იმ ორზე შეაკოკოლა.

კიკუს ისე აშკარად გააჟრჟოლა, რომ ყველამ შევამჩნიეთ. საკუთარი უმწეობის ბოღმამ მეც ჟრუანტელად დამიარა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და თანამესუფრეებს აცახცახებული ხმით წავჩურჩულე:

– ვინმე უნდა ჩაერიოს. ერთხელ თუ შეცდა, მერე მაგას ვეღარაფერი დააკავებს, ფოთი აქვეა, ნავსადგურის მეძავი გახდება, გესმით?! ვინმე უნდა ჩაერიოს!

თუთაშხიას მივაშტერდი; ხან საყვედურის, მტკიცე მოთხოვნის, ხან მუდარის თვალით შევცქეროდი. მან ჯერ იასე-ბერს შეხედა, შემდეგ თვალი თვალში გამიყარა და გულგრილად ცივად თქვა:

– არაა ჩემი საქმე. არ ჩავერევი მე. – პატარახანს, სულ რამდენიმე წამს ჩუმად იყო. – არასოდეს არ გამოვა კარგად. არავის არ ჭირდება... თუ სისხლში და მოდგმაში აქვს მაგას, მაინც იზამს, რაც გინდა ქენი შენ არავინ არაა ღირსი!

იასე-ბერი დაბეჯითებით უსმენდა, თითქოს ეშინოდა, სიტყვა არ გამომეპაროსო. თუთაშხიამ თავისი სათქმელი დაამთავრა. ბერმა იყუჩა, მერე მოულოდნელად, თავზე ხელაღებულივით ზეზე წამოიჭრა კიკუს მიუბრუნდა და ჩააბულბულა:

– შვილო ჩემო! წერილ არს: უკეთუ თვალი შენი მარჯვენა გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გვამი შთავარდეს გეენიასა შინა!

იასე-ბერის ალაპარაკებამ ყაჩაღების ყურადღებმა პირველი სიტყვებიდანვე მიიპყრო. სამთავეს ეტყობოდათ, ცდილობდნენ, ბერის ნათქვამს ჩასწვდომოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუდიოდათ. მხოლოდ კიკუ იდგა კვლავინდებურად თავჩაქინდრული და, მგონი, საერთოდ არაფერი ეყურებოდა. მარტო მაშინ გამოიხედა ჩვენსკენ, როცა ბერი დადუმდა. მერე გოგომ იმ კარებს მიაპყრო თვალი, საიდანაც დურუ და ძობა უნდა გამოჩენილიყვნენ. კაზა ჩხეტიამ კიკუს გამოცოცხლება იმწამსვე შენიშნა.

– ოხხხ! – დაიხრიალა მან, ფეხი იატაკს დაჰკრა და ბერს დაუთათხანა: დაჯექი მანდ, ბებერო, თვარა დაგავიწყე აღთქმა და სახარება!

ბერი მოცელილივით დაეშვა. გაინაბა, მოიკუნტა, თითქოს თავი წაგდებინებას ელოდა.

ყურუ ქარდავას აღშფოთების ნასახი არსად აჩნდა. სახეზე დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა გამოხატოდა, თვალებს აპაჭუნებდა.

– რა თქვა მაგ ბაბუამ ბოდღო! თქვა რაღაცა...

– თუ ხედავთ თქვენ, როგორ ყოფილა საქმე?! – უთხრა თავის აღმოჩენით გაოცებულმა კაზა ჩხეტიამ ამხანაგებს. – აგერ, ამათი რცხვენია კიკუს და მიტომ არ გაიძრობს, აბა, რა იქნება. მიბრუნდით!

– იმავე კილოზე შემოგვყვირა, როგორც იასე-ბერს დაჯდომა უბრძანა. – რას მოგვშეტერებიხართ! მიბრუნდით ახლავე ზურგით! უყურე ამათ შენ!

კაზა ჩხეტია იმით იყო განცვიფრებული, რომ, თურმე გაგვიბედია და იმ ამბავისთვის გვიყურებია.

იასე-ბერს მიბრუნება არ სჭირდებოდა, ზურგით იჯდა, აღსასრულს თვინიერად ელოდა. მე ბრძანებას უსიტყვოდ დავყევი – მივბრუნდი და გულზეც მომეშვა, რომ იმ საზიზღარ ურჩხულებს აღარ ვხედავდი. თუთაშხიამ სამივენი მოათვალიერა, მერე კვლავინდებურად თუმნიანებში ჩაშტერებულ კიკუს მიაჩერდა.

– არ გესმის, რას გელაპარაკებიან შენ?! – უფრო ხმადაბლა, მაგრამ ღვარძლიანად დაუყვირა კაზა ჩხეტიამ თუთაშხიას.

ვერც ამან გამოიღო ჩხეტიასთვის სასურველი შედეგი – თუთაშხიას აინუნში არაფერი აუღია. მაშინ კაზა ჩხეტია ადგა, თუთაშხიას ზურგიდან შემოუარა და ჩუმად უთხრა:

– მობრუნდი აქით!

თუთაშხიამ დააყოვნა. მერე ნელა მიბრუნდა, მაგრამ სანახევოდ მიბრუნდა. არ ვიცი, რატომ, და იასე ბერმა ჯამიდან კოვზით ბოღლიწო ამოიღო, პირში ჩაიდო და ასე, კაზა ჩხეტიას ბრაზისგან გადაღრეცილ სახეში მიშტერებული, გაქვავდა.

– არავის საქმეში არ ვერევი მე. არავისი საქმე არაა, საით ვიყურები და საით მივბრუნდები! – ნაბადს მხრები აუქნია, სკამის საზურგეზე გადააგდო.

კაზა ჩხეტიამ დოინჯი შემოიყარა. ამაში ის მიზანიც იგრძნობოდა, მაუზერთან ხელი ახლოს ჰქონოდა. კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა და სიტყვა პირზე შეაშრა. თუთაშხიამ ხის ბუდიდან ისე მარდად დააძრო მაუზერი, რომ მისი ხელის მოძრაობას თვალი ვერც ერთმა ვერ შევასწარით. დაძრობა და სროლაც ერთი იყო. სროლა და კიკუს საცთუნებლად ერთიმეორეზე შეკოკოლავებული თუმნიანების იატაკზე გადაცვენაც ერთი იყო.

წამით ყველა გაირინდა.

თუთაშხიას ტყვია იასე-ბერის იღლიის ქვეშ გავიდა, ბოდღო ყვალთავას გასწვრივ გაიარა, თუმნიანებს ეძგერა, მაგიდის წიბო ოდნავ გადაკაწრა და მოპირდაპირე კედელში შეიჭრა.

ცივმა ოფლმა დამასხა.

იასე-ბერს თავისი ბოღლიწოიანი კოვზი ცალი მხრიდან ხელით ეჭირა, მეორიდან – კბილებით, და ესე იყო გაქვავებული. ბოდღო ყვალთავა თოფნაკრავივით წამოიჭრა, მაგრამ ვეღარ მიხვდა, რა ექნა, როგორ დაეჭირა თავი, როგორ მოქცეულიყო. ყურუ ქარდავა მშვიდად იჯდა, მღიმარი თვალები ხან ტყვიით გაკაწრული მაგიდის წიბოზე მიჰქონდა, ხან თუთაშხიას შეჰყურებდა. კაზა ჩხეტია გახევებული იდგა. თუთაშხიამ დაუპატიჟებელ სტუმარს ერთხელ კიდევ ახედა, მაუზერი ბუდეში ჩააბრუნა, პირში ლუკმა

ჩაიდო და ღეჭვას მიჰყვა. კიკუ იატაკზე მიმოპნეულ თუმნიანებს დააცქერდა. მერე ნელა დაიხარა, ძებნა დაუწყო, აკრიფა და ნელა წამოიმართა. ერთხანს განაბული იდგა, თუმნიანებიან მუჭას დაჰყურებდა. შემდეგ ანაზდად მოწყდა ადგილს და ეზოში ტყვიასავით გავარდა. ჯერ დუქნის კარმა გაიღო ჩახანი. მერე თავლის კარმა დაიღრჭიალა და ისევ ყველაფერი მიჩუმდა.

უკანა ოთახებიდან დურუ და ძობა გამოვარდნენ, შეშფოთებით გვათვალიერებდნენ.

დურუ მედუქნემ თუთაშხიას ჰკითხა:

– რა იყო... რა მოხდა აქ?

– გათავდა უკვე, დურუ-ბატონო, რაც იყო! – მიუგო თუთაშხიამ.

კაზა ჩხეტიამ თავისი მაგიდისკენ გასწია, დაჯდა, სათამაშო ქაღალდი აიღო, წვალება დაუწყო. ბოდღო ყვალთავაც სკამზე დაეშვა.

მარტო ყურუ დააცეცებდა თავის მღიმარ თვალებს.

მამა-შვილი კიდევ ცოტა ხანს იდგნენ. როცა დარწმუნდნენ, რომ მართლაც გათავდა უკვე, რაც იყო, თავის ბინაში შებრუნდნენ და ტახტი გამოიტანეს, ჯერ ჩვენთვის შეიტანეს, მერე ყვალთავასი და მისი ამხანაგების ოთახში დასადგმელი ტახტის მოსატანად წავიდნენ. მეორე მაგიდაზე თამაში განახლდა, მაგრამ ცხადი იყო, თამაშზე არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა.

ისევ ყველაფერი მიწყნარდა. დურუს და ძობას გასვლა იყო – დუქნის კარი კიკუმ შემოაღო. ჯერ იქაურობას თვალი მოავლო, მერე სამზარეულოსთან მიირბინა, შეიხედა, მიაყურა, დარწმუნდა, მამა

და ძობა შორს არიანო, და ყვალთავას მაგიდასთან მიირბინა. ქობაში ხელები ჯვარედინად წაივლო, კაბა ზევით აიტაცა და მთლად შიშველი დარჩა.

იდგა, ცალ ხელში კაბა ეჭირა, მეორე ხელი თვალებზე ჰქონდა აფარებული. ნატიფი, მკვრივი სხეული სანთლის შუქზე ნაღებისფრად ციმციმებდა. რქაწითელის მტევანივით მჭიდრო და კენარი გოგო იყო კიკუ.

თუთაშხიამ, ალბათ, კიკუს გამოჩენისთანავე იგრძნო, რაც მოხდებოდა, რომ ბუხარს მიაჩერდა და ამ სანახაობის განმავლობაში აღარც მობრუნებულა. ბოდღო ყვალთავამაც მხოლოდ ერთი წამით გააპარა თვალი კიკუსკენ. ყურუ ქარდავა გაწითლდა, თავი ჩაქინდრა, ფულებში უაზროდ ააფათურა ხელები.

– ოხხხ! – ამოიხრიალა რეტდასხმულმა კაზა ჩხეტიამ და ხელი ძალიან ნელა წაიღო კიკუს მარცხენა ძუძუსკენ.

სანამ შეეხებოდა, საჩვენებელი თითი გაბზიკა. მისი ხელი წამით ჰაერში გაიყინა, ისევ დაიძრა და თითი სათუთად, თითქმის შიშით შეეხო ძუძუს თავს. გოგო მყისვე გონს მოვიდა, კაბა გადაიცვა და თავლისკენ გაიქცა.

ყვალთავამ თავჩაქინდრულ ყურუს თითი მიაშვირა, როყიოდ გადაიხარხარა:

– რას დაგიღია პირი, ბიჭო!

ყურუმ პირი მოკუმა, მაგრამ თავი არ აუწევია.

კაზა ჩხეტიამ გამარჯვებული კაცის თვალებით დაგვიარა და თქვა:

– რა ვთქვი მე? გაიძრობს, ვთქვი მე! – მე მეუბნებოდა.

– სამ თუმნად ფოთის პოლიცმეისტერი გაიძრობს! – გაიმეორა ბოდღო ყვალთავამ თავისი ნათქვამი.

კიკუ დაბრუნდა, დამატებითი ლოგინების მოსატანად წავიდა. დურუმ და ძობამ მეორე ტახტი გამოიტანეს.

თამაში კვლავ განახლდა.

დურუმ დახლს მიაშურა. ეტყობოდა, რომ მომხდარისა არაფერი იცოდა, თავს არხეინად გრძნობდა, მაგრამ ძობა ერთიანად დაძაბული, ჩახმახივით ფეხზე შეყენებული იყო.

– წადი, ბაბა დაიძინე! – უთხრა დურუმ.

ძობას წასვლა არ უნდოდა. აწრიალდა, უარის თქმაც კი გაბედა. მამამ მტკიცედ გაუმეორა, – წადიო. ბიჭი იძულებული გახდა, დაჰყოლოდა, მაგრამ ერთობ უხალისოდ წავიდა, ცალი ფეხი დუქანში დარჩა.

კიკუმ ჩვენს ოთახში საქმე მოითავა, ლოგინებს მეორე ოთახში აგებდა.

– დურუ, ცხენებს გახედე, თუ კაცი ხარ! – დაიძახა კაზა ჩხეტიამ.

– ახლავე, კაზა-ბატონო, აგერ, – მზადყოფნით უპასუხა დურუმ, საინი გაამშრალა, თავლისკენ გასწია.

კაზა ჩხეტიამ ცოტა მოიცადა და ახლა კიკუს გასძახა:

– მოდი აგერ, გოგო!

კიკუმ კრეტსაბმელი გასწია, ოთახიდან თავი გამოყო და მკვახედ იკითხა:

– რა გინდა აწი?

– მოდი აგერ, რომ გეუბნები, და გაიგებ, რაც მინდა.

კიკუ მივიდა.

კაზა ჩხეტიამ ქისა ამოიღო, ზონარი შეხსნა, ხელისგულზე ოქროს ფულები წამოიპნია. ოცი, ოცდახუთი ცალი თუმნიან-ხუთმანეთიანი იქნებოდა. ხელი ასწია, ფულებიანი მუჭა კიკუს თვალებთან მიატარ-მოატარა. მერე ფულები ისევ ქისაში ჩააბრუნა და უბეში შეინახა. ამას ძალიან ნელა, ხაზგასმით აკეთებდა. დაამთავრა ეს საქმე და კიკუს უთხრა:

– ხედავ ამ ფულებს, ხომ... მოდი ამაღამ ჩემთან და შენი იქნება ეს ფულები ყველა!

კიკუს შევხედე: თვალებში ალი ჰქონდა. უფრო ხარბი ალი, ვიდრე კაზა ჩხეტიას.

– მოხვალ ხომ?

კიკუ შეყოყმანდა დაიბნა და გულუბრყვილოდ იკითხა:

– რა უნდა გავაკეთო შენთან?

– არაფერი რასაც ქალები აკეთებენ კაცებთან! – მიუგო ჩხეტიამ ცბიერი ღიმილით.

– არ ვიცი მე ის... – დაიმორცხვა ქალიშვილმა, მიბრუნდა, ოთახში შევიდა.

იასე-ბერი ადგა, რომელიღაც ლოცვის ნაწყვეტი წაიჩიფჩიფა, პირჯვარი გადაისახა და დასაძინებლად წავიდა.

არც როდისმე თავზე ხელაღებული ვყოფილვარ, არც გულადი კაცის სახელი მწყურებია. მუდამ ფრთხილი, ანგარიშიანი ვიყავი, მაგრამ აქ კი ავფეთქდი და უკიდურესობას მივმართე. მოქმედების გეგმა მყისვე ჩამომიყალიბდა. ჯერ თუთაშხიას ვუთხარი:

– დათა თუთაშხია! თქვენზე ბევრი კარგი მსმენია. ნამუსიანი, სამართლიანი კაცის სახელი გაქვთ. ამ ბოროტებაზე რას გაჩუმებულხართ. ხომ ხედავთ ადამიანი იღუპება!

თუთაშხიამ მხოლოდ იმიტომ შემომხედა, რომ მისი ვინაობა ვთქვი. შემდეგ იქითა სუფრას გახედა, – ჩემი გვარ-სახელი ხომ არ გაიგონესო. დარწმუნდა, – ყური არავის არაფრისთვის მოუკრავსო, და მითხრა:

– არაა ჩემი საქმე. აღარაფერი არაა ჩემი საქმე, თუ მე არ მეხება, მე! ეგენი არც ერთი არაა ჩემი ჩარევის ღირსი. მივა კიკუ ამაღამ მაგასთან. რომ ჩავერიო, არ მივიდეს, იქნება, მაგრამ უარესს შვრებიან მერე ვიცი ეს! – თუთაშხია დადუმდა, ხელი ჩაიქნია და დასძინა:

– გავათავე ეგენი მე!

მაშინ კაზა ჩხეტიასთან მივიჭერი და სხაპასხუპით დავაყარე:

– რას სჩადიხართ, არა გრცხვენიათ?! მაგას ხომ ძალის ხმარება ჯობია, გესმით?! გაუპატიურება ჯობია... ძალით!

ძმაკაცებმა ერთხანს დიდი ინტერესით მათვალიერეს, ვითომ უმიზეზოდ და მოულოდნელად აყეფებული ჯიბის გოშია ვყოფილიყავი. შემდეგ კაზა ჩხეტიამ მოულოდნელად მაგარი სილა გამაწნა და კვლავ სათამაშო ქაღალდში ჩაიხედა.

გონს მოვედი, თუთაშხიასკენ გავიხედე. ჩიბუხს აფუტებდა, რა ვიცი, რაზე ფიქრობდა. რაღაცამ გამომაფხიზლა. ნელა დავიძარი, ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში შევლასლასდი, ლოგინში ჩავემხე და ავტირდი. დუქნის კარის ჭრიალი და ურდულების რახარუხი გაისმა. ხმა ჩავიწყვიტე, – დურუმ ჩემი ტირილი არ გაიგონოს, ეჭვი არაფერი აიღოს, თორემ ეს

ნაძირალები დასმენის განზრახვაში ჩამომართმევენ და საშინელებას რამეს დამმართებენ-მეთქი.

ფანჯრიდან მოჭედილი, მოკამკამებული ცა ჩანდა. სადღაც ვარსკვლავი მოწყდა, ცის კიდე ჩასერა და მიიკარგა.

ამდენმა დაძაბულობამ, ნერვიულობამ და მთელი დღის დაღლილობამ მძლია, ჩამეძინა.

რამდენი ხანი გავიდა – არ ვიცი. ტახტის ჭრიალმა გამაღვიძა. ბერი თავის ლოგინში გახდილი იწვა და აუმღვრევლად ფშვინავდა. თუთაშხიას ნაბადი ეხურა, ფხიზლობდა, ჭერს შეჰყურებდა. ჩემი ტახტის ჭრიალზე ერთხელ გამოიხედა და ისევ ჭერს ააპყრრო თვალი. მხოლოდ ერთი საფიქრალი მაწუხებდა: მივიდოდა თუ არ მივიდოდა კიკუ შეპირებული ქისის წასაღებად? ამ აზრმა ავეჯის ჭიასავით ამიტეხა ჭრა და კრაწაკრუწი.

ოთახებს წაბლის ფიცრის კედელი ჰყოფდა. გვერდით ყვალთავა და მისი ამხანაგები იყვნენ. რაღაც ჩურჩული და მთვრალი მამაკაცის ომახიანი ხვრინვა ისმოდა. ბევრი ვეცადე, ჩურჩული ვერ გავარჩიე. შუაღამის მამლებმა იყივლეს. თუთაშხია ლოგინზე წამოჯდა, ჩიბუხი გატენა, გააბოლა, იჯდა, სანამ ჩიბუხს ძირამდის დაიყვანდა.

მერე ისევ ნაბადში გაეხვია და მიწვა.

კიდევ საათი თუ მეტ-ნაკლები გავიდა. გვერდის ოთახიდან დაბალი მღელვარე ხმა მოისმა:

– რომელი ხარ მანდ!

– მე ვარ! – გავიგონე კიკუს ჩურჩული.

გაგუდული ჩურჩული იყო, თითქოს ვინმემ ყელში წაუჭირა და ისე ათქმევინა ის სიტყვები.

ყაჩაღებს შორის რაღაც გადალაპარაკება-გადმოლაპარაკება ატყდა, ტახტები აჭრიალდა. მერე ხმაური მინელდა და კაზა ჩხეტიამ თქვა:

– შემოდი, საყვარელო, რას დგახარ მანდ.

თუთაშხიამ ისევ წამოიწია, წამოჯდა. ისევ ჩიბუხის ტენვას მიჰყო ხელი. იასე-ბერი რამდენიმეჯერ გადაბრუნდ-გადმობრუნდა, გაინაბა და ამბავს მიაყურა.

ხმაურის მიხედვით ისე მივხვდი, რომ ბოდღო ყვალთავა და ყურუ ქარდავა თავისი ოთახიდან დუქანში გავიდნენ, ძმაკაცი დაამარტოვეს.

– შემოდი, გოგო რას დგახარ მანდ! – თქვა კაზა ჩხეტიამ და ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

– შედი, გოგო, გეძახის, ხომ გესმის? – ბოდღო ყვალთავას ხმა იყო.

ერთხანს თითქოს არაფერი ისმოდა. მერე ტახტის ჭრიალი და კიკუს ხმა გავიგონე:

– არ ვიცი ეგ... მეშინია. როგორ უნდა ეგ...

– არაფერი ცოდნა არ უნდა ამას. მოდი ჩემთან, საყვარელო, მოდი! მასე, მასე...

თუთაშხია ზეზე ადგა, სამოსი მიისწორ-მოისწორა, ქამარ-ხანჯალი შემოირტყა, ნაგანი და მაუზერი თავ-თავის ადგილზე მიირგო.

მეც ავდექი, თუთაშხიას წავჩურჩულე:

– ნაგანი მე მომეცით, მოგეშველებით შეძლებისდაგვარად!

ჩუმად იყო, თავის საქმეს აკეთებდა. ნათქვამი გავუმეორე.

გაინაბა, ფიქრობდა.

გვერდის ოთახიდან ტახტის უსაშველო ჭრაჭუნი და ქშენა მოდიოდა.

თუთაშხიამ ქამრიდან ნაგანი დაიძრო, ფეხზე შეაყენა და ხელში მომაჩეჩა.

სანამ არ მქონდა, მეგონა, რომ ჩემს აღშფოთებას მხოლოდ იარაღი აკლდა. ცივი, მომაკვდინებელი რკინა ვიგრძენი და ტანში ჟრუანტელმა დამიარა, უთუოდ იმიტომ, რომ სიკვდილს შევხედე – ჩემსას თუ სხვისას... ნაგანი მყისვე ჯიბეში ჩავიდე.

– დურუს პატარა ბიჭი რომ არის აქ, ძობა – აგერ ტრიალებს ის, – წამჩურჩულა თუთაშხიამ. – უარესი ამბავი დატრიალდება აქ. უეჭველია ეს. მივდივარ მე.

თუთაშხიამ ფაყუ ჩამოიფხატა, ჩოხის კალთები ქამარში ჩაიკეცა და ნაბადი წამოისხა.

ამას აღარ მოველოდი! სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ სინდისმა შეაწუხა და ჩარევა გადაწყვიტა...

გვერდის ოთახიდან მიბნედილი შეკივლება მოისმა. გულში გამეცინა, იღბალმა სხვისი ქალის ეს ხმაც ხომ გამაგონა-მეთქი.

დუქანში ფოსტლების თქარათქური ატყდა; დურუ გამოვიდა. ძობა მოსდევდა, ხელში შანდლით.

– მართალია ეს?! მომეჭრა თავი და დავიღუპე კაცი? – კიკუ, გამოდი მანდედან ახლავე! – დაიღრიალა დურუმ – გამოდი ახლავე!

– მიხედეთ მაგ ძაღლის შვილს, არ შემომივარდეს აქ, თვარა დავაგორებ ღორივით! – ოთახიდან გასძახა ძმაკაცებს კაზა ჩხეტიამ.

– რა ვთქვი მე, რათ გვინდოდა ეს გლახა საქმე... – ჩაილაპარაკა ყურუ ქარდავამ.

– დამღუპეთ ხომ ძაღლის შვილებო! – ისევ დაიღრიალა დურუმ.

– წაეთრიე, ახლა! ვის არის რომ აგინებ, შე ბაყაყო შენ! – შეუყვირა ბოდღო ყვალთავამ დურუ მედუქნეს, წამოიწია და ტანით გადაეღობა.

ყურუ ქარდავა უხალისოდ წამოდგა. ორთავემ მაუზრები მოიმარჯვეს.

დურუ წამით გაირინდა. მერე მიტრიალდა და თავის ბინაში შევარდა ფოსტლების ტყაპატყუპით.

თუთაშხიამ ოთახიდან გასვლა დააპირა.

– აქ უარესი ამბავი დატრიალდებაო, თქვი და გარბიხარ? – მოულოდნელად გაისმა იასე-ბერის ხმა – ლაჩარი ყოფილხარ!

თუთაშხია ბერს მიუბრუნდა გაიღიმა და ჰკითხა:

– ლაჩარი?..

– ვინც ღმერთს განუდგა, ვინც კაცთათვის არ აღასრულა ის, რის აღსრულებაც ძალედვა, ვინც ღვთის შვილს განსაცდელში ხელი არ გაუწოდა – იგი ლაჩარია, მან თავისი თავი მარტოობისთვის გასწირა. თუ შენ არ გინდა კაცნი, არც კაცთა უნდიხარ შენ და ხვედრი შენი – მომწყვდეული ნადირის ხვედრი არის! – მშვიდად დაუდასტურა ბერმა.

თუთაშხიამ ჩაიცინა, გზიდან ჩამომიშორა. დუქანში გავიდა, მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით მიაშურა ურდულით გადაკეტილ გასასვლელ კარს.

ძობამ ნაბადში სტაცა ხელი და შეემუდარა:

– დათა-ბიძია, არ წახვიდე... ნუ წახვალ, დათა-ბიძია, დავიღუპებით!..

თუთაშხია გაქვავდა. პირქუში, ავბედითი სიჩუმე ჩამოწვა.

დათა თუთაშხიას უხორცო და შეუპოვარი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამის გამო მეორე აზრი არ გამეგონა და არც არსებობდა. მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ უკან მოხედვის, ძობას თვალებისა და სახის გამომეტყველების დანახვისა ეშინოდა. არც მოუხედია. ჯიბრით ზიზღით თქვა:

– უნდა წავიდე აქედან მე! – თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. დაიძრა, კარებს ურდულები აჰყარა და დუქნიდან გავიდა.

თვალცრემლიანი, მტირალი ძობა მისძახოდა:

– არ გვეხმარები, დათა-ბიძია, მიგვატოვე, დათა-ბიძია, ხომ? – ამას მაშინაც იმეორებდა, როცა თუთაშხიას, ალბათ, აღარც ეყურებოდა – თავლაში იყო, თავის ცხენს ჰკაზმავდა.

დანარჩენი ათიოდე წამში მოხდა: დურუ გამოვარდა ფეხზე შეყენებული ორლულიანი თოფი ეჭირა. ძობამ უბედურება იგრძნო, გულსაკლავად, გაშმაგებით შეჰკივლა.

დურუმ ყაჩაღებს მუქარით მიმართა:

– გამოუშვით ჩემი შვილი მანდედან, თქვე ძაღლის შვილებო, თქვენ! – და ცალი ლულა დაცალა.

ყურუ ქარდავას მაუზერი დაუვარდა. ხელი მარჯვენა მხარში იტაცა, სახე ტკივილმა გადაუბრიცა.

ბოდღო ყვალთავამ დურუ მედუქნეს დაუმიზნა.

– არ ესროლო, ბოდღო... – დაიყვირა ყურუმ, მაგრამ ყვალთავამ ორჯერ ზედიზედ დაცალა.

დურუ იატაკზე გაიშხლართა, მუცელზე ხელი იტაცა, კრუნჩხვასა და გორვას მოჰყვა.

– რა ქენი, ბოდღო... რა შუაში იყო ეგ კაცი! – ჩაილაპარაკა ყურუმ.

– არაა მაგის დრო ახლა! – მიუგო ყვალთავამ და დაიყვირა. – კაზა, დაანებე თავი მაგ კახპას!.. ჩაიცვი ახლავე! – ყურუს მიუტრიალდა: – ჩაიცვით რომ გელაპარაკებით მე თქვენ!

– ვის გავექცეთ ნეტავი! – გამოსძახა კაზა ჩხეტიამ ოთახიდან, მაგრამ უმალ გამოვიდა. ნაჩქარევად იცვამდა, იარაღს ისხამდა. ძობამ შანდალი იატაკზე დადო, მუხლებზე დაეშვა, გაოგნებული დაჰყურებდა მომაკვდავ მამას.

კიკუც გამოლასლასდა, მამისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. თვალები სხვაგან ჰქონდა, სივრცეში. მილასლასებდა და ამბობდა:

– აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული ბაბა. ა, ფული, ბაბა! – ქისა ეკავა, ის ქისა, რომლიდანაც კაზა ჩხეტიამ ხელისგულზე ოქროს თუმნიანები წამოიპნია.

მოახლოვდა, სკამზე დაეშვა, ისევ საითღაც იყურებოდა. დურუ იატაკზე იკრუნჩხებოდა და კვნესოდა.

დუქანში თუთაშხიამ შემოიხედა, ალბათ, იმისთვის, რომ ენახა, თუ რა მოხდა ამდენ სროლაში.

დურუმ დაინახა და ამოიხრიალა:

– დათა თუთაშხია, შენს კისერზეა ჩემი შვილების ცოდვა!

თუთაშხია ლანდივით გაქრა.

დურუს კრინტი აღარ დაუძრავს. კრუნჩხვასაც მორჩა, სული დალია.

დათა თუთაშხიას ხსენებაზე ბოდღო ყვალთავამ და კაზა ჩხეტიამ ერთმანეთს გადახედეს და გაინაბნენ. ყურუ ქარდავასაც უკიდურესი განცვიფრება შეეტყო.

გარედან ცხენების ფლოქვის ხმა შემოიჭრა. ბოდღო ყვალთავამ ყურები ცქვიტა, მაუზერი ფეხზე შეაყენა და გარეთ გავარდა. ამხანაგებიც მიჰყვნენ.

– ცხენები მიჰყავს ჩვენი!

– რატომ მიგყავს, დათა თუთაშხია, ჩვენი ცხენები!

– დატოვე ჩვენი ცხენები, თვარა!..

– თვარა გესვრით!

– თქვენ დურუს რომ ესვრით, ის კაცები ხართ! მე რომ მესვრით, ის კაცები არ ხართ, წუპაკო მამაძაღლებო, თქვენ!

ეს სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა: არც გაუსროლიათ, არც გამოსდევნებიან. ცოტა ხანს დუქნის კარებთან იდგნენ, ხმადაბლა თათბირობდნენ და უდრტვინველად გასცქეროდნენ, როგორ მიჰყავდა მათი ბედაურები დათა თუთაშხიას.

კაზა ჩხეტიამ დუქანში შემოირბინა, გაოგნებულ კიკუს ხელიდან ქისა გამოსტაცა და გავიდა.

აღარ შემობრუნებულან. იქაურობას საითღაც გაეცალნენ.

ძობას ელდამ გადაუარა, ტირილი და მოთქმა დაიწყო.

კიკუს ქისის წართმევა არც უგრძვნია. კლავინდებურად სივრცის რომელიღაც წერტილს მისჩერებოდა და ბუტბუტებდა:

_ აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული, ბაბა!

ოთახში შევბრუნდი იასე-ბერს დავადექი:

– ადექი მამაო იასე. ამ ცოდვის კითხვაში რა დროს ძილია!

– როცა კაცი სცოდავს – ღმერთი სდუმს! – თქვა ბერმა და წამოდგა.

დათა თუთაშხიას ტახტი დუქანში გავიტანეთ, დურუს ცხედარი ზედ დავასვენეთ. ორივე ტყვია მუცელში ჰქონდა მოხვედრილი.

იასე-ბერი წესის აგებას შეუდგა.

მუცელში რაღაც ტკივილმა შემაწუხა, კარში გავედი. მშვიდი ღამე იყო, ცისკრის ვარსკვლავი მოწითლოდ ციმციმებდა. მომაგონდა, რომ ჯიბეში იარაღი მედო. არც დავფიქრებულვარ, არც შევყოყმანებულვარ – ზარულის ორმოში ჩავაგდე. მაშინვე გულზე მომეშვა. გავიფიქრე კიდეც, თუ ვინმემ გამჩხრიკა, იარაღს ხომ ვეღარ მიპოვნის-მეთქი. დღემდე მიკვირს, რომ არამცთუ ვერ გამოვიყენე, აზრადაც არ მომსვლია მესროლა. ალბათ,

გუმანმა მიკარნახა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უეჭველი სიკვდილი მელოდა.

სული ტკბილია და სულმა უკეთ იცის.

ამ ადგილებში კიდევ წელიწადი ვიმუშავე. მგონი, მეტიც. კიკუ იმ ღამის მერე ჭკუიდან გადაცდა. რამდენიმე დღის შემდეგ ძობამ ტყეში იპოვნა, თხმელის ძირას. მჯდომარე მომკვდარიყო და ისევე დარჩენილიყო – მკვდარი იჯდა.

ძობას ასავალ-დასავალი რიგიანად ვერ გავიგე: ამბობდნენ, ქუთაისში რომ ბიძა ჰყავდა, იმან წაიყვანაო.

ის წაიყვანდა.

**გრაფი სეგედი**

... მუშნი ზარანდიას მაშინ უკვე საგანგებო დავალებათა ოფიცრის თანამდებობა ეჭირა. მეფისნაცვალთან დაგვიბარეს, დანიშნულ დროს ვეახლეთ. ადიუტანტმა დაუყოვნებლივ შეგვიშვა. მეფისნაცვლის კაბინეტში პეტერბურგიდან ჩამოსული პოლკოვნიკი სახნოვი დაგხვდა. ეს კაცი საიმპერიო ჟანდარმერიის შეფის ერთ-ერთი მოადგილე იყო. მისი აქ ყოფნა არ გამკვირვებია, თუმცა სამი დღის ჩამოსულს ჩემს დაწესებულებაში ფეხი არ დაუდგამს და არც თბილისში ყოფნა უცნობებია. ეს ჩემს მიმართ ანგარიშგაუწევლობა იყო. მე მისი თბილისს მობრძანება აგენტურული ინფორმაციიდან ვიცოდი. მაშინ ამიერკავკასიაში იმდენად მნიშვნელოვანი საქმე არაფერი მეგულებოდა, რომ პეტერბურგიდან მაღალი თანამდებობის პირის ჩამოსვლა ყოფილიყო მოსალოდნელი და პოლკოვნიკ სახნოვის ინკოგნიტოდ გამოჩენამ იმთავითვე დამაინტერესა. ეს პიროვნება თავისი ჩინითა და თანამდებობით პირადად ჩემთვის სერიოზულ სიდიდეს არ წარმოადგენდა. ამასთან, ქერქეტა კაციც იყო, მისი გონებრივი ხელმოკლეობის დემონსტრირებას რამდენჯერმე თავად შევსწრებივარ. მაღალი თანამდებობა იმით აიხსნებოდა, რომ დიდი მთავრის ნათლულს ყველაფერს პატიობდნენ. აქვე დავსძენ: სახნოვი რომ სამსახურიდან გადადგა, მისი თანამდებობა რამოდენიმე ხნის შემდეგ, დროებით, მუშნი ზარანდიამ დაიკავა; პეტერბურგში მოღვაწეობა ზარანდიამ იმ პოსტიდან დაიწყო.

მეფისნაცვალს ხაზგასმული სერიოზულობა შევნიშნე. სახნოვიც სიცილის მომგვრელ იდუმალებას ამჟღავნებდა. ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მეფისნაცვალსა და პოლკოვნიკს საგანგებო მნიშვნელობის თათბირის ჩატარება სურდათ. ჩემი ყურადღების გასამახვილებლად ამგვარი კომედიის თამაში საჭირო არ იყო: გამოდიოდა, რომ იგი მუშნი ზარანდიას განეკუთვნებოდა, მაგრამ ფარსის დამდგმელებს, სამწუხაროდ, არაფერი გაეგებოდათ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე; ზარანდიას ერთხელ შევავლე თვალი და დავრწმუნდი, ყველაფერი ჩემზე უკეთ ესმოდა. მან უკვე იცოდა, როგორც უნდა წარემართა თათბირი. წარემართა-მეთქი, ვამბობ, რადგან არ მახსოვს ზარანდიას მონაწილეობით ჩატარებული რაიმე საქმიანი შეკრება, რომელზეც მისთვის საინტერესო საკითხებს სხვანაირი გადაწყვეტა მიეღოთ და არა ისეთი, როგორიც თვით ზარანდიას სურდა. სიბრალული ვიგრძენი მეფისნაცვლისა და სახნოვის მიმართ და კეთილი გულისთვის ჩემი თავი შევაქე: ტუტუცების შებრალება ხომ სათნოების უპირველესი ნიშანია. ასე იყო თუ ისე, ერთობ რიგიან გუნებაზე დავდექი, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგ თანამდებობრივი ეთიკის ნორმებისა, მეფისნაცვალს ჩემთვის წინასწარ არ უცნობებია

თათბირზე განსახილველი საკითხების შინაარსი და ახლაც არ ვიცოდი, რა საგანზე უნდა გვემსჯელა. მაინც, თუ შეიძლება,ასე ითქვას, მხიარულ ცნობისმოყვარეობასა და მოლოდინს განვიცდიდი. კითხვა-მოკითხვის, რამდენიმე პეტერბურგული და თბილისური ანეკდოტის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მეფისნაცვალმა თათბირი გახსნა და მისი წარმართვა პოლკოვნიკ სახნოვს სთხოვა.

– რა ნათესაობა გაქვთ ყაჩაღ თუთაშხიასთან? – მიახალა პოლკოვნიკმა ზარანდიას.

თათბირის ასეთ დასაწყისს მეც კი არ ველოდი. ვიგრძენი, რომ ზარანდია ამ კაცის სისულელემ ძალიან გაამხიარულა. მან მშვიდად მიუგო:

– და-ძმის შვილები ვართ. მამაჩემის ოჯახში დავიზარდეთ ერთად. დათა თუთაშხია და მისი და – ელე, ბავშვობაშივე დაობლდნენ. საქართველოში უფრო ახლო ნათესაობა მხოლოდ ერთი დედ-მამის შვილობაა. უნდა მოგახსენოთ, მიუხედავად იმისა, რომ ალალი ძმებივით ვართ, დათა თუთაშხია ყაჩაღად გავარდნის შემდეგ აღარ მინახავს და არც ვნახავ, თუ ამგვარი რამ ჩემმა სამსახურებრივმა მოვალეობამ არ მომთხოვა.

სახნოვისთანა პრიმიტივს მეორე კითხვად, რა თქმა უნდა, ის ექნებოდა მომზადებული, თუ რა კავშირი და ურთიერთობები ჰქონდა იმჟამად ზარანდიას თავის აბრაგ ბიძაშვილთან, მაგრამ ზარანდიამ იეშმაკა. მომარჯვებულ კითხვაზე წინასწარ უპასუხა. სახნოვს ისეთი სახე შეექმნა, ვითომ დაჯდომას აპირებდა და ამ დროს სკამი გამოაცალეს. ეს ხრიკი ზარანდიას თავის დროზე და სხვა სიტუაციაში ჩემთანაც ჰქონდა ნახმარი. ხრიკის ხმარებას დროის დაზოგვის სურვილით ხსნიდა. ნამდვილად კი მოპირდაპირის აზრებში არეულობის შეტანის მიზნით ხმარობდა. სახნოვთან ამ მიზანს აბსოლუტურად მიაღწია. პოლკოვნიკი კარგა ხანს იჯდა დაბნეული. მერე თავს მოერია ქაღალდში ჩაიხედა და კითხვა დაუსვა:

– სწორია თუ არა, რომ თქვენს მიერ კონტრაბანდისთვის დაპატიმრებული ებრაელის ძმებმა თქვენს მეუღლეს ხუთ ათას მანეთად ღირებული ბრილიანტის საყურეები მიართვეს?

– ჭეშმარიტებაა! – დაუდასტურა ზარანდიამ, პორტფელი გახსნა, რაღაცის ძებნა მოჰყვა.

სახნოვი გამოცოცხლდა, მეფისნაცვალს გადახედა, ერთი გამკიცხავი მზერა მეც მესროლა, კვლავ ზარანდიას მიუბრუნდა და დამატებითი კითხვის მიცემა დააპირა...

აღარ დასცალდა – ზარანდიამ ხელში ქაღალდი მიაჩეჩა და განაგრძო:

– ის ოპერაცია ჩვენ მაისში ჩავატარეთ. გამოძიების დრო – იმავე წლის სექტემბერში იყო – ებრაელის ძმებმა ქრთამი შემომთავაზეს. თვით შემოთავაზება ისეთ ფორმაში და სიტუაციაში მოხდა, რომ ბოროტ განზრახვაში მათი მხილება ვერ მოხერხდებოდა. მათი გამოწვევა, იძულება, რომ უფრო პირდაპირი გზით შემოეთავაზებინათ, ჩემი მხრივ იქნებოდა დანაშაული. მე ისინი დავაიმედე, რომ მათი ძმა, ჩადენილი დანაშაულის უმნიშვნელობის გამო, ორი წლის პატიმრობით გადარჩებოდა, და გავისტუმრე. სამიოდე დღის შემდეგ, ანუ სექტემბერშივე, მათ ჩემს მეუღლეს ხსენებული საყურეები შეაჩეჩეს. ეს

ჩემთვის მომდევნო კვირაში გახდა ცნობილი. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, ანუ სამ ოქტომბერს, ქუთაისში ნოტარიუსმა ეგ საბუთი შეადგინა.

ზარანდიას ქაღალდი ახლა უკვე მე მეჭირა. ნოტარიუსი ადასტურებდა მუშნი ზარანდიას მიერ ებრაელებისთვის საყურეების დაბრუნების ფაქტს.

თავი ვეღარ შევიკავე, გამეცინა. მეფისნაცვალმა წყალი მოსვა და თვალებაფახულებულ სახნოვს გადაულაპარაკა:

– Un vrai Satan! *(ნამდვილი სატანაა!)

ზარანდიამ უამისოდაც იცოდა, ვინც იყო, რაც იყო, და მეფისნაცვლის დამოწმება, ალბათ, არ ესაჭიროებოდა.

– ბატონო ზარანდია, თქვენ უთუოდ გესმით, რომ ჩვენი თათბირის ეს სახამუშო ნაწილი აუცილებელი ფორმალობის მეტი არა იყო რა, – თქვა მეფისნაცვალმა.

– უდავოდ! – დაუდასტურა ზარანდიამ.

უხერხული სიჩუმე ჩამოდგა. მეფისნაცვალმა სახნოვს თვალი ამდენჯერმე შეავლო, რამ ჩაუგდო ენაო. სახნოვი საქაღალდეში იქექებოდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დამსწრეთათვის დაენახვებინა, აი, ახლავე მოვრჩები და განვაგრძობო. მუშნი ზარანდია ერთობ კმაყოფილი ჩანდა. მე იმის გამოცნობას ვლამობდი, თუ რისთვის იყო მოწვეული ეს ფრიად საგანგებო და საიდუმლო თათბირად განზრახული შეკრება. ხომ შეუძლებელია, სახნოვი პეტერბურგიდან ზარანდიასთვის ამ ორი იდიოტური კითხვის მისაცემად ჩამოსულიყო? პოლკოვნიკმა, როგორც იქნა, აზრი მოიკრიბა, ჩაახველა და თქვა:

– იმპერიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვს თვითდინებაზე მიშვებული ან მიტოვებულ-ხელჩაქნეული საქმეების გადაუდებლივ დასრულებას. ამჟამად თქვენი სამმართველოსთვის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ოცამდე ბანდა, თუ მარტოხელა ყაჩაღი მოქმედებს და მათი ლიკვიდაციისთვის ჩატარებულ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოაქვს, რით უნდა აიხსნას აღნიშნული მდგომარეობა?

სახნოვი პასუხს ჩემგან ელოდა. ამ საკითხზე ჩვენი უწყება პეტერბურგში წერილობით მოხსენებას ყოველ ორ-სამ თვეში გზავნიდა. სახნოვისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. ახლა კიდევ ერთხელ მოითხოვდა განმარტებას. ძლიერ მოკლედ, თეზისების სახით მოვახსენე თათბირს:

– პირველი: ბანდიტიზმს მოძველებული, უვარგისი მეთოდებით ვებრძვით. მეორე: ბრძოლას აწარმოებს რამდენიმე უწყება ერთდროულად – პოლიცია, ჟანდარმერია, სამხედრო ოლქი და სერიოზულად კი – არც ერთი. ხსენებულ უწყებათა ღონისძიებები ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა და აქედან – უეფექტოც. მესამე: ბანდიტს აქვს დასაყრდენი – მოსახლეობის თანაგრძნობა და დახმარება, რასაც ჩვენ, თითქმის, სავსებით ვართ მოკლებული. მეოთხე: ჩვენი მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობენ უნიჭო, მარტივი გონების ადამიანები, მაშინ, როდესაც ყოველი მოუხელთებელი ყაჩაღთაგანი ნიჭიერი,

მამაცი და გამოცდილი პიროვნებაა. პი-როვ-ნე-ბა! ყაჩაღებს, რომლებიც თავისი პირადი ღირსებებით მდევრებს არ აღემატებიან, ადვილად ვიჭერთ. ბოლო ხუთი წლის მანძილზე – ორმოცდათერთმეტი კაცი!

– თქვენ რა აზრისა ხართ?.. – სახნოვმა ზარანდიას ჰკითხა.

– მისი ბრწყინვალების ნათქვამი დაკვირვებიდან, არსებული გამოცდილებიდან და მრავალგზის შემოწმებული დასკვნებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ჩამოთვლილი მოსაზრებები ჭეშმარიტებად მიმაჩნია.

სახნოვმა ტუჩები დაბრიცა, ამ პირმოთნე სუბიექტის თათბირზე დასწრება ვის რაში დასჭირდაო. მეფისნაცვალმა ეს ჟესტი შენიშნა და აფეთქდა. აფეთქდა არა იმიტომ, რომ ზარანდიას პასუხი არ მოეწონა. არამედ იმიტომ, რომ ჩემი ნათქვამი მხოლოდ განმეორება იყო მეფისნაცვლის მიერ დადასტურებული და პეტერბურგს მრავალჯერ გაგზავნილი მოხსენებებისა და სახნოვის ჟესტი თვით მეფისნაცვლის აზრის უარყოფას ნიშნავდა.

– გრაფი მართალია! – კატეგორიულად თქვა მეფისნაცვალმა.

– დიახ, მეც ასე მგონია, – სასწრაფოდ დაუკრა კვერი სახნოვმა, ცოტა ხანს ჩუმად იყო და შემდეგ თითქოს თავისთვის თქვა: – მაშასადამე, საჭიროა მეთოდების შეცვლა, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი რომელიმე უწყების ხელში კონსოლიდაცია, ყაჩაღობის დასაყრდენის ანუ მოსახლეობის თანაგრძნობის აღმოფხვრა და ბრძოლაში ნიჭიერი, გამოცდილი ადამიანების ჩაბმა. ასე გამოდის, ხომ?

ჩემი თეზისებიდან ამგვარი დასკვნის გამოტანას დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა. ხილული და ხელმისაწვდომი დასკვნა, ფაქტიურად, თვით ჩემს მოსაზრებებშივე იდო და, როგორც უკვე ვთქვი, არც პეტერბურგისთვის დაგვიკლია ამ შინაარსის წერილობითი მოხსენებები. მაინც გამიკვირდა სახნოვის გამჭრიახობა, მაგრამ როგორც მერე შევნიშნე, პორტფელში ხშირ-ხშირად იმისთვის იყურებოდა, რომ ჩემს ერთ-ერთ მოხსენებით ბარათს კითხულობდა ჩუმად.

– ჩვენი დღევანდელი თათბირის მიზანია, დავსახოთ აღძრული საკითხების გადასაჭრელი გზები. თათბირის მონაწილეებს ვთხოვ, გამოთქვან აზრი ამ მიმართებით. – სახნოვმა მეფისნაცვალს მიაპყრო მზერა.

– გრაფს თავის მოხსენებაში ჩვენი საერთო აზრი მკაფიოდ აქვს ფიქსირებული. იგი თქვენთვისაც ცნობილია, მაგრამ თუ მისი ბრწყინვალება ისურვებს – გაიმეოროს.

– კავკასიის მეფისნაცვალს საგანგებო რწმუნებები უნდა მიენიჭოს, რის შემდეგ ჩვენ ვიმოქმედებთ გამომდინარე კონკრეტული სიტუაციიდან და, ვფიქრობ, წარმატებასაც მივაღწევთ. – ვიგრძენი, რომ მეზარებოდა ლაპარაკი ათასჯერ თქმულზე, დაწერილზე, მოხსენებულზე. ეს წყლის ნაყვა იყო და გაღიზიანებულმა დავსძინე: – მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა კავკასიის მეფისნაცვალს საგანგებო რწმუნებებზე უარს არ ეტყვის, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობის შემთხვევაში: საიმპერიო ჟანდარმერიის შეფმა ამ რწმუნებათა საჭიროება უნდა დაუდასტუროს ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრს, შემდეგ თვით მის უდიდებულესობას. ამისთვის კი საჭიროა, რომ

თქვენ სავსებით გაიზიაროთ ჩვენი თვალსაზრისი და დაარწმუნოთ ჟანდარმთა შეფი ჩვენი მოთხოვნის მართებულობაში.

– რაში გამოიხატება საგანგებო რწმუნებები?

– მეფისნაცვალს უნდა მიენიჭოს უფლება, შეიწყნაროს ყაჩაღის წარსული დანაშაული და შეირიგოს იგი. მის ორდერს კანონის ძალა უნდა ჰქონდეს! – განვუმარტე სახნოვს.

პოლკოვნიკი დაფიქრდა და მუშნი ზარანდიას ზრდილობის გულისთვის ჰკითხა:

– თქვენ?

– ბატონო პოლკოვნიკო! ჩემი აზრით, თქვენი დასკვნა მისი ბრწყინვალების, გრაფის მიერ წამოყენებული მოსაზრებების გამო, უკლებლივ შეიცავს მოქმედების ყველა გზას, ფაქტიურ პროგრამას, რომელსაც სავსებით ვეთანხმები. თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ გავშლი, ჩამოვაყალიბებ, განვმარტავ თქვენს აზრს, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ, უპირველესად ყოვლისა, თვით ჩემთვის გახდეს უფრო ნათელი, გასაგები...

პოლკოვნიკმა ზარანდიას ამ ადგილზე სიტყვა შეაწყვეტინა:

– მერე, ბატონო ზარანდია... სხვა დროს!

– არა, ბატონო პოლკოვნიკო!.. ჩემი თხოვნა იქნებოდა, მივცეთ ბატონ ზარანდიას მსჯელობისა და თათბირში მონაწილეობის საშუალება! – გადაჭრით მოვითხოვე მე.

ამ მოთხოვნას შემდეგი აზრი ჰქონდა:

ზარანდია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ყოველთვის და ყველა განსახილველ საკითხზე აქვთ თავისი აზრი, დასკვნა და მოქმედების მეტნაკლებად ჭკვიანური გეგმაც. ამასთან, კერძოდ ზარანდიას გეგმა მუდამ გონიერი და ქმედითი იყო, თუმცა რამდენადმე უცნაური, თავისებური, გაბედული. ამ თვისებათა გამო საშუალო გონების, ანდა საკითხზე ცუდად ინფორმირებულ მსმენელს მისი გეგმა არარეალურად, მიუღებლად ეჩვენებოდა. ზარანდიამ იცოდა ეს. ამიტომ თავის საკუთარ გეგმას ერთობ კადნიერად მიაწერდა ხოლმე თათბირის ყველაზე გავლენიან მონაწილეს, რათა სათქმელი იმ კაცის ავტორიტეტის სიმაღლიდან თქმულიყო. ეს ხერხი გეგმის მიმართ დამსწრეთა წინასწარ კეთილგანწყობას და, საბოლოო ჯამში, გეგმის მიღებასაც უზრუნველყოფდა, მით უმეტეს, რომ ზარანდიას მიერ შერჩეული გავლენიანი მოთათბირე, მზადყოფნით კისრულობდა ჭკუამახვილი გეგმის ავტორობას. ზარანდიას მხოლოდ ის აინტერესებდა, რომ მისი გეგმა გასულიყო, და არა ის, თუ ავტორად ვინ იქნებოდა აღიარებული. ეს ოინი მას ჩემს მიმართაც რამდენიმეჯერ და წარმატებით ჰქონდა გამოყენებული. უნდა ვთქვა, ადვილად ვტყუვდებოდი ერთი უბრალო, სრულიად ადამიანური თვისების გამო: ჩვენს პოტენციაში, ქვეცნობიერებაში მუდამ არის დასკვნა ან მისი ჩანასახი, ნაცნობი, ნაფიქრი საგნის გარშემო და როცა სხვანი ამ დასკვნას სიტყვიერ, უკვე ჩამოყალიბებულ ფორმაში გვთავაზობენ, იგი ცნობილ ჭეშმარიტებად და, ამასთან, ჩვენს მიერ დადგენილ ჭეშმარიტებად გვეჩვენება.

მუშნი ზარანდიამ სახნოვისთვის განკუთვნილი პასუხი ისე დაიწყო, რომ ჩემთვის ნათელი შეიქნა: ჰქონდა გეგმა და სახნოვის სახით მის ფსევდოავტორს ეძებდა. მე თვით გეგმაც მაინტერესებდა და შემდეგ, ხრიკზე სახნოვის წამოგების პროცესიც.

მეფისნაცვალი პოლკოვნიკის თანხმობას არ დალოდებია, ზარანდიას უთხრა, – ილაპარაკეთო.

ზარანდიამ მორცხვად გაიღიმა, მეფისნაცვალს თავაზიანად დაუკრა თავი, რაც მადლობასა და ბოდიშს ერთროულად ნიშნავდა, და დაიწყო:

– ბატონმა პოლკოვნიკმა თავისი დასკვნის უპირველეს საკითხად ყაჩაღობის დასაყრდენის, მოსახლეობის მხრივ თანაგრძნობისა და დახმარების აღმოფხვრა წამოაყენა და ბუნებრივიც არის, რადგან ეს ურთულესი და უძნელესი პრობლემაა. მიუხედავად ამისა, მისი დაძლევა შესაძლებელია და, ამასთან ერთად, უშუალოდ არის დაკავშირებული ბრძოლაში უნარიანი, გამოცდილი ადამიანების ჩაბმის საკითხთან. ბატონი პოლკოვნიკის დებულებები პრაქტიკულ საქმიანობაში ასეთი ფორმულის სახეს მიიღებენ: მოსახლეობის მხრივ ნდობის, დახმარების მოსპობა ყაჩაღის რეპუტაციის გასვრის, სახელის გაფუჭების გზით. შემდეგ, ყაჩაღის შემორიგება. ბოლოს, შემორიგებულის გადმობირება, ჩვენს სამსახურში აყვანა და სხვა ყაჩაღებთან საბრძოლველად გამოყენება.

რამდენადაც მესმის, ეს ფორმულა ღონისძიებათა შემდგომ მიმდევრობას გულისხმობს: ჭკვიანურად შეთხზული მაკომპრომეტირებელი ხმების გავრცელება, ყაჩაღის მიერ ხალხის წინააღმდეგ მოქმედების, ადამიანთა დარბევის, ძარცვის, უდანაშაულოთა მკვლელობების ინსცენირებები და ამ რიგის სხვა ღონისძიებები, რომელთა შედეგად საქმე გვექნება სახელგატეხილ და გასვრილ ბოროტმოქმედთან და არა გმირთან ხალხის თვალში. ეს, ფაქტიურად, განიარაღებული, სასოწარკვეთილი ადამიანი იქნება. ასეთი ან თავისი ნებით ჩაგვბარდება, ან მითავაზებულ შემორიგებაზე დაგვეთანხმება, ან ჩვენს მიერ გადმობირებული კაცი დანიშნული ჯილდოს ფასად და სინდისის უქენჯნელად ჩაგვაბარებს მას. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს უნდა იყოს დაჟინებული მუშაობის პროცესი და არა კამპანია ან, მით უმეტეს, ერთდროული ღონისძიება. ამასთან ერთად, წინასწარ უნდა გამოვაპირობოთ, რომ ცალკეული ყაჩაღის მიმართ ხსენებული მეთოდიც კი უმწეო აღმოჩნდება, მაგრამ როგორც მისი ბრწყინვალება გრაფი სეგედი იტყვის ხოლმე, გამონაკლისი მხოლოდ ადასტურებს წესს და წესის მართებულობას. ამგვარად, ბატონებო, ზემომოყვანილი ფორმულის პირველი წრე შეიკრა.

ახლა ფორმულის მეორე წრის ღონისძიებათა მიმდევრობა: მეფისნაცვლის ორდერი შემორიგებამდე ჩადენილი დანაშაულის პატიება იქნება და არა მომავალი შეუვალობის სიგელი. შემორიგებული ყაჩაღის მიერ ჩადენილი ახალი ბოროტმოქმედება, ცხადია, ახალ პასუხისგებას მოითხოვს. დანაშაულის ინსპირირება, შემდეგ, მახეში გაბმული ბოროტმოქმედის გადმობირება და გამოყენება, სწორი მიდგომის შემთხვევაში, არცთუ ძნელი საქმეა: როცა ბატონი პოლკოვნიკი ბრძოლაში უნარიანი, გამოცდილი ხალხის ჩაბმაზე ლაპარაკობდა, ეჭვს გარეშეა, გულისხმობდა, რომ მათი შეძენის სხვა წყარო არ არსებობს. რჩება ბატონი პოლკოვნიკის დასკვნაში არსებული კიდევ ორი რამ – მეთოდი და კონსოლიდაცია: მეთოდი ახალია, იმდენად მაინც, რომ იგი ჩვენ, სახელდობრ, ყაჩაღების წინააღმდეგ ჯერ არ გამოგვიყენებია და მისი სპეციფიკა თავისთავად მოითხოვს ბანდიტიზმთან ბრძოლის კონსოლიდაციას ჟანდარმერიის ხელში.

ასე მესახება ბატონი პოლკოვნიკის დასკვნაში არსებული მოქმედების პროგრამა. იგი კავკასიის მეფისნაცვლისთვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭებას გარდუვალად გულისხმობს. დასასრულ ვიტყვი, რომ ბატონი პოლკოვნიკის გეგმას სავსებით ვეთანხმები და მისი განხორციელება საჭიროდ მიმაჩნია.

მუშნი ზარანდია დადუმდა.

სახნოვი მისთვის უცნობი გეგმის ავტორობამ მხოლოდ ერთი წუთით შეაცბუნა. შემდგომ მსჯელობას იგი უკვე ისეთი იერით ისმენდა, როგორც მასწავლებელი ჩამორჩენილი მოწაფის მიერ კარგად ნასწავლ გაკვეთილს ისმენს ხოლმე და ზარანდიას დადუმებისთანავე მენტორის კილო აიღო.

– ბატონებო, თქვენთვის, ალბათ, ნათელია, აქამდე რატომ არ ვიშუამდგომლეთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე კავკასიის მეფისნაცვლისთვის საგანგებო რწმუნებათა მისანიჭებლად. შინაგან საქმეთა მინისტრი, ჟანდარმთა შეფი და პირადად მეც ვერ ვხედავდით თქვენს ისეთ გეგმას, რომლის განხორციელებას საგანგებო რწმუნებები ესაჭიროებოდა. აქ, ადგილზე საკითხის შესწავლის შემდეგ, საქმის ვითარება ჩემთვის ცხადი გახდა და, როგორც ხედავთ, გეგმაც დაისახა: ვიმედოვნებ, იგი მოწონებული და განხორციელებული იქნება.

სახნოვის კადნიერებამ ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ასეთი უკიდურესი თავხედობა, მართლაც, იშვიათი სანახავი გახლდათ.

– ჩემი მხრივ, აღგითქვამთ, – განაგრძობდა პოლკოვნიკი, – რომ კავკასიის მეფისნაცვალი საგანგებო რწმუნებებს უახლოეს ხანებში მიიღებს. დაგვრჩა ორიოდ საკითხი; გეგმას კოდირებული დასახელება უნდა ეწოდოს... – სახნოვი წამით დაფიქრდა და თქვა: – დიახ, ეს შესაფერი იქნება. “კილიკია!” თუ მეხსიერება არ მღალატობს, იულიუს კეისარი კილიკიელ მეკობრეთა წინააღმდეგ სწორედ ამგვარ მეთოდებს იყენებდა. მაშ, ასე – “კილიკია!” ახლა, ბატონებო, გთხოვთ, დავასახელოთ კანდიდატურა, პირი, რომელსაც უშუალოდ დაეკისრება გეგმის განხორციელება.

მეფისნაცვალი და მე, დარწმუნებული ვარ, ერთობ საინტერესო სანახავი ვიყავით; ეს შოკზე მეტი იყო და ჭკუიდან გადაცდენაზე ცოტა ნაკლები... ვდუმდით, რადგან, ერთი მხრივ, ამდენი ეშმაკობის, ლოგიკურობის და, მეორე მხრივ, გაუვალი სიბრიყვის დაპირისპირებას გონება ერთბაშად ვერ გადაამუშავებდა. ბოლოს ისევ მეფისნაცვალმა დაარღვია სიჩუმე:

– ღრმად პატივცემული იულიუს კეისარი მეთოდების შერჩევაში მაინცდამაინც ფაქიზი არ ბრძანებულა... – თავისთვის ჩაილაპარაკა მან. მერე თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა და მე მომმართა: – თქვენო ბრწყინვალებავ, დაასახელეთ კანდიდატურა.

– ჩვენი უწყების საგანგებო დავალებათა ოფიცერი ბატონი მუშნი ზარანდია!

– მხარს ვუჭერ, – უმალ მომემხრო მეფისნაცვალი. – მომიტანეთ წერილობითი წარდგინება.

სახნოვმა ჟესტით გვაცნობა, რაკი ასე გნებავთ, არც მე ვარ წინააღმდეგიო.

ზარანდია, დარწმუნებული ვარ, შესასრულებელი გეგმის წვრილმანებზე ფიქრობდა და როცა მეფისნაცვალმა ჰკითხა:

– თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს თქვენს ბიძაშვილზე, ყაჩაღ თუთაშხიაზედაც გაავრცელებთ?

ზარანდიამ მშვიდადვე მიუგო:

– დიახ, თქვენო მაღალაღმატებულებავ! გამოგიტყდებით, ერთგვარი აზარტითაც, რადგან იგი ღირსეული მოწინააღმდეგეა... მეტისმეტად ჭკვიანი, გამბედავი და ალღოიანი კაცია.

მეფისნაცვალმა ღია ფანჯრისკენ გადაიტანა მზერა, პეიზაჟებს დაუწყო თვალიერება.

– კეთილი და პატიოსანი, – დაასკვნა სახნოვმა. – ამას გარდა... ამას გარდა, საჭიროა, ბატონი ზარანდია რიგგარეშე ჩინზე წარმოადგინოთ. შექმენით ქვეგანყოფილება “კილიკია” ბატონ ზარანდიას მეთაურობით, დაუნიშნეთ სათანადო ჯამაგირი საიმპერიო სამმართველოს ხარჯზე. ეს მას წაახალისებს, სიბეჯითეს შემატებს. ამ ქვეგანყოფილების კურატორი პირადად მე ვიქნები.

ზარანდიამ თანხმობისა და მადლობის ნიშნად თავაზიანად დაიქნია თავი, მაგრამ შევატყვე, სახნოვის კურატორობის პერსპექტივა არაფრად ეჭაშნიკა.

მეფისნაცვალმა პეიზაჟებს თავი მიანება, მოგვიბრუნდა და გვითხრა:

– ბატონებო თათბირი დამთავრებულია!

ზარანდია უმალ წამოდგა, მოკრძალებით გამოგვემშვიდობა. მეფისნაცვალმა შეაჩერა, ხელი გაუწოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დღეის შემდეგ ზარანდია კავკასიის განმგებლის სასახლეში მაღალ პერსონასთან დაახლოებულ და სასურველ პირად იქნა აღიარებული. ოფიცერმა ეს წყალობა თავშეკავებული მადლობით მიიღო, ხოლო მაღალი პერსონა ზარანდიას გასვლისთანავე ადგა, პირსაბანთან მივიდა და “კილიკიის” ნამდვილი ავტორის მიერ ჩამორთმეული ხელი საპნით დაიბანა!

ამ, რამდენადმე, ფანფარონულ თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ერთი თვის თავზე მეფისნაცვალმა, მართლაც, მიიღო საგანგებო რწმუნებები, შევქმენით ახალი ქვეგანყოფილება და მისმა უფროსმა, მუშნი ზარანდიამ, თავისი მხნეობის შესაფერი საქმიანობა გააჩაღა. მისი მუშაობის ზოგადორგანიზაციულ მხარეს მხოლოდ საჭიროების მიხედვით შევეხები. უფრო მნიშვნელოვანია ზარანდიას მოქმედების ზნეობრივი პრინციპები, რადგან მათთან გაცნობამ ჩემს წინაშე დათა თუთაშხიას მოქმედების ზნეობრივი პრინციპების შესწავლის ინტერესი წამოჭრა. ეს ჩემი კაპრიზი უფრო იყო, ვიდრე სამსახურებრივი აუცილებლობით გამოწვეული დაკვირვება, თუმცა ასეთი ანალიზი საქმესაც არაფერს დაუშავებდა. ჩემს ცნობიერებაში ორი, სრულიად განსხვავებული ზნეობის დაპირისპირება მოხდა და

მოულოდნელი, ჩემი პირადი ცხოვრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა... მაგრამ მივყვეთ მოვლენათა თანმიმდევრობას.

მიღებულია, ვიფიქროთ, რომ ადამიანის ცხოვრება მის, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საქციელთა ჯამია. ყოველი ჩვენგანი განუწყვეტლივ მოქმედებს ქმნის, ან ანგრევს და ყოველივე ამას, აუცილებლად, ზნეობრივ საფუძველს უმარჯვებს. ჩვენი საქმეების შენობა ჩვენივე ზნეობის საძირკველზე დგას: ერთნი ჯერ მოიქცევიან და შემდეგ ეძებენ, ვერ პოულობენ და ამიტომ თხზავენ თავისი საქციელის გამართლებას. მეორენი იძულებულნი არიან, კანონს თუ საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიონ; ამიტომ თავის მომავალ ცუდ საქციელს დიდი რუდუნებით ნიღბავენ და უანგარობის სამოსელში ხვევენ. მესამენი მომავალ საქციელს ჯერ საკუთარი ზნეობის პოზიციებიდან განიხილავენ და შემდეგ ამოქმედდებიან ან თავს შეიკავებენ. მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც, ზნეობის გაუთვალისწინებლად, წინასწარ განუსჯელად მოქმედებენ, არც მერე ეძებენ ზნეობრივ გამართლებას და საქციელი კი ყოველთვის სწორი გამოუდით. ამას მუშნი ზარანდიას მიერ ჩატარებულ ერთ ღონისძიებაზე ვამბობ; მხედველობაში მაქვს ის საქმიანობა, რომელიც მან ხმების გავრცელებისა და შეკრების სისტემის შექმნისას გასწია. ზარანდიამ ამ საქმეს ასე მოაბა თავი: კავკასიის ყველა სამაზრო ცენტრში და მსხვილ დასახლებულ პუნქტში საგანგებოდ შეარჩია ჩვენივე უწყების თითო თანამშრომელი ხმების გასავრცელებლად. კონსპირაცია ზედმიწევნით იყო დაცული და თანამშრომლის ფუნქციების შესახებ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. შერჩეული მოხელე მხოლოდ ზარანდიას ემორჩილებოდა, მხოლოდ მისგან მიღებულ მასალას ავრცელებდა. ამას გარდა, თითო თანამშრომელი შეირჩა ინფორმაციის მოსაგროვებლად და ზარანდიას ქვეგანყოფილებაში გადმოსაგზავნად. ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან ეს თანამშრომლებიც კონსპირირებული იყვნენ. ამგვარად, ერთი და იგივე უწყების ორი მუშაკი ერთიმეორისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. ისინი ერთმანეთს, ალბათ, იცნობდნენ, ვინაიდან მაზრა საკმაოდ ვიწრო სარბიელია, მაგრამ თუ ორივენი ერთი სისტემის რგოლები იყვნენ – ამისი არაფერი გაეგებოდათ. მექანიზმი სადა, საიმედო და ეფექტური გამოდგა. ხმების მოგროვება თუ სრულიად უმტკივნეულოდ ხერხდება და ამისთვის ჭორიკანა ნაცნობ-მეგობრების მეტი თითქმის არაფერია საჭირო, ხმების გავრცელება ერთობ დელიკატურ მიდგომას მოითხოვს; მდაბიო წარმოშობის აგენტის გამოყენება არ შეიძლება, რადგან მსმენელის კითხვაზე, თუ საიდან არის მისთვის ცნობილი მავანი ვერსია, აგენტმა უნდა წყარო დაასახელოს; ხომ არ იტყვის, აგენტი ვარ და გავრცელება დამავალესო? ინტელიგენციის ჩარევა ამ საქმეში საშიშია; ყოველი მეორე ინტელიგენტის ფსიქოლოგიური ამპლუა – ფრონდიორობაა და, მაშასადამე, ადვილი მოსალოდნელია გათქმა და სკანდალი. რჩება ტახტის თავდავიწყებული ერთგულქვეშევრდომების მცირერიცხოვანი კასტა, რომელიც, ძირითადად, ველიკოროსებისგან შედგება და, ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობის ნდობასაც მოკლებულია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ფანატიკოსთა უმრავლესობის გონებრივი დიაპაზონი თავისუფლად ეტევა გულუბრყვილობასა და სისულელეს შორის არსებულ მონაკვეთში. ასეთებს, თავისთავად ცხადია, სერიოზული საქმე ძნელად და უკიდურეს შემთხვევაში თუ მიენდობა. ხმების გამავრცელებელ თანამშრომელს კი, სულ ცოტა, ხუთი, ექვსი საიმედო და დახელოვნებული აგენტი სჭირდება. ყოველივე ეს ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო. მოველოდი, რომ მუშნი ზარანდია ამ პრობლემას ჩვეულებრივად, ფულის მეშვეობით გადაჭრიდა – გაღარიბებულ თავად-აზნაურთაგან შეარჩევდა საქმისთვის გამოსადეგ პირებს, მაგრამ ასე არ მოხდა.

როცა ინფორმაციის სამსახურის შექმნის ვადა მიიწურა, ზარანდიამ მომახსენა, ყველაფერი მზად არის და სისტემის გამოცდაც შეიძლებაო. ბუნებრივია, დავინტერესდი, თუ რამდენი დაგვიჯდებოდა აგენტების მუშაობის ანაზღაურება. ფინანსურ მხარეს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა: ვთქვათ, ოცდაათ მაზრაში ასორმოცდაათი აგენტის ყოლას წელიწადში ოთხმოცდაათი, ასი ათასი მანეთი მოუნდებოდა. ასეთი თანხის გაღებაზე ზემდგომი დაწესებულებების დაყოლიება ძალიან ძნელი იყო.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – მითხრა ზარანდიამ. – გავრცელებას მხოლოდ საფოსტო ხარჯები ექნება. მოგროვებული ინფორმაციის გადმოცემას – არავითარი, რადგან, ადგილებიდან მოხსენებითი ბარათები მუდმივად მომუშავე შიკრიკების ხელით გადმოგვეგზავნება.

– საინტერესოა! მასალის გადაგზავნას ჩვეულებრივი ფოსტით აპირებთ?

– დიახ! – დამიდასტურა ზარანდიამ. – გასავრცელებელი ვერსია რეზიდენტს მეგობრის შეკვეთილი წერილის სახით გაეგზავნება. ასეთი კორესპონდენცია, კიდეც რომ უცხო პირს ჩაუვარდეს ხელში, საქმე ამით არაფერს წააგებს. პირიქით, ამ გზავნილების უკანონო მფლობელი ჩვენთვის სასურველ სამსახურს გასწევს, თუკი წერილის შინაარსს გაავრცელებს. დამავიწყდა აღმენიშნა, რომ წერილი ორ ასლად გაიგზავნება. მიღებას იგი წერილითვე დაგვიდასტურებს.

– გასაგებია, – ჩავილაპარაკე მე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვფიქრობდი იმაზე, რომ ყველა გონებამახვილ გამოგონებას ტექნიკის დარგში, ყველა დიდ სამხედრო თუ პოლიტიკურ გამარჯვებას, ხელოვნების ყველაზე ამაღლებულ ნიმუშებს ერთი ნიშანი აქვთ – სისადავე! ვფიქრობდი იმაზეც, რომ აი, ამ კაცს არასოდეს არ მოსდიოდა აზრად რაიმე რთული, დახლართული საშუალებებით გადაეჭრა ესა თუ ის საკითხი. სადა, უბრალო გონება ჰქონდა – სადა, უბრალო გეგმებს ადგენდა. აქციზიდან ჟანდარმერიაში მის გადმობარგებასაც სადა, უბრალო და ამიტომ მყარი ფილოსოფია ედო საფუძვლად. ჩემს მეხსიერებაში ერთმანეთს მოჰყვა ზარანდიას პროფესიული ფანდები, ხერხები, ეშმაკობები, ყველაფერი, რამაც მას სახელი მოუხვეჭა და კარიერა შეუქმნა... ყოველი მათგანი სათითაოდ, ყველაფერი ერთად – სისადავისა და უბრალოების ბრწყინვალე ნიმუშად გამოდგებოდა! სევდა შემომაწვა; აქამდე ვერ ამიხსნია – რატომ. რაღაც უიმედოდ, სასოწარკვეთით ვკითხე, რეზიდენტებს აგენტებად ვინ ჰყავთ, რა ხალხია-მეთქი.

– უმეტესად – მოღალატე ცოლები. აქა-იქ – მოღალატე ქმრებიც!

– ერთგულებმა დააშავეს რამე?

– სრულიად არაფერი, მაგრამ ისინი, უმეტესად, შინ სხედან და ბავშვებს უვლიან. მოღალატე ცოლები კი ლაპარაკის ჟინის მოსაკლავად და ჭორების მოსასმენად დღეში ოთხ, ხუთ ოჯახს მოივლიან, – თქვა ზარანდიამ.

– სტუმრად განა მხოლოდ მოღალატე ცოლები დადიან?

– მე მინდოდა, მეთქვა, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ერთგული ქალებიდან სტუმრად სიარული, ვთქვათ, ყოველ მეათეს უყვარს, მაშინ, როდესაც ათი მოღალატე ცოლიდან ცხრა სხვის ოჯახში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე თავისაში.

– ქარაფშუტა ხალხია. მათზე დანდობა ესოდენ სერიოზულ საქმეში, არ მგონია, მიზანშეწონილი იყოს.

– ქარაფშუტა ხალხი?.. მოღალატე ცოლების ხსენებული მიდრეკილება, ჩემი აზრით, ქარაფშუტობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ სავსებით პრაქტიკული სურვილით: გამუდმებით იყვნენ იმის კურსში თუ რამდენად მყარია და დაცულია მათი ინტიმური საიდუმლოება. ისიც შესაძლებელია, რომ ვცდები, მაგრამ ჩვენი სამსახურისთვის საკითხის სხვა მხარეა მნიშვნელოვანი: ჯერ, სახელდობრ, ის, რომ ისინი მოღალატე ცოლები არიან, და შემდეგ ის, რომ სტუმრად სიარული, საზოგადოებაში ყოფნა უყვართ. პირველი გარემოება მათთან დაახლოებას აადვილებს, მეორე – ვერსიის ფართოდ გავრცელების საშუალებას ქმნის.

ამაში ზარანდია სავსებით მართალი იყო და არა მარტო მის მიერ მოყვანილი მოსაზრებების გამო, იმიტომაც, რომ ღალატის გამხელის შიშით გადმობირებული ქალი დავალებებსაც კეთილსინდისიერად, ბეჯითად შეასრულებდა და ჟანდარმერიასთან კავშირს თვით წმიდა მამათა ინკვიზიციის წინაშეც არ გაამხელდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, საქმის თვალსაზრისით, პერსპექტიული ჩანდა, მაგრამ იმხანად ქალებთან აგენტურული მუშაობის გამოცდილება საერთოდ მცირე იყო, ეტყობა, არც მე ვიყავი ამისთვის მორალურად მომზადებული, სერიოზულ საქმეში მათი ჩარევა მეხამუშებოდა და ნახევრად ხუმრობით ვთქვი:

– თქვენი ნამოქმედარი, უფალო, ქალთმოძულე სადისტის მოღვაწეობის ნიმუშად გამოდგებოდა! – შემდეგ სერიოზულად დავძინე. – სამწუხაროდ, ჩვენმა სარწმუნოებამ ბოლო საუკუნეების მანძილზე ადამიანის სული ვეღარაფრით გაამდიდრა. იგი ახლა ადრე მინიჭებულის შენარჩუნებასღა ემსახურება, დაუნდობლობას, შეუბრალებლობას, სისასტიკეს ებრძვის. კეთილი კაცი თავის მოღვაწეობას აუცილებლად უნდა უთანხმებდეს მთავარ მიზანს: არ გაიძარცვოს, არ შეიბღალოს, არ დამდაბლდეს სული – საკუთარი და მოყვასისა. მე ეს ჩვენი სამსახურის უპირველეს ფუნქციად მიმაჩნია. თქვენ?

ჩემი ხელქვეითი გადაჭარბებული ყურადღებით მისმენდა. იგი განცვიფრებული იყო და, მგონი, იმით, რომ მხოლოდ მისთვის ცნობილ ჭეშმარიტებებს სხვა ადამიანი და ისიც ჟანდარმთა შეფი ამბობდა.

– არ მესმის თქვენი წუხილის მიზეზი, თქვენო ბრწყინვალებავ, – მოკრძალებით თქვა ზარანდიამ.

– არ გესმით? – დავაკვირდი. მინდოდა, გამეგო, მართლა ვერ მიხვდა თუ ეშმაკობდა.

მეტისმეტად გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა და იმავე ტონით განვაგრძე:

– თქვენმა მდედრობითი სქესის აგენტებმა ქალიშვილობაში ნაოცნებარი ბედნიერების მოლოდინი და ძებნა საკუთარი ქმრის ღალატით დაამთავრეს. ასეთი ხვედრი, სამწუხაროდ, ხშირია: “არა იმრუშო” – წერია, მაგრამ ცოდვა ტკბილია და მით უმეტეს, ფარული სიყვარულის ცოდვა. სიტკბოებასა და სინდისის ქენჯნას შუა გამომწყვდეულ ქალს მოულოდნელად ევლინება სატანა თქვენი რეზიდენტის სახით და მისი სკანდალური საიდუმლოს განუთქმელობის ფასად რაღაც ჭუჭყიანი ხმების გავრცელებაზე ითანხმებს. ამის შემდეგ იგი ორმაგად ცოდვილია და ათმაგად ტანჯული. მაგ თქვენი მოღალატე ცოლების უმრავლესობას შვილები ჰყავთ. რა უნდა ასწავლოს, როგორი უნდა აღზარდოს შვილები დედამ, რომელიც ვერაგობასა და ბოროტებას არის ნაზიარები. სულ რამდენი ჰყავთ თქვენს რეზიდენტებს ასეთი აგენტი?

– ასოცდაცამეტი, თქვენო ბრწყინვალებავ.

– ასოცდაცამეტი დედა და მათი ალბათ, ოთხასი, ხუთასი შვილი! ხედავთ, ხელის ერთი მოსმით ვძარცვავთ, ვბღალავთ და ვამდაბლებთ ექვსასამდე ადამიანის ღირსებას და ეს მეთოდია!.. ღმერთო ჩემო, არასოდეს მიფიქრია კავკასიაში მცხოვრები მოღალატე ცოლების რაოდენობაზე!..

ზარანდიას სიცილი აუვარდა. ჩემივე დასკვნებისგან აფორიაქებული ვიყავი. მიუხედავად ამისა, სიცილში ავყევი.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – მითხრა ზარანდიამ. – ის ქალები თავისთვის ჭორაობენ და ამით უნებლიე სამსახურს გვიწევენ. მართალია, მოღალატეობის ფაქტი ჩვენმა რეზიდენტმა მათთან დაახლოების საბაბად გამოიყენა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი იძულებას, ძალდატანებას. მუქარა და შანტაჟი კატეგორიულად ავკრძალე და ამისთვის არც ვისმე მიუმართავს. მოხდა მხოლოდ ის, რომ ჩვენმა რეზიდენტებმა ძმაკაცური, ახლო ურთიერთობა დაამყარეს ჩვენთვის საჭირო ადამიანებთან, რაც შეეხება მასალის გავრცელებას თუ შეკრებას – ეს თავისთავად, უმტკივნეულოდ და სწრაფად ხდება: რეზიდენტი შერჩეულ ქალთან პირად საუბარში სხვათაშორის ეხება გასავრცელებელ ვერსიას. ორი, სამი დღის შემდეგ ვერსია გამეორებულია რამდენიმე ოჯახში. ამ ოჯახების გადიები, მოახლენი ან მოსახლეობასთან დაკავშირებული სხვა პირები ვერსიის შემდგომ გავრცელებას, მასებამდე დაყვანას ახორციელებენ. ხმების შეკრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: მოგეხსენებათ, კაცმა ყურები რომ დაიცოს, ჭორი ნესტოებიდან შევა და მეორე რეზიდენტს ისღა დარჩენია, კალამი აწრიპინოს.

საკითხის ასეთი გადაჭრა მდგომარეობას, თითქოს, ძირფესვიანად ცვლიდა. ზარანდიას ახალი ხრიკი ქარის ენერგიის გამოყენებას ჰგავდა.

– კარგად მოგიფიქრებიათ, მუშნი, – მივმართე ამხანაგურად, რადგან ფამილარობა ქებას ნიშნავდა, ხოლო ზარანდია კი ქების ღირსი მართლაც იყო. – მოველოდი, რომ თქვენ ამ საკითხს ფულის საშუალებით გადაჭრიდით.

– იცით, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგაზე არც დავფიქრებულვარ, მაგრამ თქვენი ლაპარაკის შემდეგ ნათლად ვხედავ, რომ საკითხის ფულით გადაწყვეტა ისევე არ შეიძლებოდა, როგორც მამაკაცების

დახმარებით. დაქირავებული მამაკაცის ხელით ასეთი მუშაობის ჩატარებას თავისი არანაკლებ მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე აქვს; მამაკაცი რწმენებით ცხოვრობს და არა მხოლოდღა პურით. ადამიანის ერთ-ერთი რწმენა ტახტისა და მისი დაწესებულებების სიწმინდის, პატიოსნების რწმენაა. როცა ეს წმინდა საწყისი მისი ხელით ვერაგობას სჩადის, მაშინ ამას რწმენის დაკარგვა, ფეხთ ქვეშიდან ზნეობრივი საფუძვლების გამოცლა მოსდევს და აქ გასამრჯელო ვეღარაფერს ხდება, რაგინდ დიდიც უნდა იყოს იგი. ასეთ მუშაობასთან ნაზიარები კაცის ზნეობა ირყევა. უზნეო კაცი კი პირადი კეთილდღეობისთვის ყველაფერს სჩადის, უპირველესად ყოვლისა, პირდაპირ თუ ირიბად, სახელმწიფოს უთხრის ძირს. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ არ გვინდა, რასაც ჩვენ ვებრძვით, – ზარანდია დადუმდა.

ფულის წარმოების ძირითადი მასალა ოქროა. მის მიმართ ყაირათიანობას და მომჭირნეობას იმდენი მნიშვნელობა სხვაგან არსად აქვს, რამდენიც თვით ზარაფხანაში. თითო ფულში თითო მეასედი მისხალი ნაკლები ან მეტი რომ აღმოჩნდეს, ამის შედეგად მოსალოდნელი კატასტროფის ჭეშმარიტი სიდიდე ძნელი განსაჭვრეტი და წარმოსადგენია. სახელმწიფოს საფუძველთა დაცვის სამსახური ძირითად მასალად ადამიანთა ზნეობას და ღირსებებს უნდა იყენებდეს. ამ მასალის მიმართ მომჭირნე, ყაირათიან და გულისხმიერ დამოკიდებულებას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ეს დებულება, თითქოს, პარადოქსად ჟღერს, მაგრამ საქმეში ჩახედულთათვის ანბანური ჭეშმარიტებაა. აქედან გამომდინარე, ჩემი ხელქვეითების მოღვაწეობის, მათი საქმიანობის ზნეობრივ მხარეს მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევდი. ზარანდიაზე ზემოთ ვთქვი, ყოველთვის წინასწარ განუსჯელად მოქმედებდა, არც მერე ეძებდა ნამოქმედარის ზნეობრივ გამართლებას და საქციელი კი ერთთავად სწორი გამოუდიოდა-მეთქი. ეს კარგა ხნის შემჩნეული მქონდა, მაგრამ ხომ არ შეიძლება, კაცი ქვეცნობიერი იმპულსებით მოქმედებდეს და ფეხი კი ერთხელაც არსად წამოკრას?

– ბატონო ზარანდია, თქვენ თქვით, ამ ღონისძიების ზნეობრივ მხარეზე სრულიადაც არ დავფიქრებულვარო. მართლა ასეა?..

– დიახ. არც რომელიმე სხვა ღონისძიების ჩატარების წინ მიფიქრია ზნეობრივ მხარეზე. მე ვფიქრობ ხოლმე იმაზე, თუ რა არის გასაკეთებელი, ხოლო როგორ, რა ხერხით, რა საშუალებით უნდა გაკეთდეს, ამას ინტუიცია მკარნახობს. ამ ნაკარნახევს ჩემივე ზნეობის ნორმებთან არასოდეს ვათანხმებ. რახან ინტუიციამ ასე მიკარნახა. მაშასადამე, ზნეობასთანაც ქვეცნობიერად, ჩემს უნებურად შეთანხმებულია, – მითხრა ზარანდიამ.

– გამოდის, რომ ტახტი და სახელმწიფო აქ არაფერ შუაშია და თქვენ საკუთარ თავს ემსახურებით!

– მე ტახტისა და სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურები, მაგრამ ისე კი, რომ საკუთარ თავს არასოდეს, არც ერთი გოჯით არ ვშორდები და არაფერს ვართმევ. ეს თავისთავად ხდება. ჩემი ზნეობა, ალბათ, მოსალოდნელი კატასტროფის წინაშეც კი ვერ წავა კომპრომისზე, თავის სულ უმცირეს ნაწილსაც ვერ გაიღებს მსხვერპლად და ამას საფუძვლად უდევს არა პედანტურობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქვეცნობიერება – ეს მოდგმისა და აღზრდის ბრალია. ჩვენს ოჯახში ყველა ასეთია.

– თქვენი ბიძაშვილი დათა თუთაშხიაც?

– დიახ, და მას, ყველაფერთან ერთად, დიდი ნებისყოფაც აქვს, – ჩემზე მეტი!

– სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩემთვის ცნობილი იყო თორიას ლაზარეთში მომხდარი ამბავიც, დურუ ძიგუას დუქანში დატრიალებული ტრაგედიაც; ზარანდიას ნათქვამი მართალი იყო, მაგრამ დიდი ნებისყოფის გარდა, დათა თუთაშხიას მოქმედებაში ადამიანთა მოდგმის მიმართ დიდი სიძულვილიც უნდა მეგულისხმა. სხვანაირად ის საქმეები როგორ უნდა მომხდარიყო?

საუბარი კვლავ ინფორმაციის სამსახურს, მისი გამოცდის, შემოწმებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების თემას დაუბრუნდა.

შემდგომში ჩვენი წამოწყების ეფექტი იმდენად მოულოდნელი და დიდი აღმოჩნდა, რომ საიმპერიო სამსახურის გამახვილებული ყურადღება მიიპყრო. ეს სპეციფიკური საკითხია, ჩემი ჩანაწერების ძირითად თემასაც დაშორებული, და ამიტომ დავკმაყოფილდები მაგალითით, რომელიც შემდგომი თხრობისთვის საჭირო და აუცილებელ ელემენტებს შეიცავს.

ყაჩაღობის მოსპობის საჭიროებას იმხანად კიდევ ერთი ასპექტი ჰქონდა. ამის შესახებ ოფიციალურად საუბარი მიღებული არ იყო, სამსახურებრივი თვალსაზრისით ცუდ ტონად ითვლებოდა. ზემოთ მეტ-ნაკლები სიზუსტით მოვიტანე მეფისნაცვალთან გამართული თათბირის შინაარსი და ჩვენი მთავარი მიზანდასახულობის, თუ შემდგომი ღონისძიებების ნამდვილ აზრს, მათ პოლიტიკურ მხარეს კი არ შევხებივარ. თათბირზე ამ საკითხის ირგვლივ არც არაფერი თქმულა, თუმცა სახელმწიფოს უშიშროება წამყვან მომენტად იგულისხმებოდა. ამჟამად საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსეთ-იაპონიის ომის ერთ-ერთი მთავარ მიზანთაგანი რუსეთის იმპერიის ხალხთა მასებში დაწყებული და არასასურველ დონემდე ასული დრტვინვის შესუსტება იყო. ხალხთა პროტესტის, წინააღმდეგობის გამოღვიძებული და გამძაფრებული ენერგია სახელმწიფოსთვის საჭირო არხით წარმართვას მოითხოვდა. ასეთ შემთხვევაში პატრიოტული, დიდმპყრობელური სულის გაღვივება პანაცეად არის მიჩნეული. ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რამდენად სწორია ეს შეხედულება. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ზარანდიას განყოფილების დაარსება რუსეთ-იაპონიის ომის წინა ხანებში მოხდა, მასების მოსალოდნელი პოლიტიკური აქტივობის პერიოდს დაემთხვა. ღონისძიება, უპირველესად ყოვლისა, იმას ითვალისწინებდა, რომ გარკვეული მოვლენების დამთხვევისას, სახელმოხვეჭილი, პოპულარული ყაჩაღი ადვილად შეიძლება, რომ საამბოხოდ განწყობილი ჯგუფების თუ ბრბოების წინამძღოლად იქცეს. ყაჩაღის მოუხელთებლობა თავისთავად ლაპარაკობს მის ნიჭიერებაზე და შესაძლებელ უნარზე, მართლწესრიგის დამცველი ძალების სერიოზული მოწინააღმდეგე გახდეს. ერთი სიტყვით, დაარსებული სამსახურის მახვილი მიმართული იყო პოტენციური, შესაძლებელი ბელადების წინააღმდეგ. ეს მცირე ექსკურსი მუშნი ზარანდიას მუშაობის ნამდვილი მნიშვნელობის განსამარტავად დამჭირდა.

მუშნი ზარანდიამ სამეგრელო-სამურზაყანოში მუშაობის ობიექტად სამი ყაჩაღი შეარჩია: ყოველი მათგანი თავის ჯურის ყაჩაღებში პირველ კაცად ითვლებოდა, ყველაზე სახელგანთქმული იყო. გეგმის ავტორის აზრით, უძლიერესთა დამარცხებას

წვრილფეხობასთან ბრძოლა უნდა გაეადვილებინა, მაგრამ ასეთ არჩევანს თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა: გეგმის ჩაშლა გამამხნევებლად იმოქმედებდა სხვა ყაჩაღებზე და მათ დამორჩილებას გააძნელებდა. ამგვარ რისკზე ბევრი ვერავინ წავიდოდა. ზარანდიას კი, ალბათ, თავისი მოსაზრებები და მტკიცე იმედი ჰქონდა, რომ, მიუხედავად ჩემი და ჩემი მოადგილეების არაერთგზისი შენიშვნებისა, თავისაზე დადგა.

აი ის სამი კაციც:

რაჟა სარჩიმელია – ოცდათოთხმეტი წლისა; თავხედი, დაუნდობელი და ხარბი მძარცველი; ცხრა წლის გავარდნილი, ყაჩაღობამდე ხუთი წელი იყო საპყრობილეში ქურდობისათვის. წერა-კითხვის უცოდინარი.

დათა თუთაშხია – ოცდათორმეტი წლის; დაახლოებით, თორმეტი წლის გასული.

ბუდუ ნაკაშია – ოცდაშვიდი წლის: ფრთხილი, ჭკვიანი კაცი, ტერორისტი. აბრაგობდა თავის ძმასთან, ლუკა ნაკაშიასთან ერთად ოთხი წელიწადი. მღვდლის შვილი. განათლება – გიმნაზიის ექვსი

კლასი.

ოპერაცია რაჟა სარჩიმელიას შემორიგების გზით დაიწყო. ამას წარმატება არ მოჰყოლია. არც იმედი გვქონია, რომ ასე მალე და უმტკივნეულოდ შემოგვირიგდებოდა. ჩვენი მიზანი იყო, ამ წინადადებას ყაჩაღის ფსიქიკაში აღრევა, ყოყმანი შეეტანა, თვით შერიგების პერსპექტივა ჩაეთესა. ვითომდა, მაზრის პოლიციის უფროსისგან მიგზავნილმა კაცმა სარჩიმელიას უარი მოისმინა და წამოსვლის წინ ყაჩაღს უთხრა, – იფიქრე, კიდევ ექვსი თვე დრო გაქვს და თუ დათანხმდე, ჩემთან მოდიო.

ასეთივე წინადადება მიეცა ლუკა ნაკაშიას – მხოლოდ მას და არა მის უფროს ძმას, ბუდუს. ცხადია, თანხმობა არც იქიდან მიგვიღია, მაგრამ ყოყმანისა და ცთუნების თესლი აქაც იქნა ჩაგდებული. ამას მოჰყვა ვერსიების გავრცელება. მე აქ არ ვგულისხმობ იმ ჭორებს, რომლებსაც ზარანდიას ქვეგანყოფილება მანამდეც და მერეც მეთოდურად და სათითაოდ ყველა ყაჩაღზე ჰყრიდა ხალხის თვალში მათი კომპრომეტაციის მიზნით – ეს ყოველდღიური მუშაობა იყო.

ლაპარაკია სპეციალურად შემუშავებულ ვერსიებზე, რის მეოხებითაც სამკუთხედი უნდა შეკრულიყო, ანუ სარჩიმელიას, თუთაშხიას და ნაკაშიებს შორის სამკვდრო შუღლი უნდა ჩამოვარდნილიყო.

პირველი ვერსია თუთაშხიასთვის გვქონდა განკუთვნილი და მის ყურამდე მიტანილ იქნა ვინმე მალაქია ნინუას პირით. ეს კაცი, ხელობით მჭედელი, დათა თუთაშხიას უახლოეს მეგობრად ითვლებოდა, თუმცა მრავალი წლის მანძილზე პოლიციამ ერთხელაც ვერ შეძლო მისი მხილება აბრაგისთვის თავშესაფრის მიცემაში. საფიქრებელია, რომ თუთაშხია განზრახ ერიდებოდა ნინუასთან სტუმრობას და მხოლოდ საჭიროების დროს, მოკლე ხნით და სხვაგან სადმე ხვდებოდა მას. უკიდურეს შემთხვევისთვის ერთმანეთის ნახვის საშუალება და ხერხი ძმაკაცებს დათქმული ჰქონდათ, ჩვენთვის ეს ცნობილი იყო.

ოპერაციის გრაფიკის თანახმად, ჩვენი მდედრობითი სქესის აგენტი ზუგდიდიდან გალში ახლო ნათესავების სანახავად გაემგზავრა. მისმა ქმარმა არგუმენტად ეჭვი და უნდობლობა ვერ მოიტანა – მანძილი და მარტოხელა ქალის მგზავრობის საშიშობა მოიმიზეზა, ცოლს თანამგზავრებად მისივე უმცროსი ძმა და ბიძაშვილი გააყოლა. ამგვარად, გზად მიმავალი მხედრები ხსენებულ მალაქია ნინუას სამჭედლოს მიადგნენ; ქალბატონის ბედაურს ნალი მოჰფამფალებოდა, მჭედელი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. მგზავრები იქვე იდგნენ, მუშაობის პროცესს დაჰყურებდნენ.

– დათა თუთაშხიამ ბოდღო ყვალთავას და მის ამხანაგებს ცხენები რომ წაართვა, მგონი, ერთი ეს ცხენი იყო. ხომ? – ჰკითხა ქალბატონს ბიძაშვილმა.

ქალმა გადაიკისკისა:

– ლევან, ძამიკო, არც იმდენად ბებერი ხარ, ჭიჭიკო-ბაბუაჩემივით რომ აურიო ყველაფერი. დათა თუთაშხია არაფერ შუაშია აქ.

– ხომ იყო ეს ცხენი წაყვანილი?!

– კი, იყო, – ჩაერია ძმა, – მაგრამ თუთაშხია მაინც არაფერ შუაშია. რაჟა სარჩიმელიამ წაიყვანა, გააყიდვინა ვიღაცას, ის გაყიდული იპოვნა პოლიციამ მერე და დაუბრუნეს ისევ დავითს.

– ააა! კი კი, მასე იყო, მასე! – დათანხმდა ბიძაშვილი. – რაჟა სარჩიმელიას მაზრის უფროსის ეტლი გაუჩერებია, თურმე, და ოჯახი გაუძარცვავს მისი. ქალებისთვის პერანგი აღარ შეურჩენია მამაძაღლს.

– ვინ გითხრა ეგ? – ჰკითხა ქალბატონმა.

– ვინ მითხრა რას ქვია! – აფეთქდა ბიძაშვილი. – ნიკანდრო ქილიამ არ თქვა, პოლიცმეისტერმა?! იქ არ იყავი შენც?

ქალბატონი უფრო გამხიარულდა.

– ახლა მივხვდი, რატომ და როგორ აგერია ყველაფერი, – თქვა ქალმა, როცა სიცილს მორჩა.

– როგორ? – დაიჟინა ბიძაშვილმა.

– როგორ და, ნიკანდრო ქილიამ ის თქვა, რაჟა სარჩიმელიას მაზრის უფროსისთვის შეუთვლია, თუთაშხიასი არ შემეშინდა, ასე და ისე მოვექეციო, და თავს თუ არ დამანებებ, შენს ცოლ-შვილსაც იმ ამბავს დავმართებო. ახლა, რა მოხდა, თუ იცი? აქედან თუთაშხია დაგახსომდა შენ. ეს ცხენი წანართმევი რომ იყო, ესეც იცოდი. გადაზილე მერე ეს ორი ამბავი ერთმანეთში და გამოგივიდა რაც თქვი – ის!

ქალი ისევ აკისკისდა. ბიძაშვილმა დაირცხვინა და უხერხული მდგომარეობის გასაბათილებლად იკითხა:

– კაი, მარა, რა უქნა სარჩიმელიამ თუთაშხიას ისეთი, მაზრის უფროსის დასაშინებლად რომ გამოდგებოდა?

ქალბატონმა მიუგო:

– საყვარელი წაურთმევია მისთვის; ერთი ძალიან ლამაზი ქალი რომ ყავს ბეჩუნი პერტია – ის!

ქალბატონის ძმამ ეს არ დაიჯერა.

– რაჟა სარჩიმელია-ცინგლიანის წასართმევი საყვარელი დათა თუთაშხიას სად ყავს ვიცოდე ნეტავი! არ დაიჯერო ეგ, სიცრუე იქნება ნამდვილად.

ქალმა სიჩუმე არჩია.

– რატომ, ვითომ, – გამოესარჩლა ბიძაშვილი ქალბატონს. – თოფი და მაუზერი არც სარჩიმელიამ იცის თუთაშხიაზე ნაკლები...

– გაჩერდი, თუ კაცი ხარ! თოფით და მაუზერით ართმევენ საყვარლებს?..

ყოველივე ეს ისე ითქვა, რომ მჭედელს გაეგონა და გაიგონა კიდეც. ამასობაში ცხენიც მზად იყო, მგზავრები შესხდნენ, თავისი მხიარული მოგზაურობა განაგრძეს, ხოლო მალაქია ნინუამ სულ მალე დათა თუთაშხიას ყურამდე მიიტანა განაგონი.

ვერსია, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო, დამაჯერებლობას მოკლებული ჩანს, მით უმეტეს, რომ იგი დათა თუთაშხიას მძაფრი რეაქციის გამოწვევას ისახავდა მიზნად. ასეთი საკენკი მისი გამჭრიახობისთვის, თითქოსდა ვერ უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ვარაუდი მაინც ზუსტი აღმოჩნდა: ზარანდია გამომდინარეობდა კლასიკური პრინციპიდან, “თუ გსურთ, გერწმუნონ – თავრეტდამსხმელი სიცრუე თქვით”, და იქიდანაც, რომ თუთაშხიასთვის განკუთვნილი ქვა სარჩიმელიას ერთთავად იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი; თავის დროზე სარჩიმელიამ და მისმა ამხანაგებმა გზა შეკრეს, ბაზრობიდან შინ მიმავალი ორმოცდაათამდე ადამიანი – თითო-თითოდ, თუ ჯგუფ-ჯგუფად – ტყეში გადარეკეს, საცვლების ამარა დატოვეს. ამას, შემთხვევით, თუთაშხიამ მიასწრო. სარჩიმელიამ და მისმა ამხანაგებმა თავს გაქცევით უშველეს. როგორც კარგა ხნის შემდეგ სარჩიმელია თვითონ ამბობდა, თუთაშხიამ მათ გაქცევა “აცალა”, გაძარცულებმა ქონება დაიბრუნეს, თუთაშხიას ეს საქციელი ქვეყანას მოსდეს. ამ ინციდენტის დღიდან მოყოლებული რაჟა სარჩიმელია, აქტიურად თუ პასიურად, ჯავრის

ამოყრის შემთხვევას ეძებდა. ეგ იყო, თვით მან სხვებზე უკეთ იცოდა, რომ დათა თუთაშხიასთან ანგარიშის გასწორების ცდას შეიძლება, უკუშედეგი მოჰყოლოდა. მეორე მხრივ, ისიც შესაძლებელია, რომ დრომ თავისი გაიტანა, სარჩიმელიამ ამხანაგის სიკვდილზე, პირად შეურაცხყოფაზე და დიდი ნაძარცვის დაკარგვაზე ხელი ჩაიქნია და წარსული დავიწყებას მისცა. ზარანდიას გეგმას კიდევ ერთი საყრდენი ჰქონდა. სარჩიმელია მეტისმეტად დაუდგრომელი დედათმავალი ბრძანდებოდა. ამიტომ დათა თუთაშხიას ადვილად შეეძლო ერწმუნა, რომ სარჩიმელიამ მაგიერის გადასახდელად სწორედ ასეთ ხერხს, ანუ აბრაგის სატრფოსთან რომანის გაბმას მიმართა. ბოლოს,

ზარანდიას უკანასკნელ ვარაუდს ისიც შეადგენდა, რომ თუ დათა თუთაშხია თავის საყვარელს ეჭვს გარეშე დააყენებდა, სარჩიმელიას იმისთვის მაინც გადაეკიდებოდა, რომ ზედმეტს ლაყბობდა და ქვეყანაზე თავს სჭრიდა.

ასე აიგო სამკუთხედის ერთი კუთხე.

შემდეგ, ზღვის მეკობრეთაგან განსხვავებით, რაჟა სარჩიმელია ნაძარცვს არც უდაბურ კუნძულზე ფლავდა, არც არსენა ოძელაშვილივით "კასპში ერთ დიდ კლდეში" ინახავდა. იმხანად სოხუმში ცხოვრობდა ვინმე ევტერპია ტრიანდოფილიდი, ორმოციოდე წლის მარტოხელა, საკმაოდ ღარიბი ბერძენი ქალი, მაგრამ სიხარბისა და გამდიდრების წყურვილის მხრივ – სწორუპოვარი და ამიტომ სისხლისმსმელი მევახშეც. სარჩიმელიასთან მისი ურთიერთობა იმით დაიწყო, რომ ჯერ კიდევ ქურდობისთვის დაპატიმრებამდე, რაჟასგან "ბნელ" საქონელს იბარებდა გასაყიდად და, რა თქმა უნდა, ნავაჭრის მეოთხედს ან, უმჯობეს შემთხვევაში, მესამედს აძლევდა, როგორც ეს ნაქურდალი საქონლის ყიდვა-გაყიდვის საქმეში დასაბამიდან არის მიღებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქურდებს, მძარცველებსა და კომერსანტებს თავისი საუკეთესო გეგმები და მიზანდასახულობები პატიმრობაში ეწვევათ ხოლმე. რაჟა სარჩიმელიამ ვადა მოიხადა, განთავისუფლდა და გადამალული თანხები ტრიანდოფილიდის ქალს მიუტანა, – ეს ფული სარგებელზე გაეციო. ასე ჩამოყალიბდა ფრიად ორიგინალური მძარცველურ-სამევახშეო ალიანსი, რომელმაც ქალს დამატებითი შემოსავალი გაუჩინა, ხოლო ყაჩაღს შემდგომი ძარცვა-გლეჯის ხალისი გაუმახვილა. კომპანიონებს მალე საგრძნობი თანხა დაუგროვდათ. კერძოდ, დედაკაცს რაღაც მიწის ნაკვეთი და რიგიანი სახლ-კარიც კი გაუჩნდა. მათი ურთიერთობა პოლიციის სამძებრო განყოფილებისთვის აგენტურული არხებიდან გახდა ცნობილი, მაგრამ ნივთიერი მტკიცების ან სხვა რამ სამხილის ხელში ჩაგდება კარგა ხანს ვერ მოხერხდა. მერე, როგორც იქნა, ფოთში ევტერპია ტრიანდოფილიდის გემზე ასვლისას საეჭვო წარმოშობის ორმოცდაათამდე თოფი ფართლეული დაუჭირეს. პოლიციამ დაადგინა, რომ ეს იყო ნაძარცვი და ნაძარცვის მიმყიდველი კი – ბატონი სარჩიმელია. დაზარალებულიც დადგინდა, მაგრამ ცბიერმა დედაკაცმა პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა: დაასახელა კაცი რომლისგან ვითომცდა ეს ფართლეული შეიძინა. კაცი საპყრობილეში მოათავსეს, ევტერპია ტრიანდოფილიდი ჯარიმით გადარჩა, სამძებრო განყოფილებამ ყურადღება გაამახვილა მის საქმიანობაზე.

როცა რაჟა სარჩიმელიას შეპყრობის აუცილებლობას ახალი მოტივები დაემატა, მისმა პერსონამ უკვე ჟანდარმერია, კერძოდ, მუშნი ზარანდიას ქვეგანყოფილება დააინტერესა. სხვათა შორის, მან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების საკმაოდ ვრცელი მასალებიც გამოითხოვა, სარჩიმელიას შესწავლას მიჰყო ხელი და აქ ევტერპია ტრიანდოფილიდის ფიგურა თავისთავად ამოტივტივდა. რაჟა სარჩიმელია, რამდენადაც სამძებრო განყოფილების მასალებს დაეჯერებოდა, თავის მდედრობითი სქესის კომპანიონს პირადად იშვიათად ხვდებოდა. მაშასადამე, ნაძარცვის გადაცემა შუამავლის მეშვეობით ხორციელდებოდა. ეს კაცი იყო აღმოსაჩენი, მაგრამ დაუყოვნებელი ზომები ზარანდიას არ მიუღია; იგი რაღაცას ელოდა.

ერთი-ორი თვის შემდეგ, ღამით, ახალსენაკიდან ზუგდიდს მიმავალ მდიდარ ოფიცერს და მის მხლებელს ორი ყაჩაღი დაუხვდა. ამ პაემანის შედეგად ოფიცერი გამოეთხოვა თავის საფულეს, ცხენებს და ძვირფასი თვლებითა და ოქროთი მოვარაყებულ ხმალ-ხანჯალ-

რევოლვერს, ხოლო მხლებელს უკანალში წიხლები და ზურგში კონდახები მოხვდა, – ამსიგრძე გზაზე ორი აბაზის ამარა რამ გამოგიყვანაო. ზარანდია დანაშაულის ადგილზე გაჩნდა. გაძარცვის ხერხი სარჩიმელიას ხელწერაზე უთითებდა. ამას გარდა, დაზარალებულის მხლებელმა ერთ-ერთი მძარცველი სახელითა და გვარით თქვა – რაჟა სარჩიმელია! ახლა ყველაფერი იღბალზე და მოთმინებაზე ეკიდა: მიიტანდა თუ არა და როდის მიიტანდა შუამავალი ნაძარცვ ტრიანდოფილიდის ქალთან. დაინიშნა მისი სახლის ფრთხილი, ჩინებულად ორგანიზებული თვალთვალი. ათი დღის მანძილზე მევახშეს შვიდი კაცი ესტუმრა. მათ შორის ერთმა კაცმა იღლიით მოიტანა ფუთა, რომელიც ძლიერ წააგავდა გაძარცვული ოფიცრის იარაღს. ადვილად დადგინდა, რომ ამ შვიდ კაცში ექვსი – მევახშის კლიენტი იყო, ხოლო მეშვიდე – სოხუმელი კირიაკა, ყავახანის პატრონი, რომელსაც ასიოდე ნაბიჯის გადადგმა დააცადეს და პოლიციაში გამომძიებელს მიჰგვარეს. ეს ერთი ბეწო, შეუხედავი კაცი იმდენად კერკეტი აღმოჩნდა, რომ, მისი სიტყვით, არამც თუ მიტანილი ამანათისა იცოდა რამე, არამედ ტრიანდოფილიდის ქალს საერთოდ არ იცნობდა. როზგებმა და პატიების შეპირებებმა თავისი გაიტანეს. ამის შემდეგ გამომძიებელმა ზარანდიას გადასცა ჩვენება, რომლის მიხედვით, რაჟა სარჩიმელია თავის ნაძარცვს წინასწარ შერჩეულ სამალავში ტოვებდა, ხოლო იქიდან ყავახანის პატრონს ევტერპია ტრიანდოფილიდისთან ან მის მიერ მითითებულ სხვა ადგილებში გადაჰქონდა ნაძარცვის ღირებულებიდან გამომდინარე გასამრჯელოს ფასად. ეს მისამართებიც ცნობილი გახდა და ის კაციც, ვინც სამალავიდან ნაძარცვის წამოღების საჭიროებას კირიაკას ატყობინებდა.

ზარანდიას მითითებით, ყავახანის პატრონს გაუთქმელობის ხელწერილი ჩამოართვეს, თუკი რამ ოჯახში ფული და ფასეულობები გააჩნდა, გირაოდ მოატანინეს, პირგაუტეხლობის შემთხვევაში დანაშაულის პატიება აღუთქვეს, გაათავისუფლეს და დაავალეს, რომ თავისი საქმიანობა და სარჩიმელიასთან ურთიერთობა ძველებურადვე განეგრძო.

ზარანდია კი ამ დროს თავისი ქვეგანყოფილების მუშაკის თანდასწრებით ევტერპია ტრიანდოფილიდის ესაუბრებოდა მისსავე სახლში. სწორედ ეს მუშაკი გახლდათ სარჩიმელიას მიერ გაძარცული მდიდარი ოფიცერი. სამი უმცროსი მოხელე ჩხრეკას აწარმოებდა; ოფიცრის იარაღის პოვნა არ გაძნელებულა, რადგან დიასახლისმა მისი გადამალვა ვერ მოასწრო, მაგრამ სახლის პატრონის კარგად შენიღბული სამალავის აღმოჩენა ვერა და ვერ მოხერხდა. ამას ზარანდიასთვის გული არ დაუწყვეტია; იგი დარწმუნებული იყო, რომ მასპინძელს აკისრებინებდა ყველაფერს, რაც დასახული გეგმის განხორციელებისთვის ესაჭიროებოდა.

დახელოვნებული დეტექტივისა და გაიძვერა ბოროტმოქმედის ორთაბრძოლა ოთხ დღე-ღამეს გაგრძელდა. ჩანს, პანდორას ჰერმესმა ცბიერების, ვერაგობის, სიცრუის და მჭევრმეტყველების მხოლოდ მცირე ნაწილი მისცა და უდიდესი კი მადამ ტრიანდოფილიდისთვის შემოინახა, მაგრამ მის მხარეზე მხოლოდ ხსენებული თვისებები იყო. ზარანდიას, დახვეწილ პროფესიონალიზმთან და მოუსყიდველობასთან ერთად, ხელთ ჰქონდა სამძებრო განყოფილების აგენტურულ დასმენათა ტომი და ამ მასალებიდან სწორად გამოტანილი დასკვნები: ფართლეულის ისტორიის გამო კარგი გასამრჯელოს ფასად საპყრობილეში ნებაყოფლობით წასული კაცის გულახდილი აღიარება და ყავახანის პატრონის ვრცელი ჩვენებები, რაც მევახშე დედაკაცის სხვა თანამოსაქმეთა სიასაც

შეიცავდა; ნივთიერი მტკიცება – გაძარცული ოფიცრის იარაღი, და სხვაც ბევრი რამ. ამგვარად, ევტერპია ტრიანდოფილიდი მუდმივი რისკითა და შიშით შეძენილი ქონების ოხრად დარჩენისა და, ამასაც ჯანი გავარდეს, ხანგრძლივი პატიმრობის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ამ დედაკაცისთანა პრინციპების მქონე ადამიანები მსგავს სიტუაციაში ტყავის შენარჩუნებისთვის ყველანაირ კომპრომისზე მიდიან. ევტერპია ტრიანდოფილიდიც არ ყოფილა გამონაკლისი; მან, ეგრეთ წოდებულ, გულწრფელი აღიარების გზას მიმართა და ამაში იმდენი გულმოდგინება ჩააქსოვა, რომ ზარანდიასაც კი ვეღარ გაეგო, ვინ იყო მის წინაშე – დამნაშავე თუ ბრალმდებელი.

ზემოთ მოყვანილი ოპერაციის შედეგად ხაზინამ მიიღო კონფისკებული ორას სამოცი ათასი მანეთი: ოთხმოცდაათი – სარჩიმელიას წილი და ას სამოცდაათი – დედაკაცისა. მადამ ტრიანდოფილიდის ერგო თავისივე უძრავ-მოძრავი ქონება, ვახშად გაცემული ათი ათასი მანეთის თამასუქები, მეფისნაცვლის პატიება-შეუვალობის ბარათი და სოხუმის პოლიციის საიდუმლო აგენტის ყოველთვიური მცირედი ჯამაგირი. ზარანდიას ერგო ის, რაც სურდა: ევტერპია ტრიანდოფილიდიმ ყავახანის პატრონის მეშვეობით სარჩიმელიას გაუგზავნა კარგად შედგენილი წერილი, რომლის მიხედვით, მძარცველურ-სამევახშეო ალიანსის მთელი კაპიტალი ბუდუ და ლუკა ნაკაშიებმა გაიტაცეს!

ეს სამკუთხედის მეორე კუთხე იყო.

ჩემი თანამდებობისა და პროფესიის გამოისობით, ცხადია, კავკასიის ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგად ვიყავი ჩახედული. ჩემს ყურამდე აღწევდა ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა, მათ შორის – განსაკუთრებით კურიოზული და სასაცილო შემთხვევებიც. ჩხუბისა და აყალმაყალის მოყვარულები ყველგან მრავლად იყვნენ, მაგრამ სამეგრელოს ერთ მთიან სოფელში მცხოვრებმა თოდუების ოჯახმა, ეჭვს გარეშე, ყველასა და ყველაფერს გადააჭარბა. ოჯახი ექვსი სულისგან შესდგებოდა: მამა – დოროთე თოდუა, დედა – ნუცა ნაკაშია-თოდუასი და ოთხი ერთმანეთის მომდევნო ვაჟკაცი. ტრადიცია დოროთე თოდუამ შექმნა. მან ახალგაზრდობაშივე გაითქვა სახელი, როგორც ჩხუბისთავმა და ჩინებულმა მოკრივემ. ჩხუბი მისი ცხოვრების მთავარ გატაცებად, სულიერ სარჩოდ იქცა; მუშტი-კრივის სიყვარულმა ფანატიზმამდე ააღწია, თორემ სხვით ვერაფრით აიხსნება ის, რომ სანამ მკლავი ერჩოდა, არც ოჯახს მოჰკიდებია და არც ქონებაზე უფიქრია. დადიოდა და ფათერაკს ეძებდა. სცემდა და ხანდახან მასაც სცემდნენ. ბოლოს ასაკმა თავისი გაიტანა; ორმოცი წლისამ ჯოგი გაიჩინა, ორმოცდახუთისამ – ნაკაშიას ქალი მოიყვანა, ორმოცდათხუთმეტისამ თავისი ბიჭების გაწვრთნა-დაგეშვას მიჰყო ხელი. ბიჭებს საამისო ნიჭი და მიდრეკილება ჭარბად აღმოაჩნდათ, მამას ბევრად აჯობეს. ამის გამო ნუცა ნაკაშია-თოდუამაც შორს გაითქვა სახელი და არა მარტო, როგორც შფოთისთავი ქმარ-შვილის პატრონმა, არამედ, უმთავრესად, როგორც ყოველგვარი ნაცემობის, დაბეგვილობის, კოპებისა და მოტეხილობების მკურნალმა. ერთი სიტყვით, თოდუების ოჯახი ხულიგანთა ქართული განმეორება იყო იმ განსხვავებით, რომ შრომა ყველას უყვარდა და, მაშინდელი გლეხის კვალობაზე, დიდი შეძლებაც ჰქონდათ.

მამასა და შვილებს შორის ერთი არსებითი განსხვავება იყო: დოროთე თოდუამ უბოროტო ჩხუბი იცოდა, მისთვის მთავარი იყო კრივი, როგორც სპორტი და ორთაბრძოლის საშუალება. შვილებს კივისიმე დაჯაბნვის სურვილი ამოძრავებდათ, ყველა დაბრიყვებული, დაჩაგრული ჰყავდათ. დღეობაში, ქორწილში ან სხვა რომელიმე

თავყრილობაზე რომ გამოცხადდებოდნენ, ვინც ძმებს იცნობდა – ჩუმად გაიკრიფებოდნენ ხოლმე. ვინც დარჩებოდა – პურ-მარილი ჩაშხამდებოდა. ამის მიზეზით, თოდუებმა მტრადაც ბევრი გადაიკიდეს. შეურაცხყოფას ყველა ვერ მოითმენს; თითო და ორ-ორჯერ ოთხივე ძმა იყო დაჭრილი – ზოგი ხანჯლითა და ზოგი ტყვიით. მამამ წლობით არიგა, ტუქსა, მაგრამ შვილები თავისას სჩადიოდნენ. მოხუცს მობეზრდა, ხელი ჩაიქნია! ჯოგს აძოვებდა, შინ იშვიათად. მოდიოდა.

დათა თუთაშხიამ დოროთე თოდუა მეჯოგეობაში გაიცნო: ერთმანეთისა დიდი პატივისცემა ჰქონდათ: თუთაშხიას – როგორც კეთილად განწყობილი უფროსი კაცისა, თოდუას – როგორც სახელიანი და სამართლიანი აბრაგისა. დათა რამდენიმეჯერ თოდუების ოჯახში სტუმრადაც იყო ნამყოფი. ბუნებით თავხედი ვაჟიშვილები აბრაგს ნელ-ნელა გაუთამამდნენ და ერთხელ მთის საძოვრებზე, როცა დოროთე თოდუას კარავში ღვინის სმა და პურ-მარილი იყო, რაღაცაზე შარი მოსდეს. ასეთ კაცთან მამლაყინწობას შფოთისთავები განსაკუთრებით ეტანებიან; ერთი მხრივ, იმის იმედი აქვთ, რომ კეთილგონიერება მოითმენს და თუ არ მოითმინა კიდეც – უკიდურეს სამაგიეროს არ აზღვევინებს. მეორე მხრივ – ერთი სახელიანი კაცის დამარცხება ათ ჩვეულებრივ კაცზე გამარჯვებას უდრის და შემდგომი ჩხუბების დროს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ კაპიტალს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ძმებს მცირედის დაბანდებით მრავლის მოხვეჭის იმედი ჰქონდათ. თუთაშხიამ დოროთეს ხათრით ყველაფერი მოითმინა. ძმებს კი ჩხუბი სწყუროდათ და ამ სერიოზულ კაცს უმოწყალოდ სცემეს. აბრაგისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა შეურაცხმყოფლები იარაღით დაეშოშმინებინა ან უარესიც ექნა, მაგრამ მან ბოლომდე მოთმინება არჩია, ნაგვემი სახე დაიბანა და წამოსვლისას ყმაწვილებს უთხრა: რასაც თქვენ თქვენი საქციელით მოიწევთ, იმასაც ვნახავო! მას შემდეგ თუთაშხია თოდუებს აღარ გაჰკარებია. ეგ არის, ამ ამბის შემდეგ ორი წელიწადიც არ იყო გასული, თოდუების ოჯახი, ჯოგში მყოფი დოროთეს გარდა, ერთ ღამეს მთლიანად ამოწყვიტეს – ოთხი ძმა და დედა! მკვლელებს, ალბათ, ძალიან ეჩქარებოდათ, რომ ერთმა პოლიციელმა ბოროტმოქმედების ადგილზე ხილაბანდში გახვეული სამკაულები იპოვნა და ყველასთვის შეუმჩნევლად უბეში შეინახა. ნივთები ოჯახის დედას, ნუცას ეკუთვნოდა. დაწვრილებით ამის თხრობა არ ღირს, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ ერთი წლის შემდეგ სამკაულებმა ხილაბანდითურთ მაზრის პოლიციის სეიფში ამოჰყო თავი. ეს ზარანდიას მოახსენეს. მან ბრძანა, საქმის გახსნამდე დოროთე თოდუასთვის ნივთების პოვნა არ გაემხილათ.

ბოროტმოქმედთა კვალი გაქრა. ხალხში ათასნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები დადიოდა: მათ შორის, იმასაც ამბობდნენ თითქოს ეს გაუგონარი დანაშაული დათა თუთაშხიას ჩაედინოს და მტკიცებად ის სიტყვები მოჰქონდათ, რაც ნაცემმა აბრაგმა თოდუებს უთხრა. დანაშაული სამუდამოდ გაუხსნელი დარჩა. პირადად მე, დარწმუნებული ვარ, ამ საქმისა თუთაშხიამ არაფერი იცოდა, მაგრამ მუშნი ზარანდიამ მოისურვა, რომ ხალხისა და, უპირველეს ყოვლისა, ბუდუ და ლუკა ნაკაშიების თვალში, ამ საზიზღრობის ჩამდენი სწორედ დათა თუთაშხია ყოფილიყო; საქმე ის არის, რომ ნუცა ნაკაშია – ამოწყვეტილი ძმების დედა, ბუდუ და ლუკა ნაკაშიების მკვიდრი მამიდა გახლდათ, ხოლო ნაკაშიებისა და თუთაშხიას სამკვდრო გადაკიდება ზარანდიას მიზანს შეადგენდა. ამიტომ მან თავისი ქსელის საშუალებით სათანადო ხმები გაავრცელა, ჭორმა ნაკაშიებამდეც მიაღწია. ძმებს ასეთი რამ ადრეც ჰქონდათ გაგონილი და ინფორმაციის განმეორების გამო პირველწყაროს დადგენას მიჰყვეს ხელი.

ეს სამკუთხედის მესამე კუთხე იყო.

ახლა იმაზე, თუ როგორ შეკრა მუშნი ზარანდიამ ეს გეომეტრიული ელემენტები ერთ ფიგურად, რაც არანაკლებ რთულ სამუშაოს წარმოადგენდა. აუცილებელი იყო, რომ ყაჩაღებამდე მისულ ყოველ ვერსიას თავისი სრულქმნილი მტკიცება ჰქონოდა. ეს ეშმაკობაში და ყოველგვარი რებუსების ამოხსნაში დახელოვნებული კაცები მეტისმეტად ძნელი მოსატყუებელი ხალხი იყო. ისინი დაუჯერებდნენ მხოლოდ იმას, რასაც ხელი მოევლებოდა – ფაქტს, ნივთს, უკიდურეს შემთხვევაში, საიმედო კაცის სიტყვას. თუთაშხია უნდა დამატებითი მტკიცების საშუალებით დარწმუნებულიყო, რომ სარჩიმელიამ მართლაც წაართვა საყვარელი ან არ ჩაუდენია ეს, მაგრამ ჯავრის ამოყრის მიზნით ასეთ ხმებს ავრცელებს. სარჩიმელია უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბუდუ და ლუკა ნაკაშიებმა მართლაც გაიტაცეს ევტერპია ტრიანდოფილიდისთან დაბინავებული მისი თანხები და ნაძარცვი. ნაკაშიები უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ მათი მამიდისა და მამიდაშვილების სისხლი თუთაშხიას კისერზე იყო. ზარანდიამ ამ ამოცანის დაძლევაც ვირტუოზულად შეძლო.

მუშნის თავის გეგმაში არც ის მოსაზრება გამორჩენია, რომ თუთაშხიას იქნებ საერთოდ არ ეთხოვებინა ყური სარჩიმელიას ამურული თავგადასავლების გამო დარხეული ხმებისთვის, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს საკითხი აბრაგს მაინც დააინტერესებდა. ამიტომ გავრცელებული იქნა ხმა, თუ, სახელდობრ, ვისთან განთავისუფლდა ბეჩუნი პერტია სარჩიმელიას სიყვარულის შედეგად დარჩენილი ფეხმძიმობისგან. ამ ვერსიაში დასახელებულ მეანე ქალთან, სულ რაღაც ათი დღის შემდეგ, პატივცემული ქალბატონი ტერეზია ჩიჩუა მივიდა. თავადის ქალი, სხვა მოარულ ჭორებთან ერთად, ბეჩუნი პერტიას და რაჟა სარჩიმელიას რომანსაც შეეხო და ხუმრობაში მეანე ქალი "გამოტეხა", რომ ბეჩუნი პერტიას სწორედ მან აღმოუჩინა დახმარება. ზარანდიამ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: დარწმუნდა, რომ დათა თუთაშხიამ, ასე თუ ისე, საკენკს ნისკარტი ჩაჰკრა და, მეორე მხრივ, აბრაგის მანამდე უცნობი ურთიერთობა აღმოაჩინა ქალბატონ ტერეზია ჩიჩუას სახით. ცხადი გახდა, რომ დათა თუთაშხია რაჟა სარჩიმელიას რითიმე მოუვლიდა.

ბუდუ ნაკაშიასთვის თავის დროზე, ანუ ოთხი წლის წინათ, დავალებული ტერორისტული აქტის დრო და ადგილი ჩვენმა სამსახურმა წინასწარ გაიგო. ტერორისტი ხაფანგში გაება, დავალება ვერ შეასრულა, მაგრამ ორი კაზაკი მოგვიკლა და ტყეს შეაფარა თავი. ლუკა ნაკაშია – უმცროსი ძმა, ბუდუს თანამოაზრე და იმ საქმეში თანამონაწილე არ ყოფილა, რადგან დაბადებითვე გონებასუსტი იყო. როცა ბუდუ ნაკაშიამ აბრაგობას მიჰყო ხელი და სახელი გაითქვა, ლუკამ გუდანაბადი აიკრა, ძმას მიაგნო და შინ დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ასე გააბრაგდა ლუკა ნაკაშია. კერძოდ მის წინააღმდეგ დამსჯელ ორგანოებს არავითარი მასალა არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რომ იგი შედარებით ახდილად მიდი-მოდიოდა და, საფიქრებელია, თავისი ძმის დავალებებს ასრულებდა. ერთხელ აზრი წარმოიშვა, ლუკა დავიჭიროთ და ბუდუს შევუთვალოთ, გამოდი, ჩაგვბარდი, თორემ ძმას გაგიციმბირებთო, მერე ვიღაცას მოაგონდა, რომ ლუკა ჭკუანაკლული იყო, მისი სამართალში მიცემა ვერ მოხერხდებოდა, რომ ეს ბუდუმაც კარგად იცოდა და ამიტომ არც ჩაგვბარდებოდა. წინადადება ჩაფლავდა. ლუკა არც იმდენად იდიოტი იყო, რომ ძმის ადგილსამყოფელზე კვალი მიეტანა და არც იმდენი ჭკუა

ჰქონდა, პოლიციას რომ მისი რეიდები შეუსწავლელი დარჩენოდა. ზარანდიასთვის ესეც სრულიად საკმარისი იყო. ლუკას მიუდარაჯეს და გზაზე გამოსულს მშვენიერი მაუზერი დაუგდეს. ამ ხრიკის ტექნიკური შემსრულებელი ირწმუნებოდა, მეტი თუ არა, ნახევარი საათი მაინც ათვალიერაო. ჩანს, ამ ნახევარ საათში ლუკამ ყველაფერი ბოლომდე გაიაზრა, რადგან მაუზერი ქამარში ყოჩაღად გაირჭო და რასაც პოვნამდე უსტვენდა, იმავე მელოდიის სტვენით განაგრძო გზა. როცა სოფლებში საქმე მოათავა, ლუკა ძმასთან დაბრუნდა და თავისი ნაპოვნით დიდ საგონებელში ჩააგდო იგი. ბუდუ ნაკაშიამ ეს უცნაური მოვლენა ათასნაირად აწონ-დაწონა, საეჭვოს ვერაფერს მიაგნო და ყველაფერი შემთხვევითობას მიაწერა. ამგვარად, ევტერპია ტრიანდოფილიდისაგან ჩამორთმეული ნაძარცვი მაუზერი ლუკა ნაკაშიამ ჩამოიკიდა. საჭირო

იყო სარჩიმელიას თავისი თვალით ენახა ეს...

ადრე ვთქვი, რომ დათა და ელე თუთაშხიები მუშნი ზარანდიას დედ-მამის ოჯახში აღიზარდნენ. დავსძენ, ამ ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ უნაზესი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოირჩეოდნენ. ნამდვილად ვიცი, მუშნი ზარანდია გულწრფელად, ღრმად განიცდიდა დათას და ელეს ბედუკუღმართობას. იგი არა მარტო თანაბარ მატერიალურ დახმარებას უწევდა თავის მშობლებს, უფროს ძმას და ელე თუთაშხიას, არამედ ამ გაუთხოვარი, მარტოხელა ქალის სახლ-კარსა და მეურნეობაზეც ზრუნავდა. მუშნი, მისი ძმა და მოხუცი ზარანდიები ელესთვის და დათასთვის ბოლომდე ძმებად და მშობლებად დარჩნენ, ხოლო მოხუცები ერთთავად თავის აღზრდილი ობლების ტირილში იყვნენ. დაჟინებით ვიტყვი, რომ მიუხედავად საზოგადოებრივ ასპარეზზე მძაფრი დაპირისპირებისა, მუშნი ზარანდიასა და დათა თუთაშხიას შორის ურთიერთპატივისცემა და ძმური სისხლისმიერი სიყვარული არაფრით და არასოდეს შენელებულა. ეს პარადოქსადაც ჟღერს, ჭეშმარიტებაც არის და თუკი ვცდები, დაე, ღმერთმა განსაჯოს ამ ორი ტრაგიკული პიროვნების სიცოცხლეც და ჩემი შეხედულებაც.

ელე, სამკუთხედის ოპერაციის დაწყების წინა ხანს თბილისში ზარანდიებთან სტუმრობდა. სოფელში თუთაშხიების ძველთაძველი სახლი დიდი ხანია შეკეთებას მოითხოვდა. მუშნიმ ელეს საჭირო თანხა მისცა, – ჯერ სახურავი შევაკეთოთ და დანარჩენზე მერე ვიფიქროთო. ამასთან ერთად, მიასწავლა კაცთან, რომელიც კარგ ოსტატებს გამოუნახავდა, ჩასვა მატარებელში და შინ გაისტუმრა. ელე თუთაშხია ზარანდიას მიერ მითითებულ კაცთან მივიდა. დახმარება სთხოვა. კაცმა მიუგო, ის ოსტატები ჯერჯერობით სხვა საქმით არიან დაკავებული, პატარა ხანს მოცდა დაგჭირდებათ, იმ სამუშაოს მორჩებიან თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნითო. ალბათ, გასაგებია,რომ ეს კაცი ზარანდიას აგენტი იყო და ამიტომ ოსტატების გაგზავნა სათანადო სიგნალის მიღებამდე გააჭიანურა. ელე თუთაშხიას მაინცდამაინც დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, ერთ დილას ოსტატები მოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. მუშაობის დროს ერთ-ერთმა თავი დაიმარტოხელა, ნუცა თოდუას ხილაბანდში გამოკრული სამკაულები წინასწარ დანიშნულ ადგილზე დამალა. სახურავის შეკეთება დასრულდა, ოსტატებმა თავისი მიიღეს, წავიდნენ. ორი-სამი დღის შემდეგ მუშნი ზარანდიას მეუღლის ავადმყოფობის გამო ელე თუთაშხიამ თბილისიდან სასწრაფო გამოძახება მიიღო, სახლი დაუყოვნებლივ დაკეტა და გაემგზავრა. ამგვარად, თოდუების ამოწყვეტაში რომ დათა თუთაშხიას ორთავე ხელი ერია, ამისი ნივთიერი მტკიცებულობა მისივე სახლის სხვენში ინახებოდა. საჭირო იყო ნაკაშიების მისვლა და ხილაბანდის პოვნა...

ზარანდიამ ოპერაცია თავის ხელქვეით ოფიცერს ამ ფაზაში დაუტოვა, თბილისს გამოემგზავრა და ჩამოსვლისავე დღეს სხვა მიმდინარე საქმეებს მოჰკიდა ხელი. ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ ზარანდიამ ერთდროულად დაიწყო ხუთი ანალოგიური ოპერაცია კავკასიის სხვადასხვა მაზრაში. ვიცოდი, ოპერაციის დამთავრებას ჯერ კარგა ხანი აკლდა, ამიტომ დაწესებულებაში მისი გამოჩენა ჩემთვის მოულოდნელი იყო. გამოძახებას ვაპირებდი, მაგრამ თვითონ მოვიდა. მისალმების შემდეგ მოლოდინი შემნიშნა და საქმის მსვლელობა მომახსენა.

– დაბრუნდებით? – ვკითხე მე.

– აღარ.

– როგორ შედეგს ელით?

ზარანდია დაფიქრდა, გაიღიმა:

– შედეგის განჭვრეტა, მოგეხსენებათ, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება... მით უმეტეს, ასეთ საქმეებში. მგონი, წინასწარი ვარაუდი უნდა გამართლდეს.

– ესე იგი: უფროსი ნაკაშიას ან ორივე ნაკაშიას ლიკვიდაცია; სარჩიმელიას შემორიგება და ჩვენს სამსახურში აყვანა; თუთაშხიას საბოლოო და ისეთი კომპრომეტირება, რომ სხვა გზა აღარ დარჩეს და შემორიგებაზე დაგვთანხმდეს!

– დიახ, – დამიდასტურა ზარანდიამ, – მაგრამ იმ პირობით, თუ თუთაშხიამ დანარჩენ ბოროტმოქმედთა დაშოშმინება-დარწმუნება ვერ შეძლო. რაც დრო გადის, სულ უფრო მეშინია ამისი.

– როცა ნაკაშიები თავისი დის ნივთებს თუთაშხიას სხვენში იპოვნიან, მაშინაც შესაძლებელია, რომ თუთაშხიას გავლენამ ოპერაცია ჩაშალოს?

– კაცნი ვართ! – ყოყმანით თქვა ზარანდიამ – ყოველ შემთხვევაში, ჩემი იქ ყოფნა ვეღარაფერს გამოასწორებდა.

ერთი საკითხი იმთავითვე მაწუხებდა, მაგრამ ვერა და ვერ გამოვნახე საჭირო შემთხვევა, რომ ზარანდიასგან პასუხი მიმეღო. ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდება ახლაც მეჩოთირებოდა, ვყოყმანობდი. ბოლოს, თავი იმაში ვამხილე, რომ საამისო მომენტი ყოველთვის იყო და უბრალო გამბედაობა მღალატობდა.

– მაგ ოპერაციაში არც ის არის გამორიცხული, რომ თუთაშხია მოკლან და სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მაშინ?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ეგ სწორედ გამორიცხულია! ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტას სამიდან ორი კუთხე მიიღებს და თუთაშხია ყველა შემთხვევაში ცოცხალი დარჩება.

– რამ შეგძინათ ეს რწმენა?

– იმან, რომ თუთაშხია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სარჩიმელია და ნაკაშიები ერთად აღებული!..

– რით აიხსნება ასეთი განსხვავება მათ შესაძლებლობებში?

– ჯერ თანდაყოლილი ღირსებები და შემდეგ სწორი აღზრდით ჩამოყალიბებული ზნეობა. მე ვიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან.

– კაცი ბჭობდა – ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია; ვნახოთ და მოხდა? – ჩავაცივდი მე.

– ეგ მაშინ უნდა მოხდეს, თუთაშხია თუ სხვებზე უძლური აღმოჩნდება. სუსტმა უნდა წააგოს. აქ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ თუთაშხიას, ვიმეორებ, არაფერი დაემართება.

საუბარი შეწყდა.

ნაკაშიებმა კითხვა-კითხვით მიაგნეს ადამიანს, რომელმაც თოდუების ამოწყვეტაში დათა თუთაშხია დაადანაშაულა და დანიშნულ ადგილზე დაიბარეს იმ კაცთან ერთად, ვინც მიაგნებინა.

– ღენტორ კუპრავა, ბატონო, საიდან იცით თქვენ, მამიდაჩვენი ნუცა და მისი ვაჟები დათა თუთაშხიას დახოცილები რომ არიან?! – ჰკითხა ბუდუ ნაკაშიამ.

კუპრავა დაიბნა და ჩაილაპარაკა:

– საიდან უნდა ვიცოდე?.. არ ვიცი არაფერი მე.

– უყურე ერთი! – აღშფოთდა შუაკაცი. – შენ არ მითხარი: მისი გაკეთებულია ეს საქმეო!

კუპრავამ ისევ იუარა, მაგრამ მის სიტყვებში ყოყმანი და სიცრუე ნათლად ჩანდა. ნაკაშიები ჩაცივდნენ. კუპრავა დიდხანს იდგა თავისაზე. როცა საქმე მუქარაზე და იარაღის ტრიალზე მიდგა, კუპრავა მუხლებზე დაემხო, ცრემლით შეემუდარა:

– ბუდუ ბატონო, არ მომკლა, შვილები არ დამიობლო, ვიცი ყველაფერი, მარა არაა სათქმელი ის. მკვლელობა და ცოდვა არ აკლია ამ ქვეყანას, რომ ვთქვა, მიემატება კიდევ და, არ მინდა მე. დამანებე თავი, გაფიცებ მაღლა ღმერთს და მიწაზე ძვირფასი ვინც გყავს – იმას!

– თქვი, ახლა, თვარა გაგაცივ აქ, – შეუტია ლუკა ნაკაშიამ.

კუპრავამ ცოტა ხანს იყუჩა და ბუდუ ნაკაშიას ჰკითხა:

– საწყალი ნუცა, დოროთე თოდუას რომ უნდა წაეყვანა, ახალი სახლის აშენებას თქვენ წინდღით მორჩით, მგონია. ასეა ხომ?

ბუდუ დაფიქრდა.

– მასეა, რაა მერე?

– ის ოსტატები ხომ კარგად იცნობდნენ თქვენს ნუცას, საწყალს, და თოდუები მის წასაყვანად რომ მოვიდნენ, ხომ იყვნენ ის ოსტატები იმ ამბავზე?

– იყვნენ, მგონი.

– იყვნენ, კი, იქ ვიყავი მეც და ვიცი, რომ იყვნენ. გახსოვს შენ, ალბათ, იქ რომ ვიყავი მე, – თქვა კუპრავამ.

– კი მახსოვს.

– ნუცას დოროთე თოდუამ ნიშნად სამკაულები რომ აჩუქა – არ მახსოვს მე, სიმართლე გითხრა, ის სამკაულები, მარა იმ ოსტატებს ახსოვთ: ვერცხლის ბეჭედი ყოფილა ფირუზის სამი თვლით გულსაბნევი – ისიც მისთანა ფირუზებით გაწყობილი და საყურეები – ისიც მისთანა. ოსტატები ამბობენ, – საცოდავი ნუცა, სულ ატარებდა იმ ნივთებსო. ყოველდღე ვხედავდით იმდენ ხანს და დავიხსომებდით, აბა, რა იქნებოდაო. თუ ქონდა საწყალ ნუცას ასეთი სამკაულები?..

ბუდუ ნაკაშია უკვე გაფითრებული იყო.

– ქონდა. ატარებდა, მართალია ეგ!

– ოსტატებს რომ ვამბობ, მათ უნახავთ ის სამკაულები.

– სად?!

– დათა თუთაშხიას სახლის სახურავს მართავდნენ ხელახლა. იქ უნახავთ, სხვენში დამალული.

სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

– ადგილი თუ გითხრეს?

კუპრავა შეყოყმანდა. მერე თავს ძალა დაატანა და ამოსცრა:

– მითხრეს. მარა... ვაითუ იცრუეს... ან ვაითუ აღარ დაგხვდა ის იქ. რა ვქნა მაშინ მე!

ნაკაშიებს მოწმის ტირილისა და ცრემლებისთვის სად ეცალათ! – დაუყოვნებლივ ათქმევინეს ოსტატების მინიშნებული ადგილი. გამთენიის ხანს თუთაშხიას სახლ-კარს მიადგნენ, იქაურობა რიგიანად დაათვალიერეს და როცა საეჭვო ვერაფერი ნახეს, ჩარაზულ-ჩაკეტილი სახლის ეზოში გადახტნენ. ცოტა ხნის შემდეგ სამკაულებიანი ხილაბანდი ძმებს ხელთ ჰქონდათ. ლუკამ სამზადი შეამტვრია, ნავთი გამოიტანა, შენობას მოასხა და ცეცხლი მისცა. ეს ამბავი მთელი სოფლის თვალწინ და, რა თქმა უნდა, ნაკაშიების მრავალგზისი აღშფოთებული განმარტებებისა და მუქარის თანხლებით მოხდა.

ახლა სარჩიმელიას, ბუნებრივია, ეჭვი შეეპარა თავისი კომპანიონის ინფორმაციაში. საამისოდ მრავალი მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თვითონ შეეძლო უმნიშვნელო თანხის გულისთვის ყოველნაირი ცბიერება და მზაკვრობა ჩაედინა. ევტერპია ტრიანდოფილიდიც ხომ მის თარგზე გამოჭრილი დედაკაცი ბრძანდებოდა: არ არსებობდა საქციელი, რომელიც მოულოდნელი ყოფილიყო მისგან. ზარანდიამ გაითვალისწინა, რომ დამატებითი მტკიცებების უქონლად სარჩიმელიასთანა გაქნილი სკეპტიკოსისა და ეშმაკეულის დარწმუნებას თვით ტრიანდოფილიდის ქალიც კი ვერ შესძლებდა. ამიტომ სათანადო ზომები იქნა მიღებული! მიღწეული შეთანხმების შემდეგ ნაჩხრეკ და არეულ-დარეულ ბინაში ზარანდიამ ხელფეხშეკრული დიასახლისი დატოვა. ცოტა ხნის მერე ქალი ქუჩაში გამოღოღდა, კივილი ატეხა, მოგროვდა ხალხი, მოვიდა პოლიცია, რომელმაც ქუჩაში ვითომდა ნაკაშიების მიერ წაღებული ნაძარცვის მცირედი ნაწილი იპოვნა. კვლევა-ძიება ორ-სამ დღეს გაგრძელდა და, რა თქმა უნდა, მთელმა სოხუმმა გაიგო ტრიანდოფილიდის გაძარცვის ამბავი. ამის შემდეგ გაჩხრიკეს ნაკაშიების ყველა ნათესავი ყველა მაზრაში, სადაც კი მოიპოვებოდნენ. დააპატიმრეს, დაკითხეს, ცოტა ხნით დააკავეს და მერე თავდებით გაათავისუფლეს ტრიანდოფილიდის თანამოსაქმეთა მესამედი, თუ ნახევარი, მათ შორის კირიაკაც, რომელთანაც სარჩიმელიას საგანგებო ლაპარაკი ჰქონდა შემდგომში. პოლიციას, ვითომდა, მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ ვინ მისცა ტრიანდოფილიდის საქმე ნაკაშიებს. სარჩიმელია რაც მეტს იკვლევდა და ფათურობდა, მით მეტად უქარწყლდებოდა კომპანიონის მიმართ აღძრული ეჭვი და მით უფრო მეტს ფიქრობდა ნაკაშიებთან შეხვედრაზე. მან იცოდა, მათთან ლაპარაკისა და გატაცებული ფულის კატეგორიული მოთხოვნისთვის ურყევი მტკიცებები იყო საჭირო, ამიტომ გადაწყვიტა, საქმის კურსში მყოფი ადამიანების მიერ მოყვანილ თუ გაგონილ ფაქტებთან ერთად, ხელთ ჰქონოდა ჭკუანაკლულ ლუკა ნაკაშიასგან გამოცინცლული რაიმე ცნობაც. პოლიციაზე უკეთესად სარჩიმელიამ იცოდა ლუკას ასავალ-დასავალი და ორიოდე კვირის თვალთვალის შემდეგ შეხვედრა მოხდა: ლუკას მაუზერმა სალმის მიცემისთანავე მიიპყრო მძარცველის ყურადღება. იმაში დარწმუნება, რომ ეს მისი ნაძარცვი და ევტერპიას სახლიდან გატაცებული მაუზერია, სარჩიმელიასთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამისთვის მაუზერის დათვალიერება იყო საჭირო, სხვა არაფერი. ამიტომ არც რაიმე საუბარი ყოფილა – ყაჩაღები თავ-თავის გზას გაუდგნენ. ვერსიის სისწორის გამო რაჟა სარჩიმელიასთვის ახლა უკვე ორი აზრი აღარ არსებობდა, მაგრამ შესამოწმებელი იყო თვით ევტერპია ტრიანდოფილიდი და დანაკარგის ანგარიშებიც. მან, როგორც იტყვიან, თავზე ხელი აიღო, სოხუმში მოვიდა. თვალთვალი, ცხადია, გრძელდებოდა. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, ყაჩაღისთვის ხელი არ ეხლოთ. სარჩიმელია კომპანიონს ესტუმრა, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ზღვის მეკობრეებიც და არსენა ოძელაშვილიც მას ჭკუით სჯობნიდნენ და ნაკაშიებთან შეხვედრაზე ფიქრით გართული უკან გამოტრიალდა.

სარჩიმელია, მართალია, დარწმუნებული იყო, რომ მისი ფული ნაკაშიების გატაცებულია, მაგრამ ყაჩაღს ეჭვი ეპარებოდა, რომ ექსპროპრიატორები რამეს დააბრუნებდნენ.

– რას მომცემენ მაგენი! მაგენი პოლიტიკურებია, არ იცი შენ! მაგენმა ის ფულები ჩააბარეს უკვე მათ, – მიუგო რაჟამ ერთ გულშემატკივარს, როცა იგი ნაკაშიებთან მისვლას და ფულის მოთხოვნას ურჩევდა.

– მაშინ, კაცი წაიყვანო უნდა ისეთი, მისი ხათრი და პატივისცემა რომ აქვთ ნაკაშიებს.

ეს რჩევა სარჩიმელიას ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ ვინ წაეყვანა? სწორედ იქ დაიბადა დათა თუთაშხიას გამოყენების იდეა. ამაში დაბრკოლებაც ბევრი იყო. ჯერ ერთი – ძველი ანგარიშები, და მეორე ის, რომ სარჩიმელიაზე გავრცელებული ხმები – ვითომ მან თუთაშხიას საყვარელი წაართვა, – თვით სარჩიმელიამდეც მივიდა და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა, დათამდე მისულიც არ ყოფილიყო. ამასთან ერთად, სამედიატოროდ, საშუამავლოდ, ნაკაშიებზე შთაბეჭდილებისა და ზეგავლენის მოსახდენად უკეთეს კაცს თვით ღმერთიც ვერ გამოიგონებდა. სარჩიმელია ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ამ დროს გაიგო, რომ ნაკაშიებმა თუთაშხიას სახლ-კარი გადაუბუგეს, ისიც გაიგო, თუ რისთვის გადაუბუგეს და ბევრი აღარ უფიქრია, მის საძებნელად გასწია. ოღონდაც! აქ უკვე ზეგავლენაზე კი არა, ინტერესთა ერთიანობაზე და, ამდენად, ნაკაშიების წინააღმდეგ მომავალ მოკავშირეობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი.

სურვილი ერთია, მისი სისრულეში მოყვანა – მეორე; დათა თუთაშხია სარჩიმელიასთვის ისეთივე ძნელი საპოვნელი იყო, როგორც პოლიციისთვის. საქმე ის არის, რომ თუთაშხიას მიმართ გაწეულ მაკომპრომეტირებელ მუშაობას ნელ-ნელა, მაგრამ ფრიად დამაჯერებლად მოჰქონდა თავისი შედეგი. ჩვენი ცნობების თანახმად, აბრაგმა ბევრ ისეთ ადგილში ამოიკვეთა ფეხი, სადაც უწინ ხელგაშლილი მასპინძლობა ხვდებოდა. ორმა თუ სამმა კაცმა პირდაპირ გაუმჟღავნა ნდობისა და პატივისცემის დაკარგვა. სხვებმა ახდილი მოქმედება ვერ გაბედეს, მაგრამ დათა თუთაშხიამ თვით იგრძნო მათი უარყოფითი დამოკიდებულება და ძველი მეგობრობა შეწყვიტა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავის მართლებას, დაყრილი ხმების უარყოფას და ვინმესთვის რაიმე განმარტების მიცემას არ ცდილა. მხოლოდ ერთხელ დედათა მონასტრის წინამძღვარმა თუთაშხიას, ვითომცდა მისი ცოდვები, ორთოდოქსის მოურიდებლობით მიახალა აბრაგმა მშვიდად მოისმინა და მიუგო:

– არ ჩამიდენია, დედაო, ეგენი მე, არ ვარ სამაგისო კაცი!

მოხუცი ქალი დათას პასუხმა შეაფიქრიანა, ყოყმანის შემდეგ უთხრა:

– ერმა ირწმუნა უკვე.

ზარანდიას ნამოქმედარი ჰგავდა საყოველთაო მსჯავრს, რომელსაც ძახითი ნიშანი აკლდა. სამკაულებიანი ხილაბანდის აღმოჩენამ, თუთაშხიების სახლ-კარის გადაბუგვამ, ამასთან დაკავშირებით გავრცელებულმა ხმებმა თავისი გააკეთა – ეჭვი და ვარაუდი ფაქტად აქცია. თუთაშხიამ დაინახა, რომ ხალხის თვალში იგი უკვე სისხლში ამოთხვრილი მგელი იყო და არა საერთო პატივისცემითა და თანაგრძნობით აღჭურვილი აბრაგი. მას იმის მეტი აღარც არაფერი დარჩენოდა რაც გააკეთა: განდეგილისა და მოკვეთილის ხვედრი იტვირთა.

რაჟა სარჩიმელია კი ტურასავით დაძრწოდა, ეძებდა. თუთაშხიას, რა თქმა უნდა, აქა-იქ კიდევ შემორჩა ფხიზელი და საღად მოაზროვნე კაცები. სარჩიმელია მათთანაც მივიდა პაემანის თხოვნით. საფიქრებელია, რომ განდგომილს გადასცეს კიდეც სარჩიმელიას დაჟინებული სურვილი, მაგრამ ხმა არსაიდან იყო. ყაჩაღი კი არა და არ ცხრებოდა – ეძებდა. ბოლოს, თუთაშხიას, ალბათ, მობეზრდა ან იქნებ სხვა რამ მოსაზრებით

იხელმძღვანელა და ყაჩაღს შეხვედრის დრო და ადგილი ბანძაში, უსინათლო მორდეხის ქოხში დაუნიშნა. სარჩიმელია მივიდა, შუაღამე გადასული იყო. კარი ღია დაუხვდა,

შეაღო და შევიდა. მორდეხი ტახტზე იწვა, გვიანი სტუმრის მოსვლა არ გაჰკვირვებია, არც ასადგომად წამოწეულა, იწვა, მუმიას ჰგავდა.

– გამარჯობა შენი, მორდეხა.

– სიკეთე მოგცეს ღმერთმა, თუ სასიკეთოდ დადიხარ ამ ქვეყანაზე, – მორდეხმა ტახტზე მიანიშნა, მოეწყეო.

მოხუცს ხმა აღარ დაუძრავს. სამი დღე-ღამე ალოდინა სარჩიმელია თუთაშხიამ. ჩანს, სადმე ახლომახლო ტრიალებდა. შესაძლებელ ხაფანგს ზვერავდა. ამ ხნის მანძილზე მორდეხმა მხოლოდ ერთხელ დასძრა კრინტი – მოვაო, – უთხრა ყაჩაღს, როცა მოთმინების დაწყვეტა შეატყო.

თუთაშხია რომ შემოვიდა, სარჩიმელიას ეძინა. მის მოსვლამდე მორდეხმა ყაჩაღის თოფისა და რევოლვერების ლულებიდან ვაზნები ამოიღო, მაგიდაზე დააწყო. თუთაშხიამ ნაბადი მოიხადა. ჯორკოზე ჩამოჯდა. მორდეხმა ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა, შეშამ ტკაცა-ტკუცი დაიწყო. ყაჩაღმა წამოიწია, თვალები მოისრისა და თქვა:

– გამარჯობა, დათა-ბატონო, მარა წასვლას ვაპირებდი, დღეს რომ არ მოსულიყავი კიდევ.

თუთაშხიამ თავი დააქიცინა. ყაჩაღი ვერ მიხვდა, სალმის პასუხი იყო ეს დაქიცინება, თუ კიდევ სხვას ნიშნავდა რასმე. სარჩიმელიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავი რიხიანად დაეჭირა, მაგარი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა თუთაშხიაზე.

– პირისპირ ლაპარაკი მინდა მე! – თქვა ყაჩაღმა და თვალით მორდეხზე მიანიშნა.

თუთაშხიამ ხელი ჩაიქნია. სარჩიმელია ნიშანს მიუხვდა, ღელვა მოიოკა და დაიწყო:

– პირველს იმას გეტყვი, დათა-ბატონო, რომ მაშინ, იქ, გზიდან გადაყვანილი ხალხის საქმეში, მართალი არ იყავი შენ, მარა გულში არაფერი არ ჩამიდვია მე. არც ის არის მართალი, რომ ლაპარაკობენ ჩემზე, ბეჩუნი პერტიასთან საქმე დაიჭირაო. მოგონილია მაგ ყველაფერი. – სარჩიმელია დათას პასუხს დაელოდა, მაგრამ აბრაგი ჩუმად იჯდა, ალით განათებულ სახეში შესცქეროდა თანამოსაუბრეს.

თუთაშხიას სიჩუმე სარჩიმელიამ, ჯერ იყო, თავისი მტკიცე ტონის შთამაგონებლობას მიაწერა, მაგრამ აბრაგის იერში სიმშვიდისა და დაღლილობის მეტი ვეღარაფერი შენიშნა და უფრო ექსპანსიურად განაგრძო:

– ერთმანეთთან მტრობა და უთანხმოება, დათა თუთაშხია, არც ერთს მოგვიტანს კარგს და არც მეორეს. მტერი გვყავს ორივეს ერთი და ორივე ერთად რომ მივაკითხავდეთ, აჯობებს, მგონია მე. – სარჩიმელია ისევ დადუმდა, დათას რეაქციას მოუცადა, მაგრამ პასუხი კვლავ არ იყო.

ჩანს, სწორედ აქ მიხვდა ყაჩაღი, რომ სათქმელს საჭირო ფორმა ვერ გამოუნახა. შეცბა:

– დათა-ბატონო, სახლ-კარი გადაგიწვეს ნაკაშიებმა, თუ გიპოვნეს, მოგკლან იქნება, კიდევაც. ფული მქონდა სოხუმში მიბარებული ერთ ქალთან. წაიღეს ნაკაშიებმა ის. შენ რომ სახლ-კარი გქონდა, ასს და მეტს ააშენებს ის ფული იმდენია იქ!

ვერც ამან მოახდინა ეფექტი. აბრაგი დუმდა, მის სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეძრულა. იჯდა, სარჩიმელიას შეჰყურებდა.

– წავიდეთ და მოვითხოვოთ ჩვენ ჩვენი მოსათხოვარი. ასე აჯობებს, მგონია მე, – დასძინა სარჩიმელიამ.

მორდეხი მაგიდას მიუჯდა დათას გვერდით. ყაჩაღმა უსინათლო მოხუცს შეხედა, თითქოს თვალებით შეემუდარა, ამ კაცს რამე ათქმევინე თუ ღმერთი გწამსო! მორდეხს, რა თქმა უნდა, სარჩიმელიას მუდარა არ დაუნახავს, არც ხმა ამოუღია, მაგრამ ყაჩაღმა იგრძნო, რომ კარისკენ უთითებდა მოხუცი.

– ჭკვიანი კაცი ხარ, დათა-ბატონო ვიცი; შენ გგონია, ნაკაშიას მე მოვკლავ და ამით, მისგან რომ ხიფათი გელის, გადარჩები იმას. მასე მოხდეს იქნება, მარა შენზე რომ ამბებს ყვებინ, ის ამბები ყველასთვის შენს კისერზე ხომ დარჩება მაინც! – სხაპასხუპით თქვა სარჩიმელიამ.

დათა თუთაშხია კვლავინდებურად დუმდა. ყაჩაღმა წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა:

– დათა-ბატონო, შენს მეტს არაკაცს არ დაუჯერებენ ნაკაშიები. ამაღებინე ის ჩემი ფული და ნახევარი შენი იქნება მაშინ.

თუთაშხიას მხოლოდ ახლა დაეტყო ღიმილის მაგვარი რაღაც. ან იქნებ მხოლოდ ნაპერწკალმა გაურბინა თვალებში. სარჩიმელიამ იგრძნო, რომ მისი რიხიანი ლაპარაკი დიდი ხანია ხვეწნად იქცა, თუთაშხია ნაკაშიებთან არ წაჰყვებოდა, მაგრამ ერთი სიტყვის გაგონება მაინც ღირსებოდა!

დათა თუთაშხიამ ხმა ამოიღო:

– წადი ახლა შენს გზაზე, რაჟა, ბიძიკო.

მორდეხმა მაგიდაზე ხელები მოაფათურა, ლულებიდან ამოღებული ვაზნები ყაჩაღს გაუწოდა. სარჩიმელიამ გამოართვა, ცოტა ხანს კიდევ იჯდა, რაღაცას ფიქრობდა. მერე იარაღი აისხა, ქოხიდან გავიდა.

მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს – ჯერ ახლოს, მერე შორს. მალე სიჩუმე ჩამოდგა.

ქოხში ისაკი შემოვიდა – მორდეხის შვილიშვილი. განჯინა გამოაღო, ვახშმის გაწყობას შეუდგა.

– ერთი კაცის საქმეა ეგ, დათა, ერთი კაცის მოფიქრებულია; ყველაფერი ერთმანეთს გავს, – თქვა მორდეხმა.

– მასეა, მარა ვინაა ის კაცი, ნეტავი, და ასეთი ჭკვიანი კაცები მათ სამსახურში რატომ მიდიან, ეს მინდა ვიცოდე მე, – მიუგო დათა თუთაშხიამ.

– ყველა კაცი თავის საქმეს მისდევს. ჭკუა ბევრისთვის მიუცია ღმერთს, გაგება – ცოტასთვის. გაგება როგორიც აქვს ადამიანს – ისეთ საქმეს მიყვება და არის. იმ კაცებს, შენ რომ ლაპარაკობ, ქვეყნის გაგება რომ არ უვარგათ, რა ქნან მაშინ? – თქვა მორდეხმა.

დათა თუთაშხიამ ხელები შეიწმინდა, ცეცხლს ჩააცქერდა და თქვა:

– მორდეხ-ბატონო, შენით ცხოვრებას რომ იწყებდი, რანაირი იყო მაშინ შენი გაგება?

– საშოვარი და შოვნა.

– მერე?

– მივხვდი მერე, არაფერი რომ არ იყო ესეც, მარა სხვაც რომ ვერ ვნახე უკეთესი საქნელი, მივყევი ბოლომდე, ვინახე ნაშოვარი და ვარ ასე – აგერ, ასის შევიქნები მალე.

ბუხრიდან ნედლი კუნძის შიშინი ისმოდა.

– კაი ვჭამე, კაი ვსვი, კაი ჩავიცვი და დავიხურე, ვითომ, მარა მეორე დღეს აღარ მახსოვდა ეს. ფუჭად წავიდა ყველაფერი, – მორდეხი დაფიქრდა და დასძინა: – რაღა მახსოვს იქიდან ახლა თუ იცი?.. მარტვილის ბაზარში ბიჭს თხა ყავდა გამოყვანილი. ისე დაძენძილ-დაფლეთილი ტანისამოსი სხვა დროს არ მინახავს არსად, იმ ბიჭს რომ ეცვა. ქვრივი დედაბერი ევაჭრებოდა ვიღაც – სახადმა ოჯახი ამომიწყვიტა, შვილიშვილი დამრჩა ძუძუს ბავშვი, მისთვის მინდა ეგ თხა, დედაშვილობას გაფიცებ, სამ აბაზად მომეციო. მესამედი ფასი იყო იმ თხის ის სამი აბაზი. არაფრის გულისთვის არ თმობდა ბიჭი. მე იქ იმისთვის ვიყავი, რომ იაფად ნაყიდ ჩოხას ვყიდდი ერთს. ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს, თვალებში მაქვს ახლაც და კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა.

თუთაშხიამ თვალი უსინათლო მორდეხზე გადაიტანა, გაიღიმა, არაყი დაისხა.

– ვცადე მაგ მე. ბევრჯერ ვცადე მაგ მე. იცი შენ ეს.

– რაი, მერე?

– ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა, სწორედ. მე თუ არა, სხვას გახადა მაინც.

– რომ არ ჩაგეცვა მისთვის, გახდა თუ აგცდებოდათ ან შენ და ან იმ სხვას?

სიჩუმე ჩამოდგა მერე თუთაშხიამ მიუგო:

– არ მიფიქრია მაგაზე, – და არაყი გადაჰკრა.

ვახშამს მორჩნენ. თუთაშხია ჩიბუხს აბოლებდა.

– მარტო ვერ გაბედავს ეგ ნაკაშიებთან მისვლას, მარა შურის უძიებლადაც არ გაჩერდება, – ჩაილაპარაკა მორდეხმა.

ხმა კარგა ხანს არავის დაუძრავს. ისაკმა ჯამ-ჭურჭელი აალაგა, მაგიდა გადაწმინდა თუთაშხიამ უთხრა:

– წადი, ისაკი, ძამიკო, ნახე ბუდუ ნაკაშია, უთხარი ყველაფერი. ტყუილუბრალოდ გააფუჭოს, იქნება, კაცი ამ ტურამ.

ისაკმა დილით საწვრილმალო წაიღო, მთის სოფლისკენ წავიდა, მაგრამ ნაკაშიები ჩვეულებრივზე მეტად მალავდნენ თავის ადგილსამყოფელს და მათი ნახვა გაჭირდა, სანამ თუთაშხიას დანაბარები მისამართს მიაღწევდა მოსახდენი მოხდა: სარჩიმელია ნაკაშიებს ჩაუსაფრდა, ბუდუს ესროლა, ადგილზევე მოკლა. ლუკას ეგონა, პოლიციის ხაფანგში გავებითო და გაიქცა. სარჩიმელია შუაკაცთან მივიდა, შემოგვირიგდა, ჩვენს სამსახურში ჩადგა, ორიოდ კვირის შემდეგ ყაჩაღებს დაუწყო დევნა.

ლუკა ნაკაშია კიდევ რამდენიმე თვეს იმალებოდა, მერე შინ მისვლა გაბედა, ერთ კვირას დაჰყო, ისევ ტყეში წავიდა. ასე, ნელ-ნელა ოჯახში ყოფნას შეეჩვია. არც ჩვენ შეგვივიწროვებია. ბოლოს ყაჩაღობანას თამაში მოიშალა და ხელში თოხი აიღო.

ერთი თვის თავზე თუთაშხიამ, შეთანხმებისამებრ, მორდეხის ქოხის კარი ისევ შეაღო. სტუმარმა სალამი თქვა, დაჯდა, თუთაშხიას სიჩუმემ მოხუცი მიახვედრა, რომ მან ბუდუ ნაკაშიას სიკვდილიც იცოდა და ბევრი სხვაც.

– სარჩიმელია რომ პოლიციის სამსახურში ჩადგა და ყაჩაღებს დაუწყო დევნა, თუ იცი ეს შენ? – ჰკითხა მასპინძელმა.

– ვიცი კაციჭამია ვირთაგვა გამოიყვანეს მაგათ!

მორდეხი ნათქვამის მნიშვნელობას ვერ მიხვდა. აღარც დაუზუსტებია.

ცოტა ხნის შემდეგ თუთაშხიამ ხმადაბლა ჰკითხა:

– მორდეხ-ბატონო, როგორ მოიქცეს კაცი, როცა აღარ იცის, რა ქნას და რა აკეთოს? რას მეტყვი შენ?

– მასეთი კაცებისთვის თქვენს სარწმუნოებას სხვაზე უკეთესი სამკურნალო აქვს – მონასტერი!

დათამ თავი გაიქნია:

– ყველა სარწმუნოებაში და ჩვენს სახარებაშიც მარტო ის მწამს და მომწონს, ასეთი და ასეთი უნდა იყოს ადამიანიო, რომ წერია. დანარჩენი, მე თუ მკითხავს ვინმე, არ ვარგა იქ. საკვირველი ის არის სწორედ, იმ უვარგისი დანარჩენისთვის რომ შედიან მონასტერში ბერად. ისე, კაი საქმის საკეთებლად ერისკაცობა ჯობს, ნამდვილია ეს. არ შევდგები იქ. წავალ მე.

– სად?

– ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლომახლოს ადრეც და ბოლო ხანებშიც, რომ ვერ გამოვიტანე აზრი, რა ვქნა და როგორ ვიყო მერე. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემიძლია სხვაფრად. წავალ, გული უნდა გადავაყოლო რამეს. საქნელი, რაც არის და რასაც ვეძებ, ის, იქნებ, მე რომ მივდივარ, იქაა და მე რომ მინდა ვქნა, იმაშია სწორედ? ნახვა უნდა ამას, – მიუგო დათა თუთაშხიამ და პატარა ხნის მერე დასძინა: – მორდეხ-ბატონო ათი ათასი მანეთი მჭირია დღესვე. თუ ვერ მოვედი ცოცხალი – მოგჭამა ჭირი მაგ ფულებმა; თუ ვერ მოგისწარი ცოცხალს – ისაკს დავუბრუნებ მაშინ. თუ ვიცოცხლეთ ორივემ – არ დაგეკარგება, იცი ეს შენ.

უსინათლო მორდეხი უხმოდ ადგა, ყავარჯენი აიღო, ნახევარ საათში დაბრუნდა, დათა თუთაშხიას ფული მოუტანა.

**ირაკლი ხურციძე**

იმ დილით წინაღამის ნაქეიფარი ვიჯექი კაბინეტში, გაზეთებს ვათვალიერებდი. თავი დაბუჟებულივით მქონდა, ძალიან უქეიფოდ გახლდით. სულაც არ მოვიდოდი კანტორაში და რიგიანად გამოვიძინებდი, მაგრამ პირველი საათისთვის კლიენტები მყავდა დაბარებული. მათ, რვა წლის მანძილზე, ყველა სასამართლო ინსტანცია მოევლოთ, ოცამდე ქცევა სადავო მიწა კი ვერა და ვერ დაესაკუთრებინათ. იმედი მქონდა, მოვარიგებდი, ორივე მხარე ჩივილითა და საქმის მოგება-წაგებით იყო დაქანცული.

ის იურიდიული კანტორა ექვსი, შვიდი წლის დაარსებული მქონდა. მყავდა ორი ვექილი, ერთი ნოტარიუსი, ორი კომისიონერი, რამდენიმე უმცროსი მოხელე. ვაწარმოებდი, როგორც ყველა სახის სასამართლო საქმეებს, ისე მსხვილ კომერციულ გარიგებათა დოკუმენტაციის შედგენას და ფასეულობათა ყიდვა-გაყიდვაშიც ვშუამავლობდი, – საკომისიო საქმიანობას ვეწეოდი. ძალიან მდიდარი არ ვყოფილვარ, მაგრამ იმდენი შემოსავალი მუდამ მქონდა, რომ უდარდელად მეცხოვრა. ოცდათოთხმეტი წლის უცოლშვილო კაცს, რასაკვირველია, ქეიფი, ქაღალდის თამაში, არშიყობა მიზიდავდა. ეს კარგა დიდი ფული ღირდა; მქონდა, ვხარჯავდი და არც მენანებოდა. წელიწადში ორ თვეს უცხოეთში ან პეტერბურგსა და მოსკოვში ვატარებდი. ამის საშუალებას ისევ ჩემი კანტორა მიქმნიდა – საქმეებზე ვმგზავრობდი და, ამასთან, არც მხიარულებას და გართობას ვიკლებდი. მოკლედ რომ მოვჭრათ, ვიყავი თავისუფალი პროფესიის ცნობილი მოქალაქე, შედარებით ახალგაზრდა, იღბლიანი ადვოკატი. ის ხომ თავისთავად იგულისხმება, რომ მაშინდელი თბილისის უმაღლესი საზოგადოების კარი ჩემთვის ღია იყო, თუმცა ამით იშვიათად ვსარგებლობდი და, ალბათ, იმიტომ, რომ ჩინებს, წოდებებს, თანამდებობებს ბავშვობაშივე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი – ადამიანთა შეფასების საკუთარი კრიტერიუმები მქონდა.

იმას ვამბობდი – ნამთვრალევი ვიჯექი, კლიენტებს ველოდებოდი-მეთქი. უმცროსი მოხელე შემოვიდა და მომახსენა:

– თურქეთის მოქალაქე, ეროვნებით ლაზი, მიწათმფლობელი აზნაური, ბატონი არზნევ მუსკია – მახვილი ა-ზე. მუსკია!

– არზნევ მუსკია? მახვილი ა-ზე?

– დიახ, ბატონო.

– რა საქმეზეა?

– დაინტერესებულია საბაღ-ვენახო მამულების შეძენით ქართლსა და კახეთში.

ასეთ გარიგებებს, უმთავრესად, სათავადაზნაურო ბანკი აწარმოებდა და გამიკვირდა, რომ კლიენტმა ჩემს კანტორას მოაკითხა. მეორე მხრივ, საოცარიც არა იყო რა: მე ხომ მზარდი პოპულარობის მქონე დაწესებულების პატრონი ვიყავი და ამ კლიენტის მხოლოდ მოსვლაც კი იმას ადასტურებდა, რომ სერიოზული ფირმის სახელი მიმტკიცდებოდა.

– შემოიყვანეთ... ათი წუთის შემდეგ!

ასე იყო საჭირო ფირმის ღირსებისათვის, თორემ, ისე დავინტერესდი ბატონ მუსკიას ნახვით, რომ იმ ათი წუთის მოთმენა ძლივს შევძელი.

საკითხი ეროვნულ ინტერესებსაც ეხებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი თავადაზნაურობა ჩალის ფასად ჰყიდდა თავის მამულებს. მყიდველების დიდ უმრავლესობას უცხო ტომის კაპიტალისტები შეადგენდნენ. თუ იმდენს მოვახერხებდი, რომ რომელიმე დეგრადირებული თავადის მიწებს გასხვისებისგან ვიხსნიდი და ამ ლაზს შევასყიდვინებდი, მაშინ საკუთარ თავს ღირსეულ კაცად ჩავთვლიდი; პატრიოტული განწყობილება დამეუფლა, მეხსიერებაში ვიქექებოდი, ვიხსენებდი, თუ რა შემეძლო მიმეთავაზებინა ჩემი ერის საკუთრების ამ ციდან მოვლენილი მხსნელისთვის. თან იმისთვისაც ვემზადებოდი, რომ ღირსეულად, დარბაისლურად დავხვედროდი, კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა პატრიოტულად განწყობილ მდიდარ მამულიშვილზე.

მოხელემ კარი შემოაღო, ლაზი შემოუშვა, თავადაც შემოჰყვა, სტუმარი წარმომიდგინა. საწერ მაგიდას გამოვცდი, ხელი გავუწოდე:

– ვექილი, თავადი ხურციძე, დაბრძანდით, ჩემო ბატონო. მზად ვარ, გემსახუროთ! – მოხელეს ვანიშნე, თავისუფალი ხარ-მეთქი.

სტუმარი სავარძელში ჩაჯდა, მე მაგიდას დავუბრუნდი. ბატონმა არზნევ მუსკიამ ერთი-ორჯერ თვალითვალში გამიყარა, თავი ჩაქინდრა და, ალბათ, რაღაც ფიქრებს გაჰყვა. კომერსანტები და სხვა ფულიანი კაცები საქმიანი საუბრის წინ ხშირად განსჯას ეძლევიან ხოლმე და სტუმრის დუმილი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ, როცა სტუმარმა დუმილისა და ფიქრის ყოველგვარ ზომას გადააჭარბა, მომეჩვენა, რომ სიჩუმის დაურღვევლობა თავაზიანობის ნაკლებობაში ჩამომერთმეოდა და მოკრძალებით მივმართე:

– ბატონო არზნევ მუსკია, მე გულდასმით გისმენთ! ჩვენ თანამემამულეები ვართ; ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი, მონაწილეობა მივიღო თქვენს კეთილშობილურ წამოწყებაში.

სტუმარი დამაკვირდა, ოდნავ, ძალიან კეთილგანწყობილად გამიღიმა და თქვა:

– მე იმ საქმეზე არ ვარ მოსული, თქვენ რომ მოგახსენეს მათ. სხვა საქმეზე ვარ მე.

როცა ადამიანი ათი წუთის განმავლობაში საბაღ-ვენახო მიწების ყიდვა-გაყიდვისთვის ემზადება და მოულოდნელად გაიგებს, რომ ხილი და ღვინო არაფერ შუაშია, ცხადია, დაიბნევა.

– გისმენთ, ბატონო! – ძალისძალად ამოვღერღე.

სტუმარი დაფიქრდა, რაღაცნაირად დაიძაბა. მერე კიდევ ერთხელ მესროლა თვალი, ადგა, ჩემი მაგიდის გასწვრივ გაიარ-გამოიარა. იმის შემხედავს, მეგონა, რომ აქ სულაც არ ვეგულებოდი. აქლემის ბეწვის ჩოხა ეცვა, ძალიან ძველებური იშვიათი ნაკეთობის მასრებითა და ქამარ-ხანჯლით დამშვენებული. ხნოვანებით ჩემი ტოლი იქნებოდა. მამაკაცურად ლამაზი იყო. დიდრონ და კამკამა ცისფერ თვალებში იდუმალი, ძლივს შესამჩნევი სევდა ედო. პირის კანის სითეთრეს ღია ფერის თმა უსვამდა ხაზს... უცბად შეჩერდა, სწრაფად, საქმიანად ჩაეშვა სავარძელში და მშვიდად მომმართა:

– ბატონო ვექილო, მე ისეთ საქმეzე ვარ მოსული, არც თქვენ თვითონ და არც თქვენს კანტორას რომ არ გაუკეთებია, ალბათ. ამ საქმეზე ვერ იტყვის კაცი, საქმეაო. მეგობარი გყავთ თქვენ ქუთაისში – ელიზბარ ქოჩაკიძე; მასთან მოვითათბირე ჩემი სურვილი. იფიქრა და თქvენთან მომასწავლა, – მოელაპარაკე, ეგებ მან იკისროს შენი გულისნადების გასწორებაო. მოვედი აგერ.

სტუმარი კვლავ დადუმდა.

არ დავმალავ, ამ კაცმა თავისი გარეგნობით შემოსვლისთანავე მომაჯადოვა, მაგრამ მისი მოსმენის შემდეგ თავი ისე ვიგრძენი, თითქოს ყელზე ქამანდი მომდეს, საითღაც მიმარბენინებდნენ და მე კი წინააღმდეგობის გაწევასაც არ ვაპირებდი. პირიქით, მსიამოვნებდა, რომ ვიღაცამ დამატყვევა და მალე სტამბოლის ბაზარზე სამამლუქოდ გავიყიდებოდი.

– სახელი არ ვიცი იმ საქონლის მე, ყიდვა რომ მინდა, – თქვა სტუმარმა. – ალბათ, დროს ტარება ქვია... ქეიფი, თამაში, ქალის სიყვარული! რა ვიცი, რა ვთქვა კიდევ. უდარდელი ცხოვრებაც ქვია იმას. გამიგეთ, ალბათ.

ძალიან გამიკვირდა, უნებლიეთ წამწამებიც კი ამიფახულდა, ღმერთმანი. როცა გონს მოვეგე, ნათქვამის არსს ჩავეჭიდე და გამეცინა; იმიტომ გამეცინა რომ ამ კაცმა მიკარნახა სრულიად ახალი რამ: შეიძლებოდა ისეთი კანტორის დაარსება, რომელიც კლიენტებისგან მსგავს შეკვეთებს მიიღებდა.

– კაცმა რომ თქვას, – მივუგე სტუმარს, – თუკი ნივთიერი ღირებულებების შეძენაში ვეხმარებით კლიენტებს, სხვა სახის ღირებულებათა შეძენაში რატომ არ უნდა ვეხმარებოდეთ? თქვენისთანა მუშტარი ჩემს კანტორას, მართლაც, არასოდეს ჰყოლია. და ამიტომ მაგ წინადადებამ მით უფრო დამაინტერესა, ეგ არის, ამგვარი საქმეების წარმოებაში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია... თვითონ როგორ ხედავთ საკითხს, როგორ გგონიათ, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ სურვილი დაგიკმაყოფილოთ?

– მოფიქრებული მაქვს ეგ, მოგახსენებთ და თუ მოგეწონებათ ჩემი აზრი – ხომ კარგი, და თუ თქვენ უკეთეს საშუალებას მონახავთ, თანახმა ვიქნები მე. ელიზბარ ქოჩაკიძემ

თქვენთან მიტომ მომასწავლა, რომ რასაც თქვენ ყიდულობთ დღე ცისმარე, იმის ყიდვა მინდა მეც. დავდებ ფულს წინასწარ. წინასწარ იმისთვის, რომ კაცმა არ იცის, რა დაჯდება ის ჩვენი შესაძენი. სადაც წახვალთ – წამიყვანეთ მეც. ვისთანაც ატარებთ დროს – გამაცანით ის ხალხი. თუ მოვხვდით ერთმანეთს ხასიათით, თუ დავამხანაგდით და დავმეგობრდით, იმას გავაკეთებთ მაშინ, რაც ორივეს გვესიამოვნება და გაგვახარებს. ჩემი საქციელით არ შეგარცხვინოთ, მგონია, და უხერხულ მდგომარეობაში თუ ჩაგაყენეთ როდისმე, რა ქნას კაცმა, საქმე გექნებათ ნაკისრები და საქმემ ყველაფერი იცის, – უხერხულობაც და სხვა ისეთიც, პირადად რომ არ მოგეწონოთ, გეხამუშოთ ან სათაკილოდ გაგიხდეთ, იქნება რამე. თქვენ თვითონ თუ არ გცალიათ ან გული არ მოგიწევთ ჩემსკენ, მომიჩინეთ მაშინ ვინმე, კაი წესიერი და შესაფერი კაცი, ჩამაბარეთ მას და მან იკისროს ჩემი სურვილის ასრულება.

რაღაც გაუგებარი, ბუნდოვანი სიხარულით ვისმენდი. ასე დიდ და ღრმა ცნობისმოყვარეობას, სულის შემძვრელ ინტერესს იშვიათად შევუპყრივარ. ბატონ არზნევ მუსკიას წინადადებაში საოცარი მიმზიდველობა იყო. მზად ვიყავი, მაშინვე მიმეცა თანხმობა, მაგრამ ჩვენი პროფესია დაუფიქრებელ, განუსჯელ მოქმედებას, ცნობილია, ვერ იტანს, და გაბრუებას თავი დავაღწიე თუ არა, მიღებული წინადადების აწონ-დაწონას შევუდექი.

სიჩუმე იყო. არზნევ მუსკია ჩემს პასუხს მოთმინებით ელოდა. მოხელე შემოვიდა, მომახსენა, მიწებზე მოდავე კლიენტები მობრძანდნენო.

– მოიცადონ, ჯერ არ მცალია!.. – მოხელე გავიდა. მუსკიას მივუბრუნდი: – არ დაგიმალავთ, თქვენ, როგორც პიროვნებამ, და თქვენმა წინადადებამაც დიდად დამაინტერესეთ, მაგრამ არის შემაფერხებელი გარემოებებიც: იმისთვის, რომ თქვენი ხარჯი გამართლებული აღმოჩნდეს, შედეგი რომ სრულფასოვანი იყოს, საჭიროა, ერთმანეთი მოგვწონდეს, ერთად ყოფნა გვიხაროდეს... გესმით? ადამიანები დროს მეგობრებთან... როგორ გითხრათ... ერთი სიტყვით, სასურველ პირებთან ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროს ტარება ტვირთად, თითქმის ძალადობად იქცევა ხოლმე. მე თქვენ უკვე მომწონხართ და ის კი არ ვიცი, შესძლებთ თუ არა თქვენ ჩემთან ურთიერთობას, გასიამოვნებთ თუ არა ჩემი საზოგადოება? ახლა მეორე.. რაც უნდა იყოს, მე ჯერ ქართველი კაცი ვარ და შემდეგ – ვექილი. ცუდად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვატაროთ დრო ერთად, ხოლო ხარჯი თქვენ, ჩემმა სტუმარმა გასწიოთ.

– ხარჯს თქვენ გასწევთ, ჩემო ბატონო. დაივიწყეთ, რომ ფული ჩემია, და ხარჯეთ, როგორც გენებოთ. მეც მომწონხართ, სიმართლეს ვლაპარაკობ, და თვითონაც ვეცდები, კაი მეგობრობა გაგიწიოთ. ორივეს გვესიამოვნოს, მგონია, ერთად დროს ტარება. ერთია კიდევ: ჩვენი გარიგება საიდუმლოდ უნდა დარჩეს ყველასთვის. აუცილებელია ეს. სხვებისთვის მე სტუმრად ჩამოსული თქვენი მეგობარი უნდა ვიყო. რამდენი ხანი დაჭირდება ამ ამბავს – არ ვიცი, მაგრამ თქვენ რომ წამიყვანთ, იმ ადგილებში და იმ ხალხში ფეხს როცა მოვიკიდებ კარგად, აღარ შეგაწუხოთ იქნება, მერე, თქვენ თვითონ თუ არ გესიამოვნოთ ჩემს გვერდით ყოფნა ან თუ საქმე გამოგიჩნდეთ რამე. დიდი ხნით ვერც მე მოვიცლი, ალბათ. ვნახავთ და გამოჩნდება. წავალ აწი მე. მოუფიქრებლად პასუხს ვერ მომცემთ, ვიცი, და ნაჩქარევი დასტური თუ უარი არც მე მინდა, მივიღო.

არზნევ მუსკია ადგა, ქამარ-ხანჯალი შეისწორა.

– როდის გეახლოთ, თავადო, კიდევ?

ფიქრებს თავი დავაღწიე, სტუმარს გავუღიმე. მე უკვე თანახმა ვიყავი, მეკისრა მისი საქმე. საუბრის მანძილზე უარის თქმა ერთხელაც არ მომსვლია აზრად. დაუყოვნებელი დასტურის მიცემისგან თავი ძლივს შევიკავე და მივუგე:

– ხვალ, ბატონო არზნევ. ასე, ოთხი საათისთვის.

– ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ. თუ მიიღოთ ჩემი წინადადება, მაშინ გარიგების საბუთი შეადგინოთ უნდა. ეგ საბუთი ჩემთვის საჭირო არაა არაფრად, მარა თქვენთვის საჭირო გახდეს, იქნება. ისეთ ცხოვრებას ვაპირებთ მე და თქვენ ერთხანს, რომ შეიძლება, ხიფათი გამოვიდეს რამე: ჩხუბი, სროლა, ან რა ვიცი რა, და კანონის წინაშე ჩვენ მუშტარი და ფულზე მასპინძელი უნდა ვიყოთ. შფოთიანი და მოჩხუბარი კაცი არ ვარ მე. არ მგონია, უსიამოვნებას გადავეყაროთ რამეს, მარა მაინც იცოდეთ ერთი: რაც უნდა მოგვიხდეს მარტო მე ვიღებ თავზე ყველაფერს კაცების, ღმერთის და კანონის წინაშე. სიტყვა გითხარით მე! კარგად ბრძანდებოდეთ ირაკლი-ბატონო. მოვალ ხვალ დანიშნულ დროს.

გულთბილად დავშორდით ერთმანეთს. არზნევ მუსკიას ჩემზე კლიენტის შთაბეჭდილება არ მო.უხდენია. რამდენჯერმე ვუხმე პროფესიულ ჩვევას – ფხიზელი მიდგომის პოზიციას – მაგრამ, ეს არის, ახლა წასულ კაცში მუშტარი ვერა და ვერ დავინახე. რა ფიქრსაც უნდა მივცემოდი, გული ყოველთვის ერთსა და იმავეს მკარნახობდა: მოვიდა შენი ტოლი კაცი, სანდომიანი, თავაზიანი და, როგორც ჩანს, საინტერესო პიროვნება. ქეიფი და დროს ტარება სურს თბილისში – თავისი სამშობლოს დედაქალაქში, დაინტერესებულია რიგიან საზოგადოებაში ყოფნით. მე მაინც უდარდელი და ხარჯად ქცეული კაცი ვიყავი, რატომ უნდა გადამეხდევინებინა ფული სტუმრისთვის იმაში, რასაც ეძებდა, მით უმეტეს, რომ ეძებდა იგივეს, რაც მე ყოველდღე მქონდა, და ჩვენი ერთად ყოფნა ჩემს ხარჯებში საგრძნობ ცვლილებას ვერ შეიტანდა. ერთადერთი, რამაც ცოტათი დამაფიქრა – გარიგების საბუთი იყო. ცხადია, არზნევ მუსკიას ის საბუთი ჩემი უსაშიშროებისთვის სჭირდებოდა. მაგრამ ბუნებით დარდიმანდი კაცი ვიყავი, თავის დასაზღვევად რაღაც საბუთების მოშველიებას არასოდეს ვიკისრებდი. ან ისეთი რა უნდა დაგვეშავებინა, რომ ჩემი გავლენისა და ნაცნობ-მეგობრების პატრონს, რაიმე საქმე გაგვრთულებოდა და სერიოზულ უსიამოვნებაში გავხვეულიყავით? თუმც გარიგების საბუთის შედგენის რეალურ საჭიროებას ვერ ვხედავდი, მაგრამ არც შეუდგენლობა შეიძლებოდა: არზნევ მუსკია ისეთი კაცი ჩანდა, თავისი სურვილის ჩემ ფულად შეძენაზე არ დამთანხმდებოდა. ერთხანს ვიყოყმანე ამაზე. ბოლოს, გადავწყვიტე საბუთი შემედგინა, ერთი პირი მუსკიასთვის ჩამებარებინა, ხოლო მეორით, არც ერთ შემთხვევაში არ მესარგებლა და საქმის დამთავრების შემდეგ ფულიც დამებრუნებინა.

მიწის ნაკვეთზე მოდავეები მივიღე, საათ-ნახევარში თუ ორ საათში, თითქმის კმაყოფილები გავისტუმრე და არზნევ მუსკიასთან გარიგების საბუთის შედგენას მივყავი ხელი.

მეორე დღეს ჩემი ახალი კლიენტი დანიშნულ დროს მეწვია, ღიმილით შემოვიდა. ისე იღიმებოდა, თითქოს თავისი წინადადებისა და საქმისა ეთაკილებოდა. ევროპულად ეცვა, ყველაფერი კოხტად მომჯდარ-მორგებული ჰქონდა.

გარიგების საბუთი გულდასმით წაიკითხა, თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და მკითხა:

– თანხის ჩასაწერად ადგილი არის გამოტოვებული აქ. რამდენი გნებავთ, რომ შემოვიტანო?

გამეცინა.

– მე მანეთსაც არ გამოგართმევდით, მაგრამ ვხედავ, თქვენი ნებიდან გადასვლას ვერ მოვახერხებ. რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ, იმდენი იყოს.

– ოცი ათასი თუ კმარა? ოცდაათი მაქვს თან სულ. ათ ათასს დავიტოვებ, იყოს მაინც.

– როგორ ბრძანეთ?.. – გამიკვირდა, რადგანაც ოც ათასად იმ დროში კარგა მოზრდილი მამულის შეძენა შეიძლებოდა.

– მე მინდა, თავადო, თავისუფლად ვიყოთ სულ.

კიდევ კარგი, რომ ეს გულუბრყვილო კაცი ჩემთან მოხვდა, თორემ სხვები, ღმერთმა უწყის, რამდენ ფულს დასცინცლავდნენ-მეთქი, გავიფიქრე.

– არა, ბატონო არზნევ, შემოიტანეთ სამი ათასი, თუ არ იკმარა, კიდევ შემოიტანთ.

– იაფი ყოფილა ჩემი საქონელი, – ჩაილაპარაკა მუსკიამ, უბიდან ფული ამოიღო და მაგიდაზე დამიდო.

თანხის ოდენობისთვის გამოტოვებული ადგილი შევავსე, მუსკიამ საბუთს ხელი მოაწერა, თავისი ასლი შეინახა. ლამაზი, მკაფიო კალიგრაფია ჰქონდა, მაგრამ სიმშვიდეს მოკლებული, ოდნავ მღელვარე.

– ბატონო არზნევ, ამიერიდან ჩვენი გარიგება ძალაშია! – საზეიმოდ განვუცხადე მუსკიას, ზარი დავაწკარუნე, მსახურმა შამპანური და ფსტა მოგვართვა.

საცობი ჭერს მოხვდა. ქაფი შუშასა და ქათქათა ხელსახოცს შორის ჩაიღვარა.

– ვუსურვოთ წარმატება ერთმანეთს და ჩვენს, ამიერიდან, საერთო საქმეს! – მუსკიამ ჭიქა მომიჭახუნა

მოხელემ სალაროს საშემოსავლო ქვითარი მოართვა ბატონ არზნევ მუსკიას.

– ევროპული ტანისამოსის საქმე როგორ გაქვთ?

– ოთხი ხელი შევაკერინე პაპერნოს, რომ ჩამოვედი, მაშინვე. თუა საჭირო კიდევ ან უკეთესი, – იყოს იქნება, კარგი ოსტატი სხვა, შევიკერავ, მაგრამ როდის, რა ადგილებში და რომელი უნდა ჩაიცვას კაცმა, ამას თქვენ მიკარნახებთ მერე და მერე.

– საუცხოოდ არის შეკერილი და რაოდენობითაც სრულიად საკმარისია. სად გაჩერდით, ბატონო არზნევ?

– ვეტცელის სასტუმროში. პირველი სართულია, მეოთხე ნომერი.

– მაგ ნომერში, ამ ერთი თვის წინ, მუსიე დორნიე იდგა, ფრანგი სოვდაგარი და ნავთის მრეწველი. მოხერხებული ნომერია. როდის და საიდან მივუდგეთ საქმეს, ბატონო არზნევ?

მუსკიამ გაიღიმა და თქვა:

– აგ თქვენ უფრო მოგეხსენებათ, ირაკლი-ბატონო. აგერ ვარ მე და ყველაფერში რომ მოგყვებით და მხარს მოგცემთ, დაინახავთ ამას... ჩვენ სულ ოციოდე დღე დავყავით ერთად. არზნევ მუსკიამ გუთანივით გადამიარა და თვალს მიეფარა, მაგრამ ეს გულთამპყრობელი კაცი დღემდე ჩემი ცნობისმოყვარეობისა და დაუკმაყოფილებელი ინტერესის არეში იმყოფება.

აი, მხედავთ, რომ ღრმად მოხუცებული კაცი ვარ. მეხსიერება შემარჩინა მაღალმა ღმერთმა, ვერ ვიჩივლებ, ყველაფერი მახსოვს და, მიუხედავად ამისა, თხრობა კი არა, რვეულები უნდა შემოგთავაზოთ... ერთი, ეგ უჯრა გამოსწიეთ, გეთაყვა... დიახ, ეგ... მანდ რვეულებია, ნაირფერი... ძველი რვეულები, თხელტანიანი... ჰოოო! ეგენი!.. გმადლობთ, ყმაწვილო! ამ ნაწერებს, ალბათ, უფრო რიგიანად ახსოვთ, რაც იყო. თავის დროზე... ეჰ, ვწერდი ხოლმე, – განა გამოსაქვეყნებლად... არა. მსიამოვნებდა იმ ამბებისა და კაცის გახსენება და ვწერდი. აი, როგორც ახალგაზრდობას იგონებენ ხოლმე სიამოვნებით, ეგეც ეგრე იყო. დაბრძანდით მანდ, წაიკითხეთ. თუ გნებავთ, გადაწერეთ კიდეც. ჰო, აგერ, აი, მანდ დაბრძანდით და... ცოტას დავისვენებ თორემ დავიღალე. ეეეჰ! სიბერემ იცის ესა.

**თეთრი რვეული**

... ამგვარად, ჩვენი ხელშეკრულება ძალაში შევიდა და არზნევ მუსკიას გასართობად რაიმე უნდა გამომეგონა. ეს არ გამიძნელდებოდა, მაგრამ ამ უჩვეულო საქმისადმი დამოკიდებულების შემუშავება გამიჭირდა: ერთი მხრივ არზნევ მუსკია დამკვეთი, მუშტარი იყო და მისი ფულების განიავებას მისთვის დადებითი შედეგი უნდა მოეტანა: მარწმუნებელი რწმუნებულის ურთიერთობებით, აქედან მოპოვებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილი უნდა დაბრუნებოდა იმ გარემოცვას, საიდანაც მოვიდა. ეს ხელშეკრულებაში "შემსრულებლად" წოდებული მხარის, ესე იგი, ჩემს მოვალეობას შეადგენდა. მეორე მხრივ...

მსახურმა კარი შემოაღო, არზნევ მუსკიას გამოსცდა, ვიღაცის სადარბაზო ბარათი მაგიდაზე დამიდო. ფიქრში ვიყავი, არც სადარბაზო ბარათისთვის მიმიქცევია ყურადღება და არც მსახურისთვის. მსახური მიმიხვდა, – იმ წუთში საფიქრალი მქონდა, ვერავის მივიღებდი. ფეხაკრეფითვე გავიდა...

... მეორე მხრივ, მე ამ კაცთან მეგობრული ურთიერთობისა და დროსტარებისკენ მიმიწევდა გული მაშინ, როდესაც მას იქნებ რაიმე საგანგებო განცდები სჭირდებოდა და ეს კი ჩემი ყოველდღიური ცხოვრებიდან, შესაძლოა, ვერ მიეღო. გამოდიოდა, რომ არზნევ მუსკია, როგორც კლიენტი, იქნებ უკმაყოფილოც დამრჩენოდა.

– ირაკლი-ბატონო, – მითხრა მუსკიამ ამ დროს, – დღეს საღამოს სად აპირებთ წასვლას?.. წამოვალ მეც იქ, თუა შესაძლებელი ასე. საგანგებოდ ჩემთვის ნუ მოიგონებთ ნურაფერს, მირჩევნია მე.

– ღმერთი შენ გიშველის, – სიხარულით დავეთანხმე. – სწორედ მაგაზე ვფიქრობდი. მეც ეგრე მირჩევნია... გაიგონე? შენობით მოგმართე. ახლო მეგობრები ვართ. ხომ ასეა?

– მასეა, – სიცილით დამიდასტურა მუსკიამ, – აწი წავალ მე. სამსახურში ხარ და... როდის და სად ვნახოთ ერთმანეთი?

ის რომ ამას მეუბნებოდა, მე სადარბაზო ბარათს შევავლე თვალი. ჯერ იყო და გამიკვირდა, რომ სადარბაზო ბარათი ქალისა იყო. ასეთი რამ არსად შემხვედრია. მერე ბარათის პატრონის ვინაობას დავუფიქრდი და რაღაც მენიშნა, სტუმარს პასუხი ოდნავ შევუგვიანე.

– მოიცადე, არზნევ, პატარა ხანს...

ზარი დავაწკარუნე, მსახური შემოვიდა.

– ეს ქალბატონი რა ხნის იქნება, ვასილიჩ?

– ასე, ოცდათხუთმეტის, მაგრამ კარგად არის შენახული, ოცდარვა-ოცდაცხრას თუ მისცემს კაცი.

– კარგი, წადი. დაგიძახებ.

მსახურმა შამპანურის ბოთლი და ჭიქები გაიტანა.

ერთი დავთარი მქონდა – ყოფილი და მომავალში შესაძლებელი კლიენტების სია. გადავშალე. ბატონი შირერიც მეწერა, რამდენიმე თავყელიშვილიც და ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისაც! სხვა საჭირო ცნობებიც იყო: მისამართები, უძრავ-მოძრავი ქონება, საქმიანობის სფერო, კაპიტალი... დავთარში იმიტომ ჩავიხედე, რომ მეხსიერების შემოწმება მჭირდებოდა, თორემ ნანო თავყელიშვილს ბავშვობაშივე ვიცნობდი. ახლა კი, ერთი წლის წინ იყო, მიმიპატიჟა კიდეც, ჩანს, ურთიერთობის აღდგენის მიზნით, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ჩემი სტუმრობა და ბოლოს ბოდიშის შეთვლა მომიხდა.

სადარბაზო ბარათი არზნევ მუსკიას გავუწოდე.

– წაიკითხე.

ლაზმა ბარათი გამომართვა, ხმით წაიკითხა. გამიკვირდა, რომ თურქეთში მცხოვრები კაცი რუსულს თავისუფლად კითხულობდა, და, სიმართლე ვთქვა, აქცენტიც, მგონი, ჩემზე ნაკლები ჰქონდა.

– ეგეთი გამართული რუსული სად ისწავლე?

– მასწავლეს ბავშვობაში. მერე ყუბანზე ვიყავი კაი ხანს. ენა გავიტეხე იქ. რუსული წიგნების კითხვაც მიხდება ხანდახან, თვარა გიმნაზიაში არ ვარ ნამყოფი მე.

ამან უფრო გამაკვირვა: არზნევ მუსკია განათლებული არისტოკრატულ ყაიდაზე აღზრდილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მართალია, მე მისი ერუდიციისა და ცოდნის დადგენას სულ ორიოდე დღის ნაცნობობაში რას შევძლებდი, მაგრამ ურთიერთობის პროცესში ჩანს ხოლმე, თუ ვინ რას წარმოადგენს ამ მხრივ...

– ვინაა ეს ქალი?

– როგორ გითხრა. ბავშვობაში ჩვენს ოჯახებს ერთმანეთში სტუმარმასპინძლობა ჰქონდათ. მე და ეს ქალი ტოლები ვართ, ხშირად ერთად გვითამაშია. გიმნაზია დაამთავრა თუ არა, ოჯახიდან გაიქცა, მაგ შირერს გაჰყვა. შირერი რომ იყო, ამ რამდენიმე წლის წინღა გავიგე, არ ვიცოდი. არც ის ვიცი – იქნებ გაყოლით სხვას გაჰყვა და მერე მაგას შეეყარა? ერთად კი დაბრუნდნენ და. ერთი სიტყვით, ეგ შირერი უცხოელი კაპიტალისტია და ამჟამად საკმაოდ მსხვილიც. მაშინ ასე, ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი წლის კაცი იქნებოდა, თუ ეგ ის არის, ვისაც ნანო წაჰყვა. წაიყვანა ეს გოგო ევროპაში, უმაღლესი განათლება მისცა, მგონი, ჟენევის უნივერსიტეტი დაამთავრებინა. იქა ცხოვრობდნენ, თბილისში მათი დიდხანს არა ისმოდა რა. ამ ოთხი წლის წინ დაბრუნდნენ. შირერმა ზაქათალის, კახისა და კობახჩოს მიდამოებში დიდი ტყეები იყიდა. სულ კაკალი და მუხაა. ხე-ტყის მრეწველია შირერი. ზაქათალაში სახლი აიშენა. აქ, სოლოლაკში, სომხისგან მეორე, უფრო დიდი სახლი იყიდა. ორივე მდიდრულად აქვთ მორთულ-მოწყობილი. უშვილოები არიან. ეს ქალი წელიწადში ექვს თვეს თბილისში ცხოვრობს. დანარჩენ დროს ზაქათალაშია ან მოგზაურობაში ატარებს. ასე. ახლა, წრე... – დავთარში ჩავიხედე. – ვიწრო წრეში ტრიალებს, დიდგვაროვან ოჯახებს ერიდება, ვაჭარ-სოვდაგრებს ახლო არ იკარებს. კარგი, კიდევ რა ვიცით ამ ქალბატონისა? აჰა, აი, მდგმურები არა ჰყოლია. ორი ლაქია, ორი დამლაგებელი, ერთი ხელზე მოსამსახურე გოგო, ერთიც მზარეული... მზარეული, სახელად ყათრანა! კაცო, ქმარი თბილისში იშვიათად ჩამოდის, ამოდენა სახლში მარტოა ხოლმე?! მათ საქმეებს ახპარუნოვის იურიდიული კანტორა აწარმოებს... მით უფრო მოულოდნელია ამ ქალბატონის ჩემთან მობრძანება!

– კაი, აბა. წავალ მე... – მუსკიამ ახალი კლიენტის სადარბაზო ბარათი გამომიწოდა.

– არა, თუ გადაუდებელი არაფერი გაქვს, მოიცადე, არზნევ. ჩვენი ხელშეკრულების თანახმად, შეგიძლია, ამ მიღებასაც დაესწრო, მაგრამ არის ერთი დელიკატური გარემოება... ადვოკატებთან, უმრავლეს შემთხვევაში, რაიმე საიდუმლოთი მოდიან. საიდუმლო როგორ?.. პირისპირ სალაპარაკოდ მოდიან. აგერ, უკანა ოთახში შედი. კარი ოდნავ ღია დატოვე. კარადა გამოაღე, იქ სასმელიც არის და საჭმელიც. თავი შეიქციე, თან ყური გქონდეს, იქნებ შენთვის რაიმე საინტერესო გაიგონო. მიდი, თორემ ქალბატონს ლოდინი მობეზრდება...

– უხერხული ხომ არაა ჩემი იქ ყოფნა, ირაკლი?..

– ნუ სწუხხარ, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაყენებ. ჩვენს ხელშეკრულებაში ეს მომენტიც იგულისხმება.

არზნევ მუსკია გავიდა, მსახურს ვუხმე, ქალბატონის შემოყვანა ვანიშნე.

ქალბატონ თავყელიშვილ-შირერისაზე გადაშლილი დავთარი დავხურე, თაროსკენ წავიღე. სანამ საწერ მაგიდას დავუბრუნდებოდი, კარი გაიღო, ქალბატონმა ნანომ ზღურბლი გადმოიარა. მივესალმე, სავარძელში ჩაჯდომა ვთხოვე, მეც დავჯექი. სავარძლებს შუა დაბალი მრგვალი მაგიდა მედგა. ზედ პაპიროსების ლამაზი ყუთი იყო.

ხუფი ავხადე, – ინებეთ, თუ ეწევით-მეთქი.

– გმადლობთ. ძლიერ იშვიათად ვწევ. მაშინ ვწევ, როცა ძალიან კარგ გუნებაზე და ძალიან მხიარულად ვარ, – ღიმილით თქვა ქალმა.

– გამოდის რომ კარგ გუნებაზე ძლიერ იშვიათად ხართ ხოლმე!

– ძალიან კარგზე?.. რა თქმა უნდა! განა ყველა ასე არ არის?

ბავშვობა და ჩვენი ოჯახების ურთიერთობა მოვიგონეთ. მიცვალებულები და ცოცხლები ვახსენეთ. მერე სიტყვიერადაც მოვიხადე ბოდიში, რომ მიპატიჟება გავუწბილე. ახლა ქმრისა და ოჯახის საქმეები ვკითხე. შემდეგ ორიოდე ახალი ამბავი ვთქვი და ამ თავაზიანობებს პატარა პაუზა მოჰყვა.

ქალბატონ ნანოს ერთობ სადად ეცვა. მისი წოდების მანდილოსნები სამკაულებს ეტანებოდნენ. ამას მხოლოდ ნიშნობის ბეჭედი ეკეთა არათითზე და ოქროს ძეწკვი ყელზე, რომელიც, ალბათ, მკერდში ჩამალული პატარა საათით მთავრდებოდა. ეგ იყო და ეგა.

– რისთვის შეწუხებულხართ, ქალბატონო ნანო? – სიჩუმე დავარღვიე, – ნუთუ საქმეზე?.. უნდა შემოგეთვალათ და შინ გეახლებოდით.

– რას ბრძანებთ! გარდა ამისა, მე კანტორაში მოსვლა მერჩივნა.

ნანომ რაღაც დაირცხვინა, იმავ წამს თავს დაეუფლა და ღიმილითვე განაგრძო:

– იმედი მაქვს, ამ სახლს საიდუმლოს დაცვა შეუძლია...

– აგერ, ცეცხლგამძლე კარადა. შიგ ორასამდე მარწმუნებლის საიდუმლოება ინახება! ვერც ერთი მათგანი ვერ დაგვემდურება... სამაგიეროდ, კარს ხომ ხედავ – ოდნავ ღიაა. იმ ოთახში ჩემი უახლოესი მეგობარი, ლაზი აზნაური, ბატონი არზნევ მუსკია საუზმობს. დავხურო?

ქალბატონი ნანო დაფიქრდა, მხრები აიჩეჩა და მითხრა:

– თუკი ბატონი შენი უახლოესი მეგობარია... – ქალმა უცბადვე შენიშნა, რომ ჩვენი ბავშვობისდროინდელი, ამხანაგური ურთიერთობის აღდგენა შევთავაზე, ადვილად დამყვა და ამის შემდეგ ოფიციალური ტონისთვის აღარ მიუმართავს. – განა სულ ერთი არ არის, ჩემგან გაიგონებს, თუ ჩემი წასვლის მერე შენგან გაიგებს ჩვენი საუბრის შინაარსს?

ორთავეს გაგვეცინა. ნანომ კვლავ იყუჩა. ეტყობა, დასაწყისს ეძებდა, ინტონაციას ირჩევდა.

უკანა ოთახიდან რაღაც ჩახანი მოისმა.

– არზნევ, წყნარად, თორემ კარს დაგიკეტავ! – დავიძახე უფრო იმისთვის, რომ ლაზთან ჩემი ახლო მეგობრობა ქალის წინაშე საგანგებოდ აღმენიშნა.

– რა იყო, შე კაცო, რევოლვერი ხომ არ დამიცლია, დანა დამივარდა ძირს, – მიპასუხა არზნევ მუსკიამ. – მამაკაცი შემოგესწრებათ ლაპარაკში, უეჭველია ეს!

– დიახ, ნანო, გისმენ.

– კონსულტაცია მჭირდება. მოგეხსენება, ზაქათალა პატარა სამაზრო ქალაქია, ერთმანეთს ყველა კარგად ვიცნობთ. ერთი პოლიციის მოხელეა იქ, ვეტროვი გვარად. ოცდაათი წლისა იქნება. ოჯახებში ვხვდებით ერთმანეთს, ხან სად და ხან ვისთან. არც ისე ხშირად. სანდომიან ახალგაზრდად სთვლიან. მე ის კაცი არ მომწონს. რაღაც აქვს ისეთი... ყურებდაცქვეტილ ფინიას მაგონებს ხოლმე, მაგრამ თავაზიანობის წესებს ვერსად წაუვალთ, ეს გასაგებია.

– რა თქმა უნდა.

– დიახ, და ერთხელ ამ ვეტროვმა სიტყვა სიტყვას გაუყენა, – ვასენკოვების ოჯახში იყო ეს ამბავი, – და სრულიად მოულოდნელად ჩემს, ვითომდა ინტიმურ დამოკიდებულებებზე ხუმრობას შეუდგა. ორი ოფიცრის გვარი გადმომკრა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, მზად ვიყავი, ბრიყვისთვის თავისი ადგილი მიმეჩინა, მაგრამ მოთმინება და მოსმენა ვარჩიე. ცხადია, შემატყო, არ მსიამოვნებდა მისი ჭარტალი ლაპარაკი მოამრგვალა და ბოდიშიც მომიხადა: – ქალბატონო ნანო, ვფიცავ ადამიანობას, ყოველივე ამას მხოლოდ ხუმრობის დანიშნულება ჰქონდა. სხვაში ნურაფერში ჩამომართმევთ და მომიტევეთ თუ ვითავხედეო!

შემიძლია, დაჟინებით ვთქვა, რომ ვეტროვს მხოლოდ უზრდელობის უეცარი შეტევა როდი ამოძრავებდა. საინტერესო ის არის, რომ მისი ინფორმაცია ყალბი იყო; ხსენებულ ოფიცრებთან ამხანაგური დამოკიდებულებების მეტი არა მქონია რა. ახლა ერთი რამ: ამ შემთხვევაში შენ ჩემი მესაიდუმლე ბრძანდები და უნდა მოგახსენო, რომ... თუმცა, ორნი ხართ მესაიდუმლეები – შენ და ის თურქი აზნაური...

– ლაზი აზნაური, ქალბატონო! – გამოგვძახა მუსკიამ

– დიახ, შენა და ის ლაზი აზნაური... არსად გამიგონია, აღსარებას ორი მღვდელი ერთდროულად ისმენდეს... იმ ვეტროვის ყურმისაწვდომზე ინტიმურ სიახლოვეში არავისთან ვყოფილვარ. ეს ჭეშმარიტებაა და ნათქვამი თავის მართლებაში რომ არ ჩამომერთვას, აქვე დავაზუსტებ: გამორიცხული ჩემს ცხოვრებაში არაფერია. მე სრულიად და ყოლველმხრივ თავისუფალი ვარ. ამას ქალი კი არ ლაპარაკ-

ობს – ადამიანი გეუბნება!

უკანა ოთახში დაჟინებული ხველება გაისმა.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ. მაგას სიგარები ერთმანეთში ერევა, ფირმას ვერ არჩევს, მაგარი შეხვდება ხოლმე და ახველებს.

– ეგ ხველება სიგარებისა არ იყო. შენმა მეგობარმა ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა.

– სწორი ბრძანებაა, ქალბატონო. არ დავიჯერე. თავისუფალი რომ ხართ, ის არ დავიჯერე მე.

– თავისუფალი ვარ! – დაადასტურა შირერის მეუღლემ.

– ჰმ, კაცთა მოდგმის დასაბამიდან დღემდე სატკივარი გადაგიწყვეტიათ, ქალბატონო. ვიცნობ რამდენიმე კაცს მასეთს. ისიც ვიცი, რატომ და როგორ არიან თავისუფალი. თქვენ რატომ და როგორ ხართ თავისუფალი, თუ იტყვით, დიდად მადლიერი დაგრჩებით, ვფიცავ ადამიანობას! – გამოსძახა არზნევ მუსკიამ ქალბატონ ნანოს.

ნანო დაფიქრდა. ალბათ, იმაზე ფიქრობდა, ღირდა თუ არა ჩემი მეგობრის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, და ბოლოს თქვა:

– არასოდეს და არაფერზე არ ვეუბნები უარს საკუთარ თავს. ყველა სურვილს ვისრულებ. ამას განხორციელებულ თავისუფლებად ვთვლი. შიშის გრძნობას ვძლიე, გასაგებია?

უკანა ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. პაუზა გაჭიანურდა.

– განაგრძე, ნანო, ვხვდები, რომ რაც მიამბე, მხოლოდ შესავალი იყო, – ვთქვი მე.

– ამ სახამუშო ლაპარაკის შემდეგ ვეტროვმა, რატომღაც, დასაშვებად ჩათვალა, უფრო მოურიდებლად, ფამილარულად მომპყრობოდა. გავფაციცდი, რომ უხეირო, მიუღებელი ნაბიჯის გადმოდგმის მიზეზი არ მიმეცა მისთვის. ვეტროვი ახერხებდა ჩემს ნახვას, მესაუბრებოდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობები მის მიერ სხვადასხვა ხმების, ჭორებისა თუ სამსახურებრივი ამბების გადმოცემას არ გასცილებია. ამასთან ერთად, იგი არანაკლებ ყურადღებას ამჟღავნებდა ჩვენი ქალაქის სხვა მანდილოსნების მიმართაც, ამით ურთიერთდამოკიდებულებებს ამძაფრებდა და თავისი პიროვნების გარშემო ერთგვარ აჟიოტაჟს ქმნიდა. ყოველივე ეს დახელოვნებული დონ ჟუანის ხრიკებს ჰგავდა, მაგრამ ერთ დღეს, ირაკლი, ნათლად ვიგრძენი, რომ ვეტროვს არც ერთი ჩვენთაგანის მიმართ – ქალებზე ვლაპარაკობ, – არავითარი ინტიმური მიზნები არ გააჩნდა და ამ მოსაზრების დადასტურებაც არ დაყოვნებულა. პერევალოვების ოჯახში ვახშმობისას ვეტროვს მუნდირის შიდა ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოუცურდა. მინდოდა, მეთქვა, აიღეთ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და ვახშმის შემდეგ ქაღალდი მე ავიღე. როგორ გგონია, რა იყო?.. სია! რვა ქალის სახელი მრავალწერტილებით ბოლოში. ის ქაღალდი თანა მაქვს. ეს არის და ესა. მე მინდა, ირაკლი, აღმომიჩინო დახმარება იმაში, რომ გავერკვე: გამოხატავს თუ არა ვეტროვის საქციელი ჩემი პიროვნებით რაიმე საგანგებო დაინტერესებას – ვთქვათ, სამსახურებრივი ხასიათისას: თუ ეს ასეა – სახელდობრ, რას ეძებს, რა სურს ჩემგან? რაც გიამბე და დასმული კითხვაც, იქნებ ეგზალტირებული, ტუტუცი ქალის ბოდვად მიიჩნიო. მაგრამ არის ორი, ასე ვთქვათ, დამატებითი გარემოება: პირველი – ვეტროვი პოლიციის მუნდირში გამოწყობილი, საგანგებო დავალებათა ჟანდარმია, ეს ნამდვილად ვიცი, და მეორე, მთავარი – ინტუიციას თითქმის არასოდეს მოვუტყუებივარ.

ნანომ პირბადე აიწია, შუბლი შეიმშრალა.

არიან ქალები, რომელთა სილამაზე და მომხიბვლელობა ურთიერთობაში იჩენს ხოლმე თავს და არა დანახვისთანავე. ნანოც ასეთი ქალი იყო, მის სილამაზეს მიგნება სჭირდებოდა.

– შევეცადოთ, ერთად გავერკვეთ, მაგრამ სანამ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა ვიცოდე: გაქვს თუ არა საფუძველი, იფიქრო, რომ ჟანდარმერიას შეიძლება, აინტერესებდეს შენი პიროვნება? – ვკითხე ნანოს.

– მაქვს! შეიძლება, ვაინტერესებდე.

– გასაგებია. საჭიროება მოითხოვს, ქალბატონო, ვიცოდე ისიც...

– აღიარება მოულოდნელი იყო, ცოტა დავიბენი, ახალი შეკითხვა მშრალი, სიტუაციისთვის შეუფერებელი წყობისა გამოვიდა და ინტონაციის შეცვლა მომიხდა: – შენს იმ ქმედებაში, რომელიც ჟანდარმერიისთვის გარკვეულ ინტერესს შეიცავს, სიფრთხილისა და კონსპირაციის ნორმები ხომ არ დარღვეულა? ვთქვათ, ხომ არ ჩაგირევია საქმეში მესამე პირი ან ვინმესთვის ხომ არ გაგინდვია საიდუმლო? შესაძლოა თუ არა, რომ შენი სახელი ფარული მოღვაწეობის სფეროებში ან საპყრობილეებში იხსენიებოდეს?

ნანო დაფიქრდა. მეგონა, რომ იგი სწორი პასუხის მოსაცემად თავისი საიდუმლო ურთიერთობების გარემოებებსა და წვრილმანებს გადასწვდა. მან კი, აი, რა მითხრა:

– ქალი ვარ, მართალია, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად ვიცნობ ჩვენი დროის პოლიტიკურ მიმდინარეობებს. არც ერთი არ მაკმაყოფილებს. ჩემს შეხედულებებს, წარმოდგენებს, რწმენას, არც ერთი არ ემთხვევა. მეორე მხრივ, ბოროტების შემჩნევის, დანახვის უნარი და მის წინააღმდეგ ლაშქრობის თანდაყოლილი ჟინი არ მასვენებს და ვერ კი მიმიგნია, როგორ და რაში აღვასრულო ეს თვისება – კეთილგონიერი, უტყუარი მოქმედების გეზს ვერ ვპოულობ, გესმის? ერთხელ ჩემთან ციხიდან გაქცეული კაცი მოვიდა, თავშესაფარი მთხოვა. მოსდევდნენ... იმის შემდეგ, ყოველმხრივ გამართლებული და უტყუარი მგონია დევნილის დახმარება, ვთქვათ, ისეთისა, რომელიც იბრძვის, თავსა სდებს, სიკვდილს არაფრად აგდებს, ციხეში ჯდება, კატორღიდან გარბის და ამას იმიტომ სჩადის, რომ არ შეუძლია, თავის რწმენას არ ემსახუროს, არ შეუძლია, "იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს". ჩემი დანაშაული კანონის მიმართ იმაშია, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე ორი დევნილი შევიფარე, მივეცი ყველაფერი, რაც მათი სულიერი და ხორციელი სიცოცხლისთვის იყო აუცილებელი, და გავისტუმრე. საქმეს დასჭირდა, შენა და შენი ლაზი აზნაური პირველნი ხართ, ვისაც ეს საიდუმლო გავანდე. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომელთა წინაშე, ასე ვთქვათ, მოყვასის ვალი მოვიხადე, დარწმუნებული ვარ, ხსოვნას დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ამას მხოლოდ მადლიერების გრძნობა და ცოტაოდენი გონება უნდა. მე მათ ვერც პირველს წავართმევ და ვერც მეორეს. ისინი წესიერი კაცები არიან. მაშ, საიდან და რა უნდა იცოდეს ჟანდარმერიამ?

ნანო მოულოდნელად დადუმდა, უკანა ოთახის კარს მიაჩერდა.

ზღურბლზე არზნევ მუსკია იდგა, ქალს შეჰყურებდა.

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო!.. – თქვა მან. – მაპატიეთ, მაგრამ მესმის ყველაფერი, მაინც, და... – მუსკიამ მღიმარი თვალები მიანათა ჩემს თანამოსაუბრეს. – ძალიან მინდა, მანდ რომ ვიყო... თქვენთან! აგერ, ირაკლიმ მომისაჯა იქ ჯდომა, გამოვიქეცი და შემიფაროთ, იქნება, თქვენ!

ქალს ხმა არ ამოუღია, რაღაც უცნაური ჩაკირკიტებით ათვალიერებდა მუსკიას.

ლაზის ყოფნას უკანა ოთახში, მართლაც, აღარ ჰქონდა აზრი, მაგრამ არ ვიცოდი, ჩვენს ქალბატონს ესიამოვნებოდა თუ არა მოუწვეველი სტუმრის დასწრება. ნანომ შემომხედა, ალბათ, ფიქრს მიმიხვდა და კეთილგანწყობილად თქვა:

– მობრძანდით, უკვე სულ ერთია – მერე დაიძაბა და დასძინა: – თქვენ უთუოდ, რისამე კითხვა გსურდათ!

ცხადი იყო არზნევ მუსკიას გახუმრება: – იქნებ, თქვენ შემიფაროთო, – ქალმა დაცინვად მიიღო. ორიოდე წუთის წინ ხომ დევნილთათვის დახმარების აღმოჩენაზე ლაპარაკობდა? ან, იქნებ, უბრალოდ, სურდა, დაეზუსტებინა, თუ რა აზრი გამოაყოლა ლაზმა თავის სიტყვებს, მაგრამ ასე დაჟინებული და გამსჭვალული ცქერა მაინც, რა იყო?

– არზნევ მუსკია! – ლაზმა მოკრძალებით წარუდგინა თავი ნანოს და მესამე სავარძელში ჩაჯდა.

– ნანო თავყელიშვილი-შირერისა, – გამოხმაურება დაუგვიანა ქალმა. ეს ჩურჩული უფრო იყო, ხოლო სალმის ნიშნად თავის დაქიცინება – რაიმეზე თანხმობას, რისამე დასტურს ჰგავდა.

მოხდენილი, ელეგანტური და სადა იყო არზნევ მუსკია. მგონი, იმ შემთხვევას შევესწარი, როცა ქალის თვალი გამაფაქიზებლად მოქმედებს მამაკაცის მიხრა-მოხრაზე, პლასტიკაზე. ცხადია, ჩვენმა ქალბატონმაც შენიშნა და შეაფასა შემოსწრებულის მოკრძალებული პეწი.

– მე თქვენ მინახიხართ! – ჩაილაპარაკა ნანომ. – სად მინახიხართ... – ქალმა თვალები დახარა, მარაოს ქნევას მიჰყო ხელი.

კარგა ხანს იფიქრა. ჩვენ ორთავე განაბული შევცქეროდით, ორთავეს ღიმილი გვითამაშებდა სახეზე; მე – მოლოდინისა, ლაზს – განცვიფრებისა.

– ააა, მომაგონდა, დიახ, დიახ... მაგრამ გვარი არ ემთხვევა. მცდება, რა თქმა უნდა. ის კაცი, ვისაც გამსგავსებთ... – ქალმა ჩაიცინა, – აბრაგია!

– ყაჩაღებსაც იცნობ? – ვკითხე მე. – ერთობ ფართო კონტაქტები გქონია დამნაშავეთა სამყაროსთან, მშვენიერო ქალბატონო!

– საკმაოდ! – თქვა ქალმა და კვლავ ჩაიცინა – ასეთი იღბალი მაქვს.

– შიშის გრძნობა ვძლიეო, თქვენ ბრძანეთ. შიშით ათასი რაიმეს შიში შეიძლება ქონდეს კაცს. რის შიშის გრძნობას ძლიეთ, როგორაა ეგ? – ჰკითხა ლაზმა.

ნანომ ლაზს თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ სულ რამდენიმე წამით. მერე ყუთიდან პაპიროსი ამოიღო, თითებში აათამაშა და ჩაილაპარაკა:

– მაგას მოფიქრება უნდა, ბატონო არზნევ. ახლავე მოგახსენებთ.

ისევ გამოვიტანე შამპანური და ჭიქები, ბოთლი გავხსენი, ჩამოვასხი, თანამოსაუბრეების წასახალისებლად მოვსვი კიდეც, მაგრამ ქალბატონი ნანო კვლავ სდუმდა.

– ქალბატონო, – ვუთხარი მე, – ბატონი არზნევ მუსკია და შენი მორჩილი მონა ველით განმარტებას, თუ რა გზით და რანაირად სძლიე...

– ინებეთ, მზად ვარ, მაგრამ ვიცი, ლაზი აზნაური არ მოისვენებს, ჩემს პასუხს კამათი მოჰყვება და თვალსაზრისის დასაცავად მაგალითები დამჭირდება. ამიტომ ერთ შემთხვევას მოვიშველიებ. თანახმა ხართ?

– რა თქმა უნდა!

– გისმენთ, ქალბატონო.

– შიში, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთი არსებობს – სიკვდილის შიში! იგი თავდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარეობს და, თუ კარგად დავაკვირდებით, ადამიანთა უმრავლესობის ყველა საქციელში მჟღავნდება. ყური მიგდეთ და შევეცდები, დავამტკიცო ეს მოსაზრება. საქართველოში დაბრუნების პირველსავე წელს იყო, ოჩამჩირის მახლობლად სტუმრად ვიყავით ცოლ-ქმარი. სექტემბერი იდგა, მშვენიერი დარი და ზღვა იყო. ზღვისპირზე დიდი ქოლგა გვქონდა, ვბანაობდით, წიგნებს ვკითხულობდით – რა ვიცი, დროსა ვკლავდით.

ერთ დღეს სამხრობას შინ მივბრუნდით. მასპინძელმა ტრაპეზისა და თვალის წატყუების შემდეგ ცხენები შეაკაზმინა, გაისეირნეთო. ისიც გვითხრა, შორს ნუ წახვალთო. საცაა უნდა მოსაღამოვებულიყო. შარაზე გავედით, ოჩამჩირეს გავცდით, სამურზაყანოს მიმართულებით გავაჭენეთ. ჩინებული ცხენები გვყავდა, გრილოდა. ლონდონში შეკერილი ახალთახალი “ამორძალა” მეცვა, კოხტაობის ხასიათზე ვიყავი და, პირადად მე, დაღამებამდე ვაპირებდი სეირნობას. ქმარმა რამდენიმეჯერ მითხრა, – გვეყოფა, დავბრუნდეთო. ყურად არ ვიღე, როგორც იტყვიან, იღბალს საითღაც მივყავდი და დაინახავთ, რომ მიმიყვანა კიდეც მაგრამ ჯერ სხვა გარემოებას შევეხოთ: ქმარმა იმიტომ მითხრა, დავბრუნდეთო, რომ გზებზე ძარცვა-გლეჯა იყო, ყაჩაღები თარეშობდნენ, ეშინოდა, არაფერს გადავეყაროთო. არა-მეთქი. დამთანხმდა, აღარ ჩამციებია, მომყვა, მივდიოდით. ეს თანხმობა იმან გამოიწვია, რომ ქმარს ეშინოდა, დაბრუნების სურვილი სიმხდალეში არ ჩამომერთვასო. მე მაშინ არც ერთი ჩამიგდია აინუნში და არც მეორე – ცხენზე ჯდომა მსურდა, სეირნობა მსიამოვნებდა, ანუ პირადი სურვილი მამოძრავებდა და ეს კი, თავისთავად, შიში იყო იმისა, რომ დაბრუნების შემთხვევაში სიამოვნება მომაკლდებოდა. აი, ამ, თითქოსდა, მარტივ რამეშიც კი სამი სხვადასხვა შიში გამოვლინდა

და სამივე თავკერძობის სახით. მეთანხმებით თუ არა იმაში, რომ ეს სამივე თავკერძობა თავდაცვის ინსტინქტიდან მომდინარეობდა?

– ცხადია, – დავადასტურე მე.

ლაზს ხმა არ ამოუღია, თავი დაიქნია.

– თავდაცვის ინსტინქტი და სიკვდილის შიში რომ ერთი და იგივე რამ არის, ამაშიც ხომ დამეთანხმებით?

– მასეა ეგ.

– მაშინ დააკვირდით და ნახავთ, რომ ჩემს ნაამბობში სიკვდილის შიშმა მხოლოდ პირადი მოსაზრებებით ქმედება, თავკერძობა შვა. მოყვასის სიყვარული არაფერში გამჟღავნებულა. არც რისიმე ან ვისიმე წინაშე ვალდებულების ნატამალი იყო სადმე, სიკეთეზე ნუღარას ვიტყვით.

– ქმარი დაბრუნებას რომ გირჩევდა, განა შენს კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა, თქვენი საერთო ინტერესებიდან არ გამოდიოდა? – ვკითხე მე.

– ვიცოდი, რომ მაგას ერთ-ერთი მაინც შემეკითხებოდით. დამაცადეთ, მაგის პასუხი თავისთავად მოვა... გზა ტყეზე იდო, ცხენები ნაბიჯით მიგვიდიოდა, კანტიკუნტად ვსაუბრობდით. გზის პირას კაცი დავინახეთ. წინ ხურჯინი ედო, დასასვენებლად ჩამომჯდარ მგზავრს ჰგავდა. ეს კაცი, როგორც მერე გამოირკვა, რაჟა სარჩიმელია გახლდათ – ყაჩაღი და მძარცველი. გავუსწორდით თუ არა, ადგა, ორი მაუზერი ამოიღო, წყნარად გვითხრა, ჩამოქვეითდით და ხმა, კრინტი არ გავიგონო, თორემ დაგხოცავთო. მიუხედავად მაუზრებისა, ყაჩაღი იმდენად მშვიდი და კეთილგანწყობილი ჩანდა, რომ ქმარმა ფრანგულად მკითხა, რას ამბობსო? ვუთარგმნე. საიდანღაც მეორე ყაჩაღიც მოვიდა, თოფიანი, ჩამოვხტით. ელდა გამომნელდა, მოსალოდნელი უსიამოვნებები და განსაცდელი ცხადად წარმომიდგა. იარაღი მოგვკითხეს, არ გვქონდა. თოფიანმა ცხენები წაიყვანა. სარჩიმელიამ, – მიჰყევითო, და ტყეში შეგვრეკეს. გორაკი იყო, იმას გადავცდით, პატარა მდელოზე ამოვყავით თავი. იქ ორმოცამდე ქალი და კაცი იჯდა, უმრავლესობა საცვლების ამარა. თავზე მესამე ყაჩაღი ადგათ, ესეც თოფიანი. ცოტა მოშორებით რამდენიმე გატენილი და ერთი ნახევრამდე მოყრილი ტომარა იდო. იმ ტომრებთან მიგვიყვანეს, საფულეები და სამკაულები წაგვართვეს და გვითხრეს, გაიხადეთო! . უნდა მოგახსენოთ, რომ რუდოლფ შირერი ერთობ რთული წარსულის კაცია. გამუდმებული ხიფათისა და ფათერაკების გამოა, თუ ასეთი ბუნებისა დაიბადა – არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ, და მე ვიცი, რომელ შემთხვევებშიც, – თავდავიწყებამდე მამაცი და გადამეტებით ამაყი ადამიანია. გვითხრეს, გაიხადეთო, და შირერმა რაჟა სარჩიმელიას ყბაში სთხლიშა, ყირაზე გადაატარა. ყირაზე გადაატარა და მაშინვე ღილებს მისდგა, გახდას შეუდგა. ამ დროს მეორე ყაჩაღმა ჩემს ქმარს თოფის კონდახი კეფაში ჩასცხო. შირერიც დარეტიანდა, დაეცა. მესამე ყაჩაღმა, რომელიც ხალხს ედგა, ხანჯალი იშიშვლა, ჩვენსკენ გამოქანდა, შირერის მოკვლა ჰქონდა განზრახული. გადავეღობე, ჭიდაობა დავუწყე. ამასობაში რაჟა სარჩიმელია გონს მოსულიყო. წამოიწია და ხანჯლიანს უბრძანა, – დაწყნარდი, შენს საქმეს მიხედეო. ხანჯლიანმა თავი დამანება, ლანძღვა-გინებით გამშორდა. შირერი ზეზე ადგა, ტანსაცმლის გახდა განაგრძო.

– თქვენც, ქალბატონო, თქვენც. თქვენ რომ გაიხადოთ, ის უფრო მინდა მე! – დამიყვირა სარჩიმელიამ.

გავიხადე, მაგრამ შიშით არ მიქნია, გართულებას მოვერიდე. ჩვენი ტანსაცმელიც ტომარაში ჩატენეს და სხვა გაძარცულებთან დაგვსხეს.

შაბათი დღე იყო. ოჩამჩირეში შაბათ-კვირას ბაზრობაა ხოლმე. გაძარცულთა უმრავლესობა ნაბაზრალი ხალხი გახლდათ. იცოდნენ ყაჩაღებმა ვის და სად უნდა დახვედროდნენ!

რაჟა სარჩიმელია მოგვიახლოვდა, თვალიერება დამიწყო: ისე მსინჯავდა და მზომავდა, ვითომ ვისიმე დაკარგული საგანი ვიყავი, გზაზე მიპოვნა და ვერ კი გაეგო, რაში შეიძლებოდა ჩემი გამოყენება. მარტო მე მიყურებდა, შირერისთვის ერთხელაც არ შეუხედავს, ვითომ იქ არცა ყოფილა მიყურა და თქვა:

– კარგი ჭიდაობა გცოდნიათ, ქალბატონო, ნამეტანი კარგი, უკეთესს რომ ვერ ნახავს კაცი. ამ ხალხს გავუშვებ მე, აგერ ახლა, ა, მარა თქვენ წაგიყვანთ თან და, სანამ თქვენი ქმარი გამოსასყიდს მომიტანდეს, ვიჭიდაოთ ხანდისხან!

სარჩიმელიამ გადაიხარხარა და წავიდა. გზისკენ წავიდა შემდეგი მსხვერპლის მოსაყვანად.

ჩემმა ქმარმა დრო იხელთა და ჩამჩურჩულა:

– მე უნდა ავიტანო ის, რომ მცემენ, ისიც, რომ მხდიან, ისიც, რომ ავხორცი თვალებით გჭამენ; ისიც, რომ მძევლად დაგტოვებენ, გამოსახსნელ თანხას მომატანინებენ და მოტანამდე კი გამოგიყენებენ!! უნდა ავიტანო მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიუტი ხარ. ვიცოდი, ინტუიცია მკარნახობდა ამას. გეუბნებოდი, დავბრუნდეთ-მეთქი... – ხელი ჩაიქნია და დადუმდა.

ხედავთ, როგორი პატიოსანი კაცია შირერი? პირდაპირ მითხრა, თუ რატომ სდომნია დაბრუნება. სხვა კაცი მეტყოდა, – ჯანდაბას ჩემი თავი, მთავარი ის არის შენ არაფერი დაგიშავდესო! ესეც შენ, ბატონო ადვოკატო და მორალისტო, პასუხი იმაზე, თუ ვის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ვისი ინტერესებიდან გამოდიოდა ჩემი ქმარი, როცა დაბრუნებას მთავაზობდა, და ამაში უცნაური არაფერია, გარდა შირერის გულმართლობისა.

სულ ცოტა ხანში მოულოდნელი რამ დატრიალდა, მაგრამ, მოდი, ჯერ ის გავსინჯოთ, რაც აქამდე მოხდა. ძარცვა-გლეჯა რომ ყველა დროის უდავო ბოროტებაა, ამას მტკიცება არ სჭირდება. რამ წარმოშვა იგი? თავკერძობამ. იმას ხომ ვერავინ იტყვის, რაჟა სარჩიმელიამ და მისმა დამქაშებმა კაცთმოყვარეობრივი მიზნებით მოაწყეს ეს ხაფანგიო? ესეც არაფერი, მაგრამ ძალმომრეობის წინაშე ქედის მოხრაც რომ ბოროტებაა! იმას ნუ მომიტანთ, უიარაღოები შეიარაღებულების წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდითო...

– მაინც, რას უნდა გამხდარიყავით, შე კაი ქალო?

– სიკვდილი ხომ შეგვეძლო? ჩვენ – საძარცვი სულადობის ორ მესამედს მაინც – აბა, იმის უნარი შეგვწევდეს, შეიარაღებულ მოძალადეს სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობა გავუწიოთ ხოლმე. მსხვერპლი იქნება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ, ძალადობიდან ბევრი რამღა დარჩებოდა?

– ღონიერის წინაშე ქედის მოხრა და მორჩილება სიკვდილის შიშის არის. მართალს ბრძანებთ, ქალბატონო ნანო თქვენ!

– უბრალო ჭეშმარიტებაა! – კვერი დაუკრა ქალმა ლაზს და განაგრძო: – ახლა, ის ყბაში გარტყმა და ყირაზე გადატარება ვნახოთ. წინააღმდეგობის გაწევა გზაზე არ ჯობდა, როცა სარჩიმელიას იქით

მივყავდით, მაშინ? იქნებ გეგონოთ, რომ იქ, გზაზე, შიღერი დაიბნა, ხოლო ტომრებთან გონს მოეგო და ამოქმედდა? შირერი სხვადასხვა გასაჭირსა და მოულოდნელობებში მინახავს, მაგრამ დაბნეული შირერი – არც ერთხელ! საკუთარი თავის ფლობაში გენიოსია. ამასთან ერთად, ჩემი ქმარი პატივმოყვარე ბავშვიც არის; ადამიანების გარემოცვაში, ხალხში, ჩემთან, – მისი ყველა საქციელის საფუძველია: ნახეთ, როგორი ღონიერი, კეთილი, უანგარო, გულადი, მდიდარი და, საერთოდ, რა კარგი ვარ, თქვენზე უკეთესი ცოლი მყავს და ყველას გჯობივართ! ეს, ხალხში-მეთქი, ვიმეორებ, თორემ თავის თავთან ან ვინმე მარტოკაცთან პირისპირ? არა, იქ სულ სხვა ადამიანია, ესეც ვიცი. გარტყმა მხოლოდ აქედან, ამ თვისებიდან გამომდინარეობდა. შირერს თავისი მამაცობის ჩვენება სურდა – ხალხის წინაშე, ჩემს წინაშე, ყაჩაღების წინაშე. ისე კი, ყველაფერი ნავარაუდევი და წინასწარ გამოთვლილი ჰქონდა. გარტყმაც, ტანისამოსის გახდაც და ისიც, რომ ყაჩაღების მთავარი მიზანი ნაძარცვის შენარჩუნება იყო და არა შეურაცხმყოფლისთვის სამაგიეროს მიზღვა. ისიც გათვალისწინებული ექნებოდა, რომ ყაჩაღები სროლას და დავიდარაბას შეძლებისდაგვარად მოერიდებოდნენ, გარტყმაზე მათი რეაქცია უკიდურესი არ იქნებოდა. დაინახეთ? ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შირერმა ივარაუდა. მისი გამჭრიახობა აღტაცების ღირსია, ეს თავისთავად, მაგრამ თვით საქციელი რომ თავკერძობიდან მოდიოდა, ამაში ეჭვის შეტანა ხომ შეუძლებელია? ამ თავკერძობის შედეგი ვნახოთ. ისევ ბოროტება! იმაში გამოხატული, რომ კინაღამ მკვლელობა მოხდა და იქნებ, ერთი კი არა, ორიც მომხდარიყო; იმაშიც, რომ, როგორც მერე გამოირკვა, შირერზე ჯავრის ამოყრის მიზნით, სარჩიმელიას მართლა სდომნია ჩემი დატოვება მძევლად და, უმთავრესად კი, იმაში, რომ შირერმა სხვებს მისცა ცუდი მაგალითი...

– როგორ თუ ცუდი! მგონი, სწორედ კარგი მაგალითი აჩვენა: წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის, ბრძოლის მაგალითი, – შევაწყვეტინე ნანოს.

– ბოლომდე რომ გაეწია წინააღმდეგობა, მაშინ იქნებოდა ეგ, – ჩაერია ლაზი. – კაცი როგორია, ხომ იცი, ირაკლი? ერთ საქციელში ავსაც თუ ხედავს და კარგსაც, ხშირად, მარტო ავს მიბაძავს და კარგს არა, ვიცი მე ეს.

– მაგას ვგულისხმობდი, ბატონო არზნევ, როცა ვთქვი, ცუდი მაგალითი მისცა-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩემს ნაამბობში ყველა საქციელი თავკერძულია, სიკვდილის შიშიდან გამომდინარეა და, როგორც ვნახეთ, ყველა საქციელი ბოროტია, სიკეთის ნატამალი არსად არის. ვაკვირდები ცხოვრებას და ერთი მაგალითიც კი ვერ აღმოვაჩინე, რომ სიკვდილის შიშს და მისგან მომავალ თავკერძობას რაიმე შეეძლოს, გარდა ბოროტებისა...

– შიში, ზოგ შემთხვევაში სიკეთეს ქმნის! – შევედავე მე.

– რომელი შიში და რა შემთხვევაში?

– შიში კანონის ან შურისგების წინაშე. განზრახული ბოროტებისგან თავს იკავებს კაცი.

– ბოროტ კაცს, ირაკლი, შეეშინდეს, იქნება, კანონის და სამაგიეროსი და იმ განზრახულ ბოროტებას აღარ ჩაიდენს მაშინ, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი იმის ბოროტია, რომ კანონიერ გზას მონახავს და ისე იზამს თავისას. კანონს ის შეუძლია მარტო, რომ თვალსაჩინო ბოროტების მაგიერ, ძნელად შესამჩნევს ჩაადენინებს ჩამდენს, და, ეს რომ ვთქვი, საკითხავია კიდევ, თუ შეუძლია კანონს ამდენი! – თქვა ლაზმა.

– ეს არის სიკვდილის შიში, ამას ვძლიე-მეთქი! – ნანოს თავისი ნათქვამი ეუხერხულა, ღაწვებზე სიწითლემ დაჰკრა.

– თავისუფლებას სიკვდილის შიშის დამარცხებასთან როგორღა აკავშირებ? – უფრო იმისთვის ვკითხე, რომ მისი შეცბუნება გამეფანტა, თორემ მთელი საუბრის მანძილზე თვით ნანო მეტად მაინტერესებდა, ვიდრე აღძრულ საკითხებზე მსჯელობა.

– მაგ ადვილი გასაგებია, – თქვა ლაზმა. – თუ შიში არ გაქვს, მაშინ არც გზღუდავს და გბორკავს რამე და რასაც გული გიკარნახებს, იმას სჩადიოდე, იქნება, ყოველთვის. ესაა თავისუფლება, აბა, რა?! ის თქვი შენ, რით ძლიოს შიშს კაცმა, თუ განგებას ამის უნარი

არ მიუცია მისთვის?.. ცული უნდა მაგას, ცეცხლი და სატევარი!

– მაგ ცულს, ცეცხლსა და სატევარს სიკეთე ჰქვია, ბატონო არზნევ, – მიუგო ნანომ.

– მე ისეთი შეხედულება მაქვს, რომ სიკეთე სხვათა კეთილდღეობისთვის საკუთარი ინტერესებისა თუ თავის გაწირვის, მსხვერპლად მისვლის უნარია. უარეს შემთხვევაში, სიკეთე ის არის, რაც, შესაძლოა, მხოლოდ ერთს ასარგებლებს, მაგრამ ისე კი, რომ სხვებს ზიანს არ მისცემს. მხოლოდ ამ ღირსების, ესე იგი, მსხვერპლის გაღების უნარის მქონეს შეუძლია, თავის არსებაში სიკვდილის შიშს სძლიოს და დამძლევი იმ ზომით დასძლევს, რა ზომითაც განგებისგან აქვს სიკეთე მიმადლებული.

– თქვენ რომ ბრძანებთ, ქალბატონო ნანო, ისეთი და იმდენად კეთილი კაცი თითქმის ღმერთობამდეა მისული, მაგრამ სიკვდილის ეშინია მაინც! – თქვა ლაზმა.

– როგორ?

– მიზანი ხომ აქვს მაგ კაცს?

– აქვს, რა თქმა უნდა. მისი მიზანი სიკეთის თესვით ბოროტების დათრგუნვაა.

– მასეა, ეგ დანიშნულებაა მისი და უნდა მას, რომ ამ გზაზე ბოლომდე ამოწუროს თავისი თავი. სიკეთის თესვის უნარი, რამდენიც მიუცია განგებას მისთვის, უნდა, რომ დახარჯოს

მთლიანად და მერე მოკვდეს მხოლოდ. იქამდე კი სიცოცხლე წყურია და ეშინია სიკვდილის, აბა, როგორ?

– ეგ, თქვენ რომ ბრძანებთ, შიში არ არის, რაღაც სხვაა, დიდი და უმაღლესი განცდაა!

– ეფემია წინამძღვარმა მითხრა, ერთხელ იყო... ლამაზად ლაპარაკი უყვარს დედა ეფემიას. ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერს მონასტერში, მგონია ასე მითხრა: ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენთი, შვილო, თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებასაც გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე და წყვდიადის შემანგრეველი ძალა იყო!

– ლამაზია! – ნანოს ალი შეუდგა თვალებში.

– კი, ლამაზია, – ჩაილაპარაკა ლაზმა. – ვიცი მე ეგ ყველაფერი, მარა ცოდნა რაა, თუ რწმენამდე არ მივიდა ის. ვერ მივედი ვერაფრით, მიჭირს ძალიან...

ლაზმა ეს ღიმილით თქვა, მაგრამ სიტყვებს იმოდენა დარდი ამოაყოლა, რომ ანაზდად სულ სხვა კუთხიდან, სხვა თვალით დავინახე ჩემი ახალი მეგობარი. მიჭირსო? გამიელვა, რომ არზნევ მუსკია უბრალო გასაჭირს კი არ განიცდიდა – სამყაროში ყველაზე დიდი საწუხარი და ქვესკნელთ უღრმესი სევდა ჰქონდა.

– ბოროტებას რატომ არ შეუძლია სიკვდილის შიშის ძლევა, ბრძანეთ ბარეღამ ეგეც, ქალბატონი ნანო. – ლაზი კვლავინდებურ განწყობილებას დაუბრუნდა.

– ბატონო არზნევ, გატყობთ, მაგაზე თქვენ უფრო ბევრი გაქვთ ნაფიქრი...

– თქვენი აზრი მინდა, ვიცოდე მე.

– იმიტომ, რომ ბოროტებას სწორედ სიკვდილის შიში ბადებს და აბოგინებს. მათ შორის თანხმობაა. რამ რას უნდა სძლიოს?

– მართალია ეგ, მაგრამ მაგ მართლის სიმართლე ჩემთვის იქ თავდება, სადაც კაცი თავის თავს კითხავს, სიკეთე რაარ, – სიჩუმე დაარღვია არზნევ მუსკიამ.

ნანომ პასუხი დააპირა აღარ დავაცადე:

– ერთი, ის ქაღალდი მაჩვენე, ვეტროვისა. თანა მაქვსო, ასე არ მითხარი?

ნანომ ქაღალდი მომაწოდა და ლაზს უთხრა:

– მაგის გართულება არ შეიძლება, უაზრობამდე მისვლა სულ ადვილია. სადად უბრალოდ უნდა გაიცეს პასუხი: სიკეთე ის არის, რაც ყველასთვის კარგია. მადლი ქენი, ქვაზე დადე და შედეგს არ დაელოდო. წადი, სხვა მადლი ქენი. სიკეთეც ეს არის და მისი თესვის აუცილებელი პირობაც.

ქაღალდი, მართლაც, ქალების სია იყო, ქალების სახელები ეწერა რაღაც წერტილებით ბოლოში. ზოგს ხუთი წერტილი ჰქონდა, ზოგს ორი და ზოგს რამდენი. ნანოს სახელს ხუთი წერტილი უჯდა. დავათვალიერე, არზნევს გადავეცი.

– ეს წერტილები სხვადასხვა მელნით და ზოგი ფანქრით არის დასმული აქ. სხვადასხვა დროს იყოს დასმული, იქნება, – აღნიშნა ლაზმა.

ქაღალდი ისევ გამოვართვი, დავხედე. არზნევ მუსკია მართალი იყო.

– ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?! – ვკითხე ლაზს, ვითომ, ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისა მასთან იყო საკონსულტაციოდ მოსული და არა ჩემთან.

– მას მერე რამდენჯერ გნახათ იმ ვეტროვმა, რაც ოფიცრებზე ლაპარაკი გაკადრათ, თუ შეძლებთ ამის გახსენებას?

– რამდენჯერ? ახლავე დავაზუსტებ. იმის მიხედვით დავაზუსტებ, თუ რა და რა მიამბო. ეს მონაყოლები კარგად მახსოვს, – ნანო დათვლას შეუდგა.

– წინადადება მაქვს! – წამოვიძახე მე და ორთავემ ყურები სცქვიტა. – ერთად ვისამხროთ! სანამ ავიკრიფებით და მივალთ... ნანო, გვერდს თუ დაგვიმშვენებ, ვფიცავ სინდისს, მაგ თავსატეხსაც ამოგიხსნით და, თუკი რამ საიდუმლო გაქვს – იმასაც!

ქალმა გაიღიმა და პაუზის შემდეგ მკითხა:

– სად.

– გოგიასთან.

– გამიგონია და არკი ვყოფილვარ. იქ, მგონი, ხალხური სიმღერებისა და ძველი საეკლესიო საგალობლების ქორო მღერის, არა?

– დიახ, მღერის და მერე როგორ!

– საინტერესოა, რომ რესტორანში საგალობლებს მღერიან, – თქვა ნანომ.

– სტილია, გოგიას სტილი. იქ მუშტარიც სხვანაირია. წამოდი და ნახავ.

– გოგიასთან წასვლა სხვა დროისთვის გადავდოთ. – ნანომ ტანისამოსზე დაიხედა, ჩაცმულობა ხალხმრავალი ადგილისთვის შეუფერებლად მიაჩნდა.

– დღეს სადმე ქალაქგარეთ ვისამხროთ, საცა ხალვათობაა. ჰაერზე დავსხდეთ, მშვენიერი ამინდია.

– ასე მგონია, ირაკლი, მეც. სხვა ხალხი ნუ გვინდა დღეს, – მხარი აუბა ლაზმა.

– ეგრე იყოს. ეტლი, ვასილიჩ! – დავიყვირე.

– არ გინდა. ჩემი მანდა დგას, კანტორის წინ.

– წავიდეთ, აბა, – ლაზი ადგა.

ეტლში რომ ვსხდებოდით, არზნევ მუსკიამ ნანოს ჰკითხა:

– რა გაქვთ დამთავრებული იქ?

– ფილოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ... რაც ვილაპარაკეთ, იქ არ

მისწავლია.

– სწავლით, გასწავლონ, იქნება, მაგრამ რწმენა უნდა მაგას და

ვერ გასწავლის ამას ვერავინ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნანოს ჩალისფერი ულაყები ორთაჭალისკენ მიგვაჭენებდნენ.

– ვეტროვმა რამდენჯერ გნახათ, ის თუ გაიხსენეთ? – ჰკითხა ლაზმა.

– გავიხსენე. ხუთჯერ, ოფიცრებზე ლაპარაკს თუ არ ჩავთვლით.

– ნამდვილია?

– ზუსტად!

– აბა, ყოველი ნახვის მერე თითო წერტილი დაუსვამს მაგ ქაღალდში.

ნანომ ქაღალდი ამოიღო, ჩააცქერდა და თქვა:

– მერე რა?

– შენს მერე სუსანა წერია, – სამჯერ შეხვედრია ვეტროვს, – განვუმარტე მე. – შენს ზემოთ – ნადეჟდა ივანოვნა – შენსავით ხუთი წერტილი უზის. ამას გარდა, ნახე, როგორ სხედან ეს წერტილები?!

პირველი წერტილი ყველა სახელის ბოლოში იყო. ესე იგი, ვეტროვმა თითოჯერ ყველა ნახა, წერტილებიც დაუსვა და ამით ქალებთან შეხვედრის პირველი წრე ამოწურა. მეორე შემოვლაზე, ჩანს, სამი მათგანი ვერ მოიხელთა და ამიტომ მათი სახელების ბოლოში მეორე წერტილის ადგილი თავისუფალი იყო. მესამე წრეზე, საცოდავს, იმდენი მოცადეობა გამოუჩენია, რომ უწერტილოდ მხოლოდ ერთი ქალი დარჩენია – ვინმე ალა. ალას სულ ორი წერტილი ესვა, ისიც თავიდან და ერთიმეორეზე მიყოლებით.

– ეგ ალა წავიდა, იქნება, თქვენი ქალაქიდან, – თქვა ლაზმა. – ორჯერ უნახავს და ვეღარ, მერე.

– თემირხანშურაში გადაიყვანეს მისი ქმარი. ოფიცერია, – განმარტა ნანომ.

– ვეღარ ნახავდა. თემირხანშურას თავისი ვეტროვი ეყოლება, ნამდვილია ეს, და ნახავს იქაური ვეტროვი მაგ ალას იქ!

ხარხარი აგვივარდა. სასაცილო იმდენი არაფერი იყო, მაგრამ როცა ადამიანებს ერთმანეთთან ყოფნა უხარიათ, მაშინ ადვილად და გულიანად იცინიან ხოლმე.

– არზნევ, გგონია, რომ ამ შეხვედრებს დავალების ხასიათი ჰქონდა? – ვკითხე ლაზს.

– რა ბრძანე?.. არ ვიცი მაგ ჯერ. ქალბატონო ნანო...

– არზნევ, ნანო-თქო, ღმერთმანი! – უთხრა ქალმა. – ასე მგონია, დაბადებიდან გიცნობ, და მეხამუშება, რომ...

ლაზმა გაიღიმა და პატარა ხანს მერე მიუგო:

– აბა, მე გეტყვით ერთს. რაღაც სულ სხვაგვარი პატივისცემა მაქვს თქვენი და თქვენიბით რომ მოგმართავთ, მსიამოვნებს ძალიან. ეს ცალკეა და, თუ პირდაპირ მეტყვით – არზნევ, ან ლაზო-თქო, და შენობით თუ მომმართავთ, მეგობრობაში ჩამოგართმევთ მაგას და ერთიორად გამახარებს ასეთი ურთიერთობა თქვენთან. აჯობებს, ნამდვილად, და სათხოვარიც არის ჩემი ეს. უარი არ მითხრათ. გთხოვთ ძალიან.

განმაცვიფრა ამ კაცის ტაქტმა. თითქოსდა რა იყო – სულაც არაფერი, მაგრამ ის წინადადება ლაზისა და ნანოს მაშინდელი დამოკიდებულებების არსს უზუსტესად გამოხატავდა. იმ სიტუაციაში ყველაზე ლამაზი და მართალი ურთიერთობები მათ შორის მიმართვის მხოლოდ ამ ფორმას შეეძლო, მოეტანა. ეს ნანომაც იგრძნო. წინააღმდეგობა არ გაუწევია დაჰყვა და თავისთვის თქვა:

– გასაღებივით არ მოარგო?! “ლაზო” ჯობია.

– ახლა ეს მიბრძანეთ: რას გელაპარაკებოდათ ვეტროვი და სხვასაც იმასვე თუ ელაpარაკებოდა, რასაც თქვენ. მახსოვსო, რომ ამბობთ, რა გიამბოთ პირველი შეხვედრისას?

– ყაჩაღია ერთი, ზაქათალის მიდამოებში, მამედა ჰქვია. იმ მამედაზე მიამბო. ლაგოდეხში ვიღაცას შევარდნია, ბალღი აკვანში დაუხრჩვია მშობლების თანდასწრებით, სახლისთვის ცეცხლი მიუცია და წასულა.

– მაგ ქალებიდან სხვასაც თუ უთხრა რომელიმეს ეგ?

– უთხრა.

– საიდან იცით?

– იმ ქალმა მე მიამბო. ეგონა, რომ არ ვიცოდი, ახალ ამბად მიამბო.

– კაი, ბატონო. მეორე შეხვედრაზე რა გიამბოთ?

– მეორედაც ყაჩაღზე მიამბო, აბრიკოზე. ეს ინგილოა, აქეთ ყაჩაღობს, საქართველოს მთებში. ტყეში პატარა გოგოები გაუუპატიურებია. საერთოდ, რასაც მიამბობდა, სულ ყაჩაღებზე იყო...

– და სულ უარყოფითი, არა? – ჩემთვის უკვე ყველაფერი ცხადი შეიქნა.

არზნევ მუსკიასთვისაც:

– ყაჩაღებს აბრაგებს და მისთანა ხალხს ებრძვიან ეგენი მაგით!

ასეთ საქმეებში ჩახედული ერთი ჩემი ნაცნობის ამასწინანდელი საიდუმლოდ ნათქვამი მომაგონდა:

– ხმების გავრცელების სამსახურის კაცი ყოფილა ვეტროვი. მაგისი განყოფილება ჩამოაყალიბეს, ჟანდარმთა შეფი, თურმე, პირადად ხელმძღვანელობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წამოწყებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ლაზს მოულოდნელად სიცილი აუვარდა და იმდენი იცინა, რომ ცრემლებიც კი გადმოსცვივდა.

– ეგ ქალები და, მათ შორის, შენც, ხმების დასაყრელად გამოგიყენეს, ნანო. შეგიძლია, მშვიდად განაგრძო შენი ქველმოქმედება. კატორღიდან გამოქცეული კაცი მეგულება, ხომ არ გამოგიგზავნო?

– კარგი და, იმ ოფიცრებზე ენის ჭარტალი რაღა იყო? – იკითხა ნანომ.

– საიდუმლო პოლიციას ჭორების ყულაბა აქვს ერთი. ეგ იქიდან ამოღებული იქნება. თავისებური შანტაჟია, გამოძალვა. გამცნო, შენი საიდუმლოება ვიციო! მაგნაირ ფანდებს აგენტად გადაბირებისთვის ხმარობენ ხოლმე.

– მნახეს, რა!.. იდიოტები!

– გაძარცვის ამბავი რომ დაუმთავრებელი დაგრჩა? – სალაპარაკო თემის გამოცვლისთვისაც ვთქვი და მაინტერესებდა კიდეც.

– კი, აბა! როდის დაგვისრულებთ მაგ ამბავს? – ჰკითხა ლაზმა.

ნანომ ლაზს თვალებში ჩახედა და მიუგო:

– როცა სიკეთეზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ, არზნევ მუსკია!

ეტლმა ბაღის ალაყაფი გაიარა, დუქნის კართან დადგა.

**ცისფერი რვეული**

კვირამ თუ ათმა დღემ გაიარა. სულ ერთად ვიყავით სამნი. შეიძლება, ითქვას, ერთმანეთს არ დავცილებულვართ. ხან სად ვატარებდით დროს, ხან ვისთან ვსტუმრობდით, ხან რას ავიკვიატებდით და ხან ვის ფანტაზიას ავყვებოდით ხოლმე. ერთად ყოფნა გვიხაროდა და სამარის კარამდე მეგობრობაზე ვოცნებობდით.

გოგიას დაწესებულებაში მისვლა რამდენჯერაც დავაპირეთ, იმდენჯერ ვიღაცამ შეგვიშალა ხელი. ბოლოს მაინც გამოინახა დრო, სწორედ ის დრო, როცა ქორო სიმღერას იწყებდა ხოლმე – საღამოს ხუთი საათი.

ეს რესტორანი დღის სამ საათზე იღებოდა და მუშაობდა იქამდე, მანამ ბოლო სტუმარს შინ წასვლა მოეპრიანებოდა. საუკეთესო მზარეულები ჰყავდათ. უფრო მარდსა და თავაზიან მსახურებსაც იშვიათად შეხვდებოდა კაცი. ქორო რვამდე მღეროდა. რვიდან საზანდარი იყო. საერთო დარბაზს ცალი მხრიდან სამი საფეხურით შემაღლებული აივანი ჩასდევდა, კაბინეტებად დაყოფილი. კაბინეტებს დარბაზისგან რიკულებიანი მოაჯირები და კრეტსაბმელები ჰყოფდა: რატომღაც ისე ხდებოდა, რომ მოქეიფეებს კრეტსაბმელები ღია ჰქონდათ ხოლმე და იქნებ, ნაწილობრივ, ამასაც შემოჰქონდა გულითადობისა და სილაღის ატმოსფერო გოგიას რესტორანში. მართალია, აქ მუდამ ერთი და იგივე მუშტარი იყრიდა თავს, თითქმის ყველა ყველას ნაცნობ-მეგობარი იყო, ეს ურთიერთობებს აადვილებდა, ადამიანს ლხინის ხალისს მატებდა, მაგრამ უცხოც ბევრი მიმიყვანია, თავი ყველას შინაურივით უგრძვნია და ეს, უმთავრესად, გოგიას მადლი იყო. სტუმრის გულის მოგება კარის შეღებიდანვე იწყებოდა. მეკარედ დიდუბელი არჩილა ჰყავდა – ახალგაზრდობაში ჩხუბისთავი და ჩინებული მოკრივე. გარდერობში – ველისციხელი ერვანდა, გამწევი ცხენის ღონის პატრონი, ფლეგმატური გოლიათი. ამათ მეპანღურეობაც ევალებოდათ, თუკი უტიფარი და ჭინჭყლი ვინმე სხვა სტუმრებს აეტორღიალებოდა. მიუხედავად ამ მრისხანე მოვალეობისა, ორივენი მეტად სანდომიანები იყვნენ, ენა უჭრიდათ, ოხუნჯობისა და მასხრობის ნიჭი ჰქონდათ და მთელი დუნიის ჭორ-ამბავი იცოდნენ. სანამ გაიხდიდით და დარბაზში შეხვიდოდით, რაღაც სასაცილოს ან საინტერესოს უეჭველად გაიგონებდით. დარბაზში შეაბიჯებდით და იშვიათად, რომ გოგია არ შემოგგებებოდათ. ერთთავად ვისიმე სუფრას უჯდა, პირით შემოსასვლელისკენ, რომ შემოსული სტუმარი დაენახა. მკელობელი კაცი იყო, ცალი ფეხი მუხლს ქვემოთ ხელოვნური ჰქონდა, მაგრამ ამ დანაკარგმა მის ახოვანებას ბევრი ვერაფერი დააკლო. დაგინახავდათ და კი არ წამოდგებოდა – აიყრებოდა ხოლმე. თანამესუფრეებთან ბოდიშს მოიხდიდა, მარდად, ღიმილით გამოსწევდა შესახვედრად. ეს პროფესიონალი რესტორატორის პირმოთნე ღიმილი არ იყო. არა, მისი საკუთარი, თანდაყოლილი, ადამიანების სიყვარულისა და, საერთოდ, ერთთავად კეთილგანწყობილი კაცის ალალი ღიმილი იყო. მის შემაცქერალს ხშირად მიფიქრია, რომ გოგია, სახელდობრ, ამ ატმოსფეროსთვის იყო დაბადებული. ეგ არის, ვაჭარი ერქვა და ფულის მოხვეჭისა კი არაფერი გაეგებოდა, რესტორნის მფლობელებისა გამუდმებით ემართა. ან საიდან და რა უნდა ჰქონოდა, როცა ყოველ საღამოს ერთი, ხანდახან, ორი სუფრისას თავად იხდიდა. მართალია, ასეთ ხარჯს პატივნაცემთა უმრავლესობა რაიმე გზით და როდისმე უნაღდებდა, მაგრამ, საცოდავს, მაინც მუდამ უჭირდა. საცოდავს-მეთქი? რა ვიცი, გოგიაზე ბედნიერი კაცი, იქნებ, ძნელი საპოვნელიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მის იერში კმაყოფილების მეტი არასოდეს არაფერი შემინიშნავს, თუ გლოვის ან რაიმეზე დარდის პერიოდებს არ მივიღებთ მხედველობაში. ესეც სხვის გამო იცოდა, თავისას არც გლოვობდა რასმე და არც დარდობდა. ერთი სიტყვით, აზრი იყო დამკვიდრებული, რომ გოგიას “მუდამ რიგიანად მიუდიოდა საქმე”, – თავი ეჭირა ასე და იმიტომ. სიმართლეს ვიტყვი, გოგია ძმასავით მიყვარდა. ასეთი მარტო მე როდი ვიყავი, ბევრი ჰყავდა. რამდენჯერ შემინიშნავს, გოგიასთან საურთიერთოდ უფრო მიმიწევდა ხოლმე გული, ვიდრე ლხინისა და

ქეიფისკენ, როცა მის დაწესებულებაში მისვლის საღერღელი ამეშლებოდა. კარგი საუბარი იცოდა, კეთილი ოხუნჯობით შეზავებული, სხარტი.

ახლაც ახალი ხალხი მიმყავდა და მინდოდა, შემოგვგებებოდა. ნანოს და არზნევ მუსკიას დარბაზში შევუძეხი. სტუმარი სულ რამდენიმე მაგიდასთან მოჩანდა, ხალხი უფრო მოგვიანებით იყრიდა ხოლმე თავს. გოგია არსად ჩანდა. სამაგიეროდ, მარცხენა კუთხეში ელიზბარ კარიჭაშვილს, სანდრო კარიძესა და ვახტანგ შალითურს მოეკალათებინათ. დაგვინახეს. ელიზბარი წამოდგა, ხელების ქნევა ატეხა, აქეთ წამოდითო.

– ჩემი დეიდაშვილია, – ჩაიცინა ნანომ.

– რომელი? – ვკითხე მე.

– ელიზბარი.

– ელიზბარს ვიცნობ მეც, – აღნიშნა ლაზმა.

გამიკვირდა. დავაპირე, მეკითხა, – საიდან იცნობ-მეთქი. აღარა ვკითხე. თუკი, ნანოს თვალში, მე და ლაზი ახლო მეგობრები ვიყავით, მაშინ ისიც ხომ უნდა მცოდნოდა, ვის იცნობდა ლაზი და ვის – არა.

– რამდენი ხანია, რაც თბილისში ხარ? – ჰკითხა ნანომ ლაზს.

– ახლა? ამ ჩამოსვლაზე? – მიუგო ლაზმა. – ერთი თვე შესრულდება სადაცაა. ნამყოფი ვარ ამ დუქანში მე. ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვარ ნამყოფი.

– გოგიასაც იცნობ?

– გოგიას კაი ექვსი წელიწადია, რომ ვიცნობ, მასთან მოვდივარ ხოლმე აქ.

გოგიამ ამ რესტორანში სამი-ოთხი წლის წინათ დაიწყო სამსახური. გამოდიოდა, რომ ლაზისა და გოგიას ნაცნობობა სადღაც სხვაგან შემდგარიყო. სად?

– იფ, იფ, ეს რა კარგი ხალხი მოვიდა! – დაიძახა ელიზბარ კარიჭაშვილმა, როცა მათ მაგიდას მივუახლოვდით. – არსადაც არ გაგიშვებთ, აქ უნდა იყოთ!... სანდრო, ვახტანგ – გაიცანით, თუ არ იცნობთ: ჩემი დეიდაშვილი – ნანო. ჩემი ძმაკაცი – არზნევ მუსკია, ლაზი. ირაკლის იცნობთ... ჰო, ეს სანდრო კარიძე და ვახტანგა შალითური – ჩემი ძმაკაცები. დასხედით, დასხედით. მოეწყეთ, ვის საცა გენებოთ. გოგია რა იქნა, კაცო?

უარი დავაპირეთ, – ჯერ ცალკე დავსხდებით და მერე გავერთიანდეთ-მეთქი, მაგრამ ელიზბარ კარიჭაშვილი ასეთ რამეებში კერკეტი კაკალი იყო, ვერ გავტეხეთ და, რაღა გაეწყობოდა, დავსხედით. ელიზბარისა საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, საინტერესო პიროვნება იყო, სუფრაზეც კარგი მოსაუბრე. სანდრო კარიძე მაშინდელ ქართველებში ერთ-ერთ უგანათლებულეს პიროვნებად ითვლებოდა, მაგრამ ეროვნული მოღვაწეობისგან თავი შორს ეჭირა – ცენზურაში მსახურობდა რაღაც მოხელედ. ამ პასიურობის გამო მაინცდამაინც არავის ეპიტნავებოდა, ზოგს მტრადაც კი მიაჩნდა. მე, რატომღაც, მისდამი კეთილგანწყობილი ვიყავი და ახლაც არა ვთვლიდი სუფრაზე ზედმეტ კაცად. აი, ვახტანგა

შალითურის ოფოფებისა კი მეშინოდა. სმაში ერთ წერტილს იქით ახირება იცოდა. ესეც არ იყოს, სიფხიზლეშიც რაღაცნაირი ამპარტავანი ხასიათი ჰქონდა, ხანდახან უბრალო რამე სწყინდა და მაშინ თავხედობაც სულ ადვილი მოსალოდნელი იყო მისგან. ცხადია, დროს სატარებლად წამოყვანილი სტუმრისთვის ვახტანგა შალითური ვერაფერი შვილი საზოგადოება გახლდათ, ამას ვერიდებოდი.

მსახურები მაგიდას დააცხრნენ, სუფრა განაახლეს. ამ დროს ქორომაც დაიწყო სიმღერა. პროგრამას მუდამ "შენ ხარ ვენახით" იწყებდნენ და "შენ ხარ ვენახითვე" ამთავრებდნენ ხოლმე. ელიზბარ კარიჭაშვილს სიმღერა არ ეხერხებოდა, ხმა არა ჰქონდა, მაგრამ მუსიკას ფაქიზად გრძნობდა. კომპოზიციის და საშემსრულებლო ხელოვნების წვრილმანებში ზედმიწევნით ერკვეოდა და თავდავიწყებით უყვარდა ქართული საგუნდო მუსიკა. რამდენჯერ შემინიშნავს, რომ აქ, გოგიას დაწესებულებაში ლხინის დროს, ელიზბარის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო იმ რიტმითა და განწყობილებით იყო აღბეჭდილი, როგორსაც ქოროს მიერ ახლახან დამთავრებული სიმღერა შეიცავდა. მიგვიპატიჟა, მასპინძლობა იკისრა, ჩვენი გართობა-მოლხენისთვის ზრუნვას უნდა შესდგომოდა, მაგრამ სიმღერა დაიწყეს, ელიზბარი ჩაყუჩდა და ჩვენც გვანიშნა, მიაყურეთო. სანდრო კარიძეს ხმაც ჰქონდა, სმენაც და ქართული სიმღერის განცდის ერთობ თავისებური მეთოდიც: არც მეტი არც ნაკლები – ისმენდა და ცრემლი სდიოდა. მოსმენის დროს ხელსახოცი მისთვის აუცილებელი საგანი იყო. ერთხელ, მახსოვს, გოგიამ უყურა და უთხრა:

– დღისით, შე კაი კაცო, ცენზურაში ზიხარ, ხანჯალი გიჭირავს, თავისუფლებას ჟანდარმერიის დავალებით ყელს ჭრი. საღამოთი მოდიხარ აქ და დღისით დახოცილებს ტირი? სადიზმია ეგ, არ გესმის შენ!

ასეთ რამეებზე სანდრო კარიძემ ხელის ჩაქნევა იცოდა, – რა გესმის, რა გალაპარაკებს, ნეტავიო!

სანამ დარბაზის თაღებიდან "შენ ხარ ვენახი" სუფრაზე ცისარტყელას ნათელივით ჩამოდიოდა, სანდრო კარიძე ცრემლებს იმშრალებდა, ელიზბარ კარიჭაშვილი სმენად ქცეული იჯდა, არც კი შერხეულა. სიმღერა დასრულდა. მაშინ კარიჭაშვილმა ჭიქა აიღო და თქვა:

– ახლა ერთ რამეს გეტყვით, – მოგიპატიჟეთ და ლხინისუფლობასაც მე ვკისრულობ; სუფრის წესს შემოგთავაზებთ, ჩემი თამადობაც ეს იყოს და ესა. ისეთი ხალხი შევიკრიბეთ, აქ ტრადიციული ქეიფი არ გამოდგება, ყველას თავისი სათქმელი ექნება. პირველ სადღეგრძელოს, ჩვენი თავშეყრისას, მე ვიტყვი. ერთმანეთსაც გაგაცნობთ და პირადი სადღეგრძელოებიც ნათქვამი იქნება. მერე მივდგეთ და რიგრიგობით ვილაპარაკოთ. ვისაც რა მოესურვოს, ისეთი თქვას და სხვები შევუერთდეთ. ახლა მეორემა თქვას და – ეგრე. ამის მაგალითსაც ჩემ თავზე ვიღებ. სასმელ-საჭმელი არის, ღმერთების შეთხზული სიმღერებიც არის, უმშვენიერესი მანდილოსანი, ჩვენი ნანო, აქაურობას გაგვილაზათიანებს, მალე გოგიაც დაბრუნდება... ვილხინოთ, ვიფიქროთ და ერთმანეთისთვის საჩუქებელი ვის და როგორი გვაქვს, ისიც გამოჩნდება. ესე იყოს?

– ეგრე იყოს! – თითქმის ყველა ერთდროულად დავთანხმდით.

მხოლოდ კარიძემ ჩაიქირქილა:

– დაიწყება ახლა ფილოსოფია, ხი, ხი, ხი! რა იცი კაცო, ეს შენ! ხალხს ქეიფი სწყურია და ღვინო. მიეცი საშუალება...

ერთი თვისება ჰქონდა ელიზბარ კარიჭაშვილს: დიდ ხალხმრავალ წვეულებებში თავს უხერხულად გრძნობდა, ხმაგაკმენდილი იჯდა, მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს ისმენდა და მოლაპარაკის მაგივრად ეუხერხულებოდა. სამაგიეროდ, პატარა, მეგობრულ სუფრებზე "აიწყვეტდა" ხოლმე და მის მჭევრმეტყველებას, აზრის სისხარტეს თითქოს საზღვარს ვერაფერი დაუდებდა. დაიწყებდა ლაპარაკს რაიმე რთულ და ამოუწურავ ადამიანურ სატკივარზე, გამოიყვანდა მოულოდნელ, მაგრამ დამაფიქრებელ დასკვნას და სრულიად ბუნებრივად უსადაგებდა ერთ-ერთი თანამესუფრის სადღეგრძელოს, ან უშუალოდ დასკვნაში არსებული ვითარებისას დალევდა. ზოგი მასხრობდა, რამსიგრძე სადღეგრძელოები იცისო, მაგრამ ეს ან ის ხალხი იყო, ვისაც სმა და თრობა უფრო აინტერესებდა, ვიდრე მუსაიფი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, და ან ის ხალხი, ვისაც სიტყვის ნიჭი არ გააჩნდა და იძულებული იყო, ორიოდ წინადადების ჩაბურტყუნებით შეერთებოდა სადღეგრძელოს. ჩემი დაკვირვებით, ელიზბარ კარიჭაშვილს ზომის გრძნობა მხოლოდ ღრმა სიმთვრალეში ღალატობდა, მაგრამ ის გრძლად ნათქვამიც, უმრავლეს შემთხვევაში, საინტერესო იყო ხოლმე.

ელიზბარმა არც ახლა უღალატა თავის თავს – სწორედ ისე დაგვლოცა, როგორც ყოველი ჩვენგანის მთავარ ადამიანურ ღირსებას გრძნობდა და როგორც გაცნობისთვის, პირველი წარდგენისთვის იყო საჭირო. ნანოთი დაიწყო, ლაზით დაამთავრა. არც ხოტბა უთქვამს, არც რაიმე გადაუჭარბებია. ილაპარაკა ჩვეულებრივზე, ლამაზად ილაპარაკა და ასე დაამთავრა:

– არაყით აღგზნებული კაცის გონებაში ბინდი ისადგურებს, მისი ენა სიმახინჯისა და დაუნდობლობის ენაა. ღვინით აღგზნებული კაცის გონებაში ნათელი დგება, მისი ენა სილამაზისა და სიყვარულის

ენაა. არაყი – მსჯავრია, ღვინო – მიტევება...

– არაყის ბრალი ყოფილა, აძაღლებული რომ ხარ ხოლმე დილაობით, – გზა-გზა აღნიშნა კარიძემ.

ელიზბარმა მისი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გაატარა.

– განგებამ ღვინის სიყვარული გვიბოძა, რომ ჩვენი აზრისთვის მშვენიერება და სიკეთე მიენიჭებინა. ფიქრისა და საუბრის სარბიელად სუფრა მოგვიჩინა, სუფრავე დაგვითქვა ადგილად, სადაც ერთმანეთისთვის მხოლოდ კეთილი სურვილი ითქმის და საგნისთვის მხოლოდ პირუთვნელი შეხედულება. ქართული სუფრა ქართულ სიმღერას ჰგავს: სხვადასხვა ხმაზე ვმღერით და კონტრაპუნქტში ვერთიანდებით. არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა!.. მოვრჩი, დავლიოთ!

აღმოჩნდა, რომ ნანო თავისი დეიდაშვილის ლხინისუფლობას არასოდეს შესწრებოდა, მისმა მჭევრმეტყველებამ გააკვირვა:

– შენ ადვოკატობა მოგიხდებოდა. პროვინციული სცენა არჩიე?

– ქართული სცენა, ნანო! – ჩაურთო ელიზბარმა.

– სწორი შენიშვნაა. შემცდა. ეგ რა მოქარგული და ეშხიანი ლაპარაკი გცოდნია!

– ეშხი და სილამაზე ელიზბარს მოდგმაში ჰქონია. ამაში თქვენი ნახვის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი ქალბატონო ნანო! გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ! – ღიმილით მიმართა ვახტანგ შალითურმა, სხვებიც ადღეგრძელა და სასმისი დაცალა.

სადღეგრძელო მოთავდა, ჩვეულებრივ საუბარში გადავიდა, ქორომ კახური მრავალჟამიერი დაიწყო. ელიზბარი დადუმდა, სიმღერას გაჰყვა. კარიძემ ხელსახოცი მოიმარჯვა. ხშირად მიფიქრია და ახლაც ისე ვფიქრობ, რომ ელიზბარ კარიჭაშვილისა და სანდრო კარიძის სიახლოვის მიზეზი მუსიკის ავადმყოფური განცდა იყო. სხვა რამ, არა მგონია, საერთო ჰქონოდეთ. ერთხანს ჩვენც ვისმენდით, მაგრამ მერე, როგორც სუფრაზე ხშირად ხდება ხოლმე, ვიღაცამ სიჩუმე დაარღვია და ისევ საუბარს შევუდექით.

– ნანო, თქვენთვის თვალი არსად მომიკრავს. თბილისში ცხოვრობთ თუ სხვაგან სადმე? – გადაელაპარაკა შალითური.

ცოტა არ იყოს, მეუცხოვა, რომ შალითურმა პირდაპირ, “ქალბატონის” გამოუყენებლად დაუწყო ლაპარაკი ნანოს. შევატყე, რომ ეს ნანოსაც ეხამუშა.

– სხვაგანაც და თბილისშიც, ბატონო ვახტანგ. მაგრამ, განა აუცილებელი იყო, შეგენიშნეთ?

– მე თბილისის სამხედრო კომენდანტის ადიუტანტი ვარ, ყველა მიცნობს. მეც, თითქმის, მთელ მოსახლეობას ვიცნობ. თქვენ როგორღა გამომრჩებოდით! – შალითური პასუხს ელოდა.

– ვაი ჩვენს თავს! – თავისი განცდების სიღრმიდან აღმოთქვა კარიძემ, – კომენდანტად რომ დაგსვან, რაღა გვეშველება მერე?

შალითურმა კარიძეს გადახედა და თქვა:

– საათის გუგულივით არ არის? გამოხტება, გუ-გუო, იტყვის და ისევ შეიმალება.

ნანომ ლანგრიდან დიდი ვაშლი აიღო, ფცქვნას მიჰყო ხელი. ლაზი შალითურს შეჰყურებდა. მერე თვალი მოაშორა, შეიშმუშნა. ნანოს დანა არ ემორჩილებოდა, ვაშლს ვერაფერი მოუხერხა და გულგაწყალებულმა დაიძახა:

– ლაზო, გამომართვი და გამიფცქვენი. ხომ ხედავ, ვწვალობ! – ეს ხუმრობანარევი საყვედური იყო.

– მომე, მე გაგიფცქვნი! – შალითურმა ნანოს ვაშლზე ხელი წაუვლო. ამ მიმართვის ფორმაც ერთობ ლიზღიერი იყო და ტონიც.

– ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო ნანო, მანდილოსნებთან ყოფნას არ ვარ ნაჩვევი და მცდება საქციელი ხანდახან, – მიუგო ლაზმა ხუმრობითვე და სიწითლემ გადაჰკრა.

ნანომ შალითურის ხელი თავაზიანად მოიშორა, ვაშლი და დანა არზნევ მუსკიას გადასცა.

– ვახტანგ, რა ხნისა ხარ? – ვკითხე შალითურს. მსურდა, მიმეხვედრებინა, რომ ნანოსთან მეტი ზრდილობა სჭირდებოდა, თუნდაც ასაკობრივი განსხვავების გამო.

შალითურმა თითი ჩემზე, ლაზზე, ნანოზე მოატარა:

– თქვენზე ეგრე, რვა-ცხრა წლით უმცროსი ვიქნები! – თქვა და რატომღაც ნიშნის მოგებით გაიცინა.

სწორედ ჩვენ სამნი არ მოვწონდით შალითურს, რაღაცით ვაღიზიანებდით, იკბინებოდა.

– რა პატარა ყოფილა კაცო! – აღნიშნა კარიძემ.

– ალბათ მეტით, ბატონო ვახტანგ! – თქვა ნანომ. – მე ოცდათოთხმეტისა ვარ.

სანდრო კარიძემ ნანოს გაოცებული თვალები მიაბჯინა.

– თქვენ ოცდახუთის ბრძანდებით მეტს არ იტყვის არავინ! – უთხრა არზნევ მუსკიამ და მომეჩვენა, რომ ნანო, მართლაც ოცდახუთისა იყო.

– ქალის საქმე ეგეთია: მოქარგული ენა გქონდეს – გინდ ხელდაუბანელი იყავი, ვაშლს მაინც შენ გაგაფცქვნევინებს! – განაცხადა შალითურმა.

ლაზს კრინტი არ დაუძრავს. არც სხვებს. მრავალჟამიერი მორჩა. ცოტა ხანს კიდევ იყო სიჩუმე. მერე ელიზბარ კარიჭაშვილი ზეზე წამოიჭრა ჭიქა ასწია და დაიძახა:

– ხალხო, ეს სიმღერა იმისთვის არის შეთხზული, რომ კაცს ბოღმა გაუქარწყლოს და დაამშვიდოს. თქვენ რა, გაგაღიზიანათ?.. პირველი სადღეგრძელო ჩემია. ვამბობ სმენა იყოს! სიყვარულისა მინდა, დავლიო. რომლისა, იცით? აი, იმ სიყვარულისა, კახურ მრავალჟამიერში რომ მღერიან და მტრობით დანგრეულს რომ აშენებს! – კარიჭაშვილმა ჭიქა დადგა, ჯამი გაავსო და დალია.

– მტრობით დანგრეულს მტრობავე აღადგენს სხვა ვერაფერი! კახურ მრავალჟამიერშიც ეგრეა: “ვერცა იხაროს მტერმა ჩვენზედაო” კარგ მთქმელს კარგი გამგები უნდა! – თქვა შალითურმა ხმამაღლა და ჯამში დაისხა.

– იქ ჯერ სიყვარულზეა ნათქვამი და მერეა ეგ. მტრის ვერ გახარების ამოსავალ პირობად სიყვარულია მიჩნეული, – განმარტა სანდრო კარიძემ. – ტექსტიც და მუსიკაც ათასწლების ნამუშევარია და, ამდენად, შემთხვევითობაც გამორიცხულია.

ყურები ვცქვიტე!... საქმე ის არის, რომ სანდრო კარიძეს ორ ენაზე შეეძლო ლაპარაკი: ჩვეულებრივ-სასაუბროზე და, თუ შეიძლება, ასე დაერქვას, მეცნიერულ-საპაექროზე. მის სასაუბრო ენას მუდამ ახლდა ფიორა იუმორი და ბომბორა ცინიზმი ერთდროულად. ამ

ენაზე კარიძე ადამიანებთან ურთიერთობდა, ოხუნჯობდა, ცხოვრების მოუწყობლობაზე, რეჟიმის იდიოტურობაზე ლაყბობდა და ამას ისე ახერხებდა, რომ მიკერძოებაში მხილება თვით სოლომონ ბრძენსაც გაუჭირდებოდა. საპაექრო ენას მაშინ იყენებდა, როცა რაიმე რთული მოვლენის ანალიზი და ლოგიკური დასკვნის გამოყვანა უხდებოდა. ისე კი, საპაექრო ენაზე მოსაუბრე კარიძე საკმაოდ ძნელი სანახავი იყო, ამ საქმეს ერიდებოდა, მაგრამ ცალკეული წამოფეთქებები ჰქონდა და, სიმართლეს ნუ დავუკარგავთ, მეტისმეტად საინტერესოც. ახლაც სწორედ ეს შემთხვევა ვიგრძენი, როცა კარიძეს "გუდისთვის პირი უნდა შეეხსნა". ყურები ამიტომ ვცქვიტე.

– ბატონი სანდროს ნათქვამი, მგონი რომ, ჭკუასთან ახლოა, – დაადასტურა ნანომ.

– არც კახური მრავალჟამიერის წინააღმდეგი ვარ, არც სიყვარულისა და სიკეთისა, – მიუგო შალითურმა ნანოს. – მე იმას ვამბობ, რომ წართმეულის დაბრუნებასა და დანგრეულის კვლავ აშენებას კვლა, ჟლეტა, მტრის განადგურება უნდა. სხვანაირად არა გამოვა რა. ეგენი სიძულვილს შეუძლია და არა სიყვარულსა და მიტევებას. სიძულვილს!

ამ განცხადებამ წუთიერი დუმილი მოიტანა.

– მაგას სიყვარული აკეთებს, – მოისმა გოგიას ხმა.

– რასა, კაცო?!

– მაგისთანა სიძულვილს, – მიუგო გოგიამ. – გამარჯობათ! საღამო მშვიდობისა, ქალბატონო. შემოგიერთდებით, თუ ნებას მომცემთ.

ნანომ შემოსწრებული ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, თავი დაუკრა და უნებლიეთ ჩაიჩურჩულა:

– ღმერთო, სიზმარია დღევანდელი დღე. – და სიცილი წასკდა.

– ეგ, რასაც თქვენ ამბობთ, თადეოზის ნეტარ ახირებასა ჰგავს, – მტკიცედ თქვა შალითურმა.

– თადეოზი? არ გამიგონია, რომელი ეპოქის მოღვაწეა? – იკითხა ნანომ იმისთვის, რომ ლაზისა და გოგიას გაფაციცებული თვალიერება არავინ შემნიშნოსო, თორემ გოგიას დანახვამ საუბრიდან მაშინვე გამოთიშა ჩვენი ქალბატონის ყურადღება, ეს მე ნათლად ვიგრძენი.

ნანოს შეკითხვაზე შალითურმა და ელიზბარმა სიცილი ატეხეს.

– თადეოზი ამის გუვერნიორივით კაცი იყო, ნანო, – განუმარტა ელიზბარმა. – გვარად სახელაშვილი. ჯერ ბერად ყოფილა, იქიდან გამოუგდიათ, თუ თავისი ნებით წამოსულა – ცნობილი არ არის. მერე მასწავლებლობდა. აი, იქიდან კი ნაღდად გამოაგდეს, ჭეშმარიტი ფაქტია. იარა, იარა, ბოლოს იღბალმა ვახტანგისთანა უმადური, უნიჭო ბავშვის გუვერნიორობა არგუნა. როცა დარწმუნდა, უხეირო ნიადაგსა ვჩიჩქნიო, – გაიქცა თადეოზი. ახლა სოფელ-სოფელ დადის, წიგნებსა ჰყიდის.

– აღარა ჰყიდის, წიგნი გაირყვნა და გაფუჭდაო, – აცნობა შალითურმა. – ახალი საქმე გაიჩინა: თიანეთში ცხოვრობს ტყეებში დადის, პანტასა და მაჟალოს ამყნობს. ღორები ჭამენ.

– სანდრო კარიძის ხელში გამოვლილი წიგნი გაფუჭდება, მაშ, რა მოუვა, – ჩაურთო ელიზბარმა.

– მე კაზმული სიტყვიერების ცენზორი ვარ, ელიზბარ. ყველა ღონეს ვხმარობ, მხატვრული ლიტერატურა და პოეზია ხელთ არ იგდოს თავხედობამ და განდიდების მანიით შეპყრობილმა უმეცრებამ. დარწმუნებული ვარ, კეთილ სამსახურს ვუწევ ჩემს სამშობლოს. მეორე: ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი თხზულება ცენზურის მხრივ ისევე შეუვალია, როგორც ორდინარული უნიჭობა. ცენზურა არც ლაჟვარდისფერს ებრძვის, არც შავს. ამ ორ ფერს შორის მოთამაშე ნაცრისფერს ებრძვის, უნიჭობასაც, ჩემო კარგო ელიზბარო!

– კაი კაცი ყოფილა მაგ საცოდავი თადეოზი, – თქვა არზნევ მუსკიამ.

– ძალიან, ლაზო! საოცარი კაცია, – დაუდასტურა კარიჭაშვილმა.

– არა, შენ ისა თქვი, სიყვარული სიძულვილს რანაირად აკეთებს, – გამოემასხრა შალითური გოგიას.

– მე მაგას ვიტყვი, მაგრამ ჯერ შენ თქვი, სიძულვილი დანგრეულს რანაირად ააშენებს.

– რანაირად და უბრალოდ! შენ როგორა გგონია, ქართველებმა იმით მოვაჩანჩალეთ დღემდე სიცოცხლე და არსებობა, რო ჩვენი წინაპრები მტერს ჩურჩხელებითა და ფელამუშებით ეგებებოდნენ?.. მოვიდა მტერი, მოგვერია, ციხეები შელეწა, წინააღმდეგობის გამწევი მოსპო. შემოვიდა და გამოგვიცხადა, ყველაფერი ჩემია, ჭკვიანად იყავითო. დავსხდეთ, გულხელი დავიკრიფოთ და ბედს შევურიგდეთ? არა! იმას, ვინც ძმას გასცემს, ვინც თავისუფალს მონად მოაქცევს, ვინც სულს ქონების ეშმაკს მიჰყიდის, ვინც დედაენას დაივიწყებს და მამა-პაპას საფლავებში ჩააფურთხებს, – ვახტანგ შალითური ზეზე წამოიჭრა, სახეში სისხლმა მოასხა, მუშტები შეჰკრა, – ხმალი მაგას, ცეცხლი, მახე, ხაფანგი, მგლის ორმო, საწამლავი, სიცრუე, მუხთლობა მაგას!.. ყველაფერი გამართლებულია! – უეცრად მომწყდარი ჯავრი სიტყვებს ამოაყოლა, გული მოიფხანა. მერე ეუხერხულა ხელები გადაიფშვნიტა, დაჯდა. – მტერი მტერია! შენი გადაშენება უნდა. მიდი და სიკეთე დაუხვედრე, სიყვარული აჩუქე, დანაშაული მიუტევე. დანგრეული თავისთავად აგიშენდება? არა! უნდა გძულდეს, უნდა ჰკლა, ხოცო, ჟლიტო იქამდე, სანამ იტყოდეს, "ჩიტი ბდღვნად არა ღირსო", სანამ შეაბამდეს და წავიდოდეს. მხოლოდ ასე აშენდება დანგრეული. სიძულვილით, მსხვერპლით. დადექით და იმღერეთ – "სიყვარულს უშენებიაო"... გძულდეთ, თუ თავისუფლება გნებავთ. თუ გინდათ, კვლავ ააშენოთ და აღადგინოთ. – გძულდეთ! ისე კი, სიყვარულისასაც სიამოვნებით დავლევ, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. – შალითურმა სულმოუთქმელად დაცალა.

სიჩუმე ჩამოვარდა. იმხანად რადიკალურ აზროვნებას ხშირად შეხვდებოდით. პატრიოტული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მაქსიმალისტურად იყო განწყობილი. შალითურის ნათქვამში მოულოდნელი და ორიგინალური არაფერი ყოფილა, სუფრა მისმა ღვარძლიანმა ტემპერამენტმა ჩააჩუმა.

კარიჭაშვილი ფეხზე ადგა შალითურს ურჩია:

– ვახტანგჯან, მგონი, ის დროა, ადიუტანტობიდან გადადგე და ტერორისტობა დაიწყო. ეს შენთვის სხვა დროსაც მითქვამს. მეორე ისა, რომ...

– მაგ მეორეს მე ვიტყვი, ელიზბარ, – ითხოვა გოგიამ.

– თქვი. ნახეთ, რანაირი თამადა ვარ, ყველაფრის უფლება მომიცია. მიდი, გოგი!

– ჩვენი მამა-პაპა მტერს ხოცვა-ჟლეტით ხვდებოდაო, ამბობ. უმრავლეს შემთხვევაში, მართლაც, ასე იყო და საჭიროება შეიძლება, ახლაც მაგას მოითხოვდეს, მაგრამ სად არის?! დღევანდელი ქართველი ერიც ხომ თავისი მომავალი თაობების მამა-პაპაა და რატომ დაუკრეფია გულხელი, ნეტავი, და არც კლავს და არც ჟლეტს არავის, ჰა?

– გადაგვარდა, დაჩიავდა ხალხი, – მიუგო შალითურმა, – ფოჩიან კანფეტებზე გაიყიდა.

– ვფიქრობ, ეგრე უბრალოდ არ უნდა იყოს საქმე, ბატონო ვახტანგ, – ჩაერია ნანო. – როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს გადაგვარება, რა თვისება დაკარგა ხალხმა?

– ეგ უკვე ნათქვამია!

– არ არის ნათქვამი, – მიუგო ნანომ. – სიყვარული დაკარგა. თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული.

– როგორ ბრძანეთ, ქალბატონო ნანო? – სანდრო კარიძე შუბლშეკრული, თვალებგამახული დაელოდა პასუხს.

– რა, მაგის თქმა არ შეიძლება? ცენზურა კრძალავს? – მიამიტად ჰკითხა კარიჭაშვილმა სანდროს.

ნანომ თავისი სიტყვები გაიმეორა.

კარიძემ მოისმინა, სუფრას ჩააჩერდა და მაგიდაზე თითები ააკაკუნა. გოგიაც განცვიფრებული შეჰყურებდა ნანოს. კარიძისა არ იყოს, ალბათ, არც ის მოელოდა, რომ მისი შეხედულება ამ მანდილოსანმაც იცოდა, და მეორე მხრივ, გოგიას განცვიფრება სხვა აზრსაც გამოხატავდა, რაღაც იდუმალ აღმოჩენას შეიცავდა.

შევამჩნიე, რომ ლაზსაც ხან ნანოსკენ ჰქონდა თვალი, ხან გოგიასკენ და ამის დამალვას ცდილობდა. მერე ლასტზე დაყრილ ცოცხალს ჩააცქერდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პაუზა მოიხელთა და თქვა:

– გაუგებარია ჯერ. მომთავრება ჭირია მაგას.

ეჭვი დამებადა, რომ ნანომ, ლაზმა და გოგიამ ერთმანეთს რაღაც ინტერესი აღუძრეს. აქ რაღაც იყო...

გოგია გონს მოეგო, ლაზს გადახედა, აზრის კვლავინდებურ მსვლელობას ანაზდად, თითქოს სასწრაფოდ, დაუბრუნდა და განაგრძო:

– კაცმა რომ კაცი მოკლას, მიზეზი უნდა ჰქონდეს. მძარცველი ქონებისთვის კლავს. ხელმწიფის, შაჰის თუ სულთნის ჯარში მომსახურე ქართველს ფიცი, დაწინაურების იმედი, ჯილდო აკვლევინებს. საბოლოოდ ესეც ქონებისთვის კლავს, კაი მომავალს ინაღდებს, სიმართლის თქმა თუ გინდა. ასეთი მკვლელი ადამიანობას იმიტომ ჩემულობს, რომ ნადირისგან განსხვავებული ხერხით სჩადის ნადირულს, თორემ მუცლის ამოყორვისთვის აკეთებს ამას. კაი, მოვიდა მტერი, გაგიქელა შენი მოდგმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი, შეგიგინა სარწმუნოება, ტყვედ წაიყვანა და ცხრა მთას იქით გადაგიკარგა ნათესავი და არც შინ წასვლას აპირებს. ცხადია, ამ კაცს კლავ, მაგრამ იმიტომ კი არ კლავ, რომ გძულს, – უპირველესად ყოვლისა, იმიტომ, რომ გაგიქელა, შეგიგინა, წაგართვა ის, რაც გიყვარდა. შენი წინააღმდეგობა სიყვარულიდან იწყება. სიყვარულიდან მოდის ის მსხვერპლის გაღება, თავგანწირვა და ძლევამოსილებაც, წართმეულს რომ დაგიბრუნებს. ეს სიყვარულის ერთ-ერთი სახეა და არა სიძულვილი. ვეღარ ვაკეთებთ ამას. რატომ და, იმიტომ, რომ, – მართალი ბრძანა ქალბატონმა ნანომ, – თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული დავკარგეთ! ერთია კიდევ: წართმეულის დასაბრუნებლად სხვა, უფრო შედეგიანი გზები არსებობს. ხოცვა-ჟლეტის გაღმერთება ჯერ ადამიანობას ეწინააღმდეგება, მერე საღ გონებას. ძალმომრეობა ბოროტებაა და, თავის მხრივ, ახალი ბოროტება მოაქვს... ცალკე სალაპარაკოა ეს. “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია” – ჭეშმარიტებად მიმაჩნია და ამისას ვსვამ! – გოგიამ ჯამი პირთან მიიტანა.

– ძალიან რიგიან გუნებაზე დავდექი. მომეცით პაპიროსი და დამისხით ჯამში. მეც უნდა ვთქვა! – განაცხადა ნანომ, – დამისხი, ლაზო.

არზნევ მუსკიამ ნანოს ჯამი გადმოიწოდა, დასხმას მიჰყო ხელი. შალითური კარიჭაშვილს მიუბრუნდა და ხმადაბლა, მაგრამ საკმაოდ გასაგონად უთხრა:

– Профессионально наливает! Он, что, из официантов.

– Нет, ваше благородие, – თქვა ლაზმა მშვიდად.

– Сиятельство! – წოდება გაუსწორა შალითურმა.

– Да? – შეკითხვით მიუგო ლაზმა და გავსებული ჯამი ნანოს დაუდგა.

ძალიან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გრძნობდა, რომ ამ სიბრიყვეზე რეაგირებას უფრო მძაფრი სიტყვიერი წაკინკლავება მოჰყვებოდა და იქნებ სუფრაც აშლილიყო. არაც გამოუსარჩლებლობა ვარგოდა: ეს მეორე შეურაცხყოფა იქნებოდა სტუმრისთვის და წაქეზება – შალითურისთვის. რა ვიცი, რომელი ჩვენგანი როგორ მოიქცეოდა და საქმე საით მიტრიალდებოდა, გუნდს რომ სიმღერა არ დაეწყო. “ჭონამ” გვიხსნა, დამშვიდების, ვითარებაში გარკვევის, მოფიქრების საშუალება შეგვიქმნა მხოლოდ ელიზბარ კარიჭაშვილმა თქვა:

– ერთი გამაგებინა, ვახტანგა შალითურო, ეგრე მწარედ რამ დაგბოღმა და მერე გინდ მომკლა!

– ჩინი დაუგვიანეს, – განუმარტა კარიძემ ელიზბარს.

შალითური გაყუჩებული იჯდა, რატომღაც გამარჯვებული კაცის მედიდური ღიმილი უთამაშებდა სახეზე. სამნიაშვილის ხმას ნაკადულივით გაჰქონდა ლიკლიკი: “დედი, ჭონას მოგახსენებ, თუ არა ხარ მგლოვიარე, მაღალმა ღმერთმა გიკურთხოს მაგ აკვანში მწოლიარე...” ნანო განაბულიყო – ალბათ, საჭირო საქციელს ეძებდა ან იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოჰყვებოდა შალითურის თავხედობას. მე უკვე ვიცოდი, რასაც მოვიმოქმედებდი, და სიმღერა დასრულდა თუ არა ჯამი ავწიე:

– ეს სადღეგრძელო ნანომ უნდა დაასრულოს, მანდილოსანია, სიყვარულსა და სიკეთეზე ნათქვამს თავს უკეთ მოუყრის. არზნევ, სანდრო, მაპატიეთ, თქვენზე ადრე ვამბობ. ხალხი მოვიყვანე. მათი მოლხენისა და წყენის პასუხისმგებელი მე ვარ და მოყენებული შეურაცხყოფისთვისაც მე გიხდი ბოდიშს, არზნევ მუსკია! ხედავ, რა ხდება? ვსხედვართ, ღვთაებრივსა და ამაღლებულზე ვსაუბრობთ, სიკეთეს ვეთაყვანებით, ერთმანეთი გვიყვარს. კარზე კი მკვახე სიტყვა – სიძულვილი – მოგვადგა, ჩვენი კეთილგანწყობილების ლიბოს ლაღუმი შეუყენა, უნდა, რომ ჯიშითა და მოდგმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი აგვიშალოს, რწმენა შეგვირყიოს. ერთი სიტყვით, მტერი მოვიდა, მაგრამ სიყვარული დავივიწყოთ და ხატები სანაგვეზე გადავყაროთ? სიძულვილით შევიარაღდეთ და ვჟლიტოთ? არ ივარგებს! ამჯერად, მგონი უსისხლო ომი უნდა სჯობდეს: ბოროტებას სულგრძელობით შევებათ. სიყვარული ბრძოლაში დაიწმინდება, დაიხვეწება, ავმაღლდებით და მაშინ მართებულ გამოსავალსა და ღონისძიებასაც მივაგნებთ. ისევ ის არის: “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”! ვნახოთ, შეძლებს მტრობა დანგრევას? თუ შეძლო, მერე ისიც ვნახოთ, სიყვარული რას იზამს. ასწი, ლაზო, შენთან

გადმოვდივარ, ცხოვრება გაძლებაა!

ვფიქრობ, შალითურის დასაბმელიც ვთქვი და არზნევ მუსკიას შესაძლო სიმძაფრესაც ზღვარი მივუჩინე. სხვა რა უნდა მექნა!

– მთლად მასე არ არის, ირაკლი, ეგ, – დაიწყო ლაზმა სადღეგრძელო. – უფრო სხვაფრად არის, მგონია, საქმე. პატარა ერებს უჭირთ, ფიქრობს ხალხი, გამოსავალს ეძებს, ვხედავთ ამას ყველა. არ ჩანს გამოსავალი. გაბოროტება იცის ამან. გაჯავრებული კაცი ადვილად შეცდება. ქართველები ვართ, ჩვენია ის კაცი, თუ უცხოა – უნდა გავიგოთ მისიც, მივუტევოთ და ვაცალოთ უნდა. თქვა ბატონმა ვახტანგმა რაღაც და, სიმართლე მოგახსენოთ, ვერ შევძელი, ხუმრობად, მიმეღო, ვერ მოვერიე თავს. ჩემი სისუსტეა ეს, მაგრამ პატიება შევძელი მაინც და აღარ გვაქვს ერთმანეთისგან წყენა...

– ვთქვათ და არ გეპატიებინა, – შალითური ადგა. – ნეტა, რას იზამდი?!

ლაზი წამით დაფიქრდა და მიუგო:

– გააჩნია, რას შემომთავაზებდით, ბატონო.

– დუელი რომ შემომეთავაზებინა? ხა, ხა, ხაა!

– არ მივიღებდი გამოწვევას. უსინდისობა იქნებოდა ჩემგან ის.

– ვითომ რათაო? – ღვარძლიანი სიცილით იკითხა შალითურმა.

არზნევ მუსკია კვლავ დაფიქრდა. სიჩუმე იყო. ქარიშხლის მოლოდინში ყველაფერი ჩაყუჩდა. სუფრა გაფაციცდა. ლაზმა თვალი შემოგვავლო, დარბაზიც მოათვალიერა. გოგიასკენ მიბრუნდა, თვალებში ჩახედა, იქ რაღაც ამოიკითხა, ნელა წამოდგა და ნანოს უთხრა:

– ქალბატონო ნანო, თქვენს წინაშე... არაფერი ისეთი არ მოხდება აქ, მერწმუნეთ, მაგრამ მაინც ბოდიშს ვიხდი... თქვენს წინაშეც, სანდრო-ბატონო! – ლაზი შალითურს მიუბრუნდა: – უსინდისობა იქნებოდა ჩემის მხრივ! იმიტომ რომ დიდი უპირატესობა მაქვს ძალიან!

წამოხტომა და გაშველება დავაპირე; გოგიამ მაგიდის ქვეშ მუხლზე ხელი დამადო და წაილაპარაკა:

–იჯექი ირაკლი!

დავიბენი. ვერაფერი გამეგო, რა ხდებოდა. დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ არზნევ მუსკიას მეტმა არც არავინ იცოდა რამე. ნანო ერთიანად დაჭიმული, ფერმკრთალი იჯდა. კარიჭაშვილს რაღაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა, – ვაითუ ვითარება გავართულოო.

კარიძე შეტოკდა, მგონი, გასაქცევად მოემზადა.

– მსურს დავრწმუნდე თქვენს ძალიან დიდ უპირატესობაში! – ამოღერღა ვახტანგ შალითურმა, ღვინიან ჭიქას ხელი სტაცა და ლაზს მიასხა.

ლაზი გოგიასკენ გადაიხარა, ღვინო მხოლოდ სახელოზე მიესხურა.

– აბა, დამარწმუნე, ყმაწვილო!..

ლაზმა თავი გადაიქნია და გოგიას უთხრა:

– უნდა მოახვედრო, თვარა ჭერი გაგიფუჭდება, – უბიდან რევოლვერი ამოაცურა, გოგიას გადასცა.

ნანომ წამოკივლება დააპირა, მაგრამ თავს დროზე დაეუფლა... ყურები დაიცო. გოგიამ იარაღი ფეხზე შეაყენა, მაგიდას სკამიანად დაშორდა..

– ეეჰ, მიდი, ლაზო. ცხოვრება გაძლება არისო, ირაკლიმ თქვა, მგონია.

– ჰო, – დაიძახა ლაზმა, როცა ცარიელმა ჯამმა ორიოდ წამით ჰაერში გაიფარფატა და გავარდა კიდეც.

მყიფე ჭახანს იატაკზე ჩამოცვენილი ნამსხვრევების დაკაკანება მოჰყვა.

გოგიამ იარაღი ტუჩებთან მიიტანა, ჩაბერა, ლულას აკოცა და თქვა:

– სად შოულობს ეს კაცი ასეთ იარაღს. დამიზნება არ ჭირდება, თვითონ ხვდება, დალოცვილი!

– შენი იყოს მაგ.

გოგიამ ლაზს შეხედა, წამით თვალი გაუსწორა, სახე სიხარულით აევსო და რევოლვერი უმალ ჯიბისკენ გააქანა.

– იყოს აქ. თუ გაგვიჭირდა, ქალაქ-ქალაქ ვიაროთ და ვხვრიტოთ ჯამები, – დააყოლა სიცილით.

– სამაგისოდ დამიდგებოდეს საქმე, შენხელა კელაპტარს დავუნთებ ილორის წმიდა გიორგის! – მიუგო ლაზმა

ისევ სიჩუმე ჩამოდგა. დარბაზიც განაბულიყო.

– საოცარი სროლა გცოდნიათ, ბატონო გოგი, – თქვა განცვიფრებულმა ნანომ.

– ისე, რა. უკეთესიც არის. როცა ჰაერში ორშაურიანს ააგდებენ და უკან აღარ დაბრუნდება, ისაა უკეთესი. აგერ, ლაზს შეუძლია ეგ, ათიდან – ცხრაჯერ!

ტყვიამ დაძაბულობა ქაღალდის პარკივით გახეთქა. ნანოს და გოგიას კითხვა-პასუხმა მძაფრი გამოხდომების ადგილი შეავსო და ელიზბარ კარიჭაშვილმა შალითურს ხუმრობით შეჰყვირა:

– ჰა, დაჯე, კაცო, რას დაყუდებულხარ!

– ჭკვიანად იყავ!.. – მიუგო შალითურმა ელიზბარს და გოგიას მიმართა: – არა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ე მაგ ჩუბინობას საჯამბაზოდ თუ გამოიყენებთ ერთიცა და მეორეც, თორემ... თქვენ გგონიათ, შემაშინეთ, არა?.. აქ სხვა საქმეა; ვთქვათ, დავდექით და ერთმანეთს ვესროლეთ. მე გაგიმეტებთ, თქვენ – ვერა, დედლები ხართ! მაგნაირი დაპირისპირება ხელს არ მაძლევს. არავინ იფიქროს, ვახტანგ შალითურს სიკვდილისა რცხვენიაო. ნახეთ! – შალითურმა ნაგანი ამოიღო, გადახსნა, ვაზნები მაგიდაზე ჩამოყარა, შვიდივე დაამწკრივა და თითით გადაითვალა: – ენკი, ბენკი, სიკნი, სა, ენკი, ბენკი, ბა, გა-ვი-და!.. – წილხვდომილი ვაზნა ცილინდრში ჩააბრუნა, იარაღი ჩაკეტა, ფეხზე შემართა, თვალებით ჩამოგვიარა... ნაგანის სავაზნეს ხელისგული ჩამოჰკრა, ცილინდრმა ბზრიალი დაიწყო. ლულა იმავ წამს საფეთქელს მიადგა და შალითურმა იარაღის ფეხს თითი გამოჰკრა... ნაგანმა ცხვირი დააცემინა, სავაზნე გაჩერდა. შალითურმა იარაღი შეინახა, დაჯდა და ჭამას შეუდგა.

სუფრა ერთხანს განაბული იჯდა. მერე კარიძე ზეზე წამოიჭრა, ხელები გაასავსავა, ცას შეჰღაღადა:

– საცოდავო საქართველოვ, საით მიდიხარ! – და კვლავ სკამზე დაეშვა.

– გამაგებინეთ, რა მოხდა? – იკითხა ნანომ. ალბათ, ბოლომდე დარწმუნება სჭირდებოდა, რომ აქ ეს-ეს იყო ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

– იმდენი არაფერი, - მიუგო ელიზბარმა. – ერთი რეგვენით ნაკლები იქნებოდა.

ნანო გაფითრდა.

ლაზი ოდნავ მღიმარი თვალებით ჩასცქეროდა სუფრას, თითებით დანა-ჩანგალს აწვალებდა.

– მოიშალე ეგ სისულელე, თვარა... რა საჭირო იყო ვითომ! – თქვა გოგიამ.

– საჭირო იყო! – ჩაილაპარაკა შალითურმა და ლუკმა გადაყლაპა.

ნანოს, ჩანს, სიმშვიდე დაუბრუნდა ლიმონათი მოსვა და თქვა:

– ეგ იმის ბრალია, რომ არ ვიცით, რისთვის ვიცოცხლოთ და ან რისთვის დავიხოცოთ.

– სწორი ბრძანებაა! – დაუდასტურა შალითურმა.

ნანო გოგიას მიუბრუნდა:

– ასეთი სიზუსტე!.. ეგრე ქალების გაწვრთნაც შეიძლება.

– შეიძლება, – ღრმად ამოისუნთქა გოგიამ.

– სახელდობრ, რაში მდგომარეობს მეთოდი? – გონს მოეგო სანდრო კარიძე და ყურმოკრულ საუბარს ყავარჯენი შეაშველა.

– ოთხი ათასი ვაზნა! ათას ხუთასი ვაზნა უძრავმა უნდა ესროლოს უძრავ მიზანს. ხუთასი – უძრავმა მოძრავ მიზანს. ხუთასი – მოძრავმა მოძრავს. ხუთასი – უძრავმა უძრავ ხმას. ხუთასი – უძრავმა მოძრავ ხმას და ხუთასი – მოძრავმა მოძრავ ხმას, – განუმარტა გოგიამ.

– დრო?

– ორი კვირიდან ერთ თვემდე. ნიჭზეა დამოკიდებული.

– ლაზო მასწავლე, რა! – შეეხვეწა ნანო. – არა, პირობა მომეცი, აი, ხალხთან.

არზნევ მუსკიამ გაიღიმა სასმისი აიღო და ადგა:

– სადღეგრძელო მაქვს დასამთავრებელი მე და მერე ბატონმა სანდრომაც უნდა თქვას თავისი.

– სმენა იყოს! – დაიძახა ელიზბარმა.

– გისმენდით მე, – განაგრძო ლაზმა კარგა ხნის წინ შეწყვეტილი სიტყვა, – ვიცოდი, მართალი რომ ხართ, – სიყვარულმა უნდა ააშენოს მტრობით დანგრეული, მაგრამ სხვაც არის აქ. ბოროტება და მტრობა ჩავიდინეთ, აგერ ახლა, მე და გოგიმ. პატიებას ვითხოვ ამისთვის ბატონ ვახტანგისგან და ხელს თუ არ მკრავს, ჩემს მეგობრობასაც ვთავაზობ სულით და გულით. სიყვარულიდან დაიწყო და წამოვიდა ეს საქციელი, ჩვენი ლხინის და საუბრის სიყვარულიდან. ასეა ეს და არც ბოროტებად ჩაითვალოს, იქნება, რაც სიყვარულმა გვაქნევინა, მაგრამ არ იცის კაცმა, სასიკეთოდ რასაც სჩადის, უკეთურობად შემობრუნდეს, იქნება, ის? ასეთი ბევრი მაგალითი ვიცით ყველამ. ნახავ ბოროტებას ან სხვა გლახა საქმეს, არ მოგითმენს გული, ჩაერევი, როცა არ გამოდის სხვანაირად. იხმარ ძალას, დათრგუნავ ძალმომრეობას და იხსნი კაცს ძალის შემწეობით. ჩვენს დროში ასში ოთხმოცდაათი ცუდ კაცად მგონია აღზრდილი მე. შენ რომ იხსენი, ის კაციც ასეა. მიდის შენი ნაამაგარი ადამიანი და ცუდ საქმეს აკეთებს ისევ – ეს ერთი. მეორე ის, რომ ვისზეც ძალა იხმარე და სიკეთის სახელით დაჩაგრე, გამოსწორდა და გაანგელოზდა ის კაცი, ვითომ? სიყვარულით აკეთებ, დანგრეული ავაშენოო, ფიქრობ. კი, შენდება ხანდახან ის დანგრეული, მაგრამ სხვა შენობა რომ ინგრევა? მითხრას ვინმემ, რა ქნას ღვთის შვილმა და სად როგორ მოიქცეს?

ლაზი დადუმდა. გავიფიქრე, რომ მძიმე ავადმყოფობაში არზნევ მუსკიას სწორედ ასეთი სახე და იერი უნდა ჰქონოდა.

– გამოგიტყდებით, კაი ხანია, სხვის უბედურებაში არ ჩავრეულვარ, სიკეთის რწმენა დავკარგე მე! დღეს დავარღვიე სიტყვა. იმიტომ დავარღვიე, ალბათ, რომ იმ სხვისი მეც მეხებოდა პირადად. პირადიდან იწყება კაცის წახდენა და ვვედრებ განგებას, დამიბრუნოს რწმენა – “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო”, – ამის რწმენა. ეეჰ მქონდა როდისღაც!

ლაზმა კი არ დალია გადაუშვა, და დასძინა:

– გრძლად გამომივიდა სათქმელი. კაი მაგარი მოთმინება ცოდნიათ თბილისში.

– გრძელი შენ ახლა ნახე! აბა სანდროს მოვუსმინოთ, – კარიჭაშვილმა ხელები სიამოვნებით გადაიფშვნიტა: უხაროდა რომ ლხინი კალაპოტს დაუბრუნდა და, ჯერჯერობით, უთანხმოებებსაც ეშველა. – ამან ბლომად უცხოური სიტყვები იცის, სანამ ყველას არ იტყვის, არ გაჩუმდება. ცოდონი ახლა ვართ, ლაზო, თორემ შენი მოკლეც იყო, სადაც და ჭკვიანურიც.

გუნდმა “შავი შაშვი” დაიწყო. მსახურებმა კერძები მოიტანეს, მაგიდა მიგვილაგეს. სუფრა დაცხრა. ეს პაუზა აუცილებელი იყო, დასვენება გვესაჭიროებოდა, ერთობ მახვილი განცდები გვქონდა მოსანელებელი! კრინტი არავის დაუძრავს, ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, ცოტა ხნით განმარტოება გვსურდა ყველას. დრო გავიდა და ხალხმა იმატა – აივნები ერთი თუ ორიღა დარჩა თავისუფალი. დარბაზში განლაგებული მაგიდებიც თითქმის ყველა შეივსო, მაგრამ წინააღმდეგ ჩვეულებად ქცეული წესისა, გოგია არავის მიჰგებებია; არავისთვის ეცალა, იჯდა, თანამესუფრეებთან ერთად განიცდიდა, რაც ხდებოდა.

სანდრო კარიძემ ჯამს ხელი მოჰკიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სადღეგრძელოს იწყებდა. ნელ-ნელა დავწყნარდით.

– ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე – მისი ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობაზე – მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირუკუ. ისინი ერთმანეთის შვილები არიან... ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერისა და მისი სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს... მცირე ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით კაცობრიობის ან მისი ერთი ნაწილის წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა. სახელმწიფოს არსებობას საერთაშორისო ფუნქცია, ისტორიული მისია სჭირდება...

– მაგას სხვაც ბევრი რამ სჭირდება, სანდრო, – ჩაერია ელიზბარ კარიჭაშვილი. – ჯერ არის და, თვით ფუნქციის ისტორიული საჭიროება უნდა შეიქმნას. მერეა და, ერს, რომელიც ამა თუ იმ მისიას იკისრებს, საამისო ნიჭი, ენერგია, ბრძოლისა და ძლევამოსილების ჟინი უნდა მოსდგამდეს.

– თავისთავად ცხადია და მაშინ ასე დავიწყოთ: მსოფლიოს ერთ-ერთ გეოგრაფიულ რაიონში – ამიერკავკასიაში – დაისახა გარკვეული ფუნქცია და, მაშასადამე, სახელმწიფოს შექმნის ისტორიული საჭიროებაც. აქ ქართველები ვცხოვრობდით და საჭიროებას ვუპასუხეთ – შევქმენით სახელმწიფო. ქართველთა ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობას სული იმან ჩაუდგა, რომ დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისთვის განაპირა გოდოლის როლი ვიკისრეთ აღმოსავლეთში. მეორე მხრივ, სპარსეთისა და ბიზანტიისთვის ის ძალა გავხდით, რომელსაც ჩრდილოეთ მომთაბარეთა სამხრეთული ლაშქრობების დაკონტროლება შეეძლო. სახელმწიფოს შექმნამ წესრიგი, სტაბილურობა მოიტანა. მაშინ ქართველთა მიწა-წყალზე გაიდო და გადაჯვარედინდა დიდი სავაჭრო გზები. განვითარდა ეროვნული ეკონომიკა, რომელმაც აზიურ აღებმიცემობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ასეთი მსოფლიო-ისტორიული მისიის აღსრულება ნიშნავდა ათასნაირი მტრის მოგერიებას და სახელმწიფოც საომარ ყაიდაზე გვქონდა მომართული. პიროვნებამ, მოქალაქემ, ცხადია, ერის ფუნქცია, სახელმწიფოს მისია გაიმეორა: მტრის მოგერიება, ომი ადამიანის ძირითად საქმიანობად იქცა ცხოვრებად! ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა – ამ პროცესის მომწესრიგებელი

ძალა. შეიქმნა ვითარება, როდესაც მოქალაქის ცხოვრების ავ-კარგი სახელმწიფოს ძლევამოსილებაზე ეკიდა და სახელმწიფოს ინტერესებისთვის რაიმეს დაშურება საკუთარი სიცოცხლისთვის დაშურებას უდრიდა. ამიტომ ამოქმედდა და დროთა განმავლობაში დამკვიდრდა ზნეობრივი პრინციპი: ჯერ ვაძლევ ერსა და სახელმწიფოს რაც კი რამ მაბადია, და შემდეგღა ვიღებ მისგან იმდენს, რამდენსაც დავითრევ, ან რამდენსაც მარგუნებენ და გადმომიგდებენ. მაშინდელი კაცობრიობა ამ დონეზე იდგა, სამართლიანობაზე თავისებური წარმოდგენები ჰქონდა. ასეა თუ ისე, ზემოთ მოყვანილი ზნეობრივი პრინციპი, საბოლოო ჯამში, ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ფუნქციამ, ისტორიულმა მისიამ ჩამოაყალიბა და ამან კი, ანუ დროთა ვითარებაში დამკვიდრებულმა ზნეობამ – სახელმწიფო შეინახა. ეს – რაც შეეხება იმას, თუ რა თვისება დაკარგა ჩვენმა ერმა. ქალბატონმა ნანომ ჭეშმარიტება ბრძანა: თავისუფლების სამშობლოს,

სახელმწიფოებრიობის სიყვარული დაკარგა, ანუ ის ზნეობა, რომელზეც, ჩემო ელიზბარ, მე ასე დიდხანს და ამდენი უცხოური სიტყვებით ვილაპარაკე. თვით სადღეგრძელო კი მოკლე იქნება: გოგიმ აკი თქვა – მომხდურთან ბრძოლის, სამშობლოს დაცვის, სახელმწიფოს შენახვის პირობა სიყვარულიაო, მაშინ, ქართველებს და მსგავსი ისტორიის მქონე სხვა ერებს, ცხოვრების ფუძედ, საძირკვლად სიყვარული ჰქონიათ. სიყვარულს უშენებია მტრობით დანგრეული და ამ სიყვარულისას სიამოვნებით დავლევ!

სანდრო კარიძე ჯამს დაეწაფა ნელა, სვენებ-სვენებით დაცალა.

მოულოდნელად საინტერესო სადღეგრძელო გამოვიდა და სუფრა ცოტა ხნით ჩაყუჩდა. მერე ერთად ავლაპარაკდით – კარიძის ნათქვამს ვაანალიზებდით და ვავითარებდით.

– ეგ საინტერესო აზრია, სანდრო, – ცხოვრების ფუძედ სიყვარული ჰქონიათო. მე ფილოლოგიაში ჭიპი არ მომიჭრია, მტკიცება გამიჭირდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ქართული მუსიკის, ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი სწორედ მაგ პერიოდშია შექმნილი და ერთი მაგალითიც არ ვიცი, რომ ნაწარმოებში სიცრუე, ბოროტება და ძალმომრეობა იმარჯვებდეს. სულგრძელობა, თავდადება და სიყვარულია ყველაფრის ჩონჩხი, სისხლი და ხორცი. იმ ყველაფრისა, რა თქმა უნდა, რაც წაკითხული ან მოსმენილი მაქვს, – ვთქვი მე.

– არაკი ვიცი ერთი მე, ჩვენი არ არის ის, – ნანოს მიმართა ლაზმა. – ლომია დაჭრილი იმ არაკში, სისხლი მოსდის მკერდიდან და გარშემო აფთრებს სიხარული აქვთ და ზეიმი, ლომი რომ კვდება და ლეში მათ რომ დარჩებათ, იმიტომ. გაგულისდება ლომი, მოიკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს, წამოუხტება აფთრებს, სისხლის გუბეს დააყენებს მათსას. იბრძოლებს დიდს, გამოელევა ილაჯი, ჩავარდება მათი სისხლის გუბე

ში და ბანაობს შიგ. ისეა არაკში, რომ მტრის და მოშურნის სისხლმა უნდა მოუშუშოს და შეუხორცოს ჭრილობა ლომს. ახლა, “არწივი” რომ არის, ქართული ლექსი: მისი დამწერი დიდი კაცია ძალიან ქართველებში ყველაზე დიდი იყოს, იქნება, დღეს. იცით თქვენ ეს. ამ დიდ კაცს რატომ არ მოუვიდა აზრად, ნეტავი, მისი არწივიც რომ წამოფრენოდა ყვავ-ყორანს, ბუმბული გაეფანტა მათი და შვება მიცემოდა ამით? რატომ და, ასე რომ ექნა, გაბოროტების და ჯავრის ამოყრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ ქნა მან ეს. მესამედ გაიმეორებ შენთვის, თუ პირველად წაიკითხავ – არწივის სიბრალული, თანაგრძნობა გეწვევა კაცს ჯერ, მის მხარეზე დაგაყენებს, ღონემიხდილს და განწირულს შეგაყვარებს ლექსი. მაგ კაცს განგებისგან აქვს მადლი დასხმული საამისოდ, ადვილად შეუძლია ეს. შეგაყვარა და, რომ მიაღწია ამას, გენდობა უკვე. იცის, რასაც გააკეთებ, სიყვარულიდან გამოსული იქნება ის. ამიტომ არის, რომ არ გირჩევს და არ გეუბნება, ასე და ასე მოიქეციო, – ლაზი წამით დაფიქრდა და დასძინა: – ნამდვილი რაც არის, ყველაფერში ასე უნდა იყოს, მგონია. უნდა დავაკვირდე, ერთი, ამას.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლაპარაკში გავათენოთ – ნამდვილი საქმე ვიღამ აკეთოს! – განაცხადა კარიჭაშვილმა. – ნანო, შენი ჯერია. შემდეგ სადღეგრძელოს ვინც იტყვის, ორი ჯამით დალიოს, თორემ

არჩილა და ერვანდა შემოგვივარდებიან, პანღურის ცემით გაგვყრიან!

– შენ ამ ნამდვილ საქმეს რომ გადაყევი, მიტომ გეძახიან, ბოლო დროს, “ყოფილ მსახიობს”, – ჩაილაპარაკა სანდრო კარიძემ.

– მე ხელოვანი ვარ, სანდრო კარიძევ, და არა ტაშის მხვეჭელი ტაკიმასხარა, – მიუგო კარიჭაშვილმა გაღიზიანებით. – ახალგაზრდა ვიყავი, სცენამ და დარბაზის გრიალმა მიმიტყუა, რა ვიცოდი куда влечет наш жалкий жребий. და ან რა იყო ნამდვილი ხელოვნება!

– ახლა ხომ იცი?! – ჩაიქირქილა კარიძემ.

– ახლა ვიცი! ნამდვილი ხელოვნება, სანდრო, უპირველესად ყოვლისა, სინდისია, პატიოსნებაა. უფლება არა მაქვს, ხალხს საშუალოდ გაკეთებული როლი ვაჩვენო. ეს ერთი. მეორე ისა, რომ უფლება არა მაქვს, სიცრუე ვუთხრა კაცს და ეროვნული ავბედობით ჭეშმარიტ გზას აცდენილი ხრამში გადავჩეხო. ამიტომ ყველაფერს და ყველანაირს არა ვთამაშობ. აი, წელიწადია, როლს ვამზადებ. იქნებ, კიდევ წელიწადი მოვანდომო. სამაგიეროდ, სულის დამწმენდსა და ამამაღლებელს ვაჩვენებ. თუ მაყურებლის თვალებში შევნიშნე, რომ მიზანი დაძლეულია, მაშინ თეატრში ტაშის მოსასმენად შენ დარჩი, მე აქეთ გამოვიქცევი, გოგიასთან და ველისციხელ ერვანდასთან ერთად ღვინოს დავლევ, წასული კვირის ჭიდაობაზე ვილაპარაკებ. მიდი, გენაცვალე, შენა და შენისთანა მკილავებმა “ყოფილი მსახიობი” მიძახეთ, ყაბულსა ვარ... ნანოს ჭირიმე, გისმენთ! ااا, სმენა იყოს!!! – დასჭექა ელიზბარმა.

– სანამ მე ვიტყოდე რამეს, უკვე ნათქვამს ზოგი რამ უნდა დაემატოს, – თქვა ნანომ. – სახელდობრ, ბატონმა სანდრომ ბოლომდე უნდა გაგვიზიაროს თავისი შეხედულება.

– დიახ, ქალბატონო, ბრძანეთ, რომელი შეხედულება,– დაფაცურდა კარიძე.

– თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, თუ რა დავკარგეთ, მაგრამ არაფერი გითქვამთ, როგორ დავკარგეთ – ეს ერთი, და რანი ვართ დღეს – მეორე. უმაგისოდ ჩემს სალაპარაკოს სადღეგრძელოსთან ვერ დავაკავშირებ და დიაცის აბდაუბდაში ჩამომერთმევა ნათქვამი.

– სიამოვნებით, თუკი დამსწრე საზოგადოება მოთმინებას გამოიჩენს. სულ სამი წუთი დამჭირდება, შეგიძლიათ, საათი დანიშნოთ, “მამაო ჩვენოსავით” ვიცი, – ღიმილით მიუგო კარიძემ.

– მიდი, სანდრო, – წააქეზა კარიჭაშვილმა. – მუსაიფი მაინც შეგრჩეს. რა ვიცით, ხვალაც ცოცხლები ვიქნებით?

სანდრო კარიძემ პაუზა იხელთა და დაუყოვნებლივ დაიწყო:

– სამწუხაროდ, ყველაფერი წარმავალია მზისა ქვეშე, ჯერ იყო, სლავთა ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ სამხრეთის იმპერიებს ჩრდილოური შემოსევების საშიშროება შეუმსუბუქა და ქართველთა სახელმწიფომ ტრამალების ხალხებთან წინამბრძოლის ფუნქცია დაკარგა. შემდეგ, ისედაც მიხრწნილი ბიზანტიის იმპერია ჯვაროსნებმა და თურქებმა მოაშთეს. კათოლიკურ ქრისტიანობას იმდენად სერიოზული ჭია შეუჩნდა, რომ მისი არსებობის შესანარჩუნებლად ინკვიზიციის დაარსება შეიქნა საჭირო. როცა ციტადელი ირყევა, გოდოლის მეციხოვნეთა ბედიც ბეწვზე ჰკიდია.

ერთმორწმუნე სამყაროსთან არსებული კომუნიკაციები დაირღვა და საქართველოს იდეოლოგიური ფუნქციაც თანდათან გაუქმდა. კიდევ ცოტა ხანი და, ზღვაოსნობის განვითარებამ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზები წყლებზე გადაიტანა. ამით ეკონომიკური ფუნქციაც გამოგვეცალა. მოკლედ რომ მოვჭრათ, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციები გაუქმდა და მსოფლიო-ისტორიული მისია აღარ გაგვაჩნია. კაცობრიობისთვის წესიერი საქმეების მკეთებელი, ძლევამოსილი სახელმწიფო წვრილმანი სამთავროების კინკლაობის ასპარეზად და ყველა მოცლილი თუ მოუცლელი დამპყრობლის სარბიელად იქცა. რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს ისტორიის ბოლო ხუთ საუკუნეს თამამად შეიძლება, დაერქვას ხუთასწლოვანი ომი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და შექმნილი კულტურის გადასარჩენად. საყურადღებოა, რომ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებას მუდამ და ამომწურავად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ისტორიული მისიიდან წარმომავლობის აუცილებლობა. დიდ მასშტაბებში ეს იდეა პირველად ვახტანგ გორგასალის ხელით განხორციელდა. ტრამალის ხალხებთან წინამბრძოლობის ფუნქცია როცა გაუქმდა, მაშინ დავით აღმაშენებელმა და მისმა პოლიტიკოსებმა წინა აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკური ხელმძღვანელის ფუნქციით აღჭურვეს ქართველთა სახელმწიფო და ამ მიზნის განხორციელების მტკიცე საფუძველი შექმნეს. მსოფლიო ქრისტიანულ ცივილიზაციას და, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიას რომ საძირკველი მოერყა, თამარის სახელმწიფომ მართლმადიდებელი სამყაროს ჰეგემონობაზე, სამაჰმადიანოში წესრიგის დამყარებაზე განაცხადა პრეტენზია. ამ მხრივ, საქმეები რიგიანადაც წარიმართა, მაგრამ მონღოლობამ მოგვისწრო და ჩვენს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი კატაკლიზმი გამოიწვია. თვით ერეკლეს პოლიტიკაც ვახტანგ გორგასალის ოპერაციის გეოგრაფიულად შებრუნებული განმეორება გახლდათ – საყრდენით ჩრდილოეთში და მახვილით სამხრეთში, მაგრამ ამ ვითარებამდე იმდენად გაჩანაგებულებმა მივაღწიეთ, რომ რუსეთმა ქართველთა მოკავშირეობას მათი მფარველობა ამჯობინა, სხვათაშორის, თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯობინეს... ყოველივე ეს იმისთვის ვთქვი, რომ წინაპართა სიბრძნე და მოცადეობა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო, მათი შრომა წყალში არ გადაყრილიყო... დიახ, ის საზარელი ხუთასი წელიწადი! ვისაც მიუკერძოებლობა და განათლება ჰყოფნის, იმისთვის ჩვენი ისტორიის ამ პერიოდთან მხოლოდ ამერიკელი ინდიელების ანალოგია არსებობს. სხვა პარალელი არ მაგონდება. ასეა თუ ისე, სიცოცხლისა და კულტურის შენარჩუნებაც ფუნქციაა, მაგრამ ვიწრო-ეროვნული, ძლიერი სახელმწიფოს არსებობისთვის უვარგისი. ქართველთა სახელმწიფო, ფაქტიურად, გაუქმდა. მისი ავ-კარგის მიმართ ერის ძირითად მასას ქვეცნობიერი თუ გაცნობიერებული პასუხისმგებლობა მოუდუნდა, ხოლო მრავალმა დამარცხებამ და აოხრებამ მოქალაქეს ძლევამოსილების რწმენა დაუკარგა. სწორედ ამან მოახდინა ერის ზნეობაში პირველი ძვრა დაკნინებისკენ. მთავარი სამუშაო ფუნქციის კერძო-ეროვნულმა ხასიათმა, საერთაშორისო უმნიშვნელობამ შეასრულა: ცხოვრება სიცოცხლის შენარჩუნების პროცესად იქცა, ხოლო ამ პროცესმა თავისი მომწესრიგებელი ფაქტორი, ანუ შესაბამისი ზნეობა ჩამოაყალიბა, – თავკერძული ელემენტებით უხვად შეზავებული, ძლიერი სახელმწიფოს დროინდელთან შედარებით დაბალი და კნინი. მართალია, კერძო-ეროვნული მიზნისთვის, მაგრამ ხალხი მხარდამხარ იდგა, ადამიანს ერთობისა და ერისთვის თავდადების უნარი საკმაოდ გამახვილებული ჰქონდა. ხუთასი წლის გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ ერი ხორციელად განადგურდა, სულიერად გადაიღალა. სხვა გზა აღარ იყო და ერთმორწმუნე ერი მოვიყვანეთ. დასავლურ კულტურასთან პირდაპირი კონტაქტების უძველესმა წყურვილმა ახალ ფორმაში ჰპოვა განხორციელება: ევროპის უდიდესი სახელმწიფოს

ნაწილად ვიქეცით! რუსეთთან შეერთებამ ყველა პრობლემა ერთბაშად მოხსნა. გაგვათავისუფლეს ომებისგან, ლეკიანობისგან, ამოწყვეტის საშიშროებისგან, ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიისგან და გადასახადებისგანაც კი. ეს შესვენება ქართველი ერისთვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ ერთი კანონზომიერი რამ მოხდა: ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა, მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრულიად აღარაფერი; ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს – სძოვოს. ასი წელიწადია ვბალახობთ, ჩვენი ერთადერთი ფუნქციაა – ვჭამოთ, ვსვათ, შვილები ვზარდოთ. გათავდა. ასეთმა ფუნქციამ ძველი, ტრადიციული ზნეობა გადააგვარა და დღეს თუკი ვისმე თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია სულიერ ღირსებათა შორის. აი, ჩემი აზრით, ეს დავკარგეთ, ქალბატონო ნანო. რანი ვართო, რომ ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული გათითოკაცებული, ყოფილი ერი. დავამთავრე, ელიზბარ, შეგიძლია, საათს დახედო.

– როგორ გამოდის, – სიჩუმე დაარღვია შალითურმა. – სანამ კავკასიაში შენი ფუნქცია ისევ არ შეიქმნება, იქამდის ქართველებისთვის სახელმწიფო – ფა-ფუ?

– ფა-ფუ! – დაუდასტურა კარიძემ.

შალითურმა გადაიხარხარა.

– ყურადღებას გთხოვთ, ბატონებო! – ნანომ ჯამი აიღო.

სიჩუმე ჩამოდგა.

– ამას წინათ ირაკლის კანტორაში ვისხედით, სიტყვამ მოიტანა და ამათ ვუამბე, აფხაზეთში ორმოცამდე სხვა ადამიანთან ერთად რომ გაგვძარცვეს მე და ჩემი ქმარი. თქვენ ნუ გამიბრაზდებით – ლაზო, ირაკლი, ამათ გავაგებინებ, როგორც იყო და მერე იმ ნაწილსაც ვიტყვი, რომელიც თქვენთვის არ მიამბნია.

მოკლედ ჰყვებოდა. ყველა განაბული უსმენდა, მე და ლაზიც კი. უმთავრესად შალითურს მიმართავდა, ალბათ, იმისთვის, რომ უთანხმოების ჭაობიდან საბოლოოდ ამოეყვანა და ჩვენი მოლხინე-მომუსაიფე სამეფოსთვის დაებრუნებინა ეშმაკის მანქანებით განზე გასხლეტილი საერისთაო. წარმოიდგინეთ, შალითური ნელ-ნელა გამხიარულდა. ნანო გაძარცვის ამბავს, ამჯერად, სულ სხვა სტილში ჰყვებოდა. მისი გონება შემთხვევის სასაცილო მხარეებზე იყო გამახვილებული, თვალი – იუმორისტული სიტუაციებისკენ მიმართული.

– მთელ ამ ოპერაციას, როგორც მერე გამოჩნდა, სულ ოთხი კაცი აწარმოებდა: თვით სარჩიმელიას და კიდევ ერთ მის დამქაშს გზიდან ხალხი მოჰყავდათ, ძარცვავდნენ, ნაძარცვს ტომრებში ანაწილებდნენ. ერთი ყაჩაღი თავს გვადგა, ალბათ, შესაძლო ამბოხის ჩასახშობად. მოშორებით, ჩვენს ზურგს უკან, გორაკი იყო, იქიდან წარამარა სტვენა ისმოდა. შეშინებულ გუნებაზე ისე გვეგონა, რომ ყაჩაღების ძირითადი ძალა გორაკზე იყო განლაგებული. თურმე ნუ იტყვით, ერთადერთი კაცი ზის ხის ძირას, გზასა და უკვე

გაძარცულებს ზემოდან გვითვალთვალებს და დროდადრო უსტვენს, რომ ის სამი ყაჩაღი არ გვეცოტაოს...

– მოიცა, ქალო, – სიცილით შეაწყვეტინა ელიზბარ კარიჭაშვილმა. – ეგრე, დედიშობილად და ერთად დაგსხეს ქალიცა და კაციც?

– არა, მძარცველებს შენზე მეტი კდემამოსილების გრძნობა აღმოაჩნდათ, ცალ-ცალკე ვიყავით, მაგრამ მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის ორიოდე ნაბიჯი იყო. ერთმანეთისა ყველაფერი რიგიანად გვეყურებოდა. ერთი სიტყვით, ვსხედვართ, სარჩიმელიას დაბრუნებას ველოდებით. ხალხი ერთ ჩურჩულსა და გადალაპარაკება-გადმოლაპარაკებაშია. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ვიღაც გატიტვლებულმა დედაბერმა გადაკამკამებულ ცას ახედა და თქვა, წვიმა რომ წამოვიდეს, რა გვეშველებაო. ერთი ტანმორჩილი კაცი იყო, საშინლად აინტერესებდა, გზაზე ჩასაფრებული სარჩიმელია, სახელდობრ, ვის მოიყვანდა და ძალიან უნდოდა, რომ მის ბადეს – რიგიანად აღარ მახსოვს – ვინმე ბაბუხადია თუ მითაგვარია ამოჰყოლოდა. ამის წარმოდგენაც კი უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა, ხელებს სიამოვნებით იფშვნეტდა და წინასწარ სიცილით კვდებოდა. მთავარი სალაპარაკო კი მაინც ის იყო, თუ ამ ოპერაციის შედეგად ვინ რა დაკარგა. გაძარცულები წართმეული ნივთების საფასურს და ფულის რაოდენობას ერთს ათად, ზოგჯერ, ერთს ოცად ამბობდნენ, ერთმანეთს დანაკარგის სიდიდეს ეტრაბახებოდნენ. მხოლოდ ერთმა თქვა – ახალგაზრდა, ღინღლა ბიჭმა – არც რამე მებადა, ვერც რამე წაიღეს და, ნეტავი, აქ რას ვუზივარ, რას მემართლებიანო. მდიდარი თურქის მსახური იყო, პატრონთან ერთად მოიყვანა სარჩიმელიამ, თორემ თვით ბიჭი, მართლაც, ვის რაში სჭირდებოდა. აბა, ამდენი დროა გასული, ყველაფერი წარსულშია, ახლა იმ თავგადასავალზე მასხრობით ლაპარაკი ადვილია, მაგრამ მაშინ, იმ ვითარებაში, სრულიად სასოწარკვეთილი ვიყავი. ვისაც გონება უჭრის, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა მოჰყვებოდა იმას, სარჩიმელიას რომ თავისი დაპირება შეესრულებინა და გამოსასყიდი თანხის გირაოდ წავეყვანე თან... განა მხოლოდ ჩემს ბედ-იღბალსა და მომავალზეა სალაპარაკო? ის შეურაცხყოფილი ხალხი?.. ერთი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა ექიმთან ერთად გადმოიყვანა გზიდან სარჩიმელიამ. გოგონა ყაჩაღებს მუხლმოდრეკითა და ქვითინით ემუდარებოდა, – დედა მიკვდება, ოჩამჩირეში ექიმის წასაყვანად მოვედი, გაგვიშვით, ეგებ ცოცხალს მივუსწროო! ვიღაც ქალი თმებს იგლეჯდა, ქვრივმა დედაკაცმა ქალიშვილი რის ვაი-ვაგლახით გამოვზარდე, მთელი სიცოცხლე სამზითვო ფული ვაქუჩე, ოცი თუმანი შევაგროვე და ამ არამზადებმა წამართვესო... ყველაფერს რას ჩამოთვლის ადამიანი. საშინელება იყო და არც საიდანმე ხსნა ჩანდა.

– Господин, простите, пожалуйста, – გაისმა ჩემს გასწვრივ მამაკაცების ჯგუფში. – Госпожа, ограбленная вместе с вами, Ваша жена? – ჩემს ქმარს ეკითხებოდა ერთი მუხლს ქვემოთ ფეხწაკვეთილი მამაკაცი. შირერმა ცოტა დააყოვნა და ბოღმით მიუგო:

– Да, сударь, госпожа ограбленная вместе со мной моя жена!

– Так вот что: грабители эти хоть и достаточно свирепы, однако в женщин стрелять не станут. Это долго объяснять, прошу поверить мне на слово. Скажите Вашей жене, пусть склонит остальных женщин... Ну, кричать, причитать, выть. Пусть шумят и не умолкают, если даже грабители прибегнут к угрозам...

– Что это даст, сударь!

– Минимум – приближение конца этой подлой процедуры! Передайте это жене на Вашем языке, разбойник подслушивает...

შირერმა ფეხწაკვეთილი კაცის წინადადება აწონ–დაწონა და მიუგო:

– Не надо, сидите спокойно, сударь!

ყველაფერი გავიგონე. დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ ხმაზე და იმ ვარაუდით იყო ნათქვამი, რომ გამეგონა. საქმე ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანის ხერხი იყო საპოვნელი. მაინცდამაინც რიგიანი ვერაფერი გამოვიგონე და როცა გუშაგმა მამაკაცებისკენ გადაინაცვლა ქალებს გადავულაპარაკე:

– მოდით, ქალებო, ყველამ ერთად ავტეხოთ მოთქმა და წივილკივილი. დედაკაცები ვართ, ვერ გვესვრიან, ნუ გეშინიათ. თუ ხმამაღლა და დიდხანს ვიყვირებთ, ეგებ გზიდან გადმოგვეშველოს ვინმე, ან ეგებ თვითონ ყაჩაღებს შეეშინდეთ და თავი დაგვანებონ. ვიყვიროთ, ქალებო! ცუდი არაფერია მოსალოდნელი.

– ზოგმა ქართული იცოდა და აზრსაც მიმიხვდა. ზოგს არ გაეგებოდა და წავიდა კითხვა-პასუხი, რა თქვაო. მიუხედავად ამისა, ორი, სამი წუთიც არ გასულა, უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა ჩემი წინადადების არსი და ხმას კი არავინ იღებდა. გვერდით ქალი მეჯდა, ვკითხე, რას იტყვი-მეთქი.

– რომ გვესროლონ?

– ნუ გეშინიათ არ გვესვრიან!

– რაცხა შვიდი მანეთი წამართვეს და თავი მოვაკვლევიო, აწი?

– ცხრა თუმანი წაიღეს, ოხრებმა, მაგათ, მარა არც ცხრა თუმნად ივარგებს ჩემი შვილების დაობლება!

– იყვიროს სხვებმაც და ვიყვირებ მეც, მაშინ.

– კი. ყველა თუ იყვირებს, მაშინ – კი.

ესე ილაპარაკეს და სიჩუმე ჩამოვარდა.

გამიელვა, რომ მაგალითის მიცემა იყო საჭირო. ერთად თუ არა, ნელ–ნელა მაინც ამყვებიან-მეთქი. დავიწყე ხმადაბალი მოთქმა და ტირილი. მხარი არავინ ამიბა. ხმას ვუმატე – ისევ განაბულები ისხდნენ, კივილი მოვრთე და ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ შეშინდნენ, – ამ სულელი ქალბატონის გულისთვის არ დაგვხოცონო, მაგრამ უკვე როლში ვიყავი შესული და ჩემი დაშოშმინება არცთუ ადვილი გახლდათ. იმ ყაჩაღმა, ჩვენ რომ გვყარაულობდა, ერთხანს უღრმესი განცვიფრებით მიყურა. მერე ჩემსკენ წამოვიდა, თავზე დამადგა და კიდევ მიყურა. მერე – არც აცია, არც აცხელა – აიღო და თავში კაი

ლაზათიანად ჩამითხლაშუნა. ამდენ უზრდელობას არ მოველოდი, გაკვირვებამ მყისვე დამადუმა, განაბული ავაცქერდი. ყაჩაღმა პაუზით ისარგებლა და ღიმილით მითხრა:

– ქალბატონო, რა გაყვირებს ნეტავი!.. იმის იმედად თუ ხარ, რომ აგენიც იყვირებს – აგენი მორჩილებას არიან მიჩვეული. ეეეჰ, ქალბატონო, არ გცოდნია, თურმე, მაგ საქმე შენ. აგერ, ჩვენ რომ გვხედავ – ნამეტანი კარგად ვიცით ჩვენი საქმე ჩვენ. მიტომ ვშვრებით ამას, რომ ვიცით, რაც არ იცის კაცმა, არ უნდა ჩაიდინოს ის.

მიტრიალდა და წავიდა.

შირერმა გადაიხარხარა. არა მწყენია – მეუხერხულა, შემრცხვა, ძალიან შემრცხვა, ჭარხალივით გავწითლდი. როცა უხერხულობის გრძნობამ გამიარა, თვალი მამაკაცებისკენ გადავაპარე. სახეზე ყველას დამცინავი ღიმილი უთამაშებდა და ხელმეორედ მეუხერხულა, ისევ შემრცხვა. ფეხწაკვეთილი კაცი იჯდა, ულვაშს იწვალებდა, რაღაცის ვარაუდსა და მოსაზრებაში იყო გართული, მაგრამ მე თავის დასამშვიდებლად გავიფიქრე, რომ ჩემს მარცხს თანაუგრნობდა. გაძარცვად ღირებული, ალბათ, დროზე ვეღარავინ ნახა გზაზე სარჩიმელიამ, რომ ჩემი მოთქმის შემდეგ ბარე ნახევარი საათი გავიდა, სანამ დაბრუნდებოდა. მთელი ჯგუფი მოიყვანეს – ორი მამაკაცი და სამი ქალი. ამ ხალხის დამუშავებაში იყო და ჩვენი მხრიდან ტყეს ორი კაცი გამოსცდა ერთი წინ მოდიოდა; წარმოიდგინეთ: წელს ზემოთ შიშველი, წელს ქვევით პერანგის ამარა. ესე იგი პერანგის სახელოებში ჰქონდა ფეხები გაყოფილი და წელამდე ამოტანილი კალთა ხელით ეჭირა. სხვა რა გზა იყო, უნდა სჭეროდა! კოხტად ჩაცმულ-დახურული კაცი მოსდევდა, ყალყზე შეყენებული მაუზერით ხელში. სხვა იარაღიც ბლომად ეკიდა – თავისი ცალკე და იმ წელქვეით პერანგის ამარა კაცისა – ცალკე. გეზი სარჩიმელიასა და ნაძარცვისკენ ჰქონდათ.

ამ მოულოდნელმა და საოცარმა გამოცხადებამ საერთო დაბნეულობა შემოიტანა. ჩვენი გუშაგი გაშეშებული იდგა, თავი სიზმარში ეგონა. როცა მაუზერიანი კაცი მამაკაცების ჯგუფს გაუსწორდა, ვიღაცამ წამოიძახა:

– ოხხხ!.. დათა თუთაშხიაა ეგ!

– რა ხდება, ძუკუ, აქ? – უმწეოდ ჩაილუღლუღა ჩვენმა გუშაგმა, მაგრამ სხვა არც უთქვამს და არც უქნია რამე.

ძუკუს კი პერანგის კალთა ჩაებღუჯა, არ ჩამვარდესო, და მორჩილად, თვინიერად მოაბიჯებდა. გუშაგი ჩვენსკენ ზურგით იდგა, დათა თუთაშხიად დარქმეულ კაცს თვალს პირღია მიაყოლებდა. სარჩიმელია და მისი ამხანაგიც გახევებულიყვნენ. ამ წამიერ დუმილსა და უძრაობაში ფეხწაკვეთილი კაცი მუცელზე დაწვა, ერთი გადახოხებით გუშაგს მიუახლოვდა, კარგა მოზრდილ რიყისქვას დასწვდა, თვალის დახამხამებაში ზეზე წამოიმართა და ქვა გუშაგს შიგ კეფაში ჩასცხო. სარჩიმელიამ თითქოს მიშველება განიზრახა, მაუზერიანმა სტუმარმა იარაღი მიაშვირა და სარჩიმელიაც დაცხრა. გუშაგი დაეცა. მისი თოფი იმავ წამს ფეხწაკვეთილი კაცის ხელში აღმოჩნდა. ამის შემდეგ გუშაგმა კეფაში თავისივე თოფის კონდახიც მიიღო. მერე ფეხწაკვეთილი კაცი კვლავ მიწაზე გაიშოტა, გუშაგის სხეული

საფრად და თოფის საყრდენად მიიმარჯვა. სარჩიმელია მიზანში ამოიღო და ჩაყუჩდა.

– ოხხხ!.. მაგ კაცი, ნიფხვად რომ პერანგი აცვია... მაგ ის ყაჩაღია, ნამდვილად ზემოდან რომ გვიფშვიტინებდა აქ ჩვენ! – აღმოაჩინა იმავე გაძარცულმა, ვინც პირველად დათა თუთაშხია იცნო. თუთაშხიამ უკან მოიხედა, საქმის ვითარებაში უმალ გაერკვა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა და სარჩიმელიასთან პირისპირ აღმოჩნდა.

მე მეგრული არ ვიცი, მაგრამ იმ ამბის დამთავრების შემდეგ ყველაფერი სიტყვასიტყვით მითარგმნეს. ამიტომ მიყოლებით გეტყვით, რაც ლაპარაკი იყო და რაც მოხდა.

– სარჩიმელია! და შენც... არ ვიცი, ვინ ხარ! – ეს მეორე ყაჩაღს ეხებოდა. – აგერ დადევით იარაღი! – თუთაშხიამ ადგილი მიუჩინა ყაჩაღები გაოგნებულები იდგნენ, სარჩიმელიამ იცოდა, რომ ფეხწაკვეთილი კაცის თოფის სამიზნეზე იჯდა. მეორე ყაჩაღს თუთაშხიას მაუზერი ლამის კბილებში ჰქონდა გაჩრილი. მესამეს თავისი პერანგი ეჭირა. არც წინააღმდეგობის გაწევა იყო ადვილი და არც იარაღის დათმობა. ამასობაში ფეხწაკვეთილმა კაცმა გაისროლა.

ტყვიამ ყაჩაღებს შუა გაიარა. ფოთლიანში გაიღო სხაპანი.

– აწიეთ ხელები! – დაუყვირა თუთაშხიამ.

მეორე ყაჩაღმა ბრძანება შეასრულა. სარჩიმელიამაც, მაგრამ მოგვიანებით და ზანტად.

– მობრძანდით აქ, რომელიმე! – გამოსძახა თუთაშხიამ მამაკაცებს.

შირერმა ყველას აასწრო, მივიდა. განმარტება არ დასჭირვებია – ყაჩაღებს იარაღი აჰყარა, ერთად დაალაგა. მერე ორივე საგულდაგულოდ გაჩხრიკა, ყველაფერი ჩამოართვა. ეს პროცედურა რომ დაასრულა, ჯერ სარჩიმელიას სთხლიშა ქვედა ყბაში, შემდეგ მის ამხანაგს და დარეტიანებულები დაყარა მიწაზე. ამ დროს ფეხწაკვეთილი კაცი ნაძარცვთან ასკინკილით მივიდა, თავისი პროთეზი იპოვა, ტანთ სახელდახელოდ ჩაიცვა... მერე ჩემი “ამორძალის” სამოსი მოძებნა, მომიტანა და მითხრა:

– ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ჩემი წაქეზების ბრალი იყო, ამ ნაძირალამ რომ შეურაცხყოფა მოგაყენათ! – ასეთ ვითარებაში მოხდა ბატონი გოგის და ჩემი გაცნობა. მაშინ არც სახელი

გვიკითხავს ერთმანეთისთვის და არც გვარი. დღესღა შევხვდით.

სუფრაზე შეძახილე_ ბი და სიცილ-ხარხარი ატყდა. გოგიამ მაგიდას შემოუარა, ნანოს ხელზე ემთხვია და ადგილს დაუბრუნდა.

– დანარჩენი, იქნებ, საამბობლად აღარც ღირდეს, ცხადია, რაც მოხდებოდა, – განაგრძო ნანომ, როცა საზოგადოება რამდენადმე დამშვიდდა. – თუთაშხიამ გაძარცულებს უხმო, მოდით, თქვენ-თქვენი ქონება ამოარჩიეთ და წაიღეთო. ყაჩაღებმა მათკენ მომავალი ბრბო დაინახეს, წამოცვივდნენ და მოჰკურცხლეს. იმ გამწარებული დედაკაცების ხელში ჩავარდნა, მართლაც, არ ღირდა – მამაკაცებზე აღარაფერს ვამბობ. ორას, სამას ნაბიჯზე იყო სარჩიმელია, ტყეში აღარც კი ჩანდა, მაშინ დაიძახა:

– დათა თუთაშხია ვისაა რომ ესარჩლები შენ! შენი სიკვდილი მაგენის ხელით იქნება სწორედ როცა იქნება ის!

შირერმა თავისი სათუთუნე იპოვა, თუთაშხიას გაუწოდა, – გამომართვით, ამ ფათერაკის სამახსოვროდ გქონდეთო. ოცმისხლიანი ბაჯაღლო ოქროს სათუთუნე იყო, ძვირფასი თვლებით დამშვენებული. თუთაშხიამ მადლობა გადაუხადა, მაგრამ არ კი გამოართვა. შირერს გული დასწყდა. მე ცალკე ვეხვეწე, – გამოგვართვით-მეთქი. მაინც არ წაიღო. ცოტა ხანს კიდევ დავყოვნდით, სხვისი ქონებით ხელის მოთბობას მოწყურებულებს ვაშოშმინებდით. მერე, შევსხედით და შინისკენ გამოვაჭენეთ... ძალიან გამიგრძელდა. იმ იმედითღა ვარ, რომ თვით ამბავი მოსაწყენი არ იყო. მაინც მაპატიეთ და ეხლა ორ სადღეგრძელოს ერთად ვიტყვი. ბატონი გოგისა და თუთაშხიას საქციელზე, სხვა რამ ხომ არ ითქმის, გარდა იმისა, რომ ადამიანობა, სიკეთე და სიყვარული ამოძრავებდათ. ვისხედით გაძარცულნი და შეურაცხყოფილნი. მოვიდა ამ ორი კაცის სახით ხორცქმნილი სიკეთე და გვიხსნა. აი, ასეთ რეალურ საქმედ ქცეულ სიყვარულსა და სიკეთეს ვადღეგრძელებ!

ყველა აღტაცებული ვიყავით ნანოს თხრობით და წრეგადასული სანდომიანობით. ტაში დავცხეთ, მთელი დარბაზი ჩვენსკენ შემობრუნდა. ნანომ ჯამი ტუჩებთან მიიტანა, ნახევარი დალია.

– ლაზო, მეორე ჯამი მომე, ელიზბარმა თქვა, შემდეგი სადღეგრძელო ორი ჯამით უნდა დაილიოს. ბატონო ვახტანგ, შემივსეთ... – ნანომ ნაკლული ჯამი შალითურს მიუმარჯვა, – ესეც არ იყოს, სათქმელი ორ სადღეგრძელოდ მქონდა ნავარაუდევი...

ელიზბარმა კიდევ ერთხელ დაგვაწყნარა, – ნანოს დააცადეთო.

– ვისგან და საიდან წამოვიდა წმიდა გიორგის თქმულება, ამას ნუ შევეხებით. თქმულების დედააზრი, მოგეხსენებათ, სადაა: თუ ვინმეს უჭირს, თავი გაწირე, მაგრამ იხსენიო! ეს არის და ესა. განგების წინაშე აღთქმას ვდებ, ხშირად ვეახლო და მოწიწებული თაყვანი ვცე სამას სამოცდამეექვსე წმიდა გიორგის! ერთი ძველებური ხატი მაქვს, იქნებ იმის წარწერას მივამსგავსო: ძლევამოსილო მხედარო ჭეშმარიტებისა, დიდებულო მოწამევ ერისათვის, წმიდაო გიორგი. მეოხ ექმენ წინაშე ცათა ფრიად მოსავსა ძალისა შენისასა, უღირსსა მხევალსა თავყელიშვილს ნანოს! გოგის გაუმარჯოს, ბატონებო, ჩვენს მასპინძელს, მამულიშვილს, რაინდს, როგორც ბატონი სანდრო იტყოდა, ფუნქციის მომნიჭებელს და... ჩემს მხსნელს!

სუფრა შეძახილებმა, სიცილმა, ხმამაღალმა სიტყვა-პასუხმა აიტაცა. ნანომ ხელი ასწია, არ დამიმთავრებიაო.

– ჩემი სადღეგრძელოები ნაამბობს მოჰყვა. მოდით, ამავე ჯამით დათა თუთაშხიას სადღეგრძელოც დავლიოთ. უხორცო და შეუდრეკელი კაცია, მაგრამ ხანდახან ასეთებსაც უჭირთ. გაჭირვებაშიც გაუმარჯოს, ლხინშიც ხელი მოუმართოს ღმერთმა. მაინც ხატსა და სალოცავში ვართ და ერთ აღთქმას კიდევ დავდებ: ამ ჯამში ჩატეულ ორ უზარმაზარ კაცს, თუკი დავჭირდები, ყოველთვის და ყველაფერში ხელს გავუწვდი; მარტო იმიტომ კი არა, რომ მადლი მაქვს დასაბრუნებელი – უფრო იმიტომ, რომ ჩემი და ჩემისთანების სამსახურის ღირსნი ორივენი არიან!.. მეორე ჯამით ყველას გადღეგრძელებთ და ლამაზი

ლხინისთვის უღრმეს მადლობას გიხდით. პატიებას გთხოვთ, რომ გტოვებთ. ღმერთია მოწამე, თქვენთან ყოფნა მირჩევნია, მაგრამ წასვლაც აუცილებელია. ოცდაექვსში, ესე იგი, სამი დღის მერე, საღამოს რვა საათზე, ყველა, ვინც ამ სუფრაზე ვართ – უმორჩილესი თხოვნაა – ჩემთან შევიკრიბოთ ირაკლი, სტუმრების მოყვანა შენზეა! თქვენს გარდა ორი, სამი კაცი მეყოლება, სხვა არავინ იქნება... – ნანო წამოდგა და, რა თქმა უნდა, მე და ლაზიც წასასვლელად მოვემზადეთ.

დიდი ჩოჩქოლი ატყდა, როგორც ამგვარ შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის ხდება ხოლმე – თხოვნა, ხვეწნა, ნამუსზე შეგდება, წყენა – დანარჩენებმა ყველაფერი გამოიყენეს. ნანო თავისაზე იდგა, მაგრამ ერთი პატარა დათმობა მაინც მოუხდა: ლაზსა და მე ის ორორი ვირგლა ჯამი სულ თითით გამოგვალოკინეს. ესეც გათავდა. დავიძარით და გამოცილება მოიწადინეს. ჩვენმა ქალბატონმა სუფრიდან ფეხის მოცვლა ყველას აუკრძალა, მარტო გოგია გამოგვყვა.

– ლაზო, ელიზბარს საიდან იცნობ? – ჰკითხა გზადაგზა ნანომ.

– აგერ, გოგიმ გამაცნო. კარგი კაცია ელიზბარი. მომწონს ძალიან მე!

– ბატონი გოგი ვიღამ გაგაცნო?

– დიდი ხნის ამბავია ეგ. მოგიყვებით როდისმე, – პასუხი გადაუდო ლაზმა.

ვესტიბიულში მარტო არჩილა ტრიალებდა.

– ქალბატონის მეეტლე თუ დააპურეთ? – ჰკითხა გოგიამ.

– დავაპურეთ და დავათვრეთ კიდევაცა. კოფოზე ძლივსღა ზის, – აცნობა არჩილამ.

– ერვანდა სად არის?

– კარში სკამი უდგას, ზედა ბრძანდება და სთვლემს... კი არა სთვლემს, თავი აქვს ჩაკიდული ბებერი ცხენივითა, ვითომა სძინავს!

– რაო? – დავინტერესდი მე.

– რაო და, ამ სამი დღის წინ ღამე მანდვე იჯდა და მართლა ეძინა. ვიღაც მიეპარა, ხალათის ჯიბიდან ექვსი მანეთი ამოაცალა და წავიდა თავის გზაზედა. მას აქეთ მანდა ზის, თავს იმკვდარუნებს – ჯიბგირი კიდევ მოვაო! იმდენი რა გითხრა შენა, აჰა!

– მოვა, არხეინად იყა! – მოისმა გარედან სასოებით აღსავსე პასუხი.

– მოვა რა, პენსიაა?! შემო, კაცო, სტუმრები მიდიან!

ერვანდა მძიმედ შემოვიდა, ჯაგრისი აიღო, არ ნევ მუსკიას ტანსაცმელზე ჩამოუსვა და ბურტყუნით უთხრა:

– აღარავინ დამაცადა, მართლა ჩამეძინოს. გიჟია, მოვიდეს? ფხიზელზე რას მოვა!

არჩილამ გაიგონა და აღშფოთდა:

– ვაა, თუ მართლა დაგეძინა და მოვიდა, იმდღევანდელივით წაიღებს, რაც რამ გექნება და წავა! არა, ამნაირი ინდაურისთვის ლუკმაპური ქვეყანაზე კიდევ სადმე რომ იშოვნება, ისა თქვას კაცმა!..

ეტლამდე მიგვაცილეს. ერვანდა ანალიზურად მსჯელობდა, ჯიბგირის კვლავ მოსვლის აუცილებლობაზე იდგა. არჩილას გაგონებაც არაფრისა უნდოდა. ამასობაში დრო ვიხელთე, სუფრის ანგარიშის გასასწორებლად ერვანდას ფული შევაჩეჩე, – გოგია ჩაჯდომაში ეხმარებოდა ნანოს, ვერაფერი შენიშნა.

დავიძარით.

ღამის სიჩუმეში ფლოქვებს სასიამოვნო ტკაპატკუპი გაჰქონდა.

– რატომ იჩქარეთ, ქალბატონო ნანო. მოგწყინდათ, ალბათ, – გაგრძელებული სიჩუმე დაარღვია ლაზმა.

– შენთან... და ირაკლისთან არასოდეს მომწყინდება ლაზო! – მიუგო ნანომ.

ისევ კარგა ხანს იყო სიჩუმე.

– ლაზო მე ვიცი, ვინცა ხარ! – თავისთვის ჩაილაპარაკა ნანომ.

– ეეჰ, ჩვენო დედოფალო, თვითონ არ ვიცი, ვინ ვარ მე. არც თქვენ გეცოდინოთ იქნება!

მთვარიანი ღამე იყო. ქარი ცაში თითო-ოროლა ღრუბელს დააქანებდა, მიწაზე ტანწერწეტ ალვებს აწვალებდა.

პირველად მაშინ გამიელვა ეჭვმა, რომ... რამდენიმე ეჭვმა გამიელვა.

**ვარდისფერი რვეული**

პირველი დღეებისა თუ ერთი კვირის მანძილზე არზნევ მუსკიასთან და ნანოსთან ურთიერთობის ყოველ ეპიზოდს ცალ-ცალკე ნაჭრებად აღვიქვამდი, ყოველი მათგანი ჩემი მიმდინარე ცხოვრების ერთ-ერთი დამოუკიდებელი მონაკვეთი იყო – სულიერი კმაყოფილების, ფიქრის, სიხარულის მომგვრელი მონაკვეთი.

ერთ დილას ყველაფერი – არზნევ მუსკიას დანახვის წუთს აქეთ წუხანდლამდე, როცა მის სასტუმროში გვიან ღამით ძილმა თვალები მიმილულა – ყველაფერი ერთად, აღმოჩენასავით, გამოცხადებასავით დამატყდა თავს, როგორც ათასი იდუმალების შემცველი მთლიანობა. ეს ფიქრს, განზოგადებას, დასკვნების გამოტანას მთხოვდა და არ მასვენებდა. მოვლენათა ამ გამთლიანებაში გადამწყვეტი როლი ნანოსთან სტუმრობებმა შეასრულა: ეჭვები, მიხვედრები კითხვებად აქცია. ვინ არის არზნევ მუსკია და რას ეძებს იგი? ვინ არის ქალბატონი ნანო თავყელიშვილი-შირერისა? რა ხდება ან ხდება თუ არა რამე ამ ქალსა და ლაზს შორის? რატომ ვარ ასე მძაფრად დაინტერესებული იმით, თუ რა სახის ურთიერთობები აქვთ მათ? ვინა ვარ მე თითოეულისთვის და ორივესთვის ერთად?..

მართალია, მალე მოვიდა დრო, როცა არც ერთი ამ კითხვათაგანი ჩემთვის და კიდევ რამდენიმე ადამიანისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა, მაგრამ ვინც შეძლებს, თავი ჩემს ადგილზე წარმოიდგინოს, იმისთვის ცხადი შეიქნება, თუ როგორ მაწუხებდა და მღრღნიდა მაშინ ყოველივე ეს.

კიდევ ერთი რამ მოხდა: ხალხში, საზოგადოებაში ტრიალი სამთავეს მოგვბეზრდა. დადგა დღე და გულმა აღარსაით გაგვიწია, ელიზბარ კარიჭაშვილისა და გოგიას მეტი არავინ გვაინტერესებდა. ესენი, თითქოს, რაღაც სიცარიელეს გვივსებდნენ, ჩვენს ყოფას თავისი სხვადასხვანაირობით ამდიდრებდნენ.

წინა ღამეს სამორინეში ვიყავით. იქ შევთანხმდით, რომ ხვალ ჩემს ბინაში მოვიყრიდით თავს. ლაზი ელარჯს მოამზადებდა და ელიზბარი – ლულა-ქაბაბს. დილით არზნევის სასტუმროდან კანტორაში წავედი, ორიოდ საათი დავყავი და შინისკენ გავწიე. დათქმულ დროს ელიზბარმა და გოგიამ ლაზი მოიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ ნანოც მოვიდა. ნანო და გოგია სასტუმრო ოთახში დარჩნენ, წუხანდელი თამაშის პერიპეტიებს იგონებდნენ და ერთობ მხიარულად გრძნობდნენ თავს. მსახურმა ეზოში მაყალის გაფიცხებას მიჰყო ხელი. ლაზი და ელიზბარი სამზარეულოში საქმიანობდნენ. მეც იქა ვტრიალებდი. რამდენჯერმე დამითხოვეს, – ხელს ნუ გვიშლი, წადი, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო, მაგრამ თავი ვერ დავანებე. ბოლოს ცული და დასაკეპი ხორცი მარგუნეს. ამასთან დაკავშირებით ელიზბარს მეწისქვილის კარზე მიმდგარი სახედრის ანდაზა მოაგონდა და მუშაობას შევუდექი.

ეს ამბავია, – სადარბაზოდან ზარის წკრიალი მოისმა. ხელები ხორცის წვენში მქონდა ამოვლებული, ჩემი მსახურის წინსაფარი მეკეთა, გასვლა-გაგებება არ შემეძლო. არც გოგიას შეწუხება ჩავთვალე შესაძლებლად, ცალფეხი კაცი იყო და ნანოს გავძახე, – გაუღე, ალბათ, კლიენტია ვინმე და უთხარი, დღეს ვერ მივიღებ, ხვალ კანტორაში მნახოს-მეთქი.

ნანო სადარბაზოში გავიდა, ცოტა ხანს მერე სამზარეულოში შემოიხედა და მითხრა:

– არ მიდის, კლიენტი არა ვარ, სტუმარი ვარო.

– სტუმარი ვარო?.. გვარი არ უთქვამს?

– არა. მაღალ-მაღალი, ტანთხელი, ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის კაცია. რუსია და არც რუსსა ჰგავს.

– შემოიპატიჟე?

– ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი! მისაღებში ზის.

– მიდი, გაეგებე, ეგ ხორცი უკვე მზად არი, – მითხრა ელიზბარმა.

– მაშ, რას ვიზამ, მაგრამ დღეს არავის ველოდი...

ხელები გადავიბანე, მოვწესრიგდი, მისაღებისკენ გავწიე. სასტუმრო ოთახში ფეხი შევდგი თუ არა, გოგიამ მანიშნა, მომიახლოვდიო. მივედი. ნანოც შემოგვიერთდა. გოგიას

რამდენადმე დაბნეული, შეფიქრიანებული იერი ჰქონდა. მისაღებისკენ მანიშნა და ჩურჩულით მკითხა:

– ასე ახლოს იცნობ მაგას, რომ დაუპატიჟებლად გესტუმროს.

– ვისა... ვინ არის?

– თუ არ ვცდები... კავკასიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი გრაფი სეგედი! – უფრო დაბლა წაგვჩურჩულა გოგიამ.

წამიერი დუმილი ამოვარდა.

– მე მაგას... მე მაგას, საერთოდ, არ ვიცნობ. არა, ნაცნობობა არა გვაქვს, თორემ ისე, რა თქმა უნდა, გარეგნობით ვიცი, რომელიც არის... – მივუგე და მისაღებისკენ დავიძარი.

გოგიამ მკლავში ხელი წამავლო, გამაჩერა ტუჩებზე თითი მიიდო:

– სამზარეულოდან გასასვლელი არის?

– არის... აივანზე და მერე კიბეებით – ეზოში. რად გინდა?

– გაართო, ეგებ, ცოტა ხანს. უცბად არ შემოიყვანო... ისე კი, რომ მოიშორებდე აჯობებდა! – მითხრა გოგიამ და სამზარეულოსკენ გასწია.

– რაშია საქმე?! – ვკითხე ნანოს.

– მერე, მერე! წავიდეთ, – დაიჩურჩულა ნანომ და ხმამაღლა, სტუმრის გასაგონად დაიძახა: – აქეთ, ირაკლი, სტუმარი მისაღებში გელოდება.

ელდა ჩავიხშე, თავს დავეუფლდე, სახეზე კლიენტების მიღება-გაცილებაში წლობით შემუშავებული მსუბუქი ღიმილი დავიდე და გავედი.

გოგია არ შემცდარა. სავარძლიდან, მართლაც, გრაფი სეგედი, კავკასიის ჟანდარმთა მრისხანე შეფი წამოიმართა და თავაზიანად მომახსენა თავისი ვინაობა.

ევროპული ტანსაცმელი ეცვა. მაღალი კაცი იყო. ღრმა, ჭკვიანი თვალები და ოდნავ ეშმაკური, მაგრამ სანდომიანი ღიმილი ჰქონდა.

მკრთალი, ნატიფი პირის კანი არისტოკრატულ მოდგმასა და მყუდრო კაბინეტებში გატარებულ ცხოვრებას მოწმობდა.

– დიდად მოხარული ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ... ვერ წარმოიდგენთ, რა კარგ დროს ინებეთ მობრძანება! იცნობდეთ, გეთაყვა, ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისა... სულ მალე მზად იქნება ღმერთების შესაფერი საჭმელ-სასმელი, წარმოგიდგენთ ჩემს უახლოეს მეგობრებს და თქვენს სტუმრობას ლუკულუსის ღრეობით აღვნიშნავთ! ნება მიბოძეთ, გემსახუროთ. – პალტოში წავწვდი, სრული დარწმუნებული ვიყავი, ბოდიშს მომიხდიდა, ვერ დავრჩებიო.

– ნუ შეწუხდებით, თავადო, მე მხოლოდ გრაფი ვარ, უნგრელი გრაფის ჩამომავალი. ამას საგანგებოდ ვუსვამ ხაზს: უნგრეთში ხუთ მოსახლეზე თითო გრაფი მოდის. ასეთია ოფიციალური სტატისტიკა. – ღიმილით თქვა სეგედიმ და პალტო თვითონ გაიხადა.

– საქართველოში ორ მოსახლეზე თითო თავადია, გრაფ. ჩვენ გჯობივართ! – მივუგე მე, რომ გრაფის თანხმობით გამოწვეული დაბნეულობა მიმეჩქმალა.

მისმა ბრწყინვალებამ მიიხედ-მოიხედა, საკიდარი ვერსად შენიშნა და პალტო, უნებლიეთ, ისევ მე გამომიწოდა.

გავედი და დავკიდე.

– თავადო, რაც შემომთავაზეთ, სწორედ იმის სათხოვნელად გეახელით! – განაცხადა სეგედიმ, როცა დავბრუნდი.

– რის სათხოვნელად, თქვენო ბრწყინვალებავ.

– თქვენს მეგობრულ სუფრაზე დასწრება მინდოდა. უცხო კაცისგან ეს, ალბათ, უცნაური მოსასმენია, მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არაფრით შევზღუდო თქვენი დროსტარება და ჩემმა დასწრებამ, იქნებ, თავისებური ელფერიც კი მისცეს თქვენს ლხინს.

გრაფი ცდილობდა, რომ სადა, ძალდაუტანებელი ყოფილიყო, მაგრამ ღელავდა და მის საქციელს ერთ რომელიღაც მომენტში უსიამოვნო სითამამემ დაჰკრა.

– რა თქმა უნდა, რას ბრძანებთ, რა სათქმელია... – მივუგე მე და ელდა მეცა, – ვაითუ, მოულოდნელობით გამოწვეული შეცბუნება სიყალბეში ჩამომერთვას-მეთქი.

გრაფი ღიმილით შემოგვყვა სასტუმრო ოთახში, ღიმილითვე ჩაეშვა მითავაზებულ სავარძელში.

– მსმენია, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩინებულად უკრავთ ფორტეპიანოზე, – უთხრა ნანომ და მე პროგრამით გათვალისწინებული საუბრის დასაწყისი ვიგრძენი: ხომ დავაპირეთ, რომ უნდა გაგვერთო და შეგვეყოვნებინა!

ეგ არის, გრაფმაც იგრძნო რაღაც და ნანო მიუგო:

– თქვენ, ქალბატონო, ჩემსავით ღელავთ. დარწმუნებული ვარ, ეს გაუთვალისწინებელი ვიზიტი სხვებსაც ააფორიაქებს. ერთობ მშვიდობიანმა, მაგრამ საკმაოდ რთულმა საჭიროებამ მომიყვანა და მიზანი მიუღწეველი დამრჩება, თუ ამ ბინაში სიმშვიდემ და გულახდილობამ არ დაისადგურა. დახმარება უნდა გთხოვოთ, სახელდობრ, თქვენ უნდა გთხოვოთ, ერთადერთ ქალს ხუთი მამაკაცის საზოგადოებაში: სძლიეთ თავს და მომეპყარით, როგორც ძველსა და კეთილგანწყობილ ნაცნობს. ეს თქვენც დაგამშვიდებთ და მეც. ჩვე ორივე ერთად, ჩვენი სიმშვიდით – სხვებს, – გრაფმა გაიცინა და დასძინა: – მალე დარწმუნდებით, რომ საუკეთესო განზრახვამ მომიყვანა.

ნანომ სტუმრის სიტყვები გაიკვირვა, ალბათ, უნდოდა, ეთქვა, სრულიადაც არ ვღელავო, მაგრამ აღარ დავაცადე:

– ხუთიოდე წუთით დაგტოვებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ბოდიშს ვიხდი! სამზარეულოს უნდა მივხედო, სულ მალე დავბრუნდები, – ვთ1ვი და გავედი.

ვერ გამეგო, რა ხდებოდა, მაგრამ მოსალოდნელ პიკანტურ სიტუაციას თუ საშიშროებას ნათლად ვგრძნობდი. ალბათ, ამან შემიყვანა საძინებელ ოთახში და ფანჯრიდან ქუჩაში გადამახედა. ჩემს სადარბაზოსთან ორი ეტლი იდგა. ერთი ნანოსი იყო, მეორეში ვიღაც ქუდჩამოფხატული კაცი თვლემდა. სეგედის კაცი იქნება-მეთქი, გავიფიქრე, სხვა რამ მნიშვნელოვანი თუ საეჭვო ვერაფერი შევნიშნე.

სამზარეულოში გავედი. არზნევ მუსკია მოთუხთუხე ქვაბს დასცქეროდა. გოგია და ელიზბარი განაბულები იდგნენ, ფიქრობდნენ.

ჩემმა გამოჩენამ, თითქოს, სამივე ააფორიაქა, მდრტვინავ სიჩუმეს უხერხულობაც მოემატა.

– გამაგებინეთ, რაშია საქმე, – ვთქვი მე.

– ჩვენც მაგაზე ვიტეხთ თავს! – მითხრა გოგიამ.

– რამ მოიყვანა, რა მინდაო? – იკითხა ელიზბარმა.

გადავეცი, რაც იყო და როგორც იყო.

– არაფერი არ არის მაგ, – თქვა ლაზმა. – გაიგო, ალბათ, ელარჯი რომ გვექნება, და საჭმელად მოვიდა კაცი. რაა მერე?.. შენი ლულა-ქაბაბის საჭმელად არ არის მოსული მაგ! – ელიზბარ კარიჭაშვილს გადაულაპარაკა ლაზმა.

– ელარჯზე მოსულს უფრო გავს, – დაუდასტურა გოგიამ.

დავრწმუნდი, რომ ის ლაპარაკი, საიდანაც ვითარებაში გარკვევა შეიძლებოდა, აქ უკვე დასრულებული იყო, და მოულოდნელად გული მომივიდა:

– თუ თქვენი ნალაპარაკევის ჩემთან გამეორება არ შეიძლება, მაშინ რა აზრამდეც მიხვედით, მარტო ისა თქვით!

– არაფერ აზრამდე არ მივსულვართ ჯერ, – მაცნობა ლაზმა.

– სამზარეულოდან ეზოში გასასვლელი კარი ვისთვის იკითხე, – მივმართე გოგიას.

– იმისთვის ვიკითხე, ვისთვისაც შეიძლება, მოსული იყოს ეგ კაცი!

– რომელი შეთქმულები ჩვენა ვართ, შე კაი კაცო. განა, რომელი ჩვენგანი უნდა მიაჩნდეს მაგ კაცს იმდენად მნიშვნელოვან დამნაშავედ, რომ პირადად გვეახლოს?! – ვღელავდი და როცა ვთქვი, მერე შევნიშნე, რიტორიკული ინტონაციით ვთქვი. დავაპირე, ხუმრობაში

გადამეყვანა, რომ შეშინებული კაცის შთაბეჭდილება არ მომეხდინა, მაგრამ თანამოსაუბრეების იერმა დამამუხრუჭა.

ლაზი კვლავინდებურად ქვაბს დასტრიალებდა, გოგია იატაკს დაჰყურებდა. ელიზბარი დაკეპილ, უკვე შეზავებულ ხორცს შამფურებზე ტმასნიდა, თითები და ხელები ოდნავ უკანკალებდა. ვიგრძენი, რომ ყოველ მათგანს ჰქონდა სათქმელი და ჩუმად კი იყვნენ, ერთიმეორეს ელოდებოდნენ. სიჩუმემ, იქნებ, სულ ოციოდე წამს გასტანა, მაგრამ მე იგი უსასრულობად, სულის ამომრთმევ უძრაობად მომაწვა და თავდაცვის ინსტინქტმა გარდუვალი კატასტროფის წინათგრძნობა აღმიძრა. ახლა შემიძლია, თავისუფლად ვაღიარო – ეს იყო წამიერი პანიკა, თავგზააბნევა, სულის წამოძაგძაგება. თითქოს ვიღაცამ ჩემი უღრუბლო ცხოვრება, კეთილდღეობა, წარსული, აწმყო და მომავალი ფაიფურის ლანგარივით დასცა და ნამსხვრევებად აქცია. ვერ ვიტყვი, რას იზამდა ნებისყოფა, მაგრამ ის სულმოკლეობა, რომელმაც ერთიანად მომიცვა და შემიპყრო, მზად იყო, ეყვირა: “თქვენ ყველამ ერთად, რაღაც საშინელი ჩაიდინეთ და მეც საფრთხეში გამაბით. მე არა ვარ თქვენი თანამზრახველი, არ მინდა საშიშროება და რისკი! ბოლოს და ბოლოს რა დააშავა არსებულმა წესწყობილებამ, რატომ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ ავს და გვავიწყდებოდეს სიკეთე?! არ მინდა, წადით აქედან ახლავე და წაიყვანეთ ეს საზიზღარი გველი, რომელიც თქვენის გამოისობით შემოიკლაკნა ჩემს ბინაში, ჩემს ცხოვრებაში, ჩემს მომავალში!..”

– მე ვიყო, იქნება, ის კაცი, ირაკლი! – სიჩუმე დაარღვია ლაზმა

– ჰა?.. რომელი კაცი? – ვკითხე უნებლიეთ და მეგონა, რომ სხვამ ჰკითხა.

– ვისთვისაც შეიძლება, მოსული იყოს ეგ სტუმარი!

სრულიად არ გამკვირვებია, ერთი წამითაც არ შევმცბარვარ და, ალბათ, იმიტომ, რომ ითქვა ის, რაც ჩემმა ქვეცნობიერებამ არზნევ მუსკიასთან პირველი შეხვედრისთანავე დაადგინა. ჩვენი ურთიერთობა სულ ოციოდე დღით განისაზღვრებოდა, მაგრამ რამდენიმე წამში წლების გამოცდილებად იქცა, ლაზის სულიერი პორტრეტი უაღრესი სიცხადით წარმომიდგა და დამრჩა ერთადერთი გრძნობა, რომ ამ კაცს ზნეობრივი დანაშაულის ჩადენა არ შეეძლო. იმავ წამს მივხვდი, რომ გოგიას, ელიზბარს და ნანოს ჩემს წინაშე ცოდვა არაფერი მიუძღოდათ და იმასაც, რომ ადამიანური სამართლიანობა ყველა შემთხვევაში არზნევ მუსკიას მხარეზე უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩემი ადგილი კი იქ, სადაც ეს სამართლიანობაა. მყისვე ვიგრძენი ჩემი აღშფოთების უსუსურობა, სიმდაბლე, და სირცხვილმა ჟრუანტელად დამიარა. გონებამ დაუყოვნებლივ მიკარნახა, რომ ამ ვითარებაში სულ სხვა რამ იყო საჭირო. სიტუაცია ჩარევას, მოქმედებას, პოზიციის აღნიშვნას საჭიროებდა, და მშვიდად ვთქვი:

– არზნევ, შენ უნდა მოიქცე ისე, როგორც შენთვის იქნება უმჯობესი. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ!

– ისე უნდა მოვიქცე, ირაკლი, ძმაო, როგორც ყველასთვის იქნება უმჯობესი. მე მარტო არ ვარ აქ! – მტკიცედ თქვა ლაზმა, მადლიერი თვალები შემომანათა და დასძინა: – არსად არ წავალ მე! გააფიცხებს მსახური მაყალს და აიღებს შამფურებს. სტუმართან გავიდეთ ჩვენ.

გაოგნებულებივით შევცქეროდით.

– ასე უნდა აჯობოს მგონია! – დაადასტურა ლაზმა თავისი გადაწყვეტილება, ქვაბი გადმოდგა, ონკანთან მივიდა, ხელები გადაიბანა, ჩოხის კალთები ჩაუშვა და მითხრა:

– შეგვიძეხი ირაკლი, სახლის პატრონი და მასპინძელი ხარ შენ!

ხმა აღარავის ამოგვიღია, დავიძარით.

გრაფი ჩვენი შესვლისთანავე ადგა, თვალი მოგვავლო. სათითაოდ წარვუდგინე ჩემი სტუმრები. არაფერი საყურადღებო – თავაზიანი ურთიერთმისალმებები, ამგვარ შემთხვევებისთვის საჭირო ღიმილი და ტრადიციული: “დიდად სასიამოვნოა!”

– დასხედით, ბატონებო... სანამ მსახური გვაცნობებდეს, რომ სუფრა მზად არის! – მივმართე სტუმრებს და სავარძლები მივუმარჯვე.

გრაფი თავისსავე სავარძელში ჩაეშვა, ლაზს მიაჩერდა. ოცი წლის უნახავ ნაცნობს უყურებენ ხოლმე ასე.

– კაი გამოვიდა ელარჯი, ქალბატონო ნანო. მე რომ შეგპირდით, ისეთი, თითქმის, – უთხრა ლაზმა.

– ასეთი საოცარი მსგავსება მხოლოდ ტყუპებისა მინახავს! – თქვა გრაფმა ქართულად, ლაზს თვალი მოაშორა, იდაყვი სამკლავეზე ჩამოდო, თავი დახარა და იატაკზე გაფენილ ხალიჩას დააცქერდა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, როგორი სუფთა ქართული გცოდნიათ! გასაოცარია, ღმერთმანი, – სიტყვა ბანზე აუგდო ნანომ.

გრაფი, მართლაც, კარგად ნასწავლ ქართულს ლაპარაკობდა. ჩანს, პრაქტიკაც მდიდარი ჰქონდა და ერთადერთი ნაკლი მისი ქართულისა ის იყო, რომ ხორხისმიერ ბგერებს ვერ გამოთქვამდა.

– ვინ ვის მიამსგავსეთ, გრაფ, ვის გულისხმობდით? – ვკითხე რუსულად და ამის შემდეგ ქართულად აღარავის გვილაპარაკია ლაზის გარდა. – ეს ხან რუსულს ხმარობდა და ხან ქართულს.

ქათინაურისთვის სეგედიმ ნანოს მადლობა გადაუხადა, მე მომიბრუნდა, ცოტა დააყოვნა და პატარა უხერხულობის გრძნობით, მორცხვი ღიმილით მითხრა:

– მუშნი ზარანდიას და დათა თუთაშხიას ვგულისხმობდი, ბატონო ირაკლი. – გრაფი წამით დადუმდა, ალბათ, ჩემს რეაქციას დაელოდა და როცა მოსალოდნელი ეფექტი ვერ შენიშნა, განაგრძო: – იქნებ, საოცარი არც იყოს, ბიძაშვილ-მამიდაშვილი ერთმანეთს რომ ჰგავდნენ, მაგრამ ტყუპებივით?.. პირველი – ჩემი ერთ-ერთი მოადგილეა, მეორე – არზნევ მუსკიად წოდებული თქვენი კლიენტი და მეგობარი.

ის ბოლო ნახევარი საათი იმდენი მოულოდნელობით იყო დატვირთული, რომ ჩემს ფსიქიკას რეაქციის უნარი სრულიად მიჩლუნგებული ჰქონდა და არც გამკვირვებია რამე.

საერთოდ, იქ, იმ წუთსვე, ცხადლივ და თვალწინ, რომელიმე ჩვენგანი შინაურ ცხოველად რომ გადაქცეულიყო, ვერც ეს მეტამორფოზა გამომიყვანდა სრული შინაგანი გარინდებისა და უძრაობის მდგომარეობიდან.

სტუმრები შევათვალიერე.

დათა თუთაშხიად ქცეული არზნევ მუსკია გიშრის კრიალოსანს აკაკუნებდა. ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ ბავშვობის დროინდელი ონავრობა რამ მოაგონდა და ღიმილი მოჰგვარაო. ნანოს მეტისმეტი მღელვარებისგან შუბლზე, ღაწვისთავებზე ოფლის წვეთები გამოსხდომოდა, მარაოს იქნევდა და სუნთქვა უჭირდა. ელიზბარ კარიჭაშვილი მიხვდა, რომ გაფითრდა, და ლოყებს ხელისგულებით ისრესდა. გოგია მშვიდი ჩანდა, დამსწრეთა თვალიერებაში იყო გართული ჩემსავით.

– მართალია ეგ, – სიჩუმე დაარღვია თუთაშხიამ. ნელა ლაპარაკობდა, ყოველი წყვილი მძივის ჩამარცვლას თითო, ორ-ორ სიტყვას აყოლებდა. – ტყუპებივით ვართ. მამაჩემი და მუშნის დედა – ჩემი მამიდა, ესე იგი, – ტყუპის ცალები იყვნენ. იქამდე ვგავართ ერთმანეთს, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ, პატაშიძეა ერთი, პოლიცმაისტერი – ის რომ არ შესწრებოდა, ჩემს მაგიერ მუშნის დაიჭერდნენ. აქციზში მსახურობდა მაშინ ის.

გრაფმა ჩაიცინა:

– მსმენია ეგ ამბავი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ვიჯექი და მეგონა, რომ ეს შეხვედრა თავიდან ბოლომდე ჩემი მოწყობილი იყო, ყველაფერი წინასწარ ვიცოდი და ახლა დოინჯშემოყრილი ველოდებოდი კვანძის გახსნას.

– მე თქვენი სტუმარი ვარ, ქალბატონო და ბატონებო, – თქვა სეგედიმ. – ამიტომ გთხოვთ, რასაც ვიკითხავ ან ვიტყვი, მხოლოდ ჩვეულებრივ საუბრად ჩამითვალოთ. – ნათლად ჩანდა, გრაფი ცდილობდა, თავს დაუფლებოდა. – ბატონო თუთაშხია, დარწმუნებული ვარ, დამსწრეთაგან ერთმა მაინც გირჩიათ თავის გარიდება. სამზარეულოს აქვს ეზოში გასასვლელი კარი. რატომ არ ისარგებლეთ ამ შესაძლებლობით?

დათა თუთაშხიამ რამდენიმე წყვილი მძივი ჩაარაკუნა და მიუგო:

– თქვენ, ჩვენო ბატონო, როგორ გგონიათ ეგ?

– სიმართლე მოგახსენოთ, არ მესმის. თუ კეთილინებებთ... მადლიერი დაგრჩებით დიდად.

– ვიტყვი, აბა. – თქვა თუთაშხიამ, აზრი მოიკრიბა და დაიწყო: – არ შეიძლებოდა ჩემი წასვლა. ბატონ ირაკლისთან არის და, ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული, როგორც კლიენტი ვექილთან. ბატონმა ელიზბარმა სულ არაფერი არ იცის ჩემზე, მისთვისაც ლაზი აზნაური არზნევ მუსკია ვარ მე. ბატონმა გოგიმ და ქალბატონმა ნანომ, მართალია, იციან, დათა თუთაშხია რომ ვარ, მაგრამ ერთმანეთს რომ ვხვდებით ჩვენ ხუთნი, ამ ხნის მანძილზე კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაგვიდენია რომელიმეს და რაიმე ბრალდების

წაყენებაც ვერ მოხერხდება მათთვის; ერთი შეიძლება დაბრალდეს მაგათ – დაუსმენლობა, მაგრამ ტყუილივით მოკლე ფეხი ექნება, მგონია, მაგ ბრალდებას: დაუსმენლობა, მოგეხსენებათ, ის არის, კაცმა თუ რომელიმე ჩადენილი დანაშაული იცის და კანონს დაუმალავს და ან ის, აგერ რომ მზადდება დანაშაული და არ აცნობებს პოლიციას. რომ წავსულიყავი, ამ ხალხის შეწუხების საბაბი მოგეცემოდათ თქვენ. არ მქონდა უფლება, პოლიციაში სასიარულოდ შემექნა მათი საქმე. ახლა, აქ რომ ვზივარ მე, ეს ხალხიც სუფთაა კანონის წინაშე და მეც სუფთა ვარ ჩემი სინდისის და ჩემი მეგობრის წინაშე. ეს ერთი, თქვენო ბრწყინვალებავ, მეორე: თვე-ნახევარია თითქმის, თბილისში რომ ვარ. მალვა და თავის მორიდება აზრად არ მომსვლია ამ ხანში. მესამე დღეს-მეთქი, არ ვიტყვი, მაგრამ მეოცე დღეს ჟანდარმერიამ ხომ უეჭველად იცოდა, აქ რომ ვარ, დათა თუთაშხია! ჩემი დაჭერა ყველგან შეიძლებოდა ადვილად, წუხელის შეიძლებოდა, სამორინეში რომ ვიყავით, მაშინ, და ყველგან, სადაც დაჭერას მოინდომებდა დამჭერი. კაი და, როდის იყო, თქვენხელა თანამდებობის კაცები ვინმეს დასაჭერად თვითონ რომ დადიოდნენ! თქვენი აქ მობრძანება ჩემს დასაჭერად მობრძანება რატო უნდა მგონებოდა, ვითომ? ვთქვათ, და სულ სხვა საქმეზე ხართ მოსული და არც ჟანდარმერიამ იცის თბილისში ყოფნა ჩემი; რატომ უნდა მეშინოდეს თქვენთან შეხვედრის, ნეტავი? პირადი ნაცნობობა გვქონია როდისმე, გინახივართ და გარეგნობა იცით ჩემი, თუ რა არის კიდევ? მესამეც არის: ვიფიქროთ, თითქოს, რაც ვთქვი, ყველაფერი მცდებოდეს მე და იმიტომ მობრძანდით, რომ ჩვენი ეს თავმოყრა ძალიან მოხერხებულია კანონისთვის – მე ცალკე ჩამიგდებთ ხელში და ამ ხალხს ცალკე ამხილებთ ჩემთვის ხელის შეწყობაში. ერთი გასროლით ორი კურდღელი რომ კვდება, ისე გამოდის ეს. საქმე ის არის, რომ სამზარეულოს კარიდან გასვლით იქნება თუ ბინაში დარჩენით – შეიარაღებული ხალხის ხელიდან გასხლტომამ და გაქცევამ უნდა მომიწიოს მე. ათი ასეთი შემთხვევიდან შვიდი ჩემია და სამი თქვენი. არ წავედი და უეჭველად თქვენი სამი რატომ უნდა გამართლდეს, მაინცდამაინც?.. – თუთაშხიამ ჟანდარმთა შეფს თვალი თვალში გაუყარა შეჰღიმა და დაასრულა: – მართალი მოგახსენოთ, რომ მომთავაზეს და არ წავედი, ახლა რაც ვილაპარაკე, მაშინ არ ვიცოდი ეს. იმ წუთში გულმა მითხრა, არ ქნაო. მერე და მერე მოვიფიქრე, სწორად მოვქცეულვარ, თურმე.

– ჯერჯერობით ათ შემთხვევაში ათივე თქვენია, ბატონო თუთაშხია, მაგრამ ხომ შეიძლება... მე, რატომღაც უფრო ფრთხილი მეგონეთ.

– ასეთი ხელობაა ეს, თქვენო ბრწყინვალებავ, – მიუგო თუთაშხიამ. – ათიდან სამი თუ არ მიიჩნია თავისად, ამის ილაჯი თუ არ აქვს კაცს, არ უნდა მოკიდოს ხელი მაშინ ამ საქმეს.

– ახლა რომ შემოცვივდნენ პოლიციელები? – ჰკითხა გრაფმა.

თუთაშხიამ შესცინა. თავი დახარა. კვლავინდებური სიმშვიდითა და კრიალოსნის რაკუნით უთხრა:

– არავინ არ უნდა შემოვიდეს, მგონია, აქ. ეგ რომ ყოფილიყო მოსალოდნელი, აგერ არ ვიჯდებოდი ახლა... რაც არ მომხდარა, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, თქვენო ბრწყინვალებავ. ასე წინასწარ არასოდეს არაფერი მცოდნია მე, თორემ სიამოვნებით მოგახსენებდით მაგასაც.

სასადილოდან მსახურმა შემოაღო კარი, ყველაფერი მზად არისო, მანიშნა და წავიდა.

მიწვევა-მიპატიჟებამ მოსალოდნელი დუმილი ჟრიამულით და ქუსლების ბაკუნით შეცვალა. გავედით. სუფრას შემოვუსხედით.

ელიზბარ კარიჭაშვილი მსწრაფლ გამოცოცხლდა, სასმელ-საჭმლის მიმთავაზებლისა და მიმრთმევის როლში მოგვევლინა. მოსამხრებული იყო, მადა ყველას აღმოგვაჩნდა. მიუწვდომელი ხალისით, შეიძლება ითქვას, გააფთრებით შევუტიეთ სუფრას. შუსტოვის უძველესი კონიაკი მქონდა, – ჩამოვასხი, სტუმრებს შეხვედრისა მივთავაზე. დავლიეთ. ნანომაც კი გადაჰკრა ერთი ყლუპი და ისევ საჭმელს მივდექით. ასე უსაუბროდ გაიარა კარგა ხანმა და, ალბათ, ყოველ ჩვენგანს აწუხებდა სურვილი, რომ ვინმეს ლაპარაკი წამოეწყო.

კიდევ დავლიეთ და ელიზბარმა განაცხადა, – ელარჯი მშვენიერი მისატანებელი ყოფილა კონიაკზეო. ყველა მზადყოფნით დავეთანხმეთ. გრაფიც, მაგრამ საუბარმა თავი ვერ მოიყარა, ბურთი და მოედანი დანა-ჩანგლის მორიდებულ ხმაურს ეპყრა.

კედლის საათმა ჩამოჰკრა. ნანომ, თითქოს ამას ელოდაო, სეგედის ღიმილით ჰკითხა:

– გრაფ, მხოლოდ მესამე ჭიქის შემდეგ უნდა გაგვანდოთ თქვენი სტუმრობის ჭეშმარიტი მიზანი?.. ასე გაქვთ განზრახული?

– მესამე ჭიქის შემდეგ? - გრაფმა გაიცინა. – არა, ქალბატონო, ახლავე ჯობია, თორემ მერე ენა აღარ დამემორჩილება, გონებაც მიმტყუნებს. ის მაფერხებს, რომ ვერ გადამიწყვეტია, საიდან შემოვუარო, როგორ დავაღწიო თავი ერთ სირთულეს, სახამუშო მომენტს...

– იქნებ,შეერთებული ძალებით მოვერიოთ? – იკითხა კარიჭაშვილმა.

– ჩვენთან ყველაფერი ადვილია, გრაფ. – დაურთო ნანომ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სეგედი ფიქრობდა.

– მაგ საქმეს მესამე ჭიქამ მართლაც უნდა უშველოს. აბა, ვნახოთ! – ჩამოვასხი, სადღეგრძელო ვთქვი, მაგრამ სეგედიმ ჭიქა მხოლოდ ტუჩთან მიიტანა და დადგა.

– კავკასიის მეფისნაცვალმა, ბატონებო, გარკვეული სახეობის ბოროტმოქმედთა კერძო ამნისტიის პირადი უფლება მიიღო, – მოგვმართა სეგედიმ და სუფრა მყისვე გაინაბა. – ამნისტია ხორციელდება წარსულში ჩადენილ დანაშაულთა პატიებისა და დამნაშავის შემორიგების გზით. მისი უდიდებულესობის ამ ბრძანებულებას რამდენიმე შენიშვნა ახლავს მათ შორის: ადამიანი, რომელიც მეფისნაცვლისგან მიტევების გუჯარს მიიღებს, თავისუფალ მდგომარეობაში სახელმწიფოსთვის ნაკლებ საშიში უნდა იყოს, ვიდრე დევნილის მდგომარეობაშია. უკეთ რომ ვთქვათ, მისი საშიშობა რუსეთის იმპერიის რიგითი, “მშვიდობიანი” ქვეშევრდომის საშიშროებას არ უნდა აღემატებოდეს არის ასეთი პირობაც: კერძო ამნისტიისთვის წარდგენას ახორციელებს კავკასიის ჟანდარმთა სამმართველო და, სახე-

ლდობრ, მისი უფროსი.

გრაფი შეყოვნდა, დატოვებული კონიაკი გადაჰკრა, ლუკმა მიაყოლა.

სულ ცოტა ხანს სუნთქვაც კი არავისი ისმოდა. სტუმრის სიტყვები აღქმას, გადამუშავებას საჭიროებდა. როდესაც ბოლომდე მივხვდით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გრაფის ნათქვამი ჩვენი მეგობრისთვის და, ამდენად, ჩვენთვისაც, განწყობილება სინდიყის სვეტივით ავარდა ყველამ რაღაც საქმე და საკეთებელი იპოვნა: ზოგმა დანა-ჩანგალი აამოქმედა, ზოგმა პაპიროსი მისთავაზა მეორეს. ზოგმა ცეცხლი... ხმას მაინც არავინ სძრავდა, რადგან, ცხადი იყო, სიჩუმეს იმ მნიშვნელოვანის დაკონკრეტება უნდა მოჰყოლოდა.

– კავკასიის მეფისნაცვალს მე უნდა პატიებისთვის წარვუდგინო ან არ უნდა წარვუდგინო სისხლის სამართლის დამნაშავე დათა თუთაშხია და მოვალე ვარ, არ შევცდე ჩემს გადაწყვეტილებაში. ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებლად და, ამასთან, ზედმიწევნით ზუსტად უნდა ვიცოდე, ვინ არის და რას წარმოადგენს ბატონი დათა თუთაშხია, ახლა უფრო საშიშია სახელმწიფოსთვის, თუ მაშინ უფრო საშიში იქნება, როცა უბეში პატიების საბუთი ედება.

გრაფი კვლავ დადუმდა და დრო ვიხელთე:

– თქვენო ბრწყინვალებავ, ბატონი დათა თუთაშხია ჩემი კლიენტია და ერთდროულად ჩემი ახალშეძენილი მეგობარიც. თქვენი სურვილის დაკმაყოფილება, ჩანს, მისი დაკითხვის, მასთან საუბრის გზით არის შესაძლებელი. აძლევთ თუ არა ბატონ თუთაშხიას თავისი ვექილის გამოყენების უფლებას? მე მზად ვარ, შევასრულო ჩემი მოვალეობა!

სტუმარმა თავი ენერგიულად გაიქნია:

– მაგით ბევრი ვერაფერი გამოირკვევა. მე იმისთვის გეახელით, რომ პირადად გავიცნო ბატონი დათა თუთაშხია, ვისაუბრო მასთან ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, შინაურ ვითარებაში და ჩემს მიერ ადრე გამოტანილი დასკვნები შევამოწმო. ამას გარდა, მსურს, შევაჯერო ჩემი შეხედულებები მის პიროვნებაზე თქვენს წარმოდგენებთან – თქვენ ხომ მისი ახლობლები ბრძანდებით და ბევრი რამ ისეთი იცით ბატონი დათა თუთაშხიასი, რაც ოფიციალური დაწესებულებისთვის მუდამ უცნობი რჩება. ეს არის, ქალბატონო ნანო, ჩემი დაუპატიჟებელი სტუმრობის ჭეშმარიტი მიზანი!

ვიცოდი, რომ ჟანდარმთა შეფობა გრაფისთვის სინეკურა კი არა, დასაბამითვე დათქმული, განგებით მინიჭებული მოწოდება იყო. ამიტომ მისი სურვილი, ჩემი აზრით, რაიმე ქვეტექსტს, უხილავ და ძნელად მისაგნებ განზრახვას უსათუოდ შეიცავდა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, – ვისარგებლე პაუზით. – რამდენადაც მესმის, თქვენი უპირველესი მიზანია, მიაღწიოთ ყოველი ჩვენგანის სრულ ძალდაუტანებლობასა და გულწრფელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საუბარი და ურთიერთობა ფარსად, ცბიერების აუქციონად გადაიქცევა...

– სწორი ბრძანებაა, – დამიდასტურა გრაფმა. – თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ ყოველივე ამას მართებული ფორმა და ინტონაცია შევძინოთ?

– მოტივები, დამაჯერებელი მოტივები, თქვენო ბრწყინვალებავ. ისეთი მოტივები, რომელთა მეშვეობით თქვენდამი სრული კეთილგანწყობისა და ნდობის სტიმული მოგვეცემა.

– უფრო ნათლად?

– მე მგონი, უნდა დაასაბუთოთ, თუ რატომ აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო დასკვნების მისაღებად, სახელდობრ, აი, ასეთი ხერხი და არა ჩვეულებრივი დაკითხვა, ვთქვათ, დაპატიმრების შემდეგ!

გრაფი ჭამას შეუდგა და კარგა ხანს იყო ჩუმად. აღძრული კითხვა, ეტყობა, ყველას დაუჯდა ჭკუაში. ჩემი მეგობრები გაფაციცებით ელოდნენ მისი ბრწყინვალების პასუხს.

– ცოტა ხნის წინ მოგახსენეთ, ერთი სირთულის წინაშე ვდგავარ-მეთქი, – გრაფმა ტუჩებზე ხელსახოცი მიისვ-მოისვა, დაკეცა, მაგიდაზე დადო და განაგრძო: – ჩემი მოსვლის საერთო ძირითადი მიზანი უკვე ნათქვამია და განმეორებას აღარ საჭიროებს. ახლა მე უნდა დავამტკიცო, რომ ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ აქ, ამ თქვენს შეკრებაზე მოსვლით შემეძლო და, რომ ყველა სხვა ხერხი სასურველ შედეგს ვერ მომიტანდა, უვარგისი იქნებოდა. სწორედ ეს არის რთული, რადგან მთავარი, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტის მოყვანას სამსახურებრივი ვალდებულება მიკრძალავს იქამდე, სანამ აქედან წასვლას დავაპირებდე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ღმერთი მოწყალეა... სხვათა შორის, – ღიმილით ჩაუმატა გრაფმა, – ჩემი თანამდებობის წყალობით, უფრო ხშირად მე მარწმუნებენ ხოლმე რაიმეში, ვიდრე მე – სხვებს.

გამიელვა, რომ, ჩვენი მხრივ, უზრდელობა იყო სტუმრის ასე ჩაკირკიტებული გამოკითხვა – რა გინდა, რისთვის მოხვედიო. ბოდიშის მოხდა და თავის მართლება დავაპირე, მაგრამ სეგედიმ დამასწრო:

– ვიხუმრე, თავადო. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, და საუბარი განვაგრძოთ... მას შემდეგ, რაც დაისახა აბრაგ დათა თუთაშხიას კანდიდატურა კერძო ამნისტიისთვის, მისი ძებნა და დევნა ავტომატურად შეწყდა. ეს ოთხი, ხუთი თვის ამბავია. ამ ხნის მანძილზე ჩვენ მასთან კონტაქტის დამყარებას ვცდილობდით, რათა, ჯერ დაგვედგინა, დასაშვებია თუ არა მისი შეწყნარება, და შემდეგ, თუკი დასაშვები აღმოჩნდებოდა – მიგვეცა შემორიგების წინადადება. კონტაქტი ვერ მოხერხდა, ვერ მივაგენით, სად იყო...

– ალბათ, სხვა კანდიდატებიც არანაკლებ ძნელი მისაგნები იქნებიან, თქვენო ბრწყინვალებავ, და ოფიციალურ პირთან შეხვედრაზეც, ხაფანგის შიშით,ბევრი არავინ დათანხმდება, – ვთქვი მე.

– რა თქმა უნდა, მაგრამ სხვებთან შეხვედრა საჭიროებას არ წარმოადგენს ჩვენთვის, ყველა საფუძვლიანად გვყავს შესწავლილი. ბატონი დათა თუთაშხია ამ მხრივ გამონაკლისია... დიახ... ამ ორი კვირის წინათ კონტრდაზვერვის სამსახურმა თურქეთის მოქალაქის, არზნევ მუსკიას პერსონაში აბრაგი დათა თუთაშხია დაადგინა: ხელისუფლებას კი ამნისტირების პროგრამა აქვს დასახული, შემორიგების პოლიტიკას ახორციელებს. მართალია, ამჟამად თუთაშხია თითქოს ადვილი ასაყვანია, მაგრამ არ ავიყვანთ, რადგან

დაპატიმრება დასახული პოლიტიკის ნაადრევად შეცვლას ნიშნავს, რაც საერთოდ და ყოველთვის ზიანის მეტს არაფერს იძლევა. თქვენ იტყვით, – თხუთმეტი, თექვსმეტი წელიწადია ვერ მოიხელთეთ, აგერ, მისი დაპატიმრების ჩინებული შესაძლებლობა გეძლევათ და პროგრამა რაღა შუაშიაო. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია; წარსულშიც გვქონია ასეთი და, წარმოიდგინეთ, ამაზე ნაღდი შესაძლებლობა თუთაშხიას ხელში ჩასაგდებად, მაგრამ განზრახვა სისრულეში მოუყვანელი დარჩენილა. იგივე ფინალი არც ახლაა გამორიცხული და აუტკივარი თავი რატომ ავიტკიოთ აი, მოვედი: შეიძლება? შემოვირიგებთ. არ შეიძლება? დავრწმუნდებით ამაში და აყვანას მერეღა ვცდით. მიზანშეწონილი გადაწყვეტილებაა? – სეგედიმ ეს მე მკითხა.

– დიახ... უკეთ რომ ვთქვათ, საკითხის ერთ-ერთი გადაწყვეტაა. მანდ კიდევ რაღაც უნდა იყოს, ესე იგი, სხვა მიზეზიც... მიზეზებიც თუ არა.

– არის, ბატონო ირაკლი, სხვა მიზეზებიც არის. ამ მაგიდის გარშემო მსხდომთაგან ჟანდარმერიასთან თუ საიდუმლო პოლიციასთან გარკვეული ურთიერთობა უკლებლივ ყველას ჰქონია. ამიტომ, ვფიქრობ, ადვილად გაიცემა სწორი პასუხი კითხვაზე: რა არის დაკითხვისა და გამოძიების პროცესი?

გრაფი დადუმდა და იმის მოლოდინში, თუ რომელი ჩვენგანი მოისურვებდა პასუხს, თვალით ჩამოგვიარა.

– გაუგებარია, გრაფ, – ღიმილით თქვა ელიზბარ კარიჭაშვილმა.

– უკლებლივ ყველასაო, ბრძანეთ... ლაზის, გოგიას და ჩემს მიმართ სწორი ბრძანდებით, ირაკლის და გრაფ სეგედის მიმართაც – იურისტები ხართ და თუნდაც ამიტომ. ნანოს სად და რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა საიდუმლო პოლიციასთან?

გრაფმა გაიღიმა.

– მქონია, უცხოეთში მქონია, – თქვა ნანომ. – ვიცი, რაც არის დაკითხვა და გამოძიება.

ამ დასტურმა პატარა დაბნეულობა და სიჩუმე მოიტანა, მაგრამ გოგია სეგედის კითხვას დაუბრუნდა:

– დაკითხვა, თქვენო ბრწყინვალებავ, ორი ადამიანის ბრძოლაა. ორივე მხარე იბრძვის, იქნებ როგორმე მოვახერხო, რომ საკითხი ჩემებურად გაშუქდესო.

– ჭეშმარიტებაა. ჩემი ღრმა რწმენით, დაკითხვა და გამოძიება, პირველ რიგში, საქმის ვითარების დადგენას იძლევა და მერეღა – ისიც ნაწილობრივ და ზერელედ – დასაკითხი პირის ფსიქიკისა და ბუნების ცოდნას. ბატონ დათა თუთაშხიას საქმეები იმ ზომით, რა ზომითაც ეს მისი შემორიგება-შემოურიგებლობის საკითხისთვის არის საჭირო, სავსებით შესწავლილი გვაქვს. გვჭირდება, ვიმეორებ, მისი ფსიქიკისა და ბუნების ცოდნა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ დაკითხვა ამას ვერ მომცემდა. ეს ჩემი მოსვლის კიდევ ერთი მოტივია. არის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც – ბატონ მუშნი ზარანდიას სურვილი; უფლება არ მქონდა, ანგარიში არ გამეწია მისთვის. დასასრულ, თქვენს წრეში, თქვენის თანდასწრებით ბატონ დათა თუთაშხიასთან შეხვედრა, ვიმედოვნებდი, საუბრის,

აზრთა გაცვლა-გამოცვლის, შეხედულებათა დაპირისპირებისა და შეჯერების სახეს მიიღებდა. ბატონი დათა თუთაშხია პირადად, სამსახურს გარეშეც, მაინტერესებს. ხომ არიან ნუმიზმატები, ფილატელისტები, მხატვრობა-ქანდაკების კოლექციონერები? მეც მაქვს ჩემი ტრფიალი: ადამიანის ბუნება საინტერესო პიროვნებები, თუ გნებავთ, საქციელის ფილოსოფია!..– გრაფი დადუმდა, ისევ თვალებით ჩამოგვიარა და დასძინა: – მოვიყვანე, რაც მქონდა. მეტი არაფერი მაბადია... უფლებამოსილი პირი ვარ და წინასწარ გაძლევთ კეთილშობილი კაცის სიტყვას: იმ შემთხვევაში, თუ ჩემი აქ ყოფნის შედეგად უარყოფით დასკვნას მივიღებ, ბატონი დათა თუთაშხია გარანტირებულია ერთი კვირის ხელშეუხებლობით, ხოლო თუ დასკვნა დადებითი აღმოჩნდება, მას უახლოეს ხანში ჩაბარდება პატიების გუჯარი. მე ბევრი არაფერი მინდა; შემოგთავაზებთ ერთ-ერთ ეპიზოდს ბატონ დათა თუთაშხიას კანონგარეშე ცხოვრებიდან. განვსაჯოთ, შევაფასოთ იგი და გავცეთ პასუხი ჩემთვის საინტერესო კითხვას. ჩვენი პასუხი უნდა იყოს: “არ იქნება უფრო საშიში” ან “უფრო საშიში იქნება”. რა აზრისა ხართ ამაზე?

ყველაფერი შეჯამდა და ისეთი მიმართულება მიიღო, რომ, ერთი შეხედვით, უკეთესს ვერც მოიოცნებებდა კაცი; აქ, ჩემს ბინაში შეიქმნა ვითარება, როდესაც ჩვენი მეგობრის წარსულის პატიება და მისი საზოგადოებაში დაბრუნება, ფაქტიურად, ჩვენს ხელთ აღმოჩნდა. საჭირო იყო უმრავლესობას ეთქვა: “არ იქნება უფრო საშიში”. თუ ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, გრაფის პატიოსანი სიტყვა ურყევ პირობას ჰქმნიდა, რომ დათა თუთაშხია აქაურობას თავს უხიფათოდ გაარიდებდა და, ამგვარად, ჭადრაკის ფიგურები საწყის განლაგებას მიიღებდნენ, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, ბორკილებსა და ტრაგიკულ დასასრულს გაცილებით ჯობდა. გასაგებია, რომ გრაფის კითხვებზე პასუხის გაცემაში თაოსნობა მე უნდა მეკისრა, როგორც იურისტს, ამგვარ საქმეებში სხვა დამსწრეებზე უფრო გამოცდილ პირსა და ბოლოს, როგორც მასპინძელს. არც დამიყოვნებია, სათქმელი მყისვე მოვიფიქრე და ვთქვი:

– ჩემი აზრით, ბატონებო, საჭიროა, ჯერ ყოველმა ჩვენგანმა გამოთქვას თავისი დამოკიდებულება მისი ბრწყინვალების წინადადების მიმართ. ამით ჩვენ შევამზადებთ საფუძველს, რათა ბატონმა დათა თუთაშხიამ გამოთქვას აზრი, სურს თუ არა ასეთი პროცედურის მონაწილე იყოს. მაშ ასე ვაცხადებ: მე თანახმა ვარ!.. ნანო, შენ რას გვეტყვი?

– თანახმა ვარ! შევეცდები, ვიყო მიუკერძოებელი და მართალი, – დაუყოვნებლივ თქვა ნანომ.

– გოგი, სიტყვა შენზეა.

– კი ვარ თანახმა, რა ლაპარაკი უნდა მაგას, მარა მიუკერძოებელი ვერ ვიქნები, ალბათ: დათა თუთაშხიას ახლოს ვიცნობ და მისი რაც ვიცი, ყველაფერი წესიერ ადამიანობად მაქვს მიჩნეული. მიუკერძოებელი დასკვნის გამოტანისთვის რანაირად გამოვდგები, როცა წინასწარ ყველაფერში ვარ მიკერძოებული?! რა უფლება მაქვს, თქვენს პატიოსნებას და კეთილ განზრახვას ცალმხრივი აზრით შევუერთდე. ესეც არ იყოს, ვნახოთ და, ის ერთ-ერთი შემთხვევა, გრაფმა რომ უნდა მოიყვანოს, სწორედ უარყოფითი დასკვნისთვის ვარგოდეს, რა ვქნათ მაშინ? – გოგიამ მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა.

– წინასწარ ხართ დარწმუნებული, ბატონო გიორგი, რომ დათა თუთაშხია ახალ უფლებრივ მდგომარეობაში “უფრო საშიში არ იქნება?” მერედა რა? შემთხვევა, რომელსაც

მე განსასჯელად წარმოვადგენ, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს იგი, უეჭველად შეიცავს თქვენი წინასწარი შეხედულების მამტკიცებელ ან უარმყოფელ წვრილმან-მსხვილმანს. თქვენ საშუალება მოგეცემათ, არა მარტო სიმართლე ბრძანოთ, არამედ თქვენი წინასწარი შეხედულების საფუძვლიანობა-სისწორეც შეამოწმოთ. ჩემი მხრივ, ბატონებო, ვფიცავ, რომ ვიქნები მიუკერძოებელი და მხოლოდ მიუკერძოებელი, როგორც განსჯაში, ისე განსასჯელი გარემოების შერჩევასა და მოყვანაში.

– თანახმა ვარ, – განაცხადა ელიზბარ კარიჭაშვილმა.

– მეც თანახმა ვარ, – ხელი ჩაიქნია გოგიამ.

– მაშინ, ბატონებო, სიტყვა დათა თუთაშხიაზეა. გვაძლევთ თუ არა უფლებას, ვიყოთ თქვენი წარსულის მსაჯულები და თანახმა ხართ თუ არა, რომ გრაფის წინადადება აღსრულდეს? – ვკითხე მე.

დათა თუთაშხიამ ღიმილით შეგვათვალიერა, ორი-სამი წყვილი მძივი ჩაარაკუნა და გვითხრა:

– ვარ თანახმა.

გრაფი ადგა, ბოდიში მოგვიხადა, სადარბაზოსკენ გასწია. გავყევი და წინააღმდეგობა არ გაუმჟღავნებია. ქუჩაში გასვლა უნდოდა. კარი გავუღე, ზღურბლზე დავრჩი. გრაფი თავის ეტლთან მივიდა, იქ მჯდომ კაცს რაღაც უთხრა და ამობრუნდა. ეტლი დაიძრა, კაცმა თვალი მესროლა. მომეჩვენა, რომ ეს კაცი დათა თუთაშხია იყო. მართლაც ტყუპის ცალივით ჰგავდა მუშნი ზარანდია თავის ბიძაშვილს!

სუფრას დავუბრუნდით.

– დავიწყოთ? – იკითხა გრაფმა, პასუხს აღარ დალოდებია და განაგრძო: – მე უკვე მოგახსენეთ რომ ბატონ დათა თუთაშხიას საქმეში არსებული მასალა ზედმიწევნით ვიცი. მრავალი შემთხვევიდან აქ განსასჯელად ისეთი შევარჩიე, რომელიც მოკლეა, შედარებით მარტივიც და, ამასთან, ისეთიც, რომ ჩვენთვის საინტერესო დასკვნის გამოტანას აადვილებს. მოვიყვან, გაეცანით მის არსს და განხილვას შევუდგეთ. აი, ის შემთხვევაც:

ბატონი დათა თუთა ხია ერთ ღამეს მივიდა ვინმე ზარნავასთან, რომლის მასპინძლობით იშვიათად სარგებლობდა. ეს ზარნავა ნავსადგურში მტვირთავად მუშაობდა, პატარა ფული დააგროვა, სოფელში მიწის ნაკვეთი იყიდა, იქვე დასახლდა, მაგრამ ნავსადგურთან კავშირი ამის მერეც არ გაუწყვეტია – უფრო მუშა იყო, ვიდრე სოფლის მეურნე. ზარნავამ რამდენიმე დღით ადრე იცოდა, რომ მასთან დათა თუთაშხია უნდა მისულიყო, მაგრამ, სახელდობრ, როდის ეწვეოდა სტუმარი, – რომელ დღეს და რა დროს – არ იცოდა. ბატონ თუთაშხიას მისვლის შემდეგ, სულ თხუთმეტი წუთი იქნებოდა გასული, რომ ზარნავასთან მოულოდნელად სხვებიც მივიდნენ – სამი კაცი. მათ თან მოიტანეს დაშლილი სასტამბავი მანქანა, შრიფტის ფუთები და ცოტა ქაღალდი; ყოველივე ეს მათ პოლიციის მოსალოდნელ დაცემას გამოარიდეს. ზარნავასთან მიტანა სახელდახელოდ მოფიქრებული ნაბიჯი იყო. სხვა, უფრო საიმედო ადგილი იმ ადამიანებს არ გააჩნდათ. ზარნავამ მოსულები სამზადში შეიპატიჟა. ბატონი თუთაშხიაც სამზადში გახლდათ, იყო

ოროთახიანი ხუხულაც, მაგრამ იქ ზარნავას ცოლ-შვილს ეძინა. მასპინძელმა სტუმრებს მოტანილი ტვირთი მიამალ-მოამალვინა, ვახშამი მიართვა. ვახშმის დროს ბატონ თუთაშხიას საყურადღებოდ რამოდენიმეჯერ ითქვა, ახლა კი წასვლის დროაო; სტუმრებს, რატომღაც სურდათ, რომ ბატონი თუთაშხია მათზე ადრე წასულიყო. ბატონმა თუთაშხიამ თავი წაიყრუა და, პირიქით, თვითონ დაელოდა მოულოდნელი სტუმრების წასვლას. როცა ურთიერთლოდინი გაგრძელდა, სტუმრებმა თუთაშხიას პირდაპირ უთხრეს, – ჯერ თქვენ წადით და მერე ჩვენო. ბატონმა თუთაშხიამ უარი განაცხადა, თქვენზე ადრე არ გავალო. ჰკითხეს, რათაო მან თავისი უარი შემდეგნაირად ახსნა:

,,მე აქ ისე შემოვედი, რომ არავის შევუმჩნევივარ. თუ კიდეც ვინმე ჩასაფრებული მელოდებოდა, მან არც ახლა იცის, რომ მოვედი და აქ ვარ. წასვლა, რა თქმა უნდა, შემიძლია და სწორედ ისე წავალ, როგორც მოვედი, ანუ ის შესაძლებელი ჩასაფრებული კაცები გასვლას ისევე ვერ გაიგებენ ჩემსას, როგორც მოსვლისა არაფერი იციან. ამასთან ერთად, გამორიცხული არ არის, რომ თქვენ ვინმე კვალდაკვალ მოგყვათ, ან სადმე ნათქვამი გაქვთ, ზარნავასთან მივდივართო. ვთქვათ, მე თქვენზე ადრე წავედი და ჩემს შემდეგ გასულებს რამე ხიფათი შეგემთხვათ! ვის დაბრალდება? ვინ იცოდა თქვენი აქ ყოფნა? რა თქმა უნდა, იმანაც, ვინც ამ სახლიდან თქვენზე ადრე წავიდა! რატომ უნდა ვათქმევინო ვინმეს, – მაგ გაცემაში დათა თუთაშხიას ხელი ურევიაო?! ჩემზე უამისოდაც ათას რაღაცას ლაპარაკობენ, – ისეთს, რაც არ გამიკეთებია. წადით თქვენ თქვენ გზაზე და მე წავალ თუ აღდგომამდე აქ დავრჩები – ჩემი საქმეა!”

ლოგიკა და კონსპირაციის წესი ბატონ დათა თუთაშხიას მხარეზე იყო. სტუმრებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, ღამე მშვიდობისა თქვეს და წავიდნენ. ერთი წუთის შემდეგ გახურებული სროლა ატყდა. ბატონმა თუთაშხიამ მასპინძელს ჰკითხა, – წინასწარ თუ იცოდი, ეგენი რომ გესტუმრებოდნენო? ზარნავამ მიუგო, არ ვიცოდიო, და მართალიც იყო, არ იცოდა. ბაგაბუგი კარგა ხანს გაგრძელდა. სროლა რომ შეწყდა, ზარნავამ თუთაშხიას თოფს დაავლო ხელი, ეზოსკენ გაიწია, – წასულებს უნდა მივეშველოო. ბატონმა თუთაშხიამ მასპინძელს თოფი წაართვა, სახლი დატოვა და მას შემდეგ იქაურობას აღარ გაჰკარებია. სროლის შედეგად იმ სამიდან ორი მოკვდა, ერთი გაიქცა. გარემომცველთაგან ერთი მოკვდა, ერთი დაიჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ ზარნავასთან მიტანილი ტვირთი პოლიციამ წაიღო. თვით ზარნავამ სამი თვე პატიმრობაში დაჰყო და შინ დაბრუნდა. ასე გამოიყურება შემთხვევა ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით. ბატონო თუთაშხია, რამდენად შეეფერება სიმართლეს ჩემი ნაამბობი?

– მასე იყო თქვენო ბრწყინვალებავ, სწორედ მასე იყო ეგ! – სინანულით დაუდასტურა დათა თუთაშხიამ.

სეგედიმ თვალი შემოგვავლო და გვკითხა:

– თანახმა ხართ თუ არა, რომ მოყვანილი შემთხვევა საანალიზოდ გამოვიყენოთ?..

დავთანხმდით, მაგრამ მე წინადადება შევიტანე, რომ დათა თუთაშხიას, თუ საჭირო შეიქმნებოდა, მნიშვნელოვანი დეტალები განემარტა.

– არ გამოვა უმაგისოდ არაფერი, – თქვა დათა თუთაშხიამ.

– თავისთავად ცხადია, – დაუდასტურა გრაფმა. – ვის რა შეკითხვა გაქვთ, ბატონებო, ბრძანეთ.

არავინ არაფერს ეკითხებოდა. ვიგრძენი, ყველას ერთი რამის შიში გვქონდა: გრაფის ჭეშმარიტი მიზანი, მიუხედავად მოყვანილი მოტივებისა, მაინც ბუნდოვანი იყო და უალაგო შეკითხვით მისი ფარული განზრახვისთვის უნებლიე სამსახურის გაწევაც შეიძლებოდა.

სიჩუმე გაგრძელდა. ისევ გრაფმა მოგვცა მაგალითი:

– ბატონო თუთაშხია, როგორ მოხდა, რომ ზარნავამ თქვენი მისვლა წინასწარ იცოდა? გამოცდილი და ჭკვიანი მდევარი მაგგვარ შეცდომებს, მოგეხსენებათ, არ პატიობს.

– სწორი ბრძანებაა, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგ ყოველთვის შეცდომაა – წინასწარ შეტყობინება, მოვალო, მაგრამ ზოგჯერ გვერდს ვერ აუვლის კაცი ამას. ზარნავას ნახვა აუცილებელი იყო ჩემთვის და მისვლა თუ იქნებოდა, ნაღდზე უნდა ყოფილიყო, უეჭველად შინ რომ დამხვედროდა – ისე. კაცს რომ შეიპირებ, ამ სამ დღეში მოგაკითხავ და მელოდეო – ან დანიშნულ დროზე ადრე უნდა მიხვიდე, ან დანიშნულ დროზე გვიან. ის შეცდომა ამით სწორდება ცოტათი. მართალია, საშიშროება რჩება მაინც, მაგრამ ათიდან შვიდი რომ ვთქვით, იმის ფარგლებშია ეგ. თვითონ ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ყველაზე დაფარულ და საიდუმლო საქმეებშიც კი, ყოველთვის თუ ხერხდება, რომ მომლოდინემ არ იცოდეს, როდის მივა მასთან შეპირებული კაცი?

– სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ ხერხდება, – მიუგო გრაფმა.

– მასე იყო მაშინაც, ვერ მოხერხდა სხვაფრივ. დანიშნულ დროზე ადრე ორი დღე ვუთვალთვალე ზარნავას სახლს და მიდამოს. დანიშნული დროის მერე – კიდევ დილიდან საღამომდე; საეჭვო ვერ ვნახე ვერაფერი და მივედი, თვარა რას მივიდოდი ისე! მოვტყუვდი მაინც, მაგრამ ეს ცალკეა სათქმელი.

– ის რით აიხსნება, ზარნავამ რომ პოლიციასთან შებმა დააპირა და შენ კი თოფი წაართვი? – ვკითხე დათა თუთაშხიას. ჩემს მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება, მეტი მტკიცებები გამოემზეურებინა იმისა, რომ დათა თუთაშხია ხელისუფლების წარმომადგენლებთან მტრულ ურთიერთობას ყველა შემთხვევაში ერიდებოდა.

– რთულია ეგ. კარგად უნდა დამიგდოთ ყური ყველამ, – დათამ პაპიროსს ცეცხლი მისცა. – პოლიციასთან შებმა არ დაუპირებია, პოლიციასთან მისვლა უნდოდა მას. სათქმელი ქონდა: თქვენ რომ დახოცეთ, სხვა ხალხია ეს ხალხი და თუთაშხია ეგერ ზის უთოფოდ ჩემს სამზადშიო. საფარი და ალყა მათზე არ ყოფილა, ჩემზე იყო ის. იმ სამი კაცის არც მოსვლა იცოდა პოლიციამ და არც ვინაობა. მე და ჩემი ამხანაგები ვეგონეთ მათ...

სეგედიმ გულიანად გაიცინა. დათა თუთაშხია დადუმდა, გრაფს მიაცქერდა, მაგრამ იმ სიცილში არც დასტური იყო დათას მოსაზრებისა და არც უარყოფა.

– მაგ დასკვნამდე რამ მიგიყვანა? – ჰკითხა ნანომ.

– სროლა რომ ატყდა, ათზე ნაკლები არ იყო თოფი იქ. სამი – ზარნავასგან წასულების იყო, შვიდი ან რვა – სხვისი. ვიფიქროთ ჯერ, რომ ამ კაცებმა თავისი სტამბა რომ წამოიღეს, კვალდაკვალ ერთი და, თუ გნებავთ, ორი კაცი წამოყვა პოლიციის მათ. დაინახეს გამოდევნებულმა კაცებმა, ზარნავასთან რომ მივიდა სტამბა. ვთქვათ, ერთი მათგანი პოლიციის მოსაყვანად გაიქცა და მეორე დარჩა – ვინიცობაა არ მოხერხდეს ზარნავასთვის მიბარება იმ სტამბის და სხვაგან წაიღონ კიდევ, გაყვებოდა მაშინ ის დარჩენილი კაცი და ნახავდა, სადაც მიიტანდნენ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სტამბის მომტანები სულ საათ-ნახევარს დარჩნენ ზარნავასთან და იქ წასულ კაცს პოლიციამდე სავალი რომ სამი საათი ქონდა და პოლიციას ზარნავამდე კიდევ სამი რომ ჭირდებოდა, როგორ არის ეს საქმე, ნეტავი? ადევნებული კაცის წყალობით ალყა ვერ მოხდებოდა იქ, ცხადია ეს. კაი, ბატონო. ახლა გავსინჯოთ, ვითომ, წამოვიდნენ ის კაცები, წამოიღეს სტამბა, მაგრამ პოლიციამ იცოდა, სადაც მიაქვთ, შემოარტყეს ზარნავას სახლ-კარს ალყა წინასწარ, თავის კაცებიანად შემოუშვეს სტამბა და რომ გავიდნენ მომტანები, მაშინ აუტეხეს სროლა. არც ეს არის შესაძლებელი; სანამდე ზარნავასთან შევიდოდი, ვთქვი უკვე, ჯერ იყო და, მთელი დღე ვზვერე მიდამო, სოფელი და სახლი. მერე იყო და, ერთი საათი მის ბოსტანში ვიყავი წამოწოლილი, ყურები მეძებარივით მქონდა. არავითარი ალყა არ მზადდებოდა იქ, დავრწმუნდი ამაში და მერე შევედი. შევედი და თხუთმეტ წუთში ის კაცები მოვიდნენ. რომ შემოდიოდნენ, არ იყო ალყა იქ, მერე მოხდა ეს და წინასწარ არაფერი არ იცოდა პოლიციამ იმ კაცების. ახლა, თქვენი აზრი მინდა გავიგო: ვისთვის იყო ალყა იქ?

– იქნებ, ორი კაცი კი არა, რვა კაცი გამოყვათ თავიდანვე? – თქვა გოგიამ.

– როგორ, შე კაი კაცო, იმსიგრძე გზაზე რვა შეიარაღებულმა ცხენოსანმა მოგდიოს და ღამის სიჩუმეში შენ ვერაფერი გაიგო ამისი?

– მიუგო დათა თუთაშხიამ.

– შეუძლებელია. – თქვა გრაფმა.

ამ საკითხის გარშემო კარგა ხანს ვიმსჯელეთ. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ალყა სტამბის მიმტანებისთვის არ შემოურტყამთ. ამ მოსაზრებას გრაფიც დაეთანხმა. ეს კი დასკვნის სისწორეს ნიშნავდა, – კავკასიის ჟანდარმთა უფროსზე უკეთ განა ვის უნდა სცოდნოდა რა იყო და როგორ იყო!

– კარგი, მაგრამ ახლა იმის დასაბუთებაა საჭირო, რომ ალყა, სახელდობრ, შენ შემოგარტყეს, – თქვა კარიჭაშვილმა.

– ვიტყვი მაგასაც. დაგვალევიე, ირაკლი, თვარა, ფხიზელს ამდენი ლაპარაკის თავი ვინ მომცა მე! შამპანურზე გადავედით. დათა თუთაშხიამ ჭიქა ბოლომდე დაიყვანა და განაგრძო:

– იმ სამი კაცის ზარნავასთან მისვლა პოლიციამ რომ არ იცოდა, ამაში შევთანხმდით. თვითონ ზარნავასთვის და მისი ცოლ-შვილისთვის ალყის შემორტყმა არავის არ ჭირდებოდა არაფრად, ესეც ხომ ასეა! სხვა ვინ იყო იქ ჩემს მეტი კიდევ, ვისთვის მოვიდა ალყა, ამით დავიწყოთ და ახლა სხვას მოგახსენებთ მე. ზარნავასთვის შეთვლილი რომ მქონდა, იმ დღეზე ორი დღით ადრე, ღამე ჩიჩუების მოურავთან მთიბავები მოვიდნენ,

ბატონებო, რვა კაცი. წამოიყვანა მოურავმა დილით და დააყენა სამუშაოზე რვავე. ჩიჩუების არის სათიბები იქ. თიბავდნენ ისინი და მთიდან დავყურებდი მე. თიბეს ის დღე, წავიდნენ, დაიძინეს და მეორე დილით უთენია დაადგნენ საქმეს ისევ. თიბეს ის დღეც და ისევ მოურავისას გაათენეს ღამე. მუშაობდნენ ასე. მთიბავები კი არა, ჩაფრები იყვნენ ის კაცები, მაგრამ ღამე მივიდნენ მოურავთან, ცხენები მის თავლაში დამალეს, შიგ არ შემიხედავს მე და რა ვიცოდი. იარაღი სათიბზე არ მოქონდათ, შარვალ-ხალათი მათხოვრის ეცვათ და საეჭვო რა იყო იქ? მთიბავებია და მერე რა? არ ყოფილა, თურმე, საქმე, მე რომ მეგონა ისე, შემიყვანა ზარნავამ სამზადში, გავიდა თვითონ, დაუძახა მეზობელს აქედან, ხვალ დილით ტყეში ვერ წამოვალ მეო, და შემოვიდა ისევ. სტამბა რომ მოიტანეს, ტყეში წასვლაზე უარნათქვამი მეზობელი მაშინ შორს იყო უკვე, ჩაფრებთან გარბოდა გამწარებული, – არიქათ, ზარნავასთან თუთაშხია არის მოსულიო. სტამბიანი კაცების მოსვლის არაფერი იცოდა მან. მოვიდნენ ჩაფრები, ზარნავას სამზადს შემოერტყნენ. შემოვარდნას აპირებდნენ შიგ და მაშინ მოხდა, სტამბის კაცები რომ გავიდნენ გარეთ. ზარნავას მეზობელმა ნიშანი მიიტანა მათთან, თვარა, არ იცოდა და არც უთქვამს მათთვის იქ, – თუთაშხია მარტოა და არავინ ახლავსო. შველა თუ უნდოდა მამაძაღლ ზარნავას იმ სტამბის კაცების, სროლა რომ იყო, მაშინ გაშველებოდა მათ! რომ შეწყდა სროლა, გაიფიქრა ზარნავამ, – ეშმაკია დათა თუთაშხია, მიმიხვდება გაცემას და მომკლავსო. შიშმა მოაგონებია ის უვარგისი ხრიკი, ჩემს თოფს რომ დაავლო ხელი და გარბოდა. არ გაუვიდა, ეგ არის. ასე იყო ეს და არც ბატონი სეგედი დაფიცავს, მგონია, ჩემზე რომ იყო ის ხალხი მოყვანილი იქ.

– ვადასტურებ! – თქვა გრაფმა, დაფიქრდა და სიცილი დაიწყო.

ჩვენც ვიცინოდით. ჩვენი სიცილი სიხარულის სიცილი იყო. ნაამბობი ისე აღვიქვით, ვითომ, აი, ეს არის ახლა, ჩვენი მეგობარი თავისი გამჭრიახობისა და იღბლის წყალობით ნაღდ სიკვდილს გადაურჩა, ხოლო გრაფმა თავისი მხიარულების მიზეზი, მგონი, უაღრესად ზუსტად გამოხატა სადღეგრძელოთი:

– ბრავო, ბატონო თუთაშხია. თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, გაგიმარჯოთ და კვლავაც ხელი მოგიმართოთ ღმერთმა. ვიცი, ვინც ხართ, მაგრამ ჩემს მოლოდინს მაინც გადააჭარბეთ! ამ საუბარს ჩემი პეტერბურგელი უფროსები რომ ესწრებოდნენ, ყველა საყვედურისთვის მოიხდიდნენ ბოდიშს, რომელიც კი ჩემთვის გამოუთქვამთ თქვენს საქმესთან დაკავშირებით!

მთელ საათს გასტანა ჟანდარმერიისა და დათა თუთაშხიას დელიკატურ ურთიერთობათა ამ ეპიზოდზე საუბარმა, სიცილ-ხარხარმა, დეტალების გამეორებამ და პერიპეტიების დაზუსტებამ.

– ბატონებო, – თქვა გრაფმა, როცა საუბარსა და ღვინის სმას ღრეობად ქცევის პირი გამოუჩნდა, – გაქვთ თუ არა კიდევ რაიმე შეკითხვა?

ხალხი თანდათან დაცხრა, დამშვიდდა, ისევ დუმილმა მოიცვა სუფრა.

– ვფიქრობ, რომ ყველაფერი ცხადია. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც მოყვანილ შემთხვევას ეხება, – ვთქვი მე.

მაშინ გრაფმა შამპანური მოსვა და თქვა:

– შევუდგეთ დასკვნას! მაშ, ასე, ყოველმა ჩვენგანმა უნდა წარმოთქვას: “იქნება უფრო საშიში” ან “არ იქნება უფრო საშიში” და მოიყვანოს თავისი შეხედულების მტკიცება.

კვერი დავუკარით.

– ვინ იქნება პირველი?

– დავიწყებ, – ვთქვი, როცა დავინახე, რომ ყველა მე შემომცქეროდა.

მოყვანილი შემთხვევა, დათა თუთაშხიას საქციელი იმ ვითარებაში, ფართო შესაძლებლობებს ჰქმნიდა იმის მტკიცებისათვის, რომ ჩემს მარწმუნებელს – ამჟამად განსასჯელ პირს – დამნაშავეობისკენ, ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დარღვევისკენ საერთოდ არ ჰქონდა მიდრეკილება. იგი მშვიდობიან და მორჩილ კაცად გამოიყურებოდა დევნილის მდგომარეობაშიც კი, და, ცხადია, ასეთივე უნდა ყოფილიყო პატიების შემდეგაც.

– მიაქციეთ ყურადღება იმას, ბატონებო, – ვამბობდი მე, – რომ დათა თუთაშხიამ თავისი ქმედებით გზა მოუჭრა კანონისა და წესრიგის დამცველებზე განზრახულ თავდასხმას – თოფი წაართვა ზარნავას! მართალია, ბოროტგანმზრახველს, თურმე, სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ იმ წუთში თუთაშხიას, და თვით ეშმაკსაც კი, შეუძლებელია, ბოლომდე გაცნობიერებული ჰქონოდა თოფმოღერებული მასპინძლის ჭეშმარიტი სურვილი. სტუმრის ქმედება მხოლოდ იქით იყო მიმართული, რომ ახალი საშიშროებისგან ეხსნა მართლწესრიგი და მისი წარმომადგენლები...

ნათელია, რომ ეს მტკიცება დემაგოგიის მოზრდილ ულუფას შეიცავდა, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოყვანილი. იმდროინდელ საადვოკატო პრაქტიკაში მსგავს მტკიცებებს მოწინააღმდეგეთა შემაყოყმანებელი, მათი შეხედულებების შემარყეველი ფუნქცია ჰქონდა განკუთვნილი და ასეთი იერიშის შემდეგ წამოყენებულ მხოლოდ ერთ ნამდვილ მტკიცებასაც კი ადვილად შეეძლო დაცვისთვის სასურველი შედეგის მოტანა. ნამდვილი, სრულფასოვანი მტკიცებაც სახეზე იყო:

– თოფის წართმევის ემდეგ, ზარნავას მორალურ-ფსიქიკური შოკის აღქმის შემდეგ, ბატონ დათა თუთაშხიას ეჭვის ნატამალიც კი არ დარჩენია, რომ მის წინაშე, პირისპირ და მარტოდმარტო იდგა ტიპიური გამცემი. ეს იყო კაცი, რომელმაც დევნილი გაყიდა, გაყიდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და იმ სისხლიანი, უჭუჭყიანესი ფულით ნაყიდი პური თავისი შვილებისთვის უნდა ეჭმია. დარწმუნებული ვარ, ვინც უნდა ყოფილიყო ბატონ თუთაშხიას ადგილზე, ზარნავას იქვე მოსპობდა. მოსპობდა შეგნებულად, მშვიდად და სრული გარანტიით, რომ ქვეყანაზე არავის ეცოდინებოდა, ვინ მოკლა გამცემი. დაუკვირდით, არც გამოძიებას და არც სამართლოს არავითარი მტკიცება არ ექნებოდა იმისა, რომ ბატონი თუთაშხია საერთოდ იყო ზარნავასთან, არამც თუ იყო და მოკლა კიდეც. ასეთი ჩვენებები ან იმ ერთ გაქცეულ კაცს უნდა მიეცა, ან თვით მკვლელს. პირველი – ემიგრაციაში იმყოფება და მსჯავრისთვის ხელმიუწვდომელია. მეორისთვის საამისო ჭკუა, კარგად მოგეხსენებათ, თავსაყრელად მიუცია ბუნებას. ბატონ დათა თუთაშხიას აზრადაც არ მოსვლია შურისძიება, კუთვნილის მიზღვა. იგი მიტრიალდა და

წავიდა! ვერ ვხედავ ვითარებას, რომელშიც ნაპატიები დათა თუთაშხია უფრო საშიში იქნება დევნილ თუთაშხიაზე. მე მოვრჩი.

ჩანს, ჩემმა მაგალითმა სხვები წაახალისა, სათქმელი უკვე ყველას უტრიალებდა ენაზე, მაგრამ მანდილოსანი გვერია, მისი რიგი იყო. ნანოზე ადრე მე მხოლოდ იმისთვის ვილაპარაკე, რომ დანარჩენ მონაწილეთა მსჯელობისა და აზრისთვის საჭირო გეზი მიმეცა.

ნანო მიხვდა, რომ მის სიტყვებს ველოდით, და თქვა:

– თქვენის ნებართვით, ჯერჯერობით თავს შევიკავებ, სხვების მოსმენა მინდა... მერე ვიტყვი.

– მაშინ ჩემი ჯერი იყოს! – დაიძახა ელიზბარ კარიჭაშვილმა. – ეს ჩემი დასკვნაც იქნება და სადღეგრძელოც.

სუფრა მიჩუმდა.

– კაცთა მოდგმის გარკვეულ ნაწილს განგება ახლის, კეთილის, მშვენიერის შექმნის ჟინს ანიჭებს და ეს ადამიანები შეადგენენ კაცობრიობის ნაღებს! ბატონ დათა თუთაშხიას სულ ერთი თვეა, რაც ვიცნობ. ვერც ამ ხნის მანძილზე, ვერც განსასჯელად მოყვანილ შემთხვევაში ვერ ვხედავ მის ისეთ ნაბიჯს, რომელიც დიდი ნიჭის გამოვლინების ნიმუში არ იყოს. ეს კაცი თავით ფეხამდე, სულით ხორცამდე მძებნელი და შემქმნელი პიროვნებაა. ამასთან, მისი მოქმედების სარბიელი უმძიმესი და ურთულესია ყველა სარბიელთაგან. მე შემიძლია, დაგიმტკიცოთ, რომ ბატონი დათა თუთაშხია სწორედ კაცობრიობის ნაღების შემადგენელი ნაწილია და აი, რატომ: ადამიანის ძირითადი მოწოდება, დანიშნულება – ბრძოლა მგონია, ბატონებო, – შეგნებული, გათვითცნობიერებული ბრძოლა. ბრძოლის სხვებზე მძაფრი უნარი ახლის, კეთილის, მშვენიერის შემქმნელს სჭირდება და აქვს კიდეც. ეგ არის, ვინ რას ირჩევს შესალეწავ და ასაღებ ციხედ! ერთნი მეტოქეს, თავისზე ნიჭიერს, თუ პატივმოყვარეობის ხელმყოფს ებრძვიან, ამაში ხარჯავენ მხნეობას, ნიჭს, სხვა სულიერ ძალებს. სამწუხაროდ, ეს შემოქმედთაგან დიდი და უმდარესი ნაწილია. მეორეებს ბრძოლის ღირსად ერთადერთი ციხესიმაგრე მიუჩნევიათ – საკუთარი არსება! ესენი დაუნდობლად, უკომპრომისოდ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან თავის თავს, რომ რაც შეიძლება მეტი გამოსძალონ საკუთარ შესაძლებლობებს. ეს არის შემოქმედთა უამაღლებულესი ნაწილი! პირველთა ბრძოლის მონაგარი, საბოლოო ჯამში, ნივთიერი ქონებაა. მეორეთა ბრძოლა სულიერი მონაგარით გვირგვინდება. ბატონ დათა თუთაშხიაზე თუკი რამ ვიცი, ყველაფერი მხოლოდღა იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადამიანს ერთადერთი რამ მიუჩნევია ბრძოლისა და დაძლევის საგნად – საკუთარი არსება! განა რა უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეუცვალოს! – ელიზბარ კარიჭაშვილი შეყოვნდა, მერე ჭიქა ასწია გაიღიმა და დასძინა: – შეიძლება, ასეთი პიროვნება სახელმწიფოსთვის საშიში იყოს?! როგორც სადღეგრძელოს პატრონი, ვამბობ: ყველაზე კეთილშობილ, ხანგრძლივ და ულმობელ ომს გაუმარჯოს – ომს საკუთარ თავთან!

– საინტერესოა! – ჩაილაპარაკა გრაფმა. – მაგ სადღეგრძელოს დალევა, ღმერთმანი, ღირს. – გრაფმა რამდენიმე ყლუპი მოსვა და ელიზბარს ჰკითხა: – მაპატიეთ, პირველწყაროს ხომ ვერ დამისახელებდით... დამუშავებული სახით ეგ საკითხი არსად შემხვედრია.

ელიზბარმა გაიცინა:

– თქვენ წარმოიდგინეთ, გრაფ არც მე შემხვედრია! ჩემთვის პირველწყარო სანდრო კარიძეა – არის ერთი. მისთვის, ალბათ, გურამიშვილი და რუსთაველია პირველწყარო. ალბათ-მეთქი, რადგან დამუშავებული სახით – ამ სიტყვის მეცნიერულ აზრს ვგულისხმობ, – ეს კონცეფცია არც მათთან შემხვედრია.

– ვგონებ, რომ ეგ ნეოპლატონიკოსებისა და ფსევდოდიონისე არეოპაგელისგან უნდა მოდიოდეს... გოგი, რას გვეტყვი? – ძველ გზაზე დავაყენე ლაპარაკი.

– ჩემი აზრი მე თავიდანვე ვთქვი: არც იმიდან, რაც დათაზე ვიცი, და არც აქ მოყვანილი შემთხვევიდან არ ჩანს, რომ ეს კაცი ა ახლაა საშიში და ან მერე გახდება. მარა, ერთს დავუმატებ ახლა: კანონი და წყობილება გვაქვს ისეთი, რომ ჩვეულებრივი ამბავი დანაშაულად ითვლება, ხანდახან. ხშირად სულაც არ არის კაცი საიმისოდ დაბადებული და განწყობილი, მარა კანონი და წყობილება გაადამნაშავებს და გააბოროტმოქმედებს მაინც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება როგორ პოზიციას დაიკავებს დათა თუთაშხიას მიმართ. სიმართლე მომეთხოვებოდა და როგორც გამეგებოდა, ისე მოგახსენეთ!

– სწორი ბრძანებაა, ბატონო გოგი, – დაუდასტურა გრაფმა. – მაგრამ სანამ სახელმწიფო და კანონი არსებობს, მაგის საშიშროება მეტ-ნაკლებად ყოველთვის იქნება და არამარტო ჩვენი წყობილების პირობებში. ეგ ყველგან არის მოსალოდნელი და მოქალაქეს მით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და შეგნება მართებს. ახლა, რაც შეეხება სეგედის დასკვნას განსასჯელი საკითხის გამო... – გრაფი დადუმდა იფიქრა და თქვა: – რა მოგახსენოთ?.. ძირითადად ყველაფერში გეთანხმებით. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი დათა თუთაშხია კანონთან და დამსჯელ დაწესებულებებთან ყოველგვარ ურთიერთობას მოერიდება, მაგრამ, ვფიქრობ, რაც გამოითქვა, რამდენადმე ტენდენციური, მიკერძოებული იყო. გასაგებიც არის – საქმე მეგობრის მომავალს ეხებოდა, აქ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. არ დავმალავ. პირადად მე, მაინც თვით ბატონ დათა თუთაშხიას აზრი მაინტერესებს და ვინაიდან ქალბატონმა ნანომ თავისი სიტყვა, მგონი, ბოლოსთვის მოიტოვა – მოვუსმინოთ ბატონ დათა თუთაშხიას!

დათა თუთაშხიამ კარგა ხანს კრიალოსანი ათამაშა, მერე ნანოს შეხედა, თუ გნებავთ, ჯერ თქვენ ბრძანეთო...

– თქვი, დათა. მე შენს შემდეგ...

დათა თუთაშხიამ კარგა ხანს იფიქრა, რამდენჯერმე ხელიც გაასავსავა, თითქოს, სათქმელად მომდგარ აზრებს უარყოფდა ან ყოყმანობდა, ღირს თქმად თუ არაო. მერე პაპიროსის კოლოფს ახადა, მოწევა დააპირა. ესეც გადაიფიქრა, კოლოფი დახურა, განზე გადადო და დაიწყო:

– თქვენო ბრწყინვალებავ, ეჭვიანი ვარ მეტისმეტად. ხშირად ისეთი არ მჯერა, დასაჯერიც რომ არის და სიმართლეც. ცხოვრებამ მიქნა ეს, თვარა, ადრე მიმნდობი ვიყავი და ის არ მჯეროდა, ეშმაკობა და სიცრუე თუ იყო ქვეყანაზე. ნუ მიიღებთ შეურაცხყოფად, ამ ამბისთვის არ ბრძანდებით მოსული, აგერ, ორი საათის მანძილზე რასაც ვაკეთებთ ჩვენ. ვერც იმას მოგახსენებთ, რა გნებავთ, ჭეშმარიტებას ვერ მივაგენი ჯერ მაგრამ ერთია ცხადი: ბუნებითაც კეთილმოსურნე და კარგი ადამიანი ჩანხართ და თქვენი აქ მოსვლაც სასიკეთოდ არის, ასე მწამს მე. მადლობის მეტი რა მეთქმის, თქვენო ბრწყინვალებავ! კარგი კაცი და კეთილი განზრახვა ყველგან და ყოველთვის ვარგა – ასეა. თქვენ ბრძანეთ, რომ ჩემი აზრის მოსმენა გნებავთ. მჯერა, რომ მართლაც და ნამდვილად გაინტერესებთ, თუმცა არ მესმის, რაში უნდა გესაჭიროებოდეთ ის. უნდა ავასრულო თქვენი წადილი, ზრდილობის და საპასუხო კეთილგანწყობის საქმეა, უარის უფლება არ მაქვს, ცხადია, თვარა, სიმართლეს მოგახსენებთ, მიჭირს რატომღაც.

თუთაშხიამ ღიმილით შეგვათვალიერა, ჭიქა ასწია:

– ერთ სადღეგრძელოს ავაყოლებ სათქმელში. თქვენთან ვარ ალავერდს, თქვენო ბრწყინვალებავ. მხარს დამიჭერთ, მგონია.

– სიამოვნებით! – მიუგო გრაფმა და თავადაც წაავლო ხელი ჭიქას.

– ქუთაისში ძმაკაცმა დუქანში შემიპატიჟა საქეიფოდ ერთხელ. სამი სხვა შემოგვიერთდა თანდათანობით და უსაშველო სმა ატყდა, მაგარი სმა! სადღეგრძელო ინება ლხინის უფალმა თასი იყო ასფუთიანი, იმით დავლიეთ დიდი გაჭირვებით ყველამ. დათიკო ერქვა ერთს, არ დალია მან. სალუქვაძე იყო გვარად მეორე შემოსწრებული, დათიკოს უთხრა, – დალიე, შე კაცო, რა დაგემართაო! დათიკო ,– ნამეტანი ძნელია, ვერ დავლევო. გაიკვირვა სალუქვაძემ: ქართველობა, საერთოდ, ძნელიაო, უთხრა, ვითომ ქართველობა ხელობა იყოს რამე. გამეცინა და ჩამრჩა მეხსიერებაში სამუდამოდ. მართლა ძნელია ქართველობა, ბატონებო, და სიძნელე მარტო ის კი არაა, ჩაფებით და ჭურებით რომ უნდა სვას ქართველმა. მთავარი სიძნელე იმაშია, რომ უზის სუფრას, საწყალი, დაიწყებენ მის სადღეგრძელოს, აიყვანენ ცაში, გაასწორებენ ღმერთებთან, უნდა უსმინოს მან და იყოს ასე! რას იზამს საცოდავი, არ აქვს სხვა გზა და გამოსავალი. დიდი მოთმინებაა საჭირო, დიდი! ასე მგონია მე რომ ქართველი კაცი მოთმინებას სუფრაზე სწავლობს, სწორედ. არ არის მთლად დასაძრახისი ეს ჩვეულება. სხვაგან სულ ერთმანეთის დაცინვაში და ლანძღვაში ვატარებთ დროს. სადმე ხომ უნდა გვიყვარდეს და ვაქოთ ერთიმეორე? ამისთვის სუფრა გვაქვს მოგონილი და კარგია ეს. ქართველი კაცი ვარ მეც. სადღეგრძელოებად ჩაგითვალეთ, რაც ილაპარაკეთ აქ და იმიტომ მეყო მოთმინება, თვარა, მე რომ თქვენს მოსმენაში დღე გამოვიარე, ღმერთმა იცოდეს ის! თქვენო ბრწყინვალებავ, საქართველოში ამდენი სამსახურის მანძილზე, მოასწარით უთუოდ ქართული ხასიათის და ქართველი ერის გაგება, მიუტევეთ ჩემს მეგობრებს ცოდვები და ყველამ ერთად დავლიოთ იმ მძიმე ხელობის აღსანიშნავი და სადიდებელი, ქართველობა რასაც ქვია.

სადღეგრძელომ წინააღმდეგობა გამოიწვია. ერთხმად შევუდექით იმის მტკიცებას, რომ არავის არაფერი გადაგვიჭარბებია და რაც ვთქვით, ჭეშმარიტების მეტი არა იყო რა. თუთაშხია არ შეგვკამათებია, გვისმენდა. როცა დავა მინელდა და ქართველობად წოდებული მძიმე ხელობისაც შეისვა, დათა შეწყვეტილ სიტყვას დაუბრუნდა:

– ეს ბოლო ოთხი თუ ხუთი წელიწადი ისე ვიქცევი და ვცხოვრობ – იმ ზარნავას საქმეს ერთი წუთით თავი დავანებოთ – მართლაც, არაფერი საშიში არ ვარ სახელმწიფოსთვის. ეგ არის, ყოველთვის ასეთი არ ვყოფილვარ მე და ისიც ძნელი სათქმელია, მომავალში რას იზამს და რას მოიმოქმედებს კაცი. მის ბრწყინვალებასაც კარგად მოეხსენება ეს და ჩემი უახლოესი წარსულის ერთი მაგალითის კვალობაზე მომავალი საქციელის დადგენა-განჭვრეტასაც არ შეუდგებოდა ამიტომ. ვილაპარაკებ, ვითომ იმისთვის, რომ დასმულ კითხვაზე გავცე პასუხი და ამ ნალაპარაკევიდან გრაფმა და თქვენც, ბატონებო, თვითონ ამოიღეთ, რაც გჭირდებოდეთ, ის... – დათა თუთაშხიამ ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: – თავმოყვარეობით, ქედმაღლობით და ამაყი ხასიათით ვიარე ჩემი მოწიფული ცხოვრების პირველი ნაწილი. ამან მიმიყვანა გააბრაგებამდე. მეგობარი მყავდა ჩემზე უფროსი რამდენიმე წლით, ნაოფიცრალი კაცი. მკადრა რაღაც, არც მე, არც ჩემს ოჯახს და არც თვითონ რომ არ ეკადრებოდა, ისეთი. ვერც მე ვაპატიე, არც მან დაუწყო ძებნა შერიგებას. დავდექით ორმოცდაათ ნაბიჯზე, თითო-თითო ტყვია უნდა გვესროლა ერთმანეთისთვის რიგრიგობით, ასე შევთანხმდით. მე შემხვდა კენჭი და დავაცილე განზრახ – ბიბილოს ძირში გაიარა ტყვიამ, ხეში შეიჭრა. მასაც განზრახ დაცილება არ შეეძლო – სულ ასე რომ გვესროლა, რა გამოვიდოდა მაშინ! იარაღი რომლითაც მეჭირა, იმ მკლავში მომხვდა მისი ნასროლი. წამოვიდა სისხლი, მაგრამ არ შევიცვალე ხელი. ამოვიღე მიზანში, მარჯვენა თვალში მივაბჯინე ლულა. არაფერს არ დავეძებდი, შემდრკალიყო მხოლოდ. ისე იყო დამიზნებული, რომ უეჭველად ხვდებოდა. დაინახა ეს და, სიკვდილი რომ იგრძნო თუ სასიკვდილოდ გამეტება, გაუკვირდა ჩემგან – შედრკა, მიაბრუნა თავი, ის თვალი გამარიდა, რომელშიც უნდა მოხვედროდა! ჩემსას რომ მივაღწიე, მეც მარჯვენა მკლავზე ჩამოვწიე ლულა და ვესროლე. ის ვერ ვივარაუდე, დაშავებულ ხელს სიმაგრე დაკარგული რომ ექნებოდა და ღვიძლში მიიტანა იარაღმა, სულ რომ არ ვაპირებდი, ისე! იცოცხლა, საწყალმა, რამდენიმე დღე და გარდაიცვალა მშვენიერი, კეთილშობილი და რაინდი კაცი!.. ამ ამბავს გავდა, ასეთი ბუნების იყო ყველა ჩემი საქციელი გააბრაგებამდე და მის მერეც კაი ხანს კიდევ. ვიყავი მაშინ საშიში – სახელმწიფოსთვისაც და ადამიანებისთვისაც.

რამდენი მეტი გავიდა დრო, იმდენი დაუნდობლად და განუკითხავად მცემა ცხოვრებამ, მაგრამ არ იყო ეს მარტო ამაყი ხასიათის და ქედმაღლობის ბრალი; ერთი კაცისგან მეორე კაცის დაჩაგვრა მძულდა ბავშვობიდანვე, ვერ ვიტანდი ამას. გასაჭირში და განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი მებრალებოდა, ხელის გაწოდებას და მიხმარებას მოვალეობად ვუთვლიდი ჩემს თავს, ამისთვისაც იყო, რომ მხვდებოდა. ამასობაში ასაკმა მიმატა. ადრე ჩემი ღირსების შელახვას რომ ვერ ვიტანდი, მერე და მერე თითქმის მიმავიწყდა საკუთარი თავი. ახლა სხვისი ღირსების შელახვას ვეღარ ვეგუებოდი ვერაფრით. დავდიოდი ამ ქვეყანაზე და, სიმართლეს ვამბობ, სიცოცხლის ფასად რომ მღირებოდა, მაინც ვებრძოდი უსამართლობით და ძალმომრეობით ლელოს გამტან კაცებს. მაშინაც საშიში ვიყავი სახელმწიფოსთვის და ადამიანებისთვისაც.

კაი რვა, ცხრა წელიწადი ვიდექი ამაზე. საქმე მე არ მქონდა სხვა, მიზანი და მისწრაფება. ეგ არის, მთავრობა მეთამაშებოდა კუკუმალულობას. მაგრამ ამას არც დრო დაჭირებია დიდი, არც ჭკუა და გასართობადაც უკეთესს რას იტყოდა კაცი! კანონგარეშე კაცმა თაგვისოდენა კაი საქმე თუ გააკეთა, ცხენის ზომამდე გაუზრდის და შეულამაზებს ხალხი. მისი ბუნებაა ეს. გლახა საქმესაც ასე უშვრება. გლახა კი არ მიკეთებია მაშინ, დიდი სახელი გამივარდა, კაი მანძილზეც, მაგრამ ბოლო ყველაფერს აქვს და ამასაც გამოუჩნდა დასასრული, დავაკვირდი ჩემს საქციელს და იმ ხალხსაც, მე რომ გამოვადექი რამეში – შველა იყო,

დაცვა იყო, თუ ხსნა. ზოგმა ბოროტებით გადამიხადა, სხვამ იმაზე უარესი ჩაიდინა, რასაც ავაცდინე, ვიღაც თვითონ გახდა მოძალადე და ჯალათი, ღონე რომ მოიკრიფა ჩემი წყალობით, იმის მერე. არ ღირს ლაპარაკად! შევაქციე ზურგი ყველაფერს, აღარ ჩავერიე სხვის საქმეში ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად-მეთქი! მაშინ ყველამ დაივიწყა, რაც სიკეთე მქონდა გაკეთებული, ცუდი კაცების ჭორებს აყვა ხალხი, ზურგი შემაქცია თვითონაც. დავრჩი მარტოდმარტო და მივხვდი, არ მოვიქეცი სწორად, მაგრამ მომავალში რა მეკეთებინა და როგორ მეცხოვრა, ვერც ამის გავიგე რამე. გრაფმა რომ შემთხვევა მოიყვანა, იმის განსჯაში ის იქნებოდა მართალი, ვინც ასე იტყოდა: სახელმწიფოს იმ კაცის არ უნდა ეშინოდეს, რომელიც ბოროტების დათრგუნვას და მახეში გაბმული მებრძოლი კაცები დახსნას არ შეეცდება. აღარ ვარ საშიში ამიტომ აღარ ვარ!

ვიცი, გაინტერესებთ ყველას, რისთვის ვარ აქ, რას ვეძებ და რატომ მოვედი ჩემი წილი ბორკილის თუ ყულფის დასაწიერზე. გეტყვით მაგასაც. არც მგლის მოდგმის ვარ, რომ საჭმლის შოვნისთვის ვიცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები მჭირდებოდეს მარტო. ერის შვილი ვარ მე. ფიქრი მჭირია და საზრუნავი! არ შემიძლია, მკლავებდაკრეფილი ვიდგე და მშვიდად ვუყურო ჩემს ქვეყანას!.. მოვედი თქვენთან, ვნახავ, ვიფიქრე, რით ასაზრდოებს ეს ხალხი თავის გულს და გონებას. არც თქვენ არ იცით, გონია, რაა საკეთებელი და ნამდვილი საქმე. ერთი კია, ჩემსავით მოწყურებული ხართ თქვენც: საუბრობთ, ვარაუდობთ, ეძებთ. რაღაც გზაზე დგახართ, მართალია ესეც, მაგრამ სანამ მანდედან აზრი, მიზანი და საზრუნავი ჩამოყალიბდებოდეს საუკუნე გაივლის კიდევ!

დათა თუთაშხია წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ხელში კრიალოსანი აათამაშა. პირველად ვხედავდი აღელვებულს, მაგრამ თვალნათლივ ჩანდა, თავის დაუფლებას ლამობდა და ეუფლებოდა კიდეც.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – თქვა მან, როცა სრული სიმშვიდე იგრძნო. – არ ვიცი, მივიღებ თქვენგან იმ ქაღალდს თუ ვერ მივიღებ და არც ის მგონია, დიდი მნიმშვნელობა თუ აქვს მაგას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის. ამჟამად, დღეს, ვარ თუ არ ვარ საშიში კაცი – ვთქვი უკვე. ეგ არის, თხუთმეტი თუ ჩვიდმეტი წელიწადი გავიდა – გიამბეთ მე, რამდენჯერ შემეცვალა ზნე და საქციელი ამ ხნის მანძილზე, არ ვიცი და ვერ მოგახსენებთ, ხვალ თუ ერთი წლის მერე რა გზას დავადგები. გოგიმ ბრძანა აქ, – კანონი როგორ მოიქცევა, იმაზეა დამოკიდებული ბევრიო. კანონი და სახელმწიფო, ჯერჯერობით, ისე აქვს კაცობრიობას აგებული, რომ გააბოროტოს კაცი, სიძულვილი ჩაუდოს გულში. ნუ ჩამითვლით, თითქოს, იმის თქმა მინდოდეს, რომ მხოლოდ რუსეთის იმპერიაშია ეს. ყველა ახლანდელ სახელმწიფოს და ყველა ახლანდელ წყობილებას ვგულისხმობ მე. გავა დრო, მიხვდება ადამიანი ამას და შეიცვლება თანდათანობით, თუ ერთბაშად, ეს ამბავი. სიცრუის თქმას არ ვიკადრებ და ვერავის ვერ მივცემ იმის პირობას, რომ ჩამიდებენ თუ არა პატიების ქაღალდს ჯიბეში, მეორე დღესვე შევდგები ბერად და მეფის და იმპერიის დღეგრძელობისთვის ლოცვაში გადავიტყავებ მუხლებს. საითაც გული გამიწევს, იქით წავალ და იმ გზაზე ვივლი, თქვენო ბრწყინვალებავ! ეს არის ჩემი სიმართლე. თქვენ ბრძანეთ, თუ არ ერგება პატიების ქაღალდი, ერთი კვირის ვადას ვაძლევ თუთაშხიას, ხელს ვერ ახლებს ვერავინო. არ მსურს, ჩემი გულისთვის უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. ჩათვალეთ, რომ არ გაქვთ ნათქვამი ეგ. სადაც გამიყვანს იღბალი და მარჯვენა, ის იყოს ჩემი ხვედრი!

სიჩუმე ჩამოვარდა და დიდხანს გაგრძელდა. ანაზდად მივხვდი, რომ გრაფის შეპირებულ პატიებას დათა თუთაშხიასთვის, მართლაც, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს კაცი საგანგებო, მხოლოდ მისთვის არსებული კანონ-წესებით მართავდა თავის ცხოვრებას და სწყუროდა მხოლოდ ერთი რამ: მოქმედება პატიების სიგელით ჯიბეში თუ უამსიგელოდ – სულ ერთი იყო!

– ბატონო თუთაშხია, თქვენ ბრძანეთ, სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, ადამიანის გამაბოროტებელი საწყისიაო, – ხმადაბლა თქვა გრაფმა და შემდეგ ყველას მოგვმართა: – ბატონებო, თქვენც იზიარებთ ამ შეხედულებას?

– მე ვიზიარებ! – მიუგო ნანომ.

– ხომ არ განმარტავდით... ესე იგი, უფრო ვრცლად ხომ არ გვეტყოდით? ამჟამად არსებობს თეორიები, რომელთა დედააზრი მაგ შეხედულებას რამდენადმე ემთხვევა...

– სიამოვნებით, გრაფ, – დათანხმდა ნანო, – თუმცა კი, მგონია, რომ რასაც ვიტყვი, არც ერთ მათგანს არ დაემთხვევა. ამ შეხედულების ავტორი არასოდეს არ იმეორებს სხვის აზრს, არ მოჰყავს ციტატები სხვათა ნაწარმოებებიდან, არ იმოწმებს ავტორიტეტებს. იგი საუბრობს მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ და მტკივნეულ პრობლემებზე, მაგრამ აშუქებს და ასხივოსნებს მათ თავისი სადა გონებისა და კეთილი გულის განუმეორებელი ნათელით.

– მით უფრო საინტერესოა, – გაამხნევა სეგედიმ.

– მეღა დავრჩი, განსასჯელი საკითხის გამო აზრი არ გამომითქვამს. სწორედ მაგ ასპექტით ვაპირებდი მსჯელობას. სხვისი ნააზრევის განმეორება ძნელია, მაგრამ... ინებეთ! დღემდე არსებული დიდი სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება გაფართოებისკენ, ახალი ხალხების დაპყრობისკენ, მათი მიწა-წყლის მიტაცებისკენ, მსოფლიო ბატონობისკენ სწრაფვაა. მათ იმპერიები ეწოდებათ, ხოლო ეს გამუდმებულ საომარ მზადყოფნას ან უშუალოდ დაპყრობითი ომების წარმოებას ნიშნავს. ომის ძირითადი მასალა მეომარია. ძლევამოსილების უმნიშვნელოვანესი პირობა ჯარისკაცის მძაფრი საომარი განწყობილებაა. თავდაცვითი ომების მამოძრავებელი ძალა მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარულია და პირიქით: ვინ და რა გზით შესძლებს ადამიანი დაპყრობისთვის, ჟლეტისა და ნადგურისცემისთვის აღძრას, დაატოვებინოს ოჯახი, სახლ-კარი, სამშობლო, უცხო მიწაზე სასიკვდილოდ წაიყვანოს, თუ გულში წინასწარ სიძულვილი არ ჩაუთესა! დაპყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი, გაბოროტება და მომხვეჭელური სულია. ადამიანში ამ მდაბალი თვისებების აღძვრა-გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა იმპერიის ბუნებიდან მომდინარეობს, მისი პირდაპირი მიზანია, მისი არსებობის გარდუვალი, აუცილებელი შედეგია. კაცობრიობის წარსულის ყველა საზოგადოებრივი თუ რელიგიური მოძღვრება ურჩევდა ადამიანს, ბოროტი ნუ იქნებიო, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია საზოგადოების ისეთი მოდელი, რომლის ძირითადი ნიშანი ადამიანთა გაბოროტება კი არა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული იქნებოდა. ეს არის პასუხი კითხვაზე, რომელიც თქვენ ახლახან დასვით. კიდევ ორიოდ სიტყვა ძირითადი საკითხის გამო: პიროვნება, რომელშიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა სხვა თვისებებს სჭარბობს, შეუძლებელია, არ იყოს იმპერიისა და მისი კანონების აქტიური მოწინააღმდეგე და იგი იმ ზომით არის მოწინააღმდეგე, რა ზომითაც არის

ხსენებული ღირსებები მასში მოცემული. იგულისხმება ისეთი პიროვნება, რომლისთვისაც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა ანგარების მისაჩქმალავი ნიღაბი კი არა, ფსიქიკის ჭეშმარიტად ბუნებრივი მონაცემები და განუყოფელი კუთვნილებაა. ასეთ ნიადაგზე აღმოც-

ენებულ ნაყოფთაგან უპირველესია კაცობრიული სამართლიანობა და, ცხადია, რომ ამ გრძნობით გამსჭვალული ადამიანი უეჭველ და აუცილებელ წინააღმდეგობაში იმყოფება დიდმპყრობელურ სულთან, ანუ იმპერიის წყობილებასა და კანონთან, იგი იმპერიის აქტიური მტერია არის მეორე გარემოებაც: სიკეთე, უპირველესად ყოვლისა, ერისთვის სამსახური და კაცთათვის მაგალითია; სიყვარული – უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივ-კულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი მამულიშვილია, პატრიოტია. ეს ნიშნავს ცხოვრებას დევიზით: “ერისა და მამულის კეთილდღეობა – უწინარეს ყოვლისა!” – მაგრამ აუცილებლად და მხოლოდ კაცობრიულად კეთილი საშუალებებით – მშვიდობის, სამართლიანობის, ზომიერების, სხვა ერების უფლებათა პატივისცემის გზით და ეს არის უზენაესი სიბრძნე, რომელსაც ინტერნაციონალიზმი ჰქვია. თქვენ ბრძანეთ, გრაფ, რომ დათა თუთაშხიას შესახებ მრავალმხრივი და უხვი ინფორმაცია მოგეპოვებათ. თუ ეს ასეა, მაშინ თქვენთვის ისიც თავისთავად ცნობილია, რომ დათა თუთაშხიასთანა კაცები იმპერიისთვის უაღრესად საშიშნი არიან! სხკა შეხედულების არსებობა გამორიცხულია.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა და გრაფმა ჩაილაპარაკა:

– საინტერესო სუბიექტია ეგ სანდრო კარიძე.

ჟანდარმთა შეფმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ, მართლაც, ყველაფერი იცოდა.

– თქვენ გგონიათ, გრაფ, რომ მარტო სანდრო კარიძე აზროვნებს ასე? სრულიადაც არა! კარიძე სხვაზე უკეთ აყალიბებს იმას რასაც უმრავლესობა ფიქრობს, – უთხრა ნანომ.

– არა, საინტერესო ის არის, რომ ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბების მოწმენი და თანამონაწილენი ვართ... ასეთი ეპოქაა! – გრაფმა ხელი ჩაიქნია და ჰკითხა: – ქალბატონო ნანო დაამთავრეთ?

– არა. ორიოდ სიტყვა კიდევ მაქვს სათქმელი უბრალო, ადამიანური პოზიციებიდან.

ნანომ განაგრძო. მას, ალბათ, ასეთივე ინტონაცია ექნებოდა, იგივე არგუმენტებს დაეყრდნობოდა, ჟანდარმერიის შეფთან მიღებაზე რომ მისულიყო დათა თუთაშხიას ხვედრის შემსუბუქების სათხოვნელად. იგი არაფერს ამტკიცებდა, არაფერს მოითხოვდა – მხოლოდ ემუდარებოდა, მხედველობაში მიეღო, რომ...

– თქვენო ბრწყინვალებავ, შეხედეთ კეთილმოსურნე თვალით, სხვა არაფერია საჭირო. ხშირად შეგხვედრიათ დათა თუთაშხიაზე სანდომიანი და კეთილი ადამიანი? ენდეთ ინტუიციას და ჰკითხეთ თქვენს საკუთარ გულსა და გონებას: შეუძლია ამ ადამიანს, იყოს უარყოფითი, ავი, ბოროტი, მრისხანე?.. დევს თუ არა მის ბუნებაში, მის ხასიათში

დანაშაული და ბოროტმოქმედება... არ ეყო, რაც ტანჯვა-წამება გამოიარა? უნდა ეღირსოს თუ არა როდისმე ჭერს, ოჯახს, ლოგინს მშვიდ ძილს?! – ნანოს ცრემლები გადმოსცვივდა, ზეზე წამოიჭრა და სასტუმროსკენ გაემართა.

გრაფი მიჰყვა ზღურბლზე შეაჩერა:

– ქალბატონო ნანო, ვწუხვარ, რომ თქვენი აღელვებისა და ცრემლების მიზეზი ჩემი მოსვლაა. პატიებას გთხოვთ. თავს ვიმხნევებ იმით, რომ მნიშვნელოვან საქმეებს თავისი უსიამოვნებები ახლავს! შემომხედეთ. ო, როგორ გამშვენებთ ცრემლი! რომ მცოდნოდა, საგანგებოდ შევეცდებოდი, მეტირებინეთ. თავბრუდამსხმელი ქალი ხართ, ქალბატონო ნანო... კმარა, მშვენიერებავ, ნუ დაიდებთ ხუთი მამაკაცის ცოდვას, ჩამოდით ციდან!

ნანომ გაიცინა, გრაფს მოჰყვა, მაგიდას დაუბრუნდა. ცრემლები მაინც სცვიოდა და იღიმებოდა – ქალური სისუსტისა და უმწეობის რცხვენოდა.

მშვენიერი იყო ნანო...

– ღვინო! – დაიძახა გრაფმა, ჭიქების შევსებას თვითვე მიიჰყო ხელი და სიცილით მკითხა: – თავადო, ხომ საინტერესო გასართობი შემოგთავაზეთ?!

– შეუდარებელი, გრაფ, და მეტად სასარგებლოც!

– მანდილოსნის ცრემლს გაუმარჯოს, ბატონებო! – სეგედიმ ჭიქა ასწია. – ყველაზე დამაჯერებელ, ქმედითსა და შედეგიან არგუმენტს! ქალბატონ ნანოს გაუმარჯოს, რადგან მან ეს არგუმენტი თავის უმშვენიერეს ვარიანტში წარმოგვიდგინა.

გრაფი ნანოსთან მივიდა, ხელზე ეამბორა.

სადღეგრძელომ ხმაურით, ხუმრობითა და ბროლის წკრიალით აავსო ოთახი. ჟრიამულმა იმატა, აღგზნებამ დავა-კამათის განწყობილება შექმნა. ამ საყოველთაო აყალმაყალში გრაფი ზეზე წამოდგა და სიტყვა ითხოვა.

– ბატონებო, სამწუხაროდ, წასასვლელი ვარ. მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ მიღებისა და მასპინძლობისთვის. ნასიამოვნები და ფრიად კმაყოფილი მივდივარ. გჯეროდეთ, რომ მუდამ მეხსომებით, როგორც საუკეთესო თანამესუფრენი და დახვეწილი ადამიანები. თავს ბედნიერ კაცად ჩავთვლი, თუკი დადებით შთაბეჭდილებას დავტოვებ. აქამდე მიკრძალავდა სამსახური და თანამდებობა ჩემი მოსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზის გამხელას. აი, მთავარი მოტივი... – გრაფმა უბიდან ორი ქაღალდი ამოიღო, ორივე ოთხად მოკეცილი. ერთი მათგანი დათა თუთაშხიას სახელზე შედგენილი პატიების გუჯარი იყო. მეორე – ამ სიგელის მიღება-ჩაბარების ოქმი, რომელსაც ხელის მოწერა სჭირდებოდა. – ბატონო ირაკლი, არ მინდა, შევაწუხო ბატონი დათა თუთაშხია. წარმოადგინეთ რწმუნების საბუთი და შეასრულეთ მოვალეობა.

– სიამოვნებით, გრაფ, მაგრამ ხელშეკრულება სანოტარო კანტორაში მაქვს, სამწუხაროდ, – ვთქვი მე.

დათა თუთაშხიამ ხელშეკრულების თავისი ასლი ამოიღო.

– ამანაც ივარგოს, იქნება, – თქვა მან და საბუთი გრაფს გადააწოდა.

გრაფი კითხვას შეუდგა. პატიების სიგელს თვალი საჩქაროდ ჩავავლე, სხვებს გადავეცი, საწერ-კალამი გამოვიტანე, ჭურჭელი მივწი-მოვწიე და, როგორც ვექილმა და რწმუნებულმა, ოქმს ხელი მოვაწერე.

გრაფი ფეხზე იდგა. ცალ ხელში ჭიქა ეჭირა, მეორეში – ნოტარიუს ირაკლი ხურციძესა და ლაზ აზნაურ არზნევ მუსკიას შორის დადებული ხელშეკრულება და ყურადღებით კითხულობდა...

– რამდენი ხანია, ბატონო თუთაშხია, რაც თქვენი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია არ გინახავთ? – იკითხა სეგედიმ, როცა ეტლის საფეხურზე ფეხი შედგა.

– მეთექვსმეტე წელიწადია, თქვენო ბრწყინვალებავ, – მიუგო დათამ.

გრაფმა გაიღიმა:

– ორი საათის წინ ამ ეტლში იჯდა, აქ იყო!

სიჩუმე ჩამოვარდა.

– რისთვის იყო აქ? – ჰკითხა თუთაშხიამ.

– იმ შემთხვევისთვის, თუ გაქცევას დააპირებდით. თქვენს მოსაბრუნებლად იყო, დასარწმუნებლად, რომ ცუდი განზრახვით არავინ არის მოსული.

გრაფი ჩაჯდა, საათი ამოიღო და დასძინა:

– დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ბატონი მუშნი ზარანდია თქვენთან სასტუმროში მოვა. მთხოვა, გადმომეცა ეს!

ეტლი კუთხეს მიეფარა.

სუფრას მივუბრუნდით.

– რატომ დგებიან ასეთი კაცები ასეთი მთავრობის სამსახურში, ნეტავი? – თავისთვის თქვა დათა თუთაშხიამ.

– ახლა სეგედი თავისი ჟანდარმერიისკენ მიდის და ფიქრობს: რანაირად ხდება, რო ასეთი კაცები ყაჩაღად გადიანო! – მიუგო ელიზბარ კარიჭაშვილმა.

**ყვითელი რვეული**

დათა თუთაშხიასთან დაშორებიდან თერთმეტი წლის და ნანო თავყელიშვილ-შირერის კალიფორნიაში გადასახლებიდან რვა წლის შემდეგ სამოქალაქო სამართლის ნორმებმა, კერძოდ, სანოტარო საქმისწარმოების წესების სათანადო პუნქტმა, საშუალება მომცა, ჩემს კანტორაში მათ მიერ შესანახად დატოვებული თუ ამავე მიზნით მერე გადმოგზავნილი

პაკეტები გამეხსნა. იმ დროისთვის, როგორც ერთი, ისე მეორე კლიენტი უკვე შვიდი და მეტი წლის მანძილზე დუმდა. მოვალე ვიყავი, გავცნობოდი მათი ანაბრის შემადგენლობას და მენახა, ხომ არ შეიცავდა იგი მითითებას, სურვილსა თუ განკარგულებას იმ შემთხვევისთვის, თუკი რაიმე მიზეზის გამო მათი ასეთი მითითება, სურვილი ან განკარგულება დროის ხსენებულ მანძილზე არ გადმომეცემოდა.

თერთმეტი წელიწადი და შვიდი წელიწადი! ეს სრულიად საკმაო დრო იყო იმისთვის, რომ ჩვენი თბილი, გულითადი დამოკიდებულებები მიმვიწყებოდა, ჩემი პროფესიის კაცს ყასაბივით ამეღო დანა და კონვერტები გამეჭრა, მაგრამ! გავაღე სეიფი, გადმოვიღე ჯერ ერთი, მერე მეორე საქაღალდე, მაგიდას მივუჯექი... ხელები ამიკანკალდა, დანა დავდე და ფიქრმა წამიღო.

დიდხანს ვიჯექი ასე. რამდენჯერმე ძალისძალად შევიკავე ყელში მობჯენილი და თვალზე მომდგარი ცრემლები. იმ დღეებზე სხვა დროსაც ბევრი მიფიქრია, განა არა, მაგრამ, ახლა ეს ფიქრი შემაჯამებელი ფიქრი იყო – სინანულით, სევდითა და მწუხარებით აღსავსე მოგონება ადამიანებისა, რომლებმაც ჩემი სიცოცხლის მოკლე, ამასთან, უაღრესად საინტერესო მონაკვეთი შეავსეს და მოწყვეტილი ვარსკვლავებივით მიეფარნენ თვალს. მიეფარნენ და მერე როგორ!

ვახტანგ შალითურმა პორტარტურის ალყის დროს გაათავა თავისი ბოღმით სავსე სიცოცხლე. ყუმბარამ ნაკუწებად აქცია თავზეხელაღებული ოფიცერი. სანდრო კარიძემ მონასტერი ფიქრისა და ფილოსოფოსის შრომისთვის საუკეთესო ადგილად მიიჩნია, სამსახურს თავი მიანება, ბერად აღიკვეცა. ერთხელ ძეგვის სადგურზე დავინახე. თვალი ამარიდა. ელიზბარ კარიჭაშვილი საერთოდ გაქრა. მითხრეს, სოფელში ძველთაძველი სახლი და ერთი გადალაჯება მიწა შემორჩენოდა. დაბრუნებულა, ოჯახს მოჰკიდებია, ყვავილების მოშენებას შესდგომია. გოგიას ყელში ამოუვიდა რესტორატორობა, მძიმე პოლიტიკურ საქმეში გაეხვია. ბორკილი ხელმეორედ დაადეს, ახლა უკვე ხის ფეხზე, და კატორღაში წაიყვანეს. მე მას რეგულარულად ვუგზავნიდი თვეში თხუთმეტ მანეთს, სანამ ცოცხალი იყო. ნანოსი წასვლის დღიდან აღარაფერი მსმენია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთხელ მაინც გამომელაპარაკებოდა. ალბათ, აღარ იყო, თუმცა ნამდვილად ესეც არასოდეს მცოდნია. მარტო დათას ცხოვრების ექო მწვდებოდა ხოლმე ხანგამოშვებით. ცოცხლობდა, დაუნდობლად ებრძოდა თავს და იყო მუდამ მართალი კაცი – ერთადერთი და განუმეორებელი. ცოცხლობდა?. ექვსი, შვიდი თვის წინანდელი ცნობების თანახმად, თორემ მაშინ, როცა პაკეტებს ვხსნიდი, იქნებ, უკვე აღარც ის იყო!

გახსნის შედეგად ჩემს ხელთ აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საბუთი და ამ ორი ადამიანის მიწერ-მოწერა. დათას მიერ მიწერილი წერილები ნანოს ცალკე პაკეტში ჰქონდა. ნანოს წერილები სხვა ქაღალდებთან ერთად დათას ერთადერთ ანაბარს შეადგენდა. საბუთებით დაკისრებული ვალდებულებები შემდგომში სრულად და პირნათლად აღვასრულე. მათ საქაღალდეებს ჩემი სანოტარო კანტორის არსებობის უკანასკნელ დღემდე ვინახავდი. მერე არქივის განადგურების საათმაც დაჰკრა; დათას და ნანოს საქაღალდეები ასე, პირდაპირ, დასაწვავად ვერ გავიმეტე, წერილები ჯერ ამ რვეულში გადმოვწერე და მერეღა დავწვი.

“ლაზო, პირისპირ თქმა მინდოდა, მაგრამ ერთთავად ხალხში ვიყავით და ვერ მოვახერხე. ნაწილობრივ იმანაც შემაფერხა, რომ, ვნახოთ და, ასეთ საქმეებში ჩარევას მანდილოსნისთვის შეუფერებლად სთვლიდე?

გუშინდელი დღე ჩემთვის ისევე გადატვირთული იყო განცდებით, როგორც ის, როდესაც პირველად გნახე ოჩამჩირის მიდამოებში. განსაკუთრებულ გარემოებებში შეხვედრა, ალბათ, განგებისგან გვაქვს ხვედრად ბოძებული, თორემ საიდან სადაო?!

წუხელ დიდხანს არ დამეძინა, განვლილ დღეზე ვფიქრობდი. მერე დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რატომ ვფიქრობდი ამდენს და ასე დაჟინებით და იმაზეც, რომ ვიფიქრე თუ არა ამდენი ოჩამჩირის ამბავის ღამეს. ბოლოს დავიღალე, შფოთის შემოტევა გარემოებათა სიმძაფრეს მივაწერე და ჩამეძინა.

მხოლოდ დილამ მომიტანა სიცხადე. თურმე ვწუხდი იმის გამო, რომ გუშინვე არ გამოვნახე საშუალება მეთქვა ის, რაც შენ, ალბათ, უკეთ იცი, მაგრამ მაინც აუცილებელი სათქმელია: როგორ იქცევი!.. ვხედავ, ირაკლის, მართლაც, ლაზი აზნაური არზნევ მუსკია ჰგონიხარ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შენი ნამდვილი ვინაობა თუ გაიგო კიდეც, მისგან ავი არაფერი გელის, მაგრამ გუშინ ორთაჭალის ბაღებში, იმდენ ხალხში, ისე ახდილად ყოფნა?! ხომ შეუძლებელია, იქ პოლიციისაგან არავინ ყოფილიყო?.. მე ვიცი, შენი ჩაბარებისთვის ჯილდოა დანიშნული და, ცხადია, თანხა შავი ორდერითაც არის შემაგრებული. ვინმე ნაძირალა ზურგიდან მოგეპარება და გესვრის.

რა გინდა აქ, რაში გჭირდება ყველაფერი ეგ? მართალია, მე მაგის ჩხიბვის უფლება არ გამაჩნია, მაგრამ ბორკილებს ერთი ნაბიჯი გაშორებს, მოეშვი აქაურობას.

ამ ბეჭედს გიგზავნი ხსოვნისთვის და ნიშნად ამაღლებული მეგობრობისა.

ამეთვისტო ჩემი თვალია.

წადი, ლაზო!

ნ.”

“გამიკვირდა ძალიან და გამეცინა, ქალბატონო ნანო, წერილი რომ მივიღე. ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია წერილი. ვის უნდა მოეწერა ჩემთვის და სად უნდა მოეწერა, ნეტავი. იღბლიანი კაცი ვარ დიდად. სხვაგან რომ მითქვამს ეს, გასცინებიათ, ვინც ჩემი ცხოვრება იცის. იღბალი არ მქონოდა, მაინცდამაინც თქვენ რატომ შეგეყრებოდით ოჩამჩირეში? აქამდე რა მაცოცხლებდა და რა მატარებდა? ხელმეორედ როგორ გნახავდით? დღეს ერთი დიდი სიხარული მარგუნა იღბალმა კიდევ – პირველი წერილი მივიღე და ისიც ამქვეყნად უმშვენიერესი მანდილოსნის ხელით დაწერილი!

არ იცით, ალბათ, რა არის თქვენი წერილი ჩემთვის. არავინ არ იცოდეს, იქნება, ეს!.. ჩემი საქმის კაცი ვერ იბოგინებს, თუ ჰგონია, რომ მოფიქრალი და მზრუნველი ჰყავს ქვეყანაზე ვინმე. კაი ხანია მას მერე, რომ მივხვდი – ჩემზე მე უნდა ვიფიქრო მხოლოდ, და ცის ქვეშ

ყველაფერზეც უნდა ვიფიქრო მე. ორივე ტვირთი უნდა ვზიდო ერთდროულად და ერთად. ერთ-ერთის ან ცალ-ცალკე ზიდვა უქმად შრომა არის ყოველთვის. კარგია ეს, მარტოკაციც ვარ და მთელი ქვეყნიერებაც, მაგრამ ასეთ ადამიანს თანდათან და ბოლოს მთლად ავიწყდება, შესაძლებელი თუა, ვინმემ რომ იფიქროს და იზრუნოს მისთვის. მიავიწყდება ეს და მოთხოვნილებაც მიიძინებს ამის – ხავსით დაიფარება, ფერფლი მიეყრება, ჩაკვდება თითქოს. ცხოვრობ ასე – გიჭირს, გილხინს, წუხხარ, მხიარულობ და აღარ იცი, რომ არის ადამიანისთვის ერთი სანუკვარი გრძნობა კიდევ: ის სიხარული, როდესაც გაიგებ, რომ შენზე ფიქრობს ვინმე და შენი ბედი აწუხებს გულწრფელად და უანგაროდ. პატიოსანი თვალივით იშვიათი და ძვირფასი სიხარულია ეს სიხარული. რამდენ პირობას უნდა მოუყაროს თავი მის ასახდენად განგებამ! ამას მხოლოდ რჩეულთათვის აკეთებს, მგონია, უზენაესი. მე ვარ მისი რჩეული, იღბლიანი კაცი და თქვენ ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს იშვიათი სიხარული მაჩუქა.

რისთვის და რად ვარ აქ – გრძელი საწერია, მაგრამ მომავალში მოხერხდეს იქნებ, თქვენსა და ჩემს შორის ეგ საუბარი, ასე მიგრძნობს გული. ნურაფერი შეგაწუხებთ, ქალბატონო ნანო, არ მაქვს ცუდი წინათგრძნობა... ისე არ ჩამითვალოთ, ვითომ, მთლად შემთხვევას მინდობილი კაცი ვიყო, მაგრამ ჩემი წინათგრძნობის მჯერა. როგორ არ მჯეროდეს, ნეტავი, ჯერ საათივით აწყობილი მომცა ბუნებამ და მერე ათასჯერ მაქვს გამოცდილ-შემოწმებული. ნურც იმას გაიფიქრებთ, თითქოს, თავკერძობით ვცხოვრობდე ქვეყანაზე და ჩემს იქით არ მესაქმებოდეს არაფერი და არავინ. სწორედ პირიქით არის ეს. დევნილი კაცისგან დიდხანს და საიმედოდ თავის შენახვას ერთი პირობა აქვს თავისი: ჩემი ავ-კარგი იმ კაცების ავ-კარგიდან გამოდის, ვისთანაც ვარ და ვისითაც ვარ. თუ მინდა, ხიფათი არ შემემთხვევს, ჯერ იმაზე უნდა ვიფიქრო, რომ ჩემს კაცებს ვერ მიუდგეს ეჭვი, კანონი და სასჯელი. მეგობარი თუ გყავს კარგად, შენც მშვენივრად ხარ მაშინ. უბრალო და მარტივი პირობაა ეს. ზევით სხვა სიტყვებითაც დავწერე ამაზე – ორი ტვირთის ერთად ზიდვა ზე რომ მოგახსენებდით. ყველა ღონე მაქვს მიღებული და მენდეთ, ქალბატონო ნანო, რომ ჩემს გვერდით მყოფ ადამიანს არც ერთს არ მოელის ხიფათი.

თქვენი ორმაგად ძვირფასი საჩუქრის მიღება მეუხერხულა დიდად. მე უნდა მომეძღვნა თქვენთვის რაიმე, უწინარეს, მქონდა გულში, მაგრამ ნაადრევად მივიჩნიე ჯერ. ვიღებ თქვენი თვის პატიოსან თვალს, როგორც დედოფლის საჩუქარს, და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, როგორც ერთ-ერთი რაინდი და ქვეშევრდომი თქვენი სამეფოსი.

ამ წერილს ირაკლის კანტორის უკანა კაბინეტში ვწერ და მის შიკრიკს გამოვატან. ერთგული და სანდო კაცი ყოფილა ისიც. ერთადერთი და უმორჩილესი სათხოვარი მაქვს: ჩვენს შეხვედრებში თქვენთვის საშიში არაფერია, მერწმუნეთ და მენდეთ. ნუ მომერიდებით და ნუ მომაკლდებით. უთქვენოდ აღარაფერს ექნება აზრი.

მარად თქვენი თაყვანისმცემელი – დ.თ.”

“შეწუხებული ვიყავი, ქალბატონო ნანო, თქვენი ნაწყენობით. მითხარით, “უღირსი იყო ამ საღამოს შენი საქციელი, ლაზო. მე შეურაცხყოფილი ვარ”! მერე ეტლიდან ჩამობრძანდით, ცივად გამომეშვიდობეთ და სამუდამოდ წასულივით შეხვედით შინ. კინაღამ წონასწორობამ მიღალატა მაშინ, კინაღამ ჩამოვხტი მეც, რომ ათასი ბოდიშის მოსახდელად

და მოტევებისთვის მეხმეთ... მივხვდი დროზე, ამას შეურაცხყოფად მიიღებდით კიდევ. ჩამოვედი, ფეხით დავბრუნდი სასტუმროში, განადგურებული და გულდამწვარი.

ღამე გავათენე ამ წერილის წერაში. ვვედრებ განგებას, იმ ზომის არ აღმოჩნდეს თქვენი წყენა, რომ წაუკითხავად დამიბრუნოთ ეს. ვფიცავ თქვენს სიცოცხლეს და ყველაფერს, თუ რაიმე დაფიცებად მიღირს ამ ქვეყანაზე, რომ მხოლოდ თქვენთვის იყო, რაც იყო იქ. ჩემთვის ერთი გავაკეთე მარტო – გკითხეთ, რატომ ხართ ცუდ გუნებაზე-მეთქი, მიზეზი თუ არ მეცოდინებოდა, ხომ ვერ ვიმართლებდი თავს ასე?.. აღარ მაცალეთ პირისპირ თქმა, ენით უფრო მეხერხება ეს, ვიდრე საწერ-კალმით. ვწვალობ დიდად, მიჭირს აზრის გამოყოლება, გადაწერა მიხდება ბევრჯერ და სრულად მაინც ვერ ვწერ, რასაც ვფიქრობ, იმას.

არ გახსოვდეთ, იქნება, მაგრამ თქვენ გქონდათ ხელი ჩემთვის გაყრილი და ირაკლი განზე იყო ცოტათი. დარბაზში რომ შევედით, მაშინ მთელმა წვეულებამ ჩვენ მოგვაპყრო ყურადღება – თქვენ და მე, განსაკუთრებით. ზოგიერთს იმწუთსვე შევნიშნე ორჭოფული ღიმილი – ქალს თუ კაცს. მიგვიწვიეს და ერთად დაგვსხეს ორივე. ამას ქალბატონი მარიამიც მიემატა – თქვენსას რომ მანდილოსანი გავიცანი, ის. ათი წუთის მერე მისგან ყველამ იცოდა, პირველად რომ არ ვარ თქვენს გვერდში. ერთი ისეთი გადალაპარაკებაც გავიგონე, სინდისს ვფიცავ, ყურები მინდოდა ამეხია ორივესთვის. თქვენ არ გაკადრეთ, ეგ არის.

ხომ უნდა მეღონა რაიმე, რომ დამსწრე საზოგადოებას აზრი შეცვლოდა? ამიტომ იყო, გამეხარდა, როდესაც ირაკლიმ მითხრა, ქალბატონ ელისო წერეთელს სურს შენი გაცნობა, ლაზების ამბავი აინტერესებსო. ბოდიში მოგიხადეთ და მიგატოვეთ მაშინ. ცეკვების დაწყებისას მოხდა ეს.

ახლა ის გავსინჯოთ, ქალბატონო ნანო, მერე რა მოხდა და რა მოიტანა იმან, რაც მოხდა: ლაზმა მიატოვაო, და ბაგრატიონები, დადიანები და გურიელები შემოგეხვივნენ უმალ. თქვენი გულის მონადირებას ცდილობდნენ ის დიდგვაროვანი კაცები. გართობდნენ, ვისაც როგორ შეეძლო, და ერთიმეორეს ეცილებოდა ყველა. დღეს გულდაწყვეტილები არიან, ალბათ, პირველობას რომ ვერ მიაღწია ვერც ერთმა, სხვაზე მეტად რომ ვერ მოგაწონათ თავი. თქვენ რომ იმ წარმოსადეგი და მიმზიდველი ადამიანების წრეში თავი გეჭირათ, კეთილი თვალი მარტო მაგით მიხვდებოდა, როგორი მანდილოსანი ხართ, მაგრამ მჭორავებმა სხვა გამონახეს იმაში; ელისო წერეთელმა ხალხში მკითხა, – ისეთი რა მოუხერხეთ მაგ მშვენიერ ქალს, რომ ეშინია, წესიერად გაუღიმოს მამაკაცსო? დაიწყეს კისკისი. ცივად მივუგე, – სტუმარმასპინძლობის მეტი არაფერი გვაკავშირებს-მეთქი ჩვენ. ადრე, ლაზებზე საუბარში, არშიყობის მაგვარი საქციელი რომ შემომაპარა ელისო წერეთელმა, ჩემი პასუხის მერე გამხნევდა უფრო, მოჯადოებას უმატა ჩემსას. ავყევი მეც, ყველამ დაინახოს, ვიფიქრე, ამ ქალს რომ ვეარშიყები და ქალბატონი ნანო თავყელიშვილი რომ მართლაც მხოლოდ მასპინძელია ჩემი-მეთქი. ეს იყო და ეს. ისევ სუფრასთან მიგვიწვიეს და მთხოვა მან, ერთად დავსხდეთო. წავყევი, მივუჯექი გვერდში და ვიყავი ბოლომდე იქ. ამან მოიტანა ის, გამოსვლისას რომ კაი ხმამაღლა თქვა ვიღაცამ, – წაიყვანენ, მგონია, ჩვენს ელისოს ლაზისტანშიო! ხომ გაიგონეთ ეს, ქალბატონო ნანო, და ჩემი საქციელით თქვენზე ცუდის ფიქრებს რომ გამოეცალა ნიადაგი, ესეც ხომ მართალია?

ეს ყველაფერი ასეა, თითქოს, მაგრამ თავსატეხი ის არის, რომ მხოლოდ ერთი მხრივ არის ასე. მეორე მხრივ, მართლაც "უღირსი იყო ამ საღამოს შენი საქციელი, ლაზო" და, მართლაც, შეურაცხყოფილი დარჩა დედოფალი! მიზეზი ვჩხრიკე ამისი დიდხანს: ვიპოვნე, მგონია, და ცხრამეტი წლის არ ვართ არც ერთი, უნდა გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება:

ცეცხლი ხართ, ქალბატონო ნანო, და მისი წამოგიზგიზება იყო თქვენი სურვილი – უმშვენიერესი გულის მფლობელად წარსდგომოდა საზოგადოებას ლაზი აზნაური არზნევ მუსკია. სიკეთე ხართ და მადლიერების გრძნობამ გიკარნახათ მანდილოსნური ღირსების გამეტება იმისთვის, რომ კიდევ ერთი ბედნიერი საღამო რგებოდა დათა თუთაშხიას. მე კი, რა ხანია, სიცივემ მარტივი სიხარულის წყურვილი მომისპო. განდეგილი ვარ და ფიცმა აღმიკვეთა, ლოცვა დავამადლო ვინმეს, მოხდილი ვალის საზღაური მივითვისო.

თქვენ ძღვენის ბოძება განიზრახეთ. მე არ მივიღე იგი. დამნაშავე ვარ ამაში და უმჯობესი გზა რომ ვერ გამოვნახე მიზნის აღსასრულებლად – ამაშიც.

მაპატიოს დედოფალმა, სასოება მაქვს მისი კეთილი გულისა და სულგრძელობის.

თქვენი დასჯილი მონა – დ.თ."

"ეეჰ, ლაზო! ყველაფერი იმის ბრალია, რომ მე ქალი ვარ და შენ მამაკაცი. განსხვავებული ბუნებისანი ვართ. ამიტომ მოხდა, რომ წვეულებაზე შექმნილ ვითარებას სხვადასხვა გასაღები მოვარგეთ.

იცი, რა მწყუროდა იმ საღამოს? რწმენა, რომ დამსწრეთა შორის უპირველესი რაინდი ჩემს გვერდით არის, ჩემთან არის და ეს მასაც სიამოვნებს. შურის აღსაძვრელად როდი მეწადა; განა ვინ იცოდა, რომ დათა თუთაშხია ხარ და არა ვიღაც ლაზი აზნაური. ჩემი პატარა, უბოროტო პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და შენი სიხარულისთვის მჭირდებოდა ეს. ამ ჭიის მოსაკლავად მანდილოსნური ღირსებაც კი გაიწირება. ასეთია ქალის ბუნება.

შენ ჩემი სახელისა და ღირსების სახსნელად აღიძარი. ამით რაინდის რეპუტაციის მოხვეჭა არ განგიზრახავს, ვიცი; ვინ მიხვდებოდა, რომ ჩემგან წასვლა და ელისო წერეთლის გვერდით ყოფნა სიმძიმილი იყო შენთვის. ადამიანური ვალის მოხდის გზით სულივრი მოთხოვნილების დაკმაყოფილება გსურდა. მაგ ჭიის მოსაკლავად ის "მარტივი სიხარული" რაც შენ ჩემთან ყოფნას დაარქვი, ყოველთვის და ადვილად გაიწირება. ასეთია მამაკაცის ბუნება.

ჩემი დედაკაცური ბუნების ხვაშიადი შენთვის ისევე მიუწვდომელი აღმოჩნდა, როგორც ჩემთვის – შენი მამაკაცური ბუნების საქციელი. ორი საწინააღმდეგო საწყისი შეხვდა ერთმანეთს. არის მესამეც, ორივე ბუნების ერთდროულად შემცველი – ღმერთი! ფილოსოფოსები ამბობენ ასე. მე სიკეთე მიმაჩნია ღმერთად, რადგან იგი სიყვარულს და მშვენიერებას გულისხმობს. თუ ადამიანში სიკეთემ თავისი უდახვეწილესი სახით იჩინა თავი... შენ ახლო ხარ ამასთან.

ჭეშმარიტება შენსკენ არის, რადგან შენი საქციელის შედეგი, ზოგადად, დადებითია. ჩემი განზრახვის შედეგი ჯერ საკუთრივ ჩემთვის იქნებოდა დადებითი და მერე მოყვასისთვის. არაფერში არა ხარ დამნაშავე. ის საყვედური "წამოგიზგიზების" ბრალი იყო.

მაპატიე.

გადავიკითხე ეს წერილი. იქნებ ჯობდა, ცხრამეტი წლისანი ვყოფილიყავით?

ნ.

P.S. ირაკლისთვის უკვე მეგობარი ხარ და, მგონი, რომ უხერხულია, არ იცოდეს შენი ნამდვილი ვინაობა, როგორმე რასმე უნდა მივახვედროთ. ალბათ, გადაკრული სიტყვით აჯობებს. თუ თანახმა ხარ, დღეს გოგიას რესტორანში რომ ვიქნებით – მაცნობე, რამეს მოვიგონებ"

"ვიღაც რომ გიყურებს, ქალბატონო ნანო, და უკვირს, თუ შურს რა მშვენიერი ქალი ჩაუგდია ხელში ამ ღვთის გლახასო – დამეთანხმებით, ალბათ, რომ "ღვთის გლახას" კიდეც თუ უხარია შემაცქერლის ასეთი ფიქრი, მაინც მარტივი სიხარულია მისი სიხარული. ამას ვგულისხმობდი და არა ისე, ვითომ, თქვენს გვერდით ყოფნა მიმაჩნდეს მარტივ სიხარულად. ვნანობ დიდად, განმარტება რომ მომიხდა, ჩემი ცუდი მოქართულობის ბრალია ეს.

წუხელის გოგიასთან ვახშმობისას რაც მოხდა, ცოტა თავხედური იყო, მართალია, მაგრამ შალითურისთანა კაცებთან სხვანაირად მოქცეეა არ ვარგა, კისერზე შემოსკუპება იციან მაგათ. მთლად და ბოლომდე არაფერი ეშველებათ, რაც არ უნდა იღონოს კაცმა, ვიცი მე. ეგ არის, წუხანდელისთანა გაკვეთილები შველის ცოტათი – სხვაგან ნაკლებად თავხედი იქნება ვახტანგ შალითური, ნამდვილია ეს. ეტლში რომ მითხარით, – ლაზო, მე ვიცი, ვინც ხარო, – ირაკლი გაფაციცდა. ადრე აღებული ეჭვი მაგ სიტყვებმა უფრო გაუმახვილეს, ვიგრძენი. იმდენად წარმოუდგენელი დამთხვევები ხდება მის გარშემო, რომ თუ მიხვდა კიდეც ყველაფერს, ადვილად ვერ დაიჯერებს მაინც. ხომ არ აჯობებდა, ბოლომდე გვეთქვა ყველაფერი? ვითომ, მისთვის – მეგობრისთვის – გაკეთდა ეგ და უარეს საძებარში და თავსატეხში ჩავაგდეთ ახლა. ჩემი ბრალია ეგეც: მეგონა, გაგრძელდებოდა საუბარი და ვეტყოდი თვითონ. ამ ვარაუდით განიშნეთ თანხმობა რესტორნიდან გამოსვლისას, მაგრამ არ მოხდა ისე, რომ მინდოდა.

რა ვქნათ – გავჩუმდეთ თუ პირდაპირ თქმა ვარჩიოთ?

ჩემს მოსაზრებას გეტყვით ამაზე. საერთოდ, ამ საქმეებში წესი ასეთია: ჯობია, რომ არ იცოდეს არაფერი. მე თუ ჩავუვარდი ხელში პოლიციას – ირაკლიმ არ იცის, ვინ ვარ, ჩემს თანამონაწილედ არაფერ უკანონობაში არ ყოფილა და ბრალს ვერაფერში დასდებენ მას. თუ ეცოდინება, ვინ ვარ და როგორმე ათქმევინეს ეს, მაშინ ჩვენს შორის დადებულ ხელშეკრულებას ძალა ეკარგება და მეტი უსიამოვნება გადახდება, ვიდრე პირველ

შემთხვევაში. საბოლოოდ ყურებზე ხახვს ვერ დააჭრის ვერავინ – ასეა ეს. მაგ რამ... იფიქრეთ თქვენც, ქალბატონო ნანო, და როგორც იტყვით, ისე მოვიქცეთ.

თექვსმეტის ვიყავი, ჩემით ცხოვრებას რომ მივყევი. ჩვიდმეტისას პირველი მარცვალი ჩამივარდა გულში და თვრამეტი წლის ასაკიდან დაწყებული ისე მეჩვენება, რომ ყველა ქალი ყველა მამაკაცთან ყველანაირ ურთიერთობაში იჩაგრება. მის წყურვილს და ვნებას ათასნაირი შიში ახლავს გამუდმებით. ეს აწვალებს სწორედ. ყველაზე უფრო იმით იჩაგრება ქალი, რომ ეშინია, ვინმემ არ გადაიბიროს ჩემი მამაკაცი ან თვითონ არ მიმატოვოს სხვა მიზეზითო. კაცებსაც ჭირთ იგივე. მაგრამ ნაკლებად და ნაკლებს. ეს რწმენა რომ გამიჯდა, მას მერე ქალთან ურთიერთობა გამიძნელდა. სულ ის ფიქრი მქონდა,– ვაითუ ერთგულება არ გამყვეს ბოლომდე ან რამე დავინახოთ ერთმანეთში ისეთი, გული რომ აგვიცრუვდეს ან ერთს ან მეორეს და ხომ უნდა იდარდოს და იტანჯოს-მეთქი მერე. სიყვარულის წერილი არ გამიგზავნია სიცოცხლეში არავისთვის. ჩვენმა მიწერ-მოწერამ მოიტანა და დავფიქრდი, ცხრამეტი წლისას რომ მენახეთ, მოგწერდით თუ არა და როგორს მოგწერდით წერილს. თურმე ასეთი იქნებოდა ის:

“ბედისწერაა ჩვენი შეხვედრა და სიყვარული, ნანო, განგებისგან ბოძებული იღბალია და ვერ წავუვალთ ვერსაით. ათასი მიზეზი არსებობდეს იქნება, წყურვილზე ამთავითვე ხელის აღებას რომ გვაიძულებდეს – ისეთი, მაგრამ არაფერი არ არის ეგ, როცა განგებამ ვალად დაგვდო – ერთმანეთის ვიყოთ. ამხსნან, თუ გნებავს, ეს ვალი დღესვე – რა არის, მერე: თვითონ დავიდებ ისევ, ვერ შემომბედავს გული უშენობას, სანუკვარო. ერთიც იცოდე, ზეცის ნაჩუქარზე უარის თქმა არ შეგვრჩება არც შენ და არც მე. არც ერთი ღმერთი არ გვაპატიებს ამას, რამდენიც იწამეს ჩვენმა წინაპრებმა უწინ და მერე.

სიყვარულს ბედნიერება და სიხარული მხოლოდ მამაცებისთვის მოაქვს, მორევში უყოყმანოდ გადაშვებისთვის. მხდალის ტრფიალი შიშით და ანგარებით არის თანხლებული მუდამ, რა ღირსი არის და ვინ გაიმეტებს მისთვის ბედნიერებას! არ შედრკე, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნანო, არ შეყოყმანდე, გულს წამოყევი; ნუ იფიქრებ, თუ სად მიგიყვანს ან რას მოიმკი. მაინც ერთად ყოფნაა ჩვენი ბედი, ასეა ეს, და მხდალის ხვედრს ნუ ირგუნებ შენით, სიხარულს შიშზე ნუ გაცვლი, სანატრელო. მოვდივარ შენთან, რომ გემთხვიო. ისევ თუ მეტყვი არაო, მაშინ მოგიტაცებ, ცხრა მთას გადაგატარებ.

სამარემდე მეყვარები და სამარის იქითაც, როგორც არავის ჰყვარებია დასაბამიდან.”

ხედავთ, ქალბატონო ნანო, ის შიში მე თქვენშიც ვიგულისხმე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ბრძანეთ, – ვძლიეო ამას. იქვე და იმავე საუბარში ისიც ბრძანეთ, – ჩემს ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია, სრულიად და ყოველმხრივ თავისუფალი ვარო. შიშის დაძლევას დავიჯერებდი კიდევ, მაგრამ თქვენი თავისუფალი საქციელი ვერ დავიჯერე. ეგ იმისთვის ბრძანეთ, მგონია, რომ ბრიყვი ვეტროვის ეჭვის უსაფუძვლობაში დავრწმუნებულიყავით ირაკლი და მე. ის ადამიანი არ ხართ, რაც იქ იტვირთეთ, ხატზე შემიძლია დავიფიცო ეს.

მაპატიეთ, ასე ახლოს მოსვლა რომ შეგბედეთ და უმორჩილესად გთხოვთ, ამ წერილს ლიზღიერებაში ნუ ჩამომართმევთ.

მარად თქვენი – დ.თ.”

“შენ წუხელაც ჩამოაგდე სიტყვა ქალის სიყვარულის მხლებელზე – შიშზე. ვიცი, იმედი გქონდა, საუბარში შემოგყვებოდი. ვერა. ეს ლაპარაკი მხოლოდ ჩვენს შორის და პირისპირ უნდა მოხდეს.

ახლა “სიყვარულის წერილზე” უნდა გიპასუხო: ჩემი სათქმელისთვისაც ჯობია და ვალის გადახდასაც ვსინჯავ: იმ რამდენიმე პწკარით ისეთი სიხარული მომანიჭე, როგორიც მხოლოდ ქალიშვილობაში ან ოცნებაში შემეძლო განმეცადა და ვცდილობ, მეათედი მაინც დაგიბრუნო.

ბედნიერი ხარ, რომ ძალგიძს, ცხრამეტი წლისად გარდაისახო და იქიდან მესაუბრო სიყვარულზე, იმითაც ბედნიერი ხარ, რომ ახლაც ჭაბუკის გული გაქვს, და იმითაც, რომ ასეთი იქნები, სანამ ხარ. მე მაგ თვალით ვერ დაგინახავ, იმ გულუბრყვილო სიყვარულს ვერ გაკადრებ, მაშინდელი ენით საუბარს ვერ გაგიბედავ, უსათნოესო კაცო. ოცდათოთხმეტისას მიყვარხარ, ოცდათოთხმეტისა გწერ.

იმის საბაბი არ მომიცია, რომ ჩემს სიყვარულში შიში გეგრძნო. განა პირველსაეე დღეს უფიქროდ და უყოყმანოდ არ დაგიახლოვდი . ვერ მატყობ, რომ ბედნიერიცა ვარ, მიხარია კიდეც, გულისთქმას მოვდევ და არც არაფერი მენაღვლება? მანიშნე, მწყურიხარ-თქო, და მოვალ, განუყოფლად შენია, თუკი რამ მაბადია. ბედნიერებისთვის მე ის სიამაყე მეყოფა, რომ გეკუთვნოდი. მე ჯერ შენი სული დავინახე და სიყვარული მერე დაიწყო. სადაც გული მიმიყვანს, იქ მივალ, ოღონდ ამით შენს ბედნიერებას მცირედი მაინც შეემატოს. შენთვის მიყვარხარ, გესმის? სხვანაირად ხომ მამაცის სიყვარული კი არა, მხდალის ტრფიალი იქნებოდა! მე ყველაფრისთვის მზად ვარ, გეძახი კიდეც და მაინც... ვფიქრობ, რომ არ მოხვალ. დაგიგვიანე, ორი დღე ვწერე. ერთია, როცა ლაპარაკობ, სხვაა, თუ წერ – ქაღალდს მსჯელობის სიზუსტე და შეუვალობა უყვარს. ამას კი დრო უნდა. მე დროც დიდი მოვანდომე და, ალბათ, სიზუსტესა და შეუვალობაშიც შევცოდე.

შენი ნ.”

“მეტისმეტად გაგვირთულდა ყველაფერი, ქალბატონო ნანო, მაგრამ უამისობაც რომ არ შეიძლება, ის არის საქმე. დაბრკოლებები დაუხვედრა სიყვარულს ფიქრმა. ჭაბუკობაში არ იქნებოდა ასე და კიდევ კარგი: ამდენი განსჯა, სიმართლის ძებნა და ყოყმანი კაცთა მოდგმას ადამ და ევას სიცოცხლეშივე მოაშთობდა და მოუღებდა ბოლოს.

მამაკაცმა ქალს თავი რომ შესთავაზოს – ან მართლა უნდა იყოს იმ ქალის ღირსი თვითონ და ან უნდა ეგონოს, უკეთესი ვარო, მგონია მე. ყველა წესიერი ქალიც ასეა, ალბათ, თავისზე უარეს მამაკაცს ნებით არ დაჰყვება სიყვარულზე. ბევრს ვფიქრობ ამის გარშემო და ვხედავ, თქვენოდენა რომ არ ვარ და თქვენც ხედავთ ამას. მაშინ ისე გამოდის, რომ თქვენი თანაგრძნობა და მზადყოფნა – საჩუქარი ან სამაგიეროა. უწინ ცოტა სხვაფრად მეგონა, მაგრამ თქვენი გაცნობის და დაახლოების მერე ისე ვხედავ, რომ წარსულში სიკეთის თესვად რაც მიმაჩნდა, ვალის მოხდა ყოფილა ის, თურმე. ვალის დაბრუნებაში

მხოლოდ მადლობა ეკუთვნოდეს, იქნება, დამბრუნებელს. ერთხელ მოგწერეთ მე, – ჩემს ლოცვას ვერ დავამადლი ვერავის და გადახდილი ვალის საზღაურსაც ვერ მივითვისებ-მეთქი. ერთი ეს არის, ხელს რომ მიშლის, მოვიდე.

კიდევ მოგახსენებთ ახლა, აქაოდა, ის კაცი ვარ მე, ვინც ბატონ შირერს ცხოვრების მეგობარი ნაძირალა სარჩიმელიას შეურაცხყოფას გადაურჩინა შემთხვევით – ის კაცი ხომ არ უნდა ვიყო, ნეტავი, ბატონ შირერს ცოლს რომ შეუცდენს და ღალატს აიძულებს?! მესმის, რომ ასე ფიქრი მეტისმეტია, მაგრამ ჩემი ხასიათი ვიცი მე, სინდისი დამქენჯნის ურცხვი გასამრჯელოსთვის და ესეც თავისებური დაბრკოლებაა ჩემთვის.

ქალბატონო ნანო, იმდენად მიყვარხართ, ისე არის ჩემი სული და გონება სავსე თქვენი არსებით, რომ მეშინია ამ სიყვარულის უკვე. ასეთმა გრძნობამ პირველ ხორციელ სიახლოვეში ხან თოფისწამალივით თვალის დახამხამებაში აფეთქება და მცირედი კვამლი იცის და ხან ნედლი თხმელასავით უცეცხლო ბჟუტვა და გულის გამაწყალებელი ბოლვა. მოსვლა რა არის – მოვალ, მაგრამ ჩემი ბედუკუღმართობით ის მოსვლა ერთადერთი თუ აღმოჩნდა და ისიც უვარგისი, მაშინ რას გიტოვებთ მოსაგონრად ან რა მიმაქვს საოცნებოდ?!

ან რა ღირსი არის თქვენი სიყვარულისა მამაკაცი, ვისაც ეძახიან და ის კი დაბრკოლებებზე და მიზეზებზე ფიქრობს, მაგრამ რა ვქნა, რომ არ ვარ ცხრამეტი წლის, უძვირფასესო ადამიანო, და რომ ფიქრი უღელივით მარგუნა განგებამ.

მაგრამ არის ერთი ბიძგი, ქალბატონო ნანო, რომელმაც არ იცის დაბრკოლება და მიზეზი. ვგრძნობ, რომ მიახლოვდება ის და მაშინ მართალი ვიქნები ღმერთისა და კაცების წინაშე, თუნდაც არ გსურდეთ ჩემი მოსვლა და მიუხედავად ყველაფრისა ცისა ქვეშ!..

გეამბორებით – დ.თ.”

**ნიკანდრო ქილია**

– მუშნი ზარანდია დიდი ეშმაკი კაცი იყო, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი რომ არ იყო და გულკეთილი რომ იყო, აგერ გეტყვი ამისას.

პატარა კაცის ამბავი მოგეხსენება, ალბათ; დიდი კაცი დააშავებს და პატარას მოხვდება, შენი ბრალიაო. ესეც არ იყოს, კაცის შვილს, ხანდახან, ილია წინასწარმეტყველი რომ ვერ მიხვდება წინასწარ, ისეთი ამბავი მოუწევს. ადამიანი დიდი კაცის ბრძანებით რომ შეცდეს – სამსახური უნდა დაკარგოს და ოჯახი მშიერ-მწყურვალი დაურჩეს? არ გამოდის ცხოვრება ასე. აბა, რა ქნას პატარა კაცმა? რა ქნას და, ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ თუ წაიბორძიკა – არ დაეცეს, და დაცემა თუა, ადგომაში თვითონ ის უნდა დაეხმაროს, სარმა ვინც გამოდო. როგორ უნდა გააკეთოს პატარა კაცმა ეს? როგორ და... როგორ იყო, საბაჟოს უფროსობას თავი რომ დამანებებინეს და წელიწადი რომ უსამსახუროდ ვიყავი?! ისევ იმ ხალხმა მომცა მერე პოლიცმეისტრობა, ვინც საბაჟოს უფროსობა ამართვა. როგორ გავაკეთე ეს? როგორ და, უფროსის პატივისცემა უნდა იცოდე, უფროსისთვის კარგი კაცი უნდა იყო ყოველთვის, მარა მარტო ეს არ კმარა – პატარა უნდა ეშინოდეს შენი უფროსებს. ისეთი რამე უნდა იცოდე უფროსის, რომ გულში შიში ქონდეს არ გამთქვას და არ დამღუპოსო! ამ საქმეს თავისი ცოდნა და მოხერხება ჭირდება კიდევ და მუშნი ზარანდიაზე რომ დავიწყე ლაპარაკი, მისი ამბავი მინდა გითხრათ სწორედ.

მომივიდა ერთხელ ქაღალდი თბილისიდან, – დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია მამიდაშვილ-ბიძაშვილი ყოფილან და გამოიკვლიე, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ისიც გამოიკვლიე, მუშნი ზარანდია ხუთი წელი რომ აქციზში იყო, რას მუშაობდა და რას აკეთებდაო. გამოუცდელი კაცი რას იზამდა? გამოიკვლევდა, გაგზავნიდა პასუხს და მოისვენებდა. მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ არ მომისვენია; კარგი კამათელი რომ მოგივა ნარდში, იმ კამათელს ხომ უნდა კარგი გამოყენება?.. ისე, გინდ მოგსვლია და გინდ – არა. მთავრობისთვის თავს რომ იკლავდა მუშნი ზარანდია და არც მის ბიძაშვილ დათა თუთაშხიასთან რომ არ ქონდა საქმე, რის პოლიცმეისტერი და რის ნიკანდრო ქილია ვიყავი ეს არ მცოდნოდა! მაგრამ, რომ იტყვიან... სახარე ხბოს სასკორავში შეეტყობაო, ისე ეტყობოდა მუშნი ზარანდიას, დიდი კაცობა მოუწევდა, ბოლოს და ბოლოს, და ასეთ კაცს შიში უნდა ქონდეს შენი. ის შიში გამოგადგება როდისმე.

მუშნიმ რომ კონტრაბანდისტებს ციხეებში მოუყარა თავი და მათი გამოსახსნელი ასი ათასი მანეთის მომტანებიც რომ მიაყოლა ზედ, იმ ხალხში ერთი ებრაელიც ერია. მივიდა მუშნისთან იმ ებრაელის ორი ძმა, დიდი ფული მისთავაზეს, ჩვენს სახლიკაცს უშველე რამეო. არ გამოართვა ფული მუშნიმ, – თქვენს ძმას ისეთი ბრალდება აქვს, ციხე ერთ-ორ წელიწადზე მეტი არ მოუწევს და ნურც თქვენ გადაყრით ფულს და ნურც მე დამარღვევინებთ კანონსო, – ასე უთხრა! წავიდნენ ებრაელები. სოხუმში დომენტი რურუა იყო ოქრომჭედელი, იყიდეს მისგან ბრილიანტის საყურეები ხუთ ათას მანეთად: მუშნიმ რომ არ იცოდა, ისე მიუტანეს მის ცოლს. თხოვეს, – უშველოს რამე შენმა ქმარმა ჩვენს ძმას და ამ ძღვენის მოტანა ბატონ მუშნის ერთხანს არ გაუმხილო, თვარა ნამეტანი ეწყინებაო. გავიგე ეს, დავიხვიე ულვაშზე და გავჩუმდი.

გავიდა ხანი. მუშნი ზარანდიას საქმიანობის მოკვლევის ბრძანება რომ მივიღე, შევამოწმე, რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი. არაფერი არ დადებია, სახელს რომ გაუფუჭებდა, ისეთი. დავწერე დასკვნა, გადავდევი გვერდზე და დავიწყე ებრაელების მიტანილ ბრილიანტის საყურეებში ფათური; ისე ვიფათურე, რომ მუშნი ზარანდიამ ქუთაისში გაიგო ეს ამბავი. გაიგო და კაი ხანს იყო გაბუსუნებული, ხმას არ ძრავდა. მერე ალბათ, იფიქრა, – ასე არ ივარგებსო, და მნახა; იცი შენ, არაფერი უკანონობა არ მაქვს ჩადენილი და არ შეგცდეს რამეო. რა მინდოდა მეტი! მივახვედრე, ხმის ამომღები არ ვარ, მაგრამ გახსოვდეს, დომენტი რურუა ოქრომჭედელი ცოცხალია, ის ებრაელები აგერ არიან, შენი სულელი დედაკაცი შინ გიზის და ის საყურეებიც ზანდუკში უწყვია-მეთქი. მივახვედრე, თვარა, თქმით – ასე თქმა არ ივარგებდა და არც მითქვამს.

წავედი თბილისში, მივართვი უფროსებს დასკვნა და ბრილიანტის საყურეების ამბავი სიტყვით დავამატე: ლაპარაკით ლაპარაკობენ, მაგრამ მტკიცება არ არის და დასკვნაში იმიტომ აღარ შევიტანე-მეთქი... რა იცის კაცმა, როგორ წავა საქმე და რატომ უნდა მისაყვედუროს ვინმემ, – იცოდი და არ თქვიო. თუ გატყდა საქმე და გამოირკვა ამბავი – ჯობია, მე დამრჩეს სათქმელად, ხომ გეუბნებოდით და არ დამიჯერეთ-მეთქი... რა მითხრეს, თუ იცი? აჭარლებმა მუშნი ზარანდიას ასი ათასი მისთავაზეს, ის არ აიღო და ხუთ ათას მანეთიანი საყურეებისთვის სულს როგორ წაიწყმედდაო, დავეთანხმე, – ასეა, ალბათ-მეთქი. ნამეტანი გახარებული ვიყავი რამხელა კაცი ვიშოვნე-მეთქი! ვიშოვნე და თუ წავიფორხილებდი სადმე და როდისმე, მიშველიდა მუშნი ზარანდია რა გზა ქონდა

მეტი!.. მარა სხვანაირად დატრიალდა ყველაფერი და მაშინ ვნახე მუშნი ზარანდიას გამჭრიახობაც და კეთილი კაცობაც.

დამიბარა მუშნი ზარანდიამ ერთ დღეს: ნიკანდრო ქილია, თბილისში ჩამოდი და ჩემთან გამოცხადდიო. ჩავედი და ვეახლე. ვინ გყავს დაპატიმრებული, ვინ გიზის პოლიციაში – სია ჩამომიწერეო. ჩამოვუწერე. ექვსი კაცი მყავდა მაშინ. სათითაოდ გამომკითხა და მაამბობინა, ვინ რისთვის დავიჭირე და რისი მქნელი იყო. მატარია გვყავდა დაჭერილი – ქათმის ქურდი და ბაცაცა-მამაძაღლი. მან და მასავით ტურა ხაზავამ თხა მოიპარეს წალენჯიხაში. ორივე იქ მყავდა, პოლიციაში, მაგრამ მუშნიმ, მაინცდამაინც, მატარიაო. კაი, ბატონო – მატარია იყოს-მეთქი, მარა რაში ჭიროდა ის სულელი კაძახი, მთლად ბოლოს მივხვდი.

– დათა თუთაშხია უნდა დაიჭირო, – მითხრა ზარანდიამ. – ისე უნდა გაკეთდეს ეს, რომ მისი დაჭერა ორ დღეს მაინც ვერ გაიგოს ვერავინ. ჩუმად უნდა გაკეთდეს.

კაცის შოვნაზე გელაპარაკე და ენა თუ არ შეაჩვიე და თუ არ გაუშინაურდი, არაფერი ნაშოვნი არაა ის კაცი. ებრაელებისგან მისი ცოლისთვის მირთმეული საყურეების ამბავი რომ გავიგე, მას მერე უფრო უბრალოდ ვექცეოდი მუშნი ზარანდიას და არც მას აუქნევია ხელი ჩემთვის.

– ნამეტანი გაგჭირვებია, მუშნი-ბატონო! – ვთქვი მე და გავჩუმდი, რას იტყვის-მეთქი.

არაფერი არ მითხრა ამაზე. დავუმატე მაშინ:

– მეფისნაცვლის ქაღალდი უშოვნე, ტყიდან გამოიყვანე – ამდენი შეძელი! ახლა ვინ და რანაირად შემოგიჩნდა ისე, რომ ვეღარ გახდი ვერაფერს და უნდა დავიჭიროთ შენი ბიძაშვილი დათა თუთაშხია?! ჩუმად უნდა გაკეთდესო? ხმაურით და სროლით რომ შეძლებულიყო მისი დაჭერა, ხომ დავიჭერდით ამდენ ხანს. სახლში გამოსულს ისე ვინ მოიხელთებს დათა თუთაშხიას, ერთი გასროლა მაინც რომ ვერ მოასწროს და ერთი თუ მოასწრო, მეორეს და მესამესაც მოასწრებს მაშინ და...

ხელი აწია მუშნი ზარანდიამ, გამაჩერა:

– საქმეზე ვილაპარაკოთ ახლა! ის მატარია გაუშვი შენ. დათა თუთაშხიას შავი ხბო მოიპაროს და მოგიყვანოს პოლიციაში. გათავისუფლებას შეპირდი. თუ მოიყვანა ხბო, მართლა გაუშვი სახლში და დახურე საქმე. დიდი ხნით არ წავა მატარია – ინდოურს მოიპარავს სადმე, დაიჭერ ისევ და მაშინ მოაგონებ თხასაც. პეტერბურგიდან პოლკოვნიკი სახნოვია ჩამოსული. ფოთში ვიჯდებით მე და ის. გვაცნობე, როცა ხბო უკვე პოლიციაში გყავდეს. ზევით სოფლებისკენ გაგზავნე ვინმე, თქვას იქ: მაზრაში ქურდებისგან წართმეული ხბოა და თუა აქ მისი პატრონი, მოვიდეს, წაიყვანოს-თქვა. დათა თუთაშხია, ასე მგონია მე, მოვა ხბოს წასაყვანად! შეუშვი თავლაში, გადაუკეტე კარი და ისევ აფრინე ფოთში ჩვენთან კაცი, – აგერ მყავს-თქო, შეგვატყობინე. რომ შეღამდება, აიყვანე თუთაშხია შენს კაბინეტში. გყავდეს იქ, სანამდე პოლკოვნიკი სახნოვი ჩამოვა ფოთიდან. დანარჩენი მან იცის და არ შეგეშალოს რამე, თვარა გოროდოვოით ყოფნას ვერ აგაცდენს ვერაფერი ძალა და იღბალი. ესაა, ჯერჯერობით, შენი დავალება და საქმე. დანარჩენი ჩვენ ვიცით და ჩვენი საქმეა.

დიდხანს ვილაპარაკეთ კიდევ. არ გამომიშვა, სანამდე ყველა წვრილმანი და ყოველნაირი შემთხვევა არ მოვისაუბრეთ, სანამდე თუთიყუშივით არ გამაზეპირებინა მთელი ის ხრიკი და არ დარწმუნდა, რომ კარგად მივხვდი, გავიგე და ვიცი ყველაფერი.

ჩავჯექი მატარებელში, დავბრუნდი ჩემს დაწესებულებაში, მოვაყვანინე მატარია. ისე ჩლუნგი არ მინახავს ქვეყანაზე კაცი – გავგიჟდი კინაღამ, სანამდე მივახვედრე საქმეს. დავამუშავე, როგორც იქნა და როგორც მატარიასთანა ტუტუცის დამუშავება შეიძლება. შავი ხბო რომ უნდა მოეყვანა ამა და ამ ნახირიდან – იცოდა ეს, მარა ვისი ხბო იყო – არ ვთქვი და არ იცოდა.

გავიდა ორი დღე და მოიყვანა მატარიამ თუთაშხიას ხბო. შევაგდეთ თავლაში. ვაჩუქე ბაცაცას ხუთმანეთიანი, წადი-მეთქი. ტრიალებს მატარია, რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს.

– წადი, ახლა, თვარა, ჩაგაბრუნებ ქვევით და იჯექი იქ! – ისე ვთქვი, რომ მართალიც იყო და ხუმრობაც.

შეშინდა მატარია, სეტყვასავით დამაყარა რაღაც სიტყვები, მესამედ რომ თქვა, მარტო მაშინ მივხვდი, რასაც მელაპარაკებოდა: ერთი შავი ხბო ვიცი, კიდევ. მასაც თეთრი ვაშლი აქვს მკერდზე. მოგიყვან იმ ხბოსაც და გამოუშვი, ნიკანდრო-ბატონო, ჩემი ამხანაგი, ხაზავაო!

გავაგდე მამაძაღლი. ვაფრინე კაცი ფოთში, – ხბო აგერ მყავს-მეთქი, შევატყობინე სახნოვს და ზარანდიას. სულ რომ არ ველოდი, მეორე დღესვე მობრძანდა პოლკოვნიკი სახნოვი. გამიკვირდა და არ მომეწონა მისი მოსვლა; თუ მოვიმწყვდევდი თავლაში დათა თუთაშხიას, მაშინ უნდა ჩამოსულიყო. შევბედე და ვუთხარი ეს. ქილია, ჭკუითო, ასე მიპასუხა. პატარა კაცი ვიყავი და მართლა არ იყო ჩემი საქმე, პეტერბურგელი პოლკოვნიკი როდის ჩამოვიდოდა და როდის წავიდოდა. გავჩუმდი და გავაგზავნე კაცი ზევით სოფლებში...

**ბეგლარ გვალია**

– "ბოჩოლია" ხბოს დაარქვეს მაგათ და იმ ხბოს ამბავი თვითონ დათასგან ვიცი. მახსოვს ყველაფერი. ათჯერ და მეტჯერ სხვისთვის მაქვს მოყოლილი და კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში. ბოჩოლიას ამბავს ასე მიამბობდა დათა:

"აბრაგობა ისეთი საქმეა, ბეგლარ-ბატონო, ჭკუა თუ აქვს დაყოლილი კაცს, ეშმაკობას, რომ არ უნდოდეს, აბრაგობაში ისწავლის მაინც. ჩემი მდევრები, მართალი გითხრა, სულელები არიან და ჭკვიანურს რომ ვერ იგონებენ ვერაფერს, მიტომ ვერ მიჭერენ. სანამდე ყუბანში გადავიდოდი, იქამდე ვისწავლე მათი ხრიკები. სულელი კაცების ხრიკები იყო ის ხრიკები. იმიტომ ვისწავლე ადვილად, თვარა, ერთი ჭკვიანი ჩაერია საქმეში და მას მერე რამდენჯერმე მოვტყუვდი პატარა ბიჭივით. იმ ერთის მეტი მაგათში არავინ არ ღირს არაფრად. აბრაგებს კი არა, ინდაურებს უნდა დევდნენ მაგენი. ეს ერთი ვიღაცაა, მართლა კაცია და ჩემი გაფუჭება მისი ხელით იქნება – ვიცი მე ეს. თუ გავიგე როდისმე, ვინაა ის კაცი აღთქმა მაქვს დადებული: ძღვენი უნდა მივართვა, დიდი ძღვენი... კარგზე კარგი ცხენი იქნება, ალბათ, ან სხვა რამ კიდევ: მასეთ კაცს დაფასება ჭირია, ასე მწამს მე.

ბოჩოლიას ამბავს გეტყვი ახლა. თუთაშხიების ჯოგი ყველამ იცის სამეგრელოში. სამეგრელოში კი არა და, ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე იცოდა ყველამ; ნამატს საცოდავი მამაჩემი ხან სად ყიდდა და ხან სად, ჯიში მომრავლდეს და ქვეყანას მოედოსო. მიტომ იცოდნენ ყველგან. შავი ჯოგი გვყავდა და მარჯვენა ფერდზე თეთრი დიდი ვაშლი ქონდა ყველას. ხარები გამოდიოდა ჩვენი ჯოგიდან მისთანა – უკეთესს ვერ იტყვის კაცი. გახედავ, მოდის ხუთი წლის ხარი; ტანად კვარაცხელიების ორი ხარის ტოლია და მკლავის სიგრძე რქების წვერები ერთმანეთს ორი მკლავით არის დაცილებული. ზოგი იტყვის, გამწევ ხარს კისერი სქელი და მოკლე უნდა ქონდეს და თავი დახრილიო. მუხლი არ ექნება მაგარი, მოკლე ფეხი თუ არ აქვს და წვივი სქელიო. არ არის მართალი ეს. ნამდვილ ხარს კისერი სქელი კი უნდა, მაგრამ მოკლე თუ აქვს – უღელი გაუფუჭებს მალე. გრძელი კისერია კაი. მაღალი ფეხი რომ აქვს, გრძელი ნაბიჯი იცის მაშინ. თავი ირემივით უნდა ქონდეს მოღერებული. ხარი თავმომწონე და ამაყია კარგი. მეფესავით უნდა მოდიოდეს – დინჯად, ლამაზად, და იცოდე მაშინ, ნამდვილი კაი ხარია. ერთია კიდევ – ძველმა კაცებმა იციან ეს, ახლებმა არ იციან: ცისფერი და დიდი თვალები თუ აქვს – დღეგრძელი ხარია, სხვა ხარზე მეტს ექვს, შვიდ წელიწადს იმუშავებს საცოდავმა მამაჩემმა იცოდა თქმა: ქართველები ნოეს ჩამომავლები ვართ და ნოემ კიდობანში ხარი რომ ჩასვა და ორმოცი დღე წარღვნა რომ იყო, ის ხარი ცის და წყლის მეტს ვერ ხედავდა ვერაფერს, თვალები გაუცისფერდა და იმ ხარის ჯიშია ჩვენი ჯოგიო...”

აქამდე რომ იტყოდა დათა თავის ჯოგისას, გაჩერდებოდა, იფიქრებდა ერთხანს, მერე ჩიბუხის დატენვას მოკიდებდა ხელს და დაიწყებდა ისევ:

“მამა რომ დაგვიტორეს და დაგვიგლიჯეს დათვებმა, ბუღიან-ნაშენიანად ექვსას ორმოცი სული იყო ჩვენი ჯოგი. სანამდე გავიგეთ, ჩვენს თავზე რა უბედურება დატრიალებულიყო და სანამდე ბიძაჩემმა მიცვალებულს ააკითხა, კაი ხანი გავიდა. მივიდა ბიძაჩემი მაგალი ზარანდია მთაში, მოაგროვა მიფანტულ-მოფანტული და დაპარული ჯოგი. რას მოაგროვებდა, ნეტარი კაცია, საწყალი; ქურდი, პატიოსანი და პირუტყვი ერთნაირად ეცოდება ყველა. ხმამაღალ სიტყვას ვერ წამოაცდენინებს და ავს ვერ ათქმევინებს ვერაფერს კაცი. დიაკვანია დღესაც, მაგრამ მის სიცოცხლეში კაპიკი არ იცის მრევლის. ასეთი ადამიანი რას მოაგროვებდა, მოუყარა თავი რაღაც სამას თუ სამას ორმოცდაათ სულს. შავდიებს მიცა სამეოთხედოდ. მეოთხედი ჩვენი და სამი მეოთხედი მათი უნდა ყოფილიყო ნამატი. ბავშვი ვიყავი მაშინ. დედა რომ კაი ხნის მიცვალებული გვყავდა და მე და ჩემს დას, ელეს, მამიდაჩემი თამარი და მისი ქმარი მაგალი ზარანდია რომ გვზრდიდნენ თავის საკუთარ შვილებთან ერთად და თავის საკუთარ შვილებზე უკეთ – იცი შენ ეს. მაშინ რას გავხდებოდი, მაგრამ შევსრულდი ჩვიდმეტი წლის და მივაკითხე ჩემს ჯოგს. ჩამაბარეს შავდიებმა იმდენი სული, რამდენიც ბიძაჩემისგან ჩაიბარეს, მაგრამ ხბო, მოზვერი და დეკეული იყო მთელი ჯოგი; ხარი და ძროხა თავის წილად წაიყვანეს შავდიებმა. რას ვიზამდი. მივყევი საქმეს, კარგად მოვაშენე ისევ, მაგრამ მიწია აბრაგობამ და დარჩა ჯოგი უპატრონოდ. ელე, ჩემი და, მთლად ბავშვი და გამოუცდელი იყო მაშინ. სანამდე საქართველოში ვტრიალებდი, რა უჭირდა საქონელს, – ძოვდა, მრავლდებოდა და ისევ სამეოთხედოდ ყავდათ ხაცაციებს. აქ რომ ვეგულებოდი, უვლიდნენ კარგად, პატრონის მეოთხედსაც პატიოსნად უხდიდნენ ელეს. გადავიკარგე მერე. ოთხი წელიწადი არ გავკარებივარ ჩვენს მიწა-წყალს. ხაცაციებმა იფიქრეს, – მოკლეს სადმე დათა თუთაშხიაო. ხომ იცი კაცის ამბავი – ხარბი ვართ და გაუმაძღარი; წასძლიათ სულმა, გამიფლანგეს საქონელი. რომ დავბრუნდი, სადღა იყო ჯოგი! ყავდა ელეს ბოსელში ერთი

სპილოსავით ბუღა და ერთადერთი ძროხა საწველად, ეს იყო და ეს. გამოჩენა იყო ჩემი – მომიგზავნეს ხაცაციებმა შუაკაცები. იფიცეს, იტირეს, – ჭირი გაუჩნდა ჯოგს, გაგვიწყდა და რა ვქნათ აწიო. ვიცოდი ხალხისგან, არაფერი ჭირი არ გასჩენია საქონელს და ახალქალაქელ მალაკნებს რომ მიყიდეს ხაცაციებმა ჩემი ჯოგი, მაგრამ არ მეცალა ამ საქმეზე გასადევნებლად. გამოვართვი ხაცაციებს ათასი თუმანი და მივანებე თავი. ასე იყო ეს”...

ამ ადგილზეც გაჩერება იცოდა დათამ. გაიღიმებდა პატარას...

როგორ გაიღიმებდა, თუ იცი? კაცს უწინ ჩადენილ სათაკილო საქციელის მოგონებაზე ღიმილი რომ წვევია, გინახავს, ალბათ, ასე იცოდა გაღიმება დათამაც და მერე იტყოდა დანარჩენს:

“ჩემმა მამიდაშვილმა, მუშნი ზარანდიამ, პატიების ქაღალდი რომ გამომიწყო მეფისნაცვლისგან, ავიღე ხელი აბრაგობაზე, მოვედი ჩემს სახლში. ერთი თვის მერე იმ დღეის სწორს მოიგო საფურე ხბო ძროხამ – ულამაზესს რომ ვერ ნახავდი, ისეთი ხბო. ელე სიხარულით აღარ იყო; მშვიდობის, სიკეთის და გახარების ნიშანი მოგვცა ღმერთმა, საფურე ხბო რომ მოიგო ძროხამო. ისევ მოგვიშენდება ჯოგი და ისევ მამა-პაპის მადლი და დოვლათი დაგვიტრიალდება ოჯახშიო. მარტვილში წავიდა, წირვა გამოაყვანინა, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, ათი თუმანი შეწირა მონასტერს. დაბრუნდა იქედან და სანამდე კარგად არ გაზაფხულდა, ლოგინში არ იწვენდა იმ ხბოს, თვარა სხვაფრად, თბილ ოთახში ყოფნა და დიდი პატივი არ დაუკლია. ბოჩოლია დაარქვა სახელად. დედა არ გამიგონია და არ მინახავს შვილის მომვლელი, ელე რომ იმ ხბოს უვლიდა. ქალია, ვფიქრობდი მე, და შვილებისთვის რომ განგებამ წუხილის და ამაგის ღონე მიცა, შვილები არ ყავს და ამ ხბოზე გამოიღო ყველაფერი-მეთქი.

უკაცო ოჯახის ამბავი მოგეხსენება და მივყევი სამუშაოს. იქეთ სახნავი, აქით საბარავი. ეგერ ღობე, ეგერ ჭიშკარი, ბაღი, ვენახი... საქმეს რა გამოლევს ოჯახში! მარტოკაცი ვიყავი, მაგრამ ჯაფა ყველაფერს ერევა და კარგად გავართვი თავი საქმეს. ისე ჩანდა, რომ შემოდგომაზე ჭირნახული სამი და ოთხი ოჯახის საკმარი უნდა მომსვლოდა. არ დავდიოდი არსად, დღეობები, ქორწილები, ნათლობები და ასეთები არ იყო ჩემთვის, ვერ ვეგუებოდი ხალხს”.

მართლა არ დადიოდა დათა არსად. კაცმა რომ თქვას, მიზეზიც ქონდა ამის: დათა თუთაშხია დაბადებით ისეთი კაცი იყო მას რომ ესმოდა, იმ სიმართლის გულისთვის ხიფათს არ დაერიდებოდა და თავს არ დაიზოგავდა. მიტომ იყო, ხალხს რომ უყვარდა, მაგრამ ერთ დღეს შეუქცია ზურგი ყველაფერს: გული მოუვიდა, ყველა ძე-ხორციელი ჩემისთანა და ჩემზე უკეთესი რატომ არ არისო! მისი მამობილი მაგალი არანდია და თვითონ დათა თუთაშხია რომ იყვნენ, ყველა კაცი ისეთი თუ იქნა, რა უჭირს მაშინ მაღლა ღმერთს და ძირს ერს! არ გამოდის ასე. გასაბრაზებელი და გასადგომი რა ქონდა დათა თუთაშხიას, არ ვიცი მე. თავისი დღე და მოსწრება არამკითხესავით ეჩრებოდა ყველას საქმეში. მტერიც ბევრი გაიჩინა ამით. მართალია, ის მტრები ცუდი და გლახა კაცები იყვნენ, მაგრამ უარესია ეს – კარგი კაცის მტრობის იმდენი ნუ შეგეშინდება, ცუდი კაცის მტრობის გეშინოდეს უფრო. აიყარა ხალხზე და მის გასაჭირზე გული დათამ; სამურზაყანოსკენ მიმავალი კაცი ფოთისკენ რომ შებრუნდეს, ისე შებრუნდა დათაც. სანამდე მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია მთავრობასთან შეარიგებდა, კაი ხანს

როგორი იყო დათა თუთაშხია, თუ იცი?.. მართალია, თვითონ არავის და არაფერს არ დაუშავებდა, მაგრამ მის გვერდით წმიდა გიორგისთვის ყელი რომ გამოეჭრათ, თითს არ გაანძრევდა არასგზით. ეს ქვეყანა ისეა დაწესებული, რომ შენ თუ არ გინდივარ, არც მე მინდიხარ მაშინ! ნახა ხალხმა, დათა თუთაშხიამ ფეხებზე რომ დაიკიდა ყველა უსამართლობა და ადამიანის გასაჭირი. მაშინ თვითონ ხალხმაც აიყარა გული დათაზე. ვინც ერთგული და ჭირში ხელის შემწყობი კაცები ყავდა, შემოეფანტა და შემოეკარგა ყველა. ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და გააფთრდა დათა, მაგრამ რას იზამდა, როცა არ ესმოდა, თვითონ რომ იყო დამნაშავე. ამას დაემატა კიდევ: ის პატაშიძეები ქილიები და მისთანები, უჭკუო კაცები იყვნენ ყველა, მაგრამ მაინც მიხვდნენ, აბრაგის სიმაგრე რაშია, და დაიწყეს თავისი კაცების პირით დათა თუთაშხიაზე ათასი უბედური და პილწი ხმების დაყრა. ხალხმა დაიჯერა ყველაფერი. დაიჯერა კი არა, ჭორს ჭორი დაუმატა და ისეთი ამბები შეთხზა, დათა თუთაშხიას მის სიცოცხლეში გულში და გონებაში რომ არ ქონია. ეს მიტომ გააკეთა მთავრობამ, რომ ხალხი დაკარგოდა დათა თუთაშხიას საბოლოოდ და ისევ გააბრაგებაზე აღარ ეფიქრა. მიტომ იყო, რომ არ დაიარებოდა არსად და სამუშაოს რომ აკვდებოდა ზედ... რა ადგილზე გავჩერდი, რას ლაპარაკობდა დათა?..

“სექტემბრის ბოლოა, ასე, რვა თვე სრულდება, შერიგებული რომ ვარ მთავრობასთან. დაბრუნდა სოფლის ნახირი და არ მოვიდა ეზოში ჩვენი ბოჩოლია. გაიქცა ელე, – სადმე შერჩებოდა ღობისძირა ბალახსო. ვერ იპოვნა, წავედი მე. ვნახე მენახირეები, ვკითხე ხბო. წყალზე რომ წავიყვანეთ ამ დილას ნახირი, მაშინვე აღარ იყო თქვენი ხბო და ვიფიქრეთ, სოფელში თუ დაბრუნდაო.

ვიცი, სამზადში თმებჩამოშლილი ზის ჩემი ელე და მოთქვამს თავის ბოჩოლიას. საწყალმა, დედაჩვენი ვერ იტირა – ახალი მიტოვებული ქონდა ძუძუ; მამაჩვენი ვერ იტირა –შვიდი წლის იყო. ქალი უტირლად ვერ იქნება და არ გაჩერდება! არ შეიძლება ვიფიქრე, ჩემი ხელცარიელი დაბრუნება. კაი ხუთი, ექვსი ვერსის სიშორეს არ დამიტოვებია ხევი, ტყე და ბუჩქნარი. მთვარიანი ღამე იყო, ღამითაც ვეძებე; არაფერი! მივბრუნდი შინ; ელეს, არც ჭადი დაუცხვია, არც ძროხა მოუწველავს – ტირის, იპოტნის ლოყებს და იგლეჯს თმებს.

– რას შვრები, შე ქალო! – გავჯავრდი მე. – ჯოგი დავკარგეთ, იმაზე არ დაგიწევია ასეთი ამბავი. ხბოა ერთი – სხვა ხომ არაფერი... უეჭველად მოპარული ან ნადირის შეჭმული რატომ გგონია, მაინც? წავალ დილით ადრე და მოგიყვან შენს ბოჩოლიას!

ვერ გავხდი ვერაფერს, არ იქნა ელეს დამშვიდება და დაწყნარება. შეიკეტა კარი თავის ოთახში; დილამდე წმიდა გიორგის ხატის წინ იდგა მუხლებზე დამხობილი და ტიროდა სულ. მომკლა მისმა ცოდვამ და რა დამაძინებდა. მზე კაი ამოწვერილი იყო უკვე და ელე თავისას ამბობდა ისევ:

– ილორიში წმინდა გიორგი, დიდ ღორონთი, სქან სახელი ხვამელი, ღორონთ თუთაშხა, სქან სახელი ხვამელი, ქოურგებე სქან ტიბინი ჩქიმ დათას, დო გინომტე გაჭირვებაში, ღორონთ თუთაშხა!.. – და ასეთები სულ.

ჩავიცვი ტანზე, ჩავიდე გუდაში საგზალი, მოვეფერე ელეს, – ნახავ, თუ არ მოგიყვან ილორის წმინდა გიორგის და თუთაშხა ღმერთისგან ნიშნად გამოგზავნილ ბოჩოლიას-მეთქი, და წავედი. გეტყვი სიმართლეს, იმედიანად წავედი, შუადღემდის ვაპირებდი პოვნას და მოყვანას, მაგრამ დაღამდა და მაინც ვერ მოვნახე.

აღარ გავაგრძელებ დიდად – მოპარული იყო ხბო. ექვსი, შვიდი თვის საქონელს ბოჩოლა და ხბო აღარ ქვია, დეკეულად შეიძლება, ჩაითვალოს უკვე. ამხელას კი დაფატრავს ნადირი, მაგრამ ზურგზე წამოგდებას და შორს წაღებას – უკაცრავად ვარ, ვერ მოერევა. კაი ღონიერი მგელი, თვალს რომ მიაფაროს, ისეთ მანძილზე გაათრევს წვალებით. გაათრევს, დაუწყებს ჭამას, გაძღება. მერე ან დაფლავს, ან მიატოვებს ისე. იმდენ ძებნაში დამარცხებული საქონლის კვალი რომ ვერ ვნახე – მოპარული იყო და მორჩა ეს. არა, მოპარვა ვინ გამიბედა, ნეტავი ვის ქონდა რკინის გული და ორი თავი! რასაც ხალხი ჩემზე ლაპარაკობს, იმის გამკეთებელი არ ვარ; არც ვაჟკაცობა მქონია იმდენი და არც გლახა კაცობა, სხვა საქმეა ეს, მაგრამ, რაც სახელი მქონდა, რაც ხალხს ვეგონე, ვეღარ უნდა გაებედა ვინმეს ჩემი საქონლის მოპარვა...

ელე თავის ოთახში ლოცულობდა და ტიროდა. იქით, ჩემს ოთახში, მე ვფიქრობდი, ლამის გამისკდა თავი და გადმომეღვარა ტვინი: სანაშენოდ თუ მოიპარა ვინმემ? გამოყოფდა როდისმე თავს თუთაშხიების ჯიშის საქონელი, იცოდა, მომპარავმა ეს და ვერ გაბედავდა. კაი და, იმ ჯიშის ბუღაც ხომ იყო საშოვნელი – ჩვენსას უნდა მოეყვანა თავისი ძროხა იმ კაცს. არ გამოდიოდა ასე. ისეთმა ბაცაცამ თუ მოიპარა რომელიმემ, რომ არ იცოდა, ჩემი თუ იყო?.. მაგრამ მოპარულ ბოჩოლიას გზა-გზა ვერ ატარებდა, უგზოზე უნდა წაეყვანა. საით და როგორ წაიყვანა იმ ოხერმა, კვალი რომ ვერ ვნახე ვერსად! დავანებოთ თავი ამას.

სოფლის თავში ერთი პატარა საყანე მქონდა, ღომი იცოდა კარგი იმ მიწამ და დავთესეთ ღომი. იქ ვართ მე და ელე, დავყურებთ მოსავალს, აღება როდის უნდა, ამას ვლაპარაკობთ. ორი დღეა მას მერე, რაც ჩვენი ბოჩოლია მოიპარეს. ჩამოიარეს ამ დროს ტყიდან ქალებმა, ფიჩხი აქვთ მხარზე გადებული.

– დილა მშვიდობისა, დათა-ბატონო!

– მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!

– ბოქაულმა აქით სოფლები რომ კაცი გამოგზავნა, რაც თქვა იმ კაცმა, იცით, ალბათ?

– რა თქვა იმ კაცმა? – დამასწრო ელემ.

– რა თქვა და, პოლიციას ნაპარავი ბოჩოლა წაურთმევია ქურდისთვის თურმე; ამ სოფლებში ვინმეს თუ დაეკარგა, მოვიდეს, გამოიცნოს და მისი თუა – წაიყვანოსო.

– რა თქვა ბოქაულის კაცმა, რა ფერის და რამხელა არის ქურდისთვის წართმეული ბოჩოლაო? – კითხა ისევ ელემ.

რას არ იტყვის ქალი!

– არ უთქვამს, ელე, მაგ... – უთხრა მეზობლის ქალმა და კაი ხანი იკაკანეს, იტყოდა თუ არ იტყოდა ბოქაულის კაცი მონაპარი ხბოს ნიშნებს.

წავიდნენ ფიჩხიანი ქალები და აიკვიატა ელემ:

– ჩვენი ბოჩოლია იქნება, ნამდვილად!

წამოვედით შინისკენ. რა უნდა, ვფიქრობდი მე, ჩვენს ბოჩოლიას პოლიციაში? არ მომასვენა ამ ფიქრმა. რაც მეტი ვიფიქრე, უფრო დავრწმუნდი, რომ ეშმაკობა და მამაძაღლობა არაფერი არ იყო ამაში; ჩემს მისატყუებლად და დასაჭერად თუ მოიპარეს ბოჩოლია?.. დაჭერა თუ უნდათ ჩემი, მოვლენ და დამიჭერენ. სტრაჟა აკლიათ, სალდათები თუ კაზაკი ყავთ ცოტა?! მეფისნაცვლის მოცემული პატიების ქაღალდი აგე მაქვს. ჯერ კავკასიის განმგებელი არ გადავა სიტყვას და მერე გენერალი სეგედი არ გამიკეთებს ასეთ საქმეს. ათასნაირად გავზომე და ავწონე ყველაფერი. საეჭვო ვერ ვნახე რამე, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, – ხომ შეიძლებოდა, რამენაირად ისე ყოფილიყო საქმე, მე რომ ვერ ვხვდებოდი! ასე გადავწყვიტე: ჩემს ბოჩოლიას პოლიციაში არ ესაქმება არაფერი, სხვისი საქონელია ის საქონელი და ნამდვილად ჩემიც თუა, მაინც არ წავალ არასგზით! ვერც წამიყვანდა ვერაფერი ძალა, სანამდე ვაჟკაცი ვიყავი, მაგრამ ქალი რომ შემოგიჩნდება და ისიც შენი საკუთარი და, მთელი სიცოცხლე შენზე ლოცვას რომ გადაყვა და შენი გულისთვის დაღვრილ ცრემლს ჭურებში რომ ვერ ჩატევს – აღარ ხარ მერე ვაჟკაცი, ნამდვილია ეს. შემომიჩნდა ელე მაგრამ როგორ შემომიჩნდა! – წადი და წადი, მომკალი თუ გინდა, ჩვენი ბოჩოლიაა პოლიციაში, ვიცი მეო. მისი დაკარგვა ოჯახის ხელახლა დანგრევა იქნება, უეჭველია ესო. ასეთი ჯიშის არის, ისეთი მეწველი დადგება, ჯოგის დედაა და სხვა მისთანები გაუთავებლად. რას არ შევპირდი: არ მომწონს მაინც ჩვენი ჯოგის საქონელი. გადაჯიშდა უკვე, სხვა გავიჩინოთ, ის აჯობებს, ათს ერთად ვიყიდი კაი ჯიშის ბოჩოლებს-მეთქი. ეს რომ არასგზით არ ქნა, მაშინ ახალქალაქში გადასვლას და ხაცაციებისგან გაყიდული ჩვენი ჯოგის ნაშენის გადმოყვანას შევპირდი. არც ეს ქნა, – ჩემი ბოჩოლია მინდა და არ გამაგონო არაფერიო! წავიკიდეთ ამაზე, აღარ გავეცით იმ საღამოს ერთმანეთს ხმა. ავდექი დილით – სად არის ჩემი ელე! მოვიკითხე მეზობლებში; ბოჩოლიას მოსაყვანად წავიდა ამ დილასო, მითხრეს. ერთი კი გამიელვა, არაფერი უჭირს, იაროს ორმოცი ვერსი იქით და ორმოცი ვერსი აქეთ-მეთქი. ჭკუის სასწავლებლად კაი იყო, მაგრამ შემეცოდა ქალი. შევკაზმე ცხენი, კაი შორს წასულს დავეწიე, დიდი ხვეწნით და მუდარით დავაბრუნე და წავედი მაზრაში თვითონ. მიხაროდა, საწყალ ელეს რომ არ მოუხდა იმ გლახა კაცებში სიარული, ბოჩოლიას ძებნა და გამოცნობა. გზა-გზა არაფერ ხიფათზე არ მიფიქრია. ცხენი კარგი მყავდა. მაზრის პოლიციას რომ მივადექი საღამო სად იყო ჯერ! ჩამოვხტი, მივაბი ცხენი ხეზე, შევედი ეზოში. დიდი ეზო აქვს იმ პოლიციას, ოთხივე მხრიდან ღობე და შენობებია შემორტყმული. პოლიცმეისტერის კაბინეტი მეორე სართულზე იყო. მივედი აივანთან და დავიძახე:

– ნიკანდრო ქილია, გამოდი ერთ წუთს, საქმე მაქვს შენთან!

გადმოდგა მოაჯირზე პოლიცმეისტერი ნიკანდრო ქილია:

– გამარჯობა შენი დათა თუთაშხია! რა გაგჭირვებია ასეთი, ამსიშორეს რომ მომაკითხე, ხომ არ დაგჩაგრა და დაგჯაბნა ვინმემ? – იცინოდა მამაძაღლი.

– გაგიმარჯოს, ნიკანდრო... ამბობენ, ნაპარავი ბოჩოლა გყავთ აქ და ჩემი ხომ არ არის ამის გასაგებად მოვედი!

კინაღამ მოკვდა სიცილით ქილია, სამეგრელოში შენ მოგპარეს რამეო?!

– მომპარეს! – გავიცინე მეც.

დაშოშმინდა ქილია და მკითხა:

– როდის მოგპარეს?

– მეოთხე დღეა დღეს.

– გაბისონია, მოდი აქ!.. როდის წავართვით ის ხბო?

გამოეშტრინგა გაბისონია თავის უფროსს და, მესამე დღეა დღესო, უთხრა.

– რა ფერის არის შენი ბოჩოლა?

– ნიკანდრო ქილია, ეშმაკობ რაღაცას! ის ხბო ნანახი გყავს, გატყობ. ნანახი რომ გყავს, მაშინ ისიც კარგად იცი, ვისი ჯოგის ნაშენია. დაგავიწყდა, თუთაშხიების საქონელი შავი რომ არის და თეთრი დიდი ვაშლი რომ აქვს მარჯვენა ფერდზე?.. მეშვიდე თვეშია ჩემი ხბო, თვალები ცისფერი აქვს.

– შე კაცო, ნანახი რომ მყავს, მიტომ გეკითხები სწორედ, – თქვა ქილიამ და გაბისონიას უთხრა: – ამისია მაგ ხბო, ასე მგონია მე, რას იტყვი შენ?

– დათა-ბატონმა რომ ბრძანა, ისეთია ის ხბო! – დაუდასტურა გაბისონიამ.

– კაი, აბა, დათა-ბატონო. მიდი მაგერ, თავლის კუთხეშია დაბმული და თუა შენი – წაიყვანე. საკვები არ მოკლებია აქ შენს ხბოს და სასმელი. გალახული თუ იქნას, მომპარავის ბრალია. სად და როგორ ატარა – ვინ იცის. მშვიდობით და ჭკუით იყავი, აბა!

მოვათვალიერე იქაურობა. საეჭვო ვერ ვნახე ვერაფერი. ჩაფარი თვლემდა საკუჭნაოსთან და მეჯინიბე დაბორიალობდა ეზოში. შევაღე თავლის კარი. ჩვენი ბოჩოლია იყო ნამდვილად. მიცნო საცოდავმა და დაიბღავლა. ცხენის მოსართავით ყავდათ დაბმული. მივედი, მოვეხვიე ყელზე. სინდისს ვფიცავ, ცრემლით აევსო ცისფერი თვალები ბოჩოლიას. ავხსენი თასმა, თოკი არ მქონდა წამოღებული. რა ვიცოდი, მართლა თუ ვიპოვიდი ბოჩოლიას. ესეც არ იყოს, აღელვებული ვიყავი დილით და თოკის დარდი არ მქონდა. შემოვიხსენი ქამარი, მოვაბი ბოჩოლიას ყელზე და წავედი კარისკენ, სულ კუნტრუშით და ფრუტუნით მომყვებოდა. მივაწექი კარს, არ გაიღო. კიდევ მივაწექი, არც ახლა გაიღო და მივხვდი, დაკეტილი რომ იყო. გული მომივიდა, მხარი მივარტყი, მაგრამ გარედან უშველებელი ურდული ქონდა და კარიც სქელი და მაგარი იყო.

– რაო, დათა თუთაშხია, არ იღება მაგ ოხერი, ხომ? – გავიგონე ვიღაც მყრალი კაძახის ხმა. – არაფერია, მოითმინე ერთხანს.

– გააღე ახლავე, შე ცინგლიანო, ვიღაც ტუტუცი ხარ მანდ!.. სახუმროდ არ ვარ მოსული მე!

– არავინ არ გეხუმრება, დათა თუთაშხია, რომ იცოდე შენ, – გასიებული ცხვირპირი შემოყო სარკმელში ნიკანდრო ქილიამ. – დაკავებული ხარ და დაწყნარდი ახლა!

– აგერ მაქვს მეფისნაცვალის ქაღალდი, შე ციგანო მამაძაღლო და, მუშნი ზარანდია ცალკე მოგივლის კიდევ!

– მუშნი ზარანდია ახლა პროკლამაციებს დადევს და შორსაა აქიდან. მეფისნაცვლის ქაღალდს დააფურთხე, მიიწეპე გავაზე და გქონდეს იქ. თბილისში ახალი მეფისნაცვალი რომ დაჯდა და სხვის გაცემულ ქაღალდებზე პასუხს რომ არ აგებს, არ იცი, ალბათ, შენ.

– ნამუსი მამაშენეს არ ქონია, პაპაშენს, შენს გვარში წარღვნას აქით არავის და შენ ვინ მოგაოხრებდა, შე საცოდავო, შენ! – დავუყვირე ქილიას.

– ამ საჯინიბოდან რვა ცხენი რომ წაიყვანე, დათა თუთაშხია, იქედან ექვსი იყო ხაზინის და ორი – ჩემი საკუთარი. შენი რჯულის, მიწა-წყლის და სისხლის კაცს ცხენებს რომ პარავდი, ვისი ნამუსით იყო ის? მამაშენის, პაპაშენის და წარღვნის მერე შენი წინაპრების ნამუსით იყო, ხომ?

– ასე ტუტუცებს სად გპოულობენ, თქვე უბედურებო, თქვენ! პატაშიძე და შენ ღვიძლი ძმები და ერთნაირი სულელები ხართ, სახარებაზე დავიფიცებ ამას. რას არის, რომ ყბედობ, ნეტავი! – ელაპარაკე ახლა ამ რეგვენს, მე რომ არ წამიყვანია ის ცხენები.

თითმერიამ გამოიყვანა და მაჩუქა. იცოდა, კაჯაია ბულავას ვალი რომ მქონდა გადასახდელი – ფოთში მევახშე იყო ერთი. მოკვდა კაი ხანია. გაყიდვით, მართალია ეს, მე გავყიდე.

პატარა ხანს მერე გააღეს კარი და შემოვიდნენ ფეხაკრეფით. რვანი იყვნენ, მაუზრები ჰქონდათ ყველას. მარტო კაცი ვიყავი, ჩემი ბოჩოლიას კისერზე გამობმული ქამრის მეტი არ მქონდა ხელში არაფერი, მაგრამ ერთი რომ დამეფხუკუნებია, ნახევარს გული წაუვიდოდა შიშით, ნამდვილად ვიცი ეს, მიქნია სხვა დროს.

– აწიე ხელები მაღლა! – დამიყვირა კარში გაკვეტებულმა ქილიამ.

– ხელებს კი არადა, ფეხებსაც აგიწევ კიდევ! მოიტანეთ მაგ ბორკილი, დამადეთ და გაათავეთ მაიმუნობა დროზე. ჩქარა ქენით აწი!

ბავშვებივით დაფაცურდნენ, სირბილით მოიტანეს ბორკილი, დამადვეს და გაიკეტეს კარი.

ღამემდე საჯინიბოში ვყავდი. დაღამდა, გამიყვანეს ჩუმად. ხმაურს რომ ძალიან ერიდებოდნენ, ისე ამიყვანეს ნიკანდრო ქილიას კაბინეტში. სანამდე კიბეებს ავივლიდი, იქამდე მივხვდი, ჩემი დაჭერის და იქ ყოფნის ამბავს რომ მალავდნენ და არავისთვის გაგებინება რომ არ უნდოდათ. იმასაც მივხვდი, რომ ქილიასთანა ტუტუცის მოგონილი არ იყო ბოჩოლიას ხრიკი და რაღაც დიდი ეშმაკობა რომ ტრიალებდა ჩემს თავს, მაგრამ ისიც მაშინვე მითხრა გულმა, მათი ხელიდან დაძვრომას რომ მოვახერხებდი. მოხერხდა, თუ გახსოვს, კარგად მოხერხდა, ბოჩოლიაც რომ წამოვიყვანე, ისე. ასე იყო ეს ამბავი და დღემდე არ ვიცი, ვის მოაპარვინეს ჩემი ბოჩოლია”.

პოლიციაში რა მოხდა, როგორ შეძლო იქედან წამოსვლა – ამაზე არ უყვარდა დათას ლაპარაკი. რამდენი წელიწადი იაბრაგა კიდევ, არ მახსოვს ახლა. ამ მეორე აბრაგობაში მიამბო დათამ ბოჩოლიას ამბავი პირველად და მერეც ვაამბობინე ორჯერ თუ სამჯერ.

**ნიკანდრო ქილია**

რომ შეღამდა, მოვიდა პოლკოვნიკი სახნოვი ჩემს დაწესებულებაში. ჩემი კაბინეტი ორი ოთახისგან შედგებოდა. კარი აერთებდა ოთახებს. გავიდა უკანა ოთახში, ჩაჯდა ჩემს სავარძელში და მიბრძანა:

– ქილია, ამოიყვანეთ თუთაშხია! კარგად მოამზადეთ გამოვალ, როცა საჭირო იქნება!

დიდი ჭკუა და გამჭრიახობა არ ჭიროდა იმის მიხვედრას, რა დღეშიც ჩავვარდი; რომ გაფუჭებულიყო საქმე, პოლკოვნიკი წაბრძანდებოდა თავის პეტერბურგში და აქ მე გამაძრობდნენ ტყავს, შენი ბრალია ყველაფერიო! მეორე. კარგადაც გამოსვლოდა საქმე სახნოვს – საქებარს და წარმატებას ერთ ციცქნას მეც გადმომიგდებდა, ალბათ, მარა უმთავრესს თავისთვის დაიტოვებდა და ზარანდია დარჩებოდა ხახამშრალი. მართალია, არ იყო მუშნი სახელის მაძიებელი კაცი, მარა მაინც უკმაყოფილო იქნებოდა ჩემით – ესეც ხომ მართალია?! რა მექნა, პატარა კაცი ვიყავი და, რასაც მიბრძანებდა სახნოვი – უნდა შემესრულებინა, აბა რა. მესამე ამბავიც იყო კიდევ: დათა თუთაშხიას იმ დროისთვის გიმნაზიაში შესვლა კაი დაგვიანებული ქონდა და, კარგად მოამზადეთო, პოლკოვნიკმა რომ მიბრძანა, რისთვის და როგორ უნდა მომემზადებინა, სანამ არ ვკითხე, ვერ მივხვდი ვერასგზით.

– თხუთმეტი როზგი!

– რისთვის, ბატონო პოლკოვნიკო? – ამაზე ხარხარი აუტყდა პოლკოვნიკს მისთანა, რომ კედლები აზანზარდა ოთხივე.

სისულელე იყო ამის თქმა, წამომცდა და რას ვიზამდი აწი. მიტომ წამომცდა, რომ დათა თუთაშხია თუ წაგვივიდოდა ხელიდან რამენაირად, სახნოვს იქნებ ვერ დაწეოდა, მარა თხუთმეტ როზგს ჩემს შვილებს და მე არ გვაპატიებდა არასგზით.

აღარ დავლოდებივარ პასუხს, გავედი ოთახიდან, გავაგზავნე ხალხი თუთაშხიას ამოსაყვანად.

თხუთმეტი როზგი! კი ბატონო, მარა ჩემი ხალხის ამბავი რომ ვიცოდი – რომელი შეაბამს ეჟვანსო, ნათქვამია და ისე მქონდა საქმე. მანგია მყავდა ერთი, მისთანა სულელს კაცს ვერ ნახავდი ამ ქვეყანაზე. მასაც კი ესმოდა, დათა თუთაშხიასთვის დარტყმული თითო როზგი თითო სიკვდილად რომ ფასობდა იმ დროში.

მოიყვანეს თუთაშხია. დგას და მიყურებს. გაუგებ, რას ფიქრობს და რას აპირებს, მამაძაღლი?

– დააწვინეთ! – ვუბრძანე ჩემს კაცებს.

ხუთნი იყვნენ. ეტაკნენ თუთაშხიას. თითო წიხლი კამფეტებივით ჩამოურიგა ხუთივეს. ზოგს სად მოხვდა, ზოგს – სად და გაჩერდნენ ჩემი კაცები.

– დააწვინეთ! – ნამეტანი გავბრაზდი.

– ახლოს არ მოხვიდეთ არც ერთი! – თქვა თუთაშხიამ, როზგებს შეხედა, დაწვა იატაკზე გულდაღმა და ჩემს კაცებს უთხრა: – შენ საბაღუა ხარ, შენ – ტოლუა, შენ – მანგია, შენ – ჩილორია, შენ – გაბისონია...

– დაკარით!.. სამ-სამი დაარტყით თითომ, თხუთმეტი რომ გამოვიდეს სულ!

დაუწყეს ცემა. არც ერთი არ ურტყამდა გულიანად: ხელს მაგრად იქნევდნენ – იცოცხლე, როზგს ჰაერში ზუზუნი გაქონდა, მარა მოხვედრით, ერთი არ მოხვედრია, საჭირო რომ იყო, ისეთი. იწვა აბრაგი, შემომყურებდა თვალებში, არ ძრავდა ხმას და კრინტს.

ასე, თორმეტი ექნებოდა დარტყმული, რომ შემოაღო კარი პოლკოვნიკმა სახნოვმა და მისთანა ყვირილი და ვაი-უბედურება დაგვაწია, კაცი იფიქრებდა, თუთაშხიას წილი საყვირალი და სალანძღავი ამან იკისრაო:

– რას შვრებით! შეწყვიტეთ ეს ჯალათობა!.. ვინ მოგცათ უფლება! რა დააშავა მაგ კაცმა!.. იდიოტებო! დამიხედეთ, ერთი, ამ ნაძირალებს, ამათ?! გაეთრიეთ აქედან! ქილია, გაყარე ეს გარეწრები გარეთ! ადგილზე დავხვრეტ ხუთივეს!..

მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს წარმოდგენა, პირველი არ იყო, მარა ჩემმა ხალხმა სიმართლედ მიიჩნია და პოლკოვნიკი თავისი ალიაქოთის ნახევარზეც არ იყო მისული ჯერ, რომ დაყარეს როზგები და ფუცხუნ-ფუცხუნით გაცვივდნენ გარეთ.

– ადექით! – ისეთი ხმით უთხრა პოლკოვნიკმა, რომ ბოდიშის მოხდას ნიშნავდა, პირდაპირ.

ადგა თუთაშხია.

– აჰყარეთ ბორკილი! – მე მითხრა ეს.

– მანგია შემოდი!

შემოვიდა მანგია. ვანიშნე, აჰყარა თუთაშხიას ბორკილი, წაიღო თან და წავიდა.

– აქეთ ოთახში შემოდით, ბატონო თუთაშხია, – შეიპატიჟა პოლკოვნიკმა აბრაგი და ერთი დაიყვირა კიდევ: – ვინ დაგავალათ როზგები... რისთვის შეურაცხჰყავით ადამიანი!

ისე გამოდიოდა, ვითომ მე ჩემი ნებით ვაცემინე დათა თუთაშხია... მარა არ იყო თუთაშხია სახნოვის ჭკუის კაცი და მშვენივრად მიხვდა ყველაფერს – შევატყე.

შევედით უკანა ოთახში, დავსხედით ჩვენს ადგილზე, შევავსე დაკითხვის ოქმი. შევყურებ პოლკოვნიკს, აწი რას იზამს ან რას იტყვის-მეთქი.

– რა კავშირი გაქვთ ჭანტურიებთან? – კითხა ჩემმა უფროსმა თუთაშხიას.

ჭანტურიები აბრაგები იყვნენ – ორი ძმები.

– რომლებია მაგ ჭანტურიები?

– ყაჩაღები.

– არ ვიცნობ მე მათ.

– იცნობთ. მიპასუხეთ, რა კავშირი გაქვთ მათთან! – დაიჟინა პოლკოვნიკმა.

– არ ვიცნობ მე მათ! – არც თუთაშხია იყო სახნოვზე ნაკლები ჯიუტი და ოხერი.

მოდგნენ და ნახევარი საათი სულ ერთი და იგივე ილაპარაკეს:

“იცნობთ!” “არ ვიცნობ მე მათ!” რამდენჯერაც თქვეს, იმდენჯერ ჩავწერე. რა მექნა, აბა? რომ ვერ გახდა პოლკოვნიკი ვერაფერს, გაჩუმდა მაშინ ცოტა ხნით და უთხრა მერე დათა თუთაშხიას:

– კარგი, დავანებოთ თავი ამას. მეფისნაცვლის მიერ გაცემული საბუთი წარსულში ჩადენილ ყველა ბოროტმოქმედებას გპატიობთ – ეს მართალია, მაგრამ შერიგების შემდეგ ჩადენილი სულ მცირე დანაშაულიც კი აუქმებს ხსენებულ საბუთს და თქვენ გასამართლებული იქნებით ყველა დანაშაულისთვის, რომელიც ოდესმე მაინც ჩაგიდენიათ. თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაული კი ექვს სქელ საქაღალდეში ძლივს ეტევა და ერთადერთი განაჩენი, რომელსაც სასამართლო გამოიტანს – სახრჩობელა იქნება. ცნობილია თუ არა ზემოთქმული თქვენთვის?

თუთაშხიამ პასუხი არ გასცა.

– საკმარისია, შევძლოთ ჭანტურიებთან თქვენი დანაშაულებრივი კავშირის დამტკიცება, რომ სახრჩობელაზე დაასრულებთ სიცოცხლეს.

– არ ვიცნობ მე მათ!

პოლკოვნიკმა თავი გადაიქნია, ვითომ ნანობდა, თუთაშხია ასეთი გაუტეხავი რომ იყო, და მიბრძანა:

– გაიმეორეთ!

მოვიყვანე ჩემი ხალხი ისევ.

– ზედმეტია ეს. არ გამოვა არაფერი აქიდან! – უთხრა თუთაშხიამ პოლკოვნიკს და დაწვა ისევ.

– გამოვა, გამოვა! – თქვა პოლკოვნიკმა. – დაკარით!

– ქილია! არ ჩანს მაგ კაცი მთლად საღი ჭკუის და მარცხში გაგაბამს შენც, – მეგრულად მითხრა თუთაშხიამ. – ჭანტურიები არაფერ შუაშია, ვატყობ საქმეს. რა უნდა, ნეტავი, მითხრას პირდაპირ. ჩემთან ეს კუკუმალულობა არ გამოადგება მაგას, იცი ეს შენ.

– დასცხეთ! – დაიყვირა სახნოვმა თითით მიმიხმო და მკითხა, რა თქვა მაგანო.

სანამდი ვუთაგმნიდი, დაკრეს როზგები აბრაგს. არ მოეწონა, ალბათ, ჩემი კაცების მუშაობა სახნოვს; წამოხტა, წაართვა ხელიდან გაბისონიას როზგი და დაცხო თვითონ – ხო, ხო, ხო!.. ცემა, სანამდი დაიღლებოდა. არ განძრეულა თუთაშხია, არ გაუღია ხმა-კრინტი. დაჯდა ისევ პოლკოვნიკი, მოითქვა სული, ხელახლა მათარგმნინა თუთაშხიას ნათქვამი. რომ გავათავე თარგმნა, აუქნია ხელი პოლკოვნიკმა ჩემს კაცებს, გადით აქედანო, და დაფიქრდა.

დიდი იფიქრა და ამტვრია თავი რაღაცას. თვალები ძირს ქონდა ჩახრილი. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ხომ არ მიიძინა ჩემმა უფროსმა-მეთქი. დათა თუთაშხია მხარ-თეძოზე წამოეგდო, შეიბჯინა ხელისგული ყურის ძირში და რანაირი თვალებით გვიყურა, თუ იცი?.. ახლა ვნახოთ, კიდევ რა სისულელეს მოიმოქმედებს ეს ორი კაძახიო!

კიდევ მოვიმოქმედეთ!

– დაჯექით აქ! – მიუთითა პოლკოვნიკმა სკამზე თუთაშხიას.

ისე აითრია უკანალი აბრაგმა, რომ წოლა ერჩია, მგონია.

– მაშ, ჭანტურიებს არ იცნობთ, ხომ?

თუთაშხიამ თავი გაიქნია, არაო.

– დავუშვათ... მაგრამ იმისთვის, რაც ჩვენ გვჭირდება, ნაცნობობა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის. ერთი ეს მითხარით: შეგიძლიათ თუ არა, გაიცნოთ და კონტაქტში შეხვიდეთ მათთან?

– კი შემიძლია, მარა არ მჭირდება.

– თქვენ რომ არ გჭირდებათ, არაფერს ნიშნავს ეგ. ჩვენ გვჭირდება! თქვენ თავისუფლება და შინ ყოფნა გჭირდებათ, ხომ?

თუთაშხიამ მხრები აიჩეჩა, – რა ვიცი, როგორ გითხრათო.

– დაგვაჭერინეთ, დაგვახოცინეთ ან თვითონ დახოცეთ ის ჭანტურიები. მაშინ სახრჩობელასაც აიცდენთ და სხვა უსიამოვნებებსაც.

თუთაშხიამ გულიანად გადაიხარხარა – გაუხარდა ოხერს, მიზანი რომ დააროშვინა პოლკოვნიკს. არა, სხვა უსიამოვნებებსაცო – ვითომ სახრჩობელაზე მეტი უსიამოვნება კიდევ იყო რამე.

– არაფერი არ გამოვა, ბატონო პოლკოვნიკო მანდედან! – დაწყნარდა თუთაშხია.

– გამოვა გამოვა! – აიხირა სახნოვმა.

ასე დაჯერებული და დარწმუნებული კაცი მეორე არ შემხვედრია არსად გამოვაო! რატომ უნდა გამოსულიყო, ვითომ? ერთი, რომ თუთაშხია იმ საქმეს, მომკალი თუ გინდა, სანამდვილოდ არ იკისრებდა და, მეორე – ჭანტურიებმა არც სროლა იცოდნენ თუთაშხიაზე უარესი და არც მასზე ნაკლები ეშმაკები იყვნენ. თუთაშხიამაც ეს კითხა:

– ასე დარწმუნებული რატომ ხართ, ბატონო პოლკოვნიკო.

– დაარტყით კიდევ ათი როზგი და მერე განვუმარტავ, თუ რატომ ვარ ასე დარწმუნებული, – მითხრა პოლკოვნიკმა.

დაწვა თუთაშხია ისევ და ისევ დაუშინეს ჩემმა კაცებმა. მაინც რამ აატანინა იმდენი?! მართალია არ ურტყამდნენ კარგად, მარა ოცდაათი და მეტი როზგი მოცაცუნებითაც ნამეტანი ძნელი გასაძლებია, ღმერთმანი!

წავიდნენ კაცები და ისევ სკამზე დაჯდომა უბრძანა თუთაშხიას სახნოვმა.

– ახლა გეტყვით, რატომ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დაგვეხმარებით, – პოლკოვნიკმა აზრი მოიკრიბა, მანიშნა, აღარ ჩაწეროო, და თუთაშხიას მიუბრუნდა: – ხალხი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, ვინცა ხართ. წინათ ყველა, ან თითქმის ყველა, თქვენი დამხმარე და ხელის შემწყობი იყო. ახლა – ყველა მტრად გადაგეკიდათ. თქვენს მიერ დარბეულ თუ დახოცილ ადამიანებს შვილები წამოეზარდათ და საფარიდან თითო ტყვიის სროლას არც ერთი მათგანი არ დაინანებს.

– უსამართლოდ არავინ შემიწუხებია, უწესო საქმე არ ჩამიდენია არასოდეს და კაცის ცოდვა საერთოდ არ მადევს მე, ერთის მეტი, თქვა თუთაშხიამ.

მოდგა მაშინ სახნოვი და ყველაფერი ჩამოუთვალა, რაც ჩვენი კაცების ენით ჭორები დავუყარეთ თუთაშხიას და რაც იმ ჭორებს ხალხის ენამ დაუმატა კიდევ: ლუწში თოდუების ოჯახი შენ ამოწყვიტეო, არტვილთან მეძველია და გამელაგდია – ყაჩაღები, შენ დახოცეო. ოთხი ქალიშვილი ჩამოუთვალა – ოთხივე შენი გაუპატიურებულიაო და, აღარ მახსოვს ახლა, კიდევ რა უთხრა!

– მაგ ამბებს ჩემზე რომ ლაპარაკობენ, გაგონილი მაქვს მე, მარა არც ერთი არ გამიკეთებია ეგენი, – ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

სახნოვმა მასხრად აიგდო, – გიგონებენ, შე საწყალო, შენო!

ღამის სამ საათამდე გაგრძელდა ეს ლაპარაკი. დათა თუთაშხია, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ნებდებოდა და ტყდებოდა, თითქოს, მარა ვხედავდი, რომ ეშმაკობდა მამაძაღლი.

– მძიმე მდგომარეობაში ხართ, ძალიან, – ეუბნებოდა სახნოვი. – რამდენადაც ვიცი, ყველაზე ერთგულმა მეგობრებმაც კი ზურგი შეგაქციეს და რამდენჯერმე გითხრეს უარი მასპინძლობაზეც და დახმარების აღმოჩენაზეც. თქვენ ახლა გალოკილი თითივით მარტო

და მიუსაფარი ხართ. მეტიც, თქვენ განწირული ხართ და, აი, როგორ: კიდეც რომ გაგათავისუფლოთ, მტრები და შურისმძიებლები მოგკლავენ. ჩვენ უფლება არ გვაქვს, მკვლელობას და ბოროტმოქმედებას ხელი შევუწყოთ. თქვენი გათავისუფლება კი სწორედ ამას ნიშნავს. მაშასადამე, ვეღარ გაგიშვებთ. რაკი ვეღარ გაგიშვებთ, მაშინ მსჯავრიც უნდა დაგადოთ ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც დღემდე მიგიძღვით. ეს კი სახრჩობელას ნიშნავს. ერთადერთი გამოსავალი არსებობს: ჩვენს სამსახურში უნდა ჩადგეთ. ჩვენს სამსახურში ყოფნა ხელშეუხებლობას ნიშნავს. მტრები ხელყოფას ვეღარ შემოგბედავენ. მათ კარგად იციან, რომ ჩვენი კაცის მკვლელობისთვის სასჯელი მხოლოდ ერთია. მეორე მხრივ, პერსპექტივაში გაქვთ სამსახური, ჯამაგირი, კეთილდღეობა, სახელმწიფო ჯილდოები და დაწინაურება. ამრიგად, თქვენ ორი უკიდურესობის წინაშე დგახართ: ან ციხე და სახრჩობელა, ან თავისუფლება და კეთილდღეობა. გონიერი კაცისთვის ამ მდგომარეობაში არჩევანიც კი გამორიცხულია... როგორც ხედავთ, ლოგიკა ჩემს მხარეზეა და არსებობს კიდევ უფრო დიდი ლოგიკა – ძალა! ჩვენს მხარეზეა ძალა ყოვლისშემძლე, მსოფლიოს უდიდესი იმპერიების დამაოკებელი და მომთვინიერებელი ძალა, რომელსაც თქვენ, ბოლოს და ბოლოს, ან დაემორჩილებით, ან დაიღუპებით... ამჯერად ბევრი არაფერი გვინდა.. ჩაგვაბარეთ ჭანტურიები ან მათი გვამები. ამისთვის ხელისუფლების კეთილგანწყობასთან ერთად მიიღებთ სამ ათას მანეთს... ოქროთი!

სიჩუმე ჩამოვარდა და ისე დალაგებული იყო პოლკოვნიკის ნალაპარაკევი, რომ ვიფიქრე, ნეტავი რა აქვს საყოყმანო და გადასაწყვეტი გათახსირებულ თუთაშხიას-მეთქი.

– მაფიქრეთ პატარა ხანს, – თქვა აბრაგმა. – მასეთი ამბავის დაუფიქრებელი გადაწყვეტა არ ივარგებს.

ეს რომ გაიგონა პოლკოვნიკმა, სიხარულისგან თუ არ გადაირეოდა – არ მეგონა სწორედ. იფიქრა სახნოვმა, ახლა უნდა დავაწვე, დაწოლა თუაო და გადაჭრით უთხრა:

– უკვე გითხარით, რომ საფიქრალი მანდ არაფერია, რაც გელაპარაკეთ, ყველაფერი წინასწარ არის მოფიქრებული და განსჯილი. მე ლოდინი არ შემიძლია, პეტერბურგში გადაუდებელი საქმეები მელის. თქვენი საკითხი დღესვე უნდა გადავწყვიტო, სათანადო განკარგულებები გავცე და ხვალ დილით ადრე გზას გავუდგე. მე გელით. – პოლკოვნიკმა საათი ამოიღო, სახურავმა გაიტკაცუნა, – მე გელით ორ წუთს!

ორი წუთი გავიდა. სახნოვმა საათის სახურავი ისევ გაატკაცუნა და მაგიდაზე გაშლილი ქაღალდების მოგროვება დაიწყო, ვითომ ეჩქარებოდა და წასვლას აპირებდა.

– რამდენ ხანს დამაცდით მაგ საქმეს? – იკითხა თუთაშხიამ ხმადაბლა.

– ათ დღეს... ორ კვირას.

– რომ ვერ გაკეთდეს?..

– გაკეთდება გაკეთდება! – დაჟინებით თქვა სახნოვმა და ვიფიქრე, კიდევ დამაძახებინებს ხალხს და, როზგებიო, იტყვის.

– კაი, ბატონო, ვიზამ, ასე თუა საქმე! – ძალიან გაჭირვებულად თქვა თუთაშხიამ.

– გაფორმება უნდა ამას! – სახნოვმა კალამი მოიმარჯვა და წერა დაიწყო.

დაწერა პირობის წერილი. ჩაწერა შიგ, რა ევალებოდა დათა თუთაშხიას, რამდენ ხანში უნდა შეესრულებინა დავალება, რომელი პარაგრაფით და რომელი მუხლით აგებდა პასუხს შეუსრულებლობის შემთხვევაში და სხვა ყველაფერი კიდევ, რაც ასეთ ხელწერილებში იწერება.

გაათავა და, წაკითხვას თუ მოახერხებო, კითხა თუთაშხიას.

მოვახერხებო.

დაიდო წინ თუთაშხიამ პოლკოვნიკის ნაწერი ქაღალდი, იკითხა ნახევარ საათს და თქვა:

– ვიფიქრე მე და არ ეყოფა ამ საქმეს ორი კვირა. თვე-ნახევარი დაჭირდება, სულ უკანასკნელი. გადავწეროთ უნდა ეს ხელწერილი.

შეხედე, მამაძაღლს! ხედავ შენ, რა მოიგონა?! რატომ თქვა, თუ იცი? რატომ და, უფრო რომ დარწმუნებულიყო სახნოვი, – გათავებულია საქმე, გადმობირებულია თუთაშხიაო – ეს ერთი, და მეორე ის, რომ თანხმობა მეტი დამაჯერებელი ყოფილიყო.

ვიცოდი, რასაც ეშმაკობდა აბრაგი, მარა სახნოვს არ ესმოდა ეს. გადაწერა ეზარებოდა იმ ქაღალდის და მიტომ დაუწყო დარწმუნება, ორი კვირის მეტი არ დაგჭირდებაო. იქეთ თუთაშხიამ დაიჟინა, თვე-ნახევარიო, და კიღამ წაიკიდნენ ამაზე. მერმე სახნოვს მოაგონდა, ნაწერის ბოლოში შენიშვნის გაკეთება რომ შეიძლებოდა, დათანხმდა ვადის გაგრძელებაზე, აგერ, ქვეშ მივაწეროთო, მარა არ ქნა და არ მოაწერა ხელი თუთაშხიამ, სანამ არ გადააწერინა ქაღალდი ხელახლა.

რას იზამდა, და გადაწერა პოლკოვნიკმა ხელწერილი. იკითხა ისევ ნახევარი საათი თუთაშხიამ, მოაწერა ხელი და დანიშნა პირველი შეხვედრის ადგილი ერთი კვირის თავზე. სანამდი გავუშვებდით აბრაგს, ვიხელთე დრო, გავბედე და ჩავჩურჩულე პოლკოვნიკს, – გვატყუებს, ერთი სიტყვა არ დაიჯეროთ მაგისი-მეთქი. ისე შემომიბრიალა თავისი თევზის თვალები სახნოვმა, ვითომ მე ვასულელე მთელ ღამეს და მერმე მე ვუპირებდი მოტყუებას და პირობის დარღვევას. გამოგვაყვანინა თავლიდან თუთაშხიამ თავისი შავი ბოჩოლა, შეჯდა ცხენზე და, სიმართლე გითხრა, მას მერე თვალით აღარ მინახავს არასდროს.

მეორე დილას თხუთმეტი ფურცელი ქაღალდი დამაწერინა პოლკოვნიკმა, თუთაშხია ჭანტურიებს რომ დაგვაჭერინებდა, იმის მერე რა უნდა მექნა და რა მუშაობა უნდა ჩამეტარებინა. ჩაჯდა ეტლში და

წავიდა ფოთში.

დადგა თუთაშხიასთან შეხვედრის დრო. მე რას მივიდოდი იქ, იმდენი როზგის მერე! მოსაკლავი თავი ვის ქონდა ჩავსაფრდი შორს და დანიშნულ ადგილზე კაცი გავგზავნე. მივიდა ჩემი კაცი იქ. არავინ არ დაუხვდა. რვა წლის ბიჭი ნახა ხიდის ყურში, ხურჯინს

მიჯდომოდა გვერდში და იჯდა ასე. იყო იქ ჩემი კაცი ერთხანს. რომ აღარ გამოჩნდა თუთაშხია, იფიქრა, ეს პატარა ბიჭი მისი გამოგზავნილი ხომ არ არისო. კითხა, ვინ ხარ და რას აკეთებ აქო?

– თუთაშხიამ გამომგზავნა, ვიღაც კაცი ყავს დაბარებული ამ ადგილზეო.

– მე ვარ ის კაცი, რა დაგაბარაო?

– აგერ, ეს ხურჯინი გამომატანაო.

– რაი, მერეო?

– ნიკანდრო ქილიას მიართვან, ასე მითხრაო.

წამოიღო ჩემმა კაცმა ხურჯინი, მოიტანა. გავხსენი: ცალ მხარეს ქათამი იყო და მეორე მხარეს – ინდოური.

კაი, ბატონო, მარა, რაც იმის მერე თუთაშხიამ ამბავი დააწია, იმასთან ყველაფერს, მართლაც, ქათმის და ინდოურის ფასი აქვს მანამდე მის ჩადენილებს! ერთი კია, რომ, რაც ჩაიდინა და რამდენიც ჩაიდინა, ოხერმა, – თავისი სამხილებელი არ დაუტოვებია თითქმის არაფერში, მარა მისი მეორედ გააბრაგების შემდეგ საქართველოში ძალადობა, მკვლელობა და ხანძარი რომ დატრიალდა უსაშველო, – უმრავლესობა მისი ხელიდან იყო გამოსული, ასეა ეს, თუ ვარ ნიკანდრო ქილია!..

ამასობაში გავიდა კიდევ ერთი თვე. ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის პოლიციის უფროსის მოადგილე, ჩამოიყვანა ოფიცერი და გადამაბარებინეს საქმეები, მოგჭამა ჭირი პოლიცმეისტრობამ.

ჩავედი თბილისში, ვეახლე მუშნი ზარანდიას. დამინახა და გაცეცხლდა – მუგუზლებს ყრიდა პირიდან! ორ საათს მიყვირა, მიღრიალა და სახედარი მეძახა სულ. ისეთ გუნებაზე დავდექი, ვიფიქრე, – მაინც გათავებულია ყველაფერი-მეთქი, მომივიდა გული და მივაყვირე მუშნი ზარანდიას:

– შენ დამაკარგვინე, მუშნი ზარანდია, თანამდებობა, შენ დაანგრიე ჩემი ოჯახი და ამ საქმის გამოსწორება შენვე კეთილ ინებე, თვარა მე ვიცი, რასაც გიზამ და რასაც მოგიხერხებ!

– რას მიპირებ, მაინც? კაცმა წინასწარ რომ იცის მოსალოდნელი უბედურება, შეღავათია რაც არ უნდა იყოს! – მასხრად ამიგდო ზარანდიამ.

– ებრაელების ნაჩუქარ საყურეებს თუ ატარებს შენი ცოლი, მუშნი-ბატონო?! – ვკითხე მე.

– მოდი, დაჯექი აგე, ქილია.

მივედი და დავჯექი.

გააღო კედლის განჯინა ზარანდიამ, ეძება რაღაც, იპოვნა, რომ ჭირდებოდა ის ქაღალდი, და დამიდო წინ:

– იდიოტი და თავხედი კი ხარ, მარა წერა-კითხვა იცი და კარგად წაიკითხე მაგ ქაღალდი!

ნოტარიუსის ქაღალდი იყო. ჩუქების მერე ერთი კვირის თავზე დაუბრუნებია საყურეები ებრაელებისთვის ზარანდიას. გავშტერდი კაცი. ამდენ წელიწადს ისე ეჭირა თავი, ვითომ დიდად დავალებული იყო ჩემგან, რომ არ ჩავწერე მოხსენებით ბარათში საყურეების ამბავი და რომ არ დავასმინე, ქრთამი აქვს აღებული-მეთქი. ამდენ ხანს სულ იმის იმედი მქონდა, – ნაშოვნი მყავს მუშნი ზარანდია და, ნუ დამიყენოს ღმერთმა საქმე ისე, მარა თუ დამჭირდა, ჩემს ნებაზე ვატარებ-მეთქი, მეგონა. სად ხარ თურმე?! მთლად გავგიჟდი და გავცოფდი.

– მუშნი ზარანდია, წამიხვედი, გგონია, ხელიდან, მარა ჩემი შვილების უბედურებას არ შეგარჩენ მაინც. დავჯდები და, არ დავტოვებ არც ერთ უწყებას, ყოველდღე გავაგზავნი დასმენას, მუშნი ზარანდია ქურდია, მექრთამეა, მეფის ტახტის მოღალატეა-მეთქი. არ დამიჯეროს იქნება არავინ, მარა გაისვრები და გათახსირდები – ეს ხომ იქნება ნამდვილად! უნდა აღმადგინო თანამდებობაზე, თვარა

ვიზამ ამას!

გაიცინა მუშნი ზარანდიამ:

– მაგას და მაგაზე უარესს რომ იკადრებ და იზამ – ვიცი მე ეგ, ქილია. დაწყნარდი ახლა, კაცი მყავს მისაღები და იჯექი ჩუმად.

დარეკა ზარი, შემოუშვეს ვიღაც. დაჯდა და საქმეებზე ილაპარაკეს კაი ხანს. წავიდა კაცი.

– ხომ დამშვიდდი, ნიკანდრო ქილია? – მკითხა დაცინვით ზარანდიამ.

იმდენი დრო გავიდა იმ კაცთან ლაპარაკში, რომ დავმშვიდდი კი არა, გონს მოვედი და კინაღამ თავში მუშტი წავიშინე, რა ვიკადრე და რა ვაკადრე-მეთქი! ჩავღუნე თავი, ვიყავი ჩუმად. ამოიღო ზარანდიამ უჯრიდან სხვა ქაღალდი, დამიდო წინ და მითხრა:

– გადაწერე ეგ, დამიტოვე და წადი, დაისვენე ორ, სამ თვეს. ვნახოთ მერე.

წავიკითხე ქაღალდი. რას ხედავს ჩემი თვალები! მუშნი ზარანდიას ჩემი დასაწერი ახსნა-განმარტების და სამსახურში აღდგენის თხოვნა დაუწერია უჩემოდ დაუწერია და როგორ, მერე!

– არ გეგონოს, ქილია, შემაშინე და მიტომ ვაკეთებ მაგას. არ მეშინია მე შენი. უსამართლობა დატრიალდა შენს თავს და უნდა დაგეხმარო. ადამიანობა მოითხოვს ასე ერთია კიდევ: არ ხარ დიდი ჭკვიანი კაცი, მარა არც მექრთამე და საქმის ორგული ხარ; შენი მაზრის ავ-კარგი სხვაზე უკეთ იცი და შენს ადგილზე ჯობიხარ სხვას. გვჭირია შენისთანა კაცები. გადაწერე ეგ და წადი.

ორი თვის თავზე ჩემი პოლიცმეისტრობა ჩამაბარეს ისევ.

ასეთი ეშმაკი კაცი იყო მუშნი ზარანდია და, ამასთან, გულკეთილიც. ხედავ ამას ახლა შენ! ამას ქვია კაცური კაცობა, ასე უნდა ცხოვრება და თავის დაჭერა ამ ქვეყანაში.

## კარი მესამე

…მიუხდა თუთაშხა მას ურჩხულსა პირიდან ცეცხლგადმომდინარეს, შთასცა შუბი ხახასა შინა, განართხო მიწასა ზედა და მოჰკვეთა თავი იგი. უხაროდის მათ ცოტა კაცთა, რომელნი იყვნენ ფარულად თაყვანისმცემელნი წესისა თუთაშხასი და ჰგონებდნენ მას მხსნელად ერისა.

გარნა ფენიქსებრ აღსდგა ურჩხული და მოიბა ერთისა მოკვეთილისა თავისა წილ თავი შვიდი. აღიძრა თუთაშხა კვალად და შემუსრნა შვიდივე თავი ურჩხულისა. მოვიდა სისხლისა ღვარი და მდინარე მისი ადიდებული გარდავიდა ნაპირთაგან წალეკვად ქვეყნისა, წარიღო და დანთქა სისხლმან მონაგარი მამა-პაპათა, არღა დარჩა მხვნელი და არღა შეიქმნა მოცალება თესვისათვის. კაცთა იწყეს კლვა და მუსრვა, რამეთუ ედოთ გულსა შიგან:

რომელთამე განზრახვა ესერიგი მიმართ სხვათა; ვიეთნი კლვიდნენ განურჩევლად და სცემდნენ ნადგურსა, რამეთუ განმდგარ და განყრილ იყვნენ ჭეშმარიტის დანიშნულებისაგან კაცისა სოფელსა შინა; სძულდათ ყოველი, თუმცა არა უწყიდნენ, რაი სურდათ, გარდაი კლვისა და მუსრვისა და ჰქონდათ განმართლებად ბოროტებისა თვისისა მაგალითი თუთაშხასი, რომელმან ძალითა დათრგუნვა იზრახა ურჩხულისა.

ხოლო ურჩხულმან ყოველისა მოკვეთილისა თავისა წილ ამოიყარა შვიდი და ამოდენჯერვე განმრავლდა ბოროტება ერსა შორის.

დაეცა ზარი თუთაშხას ნახულისა გამო და მოიცვა იგი რწმენამ, რამეთუ ვერცა ვინ არგოს მოდგმასა კაცთა, თუ არ კაცმავე.

განიზრახა თუთაშხამან, სულმა კრებითმა მან, გარდაქცევა ძედ ხორციელად და იქმნა თუთაშხა განზრახვასა თვისსა შინა ღმერთად!

### გრაფი სეგედი

შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ კაცობრიობას ნამდვილი ჭკვიანი კაცები ერთობ ნაკლებად ურევია. ეს განსაკუთრებით ცხადი და ნათელია მონარქების, პრეზიდენტებისა და კანცლერებისათვის, რომელთა ენაზე ამას "ჭკვიანი კაცების პრობლემა" ჰქვია, მაგრამ მათ წინაშე მუდამ დგას მეორე, გაცილებით მძიმე და მარადის გადაუჭრელი "გონებაშეზღუდული კაცების პრობლემაც" – კაცობრიობის უდიდესი ჭირი.

შემჩნეულია, რომ სახელმწიფოს მართვისათვის დაბადებულად თავის თავს, სწორედ და უპირველესად ყოვლისა, შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები სთვლიან. ისინი გასაოცარი მხნეობითა და შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბეჯითესნი აღწევენ კიდეც მიზანს – მართვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს.

მე ბევრი მიფიქრია ასეთთა წარმატების ბუნებასა და მიზეზებზე; მგონი, არ ევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყოველივე ეს, ძირითადად, მანიაკობიდან მოდის: როცა კაცს თავისი უპირატესობა უყოყმანოდ ფანატიკურად სწამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია. ეს ცნობილია. თავხედობა გოდოლებს მუსრავს, მაგრამ დაპყრობილის შესანარჩუნებლად არ კმარა, – იქ ჭკუა, განზოგადების უნარი, შემოქმედებაა საჭირო, რაც ჩვენს შემთხვევაში, თავიდანვეა გამორიცხული, – ჩვენ ხომ

შეზღუდულ კაცებზე გვაქვს საუბარი. ამდენად, გოდოლი შედარებით მალე გადადის ხოლმე სხვის ხელში და ,,კაცობრიობის უდიდესი ჭირი" ქრონიკულ ხასიათს იღებს. საქმე ის არის, რომ თუნდ ერთხელ და თუნდ მოკლე ხნით მაღალ თანამდებობაზე ნამყოფი კაცისა ყველას ეშინია – სხვათა ცოდვები იცის, ესენი იძულებული არიან, წაბორძიკებულს მხარი დაუჭირონ. ამავე დროს, როგორც უკვე ვთქვით, ჭკვიანი კაცების ნაკლებობის პრობლემაც ქრონიკულია და ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთი შეზღუდულის ადგილზე მეორე შეზღუდულმა მოიკალათოს. ასეთ შემთხვევაში მაღალი თანამდებობის პირებს ცნობილი ცოდვილის შენარჩუნება ურჩევნიათ უცნობი ჭკვიანის დაწინაურებას. ამიტომ შეზღუდულისთვის რომელიმე სავარძლის დაკარგვა მხოლოდ სხვა, ხშირად, უმჯობესის მიღებას ნიშნავს.

ასე გრძელდება იქამდე, სანამ ეს კაცი სოფლად გახიზვნასა და სატაცურის მოყვანას გადაწყვეტდეს ან უმჯობეს სამყაროში გადასახლდებოდეს. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა, რაღა თქმა უნდა, ერისა და სახელმწიფოს კისერზე გადადის, მთავარია, რომ სანამ ერთი მანიაკის წასვლის ჟამი დაჰკრავდეს, სხვა მანიაკების შემოჭრა–დამკვიდრება ძველებურადვე ხორციელდება. ეს უწყვეტი პროცესია და არა ცალკეული შემთხვევები – ამაში მდგომარეობს "შეზღუდული კაცების პრობლემა", – შეზღუდული კაცებისა, თორემ გულწრფელი ან გაიძვერა კარიერისტების საქმე სხვაა.

დათა თუთაშხიას ხელმეორედ გააბრაგების შემდეგ ყურადღების ღირსი და მნიშვნელოვანი ბევრი რამ მოხდა. მხედველობაში მაქვს "კილიკიის" გარშემო შექმნილი ვითარება და სხვა ამბები, რაც შეზღუდული კაცების ქმედებისა და მოღვაწეობის დასახასიათებლადაც გამოდგება, იმაში გასარკვევადაც, თუ რას ნიშნავს გამოთქმა "ჭკვიანი კაცი" და, უმთავრესად და პირველ ყოვლისა, იმის სათქმელად, თუ როგორი და რა გავლენა მოახდინა იმ ამბებმა ჩემს შეხედულებებზე, თვალსაზრისზე და შემდგომში – პირად ცხოვრებაზე.

სანამ თხრობას შევუდგებოდე, მცირე რამ მოსაზრება მაქვს სათქმელი. ჩემი ღრმა რწმენით, ზრდადამთავრებული ადამიანი სხვა ადამიანებთან თუ მოვლენებთან ურთიერთობას წინასწარშეთვისებული სტერეოტიპებით ახორციელებს. იგულისხმება საქციელის სტერეოტიპი. განვმარტოთ: სტერეოტიპის აღქმა, შეთვისების პროცესი დაბადებიდანვე იწყება და, ძირითადად, ოცი, ოცდახუთი წლის ასაკისთვის მთავრდება. ამის შემდეგ მიმდინარეობს მათი დახვეწა-რაფინირება, ანუ თვით სტერეოტიპის ქვესტერეოტიპებად დანაწევრება და ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. მაგალითისთვის ვიტყვი: აღქმა–შეთვისების პროცესში შევიძინე სტერეოტიპი – მათხოვარს უნდა ვაჩუქო. შემდგომში ეს სტერეოტიპი დანაწევრდა: როგორ მათხოვარს, რა პირობებში, რამდენი უნდა ვაჩუქო თუ არ ვაჩუქო. ან სიჭაბუკის წლებში შევიძინე სტერეოტიპი – უნდა ეცვას ისე, რომ ჩემმა ჩაცმულობამ არავინ შეაწუხოს. დანაწევრებამ შემაიარაღა ქვესტერეოტიპებით, რომელთა წყალობით ვახერხებდი ამა თუ იმ წრის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დონის დადგენას და ამის მიხედვით ჩაცმულობის მოწესრიგებას. ყოველივე ამას ხასიათის, ფსიქიკის ცვლილება-განვითარებაც ჰქვია. ჩემი საქციელისა და ქმედების სტერეოტიპების დანაწევრება, ძირითადად, უცხოეთში განსწავლისა და შემდეგ საიდუმლო სამსახურის წლებში მოხდა და ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება. ფიგურალურ თქმას თუ გამოვიყენებ, რამდენი მათხოვარიც შემხვედრია, იმდენი ახალი ნაწევრის შეძენა განუცდია მათხოვრებისთვის განკუთვნილ ჩემს

სტერეოტიპს; რამდენგან ვყოფილვარ მიპატიჟებული ან საქმეზე მისვლა დამჭირვებია, იმდენჯერ – სტერეოტიპის ძალით და მისგან გამომდინარე – საგანგებოდ მიფიქრია, თუ რისთვის უნდა მიმექცია ყველაზე მეტი ყურადღება ჩაცმულობაში და ეს კი ახალი ქვესტერეოტიპის შემუშავებას ნიშნავდა. ძირითადი კი – თუნდ მხოლოდღა მოთხოვნილების სახით – უცვლელი მრჩებოდა: უნდა ვაჩუქო, ჩაცმულობით არავინ შევაწუხო და ასე შემდეგ. აქვე აღვნიშნავ, სტერეოტიპი, პირველ რიგში, თანდაყოლილი თვისებებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების პროდუქტია და ყველა სტერეოტიპი ერთად – ის კომპლექსი, რომელიც ქმნის ადამიანის დამოკიდებულებას როგორც გარემოსადმი, ისე საკუთარი შინასამყაროს მიმართ. ამგვარად, თუ სტერეოტიპი ერთ რომელიმე მოვლენასთან ურთიერთობის წინასწარ შემუშავებული ხერხია – დამოკიდებულებას მთელ სამყაროსთან ურთიერთობის პრინციპი შეიძლება ეწოდოს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია, მაგრამ ჩემი მიზანი ჩემს მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეული მდგომარეობის შედეგების განხილვაა და არა თვით მდგომარეობის ლოგიკა. ამიტომ, ნათქვამი საკმარისი მგონია. ახლა კი თხრობას მივყვები.

პოლკოვნიკ სახნოვს, ისევე, როგორც მის თანამოლაშქრეთა უმრავლესობას, პირველივე გოდოლი სხვამ აუღო, ამ სხვამვე დიდი ხნით შეუნარჩუნა ერთხელ ნაბოძები სავარძელი და ჭეშმარიტად კომიკური მაინც ის იყო, რომ სამინისტროს საგანგებო საბჭოშიც შეიყვანა. ადრეც ვთქვით, ეს "სხვა" მისი მაღალაღმატებულება დიდი მთავარი გახლდათ. სახნოვის წინააღმდეგ გადადგმული რაიმე ნაბიჯი უავგუსტესი ოჯახის წინააღმდეგ მოქმედებასთან იყო გათანაბრებული და გასაგებია, რომ ბატონი პოლკოვნიკის შეუვალობა-ხელშეუხებლობაც გარანტირებულად ითვლებოდა, მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრის და საიდუმლო ჰოლიციის შეფის ფრიად უარყოფითი დამოკიდებულებისა თავისი ზურგმაგარი ხელქვეითის მიმართ. სახნოვმა მშვენივრად იცოდა, რომ ხსენებული კაცები მას სიამოვნებით გამოემშვიდობებოდნენ. ამიტომ თავის უფროსებს მტრობითვე პასუხობდა და ვინაიდან თავდაცვის საუკეთესო სახე შეტევაა, ჟანდარმთა შეფის პორტფელის ხელში ჩაგდებაზე არა მარტო ოცნებობდა, არამედ ენერგიულ ზომებსაც მიმართაედა ამ მხრივ. ყოველივე ამას იგი თავისი სამსახურებრივი ფიასკოების პარალელურად სჩადიოდა. სწამდა, რომ ძალა აღმართსა ხნავს. იმ დროისთვის, როცა დათა თუთაშხია ხელმეორედ იყო გააბრაგებული, "კილიკიის" პრაქტიკული შედეგები, ორიოდ სიტყვით, ასე გამოიყურებოდა: ორ და მეტწევრიანი ბანდებიდან ხუთი მთლიანად შემოვირიგეთ, ოთხი - თითო კაცამდე შეთხელდა; შემორიგებულთა საერთო რაოდენობიდან თოთხმეტი გადმოვიბირეთ და რვა ურჩი ყაჩაღი მათივე ხელით მოვსპეთ; ოთხი თუ ხუთი აბრაგი დაგვრჩა და მათი რიგიც კარს იყო მომდგარი; გამოვლინებულ იქნა ყაჩაღებისა და აბრაგების ორასამდე მფარველი! მათგან თითქმის მეოთხედმა საიდუმლო თანამშრომლობის ხელწერილი დაგვიდო. ამას გარდა, ხელთ გვქონდა ინფორმაციის გავრცელებისა და შეკრების მშვენივრად განშტოებული, კარგად კონსპირირებული ქსელი. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ოპერაციის ხარჯებმა სულ რაღაც რვა თუცხრა ათასი მანეთი შეადგინა – უპრეცედენტოდ მცირე თანხა. ამაში შედიოდა ყველაფერი: ჯამაგირი მივლინებების ფული, ფოსტა–ტელეგრაფი, აგენტურა და სხვა, დავსძენ, რომ ჩვენი ექსპერიმენტი, პოლკოვნიკ სახნოვის დაჟინებისა და გავლენის წყალობით, სულ მალე მთელი იმპერიის პრაქტიკაში დამკვიდრდა. ჩანაფიქრის მიხედვით, ახალი სისტემა ტახტისა და სახელმწიფო ინტერესების სხვადასხვა სფეროს უნდა მომსახურებოდა. იმ დროისთვის ეს გრანდიოზული სიახლე გახლდათ. რამდენადაც ვიცი, მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა საიდუმლო პოლიციებს ამგვარი სპეციალიზებული

სამსახურები არ გააჩნდათ. ყოველივე ამის ერთპიროვნულ ავტორად, ორგანიზატორად და ხელმძღვანელად – სამინისტროში და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარზეც – პოლკოვნიკი სახნოვი ითვლებოდა და კუდიც ფარშავანგივით დაჰქონდა! ზედმეტია რაიმე განმარტება, თუ როგორი პერსპექტივები ექმნებოდა პოლკოვნიკს თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და თანამდებობრივი მიზნების განხორციელებისთვის.

დათა თუთაშხიას გადმობირების თვითნებური ცდის რეზულტატის მიუხედავად, სახნოვი "კილიკიის" კურატორად დარჩა და ჩვენ მას რეგულარულად ვაწვდიდით სათანადო პატაკებს საქმეების მსვლელობის შესახებ. მისგან ასევე რეგულარულად ვიღებდით სხვადასხვა მითითებების შემცველ საპასუხო წერილებს, მაგრამ ის მითითებები ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული ღონისძიებების გადამღერება იყო ახალი და საყურადღებო – არაფერი. პეტერბურგში ჩემი ერთერთი ჩასვლისას შევიტყვე და დავრწმუნდი, რომ სახნოვი ასე მოქმედებდა: მიიღებდა ჩვენს პატაკს, რომელშიც მავანი საქმის დაგვირგვინება ეწერა, აქვე შეადგენდა წერილს ჩვენს სახელზე, მკაცრი მითითებით, რომ დაუყოვნებლივ გადაგვეწყვიტა მავანი საქმე, ანუ ის, რომლის დაგვირგვინება უკვე მოვახსენეთ; შემდეგ თავის წერილს აკითხებდა შეფს ან თვით მინისტრს – თუ საამისო შემთხვევა მიეცემოდა – და ლუქიანი პაკეტი თბილისში მოდიოდა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ პოლკოვნიკი მე და მუშნი ზარანდიას შეძლებისდაგვარად გვიფუჭებდა სამსახურებრივ რეპუტაციას. იქ არავითარი რეაქცია არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თბილისს დაბრუნებისთანავე მუშნი ზარანდიას ვუამბე ყველაფერი და ვკითხე:

– რას იტყვით ამაზე, მუშნი .

– ეგ ხომ მოსალოდნელი იყო, თქვენო ბრწყინვალებავ.

– სანამ მე და თქვენ ამ თანამდებობებზე ვიმყოფებით, სახნოვი გამუდმებით ჩვენი პროტესტის მოლოდინშია, თუ "კილიკიის" ავტორობაზე პრეტენზია განვაცხადეთ, მას მტკიცება, დავა, თავის მართლება დასჭირდება. ეს კი მის წვლილსა და დამსახურებას ეჭვს ქვეშ დააყენებს. არა მგონია, პოლკოვნიკმა "კილიკიის" ავტორობაზე ხელი აიღოს და შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება არ სცადოს. თუ ეს ასეა, მაშინ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, – ვთქვი მე.

დღესაც ისე მგონია, რომ პოლკოვნიკის ხრიკები და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა გააზრებული, შეგნებული რამ არ ყოფილა – ინსტინქტურად, ქვეცნობიერად მოქმედებდა, სხვისი ნაღვაწის მიმთვისებელს შიში ამოძრავებდა, ვაითუ მამხილონ და გამამასხარაონო. ამიტომ გავიფიქრე, კარგი იქნებოდა, როგორმე დაგვერწმუნებინა, რომ ჩვენი მხრიდან ჭეშმარიტი ავტორობის საკითხის წამოჭრა გამორიცხული იყო და ზემოთქმულს დავძინე:

– ვერ დავარწმუნებთ, რომ მაგგვარს არაფერს ვაპირებთ?

ზარანდიამ ჩაიცინა და მითხრა:

– პოლკოვნიკი მხილების იდეფიქსით არის შეპყრობილი, გრაფ. მანდ ფსიქიატრების ჩარევაც კი ვერაფერს გახდება, როგორ ფორმებშიც არ უნდა მივაწოდოთ ეგ აზრი – არ დაიჯერებს, ეშმაკობად, ცბიერებად ჩამოგვართმევს.

– მაშ, რა ქნას კაცმა? – გამეცინა მეც.

– ამჟამად, ჩემი აზრით, არ არსებობს ისეთი სვლა, რომელიც მაგ პერსონაზე იერიშის მიტანად არ ჩაგვეთვალოს! მეორე მხრივ, სახნოვთან გვაქვს საქმე და მისგან, როგორც ბრძანეთ, ყველაფერია მოსალოდნელი, სხვათა შორის – სისულელეც.

– კუნქტატორობას მირჩევთ?

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ.

– ეგრე იყოს. – გავიფიქრე, რომ მუშნი ზარანდია რაღაც ვითარების მომწიფებას ელოდა. – სხვა გზა, მართლაც, არ ჩანს. ამ საკითხზე ფიქრი კვლავაც საჭიროა, მაგრამ მე გთხოვთ, ჩემთან შეუთანხმებლად ნურაფერს იღონებთ.

– სიტყვას გაძლევთ გრაფ!

საუბარი დამთავრებული იყო, მაგრამ მუშნი ზარანდია შეყოვნდა, რაღაცაზე ფიქრობდა. კარგა ხანს იჯდა. მერე თავი ასწია, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

– თქვენ ბრძანეთ, ამაზე ფიქრი კვლავაც საჭიროაო. პოზიცია გავარკვიოთ, გრაფ. რა მიმართულებით უნდა ვიფიქროთ: მხოლოდ იმაზე, რომ სახნოვმა ჩვენს წინააღმდეგ ვეღარაფერი შესძლოს, თუ იმაზეც, რომ პოლკოვნიკს, ვთქვათ, სახელმწიფო წისქვილების ან საროსკიპოების ზედამხედველობა ჩააბარონ?

– არჩევანიცა გვაქვს? – გამეცინა, რადგან დასმული საკითხი ჩვენი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის საზღვრებს, ჩემი აზრით, ძლიერ შორს სცილდებოდა.

– ვითარებაზე ჰკიდია, თქვენო ბრწყინვალებავ.

– თქვენ რას მიიჩნევდით ამოსავალ წერტილად?

– ტახტის, იმპერიის ინტერესებს, როგორც ყოველთვის! შეფის თანამდებობაზე სახნოვის წამოსკუპება ტრაგიკული შეცდომა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქცია იქნებოდა. ეს ჩემი შეხედულებაა, თქვენო ბრწყინვალებავ, და ნათქვამზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს.

ფიქრმა წამიღო. მუშნი ზარანდია ჩემს სიტყვას აღარ დალოდებია, თავი დამიკრა და გავიდა.

იმან დამაფიქრა, რომ ჩემი სამსახურის მანძილზე პირველად, უნებლიეთ და სრულიად შეუმჩნევლად აღმოვჩნდი ჩემი ღირსებებისთვის შეუფერებელ ურთიერთობებში და ისიც ჩემს ხელქვეითთან! ჩვენთვის სახნოვი ჯერ ზემდგომი მესვეური იყო და მერეღა ამა თუ იმ ღირსების ან ნაკლის მქონე პირი. მის წინააღმდეგ რაიმე ფარული ქმედება ან განზრახვა

პროფესიული ეთიკის დარღვევას ნიშნავდა და ფიცის გატეხას ჰგავდა. სახნოვის მოქმედება გაკიცხვასა და მსჯავრს უდავოდ იმსახურებდა, მაგრამ ამას ჯერ ჩემი ან ვისიმე წერილობითი პატაკი, ერთი სიტყვით, საქმის აღძვრა სჭირდებოდა, შემდეგ, საჩივარში დაყენებული საკითხების შესწავლა და ბოლოს – ხელმძღვანელობის სათანადო გადაწყვეტილება. მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდიამ სახნოვის წინააღმდეგ აკრძალული ხერხებით განიზრახა ბრძოლა. ჩემს პირდაპირ, გადაუდებელ მოვალეობას შეადგენდა, მომეთხოვა მისგან წერილობითი ახსნა–განმარტება, დამედო სასჯელი და, რაც მოხდა, პატაკით მეცნობებინა შეფისთვის. ასეთი იყო დამკვიდრებული წესი, სხვანაირად არც მქონდა წარმოდგენილი. ახლაც იგივე დავაპირე და რაღაცამ შემაკავა– ამიტომ იყო, გამიელვა, იქნებ უკვე შევყევი ჩემს ხელქვეითს შეთქმულებაში და ქვეცნობიერება საკუთარი დანაშაულის აღიარებას მიკრძალავს–მეთქი. გადავათვალიერე სახნოვ–ზარანდიას წრის ყველა ურთიერთობები, მეხსიერებაში აღვიდგინე ყველა საუბარი: მე იგი სახნოვთან ბრძოლისთვის არ ამიქეზებია, არც რაიმე ბიძგი მიმიცია, მხოლოდ ვთხოვე, ჩვენს უსაფრთხოებაზე ეფიქრა. ეს მარტო ასე იყო და მაინც ვერ ვიგრძენი სურვილი, ზარანდიასთვის კუთვნ№ლი მიმეზღო. მაშინ იმაზე დავიწყე ფიქრი, შეეძლო თუ არა მუშნი ზარანდიას, სახნოვის თემაზე ჩვენი ბოლო საუბარი ჩემს წინააღმდეგ გამოეყენებინა? შეეძლო! საკმარისი იყო, შეფისთვის, მინისტრისთვის ან თვით სახნოვისთვის სათანადო შინაარსის პატაკი ჩემზე ადრე მიეწერა და მაშინ იმის მტკიცება მომიხდებოდა, რომ პროვოკაციის მსხვერპლი გავხდი, ამ მოსაზრებამ ცოტათი შემაფუცხუნა, კალამიც კი მოვიმარჯვე და არამცთუ წერა ვერ შევძელი, არამედ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ზარანდიას წინააღმდეგ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი – არ მსურდა! ეს უკეე კომპრომისი იყო. სამსახურთან, მოვალეობებთან ურთიერთობის ერთ–ერთი სტერეოტიპი საპნის ბუშტივით გასკდა. მე ეს დავინახე და არავითარი ზომები არ მიმიღია. ალბათ, აქ მოხდა პირველი გარდატეხა ჩემს აზროვნებასა და სულიერ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულებაში!

რატომ?

ამის განსჯასა და ანალიზს დიდხანს არ მოვშვებივარ. სახნოვის არასოდეს მშინებია. ჯერ ჩემი ავტორიტეტი და დამსახურება იყო ხელშეუხებლობის გარანტია და მერე ის, რომ შეძლებული კაცი ვიყავი და სამსახურიდან გადადგომა არაფრად მიღირდა, ზარანდიას გავლენის ქვეშ მოვექეცი? კატეგორიულად ვაცხადებ: იმ კაცს დიდ პატივს ვცემდი, ვაფასებდი, მაგრამ მის მიმართ ფხიზელი, ფრთხილი დამოკიდებულება არასოდეს მომდუნებია. დავრწმუნდი, რომ ხსენებულმა სტერეოტიპმა არსებობა შეწყვიტა...

**ტოჩი მიქაშავრია**

მე რომ გააბრაგებამ მომიწია, მაშინ სხვები მთავრობას ურიგდებოდნენ და ოჯახში ბრუნდებოდნენ. გააბრაგებული ბიძაშვილები მყავდა, დედის მხრიდან – ორი ძმები ჭანტურიები, და მათ შევაფარე თავი. თექვსმეტი წლის ვიყავი მაშინ, მეჩვიდმეტეში. დათა თუთაშხია შერიგების მერე კიდევ რომ გააბრაგდა, იმ ხანებში იყო ეს.

გააბრაგდა მეორედ, მოვიდა მუხურის მთაში, მოგვნახა ჩვენ... ჩემი ბიძაშვილები მონახა, თვარა, ბავშვი ვიყავი მე, არაფერი საქმე არ ქონდა ჩემთან მას. გამაგზავნეს სადღაც, ილაპარაკეს თვითონ და, რომ დავბრუნდი, არ დამხვდა დათა თუთაშხია იქ, წასული იყო უკვე. კაი ხანი გავიდა, მათი ლაპარაკის შინაარსს და მისი კიდევ გააბრაგების ამბავს

სანამდე გავიგებდი. უკანასკნელი მოსვლა იყო მისი ჩვენთან, აღარ მოგვკარებია მერე. უთქვამს მას ჩემი ბიძაშვილებისთვის, არ მინდა, ვიცოდე, სად ხართ, ბინა სად გაქვთ და რას აკეთებთო. არ მეცოდინება თქვენი ამბავი და რომ დაგემართოთ რამე, ვეღარ გაიფიქრებთ ჩემზე, მისი ნაქნარიაო ეს.

მუხურის მთა და ტყეები იმხელაა, ასი აბრაგი ივლის იქ და ათ წელიწადს ვერ ნახოს, იქნება, ერთმა აბრაგმა მეორე. წასვლას არ ვაპირებდით იქიდან ჩვენ, არც დათა თუთაშხია წასულა ერთხანს – რაღაც საქმე ქონდა იქ. ალბათ, ელოდებოდა ვინმეს, იშვიათად და შორიდან ვხედავდით ერთმანეთს და ვიყავით ასე.

აბრაგობა – იმ წუთში რომ არ მოგდევს არავინ და მიუწვდომელ ადგილებში რომ ხარ – მაშინაც კია ძნელი: უსაქმობა მოგკლავს ძალიან ბეზრდება კაცს უსაქმობა. ამით ხდება, რომ ხშირად კარგავს აბრაგი სიფრთხილეს და ებმება მახეში. ჩემი ბიძაშვილები ვაჟკაცები იყვნენ უკვე, ისინი უფრო უძლებდნენ უქმად ყოფნას. მე, პატარა ბიჭს, რა გამაჩერებდა და რა მომათმენინებდა ერთ ადგილზე! დავდიოდი ან საით და ხან საით; მოვლილი მქონდა იქაური მთა, ტყე და კლდე; ყველა ხე და ხევი, ყველა ლოდი და გამოქვაბული ვიცოდი ზეპირად.

ადგილი იყო ერთი, ბუხუს ნასახლარს ეტყოდნენ იმ მინდორს, გორაკები ერტყა გარშემო და მყუდრო იყო ძალიან იქაურობა. კაცს არ უნახავს და არ ახსოვს ის ბუხუ, არც მისი სახლის კვალი ჩანდა მინდორზე, მარა გადმოცემით ისე იყო, რომ ძმა შემოაკვდა, თურმე, – უცაბედად მოსვლია, როგორღაც. მოუხდია სასჯელი, დაბრუნებულა, მიუტოვებია სოფელი და იმ უკაცრიელ ადგილში მარტოდმარტოს გაუტარებია სიცოცხლე. წყალი არ ქონდა მინდორს ახლო და ჭა გაუთხრია ბუხუს. კარჩამოგლეჯილი, მარა სხვაფრივ კარგად შენახული ჯიხური ედგა ჭას. იმ ჯიხურის მეტი შენობა არ იყო იქ; დანარჩენი, ალბათ, დაანგრია და გაანადგურა დრომ. ძალიან ღრმა იყო ის ჭა: რომ ჩაიძახებდი შიგ, ლოდინი უნდოდა, სანამდე ხმა დაგიბრუნდებოდა ძირიდან. თუ მოვხვდებოდი იქით, ჩავდიოდი მინდორზე, დავჯდებოდი და ვფიქრობდი, სად რა ექნებოდა ბუხუს–მეთქი. მომბეზრდებოდა ამაზე ფიქრი, ახლა ჭაში ჩაყვირებას დავიწყებდი და ვერთობოდი ასე. აქეთ–იქით დავდიოდი–მეთქი, რომ ვამბობ, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთლად თავზე ხელაღებით არ მივლია და არც მაძლევდნენ ამის უფლებას ბიძაშვილები. იმ ადგილებიდან უახლოეს სოფლებამდე თხუთმეტი–ოცი ვერსია. არავინ ამოდიოდა იმ სიშორეზე, უხვედრი მთაა ის. ნიშნის აღებაც კაი ვისწავლე; ბავშვს ცინცხალი მეხსიერება აქვს; ფეხნადგამი ბალახი და ერთი ადგილიდან მეორეზე მტკაველით გადაჩოჩებული ქვა არ გამომეპარებოდა არასდიდებით.

მივუახლოვდი ერთხელ ბუხუს ნასახლარს, გავჩერდი სათოფემდე, დავათვალიერე კარგად. შორიდან ვერ შევნიშნე საეჭვო, მარა ახლოს რომ მივედი და გორაკიდან გადავიხედე ძირს – კაცი დავინახე. კაკლის ძირში იჯდა მოფარებულად, თოფი ეჭირა გამზადებული და მიყურებდა ქვევიდან. ვიცანი, დათა იყო, თუთაშხია. ერთხანს ჩუმად ვიყავით ორივე.

– გამარჯვება, თქვენი, დათა ბიძია!

– გაგიმარჯოს, აბრაგო! – სიცილით მითხრა. – მოდი აქ, ჩემთან. ჭას აუქციე და ისე მოდი.

მივედი, დავჯექი მის სიახლოვეს. ვილაპარაკეთ ცოტა. ბიძაშვილები მოიკითხა ჩემი, ხომ არიან საღად და კარგადო. რომ გამოგველია სათქმელი, ვკითხე:

– დათა ბიძია, ჭას აუქციე და ისე მოდიო, რომ მითხარი, რატომ მითხარი ეგ?

– მესამე დღეა, რომ გელოდები აქ– ჯიხურში შესვლა და ჭაში ჩაძახება გიყვარს შენ.

– კი მიყვარს. რაა მერე?

– აღარ შეიძლება შესვლა, – მღიმარი თვალები გამისწორა დათა თუთაშხიამ.

დავიბენი ჯერ. მერე გავიფიქრე, სამალავი აქვს, ალბათ, ჭაში–მეთქი.

– თქვენ თუ მეტყვით, არ შევალ სულ და ის იქნება, დათა ბიძია.

– მასე არ არის საქმე. წამოდი ჩემთან. ფრთხილად, ოღონდ. ჩემზე წინ ნუ გადადგამ ნაბიჯს, უკან მომყევი.

შემოუარა დათა თუთაშხიამ ჭის ჯიხურს ზურგიდან– ყავრის იყო ჯიხური – სამი არშინი სიმაღლე ქონდა თითო ყავარს, ორი თითი – სისქე და მტკაველი – სიგანე. გადაწია ყავრები, შეძვრა შიგ, შევყევი მეც. თვითონ ჭას ქვის ყორე ერტყა მრგვალად, ქამრამდე რომ მიწვდება კაცს – იმხელა. ვიყავით ერთხანს ჩაცუცქულნდა რომ მიეჩვია თვალი ბინდბუნდს, გადამახედა დათა თუთაშხიამ:

– აგერ ყორეში მაუზრის ტარს ხომ ხედავ, ტოჩი, ბიძიკო?

– კი ვხედავ.

– მაგ მაუზრის ლულა შემოსასვლელისკენ იყურება– გარედან არ ჩანს, გვიმშია მიმალული...

ახლა, ამდენი ხნის მერე, იმის ლაპარაკი არ ღირს, რა ოფლმა დამასხა და გული როგორ ამიძაგძაგდა ბავშვ კაცს, მარა მშვენიერი კარგად იყო მოწყობილი ყველაფერი: შემოდის კაცი კარიდან, ხომ? გადმოაბიჯებს ზღურბლზე, დაადგამს ფეხს მიწაზე ჭის გვიმზე, გავარდება მაუზერი და – სიმაღლეს არ აქვს მნიშვნელობა იმ შემოსული კაცისას – ლაჯებიდან ყრანტამდე სადმე უეჭველად მოხვდება ტყვია!

– ახლა მისმინე აგერ! ე იმ ბაწარს ხომ ხედავ – გადაჭრი ფრთხილად. ძალიან ფრთხილად და ძალიან მჭრელი დანით უნდა და აღარ არის საშიში მერე. აქედან უნდა გადაჭრა, ზურგიდან. თუ მაინც გავარდა, კარისკენ გავარდება და არაფერია. მერე დაშლი ყორეს მაგ ადგილას და სიკვდილის მაგიერ, საკუთარი მაუზერი დაგრჩება. წავიდეთ, ახლა.

გავძვერით გარეთ.

– დათა ბიძია, ჩვენთვის არის დადგმული ეგ, ხომ?

– შენთვის, ალბათ. გამოცდილი აბრაგისთვის არ არის ეს. გამოცდილი კარიდან არ შევა ასეთ ადგილში. ვინც ეს ხაფანგი დააყენა, იცოდა მან საიდანღაც, შენ რომ აქ მოსვლა გიყვარს და დაურიდებლად რომ შედიხარ შიგ.

– საკუთრივ ჩემი მოკვლა დომებია, აბა!..

– კი. მასე მგონია მე. – დათა თუთაშხიამ პატარა ხანს იფიქრა თავისთვის და მითხრა: – ტოჩი ბიძიკო, უდანაშაულო თუ ხარ და შემოგკრა ვინმემ, საპასუხოდ თუ არ შემოკარი შენც, წავა ის კაცი თავის გზაზე და უეჭველად ინანებს იმ საქციელს; არ გყავს მტრად ის კაცი, იცოდე შენ. მაგრამ თუ შემოარტყამ შენც – მტერია უკვე შენი ის. აბრაგი მიტომ ხარ ახლა, რომ სამაგიერო გადაუხადო, უსამართლოდ რომ მოგექცა, იმ ადამიანს, და გყავს მტერი, იცოდე ესაც. მთავრობა და კანონია შენი მტერი. დაუკვირდი კარგად ამ ჭის და მაუზრის ამბავს. მაშინ იმასაც მიხვდები, მგონია, მტერი რა არის. თუ გამიგე ნათქვამი?

– გავიგე, დათა გიძია. ვიცი ახლა.

– კაი, აბა. მშვიდობა მოგცეს ღმერთმა და მტერზე გამარჯვება. წავალ მე.

ჩამომართვა ხელი დათა თუთაშხიამ და გაბრუნდა ქვევითკენ. მაშინ არ ვიცოდი მე და, თურმე ორი ამხანაგი ელოდებოდა გორაკს იქით. ჩემს ბიძაშვილებს უთვალთვალიათ ყველაფერ იმისთვის. იმ ამხანაგებს უცდიდა, ალბათ, დათა თუთაშხია მუხურის ტყეში.

– საით მიდიხარ, დათა ბიძია! – გულუბრყვილობამ მათქმევინა.

თუთაშხიამ გაიცინა.

– ბოსტანი მაქვს გასამარგლი!

გვიანი შემოდგომა იყო.

– რა დროის მარგვლაა! – სიცილით ვუთხარი მე რა ვიცოდი, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში.

დათა თუთაშხია დაფიქრდა და მითხრა:

– არ არის გვიან. მე რომ ბოსტანი და ყანა მერგო წილად, მისი მარგვლა და თოხნა ზამთარ–ზაფხულ არის საჭირო... გვიან მივხვდი ამას.

დავცილდით ერთმანეთს.

– ვისი გაკეთებული გგონია ეგ! – კაი შორიდან მივაძახე.

– რაჟა სარჩიმელიას ან პოკო ყაჭავას ნახელავია, უთუოდ. ვირთაგვებია ორივე. სხვა არ მეგულება მაგისთანა აქ და არც იზამდა ამას ვინმე მათ გარდა. გადაეცი მაქსიმეს და პლატონს ყველაფერი და იციან მათ...

კაი ხანს მარგლა და თოხნა თუთაშხიამ. არც ჩვენ დაგვიკლია ხელი ამისთვის და არც სხვას, ვისაც ბოსტანში მუშაობა არ ეზარებოდა. მერე რა ვქენით, იმასაც მოგახსენებთ და გათავდა ჩემი ლაპარაკი. რა და, მოვუდარაჯეთ რაჟა სარჩიმელიას გზაზე. დავჯექი, დიდი ტომარა დავიდე წინ, სიმინდით იყო ნახევრამდე მოყრილი. მაქსიმე და პლატონი ბუჩქებში იყვნენ ჩასაფრებული. გამოჩნდა, როგორც იქნა, სარჩიმელია, მიყურა შორიდან: ზის პატარა ბიჭი და უდევს ტომარა – რაა მერე? გამისწორდა და ის ვქენით, რასაც თვითონ აკეთებდა, ხალხს რომ ძარცვავდა უწინ: ავაწევინეთ ხელები, ავყარეთ იარაღი, ჩამოვსვით ცხენიდან და გადავიყვანეთ ტყეში. პლატონმა უთხრა, ბუხუს ნასახლარზე ჭაში მაუზერი რომ დაგიყენებია, უნდა წამოგვყვე ახლა და როგორც დააყენე, ისე დაშალე შენ თვითონ ის მოწყობილობაო. ჩვენ არ გვესმის მისი ამბავი და ჭა გვჭირდება, არ ივარგებს ჩვენი საქმე უჭოდო. იუარა, არაფერი ვიცი ჭის და მაუზრისო. გავკოჭეთ საიმედოდ და გავიგდეთ წინ. ვატარეთ დღე და ღამე, მივიყვანეთ ბუხუს ნასახლარზე.

– შედი შენით! – ჭაზე მიუთითა მაქსიმემ რაჟა სარჩიმელიას ჩაგვივარდა მუხლებში და რა არ ქნა და რას არ შეგვპირდა – ვინ იცის. მაგრად დავდექით ჩვენსაზე და მაინც არ შედიოდა მისით, მამაძაღლი. შემეცოდა ბოლოს. ვესროლე და ავხადე თავის ქალა. ორი კვირის მერე პოკო ყაჭავას მოსაკლავად წავედით, ვერ მოვკალით, მოეკლა ვიღაცას ხუთი თუ ექვსი დღით ადრე.

## გრაფი სეგედი

სულ მალე დადასტურდა, რომ ჩვენი საფიქრალი ამაო არ იყო. ერთ–ერთ მოხსენებით ბარათზე პოლკოვნიკ სახნოვისგან ტუქსვის პასუხი მივიღეთ; ბორჩალოელი აბრაგის – იახია იბრაგიმ–ოღლის – შემორიგების გამო გვიჯავრდებოდა კურატორი: – ხომ მოგწერეთ, უნდა მოგესპოთო. მსგავსი არაფერი მოუწერია! მალე მივლინებით ჩამოვიდა შტაბსკაპიტანი ნარეიკო, რომელმაც საიდუმლოდ აცნობა მუშნის: სახნოვმა მინისტრისა და შეფის წინაშე რამდენიმეჯერ აღძრა საკითხი, სეგედიმ და ზარანდიამ ჩამიშალეს თუთაშხიას გადმობირებაო! ცხადი შეიქნა, სახნოვმა დინამიტის შემოზიდვას მიჰყო ხელი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ზომების მიღება პოლკოვნიკის ყოველი ცალკეული იერიშის მოსაგერიებლად, მაგრამ საოცარი თავისებურება აქვს ამას: თითო შეკამათება – თითო თავის მართლებაა: რამდენიმე შეკამათება – თავის მართლებათა მწკრივია და ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც ხარ მტყუანი. პოლკოვნიკს ასეთი ვითარება ხელს აძლევდა და, ამასთან ერთად, თავის უწარჩინებულეს მფარველთან ჩივილის საბაბს უქმნიდა: – კავკასიელები მინისტრისა და შეფის წაქეზებით მებრძვიან და ძირს მითხრიანო. ასეთი შესაძლებლობების მიცემის უფლება არავითარ შემთხვევაში არ გვქონდა, მაგრამ მოქმედებაც რომ საჭირო იყო და ჩვენ კი გულხელდაკრეფილი ველოდით საკუთარი ციხის მომავალ აფეთქებას?!

ერთ დღეს ლუქი ავაძრეთ სახნოვის მორიგ პაკეტს, სადაც კურატორი პირდაპირ მდებდა ბრალს, თუთაშხია დღემდე იმიტომ არის ცოცხალი, რომ მუმნი ზარანდიას გავლენის ქვეშ მოექეცითო! იგი ამტკიცებდა, ზარანდია ნათესაური ვალდებულებების გამო სამსახურისა და სახელმწიფოს ინტერესებს უგულებელყოფსო. ამ პერიოდში პეტერბურგში მივლინებით ყოფნისას, ჩემი ერთ–ერთი მოადგილისთვის ცნობილი გახდა, რომ სახნოვს სამინისტროს საგანგებო საბჭოს სხდომაზეც სახელდობრ ასე დაუყენებია საკითხი და ჩემი და მუშნი ზარანდიას სამსახურიდან გადადგომა ან რომელიმე სხვა უწყებაში გადაყვანა

მოუთხოვია. საბჭოს ეს საკითხი განსახილველად, ცხადია, არ მიუღია, მაგრამ სახნოვისთვის ისიც კმაროდა, რომ თესლის ჩაგდება შეძლო. დანარჩენს იგი მომავალში გულისხმობდა.

პოლკოვნიკი ჩქარობდა – არჩეული მეთოდისთვის შესაფერ ტემპს არღვევდა! ეს ნაწილობრივ, ჩვენი გამაღიზიანებელი მოქმედებითაც აიხსნებოდა: სახნოვის პატივმოყვარეობა ითრგუნებოდა იმით, რომ მის მითითებებსა და საყვედურებზე ცალი ყბითაც კი არ ვპასუხობდით და მის თანამდებობასა და "კილიკიის" კურატორობას, – არსებითად, არად ვაგდებდით. ამას გარდა, პოლკოვნიკს შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რომ მისი დივერსიისა ყველაფერი თუ არა, ნაწილი მაინც ვიცოდით და ამ მიმართებით ჩვენს პასიურობასაც საკმაოდ უნდა დაეფიქრებინა თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი.

ამის შემდეგ სახნოვმა რამდენიმე წერილში კატეგორიულად მოგვთხოვა, მოგვესპო თუთაშხია, ვითომ ამას ერთი გასროლის მეტი არაფერი უნდოდა. ამას გარდა, სახნოვმა ერთობ ვრცელი მოხსენებითი ბარათი მიართვა მინისტრს, სადაც "დეტალებში" იყო აღწერილი, თუ როგორ და რით ვუწყობდით ხელს დათა თუთაშხიას.

წლინახევრის თუ ორი წლის ხელმეორედ გააბრაგებული იქნებოდა თუთაშხია, როცა პეტერბურგიდან წერილობითი მითითება მომივიდა მუშნი ზარანდიას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ხელს შეფი და სახნოვი აწერდნენ. გადაწყვეტილება მოტივირებული იყო თუთაშხიას განადგურებაზე არაერთგზისი ბრძანების შეუსრულებლობით, აბრაგთან ზარანდიას ნათესაობრივი კავშირით – ვითომ დათა თუთაშხია აქამდეც და ამდენ ხანს მუშნი ზარანდიას ბიძაშვილი არ ყოფილიყო. წერილს ჰქონდა სამინისტროს კანცელარიის გრიფი, რაც ნიშნავდა, რომ საკითხი თვით შინაგან საქმეთა მინისტრთან იყო შეთანხმებული! ეს ფრიად დადებითი მოვლენა გახლდათ და, აი, რატომ: საიმპერიო სამმართველოში და სამინისტროში ზარანდიას და კიდევ რამდენიმე პერიფერიულ მოხელეს ფასდაუდებელ კაცებად თვლიდნენ. ზარანდია მინისტრის ოფიციალურ კონსულტანტადაც კი ირიცხებოდა. მინისტრმა ერთხელ ჩემთან საუბარში იხუმრა, ეგ შენი აბორიგენი სატანას უფროსი ბიძა, გამზრდელი და ეზოს მოძღვარიაო. მრავალგზის მთხოვეს, მოგვეციო. ერთთავად უარზე ვიდექი და ბოლოს თავი დამანებეს. მეორე მხრივ, პოლკოვნიკ სახნოვს უკურნებელი სენის რეპუტაცია ჰქონდა, მისი თავიდან მოშორების საშუალება ვერავის გამოენახა და სწორედ აქ თვით ქათამმა დაიწყო თავისივე დასაკლავი დანის გამოქექვა: ისეთი აზრი შემექმნა, რომ სახნოვი ზარანდიას წინააღმდეგ დიდხანს, დაჟინებით ამუშავეს, მოითადარიგეს საბუთები და მხოლოდ მერე დაჰყვნენ მის ახირებას ზარანდიას დათხოვნის შესახებ. სხვა სიტყვებით: მინისტრმა და შეფმა თვით სახნოვს შეაქმნევინეს ისეთი ვითარება, როცა ზარანდიას დათხოვნის შედეგებზე, პირველ რიგში, სახნოვს უნდა ეგო პასუხი. რაც შეეხება იმას, რომ გაგულისებული ზარანდია სახნოვს ოპოდელპოკის აბივით გადაყლაპავდა – აქ ეჭვი არც მინისტრს ეპარებოდა და არც შეფს.

ეს ყველაფერი, სახელდობრ, ასე გამოიყურებოდა, მაგრამ შემოწმება მაინც საჭირო იყო. ამიტომ, მინისტრს ცალკე და შეფს ცალკე, დაშიფრული დეპეშებით ვაცნობე ჩემი დამოკიდებულება საკითხისადმი: ზარანდიას სამსახურიდან დათხოვნაზე უარს ვაცხადებ, "კილიკიას" ჩამოვაშორებ, გადავიყვან კონტრდაზვერვის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე! დეპეშებს სიჩუმე მოჰყვა ესე იგი, ხელმძღვანელობას ჩემი გადაწყვეტილებისა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მისი სისრულეში მოყვანაც აღარ

დამიყოვნებია: დანიშვნა შევათანხმე როგორც მეფისნაცვალთან, ისე სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან და ბრძანებაც გაიცა.

სახნოვი გულში გამარჯვებას ზეიმობდა – ნაწილობრივ. ჩემთვის ყველაფერი სასურველ ადგილებზე დადგა და ახლა მაინტერესებდა მხოლოდ ის, თუ რას ფიქრობდა და რას მოიმოქმედებდა "სატანას

უფროსი ბიძა, გამზრდელი და ეზოს მოძღვარი".

– მუშნი, მინდა, მოგაგონოთ თქვენივე პრინციპი: "არასოდეს გადადო ხვალისთვის ის, რის გაკეთებაც დღეს შეიძლება", – გავეხუმრე ერთხელ.

იგი მიხვდა, რომ სახნოვის საქმეს ვგულისხმობდი, გაიღიმა და მითხრა:

– არსებობს მეორე პრინციპიც, გრაფ: "ნუ გააკეთებ დღეს იმას რასაც ხვალ გაკეთება უფრო მოუხდება!"

შემდგომში ამ მოკლე დიალოგის გახსენება მრავალგზის მომიხდა. რა მამოძრავებდა? ზარანდიამ დაწინაურება მიიღო, სახნოვის უფლებების სფეროს გარეთ აღმოჩნდა და, ამდენად, არც რაიმე საშიშროება ელოდა მისგან. ჩემზე უკვე ნათქვამია: სახნოვი ვერ მომერეოდა, მეტი–მეტი, წრილმანი ინტრიგების მოლოდინი უნდა მქონოდა. ასეთ ვითარებაში, სტერეოტიპის მიხედვით, მოთმინება მმართებდა – სახნოვები სხვის დაუხმარებლად იმტვრევენ კისრებს. მაშ, რატომ წავაქეზე ზარანდია? ხომ არ იყო ჩემს საქციელში თვისებრივად ახალი რაიმე?..

წინასწარ მოფიქრებული და დადგენილი სახნოვსაწინააღმდეგო გეგმა ზარანდიას იმხანად, მართლაც, არ ჰქონია და ამაზე თავის სატეხად, ალბათ, არც ეცალა; ახალმა სამსახურმა, იქაური საქმეების შესწავლა–გადახალისებამ, შტატის გადაადგილება–დაკომპლექტებამ, ქსელისა და კავშირების შემოწმება–განმტკიცებამ კარგა ხნით დანთქა მისი დრო, მხნეობა და ნიჭი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ზარანდიას სახნოვი და მისი ოინები მიავიწყდა...

სახნოვის პრობლემა გადაჭრა ზარანდიას მიერ შედგენილმა საქაღალდემ.

იქნებ არსებობდეს უფრო რაციონალური ფორმა, რომლის წყალობით, ქვემოთ მოყვანილი ამბების გადმოცემა გაცილებით მოკლედ და დამაჯერებლად შეიძლებოდეს. ვერ მივაგენი. ისევ ჩვეულებრივი თხრობის ხერხს მივმართავ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ფაქტი სპეციალურ კომენტარს მოითხოვს. საქმე ის არის, რომ არსებობდა სახნოვის პრობლემებისგან და ერთმანეთისგანაც, თითქოსდა, სრულიად დამოუკიდებელი გარემოებები. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ისინი როდისმე და როგორმე ერთად მოიყრიდნენ თავს, ზვავად წამოვიდოდნენ და გზად სახნოვს დაიტანდნენ. აი, ის გარემოებებიც.

– სპადოვსკი გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ექიმი?.. – მკითხა ერთ დღეს მუშნი ზარანდიამ. – აი, ამ სამი წლის წინ რომ გადაბარგდა თბილისიდან ვლადიკავკაზში;

თავისი სიმპათიებისა და ურთიერთობების გამო ერთი ორჯერ ჩვენი ყურადღების არეშიც რომ აღმოჩნდა, გახსოვთ?

– როგორ არა.

ზარანდიამ საქაღალდე გადახსნა და საკანცელარიო ფორმატის ხუთ ფურცელზე დაწერილი ტექსტი დამიდო წინ;

– ეს მისი პროკლამაციის ასლია, გრაფ.

– საინტერესოა!

– დამაფიქრებელი უფროა!

კითხვას შევუდექი.

სპადოვსკი, საერთო ჯამში, პატიოსანი ინტელიგენტი იყო. მისი სისუსტე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ დაუცხრომლად ეტრფოდა ახალ–ახალ პოლიტიკურ მოძღვრებებს და ამ მხრივ რაიმე თანმიმდევრობას აბსოლუტურად უგულებელყოფდა. იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა პრინციპით: ყველაფერი კარგია, რაც თვითმპყრობელობას უთხრის ძირს და რაც რუსეთში ახალი ტიპის სოციალურ–ეკონომიკურ ფორმაციას დაამყარებს! ამიტომ, ჩრდილის მიმყენებელი და მაკომპრომეტირებელი საგაზეთო მასალების გამოქვეყნების შემთხვევას ხელიდან არასგზით გაუშვებდა; კლიენტურასა და ნაცნობ–მეგობრებში არსებული წყობილების საწინააღმდეგოდ ერთპიროვნული პროპაგანდისთვის მჭევრმეტყველებას არ იშურებდა; შესაძლებელ ფულად დახმარებას უწევდა მეამბოხე ელემენტებს და არც კანონსა და დამსჯელ დაწესებულებებს უქმნიდა საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის საკმარის საფუძველს – ფრთხილი, ეშმაკი კაცი იყო. თბილისიდან მისი გადაბარგება იმან გამოიწვია, რომ თავი მოგვაბეზრა, გართულებები, სკანდალი ახლოვდებოდა და გარიდება არჩია.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სპადოვსკისთვის სრულიადაც არ ნიშნავდა შეხედულებებისა და ცხოვრების წესების გადასინჯვას. მან ვლადიკავკაზში ისეთივე მოღვაწეოგა განაგრძო, როგორსაც თბილისში ეწეოდა. ამან იქაური პოლიციისა და ჟანდარმერიის სათანადო რეაქცია გამოიწვია, – რა თქმა უნდა, გაცილეგით მძაფრი, ვიდრე თბილისში. ის მხარე მაშინ მონარქისტული განწყობილებების ბუდე იყო. ჩანს, იქ – არც აციეს, არც აცხელეს, – ახალდაარსებული ინფორმაციის გავრცელების სამსახურის მთელი სიმძიმით დააწვნენ სპადოვსკის და მიზანსაც მიაღწიეს: მონარქისტულად განწყობილ თერგის კაბაკებში თითქმის დამკვიდრდა აზრი, რომ იგი გერმანიის ჯაშუში იყო, ხოლო მცირერიცხოვან თავისუფლად მოაზროვნე წრეებში დაჟინებით იმეორეგდნენ, სპადოვსკი საიდუმლო პოლიციის აგენტიაო. ვლადიკავკაზში მის გადმოსახლებას აკავშირებდნენ რომელიღაც სასამართლოს პროცესთან, სადაც სპადოვსკიმ, ვითომდა, პროვოკატორის როლი შეასრულა. ჩემი მხრივ, უნდა აღვნიშნო, ჩვენი სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ზემოთ მოყვანილ ვერსიებს რეალური საფუძველი არც ერთს არ გააჩნდა. ასეა თუ ისე, სპადოვსკი ორმხრივი უნდობლობისა და სიძულვილის გირაგში მოჰყვა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია – ვითარების შესწავლას მიჰყო ხელი და მიაგნო კიდეც თავისი კომპრომეტაციის წყაროს.

შემდგომში ამ საკითხის შესასწავლად საგანგებო კომისია დაინიშნა. აღმოჩნდა, რომ თერგზე ინფორმაციის სამსახურის დაარსებისა და პრაქტიკული მუშაობის საქმეში არც ერთი ნაბიჯი არ ყოფილა სწორად გადადგმული. დაარსების შესახებ მიღებული, სახნოვის ინსტრუქციით დაწყებული და თვით სამსახურის ჩამოყალიბებით დამთავრებული, ყველაფერი დილეტანტური იყო, უნიჭო მოხელეების ხელით კეთდებოდა და კონსპირაციამ ბზარი პირველსავე საფეხურებზე გაიჩინა. ასეთ ვითარებაში სპადოვსკისთანა კაცს, ცხადია, არც ჭეშმარიტების ამოცნობა გაუჭირდებოდა და არც ფაქტობრივი მასალის მოპოვება.

ზარანდიას მიერ მოტანილი დოკუმენტი შეიცავდა ხმების გავრცელების სამსახურის სტრუქტურის აღწერილობას, მუშაობის მეთოდიკას და რეზიდენტებისა და ფუნქციონერების ვრცელ და, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, საკმაოდ ზუსტ სიას. თეორიულ–განმარტებითი ნაწილი შემაგრებული იყო რამდენიმე ცოცხალი მაგალითით. პროკლამაციას ერქვა: “აი, როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ!”, იწყებოდა პასკვილური პროლოგით და მთავრდებოდა რევოლუციური მოწოდებებით. ბოლოში ჰქონდა მინაწერი: “პატიოსანო ადამიანებო, ახადეთ ნიღაბი პირსისხლიან ცარიზმს – გადაწერეთ და გაავრცელეთ ეს დოკუმენტი!” ტექსტი ისე იყო დაწერილი რომ ავტორი არ ჩანდა.

– რა იცით, რომ ეს თხზულება, სახელდობრ, სპადოვსკის კალამს ეკუთვნის?

– დედანი თვით სპადოვსკიმ ამ ორი კვირის წინ ჩამოიტანა თბილისში და ქალბატონ ანა გილიარევიჩს დაუტოვა გასამრავლებლად.

– ქალბატონი ანა გილიარევიჩი – კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი?

– დიახ, გრაფ, ექიმ სპადოვსკის ახლო მეგობარი და თანამოაზრე. მან ოცი ასლი უნდა გადააღებინოს. შემდეგ ბაქოში ჩაიტანენ და წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით დაგზავნიან ოც მისამართზე.

– ვის უნდა გადააღებინოს ასლები?

– ქალბატონ ელისაბედ ტერეხოვას, დედანი ამჟამად მასთან ინახება. გვაქვს დედნის ფოტოპირები, ექსპერტიზის დასკვნა ხელწერის იგივეობაზე, მისამართების სიის ასლი და სხვა საბუთებიც.

– ტერეხოვა... დიახ, დიახ, მაგრამ აღარ მახსოვს, რისთვის დაგვჭირდა ეგ მანდილოსანი. მგონი, შრიფტის შემოტანასთან დაკავშირებით, არა?

– დიახ, გრაფ. იმ ფუთას ქალბატონ ანა გილიარევიჩის ხელში უნდა გამოევლო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფუთა ჩვენს ტერიტორიას ასცდა. ეს ოთხი წლის ამბავია. მას შემდეგ, რაც კონტრდაზვერვა ჩავიბარე, ქალბატონი ტერეხოვა თითქმის არ გამოგვიყენებია. ახლა სპადოვსკის ჩამოსვლამ დამაინტერესა... მოგეხსენებათ, ტერეხოვა გილიარევიჩის მეგობარია...

– გასაგებია, მაგრამ არ მესმის, რა შუაში ხართ თქვენ. ეგ საქმე თქვენი განყოფილების კომპეტენციაში არ შედის.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ქალბატონი ტერეხოვა მე არავისთვის გადამიცია. თვითონ იყო წინააღმდეგი. ვერც ახლა გადავცემ, მჭირდება და ეს საქმეც ჩემთან რჩება – თავისთავად გამოდის ასე.

– რას აპირებთ?

– ჯერჯერობით არაფერს, სხვა მოვლენებს უნდა დაველოდოთ.

– არ გაჟონავს?

– სექტემბრამდე გარანტირებულია; ტერეხოვას ასეთი ვადა აქვს აღებული გამრავლებისთვის.

– სპადოვსკი?

– ჯერჯერობით თავის შეთხელებულ კლიენტურას მკურნალობს. თერგის ოლქმა არც ამ პროკლამაციისა იცის და არც იმისა, თუ ჩვენს ხელთ არის რამე.

საქმე, ფაქტიურად, გახსნილი იყო და მისი ლოგიკური დასასრული იმაში მდგომარეობდა, რომ ზარანდიასთვის უნდა მეთქვა, მასალები თერგის ოლქისთვის გადაეგზავნა. დავაპირე კიდეც, მეთქვა.

არ მითქვამს.

რამ შემაკავა, დასწყევლოს ღმერთმა! ძნელი სათქმელია მაგრამ იმ "პასიურობას" ამჟამად ისევ ქვეცნობიერ იმპულსს მივაწერ: ერთხელ შემუშავებულ–შეძენილი სტერეოტიპების რღვევისა და უარყოფის ფაზაში ვიყავი.

საუბარი შეწყდა, ზარანდია წავიდა, მაგრამ დამეუფლა გრძნობა, თითქოს, წვეულებიდან ვბრუნდებოდი, იქ რაღაც დამრჩა – სათუთუნე, სათვალე ან ხელჯოხი – და ახლა ჯიბეებში ვიქექებოდი, ყველაფერი თანა მაქვს თუ არა–მეთქი. ვერაფრით გავიხსენე, რის მოთათბირება დამავიწყდა, გულს რა მაკლდა. მერე ვიფიქრე, მომაგონდება–მეთქი და, მართლაც მომაგონდა: ზარანდიამ სპადოვსკის საქმის გამო თქვა: "დამაფიქრებელი უფროაო". გამომრჩა დამეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა. შემდგომ ხანებში ამ საკითხმა ისევ ზარანდიას მეშვეობით ამოყო თავი, მაგრამ ამას უფრო მოგვიანებით შევეხები...

**ბექარა ჯეირანაშვილი**

– ერთი სიტყვით, ნელ–ნელა ისე შემავიწროვეს, რომა კახეთსა და ქიზიყში აღარსად დამედგომებოდა. ცუდი ხმები დამიყარეს. ზოგი ჭორი ისეთი იყო – თავად შემეშინდა! უნდა იქაურობას გავცლოდი, სხვა გზა აღარაფერი მქონდა. ქაღალდი ვიშოვნე, ვითომ პანკისელი ქისტი ვიყავი. ქართლში გადავედი, ერთი მაგარი ცხენი ვიყიდე, ქარელს ზემოდან უღრანი ტყეებია, იქ საშპალე მორის გამოტანაზე დავიწყე მუშაობა. მაშინდელ

დროში თბილისიდან ბათუმამდისინ რაც შპალი იდო, სულ მუხისა იყო. იმ საშპალე მუხას ვეზიდებოდით.

ორი თუ სამი თვე ვზიდე. არც ვისმე აზრად მოსვლია, ეს კაცი მავანი ყაჩაღი ხომ არ არიო, გასამრჯელოსაც არა უშავდა რა, მაგრამ ეგ არის, სად – ბექარა ჯეირანაშვილი და სად – გუთანი და საშპალე მორი. ცხრამეტი წლისა ყაჩაღად გავედი. იმ დროისთვის თერთმეტ წელიწადს მთა–ბარი ფეხქვეშა მქონდა ამოდებული – ჯაფას გადაჩვეული ვიყავ. წასვლა მედო გულში და არ კი ვიცოდი – საით. ისევ შემთხვევამ დამაღირებინა თავი, სამეგრელოსკენ გავწიე, მაგრამ ჯერ ის შემთხვევა უნდა ვთქვა.

ამილახვრებს იმ ადგილებში მამულები ჰქონდათ. მოურავად შალიბაშვილი ეყენათ, ნიკა ერქვა. თურმე ერთ ოსის ქალს ჰყვარობდა, ქართველი კაცის ქვრივსა. როსტომაანთ გომურებს ეტყოდნენ, ერთ ღამეს იქ დაებარებინა შალიბაშვილს თავისი საყვარელი. წვანან, თუ რა ვიცი, რასა სჩადიან – მიწურში სამი შეიარაღებული კაცი შეუვარდათ. შალიბაშვილს ხელ–ფეხი გაუთოკეს, დედაბოძზე მიაბეს. ქალი წააქციეს, თავისი საყვარლის თვალწინ გააუპატიურეს. ამ საქმეს რომ მორჩნენ, შესულებში რომელიც თავკაცი იყო, იმან შალიბაშვილსა სიტყვა დაუგდო, დათა თუთაშხია ვარ, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო! დაუგდო, მიტრიალდნენ და სდიე შენა!

მაშინ დათა თუთაშხიას სახელი დიდ–პატარას პირში ეჩარა. ხალხის საქმე მოგეხსენება – ჭორი ათქმევინე და პურს ნუ აჭმევ. ხალხმა თუ რასმე მოჰკრა ყური, იმას ხომ იტყვის და იტყვის, თუ ვერაფერსა და, თითონაც კარგად გამოიგონებს. ეხლა რა – მე ის გადმოხვეწილი და მუხის მორს ამოფარებული კაცი – იმის ლაპარაკს ხომ არ მოვყვებოდი, დათა თუთაშხია ჩემი ძმადნაფიცია, ნამდვილად ვიცი, რომ მაგაების მქნელი არცა ყოფილა, არც არის და, ესეც ნუ იქნება, შალიბაშვილის ცინგლიანი ქალის გულისთვის სამეგრელოდან ქართლში რა ბუზანკალი გადმოიყვანდა–მეთქი?! ვთქვათ და, მელაპარაკნა კიდეცა – ვინ დაგიჯერებს, ხალხს ჭორი ურჩევნია სიმართლესა.

ეს მოხდა და ვიფიქრე, რომ გავრბოდე – ის დროა–მეთქი, მაგრამ არ იქნებოდა, გამოკითხვას დაიწყებდნენ – ვინ იყო, ეგრე უცბად საით და რატომ წავიდაო! ახლა იმის ეჭვს შეიტანდნენ, გაუპატიურების მონაწილე ხომ არ იყოო, და დამიწყებდნენ ძებნას. მე ჩემი საძებარი მაკლდა თუ როგორა? დავრჩი. ამოვიდნენ გორიდან და ხაშურიდან პოლიცმეისტერი, ჩაფრები, გამომძიებლები. დაიწყეს ქექვა. მუშებსაც სათითაოდ დაგვიძახეს, შალიბაშვილსა და ოსის ქალს დაანახვეს ჩვენი თავი – ამათგანი ხომ არავინ იყოო. ცოტა ხანი კიდევ იტრიალეს, ერთი კარგა იქეიფეს და წავიდნენ. ის კი მენიშნა – ეძებდნენ და არც ეძებდნენ, მაგრამ ამისა მერე ვთქვათ.

ორიოდ კვირას კიდევ ვიცოდვილე, ანგარიში გავასწორებინე, ხაშურში ჩავედი, ის ცხენი გავყიდე, აბანოში წაველ, ახალი ჩოხა–ახალუხი ჩავიცვი; კარგი იორღა ვიყიდე, შევხტი ოცდაათ თუმნიან უნაგირზე, გადავიარე ლიხის მთა და ორი კვირის თავზე სამურზაყანოში მიველ. სამურზაყანოში იმიტომ, რომ დათა იქ მეგულებოდა; ადრევე გვქონდა დათქმული, თუკი საჭიროება მოიტანდა, ვისთან და როგორ გვეკითხა ერთმანეთის ადგილსამყოფელი. დათას კაცმა – მჭედელი იყო – ჩვენი ძმადნაფიცობაც იცოდა და პირობაც. ხუთი დღე დამჭირდა ლოდინი. მოვიდა დათა. ცოტა შებერებული და დარდიანი მეჩვენა, თორემ სხვაფრივ ისევ ის დათა იყო, რაც უწინა.

წამომყე, ჩვენი მთა და ტყეცა ნახეო, დათამა. წავყე, ავედით. კარგი ადგილებია, მე და ჩემმა ღმერთმა. აი, როგორ არი, იცი?.. კახეთში, ვთქვათ, სიღნაღიდან ალაზნის ველს გადახედავ – ისეთი სანახავია, ტიალი, რომ ყელში ჯავრის გორგალს მოგაყენებს, ეგეთი ძალა აქვს იქაურ ადგილებს, – სულზე ფეხს დაგადგამს, შენ ნაკლები ხარო! ადგები და გულის მოსაფხანად შენსავე ხარებს პატრონის დედას შეაგინებ და ამაყ სიმღერას იტყვი. მაშა!.. გურია-აჭარაში როგორ არის, რომა იქაურ მთა–ბარისა და ცა–ზღვის შემხედვარეს ფიქრი ელვასავით დაგირბის, გონებას სისხარტე ემატება, შენი თავი სხვაზე უკეთესი გგონია და, აკი სიმღერაც ქედმაღალი და თავმომწონე აქვთ. სამეგრელოსა და სამურზაყანოში კიდევა, სერზე შემოდგები, არემარეს თვალს მოავლებ და რაღაცნაირი მოწიწებული ხდები, კაცოო! ზრდილობა და თავაზიანობა გწყურია, ლამის უნაგირიდან ჩამოხტე, ცხენს კისერზე მკლავი გადაჰხვიო, – მეპატიოს, რომ ზურგზე გეჯექიო, – და ღიღინი მოგინდება, ლაზათიანი, თავმდაბალი, მოკრძალებული ღიღინი! ვითომ სხვადასხვაა ესა, მაგრამ მაინც ერთია – სილამაზეა და მშვენიერებაა. გასულ კაცს გურია–აჭარაში ფირალს ეტყვიან, სამეგრელოსა და აფხაზეთში – აბრაგს, სხვაგან საქართველოში – ყაჩაღს, მაგრამ აზრი ერთია: შენი გონება, შენი მკლავი და კაცური სამართლიანობა. ერთად – ვაჟკაცობა! როგორი ადგილებიც არის, გასული კაცის ვაჟკაცობაც ისეთია და სხვადასხვა სახელიც იმიტომა ჰქვია, თორემა ხალხი ერთს რასმე შეარქმევდა. ეხლა, რავი, გასაგებადა ვთქვი თუ არა, და ის კი ნაღდია, რომ ყაჩაღად გასული კაცისთვის საქართველოში ხომა ყველა ადგილი მოხერხებულია, მაგრამ სააბრაგოდ იმისთანას მაინც ნურსად და ნურავინ იტყვის, რაც დათამ მომატარა და მაჩვენა.

ათი დღე თუ ორი კვირა ვიარეთ. ვინადირეთ კიდეც, ვიქეიფეთ კიდეც. დრო მოვიდა და ის შალიბაშვილის შემთხვევაც ვუთხარი. დაფიქრდა. მერე მომიბრუნდა, ხელები გაშალა, – რა ვქნა, რას გავხდეო, და ამაზე ორ დღეს არა თქმულა რა. მესამე დღეს შველი მოვკალით, იმას ვატყავებდი, დათა ცეცხლს უტრიალებდა და მაშინ მითხრა:

– აბა, კაი შორს გამვარდნია მოძალადის სახელი, ბექარ!

ვიცოდი, რომ შალიბაშვილის ამბავი არც იმ ორ დღეს გადასვლია ჭკუიდან და არც სამარის კარამდის დაავიწყდებოდა დათას – ეგეთი კაცი იყო. კიდევ ორი თუ სამი დღე გავიდა და მეუბნება:

– წავიდეთ, ბექარ, ძმაო, და ვნახოთ ის შალიბაშვილი ჩვენ.

მართალი გითხრა და, ამას არ ველოდი. პირღია ვუცქირე, მერეღა ვთქვი:

– წავიდეთ და წავიდეთ, რა!

ორი დღით დამტოვა თავის მიწურში... რის მიწური და რა მიწური – მიწურები მე მქონდა ხოლმე. არა, მიწური იყო, მაგრამ ისეთნაირად მოვლილ–მოწყობილი ბატონის ოთახებიც ძნელი სანახავია. რაც იყო, ყველაფერს კარგი პატრონის ხელი და ლაზათი ედო. ჰო, ჩხირკედელაობდა, უვლიდა – დრო არა ჰქონდა თუ რა?

ამობრუნდა, ის ღამე იქ დავიძინეთ. ადრიან დილით გზას დავადექით. იმერეთში ტყე–ტყე გადმოვედით; იმერეთი ბილიკებით გამოვიარეთ; ქართლში ვის უნდა ვეცანით – გზებით ვიარეთ. ქვიშხეთში მივედით გუდაძესთან, დათას ძმაკაცი იყო. გრიშა ერქვა. კარგა

გვიმასპინძლა. ცხენები მივაბარეთ და იარაღიც შევანახვინეთ. მხარზე თითო ცელი გავიდეთ, შუადღის ხანს ხაშურისკენ გამოვწიეთ. დღიური მუშების ყაიდაზე გვეცვა მაგრამ თითო ნაგანი და ას–ასი ვაზნა გვქონდა თითოსა.

უწინ ძმადნაფიცობის წესი და რიგი ისეთი იყო, თუ ძმადნაფიცი გეტყოდა, წამომყე, საჭიროება მაქვსო, – უნდა წაჰყოლოდი და სანამ თავად არ გიამბობდა, – ამ და ამ საქმეზე მივდივართო, შენ არ უნდა გეკითხა, სად და რისთვის მიგყევარო. ამ წესს სათავედ ისა ჰქონდა, რომ ძმადნაფიცი ძმადნაფიცს თავზე ხელასაღებ საქმეზე მხოლოდ მაშინ წაიყვანდა, თუ სხვა გზა მართლაც აღარაფერი ექნებოდა. წაიყვანდა და ტყვიასაც ჯერ თავად დაუხვდებოდა. შალიბაშვილის სანახავად მივდიოდით – ვიცოდი. სხვა რა ედო გულში ჩემ ძმადნაფიცს – არა გამეგებოდა რა. არცა ვკითხავდი, მაგრამ დათა ისეთი კაცი იყო, თავხიფათს თვითონ აიღებდა, მე განზე დამაგდებდა და ფიცვერცხლი თუ ჭირში თანაზიარობა საითღა მეძებნა?!

– ერთი რამ იცოდე დათა: არაფერში გამომტოვო და დამზოგო, თორემ ძმობაში ცოდო დამაწვება. გაიგე?

ცოტა გზაც გამოვიარეთ და დათამ მითხრა:

– ეს საქმე, ბექარ, ძმაო, არ უნდა გამოვიდეს, მგონია, მაინცდამაინც საშიში და ხიფათიანი. ორნი ვართ, აგერ, და რომელსაც რა გვერგოს – ის გავაკეთოთ, შე კაცო!.. ვილაპარაკოთ ახლა ყველაფერი და მოვიფიქროთ საქნელი.

– მაშინ, ჯერ ისა, რომა – რა გვინდა.

– რა გვინდა და, ხომ ხედავ, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ. დაგვიყარეს და გაგვივრცელეს ჭორები, ლაფი გადაგვასხეს თავზე და მოგვიჭრეს ყველა გზები. იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ შენ კახეთიდან ამოგაძუებინეს კუდი და არც მე ვარ შენზე უკეთესად – ფეხი რომ არ ყოფილა ჩემი აქ, აქაც ჩემი სახელით გააკეთეს ბოროტება. მარტო ეს ხომ არ არის და ორივეს ასი საქმე გვეცოდინება მაინც, ასეთი და ამაზე უარესი ჩვენთვის თუ სხვისთვის გაკეთებული! საიდანაც მოდის ეს ამბავი – ვიცი მე. მთავრობიდან მოდის, მაგრამ მთავრობა მხოლოდ ბრძანებს ამას და შესრულებით ბოროტი კაცები ასრულებენ, ხალხში რომ არიან გარეული ცხვრის ქურქში გახვეული მგლებივით. კაცი იმ ბოროტების გამკეთებელი თუა, ჩვენ რომ ვთქვით და ჩვენთვის რომ კეთდება – საერთოდ ბოროტის მქნელია ის. უამკაცებოდ ვერაფერს გახდებოდა მთავრობა და ეს კაცებიც თავს არიან გასული – მთავრობა მათ მხარეზეა, კანონი არ მიუდგება, იციან მათ. მე და შენ იმდენი ძალა სად გვაქვს, ბოროტების სათავე რომ მოვსპოთ, მაგრამ ბოროტებას ხელები რომ მოვაჭრათ, ხომ შეგვიძლია ეს?..

– შეგვიძლია!

– აგას ვამბობ და მაგას ვაკეთებ მეც. რა გვინდა, რისთვის მოვდივართო, რომ ვთქვით, – ვიპოვოთ, ახლა, ის ბოროტების მკეთებელი ხელები და, როგორც მოიტანს საქმე, ისე მოვიქცეთ ჩვენც. ბოსტანი ხომ გაგიმარგლავს, ბექარ, ძმაო?

– ისევ ამოდის ხოლმე სარეველა!

– ამოვა და კიდევ გაიმარგლება ის.

– შე კაი კაცო, ამოდენა მიწა–წყალს ჩვენ ორნი რას გავწვდებით?

– ვერ გავწვდებით, მართალი ხარ შენ, მაგრამ, ჯერ ერთი, გამარგლულზე ამოსულ სარეველას ის ძალა აღარ ექნება, მის წინ სარეველას რომ ქონდა, და მეორე ის, რომ ჩვენ თუ ვმარგლეთ, სხვაც მოგვბაძავს, სამართლიანობა თავისას იზამს, მომრავლდება ჩვენისთანა კაცები და ბევრი რომ ვიქნებით, მაშინ, სათავეში რომ ბოროტებაა, იმაზეც მიგვიწვდება ხელი და ტყვია.

– ეგრე იყოს და ეხლა ისა ვთქვათ, როგორ მივუდგეთ ამ საქმეს.

– აქ, ხაშურში, ერთი ნაცნობი მეგულება მე. ნაქურდალ-ნაბაცაცარი და ნაციხარ–ნახიშტარი კაცია ეგ. გითხრა სიმართლე – წუნკალია, მაგრამ ყველა წუნკალი სხვის სიწუნკლეს ეძებს და იკვლევს, იმისთვის, რომ გლახად თუ წაუვიდა საქმე, იმ სხვა წუნკლებს გამოახსნევინოს თავი. აქ არის ის კაცი და აქაურობის ყველაფერი უნდა გაეგებოდეს მას, თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში. დასტურიძეა გვარად, კოსტა ქვია. ველაპარაკოთ და ვნახოთ მერე.

– მაგ დასტურიძესა ადევს რამე?

– ერთი საქმე ვიცი მისი – კატორღა თუ არა, ათი წელი და ალექსანდრეს ცენტრალი ჯიბეში ედოს ვითომ, – ისეთი საქმეა ის!

– მაშინ ვეღარსად წაგვივა.

სანამ ხაშურში ჩავედით, გზადაგზა მოვიფიქრეთ, საქმე როგორც დაგვეწყო. იმ დასტურიძეს რკინიგზის სადგურში რესტორანი სჭეროდა. მე უნდა მივსულიყავ ჯერა. სადგურის წინ, მოედანზე, ხეებქვეშ სკამები იყო, დათა იქ დარჩა ცელებიანათა. აღმა შემოვუარე, სამზარეულოს ფანჯარაში გადავიხედე. იქითა კედელთან მზარეული თვლემდა. ჩემკენ, კედელთან, ერთი შუახნის ქალი გობში ჭურჭელსა რეცხავდა. დიდ მაგიდაზე ბარე ოცდაათი ჯამი ჩანახი იდგა, შესადგმელად გამზადებული. იმდენი ბუზი იყო, რომა ხაშურში სხვაგან აღარც სადმე იქნებოდა, სულ აქ იყვნენ. ვიდექ და ვუყურებდი იქაურობას. ის მთვლემარე მზარეული შეიშმუშნა, პირი დააღო, რაღაც უნდოდა ეთქვა და იმ თქმაზე ვერა სთქვა. მეორე დაღებაზეღა დაიძახა:

– კოსტა, გამოდი თვარა გეივსო ჯამები ბუზებით!

– მოვედი! – იქიდან მოისმა, მაგრამ ამის მთქმელი კარგა ხნის მერეღა მოვიდა.

დასტურიძე იყო, კოსტა იმას ერქვა, სხვა ვინ იქნებოდა. ეგრე, ორმოცისა ჩანდა და ბოლოქანქალას ჰგავდა. მივიდა და ჩანახის ჯამებს ჩახედა.

– ეს რა გიქნია! აბა, ამოდენა ხორცის ჩადება გაგიგონია?.. ჯამი მოიტა, კაცო!

ჯამს მოტანა არ უნდოდა, მზარეულს ხელში ეჭირა და გაუწოდა კიდეცა. ჩამოუარა დასტურიძემ მაგიდას, თითო ნაჭერი ხორცი ამოაკლო თითო ჩანახსა. აკლებდა, ცარიელა ჯამში ყრიდა და ბუტბუტებდა:

– ეს რამოდენა ხორცი გაგიოხრებიათ! აბა ვინ არის ამოდენა ხორცის შემჭმელი, მღუპავთ, რაღა გინდათ, გამაკოტროთ და ქვეყანაზე მათხოვრად გამიშვათ... აჰა, აბა, რათ უნდა, კაცო ესა, ჰა?.. რათ უნდა...

ქალი იმავ საქმეს აკეთებდა. მზარეული იდგა, თითქო არც არა ესმოდა რა და ერთხელ დაამთქნარა კიდეც. დასტურიძე თავის საქმეს მორჩა, ხორცებიან ჯამს ჩახედა და კვლავინდებურადვე მოჰყვა:

– აჰა, აბა, რათ უნდოდა ამდენი, კაცოოო! ესა სულ სამწვადეა გამომართვი, ყინულში ჩადგი. იმაზე გიჭირავთ თვალი, რამე მაზარალოთ. გინდათ, რომ გამაკოტროთ, არა?! – კი არა ბრაზობდა თავისთვის ბუტბუტებდა და მე ისე ვნახე, ეხალისებოდა კიდეცა ეს ბუტბუტი.

გაათავა ესა. წასასვლელად გაიწია და მივაძახე:

– კოსტა, ერთი, აქეთ მობრძანდი, საქმე მაქვს!

მოვიდა. ფანჯარას მოადგა. კარში გადმოიხედა, დამათვალიერა. რავი, თვალში არ მოუველ, თუ როგორ იყო – გასწია და გზადაგზა თავის მზარეულს უთხრა:

– ამას ხაშლამის ნახარში დაუსხი. ბლომად დაუსხი. პური მიეცი!

– საქმე მაქვს! ხაშლამა, რა... – მივაძახე.

მომიბრუნდა. მიყურა, მიყურა, არაფერი მითხრა და წავიდა.

ვიდექ პირში ჩალაგამოვლებული.

მზარეულმა ხაშლამის ნახარშით სავსე ჯამი ფანჯარაზე შემოდგა. წავიდა! ახლა პური და კოვზი მომიტანა.

– იქეთ ჭამე! ე, იქ ჩამოჯექი და ჭამე! – დათასკენ გაიშვირა ხელი.

კინაღამ მართლა დავავლე ხელი ჯამსა, მაგრამ ქალმა ხმა გაიღო, გულისყური მომტაცა.

– კაცო, ცისმარე დღეს მაგას გვეუბნება, ჩემი გაკოტრება გინდათო. ადექი შენცა და ერთხელ იმდენი ჩადე ეგ ოხრად დასარჩენი ხორცი, რომა ვეღარ ამოიღოს...

– გაჩერდი! ქალო, მაქ შენ! ვცადე ეგ შარშან. არ იცი შენ. ახალი ხარ.

– მერე?

– მერე, გაჯავრდა ნამეტანი.

– დაუმატე ისევა?

– აბა, რას ვიზამდი, შე ქალო.

– მერე?

– ამეიღო ისევე, ის დამატებული... – მერე მე მითხრა მზარეულმა:

– წაიღე ახლა, ჭამე და ჯამი არ გეიყოლო, იცოდე! – ჯამის წამღებიც გამომიყვანეს.

– დაკლება უყვარს და მიტომ სჩადის ასე, – ახლა ქალს უთხრა მზარეულმა, – რომ არ დააკლოს, არ შეუძლია ისე.

– ეგ რაღა დაკლებაა...

– გაჩერდი, ქალო, მაქ! არ იცი არაფერი.

მზარეული წავიდა. ვიდექი და ვფიქრობდი, ე რანაირი კაცი ყოფილა, დასტურიძეა თუ ვიღაც ვერანა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე–მეთქი, და ამ დროს ისევ გამოვიდა, მამაცხონებული. ისევ ფანჯარასთან მოვიდა. ჯერ ჯამ–კოვზსა და პურს დახედა, მერე ხელახლა დამათვალიერა...

გადადება აღარ ივარგებდა და ვუთხარი:

– ჟუჩოკამ გამომგზავნა. საქმე მაქვს!

ერთი კი შეერხა წარბი დასტურიძეს და მერე ისე გაიკვირვა ჩემი ნათქვამი, რომ ეჭვი შემეპარა, იქნებ ეს კაცი დასტურიძე არ არის, ანდა დასტურიძეა და ამ საქმისა მართლაც არა იცის რა–მეთქი.

– რაო... ვინაო?

– ჟუჩოკამა!

– არ ვიცნობ, არ ვიცი, ვინ არი... არ ვიცნობ.! – ხმადაბლა, სხაპასხუპით და ღვარძლიანად თქვა.

– არ იცნობ, ხომა?!

– არ ვიცნობ–მეთქი! – უფრო ხმადაბლა და უფრო ბრაზიანად მითხრა კოსტამ და მზარეულს გასძახა: – კოლა წაიღე ეს ჯამი აქედან!.. ხაშლამა, დედის ამისამ!..

გამეცინა და სიცილში ვთქვი:

– რავი, ის შენ კარგად გიცნობს, ჟუჩოკა, და სურამელმა იაკოფამაც მოკითხვა შემოგითვალა!

– არ ვიცნობ... არც ერთს არ ვიცნობ! – ეხლა ჩურჩულით დამაყარა დასტურიძემ, უცბად სიტყვა გაუწყდა, დამაცქერდა, კარგა ხანს მიყურა. მერე კოვზს ხელი სტაცა, ხაშლამის ნახარშს გემო გაუსინჯა და მზარეულს უსაყვედურა: – კოლა უმარილო მოგიტანია, კაცო? უმარილო ხაშლამა გაგონილა?! მოართვი მარილი!

– აბა, არილიანი ხაშლამა ვის გაუგონია, შე კაცო.

მარილიო!

– ეხლა, ეს დუბელა წაიღე, მაგ შენმა კოლამ მარილი უქნას და ჯანში გაიკეთოს!.. საქმე მაქვს–მეთქი, კარში გამო, შე ბოტის კურკლო, შენა!

ძალიან დამაკვირდა, მამაძაღლი, ძალიანა.

– მოვედი, – მოწყვეტილად, უილაჯოდ მითხრა და წამოვიდა.

ხეები და სკამები იქაც ბლომად იდგა. სანამ დასტურიძე კარში გამოფრატუნდა, მე უკვე იქ ვიჯექი. მოვიდა და გვერდზე მომიჯდა.

ის იყო, მე ჩემი უნდა დამეწყო და უმალ იმან დამაყარა:

– კაცო, რა გინდა!.. რას გადამეკიდე და ვინ ხარ... ვინ ოხერი ხარ და რა ჭირი გინდა?.. შენ მე ვინ გგონივარ... თვალში ხომ არ გეპატარავები! არა, ვინ ოხერი ხარ და რა გინდა!..

განა გაათავა? მიდი და მიდი – სულ ერთი და იგივე. ჩქარა ამბობდა, გადაბმულად, სულმოუთქმელად. ლაპარაკობდა და სიტყვები აერია. ძალიან გაჯავრებულ კაცად მაჩვენებდა თავს, სულ დუჟებსა ჰყრიდა, მაგრამ თვალებში ნამდვილი აღელვებისა არა ეტყობოდა რა... ვითარების გაგებას ცდილობდა, გამოსავალს ეძებდა. ის ქაქანი სულ ეშმაკობა იყო: ლაყაფსა და გაჯავრებას ამოაფარა თავი. ბოლოს ისე აურ–დაურია ყველაფერი, რომ სიტყვები აღარ გამოსდიოდა, რაღაცებს როშავდა. ეს იყო და ამასობაში მხარზე ცელებგადებული დათაც წამოგვადგა თავსა და იმ აბუყბუყებულ დასტურიძეს უთხრა:

– კოსტა, გამარჯობა შენი!.. – დასტურიძეს ენა ყანყრატოში გადაუვარდა. – კაი ხანია, ბიძიკო, არ მინახავხარ. ასე, ოთხი წელიწადი იქნება, ხომ?

დათამ ის შეკეცილ–შეკრული ცელები ძირს დაუშვა, ზედ ხელისგულები გადააჯვარედინა, ხელებს ნიკაპი დაანდო და დასტურიძეს გაუყარა თვალები.

ისე გაოცებული და გაკვირვებული კაცი მეორე არც იქამდის მენახა და არც მერე მინახაეს სადმე – ჯვარსა და სახარებაზე დამიფიცია, აჰა!.. უყურა, უყურა დასტურიძემ დათას და თავისთვის თქვა:

– ესა... ეჰე-ჰეეე, დათაა?

– კი. დათა ვარ.

ერთი ხანი კიდევ უცქირა და ახლა მე შემომხედა. ეგრე შემოგვცქეროდა ხან ერთსა და ხან მეორეს – ესენი ერთად მოვიდნენ თუ ცალ–ცალკეო, ამის დადგენას ლამობდა. ეგ არის, მე რომ ჟუჩოკა ვუხსენე და რომელ საქმესაც ვგულისხმობდი, დასტურიძის ვარაუდით, დათას იმაებისა არაფერი უნდა სცოდნოდა. ახლა, ვერც იმისი გაეგო რამე, თუ მე საიდან, რა შუაში ვიყავი – არც მიცნობდა და არც სადმე ვენახე. გაინაბა ჩვენი მასპინძელი, რა ხდება და ამათ ყბაში ის საქმე რანაირად უნდა ჩავარდნილიყოო. დროის მოგება ეწადა თუ რავი, როგორა, და ახლა ცელებს დაუწყო თვალიერება, ფხაც კი გაუსინჯა ხელითა.

– კაცო, ყურს არ მიგდებს ეს კაცი, – დათას ვუთხარი. – ამას ჰგონია, ჩემთვის რამე მინდა. სულაც არა მინდა რა. აგერა, ნახე, ხაშლამის ნახარშზეც უარი ვთქვი, ერთ რამედ ღირდა, მე და ჩემმა ღმერთმა. სიტყვა მაქვს დაბარებული და სათქმელი. თუ მათქმევინებს – კარგი, თუ არადა, ესეც კარგად იყოს და შენც კაი სათიბი მოგცეს ღმერთმა. მათქმევინოს, თორემ გავჯავრდები და წავალ!

– რა ქნას, ახლა, ამ კაცმა, კოსტა, თქვას თუ გაჯავრდეს და წავიდეს? – დათამ ჰკითხა.

დასტურიძე კვლავინდებურად განაბულიყო, მაგრამ აღარ გვათვალიერებდა, თვალები მიწაში ჩაემხო, ფიქრობდა.

– აბა, თქვი, მაშინ! – მითხრა დათამ.

– ამანა და ჟუჩოკამ – როსტოველი ქურდია, ერთი, – რუსეთში მდიდარი მონასტერი დასძრეს. შენი თქმისა არ იყოს და, ამ ოთხი წლის წინათ იყო ესა. მდევარმა კვალი აუღო, გარეგნობა იცოდნენ ამათი. იარეს, ირბინეს და საქართველოში ჩამოიტანეს ნაქურდალი. თერთმეტი გირვანქა მარტო ოქრო იყო: ზოგი – ხატის ვარაყი, ზოგიც – სამკაული და ძეწკვები. თექვსმეტი კენჭი ბრილიანტი – ცალკე. ამათში ერთი გარგლის კურკისტოლა, ორი – ჭერმის კურკისტოლა, ცამეტი – ალუბლის კურკისტოლა. ნაკლები არ ერია და სხვაც კიდევ გევრი რამ იყო – ვერცხლეულიო და რა ვიცი... ნაქურდალი შუაზე გაიყვეს, დაჰკრეს ფეხი, ხაშურში ამოვიდნენ. ჟუჩოკა აქ დასტოეა ამ კოსტამ, თავად სურამში წავიდა, მყიდველი მყავსო. დაბრუნდა, – ვაჩვენე, რაცა გვაქვს, რვაას–რვაას თუმანს გვაძლევს თითოსაო. ჟუჩოკამ იფიქრა, ამ გაქცევ–გამოქცევაში მდევარი წამომეწევა, რვაასი თუმანიც დამეკარგება, ციხეშიც ამოვყოფ თავსაო, და ყაბული თქვა. ახლა, კოსტას რა უქნია, ამ ტურას, ამასა: სურამელ იაკოფასთან ორივე წილში სამი ათას თუმნად მორიგებულიყო და ამხანაგს კი რვაასი თუმანი უთხრა. ისე რომ, ჟუჩოკას წილიდან შვიდასი თუმანი გადაღუნა. არც ეს აკმარა. როგორღაც მოახერხა, სანამ სურამში ავიდნენ, ის გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი და ერთიც ჭერმის კურკისტოლა მოჰპარა და ჩუმად გადაყლაპა. მივიდნენ, სადღაა ჟუჩოკას ბრილიანტები! გაჩხრიკა ჟუჩოკამ თავისი ამხანაგი. რას იპოვნიდა, როცა გადაყლაპული ჰქონდა ამასა. ატყდა ქიშპი და გაწევ–გამოწევა. ბოლოს, ამ კოსტამ, – შენი ბრილიანტებისა არაფერი გამეგება, აჰა, ჩემი წილიდან ორასი თუმანი წაიღე და თავი დამანებეო! მოკლედ მოვჭრათ, ის ჟუჩოკა კოსტამა და სურამელმა იაკოფამ ათას თუმანზე გადაატარეს. ამას ორი ათასი თუმანი და ორი დიდი ბრილიანტი დარჩა. იაკოფაზე ნუღარას ვიტყვით – ის საქონელი ათი ათასი თუმნისა იყო!

– ვერ ყოფილა მაგარი კაცი, – თქვა დათა.

– ვინა?

– ჟუჩოკა, თუ ვიღაცას რომ ამბობ შენ.

– ჟუჩოკამა, – იაფად იმიტომ მივეცი, რომ მომდევდნენ, მეჩქარებოდა და სხვა გამოსავალი არაფერი მქონდაო.

– მაგას არ ვამბობ მე. ბრილიანტები რომ ვერ წაართვა თავისი ამას იქ, ამაზე ვლაპარაკობ მე.

– აგაშენა ღმერთმა, – ვეუბნებოდი ჟუჩოკას, – დაგეკლა ის შენი ამხანაგი, გამოგეშიგნა და ან კუჭში იპოვნდი და ან ნაწლავებში–მეთქი.

– რა თქვა მან.

– რა თქვა და, მაშინ ქურდად დავდიოდიო! ქურდის სისხლის კაცს ღორის ჩხრინკელში ქექვა არ მეკადრებოდაო. მაშა!

– სხვა გზა უნდა მოენახა, მაინც.

– ეგეცა ვთქვით, განა არა? უნდა დაგეცადა–მეთქი, სანამ მოინელებდა, თავისი ხელით გაექექა, ეპოვნა, გაერეცხა და მერეღა გამოგერთვა–მეთქი.

– რა თქვა მან.

– რა თქვა და, ამას უთქვამს – დასტურიძეს, კუჭი შეკრული მაქვს, სანამ რამე იქნება, მდევარიც დაგვეწევა, თორემ მოცდა აჯობებდა, დარწმუნდებოდი, რომ არც არა მომიპარია და არც არა გადამიყლაპიაო.

– მართალი უთქვამს ამ კაცს, რას ერჩი?.. ქონდა გადაყლაპული თუ არ ქონდა – მდევარი არ დაუდევდა ამას.

– ჰოოდე და, რაღა ექნა ჟუჩოკას? დააწვინა, უბაგუნა დასტურიძეს, რომა რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი. მერე გატრიალებულა და წასულა.

– კაი, მაგრამ საიდან იცი ეგენი შენ, ნეტავი.

– ცარიცინის ციხიდან. იქ ვიჯექი, ერთი კვირის წამოსული ვარ, ჟუჩოკა ჩემთან ერთად იყო. სხვა საქმეზეა იქა. არ იციან, თუ მონასტრის დაძვრაში იმასაც ხელი ურევია. გამომსვლელი ვიყავი, აქეთ მოვდიოდი, მენდო და დამაბარა.

– რა დაგაბარა, კაცო, რა უნდა... არა, ვინ ჟუჩოკაო, რა ჟუჩოკაო, რა ბრილიანტებიო, კაცო, რა გინდა შენ, ჰა? – ბოქლომი მოხსნა დასტურიძემ.

– რა დამაბარაო?.. კოსტა აქა და აქ არის, მიდი და უთხარიო... ერთი სიტყვით ესე უნდა მოიქცე შენა: ჟუჩოკამ მისამართი გამომატანა. ას ორმოცდაათი თუმანი იმ მისამართზე უნდა გადაუგზავნო. ეს იმის დასტური იქნება, რომ რასაც ახლა გეტყვი, იმაზეც ყაბული

ხარ... კარგა გამოვა, დასტურიძე ხარ და დაუდასტურებ კიდეცა. ფულს გაუგზავნი და მერე ცარიცინში ჩახვალ, გამომძიებელი უნდა მოქრთამო, რომ ჟუჩოკა ციხიდან გაათავისუფლებინო და გამოვა თუ არა, ხელში ის გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი უნდა ჩაუდო. ჭერმის კურკისტოლა კოსტასი იყოსო.

– კაი ძალი საქმეები დაუვალებია, ღმერთმანი. რომ არ ქნას კოსტამ მასე, რას იზამს ჟუჩოკა, ნეტავი?

– ეგრე მოიქეცი, როგორც შემოგითვალე, თორემაო, ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოსა, წალდუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენ შვილსაცაო! – გყავს რო შვილები?..

– დახურდავება უნდა მაგას, ვერ მივხვდი მე, – დათამა თქვა.

– კაცო, ისეთ საქმეზე ზის ჟუჩოკა, რომ ოცი წლის კატორღა არა ამინდში არ ასცდება. ეს თუ ისე არ მოიქცა, როგორც იმან შემოუთვალა, გახსნის მონასტრის საქმესა, თავად არც რამე მოემატება ამით, მაგრამ დასტურიძეს გვერდზე მოისვამს და ორთავენი მხიარულად იქნებიან. ჟუჩოკა ქურდად აღარა ზის, გაფუჭებულია, ამისთანაების ჩადენას ვეღარავინ დაუშლის და დაუწუნებს. თავისუფლად იზამს. ვერც ეხლა მიხვდი, კაცო?!

ხაფანგში გაბმული ტურისთეის მიცქერია, სწორედ იმასა ჰგავდა დასტურიძე. ეხლა, რა ქნა? ჯერ ჩურჩულით დაიწყო და მერე ხმაზე გადავიდა:

– გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი... კურკის გარგლისტოლა ბრილიანტი... კურკის ჭერმისტოლა ბრილიანტი... ბრილიანტის კურკისტოლა გარგალი... ბრილიანტის კურკისტოლა ჭერამი... კურკის ბრილიანტისტოლა გარგალი... კურკის ბრილიანტისტოლა ჭერამი... – იჯდა! ამას ამბობდა, იქნებ, გიჟი ვეგონო, თავი დამანებონო, თუ რავი, რისთვისა.

შეიძლება, მართლა გაგიჟებულიყო. ვინც გინდა, დაჯდეს, იფიქროს, რამდენიც მოეხასიათება და, აბა, გაუგოს თავი და ბოლო ამ საქმესა – ვერაფერს გახდება! თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ მტკიცედ და ნამდვილად დასტურიძემ მაინც არა იცოდა რა.

– რომ შეუთვალო იმ კაცს, აღარ არის დასტურიძე ამქვეყნად, გარდაიცვალა და განისვენაო? – მითხრა დათამ და დასტურიძემ ყურები სცქეიტა.

ჭკუაზე იყო!

– სურამელ იაკოფასთან მიმგზავნის; იმას გინდ სახრჩობელაზე გაიყვანე, მაინც ვერაფერს დააგდებინებ და გაიხსნება საქმე, ნამდვილია ესა!

– ისიც მომკედარა–თქო, კაცო, ისიც მომკვდარა–თქო! – წამოიძახა დასტურიძემ.

– ჰო, მაშა! შენი გულისთვის ნახევარი საქართველო ამომიწყვეტია და ეგ არი. აჰა, და კიდევაცა – რას დაიჯერებს ჟუჩოკაი!

– გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი... – მიჰყვა თავისას დასტურიძე.

ეხლა უკვე ზოგი რამ ნამდვილად იცოდა. პირველი ისა, რომ მე და დათა ერთად ეიყავით; მეორე – აბლაბუდაში გვყავდა და მართლა ჟუჩოკამ მიმგზავნა თუ არა, ვეღარსაით წაგვივიდოდა. ერთი რამ არ იცოდა: ბრილიანტებისთვის მოვედით, ფულს დავჯერდებოდით თუ იქნებ, სულაც სხვა საქმე გვქონდა. ხელმეორედ იმიტომ დაუგარგლისკურკისტოლავა, რომ თან ამაზე ფიქრი მოეხერხებინა.

– აბა, მაიკოპში ბჟალავამ მშიერ–მწყურვალი რომ შეგიკედლა და ორი საბანი რომ მოპარე და მიიმალე, იმ წელს გაგიძარცვავთ მონასტერი თქვენ, – უთხრა დათამა.

– არა, დათა... არა, კაცო!..

– ოთხი წლის წინათ ყოფილა და ემთხვევა საბნების მოპარვას... მე არ მომიპარავსო, ნუ დაიჩემებ, თვარა, მომივა გული და, სულ რომ არ ვარ მაგისთვის მოსული, ორასი საბნის ფასი გადაგახდევინო, იქნება, დამიჯერე შენ!

დასტურიძემ კიდევ დაგვათვალიერა, წარბი შეჰკრა და მართალი კაცივითა თქვა:

– მე არც ჟუჩოკა ვიცი, არც სურამელი იაკოფა, არც მაგ საქმის მონაწილე ვყოფილვარ და არც ბჟალავას საბნები მომიპარია. მოსულხართ და მოსაცემად ხომ არა, წასაღებად მოხვედით. პირდაპირ ვამბობ, ქვაზე მაგარი ვარ, არ მეშინია თქვენი, მაგრამ საქმეზე ლაპარაკისთვის ეს ადგილი არ ვარგა. შიგ შევიდეთ.

– გიმნაზიაში ნასწავლი კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა!

– მართლაა გიმნაზიაში ნასწავლი, – დამიდასტურა დათამ.

მასპინძელი წინ გაგვიძღვა და სამთავენი რესტორნისკენ დავიძარით. ბრტყელ–ბრტყელებიც გვითხრა, გაგვეჭიმ–გამოგვეჭიმა კიდეც, მაგრამ გატეხილი იყო და თითონაც იცოდა ესა. პატარა ოთახი ჰქონდა, დავსხედით, სუფრა გააშლევინა. ტოლუმბაშივით თავში დაჯდა, პური გაგვატეხინა და უკმეხად გვითხრა:

– აბა, ჭამეთ დროზე, თქვით, რისთვის მობრძანებულხართ და თქვენი გზა ნახეთ!..

ფონს გასვლა თავხედობით დააპირა! მე და დათამ ერთმანეთს გადავხედეთ, გაგვეცინა... ზეზე წამოვიჭერი, ყბაში მუშტი ვთხლიშე, სკამიანად წავაქციე, მამაძაღლი...

– ადე, დაჯე!

ადგა, სკამი მოიდგა, დაჯდა და ახლა კიდევა ვთხლიშე.

– კაცო, რისთვის მობრძანდით–მეთქი, სხვა ხომ არაფერი მითქვამს!.. – დაიწუწუნა დასტურიძემ და მკლავი აიფარა, კიდევ გამომიქანებსო.

მესამეც მივართვი და დავაყოლე:

– აი, ამისთვის მოვბრძანდით, სხვა რა უნდა გვინდოდეს.

– ვიყვირებ...

– ვერ იყვირებ ბევრს, – მიუგო დათამ, უბიდან იარაღი გამოაცურა, მასპინძელს ტარი უჩვენა და ისევ შეინახა.

– კაცო, როდემდის უნდა მცემოთ...

– სანამ ზრდილობას ისწავლი. ამას ყური დაუგდე, სათქმელი რამ აქვს! – დათა ვაჩვენე

– ამდენი ამბავი რა საჭირო იყო, პირდაპირ გეთქვათ... – ჩაილაპარაკა დასტურიძემ და დათას მიაყურა.

– საჭირო იყო, ბიძიკო, საჭირო, სიმართლე გვინდა ვიცოდეთ ჩვენ. შენისთანა კაცი სიმართლეს არ იტყვის, სანამ არ მოიღუნება და მიწას არ დაედება შუბლით. გაფრთხილებ, კოსტა საბნის ქურდო, სიცრუე და ორჭოფობა არ დავინახო და არ გავიგონო აქ! ასე. ახლა, შალიბაშვილს რომ შეუვარდნენ, ის ამბავი გეცოდინება შენ.

– ვიცი.

– ვისი ჩადენილია მაგ საქმე.

აიწურა დასტურიძე. არ ვიციო, ამის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება. დაებმებოდა, მაშ, როგორ – ტყუილს ვინ შეარჩენდა!

– ჰა�ა!.. ხალისით, გაბედულად, მარდად! – სიმხნევე მივეცი.

– ტაბისონაშვილი და ორნიც სხვები იყვნენ.

– რატომ ქნეს ის?

– ყანდურის კაცები არიან, იმის ნებით გაკეთდა.

– ვინ არის ყანდური?

– ყანდური არ იცით?

– არ ვიცით.

დასტურიძემ იყუჩა, იფიქრა, ქეჩო მოიქექა.

– გეტყვით, მაგრამ პირობა დამიდეთ, რომ ჩემი სახელის ხსენება არსად იქნება. რა ვიცი, რას აპირებთ... ოჯახის პატრონი ვარ, წვრილშვილი მყავს.

– გაუთქმელობის ხელწერილი ხომ არ დავუწეროთ, ბექარ–ბატონო!

– ილაპარაკე, შე ტუტუცო, შენა!

– ყანდური ურბნელი ეპისკოპოსის კარის მოძღვარია. ყანდური უწინ ერქვა, ეხლა მამა ალექსის ეძახიან, ეგზარქოსის სახელი შეირქვა – ალექსი. მაგის ხელშია მაზრა.

– მაზრის უფროსია?

– მაზრის უფროსი! – დასტურიძემ ჩაიცინა. – მამა ალექსი ეგზარქოსის კაცია, პირდაპირ იმასთან აქვს საქმე. ეგზარქოსს – მეფისნაცვალთან... ყანდურს აქაურები ყველა გამოჭერილი ჰყავს: მოსამართლეები, პოლიცია, საბაჟო, საგადასახადო უწყება... გაიგეთ?

– მერე?

– მერე და მერე. რაც მაზრაში ხდება, სულ ყანდურის ხელიდან გამოდის. შალიბაშვილსაც ყანდურმა მიუგზავნა ის კაცები.

– რას ერჩოდა.

– ფულს არ აძლევს შალიბაშვილი.

– რა ფული უნდა მიცეს და რატომ უნდა მიცეს?

– ყანდურს უჭირავს აქაურობა და უნდა აძლიოს შალიბაშვილმა! ყველანი ეაძლევთ.

– ვინ ყველანი?

– ვინც რამე საქმეზე და საშოვარზე ვდგეეართ , ყველა.

– რამდენს აძლეეთ?

– ვინ როგორ საქმეზე და საშოვარზე ვდგევართ – იმის მიხედვით. შემოგვაწერა და ვაძლევთ. კაცი ჰყავს, ჩამოივლის ის კაცი თვეში ერთხელ და მიაქვს.

– შენგან რამდენი მიაქვს?

– ათი თუმანი. ცოტას მართმევს, ძველი ნაცნობები ვართ, ციხეში ერთად ვისხედით...

– ეინა და ვინ, კაცო?!

– ყანდური და მე.

– აბა, მაგ ყანდურს უჭირსვს მაზრა, ხომ?..

დასტურიძემ თავი დაიქნია.

– კაცო, თქვენც ადექით და ნურაფერს მისცემთ, რა.

– საშოვარზე ვდგევართ–მეთქი! სადაც საშოვარია, იქ კანონიც ირღვევა. გამომიგზავნის მთავრობის კაცებს – მეტს დამისვამს. თვეში სამჯერ გამომიგზავნის! ან უნდა გავკოტრდე, ან უნდა ვაძლიო. მიცემა სჯობს. ვაძლევ, სხვებმა იციან, რომ ვაძლევ და მერიდებიან.

– კარგადა ჰქონია აწყობილი!

– ერთად ვისხედითო, რომ თქვი, შენ რისთვის იჯდებოდი, გასაგებია. ყანდური რისთვის იჯდა, მაინც?

– ქურდობაზე, წვრიმალ ქურდობაზე.

– რა მოიპარა?

– ადრე ბაზრის ქურდი იყო, ერთთავად მშიერი და ტილიანი დადიოდა, ზოგი ფანდურას ეძახდა, ზოგი – ჩონგურას. როცა მე და ეგ ერთად ვისხედით, მაშინ სამწლიან ვადას იმაზე იხდიდა, რომ საკაბე მოჰპარა თავის საცოლეს.

– თავის საცოლესა კაცო?!

– საცოლეს. ის ვადა მოიხადა, ყინწვისის მონასტერში ბერად აღიკვეცა. რამდენიმე წელიწადი იქ იყო. მერე რაღაცნაირად მოახერხა, შავი მანტია გაიხადა, მღვდლად ეკურთხა და იქ სწირავდა, სანამ ეგზარქოსად მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკის დანიშნავდნენ... დანარჩენი, როგორც გითხარით! ისეა.

– სად ცხოვრობს, იცი, ალბათ.

დასტურიძემ ხელი ჩაიქნია და სიცილით თქვა:

– სად არ ცხოვრობს, სახლ–კარი ბევრ ადგილას აიშენა. ისე, აქ არის, ხაშურში. დღეს წირვაა და სამღვდელოების რაღაც თავყრილობა. უყანდუროდ არც ერთი იქნება და არც მეორე. აქ არის.

– ეხლა ეს მითხარი შენ: რას შვრება! როგორ ცხოვრებას ეწევა ეგ ყანდური, ფანდური, ჩონგური თუ მამა ალექსია, აქ.

– როგორს გასწევს?! ქალები, ქეიფები, ყომარბაზობა, – რა თქმა უნდა, მალულად. მაგათ თავისი წრე აქვთ, უცხოებს და პატარა თანამდებობის კაცებს სათოფეზე არ იკარებენ.

– ციხეში ვინ პატრონობდა, როგორ ცხოვრობდა, რას ჭამდა?

– ფაფას! ფაფა უყვარდა. ჩამოუვლიდა ნაჭამ ჯამებს თუ რამე იყო შიგ ჩარჩენილი ან ჩატოვებული – ერთ ჯამში მოუყრიდა თავს და დაცარიელებულ ჯამებს თითით აზოლოკავდა. მერე მოგროვებულ ფაფას ფსკერამდე დაიყვანდა და იმ ჯამსაც ამოტლიკავდა. ფაფა ძალიან უყვარდა, მუცელი მუდამ ტიკივით ჰქონდა გაბერილი... მაინც სულ მშიერი იყო. ციხეში – “კაშკას” ეძახდნენ.

– გასაგებია ეგ. შალიბაშვილის ნახვას სად და როგორ შეძლებს კაცი?

– შალიბაშვილი ცხრამუხელია.

– სად არის ეგ.

– აქვეა, ნახევარი საათის სავალზეა.

– რა ვქნათ ახლა, თუ იცი: წავიდეთ და ვნახოთ ის შალიბაშვილი სამივემ.

– მეც უნდა წამოვიდე? – დასტურიძეს ფერი წაუვიდა.

– კი, კოსტა, შენც. სამივე წავალთ ერთად.

– მე... მე არ ვიცი, სად ცხოვრობს. არა, ცხრამუხაშია, მაგრამ სახლი სად უდგას, არ ვიცი.

– აბა, შენ არც ის გეცოდინება, ყანდურს სად უდგას სახლი!

– არც ყანდურის სახლი ვიცი... კაცს მოგცემთ, ყველაფერი იცის...

მხარზე ხელი დავადე, ხმა გაწყვიტა.

– ჰა�ა. დაუარე ჩანახის ჯამებსა, ამოაკელი თითო ხორცი?! ამოდენა სახედარი როგორა ხარ, რომ უბრალო რამეები არ გესმის: შენი სული ჩვენ ხელშია, მაგრამ სანამ ამ ადგილებში ვართ, უჩვენოდ შენი დარჩენა არ იქნება. საცა წავალთ – იქ უნდა იყო!.. დარჩენა თუ აიხირე, მძორიღა დარჩები და...

– რა არის ეს, ბექარ–ბატონო, ასე უხიაგი ლაპარაკი რატომ იცი, შე კაცო! მძორი რა სათქმელია, რა სიტყვაა ეგ? ცხედარი უნდა თქვა, განსვენებული, მიცვალებული და რამდენი თქმაა მშვენიერი, კიდევ, დალოცვილ ქართულში, რა ვიცი მე...

– ჰოოდე! აი, მიცვალებულად ცხედრად დაგტოვებთ! ცოცხლად – ვერა, თავს გაიფუჭებ. ეხლა, ჩვენ – რა? არაფერი. ეგ არი, – თავიდან მოვიშორო ესენიო, – და გვიმუხთლებ რასმე. იზამ მაგასა და გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი აქ დაგრჩება და შენ სახალინის კატორღაში წახვალ. გვეცოდები, ვერ დაგტოვებთ ცოცხალსა; თავს გაიფუჭებ, თორემ, ჩეენ – რა? არაფერი.

მიხვდა დასტურიძე, არა გამოვა რაო, დაგვყვა, მაგრამ ერთიცა სინჯა:

– რა გინდათ შალიბაშვილთან? იქნებ მე ვიცი...

– ნამდვილად დათა თუთაშხიას თუ გადააბრალა თავისი ნამოქმედარი იმ მოძალადემ, ის გვინდა გავიგოთ. არაფერი სხვა.

– ნამდვილად გადააბრალა, ნამდვილად გადააბრალა...

– გაჩერდი, კოსტა, თუ ღმერთი გწამს. მასე სხვისი ნათქვამი ჩვენც ვიცით, შე კაცო...

გაჩუმდა დასტურიძე, ჩამოჰყარა ყურები დაღლილი ვირივითა...

## გრაფი სეგედი

კავკასიაში ერთი მუდმივმოქმედი პრობლემა და, მაშასადამე, საიდუმლო პოლიციის ყოველდღიური სამუშაო არსებობდა; მაჰმადიანთა შორის, განსაკუთრებით, დაღესტნის ტომებში, თურქეთის ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ხსენებულმა საქმიანობამ მეოცე საუკუნის დასაწყისში თეორიულად დამუშავებული მოძღვრების სახე მიიღო, პანისლამიზმის სახელწოდებით გახდა ცნობილი. სულთნის რეზიდენტები და ჯაშუშები აქეზებდნენ, ხელს უმართავდნენ ყველაფერს, რაც კავკასიაში სიმშვიდისა და რუსეთის იმპერიის სხვა ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას საგრძნობი თანხები სჭირდებოდა, – კავკასიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად, ოქროთი, – და თურქები იძულებულნი იყვნენ, ამ ოქროს გადმოტანა–გადმოგზავნის ახალი და ახალი გზები ეძებნათ. აქ მცირე განმარტებაა საჭირო. თურქებისა და ირანელების მხრივ ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ დაღესტნის ტომების გამოყენებას ჯერ კიდევ იმპერატორ ალექსანდრე პირველის რესკრიპტამდე ჰქონდა რამდენიმე საუკუნის ისტორია. ამიტომ ქართველები სულთნის ჯაშუშებთან ბრძოლასა და თურქული ოქროთი სავსე ზანდუკების ხელში ჩაგდებაში კარგად დახელოვნებულები იყვნენ. რა თქმა უნდა, მეცხრამეტე საუკუნესაც არ ჩაუვლია უქმად – ქართველების გამოცდილებას ჩვენიც დაემატა და მეოცე საუკუნის მიჯნაზე თურქეთიდან ოქროს შემოტანა–შემოგზავნის არხები საკმაოდ შესწავლილი და დაკონტროლებული გვქონდა. აქედან, დაბრკოლებებიც, რომელთა გადალახვა თურქებისთვის ძნელი იყო, მაგრამ საკითხი არც ჩვენთვის გახლდათ ბოლომდე დაძლეული და გადაწყვეტილი. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. სახელდობრ მაშინ, როცა სახნოვმა "კილიკიის" ავტორობა იკისრა, უკვე ხუთი, ექვსი წელიწადი სრულდებოდა, რაც თურქებმა იმძლავრეს: აგენტურული ცნობების მიხედვით, თურქეთის ოქრო მისამართებამდე დაუბრკოლებლად აღწევდა და ჩვენ კი ვერა და ვერ დაგვედგინა, თუ რა გზებითა და ხერხებით ხორციელდებოდა ეს. თათბირებზე ზარანდიამ არაერთხელ გამოთქვა აზრი, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არსებობდა დამკრედიტებელი, რომელიც პანისლამისტთა საიდუმლო ქსელს ოქროთი ამარაგებდა. მისი აზრით, თურქებს დამკრედიტებლის პირად ანგარიშზე რომელიმე უცხოურ ბანკში შეჰქონდათ გასაცემი თანხა და ამის შემდეგ რაიმე საშუალებით აცნობებდნენ ხოლმე: ფული შეტანილია გაეცი ამა და ამ კაცზე ამდენი და ამდენიო. დამკრედიტებელი მითითებას ასრულებდა. კვლევა და მუშაობა ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად განუწყვეტლივ წარმოებდა, მაგრამ

დადებითი შედეგი არ ჩანდა. საქმეს ის გარემოება ართულებდა, რომ ნავთობის ამოღებამ და მრეწველობის ზრდამ კავკასიაში ერთობ მოამრავლა მდიდარი კაპიტალისტები. რომელი ერთი უნდა შეგვესწავლა? ესოდენ ფართო თვალყურის განხორციელება, ყველაფერს თავი დავანებოთ, ფიზიკურად შეუძლებელი იყო. პრობლემის გადაჭრას ახალი მეთოდიკა სჭირდებოდა, ძველმა ვერ გაამართლა.

ცნობილია, დანაშაულისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ცივილიზებულ საზოგადოებათა სამართალს ერთი ძირითადი დეტალი ახლდა და ახლავს: კანონის მოქმედება იწყება დანაშაულში მხილების შემდეგ. სხვანაირად: სამძებრო უწყება იქნებ ღრმად დარწმუნებულიც იყოს, რომ ესა და ეს დანაშაული სახელდობრ

მავანი კაცის ჩადენილია, მაგრამ ის კაცი შეუვალობით სარგებლობს იქამდე, სანამ მას სამძებრო უწყება უკვე ჩადენილის გამო უტყუარ მტკიცებას წარუდგენდეს ან სხვა, ახალ დანაშაულზე წაასწრებდეს. ასე იყო თურქების პანისლამისტური და სხვა ძირგამომთხრელი მოქმედების მიმართაც. მაჰმადიანური სარწმუნოება და, მაშასადამე, ყურანიც, რუსეთის იმპერიაში თავისუფლებით სარგებლობდა. პანისლამიზმის იდეა თვით ყურანში დევს. მის ქადაგებას სასულიერო პირები და ფანატიკოსები ეწეოდნენ და ეს პროპაგანდა კანონიერების ფარგლებს არ სცილდებოდა. აქ დანაშაულში მხილება და კანონის მიყენება საკმაოდ ძნელი იყო. აი, ერთადერთი კითხვა, რომელზეც პანისლამისტებს უნდა გაეცათ პასუხი: ვისი და როგორი ეგიდით წარმოგიდგენიათ ისლამური სამყაროს გაერთიანება. ამაზე მქადაგებლები ამბობდნენ: განა რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლის მოწოდება ჩვენგან ვისმე და როდისმე გაუგონია?.. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, საქმე აღარაფერი იყო, გარდა სეპარატიზმის ცალკეული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამას მეტ–ნაკლები წარმატებით ვახორციელებდით კიდეც. მსჯავრის უფლების გამოყენების მხრივ გაცილებით მარტივი ვითარება იყო ყაჩაღებთან, ბანდებთან, თუ სხვა სახის წინააღმდეგობასთან ან ასეთ ქმედებათა წამქეზებლებთან ბრძოლაში. აქ დანაშაული ყველა შემთხვევაში სახეზე იყო და მხოლოდ მისი ჩამდენის გამოაშკარავება და დასჯაღა რჩებოდა. ვებრძოდით, საბოლოო ჯამში, ვიმარჯვებდით, მაგრამ ამით მხოლოდ ტოტ-ყლორტსა ვსხეპავდით და ჩვენი ამოცანა კი ხის წაქცევა, მისი ფესვების ამოძირკვა იყო. ეს იქამდე ვერ მოხერხდებოდა, სანამ პანისლამიზმის ორგანიზმს საკვები არხები არ გადაეჭრებოდა, სულიერ საკვებს, ანუ თვით იდეას, ქრისტიანული სარწმუნოება უპირისპირდებოდა და ებრძოდა; მატერიალურ საკვებს, ანუ ფულს, – საიდუმლო პოლიცია და ჟანდარმერიის სამმართველო. ჩვენ რამდენჯერმე ჩავიგდეთ ხელში შიკრიკები, რომლებსაც რეზიდენტებთან საკმაოდ მსხვილი თანხები მიჰქონდათ. ისიც ნამდვილად ვიცოდით, თუ რა დანიშნულება ჰქონდა იმ ფულს, მაგრამ ყურებზე ხახვიც ვერავის დავაჭერით! მათი პასუხი ერთი იყო – ფული ჩემია! როცა ვამხილეთ, რომ მავან კაცს მისცა, – მემართა, მივცემდი, მაშ! რას ვიზამდიო, და ამას ფულის მიმღებიც ადასტურებდა ხოლმე. აი, ასეთი სულელური მდგომარეობის მონები გახლდით ბოლო ხუთი, ექვსი წელიწადი და თურქების თავმომწონეობასაც ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

ზემოთქმულის მოყვანა იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, როგორი სიძნელეების წინაშე იდგა მუშნი ზარანდია სულთნის ოქროს საქმეში და – უნდა საგანგებოდ აღვნიშნო, ეს აუცილებელია, – ამ პრობლემის გადასაჭრელად მას ხელთ სრულიად არაფერი ჰქონდა.

ჩემი უწყების მუშაკთაგან ამ საქმეს ზარანდიაზე უკეთ რომელი მოუვლიდა და, მართლაც! მან ახალი განყოფილების მიღებისთანავე სულთნის ოქროს პრობლემას უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა. ეგ არის, დრო გადიოდა და მე კი ვერ ვხედავდი, რომ ზარანდიას ამ მხრივ მოქმედების რაიმე კონკრეტული გზისთვის მიეგნო. ბოლოს ვკითხე, თურქების მიმართ ზომები ხომ არაფერი მიგიღია–მეთქი.

– მოგეხსენებათ! თქვენო ბრწყინვალებავ, არის ამავე ხასიათის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც და მათ შორის ურთიერთკავშირი იგრძნობა. ისეთი ხერხის გამონახვაზე ვფიქრობ, რომ ყველამ თუ არა, რამდენიმე პრობლემამ მაინც მიიღოს ერთდროული გადაწყვეტა. კიდევ ცოტა უნდა დამაცადოთ, სულ ცოტა, გრაფ, ასე, ერთი თვე, თვე–ნახევარი.

მონათესავე საკითხები კი მართლაც იყო. აი, ერთი მათგანი.

საგანგებო ან სრულიად მნიშვნელოვანი საქმეების გამო გაცემულ ბრძანებებს ნოლიანი რიცხვებით ვნომრავდი – ვთქვათ, სამოცდაათი, ას ოცი, ოთხას ათი და ასე შემდეგ. ასეთი ნომრის მქონე დოკუმენტი სასწრაფო მსვლელობასა და პასუხს მოითხოვდა, მაგრამ ერთია – ბრძანება გასცე, ხოლო მისი შესრულების საშუალება გამოინახება თუ ვერა – სხვა საქმეა. თავის ახალ თანამდებობაზე ზარანდიასაც დაუხვდა რამდენიმე შეუსრულებელი ნოლიანი ბრძანებაერთი მათგანი იმის გამო მქონდა გაცემული, რომ ჩვენი დაზვერვის ცნობით, ავსტრო–უნგრეთის გენერალური შტაბი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიიდან საიდუმლო ინფორმაციას იღებდა. ავსტრიელებისთვის ცნობილი იყო ამიერკავკასიაში დისლოცირებული საარტილერიო ნაწილების უფროსთა შემადგენლობის საანკეტო მონაცემები და საბრძოლო ქვემეხთა საერთო რაოდენობა. ამას გარდა, მათ ხელთ ჰქონდათ ვრცელი ნერილობითი ანგარიში ამიერკავკასიაში განლაგებულ სამხედრო კონტინგენტებსა და სამოქალაქო მოსახლეობაში პოლიტიკური განწყობილებების თაობაზე. ეს სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის მასალა არაერთი მაღალი თანამდებობის ოფიცრისთვის და მოხელისთვის იყო ცნობილი და ხელმისაწვდომი ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზეც, სხვაგანაც და რებუსის ამოხსნას სწორედ ეს გარემოება აძნელებდა. აქ მარტო კვალზე დადგომისთვის რამდენიმე მონათესავე დაწესებულების თანამოქმედება, ღონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელება იყო საჭირო. ზარანდიამ სიძნელეები დაინახა, დაინტერესდა და სხვა გადაუდებელი საქმეების პარალელურად, ავსტრიის შპიონაჟთან დაკავშირებულ დოკუმენტსაც დაუყოვნებლივ მისცა მსვლელობა. მას ამ საქმის გარშემოც სრულიად არაფერი გააჩნდა, გარდა თვით ნოლიანი ბრძანებისა. ეს კი ნიშნავდა, რომ მის წინაშე იყო უზარმაზარი შრომატევადობის სამუშაო: ხელახლა! გულდასმით და დაწვრილებით უნდა შეესწავლა უცხოეთთან და უცხოელებთან კავშირის ყველა ამიერკავკასიური არხი, ანუ ის ტერიტორია, სადაც ქალაქების მოსახლეობის მეათედი მაინც უცხოელი მოქალაქე იყო. შეესწავლა, უპირველესად ყოვლისა, საერთოდ – კონტრდაზვერვის სამსახურის ასპექტში და შემდეგ ჩემი ნოლიანი ბრძანების მხრივ. ამგვარ ამოცანებს სათქმელად ადვილი და დასაძლევად თითქმის შეუძლებელი ჰქვია.

ზარანდიამ ავსტრიაში მომუშავე ჩვენი აგენტურის ის ცნობა შეისწავლა, რომლის გამოც მე ნოლიანი ბრძანება გავეცი. ამ დოკუმენტისა და არსებული ვითარების შეჯერებამ იგი იმაში დაარწმუნა, რომ საქმე ჰქონდა საკმაოდ დახელოვნებულ, განათლებულ რეზიდენტთან და მის აგენტებთან, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ კომპეტენტურ პირებთან. ზარანდია მართალი იყო, რადგან ასეთი ხასიათის ცნობების ჯერ გადაცემა ვერ მიეწერებოდა მოყვარულის ენთუზიაზმს და ვერც ავსტრიაში მათი გადაგზაენა აიხსნებოდა ცარიელა პატრიოტიზმით. ცხადი იყო, რომ არსებობდა გამყიდველი და მყიდველი, ან იძულებული და მაიძულებელი. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ ზარანდიამ სარწმუნოდ დაადგინა, რომ იგივე ცნობები, რაც ავსტრიელებს ჰქონდათ, თურქებს და ირანელებსაც ჩავარდნოდათ ხელში! ეს კი ნიშნავდა რომ კავკასიაში სამი სახელმწიფოს ერთმანეთთან დაკავშირებული ჯაშუშები მოქმედებდნენ ან ჯაშუში ერთი იყო და სამი სახელმწიფოსთვის კი მუშაობდა.

ახლა იმაზე, თუ რა მეთოდი აირჩია ზარანდიამ საკვლევ–საძიებელ პირთა დასადგენად. თვით მეთოდი, თავისი არსით, მტკნარ მეტაფიზიკას წარმოადგენდა, მაგრამ გამონაკლისი, ხშირად, უფრო ქმედითია, ვიდრე სტანდარტი, უფრო საინტერესოც და ამიტომ მოკლედ ამასაც შევეხები.

უპირველესად ყოვლისა, მუშნი ზარანდიამ განაცხადა – საარტილერიო ტექნიკის აღმწერი და ანკეტების შემკრები ერთი და იგივე პირია, ხოლო პოლიტიკური ანგარიშის შემთხზველი – სხვა კაცი არისო. რა თქმა უნდა, იქნებ, სახელდობრ, ასეც გამოსულიყო, მაგრამ ვინაიდან ამას შემდგომი ძებნის წარსამართავად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, საჭირო იყო ურყევი მტკიცება, რომ ეს ასეა და არა როგორმე სხვანაირად. მტკიცება ზარანდიას არ გააჩნდა – ძებნა მაინც ორი ავტორის ვარიანტიდან გამომდინარემ განაგრძო.

შემდგომი ნაბიჯი მართებული იყო – თუ შეიძლება მართებული იყოს მტკიცებას მოკლებული, სათუო დებულებიდან ამოსული ნაბიჯი: ზარანდიამ სამი სია შეადგინა – ერთი იმ პირებისა, ვისაც ქვემეხების რაოდენობაზე უწვდებოდა ხელი და ოფიცრობაში ფართო ნაცნობობა ჰქონდა. პირებს, ვინც უცხოელთათვის გადაცემული პოლიტიკური ანგარიშის ინტელექტუალურ დონეზე იდგა – მეორე სიაში მოუყარა თავი. მესამე სია შესაძლებელი რეზიდენტების გვარებს შეიცავდა– ამის შემდეგ მან კვლავ გადაუხვია მიღებულ, დაკანონებულ გზას და, ერთი შეხედვით, სრულიად უიმედო საქმეს მოჰკიდა ხელი,. იმის მაგივრად, რომ შესდგომოდა სიების გაცხრილვას გამორიცხვის წესით და ამაში კვლევის პირის ხასიათით, საქციელით, ხარჯების ოდენობით ეხელმძღვანელა, – დაიწყო პირველი ორი სიიდან თითო ისეთი კაცის ამოკრეფა, რომლებსაც ცალ–ცალკე, ერთ – ზარანდიას აზრით, სარეზიდენტოდ შესაფერ პიროვნებასთან ჰქონდა რაიმე კავშირი. ასეთი სამკაციანი კომბინაცია ზარანდიამ ოცდახუთი თუ ოცდაათი მიიღო და გამორიცხვას აქღა მიჰყო ხელი. საბოლოოდ მან მაგიდაზე დამიდო ქაღალდი, რომელზეც მხოლოდ ექვსი ჯგუფი ეწერა და მითხრა:

– ახლა დაყვანაა საჭირო, თქვენო ბრწყინვალებავ!

ეს იმდენად არარეალური მასალა იყო, რომ ხუმრობას ან შპიონომანიის შეტევას უფრო ჰგავდა, ვიდრე სერიოზულ საქმეს.

სიცილმა ამიტაცა.

ზარანდიაც ამყვა.

– თქვენ რაღა გაცინებთ, მუშნი?

– მიხარია, გრაფ.

– რა გიხარიათ?

– აქა სხედან, – ზარანდიამ იღლიაში ამოჩრილ საქაღალდეების კონას დაადო ხელი.

– ვინ, მუშნი? – მისი ჯიუტი თავდაჯერება ძარღვებზე მოქმედეგდა.

– ჯაშუშები. ერთ–ერთი – მაინც. დასაწყისისათვის ჩვენ ერთიც გვეყოფა. ეს მაგ ოცი კაცის დოსიეებია. კარგი იქნებოდა, გრაფ, გასცნობოდით... თავისუფალ დროს, რა თქმა უნდა.

ზარანდიამ საქაღალდეების კონა მაგიდაზე დამიდო. ზემოთა ავიღე, გადავშალე. ნახევარიც არ მქონდა გადათვალიერებული, რომ კითხვა უნებლიეთ შევწყვიტე და ნაწერს ჩავაჩერდი... საოცარი რამ არის სამძებრო დაწესებულების დოსიე! არავინ იფიქროს, ვითომ იგი მავანი ადამიანის მხოლოდ უარყოფითი მონაცემებისა და თვისებების ყულაბა იყოს. სრულიადაც არა! უმრავლეს შემთხვევაში იქ დამსახურების, ღვაწლის, ჯილდოების, საუკეთესო ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსებების აღწერაც არის მოყვანილი, მაგრამ დოსიე მაინც პიროვნების წინააღმდეგ შექმნილი კრებულია და უკეთილგანწყობილესი ადამიანიც კი, მისი თვალიერებისას, პირველ რიგში, მართლწესრიგის დამრღვევს, ზნედაცემულ სუბიექტს და ბოროტმოქმედს ეძებს. ხელთ მქონია პირადი საქმეები ადამიანებისა, რომელნიც ერისა და საზოგადოების სიამაყედ ითვლებოდნენ და, ამავე დროს, გამოუცდელ, საქმეში უწვრთნელ კაცზე მათ აუცილებლივ ნაძირალების, გარეწრებისა და ყულფის კანდიდატების შთაბეჭდილება დაუტოვებიათ. ეს ოცი ადამიანიც: თამამად, დაუბრკოლებლად შეიძლებოდა დაეჭვება ოცივეზე და ყოველ მათგანში ერთდროულად ოცი სახელმწიფოს ჯაშუშის დანახვაც, ოც სხვა მომაკვდინებელ ცოდვაზე რომ აღარა ვთქვათ რა.

– მერე? – თვალი გავუსწორე ზარანდიას.

– ჯერჯერობით არაფერი. ვფიქრობ, მალე რაღაც გვექნება.

– აქედან გამოდიხართ? – ხელისგული დოსიეებს დავადე და იმწამსვე მივხვდი, რომ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მივაყენე.

ზარანდიამ არაფერი შეიმჩნია, მშვიდად მითხრა:

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მანდ მოვედი.

დაყვანის პროცესმა ოცკაციან სიაში ძირფესვიანი ცვლილებები შეიტანა. მოხდა გადაადგილებები ჯგუფიდან ჯგუფში და სრულიად ახალი კომბინაციები შედგა. საბოლოოდ სიას ორი რგოლი შემორჩა. ერთი მათგანი, ოთხკაციანი – ბაქოში იყო. მის გარშემო არსებული მასალები, სათანადო ინსტრუქტაჟითა და დავალებებით იქაურ ქვეგანყოფილებას გადაეცა. ამ საქმის წარმოება ზარანდიამ თავის მოადგილეს დაავალა, რა თქმა უნდა, საკუთარი ხელმძღვანელობითა და კონტროლით. მეორე, ექვსკაციანი – თბილისში მცხოვრებთაგან შედგებოდა. სწორედ ამ რგოლზე ამყარებდა ზარანდია ძირითად იმედებს. აი, შემადგენლობა და ზოგიერთი მონაცემი: პოლკოვნიკი ანდრია ნიკოლოზის ძე გლებიჩი – ორმოცდაცხრა თუ ორმოცდაათი წლისა; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის ინსპექტორი; უშველებელი ზომა–წონის კაცი; ექვსი შვილის მამა, მოქეიფე, ქაღალდის მსხვილად მოთამაშე; ანეკდოტების გუდა, გულმხიარული, უდარდელი ოფიცერი. მსტისლავ სტარინ–კოვალსკი, პორუჩიკი – გლებიჩის ადიუტანტი; ენამოსწრებული და გონებამახვილი ცინიკოსი, მკილავი, მქირდავი; უაღრესად დახელოვნებული მოარშიყე, გულთამპყრობელი, ქალებისა და მათი საფულეების მუსუსი. კულაგინი – მგონი, პეტრე მიხეილის ძე – სამოცს გადაცილებული

კაცი! თავის დროზე დამთავრებული ჰქონდა სასულიერო აკადემია, მაგრამ ღმრთის მსახურებას რატომღაც ჩამოშორდა; გაზეთის რედაქტორის მოადგილე; სინოდის პოლიტიკური კონსულტანტი! ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მრჩეველი სასულიერო დარგში; ცენზურის შტატგარეშე თანამშრომელი; თბილისის სამხედრო ტაძრის მოხალისე მამასახლისი; უშვილო, სიტყვაძუნწი, ერთთავად პირქუში სუბიექტი; ახალგაზრდა, ლამაზი, კოპწიაობის მოყვარული ქალის, ქალბატონ ლარისა კულაგინას მეუღლე. ჰაჯი–სეიდი, პასპორტით – რასულოვი; თბილისელი სპარსი; საკმაოდ მსხვილი ნეგოციანტი, მაგრამ იმდენად გაუნათლებელი, რომ ხელმოწერის მეტს ვერაფერს ახერხებდა და არითმეტიკაშიც გიშრის კრიალოსანს იშველიებდა; იგი კავკასიის ტერიტორიაზე ხალიჩური ნაკეთობების, ხალხური ოქრომჭედლობის ნიმუშებისა და მხატვრული ქსოვილების შესყიდვას აწარმოებდა. ეს საქონელი შუამავლებს ევროპის დედაქალაქებში გაჰქონდათ, იქაურ ანტიკვარებში ბითუმად ასაღებდნენ. თვით ჰაჯი–სეიდი თბილისიდან ფეხს არსაით სდგამდა: სახლი – მეჩეთი – აბანო, კვირაში ერთხელ; სხვა მარშრუტები არ გააჩნდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიესთან იშვიათ სტუმრობებს, რასაც ერთნი მიჯნურობით ხსნიდნენ და მეორენი საქმეში კომპანიონობით. ჰაჯი–სეიდმა მოღვაწეობა მექისეობით დაიწყო, მერე მსხემის გუდა აიკიდა, მექა–მედინა მიიარ–მოიარა, ფულიანი დაბრუნდა! ფირმა დააარსა და გამდიდრდა. ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუ. ეს კაცი ჰაჯი–სეიდის პირადი მდივანი და მოლარე გახლდათ. იგი ფლობდა თითქმის ყველა ენას, რომელიც აზიაში კომერციული მოღვაწეობისათვის იყო საჭირო. აღმოსავლეთის კვალობაზე კარგი განათლება ჰქონდა. ეს ნაქართველარი თურქი, თვით ოტომანის იმპერიის გარდა, ირანში, ავღანისტანში, ერაყში, ეგვიპტეში, მოსკოვსა და პეტერბურგშიც კი იყო ნამსახური და ყველგან – მსხვილი ნეგოციანტების პირად მდივან-თარჯიმნად ან მონათესავე თანამდებობაზე. უძიროს და უფესვოს, სამოცი წლის ასაკს მიტანებულს, უიაფეს მეძავთა ნაზი ტრფიალი ჰქონდა. მეჩეთში არ დადიოდა, სასმელს არ ეტანებოდა, თავისუფალ დროს საჩაიეებში ჯდომა და ფიქრი უყვარდა. სხვა რამ საყურადღებო ცნობა მის შესახებ ვერაფერი მოვიპოვეთ.

მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიე – ოცდაცამეტ–თოთხმეტი წლის ფრიად მიმზიდველი გარეგნობის ქალი; წარმოშობით ფრანგი, სატრფიალო რომანტიკის ვარდისფერი ნისლეულით მოსილი არსება; უახლესი პარიზული მოდების პოპულარიზატორი, მაღალი საზოგადოების მოყვარული; დინჯი, სასიამოვნო მიხრა–მოხრის ქალბატონი; კაცობრიობის უმჯობესი ნახევრისთვის საცვალ–თეთრეულის მწარმოებელი ფრანგული ფირმის თბილისური სახელოსნო–მაღაზიის მეპაიე, მმართველი, მემოდელე და მემანეკენეც! ეს ბოლო გარემოება მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიესადმი მამაკაცების ინტერესს საგანგებო ელფერს ანიჭებდა. ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი, უცხოეთში მომუშავე ჩვენი აგენტურის ცნობების თანახმად: დაიბადა გაკოტრებული აზნაურის ოჯახში; ჩვიდმეტი წლის ასაკამდე მშობლებთან ერთად გამოდიოდა ცირკში; შემდეგ, იყო კორდებალეტის მოცეკვავე, პარიზის სამკერვალო სახელოსნოების მემანეკენე; მისი ადგილსამყოფელი ოცდაშვიდიდან ოცდათერთმეტ წლამდე ცნობებში არ ჩანდა: ოცდათერთმეტისა თბილისში მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა და ხსენებულ სახელოსნო–მაღაზიას ჩაუდგა სათავეში.

ამგვარად, ზარანდიას ხელთ ჰქონდა ჭეშმარიტების დადგენისთვის, იქნებ, აუცილებელი მასალის ერთი ნაწილი და სთვლიდა, რომ დამნაშავეთა მხილების გასაღები ჯიბეში ედო! ჩემგან დაუშვებელი იყო იმის გაუთვალისწინებლობა, რომ ადვილად შეიძლებოდა ექვსი

სულ სხვა, არანაკლებ პოტენციური დოსიეს გამონახვა და მათ ერთობლიობაში მძიმე სახელმწიფო დანაშაულის ძებნა. ასე რომ, ზარანდიას ოპტიმიზმს არცთუ მზადყოფნით ვინაწილებდი. ჩემს თანამშრომელთაგან ვერც ერთი ვერ მიიღებდა შემდგომი მოქმედების უფლებას, თუკი ოპერაციის პერსპექტიულობაში ეჭვს შევიტანდი. გამონაკლისს მხოლოდ მუშნი ზარანდია წარმოადგენდა. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ჯერ საქმისადმი დამოკიდებულებაა და შემდეგ – რეზულტატი, – მე მუდამ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი. ზარანდიას ყოველთვის და აქაც საქმისადმი ერთადერთი დამოკიდებულება ჰქონდა – გონივრული და კეთილსინდისიერი! ასეთს კი თაოსნობის უფლება არ უნდა შეეზღუდოს. ერთი სიტყვით, ხელი ჩავიქნიე, მისდგეს და იმოქმედოს– მეთქი.

**ბექარა ჯეირანაშვილი**

ისევ გავიდეთ მხარზე ცელები, წინ დასტურიძე გავიგდეთ და ავედით ცხრამუხაში. სამხრობა გადასული იყო. ნიკაო, დასტურიძემ გასძახა შალიბაშვილსა. პატარა სახლი სდგმოდა ამილახვრის მოურავს – ზემოთ ორი ოთახი შუშაბანდითა, ქვემოთ – მარანი და რავი, რაღაცები კიდევა, მაგრამ გარშემო ხეხილი ედგა – უ–ტა–ტა–ტა!..

ჯაჭვზე ქოფაკი ჰყავდა, ყელზე ბალთებით, ყურებდაჭრილი და მოზვრისტოლა. ისეთი ღავღავი ატეხა – ყურები წაიღო ერთიანათა. მარნის კარი ღია იყო. დაბალი, შესახედად ჩათუქესანი კაცი გამოვიდა – შალიბაშვილი. არც შემდგარა, არც ჩვენკენ რიგიანათ გამოუხედია. მოვიდა, ჭიშკრის კარი გააღო, გზა დაგვიგდო...

– საღამო მშვიდობისა, ნიკა...

– მშვიდობა და გამარჯვება მოგცეთ ღმერთმა! შემოდით რაღას უდგეხართ, კაცო!

– დამაცადე, ნიკა... ყური მიგდე...

– ეგ მერე იყოს, – სიტყვა ჩამოართვა შალიბაშვილმა დასტურიძეს. – შემოდით... შემოდით– მეთქი, გაგვიძღვა მასპინძელი და მივყეთ ერთმანეთს.

– აქეთ დაიჭით, აქეთა! ეგ ძაღლი ავია რომა... ამ სხვის მამულ–მამულ სიარულში შინ ძაღლი გამიმგელდა. აღარც მე მინდობს ეგ ოხერტიალი, ეგა… აქეთათ, აქეთათ!.. ჰო, ეხლა აღარაფერია, ვეღარ მოგწვდებათ. შემოდით შიგა. ეგრე, ეგრე…

მარანში შევედით.

– მშვიდობა და ბარაქა ამ ოჯახს! – დათამ დალოცა თავისი მეგრული კილოთი და ჩვენც ჩვენი ვთქვით.

– გაგიმარჯოთ და კარგად იყავით! შენ ე მანდ დაჯე... თქვენ – ე მანდა. დასხედით, დასხედით–მეთქი!.. დედაკაცოო! სტუმრები გვყავს, დედაკაცო, სტუმრები! – ზევით ასძახა შალიბაშვილმა მარანში შემობრუნდა და დანარჩენი ისეთ ხმაზე თქვა, რომა დედაკაცს მეორე სართულზე კი არა და, მარანში ჩვენ ძლივს გვესმოდა: – გუდის ყველი არ დაგავიწყდეს და დოში, დოში – დედაკაცო; ის წუხანდელი ბეჭი ეგრევე მოიტა, ცივათა, აქ დავჭრით ჩვენა... აკი გეუბნებოდი, გამოაცხვე–მეთქი, ეგრე გინდა. რაც მოგივა, დავითაო, ისევ შენი თავითაო! ეხლა დადექი და ხუხე პურები... გაუხუხავი არ მოიტანო, თორემა, მე

ვიცი, მე შენა! აი, აჰა, დავაფურთხებ და სანამ გაშრება – აქ უნდა იყო!.. – შალიბაშვილმა მართლა დააფურთხა, მე მომიტრიალდა და ამის მერე ყველაფერი მაღლა ხმაზე, ლამის ყვირილითა თქვა: – შენ ისე გეტყობა, ქვევრის ახდა გეცოდინება. – მერე დათასა: – მოდი აქა შენა, მოდი! – ადგა დათა და მივიდა. ისეთი ქოთქოთი გაჰქონდა მასპინძელსა, რომ აგვიტაცა და აგვაფოფინა ჩვენცა. ეთქვა, – ეხლა ყველანი ყირაზე უნდა დავდგეთო – დავდგებოდით.

– აჰა, აი, შენა, ეს აბაზიანი... გამომართვი, კაცო, დაიჭი! ეხლა, ჩაუთქვი ეს ორი ქვევრი და ააგდე. რომელიც ჩათქმულს დაუჯდეს, ის ქვევრი აჰხადოს ამანა, – ჩემზე ამბობდა. – ააგდე, რაღას უყურებ!.. – ჩაუთქვა და ააგდო დათამ, – ამას მოჰხვდა, კაცო, ამ ქვევრსა!.. – შალიბაშვილმა ტაში შემოჰკრა და ძალიან გაიხარა, რომა მეტი აღარ იქნებოდა. კინაღამ დაუარა და ეგ იყო. – მოდი და აჰხადე, მოდი–მეთქი... თავი ღვინოა, თავი ღვინოა!

მე ქვევრსა ვხდიდი, დათა შალიბაშვილს მისციებოდა, – ეს ვინა ვნახეო შალიბაშვილი კვლავინდებური სიხარულით ამბობდა:

– აი, მთესველი კაცისა არ იყოს – მიდის, სთესავს და: ეს – ფრინველსაო, ეს – ქვრივ–ოხერსაო, ეს – ღარიბ–ღატაკსაო, ეს – ავდარსაო, ეს – გვალვასაო, ეს – სტუმარსაო... ხომა? მეც ისე ვარ, კაცო, მეც ისე ვარ. სამი ქვევრისა ვთქვი, ეს – სტუმარსა–მეთქი, მე და ჩემმა ღმერთმა! რა ვიცი, კაცო, ისეთი თარსი წელიწადი დადგა – სად არის სტუმარი?! ეჰე–ჰეე! რანაირი უსტუმრო წელიწადია!..

დიასახლისი შემოვიდა, ხონჩით საჭმელი ემოიტანა. რაც საჭმელი შალიბაშვილმა თავისთვის იდუდღუნა – ყველაფერი ზედ იყო, აი, დიდება შენთვის, ღმერთო! მე და დათა ფეხზე წამოვდექით, მივესალმეთ. დასტურიძე იქამდის არ გაინძრა, სანამ უჩუმრად პანღური არ ამოვკარი. ისეთი კოხტა და პირმშვენიერი ქალი იყო შალიბაშვილის დედაკაცი, ისეთი, ისეთი, ვიფიქრე, ამ მამაძაღლს, აი, ეს მზეთუნახავი შინა ჰყავს და საყვარლის გაჩენა რაღა იყო–მეთქი, მაგრამა კაცი – კაცია, ხარბია და გაუმაძღარი.

შალიბაშვილს რა გააჩერებდა ისევ ის ქაქანი გაჰქონდა:

– თქვენ დაიყვირეთ, – ნიკაო, – და, ე მაგაზე ვიჯექი, ვფიქრობდი, რა ღმერთი გაწყრა, რა ცუდი ნიშანია, რომ ეს ქვევრები მოუხდელი რჩება–მეთქი კაცო! ამ დროს არ დაიძახეთ სწორეთა? თქვენ გენაცვალეთ და ღვთის მადლის ჭირიმე, რომ ეგრე პირდაპირ დროზე და ზედ დარდის მალამოდ მოგიყვანათ... კოსტა, ეგ ყანწები გადმოიწოდე შენა! ე მანდ არი, ე მანდა. წყალი არ გააკარო. ღვინითა, ღვინით გამოვრეცხოთ. ღვინით გამოვლებასა ვაჟკაცის ხელი უხდება, დედაკაცს ნუ დამაძახებინებ, შენვე გამოავლე... მოიტა, ჩაგისხა... უუჰ, შენი გულისა... ეს – შენა... ეს – შენა... ეს – შენა... ესეც – მეეე... ფეხდგომელა, ზეზეულათა!.. სამას სამოცდახუთი წმიდა გიორგის ძალი და ილაჯი მოგვცეს ხოიშნათა! მარიამ ღვთისშობლის ხელი და მადლი დაგვადგეს შარავანდათა! წმიდა სამება და ოთხივ სახარება შეგვეწიოს., აბა, ჰა�ა...

დავცალეთ ყანწები და შემოვუსხედით ტაბლაკსა.

– ეხლა, ოთხი ყანწი, კაცო, ეს ოთხი სულ ერთნაირი ყანწი!.. უღელი ხარი მყავდა, ამ ქართლში იმისთანას სად რასა ნახავდა პაცი? იმათი რქებია ესა. ერთნაირად ჩადის

ოთხთავეში. ერთნაირად, არც მეტი, არც ნაკლები. აჰა, და ავრწყათ... კოსტა, ეს კაცები ვინ არიან, არ უნდა მითხრა?.. ესა ჭამეთ, აი, ესა, კაცო... კაი კაცები ჩანან, მე და ჩემმა ღმერთმა... ჩანან–მეთქი, თორემა! რა ვიცი...

– როდის დამაცადე! მეთქეა. იქვე მინდოდა, ჭიშკართან, და მერეო, არა თქვი? !

– კიდევაცა, კიდევაცა, მერე იყოს, რა მეჩქარება, სულაც ნუ იქნება, სტუმარი ღვთისაა და... აი, თითო კიდევა ვთქვათ, ორი იქნება...

– ეეეჰ, აგერა, ის ქოფაკი როსტომაანთ ნასახლარზე გყოლოდა თანა – ვეღარას შემოგივარდებოდა ტაბისონაშვილი! – ჩავაკერე შალიბაშვილის ქაქანში.

– მართალი სიტყვაა, ვერავინ შემომივარდებოდა... უუ, ეგ ქოფაკი ისეთია, რომა... არა, შენ რა იცი, ტაბისონაშვილი იყო, ბელტიყლაპიაშვილი იყო თუ ჯირკიგლეჯიაშვილი? ეგა მთავრობამ არ იცის და შენა, შენ საიდან იცი, ჰა? მაგარი ძაღლია, მაგისთანა არა გვყოლია არც მე, არც მამაჩემსა, არც პაპაჩემსა... ჰო, ტაბისონაშვილი იყოო, ვინ გითხრა შენა?

– ამანა, – დასტურიძე ვაჩვენე.

– უჰ, ესა მელაა, ამანა ყველაფერი იცის. ესა იმ ვირეშმაკას კაცია, უწინა ორთავენი ბაცაცები იყვნენ, ეხლა ორთავენი ავაზაკები არიან... მელაო! გუშინსწინ ვესროლე და წამივიდა, ვერ მოვარტყი, კაცო, შორი იყო.

– მე როდის გითხარი, მე როდის გითხარი... მე სულაც არა ვიცი რა. შალიბაშვილთან მიგვიყვანეო და მოგიყვანეთ. მე როდის გითხარით, მე როდის გითხარით...

– კოსტა, ბიძიკო, დაწყნარდი და იყავი ჭკუით, თუ კაცი ხარ!

დასტურიძე დაშოშმინდა და რაც მერე იქ მუსაიფი იყო, აღარ აცუნდრუკებულა, ჭკვიანად იჯდა.

– იმ ვირეშმაკასიო, რომ თქვით, ვინ არის ის? – დათამა ჰკითხა.

– ყანდური. იმან მომიგზავნა ტაბისონაშვილი, ეჰ, რამდენ ფათერაკს გადამყარა, ვინ მოსთვლის, მაგრამ მე ჩემსაზე ვდგევარ. ჯერ ის ტიკები მომიტანოს თავის ფეხითა, გორის ბაზარში რომ მომპარა!

– ვინ მოგპარა ტიკები, კაცო?.. ყანდურმა?

– ყანდურმა. ეხლა ანაფორა ჩაუცვამს, გრძელი წვერი მოუშვია და ხალხს სინდის–ნამუსს ასწავლის... მაგრამ ეგეთი ხასიათის კაცი ვარ! განა სულ ტიკი იყო? ორი რუმბი იყო და ოთხიც ტიკი– კამეჩის რუმბები იყო. აბა, რომელმა იცით, სულ დიდი რუმბი იყოს, კამეჩისა.

– ღვინო რამდენი ჩავა შიგ?.. არ იცით, არა?.. გეტყოდით, მაგრამ დამავიწყდა. მას აქეთ კამეჩის რუმბი აღარა მქონია, თხუთმეტი წელიწადია, რაც მომპარა. არ დამვიწყებოდა, რათა გკითხავდით, რა!.. დამიჭით დამიჭით ყანწები!

– რომ ქნეს ის უნამუსო საქმე და წასვლა რომ დააპირეს, რა გითხრა ტაბისონაშვილმა?

– იჰ, განა მართლა სულელი ვარ! სიტყვა დამიგდო, ვითომდა გზა ავუბნიოო. ტაბისონაშვილსა სახინკლედ დაკეპილს ვიცნობ... ამ წინეებზე ველაპარაკე და გამოტყდა, – ჩემი ნებით ხომ არ მოვსულვარო!.. მენდობა – იცის, მთავრობასთან არ გავამხელ. ვიჩივლებ და "ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო" ძველთაგან თქმულა... ახლა, მე რომ ამოდენასა ვლაპარაკობ, ბევრია, ვიცი და, რას ვიზამ, ეგეთი ხასიათი მაქვს, თორემა, განა არ მესმის, რისთეისაცა ხართ აქა. აჰა, აი, – აქეთ ეს მელა და ბაცაცა; იქით – ტაბისონაშვილი და ყანდური ისიცა, – დათა თუთაშხია ვარ და საცა შენი თქეა, ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო. თქვენ იმის ცოდნა გინდათ, ეგ ნათქეამი ჩემი მოგონილია, თუ მართლა ტაბისონაშვილმა თქვა, თუ მართლა თქვა და, ვისი დარიგებითა თქვა, თუ ვინმემ დაარიგა, ეგრე და ეგრე თქვიო, იმ დამრიგებელს გულში რა ედო და რა გუმანი ჰქონდა! ამისი ყველაფერი ვთქვი და ენის ჭარტალით კი არა. ეგ გაწუხებდათ, მიგიხვდით, და იმითა ვთქვი. მე ამათი არცა მშინებია, არცა მეშინია, – შალიბაშვილმა დასტურიძეს თავში კარგა მაგარი წკიპურტი ჩაჰკრა. – ეგრეა, მაგრამა რაცა ვთქვი, იმაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი. აგერა, ყანდური ხაშურში გდია, ტაბისონაშვილიც კარებში უზის. თქვენ იცოდეთ და იმათა, მე, სანამ ტიკებს არ მოიტანს, იქამდის არა ვიცი რა. მე ქართველი კაცი ვარ. ეს საქართველოი, კარგია თუ ავია – ჩემმა წინაპრებმა მოიტანეს კისრითა და გონებითა. თავისი საქმე იცოდნენ და იმიტომა. რას იზამდნენ ჩემს ადგილასა? რასა და - სანამ ყანდური ტიკებს თავისი ფეხით არ მოიტანდა, იქამდისინ... თავისი საქმე იცოდნენ–მეთქი, იმათი ჩამომავალი ვარ. მორჩა. ეხლა ლხინი!.. ლხინსა და სადღეგრძელოს სახელის ხსენება უყვარს. შენა კილოზე გატყობ... – შალიბაშვილი შეჩერდა და თქვა: – რაჭველი ხარ და სიმონიკა გერქვას; შენა... – ისევ შედგა, – მოხევე ხარ და შიოლა გერქვას... ვინც გაგვაჩინა, სახელისა და ქუდის ტარების უფლება მოგვცა, ძუძუ გვაწოვა და შინ პური მოგვიტანა – იმათი დღეგრძელობა ვთქვათ და

გარდაცვლილებისა კიდევ – საუკუნო სასუფეეელი! – შალიბაშვილმა ყანწი დაცალა.

კიდევ კარგა ხანს ვუსხედით სუფრას. შალიბაშვილმა თავის სიტყვას არ გადაუხვია: არც ყბა დაუყენებია, არც საქმეზე უთქვამს რამე. აღარც ჩვენ მივძალებივართ.

სადღეგრძელოები მოილია, დათამ ჯიბიდან თავისი "პაველ–ბურე" ამოიღო, ათი საათი სრულდებოდა, წასასვლელად გავიწიეთ. შალიბაშვილმა ჯიხვები გადმოიღო, აავსო და გამოგვიწოდა. დათამ უთხრა, საქმეზე მივდივართ და ვერ დავლევთო. ეს გაწამაწია კარგა ხანს გაგრძელდა. მოუვიდა გული შალიბაშვილსა: თავისი ხომ დალია და ჩვენი ჯიხვებიც სტომაქში ჩაიცალა. მერე კოსტა დასტურიძეს გაუწოდა ყანწი. იმანაც იუარა, მაშინ შალიბაშვილმა აიღო და ის ვეება ჯიხვი კისერში ჩაუთქრიალა დასტურიძესა.

წამოვედით, დასტურიძე სველი იყო, სციოდა, სულ პატრონის დედას უგინებდა შალიბაშვილსა. იმ გინების ერთი წილი ჩვენი იყო. დათამ უთხრა, ნუ აგინებ, ეგ შალიბაშვილი წესიერი კაცი ყოფილა და ჭკვიანიცაო. დასტურიძემა, – დიდი ეშმაკი და მამაძაღლია, ხონელებმა რომ რწყილი გაატყავეს და გორელებმა რომა თქვეს, ბევრი ხორცი გაუყოლებიათო – ერთი იმ გორელთაგანი შალიბაშვილის პაპა იყო, ბროწას ეძახდნენო.

– მკლავიც ერჩის და გულიც, ისე მგონია მე, და ტიკების ლოდინი არ უნდა იყოს მაგისი მოთმინება, – თქვა დათამ.

– ტიკები! – ჩაიფხუკუნა დასტურიძემ, – ყანდური ლამის ფიქრით მოკვდეს, შალიბაშვილი ჯავრს რატომ არ ყრილობს, გულში რა უდევსო!

– შენ როგორ გგონია ეგ საქმე, კოსტა?

– რა ვიცი, შალიბაშვილს ერთი ანდაზა უყვარს: კამეჩის მარქენალ ხარს რქა არ შერჩებაო! იცის, ვერ მოერევა ყანდურს და ელის.

– რას ელის!

– სანამ თვითონ არ ჩამოვარდება იშკილებიდან ყანდური. მერე მიაწვება, არ შეარჩენს, შალიბაშვილი ავმეხსიერია.

– ერთი ანდაზაც არის: აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ტვირთი ვერ გასწიოსო!

– ეგ ანდაზა შალიბაშვილმა, ალბათ, არ იცის. – თქვა დასტურიძემ.

– არც მასეა საქმე! – უთხრა დათამ და პატარა ხანს მერე დაუმატა: – ახლა, კოსტა, ბიძიკო, ტაბისონაშვილთან უნდა მიგვიყვანო შენ. გავიგოთ, ვინ დაავალა მას იმ სიტყვის თქმა იქ.

– ვინ დაავალებდა, ვისი კაციც არის, იმან დაავალა.

– კარებში უზისო, შალიბაშვილმა რომ თქვა, ყანდურის კარებს გულისხმობდა, მგონია.

– მცველად ჰყავს, მართლა კარებში უზის ქოფაკივით.

– აბა, მივიდეთ იმ კარებზე ჩვენც.

დასტურიძემ იყუჩა. ხაშურის პირველ სახლებამდის მივედით და მერეღა გვკითხა:

– რას აპირებთ?

– არ ვიცით ჯერ. როგორც დატრიალდება საქმე, ისე მოვიქცევით და შენც ისე უნდა მოიქცე, ჩვენ რომ გეტყვით!

მოვითათბირეთ, შევთანხმდით, რაზედაც საჭირო იყო და მივადექით ყანდურის სახლს. შალიბაშვილისას კი არა ჰგავდა – სასახლე იყო. არც ერთი ბატონისა არ მინახავს იმსიგრძე, იმსიგანე და ისე ლამაზი: ორსართულიანი ერთ კუთხეში მესამე სართულიც ედგა; დიდი ბაღი ერტყა და ბაღს შელესილ–შეღებილი ქვის გალავანი გასდევდა. გალავანს ეკლიანი მავთულის სამწყება ღობე მიჰყვებოდა

ზემოდან. მეორე და მესამე სართულებზე ბნელოდა. პირველი სართულის ფანჯრებიდან სინათლე სცემდა.

ჭიშკარს მივადექით; რკინისა იყო ყრუ, ადგილ–ადგილ ოქროსფრად შეღებილი, მაღალი, მაგარი, რომა ბაყბაყდევი ვერაფრით გადავიდოდა. ზურგიდან შემოგვატარა კოსტამ, ერთი პატარა კარი აქვს დატანებული, იქნებ გავაღოთ როგორმეო. ისეთი ხალისით იქცეოდა დასტურიძე, გამიკვირდა კიდეცა. ვიფიქრე, რახან ამდენზე შემოგვყვა, ეხლა, ალბათ, ხელი ჩაიქნია და ბედს მიენდო–მეთქი. თურმე ეგრე არ იყო და იმ ხალისიანობის მიზეზიც მალე გამოჩნდა.

მივაწექით. შიგნიდან იყო დაკეტილი და დიდი ჭიშკრისა არ იყოს, არც ამ კარს ეტყობოდა, ან კლიტე სადა ჰქონდა, ან როგორ გაიღებოდა...

რაღა გაეწყობოდა, ორი პატარა ჯოხი ვიპოვნე, დასტურიძეს მხრებზე შევადექი, ჯოხები ეკლიან მავთულს შევუყენე. კარგად აიწია მავთულმა და ჩავხტი ყანდურის ბაღში. კარს ვეება ურდული ედო. ურდული თავისივე კაუჭით იყო ჩარაზული. გავაღე, შემოვუშვი ორთავენი და მივხურე.

გავწიეთ ყანდურის სახლისკენ. პირველ სართულს ორი პატარა ფანჯარა ზურგიდანაც ჰქონდა, სინათლე გამოდიოდა. მივეპარეთ და გადავიხედეთ.

მარანი იყო, მაგრამ, მართალი გითხრა, ისეთი არაფერი მინახავს – ცხენი გაჭენდებოდა. ერთი დიდი კუთხე ქვევრების, საწნახლისა და ჭურჭლეულისა იყო. ჩვენი სათვალთვალოდან შორ კუთხეში ბუხარი იდგა – ცალკუზიანი აქლემი საპალნიანად შეიწვებოდა. ბუხარში მუხის კუნძებს გაუდიოდათ ლივლივი. შუაზე – გრძელი მაგიდა, რბილი სავარძლებით ჩაყოლებული, ორმოცდაათი–სამოცი კაცი დაჯდებოდა. კიდევ ერთ კუთხეში თონე იყო, თავზე ოქროსფრად შეღებილი საკვამლე ქოლგითა. კედლები თეძმის ქვისა ჰქონდა, თეთრი მარმარილოს ნაირ–ნაირი ქანდაკებებით დამშვენებული – ზოგი ტიტველა დედაკაცები, ზოგი – დედიშობილა გოგო–ბიჭები, ზოგი – ხარის თავი, ზოგი – გაფხორილი ინდაური თუ არწივი, ზოგიც – რა. ერთი კედელი მთლიანად მეფის სურათს ეჭირა, ფერადი კენჭებით გამოყვანილს, და იმის პირდაპირ კიდევა – ქრისტე, ჯვარცმული ქრისტე, ისიც კენჭებითა და შუშებით გამოყვანილი. შუა ჭერში უზარმაზარი ჭაღი ეკიდა, ხუთასი სასანთლე მაინც იქნებოდა ზედა და დიდი შანდლების დასათვლელად რომელს გვეცალა! ბუხრის წინ რიკულებიანი ტაბლაკი იდგა, ვერცხლის ჯამ–ჭურჭლით, დოქებითა და ლანგრებით გაწყობილი. ტაბლაკს ცალი მხრიდან ორი უანაფორო მღვდელი უჯდა, მეორიდან – ლომისა და ვეფხეის ტყავებზე წამოწოლილი წითელხალათა, გრძელწვერა კაცი. იმ ლომისა და ვეფხვის ტყავებსა ქვეშიდან ვეება, ფართო და ბუხრისკენ ჩამოქანებული, სავარძელივით რაღაცა ჰქონდა შედგმული თუ შემარჯვებული. რისი რა იყო – არა ჩანდა. ტაბლაკს ჭერიდან ჩამოშვებული ორი დიდი ლამპა ანათებდა. ერთსა ყვითელი შუშა ჰქონდა, მეორეს , მწვანე და ის წითელხალათა კაცი ცალი მხრიდან წითელ–ყვითელი იყო და მეორიდან – მწვანე–წითელი. თავი სიზმარში მეგონა, მე და ჩემმა ღმერთმა! კოსტამ წაგვჩურულა, – ყანდური ის წითელხალათა არისო. ტაბისონაშვილი შიგ მარანში არსად ჩანდა. კოსტამა თქვა, – ან კარში აივანზე ზის, ან დერეფანში თვლემსო.

ვიჩურჩულეთ. დათამ მარჯვნიდან დაუარა სახლსა. მე და დასტურიძემ – მარცხნიდან. ტაბისონაშვილი მართლაც აივანზე იჯდა. ბნელოდა, თამბაქოს ეწეოდა, თავიდან იმით შევნიშნეთ. იქითა მხრიდან დათას ლანდი დაირხა, აივანს კედელ–კედელ მოჰყვებოდა. ეგრე, ათ ნაბიჯზე მივიდა ტაბისონაშვილთანა და მე ცხვირი დავაცემინე. ტაბისონაშვილმა ჩვენკენ მოიხედა, იყურა – რას დაგვინახავდა, მიწაზე ვიყავით გაშოტილები და კუმეტი

იყო,მეთქი, აკი ვთქვი. ახლა ტაში შემოვკარი. ადგა, ხმაზე წამოვიდა ტაბისონაშვილი ნელი ნაბიჯით. ხელები ძირს ჰქონდა დაშვებული, თითო ხელში თითო მაუზერი ეჭირა, პირში – პაპიროსი. დიდი იყო, მამაძაღლი, ატოტებული დათვივით მოიწევდა. ზურგიდან დათა მოსდევდა ფეხაკრეფითა. დაეწია დათა, კისერში ნაგანის ლულა მიაბჯინა და დაუჩურჩულა:

– დაყარე ძირს იარაღი!

ტაბისონაშვილს ჯერ პაპიროსი გაუვარდა პირიდან, მერე მაუზერებს შეუშვა ხელი. რკინებმა ფიცრებზე დაიტანეს ტყაპანი. ავდექი, მაუზრები ავკრიფე. გავჩხრიკე ტაბისონაშვილი – ხანჯლის მეტი აღარაფერი ჰქონდა. გავიგდეთ წინა. ბაღში ღრმად გავიყვანეთ, მიწაზე დავსვით.

– რაო, ძაღლები რატომ არა გყავთ, ვითომა?.. ჩამოუშვი ხელები!

ტაბისონაშვილი ცერცვივით იყო დაბნეული, ხმის ამოღების თავიც არ ჰქონდა. კარგა ხანს არც ფიქრის ილაჯი მოუვიდოდა და თავისივე მაუზრით ნეკნები დავფხანე.

– იყეფებენ, ვეღარ გავიგონებ, საიდან რა ხმა წამოვა... ეხლა, თქვენა რა, მოკვლას მიპირებთ... უნდა მომკლათ, თუ როგორა, ჰა?

– ხმადაბლა იყავ!

– შალიბაშვილს რომ შეუვარდი შენი კაცებით, ქალი რომ გააუპატიურეთ იქ და წამოსვლისას დათა თუთაშხიაზე სიტყვა რომ დაუბარე, საიდან იყო ის სიტყვა?

– თუ არ მომკლავთ, გეტყვით მაშინა.

– თუ მოგკალით, როგორღა გვეტყვი? ჯერა თქვი და, იქნება, არც მოგკლათ, ხასიათის საქმეა.

– ყანდურმა მითხრა, ეგრე თქვიო და ვთქვი.

– პირზე დაადგები?

– თუ არ მომკლავთ, დავადგები, მაშა!

– ჯერ დაადექი და, იქნება, არც მოგკლათ.

დასტურიძემ ხელი ასწია, ახლა მე უნდა ვკითხოო:

– ყანდურს თითებზე დიდთვლიანი ბეჭდები უკეთია?

– უკეთია, მაშა!

– ძალიან დიდი ბრილიანტის ბეჭედი უკეთია?

– ძალიან დიდია და რა ჰქვიან, არ ვიცი.

– შუშასავით თვალია?

– ჰო, შუშასავითა და ძალიანა ბრჭყვიალებს.

– ეხლა უკეთია?

– ამ წუთასა.

– გარგლის კურკისტოლა იქნება?

– იქნება!

დასტურიძემ ტაში შემოჰკრა – სიჩუმეში თოფივით გავარდა... ერთი ტაშიც მე შემოვკარი ლოყაში და ისევ მიჩუმდა იქაურობა.

– თოკი გაქვს სადმე? – ტაბისონაშვილსა ვკითხე.

– თოკი?.. თოკი!.. თოკი, თოკი, თოკი... ჰო, მაქვს, მაშა! ე მანდ არის – მსხლებშუა საქანელა ჰკიდია, კაი თოკებია.

მივედი მსხლებთან, ვეება საქანელა ეკიდა, სამი კაცი შეჯდებოდა ზედა. საქანელას თოკები დავაჭერი და წამოვიღე.

– ოთხზე დადექ!

დადგა ტაბისონაშვილი ოთხზე. გავთოკე. კარგა გამოვიდა – ოთხით მარდად ივლიდა, მაგრამა ვერც ზეზე ადგებოდა და ვერც სხვას რასმე მოახერხებდა. ალაზანზე ვირებსა ვთოკავდით ხოლმე ეგრე.

– აბა, გაგვიძეღ წინა და შეგვიყვანე შინა!

დაიძრა დაოთხილი ტაბისონაშვილი და მივყევით ჩვენცა. შეაღო დერეფნის კარი და შევედით ჩვენცა. შეაღო მარნის კარი და შევედით ჩვენცა. ამოვკარი პანღური, იარა ტაბისონაშვილმა ოთხითა და შუა მარანში გაჩერდა.

ვიდექით. იქიდან ის სამი დამუნჯებული და პირღია კაცი დაოთხილ ტაბისონაშვილსა და ჩვენ გვათვალიერებდა. აქედან ჩვენ – იმათა. კოსტა დასტურიძე მაკლდა თვალში და მივიხედ–მოვიხედე. მარანში როდი შემოგვყოლიყო, კარს უკან იდგა, ღრიჭოში იჭვრიტებოდა.

– დათვალე, კაცო, დათვალე... ფულსა თვლა უყვარს! – საიდანღაც მოისმა.

ვიფიქრე, ამათ გარდა აქ კიდევ ვინმე არის–მეთქი. თვალები ავაცეცე – თუთიყუში ყოფილიყო, დიდი გალია ჰქონდა, ისიც ოქროსფერი. მივედი, თვალიერება დავუწყე.

ძალიან ლამაზი იყო, სახეძაღლი!.. ახლა ტაბისონაშვილს გამოვხედე; ისევ ისე იდგა შუა მარანში ოთხზე და თავი ბებერი ცხენივით ჰქონდა ჩაკიდებული...

– გაეთრიეთ!.. – რომელიც იმ ორ მღვდელში მომსხო იყო, იმან დაიძახა და კარგა მოზრდილი დორბლი გადმოაყოლა.

– პოლიციას უხმეთ, პოლიციასა! – მეორემ დააყოლა.

განზრახული ისე გვქონდა, რომ, სანამ დათა არ დაიწყებდა, იქამდის არც ხმა უნდა ამოგვეღო და არც ყურადღება მიგვექცია რისთვისმე. მე იქაურობა უნდა დამევლო და კარგა დამეთვალიერებინა ყველაფერი. დათას თვალმოუწყვეტლივ იმათთვის უნდა ეცქირა.

მოვშორდი თუთიყუშს და ქვევრებისკენ წავედი. იქიდან – თონესკენ. დინჯად ვიქცეოდი, ვითომ ჩემს მეტი იქ არც არავინ იყო.

– გაეთრიეთ!.. – კიდევ დაიძახა მომსხომ.

– პოლიციას უხმეთ, პოლიციასა! – მეორემა, და თუთიყუშმაც თავისი თქვა:

– დათვალე, კაცო, დათვალე... ფულსა თვლა უყვარს!..

თითო მაუზერი ქამარში გვქონდა, თითო ნაგანი – ხელში და გავეთრეოდით, როგორ არა! ნეტა ვის უნდა ეხმო პოლიციისთვისა – ტაბისონაშვილი, გაგვეშვა კიდეც, ოთხზე სიარულითა პოლიციამდის დილასღა მივიდოდა და სხვა რომ არავინ იყო?

იმ ხეტიალში ბუხარსაც მივადექი. ჯერ ის ორი მღვდელი გავჩხრიკე. არა ჰქონდათ რა. მერე ყანდურს მოვუსვი ხელი და ჩექმის ყელში ხანჯლის შვილი – ბებუთი ვუპოვნე: კარგი ბებუთი იყო მას მერე ათი წელიწადი ვიხმარე. თითები გავუსინჯე. მარჯვენა ხელის ცერზე გარგლის კურკისტოლა ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა,– მარცხენა ხელის შუა თითზე – ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტისა. დავუთვალიერე ბეჭდები, მივანებე თავი და ყანდურის ტახტრევანს გარშემო შემოვუარე: იმ ლომისა და ვეფხვის ტყავებს ზევითა ვწევდი და ქვეშ ვიყურებოდი, რისგან არის აგებული–მეთქი.

სავსე ტომრები იყო – დიდი, პირგაკერილი ტომრები! იმ ტომრებით მოწყობილ ტახტრევანს ეფარა ლომისა და ვეფხვის ტყავები.

შიგ რაღა არის–მეთქი?! ყანდურის ბებუთი დავუსვი ტომარას და ბრინჯი გადმოიბნა! მეორეს დავუსვი და ქერის ბურღული წამოვიდა! მესამიდან – წიწიბურა, ამოვიდე ნაგანი იღლიაში, თითო მუჭა ბრინჯი და ქერის ბურღული წამოვიღე და დათასკენ წამოვედი.

– მიმართეთ სიტყვითა ღმრთისა, რამეთუ “პირველთაგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი”. – ეს ყანდურმა უთხრა თავის ამფსონებს.

მამაჩემი მნათე იყო, ბურსაში მიმაბარა. იქიდან ზოგი რამ ეხლაც კარგა მახსოვს. იმიტომ ვამბობ ეგრე მარდათა.

სანამ დათასთან მივიდოდი, მომსხო მღვდელმა დაიღაღადა:

– "... არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი!.."

მეორემ დააყოლა:

– "... სული უფროს არს საზრდელისა და ხორცნი სამოსლისა!.."

მუჭები გავშალე. დათას ვაჩვენე:

– წიწიბურაც არის.. სხვა ტომრებშია.

დათამ, ჯერ იყო, დაბნეული თვალებით უყურა იმ ბურღულეულსა. მერე უცებ სახე შეეცვალა, ყანყრატოდან ჰაერი ხიხინით ამოუშვა, ხელი ლოყაზე მიიდო და გაინაბა.

მღვდლები სახარებას რიგრიგობით გაიძახოდნენ.

დასტურიძეს თავისი ღრიჭოდან ის კი დაენახა, რომ ყანდურს თითებს ვუთვალიერებდი, მაგრამ იმისი არა იცოდა რა, რომ ბეჭდები არ წამიძვრია. თავისი ხასიათით აწონა და დათას რომ ბურღულს ვაჩვენებდი, იმას ეგონა, ბეჭდები მოიტანაო; გულმა ვეღარ გაუძლო, მარანში შემოვარდა, ცხვირი ხელისგულებში ჩამიყო:

– ეს რა არის... ეს რა არის... ბეჭდები... ბეჭდები სად არის?.. სად არის ბეჭდები!..

– საცა იყო.

– არ დაიძრა ადგილიდან! – დაუჩურჩულა დათამ – აგერ, ამით სავსე ტომრებზე სუფევს თქვენი ბელადი, კოსტა!

დასტურიძემ თვალები ააცეცა, ბურღულს დააცქერდა და გაკვირვებითა თქვა:

– ფაფა რომ უყვარდა... "კაშკა" შეარქვეს–მეთქი!.. – ტაში შემოჰკრა დასტურიძემ და სახეზე უმალ ხელები აიფარა, კიდევ არ შემომკრან სილაო.

მღვდლები თავისას ქადაგებდნენ და თავჩაკიდებული ტაბისონაშვილი დიდი გულისყურით უსმენდა.

დათა ბუხრისკენ გაემართა. მე და კოსტაც მივყევით, შორიახლო დავრჩით.

დათა ტაბლაკს მიუჯდა.

– დასხედით! – მაუზრის ტარი ტაბლაკს დაჰკრა.

მღვდლები მოთიბულებივით დაცვივდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა.

– ტაბისონაშვილო, მოდი აქ!

მოვიდა ტაბლასთან ყანდურის მცველი.

– რა სიტყვა დაგაბარა ამან, შალიბაშვილის საყვარლის გასაუპატიურებლად რომ გაგზავნიდა!

ყანდური დათას დააცქერდა, ლოყები გაულურჯდა, წამოიწია და გაშეშდა. ტაბისონაშვილმა თქვა, როგორც იყო.

– რატომ მაინცდამაინც დათა თუთაშხია უთხარი, ნეტავი!..

ამის თქმა იყო – დასტურიძე ყანდურს დააცხრა, ბეჭდებში ეცა... ჭიდაობა ატყდა. ძალს – ყანდური და ძალს – ესა!..

მომსხო მღვდელი ზეზე წამოიჭრა და დააბულბულა:

– “ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქვენი ყოვლისაგან ანგარებისა!”

ყანდურმა, როგორღაც იყო, ხელები გაითავისუფლა, დასტურიძეს ყბაში მუშტი სთხლიშა, წიხლი ჰკრა და კატის კნუტივით გაისროლა.

– დაეგდე მანდა! – ზეზე წამოჭრილ მღვდელს დავუთათხანე

პირჯვრის წერა–წერით დაჯდა.

– რა გითხარი, კოსტა, მე შენ! – თქვა დათამ და ყანდურს მიუბრუნდა: – მართალი უნდა მითხრა, ძამიკო თვარა მოგიწევს კუპრში ბანაობა ამაღამვე და ას წელიწადს კიდევ!

სიჩუმე ჩამოვარდა და თუთიყუშმა დაიძახა:

– გეენიასა შინა... გეენიასა შინა... გეენიასა შინა...

დათამ თავი გალიისკენ გადაიქნია, ყანდურს ანიშნა, გაიგონე, შენი თუთიყუში რას ამბობსო?!

– შენ თუ თუთაშხია ხარ... შენი სახელით უამრავი ბოროტება კეთდება. არც თავად შენ აკლებ ხელსა... ხალხი ადვილად დაიჯერებდა და იმიტომ დავაბარე.

– კიდევ რა მიზეზი იყო სხვა?

– მეტი არაფერი.

– სისულელეებს დაანებე თავი, ყანდურო, და თქვი, ვინ დაგავალა ეგ. თანამდებობა და სახელი მჭირდება მისი მე!

– არავის არ დაუვალებია...

სამი თუ ოთხი ტყვია ზედიზედ გავარდა. ჰაერში ლომისა და ვეფხვის ბურტყლის ტრუსის სუნი დატრიალდა.

ყანდურმა ბეჭდებიანი ხელებით მოისინჯა მკერდი, მუცელი, თავი – მომხვდა თუ არაო.

– თქვი, თვარა არ დაგინდობ, მამის საფლავს ვფიცავ!

– ეგზარქოსის ერთმა თანაშემწემ!.. მაგრამ იმას ვინ უთხრა, ეგრე და ეგრე გააკეთეთო, არ ვიცი. მართლა არ ვიცი!

– არ იცი, ხომ?

– არა, ღმერთსა ვფიცავ!

– ადექი!

ყანდური ადგა.

– მიდი თონესთან!

ყანდური წალასლასდა. მღვდლებმა ვიშვიში და პირჯვრისწერა ატეხეს...

ყანდური თონესთან დადგა.

– ზურგი მაჩვენე!

მიტრიალდა.

– თანამდებობა და გვარი!

– არ ვიცი–მეთქი, მართლა არ ვიცი...

დავუმიზნე. კი არ დავუმიზნე, ყალბად მოვიქეცი, ვითომ დავუმიზნე და გავისროლე.

– უნდა გაგხსენებოდა, მგონია!

– ხომ გითხარით... და იმას ვინ უთხრა – არ ვიცი, აჰა!..

კიდევ რამდენიმე გავისროლე და სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ვარაუდი გვქონდა: ყანდურმა ქეჩოში ხელები იტაცა, თონეში მოადინა ტყაპანი. ჩვენ იმის მოკვლას არ ვაპირებდით! არც არა გაჰფხაჭნია რა, მაგრამ ის კი წინასწარ გვქონდა ნაანგარიშევი, რომ თავს მოიმკვდარუნებდა და თონეში გადაეშვებოდა. ისეთი სიჩუმე იყო, ტაბისონაშვილის ნაწლავების კრიახი ისმოდა. მღვდლები ფეხზე იდგნენ განაბულები. ტაბისონაშვილს თავი აეღირებინა და იმოდენა პირი დაეღო, რომა კრუხი ჩაიბუდებდა წიწილებიანათა...

დასტურიძე წამოვარდა, ალბათ, ბეჭდების წაძრობა ჰქონდა გულში, თონისკენ გაიქცა, მაგრამ სანამ მიირბენდა დათამ დაიძახა:

– ესროლე მაგასაც და ჩავაგდოთ შიგ!

გავისროლე. დასტურიძემ თავი ვერ დაიოკა, როგორც გარბოდა, იგრევე შემოურბინა თონეს და, საიდანაც დაიძრა, იქღა მოახერხა გაჩერება.

დაშოშმინდა ჯალაბი.

დათამ ბუხრის თაროდან სახარება გადმოიღო, რაღაც ეძება, მომსხო მღვდელს გაუწოდა და უთხრა:

– ხმამაღლა წაიკითხე, ლუკასგან მეთერთმეტე, ორმოცდათორმეტი. მერე მაგას მიეცი და მაგანაც წაიკითხოს ხმამაღლა გარკვევით!

მღვდელმა აკანკალებული ხელებით გამოართვა სახარება. ჩაახველა... კიდევ ჩაახველა და წაიკითხა:

– ვაი თქვენდა, სჯულის მოძღვარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქვენ შე–არა–ხვალთ და შემავალთა აყენებთ!...

ახლა მეორემ წაიკითხა.

დათამ სახარება დახურა, თაროზე შედო.

– დავმარხოთ ქრისტესთვის აღსრულებული მონა ღვთისა! – თქვა დათამა და, აი, ეს კი არა გვქონია მოლაპარაძებული, არა ესმოდა რა, რას აპირებდა.

– გადაყარეთ ეგ ტყავები იქით! – დაუძახა დათამ მღვდლებს.

მივიდნენ და გადაყარეს. ბურღულები თორმეტი ტომარა აღმოჩნდა.

– მოკიდეთ ხელი წაიღეთ და დააყარეთ ცხედარს!

მღვდლებმა ერთი ქლოშინითა და ვაი–ვაგლახით მიიტანეს ტომარა თონესთან. პირი ავურღვიე, ასწიეს მღედლებმა და დააყარეს ყანდურს.

წიწიბურა იყო.

– ყველა ტომარა დააყარეთ. გაინძერით, ცოცხლად! არაფერი უმწეო და ნაზები არა ხართ თქვენ ჩქარა!

მერვე ტომარაზე დასტურიძემ ისკუპა და თონეში ჩახტა. ბურღულს ხრაშახრუში აუყენა ჯერ და მერე დასაკლავი მოზვერივით აბღავლდა:

– არ არის!.. არ არის ბეჭდები! გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი... აკი, მეფისნაცვალს – დიდიო და ეგზარქოსს – პატარაო!.. თავად ეკეთა

ხელზე... ხომ ნახეთ, ეკეთა! აღარ არის... სად არის ვინ წაიღო! გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... კურკისტოლა გარგალი...

მღვდლებს ბურღული მოჰქონდათ და თონეში ჰყრიდნენ. დასტურიძე ქვევიდან გარგლის კურკისტოლასა და ჭერმის კურკისტოლას გაიძახოდა.

ყანდურმა, ჩავარდა თუ არა თონეში, ეტყობა, მაშინვე წაიძრო ბეჭდები და საითღაც გადამალა! იცოდა, დასტურიძე უეჭველად ჩაჰყვებოდა შიგა!

მღვდლებმა უკანასკნელი ტომარა დაცალეს.

გამოვბრუნდით, ქვიშხეთისკენ გავწიეთ.

ცოდვა გამხელილი სჯობს და, დათა რომ არა, იმ ბრილიანტებს იქ არ დავტოვებდი, ქურდის ქურდი ცხონებულიაო, ძველთაგან თქმულა.

**გრაფი სეგედი**

ზარანდიას სიაში ერთ–ერთი წამყვანი ადგილი ხომ ჰაჯი–სეიდსა და მის კანტორას ენიჭებოდა. იგი ირწმუნებოდა, პანისლამისტების დამკრედიტებელი სწორედ ჰაჯი–სეიდი არისო, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამის მამტკიცებელი საბუთი ხელთ ისევე არაფერი ჰქონდა, როგორც, საერთოდ, ამ საქმეში სხვა რამ საბუთი. ზარანდიამ მუშაობა იმით დაიწყო, რომ ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუზე შეაჩერა გულისყური. არ დავმალავ, პირადად მე და სხვა ჩემს მოადგილეებს თვით ისკანდერ–ეფენდი მიგვაჩნდა საეჭვო პირად. ზარანდიამ კი ჰაჯი–სეიდის საიდუმლოებებში ჩასახედად სწორედ მისი გამოყენება განიზრახა. ამისთვის მასთან დაახლოება, მისი გადმობირება იყო საჭირო. თავის მსხვერპლს ზარანდიამ ცოტა ხანს უთვალთვალა, საჭირო ცნობები შეკრიბა და ერთ დღეს საჩაიეში მარტო მჯდომი მოიხელთა.

– სალამი, ისკანდერ–ეფენდი! მიცნობთ, ვინ ვარ?

დამხვდურმა შემოსწრებული გულდასმით დაათვალიერა და მიუგო:

– მგონი, ოტენის აფთიაქის პროვიზორი ბრძანდებით... სოლოლაკის ქუჩაზე, ოტენის აფთიაქში მსახურობთ, არა? თუ ვცდები, მაშინ ბოდიშს ვიხდი... მინახიხართ, მაგრამ თქვენი ვინაობა და საქმიანობა არ ვიცი.

ზარანდიამ თავისი სადარბაზო ბარათი გაუწოდა.

– მანდ ის არ წერია, რომ კონტრდაზვერვის უფროსი ვარ.

ნაქართველარმა რაღაცნაირად გაიღიმა, სადარბაზო ბარათი დაათვალიერა და დაუბრუნა.

ზარანდიამ ყურადღებით მოსმენა სთხოვა, გულახდილად აუხსნა, რით იყო გამოწვეული მისი მოსვლა და რა სურდა ჰაჯი–სეიდის მდივან–მოლარისგან. ისიც აცნობა, რომ საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელობას სწორედ ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუ მიაჩნდა თურქების რეზიდენტად, ხოლო თვით ზარანდიას კი ამ მცდარი შეხედულების

გაქარწყლება სურდა და რომ ეს მხოლოდ ისკანდერ–ეფენდისავე დახმარებით იყო შესაძლებელი.

– ისე მგონია, ისკანდერ–ეფენდი, – დასძინა ზარანდიამ, – რომ თქვენი მოწოდება და ვალი – სამსახურია და არა ერთგულება. ერთგულება არც ჰაჯი–სეიდისა გმართებთ და არც იმ მრავალრიცხოვანი პატრონებისა, რომლებიც წარსულში გყავდათ ან მომავალში გეყოლებათ. ეგ ჩვენთვის უფრო გმართებთ, რადგან თქვენს დღევანდელ პატრონს, სულერთია, დანაშაულში ვამხელთ და მაშინ თქვენც მისი ხვედრის გაზიარება მოგიწევთ– დიდი არაფერი, უმნიშვნელო დახმარება გვჭირდება, მაგრამ პასუხის გადადება ხელს არ მოგვცემს. აი... – ზარანდიამ უბიდან წინასწარ შეთხზული ხელწერილი ამოიღო, ისკანდერ–ეფენდის დაუდო და ქიმიური ფანქარიც მიართვა, – ან ამაზე მოგვიწერთ ხელს და შიგ აღნიშნულ დახმარებას აღმოგვიჩენთ, ან აქედანვე ციხეში წამოხვალთ, ყველაფერს უთქვენოდ მოვახერხებთ და შედეგის გამო ალლაჰს დაემდურეთსს!

ისკანდერ–ეფენდიმ ხელწერილი მშვიდად ჩაიკითხა, იფიქრა და ჩაილაპარაკა:

– “დულკერნაინ ხელახლა გაუდგა გზასა”...

– რა ბრძანეთ?

– ყურანის მეთვრამეტე სურიდან არის. – ისკანდერ–ეფენდიმ კიდევ იყუჩა და დასძინა: – ბეირუთი და დამასკო! ათენიც კარგი ქალაქია, არც იქ მიცხოვრია, მაგრამ მაინც დამასკო ჯობს... აბდურაჰმან, მოართვი ბატონ... – ზარანდიამ თვალები დაუბრიალა. ისკანდერ–ეფენდიმ თანამოსაუბრის გვარი იოგებში ჩაიხშო. – მოართვი ბატონს მაგარი ჩაი, აბდურაჰმან!.. მიირთმევთ?

ზარანდიამ თავი დაიქნია.

სიჩუმე გაგრძელდა. ჩაი მოიტანეს, ზარანდიამ ლამბაქზე გადმოისხა და ინტერესით ჰკითხა:

– დამასკო?.. რომში გიცხოვრიათ.

– არ მიცხოვრია.

– რომი ულამაზესი ქალაქია, მშვენიერი გოგონებით სავსე და, უნდა მოგახსენოთ, რომ იტალიაში სადიზმის საწინააღმდეგო კანონი ჯერჯერობით არ არსებობს. იქ კაცი გვჭირდება. ენა კარგად იცით – სენიორ მასარისთან ხომ იტალიურზე საუბრობთ ხოლმე!.. ჩინებულად გამოვა.

– “ნათესავი მოვალს და ნათესავი წარვალს და ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე... აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილადვე თვისდა მიიზიდავს...” – ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ისკანდერ–ეფენდიმ.

– რა ბრძანეთ?

– ბიბლიიდან არის, ეკლესიასტეს სიტყვებია! – მიუგო მან. – არ მახსოვს, ბატონო ზარანდია, რომელიმე ქალაქში ჩემი ცხოვრება და სამსახური სხვანაირად დამთავრებულიყოს. აი! ასე ხდება მუდამ, – ისკანდერ–ეფენდიმ ხელწერილზე დაათითა. – ნეტავი, რატომ მოდიხართ მაინცდამაინც ჩემთან და თანაც ყველგან და უსათუოდ მოდიხართ. განა რას ვაშავებ? არაფერს, სრულიად არაფერს!

– ჩვენს დროში სწორედ ეგ არის საეჭვო.

– რომ არაფერს ვაშავებ?

– დიახ.

– დამასკო...

– მაგაზე ლაპარაკი, ისკანდერ–ეფენდი, ამის შემდეგ იყოს! – ზარანდიამაც ხელწერილზე დაათითა.

– რა თქმა უნდა... მაგრამ ხელწერილი არც ერთ ქალაქში არ დამიდვია. არც აქ დავდებ! რით შემიძლია გემსახუროთ?

– უცხო ქვეყნების რომელ ქალაქებში და რომელ ბანკებში აქეს გახსნილი მიმდინარე ანგარიშები ჰაჯი–სეიდს?

– მხოლოდ სტამბოლში. სტინესის ბანკი, ანგარიში #1014, – უმალ მიუგო ისკანდერ–ეფენდიმ და აქედან მოყოლებული – საჩაიეშიც და მერეც – მხოლოდ სიმართლე ილაპარაკა.

ალბათ, ბევრი იტყვის, რომ ზარანდიას ესოდენ გაბედული ნაბიჯი პროფესიონალიზმის შეურაცხყოფა და ავანტიურიზმი იყო, რაც თეორიულად სწორი შეფასება იქნებოდა, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ გადმობირებათა უმრავლესობა, ყველა დროსა და ქვეყანაში, სახელდობრ, ზემომოყვანილი, ან მსგავსი უხეში ხერხებით ხორციელდებოდა. წინააღმდეგ ზოგი დეტექტივის შეხედულებისა, გადმოსაბირებელ პირთა მეტი ნაწილი საიდუმლო პოლიციასთან და კანონთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდება და საკმარისია ხოლმე, გადმომბირებელმა ამ გამწვავებაზე რამდენადმე კატეგორიულად მიუთითოს, რომ დაბრკოლებები ისპობა. ზარანდიას და ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუს საუბარში მოულოდნელი არაფერი იყო, გარდა ჩემი მოადგილის მიერ სახელდახელოდ მოგონილი სადიზმის ვერსიისა. ასეთი ცნობები ჩეენ არ გვქონია, ვერც რასმე ამდაგვარს დავამტკიცებდით, მაგრამ ისკანდერ–ეფენდიმ იფიქრა, რომ გადმობირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შურის საძიებლად ორ, სამ მეძავს ისეთს უეჭველად მივუყვანდით, რომლებიც პირზე დაადგებოდნენ, სადისტი ხარო, და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. ასე ხდება ხოლმე თითქმის ყველა ანალოგიურ შემთხვევაში.

ისკანდერ–ეფენდის მეშვეობით დადგინდა, რომ სტამბოლელ ანტიკვარს, გვარად ჩოყურსო–ბეის, სტინესის ბანკში ჰაჯი–სეიდის ანგარიშზე წელიწადში ოთხჯერ შეჰქონდა თანხა თურქული ლირებით. ყოველი შენატანი კურსით რუსულ ორ ათასს უდრიდა. ბანკი, არსებული წესისამებრ, თავის თბილისელ კლიენტს საშემოსავლო ორდერს უგზავნიდა და

ჰაჯი–სეიდისთვის ცნობილი ხდებოდა, რომ ფული შეტანილი იყო. ისკანდერ–ეფენდიმ ვერ გვითხრა, თუ ვის უგზავნიდა ჰაჯი–სეიდი ამ ფულს, მაგრამ დაგვისახელა ვინმე ყარა–ისმაილი – ჰაჯი–სეიდის ფირმისთვის დაღესტანში ლითონის ჭურჭლის შემსყიდველი პირი, რომელსაც სალაროდან სამ თვეში ერთხელ ორასი ოქროს თუმნიანი გაჰქონდა იმ თანხის ზევით, რაც საქონლის შესასყიდად ეძლეოდა ანგარიშქვეშ. ყარა–ისმაილი თემირხანშურაში ცხოვრობდა. ცხადი იყო, მისი მიტანილი კვალის მეშვეობით უნდა აღმოგვეჩინა დაღესტანში მცხოვრები რეზიდენტები.

ერთხელ მუშნი ზარანდიამ კავკასიური გუბერნიების პოლიციათა ხელმძღვანელი მოხელეების თათბირზე თავის გამოსვლაში ასეთ დებულებას მიმართა: ყველა დროისა და ხალხის პოლიცია, თუ მისი ფუნქციების შემსრულებელი სხვა რამ ადმინისტრაცია, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმისთვის ნავარაუდევ სტრუქტურას, რომ მმართველ დაწესებულებებს ყოველი ცალკეული მოქალაქის ცხოვრების, საქმიანობისა და შეხედულებების გარშემო, შეძლებისდაგვარად, ვრცელი ინფორმაცია უნდა მოეპოვებოდეთ. არსებობს კიბე შინაგან საქმეთა მინისტრიდან უბნის ზედამხედველამდე და უამისოდ კანონის აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იბოგინებდა. როცა ჩვენ ვხედავთ და მოწმენი ვართ იმისა, რომ მავანი წყობილება დგას და მას უახლოეს ხანებში დამხობა არ ემუქრება – ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა კმაყოფილია თავისი წყობილებით, იგი მოქმედი კანონებისა და თავისი პოლიციის მხარეზეა და, მაშასადამე, საჭირო ინფორმაციაც პოტენციურად არსებობს – მხოლოდ უნდა შეგვეძლოს, ვიცოდეთ მისი მოპოვებაო. ეს დებულება პარადოქსად ჟღერს და სწორედ ამაშია მისი სიძლიერე: პარადოქსი მოაზროვნე კაცს ანალიზზე უბიძგებს; ანალიზი კი უეჭველად მიიყვანს დასკვნამდე, რომ საქმე პარადოქსთან კი არა, ჭეშმარიტებასთან აქვს. მუშნი ზარანდიას სამსახურმა ჩემ თვალწინ გაიარა და ვიცი, რომ იგი ყველა შემთხვევაში ზემომოყვანილი პრინციპით ხელმძღვანელობდა. მას არც დაღესტანში მიუმართავს სხვა გზებისთვის; ჩავიდა, იქაურ პოლიციას ცნობები შეაკრებინა, თუ სად, ვისთან დაიარებოდა ყარა–ისმაილი და მათგან ვინ იყო მიჩნეული საეჭვო პირად. ასეთი ინფორმაცია თითქმის მზამზარეული იდო – საკითხს ამ კუთხიდან დანახვა და აღნუსხვაღა სჭირდებოდა. ზარანდიამ მასალები შეისწავლა, სიაში ექვსი კაცის გვარ–სახელთან წერტილები დასვა, ოთხი ამათგანი რეზიდენტიაო – თქვა, შემდგომი მუშაობისა და ძირითადი ოპერაციის ჩატარების ზუსტი გეგმა დატოვა და თბილისს დაბრუნდა.

ამ საქმეში გასამარჯვებლად მუშნი ზარანდიას მეორე დასაყრდენიც ჰქონდა. ცნობილია, რომ თურქებს სახელმწიფოებრიობისა და სამსტოვრო საქმის ათასწლოვანი გამოცდილება აქვთ და, ამასთან ერთად, საკმაოდ ყაირათიანებიც არიან. აქედან გამომდინარე, ჯერ არის და, ფულს ვისმე თუ გამოუგზავნიდნენ, დანიშნულ პირთა გზავნილების უკლებლივ მისვლის რაიმე დასტურსაც უეჭველად მოითხოვდნენ. მეორეა და, ამ დასტურის მიღებაში სხვა კაცებს არასგზით არ ჩარევდნენ, ეს საიდუმლოებაში ჩახედულ პირთა გამრავლება და, საბოლოო ჯამში, საქმის გამჟღავნება იქნებოდა. ჩვენს შემთხვევაში, თუ თურქები თავის რეზიდენტებამდე ფულის უკლებლივ მიღწევის დასტურს საერთოდ თხოულობდნენ და ასეთ დასტურს რაიმე სახით იღებდნენ კიდეც, მიღების გზა მხოლოდ ერთი იყო: ყარა–ისმაილი – ჰაჯი–სეიდი–ჩოყურსო–ბეი – თურქეთის სამსტოვრო. ისკანდერ–ეფენდიმ ამის გარშემო ვერაფერი მოგვაწოდა, ეს კვანძი მის თვალს მიფარებული იყო და ზარანდიაც არცთუ მძიმედ განიცდიდა ამას. იგი თითქმის

დარწმუნებული იყო, რომ რეზიდენტობის დასტური ისევ ყარა–ისმაილის ჯიბეებში აღმოჩნდებოდა.

დრომ მოაწია, ყარა–ისმაილი ჩამოვიდა. ისკანდერ–ეფენდიმ ჰაჯი–სეიდის მითითებით სალაროდან ორასი ცალი ოქროს თუმნიანი გასცა და ჩვენ ეს ერთი საათის შემდეგ ვიცოდით.

მაგრამ ყარა–ისმაილის მიერ ფულის მიღებას, თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა – ხელმოსაკიდი არაფერი იყო. მიიღო? მერე რა, რომ მიიღო? აკი ზემოთაც ვთქვი, ფულის მიმტან–მომტანი შიკრიკები ხელშიც კი ჩაგვიგდია, მაგრამ ამას ჩვენთვის საჭირო შედეგი არ მოუტანია–მეთქი. საჭირო იყო, მიმღებთათვის დაგვემტკიცებინა, რომ ფული, სახელდობრ, თურქებისგან და, სახელდობრ, ძირგამომთხრელი მუშაობისთვის ეძლეოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული შედეგი მხოლოდღა ინფორმაციად რჩებოდა. ამოცანა ნათელი იყო: უნდა მოგვეპოვებინა დანაშაულის მამტკიცებელი საბუთები, აღიარებები, ჩვენებები! როგორ რა გზით? ამ კითხვას წლების მანძილზე ვერავინ მოუარა. ზარანდიამ გადაწყვიტა ეს პრობლემა, მაგრამ თუ როგორ და რა ხერხით – ამის შესახებ ჩემს მეტმა იქამდე არავინ იცოდა, სანამ შედეგი არ იქნა მიღებული; შედეგმა გაამხილა ხერხი. მე აქ და ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყარა–ისმაილის მიერ ჰაჯი–სეიდის მდივან–მოლარისგან მიღებული ორასი ცალი ოქროს თუმნიანი ყველა ყალბი იყო!

ზარანდიამ ყარა–ისმაილს კაცები აადევნა და, რა თქმა უნდა, დაღესტნის საიდუმლო პოლიციას ტელეგრაფით აცნობა ოპერაციის დასაწყისი. თვითონ, დაღესტანში გამოძახებამდე, თბილისში დარჩა. ავსტრიული შპიონაჟის ირგვლივ სამუშაო ჰქონდა.

– როგორ სქემას ელით? – ვკითხე ზარანდიას ამ საკითხზე ერთ–ერთი საუბრის დროს.

– პრიმიტიულს, გრაფ.

– რატომ?

– როცა ჯაშუში წლების მანძილზე თავის საქმეს აკეთებს და კონტრდაზვერვის ყურადღება ერთხელაც არ უგრძვნია, როგორი ფრთხილიც უნდა იყოს იგი, ნებივრდება, გულისყური უდუნდება და კონსპირაციის ელემენტარულ ნორმებსაც კი ღალატობს. მანდ სწორედ ამ მოვლენასთან გვექნება საქმე.

– ღმერთმა ინებოს, მაგრამ მე მაინც ის მაინტერესებს, თუ როგორ სქემას ელით.

– სამხედრო ხასიათის ინფორმაციას ქალბატონი დე ლამიე პორუჩიკ სტარინ–კოვალსკისგან უნდა იღებდეს. ეს ახალგაზრდა კაცი ერთთავად ოფიცრების ცოლებში ტრიალებს, ჭორებს ისმენს, მოსმენის პროცესში ნაამბობს ცინიკური კომენტარებით ჰკაზმავს და ჭორის შემდეგი გავრცელების მოდელს, როგორც იტყვიან, დახლთანვე ჰქმნის. ნიჭიერი მოლაყბეა, როცა ვინმეს დასცინის, კილვის ობიექტის ბიოგრაფიას, ხასიათის თავისებურებებს, ჩვევებსა და გატაცებებს ჟონგლიორივით ათამაშებს. დაინტერესებული პირისთვის საკმარისია, ყური უგდოს, მერე, თუ საჭირო შეიქნა, ორიოდ შენიღბული კითხვა დაუსვას და ანკეტა მზად არის. სტარინ–კოვალსკი მადმუაზელ დე ლამიეს კეთილგანწყობილებითა და საფულეთი იმთავითვე სარგებლობდა, მაგრამ ეს

თავისი ხორციელი და ინტელექტუალური მომსახურების ჰონორარად მიაჩნდა. ასე ჩაიგდეს ხელში ავსტრიელებმა საანკეტო მონაცემები. ამას, უნდა ვიფიქროთ, მოჰყვა ის, რომ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიემ სტარინ–კოვალსკი ჩადენილი სამშობლოს ღალატის ფაქტის წინაშე დააყენა და ანკესი გადააყლაპა. დანარჩენი დახურდავებას აღარ საჭიროებს. გამოსარკვევია ისიც, თუ რა როლს თამაშობს საარტილერიო ცნობების გაჟონვაში პოლკოვნიკი გლებიჩი მგონი, ორში ერთია: ან პოლკოვნიკს მოუბლაგვდა სიფხიზლე, ან სტარინ–კოვალსკიმ მის სეიფს გასაღები მოარგო. გლებიჩი ფიცისა და სატევრის კაცია. სამშობლოს ღალატი აქ გამორიცხულია! ასევეა კულაგინის შემთხვევაშიც, მაგრამ კულაგინი ფანატიკოსია, მანიაკია და ამიტომ თვლის, რომ თუ სათანადო უმაღლეს დაწესებულებებს წელიწადში ორჯერ მაინც შინაპოლიტიკური მიმოხილვები არ მიართვა – იმპერია დაინგრევა. ამას დავუმატოთ ის მოხსენებები, კულაგინი სამსახურებრივ მოვალეობათა გამო რომ სთხზავს და დავინახავთ საწერ მაგიდას, რომელზეც მუდმივად დევს უცხოური დაზვერვებისთვის საინტერესო დოკუმენტი. მისი ცოლი, ლარისა კულაგინა, ქალბატონ დე ლამიეს აქტიური მუშტარი და მეგოგარია. დასადგენია, პოლიტიკური მიმოხილვა ფულად აქვს გაყიდული კულაგინას, საწმერთულებში აქვს გადაცვლილი, თუ ქალბატონმა დე ლამიემ როგორღაც დრო იხელთა და ბატონ კულაგინის მაგიდასთან ფოტომოყვარულობის ჟინი მოიკლა?.. რაც შეეხება ჰაჯი–სეიდს – იგი რთული ფიგურაა, ორმაგ, იქნებ, სამმაგ თამაშსაც ეწევა. გაითვალისწინეთ, გრაფ, რომ ამ კაცის აგენტები საქონლის შესასყიდად მთელ კავკასიაში დაძრწიან და საჭიროების შემთხვევაში უმდიდრესი ინფორმაციის მოპოვება შეუძლიათ. მეორე მხრივ! ჰაჯი–სეიდთან ხშირად ჩამოდიან შუამავლები ევროპიდან, საქონელი მიაქვთ. რომელიმე მათგანის ხელით ნაჯაშუშარის გადაგზავნა ან იქიდან დირექტივების მიღება ძლიერ მოხერხებული რამ არის, როგორც ჟანეტ დე ლამიესთვის, ისე თვით ჰაჯი–სეიდისთვისაც, გრაფ. რაღაც ამგვარი რომ ხდება, ეს უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. დასასრულ, არც ის არის გამორიცხული, რომ ჰაჯი–სეიდი და ქალბატონი დე ლამიე მოპოვებული ინფორმაციის ერთმანეთში ყიდვა–გაყიდვას აწარმოებენ. ეს, მოგეხსენებათ, საკმაოდ გავრცელებული ფორმაა სხვადასხვა სახელმწიფოს ჯაშუშებს შორის კომერციული ურთიერთობისა. თვით ჟანეტ დე ლამიეზე არსებობს ერთი საინტერესო ცნობა: იგი სამი–ოთხი წლის მანძილზე ათენში პატარა სასტუმროს დიასახლისი იყო, მაგრამ იქ ერქვა მადმუაზელ ზიზი ჟერმენ...

– ეგ საიდან იცით?

– ჩვენმა აგენტმა ეს ცნობა სტამბოლში ერთი გალოთებული ბერძნისგან ოც თურქულ ლირად იყიდა. აი, ასეთი სქემის მოლოდინი მაქვს და ახალი გარემოებების გამოჩენასაც ვიმედოვნებ.

– დაგწყევლოთ ღმერთმა, დამანებეთ თავი! – სიცილი ამივარდა ზარანდია გავიდა, თავისი მრავალრიცხოვანი საქმეები და დაღესტნიდან მისაღები გამოძახების მოლოდინი განაგრძო.

დაღესტნიდან მოსული გამოძახება კი, გეგმის მიხედვით, ასეთი ხასიათის ცნობით უნდა ყოფილიყო თანხლებული: რეზიდენტების ოჯახებში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ყალბი ფული, მათი მფლობელები დაპატიმრებული არიან და სხვადასხვა ქალაქების სატუსაღოებში სხედან ისე, რომ არც ერთმანეთისა იციან რამე და არც რეზიდენტების

ჭირისუფლებმა იციან თავისი პატიმრების ადგილსამყოფელი. ყარა–ისმაილი ვოიაჟის შემდეგ თემირხანშურიდან ნახევარი საათის სავალზე საგულდაგულოდ არის გაჩხრეკილი და აყვანილში ისე, რომ ესეც არავინ იცის დაპატიმრებულისა და დამპატიმრებელთა გარდა.

დიახ, იჯდა და ელოდა, მაგრამ ერთ დღეს, როგორც იტყვიან, რაღაც შეუჩნდა. თითქმის ყველა შემთხვევასა და ვითარებაში მშვიდმა, მოთმინების დაკარგვა იწყო, აწრიალდა. შევამჩნიე, მოუთმენლობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც პოლკოვნიკ სახნოვის უახლოეს ხანებში თბილისს ჩამოსვლა გახდა ცნობილი. მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, იმ ორ საღელავს მესამეც დამატებოდა. ეს შტორმი დაახლოებით ერთ კვირას გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ მოვიდა და მითხრა:

– გრაფ, მირჩიეთ, რა ვქნა: მამასთან უნდა ვიყო სოფელში. დათა თუთაშხია, მგონი, პაემანზე მთანხმდება, მაგრამ არავინ იცის, როდის მოგვადგება სახნოვი და ჩემი ყოფნა თბილისში აუცილებელია. მთაეარი კი მაინც ის არის, რომ დაღესტანშიც უნდა წავიდე...

– დაღესტნიდან რაიმე ცნობა მიიღეთ?

– არა.

– მაშ, რისთვის მიდიხართ?

ზარანდიამ ხელი გაასავსავა, მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და თქვა:

– არ ვიცი!..

იმწამსვე დავიჯერე და ახლაც დანამდვილებით ვიცი, რომ მისი ახირება სულიერი იმპულსი იყო, მაგრამ დროებითი წამოფეთება კი არა – დაჟინებული შინაგანი მოთხოვნა, დაღესტანში ყოფნის გარდუვალი საჭიროების ქვეცნობიერი სიგნალი.

– იმედი გაქვთ, რომ დათა თუთაშხიას დაიყოლიებთ?

– ერთობ უღიმღამო, გრაფ, მაგრამ – ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია.

– მეთოდი?.. რა ფორმებში უნდა მიაწოდოთ ჩვენი წინადადება?

– მხოლოდ სიმართლე და გულახდილობა, თქვენო ბრწყინვალებავ. არ მოტყუვდება. არც გვეკადრება სიცრუე, რა საჭიროა!

გამეცინა, თავი დავიქნიე, რადგან წამოწყებისა არაფერი მჯეროდა.

– მეც რომ თათბირების ჩასატარებლად მივდივარ?.. – ვთქვი ცოტა ხნის მერე.

– ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ.

– რაღა გაეწყობა... წადით, მაგრამ...

მინდოდა მეთქვა, ბოლო ხანებში მღელვარებას გამჩნევთ და არაფერში აჩქარდეთ–მეთქი. თავი შევიკავე, მუშნი ზარანდიასთვის ასეთი რჩევა–დარიგება საჭირო არ იყო.

შეყოყმანების მიზეზს მიმიხვდა, ღიმილით მითხრა:

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, გრაფ. გაკეთდება ყველაფერი, რის გაკეთებაც საჭიროა და შესაძლებელი.

მეორე დღეს ბაქოს გავემგზავრე. კიდევ ორი დღის მერე ზარანდიამ სამეგრელოსკენ გასწია, ოჯახი და თავისი და მოინახულა. იქიდან წამოსულუმა მცხეთაშივე ჩრდილოეთისკენ აუხვია, თბილისს არ მოსულა, ისე გადავიდა დაღესტანში.

ორკვირიანი მგზავრობა მელოდა. ვეჭვობდი, ეს დრო, იქნება, არც კი მეყოს–მეთქი – სამ ქალაქში მქონდა დანიშნული თათბირი, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ ყველაფერს ადრე მოვრჩი და წასვლიდან მეათე დღეს თბილისს მოვედი. ზარანდია ჯერ არ დაბრუნებულიყო.

**დიმიტრი კოდაშვილი**

სრულიად ახალგაზრდა კაცმა, უწმინდესი და უმართებულესი სინოდის წარგზავნით, კავკასიონის ფერდობებს მიკრულ სოფელში დავიწყე ღმრთის მსახურება. იმ სოფელში მეგრელი მეჯოგეები ცხოვრობენ და ლუწი ჰქვია.

იქაური მკვიდრნი რწმენასა შინა სიმტკიცეს ნაკლულ არიან. იმძლავრა ეშმაკმა და ჩემი მსახურების პირველსავე წელიწადს ლუწში საზარელი ცოდვა დატრიალდა: თოდუების ოჯახი – დედა და ოთხი ვაჟიშვილი – ერთ ღამეს ამოჟლიტეს. გადარჩა მხოლოდ დოროთე თოდუა, ოჯახის მამა. დოროთე მთებში ჯოგს აძოვებდა. ბოქაულმა მაცნობა, რომ იმ ბოროტების ჩამდენი, ღმერთისა და მეფის ურჩი, აბრაგი და მკვლელი, დათა თუთაშხია იყო. ყაჩაღი მრევლის წინაშე დავწყევლე და შევაჩვენე.

ლუწის ზემოთ საძოვრებიანი მთები და მეჯოგეების კარვებია. მეჯოგეთა კარვები ხშირად აბრაგების თავშესაფარიც არის. დათა თუთაშხია კარვებში ყოველ ზაფხულს ადიოდა, გზადაგზა ლუწში ვინმესთან სტუმრობდა. როდესაც ცნობილი გახდა, რომ თოდუები დათა თუთაშხიამ ამოწყვიტა, მრევლში ჩოჩქოლი და მითქმა–მოთქმა ატყდა. იასონ ქარჩავამ, სოფლის თავკაცთაგანმა, აბრაგს ხალხის სახელით განუცხადა, ნუღარც ვისმე გვესტუმრები და ნუღარც ჩვენს სოფელზე გამოივლიო. თუთაშხიამ მიზეზი მშვიდად მოისმინა, კადნიერად თქვა, მე მაგისთანების ჩამდენი არა ვარო, და თავის გზაზე გასწია. სტუმრად აღარავისთან მისულა, მაგრამ სოფელზე სიარულს არ იშლიდა და, ვითომც არაფერიაო, გზად შემოყრილ გამვლელ–გამომვლელს, ჩემს გარდა, ყველას ესალმებოდა. სალამზე ზოგს წლების მანძილზე არ უპასუხია – დათა თუთაშხია მოკვეთილი იყო და მთავრობამაც ასე იცოდა.

მოძულებით მოიძულეს, მაგრამ ზოგიერთს გული ეთანაღრებოდა, ბოქაულის სიტყვა რა დასაჯერებელია, ვაითუ მართალი არ არის და ცოდვა ტყუილად შევწამეთო. ზურგს უკან მე მკიცხავდნენ. იმასაც მოვკარი ყური, რომ თუთაშხიას ჩემგან შეჩვენება გაეგო, შიში მქონდა, არაფერი დამმართოს–მეთქი.

დოროთე თოდუა მაგარი ბერიკაცი იყო, მაგრამ დარდმა და ცრემლმა მოტეხა. მალე იმდენად მოხუცდა, რომ ჯოგის მოვლა–პატრონობა ძალიან გაუჭირდა. ყოველ შემოდგომაზე ამბობდა, ჯოგს ბარში ჩავიყვან და გავყიდიო.

მეწველი თხა მყავდა, ერთთავად თავის ნებაზე დაეხეტებოდა. ერთ საღამოს შინ აღარ მობრუნდა. არც დილით გამოჩნდა. შუადღემდე ველოდე და საძებნელად წავედი.

ხევის გამოღმა ბილიკს მივყვებოდი. გაღმა, გზაზე, სამი მგზავრი დავინახე. დოროთე თოდუა მაშინვე ვიცანი; ზურგზე გუდა ეკიდა და დინჯად მოაბიჯებდა. ადრე გაზაფხული იდგა, იმ დროს ჯოგებს ჭალებიდან მთაში მოერეკებიან და დოროთე კი ცარიელი მოდიოდა.

ჯოგი გაუყიდია–მეთქი, გავიფიქრე და მის თანამგზავრებს დავაკვირდი. ერთს შავი ჩოხა ეცვა, იარაღი ჰქონდა ასხმული. უნაგირზე ნაბადგადადებული ლაფშა წინ მოუძღოდა. დათა თუთაშხია ვიცანი და ის გამიკვირდა, რომ დოროთე თოდუასთან ერთად მოდიოდა, თორემ გათავხედებული რომ იყო და არაფრისა ეშინოდა, ეს ისეც ვიცოდი. მეორე აქაურს არ ჰგავდა. თუთაშხიას დანახვა არ მიამა. არ შემომეყაროს, ჯობია, გავეცალო–მეთქი.

ბილიკმა მარჯვნივ გადაუხვია– ჩემი თხა ამ ხევში მეგულებოდა და მეც გადავუხვიე. ხევი ციცაბო, ძნელი ასასვლელი იყო; დაღმართებს შევუდექი. ხევის ათავებას კარგა ხანი მოვანდომე, ძალზე დავიღალე და თხა კი არსად ჩანდა. თხემზე უზარმაზარი რცხილა იდგა, სამი ვაჟკაცი ვერ შემოსწვდებოდა. სუროთი იყო რცხილა გაბარდული. იმ ხიდან, ჩემი ვარაუდით, ბუჩქნარიანი ფერდობები თვალსაწიერამდის გამოჩნდებოდა და თეთრი თხა ადვილი დასანახი იქნებოდა.

რცხილაზე ავედი, ფერდობები რიგიანად დავათვალიერე. არაფერი ჩანდა. ვიჯექი, ვისვენებდი, ბუჩქნარსა ვჩხიბავდი.

ცხენის ფლოქვის ხმა მომესმა.

მარჯვნივ, ათიოდე ნაბიჯზე, ძალზე ღრმა, ვიწრო და მშრალი ხრამი იყო. ქვევიდან მომავალი ბილიკი ხრამთან წყდებოდა. ხრამზე საცალფეხო მორი იყო გადებული. ხრამს აქეთ ისევ იწყებოდა ბილიკი და ტყე–ტყე ლუწისკენ მიიკლაკნებოდა.

ერიჰაა! – გავიფიქრე მე – ალბათ, შეისვენეს სადმე, თორემ, რაც მე იმ კლდე–ღრეში ვიხეტიალე, ესენი უკვე ლუწს იქით უნდა ყოფილიყვნენ გასული.

რცხილიდან ჩამოსვლა დავიწყე, ჩავხტი, აქაურობას გავერიდო–მეთქი, მაგრამ გვიანღა იყო და სუროში მივიმალე.

ჯერ დათა თუთაშხიას ლაფშა გამოჩნდა. საცალფეხოდ გადებულ მორთან დადგა, პატრონს მიხედა. თუთაშხია თავჩაღუნული მოაბიჯებდა. უკან დოროთე თოდუა კომბალს მოაბაკუნებდა. ბოლოში

უცნობი მოდიოდა. ოცდახუთი–ექვსი წლისა იქნებოდა. დაბალი, სქელი კაცი იყო.

ცხენმა პატრონს უყურა, ნიშანი ვერაფერი მიიღო, მორი ფეხაკრეფით გადმოიარა და ხრამს გამოღმა ხეების ჩრდილში ბალახის წიწკნას შეუდგა.

დათა თუთაშხია მორს მოადგა, გაჩერდა, თანამგზავრებს დაელოდა. დოროთე თოდუამ ზურგიდან გუდა მოიხსნა, თუთაშხიას მიაწოდა. აბრაგმა გამოართვა, მორი გადმოიარა, გუდა მიწაზე დადო. ქისა ამოიღო, ჩიბუხი გატენა. სანამ თუთაშხია აბედს კვესავდა, დოროთემ მორზე ფეხი შემოდგა, მაგრამ შეყოყმანდა, გადმოსვლა ვერ გაბედა ბერიკაცმა. მაშინ მორზე უცნობი შემოვიდა, მოხუცს ხელი

გაუწოდა, გადმოდი, ნუ გეშინიაო. მოხუცმა ხელი არ მისცა, კომბალი გამოუშვირა და დაიძრნენ. უცნობი ნელ–ნელა მოიწევდა – მოხუცი კომბალს მოსდევდა. უცნობმა მორი გადმოიარა, შუამდე მოსულ მოხუცს კომბალი გამოჰგლიჯა, მკერდში ატაკა.

დოროთე თოდუა ხრამში გადაიჩეხა. ქვებზე დავარდნილი სხეულის ყრუ ჩახანმა მოაწია.

თუთაშხია უმალ იქით მიბრუნდა.

მუხლებზე დაჩოქილი უცნობი ხრამში იყურებოდა. თუთაშხიამ ნაბიჯი წასდგა, სიღრმეში ჩაიხედა.

უცნობმა წამოიწია, თვალები მიაცეც–მოაცეცა და დოროთე თოდუას გუდას დააცხრა. ფაციფუცით გახსნა, მიწაზე წამოაპირქვავა, ვაცის ბუშტის ქისა იპოვნა, თასმით შეკრულ ნასკვს კბილები მიაშველა და წვალებით გახსნა.

ქისაში ფული იყო, ბევრი ფული.

თუთაშხიამ ფული რომ დაინახა, რაღაც ხმა აღმოხდა, ვერა გავიგე რა, გაკვირვებისა იყო, თუ სიხარულისა.

– ხომ ხედავ, რამდენია აქ?! – უცნობი ერთიანად ცახცახებდა, ფულები ხელიდან ხელში გადაჰქონდა, წონას უსინჯავდა. შემთხვევით თუთაშხიას თვალებს შეეფეთა და გაინაბა.

უცნობი მუხლებზე იდგა, ყბა ჩამოვარდნოდა, აბრაგს ფინია ძაღლივით აჰყურებდა. აბრაგი ხმას არ იღებდა, დასცქეროდა. მერე კბილებში გაჩრილი ჩიბუხი მოქაჩა, ბოლი გამოუშვა. უცნობმა აბრაგს თვალი აარიდა, ფულის გაყოფას შეუდგა. თვლა არ იცოდა, ორად ჰყოფდა.. ფულებს მარჯვნივ და მარცხნივ ალაგებდა.

– ნახევარი შენ ნახევარი მე... ბევრია აქ! – მოკრძალებით უთხრა უცნობმა თუთაშხიას და ისევ მის თვალებს შეეფეთა.

შეეფეთა და გაშრა.

– გავიყოთ... – უცნობი დაბნეული, წამხდარი იყო. – შენ დათა არ ხარ?.. დათა თუთაშხია. ხოლუა ვარ მე ხოლუა!

აბრაგმა კარგა ხნის შემდეგღა ჰკითხა, საიდან იცი, თუთაშხია რომ ვარო.

ხოლუა უარესად დაიბნა, ენა ჩაუვარდა.

აბრაგი პასუხს ელოდა.

ხოლუამ თითი ხრამისკენ გაიშვირა:

– მან. გზაზე დაგინახეთ და თქვა: აგერ, დათა თუთაშხიაო.— საცოდავიო, ესეც თქვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

აბრაგმა ხმადაბლა უთხრა, ფული ქისაში ჩააბრუნე, ძირს დადეო.

ხოლუა გაშეშდა, თავზარი დაეცა, შეყოვნდა.

თუთაშხიამ გაუმეორა.

– ჩემია!.. – წამოიძახა ხოლუამ, – სულ ჩემია! ნახევარს გაძლევ, დათა თუთაშხია რომ ხარ, იმიტომ. მეტი რა გინდა შენ?! სულ გინდა წაიღო, ხომ....

აბრაგს ხმა არ დაუძრავს. არც განძრეულა. ხოლუას სიტყვა გაუწყდა, ფული უხალისოდ, ძალისძალად მოაქუჩა, ქისაში ჩატენა, გამონასკვა და გაინაბა.

თუთაშხიამ რაღაც დაიღრინა, სიტყვები ვერ გავარჩიე.

ხოლუამ ქისა მიწაზე დადო, აბრაგს თვალებში ახედა და უმალვე გუდის ჩალაგებას შეუდგა.

ჩაალაგა, ყელი გამოუნასკვა.

– თქვენი იყოს, დათა–ბატონო, მაგრამ ამდენი დღეა, ამას რომ დავდევ მე, ხომ მერგება წილი...

თუთაშხიამ ბოლი გამოუშვა და უბრძანა, ჩადი, ცხედარი ამოიტანეო.

ხოლუა უყოყმანოდ მიტრიალდა, ხრამის ნაპირს გაჰყვა – ჩასასვლელს ეძებდა. ათი–თხუთმეტი ნაბიჯი გაიარა. მაშინ აბრაგმა იარაღი იშიშვლა, კვალში მიჰყვა.

ლაფშამ თვალი პატრონს გააყოლა და ბალახობა განაგრძო.

მარტო რომ დავრჩი, გონს მაშინღა მოვეგე: სერს გადაღმა ბავშვები ბატებს აძოვებდნენ! ხიდან ამოვხოხდი, გავიქეცი, კოკოჩიას ბიჭს ვუამბე, ვიღაც ხოლუამ დოროთე ხრამში გადაჩეხა, გუდიდან ქისა წაუღო და დათა თუთაშხიამ კი ხოლუას წაართვა ის ფული–მეთქი. რა ვიცი, რა გაიგო იმ ბავშვმა და რა არა.

უკანვე გამოვბრუნდი, უფრო მოხერხებული ადგილი შევარჩიე, ბუჩქებში ჩავწექი.

დათა თუთაშხია დიდხანს იდგა ხრამის პირას, ხოლუას თვალს არ აშორებდა. მოწყვეტილი ქვების ჩახანი ისმოდა. ერთი ორჯერ ავაზაკ ხოლუას უშვერი ლანძღვაც გავიგონე. ხოლუამ დოროთე თოდუას დასახიჩრებული გვამი ზურგით ამოიტანა. ქლოშინებდა, თან თუთაშხიას შესციცინებდა თვალებში.

აბრაგმა ნიშანი მისცა, ხოლუამ ცხედარი მიწაზე დაასვენა, ხელი გულზე მიიდო. ფეხზე ძლივსღა იდგა.

გუდა და ქისა აქ მოიტანეო, – ჩაულაპარაკა თუთაშხიამ.

ხოლუა ბარბაცით გაიქცა. გუდაც მიიტანა და ქისაც.

ქისა კბილებით დაიჭირე და გუდა კისერზე ჩამოიკიდეო. ხოლუა შეყოვნდა, მაგრამ მეორედ აღარ ათქმევინა; ქისას კბილები სჭიდა, გუდა ზურგზე წამოიგდო.

თუთაშხიამ მოაგონა, მე კისერზე გითხარიო.

ხოლუას გაუკვირდა, მაგრამ ესეც შეუსრულა და აბრაგს შეხედა, ახლა რაღას მიბრძანებო.

– აიკიდე ზურგზე! – დათა თუთაშხიამ ცხედარზე მიანიშნა.

ხოლუა გაშეშდა.

– არ ავიკიდებ... მომკალი, თუ გინდა – არ ავიკიდებ! მკვდრების მეშინია მე. იქიდან ამოვიტანე, ხომ?.. არ მინდა. გულის მანკი მაქვს, გულის მანკი, ვერ ხედავ?! – ქლოშინით, ნაწყვეტ–ნაწყვეტად ამბობდა.

ორი ტყვია ზედიზედ გავარდა. ერთმა ყურთან გამიწივლა, მეორემ ცხვირ–პირში მიწა შემომაყარა. სანამ გაქცევას დავაპირებდი, შიშმა მანამდე დამცა დამბლა. როცა თუთაშხიამ იარაღი ბუდეში ჩააბრუნა, პირჯვარი გადავისახე და ღმერთს თაყვანი ვეცი, რომ სიკვდილს გადამარჩინა.

გაფითრებულმა, ერთიანად აცახცახებულმა ხოლუამ ჯერ იღლიაში გახვრეტილი ახალუხი მოისინჯა ხელით, მერე – ლაჯებში ტყვიისგან გაგლეჯილი შარვალი. ხელზე დაიხედა – სისხლი არ იყო და გიჟივით გაიცინა.

– როგორც მიბრძანებ, დათა–ბატონო... აბა, რა! – ხოლუამ ცხედარი ზურგზე აიკიდა და ბილიკს გაჰყვა.

თუთაშხიამ ხვნეშით მიმავალ ხოლუას კარგა ხანს უყურა. მერე ხმადაბლა დაუსტვინა – ცხენს აცნობა, მივდივართო.

წელში მოხრილი ხოლუა მძიმე ნაბიჯით მიდიოდა. კისერზე ჩამოკიდებული გუდა მუხლებში ეგლანდებოდა, კბილეგში გაჩრილი ქისა სუნთქვას უშლიდა. დოროთე თოდუა ხოლუას ზურგზე პირაღმა იწვა, წუღიანი ფეხები მიწაზე დასთრევდა, მკლავები ჩვრებივით ეკიდა. ათიოდ ნაბიჯის მოშორებით. დათა თუთაშხია მოდიოდა და უნაგირზე ნაბადგადაგდებული ლაფშა პატრონს ნალების ყრუ ბაგუნით მოსდევდა.

ხოლუამ მთვრალი კაცივით, ბარბაცით ჩამიარა. ცოტა ხნის შემდეგ თუთაშხიაც გამისწორდა.

ხოლუა მიტრიალდა:

– რა გინდა ჩემგან, დათა–ბატონო, სანამდე უნდა ვატარო...

– სანამდე სული გედგმება! – გველივით დაუსისინა დათა თუთაშხიამ და გამცდა.

ხოლუას აღარაფერი უთქვამს, წაფრატუნდა. ბექობთან მოსახვევი იყო – თვალს მიეფარნენ.

მე უბედური ძეძვებში პირქვე ვეგდე და ვფიქრობდი, ეს რა ღმრთის რისხვასა და ეშმაკის მძვინვარებას შევესწარი–მეთქი! ბიჭი რომ სოფელში ვაფრინე და ის გაცოფებული მეჯოგეები თუთაშხიასა და ხოლუას რომ წააწყდებიან, მაშინ რაღაც უბედურება დატრიალდება–მეთქი!

ანაფორა ავიკეცე და ხევ–ხევ აღმართებს სირბილით ავყევი. სანამ თხემზე ავედი, აღარც ანაფორა შემრჩა, აღარც შარვალი და კანჭნაკუთალიც ჯაგებს შევახიე. ავაღწიე და ისევ ბუჩქებში ჩავწექი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამრეცებში ნარბენს არაქათი მქონდა გამოცლილი, და მეორეც იმიტომ, რომ ლუწის გზა იმ ხევში იდო, ავაზაკებს აქ უნდა ამოევლოთ.

სული მოვითქვი, გზას გადავხედე, აღმართში ჯერ არავინ ჩანდა, მაგრამ დახეთ საოცრებას, წინ, სულ ახლოს, ოთხი ჩასაფრებული მეჯოგე დავინახე; თოფები გზისკენ გადაეშვირათ და ელოდნენ. გავეხმაურე. დაფეთებულებმა თოფები მომიშვირეს, კინაღამ გული წამივიდა.

სხაპასხუპით ვუამბე, რაც მოხდა და როგორც მოხდა. კიდევ ზოგ რამეს მეკითხებოდნენ და ვერაფერს მივახვედრე. ვერც ვეუბნებოდი რასმე ნამდვილს, არც მე მესმოდა, რა ხდებოდა. ამ ქაქანში ვიყავით და აღმართში ცხედარაკიდებული ხოლუა გამოჩნდა. წინანდებურად კი არ მობარბაცებდა – თავგამოდებით მორბოდა. დათა თუთაშხია ცხენზე იჯდა, ხოლუას კვალდაკვალ მოსდევდა, ლამის ზედ შესდგომოდა და დროდადრო დაჰყვიროდა, ჩქარა იარეო!

ხოლუას, ეტყობა, ძალ–ღონე გამოელია და სირბილს უკლო, თუთაშხიამ მათრახი გადაუჭირა და დასძახა, თავს ნუ იკატუნებო!

მორბოდა ცოდვილი ავაზაკი, ცხედარს მოარბენინებდა.

თითქმის გაგვისწორდნენ. ჩვენ ერთმანეთს შევცქეროდით. რაიმე უნდა გვეღონა, მაგრამ მაღალი ღმერთი აზრს არაფერს გვაშველებდა. მოულოდნელად თოფი გავარდა – ჩვენი მხრიდან გავარდა; ხოლუამ ხელი გულზე იტაცა და გატკეპნილ გზაზე პირქვე დაემხო. იასონ ქარჩავამ გუძა ჯონჯოლიას – ჩვენი სოფლის მედუქნეს – თავში თოფის კონდახი ჩასცხო და თუთაშხიამაც უნაგირიდანვე კვამლზე ისროლა, ტყვიამ ბუჩქებში გაიწუილა. დათა თუთაშხიამ უნაგირიდან ისკუპა, ცხენს ამოეფარა, თოფი დაგვიმიზნა. ჩოჩიები,

ორთავე ძმა, სასწაულებრივ გაქრნენ, თვალიც კი ვერ შევასწარი. ღმერთს ცოდვების მოტევება შევსთხოვე და ჩემ წილ სიკვდილს მორჩილად დავუწყე ლოდინი.

იასონ ქარჩავა ზეზე წამოიჭრა აბრაგს გასძახა:

– არ გვესროლო, დათა!.. ჯონჯოლიამ გესროლა, აგერ გდია, ძაღლის ნაშობი!

სიჩუმე ჩამოვარდა.

როდის–როდის თავი ავწიე, ქვემოთკენ გადავიხედე.

თუთაშხია გზაზე იდგა. მარცხენა ხელზე სისხლი ჰქონდა. მარჯვენაში ხელსახოცი ეჭირა, ჭრილობის შეხვევას აპირებდა.

– გამოდით გზაზე! ვინ ხართ მანდ... ჯონჯოლია, გამოდი შენც! – ხმამაღლა თქვა თუთაშხიამ და ხელის შეხვევას შეუდგა.

ჯონჯოლიას ადგომა არც უფიქრია, სანამ იასონ ქარჩავამ წიხლი არ ჩაჰკრა.

გავედით ყველა.

დათა თუთაშხიამ პირქვე მწოლიარე ხოლუას და დოროთე თოდუას გვამს დახედა.

– რატომ მესროლე, ჯონჯოლია, მითხარი ახლავე მართალი, თუ გინდა, ეს სისხლი რომ გაპატიო!

მედუქნემ თვალები მიწაში წაიღო, თავი ჩაქინდრა.

ხოლუა ისევ ისე იწვა. მომაგონდა, თუთაშხიას რომ უთხრა, გულის მანკი მაქვსო, და ისიც, სანამ პირქვე დაეცემოდა, ხელი გულზე რომ იტაცა.

მივედი, მაჯა გავუსინჯე, მკერდზე ყური დავადე. მკვდარი იყო.

თბილი ანაორთქლი ასდიოდა, დოროთე თოდუას ქისა ისევ კბილებში ჰქონდა. ლოცვა წავიბუტბუტე და ცხედარს გავეცალე.

თუთაშხიამ ჯონჯოლიას გაუმეორა:

– რას მერჩოდი!.. თქვი ახლავე, რატომ ქენი ეს!

ჯონჯოლია მოთქმით ატირდა:

– მაპატიე, დათა–ბატონო, გავბრიყვდი... შვილებს ნუ დამიობლებ... სიმართლის თქმა ჯობია... დავხარბდი...

დათა თუთაშხია გაფითრდა.

– ის ხუთი ათასი, ჩემი მოკვლისთვის რომ დააწესეს, უკან წაიღო მთავრობამ. – გვითხრა დათა თუთაშხიამ და განზე გადგა.

აბრაგი ხან ხოლუას გვამს შესცქეროდა, ხან მედუქნეს.

დიდხანს იფიქრა.

ბოლოს მე შემომაჩერდა, თვალი თვალში გამიყარა. კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემს სიტყვებს ელოდა.

რა უნდა მეთქვა?

– მკვდარია, ცოდვილი... ალბათ, გული გაუსკდა, – ესღა მოვახერხე. ხოლუას ვგულისხმობდი.

აბრაგმა დამბაჩა იშიშვლა, ჯონჯოლიას დაუმიზნა... შუაში ჩავუდექი და მაღალ ღმერთს შევევედრე:

– უფალო, დააცხრე სული კვლად აღმდგარი კაცისა და დაუოკე წყრომა გულისა, რამეთუ დაშთება სიკვდილისგან ერთი ჯონჯოლიასი ხუთი ჯონჯოლია ობოლი, ღატაკი, მიუსაფარი და ავბედობისა გამო დაადგებიან ხუთნივ გზასა მრუდსა, ცოდვილსა და სამაგელს!..

– თვითონ თუ დასცალდა, დიმიტრი–მღვდელო, ჯონჯოლიას თავისი შვილების გაზრდა, მამაზე უკეთესი რატომ გამოვა რომელიმე, ნეტავი?! მისი შვილების ბედი და მომავალი თუ გალაპარაკებს, მაშინ აქეთ უნდა მეხვეწებოდე, მოკალი ეს ღორის შვილიო.

ფეხებში ჩავუვარდი აბრაგს და კვლავ ზეცას შევღაღადე:

– ღმერთო ჩვენო, შენ განუხსენ თვალი გონებისა და განუღე კარი ჭეშმარიტებისა მონასა შენსა, თუთაშხიას დათას, რათა აღარ შეგცოდოს. შთააგონე მას, რომ ბოროტების აღმოფხვრა და აღმოშანთვა ბოროტებითვე არ არის გონიერი და მართებული, რადგან ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით ჩადენილს, სხვა უამრავი ჭირი მოაქვს, რომელნი უსასრულო და დამღუპველ არიან...

შემისმინა უფალმა ჩვენმა, აბრაგს თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა. იარაღი ბუდეში ჩააბრუნა.

– ჯონჯოლია! – თქვა თუთაშხიამ. – ხოლუას, შენ რომ ჩაიდინე, იმაზე უარესი არ უქნია, იცოდე! კი ხარ მოსაკლავი, მაგრამ ჩემი ხელით არ შეიძლება შენი სიკვდილი: იტყვიან, მას რომ ესროლა, მიტომ მოკლა თუთაშხიამო. მე რომ მესროლე, ამისთვის კი არ ხარ მოსაკლავი – ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, ამისთვის ხარ სიკვდილის ღირსი და დაიხსომე ჩემი სიტყვა, შენი სიხარბე და დაუნდობლობა მალე მოგიღებს ბოლოს!

თუთაშხია ცხენზე შეჯდა და აღმართში წავიდა.

დოროთე თოდუა გულაღმა იწვა, ღია თვალებში ბოღმა და მრისხანება ედო. მკვიდრად შეკრული მუშტები ბინდშეპარული ცისთვის მიეღერებინა.

ცალ ხელში ქვა ჰქონდა.

**გრაფი სეგედი**

იმხანად თბილისის პოლიციაში სისხლის სამართლის სამძებრო დარგს სამოცდაათს მიტანებული დიდად გამოცდილი დეტექტივი – ივანე მიხეილის ძე უსატოვი – განაგებდა. ჩამოსვლისავე დღეს მივედი სამსახურში. გულმა გამიწია და მივედი. კაბინეტში ფეხი შევდგი – ტელეფონმა დაიწკრიალა; უსატოვი მირეკავდა, დაუყოვნებლივ მიღებას მთხოვდა.

მობრძანდი–მეთქი.

მარდი, ფიცხელი მოხუცი იყო, გადამდები ტემპი ჰქონდა. ფაციფუცით შემოვიდა. დაჯდომა ვთხოვე, ჯანმრთელობა ვკითხე. რაღაც ეჩქარებოდა და თან თავისი მოჭუტული, ეშმაკი თვალებით შემომცქეროდა. ვიგრძენი, ლამობდა გაეგო, ვიცოდი თუ არა, რისთვის იყო მოსული.

არ ვიცოდი და ვკითხე.

– დიდი მოღულის ხალიჩის თაობაზე გეახელით, თქვენო ბრწყინვალებავ, – მითხრა უსატოვმა პატარა ხნის დუმილის შემდეგ და ისევ თვალებით კირკიტი დამიწყო.

– დიდი მოღულის ხალიჩის გამო... – გავიმეორე ჩემთვის. ერთი წამით მომეჩვენა, რომ ჯიმშედის ლეგენდარულ სარტყელზე ან მინოტავრის ლაბირინთზე მესაუბრებოდნენ. მერე მეხსიერებას ძალა დავატანე, დავრწმუნდი, რომ მსგავსი არაფერი ვიცოდი და ვთქვი: – გისმენთ, ივან მიხაილოვიჩ. – როგორ... ესე იგი... მაშ, თქვენ არაფერი მოგეხსენებათ? – უსატოვი აფორიაქდა, მეგონა, თავში ხელს წაიშენს–მეთქი. გამეცინა. ახალგაზრდა ხელქვეითებმა იციან, უფროსებთან საუბარში უმნიშვნელო რაღაცებს შეიცხადებენ ხოლმე. ამით საქმისადმი თავისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დემონსტრაცია სურთ, მხნე და ერთგული მომუშავეების სახელს იმკვიდრებენ. გავიფიქრე, უსატოვს ეს ხრიკი ჩვეულებად ახალგაზრდობაშივე ექცა და სიბერეშიც შემოჰყვა–მეთქი. ამიტომ გამეცინა. – არაფერი ვიცი, რაშია საქმე? უსატოვმა ერთი კიდევ შემავლო ეჭვის თვალი, მგონი, გაიფიქრა, ამ კაცს დიდი მოღულის ხალიჩისა შეიძლება მართლაც არაფერი გაეგებოდესო და მითხრა: – მაშინ, თქვენო ბრწყინვალებავ, თავიდან უნდა გიამბოთ, ნება მიბოძეთ. – ბრძანეთ, ბრძანეთ. – ნადირ–შაჰმა ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ თავის თანამოლაშქრეს, მაშინ ჯერ კიდევ უფლისწულს და შემდგომში ქართლ–კახეთის მეფეს, ერეკლე მეორეს, დიდი მოღულის ნაქონი ვეებერთელა ცისფერი ხალიჩა უბოძა. მას მერე ხალიჩა თბილისში, მეტეხის სასახლეში იყო. აღა მაჰმად–ხანმა ეს საოცარი ნაკეთობა თბილისის აღების შემდეგ, სხვა განძეულთან ერთად, ხელს გააყოლა და, თავის მხრივ, მელიქ მეჯნუნს უბოძა ერეკლესგან განდგომისა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგულებისთვის. ხალიჩა მეჯნუნის ჩამომავლებს შემორჩათ. ჯერ ერევანში ჰქონდათ. მერე თბილისში ჩამოიტანეს. ინგლისელებმა შარშანწინ ხალიჩის მფლობელებს ოცდაათი ათასი აძლიეს. მიმდინარე წლის დამდეგს ჰაჯი–სეიდის ფირმამ ოცდათხუთმეტი ათასი შესთავაზა. პატრონი ორმოცდაათს თხოულობდა, ხალიჩა არ გაიყიდა. ერთ მშვენიერ დღეს, თქვენო ბრწყინვალებავ, ხალიჩა გაქრა. ის მშვენიერი დღე ორი თვის წინ გათენდა.

დაზარალებულმა, რა თქმა უნდა, ჩვენ მოგვმართა და ძებნას შევუდექით. ხალიჩის პატრონს მრავალრიცხოვანი ოჯახი და ნათესაობა ჰყავს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომაბეზრეს თავი! ალყა შემომარტყეს, პოლიციის სამმართველოს კარებთან სადღეღამისო მორიგეობა ჰქონდათ გამართული, ღმერთს ვფიცავ! ირწმუნებოდნენ, ხალიჩა ან თბილისში გაიყიდება და ან ბაქოშიო. ამ სამი კვირის წინათ ხალიჩაც ვიპოვნეთ და ქურდიც ავიყვანეთ. როგორ გგონიათ, თქვენო ბრწყინვალებავ, ვინ?.. – უსატოვი ნიშნისგებით შემომაჩერდა, ვითომ ის ქურდი ჩემი ნათესავი ან დაახლოებული ხელქვეითი იყო.

– წარმოდგენა არა მაქვს.

– სპარაპეტა!

– სპარაპეტა? – დავფიქრდი, ნეტა, ვინ უნდა იყოს–მეთქი. – არ მაგონდება... სპარაპეტა... – ცოტა არ იყოს, შემრცხვა კიდეც, რომ უსატოვის ნათქვამიდან არც ერთი არ ვიცოდი.

– სპარაპეტა, თქვენო ბრწყინვალებავ, ცნობილი თბილისელი ყომარბაზი, შულერი და ქურდი! ორი წელიწადია, საიმპერიო ძებნა აქვს დანიშნული. ჩემს მეტმა ვერავინ დაიჭირა!.. – უსატოვის ხმაში

ჯერ სიამაყემ დაიჟღერა და მერე საყვედურმა; – ცნობილი ქურდი და ყომარბაზი, ესე იგი – შულერი!

ბებერი მაძებარი გაოცებული იყო, რომ ასე ცნობილი ქურდისა არაფერი ვიცოდი.

ჩემმა ცხოვრებამ ისე გაიარა, რომ ბაცაცები, ყომარბაზები და შულერები, როგორღაც იყო, განზე დამრჩნენ, მათი ასავალ–დასავალი არასოდეს მცოდნია. გარდა ამისა, ჩემოდენა თანამდებობის კაცს ხველქვეითებთან სიცრუე საერთოდ არ სჭირდებოდა და, თუნდ პირიქით ყოფილიყო, ბუნებით არ ვიყავი მატყუარა; მიუხედავად ამისა, არ ვიცი, ვითაკილე, რომ ვიღაც პოლიციელმა სპარაპეტას შესახებ ჩემზე მეტი იცოდა ან იქნებ თავაზიანობამ ჩამადენინა, – მტკიცედ მივუგე:

– დიახ, გამახსენდა. სპასპეტა!..

– სპასპეტა კი არა, სპარაპეტა, თქვენო ბრწყინვალებავ!.. – უსატოვმა ლამის შემომტირა – ძალიან უნდოდა, რომ ქურდის მეტსახელი სწორად მცოდნოდა.

– დასწყევლოს ზეცა–უფალმა! – ჩავილაპარაკე და სიცილი ამივარდა.

მოხუცი კაცის წინაშე უხერხული იყო, თავის შეკავებას ვცდილობდი, ლამის გავგუდულიყავი – ჩემი იდიოტური მდგომარეობა მაცინებდა. უსატოვს კი მოეჩვენა, ვითომ ხალიჩის ირგვლივ ყველაფერი ვიცი და სერიოზულ ლაპარაკს მასხრობა ვამჯობინე. ამან ჯერ სიცილის ისტერიკა დამმართა, ცრემლები გადმომცვივდა, მერე მოკრძალებამ მაინც თავისი გაიტანა, დამამუხრუჭა, უსატოვს ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, განეგრძო.

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, სპარაპეტა ხალიჩიანად მოგიყვანეთ, – ყოყმანით დაიწყო უსატოვმა. – დაკითხვას ვაპირებდი, რომ ბატონი ზარანდია მობრძანდა და ხალიჩიანად წაიყვანა... მე მეგონა, რომ თქვენ ეს იცოდით! მას დღეს აქეთ აღარც დაზარალებულები გამოჩენილან, მორიგეობა ჰქონდათ–მეთქი, აკი მოგახსენეთ, შეწყდა მორიგეობა, ალყა ჰქონდათ–მეთქი, აკი მოგახსენეთ, ალყაც მოიხსნა!

– ქურდიც აიყვანა? – რაღაც მნიშვნელოვანი ვიგრძენი.

– დიახ, სპარაპეტა!.. და ხალიჩაც წაიღო, რა თქმა უნდა. მიბრძანა, არც რაიმე გიპოვნიათ, არც ვინმე დაგიპატიმრებიათ, არც ვინმე გაგიშვიათ და, საერთოდ, არაფერი მომხდარაო. გასაგებია, მაგრამ... – უსატოვი დადუმდა და ისევ დამიწყო თავისი მოჭუტული, ეშმაკი თვალებით კირკიტი.

ცხადი იყო, რომ დაზარალებულებს ფეხი პოლიციიდან ზარანდიამ ამოაკვეთინა. უთუოდ აღუთქვა, ხალიჩა უეჭველად დაგიბრუნდებათ, აქაურობას მოშორდითო.

– მაგრამ?.. – დაგვიანებით ვკითხე უსატოვს.

– მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ, სამი დღის წინ... სამი დღის წინ სპარაპეტამ ხალიჩა გაყიდა... თორმეტ ათასად, თქვენო ბრწყინვალებავ, და თბილისიდან აორთქლდა!

– იაფად გაუყიდია.

– მოგეხსენებათ, ნაქურდალი საქონელი...

– ვის მიჰყიდა?

– ჰაჯი–სეიდს და თვითონ აორთქლდა!.. შემიძლია, ჰაჯი–სეიდის ფირმას ხალიჩა ჩამოვართვა, როგორც ნაქურდალი, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ იმაზე ვფიქრობ, ვაითუ ბატონ ზარანდიას როგორმე სხვანაირად სურს... მეორე მხრივ, ვნახოთ და, ხალიჩაც აორთქლდეს?

გულზე მომეშვა, რომ უსატოვმა, როგორც იქნა, ჩემთვის ცნობილ განზომილებებს მიმართა – ჰაჯი–სეიდი, ზარანდია და სხვა ასეთები. დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა, რომ ხალიჩის მოპარვა ზარანდიას მოწყობილი იყო – რაღაცისთვის სჭირდებოდა.

მოლარეს ვუხმე.

– ზარანდიამ რაიმე თანხა თუ შემოიტანა წასვლის წინ?

– თორმეტი ათასი, ასიგნაციებით, თქვენო ბრწყინვალებავ.

– ხაზინაში ჩასაბარებლად?

– დროებით შესანახად.

– მამაცხონებულს, სპარაპეტასთვის ჰონორარიც კი არ მიუცია. – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

– რა ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

– არაფერი, თავისუფალი ხართ.

მოლარე გავიდა, უსატოვს მივუბრუნდი:

– ზარანდია ამჟამად დაღესტანშია, ივან მიხაილოვიჩ. ერთ კვირაში უნდა დაბრუნდეს. ჯერჯერობით კი ისე უნდა მოიქცეთ, როგორც გთხოვათ.

– რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალებავ, რა თქმა უნდა, მაგრამ სპარაპეტა... და იქნებ, ხალიჩაც?!

სპარაპეტას დაბრუნების გარანტიას ვერ მივცემდი, უსატოვს მისი ძებნა–დაპატიმრება ხელმეორედ მოუხდებოდა, მაგრამ ის კი აღვუთქვი, რომ ხალიჩა ყოველ მიზეზს გარეშე დაუბრუნდებოდა პატრონს... ამ დროს ერთი მოსაზრება მეწვია: ზარანდიას დიდი მოღულის ხალიჩა, ცხადია, იმისთვის როდი მოუპარვინებია, რომ ხაზინისთვის შემწეობა აღმოეჩინა. რახან ხალიჩა ჰაჯი–სეიდს მიეყიდა, რაღა თქმა უნდა, ისიც საჭირო იყო, რომ იგი ჰაჯი–სეიდთანვე დარჩენილიყო იქამდე მაინც, სანამ თვითონ ზარანდია დაბრუნდებოდა დაღესტნიდან. აქედან გამომდინარე, უსატოვს ვუბრძანე:

– ივან მიხაილოვიჩ, თქვენი გამოცდილებისა და უნარის იმედი მაქვს, სანამ ზარანდია დაბრუნდებოდეს, ხალიჩა იქვე უნდა იყოს, სადაც ამჟამად არის, თუ გატანა დააპირეს – გამტანითურთ პოლიციაში, თქვენთან! გასაგებია?

– არის, გამტანითურთ პოლიციაში, თქვენო ბრწყინვალებავ! – გამომეჭიმა უსატოვი, დამემშვიდობა და წავიდა.

ხალიჩამ და მის გარშემო შექმნილმა ვითარებამ უსიამოვნო წინათგრძნობა შემომიჩინა. ცოტა გულმოსულიც გახლდით, რომ ოპერაცია ჩემთან შეუთანხმებლად ჩატარდა. ეგ არის, ზარანდიას გამართლება ჰქონდა – თბილისიდან ჩემზე ორი დღით გვიან გავიდა და ვიფიქრე, ხალიჩის ხრიკი, იქნებ, გაუთვალისწინებელმა გარემოებამ მოითხოვა–მეთქი.

ზარანდიას მოადგილეს – შიტოვცევს – ვუხმე.

– რა იცით ამის შესახებ?

– ყველაფერი, თქვენო ბრწყინვალებავ. ბატონ ზარანდიას დეპეშას ველოდებოდი. მივიღე. დღეს დილით მივიღე.

– მერე?

– ძირითად ოპერაციას წინასწარი შემზადება სჭირდება. ესე იგი, ხალიჩის გაყიდვის ფაქტი გვჭირდება. ამის შემდეგ უსატოვს ჰაჯი–სეიდთან გავგზავნით, ჩხრეკას მოახდენს, შეადგენს ოქმს, რომ ჰაჯი–სეიდმა ნაქურდალი საქონელი შეიძინა და გაყიდა... გაყიდვა აუცილებლად საჭიროა, ასე ბრძანა ბატონმა ზარანდიამ. დიახ, უსატოვი ამ ფაქტს დაადასტურებს და ვითომ რაღაც დამატებითი გარემოებების გამორკვევამდე, ხალიჩას

იქვე დატოვებს... ცხადია, სათანადო ხელწერილით. ბატონმა ზარანდიამ ბრძანა, ხალიჩა ჩემს ჩამოსვლამდე ჰაჯი–სეიდთან უნდა იყოსო.

– გასაგებია!

კაცმა რომ თქვას, ბოლომდე გასაგები არაფერი იყო; ვხედავდი, ეს ოპერაცია იმის პირობას ქმნიდა, რომ ზარანდია ჰაჯი–სეიდთან, როგორც დანაშაულის ჩამდენთან, შესულიყო კონტაქტში. ასეთი პოზიცია მათ მომავალ ურთიერთობებში ზარანდიას აძლევდა საჭირო უპირატესობას. ეს ასეა, მაგრამ აქ კიდევ რაღაც იყო და ამაზე ვფიქრობდი, რომ პოლკოვნიკ სახნოვის ადიუტანტის დეპეშა შემომიტანეს. გვატყობინებდა, პოლკოვნიკი თბილისს ამა და ამ დღეს გამოემგზავრაო. უნდა ჩამოსულიყო, ვიცოდით, მაგრამ თითქოს დეპეშის წაკითხვა იყო საჭირო, რომ ერთი საოცარი მიგნება მწვეოდა: რუსეთის დიდგვაროვან ოჯახებს ტრადიციად ჰქონდათ ქცეული, თითო რამ ქონებით ყოფილიყვნენ სხვებისგან გამორჩეული. რომანოვები მთელ იმპერიაში და, ალბათ, მსოფლიოშიც ბრილიანტების საუკეთესო კოლექციას ფლობდნენ; ნარიშკინების გვარის ზოგი წარმომადგენელი ცხენსაშენებით ჯობდა სხვა ოჯახებს; გოლიცინები ბროლისა და ფაიფურის ნაკეთობებით იყვნენ განთქმულნი; იუსუპოვებს უნიკალური საათების სიმრავლით მოჰქონდათ თავი და ასე შემდეგ და შემდეგ. პოლკოვნიკი სახნოვი დედით შერემეტიევთა გვარს ეკუთვნოდა. ამ არცთუ ხანდაზმულ ქალბატონს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ხალიჩების ზღაპრული კოლექცია, რაც შენახვისა და შემდგომი შევსებისთვის ქალბატონმა შერემეტიევამ თავის დედისერთა ვაჟს უბოძა ქორწილის დღეს. შვილთაშვილმა წინაპრების ტრადიცია შესაშური თავგამოდებით განაგრძო. ამბობდნენ, რომელიღაც ხალიჩების შესაძენად მან პერმის გუბერნიაში ცოლის ნამზითვი ტყეებიც კი გაყიდაო და, საერთოდ, მთელ შემოსავალს, ძირითადად, თავის კოლექციას ანდომებსო. ეს სავსებით გასაგებია; მამით საშუალო აზნაურს და, მაშასადამე, თვითონაც აზნაურს, რაიმეთი ხომ უნდა ეჯობნა უკეთესი წარმოშობის კაცებისთვის... წინათგრძნობა შემომიჩნდა–მეთქი, – თურმე სახნოვის ამ გატაცებას მკარნახობდა ქვეცნობიერება და ჩემ წინამე ძნელი თავსატეხი აღიმართა: როგორც უკვე ვთქვი, ზარანდია სახნოვის ამ ჩამოსვლისადმი საგანგებო ინტერესს იჩენდა! მისი ვიზიტისთვის ხომ არ მოამზადა დიდი მოღულის ხალიჩა? ყოველ შემთხვევაში, დიდი მოღულის ხალიჩა და სახნოვის ხალიჩების კოლექცია ერთგვარ უნისონს ქმნიდა...

– ოპერაციის გეგმა მზად გაქვთ? – დავუბრუნდი შეწყვეტილ საუბარს.

– დიახ, – თქვა შიტოვცევმა.

– ვისი მედგენილია?

– ჩემი... ზარანდიას თეზისების საფუძველზე. მიბრძანა, განსახილველად წარმოგიდგინოთ და მხოლოდ თქვენი დასტურისა და ნებართვის შემდეგ ვიმოქმედო. როდესაც მოიცლით... საჩქარო კია, მაგრამ თუ არ გცალიათ... მე მზად ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ.

– დააბრუნეთ უსატოვი და მოიტანეთ გეგმა.

ერთი წუთით მოვლენათა მსვლელობის ტემპს გადავახტები და ვიტყვი, რომ ოპერაცია ჩატარდა და პირადად ჩემთვის, ჩემი სულიერი ცხოვრებისა და ინტერესების ასპექტში,

თითქოს, ყველაფერი რიგზე იყო: დროებით უცნობი დანიშნულების, მაგრამ კონტრდაზვერვისთვის აუცილებელი გეგმა სისრულეში იქნა მოყვანილი! ეგ არის, როგორ მოხდა, რომ დიდი მოღულის ხალიჩის ფანდსა და სახნოვის კოლექციონერობას შორის ინტუიციურად მიგნებულ ხიდს მეტი ყურადღება მაშინვე არ მივაპყრე? მართალია, ვთქვათ, რამდენიმე წლით ადრეც ოპერაციას სამსახურისთვის საჭირო ღონისძიებად ჩავთვლიდი, ჩავატარებდი კიდეც, მაგრამ მოსალოდნელ სხვა შედეგებზეც დავფიქრდებოდი, მხოლოდ ჩემი სტერეოტიპებიდან გამომდინარე ვიმოქმედებდი. ახლა კი, ამ მხრივ, არსებითი, გადამწყვეტი არაფერი მიღონია და ეს, უპირველესად ყოვლისა, ჩემს დამოკიდებულებაში მიმდინარე გარდატეხის ნიშანი იყო. მაგრამ ამაზე – ცოტათი ქვემოთ.

განვაგრძოთ სათქმელი.

ზარანდიას მიერ დატოვებული თეზისების გაცნობას, მათ საფუძველზე შედგენილი გეგმის განხილვა–კორექტირებას, შესაძლო ვარიანტების განსჯასა და ოპერაციის დეტალების დამუშავებას ჩემთვის ახალი არაფერი მოუცია. ზარანდიას ნამდვილი განზრახვა ბურუსით მოცული დარჩა.

საქმე იმით დაიწყო, რომ ჰაჯი–სეიდს ერთი “მდიდარი ფრანგი” ეწვია. სადარბაზო ბარათის მიხედვით, იგი ტრანსატლანტიკური სამგზავრო ნაოსნობის ერთ–ერთი ხელმძღვანელი და იმ კომპანიის მსხვილი აქციონერი იყო. მან ისკანდერ–ეფენდის მეშვეობით აცნობა ჰაჯი–სეიდს, რომ უნიკალურ ნაკეთობათა შესაძენად მოვიდა. მცირე ხნის თავაზიანი საუბრის შემდეგ ჰაჯი–სეიდმა ათი, თორმეტი სხვადასხვა საგანი მოატანინა. მუშტარი თითქმის არ ვაჭრობდა. რაც მოეწონა, უყოყმანოდ იყიდა. რაც ეძვირა – ნოქარს ხელი აუქნია, წაიღეთ, არ მჭირდებაო. შეძენილი საგნები იქვე შეაფუთვინა, ფუთებზე თავისი მარსელის მისამართი დააწერინა. მერე ღირებულება დააჯამებინა, ფირმის პატრონს საკმაოდ დიდი თანხის თამასუქი ადელხანოვის ჩუსტის ფულივით დაუტოვა და წასვლის სამზადისს შეუდგა – პალტო, ხელთათმანები, კალოშები, ქოლგა და სხვა.

“ფრანგი” უკვე ზღურბლთან იდგა, თამასუქის განაღდებასა და ამანათების დროულად გადაგზავნაზე ლაპარაკობდა. ჰაჯი–სეიდს კი “ფრანგის” მისვლისთანავე შეჩენილი კითხვა აწვალებდა: იყო თუ არა ეს მუშტარი დიდი მოღულის ხალიჩის მყიდველი და ღირდა თუ არა ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდება?.. მან ერთი ტყვიით ორი კურდღლის მოკვლის შესაძლებლობა იგრძნო: ნაქურდალი ხალიჩის თავიდან მოშორებისა – ცალკე, და ამ უცხოელის ხელგაშლილობის ხარჯზე ფულის მოგებისა – ცალკე. ოპერაციის ეს კვანძი ფსიქოლოგიურად ზუსტი იყო. მუშტარმა ხელი დასამშვიდობებლად გაიშვირა. ჰაჯი–სეიდს ცთუნებამ სძლია და ისკანდერ–ეფენდის ათარგმნინა – თუ ნამდვილი დამფასებელი ბრძანდებით და ფინანსური მხარეც ხელს გიწყობთ, მაშინ ერთ განსაკუთრებულ რამეს გაჩვენებთო. “ფრანგმა” მშვიდად მიუგო, ვნახოთო.

დიდი მოღულის ხალიჩას სიგანე რვა არშინი ჰქონდა, სიგრძე – ოცდაოთხი და მკვდარ სპილოზე მსუბუტი ოთხიოდ გირვანქით თუ იქნებოდა. დღემდე მიკვირს, სპარაპეტამ როგორ და რა ტექნიკური საშუალებებით მოახერხა მისი მოპარვა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, მაშინ როდესაც, ჰაჯი–სეიდის ფირმის მთელი შტატის მუშაობა, ოფლი

და კრიახი მარტო იმას დასჭირდა, რომ “ფრანგს” ზემო სართულის დიდ დარბაზში გაშლილი ენახა იგი.

მუშტარმა დიდხანს, დაწვრილებით ათვალიერა და სინჯა ხელოვნების ის, მართლაც, სწორუპოვარი შედევრი. ამასთან, საქმის ცოდნა და გამოცდილი ფინანსისტის ცივი თავშეკავებაც გამოიჩინა. შემდეგ ფასი იკითხა, ორმოცდაათი ათასი მანეთიო, გაიგონა. პორტფელიდან ცნობარი ამოიღო, რაღაც ეძება. შემდეგ დასახელებული თანხა ფრანკებში გადაიყვანა და ჰაჯი–სეიდს უთხრა:

– ხვალ დილამდე უნდა მადროვოთ. მოფიქრება მჭირდება.

ხალიჩა აგრაგნეს, მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ ვეებერთელა ყუთში ჩააბრუნეს.

“ფრანგი” წავიდა.

ჰაჯი–სეიდს, ცხადია, ერჩივნა, რომ გარიგება იმ დღესვე შემდგარიყო, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ნამდვილი მყიდველი და ფულის ყადრის მცოდნე კაცი ასე, ერთი ნახვით, საკითხს არ გადაწყვეტდა. სწორედ ამან დაარწმუნა იგი, რომ საქმე სერიოზულ მუშტართან და ღირსეულ კაცთან ჰქონდა.

ძირითადი ამბები მეორე დღეს მოხდა. “ფრანგი” დანიშნულ დროს მივიდა. ჰაჯი–სეიდს დიდი მოღულის ხალიჩაში თხუთმეტი ათასი მისთავაზა. ჰაჯი–სეიდს ცივმა ოფლმა დაასხა: მუშტარმა ხომ არ გაიგო, რომ ხალიჩა ნაქურდალია და ასე ცოტა სწორედ ამიტომ ხომ არ შემომაძლიაო.

– ეგ ფასი, მოსიე, თვით ხალიჩის წარმოშობას აყენებს შეურაცხყოფას, – უთარგმნა ისკანდერ–ეფენდიმ “ფრანგს” ჰაჯი–სეიდის პასუხი.

– მიაქციეთ ყურადღება! ასე დაბალ ფასს სწორედ ხალიჩის წარმოშობა კარნახობს! – მიუგო “ფრანგმა” და ჰაჯი–სეიდის ეჭვი დადასტურდა.

თბილისელი სოვდაგარი კინაღამ ჭკუიდან გადაცდა. რას ელოდა და რა გამოვიდა!.. მხარეების შემდგომი საუბარი გამოძალვასა და შანტაჟს უფრო დაემსგავსა, ვიდრე ვაჭრობას. ჰაჯი–სეიდმა ერთი დაპირება დააპირა, უარი ეთქვა, აღარ ვყიდი, თავი დამანებეთო, მაგრამ ხომ შესაძლებელი იყო, რომ ის ამპარტავანი “ფრანგი” ნაქურდალი ხალიჩის ამბავს პოლიციაში მიიტანდა?.. “ფრანგის” შემდგომი ლაპარაკი სახელდობრ იმას ნიშნავდა, რომ ან თხუთმეტ ათასად მომყიდი, ან ხალიჩასაც დაკარგავ და ხიფათშიც გაებმებიო. ეგ არის, არც ჰაჯი–სეიდი იყო მიამიტი და ბედის დამყოლი კაცი; მან დიდხანს ივაჭრა, მუშტარი ოც ათასზე დაითანხმა, მაგრამ უპირობის ჯარიმისა ხელშეკრულებაში არაფერი უხსენებია. “ფრანგმა” ოცი ათასი მანეთის თამასუქი დატოვა და ჰაჯი–სეიდმა იგი იმ ვარაუდით გაისტუმრა, რომ–დიდი მოღულის ხალიჩას მეორე დღესვე ლონდონში გააპარებდა აუქციონზე გასაყიდად, ხოლო “ფრანგს” თავის თამასუქს მარსელის მისამართით გადაუგზავნიდა ხელშეკრულებაზე უარის წერილითურთ.

ჰაჯი–სეიდი სთვლიდა, რომ ხაფანგს თავი დააღწია და კმაყოფილი იყო.

ჩვენც კმაყოფილი დავრჩით, რადგან სასურველ ვითარებას მივაღწიეთ: ჰაჯი–სეიდი მხილებული იყო, როგორც ნაქურდალი საქონლის შემსყიდველი და გამყიდველი და არა, როგორც მარტო მყიდველი.

შემდგომი ამბების დაწვრილებით აღწერა არ ღირს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჰაჯი–სეიდმა ათასნაირად სცადა უსატოვისა და მისი ხელქვეითების ალყიდან თავის დაღწევა, მაგრამ საქმე მაინც ისე დამთავრდა, როგორც ჩაფიქრებული იყო: ჰაჯი–სეიდის დაპატიმრებისთვის სრულიად საკმარისი მონაცემები და საბუთები ხელთ გვქონდა. უსატოვმა მას შინაური პატიმრობის ორდერი წაუკითხა, გაუთქმელობის ხელწერილი ჩამოართვა. დიდი მოღულის ხალიჩა დაილუქა და ფირმის საწყობის გამგეს ჩაბარდა, როგორც რეკვიზირებული საგანი.

დანარჩენი, ზარანდიას განკარგულების თანახმად, მისი ჩამოსვლის შემდეგ უნდა გაკეთებულიყო.

იმ ორმა დღემ ოპერაციის ხელმძღვანელობაში, დეტალების განსჯასა და სწრაფი გადაწყეეტილებების მიღებაში ჩაიარა. ცალკე აზარტმა ამიტანა და კიდევ ერთი მოულოდნელი ამოცანით ვიყავი დატვირთული: ჩემი გამოცდილებისა და წარსულში ჩატარებული ოპერაციების პატრონს შიში მქონდა, რომ, ვაითუ, იმ დონეზე, ისეთი შედეგიანობით ვერ შემესრულებინა ამოცანა, როგორც ამას თვით მუშნი ზარანდია გააკეთებდა. ეს შინაგანი შეშფოთება და სიფრთხილე ოპერაციის დაგეგმვის პროცესშივე აღმოვაჩინე და გიჟივით გამეცინა. ხელქვეითები გაკვირვებით შემომაჩერდნენ, რა ხდებაო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეშეცნეული შიშის გაცნობიერება დროზე შევძელი, მაინც ვერ მოვიშორე თავიდან იგი იქამდე, სანამ საქმე არ დამთავრდა. ასეთ ვითარებაში სხვა რაიმეზე ან თუნდ ამავე ღონისძიების სხვა მხარეებზე დაფიქრების დრო სად იყო!

ოპერაცია შაბათს დაგვირგვინდა, ასე, დღის სამი საათი იქნებოდა. დამთავრდა თუ არა, მაშინვე საშინელმა დაღლილობამ და დეპრესიამ დამრია ხელი. რატომღაც აბანო, მექისე, თბილი გოგირდოვანი წყლის მსუყე სუნი მომინდა. ჩავჯექი ეტლში, დაღმართებს ჩავუყევი ორბელიანების აბანოსკენ.

ცოტა ხნის მერე მარმარილოს ტახტზე პირქვე ვიწექი, ქიამბიზა მექისე სიქას მაცლიდა. თავის ქალაში ფიქრების წვერდაკარგული გორგალი მედო, აზროვნების უნარი მიმყუჩებოდა. კარგა ხანს ვიყავი ასე დამუხრუჭებული და გარინდებული. შეინძრა თუ არა აზრი, იმწამსვე უდავო ჭეშმარიტებად წარმომიდგა ის, რომ ზარანდიას დიდი მოღულის ხალიჩა სახნოვის რაღაც მახეში გასაბმელად სჭირ–

დებოდა – სხვა არაფრისთვის. ამაზე ჩემთვის ორი აზრი აღარ არსებობდა და მხოლოდ ის არ ვიცოდი, თუ, სახელდობრ, რას დამართებდა ზარანდია სახნოვს ასეთი მისატყუარის გამოყენებით. ცხადი იყო, რაღაც ძლიერ მნიშვნელოვანს, გადამწყვეტს, საბედისწეროს უმზადებდა ჭკვიანი და ცბიერი კაცი შეზღუდულსა და ვირეშმაკა კაცს. ფიქრი რამდენიმე წამით გამიწყდა, რადგან ქიამბიზა ზურგზე ფეხით შემდგა, ხერხემლის მალებმა და სახსრებმა ტკაცატკუცი ატეხეს. ფეხის ტერფმა კისრიდან კუდუსუნამდე წკნელის ფარცხივით ჩამიარა, სიმსუბუქე ვიგრძენი და... სახნოვის სიბრალული მეწვია. წარმომიდგა დიდი მთავრის ფეხებში ჩავარდნილი ნათლული და ანაზდად ისიც ცხადი

შეიქნა, რომ დამღუპველი ხრიკი ზარანდიას ჩაფიქრებული, მაგრამ ჩემი შესრულებული იყო...

– ვაშ სიატელსვ, გაგრილება ნადა? – ჩამესმა ქიამბიზას ხმა.

კვერი დავუკარი. გახურებულ სხეულზე იმავ წამს ქარიშხლის ტალღასავით დამაცხრა მთელი ზღვა. მექისემ მხრებზე ვეება ზეწარი წამომასხა და გამომეთხოვა. შინისკენ წამოსულს სინდისის ქენჯნა შემომიჩნდა. მთელი საღამო სავარძელში გავატარე. ლოგინში ჩავწექი – იმავე ფიქრებმა ბარე სამ საათს შამფურივით მატრიალეს. მერე სისხამ დილით გამომეღვიძა, შუადღემდე ვიწექი და საფიქრალს კი მაინც ვერ გავართვი თავი. მაშინ სასწრაფოდ ჩავიცვი, სამსახურისკენ გავწიე, იქნებ მუშაობას გადავაყოლო–მეთქი გული.

ამჟამად მხოლოდ დაახლოებით, საერთო მონახაზში შემიძლია, აღვადგინო ის, რაც მაშინ მაწვალებდა და ვიტყვი კიდეც, რადგან... რადგან ჩემი მომავალი ცხოვრება აქედან დაიწყო.

ჩემი მეშვიდე წინაპარი, გრაფი ლაიოშ სეგედი, რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა, რუს ქალზე დაქორწინდა და ამის შემდეგ ჩვენს შტოს სხვა ტომის სისხლი აღარ შერევია. ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა წლიდან მოკიდებული, ჩემმა წინაპრებმა ერთადერთ სამშობლოდ რუსეთი აღიარეს და ტახტის სამსახურს შეალიეს თავისი ნიჭი, სინდისი და სიცოცხლე. დაუფასდათ კიდეც – მამულები, თანამდებობები, პატივი, დიდი ჯამაგირები. მე მათი ერთადერთი მამრობითი სქესის მემკვიდრე ვიყავი და, რა თქმა უნდა, ჭაბუკობაშივე რწმენად მექცა, რომ სამსახური მხოლოდღა მყარი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალება კი არა, ერთგულების, პირუთვნელობისა და თავდადების ასპარეზი იყო, რომელსაც ჩემი ადამიანური ღირსებების შემდგომი რაფინირებისა და ნაკლთა აღმოფხვრის პირობა უნდა შეექმნა. ვიცოდი, რომ მოვალე ვიყავი, მამულისთვის მიმეცა ყველაფერი, მიმეღო კი მხოლოდ იმდენი, რამდენიც ყველაფრის მიცემისთვის იყო საკმარისი და, თავის ქებაში თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი – ასეც ვცხოვრობდი. ამის შედეგად დავრჩი მარტოხელა, უშვილო და სიბერეში მიუსაფარი.

სორბონაში სტუდენტობის დროსაც და შემდეგ კიდევ თერთმეტი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიის საიდუმლო სამსახურის კაცი ვიყავი ევროპაში. მოვიდა დრო, პირადად ჩემგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ევროპაში აღარ დამედგომებოდა, პეტერბურგში გამომიძახეს. სამშობლოში დაბრუნებისას უკვე პოლკოვნიკის ჩინი მქონდა. ვგონებ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის შეიარაღებულ ძალებში ჩემზე უმცროსი ან ჩემი ხნისა და ასეთი ჩინით სულ რამდენიმე ოფიცერი იყო. საზღვარგარეთულმა ფიასკომაც კი წმ.ალექსანდრე ნეველის ორდენი მარგუნა – იმპერიის ერთი უმაღლესი ჯილდოთაგანი. ამით კუდის მოქნევა და ტრაბახი კი არ მსურს, არამედ იმის თქმა მინდა, რომ ყველა გზა ხსნილი მქონდა, მრავალი მნიშვნელოვანი თანამდებობა ლანგარზე მედო და რომელსაც მოვინდომებდი, იმას ავირჩევდი. ჟანდარმერია, საიდუმლო პოლიცია ავირჩიე და ამ სამსახურის იმჟამად ერთ–ერთი ურთულესი უბანი – კავკასია! ვინმემ იქნებ ასეთი არჩევანის ათასი სულიერი და მატერიალური მიზეზი გამომინახოს. ამაოდ დაშვრება, მიზეზი ერთი იყო: ვიცოდი რომ მაღალი ადამიანური ღირსებების შენარჩუნება აქ უფრო ძნელია, ვიდრე სხვაგან. ამ სიძნელეებთან პირისპირ ყოფნის წყურვილმა მიმიყვანა ჟანდარმერიაში. ამით მე განვაგრძე ჩემი საომარი ურთიერთობები ცთუნებებთან, ჩიხებთან, ზერელესთან და ნაჩქარევთან, უღირსთან და

მცდართან საკუთარ არსებაში. ვცხოვრობდი, ვმსახურობდი, დათა თუთაშხიას ენით რომ ვთქვა: "ვებრძოდი ჩემს თავს" და მიხაროდა გამარჯვებები. სამსახური იყო წყარო ჩემი სულიერი კმაყოფილებისა თუ ჯავრისა და უამისოდ სიცოცხლე არ შემეძლო. მქონდა სტერეოტიპების ვრცელი კომპლექსი, მქონდა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული დამოკიდებულება და არ მქონია, ვფიცავ განგებას, არ მქონია კომპრომისი, სანამ ჩემს რწმენას სატანასავით არ მოევლინა მუშნი ზარანდია. კომპრომისიც არის და კომპრომისიც; მე არ ვლაპარაკობ კერძო შემთხვევაზე, როცა, ვთქვათ, პირადი უნდა გაიწიროს ეროვნულად თუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანისათვის და ეს ვერ შევძელი ან იმაზე, რომ მუშნი ზარანდიამ თავისი სანდომიანობითა თუ სულის ძლიერებით, ერთადერთხელ ჩემი მხრივ, ამა თუ იმ ზნეობრივ დათმობას მიაღწია. არა! აქ ლაპარაკია ჩვევების ძირფესვიან აღრევაზე, თვისებრივი გარდატეხების უცხადეს ნიშნებზე დამოკიდებულებაში, ბომონთა მსხვრევაზე... ერთი სიტყვით, გამოვიდა ისე, რომ სწორედ ამ სამსახურში შემომეფანტა ის, რის შესანარჩუნებლადაც მოვედი.

სახნოვზე ნამოვიკარი ფეხი!

მოქალაქეობისა და სამსახურის ასპექტში ჩემი დამოკიდებულების საძირკველი და ხერხემალი ის სტერეოტიპი იყო, რომ მთელი კაცობრიობა წარმოდგენილი მყავდა, როგორც "ჩვენ" და "სხვები".

"ჩვენ" ვიყავით ყველა, ვინც შეგნებულად იზიარებდა ტახტის ერთგულების, რუსეთის იმპერიის მთლიანობის, მისი მსოფლიო–ისტორიული როლის ზრდის აუცილებლობას და ამ იდეას ემსახურებოდა. მოყვანილი პრინციპის ყველა სახის მოწინააღმდეგეები ჩემთვის "სხვები" იყვნენ. აქვე და საგანგებოდ ნდა გამოვაპირობო: "სხვების" მიმართ რაიმე ზიზღი ან სიძულვილი არასოდეს მქონია. მქონდა სიფრთხილის გრძნობა. ვიცოდი, რომ დედამიწის ზურგზე მხოლოდ "ჩვენ" ვერასოდეს ვიქნებოდით, "სხვებიც" აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ და, ამასთან, დიდი უმრავლესობის სახით. ასე აღმზარდეს და აღზრდის მეთოდი, როგორც შემდგომში მივხვდი, ემყარებოდა პრინციპს – "ჩანასახშივე ჩაიხშოს სიძულვილის ყოველგვარი გამოვლინება, დაიმყნოს კეთილგონიერი მიმტევებლობა და შემუშავდეს თავდავიწყებული სიყვარული ყველაფერ "ჩვენის" მიმართ". მაგრამ დავუბრუნდეთ ძირითად თემას. ხსენებული სტერეოტიპიც ნაწევრებისგან – სამი ქვესტერეოტიპისგან შედგებოდა. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემი სამსახურის, პროფესიის სპეციფიკა მაქვს მხედველობაში და განვმარტოთ: "სხვა" სახელმწიფოებთან თუ მათ მოქალაქეებთან ურთიერთობის მომწესრიგებელ ფაქტორად საერთაშორისო სამართლის ნორმები, დიპლომატია და სამხედრო ძლიერება მიმაჩნდა. რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ, ანუ შინაურ "სხვათა" და "ჩვენს" შორის ბჭედ მქონდა კანონი და კანონიერება, რომლის წინაშე ყველა, მიუხედავად გონებრივი, წოდებრივი თუ ქონებრივი მონაცემებისა, თანასწორი იყო. ამ ორი სახის "სხვათა" დანაშაულის კვლევაძიებისას ცბიერი, ვერაგი ფანდების გამოყენება შესაძლებლად მიმაჩნდა იმიტომ, რომ ეს იყო ბრძოლა მტერთან, მაშინ, როდესაც "ჩვენს" კაცზე შემოსულ დასმენას (მესამე ქვესტერეოტიპი) ან ასეთი კაცის მხრიდან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებასაც კი ვუყურებდი, როგორც მოყვასის შეცდომას, კვლევა–ძიების პროცესში მას ფრაქციონერად ვთვლიდი და მხოლოდ ღირსეული მეთოდებით ვმოქმედებდი – ცხადია, იქამდე, სანამ მოსისხლე მტრობას დავინახავდი.

პოლკოვნიკი სახნოვი მარტივი ფსიქიკის კაცი იყო, იმდენად მარტივი, რომ "სხვათა" ბანაკშიც რომ გადაბარგებულიყო და შეურიგებელი მტრობა განეზრახა, ზიანს მაინც ბევრს ვერაფერს მოიტანდა. ეს ცხადია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც სადმე გადაბარგებულა და არც ტახტისა და სახელმწიფოს მტრობა გაუვლია გულში. ყველაფერ იმას, რასაც ჩემი წინაპრები და მე პირუთვნელად ვემსახურებოდით, სათავეში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა და უავგუსტესი ოჯახი ედგა. ეს იყო იმპერიის წმიდათაწმიდა ფუძე და საწყისი, სახნოვი – მეფის კარის მიერ ნათესავად აღიარებული კაცი და, მაშასადამე, არამცთუ "ჩვენი", არამედ იმის განსახიერებაც, რისთვისაც "მოვალე ვიყავი, მიმეცა ყველაფერი და მიმეღო კი მხოლოდ იმდენი, რამდენიც ყველაფრის მიცემისთვის იყო საკმარისი"...

მუშნი ზარანდია და მე ვაპირებდით, სახნოვს, ანუ "ჩვენს" კაცს, ისე გავსწორებოდით როგორც "სხვას"!

ზემოთქმული მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ჩემი დანაშაულისა. მეორე, უფრო მძიმე და გაცილებით მნიშვნელოვანი, იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა დროისა და ერის იმპერიათა არსებობის საფუძველთა საფუძველი ხელვყავი, თუ შეიძლება ითქვას, წესდება დავარღვიე. საქმე ის არის, რომ იმპერიის შემთხვევაში "ჩვენ" ორი შენაკადის – "მპყრობელი ერის შვილებისა" და "უცხო ტომის კაცების" – პირობითი ერთობლიობაა. "მპყრობელი ერის შეილები" საკუთარ სახელმწიფოებრიობას ახორციელებენ, ანუ თავისი ერის აღზევების საქმეს ემსახურებიან; "უცხო ტომის კაცები" სხვის სამსახურში დგანან, ლანდსკნეხტებისა და კონდოტიერების ყველა იმპერიისთვის აუცილებელ ფენას შეადგენენ. ისინი, ფორმალურად, მპყრობელს ემსახურებიან და მათი სამსახურის ფაქტიური მიზანი კი ჯერ თავკერძული და მერე კარგად შენიღბული საკუთარ–ეროვნული მიზნების განხორციელებაა, რაც, საერთო ჯამში, ეწინააღმდეგება ხოლმე იმპერიის ინტერესებს.

ისტორიულად ცნობილია კიდევ ერთი რამ: იმპერიის ძნელბედობისა და კატაკლიზმების დროს მპყრობელი ერის შვილების დიდი უმრავლესობა, მიუხედავად მსოფლმხედველობისა, ურყევად დგას სახელმწიფოს მთლიანობის პოზიციებზე, მაშინ, როდესაც უცხო ტომის კაცთა დიდი უმრავლესობის ხვედრი განდგომა და სეპარატიზმია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარეგნულად თუმც ორივე შენაკადი ერთ პრივილეგირებულ, მმართველ წოდებას შეადგენს, მაინც ორივე მხარემ იცის თანაარსებობის ჭეშმარიტი პრინციპი: "მპყრობელმა ერმა უცხო ტომის კაცები უნდა გამოიყენოს, მა–

გრამ ბოლომდე მათი ნდობა დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, თუ წარსულში რომელს რა დამსახურება აქვს ტახტისა და იმპერიის წინაშე". მპყრობელი ერის შვილსა და უცხო ტომის "ჩვენს" კაცებს შორის აღმოცენებულ ყველა კონფლიქტში და სახნოვ–ზარანდიას შემთხვევაშიც, ჩემს მამულიშვილურ მოვალეობას შეადგენდა, მართალია, ერთობ დაბალი, მაგრამ მაინც მდგრადი ღირებულების, ანუ სახნოვის, მხარი დამეჭირა. მე პირიქით ვიქცეოდი და სწორედ ეს იყო საფუძველთა საფუძვლის ხელყოფა, წესდეგის დარღვევა!

ზარანდიამ სახნოვის წინააღმდეგ რომ "სხვათათვის" განკუთვნილი ხერხებით დაიწყო მოქმედება, დავიდებ გულზე ხელს და ვიტყვი – ბუნდოვნად, მაგრამ იმთავითვე ვგრძნობდი. ახლა დადგა დრო, ჩემთვის ცხადი შეიქნა, სახნოვი ზარანდიას

პროვოკაციების ქსელში რომ ებმებოდა და არამცთუ ვიღონე რამე – ვეშველებოდი! ვიცოდი ხმა უნდა ამემაღლებინა, სათქმელი მეთქვა, გამოსატანი მზის სინათლეზე გამომეტანა, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად არაფერი მქონდა, გარდა შეგნებისა, რომ სახელდობრ ასე უნდა მოვქცეულიყავი, ხოლო ასე მოქცევის სურვილისა კი ნატამალიც არ გამაჩნდა. ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ ასე იქცევიან, ასე ცხოვრობენ, ამაში ცუდს არაფერს ხედავენ და თავისი თავის საყვედური აზრადაც არ მოსდით, მაგრამ ჩემთვის ყოველივე ეს ნამდვილი ტრაგედია იყო. მე ჩემს თავს ვთვლიდი იმ მოგვად, რომელმაც წმიდა კოცონი გულივერის მეთოდით ჩააქრო. მეტიც, ვგავდი იმ წესიერ ადამიანს, რომელმაც სრულიად მოულოდნელად მაწანწალობასა და მემთვრალეობას მიჰყო ხელი, ერთ დილას მთელი სიცხადით აღიქვა თავისი სულიერმ კატასტროფა და ნებისყოფა კი ვერ გამოიჩინა, რომ წერტილი დაესვა, უწინდელ კალაპოტში ჩაეყენებინა თავი. ასეთები მემთვრალეობაშივე ეძებენ ხსნას. აღმოვჩნდი უდიდესი საშიშროების წინაშე: კომპრომისების დამოკიდებულების გამუდმებული რღვევისა და სინდისის ქენჯნის სამყაროში გადასახლება მელოდა.

**ქალბატონი თიკო ო–ნი**

... გამოცდილება მაშინ მოვიდა, როცა საჭირო აღარ იყო. მაგალითად, ორმოცდათხუთმეტი, სამოცი წლისას მამაკაცებთან ურთიერთობის საიდუმლოებათა ცოდნა რაშიღა გამომადგებოდა?! მანამდე კი, როცა მესაჭიროებოდა, ამ მხრივ მყარი და საიმედო არაფერი გამაჩნდა. რა ვიცი, მესაჭიროებოდა? მერე რა – არც ერთადერთი ვარ, არც უკანასკნელი და არც გამონაკლისი: ადამიანები უბელო ქიმერებზე სხედან, მათ ნებაზე დაეხეტებიან; ჰგონიათ კი, თავისი ოცნების რაშებისთვის ცხრა აღვირი აქვთ ამოდებული და მხოლოდ საკუთარი სურვილით ამორჩეულ გზებსა თელავენ. ერთი მეგობარი ქალი მყავდა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ძებნაში, შეძენასა და გამოყენებაში ატარებდა ცხოვრებას. მაინც ოთხი შვილი შობა და კინაღამ მეხუთე ფეხმძიმობას გადაჰყვა. ასე, სამოცისამ მითხრა – ორსულობის თავიდან აცილების ყველა ხერხი ზედმიწევნით ვიციო; არც საქმეს ეტყობოდა და არც ის შემინიშნავს, თავისი ცოდნა ვინმესთვის გაეზიარებინოს. ბავშვობაში ზღაპარს მიამბობდნენ ხოლმე: მიხრწნილმა ბერიკაცმა სიკვდილის წინ ოქროთი სავსე ზანდუკი კუნაპეტ ღამეში სადღაც წაიღო და ისე დაფლა, რომ ვეღარავინ იპოვნა იმ ბერიკაცში ორი ბუნება იყო: ერთი აგროვებდა, რომ რაიმეში გამოეყენებინა; მეორემ ისე დაფლა, რომ საერთოდ ვეღარავინ გამოიყენა! მეც ასე ვიცოცხლე. თურმე, ორი სული მდგმია, არ ვიცოდი, სიბერეშიღა გავიგე. პირველს ეგონა და მოქმედებდა; მეორემ სიმართლე იცოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა – როცა საჭირო აღარ იყო, მერეღა თქვა. პირველი იმ ქათამსა ჰგავს, რომელიც კვერცხის დასადებად ჯდება და ჰგონია, რომ ამ საქმეს მხოლოდ და მხოლოდ პატრონის საუზმისთვის სჩადის! მეორე – მრევლს, რომელმაც სიცოცხლეში ერთთავად სანატრელი ფლავი მოლას საფლავში ჩააყარა... არა, მამაკაცებთან ურთიერთობის გამოცდილება ლოგინიდან, პრაქტიკიდან არ შემიძენია – დაკვირვებიდან შევიძინე. ლოგინიდან შემეძინა – სანამ რამედ ვვარგოდი, ის გამოცდილება მანამდე მექნებოდა და არა ორმოცდათხუთმეტ–სამოცისას. უჰ, საით წავედი!.. საცოდავ მიტო ზურაბიშვილზე დავიწყე, რომ დათა თუთაშხიას ამბავი მეთქვა და ისევ ჩემ თავთან კი მოვედი. სხვანაირად ლაპარაკი არ ვიცი. როგორც უნდა ვეცადო, მაინც ისე გამომდის, რომ საცრიდან გავცქერი სამყაროს. საცერი მე თვითონ ვარ, ამიტომ ჩემს თავზე მეტს ვლაპარაკობ, ვიდრე იმაზე, რაზეც საუბარს დავიწყებ ხოლმე. სხვებიც ასე არიან, მაგრამ ჰგონიათ, რომ არა. მიკერძოებულობისა და თავის თავზე დაუკვირვებლობის ბრალია; ეს სულიერი ვითარება ჩემთვის კარგად არის ცნობილი. აი, მიტო ზურაბიშვილი რომ შემიყვარდა, ასე მეგონა, რევოლუციონერია, ერისა და ხალხისთვის თავდადებული

კაცია და ამისთვის შემიყვარდა–მეთქი. მართალია, ცხრაასიანი წლების დასაწყისისთვის ადამიანის გონება უკვე რევოლუციის სულით იყო შეპყრობილი, “ხალხი, სამშობლო, თავისუფლება!” – ამას მაგიური ძალა ჰქონდა და, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მრწამსი, იდეა აპირობებდა პიროვნების საქციელს, მაგრამ სიყვარულს მაინც სხვა პირველმიზეზები და საწყისები აქვს... თუნდაც სოფლის მასწავლებლობა ვთქვათ – ხალხში ცოდნისა და სიმართლის გავრცელების საშუალება იყო. პოლიცია ამ საქმეს ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურ მოღვაწეობად თვლიდა. მე რომ სოფლის მასწავლებლობას მოვკიდე ხელი, ეს ნაბიჯი ბევრმა რევოლუციისა და თავისუფლებისთვის მსხვერპლის გაღებად ჩამითვალა. სიმართლე რომ ვთქვა, მე თავადაც ასე მეგონა; ვთვლიდი, რომ ბრძოლის ინტერესების გამო გავიხიზნე თბილისიდან. არა, მაინც რა უფლება მქონდა, ასე მიმეჩნია?! დამიძახეს – ღმერთო, მერამდენე დაძახება იყო!.. მითხრეს, ან პენზაში თუ კოსტრომაში გადაგასახლებთ, ან სადაც გეტყვით, იმ სოფელში მასწავლებლად წახვალ და, ამასთან, ერთ ჩვენს დელიკატურ დავალებასაც შეასრულებო! მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმოგდნენ – საიდუმლო აგენტოგას, მაგრამ რა მექნა, დანაშაული მქონდა, მართლა გადასახლება მემუქრებოდა... ძალიან თავზეხელაღებულ საქმეებში შევყევი მიტოს და ბოლოს ყველაფერი გამჟღავნდა. როცა მივყვებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რევოლუციას ასე სჭირდება, ამას იმიტომ ვჩადი–მეთქი. სულ ტყუილი გამოდგა – სიბერემ მომიკაკუნა და მაშინ ნათლად დავინახე, რისკში სიყვარულმა შემითრია, უგონოდ მიყვარდა მიტო ზურაბიშვილი. ჩვენი მომავალი ცოლქმრობის ეშხი, თორემ სულაც ვერ ვერკვეოდი, რამდენად საჭირო იყო ჩემი მონაწილეობა ბრძოლაში და რამდენად – არა... პენზაში თუ კოსტრომაში რა მინდოდა, როგორ მეარსება, რა სულიერი საზრდო გამეჩინა? მითხრეს თუ არა, მაშინვე გავიფიქრე, დამავალონ, რა მენაღვლება, დავპირდები, არც რასმე შევუსრულებ და, ნეტავი, რას მიზამენ–მეთქი.

დავთანხმდი. ხელწერილი ჩამომართვეს. მეტი რა გზა მქონდა... ჰო, ეს უკვე ვთქვი. ხელწერილი კი იმაზე ჩამომართვეს, რომ მასწავლებლობა იმ სოფელში უნდა დამეწყო, სადაც დათა თუთაშხიას საყვარელი ცხოვრობდა. მდგმურადაც იქ უნდა დავმდგარიყავი, თუთაშხიას საყვარლის, ბეჩუნი პერტიას სახლში, თუკი გაქირავებაზე არ იტყოდა უარს... არ უთქვამს, წინასწარ დაარწმუნეს, – მდგმურის აყვანა გირჩევნია, პოლიცია იფიქრებს, ბეჩუნი პერტიას, ალბათ, ის უნდა, რომ დათა თუთაშხიამ მასთან სიარულს უკლოს ან სულაც ამოიკვეთოს ფეხიო.

ჩავედი. მამასახლისმა ჯერ სხვა ბინები მაჩვენა. არ მოვიწონე. მერე ვიღაცამ უთხრა, ბეჩუნიც გააქირავებსო. მამასახლისმა თვალები დაჭყიტა და აბრაგის საყვარელთან წამიყვანა, ეს მირჩევნია–მეთქი, ორ ოთახში დავდექი.

ის სოფელი მაშინაც კარგა დიდი იყო, უბანიც მომეწონა; სახლები ერთმანეთისგან შორიშორ იდგა, მოზრდილი, დაბანილ–დავარცხნილი ეზო–კარი ჰქონდათ. ირგვლივ კრუხ–წიწილი ჟივჟივებდა, ბავშვების ჟრიამული იდგა. ღამღამობით მახლობელ ჭაობებში ბაყაყები ერთმანეთს ყიყინში ეჯიბრებოდნენ და აშვებული ძაღლები დაგვიანებულ მგზავრებს გაბმითა ჰყეფდნენ.

ისიც წინასწარ ვიცოდი, რომ ჩემი სახლის პატრონი ტყის მცველის ქვრივი იყო. უფრო ხნიერი მეგონა – ოცდარვა–ცხრა წლისა აღმოჩნდა. ბიჭუნა ჰყავდა – ექვსისა, მეშვიდეში. ეს იყო და ესა მისი ოჯახი. დინჯი, ტანადი, ჩუმი ქალი იყო , იმდენად ჩუმი, რომ ხანდახან

კვირა გაივლიდა და იმის ხმას ვერავინ გაიგონებდა, მაგრამ თვალში თავიდანვე მეცა: ქვრივის დუმილი ბეჩაეი ადამიანის სიჩუმე ან გლოვის სიმძიმილი როდი იყო – ამაყი განდგომა იყო. ეს მას ერთგვარ ღირსებას სძენდა და თითქოს მნიშვნელობასაც მატებდა. მამაკაცებისგან გამიგონია, – ქალი ქალის სალოგინო ღირსებებს ვერ შეაფასებსო. მართალი არ არის. ჩვენ უფრო ვხედავთ, და ის ბეჩუნი პერტია, ამ მხრივ, დიდი ვერაფერი შვილი იყო.

მოვაგროვე ბავშვები და საქმეს შევუდექი. რაც დრო გადიოდა, მით მეტად მაცვიფრებდა მათი ნიჭი, მეხსიერება, ცოდნის წყურვილი და თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი: კოლხეთის უძველეს მიწაზე ვცხოვრობდი, ჩემს ხალხს ვემსახურებოდი, ბიბლიურ მეჩირაღდნესავით სინათლე მიმქონდა. თავისუფალ დროს კითხვას, მიწერ–მოწერას და ჩემი წარსულის თვალიერებას ვანდომებდი. ეს წარსული პატარა და მღელვარე იყო. მაშინ მე ჩემი დიასახლისივით ოცდამეცხრე წელიწადში ვიდექი. მეგრულს მარდად ვლაპარაკობდი, რადგან დედით მეგრელი ვარ და ერთხანს გადიაც მეგრელი ქალი მყავდა. ჩემდა სასირცხვოდ, იქ ეს არასოდეს გამიმხელია. ვიცოდი, ენის დამალვა სხვისი საიდუმლოს ქურდობას ჰგავს. მაინც დავმალე. ეს დანაშაული, ალბათ, ასაკმა ჩამადენინა. მომეტევოს – სინდისის ქენჯნა მეყოს სასჯელად.

გავიდა ცოტა ხანი და ჩემი დიასახლისის გარეგანმა იდუმალებამ გარკვეული არსი შეიძინა, სურვილის წინააღმდეგ საფიქრალში ჩამითრია.

კვირა დღე იყო, შინ ვბრუნდებოდი. ბარდღუნია დამთვრალიყო, ფილთა თოფი გამოეტანა, ალიაქოთი ედგა. ეს ჭაბუკი მეწისქვილის შვილი გახლდათ, ასე, ოცი წლისა იქნებოდა. დათვრებოდა, ფილთა თოფს გამოიტანდა, მეზობლების შინაურ ცხოველებს უშვერი ლანძღვა–გინებით დასდევდა. თოფი მოშლილი იყო, ბარდღუნია თვითონ ღრიალებდა – ბახ, ბახ, ბახ! და სანამ ღვინო გამონელდებოდა, იქაურობას იკლებდა. მის ასეთ გამოსვლებს მთელი მეზობლობა ესწრებოდა, ბავშვები ბარდღუნიას გუნდ–გუნდად დასდევდნენ და მასთან ერთად ყვიროდნენ: – ბახ, ბახ ბახ! ქუჩაზე რომ შემოვუხვიე, ბარდღუნია ქაჯაიების ბოჩოლას მოსდევდა. უკვე ჩვენს ჭიშკართან ვიყავი მისული, რომ დამინახა. ბოჩოლას თავი მიანება, მეგრულად დაიძახა: – ბეჩუნიას ინდოური მოვიდაო, და პირდაპირ ჩემსკენ გამოქანდა. ჭიშკარში ვერ შევასწარი, გზაზე გადამიდგა. ძალიან შემეშინდა, ძალაუნებურად ღობეს მივენდე და სწორედ ამ დროს ბარდღუნიას ჩემი დიასახლისის სილა ლოყაში მოხვდა.

იქაურობა მყისვე მიჩუმდა. მოსეირეები ღობეებზე გადმოიხარნენ. ბავშვებმა სალოკი თითები პირში გააქანეს და გაინაბნენ.

ბარდღუნიას ყელის ძარღვები დაებერა, სახეში სისხლმა აასხა, კბილებიდან გამოსცრა:

– რას გიზამ, თუ იცი!– ხომ არ გგონია, მისი მეშინოდეს მე...

– კი, მგონია! – მშვიდად, ხმადაბლა მიუგო ქვრივმა. – წაეთრიე!

ბარდღუნიამ ვეღარაფერი მოახერხა, ხმა ჩაუვარდა, ერთიანად აცახცახდა. მერე დაიღრიალა, ფილთა თოფი მოისროლა და თავისივე ტანისამოსის შემოხევას მიჰყო ხელი.

დიასახლისი მკლავში მწვდა, ეზოში შემიყვანა.

ბარდღუნიამ პერანგის ამხანაგამდე ყველაფერი შემოიხია და გადაყარა. ქალებმა ვიშვიში ატეხეს, კაცებმა გახელებულს მკლავები გადაუგრიხეს, შინისკენ წაიყვანეს.

– სილა როგორ შებედე, რამე რომ ექნა... რომ გაერტყა?! – ვთქვი მე, როცა აივანზე ავედით.

დიასახლისმა ოდნავ მღიმარი თვალები შემომანათა:

– ვერავინ ვერ გამიბედავს ვერაფერს!

– როგორ!

– ისე! – მომიჭრა ქვრივმა, ტოლჩა აიღო და ეზოში აბრუნდა.

მიყუჩებული ქალები ქვრივს გამოჰყურებდნენ. ბეჩუნიმ ეზო დინჯად გაიარა, სამზადთან ნაწნავი ზურგზე გადაიგდო და კარს მიეფარა.

მოთვალთვალეები უხალისოდ გაიკრიფნენ.

საღამო ხანს ეზოში ორი დედაბერი შემოვიდა. ჩემმა დიასახლისმა სტუმრები კაკლის ძირას სკამებზე დასხა. ფანჯარა ღია მქონდა, თითქმის ყველაფერი მესმოდა. ისე გამოდიოდა, რომ ბარდღუნიას საქციელისთვის ბოდიშს იხდიდნენ, ბეჩუნის უხდიდნენ, ჩემი სახელის ხსენება არსად იყო.

– მასწავლებელს მოუხადოს ბოდიში ხვალ! – უთხრა ბეჩუნიმ დედაბრებს ჭიშკართან.

ვითომ დათა თუთაშხიაზე სათვალთვალოდ გამომგზავნეს და მე კი არც მისი ცხოვრებისა გამეგებოდა რამე, არც იმისა, თუ რა პიროვნება იყო. ეს გვარ–სახელი და მასთან დაკავშირებული რაღაც ამბები გაგონილი მქონდა; ვინც საიდუმლო პოლიციაში ხელწერილი ჩამომართვა – თუ მეხსიერება არა მღალატობს, ვინმე კნიაზევი იყო, პოლკოვნიკი, – კარგა ბლომა რაღაცები მიამბო თუთაშხიაზე.

ვერც მაშინ შევძელი და ვერც თუთაშხიას გაცნობამდე, რომ იმ კაცზე ერთი რამ დამდგარი აზრი ჩამომეყალიბებინა. ავიც მოსმენილი მქონდა, კარგიც, მაგრამ არც ერთი არა მჯეროდა. საერთოდ, მამაკაცის ბუნებასა და ხასიათზე ნათქვამს ვერაფერს ვირწმუნებდი ხოლმე, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავდი და ამით მის მამაკაცურ ღირსებებზე წარმოდგენას არ შევიქმნიდი – ასეთი ხასიათისა ვიყავი. რაკიღა ასე იყო, ისიც თავისთავად გამომდიოდა, რომ სახელიანი მამაკაცების დანახვა და ჩუმ–ჩუმად თვალთვალი მოთხოვნილებასავით მქონდა ძალიან დიდხანს. დათა თუთაშხიას დანახვის შემთხვევა არა და არ მომეცა. მოლოდინი სულს მიწვრილებდა, ცნობისმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი და ატაცებული, დასწყევლოს ღმერთმა.

ჩემი დიასახლისი ბავშვს რომ დააძინებდა, ხანდახან ხელსაქმეს შემოიტანდა და გვიანობამდე ჩემთან იჯდა. ლამპა მენთო, ვკითხულობდი ან რვეულებს ვასწორებდი. ზოგჯერ ჩაიზეც დამეწვეოდა ხოლმე. თავიდან ორთავეს გვეგონა, რომ ბევრი საერთო აღმოგვაჩნდებოდა, მაგრამ იშვიათად ვსაუბრობდით.

– ბეჩუნი, ამდენ წინდებს ვისთვის ქსოვ? – უნებლიეთ ვკითხე ერთ საღამოს.

– ჩემი დათასთვის.

– დათა ვინ არის?

– ჩემი საყვარელია დათა! – ალბათ, ამ კილოზე ამბობენ: – არ მომეკარო, გესვრიო!

მენიშნა: ეს განწყობილება ჰქონდა ჩემს დიასახლისს სიარულში, მიხრა–მოხრასა და ყელის ამაყ მოღერებაში. ეს კილო ჰქონდა ბარდღუნიასთვის უშიშრად ნათქვამ სიტყვებში – “კი მგონია”. ესევე იგრძნობოდა თვით დუმილშიც. მეორე მხრივ, გასაოცარი იყო სოფლელი ქალის ამგვარი გულახდილობა... გულახდილობა კი არა – სექსუალური თავისუფლებით ტრაბახი!

თავი ავწიე, შევხედე.

შემართულ სატევარს ჰგავდა!

– რა კაცია? – რაც შეიძლებოდა გულუბრყვილოდ ვკითხე.

ჩემი სტუმარი მყისვე გამოიცვალა, ეჭვი და გაკვირვება მოეფინა სახეზე. მერე თვალები მოულბა ღიმილით მითხრა:

– დათა?.. აბრაგია! ხომ გაგიგონია... დათა თუთაშხია...

– გამიგონია, როგორ არა! – სიტყვა ჩამოვართვი და ინტერესით დავძინე: – სად გაიცანი?

ქალი გაინაბა, თითქოს დაიბნაო და აილაპარაკა:

– არ გამიცვნია მე ის.

გულში გამეცინა. მინდოდა მეკითხა, იქნებ დღემდე არ იცნობ–მეთქი, მაგრამ ძალიან მეინტერესებოდა და თავი შევიკავე.

– პირველად სად ნახე, მაინც?

მივდიოდით სადღაც... სადღაც კი არა და, დღეობაზე მივდიოდით მე და ჩემი ქმარი მაშინ. შეგვხვდა გზაზე. თვალებში შემომხედა. მერე აღარ დამინახავს იქ, ხატში. ქმარმა მითხრა, დათაა ეგ, აბრაგი თუთაშხიაო.

– მერე, მერე?

– რაი მერე...

– როგორ შემოგხედა, როგორი თვალები ჰქონდა?

– როგორი და... – მოფიქრება დასჭირდა ბეჩუნი პერტიას. – გაკვირვებული! მოვედით დღეობიდან. ჩემი ქმარი ტყის მცველი იყო და ყანა გვქონდა ტყეში, სათოხნად დავდიოდი იქ. ერთ კვირას სულ ისე მეჩვენებოდა, სადღაც ბუჩქებში იყო ჩამალული დათა თუთაშხია, ვითომ. ვუთხარი ქმარს, – მითვალთვალებს, მგონია, ვიღაც და მეშინია–მეთქი. გაიცინა, საცოდავმა...

ჩემი დიასახლისი ისევ დადუმდა. ახირებული ქალი იყო – ზანტი, უსურველი ლაპარაკი იცოდა.

– მერე, მერე? – კვლავ შევეკითხე, თორემ შეეძლო, კიდევ ორი საათი მჯდარიყო, აღარაფერი ეთქვა და დასაძინებლად წასულიყო.

– მართლა გამოვიდა ერთ დღეს ბუჩქებიდან დათა; იმ ბუჩქებიდან გამოვიდა სწორედ, მე რომ ქმარს ვუთხარი, ვიღაც მითვალთვალებს–მეთქი. იდგა და მიყურებდა ჯერ... წამოვიდა ჩემსკენ. შევხედე თვალებში და შემეშინდა ძალიან, ავკანკალდი მთლად. მოვიდა, დადგა ჩემთან. მიყურებდა ასე. მეყვირა, მინდოდა, მარა ვერ დავძარი ხმა, ჟრუანტელი მივლიდა ტანში და წამერთვა ენა... ისეთი მკლავები ქონდა!.. და მკერდი – ღონიერი, ბრტყელი, ლამაზი... დამალვა მომინდა. გაშალა მკლავები, ჩავიმალე შიგ და გადამიარა შიშმა. – ქვრივს თვალებში ალი შეუდგა. – პირველი თოხის დრო იყო მაშინ, სიმინდი მუხლამდეც ვერ მწვდებოდა. დასანახზე ვიდექით და წასვლა მომინდა საითმე... კი არ მომინდა, საჭირო იყო და მეძნელებოდა ეს. მოვწყდი, როგორც იქნა, მკერდიდან... – ქვრივმა ისევ იყუჩა და პატარა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა: – შვიდი წელია მას მერე, რვა გახდება მალე. არ გამიმხელია არავისთვის ეს... წავალ მე, ქალბატონო თიკო, გვიანია უკვე.

მერე რაც მოხდებოდა, ყველაფერი ნათლად დავინახე: ქალი მიდიოდა წინ. ასე, სამ, ოთხ ნაბიჯზე მამაკაცი მისდევდა და ქალს ტანს უთვალიერებდა. ქალმა ბუჩქნარს მიაღწია, მაგრამ არ გაჩერებულა – მიდიოდა და მიდიოდა. სულ ასე ივლიდა... კაცმა მხარზე ხელი დაადო. ქალი გაჩერდა, სულით ხორცამდე თრთოდა, ცახცახებდა, ძალას ელოდა, მამაკაცის ღონე უნდა დასცემოდა მეხივით... ღმერთო ჩემო ყველას ყველაფერს აძლევ – მე რა დაგიშავე?! ვითომ მიხვდა ეს დედაკაცი რამეს?.. ვინ იცის, სიმძიმე ეხამუშებოდა, ტანზე ბალახისა და ეკლის შეხებას გრძნობდა და ამაზე ფიქრობდა იმ დროს!

წარმოდგენისა და ამა თუ იმ სიტუაციაში დაუსწრებლად ყოფნის სწორედ საოცარი უნარი მაქვს; მაშინაც მქონდა. მაშინ უფრო მქონდა. ყველაფერი მთელი გზნებით, ვნებით და ბოლომდე განვიცადე. ბეჩუნი პერტია არ ყოფილა იქ. მე ვიყავი იმ ბუჩქებში! მაგრამ მოვიდა სიმცხრალე; ჩემი ხვედრი მხოლოდ წარმოდგენა იყო, ნამდვილისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მაკლდა ის, რასაც რეალური, მძაფრი და დახვეწილი მოაქვს...

დიასახლისი დამემშვიდობა, გავიდა. ვათვალიერებდი და მიკვირდა, – განა, რა უნდა მოსწონებოდა დათა თუთაშხიას ამ ქალისა,მეთქი! ისიც გავიფიქრე, თვითონ თუთაშხია, ალბათ, ერთი მახინჯი ვინმეა–მეთქი, მაგრამ მსწრაფლ უარვყავი ეს აზრი – მამაკაცი ვერ გავიმეტე. არა, თავისი წილი წარმოსადეგობა და ჯიში ჩემს დიასახლისს, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ ის, რაც მამაკაცებს აღაგზნებს?.. რას იზამ, ყველანაირ საქონელს თავისი მუშტარი ჰყავს და ამაზე იმ ღამეს გათენებამდე ვიფიქრე.

ის ქალი აიეტის მოდგმისა იყო – მედეასი და იაზონის სიყვარული მიამბო.

ძალიან დავახლოვდით, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებში სიყალბეც იმთავითვე იყო. ვითომ რატომ არ უნდა ყოფილიყო! არავინა თქვას, ისეთი ორი ქალი მინახავს, ვისაც ერთმანეთი გულწრფელი სიყვარულით უყვარდაო. ორი ქალის ურთიერთობაში ყალბი ბევრად სჭარბობს ალალს, გულმართალს და ეს ყოველთვის, ყველა შემთხვევაში ასეა. მე თვითონ ქალი ვარ, ვიცი.

მიტოსთან გადასახლებაში სანახავად რომ მივდიოდი, კუპეში ჩემთან ერთად ორი ქართველი ოფიცერი მოემგზავრებოდა. ვიწექი ერთ საღამოს, ძილ–ღვიძილში ვიყავი. ოფიცრებს ეგონათ, რომ მეძინა. ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ. ერთმა მეორეს ასეთი რამ უამბო: თურმე, რომელიღაც მიყრუებულ მაზრის პატარა დაბაში მივლინებით ყოფილა. ორი დღე–ღამით მარტოხელა, ორმოცი თუ მეტი წლის დედაკაცთან დამდგარა. დამდგარა და თავისი დიასახლისი ალერსზე დაუთანხმებია. ლოგინში საუბრის დროს ოფიცერს ქათინაურად უთქვამს:

– ახალგაზრდობაში კაი ლამაზმანი გოგო იქნებოდი და მოარშიყეებიც კარგი გეყოლებოდაო. ქალს ამაყად მიუგია: – Со мноим Шанаев спал, – შანაევი იმ დაბაში პოლიციელად ყოფილიყო! ამის შემდეგ ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი, რომ ქალები “ამა ქვეყნისა ძლიერთ” ან, უბრალოდ, სახელიან მამაკაცებს სიყვარულზე ადვილად დაჰყვებიან ხოლმე და მერე კი, თუ მოხერხებული შემთხვევა მიეცათ, ამ სიყვარულს ტრაბახობენ კიდეც, – რა თქმა უნდა, მისაღებ ფორმებში.

ეს თვისება ბეჩუნია პერტიასაც შევნიშნე – მწვანე კიტრივით მოჰქონდა თავი, რომ დათა თუთაშხიას საყვარელი იყო. ეს მე, ერთი მხრივ, მაღიზიანებდა და, მეორე მხრივ, დათა თუთაშხიას მიმართ ცნობისმოყვარეობას სულ უფრო და უფრო მიმახვილებდა და ამაში საკუთარი თავის წინაშე გატყდომა კი არ მინდოდა. ერთხელ იყო, კინაღამ წამომცდა და ბეჩუნი პერტიას ვთხოვე, როგორმე დამანახე ის შენი კაცი–მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე – ქალები ვიყავით; მერე ბეჩუნიმ თვითონ მითხრა, გული მიგრძნობს, ამაღამ დათა უნდა მოვიდეს, თუ გინდა, დაგანახებო. საკვირველია, მაგრამ ეს მოთავაზება არ მესიამოვნა. აღმოჩნდა, რომ დათა თუთაშხიას ნახვის ლაზათი უნებართვობაში იყო. ნებართვიანი არ მინდოდა.

ადრე შემოდგომის თბილი ამინდები იდგა. ფანჯრები ღია გვქონდა. ლოგინი გავიშალე, ლამპაც ჩავაქრე და, რატომღაც, ტანისამოსითვე წამოვწექი. არ მეძინებოდა, ვფიქრობდი.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა აივნის იატაკმა ჩუმი ჭრიალი გაიღო. თვალი გავახილე – ჩემი ფანჯრის წინ ლანდმა გაიარა, ბეჩუნის ფანჯრებისკენ წავიდა. სმენად ვიქეცი. ერთი წუთის შემდეგ ღამის სიჩუმეში კანტიკუნტი ჩურჩული მომესმა.

დრო გადიოდა, კვლავინდებურად ვიწექი და ვიცოდი, რომ არ უნდა ავმდგარიყავი, აივანზე არ უნდა გადავსულიყავი და ბეჩუნის ფანჯარას არ უნდა მივპარვოდი... დილის ოთხი საათი იქნებოდა, თვალები გავახილე, ავდექი და აივანზე გადავედი. ბეჩუნის ფანჯარას ფეხაკრეფით მივუახლოვდი, გავინაბე. ოთახში ბნელოდა, მივაყურე – მეგრულად საუბრობდნენ, ჩურჩულით. ჯერ სირცხვილის ოფლმა დამასხა – თავი ორმაგ ბოროტებაში ვამხილე: ერთი, რომ მეგრულის ცოდნას ვმალავდი, საყვარლები, ვინ იცის, რასა და როგორს ლაპარაკობდნენ. მეორე ისა, რომ მდაბალი, უსინდისო მიმყურადებელი

ვიყავი. ფეხებმა უკანვე გამწიეს, მაგრამ რაღაცა ძალამ დამტოვა. კედელს აკრული ვიდექი, საკუთარი არასოდეს განმიცდია, სხვისი სიყვარულის ხმებს ვუსმენდი და ჩემი მეგონა. მერე ფანჯრის იქით ყველაფერი მიწყნარდა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, ვითომ უდაბნოში გაგიჟებამდე მწყურვალს წყალი მომაწოდეს, მხოლოდ ერთი ყლუპის შესმა დამაცადეს და ჯამი ხელიდან გამაგდებინეს. კინაღამ კივილი ავტეხე... მუხლები მეკვეთებოდა, ზეზე ძლივს ვიდექი. ბოღმა მახრჩობდა, ისე გაბრაზებული არასოდეს ვყოფილვარ. უცბად რაღაცამ გამიელვა და მე უკვე ვხედავდი, როგორ მოვშორდი ფანჯარას, გადავძვერი აივნიდან, ვირბინე, გავაღვიძე მამასახლისი, ვაცნობე, რომ თუთაშხია თავის საყვარელთან არის… მოვიდა პოლიცია, სახლს შემოერტყა...

შიგნიდან ისევ ჩურჩული მოისმა:

– სანამდე მოხვიდოდე, ღმერთს ვემუდარები, მომიყვანე–მეთქი. რომ მოხვალ – მავიწყდება ღმერთი და შენს მეტს ვერ ვხედავ ვერაფერს. უკვე რომ ვუალერსეთ ერთმანეთს, ისევ მოდის ღმერთი და მეშინია, ძალიან მეშინია, დათუნია, ჩემო დათუნია...

სიმართლეს ვამბობ, მამასახლისთან გაქცევა დანამდვილებით მინდოდა. აღარ გავიქეცი – სინდისმა არ მომცა მხარი… პოლიციამ ხომ სწორედ ეს დამავალა და სწორედ ამიტომ აღარ გავიქეცი... ოთახში კი საუბარმა ახალი მიმართულება მიიღო, თავში ნისლი მედგა, მექანიკურად ვისმენდი, იქ ნალაპარაკევის შინაარსი შემდგომ ხანებში მომწვდა, როცა გუნებაში იმღამინდელ შთაბეჭდილებებს, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალიერებდი.

– არ ივარგებს, ბეჩუნი, ეგ, – ამბობდა დათა თუთაშხია.

– არ გინდა, რომ უყვარდე?

– მინდა. შვილს რომ უყვარდეს, ყველას უნდა! მისთვის ისე აჯობებს – არ იცოდეს და არც ვუყვარდე.

– სიმართლე არ უნდა იცოდეს?

– ასეთი სიმართლე რაში გამოადგება მას! დაიჩაგრება, ნაბიჭვარი ვყოფილვარ მეო...

– ნაბიჭვარი? გუდუნას სხვა მამა არ ყოლია, შენ ხარ მისი მამა!

– წესი წესია, ბეჩუნია. გაიზრდება, მიხვდება, უკანონო რომ არის... ცბიერი, ბოროტი კაცი დადგება.

– ნუ იგონებ რაღაცას...

– ბეჩუნი, თუ შემიყვარა, რომ მომკლან ან გამაციმბირონ – დაიტანჯება, გულში ბოროტებას ჩაიდებს. ბოროტი კაცი ცოდვაა. ბოროტი კაცი მკვდარ კაცზე უარესია; მკვდარი არავის არაფერს ერჩის მაინც.

– მამა უნდა ბავშვს. ხომ უნდა უყვარდეს ვინმე!

– კი უნდა უყვარდეს. ასწავლე, ქვეყანა უყვარდეს, მთა უყვარდეს, მინდორი, ადამიანი, დედა უყვარდეს, მამის საფლავი... სიკეთე უყვარდეს! ეგ ნაფიქრი მაქვს მე, ბეჩუნი. ვის გვარსაც ატარებს, ხალხს ვისიც გონია, ის კაცი ჩათვალოს მამად, ასე აჯობებს.

ცოტა ხანს სიჩუმე იყო.

– ტირი, ბეჩუნია–მაიმუნო?.. – ისევ მოისმა ჩურჩული. – კაი, ნუ აიშლი ძარღვებს... არ გაუტყდე ვინმეს, თვარა მთავრობაში გაიგებენ. ხომ არ გაუმხელ არავის, ჩემო ბეჩუნია, მითხარი.

ბეჩუნიამ ერთი–ორჯერ ამოისლუკუნა და წაიჩურჩულა:

– როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი. იყოს, როგორც იყო აქამდე.

– დაიფიცე, ბეჩუნია!

– ჩემი გუდუნას სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემი დათას სიცოცხლეს ვფიცავ...

ისევ კოცნისა და მიფერეგის ფაჩუნმა მოაწია... მეტი აღარ შემეძლო, ჩემს ოთახს მივაშურე.

როგორც იყო დავმშვიდდი და მაშინვე იმ ფიქრმა შემიპყრო, თუ რამ მიმიყვანა იმ ფანჯარასთან – მარტო ცნოგისმოყვარეობამ, თუ კიდევ სხვა რამემ?

მეორე საღამოს ჩემი დიასახლისი შემოვიდა. ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე მკითხა, დათას მოსვლა თუ გაიგონე წუხელისო.

– გავიგონე, – ღიმილით მივუგე.

– რატომ არ შემოხვედი ჩემთან?

– მეუხერხულა, ბეჩუნი... – ვაპირებდი, ყველაფერი ისე მეთქვა, როგორც მოხდა, მაგრამ რაღაცამ დამაკავა და დავძინე: – ვერ მოვბედე...

ვიგრძენი, ჩვენს შორის თუკი რამ გულწრფელი იყო, ერთიანად აორთქლდა და გაქრა... რას ვიზამდი, სხვაფრივ თქმა უარესი იქნებოდა.

– ოთახში სიბნელე იყო. კიდეც მოვსულიყავი, მაინც ვერ დავინახავდი წესიერად.

დათა თუთაშხია დღისით სად და რანაირად უნდა დამნახვებოდა?! საერთოდ ვერასოდეს ვნახავდი! ამ აღმოჩენამ გამიელვა და გული შემიტოკდა.

ბეჩუნი დამაცქერდა. ვიგრძენი, ფიქრობდა: ნუთუ იყავი და მალავ. რატომ მალავ?

შემცივდა. ავდექი, შალი წამოვიხურე. ვერ გავთბი, ფანჯარა დავკეტე – მაინც ვერ გავთბი, მციოდა.

ქვრივი ცოტა ხანს კიდევ იჯდა. მერე, ჩვეულებისამებრ, თქვა:

– ავალ, ქალბატონო თიკო, მე. გვიანია უკვე, – და წავიდა.

ამ საღამოს შემდეგ ჩემი დიასახლისი სულ უფრო იშვიათად მსტუმრობდა. ეჭვიანობამ დაისადგურა.

ხანი გავიდა.

ზამთარი იწურებოდა. იქაურ ადგილებში თოვლი თითქმის არ იცის და იმ ზამთარს წვიმაც ცოტა იყო. ქარს ზღვიდან სინესტე მოჰქონდა, ძვლებში ატანდა. ბუხარი განუწყვეტლივ მენთო. ერთ ღამეს მკაფიოდ გავიგონე დათა თუთაშხიას ფრთხილი ნაბიჯების ხმა. ბაღის მხრიდან მოვიდა, ბეჩუნის სარკმელს კენჭი ესროლა; კარის უჩუმარმა ჭრიალმა მოაწია და ისევ ყველაფერი მიჩუმდა. ჩემი ბინის წინა ოთახში ჩაწეული ლამპა ბჟუტავდა, კრეტსაბმელში მკრთალი შუქი ატანდა, საწოლ ოთახში იბნეოდა.

მალე ჩვენი სახლის ირგვლივ რაღაც ხმაური და ჩოჩქოლი ატყდა. ავდექი, ფანჯრიდან გადავიხედე. აქა–იქ ლანდები შევნიშნე. ბეჩუნის ნახევარში და დერეფანშიც ფეხის ხმასა და კარის ჭრიალს მოვკარი ყური. ეჭვი აღარ იყო – სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული და თუთაშხია, ალბათ, ოთახებში დაიპარებოდა, დასამალ ან გასაქცევ ადგილს ეძებდა...

თავზარი დამეცა, საწოლში ჩავემხე.

– თუთაშხია! – მოისმა გარედან. – ვიცით მანდ რომ ხარ. სახრჩობელას თუ გინდა გადარჩე, გამოდი და ჩაგვბარდი!

სწორედ ამ დროს გაიხრიალა კარზე მიდგმულმა სკამმა: წინა ოთახიდან დერეფანში გამავალ კარს რაზა არა ჰქონდა, სკამს მივადგამდი ხოლმე – ვინიცობაა, ვინმე შემოსულიყო, ხმაურს გავეღვიძებინე… წამოვვარდი, კრეტსაბმელს მივეპარე, წინა ოთახში გავიჭვრიტე. ჩაწეული ლამპის სინათლეზე კაცი დავინახე: ჩოხა–ახალუხში იყო, ფაყუ ეხურა. ისე თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი სხვა დროს არავინ მენახა.

შემოსულმა იქაურობას თვალი მოავლო, სკამი ისევ კარს მიადგა, ჩემი ოთახისკენ გამოსწია. ოდნავ მოღუნული, მაგრამ მძლავრი ფეხები ჰქონდა. მსუბუქად მოდიოდა, თითქოს იატაკს არც ეხებაო. კრეტსაბმელი გადასწია, თამამად შემოვიდა. აქვე ვიდექი, პირისპირ შემომეფეთა და დადგა. რა თქმა უნდა, ვიცოდი – დათა თუთაშხია იყო.

დარაიის კრეტსაბმელში მოყვითალო შუქი ჟონავდა, თუთაშხიას ფიგურას გარშემო ციმციმა ზოლად ევლებოდა. თავს წამომდგომოდა, მისი სუნთქვა საკინძეში ჩამიდიოდა, მკერდზე მცემდა. პირველი ფიქრი, რომელიც გარინდების შემდეგ მოვიდა, ის იყო, რომ მამაკაცი მკერდგაღეღილსა და ღამისპერანგიანს დამყურებდა. აი, დასწყევლოს ღმერთმა, ალყაშემორტყმული აბრაგი კი არა – მამაკაცი! საკინძეზე ვიტაცე ხელი... მამაკაცებს ასეთი ჟესტი არანაკლებ აღელვებთ, ვიდრე თვით შიშველი მკერდის დანახვაო, – ერთმა ქალმა მითხრა რამდენიმე წლის შემდეგ...

– ბეჩუნია–კახპავ გამოაგდე სახლიდან მაგ შენი კურო!

ისევ მოისმა გარედან.

დათა თუთაშხია ოდნავ შეტოკდა და კვლავ გაირინდა.

აივანზე ბეჩუნის ფანჯარამ დაიჭრიალა.

– ნიკანდრო ქილია, შე ქათმის ქურდო, შენ! – გადასძახა ჩემმა დიასახლისმა. – დათა თუთაშხიასი კი არადა, ბარდღუნია–შტერის საყვარლობა ჯობია შენისთანა ღორის ცოლობას. ამაზე თუ გიფიქრია, უბედურო, შენ! კითხე, სახლში რომ ბატი გიზის, მას და გეტყვის სიმართლეს.... ვინ ოხერმა მოგატყუა, ბეჩუნისას არის დათაო? შემოიყვანე მაგ შენი კაზაკები და ჩაფრები და ნახეთ თვითონ.

ფანჯარა ჩაიკეტა.

– Что она сказала? – ჰკითხა იასაულმა ნიკანდრო ქილიას და რაღაც ბრძანებები გასცა.

კაზაკები დაფაცურდნენ, სახლის გარშემო ცეცხლები ააგიზგიზეს, ოთახებში შუქი შემოვიდა. დათა თუთაშხია გულხელდაკრეფილი იდგა, ხან მე დამცქეროდა, ხან ფანჯრისკენ იყურებოდა.

თავი მიბჟუოდა, გულს დაგადუგი გაჰქონდა, წარამარა ჟრუანტელი მივლიდა.

– ვინ ხარ და რა გინდა?! – ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით შევეკითხე.

აბრაგს ხმა არ დაუძრავს. ცოტა დააყოვნა და ფანჯრისკენ წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ცეცხლების შუქში გაიარა. ახლა მე მას უკვე გარკვევით ვხედავდი... ფეხადგმულ კლდესავით მიიწევდა. ისევ შიშმა ამიტანა, ერთიანად ავცახცახდი, მოვიკუნტე და მივყევი.

ჩემ საწოლთან იდგა, ეზოში იყურებოდა. სულ ახლოს მივედი, გვერდით დავუდექი, სახეში ავცქეროდი. მშვიდი, ღრმა სუნთქვა, გაშლილი მკერდი და შოღოტივით გრძელი მკლავები ჰქონდა. მისი სხეული საოცარ სითბოს ასხივებდა, ანდამატივით მიზიდავდა. კურკისოდენა გავხდი, გულის კოვზში მოვუთავსდებოდი. ერთი ისეთი წამიც კი იყო, როცა დავაპირე, მკერდში ჩავკროდი, მაგრამ მხოლოდ ერთი წამი...

– ქალბატონო, მე თქვენ არ გიყურებთ... – მითხრა აბრაგმა ხმადაბლა, – შეგცივდებათ, რამე წამოიხურეთ.

ელდა მეცა, – ღმერთო ჩემო, თურმე არც კი მიყურებდა!

აღარ მახსოვს, დავწექი თუ წავიქეცი. თვალებიდან ცრემლის ნაკადი წამომსკდა. არა ვტიროდი, არც მეტირებოდა – ცრემლები მდიოდა.

აბრაგმა ეზოს თვალი მოსწყვიტა, დამაცქერდა. მგონი, რაღაცით იყო განცვიფრებული. ბოლოს გაიცინა, გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ აივნის თავში ფეხის ხმა მოისმა... თუთაშხიამ მყისვე ჩაიჩოქა, მაუზერი მოიმარჯვა, მინებს მიაცივდა. სინათლემ უფრო

მძლავრად შემოიხედა, ფანჯარა ბროწეულისფრად აალაპლაპა – ჩირაღდნიანი კაზაკის ფაფახი გამოჩნდა და კვლავ გაუჩინარდა. მერე კარგა ხანს აღარაფერი გაფაჩუნებულა.

– ერთხელ ზუგდიდის გზაზე გნახეთ, – სახეში შემომჩურჩულა მუხლზე დაჩოქილმა აბრაგმა. – ულამაზესი ქალბატონი ბრძანდებით!

– სტყუი! – უნებურად მივახალე.

აბრაგმა გაიღიმა:

– სიცრუე შიშმა იცის, ქალბატონო. მე არ ვცრუობ არასდროს. – კიდევ დამაკვირდა და დასძინა: – ნუ ტირით, ქალბატონო, არაფერი არ არის საშიში აქ.

იქ თუ საშიში არა იყო რა და!..

აივანი ხელახლა აჭრიალდა, უფრო განათდა.

– რას აპირებენ? – ვკითხე და ძალიან გამიკვირდა, რომ სრულიად აღარაფრისა მეშინოდა.

– ჩირაღდნები მოიტანეს და ჩხრეკას დაიწყებენ, ალბათ.

– მერე?

თუთაშხიამ მხრები აიჩეჩა იყუჩა და ჩაილაპარაკა:

– მართალი ყოფილხარ, თოლორაია, შენ. ასე გამოდის, თითქოს!

მინდოდა, მეკითხა, რას ამბობ–მეთქი, და ამ დროს აივანზე, დერეფანში, ოთახებში კაზაკები შემოცვივდნენ. კარების ბრახაბრუხი ატყდა... ჩემი ბინის კარს ვიღაც მოაწვა, კარზე მიდგმულმა სკამმა

ისევ დაიხრიალა.

წამოვვარდი, ფეხშიშველი, ღამის პერანგის ამარა გავიქეცი, ლამპას ავუწიე და კარს ვეტაკე.

ოდნავ შემოღებულ კარში კაზაკის წითური სიფათი მოჩანდა, გაფაციცებულ თვალებს აბრიალებდა.

– Ты чего, мерзавец, подглядываешь!.. – დავიყვირე და კარს ხელი ვკარი.

კარი კაზაკს ცხვირ–პირში მოხვდა, ხმამაღლა შემიკურთხა, გააფთრებით მოაწვა. მომერია, მაგრამ ვერც იმდენად შემოაღო, რომ იმხელა ნადირი საჭურვლიანად შემოტეულიყო.

– Вон отсюда, свинья, насильник... помогите! – ვყვიროდი და კაზაკს ცხვირ–პირს ვუკაწრავდი.

– Пусти, говорю... Окаянная!.. – კაზაკი რის ვაი–ვაგლასით მიგერიებდა.

ისე დავკაწრე, დუნდულა ლოყებზე სისხლი დააჩნდა. დაიხია. ის იყო, კარი მივუჯახუნე რომ ვიღაცის ბოხი ხმა გაისმა:

– Что здесь, Пептюк!

– Да вроде–бы.... Баба, Вашброд. Исцарапала, вот...

კარი იმწამსვე გამოვაღე, გაჩირაღდნებულ დერეფანში თავი გავყავი.

– Я тебе, свиное отродье, не баба а княжна! Господин есаул, я требую защиты... Вы объязаны заступиться, как офицер и мужчина. – შევძახე კაზაკის გვერდით მდგომ იასაულს.

– Да, но... Ваше сиятельство, Вы должны впустить нас…

– Господин есаул! я в таком виде! Я буду жаловаться его превосходительству губернатору. Вы объязаны заступиться… Я беззащитная женщина!

– Да, но… – შემაწყვეტინა იასაულმა, – В доме бандиты, Ваше сиятельство!..

– Что?.. Как вы изволили сказать?! Аааай!.. – არ მახსოვს, ჩემი სიცოცხლის მანძილზე ასეთი გაშმაგებით კიდევ სადმე მეკივლოს – Бандиты! – კედლებს ზანზარი გაჰქონდათ.

ერთი კიდევ შევკივლე, მიხსენით–მეთქი, და ოთახებს დამთხვეულივით მოვედე. დავრბოდი, მაგიდების, ტახტების ქვეშ ვიხედებოდი.

იასაული და კაზაკები ზღურბლს იქით იდგნენ, პირღია შემომცქეროდნენ.

საწოლ ოთახშიც გავვარდი, იქაურობაც წივილ–კივილით მოვირბინე. დათა თუთაშხიას ორთავ ხელში მაუზრები ეჭირა, თვალს დამაყოლებდა და ისე ეტყობოდა, რომ უნდოდა, ჩემს დასამშვიდებლად

რაიმე ეღონა და არ კი იცოდა – რა. ცოტა ხანს ვიტრიალე, ისევ წინა ოთახში გამოვვარდი და ზღურბლზე გადმოსულ იასაულს ავეკარი.

– Помогите! Они могут влезть через окно! – ერთი ალიაქოთი მქონდა.

– Успокойтесь, Ваше сиятельство, там стража!

მე მაინც ჩემსას გავიძახოდი და შიშისგან ერთიანად აკანკალებული იასაულს მკლავებში ვებღაუჭებოდი, ზურგს უკან ვეფარებოდი... შილიფად ვიყავი, იასაულის თვალისთვის ჩემი ქალური ავლადიდება მთლად დასანახზე მქონდა. შევამჩნიე, ჩემი "მხსნელი" შიგადაშიგ რაღაც–რაღაცებს მითვალიერებდა და ამ აღმოჩენამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალა შემმატა, უფრო გაშმაგებით ავკივლდი. იასაულს ყურის აპკები, ალბათ, დახეთქვაზე ჰქონდა! ველარ აიტანა და დაიგრგვინა:

– Ваше сиательство! Приведите себя в порядок. Вы в полной безопасности! – წასასვლელად გაიწია.

– Вы не смеете покидать беззащитную женщину благородного происхождения! Я не отпущу Вас... Вы объязаны остаться! – მკერდით მივეკარი, მივეტმასნე, მგონი, “შუაკაურიც” გამოვდე.

– Да. Но... Ваше сиятельство, – აყვირდა იასაულიც, შეშინებული თვალები უმწეოდ ააცეცა და მუდარით მითხრა:

– Мне необходимо идти... Я оставлю Вам человека... Безроднов!

– Слушаю, Вашброд!

– Останься у дверей, охранять ее сиятельство княжну! – უბრძანა იასაულმა კაზაკს, ძალით მომიშორა, კარი გაიჯახუნა და დაიყვირა: – Обыскать чердак, к чертовои, матери!.. – ეს “К чертовой матери” გაცილებით ხმადაბლა თქვა და, – სხვენის ჩხრეკა არაფერ შუამი იყო, პირადად მე მეხებოდა.

კინაღამ გავაუპატიურე, საცოდავი!

სახლი ისევ ჩექმების ბრაგაბრუგმა მოიცვა.

წყნარ, მშვიდ საქციელზე გადასვლა ძალიან გამიჭირდა. კივილი კბილით მეჭირა, სხეული კვლავ ბობოქრობას მთხოვდა.

როგორც იყო, მოვერიე თავს, კარს სკამი მივადგი, საწოლი ოთახის კრეტსაბმელი გადავწიე.

თუთაშხიამ დამინახა, სიცილი ვერ შეიმაგრა, სახე ფაყუში ჩაყო.

საწოლთან მივედი, გული სიხარულითა და უსაზღვრო სიამაყით მქონდა სავსე – ჩემი გადარჩენილი დათა თუთაშხია ჩემთან, გახდილთან, მწყურვალთან, პირისპირ და მარტო იყო.

– ვაიმე, როგორი შიში ვჭამე! – რატომღაც წავილუღლუღე.

– ქალბატონო, რომ შეგშინებოდათ, ასე მოხერხებულად ვერ მოიქცეოდით. შიშმა დაბნევა იცის... – აბრაგმა ჩაიცინა და დასძინა: – მამაკაცი ვერ გააკეთებს მაგას, მაგას ქალი უნდა, თქვენისთანა ქალი, – ესა თქვა, მკლავებში მომიქცია, სახეში ჩამაცქერდა.

ზურგზე ორი მაუზერი მედო. მეტი ინტიმი წარმოუდგენელია.

– რა ხდება! – სახეში შევჩურჩულე.

დათა თუთაშხიამ თავი დახარა, ტუჩებში ჩამეკრო...

არ ვიცი, როდის დამრია ხელი უარყოფის იმ გრძნობამ, რომელიც ამგვარ სიტუაციაში ყველა ქალს ეწვევა ხოლმე: მამაკაცს ტუჩებს მოაცილებს და პროტესტს აცხადებს – გაუმართლებლად გვიან!

– რა იყო ეს! – ძალიან მკაცრად ვთქვი, თითქოს მის კოცნაზე კოცნითვე არ მეპასუხოს.

თუთაშხიამ ჩაიცინა, გამშორდა, სკამზე ჩამოჯდა.

– სიხარულის იყო ეს, ქალბატონო! ხომ გაგხარებიათ, ძალიან კარგი, ცქვიტი და ეშმაკუნა რომ გინახავთ ვინმე?..

– სხვა არაფერი? – გული მომივიდა, გაწიწმატებით ვთქვი, მაგრამ ამაში სხვა ინტონაციაც იყო.

– როგორ არა. მადლობის იყო, კიდევ!

ლოგინისკენ გავიქეცი, თუთაშხიას თვალი ვესროლე, ჩავწექი და ავტირდი. აბრაგი მომიახლოვდა, საწოლთან ჩაიჩოქა, ფერება დამიწყო – თავზე ხელს მისვამდა. მოვლბი, ყველაფერი ვაპატიე: ისიც რომ, თურმე, არც კი მიყურებდა მკერდგაღეღილსა და მღელვარეს; ისიც, რომ მხოლოდღა სიხარულის გამო ჩამაფრინდა ტუჩებში; ისიც, რომ ვნებით ატაცებულსა და გაგიჟებული ალერსის მომლოდინეს მითხრა – მადლობით გეხვეოდი და გკოცნიდიო...

თავზე ხელს მისვამდა და პირზე მომადგა – "მოდი ჩემთან". რომ მეთქვა – ჩემი პირველი მამაკაცი იქნებოდა საქვეყნოდ ცნობილი აბრაგი დათა თუთაშხია!.. სიტყვა თავგამოდებით ვულკანივით მოიწევდა, მაგრამ შიგნიდან რაღაც უფრო უაზროსა და უხეშად ძლიერს ეჭირა, არ უშვებდა, პალოზე მიბმულივით ჰყავდა.

ვერა ვთქვი.

განმეორდა ის, რაც ერთხელ მანამდე უკვე იყო და შემდგომშიც რამდენჯერ – ვინ იცის! სახალინზე ჩემი მგზავრობის მიზანი იმ გადაწყვეტილებასაც შეიცავდა, რომ მიტო ზურაბიშვილი უნდა გამხდარიყო ჩემი პირველი მამაკაცი – მიუხედავად იმისა, ვიქნებოდი თუ არა მომავალში მისი მეუღლე. მე მასთან ორი კვირა გავატარე. დღეცისმარე ვეუბნებოდი ჩემს თავს – "ამაღამ" ხვაშიადის აღსრულებამდე ყოველ ღამე გოჯი მრჩებოდა და ისე წამოვედი, რომ იმ გოჯს ვერ გადავაბიჯე. რიგიანად აღარ მახსოვს, მიზეზი რა იყო. მგონი, უეცრად და უადგილოდ გამახსენდა ის ორიოდ სიტყვა თანამგზავრი ოფიცრის მონაყოლიდან – "Со мноим Шанаев спал!" მუდამ რაიმე ასეთი გამოიძებნებოდა ხოლმე. დათა თუთაშხიას შემთხვევაში რა იყო – ვერ გეტყვით, მაგრამ ერთხელ, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, გადამწყვეტ წამში მომეჩვენა, რომ გულმუცელში გველი მიხოხდება და იქ სამუდამოდ უნდა დაიბუდოს... პუნქტი მქონდა. პუნქტი, თორემ, ჩემი დღემდე ქალწულობა მირაჟია. ნამდვილი მეძავი ვიყავი, ვისთან არ ვწოლილვარ!.. საბრალო მამაკაცები; ჰგონიათ, რომ ღალატი ხორციელი რამ არის. კიდევ კარგი, შინაბერად დავრჩი: კუპრის აბაზანებს რა ამაცდენდა!

... აჰა, ისევ საითღაც წავედი.

ჰო, ვერაფერი ვთქვი–მეთქი, ამას ვამბობდი...

მე ჩემთვის ვფიქრობდი, დათა თუთაშხია – თავისთვის. მე იმაზე ვფიქრობდი, რომ მამაკაცებს ასეთ სიტუაციაში დაძახება არ სჭირდებათ – თვითონ მოდიან და მერე როგორ! – მოგერიება ძნელდება ხოლმე... ვერ გამეგო, რატომ არ მოდიოდა?! დათა თუთაშხია კი, ალბათ, იმაზე ფიქრობდა – ამ ახირებულ არსებას საიდან გადავეყარე, სიკვდილი გუდასავით მკიდია და რა დროს ვნება და ალერსიაო!..

– ნიკანდრო–ბატონო, ნიკანდრო–ბატონო!.. – ყვირილი მოისმა გარედან, – საქმე მაქვს თქვენთან, აუცილებელი საქმე... საჩქარო საქმე მაქვს თქვენთან, ნიკანდრო–ბატონო! პუსტი, ბატონო, პუსტი! ხაროში ია, ხაროში!

ზეზე წამოვცვივდით.

– ყურუა არის ეგ! – თქვა დათა თუთაშხიამ. – რაა ეს, ნეტავი.

ორმა კაზაკმა ზურგს უკან ხელებგადაგრეხილი ყურუა ყორეს იქით ჩასაფრებულ პოლიცმეისტერთან პუნღურისცემით მიიყვანა. რაღაც ლაპარაკი იყო, ჩვენ არ გვესმოდა. მერე კაზაკებმა დაიხიეს, პოლიცმეისტერი ადგა, იასაულიც იქ მივიდა, ორთავემ ერთად დაუწყო რაღაცების გამოკითხვა ყურუას კიდევ ილაპარაკეს და იასაულმა დაიძახა:

– Снимайсь! – მერე სხვა საჭირო ბრძანებებიც გასცა და ჩვენი სახლისკენ გამოსწია.

ჩირაღდანი ეჭირა, კიბე ამოიარა. დათა თუთაშხიამ ისკუპა, ფანჯრის გასწვრივ კედელს აეკრო. მინებს იქიდან ჩირაღდანმა დაიბრიალა, იასაულის სახე გამოჩნდა.

– Ваше сиятельство, сведения оказались ложными. Спите спокойно! Мы уходим... – იასაულს სიტყვა გაუწყდა, თვალები აახამხამა, ვიფიქრე, ხომ არ გაწყრა ღმერთი და ამ ბოლო წამებში რაიმე ეჭვი ხომ არ ეტაკა–მეთქი... – Ваше сиятельство, осмелюсь... С Вашего благословения... Позвольте, так сказать, навестить Вас?..

ორაზროვნად გავუღიმე. მახსოვს! მთელი ჩემი ტალანტი ჩავაქსოვე, რომ ღიმილი, რაც შეიძლებოდა მომაჯადოებელი ყოფილიყო. იასაული, ვფიქრობ, ძალიან დაიმედებული, სასოებით აღსავსე გატრიალდა.

– გამოდი, ბეჩუნია–შტერო, და ჩააქრე ცეცხლი, თვარა დაგეწვება სახლი არ გვცალია ჩვენ! – დაიძახა ნიკანდრო ქილიამ.

ფაცხაფუცხით აიყარნენ და თვალს მიეფარნენ.

ფლოქვების თქარათქური უკვე მიწყვეტაზე იყო, ჩემთვის ვთქვი:

– ნეტავი, რა ბუზანკალი შეუჯდათ, ჰა?

– ხაფანგი დამიგეს, ვითომ?.. თუთაშხიას ეგონოს, წასული ვართ და კაცები დატოვეს ჩასაფრებული?.. არა, ყურუას რა უნდოდა აქ!

– რა მოხელე–ნაჩალნიკია ეგ ყურუა?

– არაფერი, მეჯოგეა... თვითონ არ უდგას ჯოგს, სხვები ყავს, აგერ რომ სოფელია – ტყვირი, მანდაურია ეგ.

– უფროსებს რაღაც აცნობა, დაუჯერეს და ალყა მოხსნეს!

– დაუჯერეს, სხვას არ დაუჯერებენ, თავის კაცს დაუჯერებენ მხოლოდ. მართალი ყოფილა კოშა თოლორაია, მაგათი კაცი ჩანს ყურუა!..

– კოშა თოლორაია ვინ არის?

– ამხანაგია ჩემი; ტატაშ ჩანბას ყურუამ ჩაუყარა საწამლავი და მკვდარი ჩააბარა ქილიასო, ამბობს. ძნელი დასაჯერებელი იყო ეს. ერთი, რომ ჩანბების დისწულია ყურუა და მეორე ის, რომ ყურუა და მისი უფროსი ვაჟი კოდორს მიქონდა შარშან – ტატაშმა გამოიყვანა და გადაარჩინა ორივე. აბრაგი იყო ტატაშ ჩანბა – მაგარი კაცი ძალიან.

– ღმერთო, ღმერთო... რა არის ეს...

– რომ გააბრაგდა ტატაში, ოთხასი სული საქონელი მიაბარა ყურუას. თუ ისეა, კოშა თოლორაია რომ ამბობს, დახარბდა საცოდავი ყურუა ქონებას, ალბათ...

– საცოდავი?

– ბოროტი კაცი ყველა საცოდავია, ქალბატონო თინათინ!

– მაგ “საცოდავს” თავისი ნათესავი და მხსნელი საიქიოს გაუსტუმრებია და, თუ გული სწორად მიგრძნობს, ეს ალყა და ალიაქოთიც მაგისი ნახელავია.

– მაგის ნახელავია, მართალია ეგ, მაგრამ რატომ მოვიდა აქ და მისი ნათქვამით როგორ მოიხსნებოდა ალყა!..

ეზოში ჩემი დიასახლისი გამოჩნდა, ჭიდან წყალი ამოიღო, ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. მეზიზღებოდა ქვრივი და გამარჯვებული ადამიანის გუნებაზე ვიყავი.

რატომ მეგონა ჩემი თავი გამარჯვებული?..

ტუჩებზე მივენდე დათა თუთაშხიას, მკერდში ჩავეხუტე. რამდენ ხანს ვკოცნე და ვეალერსე! ის თბილი, ნაზი სიტკბო ეხლაც მახსოვს.

ორმოცდარვა წლის წინანდელი ამბავია – დღეს არა მგონია, საჩოთირო იყოს. არ მინდა, ასე მოვკვდე, ჩემი სიცოცხლის უტკბესი განცდა სამარეში ჩავიყოლო, თორემ, რაც მე ვილაპარაკე, აბა, რა სათქმელი იყო!..

დათა თუთაშხიამ ფანჯრისკენ მიმატრიალა. მინებს იქით ქვრივის სახე დავინახე. მისი თვალები სიბნელეში ალისფრად ვარვარებდნენ. გულს შემომეყარა, მუხლმა მიმტყუნა,

დათა რომ არა, წავიქცეოდი. მივბრუნდი, ისევ მივეხუტე – იმ წითლად მოელვარე თვალების ცქერა აღარ შემეძლო...

– წავიდა! – თქვა დათამ ცოტა ხნის შემდეგ.

იმდენი ხორციელი აღტაცება ჩემთვის აღარავის მოუნიჭებია. კარგა ხანს ვიყავი მის მკერდზე მირინდებული. ვიცოდი, ჩემთან არ იყო. მკლავებიდან წაუვედი, ლოგინზე დავეშვი. არაფერი მწყენია, კაცები ხშირად არიან სხვაგან.

დათა იდგა, ფიქრობდა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

– უნდა დაისაჯოს ყურუა და ხალხმა უნდა იცოდეს, რატომ დაისაჯა. ასეა ეს.

აბრაგი მიტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ზღურბლზე შეჩერდა, მომიბრუნდა და მითხრა:

– პატიებას გთხოვთ, ქალბატონო, ვერ მოვიქეცი, მგონია, თქვენს და ჩემს ღირსებას რომ შეშვენის, ისე. ძნელი ვითარება შეიქნა, რთული, და უფრო მეტად ამ სახლში თქვენმა ბინადრობამ და კაზაკებთან თქვენმა ბრძოლამ ამირია თავგზა... მაინც მოგზავნილი მგონიხართ... რა ვიცი. ნუ იწყენთ ამას.

– ყველაფერი კარგი იყო და ეგეც! მშვიდობით.

– მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა.

შემდგომში იმღამინდელი ამბების მოგონება–თვალიერებამ მაფიქრებინა, რომ დათა თუთაშხია თავს განზრახ იმდაბიოებდა. რაში სჭირდებოდა?!

ათიოდე წუთის შემდეგ ჩუმი სტვენა მოისმა. მალე შორს, რიყეზე ფლოქვი აკაკანდა. პირველად მაშინ გამიელვა: ქართველ მამაკაცებს ცხენი იმიტომ უყვართ, რომ ზედ ქალის შემოგდება შეიძლება.

იმ ღამეს ყურუას სახლ–კარი ერთიანად გადაიბუგა. მერე ხალხში ასეთი ხმა დადიოდა: დათა თუთაშხიას ყურუასთვის დაუვალებია – ბეჩუნისთან მიდი და უთხარი, მე და შენ რომ ვიცით, იმის წასაღებად ამა და ამ ღამეს მოვალ, შინ იყავიო. ეს რომ კოშა თოლორაიას გაუგია, გამწყრალა, ამხანაგისთვის საყვედური უთქვამს, – ეგ ყურუა გამცემია, ნათესავი არ დაინდო, შენ როგორღა ენდეო. თუთაშხია თავისაზე დამდგარა – შეუძლებელიაო, და დანიშნულ დროს ბეჩუნისთან მოვიდა. თოლორაია და კიდევ ერთი აბრაგი – ხუხია, შორიახლოს ჩასაფრებულან. აბრაგებმა რომ ის მოალყეები და ალყა ნახეს, გაქანდნენ, ტყვირში ყურუას მიუვარდნენ, მის ვაჟებს ხელები გაუთოკეს და ხუხიამ ორივე მძევლად წაიყვანა საითღაც. კოშა თოლორაიამ ყურუას უთხრა: – თუ არ გინდა, რომ შვილები დაგიხოცოთ, ეხლავე წადი, ნიკანდრო ქილიას აცნობე, რომ დათა თუთაშხია ბეჩუნისთან კი არა, ენთან, ყურუასთან იყო და ამ წუთში ჩილუ ველბაიასთან სძინავს–თქო.

ყურუა უსიტყვოდ დათანხმდა. მერე რაც იყო, ზევით ვთქვი. ქილია ჩილუ ველბაიას დაეცა. ხუხიამ ალყის მოხსნა დაინახა, ყურუას ხელებგათოკილ ვაჟებს დაეხსნა, ტყვირში

ჩაირბინა და გამცემის სახლ–კარს ცეცხლი მისცა. კარგად რომ აგიზგიზდა, აბრაგებმა ბეჩუნისკენ გამოსწიეს. ის სტვენა იმათი იყო.

იმასაც ამბობდნენ, დათა თუთაშხიას მოგონილი ხრიკიაო, მაგრამ მართალი არ უნდა იყოს – თუთაშხიამ ყურუას მოსვლის მიზეზი ნამდვილად არ იცოდა.

მეორე დღეს სხვა ბინა შევიგულე, გადავედი.

მეურმეს ბარგი გაჰქონდა, დათას გუდუნა შორიახლოს იდგა და ლამობდა გაეგო, თუ რატომ მივდიოდი მათი სახლიდან.

**გრაფი სეგედი**

ზარანდია დაღესტნიდან დაბრუნდა. გამოუძახებლად შემოვიდა. ხალხი მყავდა, შეატყო, მალე ვერ მოვიცლიდი; ჩემთან ვიქნებიო, მითხრა და გავიდა. ისე კმაყოფილი, გახარებული და სახეგაბრწყინებული, ჩვენი თანამშრომლობის მანძილზე, სიმართლეს ვიტყვი, არასოდეს მინახავს. მართალია, ჰქონდა კიდეც სასიხარულო – ჩამოიყვანა ყარა–ისმაილი და ოთხი მოლა – პანისლამიზმის ხუთი აგენტი, თურქთა ძირგამომთხრელი მოქმედების ორგანიზატორები. მაგრამ ამაზე გონებამახვილ, უფრო მნიშვნელოვან საქმეებში გამარჯვებულიც მინახავს მუშნი ზარანდია და ასე ბედნიერი კი – არასოდეს. ყველა ერთად, ცხვრებივით ჩამორეკა. ხუთივე ერთ საკანში მოათავსა. ეს კი იმას ჰგავდა, რომ მათი ურთიერთგამხოლოება ან იმთავითვე ვერ მოხერხდა, ანდა უკვე საჭირო აღარ იყო. დაღესტნური ოპერაციისა ამის მეტი, თითქმის, არა ვიცოდი რა და ვღელავდი. რაღაც საქმეების მსვლელობაზე ვთათბირობდით. თავიდან ვერ მოვიცილე ფიქრი, თუ რით იყო გამოწვეული ზარანდიას ესოდენ კარგი გუნება–განწყობილება. როგორც იყო, განვთავისუფლდი, მუშნი ზარანდიას დაუყოვნებლივ ვუხმე და მოადგილეების თანდასწრებით მისი მივლინების შედეგები მოვისმინე.

ზევით ვთქვი, ზარანდიამ საეჭვო პირთა სიაში ექვსი კაცის გვარსახელთან წითელი წერტილები დასვა, ოთხი ამათგანი რეზიდენტიაო, განაცხადა და ასეთი ჰიპოთეზა მთელ გეგმას დაუდო საფუძვლად. ეს ინტუიციური დასკვნა იყო. თუ გეგმას, როგორც აუცილებელი პირობა და წესი, რეალური, შემოწმებული, არაერთხელ დადასტურებული მასალა არ უდევს საფუძვლად, ზედნაშენი როგორღა იქნება საიმედო? მუშნი ზარანდიას ჰიპოთეზაზე აგებული თუნდაც გენიალური გეგმა და მისი განხორციელება საეჭვო ღირსების მოქმედებას წარმოადგენდა. ხელმძღვანელობის თათბირზე იმ გეგმის რეალურობა ერთხმად იყო უარყოფილი, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა მაინც სანქცირებულ იქნა სამი მოსაზრებით: ერთი, რომ ყალბი თუმნიანებით ჟონგლიორობა შესაძლებლობას ქმნიდა თურქეთიდან გამოგზავნილი ფულის მიმღებები დაგვეპატიმრებინა, როგორც ყალბი მონეტების გამავრცელებლები. ამით ჩვენ, სხვა რომ არა იყოს რა, ძირგამომთხრელ ქსელში აღრევას შევიტანდით, მის ნაწილობრივ პარალიზებას მაინც მივაღწევდით. ცოტაოდენი იმის იმედიც იყო, რომ ამ მიზეზით დაპატიმრებულთაგან ერთ–ერთი მაინც თურქეთთან კავმირშიც გამოტყდებოდა და მაშინ კი მთელი საქმის გახსნაც უნდა მოხერხებულიყო. მეორე არგუმენტი, რამაც გეგმის განხორციელების ნებართვა განაპირობა, ის იყო, რომ მუშნი ზარანდიას ურყევი ავტორიტეტი გვაწვებოდა და გვთრგუნავდა. მართალია, თვით ზარანდიას ჩვენი თანხმობის მისაღებად თავისი ეს კაპიტალი არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ გამოუყენებია, მაგრამ კაპიტალი, ასე ვთქვათ, დამოუკიდებლად არსებობდა,

გვაიძულებდა, ანგარიში გაგვეწია მისთვის. მესამე – სხვა გეგმა არ გაგვაჩნდა და ამოცანის დაძლევისთვის რაიმე ახალი გასაღების გამოძებნასაც არუჩანდა პირი. ერთი სიტყვით, გეგმა აგებული იყო ექვსი ეჭვმიტანილი პირიდან ოთხის შესაძლებელ მხილებაზე და ამიტომ შემდეგნაირად განხორციელდა:

ყოველ მათგანზე მიჩენილ იქნა კაცი, რომლის მეშვეობით ყარა–ისმაილის გამოჩენა და სტუმრობა სათანადო ოპერატიული ჯგუფისთვის დაუყოვნებლივ ხდებოდა ცნობილი. შემდეგ, ყარა–ისმაილის წასვლისა და იმ ადგილიდან საგრძნობი მანძილით გაშორების მერე ეჭვმიტანილი პირის სახლში ეწყობოდა ჩხრეკა და ყალბი ფულის აღმოჩენასთან დაკავშირებით მის მფლობელს აპატიმრებდნენ. მიღებულ იქნა ზომები იმისთვისაც, რომ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები დეზორიენტირებული ყოფილიყვნენ მათი პატიმრის შემდგომი ადგილსამყოფელის გამო. მაგალითად, აჩხოი–მართანში აყვანილი კაცის ოჯახს უთხრეს, გროზნოში დასაკითხად მიგვყავს და ხვალ–ზეგ შინ დაბრუნდებაო. ნამდვილად კი ვლადიკავკაზს წაიყვანეს, იქაურ საპყრობილეში მოათავსეს. ხუნზახტში იმავე ხერხით დაპატიმრებულზე ითქვა, პეტროვსკპორტში მიგვყავსო. ნამდვილად გროზნოში ჩაიყვანეს და ასე შემდეგ. თვით ყარა–ისმაილს, რა თქმა უნდა, საკუთრივი და საგანგებო თვალთვალი მოუწყეს და აქაც არ დარღვეულა გეგმის მსვლელობა: თემირხანშურიდან ნახევარი საათის სავალზე იგი გაჩხრიკეს, რაც რამ ებადა, ყველაფერს ერთ ტომარაში მოუყარეს თავი და თემირხანშურისავე საპყრობილეში მიიყვანეს. მან ვერაფრის გადამალვა ან გადაგდება ვერ შეძლო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად, პროგრამა–მინიმუმი შესრულებული იყო, მაგრამ მუშნი ზარანდიას დაღესტნისკენ ვადაზე ადრე გულმა სწორედ იმიტომ გაუწია, რომ ალღომ გეგმის მთავარი ნაწილის ჩაგდების საფრთხე უკარნახა. იგულისხმება რაიმე საბუთი, ნივთიერი მტკიცება ან მითითება იმაზე, რომ ფულის მიმღებებმა იცოდნენ, რაში მიიღეს და ვისგან მიიღეს ის ფული. ცხადია, არავინ ელოდა, რომ ასეთი მტკიცება ხელწერილისა თუ თამასუქის სახით ჩაგვივარდებოდა ხელში და ასე არც მომხდარა, მაგრამ ზარანდიას სწამდა, რომ ყარა–ისმაილისგან ჩხრეკის შედეგად ჩამორთმეულ საგნებში დასტურის რაიმე კვალი უნდა უეჭველად აღმოჩენილიყო, თუკი, ვიმეორებ, თურქები საერთოდ მოითხოვდნენ ხოლმე დასტურს.

თემირხანშურს მისულმა მუშნი ზარანდიამ ოპერაციის ხელმძღვანელის, შტაბსკაპიტან ლენიოვის ნაამბობი მოისმინა, ზოგი რამ დააზუსტა და ყარა–ისმაილისგან ჩამორთმეული საგნები მოითხოვა.

– ყველაფერი შემოწმებული და შესწავლილია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, – მოახსენა ლენიოვმა და უნტერ–ოფიცერი ყარა–ისმაილის ჩიხომახოიანი ტომრის მოსატანად გაგზავნა.

– როგორი ამოცანით, რა თვალსაზრისით შეამოწმეთ?

– როგორც თქვენ ბრძანეთ, ისე.

– ანუ?

– ფულის მიღების ნიშანს, დასტურს ვეძებდი.

– რა პრინციპით?

– ნიშანი უნდა როგორმე ამბობდეს, რომ სახელდობრ ამა და ამ კაცის დასტურია... ხელმოწერასავით რამ უნდა იყოს, რომ თურქებმა თავის ნიმუშს შეადარონ. ვერაფერი აღმოვაჩინე. მგონი, რომ მანდ მსგავსი არაფერია, – ლენიოვმა იმწუთას შემოტანილ ტომარას მიათითა.

ზარანდიას ერთი სული ჰქონდა, ხელახლა შეემოწმებინა ლენიოვის მიერ გადათვალიერებული ნივთები. ეგ იყო, მოერიდა, უნდობლობაში! პროფესიული ტაქტის დარღვევაში არ ჩამორთმეოდა ეს საქციელი და გაიფიქრა, დროებით თავი უნდა შევიკავოო.

– წამოყარეთ! – უთხრა მან უნტერ–ოფიცერს.

უნტერ–ოფიცერმა ტომარა მაგიდაზე გადმოცალა.

– რა აცვია დაპატიმრებულს? – იკითხა ზარანდიამ, როცა მაგიდაზე ყარა–ისმაილის ტანსაცმელს ვერ მოჰკრა თვალი.

– ჩოხა–ახალუხი... საგულდაგულოდ არის გაჩხრეკილი.

ზარანდია დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ერთი ხელი საცვალი და ქოშები ან სხვა რამ ფეხსაცმელი მოითხოვა.

უნტერ–ოფიცერი კაპტენარმუსთან წავიდა.

– ფული ჩამოართვით?

– დიახ.

– ქაღალდის კუპიურები არის?

– არის.

– სერგეი ივანიჩ მოდით, ასე მოვიქცეთ: თქვენ ხელახლა გულდასმითა და ყურადღებით გადაათვალიერეთ ფულები. იქნებ, ზედ რაიმე წარწერები, ნიშნები ან ანაბეჭდები აღმოჩნდეს. მე ყარა–ისმაილის დამუშავებას შევუდგები. დასწყევლოს ღმერთმა, არ შეიძლება, სადმე რაიმე კვალი არ არსებობდეს!.. თავისუფალი საკანი არის?.

– როგორ არა. – ლენიოვმა პორტფელიდან ლუპა და ჩამორთმეული ფული ამოიღო, საქმეს შეუდგა.

საცვალი და ახალთახალი ჩექმები მოიტანეს. ზარანდიამ ვახმისტრს უთხრა:

– გაიხადოს ყველაფერი, მთლად გაშიშვლდეს. ეგ საცვალი და ჩექმა ჩაიცვას. გახდასა და ჩაცმას არ დაესწროთ; იქნებ, კედლებსა და ჭუჭრუტანებში რაიმეს დამალვა მოისურვოს –

დავაცადოთ. ათიოდე წუთის შემდეგ სხვა საკანში გადაიყვანეთ და მისი ტანისამოსი აქ მომიტანეთ.

ვახმისტრი და უნტერ–ოფიცერი ბრძანების შესასრულებლად წავიდნენ. ზარანდიამ გაზეთი გაშალა, კითხვას შეუდგა. შემთხვევებსა და ქრონიკას მორჩა და ყარა–ისმაილის ტანისამოსიც მოიტანეს.

ყველა გვირისტი და ნაკერი საგულდაგულოდ იქნა შემოწმებული. არაფერი აღმოჩნდა.

– წამოიღეთ მისი ტანისამოსი, წამიყვანეთ მის საკანში, – თქვა ზარანდიამ.

საკანი, რომელიც ყარა–ისმაილს ის იყო დაატოვებინეს, დიდი რუდუნებით და დაწვრილებით იქნა შესწავლილი, არც იქ აღმოჩნდა რაიმე საგულისხმო. გამოდიოდა, რომ ყარა–ისმაილზევე იყო საძებნელი.

– ყველაფერი სწორია, – ჩაილაპარაკა ზარანდიამ, როცა საკნის შესწავლას მორჩა, – აქ არც უნდა იყოს რამე... დაყარეთ ტახტზე მისი ტანისამოსი. ახლა წავიდეთ და ყარა–ისმაილი ამავე საკანში დავაბრუნოთ, მაგრამ სრულიად შიშველი. უნტერ, დარჩით აქ და სანამ ჩაცმას შეუდგებოდეს, შიშველი გაჩხრიკეთ. ხომ გესმით, რასაც ნიშნავს შიშველი კაცის კარგად გაჩხრეკა?

– დიახ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, როგორ არ უნდა მესმოდეს!

ყარა–ისმაილს უბრძანეს, გაშიშვლებულიყო, საკნიდან დედიშობილა გამოიყვანეს და ძველი ადგილსამყოფლისკენ გაიგდეს. ასე, სამოცდახუთისა იქნებოდა, ბებრულად მიდიოდა. ცალ ხელს "შაჰ ჰოსეინ, ვაჰ ჰოსეინის" რიტუალით დასახიჩრებულ–გამეჩხერებულ თავზე ისვამდა, მეორეში განბანვისთვის განკუთვნილი პატარა სპილენძის სურა ეჭირა.

მუშნი ზარანდიამ ყურები ცქვიტა ვახმისტრს ყურში ჩასჩურჩულა:

– თავს დაადექით, ისე ჩაიცვას. თვალი არ მოაშოროთ, სანამ მოვალ.

შედეგი არც ახალ საკანში დატოვებული საცვლებისა და ჩექმების გასინჯვამ მოიტანა. ზარანდიამ ხელი ჩაიქნია, ყარა–ისმაილის ძველ საკანში შევიდა. პატიმარი უკვე ჩაცმული იყო, ტახტზე იჯდა.

– წამოიყვანეთ დაკითხვაზე! – ბრძანა ზარანდიამ.

პატიმარი ადგა, კარისკენ გამოემართა.

– სურა არ მოგაქვთ? – ჰკითხა ზარანდიამ.

ყარა–ისმაილმა კუთხისკენ გაიხედა და მიუგო:

– იყოს, იქ რაში გამომადგება.

– გამოგადგებათ, წამოიღეთ!

ყარა–ისმაილი წამით გაინაბა, მერე მხრები აიჩეჩა, თავი გადაიქნია, რა მენაღვლებაო, და სურა წამოიღო.

მუშნი ზარანდია ფეხდაფეხ მიჰყვა, სურას მიჩერებოდა... მან უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ დასტურის ნიშანი სურაში უნდა ყოფილიყო.

ლენიოვის კაბინეტში შევიდნენ, ზარანდიამ ყარა–ისმაილს სკამი მიუდგა, დაბრძანდითო, სურა გამოართვა, წყალი ხელსაბანის ნიჟარაში ჩაცალა, დაათვალიერა, რატომღაც თავი დააქნია, ყარა–ისმაილს დაუბრუნა და უთხრა:

– გახსენით!

სურის პატრონმა ხელები გაასავსავა, – არაფერი გამეგება, რას მეუბნებითო.

– მოხსენით სურას ფსკერი!..

ყარა–ისმაილი გაფითრდა, მკვდრისფერი დაედო.

– მოხსენით! – მშვიდად გაუმეორა ზარანდიამ.

– ვერ ვიცი... ჩემი არ არის...

ზარანდიამ გაიღიმა.

სურას ორმაგი ფსკერი აღმოაჩნდა. სადგამი რგოლი ხრახნილით უერთდებოდა კორპუსს. ფსკერებს შორის ქაღალდი იყო ჩატანებული. ქაღალდს ერბოში გახსნილი მურით შესრულებული ოთხი ანაბეჭდი ჰქონდა – დაპატიმრებული რეზიდენტების მარჯვენა ფეხის ცერის ანაბეჭდები. ლენიოვს რაღაც ხმა აღმოხდა და თავში ისე გამეტებით ითხლიშა ხელი, რომ დაბუყუნებაზე დერეფნიდან უნტეროფიცერმა შემოიხედა, მაგრამ საბოლოო ჯამში ლენიოვს ამ ოპერაციამ მაიორის რიგგარეშე ჩინი და ორდენი მოუტანა.

საჭოროდ მიმაჩნია, ერთი მოსაზრება მოვიყვანო. ამ ჩანაწერების დასაწყისში ვიხმარე გამოთქმა – იღბლის ელემენტი არც ერთ საქმეში არ არის–მეთქი გამორიცხული. განა შემთხვევითობას უნდა მიეწეროს, რომ მუშნი ზარანდიამ დაღესტნის ჟანდარმერიის მასალების შესწავლის შემდეგ, ექვს გვარს წითელი წერტილები დაუსვა, ოთხი ამათგანი თურქეთის რეზიდენტიაო, თქვა და, რომ მართლაც, ასე აღმოჩნდა? ან, იქნებ, იმის გამოც შეიძლება ითქვას, მე რომ სამი დღით ადრე დავბრუნდი თბილისში და ჰაჯი–სეიდის საქმეს პირადად მივხედე, ვითარებების დამთხვევა მოხდაო? შემთხვევამ იცოდა, რომ დანაშაულის ადგილზე ზარანდიას ჩაუსვლელად დაპატიმრებულთა რეზიდენტობა ვერ დამტკიცდებოდა? ზარანდიას თავი დავანებოთ; ჩემი სამსახურის მანძილზე მრავალჯერ მქონია შემთხვევა, როცა მავან ზემდგომთან თუ ხელქვეითთან პასუხსაგები საუბარი გეგმა და მსვლელობა კვირაობით და თვეობითაც კი მიმზადებია... მოსულა დრო, საქმე საქმეზე მიმდგარა – სულ სხვა მილაპარაკია, სულ სხვაგვარად მოვქცეულვარ და ყველაფერი ისე გამოსულა, რომ უკეთესზე ვერც კი ვიოცნებებდი. ესეც შემთხვევაა?.. არა, ალღომ მასაუბრა

ასჯერ ისე, როგორი საუბარიც ჩემმა ცნობიერებამ წინასწარ ვერ დასახა. ალღომ წაიყვანა ზარანდია დაღესტანში და მე კი განზრახულზე სამი დღით ადრე დამაბრუნა თბილისში. ასიდან ექვსი კაცი ალღომ ამოარჩია და ამ ექვსში ოთხი რეზიდენტიც ალღომ იგრძნო. ვიცი, ეს განცხადებაა და არა მეცნიერული დასკვნა, მაგრამ ერთ რამეში მეცნიერებაც საწყალია: რასაც თავისი მეთოდით ვერ წასწვდება, იმას ფიდეიზმად, ცრუ წარმოდგენად მონათლავს, სანაგვეზე გადააგდებს. ალღოს მნიშვნელობაც გადაგდებული აქვს მეცნიერებას... ეგ არის, გავა ხოლმე დრო და გადაგდებული კვლავ მზის სინათლეზე ამოაქვთ, მოლასი და საზამთროსი არ იყოს, – ვინ მე და ვინ ამაზე აუგის მთქმელიო. არ ვფიქრობ, ვითომ ცნობიერებას ალღოზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ საქციელისა თუ იდეის პირველსაწყისად მაინც ალღო მიმაჩნია. შემთხვევითობა და "იღბლიანი" ადამიანი თუ არსებობს კიდეც, მისი იღბლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ განგებამ ალღო დააყოლა. ეს ვიგულისხმე, როცა ამ ჩანაწერების დასაწყისში ზარანდიაზე ვთქვი, იღბლის ელემენტი არც ერთ საქმეში არ გამოირიცხება–მეთქი.

ვიცი, ჩემს ჩანაწერებში ხშირად და ნათლად იგრძნობა ზარანდიას პიროვნებით აღტაცება. მოულოდნელ მედიტაციებსა და მტკიცებებს, ალბათ, იმიტომ მივმართავ ხოლმე, რომ ჩემი ეს სისუსტე გავამართლო, საბურველი გადავაფარო მოვლენის გაზვიადებულად აღქმის ბავშვურ მიდრეკილებას. მეორე მხრივ, იქნებ, მართლაც იყო ის პიროვნება აღტაცების ღირსი და ამის დამალვა იქნებ უფროა ფილისტერობა, ვიდრე თქმა – გულუბრყვილობა. მაგრამ დავუბრუნდეთ სათქმელს.

ზარანდიას მოხსენებამ და თხრობამ ორ, სამ საათს გასტანა. თათბირი დაიშალა, მარტონი დავრჩით.

– დიდი მოღულის ხალიჩის ფოკუსი რაღად დაგჭირდათ, მუშნი? – ვკითხე მე.

ზარანდია წამით შეყოვნდა, თითქოს შეცბა კიდეც, და მითხრა:

– დაღესტნის ოპერაცია რომ ჩაგვშლოდა, მაშინ ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდებოდა და საწყისი საფეხური ხომ ისევ ჰაჯი–სეიდი უნდა ყოფილიყო. მასთან ურთიერთობაში უპირატესობა იყო საჭირო... ხალიჩის ფოკუსი იმ შემთხვევაშიც გამართლებული იქნებოდა, ოპერაციის მხოლოდ ნაწილი რომ გამოგვსვლოდა, ესე იგი, მხოლოდ მოლების ყალბისმქნელობაში მხილების შესაძლებლობაღა რომ შეგვრჩენოდა ხელში. ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ ის იყო, რომ სხვა მტკიცებების უქონლობის შემთხვევაში, როგორმე ჰაჯი–სეიდი გამოგვეტეხა და, იქნებ, გადმოგვებირებინა კიდეც. ახლა საქმე თითქოს ასე გამოიყურება... დიდი მოღულიდან სპარაპეტამდე ყველა ჩვენს წინააღმდეგ რომ ადგეს, თურქები მაინც ვეღარსად წაგვივლენ, მაგრამ გული მიგრძნობს, ხალიჩა თავისას ითამაშებს. ვნახოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რა ვიცით.

– ვნახოთ, მუშნი, – ჩავილაპარაკე მე და დავძინე: – პოლკოვნიკი სახნოვი დღეს გამოდის პეტერბურგიდან.

ზარანდიამ ცნობისმოყვარეობით შემომხედა, მაგრამ მე ამ თემაზე ლაპარაკი რატომღაც აღარ მოვისურვე, თურქების პრობლემას დავუბრუნდი:

– წინასწარ გამოძიებას თქვენ წაიყვანთ თუ შიტოვცევს დაავალებთ?

– ზარანდია გაყუჩებული იჯდა, დაგვიანებით გამომელაპარაკა:

– ერთი წუთი, თქვენო ბრწყინვალებავ, ერთი წუთი!

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში ყურებას შეუდგა და კარგა ხნის შემდეგღა მომიბრუნდა:

– მე მაგათთვის ვერ მოვიცლი. თქვენის ნებართვით და თანდასწრებით ერთ კომედიას მოვაწყობ. ამის შემდეგ შიტოვცევს საქმე იმდენი აღარაფერი დარჩება, მისდგეს და გამოიძიოს.

– მარტო აუვა? – ვკითხე მე და ეს "კომედიის" მოწყობის ნებართვასაც ნიშნავდა.

– ვერ აუვა. ორი გამომძიებელი მაინც დასჭირდება, სამუშაო ტევადია... საქმე, რა თქმა უნდა, ჩვენი თვალყურითა და ზედამხედველობით წავა. რაც შეეხება კომედიას, აღარ გადავდებ. ამაღამ გცალიათ, გრაფ?

– მოვიცლი, თუკი საჭიროა. – სიცილით მივუგე.

– მაშინ სამზადისს შევუდგები. თერთმეტზე დაგირეკავთ.

ზარანდია წავიდა. მე ისევ დიდი მოღულის ხალიჩას გადავწვდი. ბევრი ვიფიქრე და დავრწმუნდი, რომ ზარანდიასთან საუბარმა არამცთუ სინათლე შემოიტანა ამ საქმეში, არამედ უფრო მეტად დამაბნია, რებუსი გამირთულა. გავიფიქრე, – სპეციალურად გამოვიძახებ და, უნდა თუ არ უნდა, ყველაფერს დავაფქვევინებ–მეთქი, მაგრამ უმალვე მენიშნა, რომ ასე არ ვიზამდი. არ ვიზამდი იმიტომ, რომ სახნოვის თემაზე საუბარს რატომღაც გავურბოდი. გამიკვირდა – ნეტავი, რატომ მეშინია თუ მერიდება–მეთქი! ამის ანალიზს მივყევი შინაც დიდხანს ვიფიქრე. მერე წამთვლიმა და მეძინა, სანამ ზარანდიას ზარი გამაღვიძებდა.

– გელოდებით, თქვენო ბრწყინვალებავ. ეტლი თქვენს სადარბაზოსთან დგას.

კომედია იმამი გამოიხატა, რომ ზარანდიამ თავის კაბინეტში მოუყარა თავი ჰაჯი–სეიდს, ყარა–ისმაილს, ოთხ მოლას და ისკანდერ–ეფენდის. აქვე იყვნენ ჩვენი თარჯიმანი, ორი გამომძიებელი, ზარანდიას მოადგილე – შიტოვცევი, თვით ზარანდია და ჩემი ორი მოადგილეც. დიდი სივიწროვე იყო და ვიფიქრე, რომ თუ კომედიის მეთოდით სარგებლობას ზარანდია მომავალშიც აპირებდა, სხვა კაბინეტი უნდა შემერჩია მისთვის.

შევედი, სავარძელში ჩავჯექი. მუშნი ზარანდიამ იქაურობის მოთვალიერება დამაცადა და დაწყების ნებართვა მთხოვა. თავი დავიქნიე.

ზარანდიამ ასე დაიწყო.,

– თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა გაქვთ... უთარგმნეთ.

თარჯიმანმა უთარგმნა და მოქმედი პირები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ.

– მის უდიდებულესობას, სრულიად რუსეთის იმპერატორს, თქვენმა მამა–პაპამ ფიცით აღუთქვა ერთგულება, თქვენ იმ ფიცსაც უღალატეთ, იმპერატორსაც, საკუთარ ხალხსაც და თურქებს თითბრის თუმნიანებად მიეყიდეთ.

სანამ თარჯიმანი უთარგმნიდა, ერთ–ერთმა გამომძიებელმა თუმნიანი აიღო, ქლიბი გადაუსვა, გადაფხეკილ ადგილს სიმჟავე დააწვეთა. ლითონმა ფერი იცვალა, გამომძიებელმა ბრალდებულებს ჩამოუარა, მონეტა ყველას სათითაოდ აჩვენა...

ერთ მოლას ყარა–ისმაილის მისამართით რაღაც წყევლაც კი აღმოხდა.

– თურქები მხდალები, ვერაგები და მექრთამეები არიან. ნამდვილი საქმის კეთების ილაჯი დიდი ხანია გამოეცალათ, ფონს ტრაბახითა და სიცრუით გადიან. ას ორმოცდაათი წელიწადია, არც ბრძოლის ველზე გაუმარჯვიათ და არც ჭკუით უჯობნიათ ვინმესთვის. ღმერთმა განიზრახა, რუსი ხალხისთვის ძლევამოსილების რწმენა ეჩუქებინა და თურქები ამისთვის მოავლინა მზისა ქვეშე. სხვა მათ არაფერი მიუციათ კაცობრიობისთვის და ვეღარც რასმე მისცემენ. თქვენ თურქებს ლაქიებად დაუდექით, საკუთარ ხალხში დრტვინვასა და ამბოხს სთესავთ, წინააღმდეგობისთვის აგულიანებთ, კლდიდან გადაგდებას უპირებთ.

გაოცებული ვიყავი, ზარანდიასგან ასეთი ტონი და მიმართვის შინაარსი სხვა დროს არსად გამეგონა.

– თქვენი ბოროტი გული იმისთვის აღმდგარა, – განაგრძო ზარანდიამ, – რომ კავკასიონის ხალხებსა და მათ სამშობლოს ღმრთის რისხვა დაატეხოთ. წამოვა დამსჯელი ჯარი, ქართველებსა და სომხებს წინ მეგზურად გამოიგდებს, აულებსა და ქალაქებს გადაგიბუგავენ, წინააღმდეგობის გამწევთ ამოსწყვეტენ, დედაბუდიანად ციმბირში გადაგასახლებენ. ვინც სამართლიან შურისგებას ცოცხალი წაუვა და მთასა და კლდე–ღრეში შეიხიზნება – იქ სიცივით, შიმშილითა და სახადით ამოსძვრება სული. მაგ მიწებზე კაზაკების სტანიცებს დააარსებენ და თქვენი ერები თუ ოდესმე არსებობდნენ, მომავალ კაცობრიობას მხოლოდ წიგნებიდან ეცოდინება.

თარჯიმანი ამის თარგმნასაც მორჩა. მაშინ ზარანდია ზეზე წამოდგა რაღაც საბუთი აიღო:

– ახლა კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რაში ხართ უკვე მხილებული!.. – ზარანდიამ ბრალდებულებს ჩოყურსო–ბეის მიერ სტინესის ბანკში ჰაჯი–სეიდის სახელზე შეტანილი თანხების ნუსხა და ბანკის მიერ ჰაჯი–სეიდთან გამოგზავნილი საშემოსავლო ორდერები გააცნო. მერე ყალბი ფულის გავრცელებაზე ელაპარაკა და მათი ჩხრეკისა და ყალბი ოქროს თუმნიანების აღმოჩენის ოქმების არსებობა მოაგონა. შემდეგ ყარა–ისმაილის შუამავლობაზე და სპილენძის სურაში ნაპოვნი ანაბეჭდების შესახებ უთხრა და ყოველივე ეს დაამთავრა სიტყვებით:

– მე უკვე გითხარით, რომ თქვენ ღორის სული და ვირის ჭკუა გაქვთ, მაგრამ ამდენს მაინც გაიგებთ: ჩვენი იმპერიის კანონი ლმობიერი და შემწყალებელია მათთვის, ვინც გულწრფელი აღიარებისა და ცოდვების მონანიების გზას დაადგება. მკაცრი და დაუნდობელია მათ მიმართ, ვინც თავისი რეგვნობისა თუ ვირეშმაკობის გამო სიცრუესა

და ვერაგობას მიმართავს. წადით, სიმართლე ილაპარაკეთ, დამალვა არაფრისა სცადოთ, თორემ მოვიცლი, მოვალ და მერე, ვაი თქვენი ბრალი!.. გაიყვანეთ! – უბრძანა მან ზედამხედველებს.

პატიმრები გაიყვანეს. შიტოვცევი და გამომძიებლები წავიდნენ და ზარანდია ისკანდერ–ეფენდის ეკვეთა. არ ვიცი, რა დავარქვა იმ გულის ჯავრსა და ღვარძლს, რაც მან საკუთარ აგენტს მიანთხია. ყოველ შემთხვევაში ის, რაც მოლებსა და ყარა–ისმაილს ხვდათ წილად, ისკანდერ–ეფენდისთვის ნათქვამთან შედარებით დედის ალერსი იყო. ზარანდიას სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ ჰაჯი–სეიდის, ყარა–ისმაილის, მოლების და თურქეთის სამსტოვროს საქმიანობისთვისაც ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუს უნდა ეგო პასუხი. ეს ქარიშხალი, სულ ცოტა, ოც წუთს გაგრძელდა. ბოლოს ზარანდია მე მომიბრუნდა და მითხრა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, დაჟინებით მოვითხოვ, მომცეთ უფლება, დავაპატიმრო ეს ნაძირალა იმ მონაცემების საფუძველზე, რაც ჩვენს ხელთ ჯერჯერობით არის!

დავფიქრდი და მივუგე, რომ კანონის დარღვევის უფლებას ვერ მივცემდი და რომ დამატებითი გარემოებების გამომჟღავნება იყო საჭირო. მაშინ ზარანდიამ ისკანდერ–ეფენდის შინაური პატიმრობის ორდერზე მოაწერინა ხელი და კაბინეტიდან კისრისტეხით გააგდო. ჩემთვის ცხადი იყო, ჰაჯი–სეიდთან ლაპარაკი მხოლოდ ახლა უნდა დაწყებულიყო. ღმერთმა იცის, რამდენ ხანს გასტანდა და კაბინეტი მოადგილეებითურთ დავტოვე.

ზარანდიას დილამდე ჰყოლია ჰაჯი–სეიდი – მეორე დღეს სამსახურში ოთხ საათზეღა მოვიდა. მანამ მოვიდოდა, მისმა მდივანმა მომახსენა, ჰაჯი–სეიდი მესამედ რეკავს, ჩემს უფროსს კითხულობს, ფრიად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე მაქვსო.

– გადაუდებელიო? აცნობეთ ზარანდიას!

ჯერ ჰაჯი–სეიდისა და კონტრდაზვერვის უფროსის ურთიერთდამოკიდებულებები მენიშნა და შემდეგ ცნობა, რომ ისკანდერ–ეფენდი იუნუს–ოღლუს წუხელ შინ მისვლისთანავე აუკრეფია თავისი ხელბარგი, საითღაც გაპარულა და უკიდურესად შეშინებულ ჰაჯი–სეიდს სწორედ ეს უნდოდა, ეცნობებინა ზარანდიასთვის. როდესაც მოწინააღმდეგე ციხესიმაგრეში გამომწყვდეული და საიმედოდ გარემოცულია, ცხენების, ძაღლების, კატებისა და ვირთხების სინსილა აქვს გავლებული და წყალიც დაუწყვიტეს, მაშინ მისი ერთადერთი ოცნება სიცოცხლის შენარჩუნებაღაა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ

მოალყე აღნიშნულ სიტუაციაში არა მარტო ზავსა სთხოვს გარემოცულს, არამედ მოკავშირეობასა და მესამე სახელმწიფოზე ლაშქრობას სთავაზობს და დიდი ალაფის გარანტიასაც აძლევს... ჰაჯი–სეიდისათვის სახელდობრ ამგვარი ვითარება შეიქმნა. ზარანდიამ იგი ჯერ დაარწმუნა, რომ ჯაშუშობაში მხილებულისთვის უიღბლიანესი გამოსავალი და უახლოესი გეოგრაფიული წერტილი, შესაბამისად, ბორკილები და სახალინის კატორღაა და ამის შემდეგ სრული კაპიტულაციისა და თანამშრომლობის ალტერნატივა დაუსახა. ხანგრძლივი, დამღლელი გაწამაწიის შემდეგ ცდის პირმა ხელი ჩაიქნია, ზარანდიას ყველა პირობა მიიღო. ან სხვა რა გზა ჰქონდა?.. ჰაჯი–სეიდმა სათანადო ხელწერილები დატოვა, შინისკენ გაეშურა და თან წაიყოლა ღრმა, მყარი და

სამუდამო რწმენა, რომ ზარანდია ის “ფრანგი” როდია, რომელთანაც შეიძლება გარიგების ხელშეკრულება შეადგინო, ხელიც მოუწერო და მერე კი დატოვებული თამასუქი და უარი მარსელის მისამართით გაუგზავნო...

**შალვა ზარანდია**

– მიაქციეთ, ალბათ, ყურადღება, გამეცინა. ეგ რომ მკითხეთ, თავი ვერ შევიკავე. იმიტომ გამეცინა, ჩემო ბატონო, რომ მე თვითონ წლობით მიფიქრია მაგაზე და, სიმართლე მოგახსენოთ, ახლაც არ მგონია, სწორი პასუხი თუ მაქვს ნაპოვნი. გრაფ სეგედისთან, მისი სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ცხოვრებამ მოიტანა ასე და, კარგი დამოკიდებულება შემექნა. სულუგუნი და აჯიკა უყვარდა, ცხონებულს. თბილისში არ ჩავსულვარ ისე, რომ არ მივსულიყავი და მცირედი ძღვენი არ მიმერთმია. რევოლუციამდე ზამთრობით პეტრე დიდის ქუჩაზე ცხოვრობდა, ზაფხულობით – არმაზში, აგარაკი ჰქონდა იქ. თავმდაბალი და უაღრესად ზრდილი ადამიანი იყო, მუსაიფი უყვარდა და რაზე და რამდენი გვისაუბრია – ღმერთმა იცის.

ერთხელ მითხრა, მუშნისთანა უბრალო და სადა გონების კაცი სიცოცხლეში არ შემხვედრიაო. მართალია ეს. ისეთი წვდომის უნარი ჰქონდა და ისეთი ლოგიკა, რომ ქვეყანაზე ურთულეს მოვლენას, ინდოურისთვის რომ გასაგები გახდებოდა, იქამდე დაიყვანდა. დათა პირიქით იყო. ერთობ რთული, გაუგებარი და თითქოს შეუსაბამო საქციელის კაცი იყო. წარმოიდგინეთ, ადამიანმა სიცოცხლე ისე გაატარა, რომ ხელში ვერც ერთხელ ვერ ჩაიგდეს მდევრებმა. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, თავისი ფეხით მივიდა და ჩაჯდა ციხეში. რა არის ეს, რამ მოიტანა ასეთი აუცილებლობა?..

უთქვამთ უკვე თქვენთვის და უნდა დავაზუსტო ზოგი რამ. მე მათი ოჯახის მხოლოდ გაზრდილი კი არ ვარ, – ძმა ვარ მათი და შვილი ვარ მოხუცი ზარანდიების. ასე ითვლება ეს და დამოკიდებულებების მიხედვითაც ასეა. მე ზარანდია არ ვარ, გოგნიაშვილი ვარ გვარად, შავლეგი მრქმევია იმთავით და შალვად გადაკეთდა თავისით თუ როგორ – არ ვიცი. მამაჩემს წათე ერქვა, ძალიან სახელიანი აბრაგი იყო ქართლში – იქ ყაჩაღს იტყვიან. ხუთი წლის ვიყავი, მამაჩემი რომ მოკლეს. ორ თვეში დედაჩემიც გარდაცვლილა. ქართლში ხიზნობა ქვია, შორიდან მოსულ კაცს თავის მიწაზე რომ დაასახლებს მემამულე. ხიზნები ვიყავით, ნათესავი არ გვყავდა იქ. გადმოვიდა სამურზაყანოდან დათა თუთაშხია, მამაჩემ წათეს ძმადნაფიცი აბრაგი, წამომიყვანა და თავის გამზრდელ თამარ და მაგალი ზარანდიებს მიმაბარა აღსაზრდელად და შვილად. ახლაც ხშირია ეს, მარა უწინ საყოველთაო წესივით იყო: ობოლი ან სნეული დედ–მამის შვილი კი არა–და, უფრო შეძლებულებს გაჭირვებული ნათესავის შვილებიც კი მიყავდათ აღსაზრდელად. მიყვანილი ბავშვის პატრონობასაც თავისი წესი ქონდა: საკუთარი შვილების გამორჩევა სირცხვილი იყო – მეზობელი დაგძრახავდა, მოახლედ და მოჯამაგირედ ხომ არ მოგიყვანიათო. ზარანდიების ოჯახში რაც მე სითბო და მზრუნველობა მახსოვს, იმდენი საკუთარი დედ–მამის ხელში სად ქონდათ სხვებს თავის ოჯახებში! მე რომ მიმიყვანეს, მუშნი თბილისში იყო უკვე და იშვიათად მოდიოდა დედ–მამასთან. მუშნის უფროს ძმას – კონსტანტინეს, თავისი ოჯახი და სახლ–კარი ქონდა, ცალკე ცხოვრობდა, ელე ხან თავის სოფელში, მამისეულ სახლში იყო, ხან ჩვენთან და ხან მუშნისთან, – ადრე ქუთაისში და მერე თბილისში. დათა მოდიოდა, ასე, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამზრდელი მამიდის და ბიძის სანახავად, მარა ღამით, და რომ წამოვიზარდე, მერე გავიგე ეს. ერთად–

ერთი ბავშვი ვიყავი ოჯახში იმ დროს. მოხუცები თვითონ ხომ მივლიდნენ და მანებივრებდნენ, მარა ელეს ვუყვარდი საკუთარი შვილივით. ზედ მაკვდებოდა, საცოდავი, როცა ჩვენთან იყო. იქედან მუშნი არ მაკლებდა ხელს და დათა ხომ აბრაგი იყო, თავისთვის რა ქონდა, საწყალს, მარა მალვით მოსული, ისიც კი არ წავიდოდა სახლიდან ისე, ჩემთვის რომ არ დაეტოვებინა რამე – სათამაშო ან ფული და რა ვიცი კიდევ რა. კეთილი იყო ხალხი უწინ და ზარანდიების ოჯახი ხომ... "სახლი სათნოებისა და სახლი სიყვარულისა" – მაგალი ზარანდიას სიტყვებია ეს, ასეთი უნდა იყოს ოჯახიო. მაგალი ზარანდია,

მოგეხსენებათ, უბრალო დიაკვანი იყო, მარა იმდენად განათლებულ კაცს იშვიათად შევხვედრივარ. განათლებას აკადემიურს არ ვგულისხმობ. ისეთი გონების იყო, რომ თვითონ ქონდა მიგნებული ყველანაირი სიბრძნე და რასაც ვერ მიაგნო – ალღოთი ესმოდა ის. არა, ნაკითხი იყო ძალიან– წიგნი უყვარდა, არ დატოვებდა წაუკითხავს – ახალი იქნებოდა თუ ძველი და ჩვენც შეგვაყვარა წიგნი, ყველა შვილებს. პირადად მე იმდენი მასწავლა ცხონებულმა, რომ, მართალია, ათი წლისა მიმიყვანეს სასწავლებელში, მარა მოსამზადებელ კლასებში ყოფნისას და მერეც გაკვირვებას იყვნენ მასწავლებლები, ასეთები სიდან იცის ამ ღლაპმაო! გიმნაზიის წლებში იყო და, ჩიტის რძე არ მოუკლიათ. დავამთავრე, ოთხ წელიწადს ვმასწავლებლობდი ჩვენს სოფელში, მაგალის სურვილი იყო ეს. მერე გამოჩნდა სხვა მასწავლებელი, გამიძახა მუშნიმ პეტერბურგში, შემიყვანა უნივერსიტეტში, ვსწავლობდი იქ. გადავედი მეოთხე კურსზე – იურიდიულ ფაკულტეტზე ვიყავი, წამოვედი საზაფხულო არდადეგებზე საქართველოში და იმ ზაფხულს დაიღუპა ჩემი ძმა მუშნი ზარანდია, პოლკოვნიკის ჩინი ქონდა და დიდი გონების კაცი იყო, დიდი გონების! ექიმების დასკვნით, მისი ავადმყოფობა მელანქოლიის უმძიმესი ფორმით დაიწყო და გარდაცვალება რამ გამოიწვია, ვერ გაიგო ვერავინ ვერაფერი – საფრანგეთიდან და გერმანიიდან ჩამოაყვანინა ხელმწიფე–იმპერატორმა პროფესორები. ცხრაას ცამეტში მოხდა ეს. მუშნი რომ აღარ იყო, დავიბენი და ვეღარ დავბრუნდი უნივერსიტეტში. იმ დროისთვის ხუთი შვილიდან კონსტანტინე და მე ვყავდი ცოცხალი მარტო ჩვენს მოხუცებს. კიდევ წელიწად–ნახევარი გავიდა – დაიღუპა კონსტანტინე იმპერიალისტურ ომში. მოხუცებს მოვლა–პატრონობა ჭირდებოდა, ოჯახსაც, ჩემო ბატონო, და დავრჩი ასე. სამხედრო სამსახურმა არ მიწია, ერთი მარჩენალი ვყავდი ოჯახს. ცხრაას თხუთმეტში მასწავლებლობა დავიწყე ისევ და, აგერ, სამოცდაათის ვსრულდები, სხვა პროფესია არ მისინჯავს, ბავშვებთან ვარ სულ, ორმოცი წელიწადია უკვე.

ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის არ მილაპარაკია, რომ გაგეგოთ, რა დამოკიდებულება მქონდა ზარანდიების ოჯახთან და მათი შვილი რომ ვარ. მინდოდა აღმენიშნა, რომ დათას ნებაყოფლობითი ჩაჯდომის ნამდვილი მიზეზი ვინმემ თუ იცოდა ჩვენს ოჯახში, მეც უნდა მცოდნოდა უეჭველად, ჩემი ურთიერთობების პატრონს – ნამდვილ, ჭეშმარიტ მიზეზს ვგულისხმობ. ნარმოიდგინეთ თქვენ, წესიერად არც მუშნიმ იცოდა ეს. ჩემი სტუდენტობისას პეტერბურგში მუშნის და მე ამაზე ხშირად გვისაუბრია. საბოლოოდ იმ აზრის დავრჩით, რომ მუშნისთვის იყო საჭირო დათას ჩაჯდომა და ამიტომ ჩაჯდა, მარა ორივეს გვესმოდა, მაინც სულ ასე რომ არ იყო საქმე. კაი დრო და ხანი გავიდა მას შემდეგ, ბევრი რამ გადადუღდა, ამოტივტივდა და დაილექა მეხსიერებაში. რამდენიმე შემთხვევას მოგახსენებთ, შეიძლება, ცოტაოდენი ნათელი მოეფინოს დათას ციხეში ჩაჯდომის ამბავს, რა ვიცი.

მივიდა ერთ ღამეს კონსტანტინესთან დუჩა აბრამია, ხობელი კაცი, და უთხრა, – დათა თუთაშხია, შენი ძმა, ლებარდეში ამ და ამ კაცთან წევს მძიმედ დაჭრილი, ჩემი წამოსვლისას სამი დღე უგონოდ იყო და აღარც არის იქნებ ცოცხალიო. დააფიცა კონსტანტინე დუჩა აბრამიამ, – დათამ არ უნდა გაიგოს, მე თუ მოვიტანე ეს ამბავიო. მეორედ გააბრაგებული იყო დათა მაშინ და კაი მოზრდილი ბიჭი ვიყავი მეც. კონსტანტინემ – იმ ღამით რაღა მოხერხდებოდა და დილით თავისი ბიჭი – ბოჩია, გამოგზავნა, ბაბას უთხარი, გადმოვიდეს ჩემთანო. წასვლა დააპირა მაგალიმ და ავეკვიატე, – მეც წამიყვანე–მეთქი. წამიყვანა, მივედით კონსტანტინესთან. დამითხოვეს, სალაპარაკო გვაქვსო, მარა ისე მოხდა, რომ გავიგონე ყველაფერი და მათაც გაიგეს, რომ მათი ლაპარაკის შინაარსი ვიცოდი. თავისთან იმიტომ უხმო კონსტანტინემ მამაჩვენ მაგალის, რომ დედაჩვენ თამარს არ მოეკრა ყური იმ ამბისთვის. ელეც ჩვენთან იყო მაშინ. რომ გაეგოთ ქალებს დათას მდგომარეობა, ვაით და ვიშით დააქცევდნენ ქვეყანას. ბევრი იბჭეს და იფიქრეს მაგალიმ და კონსტანტინემ. წასვლა გადაწყვიტეს ლებარდეში, მარა არც ჩემი დატოვება შეიძლებოდა, – გაგვთქვამს ქალებთანო. მეორე მხრივ, სამი მამაკაცის ერთად წასვლაც დიდად საეჭვო იქნებოდა ქალებისთვის. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ თან წამიყვანდნენ მეც და კონსტანტინეს წასვლა მის ცოლს უნდა ცოდნოდა, ვითომ სათიბებზეა წასული ზვინების სანახავად. პატიოსანი სიტყვა ჩამომართვეს, სახლში რომ არ შევიმჩნევდი არაფერს. დავბრუნდით შინ. სადილობისას მაგალიმ თქვა, – ხვალ დილაადრიან ზუგდიდს მივდივარ, შავლეგი მიმყავს თან, საგზალი მოგვიმზადეთო. გაჭრა ეშმაკობამ, ვერაფერს მიგვიხვდნენ ქალები. დილის სისხამზე დანიშნულ ადგილას შევხვდით კონსტანტინეს და დავადექით გზას ლებარდესკენ. აქედან ლებარდემდე ცხენით სავალი დღენახევრისაა. დათას ადგილსამყოფელამდე რომ მივაღწიეთ, დუჩა აბრამიას მოსვლიდან მესამე დღე თავდებოდა და მაგალიმ ჯერ ის კითხა მასპინძელს, – უბედურება ხომ არაფერია ჩვენს თავსო. გაიცინა ანდრო სალაყაიამ, კაი რომ მოხვედით, თვარა ამაღამ წასვლას აპირებს, სუსტად არის ძალიან და ეგებ დაარწმუნოთ, დარჩეს კიდევ სამ–ოთხ დღესო. ამოვისუნთქეთ შვებით, გაგვიძღვა ანდრო სალაყაია, შეგვიყვანა დათასთან.

იჯდა, იარაღს წმენდდა. ათვალიერებდა და ასწორებდა რაღაცას. მკვდრისფერი ედო სახეზე, სისხლი დაკარგოდა ძალიან ბევრი. ნადირის ჯანმრთელობა ჰქონდა დათას, ვერც ერთი კაცი ვერ გაუძლებს ქვეყანაზე, რასაც დათა უძლებდა – დარდს, დევნას, ღალატს, ჭრილობებს და, ღმერთმა იცის, სხვა კიდევ რამდენი სატანჯველი და საწამებელი ექნებოდა მისი გულის და გონების პატრონს.

განცვიფრდა და განაწყენდა დათა, რომ დაგვინახა, მარა ბაბა იქ რომ იყო, საყვედურები ვეღარ გაბედა. დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი. გასაგებია, ალბათ, ლაპარაკი, მიკითხვა–მოკითხვა, სინანული და გულისტკივილი ბევრი იყო იქ, მარა რაც მნიშვნელოვანია, იმას მოგახსენებთ პირველ ყოვლისა.

ბაბამ კითხა დათას, როგორ მოხდა და ვინ იყო, ტყვია რომ გესროლა და დაგჭრაო.

– ჩემზე მარდი და ჩუბინი იყო, ბაბა, ვინც იყო, და მიტომ მოხდა ასე. – მიუგო დათამ.

– დაბერდიო, რომ გითხრა, არ იქნება სწორი, ორმოცის არ ხარ ჯერ, მარა იმ საქმისთვის, შენ რომ მიდევ, კაი ხანში შესული ხარ უკვე. – უთხრა კონსტანტინემ. – ახალგაზრდობაში

ერთი წამით ყველას ასწრებდი გასროლას და მწევარივით კაცი იყავი, მთელმა საქართველომ იცის ეს. წავიდა ის დრო. აღარც მუხლი გერჩის, აღარც მკლავი და აღარც თვალი გიჭრის იმდენად, აბრაგობას და შენი მდევრის სიმრავლეს რომ ჭირდება. გადაურჩი, აგერ, მარა წინ ბევრი თოფია შენზე მომიზნებული და გამოგასალმებს წუთისოფელს, ვიღაც ოხერი იქნება. დაფიქრება გმართებს ამაზე, დათა, ძამიკო, კაი დაფიქრება.

– რა ქნას, რას ურჩევ შენ? – ჰკითხა მაგალიმ კონსტანტინეს. – ხელახლა დაიბადოს, თუ უკვდავების წყალი დალიოს, ნეტავი?

– არა, ბაბა, სახუმარო არაფერი მითქვამს მე, – გაცხარებით მიუგო კონსტანტინემ. – არ ვიცი, გიამბეს თუ არა ის ამბავი... ამ ოთხი–ხუთი წლის წინ იყო, თათარხან ანჩაბაძესთან სტუმრობდა ერთ საღამოს დათა. მესამე სართულის აივანზე ისხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ სტუმარ–მასპინძელი. ხითარიშვილი არის ერთი ნაყაჩაღარი და მერე ჟანდარმერიის კაცი. გაიგო მან, დათა რომ არის იქ, და აიპარა რაღაცნაირად ზემო სართულზე, გამოვარდა აივანზე, ორი მაუზერი მიაშვირა დათას, – არ გაინძრე, ხელები მაღლაო! დათა მოაჯირთან იჯდა და გადაეშვა მესამე სართულიდან, თვალი ვერ შეასწრო ვერაკაცმა. დიდი კაკალი რომ დგას თათარხანის სახლის წინ – იმ კაკლის კენწეროზე ჩამოეკიდა დათა. დაუმიზნა ხითარიშვილმა,

მარა სანამ ის მიზანში ამოღებას და სროლას მოასწრებდა, დათამ ხელი გაუშვა ტოტს და უფრო ძირს, სხვა ტოტზე ჩამოეკიდა. კი გავარდა ტყვია, მარა სადაც გაიარა, იქ აღარ დახვდა დათა. ახლა ქვევით დაუმიზნა ხითარიშვილმა და ისროლა. კიდევ დაასწრო ხელების შეშვება და უფრო ქვევით ჩამოკიდება ამან. სამჯერ თუ ოთხჯერ განმეორდა ეს, მარა ყოველთვის ცარიელი ადგილი გახვრიტა ტყვიამ, ეს აღარ იყო ხოლმე იქ. ბოლოს ჩახტა მიწაზე დათა. დაუძახა ხითარიშვილს, – არ გკლავ, მასპინძელს ვერ შევკადრებ ამასო. ერთი ტყვია ესროლა, ფაფახი მოხადა, გადაახტა ღობეს და გაქრა საითღაც.

ოთხი–ხუთი წლის წინ დათა ასეთ ფოკუსებს ახერხებდა კიდევ. დღეს და, მით უმეტეს, ოთხი–ხუთი წლის შემდეგ – ვეღარ მოახერხებს, სიბერემ მოაკითხა უკვე. აჯობებს ერთ დღეს ხითარიშვილი თუ სხვა მისთანა ტურა ან თავისით რომ უნდათ ზოგ კაცებს დათას მოკვლა, რომელიმე ესვრის საფრიდან. უწინ მოყვარე და მფარველი რომ ყავდა დათას, ახლა მტერი და მდევარი იმაზე ათჯერ მეტი ყავს. ხალხის ამბავი მოგეხსენება, ასი სიკეთე რომ გაუკეთო და მერე ერთი ავი საქმე – დაგივიწყებს და წყალში გადაგიყრის ყველაფერს და იმ ერთადერთ ავს დაგიხსომებს მხოლოდ. აბრაგობას ახალგაზრდული ჯანი და გონება ჭირდება! ამის თქმა მინდა მე, მეტი არაფრის, ბაბა.

– ვისი გამოგყვა ეგ შეფარულ–შეპარული ლაპარაკი, კოსტა. – უთხრა მაგალიმ. – იმის თქმა გინდა შენ, რომ უნდა გადაყაროს დათამ ეს იარაღი და თოხი აიღოს ხელში, ხომ?.. შეარიგა მუშნიმ მთავრობასთან ერთხელ, აიღო დათამ თოხი, მარა რა გამოვიდა იქიდან, იცი შენ ეს კარგად...

– გაჩერებულიყო თავისთვის, კაცი არ ახლებდა ხელს, – შეაწყვეტინა კონსტანტინემ. – იმ პირობით შეირიგეს, რომ კანონს აღარ დაარღვევდა და იქნებოდა ჭკვიანად. ამან აქეთ – ჭანტურიებიო, იქით – ვიღაც საეჭვო კაცებთან სიარული და საქმიანობა...

– სამართლიან და წესიერ კაცს თუ უჭირს, კოსტა, კანონი აღარ არსებობს მაშინ. – თქვა დათამ.

– რა გაგიჭირდა ასეთი?

– მე – არაფერი. მათ გაუჭირდათ და მე ჩემი ვქენი...

– კანონმა თავისი ქნა და გაგააბრაგა ისევ!

დათამ მხრები აიჩეჩა, გაიღიმა, კარაბინს საკეტი დაუყენა, სასხლეტს დააცემინა.

– მაღალმა ღმერთმა, კოსტა, თავისი ხვედრი არგუნა ყველას, – თქვა მაგალიმ. – დათას ხვედრი და ჩვენი ხვედრი ის არის, როგორც ვართ და როგორც ვცხოვრობთ. მივეჩვიეთ უკვე ამას და აღარც დათას გადაკეთება მოხერხდება ახლა...

– მთლად მასე არ არის, ბაბა.! – გაცხარდა კონსტანტინე. – კაცი ხელეჩო არ უნდა იყოს, ხერხი უნდა იყოს, ბირდაბირი ხერხი. დათა ამბობს, ასეთი ცხოვრება მიყვარს მე და ასეც უნდა ვიყოო. თავისკენ თლის და ჩეხავს მხოლოდ. ჩვენსკენაც ხომ უნდა გადმოაპნიოს ნახერხი როდისმე?.. საყვედურად და დასაყვედრებლად არ ვამბობ, მარა, აგერ, თვრამეტი წელიწადი გათავდა, დათა რომ აბრაგობს და ამ ხნის მანძილზე იქით ელე დაიტანჯა და სამოცი წლის დედაბერს დაემსგავსა ახალგაზრადა ქალი. თქვენ და დედაჩვენი ხართ და – ცრემლი არ შეგშრობიათ თვალზე, წუხილის მეტი რა იცით დათას საქციელისგან. რამდენჯერ გაიგონეთ ჭორი, დათა აქ და აქ მოკლესო და რამდენჯერ ვაი და ვიში იყო ჩვენს ოჯახებში! მუშნი არის და, თოთხმეტი წელიწადია, სულ იმის ეჭვი აქვთ მის უფროსებს თბილისში და პეტერბურგშიც, რომ ეხმარება თავის ძმას, მისი გამოისობით არის, ვითომ, ვერასგზით რომ ვერ დაიჭირეს და ვერ გაიყვანეს სახრჩობელაზე დათა თუთაშხია. ეს რომ არა, რამხელა კაცი იქნებოდა ახლა მუშნი – არ იცის არავინ. აგერ, შალვაც წამოიზარდა, გიმნაზიას დაამთავრებს სადაცაა, დაადგება თავისი ცხოვრების გზას და მასაც ბევრჯერ გადაეღობება დათას ბედ–იღბალი. ასეა ეს ყველაფერი. დათას აბრაგობის მანძილზე კი არადა, ბავშვობიდან რომელმა ჩვენგანმა დავიშურეთ მისთვის ძმობა, დობა, დედობა თუ მამობა? რომელმა დავიხიეთ ვალდებულებებისგან და რომელმა დავიწუწუნეთ ერთხელ მაინც – საყვედურზე და შემოწყრომაზე ხომ რაღა სალაპარაკოა?! ახლა დროა, თვითონ რომ იგრძნოს დათამ, სიმშვიდე გჭირდებათ მოხუცებულობაში თქვენ და ელესაც, შალვას მომავალი ასაშენებელი აქვს ჯერ, მეც მაქვს ჩემი ოჯახი, ჩემი წილი მშვიდი ცხოვრება მეც უნდა მარგუნოს ღმერთმა როდისმე, იქით მუშნის უნდა გავუწიოთ ანგარიში ყველამ ერთად – თავისი გზა აქვს მას და ამაზე უნდა იფიქროს დათამ.

რაც ხელეჩოზე და ბირდაბირზე მოყვა ლაპარაკს კონსტანტინე, მიაჩერდა დათა და გულდასმით უგდო ყური ბოლომდე. ისეთი მოსმენა იცოდა დათამ, რომ გეყურებინათ მისთვის, გაგიკვირდებოდათ პირდაპირ... ერთი შექნევა არ შეექნეოდა სახეზე რამე და ერთ დახამხამებას არ დაახამხამებდა თვალს – ნახევარი საათი შეეძლო ასე და ნათლად ჩანდა, რომ კი არ ისმენდა – ყველა სიტყვას სათითაოდ ნთქავდა და ამუშავებდა გონებაში.

მორჩა ლაპარაკს კონსტანტინე. პატარა ხანს სიჩუმე იყო და მაგალიმ თქვა:

– თქვენი ხნის კაცებში მასეთი ლაპარაკი ერთი პირობით შეიძლება მხოლოდ: საქციელს თუ დაუწუნებ ადამიანს, იქვე და მაშინვე უნდა ითქვას, როგორი საქციელი იქნებოდა კარგი და მისაღები.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– არც მე არ ვიცი ეგ, – თქვა ბოლოს კონსტანტინემ. – თბილისს მივდივარ მომავალ კვირას და თუ დამხვდა მუშნი შინ, მოვილაპარაკებ მასთან, რას იტყვის ნეტავი?

– კოსტა, ძამიკო, მაგის ფიქრის მეტს რას ვაკეთებ მე, მაგრამ არ გამოდის ორივე ერთად. რომ არ გამოდის, მაშინ ის უნდა აკეთოს კაცმა იმ ორში, რომელიც უფრო ღირებულია! – წყნარად თქვა დათამ და მაგალის ჰკითხა: – როგორ არის საცოდავი დედაჩვენი, გული თუ აწუხებს ისევ?..

დილამდე დავრჩით იქ, მარა ამ საგანზე ლაპარაკი აღარ გვქონია.

გვიმასპინძლა და მოგვასვენა ანდრო სალაყაიამ კარგად.

წამოვედით შინისკენ. გათავდა ეს ამბავი ამით.

ისიც უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, რომ დათა თავისი ცხოვრებით ოჯახის წევრებისადმი მიყენებულ საწუხარს დიდად განიცდიდა, მარა კონსტანტინეს ნალაპარაკევმა ფკჩინარი და დამალული სინათლეზე ამოიტანა. უჩინარი და დამალული– თქვა, იმიტომ ვამბობ, რომ ოჯახში არც ერთ ადამიანს არასდროს არ დაუჩივლია და არ დაუწუწუნია დათას ცხოვრებით გამოწვეული უხერხულობების თუ უსიამოვნებების გამო. პირიქით, სულ დათა იყო ჩვენი საფიქრალი და მისი განსაცდელი საკუთარი განსაცდელისგან არ განგვისხვავებია არასდროს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ჩვენი დამოკიდებულების გარეგნული სახე. ეგ კი არადა, მახსოვს, ერთხელ მოვიდა დათა შუაღამის ხანს, გადაგვეხვია, გადაგვკოცნა ყველა. მოუტანეს ვახშამი, ვილაპარაკეთ ამ მთის და იმ მთის. თამარმა, დედაჩვენმა, ტირილით უთხრა დათას:

– შენი ტოლები, დათუნა, შვილო, ყველა მოეწია ცხოვრებას. შენი დაშოშმინება, დამშვიდება და დაოჯახება არ იქნა მარტო!..

მაგალიმ მიუგო ამაზე:

– არც მამა–პაპა ჰყოლია მაგას, გარემოებას რომ ურიგდებოდა, ისეთი, და არც ჩვენ გაგვიზრდია ეს კაცი დაშოშმინებული და მშვიდი ცხოვრებისთვის. რას არის, რომ ნანობ, ნეტავი!

სხვა დროსაც გამიგონია მაგალისგან, – ჩვენი ბრალია დათას ბედ–იღბალი, სხვა არავისი და არაფრის და მისი გაჭირვება ჯერ ჩვენი გაჭირვებაა და მერე მისიო.

დათასთვის მისი ბედ–იღბლისადმი ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ცნობილი იყო, მარა ეს გარემოება მის სინანულსა და წუხილს, რა თქმა უნდა, ვერ აბათილებდა. ის თავისთვის დარდობდა იმას, რომ ჩვენ ვწუხდებოდით, ჩვენ ჩვენთვის ვდარდობდით, რომ დათა

უიღბლო გვყავდა და იმასაც, რომ ჩვენზე წუხდა. ასეა თუ ისე, ოჯახის მიმართ დანაშაულის გრძნობა გამუდმებით აწვალებდა დათას და მისი ნებაყოფლობითი გატუსაღების ერთ–ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს, ასე მგონია მე, ჩემი აზრით, კიდევ იყო რამდენიმე მიზეზი. ახლა, როგორ მოგახსენოთ... ორი მიზეზი ვიცი კიდევ, ერთი სიტყვით, ორი საუბარი იყო იმ წლებში ისეთი კიდევ, რომლებსაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ დათას ჩაჯდომის საქმეში. პირველი საუბარი ეფემია–წინამძღვარს, მამაჩვენ მაგალისა და დათას შორის მოხდა... მეც დავესწარი იმას, მარა კიდევ ერთი ადამიანი იყო იქ – ეფემია–წინამძღვრის მორჩილი, მაშინ – ახალგაზრდა მონაზონი. დედა ეფემიას გარდაცვალების მერე აღარ დარჩა ის ქალი მონასტერში. ახლაც ცოცხალია და აქ ცხოვრობს ქალბატონი სალომე ბაზიერაშვილი–ედიშარიასი. საქმე ის არის, რომ საუბრის დროს ხშირად გავდიოდი მე ხან გარეთ, ხან რაღაცის მოსატანად, ხან სად და ხან სად. არა, ძირითადი შინაარსი ვიცი მეც, მარა ქალბატონ სალომეს დაწვრილებით და მშვენივრად ახსოვს ყველაფერი... ჩემზე უკეთესად, რა თქმა უნდა.

შეგახვედრებთ ქალბატონ სალომეს და გავიხსენებთ, უკეთ გავიხსენებთ ერთად. მეორე საუბარი მამაჩვენს, მუშნისა და დათას შორის იყო. დავესწარი იმასაც და მახსოვს. თუ გნებავთ, ახლავე მოგიყვებით და ქალბატონ სალომესთან ლაპარაკის შემდეგაც შეიძლება. როგორც ისურვებთ.

**გრაფი სეგედი**

მთავარი მაინც ის იყო, რომ ჯერჯერობით ყველაფერი წინასწარ ამოცნობილი სქემის მიხედვით მიდიოდა. ჰაჯი–სეიდმა მადმუაზელ დე ლამიეს თანამშრომლობა აღიარა და დაადასტურა, რომ ისინი მოპოვებულ ინფორმაციას ერთმანეთს უცვლიდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰაჯი–სეიდი და ჟანეტ დე ლამიე თავ–თავის სამსტოვროების წინაშეც იყვნენ დამნაშავენი. საკმარისი იყო, ეს გარემოება გარკვეული საშუალებებით გვეცნობებინა დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის და, დახვრეტა ორივესთვის გარანტირებული იქნებოდა.

– რა გზას აირჩევთ, მუშნი? – ვკითხე ზარანდიას ამ საკითხზე მსჯელობის დროს. – ჰაჯი–სეიდის გარშემო ბოლო ხანებში ჩატარებულმა აქციებმა თუ ამ ქალბატონის ყურთასმენამდე რაიმე ფორმით მიაღწია, მოსალოდნელია, რომ ჩვენი ხელიდან დასხლტომას შეეცდება და იქნებ შესძლოს კიდეც... მაშინ კულაგინისა და სტარინ–კოვალსკის რგოლებს როგორღა მოვუვლით?

– თქვენი აზრით, მადმუაზელ დე ლამიეს დაუყოვნებელი აყვანა ჯობს? – მკითხა ზარანდიამ მცირე დუმილის შემდეგ.

– არ ვიცი, არ მაქვს გარკვეული აზრი მაგ საკითხზე. სწორედ ამისთვის გკითხეთ, რა გზას აირჩევთ–მეთქი.

– მადმუაზელ დე ლამიეს დაპატიმრებას, თქვენო ბრწყინვალებავ, ორი პოლიციელი უნდა. იქნებ ერთიც ეყოს, მაგრამ ენას კბილი რომ დააჭიროს, გაჯიუტდეს და ყველა ბრალდება უარჰყოს, მაშინ ვალდებული ვიქნებით, როგორც უცხოელი მოქალაქე, წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვისთანავე გავათავისუფლოთ, სამშობლოში გამგზავრების უფლება მივცეთ და ხელში არაფერი შეგვრჩება ევროპის ჟურნალ–გაზეთებში აყალმაყალისა და დიპლომატიური გართულებების მეტი. მართალია, ისიც არ არის გამორიცხული, რომ თავიდანვე ყველაფერში გამოტყდეს, მაგრამ ასეთი რამ, ჩემი აზრით,

ვარდისფერ ოცნებათა სფეროს განეკუთვნება. მამაკაცს რომ ეხებოდეს საკითხი... ქალია. საკანში ისე უნდა შევინახოთ, როგორც კეთილშობილ ასულთა პანსიონში და რაიმე სპეციალური სანქციების მიყენებაც დაუშვებელია. ვერც მასთან დაკავშირებული პირებისგან, მისი გარემოცვისგან მივიღებთ ინფორმაციას. მოგეხსენებათ, დაპატიმრებულთან ურთიერთობებზე ყველა ხელს იბანს, ნაცნობობასაც კი ძნელად თუ ვისმე აკისრებინებ. გამოდის, რომ მის აყვანას ამჟამად და, იქნებ საერთოდაც, არა აქვს აზრი...

– საინტერესოა! იქნებ, საერთოდაც?

– იქნებ–მეთქი, თქვენო ბრწყინვალებავ. რა თქმა უნდა, სჭარბობს შემთხვევები, როდესაც მხილებული ჯაშუშის ერთადერთი გონიერი და ყოველმხრივ გამართლებული მომავალი სახრჩობელა ან პატიმრობაა. ზოგ შემთხვევაში კი, მე თუ მკითხავს ვინმე, მისი ხელახალი გამოყენება ჯობს. ათი ასეთიდან ერთმა მაინც თუ მოიკიდა ფეხი და იმედები გაამართლა – დიდი გამარჯვებაა. მადმუაზელ დე ლამიეს მიმართ ეს საკითხი მომავალში უნდა გადაწყდეს. ახლა კი, მგონია, რომ ქალბატონს ჯერ უნდა შევაჩეჩოთ და მერე პირდაპირ ხელში დავუჭიროთ სამხილი. მაშინ შემდგომი რგოლებიც ადვილად და აუცილებლად გაიხსნება.

– რით გნებავთ დაიწყოთ?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა გაჟონვის არხი: კულაგინა – მადმუაზელ დე ლამიე და თუ არსებობს, რა ხასიათისაა იგი...

ზარანდიას მსჯელობა მიმდევრული და დამაჯერებელი იყო, მაგრამ მე მაინც დამეუფლა გრძნობა, რომ მისი თეზების მიღმა კიდევ რაღაც იდო. ამაზე ფიქრის განწყობა არ მქონდა და ზარანდიას პეტერბურგიდან ახლახან მიღებული ინფორმაციის წაკითხვა მივთავაზე. საკითხი ეხებოდა არალეგალურ ჯგუფს, რომლის პირდაპირი და, იქნებ, ერთადერთი ფუნქცია, ჩვენი ხმების გავრცელების სამსახურის ანალოგიური მუშაობა იყო. ესე იგი, დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალამ ჩვენივე მეთოდით დაგვიწყო ბრძოლა. ისინი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში ავრცელებდნენ მაკომპრომეტირებელი ხასიათის ხმებს წყობილებაზე, მეფის ოჯახის წევრებზე და სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებზე.

ზარანდიამ ინფორმაცია ჩაიკითხა და მითხრა:

– გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, სპადოვსკის პროკლამაციაზე საუბარში ვთქვი, დამაფიქრებელია–მეთქი. სწორედ ამას ვგულისხმობდი.

– მახსოვს და რამდენჯერ დავაპირე კიდეც თქვენთან ამ თემაზე ლაპარაკი. რატომღაც ვერა და ვერ მოხერხდა.

– ეს საქმე ისე გამოვიდა, გრაფ, მაშხალების გასაშვებად გამოგონილი დენთი შემდგომში ლაღუმად რომ იქცა!

– მაგას საუკუნეები დასჭირდა და მთავარი მაინც ის არის, რომ დენთი სხეულია და არა სული. ამ საქმეს, – ხელისგული ინფორმაციას დავადე, – განვითარების სულ სხვა ტემპი აღმოაჩნდა. ვფიქრობ, ხმების გავრცელების სისტემებს ფართო პერსპექტივა აქვთ, სულ სხვადასხვანაირ ფორმებში მიიღებენ განხორციელებას და მე უკვე ვხედავ გლობალურ სულიერ დივერსიათა ეპოქას.

– დასწყევლოს ღმერთმა! – ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე იშვიათად მინახავს მუშნი ზარანდიას ასე გაღიზიანებული სახე. ხმის ჟღერადობაც კი სხვა ჰქონდა – იოგებიდან რაღაც ყრუ ტკაცანი აღმოხდა. ამან ჯერ შეაკრთო, მერე თავს დაეუფლა, ჩაახველა და ჩვეულებრივად განაგრძო: – ჩვენს ხელში ხმების გავრცელების სამსახური მთელი გეგმის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილი იყო და თვით გეგმა – გარკვეული სპეციფიკის მქონე რეგიონისთვის შეთხზული, სახელითა და გვარით წინასწარ ცნობილი ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ხრიკებისა და ფანდების სისტემა. მას კერძო გამოყენების დანიშნულება ჰქონდა და უფრო ფართოდ ხმარება არ განგვიზრახავს. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: ჭორების გავრცელების საყოველთაო გამოყენების სისტემატიზებული მეთოდის სიმდაბლემდე წმინდა მამათა ინკვიზიციაც კი არ დაცემულა! ჩვენს მოქმედებას ის ამართლებს, რომ მეთოდი მხოლოდ მოუხელთებელი მოძალადეების, მძარცველებისა და მკვლელების წინააღმდეგ ვიხმარეთ. გამონაკლისი დათა თუთაშხია იყო, მაგრამ მის მიმართ ამ მეთოდის გამოუყენებლობა სამსახურებრივ დანაშაულად ჩამეთვლებოდა. ეს ჩემს სინდისზეა, რა გაეწყობა... პოლკოვნიკ სახნოვს, იქნებ, ხუთივე კონტინენტიც ეცოტავებოდეს, მაგრამ ჩვენი სამაზრო მასშტაბის დროებითი სამსახურის მთელ სახელმწიფოში მუდმივ გამოსაყენებლად გადარგვა და კულტივირება რომ კოშმარული შედეგებით დამთავრდება, ამის განჭვრეტას სინდისი სჭირდება, უბრალო კეთილგონიერებაზე რომ აღარაფერი ვილაპარაკოთ. სახნოვს არც ერთი გააჩნია, არც მეორე. როცა სახელმწიფო იძულებული ხდება, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ასეთი მეთოდები გამოიყენოს, ცხადია, რომ იგი უიმედო ავადმყოფია. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ იმპერიის მტრები. ამ დროს დგას ვიღაც კონკრეტული თუ ზოგადი სახნოვი ვეება ლოდით ხელში და დაყუდებული ბერის შუბლზე ბუზის დასკუპებას მოუთმენლად ელის. კიდევ ერთი რამ, გრაფ... თქვენ მასწავლეთ და მოგეხსენებათ – არის კანონზომიერება, რომლის ძალითაც საქმე, დაწესებულება ან, თუ გნებავთ, ადამიანებისგან შემდგარი სხვა რამ ორგანიზმი, თავისი არსებობის ერთ მოულოდნელ საფეხურზე მორჩილების თვისებას კარგავს, მისი მართვა შეუძლებელი ხდება იქამდე, სანამ დამბლის მიზეზი დადგინდებოდეს და მართვის ახალი მეთოდიკა შემუშავდებოდეს. არაფერია, თუ საბაჟო სისტემის მართვის სადავეები აიშვებენ. გამოუსწორებელი კატასტროფა არც იმას მოჰყვება, თუ საგადასახადო ან საბეგარო სისტემა დროებით უარს იტყვის მორჩილებაზე, მაგრამ ჭორი ჯერ თავის თავშივეა ქაოსი, მერე მისი გადაცემა–გავრცელებაა ნგრევისა და ქაოტური მოვლენების მთელი ღრუბელი და მასებში გასული ჭორი ხომ ის უზარმაზარი ვულკანია, რომელიც არავინ იცის, საით და როდის გაიფრქვევა. ახლა წარმოვიდგინოთ დღე, როდესაც ხმების გავრცელების საიმპერიო სისტემა მორჩილების თვისებას დაკარგავს და ვიკითხოთ, რა გადაარჩენს ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ იმპერიას რღვევისა და ქიმიურ ელემენტებად დაშლისგან?

– ხალხში ხმაა გავრცელებული, რუსთ ხელმწიფე ყოველდღე კატლეტებს მიირთმევსო, – შევაწყვეტინე მე. – სასაცილოა? სრულიადაც არა, რადგან ამ ჭორის ამაფეთქებელი ძალის

სიდიდეა უცნობი. კატლეტების ვერსია ტახტის მემკვიდრეს არ შეუთხზავს, ტახტის მტრებმა გამოიგონეს. ხომ უნდა მივმართოთ კონტრლონისძიებებს? უნდა მივმართოთ, და ეს განა იმას ნიშნავს, რომ ჩვენი იმპერია, როგორც თქვენ ბრძანეთ, მუშნი, უიმედო ავადმყოფია?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ. ეგ ნიშნავს, რომ იმ ზომით არის ავადმყოფი, რა ზომითაც ვიქნებით იძულებულნი, მივმართოთ მაგ მეთოდს პოლიტიკურ ბრძოლაში. ვართ იძულებულნი? სრულიადაც არა!

იმპერია რომ ავადმყოფი იყო, ბევრს ესმოდა, მაგრამ ჩვენი სამსახურის კედლებში ამის ლაპარაკი მკრეხელობად და სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა. მუშნი ზარანდიამ თქმა გამიბედა. მე ვდუმდი, შენიშვნის მიცემაც არ დამიპირებია!.. ამას გარდა, ნათლად ვხედავდი, ზარანდიას შესაძლებლობა რომ მისცემოდა, სახნოვის თაოსნობით მთელ სახელმწიფოში დანერგილ ინფორმაციის სამსახურს ხელის ერთი მოსმით მოსპობდა.

– უკვე დაკანონებული ერთი ინსტიტუტის ლიკვიდაცია უფრო ძნელია, ვიდრე ხუთი ახალი ინსტიტუტის შემოღება–დაკანონება. არსებულ ვითარებაში, ოფიციალური გზებით და, კერძოდ, თქვენთვის ხმების გავრცელების სისტემის ლიკვიდაცია დაუძლეველ ამოცანად მესახება.

ზარანდიამ დაინახა, რომ შესაძლებელ ომში ამხანაგად და თანამებრძოლად შეყოლას არ ვაპირებდი, უკიდურესი განცვიფრება გამოხატა და მითხრა:

– გრაფ, თქვენ ვერ მიმიხვდით. მაგისთანა საქმეებში ჩარევა რა ჩემოდენა კაცის საქმეა!

– ხვალ პოლკოვნიკი სახნოვი ჩამოდის, მუშნი, – საუბრის თემა შევცვალე და რეაქციას დაველოდე.

– ვიცი, გრაფ... – უდარდელად მითხრა ზარანდიამ.

პოლკოვნიკი სახნოვი თბილისს ჩამოვიდა და მის გარშემო მყისვე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სიმართლის დადგენა თვით ეშმაკს გაუჭირდებოდა. ორსახოვანი მოვლენების სამყაროში გადავსახლდი. თუკი რამ ხდებოდა – სტარინ–კოვალსკის ტრაგიკული ეპიზოდის გარდა, – ყველაფერში ორი შინაარსი იდო, ორივე გონებამახვილი, დამაჯერებელი, მაგრამ სრულიად სხვადასხვა, საპირისპირო ბუნებისა. ჩემი გამოცდილებისა და ზარანდიას მუშაობის მეთოდების უაღრესი ცოდნის მიუხედავად, არაერთგზისი ანალიზი და კარგა ხანი დამჭირდა, რომ იმ აბლაბუდაში გავრკვეულიყავი, ნამდვილი ყალბისგან განმესხვავებინა. ზარანდია სახნოვს კაკანათების რთული სისტემით დაუხვდა. ჭეშმარიტება თვალს მიფარებულ ვითარებაში იყო საძებნელი და არა გარეგნულ ეფექტებში.

საძებნელი–მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ჩემი ეჭვები დადასტურდა: ზარანდია სახნოვის საკითხებში, ჯერ იყო, ჩემთან შეუთანხმებლად მოქმედებდა და როცა ყველაფერი გათავდა, სრული სიმართლე თავისი პირით არც მერე მითხრა. ზოგ რამეში დღესაც არა ვარ დარწმუნებული, ეს ჭეშმარიტებაა–მეთქი, ბევრზე ვერაფერზე დავიჟინებ.

ზარანდიას უწინდელი თანამდებობა პოდპოლკოვნიკ კნიაზევს ეჭირა. მისი განყოფილების კურატორი კვლავინდებურად სახნოვი იყო. კნიაზევი სახნოვს ჩვენთან ერთად დაუხვდა სადგურში, სტუმრობაზე დაიყოლია და მეორე საღამოს პეტერბურგელი უფროსის თბილისს მობრძანება და თავისი ახალი თანამდებობა ვახშმით აღნიშნა ვახშამზე სახნოვს გვერდში მადმუაზელ დე ლამიე მიუსვეს! იგი კულაგინებმა მოიყვანეს, რა თქმა უნდა, კნიაზევებთან წინასწარი შეთანხმებით. მათი მიწვევით სახნოვისა და მადმუაზელ დე ლამიეს გაცნობა–დაახლოების პროცესს, უნებლიეთ, თავიდან ბოლომდე ვადევნე თვალყური – ვესწრებოდი. თავს ხომ არ წავიყრუებდი, და სიმართლეს ვიტყვი, არც ვცდილვარ, თვალი რისთვისმე ამერიდებინა. ის სამ–ოთხსაათიანი არშიყობა ჟანეტ დე ლამიემ დიდი ცბიერებითა და უმაღლესი ხელოვნებით ჩაატარა. ვახშამი დამთავრდა; სახნოვმა ჩემი ეტლით ჯერ კულაგინები მიაცილა სახლამდე და შემდეგ თავისი გულის ვარდი, მეეტლის ნაამბობის თანახმად, პოლკოვნიკს, როგორც თვით ეტლში, ისე დე ლამიეს სადარბაზოსთან, უკიდურესი აქტივობა გამოუჩენია. იგი კინაღამ ძალით შეჭრილა ქალის ბინაში, მაგრამ ჟანეტ დე ლამიეს მტკიცე ხასიათი გამოუმჟღავნებია, აცუნდრუკებული პოლკოვნიკი როგორღაც დაუმშვიდებია, სამი დღის შემდეგ კულაგონების ოჯახში ვახშამზე შეხვედრა აღუთქვამს და ბუნდოვანი ავანსის ამარა გაუსტუმრებია.

ამ ეპიზოდში ყველაფერი თავის ადგილზეა და ნორმალურად გამოიყურება. ეგ არის, მანამდე ქალბატონი კნიაზევა მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიეს მხოლოდ მუშტრად ერგებოდა... ამას გარდა, ესოდენ მნიშვნელოვანი პერსონის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე და საიდუმლო პოლიციის მესვეურთა შორის კორსეტებით მოვაჭრე დიაცი, მიუხედავად საკმაოდ რაფინირებული საქციელისა, ანსამბლიდან ამოვარდნილ მსახიობს ჰგავდა. მე არც ის დამრჩენია გაუთვალისწინებელი, რომ დაეჭვება ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მოვალეობა და თვისება იყო და მაინც ალღო არ მომეშვა, ზარანდიას ხელს მკარნახობდა.

დილით მე მას პირდაპირ ვკითხე, წუხანდელი კომბინაცია რისთვის შეადგინეთ–მეთქი. ზარანდიამ მხრები აიჩეჩა, მაგისი არაფერი ვიციო, ვახშმობის პერიპეტიები მაამბობინა და თქვა:

– კარგია. ეგ ალიანსი, შეიძლება, რამეში გამოდგეს.

დასწყევლოს ღმერთმა, ისეთი ლაპარაკი იცოდა და ეს ფრაზაც ისე თქვა, რომ დავეჭვდი კიდეც – იქნებ, მართლა არა იცის რა–მეთქი.

იმის მიხვედრას რა დიდი ჭკუა უნდოდა, რომ დე ლამიე სახნოვზე იყო მიჩენილი. რა თქმა უნდა, მივხვდი, მაგრამ არც აქ მიმიღია რაიმე ზომები. ესე იგი, პირდაპირ და უყოყმანოდ გავწირე დიდი თანამდებობის, მეფის ოჯახთან დაახლოებული პირი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ღირებულებათა გადაფასების ჟამი დამიდგა, შეთქმულების მონაწილედ ვიქეცი და, ამასთან ერთად, ჩემი რწმენებისთვის ეს სრულიად უცხო, მიუღებელი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება იმჟამად არცთუ მაინცდამაინც მაღელვებდა.

ხელმძღვანელ მოხელეთა წრეებში იყო (ვგონებ, ამჟამადაც არის და, ალბათ, მომავალშიც დარჩება) – ერთგვარი ტიპის მესვეურებზე ამბობდნენ – მებრძოლი კაციაო. ეს ტერმინია და გულისხმობს ადამიანს, რომელსაც გამუდმებით აწვალებს რწმენა: «უკვე მიღწეული

სტატუს კვო, ჩემი ნიჭის შეურაცხყოფა თუ არა, ერთობ მცირე და სათაკილო შეფასება არისო». აქედან გამომდინარე, აღზევებისთვის ბრძოლა ასეთი ადამიანების პერმანენტულ მდგომარეობას წარმოადგენს. მებრძოლი კაცები ხშირად აღწევენ იმას, რომ გამჭრიახი, ენერგიული პიროვნების რეპუტაციას იქმნიან, მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობაში მოწყვეტილი ვარსკვლავის ხვედრს ინაწილებენ. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება. ამა თუ იმ პროცესისა თუ ვითარების ანალიზის დროს და განსჯილიდან დასკვნის გამოტანაში შედეგისოდენა ძალა არც ერთ არგუმენტს არ გააჩნია. ამდენად, დამარცხებულ მებრძოლ კაცებს, პირადად მე, შეზღუდულთა თუ ნაკლულთა რიცხვს უყოყმანოდ ვაკუთვნებ ხოლმე. ნიჭიერ, სრულფასოვან მოიერიშეს იმის უნარი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ მოწინააღმდეგის საკონტრიერიშო შესაძლებლობები სწორად შეაფასოს, – ბრძოლის პროცესში სიფრთხილის ელემენტარული ნორმების დაცვის აუცილებლობაზე თუ აღარას ვიტყვით, შეფასების უნარისა და, მით უმეტეს, სიფრთხილის უქონლობა, განა შეზღუდულობას არ ნიშნავს?

სახნოვმა ცალკე მე, ცალკე მუშნი ზარანდიას, თუ ორთავეს ერთად, პირველმა გადმოგვიგდო ხელთათმანი. მოველოდი, რომ თბილისში, ესე იგი, მოწინააღმდეგის ბანაკში, გაფაციცებულს, თვით სიფრთხილედ ქცეულს ვნახავდი სწორედ პირიქით მოხდა: თავი ისე დაიჭირა, ვითომ უკვე მოგუდული ვყავდით და პეტერბურგში მინისტრის თუ არა, შეფის სავარძელი მაინც, დაბრუნებისთანავე ჰქონდა განაღდებული. მოწინააღმდეგის ძალთა შეფასების ცოტაოდენი უნარი და მინიმალური სიფრთხილე რომ გამოეჩინა, იქნებ, აღარც წაქცეულიყო...

პოლკოვნიკმა კულაგინების ვახშამდე ვეღარ მოითმინა, ადიუტანტის ხელით მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიეს ბარათი გაუგზავნა: კნიაზევებთან ყოფნისას უნიკალური ხალიჩის თაობაზე რომ ელაპარაკეთ და აღმითქვით, მიგიყვანთ, გაჩვენებთ, თუ მოგეწონებათ, შედარებით იაფადაც გაყიდვინებთო, სიტყვა სიტყვაა და დანაპირები დღესვე უნდა შემისრულოთო. ჟანეტ დე ლამიემ დასტური შეუთვალა, მაგრამ დაუყოვნებლივ კი არ იხმო – ხუთ საათზე მობრძანდითო, და ამას ზევით, სანამ ჩაცმა–დახურვასა და გამოკეკლუცებას მორჩებოდა, კიდევ ერთი საათი თავისი ბინის სასტუმრო ოთახში აყურყუტა შეყვარებული პოლკოვნიკი.

ადიუტანტის გაგზავნის შემდეგ, ანუ შუადღიდან მოკიდებული, საღამოს შვიდის ნახევრამდე, სახნოვს ლოდინმა ამოჰხადა სული. ისღა ასულდგმულებდა, რომ ერთი გასროლით ორ კურდღელს მოინადირებდა – სატრფოს ნახავდა, რაც თავისთავად ხვაშიადის აღსრულების პერსპექტივა იყო, და, პეტერბურგელი კოლექციონერების გულგასახეთქად, დიდი მოღულის ხალიჩასაც დაითრევდა.

ჰაჯი–სეიდმა პოლკოვნიკი სახნოვი და მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიე, რა თქმა უნდა, პირადად მიიღო. ყავის მირთმევისა და მცირედი მუსაიფის შემდეგ დიდი მოღულის ხალიჩა გაშალეს. ეფექტმა მოლოდინს გადააჭარბა. სახნოვი აფოფინდა, წონასწორობა დაკარგა. სპარაპეტას მოპარული ნივთი ოცდაათ ათასად იქნა დაფასებული. პოლკოვნიკმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ საგანთან ყოველნაირი ურთიერთობა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა და, ამასთან ერთად, სულიმწარედ უნდოდა, სერიოზული მყიდველისა და კოლექციონერის კომპეტენტურობა გამოემჟღავნებინა, თორემ არც ოცდაათი ათასი ჰქონდა, თურმე, და არც ამ თანხის

მესამედი. ჰაჯი–სეიდმა ხუთი ათასი ჩამოაკლო, აქედან ფეხი აღარ მოიცვალა. პოლკოვნიკმა თქვა, ხვალ მოვალ, მოლაპარაკება განვაგრძოთო, და უკიდურესად აღრეულმა დატოვა ფირმა.

მართლაც საშინელ დღეში იყო პოლკოვნიკი: აქედან – ქალი, რომელიც, სახნოვის აზრით, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ხელიდან როგორმე დასხლტომოდა და წასულიყო. იქიდან – დიდი მოღულის ხალიჩა, რომელიც მთელი თავისი გრანდიოზული მიმზიდველობითა და სიმძიმით დააწვა კოლექციონერის აკაწკაწებულ საღერღელს... მაგრამ სახნოვს პრიმიტივის ინსტინქტმა უკარნახა, – ორივე დარდის ერთი გასაღები ისევ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიესთან დაახლოებაში დევსო, თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ გულის გადაყოლების საჭიროება იგრძნო. ასე იყო თუ ისე, მიჯნურებმა რესტორანში მოიკალათეს.

იმ საღამომ, სახნოვის აზრით, თითქმის ფუჭად ჩაიარა, რადგან იგი ამურულ სიახლოვეს ეძებდა, ხოლო ჟანეტ დე ლამიემ ამას გაამხანაგების, დაძმაკაცების ტაქტიკა დაუპირისპირა. მართალია, პოლკოვნიკს იმ ღამეს არაფერი ერგო თავისი ქალბატონის სახლამდე მიცილებისა და გამომშვიდობებისას ხელზე კოცნის მეტი, მაგრამ სასტუმროში დაბრუნებულს ისეთი გრძნობა ეწვია, რომ კეთილის მსურველი და, იქნებ, ერთგული მეგობარიც კი შეიძინა, ამასთან დაკავშირებით, მის სულში აკვარიუმის ოქროს თევზის ფარფლივით შეირხა ბუნდოვანი სასოება. ეს მშვენიერი არსება, ბოლოს და ბოლოს, არა მარტო სარეცლის განცხრომას მოუტანდა, არამედ დიდი მოღულის ხალიჩის საქმესაც დააშველებდა თავის მადლიან ხელს... ზემოთქმული მეორე დღეს დილით თვით მუშნი ზარანდიამ მაცნობა. ისიც დასძინა, რომ სახნოვისა და დე ლამიეს შეხვედრა დღესვე, შუადღის ხანს კვლავ უნდა შემდგარიყო, მაგრამ აქაც ყველაფერზე დაიბანა ხელი, მე არაფერ შუაში ვარო.

გამეცინა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, მე მხოლოდ შევქმენი გარემო, რომელშიც ადამიანები საგნებისა და სიტუაციების მიმართ დამოკიდებულებებს თავისით აყალიბებენ. მიაქციეთ ყურადღება, გრაფ, მე–მეთქი, ვამბობ, და არა ჩვენ. იმის თქმა მსურს, რომ შედეგებზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს, თუ საერთოდ იქნება რაიმეზე პასუხისგება საჭირო.

ახლა ის უნდა გამეანალიზებინა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ზარანდიას მხოლოდ მახეები დაეგო და მის ხელწაუშველებლად იმ "გარემოში" მოქმედ ადამიანებს, სახელდობრ, ის ეკეთებინათ, რაც ზარანდიას ესაჭიროებოდა.

დასკვნა ასეთი მივიღე: ზარანდიას მხოლოდ ჟანეტ დე ლამიესგან შეეძლო სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა. მაშასადამე, კონტაქტიც ჰქონდა მასთან. პრინციპში, გამორიცხული არ იყო, რომ ზარანდია მხოლოდ ისმენდა და არავითარ მითითებებს არ აძლევდა ქალს. მაგრამ რა აზრი უნდა ჰქონოდა ასეთ ურთიერთობას? თუკი ხელში ჩაიგდე მაშინ აკეთებინე კიდეც! ზარანდია ის კაცი იყო, რომ ამოდენა შრომის ფასად შექმნილი ვითარება თვითდინებაზე მიეშვა?..

მახსოვს, ამ ეპიზოდის გამო გავიფიქრე, რომ ზარანდიას სულ მცირე შეცდომას საერთაშორისო სკანდალი შეიძლებოდა წარმოეშვა, მეფის ოჯახი გასვრისა და გალანძღვის შესაძლებლობის წინაშე იდგა.

აქაც გაჩუმება ვარჩიე.

იმ საღამოს კულაგინებს ვახშმად უნდა ვწვეოდით. წინადღით, ოთხზე თუ ხუთზე, ზარანდიამ დამირეკა, მოსვლის უფლება მთხოვა. მობრძანდით–მეთქი.

შემოვიდა და მითხრა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, პოლკოვნიკმა დიდი მოღულის ხალიჩა იყიდა. ოცდახუთი ათასი მანეთის თამასუქი ჰაჯი–სეიდს მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიემ მისცა!

– რატომ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიემ.

– სახნოვს ფული არ ჰქონდა, დე ლამიესგან ისესხა.

ის ახირებული ხალიჩა იმთავითვე ძარღვებს მიშლიდა. შემექმნა აზრი, რომ ზარანდია ვეშაპს ბარჯით კი არა, სათამაშო მშვილდ–ისრით უპირებდა დაკოდვას...

– მუშნი, ნუთუ გგონიათ, რომ ნაქურდალი ხალიჩის შესყიდვის ინკრიმინაცია სახნოვისთანა ძლიერ კაცს რამეს დააკლებს?

– არა მგონია! მაგით უბნის პოლიციელსაც კი ვერაფერს დააკლებს კაცი. სხვათა შორის, არც მაქვს ამოცანად დასახული, სახნოვს რაიმე დავაკლო. პოლკოვნიკი თვითონ ებრძვის თავის თავს.

– მაშინ, არ მესმის, რა უნდა მოიტანოს მაგ ხალიჩის გარშემო წამოწყებულმა ფაფხურმა!

– უკვე მოიტანა, გრაფ... – ზარანდიამ ფურცელი გამომიწოდა. – აი, ექსპერტიზის დასკვნაც ხელწერის იგივეობაზე. ინებეთ.

ექსპერტიზის დასკვნის გამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გამიშეშდა – ფურცელს ვეღარ მოვწყვიტე თვალი...

გონს მოვეგე, პირჯვარი გადავისახე, ექსპერტიზის დასკვნას ვეცი, გადავიკითხე; ეს ინსტინქტური, ქვეცნობიერი ნაბიჯი იყო და ნიშნავდა იმას, რომ ჩემს არსებაში იმედის ნაპერწკალმა იფეთქა, – იქნებ, არ არის მართალი, იქნებ, ნაყალბევია–მეთქი. ის, რაც წაკითხვის შემდეგ განვიცადე, ჩემი თავშეკავებისა და თვითფლობის უნარს აღემატებოდა.

– შეუძლებელია!

ზარანდია სდუმდა.

აქღა გამიცნობიერდა სულის რომელიღაც კუნჭულში მიჩქმალული ქვეშეცნეული აუცილებლობა, რომ, უპირველესად ყოვლისა, დამშვიდება იყო საჭირო. ავდექი, ცოტა ხანს ვიარე, მაგიდას დავუბრუნდი, ისევ ჩაეიკითხე ტექსტი. გერმანულად ეწერა:

«მივიღე მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიესგან ოცდახუთი ათასი რუსული მანეთი. პოლკოვნიკი სახნოვი» (თარიღი).

– ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სახნოვმა, – ჩავილაპარაკე მცირედი დუმილის შემდეგ, – შეფის მოადგილემ, საგანგებო საბჭოს წევრმა, დიდი მთავრის ნათლულმა მიიღო ოცდახუთი ათასი რუსული

მანეთი ავსტრო–უნგრეთის ჯაშუშისგან – ფროილაინ ჟანეტ დე ლამიესგან... ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ეს სკანდალია, ეს მისი უდიდებულესობის საერთაშორისო კომპრომეტაციაა!..

მუშნი საიდან გაქვთ ეს ხელწერილი?!

– ჰაჯი–სეიდმა გადმომცა.

– ჰაჯი–სეიდს რატომ უნდა ჰქონოდა ეს?

– მადმუაზელ დე ლამიე ინფორმაციის ვენაში გადასაგზავნად ჰაჯი–სეიდის არხებით სარგებლობს...

– თავი დაანებეთ ზღაპრებს! თქვენი ინსპირირებულია ყველაფერი რაც სახნოვის გარშემო ხდება!

– ეგრეც რომ იყოს, მე მაინც ისე უნდა ვილაპარაკო, როგორც ვლაპარაკობ. მაგრამ, გრაფ, საინტერესო ის არის, რომ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც ვლაპარაკობ.

– როგორ, თქვენ დე ლამიესთან პირადი კონტაქტი არ დაგიმყარებიათ?

– ჯერ არა, ზეგ, თქვენო ბრწყინვალებავ, პორუჩიკ სტარინ–კოვალსკისთან მისი დაპირისპირების წინაღამეს დავამყარებ პირად კონტაქტს. ხვალინდელი დღე, უკეთ ვთქვათ, კულაგინების ვახშამი მჭირდება. ეს საქმე, ყოველ მიზეზს გარეშე, თექვსმეტამდე უნდა მორჩეს. ჩვიდმეტში პაემანი მაქვს სამეგრელოში, დათა თუთაშხიასთან...

– მომითმინეთ... საიდან იცით, თუ რა ხდება სახნოვსა და დე ლამიეს შორის, როცა ისინი მარტონი არიან?

– ჰაჯი–სეიდისგან, თქვენო ბრწყინვალებავ, და ქალბატონ ტერეხოვასგან. ეს მანდილოსანი მეტად ნიჭიერი აღმოჩნდა.

– ბატონო ზარანდია, მე მსურს და მოვალე ვარ, ვიცოდე ყველაფერი!

– თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ იცით სწორედ იმდენი, რამდენიც მე. ეს უკვე მომხდარს ეხება. ხოლო თუ რა არის მოსალოდნელი, ანუ ვარაუდით რა უნდა დაგვრჩეს ჯამის ხაზს ქვეშ – მზად ვარ, მო–

გახსენოთ.

– ბრძანეთ... და უზღაპრებოდ თუ შეიძლება!

– გრაფ, – სიცილით მითხრა ზარანდიამ, – თქვენ სრული უფლება გაქვთ, დაეჭვდეთ ჩემს სიმართლესა და გულახდილობაში, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გაგაჩნიათ, ეჭვი შეიტანოთ ჩემს ერთგულებაში!..

– მუშნი, ადამიანები, ხშირად ხდება, მათგან მოულოდნელ თვისებებს ამჟღავნებენ ხოლმე. განაგრძეთ!

ზარანდიამ თავი სინანულით დააქიცინა და თქვა:

– ლიკვიდირებული იქნება ავსტრო–უნგრეთის, ირანისა და თურქეთის საჯაშუშო რეზიდენტურები და ქსელები. აღიკვეთება – ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, თურქთა პანისლამისტური მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენს დაზვერვას შეემატა თითო გამოცდილი აგენტი ჟენევაში, თეირანში, რომში. სამსახურიდან გადადგება პოლკოვნიკი სახნოვი და გადადგომის ნამდვილი მიზეზი ჩვენ ორის მეტს არავის ეცოდინება. რეორგანიზებულ იქნება ან სრულიად გაუქმდება ხმების გავრცელების სამსახური. დიდი მოღულის ხალიჩა პატრონს დაუბრუნდება და პოლკოენიკ გლებიჩს დაენიშნება ახალი ადიუტანტი... მართალია, ჩემს ნათქვამში ზოგი რამ, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ეს ვარაუდი ფაქტად უნდა იქცეს, თორემ – თქვენ ჯვარი გწერიათ და, – მე იქნებ, ციმბირშიც ამოვყო თავი, თუ ყარა–ისმაილმა და მოლებმა მეტეხის ციხეშივე არ მოასწრეს ჩემი დახრჩობა! – ზარანდიამ გულიანად გაიცინა.

ჩემი მოადგილის სიტყვებში, თითქოს, ახალი არაფერი იყო, მაგრამ ამ სრულიად ფანტასტიკურმა პერსპექტივამ მაინც გამაბრუა – ალბათ, იმიტომ, რომ ასე ერთად და ყველაფერი ლამის სისრულეში მოყვანილი, მაშინ პირველად წარმოვიდგინე. ეს გრანდიოზული რამ იყო!

**ქალბატონი სალომე ბაზიერაშვილი–ოდიშარიასი. ბატონი შალვა ზარანდია**

– მოგეხსენებათ, ჭორს და ახალ ამბავს რაც შეეხება, ამაში ქალები მამაკაცებზე ცნობისმოყვარენი ვართ. დედათა მონასტერი ხომ – აბა, რა სათქმელია!.. დათა თუთაშხიასი კი არა, ცხრა მთას იქითა ამბები ვიცოდით; დიდება შენდა, ღმერთო! ალბათ, ისე მოვკვდები, ჭორის გავრცელების სისწრაფისას ვერაფერს გავიგებ. მონასტერში ჭორის გამეორება ცოდვად გვეთვლებოდა და თვით ჩვენმა წინამძღვარმა კი სხვადასხვა ახალი ამბავი მაინც ჩვენზე მეტი იცოდა, ამასთან, ჭორისა და სიმართლის გარჩევის დიდი ნიჭი ჰქონდა. გვიყვარდა «... დიდება კაცთა, უფრო, ვიდრე დიდება ღმრთისა». იოანე, თორმეტი, ორმოცდასამი.

ეფემია–წინამძღვარი მამაჩემის უფროსი და გახლდათ, ესე იგი, ბაზიერაშვილის ქალი იყო, დედა თუთაშხია ჰყავდა – ამათი მოგვარე და არა ნათესავი; საიდან და როგორ – არ ვიცი, მაგრამ დათა თუთაშხიასთან დიდი ახლობლობა და მეგობრობა ჰქონდა ეფემია–

წინამძღვარს. მე მის მონასტერში იმისთვის ამოვყავი თავი, რომ თოთხმეტი წლის ასაკში თავდავიწყებული სიყვარული მეწვია – მშობლებმა ცოდვას გამომარიდეს. მამიდაჩემმა ეფემიამ ერთ წელიწადს მიყურა, რატომღაც დაასკვნა, რომ მომავალში წინამძღერად გამოვდგებოდი და საგანგებო წვრთნა დამიწყო. მეხსიერება კარგი მქონდა, ოთხივე სახარება და ძველი აღთქმის საგრძნობი ნაწილი ადვილად გავიზეპირე; თან იმ სიბრძნესაც მიზიარებდა, ასი თუ მეტი განწირული დედაკაცი მორჩილებაში და ღვთისმოსაობაში რა საშუალებებით უნდა მყოლოდა. მაგრამ სასულიერო მოღვაწეობისკენ არავითარი მიდრეკილება არ მქონდა. იმხანად ოცი წლის მხიარული გოგო ვიყავი, სიცილ–კისკისსა და მასხრობაში გამყავდა დღეები. საცოდავი მამიდაჩემი – აღმზრდელი და მენტორი – ჩუმ–ჩუმად დაცინვისა და, რაღა დასამალია, პატარა, უბოროტო ეშმაკობების საგნად მყავდა. ყურთ აკლდა და ცხოვრებას ესაც მიადვილებდა. დიდად განათლებული ქალი გახლდათ ეფემია–წინამძღვარი – ფრანგულ, ინგლისურსა და რუსულ ენებს ერთნაირ კარგად ფლობდა და მეც მასწავლიდა. მონასტერში საერო ლიტერატურის შენახვა აკრძალული გვქონდა. ამიტომ წინამძღვარი უცხოურსა თუ რუსულ ჟურნალ–გაზეთებს მაგალი ზარანდიას მისამართით იწერდა და ქართულს ხომ წაუკითხავს არაფერს დასტოვებდა.

ერთ ზამთრის ღამეს, – ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა, – ეფემიას სენაკის კარს ვიღაცამ მიაკაკუნა. წინამძღვარი პირველზე ადრე არ იძინებდა. გააღო. ზღურბლზე რაღაც ჩურჩული იყო. მეკარის ხმა ვიცანი. იჩურჩულეს, მეკარე წავიდა, ეფემია ჩემთან შემოვიდა და მითხრა, – თბილად ჩაიცვი, მივდივართო.

მონასტრის ჭიშკარს იქით შალვა ზარანდია გველოდებოდა, ფარანი ჰქონდა. სანამ ტალახ–ტალახ სოფელში ჩავედით, სანამ ზარანდიების კიბეებთან ფეხსამოსი დავიფხიკეთ – კაი ერთი საათი გავიდა...

– ეფემია–წინამძღვარს მაგალი–მამაჩვენისთვის ნათქვამი ჰქონდა, – დათა რომ მოვიდეს, შალვა აფრინე, გამაგებინე, აუცილებელი საქმე მაქვსო. მოვიდა ერთ ღამეს დათა და მაგალიმ გადასცა ეფემია–წინამძღვრის სურვილი. გაიცინა დათამ, გაიქნ–გამოიქნია თავი და მითხრა, – წადი, შეატყობინეო. სანამდი მე ისინი მოვიყვანე, დათა უკვე დაბანილ–დავარცხნილი იჯდა ბუხართან, ლობიოს ქოთანს ნაკვერჩხალს უმარჯვებდა...

– ოთახში შევედით და მაშინღა მივხვდი, რომ ჩვენი მოულოდნელი წამოსვლის მიზეზი ის შავხალათა, ყავისფერპაჭიჭებიანი, წუღა–მესტში გამოწყობილი კაცი იყო, რომელსაც მამიდაჩემმა ხელი გაუწოდა. დამხვდური ეფემია–წინამძღვარს ხელზე ემთხვია, მე ღიმილით დამიკრა თავი და მასპინძლებმა სუფრასთან მიგვიწვიეს. დიდი მარხვა იყო, ეს ვახშამსაც ეტყობოდა. შავხალათა დამხვდური დათა თუთაშხია აღმოჩნდა. საშუალო სილამაზის მამაკაცი იყო, მაგრამ საოცრად წარმოსადეგი და ახოვანი. ეფემიას დადგენილი საერთო წესის თანახმად, მე ერთთავად თვალებდახრილი უნდა ვმჯდარიყაეი, მამაკაცისთვის არ უნდა შემეხედა, მაგრამ იქ გულმა ვეღარ მომითმინა, წარამარა დათა თუთაშხიასკენ ვაცეცებდი თვალებს. ეფემიას კიდევ ერთი ძირითადი წესი იმაში მდგომარეობდა, რომ მის გვერდით, ხელმარცხნივ უნდა ვყოფილიყავი – ფეხზე თუ მჯდომარე, სულ ერთია, – მისი საუბრისთვის გულდასმით უნდა მეგდო ყური – ქალთან იქნებოდა თუ მამაკაცთან – და როცა ეფემია ხელის მტევანს შემართავდა, იმავ წამს, დაუყოვნებლად, უნდა მეთქვა სახარების ის ნაწყვეტი, რომელიც მის შეხედულებასა თუ

მტკიცებას კვერს დაუკრავდა. ჩვენს წინამძღვარს სუსტი სმენა ჰქონდა, ეს უკვე ვთქვი, მაგრამ თუ ტუჩებში შემომცქეროდა – ყველაფერი ზუსტად და უცდომლად ესმოდა. ამიტომ ნაწყვეტების წარმოთქმაში სიცრუე მხოლოდ იმ შემთხვევაში შემრჩებოდა ხოლმე, თუ ეფემია საითმე სხვა მხარეს იყურებოდა. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც მე და ჩემი აღმზრდელი განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში ვყავდით. საქმე ის არის, რომ მე ჩემი მენტორის დასკვნებსა და შეხედულებებს იშვიათად ვიზიარებდი და ამიტომ მისი ხელის შემართვა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ უეჭველად მისთვის საჭირო და გამოსადეგ ნაწყვეტს ვიტყოდი. პირიქით, უფრო ხშირად საწინააღმდეგო შინაარსის ნაწყვეტი მომყავდა, რაც წინამძღვრის მძაფრ შენიშვნებსა და გულისწყრომას იწვევდა. წარბებს აპრეხდა თვალს თვალში გამიყრიდა და მეტყოდა ხოლმე:

– ამ ხნის ადამიანს!.. – დანარჩენი იგულისხმებოდა და ისიც უნდა ვთქვა, რომ მის შენიშვნებს საომარ ვითარებაში არსებითი ცვლილებები,ვერ შეჰქონდა.

დათა თუთაშხიასი მე ყველაფერი და კიდევ მეტი ვიცოდი – თავად ვავსებდი ხარვეზებს. ჩემი ცოდნა მარტო მონასტრული ჭორ–ამბავისგან როდი შედგებოდა. თვით ეფემია–წინამძღვარიც მანათლებდა ამ მხრივ: ხშირად დათა თუთაშხიას რომელიმე საქციელის მაგალითზე მიმარტავდა ადამიანის ავ–კარგს და ხანდახან – ალბათ, ჩემს გასაგონად – თავის თავს ესაუბრებოდა ხოლმე ამ თემაზე. ყოველივე ამან, ჯერ კიდევ იმ წლებში მაფიქრებინა, რომ ის კაცი ეფემია–წინამძღვრისთვის მხოლოდღა აბრაგი არ უნდა ყოფილიყო – რა თქმა უნდა, ჩემთვის ერთობ შორეულსა და უღრან წარსულში. ჩვენი წინამძღვარი გამუდმებით წერდა რაღაცას. ეს ნაწერები ერთადერთი რამ იყო, რაზეც თვალი ვერ მიწვდებოდა – კარადაში ინახავდა ნაწერებს, სამი თუ ოთხი საკეტურით აღჭურვილ კარადაში.

– ეფემია–წინამძღვარი, ქალბატონო სალომე, კაი ათი წლით იყო დათაზე უფროსი. ძნელი წარმოსადგენია, მათ შორის ტრფობა და სიყვარული ყოფილიყო როდისმე...

– არ ვიცი, ეგ ჩემთვის დღემდე გაუგებარი რამ არის, მაგრამ დიდი და რაღაც თავისებური სიყვარული რომ ჰქონდათ ერთმანეთისა, ეს უდავო მგონია... ასეა თუ ისე, ვსხედვართ – თამარ და მაგალი ზარანდიები, დათა თუთაშხია, აი, შალვა და მე – ჩაის ვსვამთ. მიიწურა უქმი სალაპარაკო, პატარა ხანს სიჩუმე იყო და ეფემია–წინამძღვარმა დათა თუთაშხიას მიმართა:

– უსამართლო ცხოვრებას ეწევი დათა!.. ადამიანის ცოდვებს ღმრთის რისხვა მოსდევს და აკი არც აკლია განსაცდელი კაცთა მოდგმას საერთოდ და საკუთრივ შენი ცოდვების გამოისობით – ერს, აქ და დღეს. – ეფემიამ მარცხენა ხელი ცისკენ აღაპყრო და ჩემი ჯერი მოდგა.

– “ყოველმან ხემან! რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას” მათე, სამი, ათი, – მაგრამ ეფემიამ ეს კარგად გაიგონა თვალებში შემომაცქერდა და მრისხანედ მკითხა:

– რას გულისხმობ, მხევაღიო?!

– “რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს”. ლუკა, თოთხმეტი, თერთმეტი, – ვთქვი, რაც ენაზე მომადგა.

ეფემია–წინამძღვარი დაფიქრდა, ეჭვის თვალი მომაბჯინა და თქვა:

– საამშემთხვეოდ ითქმის: “გიყუარდეთ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა”... – ლუკა, ექვსი, ოცდაშვიდი, – ჩავაკერე და ეფემიამ კიდევ წარმოთქვა:

– “რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ...”

– მარკოზი, ოთხი, ოცდაოთხი! – დავაყოლე უმალ და წინამძღვარმა თავი ჩააქიცინა.

– ყველაფერი ღმრთისგან არის.! – თქვა დათა თუთაშხიამ. ეფემია–წინამძღვარმა დაცინვად მიიღო ეს და უმალ მოუჭრა:

– არა! ბოსტანი უნდა იმარგლებოდესო, ამ ბოლო წლებში რომ აგიხირებია, ეგ სატანისგან არის. ბოროტების დათრგუნვა განგიზრახავს, მაგრამ იგი ბოროტებითვე ვერ დაითრგუნება. როცა ძალადობას ძალადობითვე სპობ, მართალია, ერთ ბოროტებას ანადგურებ, მაგრამ იმავე ადგილზე რამდენიმე ახალი აღმოცენდება ხოლმე. შენ ამას ვერ ხედავ ან დანახვა არა გსურს! – ეფემიამ ხელი ისევ შემართა და ყურება დამი ყო.

რაღას ვიზამდი, მიმინოსავით შემომცქეროდა.–

– “წერილ არს: სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქვაბ ავაზაკთა” ლუკა, ცხრამეტი, ორმოცდაექვსი. – ეფემიამ თვალი მომაშორა და იქვე ჩავაბულბულე: “რაჟამს გესმოდიან ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ–არს ესე ყოფად” მარკოზი, ცამეტი, შვიდი.

მაგალი ზარანდიამ თავი ვეღარ შეიკავა, გაიცინა. ეფემიამ ისევ ეჭვის თვალით გამოიხედა.

– ბოდიშს ვიხდი, დედაო, – იმავ წამს სახე იცვალა მაგალი ზარანდიამ. – გამიკვირდა, ასე პატარა გოგომ მშვენივრად რომ იცის სახარება.

– მონა ღმრთისა მხევალი! გოგონა არ არის ეგ, – მკაცრად განმარტა წინამძღვარმა და დათას მიუბრუნდა: – არ არსებობს მიზანი, რომლისთვისაც იმდენი ცოდვის ჩადენა იყოს გამართლებული, რამდენიც შენ იტვირთე, ვერც ისე ვიფიქრებ, ვითომ შენი ნამოქმედარის შედეგებისა არა იცოდე რა. ბეჩუნი პერტიასთან რომ მოგიხელთა ქილიამ და ალყა შემოგარტყა, მაშინ შენმა ამხანაგებმა ყურუას ბიჭები მძევლებად წაიყვანეს. უმცროსი ბიჭი ჭკუიდან გადაცდა და დღესაც გიჟია, საცოდავი, – ეფემიამ პირჯვარი გადაისახა, – ყურუას სახით ბოროტება უნდა დაითრგუნოს? ყურუას შვილმა ვის რა დაუშავა? ხაშურში ყანდურს შეუვარდით, საკუთარ თონეში საკუთარ დამქაშებს ბურღულ–ღერღილით დაამარხვინეთ – ვითომ სასაცილოა, არა? არ არის სასაცილო! ყანდურმა, ის დასტურიძე იყო თუ ვიღაცა, თონეშივე დაახრჩო და თქვენ გადაგაბრალათ. ამილახვრის მოურავი დღესაც ციხეში ზის, ვერ ამტკიცებს, რომ მისი მიგზავნილები არ იყავით. ვითომ, ბოროტ კაცსა სძლიეთ და, აგერა, იმავ ადგილზე რამდენმა ბოროტებამ ამოხეთქა! რომელი ერთი

მოვთვალო შენი ნამოქმედარი და ცოდვები. რაც მაგაებს ხელი მოჰკიდე, საქართველოში შენი სახელით რამდენი ბოროტება მოხდა – ვინ მოთვლის?! არა ის მაინც რა იყო, თორდუას რომ ქაცარია მოაკვლევინე. იძახა თორდუამ, როგორც დაარიგე, – მე არა, დათა თუთაშხიამ მოკლაო, მაგრამ არ დაუჯერეს და აკი კატორღაშიც ამოყო თავი...

– ქაცარიამ ცოლი გაუუპატიურა თორდუას, მის თვალწინ ჩაიდინა ეს! გასაკვირია, რომ მოკლა? – ჩაურთო თუთაშხიამ.

– შენ შეიპყარი ის ყაჩაღი და მოძალადე ქაცარია, შენ მიუყვანე ფაცხაში თორდუას და იარაღიც შენი იყო. ეგ რომ არ გექნა, ცოდვილ დედამიწაზე ერთი მკვლელობით ნაკლები იქნებოდა, ოთხი ობლით ნაკლები ეყოლებოდა ღმერთსა და ის უბედური თორდუაც თავის ოჯახში იქნებოდა, თავის ცოლ–შვილთან და თავის მიწა–წყალზე. ვითომ, ბოროტება დათრგუნე, არა? მოკვდავი ხარ, ეგრე ცხოვრების ნება შენთვის არავის მოუცია. “არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა?” ამის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ...

– მათე, ათი, ოცდათოთხმეტი, – ჩავაკერე მარდად და ეფემია–წინამძღვარმა განაგრძო:

– მხოლოდ მესიებს! ისიც მაშინ, თუ საამისოდ ვითარება არის მომწიფებული და არა ყოველთვის, – ეფემია–წინამძღვარმა ხელი შემართა.

– “მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა” ლუკა, ოცი, ოცდახუთი – ჩავაბულბულე და უფრო მაღალ ხმაზე ვთქვი: – “რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ” იოანე, თორმეტი, ოცდათხუთმეტი.

ეფემია–წინამძღვარმა ორივე ნაწყვეტი გაიგონა და არა უთქვამს რა. მაშინ მივხვდი და შემდგომში სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩემი მენტორი თანდათან თავადაც დაინტერესდა “სახარების თამაშით”.

იმით დავრწმუნდი, რომ ერთხელ თავისი შეხედულების დამადასტურებელი ნაწყვეტი მათქმევინა და იქვე მიბრძანა: – აბა, მაგისი საწინააღმდეგოცა თქვიო. ვთქვი და დიდხანს იფიქრა. მერე მითხრა – ეგენი ეშმაკეულისგან გაქვსო.

– დიდი ცოდვები გაწევს, დათა, დიდი და მრავალრიცხოვანი, – განაგრძობდა ეფემია–წინამძღვარი. – სანამ ჩემს მთავარ სათქმელს გეტყოდე, მინდა გავერკვე, საიდან შემოგიარა სატანამ, რა გზითა და ბზარით შემოაღწია შენს სულში და როგორ განაგდო შენგან სიკეთის მადლი. თქვი რისთვის სჩადი მაგას?!

– გაუგებარია? – იკითხა დათა თუთაშხიამ და თვალი მოგვავლო.

– ფრიად! – მიუგო ეფემია–წინამძღვარმა

დათა თუთაშხიამ პატარა ხანს იფიქრა და მაგალი ზარანდიას ჰკითხა:

– თქვენთვისაც გაუგებარია, ბაბა?

მაგალი ზარანდიამ ჯერ დუმილი არჩია და როცა სიჩუმემ დიდხანს გასტანა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ვიცი ეგე, მარა...

– რა იცი? , შეუტია წინამძღვარმა.

– რისთვისაც აკეთებს იმას ეს!

– რისთვის!

– არ შეუძლია სხვაფრად და მისთვის.

– ეგ ლაპარაკი არ გამოდგება! სხვაფრივ რომ არ შეუძლია – ეგ მიზეზია. მე მიზანს ვკითხულობ... თუმცა, ისიც მაინტერესებს, სხვაფრივ რატომ არ შეუძლია.

– ეკლესია, დედაო, რისთვის ქადაგებს.– "ნუ კაც ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილს სწამებ, ნუ დააკლებ კეთილის ყოფად, პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"? – იკითხა მაგალი ზარანდიამ და მე მის ნათქვამს დავძინე:

– მარკოზი, ათი, ცხრამეტი.

– სიმტკიცისთვის ზნეობისა, აღზევებისთვის სიყვარულისა, დათრგუნვისთვის ბოროტის საწყისისა ადამიანში, – მიუგო ეფემიამ.

– რა საჭიროა ეგ? – უმალ ჰკითხა დათა თუთაშხიამ.

– ბოროტი კაცი ერის მტერია, მისი განმარღვეველი, დამაკნინებელი ძალაა. კეთილი კაცი ერის შემწეა, მისი აღმაზევებელი, გამამთლიანებელი ძალაა. უკეთურისგან ერისა და სამშობლოს სიყვარულს ნუ მოელი. მისი გული ხარბია და სული თავკერძი. მაღალი ზნეობის კაცი ერისა სამშობლოსი და მოყვასისთვის იღვაწებს უპირველესად და, თუ საჭირო გახდა, მსხვერპლადაც მივა. ამისთეის არის საჭირო! – თქვა ეფემია.წინამძღეარმა.

– თქვენ რაც ბრძანეთ, დედაო, იქიდან ისე გამოდის, ვითომ მამულიშვილობა და სამშობლოსთვის თავდადება მაღალი და უმაღლესი ზნეობის კაცთა ხვედრი იყოს მხოლოდ. – თქვა მაგალი ზარანდიამ. – ხომ აკლავენ მამულისთვის მტერს თავს დაბალი ზნეობის ადამიანებიც?

– მათ მიერეკებიან, ისინი სასჯელის ან ზურგიდან სიკვდილის შიშით იხოცებიან! – მიუგო ეფემიამ ხელი შემართა და ვინაიდან მე ამ საკითხში ჩაუხედავი გახლდით, რაც მეხსიერებამ დაუყოვნებლივ მომაწოდა, ისა ვთქვი:

– "რავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ" ლუკა, თოთხმეტი, ოცდაოთხი.

– მძაფრა, დასჯით, დედაო, – მიუგო მაგალი ზარანდიამ. – ასე აჯობებდა, მგონია, სათქმელად: თავისი ქვეყნის შვილია ის კაციც; მოთხოვა სამშობლომ ვალის აღსრულება და შეაკვდა მტერს.

– ერი და მამული! – ჩაილაპარაკა დათა თუთაშხიამ და თამარ ზაანდიას ჰკითხა: – როგორ გვასწავლიდი დედა, შენ?

თამარმა დააყოვნა და თავისთვის თქვა:

– "სანამ იტყოდე რამეს, სანამ გადადგამდე ნაბიჯს – იფიქრე, თუ გამოადგება ის ერს, მამულს, მოყვასს"–თქვა. ასე გასწავლიდით, შვილო, ასე გვასწავლიდა მამაჩვენი ჩვენ და ჩვენი მოდგმის ყველა მამა

და პაპა თავის შვილებს.

– მიზეზიც არის ნათქვამი და მიზანიც! – დაასკვნა მაგალი ზარანდიამ.

– სხვა მიზეზი და სხვა მიზანი არ მქონია არასდროს მე, – თქვა დათა თუთაშხიამ. – მარტო ქადაგება ვეღარაფერს ხდება, ხედავთ ამას თქვენ. წაიბილწა ერი. ძალაა საჭირო, "შიში შეიქმს სიყვარულსა", შიში! ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო სიკეთე არ კმაროდა არასდროს...

– "რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს!" იოანე, თერთმეტი, ორმოცდაათი, – ჩავილაპარაკე, მაგრამ წინამძღვარმა გაიგონა და თქვა:

– "ეშმაკეულ არს და ცბის!" – ეს, მგონი, დათა თუთაშხიას და მე, ორთავეს გვეხებოდა.

– იოანე, ათი, ოცი. – აღვნიშნე სასწრაფოდ, მაგრამ ჩემი მენტორის გამომეტყველების მიხედვით, ხვალინდელი დღე მშიერი ვიქნებოდი, ეს ნამდვილი იყო, თუ სასჯელად უარესს რასმე არ მომიგონებდა.

– ახლა... არ მგონია, მთლად ისე იყოს, დედა–ეფემია რომ ბრძანებს, მარა ერთია საეჭვო... – უთხრა მაგალიმ დათა თუთაშხიას, ცოტა შეიცადა და განაგრძო: – რასაც შენ აკეთებ, ბოროტების დასათრგუნად აკეთებ, ასე ჩანს მაგ საქმე. არ გამოდის ეგ, შენი მოქმედებით ერში ძალადობა მრავლდება უფრო და რომ გინდა, იმის საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს... თუ გამიგე, რას ვლაპარაკობ... ერთი რომ იყო, ხუთი ბოროტება ამოვიდა იმ ადგილზე და უფრო გაიხრწნა ერის ზნეობა. უკუღმა გამოდის ყველაფერი!..

– არ არის სხვა გზა და საშველი. ნასინჯია ყველაფერი უკვე, – მტკიცედ, თითქოს ჯიბრით თქვა დათა თუთაშხიამ.

– არის! – თუთაშხიასეული ჯიბრითვე ბრძანა წინამძღვარმა.

– სად, როგორ და რაშია?! – იკითხა დათამ.

– სათნოებაში, ცოდვილო, სათნოებაში!

დათა თუთაშხიამ ხმით გაიცინა:

– რა არის, დედაო, სათნოება.

– სათნოება?.. საშუალო ნამეტნაობასა და უკმარისობას შორის, უსამართლოდ მოხვეჭასა და უმართებულოდ მიცემას შორის. როცა ძლიერება განშორებულია სიმართლესა და სიბრძნეს – იქ სათნოება არ არის. შენ უკიდურესობების კაცი ხარ და სათნოება კი ზომიერებაა. გესმის?! – განმარტა ეფემია–წინამძღვარმა

– ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ხალხში ზომიერებისა და სათნოების გზით მამულისთვის სამსახური? შეუძლებელია! – წყნარად მიუგო დათა თუთაშხიამ.

– მაშინ ისეთ ქვეყანაში უნდა გადაბარგდე, სადაც ეგ შესაძლებელია!

– სად არის, ნეტავი, მაგისთანა ქვეყანა, დედაო!

– დიდი ცოდვები გაწევს, დათა, და შენ ის კაცი არა ხარ, რომ შენს ნამოქმედარზე ხელი ჩაიქნიო, ყველაფერი მიივიწყო და უდარდელად გალიო შენი წილი წუთისოფელი. დაიტანჯები, სინდისის ქენჯნა მოგკლავს, სული ცოდვების მონანიებას მოგთხოვს, უნდა ეწამო! – წინამძღვარმა ამ სიტყვას რაღაც განსაკუთრებული აზრი ამოაყოლა. დათა თუთაშხია თითქოს მიხვდა, რასაც გულისხმობდა მისი თანამოსაუბრე, წამოიწია, სახეზე ცნობისმოყვარეობა, ინტერესი აუთამაშდა. – ქართველ ხალხს ჰყოლია კაცები, ვისაც ცხოვრებამ, საჭიროებამ ძალმომრეობა დააკისრა და თავისი ცოდვების მოუნანიებლად დაიხოცნენ. ხალხმა დაივიწყა ისინი. იყვნენ ისეთებიც, ვინც თავისი ნამოქმედარის ბოროტება შეიგნო და ნებაყოფლობით ეწამა. ამით იმ კაცებმა საკუთარი სიცოცხლის წრე შეჰკრეს, თავის არსებობას დასრულებული სახე მისცეს! ავად ნაღვაწი – სიკეთის, მარტვილობის შარავანდედით შემოსეს და დღეს ისინი ხალხს სათაყვანებელ კერპებად ჰყავს, თუნდ სიკეთისთვის, ერისავე კეთილდღეობისთვის ჩადენილი, მაგრამ ძალმომრეობა – მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხის გონებაში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგვინდება.

– რას მირჩევ, დედაო ეფემია? – ეშმაკური ღიმილით ჰკითხა დათა თუთაშხიამ.

არასოდეს მენახა შემცბარი ეფემია–წინამძღვარი. მოსალოდნელი იყო, რომ იგი, როგორც ყოველთვის, ყველას და ყველაფრის გამო დაურიდებლად, უყოყმანოდ ეტყოდა სათქმელს, მაგრამ ასე არ მოხდა. წინამძღვარმა თავი ჩაღუნა, კალთას ჩააცქერდა და ჩაილაპარაკა:

– ნიჭიერი კაცი ხარ, დათა. შენისთანა კაცების მცირე შეცდომაც კი ძალიან ძვირად უჯდება ერს. უნიჭობაზე საშიში ნიჭიერებაა, როცა მას მაღალი ზნეობა და ღმრთის მოშიშობა არ ახლავს თან. ნიჭიერი კაცის ყველა საქციელი გადამდებია, მაგალითის ძალა აქვს. ერისკაცობა აღარ შეიძლება შენი, უნდა აღიკვეცო... ბერად!.. მე მოგიხერხებ, რუსეთის ერთ–ერთ მონასტერში სხვა გვარით მიგიღებენ...

სიჩუმე ჩამოდგა. თამარ ზარანდიამ წინდის ჩხირებს თავი მიანება, თავჩაქინდრულ წინამძღვარს მიაჩერდა. შალვა შეშინებული თვალებით შეჰყურებდა დათა თუთაშხიას, ვაითუ დათანხმდეს და მართლა ბერად შედგესო. მაგალი ზარანდია ოდნავ მღიმარი თვალებით ათვალიერებდა დათას და წინასწარ იცოდა, რომ ეფემია–წინამძღვარმა შეუძლებელი მისთავაზა. მე დრო ვიხელთე, დათა თუთაშხიას ცისფერ თვალებსა და

განიერ გულ–მკერდს აშკარად უშიშრად მივჩერებოდი. თვით დათა კი სუფრას დაჰყურებდა და წყვდიადივით სდუმდა.

ეფემია–წინამძღვარმა ანაზდად გუნება იცვალა, თავი ასწია, მიმინოს თვალები დათა თუთაშხიას მიაბჯინა და ჩეეული სიმტკიცით თქვა:

– შენ საკუთარი ერისა და მამულის მტრად იქეცი. დარწმუნებული ვარ, ხედავ კიდეც, რომ ეს ასეა, მაგრამ მაინც შენსას სჩადი, რადგან არ ძალგიძს გულხელდაკრეფილი იჯდე. ისეთი ბუნების კაცი ხარ, რაიმე უნდა აკეთო, აუცილებლად უნდა აკეთო რაიმე! რა? ეს ამჟამად არ იცი და ვერც გაიგებ, სანამ საკუთარ სულში არ ჩაღრმავდები, სანამ ახალი შთაბეჭდილებებისა და ცოდნის ნაკადი არ შემოიჭრება შენს გონებაში... მონასტერი, ლოცვა, მონანიება, ფიქრი, ჭეშმარიტების ძიება და მიგნება – სხვა გზა არა გაქვს! – ეფემიამ ხელი შემართა.

– “არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინო დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ” ლუკა, ხუთი, ოცდაჩვიდმეტი, – თამამად და დამარცვლულად ვთქვი, ან დასარიდალი რაღა იყო, როცა ხვალინდელი შიმშილი განაღდებული მქონდა.

მენტორმა გამომხედა და, ჩემდა მოულოდნელად, ისეთი სიხარულით შემომღიმა, თითქოს, მადლობას მეუბნებოდა, რომ მისი მოსაზრების საწინააღმდეგო ნაწყვეტი ასე მარდად და კარგი გამოთქმით

მოვიტანე.

– კაი, დედაო, ვიფიქრებ მაგაზე მე, – ღიმილითვე უთხრა დათა თუთაშხიამ ეფემიას და საუბარი ამ თემას აღარ დაბრუნებია.

ამის მერე წელიწადი თუ მეტი იყო გასული წინამძღვარს ვკითხე:

– აღიკვეცება დათა თუთაშხია?

– არასოდეს!

– დროთა განმავლობაში მიხვდი მაგას?

– სანამ ვურჩევდი, იქამდე ვიცოდი.

– რატომღა ეუბნებოდი?–

– ვალი მოვიხადე, ვალი – ღმრთის წინაშე და ვალი – თვით დათას წინაშე! მეშინოდა, მოკლავდნენ. ეხლაც მეშინია, – ეფემიამ ხელი ასწია.

– “მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიღრიკოს!” ლუკა, ცხრა, ორმოცდათვრამეტი, – ვთქვი და ეფემიამ პირჯვარი გადაისახა.

ერთადერთხელ ვნახე ჩვენი წინამძღვრის მკაცრ ღაწვებზე ცრემლი.

– გათენებას არ უკლდა ბევრი, ფარანი რომ ავანთე და ეფემია–წინამძღვარს და ქალბატონ სალომეს რომ გავყევი მონასტრამდე. მახსოვს კარგად და, აგერ, ქალბატონი სალომეც დამემოწმება, ნამეტანი დაფიქრებული იყო დათა მთელ ღამეს იმ ლაპარაკის შემდეგ. ხდება ზოგჯერ, ტრიალებს ადამიანის გონებაში ფიქრი, მარა სანამდე სხვა არ ეტყვის პირდაპირ და დალაგებით იმ ფიქრისას, არ აქცევს იმდენ ყურადღებას კაცი. იმ ხანებში ისე მოეწყო, რომ დათა რამდენჯერმე ზედიზედ მოვიდა ჩვენსას. ახლა ვხედები და ვხედავ, სულ მძიმე, სევდიან გუნებაზე იყო. დანამდვილებით თქმა ძნელია, მარა იმღამინდელმა – ჯერ ეფემია–წინამძღვრის და მერე მამაჩვენი მაგალის ნალაპარაკევმა – თავისი წილი შეიტანა, მგონია, ციხეში დათას თავისი ფეხით მისვლაში. ახლა მეძნელება ზუსტად თქმა, რამდენი ხანი გავიდა. აგერ, ქალბატონ სალომეს ნაამბობ ლაპარაკის შემდეგ – კაი ხანი გავიდა, კაი ხანი – და კიდევ ერთი ლაპარაკი მოხდა ჩვენს სახლში, მეც დავესწარი იმას. გვიანია უკვე, მოისვენეთ ამღამ და იმ საუბრისას ხვალ მოგახსენებთ დღისით, სანამდე მატარებელზე წასვლის დრო მოგიწევდეთ.

**გრაფი სეგედი**

კულაგინების ვახშამი სხვა ასეთივე დანიშნულების თავყრილობებისგან შეიძლება მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ზომაზე მეტად მოსაწყენი იყო. ისე გამოვიდა, ბარე ორი საათით დავიგვიანე. ჩემი მისვლის შემდეგ ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიე უფრო სევდიანი და მიმზიდველი მეჩვენა, ვიდრე კნიაზევებთან იყო. სახნოვის ორიოდ ისეთი გამოხედვაც დავიჭირე, თითქოს რაღაცით ნიშანს მიგებდა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე კიდეც, ზარანდიამ ხომ არ წაიბორძიკა–მეთქი, მაგრამ ალღომ საამისო არაფერი მიკარნახა და ის გადმობრიალებები მიმავიწყდა. თორმეტის ნახევრამდე ვიჯექი. მერე ბოდიში მოვიხადე, ვეღარ დავრჩები–მეთქი, ეტლში ჩავჯექი და შინისკენ გავწიე.

ეს იყო და ეს.

დილის თერთმეტ საათზე სამსახურში მივედი. გავიფიქრე, ნეტავი რაში სჭირდებოდა–მეთქი ზარანდიას კულაგინების ვახშამი, და ამ დროს სახნოვიც მეწვია. ძალიან უღიმღამოდ მომესალმა, დაჯდა. უბიდან ოთხად მოკეცილი საკანცელარიო ფორმატის რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ის ქაღალდები, რბილი გამოთქმა რომ გამოვიყენო, ჩემსკენ გადმოისროლა. ქაღალდებმა ჩემამდე ვერ მოაღწია, მაგიდის კუთხეზე დაეშვა, შეტორტმანდა, რაღაც ბედად ადგილს შერჩა.

იმავ წამს გამიელვა, რომ სახნოვი უსიამოენებაზე მიწვევდა. კაბინეტში ჩვენ ორნი ვიყავით და ეს შესაძლებელი წალაპარაკება შემდგომში და საჭირო ადგილას ისე შეეძლო გაეშუქებინა, როგორც მოესურვებოდა. ბოლო ხანებში ჩამოყალიბებული ვითარება მოითხოვდა, რომ არც ეს საჭოჭმანო ღირსების საბაბი მიმეცა მისთვის. ამიტომ ყურმილი ავიღე და პოდპოლკოვნიკ კნიაზევს ვუხმე, დაუყოვნებლივ შემოსულიყო.

შემოვიდა, მოგვესალმა.

– დაბრძანდით, – მივმართე კნიაზევს და ზანზალაკი დავაწკარუნე.

ადიუტანტმა შემოაღო კარი.

– მომაწოდეთ, აგერ, მაგიდის კუთხეზე რომ დაკეცილი ქაღალდებია, როტმისტრო!

ადიუტანტმა სასწრაფოდ მომაწოდა და მერეღა დაიბნა, – ამისთვის მიხმო, თვითონ ვერ აიღებდაო?

ქაღალდები გავშალე სახნოვს ვკითხე:

– რა არის ეს, ბატონო პოლკოვნიკო?

სანამ პასუხს მომცემდა, ფურცლებს თვალი გადავავლე... მყისვე ვიცანი, სპადოვსკის პროკლამაციის ასლი იყო.

– თქვენი მუშაობისა და უდიდესი გამოცდილების შედეგი და, იქნებ, ერთგულების გამოვლინებაც!.. – დაიყვირა სახნოვმა და უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტონისა და შინაარსის, ასე, ხუთ–ექვსწუთიანი ტირადა მოაყოლა. მისი სიტყვით, მე არა მარტო დასრულებული და უიმედო იდიოტი ვიყავი, არამედ მაღალი თანამდებობით შენიღბული მტერიც მისი უდიდებულესობისა.

მე კი – რა საოცარი რამ არის ადამიანი! – მშვიდად ვისმენდი, ცოტა მიხაროდა კიდეც. თვალი გადავაპარე – პოდპოლკოვნიკ კნიაზევსა და ჩემს ადიუტანტს მკვდრისფერი ედოთ. სახნოვმა, როგორც იქნა, ამოცალა თავხედობისა და კადნიერების გუდა. გაჩუმდა, მაგრამ ისეთი გაბრაზებული იჯდა, ვითომ ყველა ის სიბრიყვე მე მეთქვას მისთვის და არა მას – ჩემთვის.

ალბათ, სიჩუმის ჩამოვარდნა იყო საჭორო, რომ სახნოვის წუხანდელი თვალების გადმობრიალებები მის ხელში სპადოვსკის პროკლამაციის ჩავარდნით ამეხსნა, ხოლო ამ ბოლო მომენტთან ზარანდიას სიტყვები დამეკავშირებინა: აკი მითხრა კულაგინების ვახშამი მჭირდებაო.

– გასაგებია. – უნებლიეთ ჩავილაპარაკე და ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ პროკლამაციის სახნოვის ხელში მოხვედრა ზარანდიას ნამუშევარი უნდა ყოფილიყო. ეგ არის, იმას ვეღარ მივწვდი, რაში სჭირდებოდა ეს და გაურკვევლობა ისევ სიტყვებით გამოვხატე: – კარგი, მაგრამ, მერე?

– როგორ თუ – მერე! – ისევ აყვირდა სახნოვი – თქვენ, ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, როგორც ჩანს, არაფრად მიგაჩნიათ... – და უკვე ნათქვამის განმეორებას მისდგა.

წუთი იყო თუ ნაკლები – ვუსმინე. ახალს არაფერს ამბობდა, ზანზალაკი კვლავ დავაწკარუნე. პოლკოვნიკი დამუხრუჭდა. პაუზით ვისარგებლე და ვუთხარი:

– თქვენ თოთხმეტში დილით ქუთაისში გელიან. ბატონო კნიაზევ, მისწერეთ სიმაკინს დეპეშა, რომ დაუხვდეს ბატონ პოლკოვნიკს. თუ საჭიროდ მიიჩნიოთ – წაჰყევით.

კნიაზევი ადგა.

– არ არის საჭირო, – ისროლა სახნოვმა.

– კეთილი და პატიოსანი, როგორც გენებოთ... ბოდიშს ვიხდი, საქმეები მაქვს. წარმატებას გისურვებთ, ბატონო პოლკოენიკო, ნახვამდის.!.. როტმისტრო, დაბრძანდით აქ, – კნიაზევის ადგილზე მივუთითე.

სახნოვი ადგა – ეს მექანიკური მოქმედება იყო. ადგა და ადგილის ტკეპნას მოჰყვა. ალბათ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ აი, ასე კუდამოძუებული გასვლა არ შეიძლებოდა, რაიმე უნდა ექნა ან ეთქვა, მაგრამ, ჩანს, ხეირიანს ვერაფერს კარნახობდა გონება... ბოლოს, კარისკენ დაიძრა, ზღურბლთან შედგა და კვლავინდებური ტონით მითხრა:

– მე იძულებული ვარ, პირადად მოვახსენო მინისტრს, მაგ ... შემაძრწუნებელი ფაქტის... ფაქტზე, დიახ!

სახნოვი და კნიაზევი კაბინეტიდან გავიდნენ.

– ზარანდია მოსულია? – ვკითხე ადიუტანტს.

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ... სძინავს, თავის კაბინეტში.

– სძინავს?

– დიახ– დილის რვაზე თუ ცხრის–ნახევარზე შესულა კაბინეტში და სძინავს.

– გააღვიძეთ და სთხოვეთ, მოვიდეს ჩემთან.

ცოტა ხნის შემდეგ ნამძინარევი ზარანდია ჩემს მახლობლად სავარძელში ჩაეშვა.

– წუხანდელი ამბები მაინტერესებს, მუშნი.

სპადოვსკის პროკლამაციის ეპიზოდის ყველა დეტალი ჩემთვის მაშინღა გახდა ცნობილი, როცა მთელი საქმე კარგა ხნის დამთავრებული იყო. აღმოჩნდა, ჩემთან ლაპარაკში ზარანდიამ ზოგი რამ განზრახ გამოტოვა. თხრობის მიმდევრობა მოითხოვს, რომ ის გამოტოვებული ამბავი ახლავე ჩავწერო და არა მერე და იმის მიხედვით, თუ როდის გავიგე.

კულაგინმა სპადოვსკის პროკლამაცია ფოსტით მიიღო სახნოვისა და დე ლამიეს მოსვლამდე, ასე საათნახევრით ადრე, წაიკითხა, აღშფოთდა და პროკლამაცია საკუთარი კომენტარებითურთ სახნოვს გადასცა. სახნოვმა წაიკითხა და კულაგინთან საერთო ენა გამონახა იმ საკითხზე, რომ კავკასიაში ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან ბრძოლა ერთობ უთავბოლოდ და სუსტად სწარმოებს. პოლკოვნიკმა პროკლამაცია მუნდირის ჯიბეში ჩაიდო. ამასობაში ვახშამიც მოიღეს. სახნოვის თვალების ბრიალის მიზეზს, თუმც დაახლოებით, მაგრამ მაინც სწორად მივხვედრილვარ – მას აგურის კიკო მუნდირის ჯიბეში ედო. სტუმრები ჩემი წასვლის შემდეგ მალე აშლილან. სახნოვმა ჟანეტს ხელი გაუყარა, – გავისეირნოთ, მშვენიერი ღამეაო და აკი თავისი სასტუმროს კარს მიაყენა, ცხადია, იმ მიზნით, რომ ქალბატონი როგორმე ნომერში შეეტყუებინა.

ჟანეტ დე ლამიემ თავპატიჟი გაიდო და უარზე იდგა იქამდე, სანამ სახნოვი თვითმკვლელობით არ დაემუქრა. ქალი ნელ, სწორად ორგანიზებულ უკანდახევას შეუდგა და ასეთი სიტყვების მერე შეჰყვა:

– Сериоженька, я боюсь за тебя. Ты такой... Как племенной жеребчик – горячинки, горячинки...

საერთოდ, მადმუაზელ დე ლამიეს იმღამინდელი პერიპეტიები ზარანდიასთვის პიკანტურ წვრილმანებიანად უამბნია. მათ შორის ასეთი რამეც იყო: აბაზანა გამზადებული ყოფილა, სახნოვს ქალისთვის მიუთავაზებია, – ჯერ თქვენ შებრძანდითო. ჟანეტ დე ლამიეს უთქვამს, – თქვენ მიიღეთ, როცა გამოხვალთ და დაწვებით, მერე მე შევალ, მიყვარს, როცა მამაკაცი ლოგინში მიმელის და იმაზე ფიქრობს, თუ ბანაობის დროს როგორი ვარო. ამაზე სახნოვს ფრანგულად უთქვამს..

– A la guerre comme a la guerre! (ომში როგორც ომში!) – და დასაბანად შესულა.

ეს, ალბათ, კომენტარს არ საჭიროებს. მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიემ პოლკოვნიკის მუნდირის უბიდან სპადოვსკის პროკლამაცია ამოიღო, სინათლეზე გაშალა და პორტატული ფოტოაპარატი ააჩხაკუნა. ხუთიოდე წუთის მერე აპარატიც და პროკლამაციაც თავ–თავის ადგილებზე იყო.

სხვათა შორის, იმ ფიცხი სიყვარულის ღამეს ქალბატონმა დრო გამონახა და სახნოვს აცნობა, თოთხმეტში დილით ფოთში უნდა ვიყო, ოდესაში მივემგზავრები, გადაუდებელი საქმეები მაქვსო.

– როგორი საოცარი და სასიამოვნო დამთხვევაა! – წამოიძახა სახნოვმა და მეორე დღეს მისმა ადიუტანტმა ფოთის მატარებლის სამი ბილეთი შეიძინა ორის ნაცვლად: ორი – ქუთაისამდე, ერთი – ფოთამდე.

მადმუაზელ დე ლამიემ თავისი საწოლი ოთახის კარი დილის ხუთ საათზე შეაღო. მუშნი ზარანდია ტახტზე წამოწოლილი დაუხვდა.

ქალმა შეკივლება დააპირა, მაგრამ დამხვდურმა ტუჩებზე თითი მიიდო და სავარძელი მიუჩოჩა.

– ზარანდია, თქვენი უფროსი აქ და რუსეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ! დრო ცოტაა. პირდაპირ საქმე!

კონტრდაზვერვის უფროსმა საძილე ოთახში შეხვედრა დაწვრილებით მიამბო, მაგრამ მან აქაც გამოტოვა ერთი დეტალი: ზარანდია დე ლამიეს ჯერ სახნოვის ნომერში გადაღებული ფირფიტები გაამჟღავნებინა, გასაშრობად დაალაგებინა და იმ “პირდაპირ საქმეს”, ესე იგი, რისთვისაც ძირითადად იყო მისული, მერეღა შეუდგა. საუბარი, სიტყვიერი შეთანხმება, ინსტრუქტაჟი, ფიცის დადება და ვალდებულებრივი ხელწერილების დადასტურება ორ საათს გაგრძელდა. მერე გამშრალი ფირფიტებიდან მადმუაზელ დე ლამიემ თითო ფოტო დაბეჭდა, ზარანდიამ ნეგატივები ჯიბეში შეინახა და წამოსვლის წინ კიდევ ერთხელ შეახსენა დიასახლისს, რომ ამაღამ თორმეტ საათზე სტარინ–კოვალსკისთან დაპირისპირება უნდა შემდგარიყო, ხოლო მომდევნო ღამით ფოთის მატარებელი დიდი

ხნით, იქნებ, სამუდამოდაც წაიყვანდა თბილისიდან იმპერიის საჭიროებათა გამო მკაცრ სასჯელს გადარჩენილ პროფესიულ ჯაშუშს.

კიდევ არ იყო გვიან. ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა და საჭიროც იყო, რადგან მოვლენებს მეტი გართულება ელოდა. აქ გრძნობაზე ლაპარაკი უკვე უადგილოა – ვიცოდი, ყველაფერი უფრო გართულდებოდა და მაინც გავყუჩდი.

ამ თემაზე საუბარს მოვრჩით, ზარანდიას ვაცნობე, რომ სამხედრო ოლქის სარდალმა სურვილი გამოთქვა, მადმუაზელ დე ლამიეს და, ჯერ კიდევ პორუჩიკის, სტარინ–კოვალსკის დაპირისპირებას დასწრებოდა.

– ეჭვი ეპარება? – იკითხა ზარანდიამ.

– ალბათ.

– მეთერთმეტე ბინაში ჩავატაროთ, იქ უფრო მოხერხებულია.

– კეთილი.

მეთერთმეტე ბინა ჩვენს ერთ–ერთ ქალაქგარე საიდუმლო სახლს ერქვა.

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა, ყველანი ადგილზე ვიყავით. სტარინ–კოვალსკი და მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიე ერთმანეთის პირდაპირ მაგიდას უსხდნენ. მაგიდასთანვე იყვნენ ზარანდია, მისი მოადგილე – შიტოვცევი და სამხედრო ოლქის პროკურორი – ზვიაგინი. სარდალი, პოლკოვნიკი გლებიჩი და მე ოდნავ მოშორებით სავარძლებში მოვეწყეთ. ოთახს ორი კარი ჰქონდა, ორთავეს იქით გუშაგები იდგნენ.

დაპირისპირება ჩვეულებრივი ფორმალობებით დაიწყო და ნახევარი საათის შემდეგ სარდალი ფეხზე წამოდგა:

– ყველაფერი გასაგებია. გამაცილეთ.

მე და პოლკოვნიკი გლებიჩი ეტლამდე მივყევით სარდალს.

– არ გაახმაუროთ. ყველაფერი რესპექტაბელურად უნდა მოხდეს, – გვიბრძანა მან, ჩაჯდა და თბილისისკენ გასწია.

დაპირისპირება ცოტა ხანში ოქმზე ხელის მოწერით დამთავრდა. ჟანეტ დე ლამიე თავისი ეტლით წავიდა. ზარანდია, შიტოვცევი და მე გასამგზავრებლად წამოვიმალეთ. პოლკოვნიკი გლებიჩი ზეზე წამოდგა, უკვე სამხრეებაყრილ სტარინ–კოვალსკის მიმართა:

– ხომ იცით, რასაც მოითხოვს რუსი ოფიცრის ღირსება... ასეთ შემთხვევაში!

სტარინ–კოვალსკიმ საწერ–კალამი აიღო და დაწერა.. – “Жизнь давно уже не стоит выеденного яйца. Старин–Ковальский”. გლებიჩმა მაგიდაზე რევოლვერი დააგდო. სტარინ–კოვალსკიმ აცახცახებული ხელი წამოიღო, მაგრამ პროკურორმა იარაღი გაარიდა და თავი აგვიქნია, – წაბრძანდითო.

ეტლების დაძვრა იყო – გასროლაც მოისმა...

მეორე დღეს პოლკოვნიკ გლებიჩის გადადგომის პატაკზე სარდალმა თანხმობის ვიზა დაადო. ამავე დღეს ჰაჯი–სეიდის ფირმის მსახურებმა დიდი მოღულის ხალიჩა პოლკოვნიკ სახნოვის ადიუტანტის თანდასწრებით რკინიგზას ჩააბარეს პეტერბურგში გადასაგზავნად. რამდენიმე საათის შემდეგ კი უსატოვმა იგი პატრონს გადასცა, სამსახურში დაბრუნდა და, ალბათ, სპარაპეტას ხელახალი დაპატიმრების გეგმის მოფიქრებას შეუდგა.

რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ: საერთაშორისო ეტალონების დონეზე უნდა გაგვეთამაშებინა ავსტრო–უნგრეთის გაქცეული ჯაშუშის – მადმუაზელ დე ლამიეს ძებნა და მიუგნებლობა.

ამისთვის გავჩხრიკეთ თბილისში მცხოვრებ ფრანგთა სახლები და სხვა უცხოელთა ბინებიც; გამოქვეყნდა სათანადო განცხადებები დე ლამიეს პორტრეტით. მეფისნაცვალმა კატეგორიულად მოსთხოვა უცხო სახელმწიფოთა თბილისურ საკონსულოებს, გადმოეცათ საშიში დამნაშავე, თუკი მან ვისიმე ექსტერიტორიულობის უფლებით ისარგებლა. ყველა მიმართულებით გამავალ მატარებელზე მოეწყო არაერთგზისი ძებნა და “საეჭვო” მგზავრების საბუთების შემოწმება. ბლოკირებულ იქნა საქართველოს ნავსადგურები შავ ზღვაზე და სანაპირო დაცვის კატარღებმა გაჩხრიკეს ბოლო ორი დღე–ღამის მანძილზე ამ ნავსადგურებიდან გასული ყველა ხომალდი...

მაგრამ ეს ოპერაცია დაიწყო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შხუნა “დელფინი” ფოთიდან სამი საათის გასული იყო, ხოლო ქუთაისში პოლკოვნიკი სახნოვი თავის ადიუტანტს სალდოფონის იუმორით უყვებოდა ჟანეტ დე ლამიესთან გატარებული დროის სექსუალურ დეტალებს.

ჩვენ რუსეთის კონტრდაზვერვის “მარცხის” ევროპული პრესის რეზონანსი გვესაჭიროებოდა და მივიღეთ კიდეც – სენსაციურმა ცნობებმა არ დააყოვნა. შემდეგ დიპლომატიური არხები ამოქმედდნენ და გაზეთებს სალაყბო ისევ ბლომად ჰქონდათ. ზარანდიას სასწრაფოდ უხმეს პეტერბურგში. იგი ჯერ კიდევ იქ იყო, როცა, მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიეს “გაქცევის” დღიდან სამი კვირის შემდეგ, ემიგრანტების ერთ–ერთმა გაზეთმა სპადოვსკის პროკლამაციის სრული ტექსტი გამოაქვეყნა. ეს უკვე საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი გახლდათ, მაგრამ პოლკოვნიკ სახნოვის სახელი არსად არავისგან ხსენებულა. დაახლოებით ორი კვირის მერე ზარანდია, როგორც იტყვიან, საღი და სალამათი დაბრუნდა.

მხოლოდ ჩამოსვლის შემდეგ მიამბო, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში სპადოვსკის პროკლამაციის ფოტოპირი მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიეს.

ცხოვრება ისევ თავისი კალაპოტით წარიმართა.

სახნოვი რომ ქუთაისში საქმეებს მორჩა, დასავლეთ– საქართველოდან წამოსულმა ბორჯომისკენ გადაუხვია – იქ თავისი წრის ხალხი ეგულებოდა, შვებულების გატარება სურდა მათთან ერთად. ერთი თვე იქაურ წყლებზე დაჰყო და თბილისს მერეღა ჩამოვიდა.

დღის ბოლო იყო, სახნოვმა ადიუტანტი ზარანდიასთან აფრინა, დაუყოვნებლივ მეახლოსო.

ადიუტანტმა ზარანდიას სულზე მიუსწრო. ჩემმა ხელქვეითმა პოლკოვნიკის სურვილი მოისმინა და ბინაზე დამირეკა – მაშინ პეტრე დიდის ქუჩაზე ვცხოვრობდი.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ზარანდია ვარ, გადაუდებელი საქმე მაქვს, უნდა მიმიღოთ!

ცხადი იყო, რომ მტკივნეულად თავაზიანი კაცის ასე დაჟინებული მოთხოვნა უსაფუძვლო არ იქნებოდა. შევნიშნე, მუშნი ზარანდია ღელავდა! უყოყმანოდ დავთანხმდი.

ამის შემდეგ ზარანდიამ სეიფიდან ორი დიდი, უხვად დალუქული პაკეტი გამოიღო. პაკეტებში საქაღალდეები იდო. ერთი მათგანი მან ადიუტანტს გადასცა და უთხრა:

– მოახსენეთ ბატონ პოლკოვნიკს, რომ ეგ პაკეტი გახსნას, მასალებს გაეცნოს. თუ დღეს პოლკოვნიკი ჩემთან საუბარს საჭიროდ აღარ მიიჩნევს, ხვალ კვირაა, და იცოდეთ, რომ საღამოს რვა საათზე გრაფ სეგედის ბინაში ვიქნები, პასუხი თქვენი ხელით გამოგზავნოს.

ადიუტანტმა გზავნილების მიღებაზე ხელი მოაწერა და შეცბუნებულმა დატოვა კაბინეტი. მეორე პაკეტი ზარანდიამ ჩემთან ამოიტანა, ადიუტანტის მოსვლა, პოლკოვნიკის ბრძანება და თავისი პასუხი მაცნობა და მითხრა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სახნოვთან მისვლა აღარ დამჭირდება და, მაინც, თუ ასეთმა საჭიროებამ იჩინა თავი, თქვენ უნდა იცოდეთ, რა გავუგზავნე პოლკოვნიკს. ეს ორი პაკეტი ჩემს სეიფში შენახული დედნის დამოწმებული ასლებია. პაკეტს უაღრესად სასწრაფო და საგანგებოდ საიდუმლო კორესპონდენციის ნიშნები ჰქონდა. ზარანდიას კიდეც რომ არ ეთხოვნა, ვალდებული ვიყავი, დაუყოვნებლიე გამეხსნა.

გავხსენი.

საქაღალდის ყდაზე არსებული წარწერის მიხედვით, ეს იყო ჟანდარმერიის პოლკოვნიკ სახნოვის მიერ ჩადენილ სახელმწიფო, პოლიტიკური, სისხლის სამართლის და ზნეობრივ დანაშაულთა მამტკიცებელი საბუთების კრებული. საქაღალდის პირველი გვერდი წარმოადგენდა საქმეში შეტანილი საბუთების ნუსხას. სტრიქონები ჩავათვალიერე და ბორკილების ყრუ ჟღარუნი შემომესმა. მუშნი ზარანდიას გადავხედე, წამით მომეჩვენა, რომ ეს ტანხმელი კაცი სკამზე გორგალივით იდო, კისერი ჰქონდა მოღერებული... ნუსხა გადავფურცლე – ბრალდების წარდგენის ოთხგვერდიანი ოქმი დამიხვდა და შემდეგ კი ამ ოქმში მოყვანილ ბრალდებათა მამტკიცებელი საბუთები – ასი, ას ოცი გვერდის რაოდენობით. საქაღალდის ბოლოსწინა გვერდი ზარანდიას პირადი წერილი იყო სახნოვისადმი. ამ წერილში ეწერა, რომ პატივცემულ პოლკოვნიკს ეძლეოდა ბედნიერი შემთხვევა, ამოერჩია ერთ–ერთი: ან საქმის გამოძიება სამინისტროს საგანგებო კომისიაში, ან ნებაყოფლობითი გადადგომა სამსახურიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებიდან გადაბარგება. ბოლო ფურცელი წარმოადგენდა მინისტრის სახელზე დაწერილ გადადგომის პატაკს, რომელსაც მხოლოდ სახნოვის ხელმოწერა აკლდა.

რაში სდებდა ბრალს კავკასიის კონტრდაზვერვის უფროსი პოლკოვნიკ სახნოვს! ბრალდების წაყენების ოქმში დანაშაულობები აღმავალი წესით იყო მოყვანილი: ნაქურდალი საქონლის შესყიდვა; გარყვნილებითა და სქესობრივი აღვირახსნილობით თანხლებული მრუშება; პროფესიული უვიცობა და მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება; კავკასიის საიდუმლო პოლიციის და ჟანდარმთა სამმართველოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგები; ინფორმაციის სამსახურის დაარსებაში დაშვებული შეცდომების კატასტროფული რეზულტატების გამო პასუხისმგებლობა, რაც უცხოეთის პრესაში სათანადო ცნობების გაჟონვის ფაქტით გვირგვინდებოდა; დასასრულ, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშებთან დანაშაულებრივი ურთიერთობა, მათგან ფულადი სახსრების მიღება, ჯაშუშ ჟანეტ დე ლამიეს გაქცევის ორგანიზება და სხვა.

მასალა ვრცელი და ტევადი იყო, მის შესწავლასა და ანალიზს კარგა ხანი დასჭირდებოდა. მაგრამ იმ საქაღალდეში თავმოყრილ საკითხებს, ძირითადად, ვიცნობდი და ამიტომ ზარანდიას აღვუთქვი, რომ ხვალ საღამოს რვა საათამდე საქმე შესწავლილი მექნებოდა.

ზარანდია წავიდა. მე მისთვის მიცემული დაპირების კეთილსინდისიერ აღსრულებას შევუდექი.

მეორე დღეს იგი ერთი საათით ადრე მოვიდა. არც სახნოვის ადიუტანტს დაუგვიანია – დანიშნულ დრომდე მოიტანა პოლკოვნიკთან გაგზავნილი საქაღალდე გადადგომის ხელმოწერილი პატაკითურთ.

ჩანს, სახნოვი მიხვდა, რომ მისი, ერთი შეხედვით, მიამიტი საქციელი ზარანდიამ სხვა, საბედისწერო კუთხიდან დაინახა, ყელზე ქამანდი იგრძნო, პანიკამ მოიცვა და მასალების შესწავლის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა – მსჯავრს ვეღარსაით წაუვიდოდა.

სულ მალე მინისტრმა და ჟანდარმთა შეფმა, რამდენიმე რევერანსის შემდეგ, სახნოვის გადადგომის თხოვნა დააკმაყოფილეს.

ამ ნაწყვეტის დასაწყისში ნათქვამს გავიმეორებ: ძნელი საფიქრებელი იყო, რომ სულ სხვადასხვა ბუნების მოვლენები და ვითარებები ერთად მოიყრიდნენ თავს, ზვავად წამოვიდოდნენ და გზად სახნოვს დაიტანდნენ.

დიდი ხნის შემდეგ ჩემს ყურს მოსწვდა ვერსია, თითქოს, სახნოვი გადადგომით კი გადადგა, მაგრამ თავის გამართლების იმედი კარგა ხანს არ დაუკარგავს – ზარანდიას ნამოქმედარის გასაბათილებლად, ამგვარ საქმეებში გამოცდილი ადვოკატების თანადგომითა და დახმარებით, ორი წელიწადი უშრომია. ამან მისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. მართალია, კონსულტანტებმა სახნოვს უპოვნეს შესაძლებლობა მის წინააღმდეგ წამოყენებული ათიდან სამ თუ ოთხ ბრალდებაში ზარანდიას პროვოკაციული მოქმედება დამტკიცებულიყო, მაგრამ დანარჩენი ექვსი თუ შვიდი მაინც სახნოვის კისერზე რჩებოდა. ერთი სიტყვით, დუმილი ურჩიეს და დადუმდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მე იგი გენერალური შტაბის ერთობ მაღალი თანამდებობის ოფიცრად ვიხილე... ჰოი, განგებავ!

პერმის გუბერნიაში გადასახლებული ერთი პოლიტპატიმარი სამი წლის მანძილზე ყოველ ორ კვირაში წერდა ათგვერდიან საჩივრებს გამოძიების მსვლელობაში პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო. მისი საქმე ჩვენ გამოვიძიეთ და ამიტომ ყველა საჩივარი მე მეგზავნებოდა დასკვნისთვის. მისმა დაჟინებამ მაფიქრებინა, რომ საჩივრები ყურადღების ღირსი იყო. იქნებ სათქმელს ვერ აყალიბებს და სიმართლე კი, მართლაც, მის მხარეზეა– მეთქი. ხელახალი გამოძიების დაკით–

ხვას თავადაც დავესწარი. ვესაუბრე, სიტყვამ მოიტანა და ვკითხე:

– რატომ წერდით იმ სიგრძე საჩივრებს? ხომ მოგეხსენებათ, რაც უფრო ვრცელია საჩივარი, მით მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ ან უგულისყუროდ იქნას წაკითხული და ან სულაც წაუკითხავი დარჩეს?

– ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ არის საქმეები, რომელთა შესახებ მოკლედ დაწერო, ნიშნავს, რომ არაფერი დაწერო! ჩემი – სახელდობრ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება. მართალი ვარ?

დავფიქრდი და გამეცინა:

– სწორი ბრძანებაა! – მისი საქმე მართლაც, ამ ტიპისა იყო.

ეს შემთხვევა იმიტომ მოვიტანე, რომ შეზღუდული თუ ჭკვიანი კაცების პრობლემაზე ჩემი შეხედულების გამოსათქმელად ამ სიგრძედ წერა, რა თქმა უნდა, აუცილებელი არ იყო და არც დავწერდი, ერთი, უკვე აღნიშნული საჭიროება რომ არა: ვიხილავ იმას თუ რა გავლენა მოახდინა ზემოთ მონათხრობმა ამბებმა ჩემს ფსიქიკასა და მომავალზე. ამისთვის კი უფრო შემოკლებული ჩანაწერი ამოსავალ მოცულობად, ჩემი აზრით, ვერ იკმარებდა.

**შალვა ზარანდია**

– მოვიდა ერთხელ დათა, ზამთრის არდადეგები იყო, მახსოვს. ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა ღამის. მოაკაკუნა მამაჩვენ მაგალის ფანჯარაზე, ნიშანი ჰქონდა. არ მეძინა მე და კარის გასაღებად

ერთად მივედით მე და ბაბა. შემოვიდა, მოიხადა ნაბადი, – მუშნიმ დამიბარა აქ, დღეს და ამ დროსო.

ავანთეთ ლამპა. ილაპარაკეს პატარა; ოჯახის და დათას საქმეების თქვეს, დედაჩვენი თამარიც გამოვიდა. იტირა, საწყალმა, და უხაროდა თან, კაი ხნის უნახავ ვაჟიშვილებს რომ ნახავდა ერთად. ლიზა გააღვიძა – ობოლი გოგო იზრდებოდა ჩვენთან, ცოცხალია ახლაც, კარგი ადამიანია ნამეტანი. – ვახშმის სამზადისს შეუდგნენ ქალები.

– რა მინდაო? ხომ არ დაუბარებია მუშნის? – ჰკითხა თამარმა.

– გადაუდებელი საქმე მაქვს, უნდა გნახო უეჭველადო. სხვა არ შემოუთვლია არაფერი, – მიუგო დათამ.

მაგალიმ გაიცინა, – რა საკითხავია ეგო. მარა დედა იყო, შვილების სიახლოვე უნდოდა და ამან აკითხვია, საცოდავს. ნახევარი საათი გავიდა დათას მოსვლის მერე და ფლოქვის ხმა

გაისმა ახლოს. გაეგებე, მუშნი იქნება ესო. გავედი და მართლა ჩვენს ჭიშკარს მოადგა მხედარი. ჩამოხტა მუშნი, გადამეხვია, მომიკითხა. არ დამანება, თვითონ შეიყვანა თავლაში ცხენი, თვითონ აჰყარა აღვირ–უნაგირი, თივა დაუგო და წყალი მომატანინა ხელ–პირის დასაბანად. რკინიგზით როდის და რომელ სადგურამდე მოვიდა, არ ვიცი, მარა იმ კუნაპეტ ღამეში მარტოკინამ როგორ გაბედა მგზავრობა, ის

იყო საქმე. მოგახსენეთ უკვე, სამეგრელოში და, კერძოდ, ჩვენს გზებზე მაშინდელ დროში შეღამების მერე სიარულს კაი გაბედვა უნდოდა, მაინც ვკითხე პირის ბანის დროს, როგორ არ მოერიდე მარტო–

ხელ მგზავრობას–თქვა.

გაიცინა.

– შალვა, ძამიკო, რამდენსაც ლაპარაკობენ, იმდენი ძარცვა–გლეჯვა რომ იყოს მართლა, ყაჩაღების იქნებოდა ქვეყანა.

– ყაჩაღების არის ქვეყანაო, ბაბამ იცის თქმა.

– სხვა ყაჩაღებს ამბობს ბაბა. გზაზე დედაბერს ხურჯინს რომ წაართმევენ, იმ ყაჩაღებზე არ ლაპარაკობს. შევიდეთ, ახლა.

დათა და მუშნი იმ ღამეს ერთად პირველად უნდა მენახა და კიბეებზე რომ ავდიოდით, გული ამიცახცახდა მათი შეხვედრის მოლოდინში. ერთი აბრაგი იყო, მეორე – კონტრდაზვერვის უფროსი, მარა ძმები იყვნენ ერთმანეთისთვის...

შევედით შინ. ჯერ დედას ემთხვია ხელზე მუშნი და მერე გადაკოცნა ორივე – დედაც და მამაც. დათა ფეხზე იდგა. ათიოდ წამი ერთმანეთს უყურეს ძმებმა. მერე მუშნი დაიძრა და დათაც წამოვიდა მისკენ. ხელი ჩამოართვეს, გადაეხვივნენ ერთმანეთს. ისე ვიდექი, მხოლოდ მუშნის სახეს ვხედავდი. მხარზე თავი დაადო ძმას, ცოტა ხანს განაბული იყო. მერე ჩაილაპარაკა, – უფრო გამოცვლილხარ და შებერებულხარ, ვიდრე მოველოდიო, და ცრემლით ატირდა, საცოდავი, ძლივს იკავებდა ქვითინს.

ამ სურათზე თამარმა მოთქმა დაიწყო. ეცა მაგალი დასამშვიდებლად, მეზობლები გაიგონებენ და გადმოგვაკითხავენ, უბედურება ხომ არ დაატყდათ რამეო.

გაშორდნენ ძმები, მაგიდას შემოუსხდნენ პირისპირ. მუშნის, – ეეჰ–ო, აღმოხდა, ცრემლები შეიმშრალა და მაგიდას ჩააშტერდა.

– შენ იყავი კარგად, მუშნი... არაფერი მიჭირს მე... – ჩაილაპარაკა დათამ და მომდგარი ცრემლი ღვინის ყლუპს ჩაატანინა.

ამასობაში ვახშამიც გამზადდა. იქნებ, არც შიოდა ვინმეს, მარა იმ სიჩუმეში ხომ უნდა გვეკეთებინა რამე! ბაბამ აკურთხა სუფრა პირჯვარი გადავისახეთ ყველამ და შევუდექით ვახშამს. კაი ხანი გავიდა ასე. მუშნიმ დაარღვია სიჩუმე.

– ვხედავ, პაემანზე მოსვლის ნაცად ხერხს გადაუხვიე, დათა, დანიშნულ დროს მოხვედი, სწორედ.

– ჯერ არ დაგიმსახურებია ჩემგან შეურაცხყოფა შენ!

– არ მესმის!

– რა დროსაც დამიბარე, მოვედი იმ დროს. ძმის და პატიოსანი კაცის სიტყვა იყო ის და ჩემგან დროზე მოუსვლელობა შენს ძმობაში და რაინდობაში ეჭვის შეტანა იქნებოდა. ვერ გაკადრებდი ამას.

მაგალიმ გაიღიმა, დათას პასუხი ეამაყა. თამარმა თავი ჩაღუნა, ხელსაქმეს ჩააცქერდა: ერთ ვაჟს დაუმალა მეორე ვაჟის ნათქვამით გამოწვეული სიხარული.

– ჩემი სახელით რომ ესარგებლა ვინმეს და ხაფანგი მოეწყო აქ, რას შვრებოდი მაშინ? – სიცილით ჰკითხა მუშნიმ.

– ელემ გადმომცა შენი დანაბარები მე, – არ მიყვა ხუმრობაზე დათა. – ჩემი პირობა და დასტურიც მან მოგიტანა, უცხო არ ჩარეულა ჩვენს სიტყვაში. ვის უნდა მოეწყო ხაფანგი, ნეტავი?

– შემთხვევას. – ისევ სიცილით უთხრა მუშნიმ.

– შემთხვევას? – დათამ მუშნის შეხედა, – საით მიყავს ეს ლაპარაკიო. – შემთხვევისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყო მე.

მუშნი გაფაციცდა, პირისკენ წაღებული ლუკმა საინზე დააბრუნა, წამოდგა, ოთახის ყველა კუთხე და კედელი მოიარა თვალით.

– იარაღი სად არის, შენი, დათა?!

– ამის მეტი არ მაქვს თან, – დათამ ჩოხაზე, მარცხენა უბესთან მიიდო ხელი. – დავმალე დანარჩენი... იარაღით რატომ უნდა გამოგცხადებოდი, ვითომ? რას იფიქრებდი შენ?

მაგალიმაც მოათვალიერა ოთახი და მხოლოდ ახლა შენიშნა დათას უიარაღოდ მოსვლა.

– უბეში რომ გიდევს, მაგაზე რა ვიფიქრო და როგორ ჩავთვალო ეგ? – მოგვიანებით გამოელაპარაკა მუშნი.

– ისე უნდა ჩათვალო, რომ დაჩვეული ვარ საჭურველს და შემაწუხებდა მთლად უიარაღობა.

ვახშამს შევექცეოდით, ულუფას ჩავყურებდით ყველა. მხოლოდ მე გავხედავდი ხოლმე ჩუმად ხან ძმებს და ხან დედ–მამას.

– რა იარაღი გაქვს მანდ? – თავი არ აუწევია, ისე ჰკითხა მუშნიმ.

– ნაგანია.

დედაჩვენი თამარი იმ დროისთვის ასაკით და დარდით იყო გატეხილი უკვე, მოხრილი დადიოდა, საცოდავი, მარა ახლა წამოიწია, მხრები გაშალა, ლარივით გაიმართა წელში, – ასე რატომ გაიჭიმა, ნეტავიო, იტყოდი; ყელი მოიღერა, მკაცრი, შეუპოვარი თვალებით დაუწყო ყურება უფროს ვაჟებს – ხან ერთს და ხან მეორეს. მისი გაზრდილი ვიყავი და მისი ასეთი განწყობილება ცნობილი იყო ჩემთვის: მაშინ იცოდა ეს, როცა შეურაცხყოფილად თვლიდა თავს, ან ოჯახის და შვილების რაიმე განსაცდელს უგრძნობდა გული – სერზე გადმომდგარ ირემს დაემსგავსებოდა ხოლმე უცებ. კიდევ გაფაციცდა მუშნი, დანა–ჩანგალი საინს მიუწყო, დათას მიაჩერდა და პატარა ხნის ფიქრის მერე უთხრა:

– გამოიღე, ერთი, მაჩვენე, ვნახო, მინდა.

დათა ვერ მიუხვდა ნათქვამს.

მუშნიმ ანიშნა, – უბეში რომ გიდევს, ისო.

დათა ერთი წამით შეყოვნდა, მერე ჩოხის უბიდან რევოლვერი გამოაცოცა, ხელისგულზე დადებული მიართვა მუშნის. ამან ერთხანს უყურა რევოლვერს, ხელში აიღო, გადახსნა, სავაზნეს ჩახედა და იარაღი ჩვენს დასანახად მოაბრუნა.

ცილინდრში ერთადერთი ვაზნა იყო!

– გულჩვილობა შემოგპარვია, ძამია! – თქვა მუშნიმ. რევოლვერი ჩაკეტა და დათას დაუბრუნა. – სიბერემ იცის ეგ და პატარა ნაადრევი ხომ არ არის შენთვის!

– რა ხდება აქ! – მკაცრად იკითხა მაგალიმ.

– თქვას მაგან, – მიუგო მუშნიმ.

ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ის ყველაფერი, მარა მაინც სუნთქვა შემეკრა! დამცხა და რაღაც ზუზუნი ვიგრძენი თავში.

– ასე დაგჯაბნა სიკვდილის შიშმა, რომ თავის მოკვლაც შეგიძლია, დათა, შვილო? – თქვა დედაჩვენმა.

დათამ ჩაიცინა, თავი გაიქნია, – სხვაა აქო.

მუშნის ღაწვის თავები აუცახცახდა, ნიკაპიც მოექცა თითქოს:

– რას... – ხმა მოუწყდა და თავიდან იკითხა.. – რას გულისხმობდი? !

– თქვი შენ უკვე: შემთხვევას! – მშვიდად მიუგო დათამ.

– დაწყნარდით! – ჩაილაპარაკა დედამ და უცებ ჩადგა ყველაფერი თავის პირვანდელ კალაპოტში. – მასე სიკვდილი მარტო შენი სიკვდილი არ იქნებოდა, დათა, და მუშნიმაც იცოდეს ეს. სირცხვილით

ამოწყვეტას ნიშნავს ოჯახისას ეგ!

დედაჩვენის ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, რომ მუშნისგან ღალატი და ხაფანგი მოსალოდნელად მიაჩნდა... ამას მიხვდა მუშნი, ისევ იფეთქა, მარა დედას ვერ გაუბედა უხეში სიტყვა, თავს დროზე მოერია და გაჭირვებით თქვა:

– მე რომ ვიკადრო ის, რაშიც თქვენ, დედა, და დათას ეჭვი შეგპარვიათ... ჩემისთანა შვილის და ძმის ყოლას და მერე კიდევ სიცოცხლეს, იქნებ მართლაც თავის მოკვლა ჯობდეს, ღმერთმანი!

– სულ სხვა ლაპარაკია ეგ ლაპარაკი... – თქვა დათამ, მარა დედაჩვენმა არ აცალა:

– თქვენით არ იწყება და თქვენით არ თავდება ჩვენი მოდგმა და ოჯახი, გახსოვდეთ ეს! შვილები და შვილთაშვილები გვყავს, წინაპრები გვყავდა და მათი საძვალე არის კიდევ; ნათესაობა გვყავს და შემაცქერალი გვახვევია. ადამიანი ადამიანით არის!

– ორივემ ვიცით ეგ, დედა, – წყნარად მიუგო დათამ. – არც ერთს არ გვიკადრებია სასირცხვო საქმე და ავი სახელი ოჯახისთვის...

– აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი.! – ცივად მოუჭრა თამარმა, მარა მაგალიმ, – მე მაქვს სათქმელიო:

– კიდევ თუ დაგიბარა მუშნიმ სადმე და მის ძმობაში ეჭვი შეგეპარა – იარაღით მიდი იქ, თუ მოხდა მუხთლობა, იარაღი გექნება თან, დააღწიე ხაფანგს თავი – შენი ხელობაა მაგ – წადი გადასაკარგავში და თუ დარწმუნდი, რომ მუშნის ხელით იყო ის მუხთლობა, ქენი საქნელი, მარა ისე, რომ მიზეზი ვერ გაიგოს ვერავინ. წესიერ ოჯახში ერთი თუ გამოვიდა ბოროტი და უხსენებელი, იმ ოჯახის მეორე კაცს არ აქვს უფლება, ერთის ბოროტება მთელი ოჯახისა და მოდგმის სახელად და სალანძღავად აქციოს. ოჯახის სახელი სუფთა უნდა დარჩეს ხალხის და მომავლის თვალში. გასწავლიდით მე თქვენ: შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ – შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ – შენი ერის! სწორად ცხოვრება თუ გინდა – ეს არის დათა, და შენც გეხება, მუშნი, რაც ვილაპარაკე.

– ვთქვი მე უკვე და ახლა თქვენ ბრძანეთ, ბაბა: ძმასთან პაემანზე საჭურვლით მისვლა ძმის შეურაცხყოფა ხომ იქნებოდა? – მიმართა დათამ.

– იქნებოდა... – მუშნიმ ჩარევა დააპირა, მარა დათამ ხელი აწია:

– ერთ წამს მაცალე... შემთხვევა რომ თქვა მუშნიმ! ის იქნება თუ სხვა რამ, ხომ შეიძლება მოხდეს?

– ყველაფერი ხდება, – დაუდასტურა მაგალიმ.

– მოვხვდი ისეთ ვითარებაში, რომ უნდა მეცნენ და გამიკოჭონ ხელები!.. ხალხი უეჭველად იმას იტყვის, – ძმამ ძმა გაისტუმრა კატორღაში თუ სახრჩობელაზეო, და ასეთ ამბავში რა ურჩევნია ადამიანობას?..

– ადამიანობას? – შეაწყვეტინა მაგალიმ. – ადამიანობას ის ურჩევნია, რომ გაგიკოჭონ ხელები და სანამდე სახრჩობელაზე გაგიყვანენ, იძახო ქვეყანაზე და არწმუნო ყველა, – ძმა არაფერ შუაშია აქ,

ჩემი ძმის მტრების ხელით მოხდა ესო!

– კაი, ბაბა, მაგრამ ჩემი ადგილი! ჩემი გონებისა და გულის ადგილი, სანამდე ჩამომახრჩობდნენ, იქამდე მაინც, თუა სადმე?

– მასეთი გზა და სავალი გარგუნა მაღალმა ღმერთმა,– წამებაა შენი ადგილი! ცხოვრების მიზანი გაქვს ისეთი, რომ ღირს წამებად. მაგ საქციელში, – მაგალიმ უბეზე მიანიშნა დათას, – მხოლოდ შენს თავზე, შენი გონებისა და გულის ადგილზე გაქვს ნაფიქრი, დათა, და შედეგზე ჩაგიქნევია ხელი...

– თავისი სიკვდილის პატრონიც რომ აღარ იყოს კაცი, რაა ეს? – ჩაიცინა დათამ.

კაი ხანს იყო ამის მერე სიჩუმე.

– ამდენი ხნის უნახავ ძმებს უკეთესი სალაპარაკო რომ აღარ გაქვთ... – ჩაილაპარაკა თამარმა, იყო ერთხანს ჩუმად და თქვა მერე: – ვერ ჩამიდვია ერთმანეთის სიყვარული გულში თქვენთვის.

– პირიქით არის, დედა, ეგ, – მიუგო მუშნიმ. – ისეთ გზებზე გაგვიყვანა განგებამ... სხვა ძმები, ჩვენს ადგილზე, მტრად გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს.

– საქმეზე ვილაპარაკოთ ახლა. ამღამვე უნდა წავიდე მე, – თქვა დათამ.

– მასე აჯობებს, – ყოჩაღად დაუდასტურა მუშნიმ, მარა გაუჭირდა ლაპარაკის დაწყება. შორიდან უვლიდა, ფრთხილად ეპარებოდა სათქმელს.

ჭკვიანი კაცი იყო მუშნი და რაც დათასთვის ცალ–ცალკე ჰქონდათ ნათქვამი სხვებს, ის ყველაფერი მარტოს ჰქონდა მოფიქრებული, თავმოყრილი, დასაბუთებული და სათქმელად მომზადებული. აქეთ – ბერდები, აბრაგობას რომ ჭირდება, ის თვისებები გიჩლუნგდება და ახლა უფრო ადვილად მოიძებნება შენი მჯობნელი და მკვლელიო. იქეთ – ძმებს გზაზე გადაუდექი და ოჯახს სული ამოხადე შენზე დარდით და ტირილითო. ახლა! უსამართლო ცხოვრებას ეწევი, მძიმე ცოდვებს იდებ, სხვები გბაძავენ, ძალადობენ და აირია ქვეყანაო. მერე, ვინც მოყვარე და მფარველი გყავდა, მტრად გადაიკიდე ყველა და ერის სიკეთისთვის რომ სჩადიხარ, სწორედ მის წინააღმდეგ შემოტრიალდა ყველაფერიო, და ვინ იცის, რა არ ილაპარაკა კიდევ მუშნიმ. ისე ემთხვეოდა და ისე ერთნაირი იყო მისი და სხვისი ნათქვამი, რომ, მუშნის დარიგებული ხომ არ იყვნენ ისინი–თქვა, გავიფიქრე. დათამაც ასე იფიქრა, შეიძლება, მარა ისეთი მოსმენა იცოდა, იტყოდი, – სხვაზე ფიქრობს ახლა და არც ესმის, რას ელაპარაკებიანო. რას გაუგებდი? კაი ნახევარი საათი მოუნდა მუშნი თავისი მოსაზრებების გადმოლაგებას და რომ დაასრულა ჰკითხა დათას:

– ასეა ეს და მითხარი, რას აპირებ მომავალში, რა გაქვს განზრახული?

– მონასტერში მიდის, ბერად აპირებს აღკვეცას, – გაიცინა მაგალიმ. – ეფემია–წინამძღვარი შეპირდა, მე მოგაწყობ სადმე, რუსეთშიო!

ამაზე დათამ ოდნავ გაიღიმა და სიჩუმე ჩამოვარდა. ისე მეგონა, რომ სულაც არ აპირებდა პასუხს, მარა მუშნი მიჩერებოდა და ელოდა.

– ეგ, რაც თქვი შენ, ჩემზე იყო სულ. ისიც უნდა თქვა, მუშნი, შენ რა გინდა, და მაშინ იყოს ჩემი პასუხი თუ უპასუხობა, – უთხრა დათამ.

მუშნიმ დათას თვალი თვალში გაუყარა, გაიცინა, თავი გადაიქნია და თქვა:

– პეტერბურგში გადავყავარ მინისტრს დათა!

ყველა მუშნის მივაჩერდით და ვდუმდით. მარტო დათას ქონდა თვალები ჩახრილი.

– დიდ თანამდებობას გპირდებიან, ალბათ, – სიჩუმე დაარღვია დათამ.

– ძალიან დიდს. პოლკოვნიკ სახნოვს, მამაძაღლს, იცნობ შენ. – დათამ ჩაიცინა. – მის თანამდებობას დავიკავებ, ასე, ერთი წლით და მერე სხვა ადგილზე გადამიყვანენ. ის იმხელა ადგილია... მინისტრი არ ვიქნები, მართალია, მაგრამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საგარეო საქმეებში ვერც მეფე და ვერც მინისტრები ნაბიჯს ვერ გადადგამენ უჩემოდ. გონიერ ნაბიჯს ვამბობ.

– პოლკოვნიკს რას უშვრებიან, სად მიყავთ? – ჰკითხა დათამ.

– მოეძებნება საკადრისი ადგილი.

თამარმა ახლაღა მოაცილა თვალი მუშნის. ხელსაქმეს დაუბრუნდა, ცრემლები წამოუვიდა. მაგალიმ შენიშნა ეს და დაუყვავა:

– ბერდება უკვე ეს ხალხი, თამარ, თავისი გზა აქვს ყველას. არაფერი სატირალი არ არის ეს ამბავი.

– უფრო დიდი კაცი რომ ვიქნები, დედა, უფრო ადვილად და კარგად არ მოვახერხებ ჩემი მშობლების შვილობას? – დაამშვიდა მუშნიმაც.

– რას ელი მაგ ცვლილებიდან, მუშნი? – ჩაილაპარაკა დათამ.

– საიდუმლო მრჩევლის ჩინს! – ჩაიცინა მაგალიმ.

– ჩინი თანამდებობას ახლავს, – ცივად თქვა მუშნიმ. – ბევრ რამეს ველი. უპირველესად ყოვლისა, იმას, რომ მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. პატარა კაცი ვარ, არავინ იცის და არც ვინმეს ანგარიშს წარვუდგენ გასანაღდებლად, მაგრამ უკვე ბევრი მაქვს გაკეთებული ამ მხრივ. იმ თანამდებობის სიმაღლიდან მეტი მოხერხდება...

– მაგ განზრახვით და დაპირებით ბევრმა მიაღწია მაღალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ვეღარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება, – სიტყვა ჩამოართვა მაგალიმ. – ასე იცის სხვის სამსახურში დიდკაცობამ. მეფის სამსახური, მისთვის სასარგებლო და შენი ერისთვის საზარალო რაც არის, იმას გაგაკეთებინებს მარტო.

– ეგ კაცი არ ვარ მე ბაბა! ტახტს იმიტომ ვემსახურები, რომ არსებულზე უკეთეს აწმყოს და მომავალს ჩემი სამშობლოსთვის ჯერჯერობით ვერ ვხედავ. აქამდე და დღესაც, თვითონ რასაც ვთვლიდი ამ მხრივ მიზანშეწონილად, მხოლოდ იმას ვაკეთებ და ასე იქნება სამარის კარამდე. რევოლუციონერები და პოლიტიკოსები ისეთ დებულებებს თუ წამოაყენებენ, სადაც ჩემი ერის უკეთეს მომავალს დავინახავ და ვირწმუნებ, მათი მხარის დაჭერას ვირავინ დამასწრებს. ერთს ველი კიდევ ჩემი მომავალი სამსახურებოვი მდგომარეობიდან; კაი რთული და ძნელი საქმეების გაკეთება შევძელი უკვე. ჩემს დღევანდელ სამსახურში მეტის გაკეთება იქნებ შეუძლებელიც იყოს! ასპარეზია მცირე. ადამიანი ვარ, მეტი მწყურია და მინდა, ვიცოდე, რაზე გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი, გასაქანი მჭირდება.

– სწორად გადაგიწყვეტია, მუშნი, – თქვა დათამ ცოტა ხნის მერე. – მაგრამ რაღაც გიშლის ხელს, მგონია, და თქვი ეგეც ბარემ.

– უბრალო ამბავია: ერთი ძმა ოცი წელიწადი აბრაგობდეს და მეორეს მეფის კარზე უზარმაზარი თანამდებობა ეკავოს – არ გამოვა ასე! – ხმამაღლა და გაღიზიანებით იყო ნათქვამი ეს.

– მერე? – გამოცოცხლდა მაგალი–მამაჩვენი, სუფრაზე შემოდო მკლავები და მუშნის მიაჩერდა. დათამაც აწია თავი.

– მოსაზრებები ყველა და არაერთხელ არის ნათქვამი, – დაიწყო მუშნიმ. – გამეორებას აზრი არა აქვს. გამოსავალი არც ერთხელ არ თქმულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეფემია–წინამძღვრის რჩევას ბერად აღკვეცის შესახებ. მე მაქვს გამოსავალი, შინაგან საქმეთა მინისტრთან პირადად შეთანხმებული: დათა უნდა თავის ფეხით მოვიდეს, ჩაგვბარდეს და ციხეში ჩაჯდეს. ჩვენ მას გავასამართლებთ, მივუსჯით ხუთი წლის პატიმრობას. სასჯელს საქართველოში მოიხდის. განთავისუფლდება, როგორც ყველა დანაშაულმოხდილი მოქალაქე, რომ ეს, სახელდობრ, ასე იქნება და არა როგორმე სხვანაირად – ამის პასუხისმგებლობას ოჯახის, ძმის და საკუთარი სინდისის წინაშე, მე ვიღებ ჩემს თავზე!

მაგალიმ გაიცინა, რაღაცის თქმა დააპირა, მარა მუშნიმ გააჩერა:

– მოითმინეთ, ბაბა!.. ამ საკითხზე ნუღარ ვილაპარაკებთ. თვითონ იფიქროს დათამ. ექვსი თვე შეუძლია იფიქროს. თუ დაუჯდა ჭკუაში, აგერ ვარ მე. თუ არ მოინდომა – ისევ ის ვართ ერთმანეთისთვის, რაც აქამდე ვიყავით. გათავებულია ლაპარაკი!

– ასე იყოს. – ჩაილაპარაკა მაგალიმ და მართლა აღარავის ამოუღია ხმა.

ვისხედით კიდევ ათიოდე წუთს. წამოდგა დათა, ჩაიცვა, დაგვემშვიდობა ყველას და ზღურბლიდან უთხრა მუშნის, – ვიფიქრებ მეო.

იდგა პატარა ხანს ზღურბლზე, მერე მუშნისთან მივიდა, გადაეხვია და აკოცა.

– შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სიწმინდე ჯობია, მუშნი! – უთხრა დათამ და წავიდა სიჩუმე იყო, არაკაცს არ ამოუღია ხმა. რამდენი ხანი გავიდა, ვინ იცის, და მუშნიმ თქვა თავისთვის:

– მართალია!

ასე იყო ეს.

ერთი ის არის, რომ დათას სინდის–ნამუსის კაცს, იქნებ, არც შეეძლო, სხვაფრად მოქცეულიყო – მივიდა და ჩაჯდა, მარა, მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ, კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო ისეთი, იმ გადამწყვეტ ნაბიჯზე რომ უბიძგებდა. ამის, რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცი და არც მუშნის გაეგებოდა რამე, ვთქვი ეს მე უკვე.

**გრაფი სეგედი**

როგორც იტყვიან, ღრეობა დამთავრებული იყო და ზარხოშის გამონელების, ანგარიშგების დრო დამიდგა. თვით პოლკოვნიკი სახნოვი და მისი ხვედრი მეორე რიგის საკითხად მიმაჩნდა, იმ ზომით აღარც ზარანდიას როლი და პოზიცია მაინტერესებდა, როგორც საქმის მსვლელობის პროცესში იყო. ახლა უკვე ვცდილობდი გამომეტანა საბოლოო, ნათელი და მკაფიო დასკვნა – რა სულიერი ზარალი განვიცადე და განვიცადე თუ არა, საერთოდ, ვიდექი თუ არა ჩემი პრინციპების სიმაღლეზე ბოლო წლებში, თუ იაფიან ოლეოგრაფიებზე დახატულ თაგვთამმუსვრელად ვიქეცი. თავში სრული ქაოსი მქონდა, ერთი რამ მისაღები, სამართლიანი აზრისთვის ვერაფრით მიმეგნო და ვგრძნობდი, რომ დიდი გარდატეხის ჟამი მიახლოვდებოდა.

ასეთ სულიერ ვითარებას, თითქოს, დაუყოვნებლივ უნდა გამოეწვია ზარანდიასთან საუბარი, დამოკიდებულებათა გარკვევა, ფაქტებისა და მოვლენებისთვის ნამდვილი სახელების დადგენა–დარქმევა, მაგრამ ამ გზაზეც აღმოჩნდა სპეციფიკური დაბრკოლებები. ჯერ ის, რომ, როცა ორმა ადამიანმა ამა და ამ თემაზე საუბარს ერთხელ გვერდი აუარა – მომავლისთვის გადადო, მესამედ, ვითომ უადგილოდ ჩათვალა, დაბოლოს, თვითდინება არჩია, მაშინ, რაც უფრო მეტი დრო გადის, ის საუბარი მით მძიმე, საჩოთირო და შეუძლებელი ხდება. სტუდენტობაში ერთმა ამხანაგმა უმნიშვნელო თანხა მთხოვა სესხად. დანიშნულ დროს ვერ დამიბრუნა. მერე თავს მარიდებდა და ვალიც აღარასდროს დაუბრუნებია – სიტყვის გატეხისა, ვალის ასე დაგვიანებით დაბრუნებისა რცხვენოდა. ეს მაგალითი ზემოთქმულის ასახსნელად, ვგონებ, ივარგებს. მეორე: ზარანდიასთან საუბარს შეიძლება ზოგი ისეთი უსიამოვნო რამ დაედასტურებინა, რაც ჩემს ცნობიერებაში მხოლოდ ჰიპოთეზის სახეს ატარებდა და, ამდენად, არც ისე მაწვალებდა, როგორც უკვე გამოტანილი დასკვნა, კონსტატირებული ფაქტი დამტანჯავდა. აქ უკვე ქვეცნობიერება მამუხრუჭებდა. ერთ დღეს ეს ყველაფერი ნათლად ვიგრძენი, საშინლად აღვშფოთდი – ჩემი თავი მხდალი, დამყაყებული, უსუსური დავინახე, მაშინვე ყველა საქმე გადავდე და ზარანდიას ვუხმე. იგი პეტერბურგიდან ორი თუ სამი დღის დაბრუნებული იყო. მოვიდა, დაჯდა. გრძნობდა, რისთვისაც ვუხმე; ამანაც შემაყოვნა მაგრამ თავს მოვერიე და ვთქვი:

– მუშნი, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი სალაპარაკო გვაქვს. მე თქვენგან სრულ გულწრფელობასა და პირდაპირობას ველი. ამ საუბრის შედეგებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ძალიან ბევრი!

– გისმენთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მზად ვარ.

დავფიქრდი, როგორ დავიწყო–მეთქი, და მომეჩვენა, რომ ყველაფერი ცხადია და სალაპარაკოც აღარა იყო რა.

ამ მოსაზრებამ ღიმილი მომგვარა. ზარანდიას მომლოდინე იერი ჰქონდა. ძალიან გამიჭირდა საკითხის დასმა. ამაში საუბრის თემის ზუსტად ჩამოყალიბებას არ ვგულისხმობ. მოვლენათა რთული ხლართიდან მთავარის გამოყოფა ვერ მომეხერხებინა. ალბათ, ისიც მიქმნიდა დაბრკოლებას, რომ მეშინოდა, სულიერ გასაჭირს, უილაჯობას არ დამგვანებოდა ჩემი პირველი ფრაზა.

– მე მინდა, გავეცნო თქვენს შეხედულებას იმაზე, თუ რამდენად სწორად ვიმოქმედეთ პოლკოვნიკ სახნოვის მიმართ!

ზარანდიამ პასუხი დააყოვნა, ფიქრობდა.

რაზე უნდა ეფიქრა? ამ კითხვაზე მას, რა თქმა უნდა, დეტალებში დაზუსტებული პასუხი იმთავითვე უნდა ჰქონოდა – სხვაფრივ იგი სახნოვის წინააღმდეგ მოქმედებას არ შეუდგებოდა, ეს ზარანდიასთან ურთიერთობების გამოცდილებით ვიცოდი.

– თქვენო ბრწყინვალებავ, მე მინდა დავაზუსტო, რას გავცე პასუხი: როგორია ჩემი შეხედულება იმ, ან ისეთ “მოქმედებაზე” ზოგადად, თუ მოქმედებაზე, კერძოდ, სახნოვის შემთხვევაში?

ძალიან გულიანად გამეცინა, რადგან ზარანდიას შეყოვნებისა და დაფიქრების მიზეზს მივხვდი.

– მუშნი, ადამიანებთან ურთიერთობის ზოგიერთი ხერხი თქვენი ფსიქიკის განუყოფელ, აუცილებელ კომპონენტად იქცა. რაღაც მექანიზმი ჩაგერთვებათ ხოლმე, მიუხედავად იმისა, საჭიროა თუ არა. თქვენი ეგ კონტრშეკითხვა ქვეცნობიერი იყო და მიზნად ისახავდა საუბარში ინიციატივა თავიდანვე, დაუყოვნებლივ ჩაგეგდოთ ხელში. ამჯერად საუბარი მე უნდა წავიყვანო. მიპასუხეთ დასმულ კითხვაზე და რაც შეიძლება, მოკლედ.

– იქნებ, მართალიც ბრძანდებით, მაგაზე არ მიფიქრია. მაგრამ არ მგონია, ეგ თვისება უარყოფითი იყოს. ახლა, პასუხი თქვენს კითხვაზე: ვიმოქმედე მე და არა ჩვენ თქვენო ბრწყინვალებავ!

– მე არ შეგიშალეთ ხელი, არ შეგაჩერეთ, თუმც კი მთავარი ვიცოდი და მეორეხარისხოვანს ვგრძნობდი. ვიმოქმედეთ ჩვენ და არა მარტო თქვენ. განაგრძეთ.

– არსებობს მეორე პასუხიც: სახნოვი მოქმედებდა და არა ჩვენ.

– ნუ ვიქნებით სირაქლემები, თავს ქვიშაში ნუ წავყოფთ, მუშნი! მივიღოთ და სადავოდ ნუღარ გავხდით დებულებას, რომ ორივემ ვიმოქმედეთ.

– თქვენ უარჰყოფთ ვერსიას, რომელიც, ცალკე შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცალკე შეფმა მიიღეს, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება?

– მიიღეს თქვენგან და, ამასთან იმიტომ, რომ სხვა ვერსია მათ ხელს არ აძლევს!

– კეთილი და პატიოსანი! მაშინ იმის დასადგენად, სწორი იყო თუ არა ჩვენი მოქმედება, ჯერ ის აღვნიშნოთ, თუ საიდან გამოვდივართ: სახელმწიფოს და ტახტის ინტერესებიდან, ხომ?

– დიახ. მაგრამ ერთია – სწორი ამოსავალი პოზიცია და მეორეა, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის მოქმედება, თუნდ უსწორესი პოზიციიდანაც კი.

– იმ პოზიციიდან, საიდანაც უნდა გამოვდიოდეთ და ყველა შემთხვევაში გამოვდივართ კიდეც, სახნოვის მიმართ ჩვენი მოქმედება მიზანშეწონილად და სწორად მიმაჩნია! – მტკიცედ თქვა ზარანდიამ და უფრო მტკიცედ დასძინა: – ყოვლად დაუშვებელი იყო მის ხელში მართვის სახელმწიფოებრივად დიდმნიშვნელოვანი სადავეების ჩაგდება. შეზღუდული პიროვნება! ეს თქვენი გამოთქმაა და მე სავსებით ვიზიარებ მაგ კონცეფციას. ერთადერთი არგუმენტი, გრაფ, რომელიც შეიძლება, გამოგეძებნოთ, ის არის, რომ სხვა, მიღებული, დაკანონებული ხერხებისთვის უნდა მიგვემართა. ეგ არის, სასურველი შედეგის მისაღებად, სახელდობრ, როგორ და რა უნდა გვეღონა – არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის და ვერც გვეცოდინება. რატომ? სხვა გზები არ არსებობდა, იმიტომ. მე, რა თქმა უნდა, რეალურ გზებზე მოგახსენებთ და არა სათუო ღონისძიებებზე, თუ სანახევრო ზომებზე, რაიც სახნოვის მდგომარეობას განამტკიცებდა და არა ჩვენსას. ის, რაც მოვიმოქმედეთ, სახელმწიფოს სჭირდებოდა, გრაფ, და მერე – მე და თქვენ.

– ჩვენ სისაძაგლეები, მუხანათობები, პროვოკაციები გამოვიყენეთ, ბატონო ზარანდია! – სიტყვა გამიწყდა, რადგან აქ უკვე მუშნი ზარანდიას აუვარდა სიცილი. – რატომ იცინით, მართალი არ ვარ?..

– როგორ არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ჭეშმარიტებას, მაგრამ... ეს გამოთქმა მეპატიოს, სხვა სავარძელში გადაბრძანება ინებეთ და მაგას იქიდან ლაპარაკობთ! თქვენი ნათქვამი ჭეშმარიტებაა ზოგადკაცობრიო ზნეობის თვალსაზრისით. აკი გკითხეთ, როგორ პასუხს თხოულობთ–მეთქი, – ზოგადს თუ კონკრეტულად სახნოვთან მიმართებაში? Quod licet lovi, non licet Bovi! (რაც შეჰფერის იუპიტერს, არ შეჰფერის ხარს. (ლათ)). ზოგადკაცობრიული სამართლიანობისა და ზნეობრივი ნორმების დაურღვევლად თანამედროვე სახელმწიფოს კეთილდღეობა გამორიცხულია. მეორე მხრივ, ადამიანთა უმრავლესობამ ხსენებული სამართლიანობა და ზნეობრივი ნორმები თუ არ დაიცვა – სახელმწიფო კი არა, თვით სიცოცხლეც მოისპობა. ცბიერება და ბოროტება, იმპერიის შემთხვევაში, სახელმწიფოს ის იარაღია, რომლითაც მან საზოგადოებას სამართლიანობისა და სიკეთის ნორმები უნდა აღასრულებინოს. მიაქციეთ ყურადღება, გრაფ, მე ვამბობ უ ნ დ ა ა ღ ა ს რ უ ლ ე ბ ი ნ ო ს–მეთქი.

– ეგ მაკიაველიზმია, ბატონო ზარანდია!

– დიახ, მაკიაველიზმია! ის ბრძენი და კეთილი ადამიანი ბევრს ბოროტ კაცად იმიტომ მიაჩნია, რომ მან გულახდილად, საქვეყნოდ თქვა ის, რასაც სხვები, სიკეთის ნიღაბს ამოფარებულნი, ვერაგულად და აკანკალებული ხელებით აკეთებენ. ის, როგორც თქვენ ბრძანეთ, სისაძაგლეები, მუხანათობები, პროვოკაციები, რაც სახნოვის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული – სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

– მაშ, სახელმწიფო თქვენც ბოროტ საწყისად მიგაჩნიათ?

– იმპერია! მაგრამ კაცობრიობა დაუცხრომლად მუშაობს იმაზე რომ სახელმწიფო ნამდვილი სიკეთის წყაროდ აქციოს.

– თქვენ და თქვენი ბიძაშვილის მეგობრებს ერთნაირი შეხედულებები გქონიათ, მუშნი!

– იმ განსხვავებით, თქვენო ბრწყინეალებავ, რომ მათი ნება თუ იქნებოდა, იმპერიას დღესვე მოსპობდნენ. მე – ლოდინს ვამჯობინებ.

საუბარი შეწყდა. პირველად და ცხადად დავინახე, რომ სახელმწიფოს დანგრევის მსოფლიო–ისტორიული სული გაღვივების ინტენსიურ პროცესს განიცდიდა. მოვლენების ცენტრში ვიდექი და ვიცოდი, რომ მსოფლიოში გასაოცრად იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, ვინც ყველა და ყოველგვარ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა პანაცეად ნგრევას მიიჩნევდა. იგულისხმებოდა არა პრუდონისა და ბაკუნინის რეცეპტურა სახელმწიფოს ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, არამედ იმპერიის დანგრევა ახალი სახელმწიფოს შექმნის მიზნით. განსაკუთრებით საყურადღებო ის იყო, რომ ზემოხსენებულმა სულმა ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა, რაც ერთობ სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვდა. რა იყო ეს? იმ წმინდად და მხოლოდ რუსული სულის გამოვლინების მოსამზადებელი პერიოდი, როცა ვიღაც გარეწარი უნდა გამოცხადებულიყო, ეთქვა – დიმიტრი მეფე ვარო, და რუსეთის მიწა–წყალს შფოთი და არეულობა დაუფლებოდა? ან ახალი ემელკა პუგაჩოვი იტყოდა, – პეტრე III გოლდშტინელი ბატონიშვილი გავცოცხლდიო, და მილიონიანი ბრბოები ცელებითა და სამთითებით ზარბაზნებზე მიიტანდნენ იერიშს? იქნებ, თვისობრივად და ხარისხობრივად სხვა, სრულიად უცნობი რამ მზადდებოდა? თუ იმპერია საერთოდ და, კერძოდ, ჩვენი იმპერია ბოროტების აქტიურ საწყისად იქცა, მაშინ მე – მისი ერთგული მსახური – ბოროტების განხორციელებას ვანდომებდი ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიასა და ნიჭს. მეორე მხრივ, ჩემს ხელში გამოვლილ პოლიტიკურ პატიმართა დიდი უმრავლესობა, უდავოდ, პატიოსანი, პირუთვნელი და უანგარო ადამიანებისგან შედგებოდა. სწორედ ესენი ესწრაფოდნენ იმპერქიის დანგრევას და არა ვიღაც ნაძირალები!

სად იყო ამ ვითარებაში პატიოსანი კაცის, ერთგული მამულიშვილის ადგილი? როგორი იყო ამოსავალი კონცეფცია? რომელი ზნეობრივი პლატფორმიდან უნდა მომეხდინა აბსტრაგირება? დღე დღეს მისდევდა, თვე – თვეს და მე აკვიატებული ჰანგივით ვიმეორებდი ყველა მოსაზრებას, რაც კი ამის თაობაზე წამეკითხა, მსმენოდა თუ ნანახიდან გამომეტანა. ერთხელ დალაქის სავარძელში მთვლემარეს მეწვია აზრი, რომ საუკეთესო გამოსავალი სამსახურიდან გადადგომასა და მოვლენათა გარედან ჭვრეტაში იყო. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სანამ განზე არ გავდგებოდი, ვერც მართებულ დასკვნებს მივაგნებდი, ვერც ღირსეული და მიზანშეწონილი ადგილის პოვნას მოვახერხებდი. ეს

აზრი ფსიქიკაში ლურსმანივით ჩამერჭო და გადადგომის ყოველი გაფიქრება იმ ლურსმანს ჩაქუჩივით ურტყამდა. ბოლოს ის დღეც გათენდა, როცა გადადგომა გადაწყვეტილი მქონდა და აღარც დამიყოვნებია. ათას ცხრაას ოთხი წლის ადრე გაზაფხულზე მინისტრს გადადგომის პატაკი მივართვი და პასუხის მოლოდინში ბუსავით გავინაბე. ვითარების ლოგიკა მკარნახობდა, რომ ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებდნენ და, აი რატომ: დიდმა მთავარმა, თურმე, დაუფარავი საყვედურის ტონით ჰკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს, – ჩემი ნათლული ასე ადვილად როგორ გაიმეტეთო; მინისტრს უთქვამს, – სხვა გამოსავალი არ იყო, მაგრამ შევეცდები, არც მის მტრებს შევარჩინო რამეო. თუკი გადავდგებოდი, მინისტრს საშუალება მიეცემოდა დიდი მთავრისთვის ეთქვა: თქვენი ნათლულის დაბრუნება, მართალია, ვერ ხერხდება, მაგრამ დაპირება შევასრულე, გრაფი სეგედი სამსახურიდან გადადგაო.

ვერც სამსახურიდან გასვლის გადაწყვეტილებამ მომიტანა სიმშვიდე, ჩემს საფიქრალს ახალი საღელავიც დაემატა. გამიშვებდნენ თუ არა? მზადყოფნით თუ სინანულით? ღირსეულად თუ ვაშლის ნაღრღენივით გადამაგდებდნენ? ჩემი ხნის კაცს ცხოვრებისეული გამოცდილებით, ასაკობრივი სიბრძნით უნდა მეხელმძღვანელა, მაგრამ, არ დავმალავ, სული მიცმუტავდა. ფრიად გავრცელებული და, თითქმის, საყოველთაო თვისებაა, რომ ადამიანს თუ გულზე რაიმე სადარდებელი აწევს, მაშინ თავის საწუხარზე სხვებთან საუბრის მოთხოვნილებაც აწვალებს – უპირატესად ჭკვიან, საქმეში ჩახედულ კაცებთან საუბრისა. ჩემს წრეში ამ თემაზე თანამოსაუბრე არავინ მყავდა, თუ ზარანდიას არ მივიღებთ მხედველობაში, და, ღმერთმა ხომ იცის, იმ საწუხარზე სჯა–ბაასის როგორი ჭიაც მეჯდა; ვიხელთებდი თუ არა განმარტოებას – ფიქრი დამრევდა ხელს, უნებლიეთ მეხსიერებაში ვიქექებოდი, ისეთ კაცს დავეძებდი, რომელთანაც ორიოდ სიტყვის თქმა და მოსმენა შეიძლებოდა. ერთი ასეთი დაფიქრების დროს სანდრო კარიძის ფიგურა ამოტივტივდა. ლანდს ხელი ავუქნიე, უცნობ კაცთან ესოდენ საკუთარ ტკივილებზე რამ უნდა მასაუბროს–მეთქი, მაგრამ იქვე გაეიფიქრე, რომ ისეთ ადამიანთან, როგორადაც მე სანდრო კარიძე მყავდა წარმოდგენილი, სიამოვნებით გავატარებდი, ვთქვათ, ერთ ან ორ საღამოს. გავიდა ცოტა ხანი, ლანდი კვლავ გამომეცხადა, ისევ უკუვაგდე მასთან ურთიერთობის აღდგენის იდეა და აქ უნებლიეთ დავიწყე იმის გახსენება, თუ სად არიან ან რას აკეთებენ დათა თუთაშხიას და ქალბატონ ნანოს გარშემო ერთ დროს შემოკრებილი ადამიანები. ყველა სათითაოდ მოვიგონე. გამოირკვა, რომ ჩემს საფიქრალს არც ერთი მათგანი არ სჭირდებოდა და, მაინც, ანაზდად, ჩემთვისვე მოულოდნელად თანაშემწეს ვუხმე, სანდრო კარიძის ადგილსამყოფლის დადგენა ვუბრძანე; უკვე გადიოდა და მივაძახე, – მისი დოსიეც მომიტანეთ–მეთქი.

ერთი საათის შემდეგ ვიცოდი, რომ სანდრო კარიძე – თავის ერისა და დროის ერთ–ერთი უგანათლებულესი კაცი – ყოველდღიურ ამაოებას გასცლოდა და შიომღვიმის მონასტერში აღკვეცილიყო. იქ მას სრულიად არაფერი ევალებოდა. პირიქით, მიჩენილი ჰყავდა მორჩილი, რომელიც მისი პირადი მდივნის როლს ასრულებდა და სამეურნეო სამსახურსაც უწევდა. სანდრო კარიძეს თავის ბიბლიოთეკა მონასტერში გადაეტანა – კითხულობდა, წერდა. რას წერდა? ესეც ცნობილი იყო: სოციალურ–პოლიტიკური ხასიათის ტრაქტატებს და არა თეოლოგიურ ესეებს იმაზე, თუ ნემსის ყუნწში ერთდროულად რამდენი ეშმაკი გაეტეოდა აი, მისი ტრაქტატების სათაურებიც:

“ადამიანი, მისი დანიშნულება”, “ისტორია და ზნეობა”, “პიროვნება, ერი, კაცობრიობა”, “მოქალაქე და სახელმწიფო”, “პოლიტიკოსები და ხალხები” და სხვა. დოსიე შეიცავდა ჩვენი აგენტის დასკვნასაც: “ბ–ნი კარიძის ნაწერები ძირს უთხრის ქრისტიანულ სარწმუნოებას და არსებული წყობილების წინააღმდეგ არის მიმართული”. იყო ყოველივე ამაში ღიმილის მომგვრელი რაღაც, ვინაიდან, დოსიეს მიხედვით, თავისი მოქალაქეობრივი ცხოვრება სანდრო კარიძეს უკიდურესი მონარქისტობით დაუწყია. რას იქმს კაცი, აქაც იგივე მომხდარა: Mutantur tempora et nos mutantur in ilis. (დრონი ცვალებადობენ და, მათთან ერთად ჩვენც ვიცვლებით (ლათ.))

უკვე წაკითხული ხომ საინტერესო იყო, მაგრამ სანდრო კარიძის ურთიერთობების თაობაზე შეკრებილ ინფორმაციას როცა გავეცანი – სუნთქვა შემეკრა! რამდენიმე აგენტურული დასმენის ერთად გაანალიზების შედეგად ასეთი რამ გამოდიოდა: კარიძესთან ოთხჯერ იყო ნამყოფი კაცი, რომლის გარეგნობა, საქციელი, მეგრული კილო და აღწერილობის სხვა დეტალები უზუსტესად ხატავდა ბატონ დათა თუთაშხიას... ან ბატონ მუშნი ზარანდიას!..

დასწყევლოს ღმერთმა, ეს სპირიტიზმს ჰგავდა იმ განსხვავებით, რომ სული სააქაოდან, სინამდვილიდან გამოვიწვიე. მე რომ სანდრო კარიძეს ვნახავდი, ეს, თითქოს, იქვე და მაშინვე გადავწყვიტე, მაგრამ ჯერ ყოყმანმა და შემდეგ თვით შეხვედრის ხერხების შერჩევა–დაგეგმვამ კარგა ხანი მოითხოვა. შეხვედრას შემთხვევის ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამისთვის სანდრო კარიძის დღის წესრიგი იყო შესასწავლი, ანუ მონასტრიდან გამოსვლების მიმდევრობა, მისვლის ადგილები და სხვაც ბევრი რამ. ამ მზადებას ერთი თავისებურებაც ჰქონდა – კარიძესთან ჩემი შეხვედრა ზარანდიას არ უნდა სცოდნოდა, ყოველ შემთხვევაში, შეხვედრამდე მაინც. ეს ასე აიხსნებოდა: ერთი, რომ პირადი მოტივები მამოძრავებდა და ზარანდიას, ანუ სამსახურს, ამაში არაფერი ესაქმებოდა; მეორე: ის ეჭვის აღმძვრელი კაცი რომელიც კარიძესთან ოთხგზის იყო, თუ დათა თუთაშხია აღმოჩნდებოდა, მე, რა თქმა უნდა, შევეცდებოდი, ისიც მენახა, მაგრამ სასაუბროდ და არა სამსახურებრივ მოვალეობათა აღსასრულებლად. ესე იგი, ზარანდიას ჩარევა ჩემთვის არც აქ იყო სასურველი. ვერც იმას გამოვრიცხავდი, რომ კარიძესთან მარტო თუთაშხია როდი დადიოდა. იქნებ ზარანდიაც?! ხომ შეიძლებოდა, აგენტს ერთ და იგივე პირად მიეჩნია ტყუპებივით დამგვანებული ბიძაშვილ–მამიდაშვილი, მით უმეტეს, რომ კარიძესთან არც თუთაშხია მივიდოდა ორ–ორი მაუზრით და არც ზარანდია – ეპოლეტებით; დაახლოებით ერთნაირად იქნებოდნენ ჩაცმული.

დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მმართებდა კიდევ იმიტომ, რომ კარიძეზე მიჩენილ აგენტს შეეძლო, თავისი გადამბირებლისთვის ჩემი მისვლის ფაქტიც ეცნობებინა. პირველი შეხვედრა მონასტრის გარეთ, სადმე გზაზე ან რკინიგზის სადგურზე უნდა მომხდარიყო და სასურველი იყო – პირისპირ, ისე, რომ კარიძის მორჩილიც კი არ დაგვსწრებოდა. ერთი სიტყვით, გეგმის მონახაზი უკვე მქონდა და მოქმედება, ცხადია, იმით დავიწყე, რომ გავიგე, სახელდობრ, ვისთვის მუშაობდა კარიძეზე მიჩენილი აგენტი.

ზარანდიასთვის!

ყველაფერი ყირამალა დადგა. გავიფიქრე, რომ ზარანდიას ფიგურა, აი, უკვე რამდენი წელიწადია, აჩრდილივით მდევდა და შეეძლო, შიზოიდური მოვლენები აღეძრა ჩემს

ფსიქიკაში. ეგ არის, მაგარი ნერვები მქონდა და ვთვლიდი, რომ ცხოვრება სწორედ მოულოდნელობებისგან შედგება.

ასე იყო თუ ისე, იმის მეტი არა მრჩებოდა რა, რომ ან განზრახვაზე ხელი ამეღო, ან ზარანდიას შესაძლებლობებით მესარგებლა. ამ არჩევანსაც კარგა ხანი მოვანდომე. ბოლოს, გადავწყვიტე, ჯერ თვით ზარანდიას გამოვლაპარაკებოდი და როცა პირისპირ დავრჩით, ვკითხე:

– მუშნი, სად არის ცენზურის ყოფილი მოხელე, ბატონ დათა თუთაშხიას მეგობარი – სანდრო კარიძე?

– შიომღვიმის მონასტერში, თქვენო ბრწყინვალებამ, ბერად შედგა. – ღიმილით მითხრა ზარანდიამ.

– მეც ასე ვიცი. როგორ გგონიათ, რამ გამოიწვია ეგ მეტამორფოზა?.. ამბობენ, სისხლითა და ხორცით ერისკაციაო.

– ყველაფერი ცნობილია, გრაფ, კარიძესთან ორი აგენტი მუშაობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ასე რომ, ცნობების შემოწმების საშუალებაც კი გვაქვს. პოლიტიკურ ტრაქტატებს წერს და ქრისტიანული სარწმუნოების რეფორმაციის თეორიულ საფუძვლებს ქმნის. ყოველ შემთხვევაში, ასე უწოდებს ჩვენი ერთ–ერთი აგენტი კარიძის საქმიანობასა და ნაწერებს. მონასტერსაც, ალბათ, ამისთვის მიაშურა, მაგრამ, მგონი, ოჯახურ განხეთქილებასაც უნდა ეთამაშა გარკვეული როლი. ბერებს კარიძე არ უყვართ, ზურგს უკან წურბელასა და მუქთამჭამელს ეძახიან. სამაგიეროდ, წინამძღვარი მფარველობს, თანამოაზრეები არიან, ყოველმხრივ უწყობს ხელს.

– რატომ დაინტერესდით კარიძეთი?

– შტაბსკაპიტანი ლიამინი დაინტერესდა. სურდა გაეგო, რას აკეთებს კარიძე მონასტერში. მკითხა, იქ აგენტი ხომ არ გყავსო. არ მყავდა, მაგრამ მე უფრო მიმიწვდებოდა ხელი და გავიჩინე კიდეც, ჯერ ერთი აგენტი და მერე – მეორე. ლიამინისთვის საინტერესო საკითხის მოკვლევაში კი შემთხვევით ისიც დადგინდა, რომ კარიძეს დათა თუთაშხიასთან კავშირი არ გაუწყვეტია.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, მუშნი, რომ ის ოთხჯერ მისული კაცი დათა თუთაშხიაა?

ზარანდიამ გაიცინა და მითხრა:

– ოთხგზის ნამყოფობას დოსიე შეიცავს, თქვენო ბრწყინვალებავ, ისე კი... ისე, იქამდეც დადიოდა, სანამ ჩვენმა აგენტებმა მუშაობა დაიწყეს. დოსიეში ხსენებული ოთხი მოსვლიდან ორი დათა თუთაშხიასია და ორი ჩემი. პირველად იმისთვის მივედი, რომ სანდრო კარიძეს გავსაუბრებოდი და დათა თუთაშხიასთან შუამავლობა მეთხოვა. მეორედ მივედი, რომ გამეგო, თანახმა იყო თუ არა შეხვედრაზე დათა თუთაშხია.

– თანახმაა?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ.

– რატომ?

– რაც უნდა მელაპარაკო, ვიციო, და თუ შენი ნახვა მომენატრა, გიპოვი როგორმეო! – ზარანდიამ გადაიხარხარა.

– მე კარიძის ნახვა და მასთან საუბარი მაინტერესებს.

მუშნი ზარანდია დაფიქრდა ისევ გაიცინა და მითხრა:

– შევუთვლი, გრაფ. დათანხმდება. ოღონდ ერთი პირობით, მეც წამიყვანეთ.

– სიამოვნებით! – უყოყმანოდ დავყევი.

ის შეხვედრა სხალტბაში მოხდა და შემდგომში ჩვენი დაახლოება გამოიწვია. უკვე პირველი შეხვედრის დროს გადამდგარი ვიყავი. მერე არმაზში აგარაკი ვიყიდე, უმეტესად იქ ვცხოვრობდი. არმაზიდან შიომღვიმის მონასტრამდე შვიდი, რვა ვერსია და ამ გარემოებამ მე და სანდრო კარიძე უფრო დაგვაახლოვა. თვე არ გავიდოდა, რომ ერთმანეთს რამდენჯერმე არ შევხვედროდით. ჯერ – პირველი შეხვედრა.

სხალტბა შიომღვიმის ქარაფებს ზემოდან არის. პირობისამებრ, მამასახლისთან მივედით. ოროთახიანი პატარა სახლი ედგა.

– მასპინძელო! – დაიძახა ზარანდიამ

მამასახლისის ეზოს საკმაოდ მაღალი ტყრუშული ერტყა, მაგრამ უნაგირის სიმაღლიდან ყველაფერი ჩანდა. ბაღის ბოლოში, მხარმარჯვნივ, ტოტებგაბარდულ–გადახლართული, სწორედ ქოლგასავით გაშლილი პანტა იდგა. პანტის ძირში სკამ–მაგიდა იყო გამართული. ორნი ისხდნენ: ერთი თავად მამასახლისი გახლდათ – ზარანდიას ძახილზე უმალ ჭიშკრისკენ გამოსწია. მეორე ბერი იყო, სანდრო კარიძის მეტი ვინ იქნებოდა.

მამასახლისი ქარცი კაცი აღმოჩნდა, მოჭუტული თვალებით იყურებოდა, თეთრ წამწამებს აფახურებდა. ჩამოვხტით, ეზოში შევედით. ცხენები მამასახლისის ბიჭმა წაიყვანა. თვით მასპინძელი პანტისკენ გაგვიძღვა. კაი ასი ნაბიჯი იყო გასავლელი.

ერთმანეთს ერისკაცურად მივესალმეთ. სანდრო კარიძეს მცირედი მღელვარება ემჩნეოდა. ალბათ, ჩემი ნახვის გამო. ასეთი თანამდებობის პირის სტუმრობას, თავისთავად ცხადია, მის გუნება–განწყობილებაში გარკვეული აღრევა უნდა გამოეწვია. დავსხედით. პატარა ხანს სიჩუმე იყო, უხერხული და მოუხეშავი. ჯერ მამასახლისი დაფაცურდა – ღვინო დაგვისხა, საჭმელები შემოგვთავაზა, არ მოგვეშვა, სანამ დანა–ჩანგალი არ ავიღეთ. მერე სანდრო კარიძემ ფერდობებზე აბიბინებულ ყანებს გახედა, მოსავალზე დაიწყო ლაპარაკი. დაწვრილებით უბნობდა. ესმოდა, რომ სიცარიელეს შევსება ესაჭიროებოდა.

კარიძე ლაპარაკობდა. გამიელვა, – კარგი იქნებოდა, შემთხვევით დათა თუთაშხიაც რომ მოსულიყო–მეთქი, ბიძაშვილ–მამიდაშვილის... არა, სახელდობრ, მუშნი ზარანდიას და დათა თუთაშხიას შეხვედრა მაინტერესებდა, პირდაპირ, ცნობისმოყვარეობა მკლავდა.

ერთხელ უკვე ვთქვი, ზარანდიას თავდადებული სიყვარულით უყვარდა დათა თუთაშხია, ალალ ძმად თვლიდა და ტრაგიკულად განიცდიდა მის ახირებულ ცხოვრებას–მეთქი. ეს ის გამოვლინება იყო, რითაც ზარანდიას არსებაში ჩვეულებრივი ადამიანი ხორციელდებოდა, მაგრამ იქვე განცალკევებულად ცოცხლობდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა საკუთარი რწმენებიდან გამომდინარე ვალდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობა, მავანი ადამიანის მიმართ დაგუბებული სიძულვილი და ღვარძლი კი არა – როგორიღაც კონკრეტული დემონი, რომელსაც "სხვარიგად არ ძალედვა". იგი გასაოცარი დაჟინებით, აზარტითა და სამკვდროდ ებრძოდა დათა თუთაშხიას... არა! ფენომენს რომელიც დათა თუთაშხიას სახით არსებობდა. ადამიანური და დემონური ეს ორი საწყისი პარალელურად მოქმედებდა და სულის გაორებას კი არ ქმნიდა, არამედ მუშნი ზარანდიას ერთობ თავისებური ნატურის მთლიანობის შედეგი იყო.

მამასახლისმა საქმე მოიმიზეზა, ბოდიში მოგვიხადა და წავიდა. სანდრო კარიძემ ან ყველაფერი თქვა, მოსავალზე თუკი რამ გაეგებოდა, ან მიიჩნია, რომ ახლა სხვისთვის უნდა მიეცა ლაპარაკის საშუალება, და დადუმდა. ჩვენც ვდუმდით. მერე ვიგრძენი, რაღაც უნდა მეთქვა და ვთქვი:

– ამ ტყეებში ნადირი თუ იცის?

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, თოფის ხმა ხშირად ისმის, ნადირობენ, – მაცნობა კარიძემ.

ზარანდიამ ტყეებს გახედა გაიცინა და თქვა:

– სულ ადვილი შესაძლებელია, რომ დათა თუთაშხია მანდ სადმე ხეზეა გასული და დურბინდით გვზვერავს...

მეც გამეცინა, მაგრამ კარიძის მოღუშული სახე, ზარანდიაზე მიბჯენილი გულმოსული თვალები შევნიშნე და უნებლიეთ გავფაციცდი.

– თუ ხუმრობით ბრძანეთ, ბატონო ზარანდია, – მიმართა კარიძემ, – შევნიშნავ, უადგილო ხუმრობაა. თუ სერიოზულად არის ნათქვამი – მკრეხელობაა!

ჩანს, არც მე და არც მუშნი ზარანდია არ ვიყავით მზად იმისათვის, რომ სანდრო კარიძე მკაცრი სულიერი მამის როლში მოგვვლენოდა, და დავიბენით.

– დათა თუთაშხია იმდენად გამჭრიახი და ფხიზელი კაცია, რომ შეუძლებელია, ჩვენს დროში – ამ პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში, – საერთოდ, ვინმეს და, სახელდობრ, თქვენ, გულწრფელად გენდობოდეთ, – დასძინა კარიძემ და ეს, ცხადია, ჩვენ ორს გვეხებოდა. – ამასთან, იმდენად სულგრძელიც არის, რომ, სახელდობრ, თქვენდამი უნდობლობის გამჟღავნებას თავის თავსაც კი არ აკადრებს გამჟღავნებას– მეთქი!

– უნდა გაცნობოთ, ბატონო სანდრო, – მივმართე მე, – რომ ჩვენ ორივენი ზუსტად მაგ აზრისანი ვართ.

სიჩუმე ჩამოვარდა, საკმაოდ უხერხული და ხანგრძლივი. დაძაბულობის განმუხტვა იყო საჭირო და კარიძეს მივმართე:

– თემას ოდნავ გადავუხვევ და შეგეკითხებით: ჩვენს დროში, ანუ, როგორც თქვენ ბრძანეთ, პიროვნული და საყოველთაო სულმოკლეობის პირობებში, დათა თუთაშხიას კეთილშობილება და სულგრძელობა ანაქრონიზმად არ მიგაჩნიათ?

– ჰმ, ანაქრონიზმად? – ჩაიქირქილა კარიძემ, ერთხანს ჩუმად იყო და მკითხა: – რას იტყვით გრაფ, ნოეს დროს ბოთლი და საცობი არსებობდა?

ვერ მივხვდი, რისთვის დამისვა ეს საოცარი კითხვა და გაცინებით ვუშველე თავს.

მუშნიმ შემაშველა:

– ღვინო ნოეს დროსაც იყო, ბატონო სანდრო. ცხადია, საცობიანი ჭურჭლეულიც იქნებოდა.

– იქნებოდა, მართალია... – თავისთვის დაადასტურა კარიძემ. – მაშინ, აი, როგორ მოხდებოდა ეს საქმე: კიდობანში თავისუფალი ადგილი რომ აღარ აღმოაჩნდა, ნოემ დათა თუთაშხია დააპატარავა, ბოთლში ჩასვა, საცობი დაუცო და წყალში გადააგდო, რომ წარღვნის შემდეგ სადმე გარიყულიყო და ხელმეორე ცხოვრება დაეწყო. ღმერთმა ნოეს ხელით კაცობრიული სულგრძელობა, მაღალი ზნეობა გადაარჩინა!

– თქვენ, ბატონო სანდრო, ღმერთისაგან განსხვავებით, ფრიად აღმატებული აზრი გქონიათ ნოეს დროინდელი საზოგადოების ზნეობრივ დონეზე, – სიცილით შენიშნა მუშნი ზარანდიამ. – წერილ არს, წარღვნა კაცთა უკეთურობისა გამო მოუვლინა ღმერთმა დედამიწას!

– დათა თუთაშხია ნოეს დროინდელი ზნეობის დონეზე რომ მდგარიყო, ღმერთი მას დანარჩენი კაცობრიობის ხვედრს მიაგებდა. იგი მაშინაც ანაქრონიზმს წარმოადგენდა, მაგრამ მარადის საჭიროს და აუცილებელს.

– თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ მაღალი ზნეობაა მარადისი? – ვკითხე კარიძეს.

– დიახ, მიუხედავად იმისა, აღზევებულია ზნეობა, თუ იმდენად დათრგუნვილი, როცა თითო–ოროლა პიროვნების კუთვნილებასღა შეადგენს – იგი მაინც მარად არის. სხვა დანარჩენი – ხან არის! ხან არა. რამდენჯერაც უნდა გაირყვნას და დაეცეს კაცთა მოდგმა, რამდენჯერაც უნდა გაიმეტონ მოსაშთობად ღმერთებმა იგი, იმდენჯერ გადაარჩენს განგება დათა თუთაშხიას, როგორც კვეთსა და მაწვნის დედას. თქვენი პრაქტიკაც ხომ არ ადასტურებს ჩემს მოსაზრებას? იმას ვგულისხმობ, რომ დღემდე ვერაფრით მოგიხელთებიათ.

– თქვენ მისტიკოსი ყოფილხართ, ბატონო სანდრო. – შევნიშნე მე. – ამჟამად მთელი მსოფლიო ახალ წარღვნაზე ლაპარაკობს! სულის კაწკაწით ელის გლობალურ კატაკლიზმებს. გამოდის, რომ დათა თუთაშხიას ხელმეორედ ჩააბრუნებენ ბოთლში?

ვიხუმრე, მაგრამ ჩემი ხუმრობა იმის მინიშნებასაც შეიცავდა, რომ სანდრო კარიძის ნაწერებში არსებული რევოლუციის წინასწარმეტყველება ჩვენთვის ცნობილი იყო.

– წარღვნა კარზეა მომდგარი. ამაში ძველის განადგურება და ახლის წარმოქმნა იგულისხმება, – მითხრა კარიძემ. – რაიმე სახით ნოეც იქნება და კიდობანიც, როგორც ანალოგიური მოვლენების აუცილებელი თანმხლები. არც დათა თუთაშხია დარჩება ბოთლშიჩაუსმელი, ესეც აუცილებელი ატრიბუტია.

– ბატონო სანდრო, მაგ თემაზე დათასთან თუ გისაუბრიათ? – ჰკითხა ზარანდიამ.

– მრავალგზის, როგორც სიტყვას მოყოლილ სალაპარაკოზე. რატომ გაინტერესებთ?

– იმიტომ, რომ ნოე ვარ! ცალ ხელში ბოთლი მიჭირავს მეორეში – საცობი. აგერ, მესამე წელიწადია დავდევ საკუთარ ბიძაშვილს, ვცდილობ, დაპატარავებაზე და ბოთლში ჩაჯდომაზე დავიყოლიო.

ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

სანდრო კარიძემ პატარა ხნის ფიქრის შემდეგ სერიოზული ტონით თქვა:

– ვიცი მე ეგ. იქნებ, მართლაც, ნოე ხართ?!

ბოთლისა და საცობის თემა ამოიწურა. კარგა ხანს უმნიშვნელო დიალოგი გვქონდა – ამ მთისა და იმ მთის. ტრაპეზს მოვრჩით, ბაღვენახი და მარან–საწნახელიც დავათვალიერეთ, ისევ მაგიდას მივუსხედით და სანდრო კარიძემ წამოიწყო:

– აი, თქვენო ბრწყინვალებავ, ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ბრძანდებით...

– აღარ ვარ, ბატონო სანდრო... უკეთ რომ ვთქვათ, ერთი კვირის ან ათი დღის შემდეგ აღარ ვიქნები! – სიტყვა ჩამოვართვი.

ზარანდიაცა და კარიძეც, თითქმის, პირდაღებულები შემომცქეროდნენ.

– ამ თვე–ნახევრის წინ გადადგომა მოვითხოვე, გუშინწინ დასტური მივიღე. ჩამოვლენ, ბრძანებას ჩამოიტანენ, ახალ მესვეურს მოიყვანენ. საქმეებს გადავაბარებ და თავისუფალი კაცი ვარ, – განვმარტე მე. – კმარა!

– შეუძლებელია! – ამოღერღა ზარანდიამ. – მინისტრი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო... ჩემი ყურით მოვისმინე.

– ალბათ, დიდმა მთავარმა დამიჭირა მხარი, – ღიმილით მივუგე.

– ააა! – აღმოხდა ზარანდიას, ფიქრებს მიეცა და კარგა ხანს აღარ ამოუღია ხმა.

კარიძემ განცვიფრებას თავი დააღწია, შეიშმუშნა და დაწყებული საუბარი განაგრძო:

– აი, თქვენო ბრწყინვალებავ, რუსი მამულიშვილი, დახვეწილი ინტელიგენტი, ტახტისა და არსებული წყობილების უერთგულესი ქვეშევრდომი ბრძანდებით... მოაზროვნე, მოფიქრალი კაცი. ძალიან მაინტერესებს... რა ვიცი, იქნებ უხერხულიც იყოს...

– ბრძანეთ, ბრძანეთ.

კარიძე შეყოვნდა. ალბათ, კითხვის ჩამოყალიბებას მოანდომა დრო.

– რის აღმოცენებას ისურვებდით რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე? – ისე მკითხა, ვითომ, თავზე ხელი აიღო.

გამეცინა: მე ხომ ჯერ კიდევ ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ვიყავი?!

– სრულიად რუსეთის სახელმწიფოს აღმოცენებას!

– მძიმე პრობლემაა, მაგრამ, პირადად მე, მგონია, რომ სწორედ ეგრეც მოხდება.

– პოლიტიკურ მიმდინარეობათა უმრავლესობა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, იმპერიის დანაწევრებას ითვალისწინებს.

– ის პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, რომელიც რუსეთის იმპერიის ხალხებისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების გზით შეინარჩუნებს სახელმწიფოს მთლიანობას. – აღნიშნა კარიძემ.

– თვითგამორკვევის უფლება ეროვნულ დამოუკიდებლობას ნიშნავს, ხოლო რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობა – იმპერიის დაშლას შემადგენელ ნაწილებად. ასეთ ვითარებაში სრულიად რუსეთის მთლიანი სახელმწიფოსთვის მხოლოდ ოცნებაში რჩება ადგილი.

– არა! – კარიძემ თავისი ბანჯგვლიანი თავ–პირი გაბრაზებულივით გაიქნ–გამოიქნია. – ამა თუ იმ ერისთვის დამოუკიდებლობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც მისი ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ–ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებაა საჭირო და აუცილებელი. ახლა, წარმოვიდგინოთ პოლიტიკური ძალა, რომელიც მომავალი სრულიად რუსეთის სახელმწიფოს დროშის ქვეშ რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხებისთვის მათი ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ–ეკონომიკური ინტერესების სრული დაკმაყოფილების გარანტიებს შექმნის. ვიღას და რაღად ენდომება დამოუკიდებლობა?

– თქვენ, ბატონო სანდრო, არ გნებავთ, ანგარიში გაუწიოთ რუსეთის იმპერიის ხალხებში ფესვგადგმულ სეპარატისტულ, ცენტრიდანულ განწყობილებებს. ეს ობიექტურად არსებობს.

– ეგ განწყობილებები ეროვნული ბურჟუაზიისა და გაკოტრებული არისტოკრატიის კუთვნილებაა და არა მასებისა, რომელთაც ისტორიულმა ვითარებამ, განვითარების მსვლელობამ გადამწყვეტი ძალის როლი არგუნა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე ჰკიდია, შეძლებს თუ არა რუსეთის პოლიტიკური აზროვნება ხალხთა თანაარსებობის

ისეთი მოდუსის შემოთავაზეგას, როდესაც განთავისუფლებული ერები სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებას ამჯობინებენ!

– გეგულებათ დღევანდელ რუსეთმი ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება ძალედვას?

– თქვენ, გრაფ, Index librorum prohibitorum (აკრძალული წიგნების ნუსხა (ლათ.))–ში შეტანილი ლიტერატურით არ სარგებლობთ?

– ვსარგებლობ. სამსახურებრივად მოვალე ვარ. ყველაფერს ვიცნობ... ფუნდამენტურად არა, რა თქმა უნდა.

– სოციალ–დემოკრატების, უფრო ზუსტად – ბოლშევიკების პროგრამაც იცით?

– ულიანოვის ფრთას გულისხმობთ?

– დიახ.

– ბოლშევიკების პოლიტიკური დოქტრინები... ისინი მზად არ არიან ამ პრობლემის გადაჭრისთვის. – ვთქვი მე.

– ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ჯერჯერობით არ არიან მზად, მაგრამ მანდეთ მიდიან. მათ კიდევ ათი წელიწადი ან რაღაც, დაახლოებით, ამდენი დრო აქვთ, მაგრამ არა უმეტესი. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ მხოლოდ ამ პარტიას ესმის: სრულიად რუსეთის ახალი მთლიანი სახელმწიფოს შექმნა რუსეთის იმპერიის ხალხთა ეროვნული, მოქალაქეობრივი და კულტურულ–ეკონომიკური მოთხოვნილებების მაქსიმალურად შესაძლებელ დაკმაყოფილებაზე გადის. სხვაგვარად ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება.

– პოლიტიკოსები დაპირებებს არასოდეს იშურებდნენ, – ხმა ამოიღო მუშნი ზარანდიამ.

– ბოლშევიკი ხართ? – სიცილით ვკითხე კარიძეს.

– არა. – ისევ გაბრაზებულივით გაიქნია ბანჯგვლიანი თავ–პირი კარიძემ.

– საერთოდ უპარტიო ხართ თუ ჩემსავით ერთკაციანი პარტიის ერთადერთი წევრი? – თითქოს სერიოზულად ჰკითხა მუშნიმ.

კარიძემ ეჭვით გადმოხედა, ხომ არ მამასხარავებსო, და მიუგო:

– პარტია კონკრეტულობაა!

– ზოგადი მოძღვრება გაქვთ? – მუშნი ზარანდიამ ინტონაციით გაამჟღავნა, რომ ხუმრობის გუნებაზე დადგა.

– შეხედულებების სისტემა, მომავალი მოძღვრების საფუძვლები! – კვლავინდებური სერიოზულობით მიუგო სანდრო კარიძემ.

– დევიზი?

– არ მესმის. – მომიბრუნდა კარიძე.

– სოციალ–დემოკრატების დევიზია – “ხალხი”. პირობითად ვამბობ. თქვენი შეხედულებების დევიზი როგორიღაა?

– “ერი!” – მეც პირობითად ვამბობ.

– რა განსხვავებაა – ხალხი, ერი?

– მაგ თემაზე სასაუბროდ მზად არ ვარ. თქვენის ნებართვით, ეგ როდისმე მერე იყოს, თუკი მერე შეხვედრაც გვიწერია.

ბინდი დაიძრა და სანდრო კარიძემ, ალბათ, ამაზე მიგვითითა. ისიც შესაძლებელია, რომ დაიღალა ან მუშნი ზარანდიას ხუმრობა ლაზღანდარობად მიიღო და ეწყინა. ასე იყო თუ ისე, კიდევ თხუთმეტიოდე წუთი უქმ ლაპარაკში გავატარეთ და დავიშალეთ. მინდოდა, პაემანი დამენიშნა, მაგრამ რაღაცამ შემიშალა ხელი – იქნებ იმან, რომ იმდღევანდელ საუბარს ჩვენი საამისო დაახლოება არ მოუტანია.

**რობერტ პავლეს ძე ხაპლანი**

– როგორც ჩანს, საქართველოს საარქივო სამმართველოს თავისი შენობის ვესტიბიულში გამოკრული აქვს პლაკატი ჩემი ფიზიონომიითა და წარწერით, რომ მე მართლაც ვიმსახურე კავკასიის ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტად რვა თვის მანძილზე. შესაძლოა, პლაკატი კი არა, შვეიცრის მაგიდაზე რაიმე დავთარი უდევთ და ჩემი ნამსახურობა იმ დავთარში წითელი მელნით არის შეტანილი. დიახ, ვიმსახურე და ეს ფაქტი აღნიშნული მაქვს ყველა ჩემს მიერ შევსებულ ანკეტასა და ავტობიოგრაფიაში. ამას წინათ ჰელმინთოლოგების მსოფლიო კონგრესზე გახლდით კოსტა–რიკაში. ანკეტაში ჩავწერე, რომ რვა თვე საიდუმლო აგენტად ვიმსახურე. მითხრეს, – ეს ამოშალეო. არაფრით არ დავთანხმდი. საქმე წასვლა–არწასვლამდე მივიდა. მაინც არ ამოვშალე. დიახ! ხსენებული დავთარი თუ მართლაც არსებობს, კარგი იქნებოდა, ისიც ჩაეწერათ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გამრიცხეს, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ორჯერ ვიყავი დაპატიმრებული და სამი წელიწადი ორენბურგშიც გახლდით გადასახლებული. არც იმის ჩაწერა იქნებოდა ზედმეტი, რომ აკადემიის წევრ–კორესპონდენტი ვარ და ჩემს ნაშრომებს მსოფლიოს ყველა ჰელმინთოლოგი იცნობს. თქვენ ჰელმინთოლოგიისა იცით რამე?.. კეთილი და პატიოსანი. ახლა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჟანდარმერიაში ნამსახურობის საკითხზე ჩემთან ბევრჯერ მოსულან და მომავალშიც ველი ვიზიტებს, თუმცა, მართალი გითხრათ, დათა თუთაშხიასთან ჩემი ურთიერთობების გამოსაძიებლად ჯერ არავინ ყოფილა, თქვენ პირველი ბრძანდებით. დიახ, იყვნენ და კიდევაც მოვლენ–მეთქი, მოგახსენებთ. რაკიღა ასეა, მობილიზაციური მზადყოფნით უნდა დაგხვდეთ ხოლმე. დავიწყოთ გენეალოგიიდან. აი, ჩემი გვარტომობის ნუსხა. დედა: მამით – სამადაშვილი, დედით – თაფლიანიძე... და ზემოთ ყველა ქართველები იყვნენ. აქ იმდენად საინტერესო არაფერია. აი მამა! მამაჩემი მამით ყაფლანიშვილი იყო, დედით – ფარლაღაშვილი და მამაჩემის დედის შტოშიც ყველა ქართველია. მიაქციეთ ყურადღება, მამაჩემი ყაფლანიანცად წერია, მამაჩემის მამა – ყაფლანიშვილად, ხოლო მისი მამა, ანუ პაპაჩემის მამა, – ისევ ყაფლანიანცად არის აღნიშნული და მის ზემოთ, ყველა ყაფლანიანცები არიან. უდავოდ

სომხები ყოფილან, მაგრამ პაპაჩემს ქართველობა, ყაფლანიშვილობა უსურვებია. მისგან განსხვავებით, მამაჩემს – სომხობა, ყაფლანიანცობა და მეც ამ გვარზე დამწერეს. ვინაიდან მე, როგორც ეთნიკური ფენომენი, სამ მეოთხედზე ქართველი ვარ, ყაფლანიშვილობა გადავწყვიტე და საიდუმლო აგენტად ყოფნის დროს და მერეც ამ გვარზე ვიწერებოდი. რუსეთში სასწავლებლად ჩამოვედი და მივხვდი, რომ ახალ გარემოში ჩემი ამ სიგრძე და, ამასთან, ძნელად გამოსათქმელი გვარი ვერაფერი შვილი იყო. დავირქვი ყაფლანი, რაც რუსულად გამოითქმის: კაპლანი ამ გვარზე ვიყავი, სანამ ის ფანატიკოსი დედაკაცი რევოლვერს გაისროდა. გაისროლა და მას აქეთ ვარ რობერტ პავლეს ძე ხაპლანი, თუმცა ერთობ ხშირად მიხდება განვმარტო, რომ იტალიელი არა ვარ და ხაპლანსა და კაპლანს შორისაც არის არსებითი განსხვავება. ამ მხრივ თუ კიდევ რაიმე გაინტერესებთ, შემიძლია, ჩემი გვარტომობის ნუსხის ფოტოპირი გაგატანოთ. უფრო დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ჰერალდიკისა და გენეალოგიის სამმართველოს ლონდონში – ბეისუოტერ–სტრიტ 9, შეიძლება აღმოაჩნდეთ რაიმე დამატებითი მასალა. რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის დღიდან დღეის

დღემდე – ინებეთ, მანდ ყველაფერი ამომწურავად წერია. წაიღეთ, თქვენი იყოს, გამრავლებული მაქვს. ახლა ჟანდარმერია!

მამაჩემი პავლე ყაფლანიანცი პროფესიით თერძი იყო, თავისი საკუთარი – მიაქციეთ ყურადღება – საკუთარი სახელოსნო ჰქონდა თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ადელხანოვის მაღაზიის გვერდით. ეხლა რომ მოდების ატელიე ჰქვია, ისეთი ყაიდის რამ იყო. ჰყავდა როგორც ევროპული, ისე აზიური და სამხედრო ტანსაცმლის საუკეთესო სპეციალისტები. თბილისის ელიტა და ბომონდი – მთლიანად მამაჩემის მუშტარი იყო. დავამთავრე თუ არა კლასიკური გიმნაზია, სამხედრო ვალდებულებამ მიწია. მამაჩემი წინააღმდეგი იყო, რომ მისი ერთადერთი ვაჟი იაპონიის ომში დაღუპულიყო, და ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, – დროებით ჟანდარმერიაში მოგაწყეო. მართლაც, დროებითი აღმოჩნდა. ვიმსახურე, გამოვედი და მას შემდეგ სამხედრო ვალდებულებისა აღარაფერი ვიცი, ჰელმინთოლოგი ვარ. რას წარმოადგენდა ჩემი სამსახური: თვალყურის დევნებას ძველი პროფესიაა, ძალიან ძველი. აი, დათა თუთაშხიასთან მივედით. სამი რევოლუციის შემსწრე და მონაწილე ვარ – ცხრაას ხუთის, თებერვლის და ოქტომბრის. დაჟინებით ვიტყვი, რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყველა, მთელი საზოგადოება, კაცი და ქალი, ბებერი და ბავშვი, მომხრე და მოწინააღმდეგე – თუ ყველა რევოლუციაზე ლაპარაკობს. ასე იყო სამივე რევოლუციის წინ, ყოველ ადამიანს თავში ბჟუილი ჰქონდა ატეხილი სიტყვისგან – “რევოლუცია”. სწორედ იმ პერიოდში ვიმსახურე. საკვირველი ის არის! რომ თვითონ მე, რა თქმა უნდა, რევოლუციის მომხრე ვიყავი და ჟანდარმერიაში კი ამოვყავი თავი. სხვა დრო იყო, მამის სურვილს კანონზე მეტი ძალა ჰქონდა, წინააღმდეგობას ვერ გავწევდი.

ერთი სიტყვით, მივიღე დავალება და წავედი სამტრედიაში. წასვლის წინა ინსტრუქტაჟის თანახმად, იქიდან მატარებლით თბილისს ერთი მამაკაცი უნდა წამოსულიყო. გვარ–სახელი არ მითხრეს, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს კაცი დათა თუთაშხია იყო. თვალყური უნდა მჭეროდა, – ვის შეხვდებოდა სადგურზე და მატარებელში, რას ეტყოდნენ ან რას იტყოდა. თუთაშხიას თბილისში მისი ძმა, ჩემზე ცოტათი უმცროსი ახალგაზრდა კაცი უნდა დახვედროდა. თუ ძმები ერთად წავიდოდნენ, ჩემი მისია ამოწურულად ითვლებოდა. თუ დათა თუთაშხია სადგურიდან საითმე გაუხვევდა – თვალყური უნდა

განმეგრძო. ყოველივე ამასთან ერთად, მე იგი უნდა მეხსნა შესაძლებელი დაპატიმრებისგან, რისთვისაც სათანადო საბუთი ჩამაბარეს.

სამტრედიაში ბიძა მყავდა. ერთი დღე იმ ოჯახში გავატარე. ხორაგით სავსე კალათი გამომატანეს და ტომსიკით საგზალიც. ხორაგი და საგზალი ოპერაციის აუცილებელი კომპონენტი იყო, სტუმრად ნამყოფის შთაბეჭდილება უნდა მომეხდინა. ჩემმა უფროსებმა იცოდნენ, სამტრედიაში რომ ბიძა მყავდა. – რამეს გამოატანენო, გაითვალისწინეს, და სახელდობრ მე, ალბათ, ამ ნიშნითაც შემარჩიეს. სადგურში გამოვედი, დათქმულ ადგილას გავჩერდი. ხედვითი მეხსიერება ეხლაც კარგი მაქვს და მაშინ ხომ მქონდა და მქონდა. დათა თუთაშხია თუ სადმე გაიჭაჭანებდა, უეჭველად უნდა მეცნო, რადგან ჩემმა უფროსმა ერთი ვიღაც მაღალი ჩინის მესვეური დამანახვა. – ეს კაცი დაიხსომე, ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ესა და შენი თვალყურის პირი ერთმანეთსაო. ვიცანი. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე ვიცანი. არ მეცნო კიდეც, დათქმულ ადგილას ვიდექი, იქაური აგენტი მოვიდა, საცნობი მითხრა და მანიშნა – აგერ, ის კაცია, ჩამიბარებიაო. თუთაშხიამ ჩამიარა და სადგურის რესტორანში შევიდა. სექტემბრის ნახევარი იყო, მართალია, ზაფხულივით თბილოდა, მაგრამ თუთაშხიას მაინც ხალვათად ეცვა. თავზე ფაყუ, მაუდის შარვალ–ხალათი, პაჭიჭები და წუღა–მესტი. იღლიაში რაღაც გახვეული ჰქონდა. შევიდა, დაჯდა, საჭმელი მოითხოვა და მე სადგურის უფროსის ოთახს მივაშურე. ისე იყო მოფიქრებული, რომ მე და დათა თუთაშხიას გვერდიგვერდ უნდა გვემგზავრა, თუკი მოხერხდებოდა, რა თქმა უნდა.

სადგურის უფროსთან კალათებიანად შევედი და, აი, მაგალითიც იმისა, რომ მაშინ ყველას და ყველგან რევოლუციის ბჟუილი ჰქონდა ატეხილი, დამპალ წყობილებას ჰელმინთები ჰყავდა. უფროსი საწერ მაგიდასთან იჯდა, კარის ჭრიალზე გამომხედა და ვითომ არც არავინ შესულიყო ზურგს უკან ღია კარში ვიღაცას გადაულაპარაკა:

– გაიგე, ბართლომე, რა უქნიათ, მამაძაღლებს, ამათ? გოუტანიათ მახათაზე ზარბაზნები და, თუ არ მოიშალეთ მიტინგები და მისთანები, მაგ თქვენ თბილისშივე ამოგჟუჟავთ მატლებივითო!

– ნამეტანი გოუჭირდა თვითმპყრობელობას, ნამეტანი. – მოისმა უკანა ოთახიდან. – ლენინს უთქვამს, თვითმპყრობელობა, მეფე და ბურჟუაზია თავისით არაკაცს არაფერს დოუთმობს, ძალით უნდა წაართვა წასართმევი, მარქსმა თქვა ასეო. არ დათმობს და ვნახავ რუსთ–ხელმწიფეს კედელთან მიყუდებულს. ასე არ ქნეს ფრანგებმა?!

– კი, მარა, ამ სახელმწიფო სათათბიროს რომ ლაპარაკობენ...

– სახელმწიფო სათათბირო ქიმერაა! – ჩამოვართვი სიტყვა სადგურის უფროსს. – სახელმწიფო სათათბიროში მეფე და მისი დამქაშები თავის ხალხს შეიყვანენ.

ამას რომ ვამბობდი, სადგურის უფროსს საიდუმლო აგენტის წიგნაკი დავანახვე. სათქმელი ჯერ დამთავრებულიც არა მქონდა, რომ უფროსს ქაღალდისფერი დაედო.

– არც მასე იქნება მაგ საქმე, ბიძიკო, ვინ და რომელი ხარ, ვერ გიცანი, – მოისმა უკანა ოთახიდან. – მარა სახელმწიფო სათათბირო...

– მართალს ამბობს ეს კაცი, მართალს! – გამომესარჩლა სადგურის უფროსი, უმალვე მიხვდა, რომ ჟანდარმის წინაშე ბოლშევიკების პოზიცია დაადასტურა და ახლა ნიკაპი აუცახცახდა.

გავუღიმე, ხელი ჩავიქნიე, – არაფერია–მეთქი, და ჩურჩულით ავუხსენი, რაც მესაჭიროებოდა. იმწამსვე ადგა, გამომყვა. სანამ კარი ჯახანს გაიღებდა, უკანა ოთახიდან განუწყვეტლად ისმოდა მოსაზრებები და შეხედულებები, რომელთა გამო მაშინ, იმ სიტუაციაში, ენისეიზე თუ ლენაზე გამგზავრება დიდ იღბლიანობად ჩაითვლებოდა.

ბილეთების საქმე ადვილად მოგვარდა. პლაცკარტიანი ვაგონის მეჩვიდმეტე ადგილი მე ავიღე, მეცხრამეტე ადგილის ბილეთი სადგურის უფროსმა გვერდზე გადმოდო და სალაროში დარჩა, სანამ დათა თუთაშხია მოვიდოდა. მოვიდა, თბილისის ბილეთი მოითხოვა, მეცხრამეტე ადგილი მისცეს. მე ჯერ დეპეშა გავგზავნე, ამა და ამ ვაგონით მოვდივარ–მეთქი, და მერე ისევ თვალყური განვაგრძე. დათა თუთაშხია მოსაცდელ დარბაზში შესულიყო, განმარტოებით იჯდა, მაგრამ ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ მის გვერდით ვიღაცამ მოიკალათა. ცოტა ხნის მერე ირგვლივ უკვე მგზავრების მოზრდილი ჯგუფი იჯდა და, რაღა თქმა უნდა, რევოლუციაზე ლაპარაკი გახურდა. საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდნენ, მაგრამ მოშორებით ვიყავი, რიგიანად არ მეყურებოდა. წავიღე ჩემი კალათები და მეც იმათ მივუჯექი.

– რაო მერე, ის სანებლიძე თუ ვიღაც რომ მოსულა თქვენს სოფელში, არ თქვა, ქარხნები მუშებს და მიწა–გლეხებსო?

– რავა არ იტყოდა, მაგას არ ლაპარაკობენ სულ?!

– თქვა, აბა, არ თქვა? მიდით და დაისაკუთრეთ თავადაზნაურობის მამულებიო!.. რა მიწები აქვს ნამაშევში ქაიხოსრო წულუკიძეს, ხო ხო ხო!

– მიდით და დაისაკუთრეთ, თქვენც.

– მართალია, მართალი, მიდით და დაისაკუთრეთ.

– ჯერ მუშებმა ქნან თავისი.

– რატომ, ჯერ მუშებმა, შე კაცო?!

– რატომ და, დასაკარგი არაფერი აბადიათ მათ. მე რომ მივიდე და წულუკიძის მიწებს დავეპატრონო, რა ვიცი, შებრუნდეს ეგებ და, რაცხა ექვსი ქცევა საყანე მაქვს, წამართმევენ იმასაც.

– გევიგოთ, რუსეთში რაფრა მოიქცევა გლეხობა და ისე ვქნათ ჩვენც.

– ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ნათქვამია.

– მთელი სიცოცხლე ითმენ, შე კაცო, და ქე გატყვია, რაცხა მოგებაში ხარ.

– ახლა, რაფრაა ამათი საქმე, თუ იცი? ნამაშევის მიწები ქე უნდათ, აპა არა?! მარა, ვინმე რომ მიართმევდეს თავისით, ე, ის იქნება ნამეტანი კაი, ხა, ხა, ხა!

– გლეხები მოახდენთ რევოლუციას, მეტი არ იქნა თქვენი მტერი!

დათა თუთაშხია ამ ლაპარაკს გულდასმით უსმენდა, მაგრამ არ ჩარეულა, ხმა არ დაუძრავს. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, როცა ვიღაცამ ბრძანა:

– გვითხრან, ბატონო, რამდენს მომცემენ ნამაშევის მიწებიდან და თუ დამიჯდა ჭკუაში, მივალ და წოუკიდებ ცეცხლს ქაიხოსრო წულუკიძის სახლ–კარს. გლეხი კაცი ვარ მე, დღევანდელი კვერცხი მირჩეენია ხვალინდელ ქათამს!

– ის საკუთარი კვერცხი რომ გაქვს, იმიტომ არ ვარგიხარ რევოლუციისთვის, – ვთქვი და ამ დროს ორი ზარიც ჩამოჰკრეს, მატარებელი გამოვიდაო.

ხალხი წამოიშალა, ბაქანზე გავედით.

ნახევარი საათის შემდეგ დათა თუთაშხია და მე ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით. ვაგონი რევოლუციაზე, გამოსვლებზე, თბილისისა და რუსეთის, ნამდვილსა თუ მოგონილ ამბებს ლაპარაკობდა.

– სიტყვის თავისუფლებაზე, რაო, სიტყვის თავისუფლებაზე? – ჩვენგან მეორე თუ მესამე განყოფილებაში იკითხა ვიღაცამ ხმამაღლა და ატყდა ალიაქოთი;

– რა გაქვს სათქმელი, ნეტავი, და თუ გაქვს, რას გაჩუმებულხარ, შე კაცო!

– რა აქვს სათქმელი და, თუ არ მოეწონება კაცს რამე, უნდა ქონდეს იმის უფლება, რომ თქვას და გაუგონონ მთავრობის კაცებმა. შეხედულებები მართავენ ქვეყნიერებას, შეხედულებები!

– სად ნახავ ისეთ მთავრობას, რომ იტყვი და გაგიგონებს?!

– აუუუ! სად წავიდა ის კაცი?! საფრანგეთის რევოლუციაში წავიდა, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, შეხედულებები მართავენო, კაცო!

– თავისუფლება თუ იქნა, მთავრობაში ისეთ კაცებს ავირჩევთ, რომ გაგვიგონონ და ჩვენს გასაჭირზე იზრუნონ. აბა?!

– შენ რომ კაცს აირჩევ და სახელმწიფო სათათბიროში რომ გამოიჭიმება, აღარ იქნება ის კაცი შენი. ექნება სიტყვის თავისუფლება, მარა შენს გასაჭირზე არ ილაპარაკებს ის, თავის თავს მიხედავს, თავის თავს!

– აგერ, ჩამოყალიბდება სახელმწიფო სათათბირო და მოგვცემენ თავისუფლებას, აბა, რას იზამენ, კაცმა რომ თქვას!

– კი, ხონჩით მოგართმევენ ხონჩით!

– თავისუფლებას ბრძოლით უნდა მოპოვება. ვიღაცის მოცემული თავისუფლების იმედი ნუ ექნება ნურავის! – დავიძახე მე და დათა თუთაშხიას შევეკითხე: – ასე არ არის?

მხრები ოდნავ აიჩეჩა, პატარა ხანს იფიქრა და მითხრა:

– თავისუფლება, ბიძიკო, თვითონ უნდა მიცეს ადამიანმა თავის თავს.

– როგორ ეგ? – გამოელაპარაკა მეზობელი.

– სხვას ნუ შეაწუხებ, ერს ზარალს ნუ მიაყენებ და ისე, იყავი, როგორც გინდოდეს და იცხოვრე, როგორც მოგეხასიათოს. – მიუგო დათა თუთაშხიამ.

– ყველა მასე რომ იქცეოდეს!.. ვინ მიცა მაგის შეგნება ხალხს?! – ჩაერია მეორე მეზობელი.

– აბა, მთავრობა მოგვცა ისეთი, მანდეთ რომ იყოს მიმართული და ხალხიც გაიყოლიოს მანდეთ, ყველა... ვნახავდით მაშინ, ექნებოდა თუ არა შეგნება ხალხს! – გვერდის ადგილიდან თქვა ვიღაცამ.

– მაგას სხვა სოციალური გარემო სჭირდება, – გადაველაპარაკე თუთაშხიას.

– კი ჭირდება, მართალია ეგ, – უყოყმანოდ დამიდასტურა.

– მთავრობაში! ბატონო, მემამულეები და ბურჟუაზიაა მოკალათებული. ღარიბი და ღატაკი რაში ეპიტნავება მას, – მოისმა ტიხრს იქიდან.

დათა თუთაშხიას ზემოდან ვიღაც იწვა, მანამდე კრინტი არ დაუძრავს. ამის გაგონებაზე გადმობრუნდა და გასძახა:

– მაშ, ვინ გინდა მთავრობაში! ჰა? – კახურ კილოზე გასძახა.

– ვინ მინდა და, ღარიბებისგან უნდა შედგებოდეს მთავრობა! მუშურ–გლეხური უნდა იყოს.

– ის ღარიბი იზრუნებს სხვა ღარიბისთვისა, არა?

– იზრუნებს, აპა, არ იზრუნებს?!

– შე კაი კაცო, მდიდრები არიან, აქვთ კიდეცა და თავზეც გადასდით, შეუძლიათ და არ კი ზრუნავენ. ღარიბსა თავისთვის არაფერი აბადია და რითი და რანაირად იზრუნებს, ჰა?.. თუ იშოვნა რამე იმ შე–

ნმა ღარიბმა მთავრობის კაცმა, წაიღებს და შინ მიიტანს, შინა, შინაა! მოკლე ხანში გამდიდრდება და რაზეც დაგიკიდებს, ზეით აიხედამ და ნახამ. – გადაბრუნდა კახელი და იმისი ხმა აღარავის გაუგონია.

– ამხანაგებო, ასეა თუ ისე, საშინელი აღსასრული ჯობს გაუთავებელ საშინელებას. ცარიზმი უნდა დაემხოს!

– მაგ კია მასე, მარა!...

– სწორია სწორი.

– დაემხობა, აპა, არ დაემხაობა?!

– მაშა, გიცხონდებათ თქვენ! კი, აბა, დაემხობა! თავისით დაემხობა, თავისით. დეიძინებს ამეღამ და აღა გამოიღვიძებს ხვალ!

ხალხმა გული იჯერა, ვაგონი მიწყნარდა, მშვიდ საუბარზე გადავიდა. გადმოვიღე საგზლიანი ტომსიკა, გავშალე საჭმელ–სასმელი, მივიპატიჟე დათა თუთაშხია. კიდევ ორი მგზავრი დაგვეწვია და ზესტაფონამდე სულ რევოლუციური სადღეგრძელოები ვილაპარაკეთ – იმ ორმა მგზავრმა და მე, თორემ დათა სიტყვაძუნწი კაცი აღმოჩნდა. თავის დამოკიდებულებას ჩვენი აზრების მიმართ მხოლოდ ღიმილითა და ჟესტით გამოხატავდა ხოლმე და ერთსაც და მეორესაც მუდამ ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა. ვერ გაიგებდი, თანახმა იყო თუ წინააღმდეგი. პროკოფი ჩილაჩავად გამეცნო და მხოლოდ ერთხელ ჩაგვერია საუბარში როცა საიდანღაც მოისმა:

– ხალხებს თავისუფლება სწყურიათ. რუსეთის იმპერია საპყრობილეა. ციხე შიგნიდან უნდა აფეთქდეს!

დათამაც გაიგონა ეს წამოძახება და გვითხრა:

– ეგერ, იმ კაცს შეხედეთ.

გასასვლელში, ჩვენს საწოლ მერხებთან, ერთი ვეება, დონდროხა კაცი იდგა. ტანსაცმელი თავის ზომაზე გაცილებით პატარა, ტანზე შემოტმასნილი ეცვა, შარვლის ტოტები და ხალათის სახელოები ერთობ მოკლე ჰქონდა. ბარძაყზე უხეიროდ გაკერილი ნარღვევი ეტყობოდა, შიგნიდან მოძალებული სისქის ნარღვევი.

– მაგ დღეშია გლეხობა, რობერტ–ბიძიკო. თვითონ – გაიზარდა, მადა და მოთხოვნილება მოემატა, მარა უფლებები, სარჩო და საბადებელი, წინათ რომ ქონდა, იმდენი აქვს ისევ. თავისუფლებაო, რომ ეუბნებიან – გლეხი თავისუფლებაში მიწას გულისხმობს. რევოლუცია და გადატრიალება მისთვის საწებელი და მისაჭმელია, არაფერი სხვა. ახლა, საქმე ის არის, ეგერ იმ კაცს მისი ზომის შარვალ–ხალათი რომ მიცეს ვინმემ, როგორც კაცი და როგორც ადამიანი უკეთესი თუ გახდება იმით? ესაა საკითხავი. დავწვავდი მეც იმ ქაიხოსრო წულუკიძის სახლ–კარს, ვიცოდე ოღონდ, რომ უკეთესი გახდება ვინმე ამით.

ზესტაფონს რომ გავცდით, ღამის სამი საათი იყო. დავწექით და დავიძინეთ. ჭაჭის არაყი გვქონდა ნასვამი. გვიან გამოვიღვიძეთ. მატარებელი, თურმე! დიდი დაგვიანებით მიდიოდა. ძლივსღა მოვასწარით პირის დაბანა, რომ თბილისის სადგურში ამოვყავით თავი. შემადგენლობა გაჩერდა და ჯარისკაცების მჭიდრო ალყაში აღმოჩნდა. გადაცმული თუ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები ჩამოსულებს აჩერებდნენ, საბუთებს თხოვდნენ. ზოგს უშვებდნენ, საეჭვოდ მიჩნეულებi განზე გაჰყავდათ, ჯგუფად აგროვებდნენ.

დათა თუთაშხიას თავისი კაცი დაუხვდა – უმცროსი ძმა, მე ჩემი – შემცვლელი აგენტი. ურთიერთობები უმალ გავარკვიეთ. ვინიცობაა დათა თუთაშხია ძმას არ წაჰყვებოდა და საითმე დაადებდა თავს, ისევ მე უნდა გავყოლოდი, როგორც ნაცნობი. თუ თავიდან მომიშორებდა, მაშინ მესამე აგენტი გააგრძელებდა თვალთვალს, იქვე იყო, ხალხში გარეული. მაგრამ ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ იმ ამბავის არც ერთ მონაწილეს აღარ აღმოგვაჩნდა არჩევანი.

დათა თუთაშხია და მე ვაგონიდან ერთად ჩამოვხტით. შემცვლელი აგენტი იქვე მომეგება, შინაურული გამარჯვება მითხრა, კალათი და ტომსიკა გამომართვა. ის იყო, დათა თუთაშხია და აგენტი ერთმანეთს გავაცანი, – ეს ჩემი თანამგზავრი და ეს ჩემი ბიძა–მეთქი, ვთქვი და ამ დროს თუთაშხიას ძმაც მოვიდა. შუა ტანის გიმნაზისტი იყო, ალბათ, მერვეკლასელი. თუთაშხიამაც გაგვაცნო თავისი ძმა. დროა, დავიძრათ, ქალაქში გასასვლელისკენ გავწიოთ. თუთაშხია კი დგას, იქაურობას ძალიან გულდასმით ათვალიერებს,

– რა ხდება, ნეტავი, აქ? – იკითხა მან.

– ძაღლები თარეშობენ, – თქვა ჩემმა “ბიძამ”.

– ყველგან ასეა, დიდი არეულობაა ქალაქში, – დაადასტურა “ბიძაჩემის” ნათქვამი თუთაშხიას უმცროსმა ძმამ. – მომეცი მაგ ფუთა, მე წამოვიღებ, – იმ რაღაც გახვეულზე უთხრა, თუთაშხიას რომ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი.

– იყოს აქ, – მიუგო დათა თუთაშხიამ. – ძალიან საინტერესოა აქაურობა, – დააყოლა და სწორედ ამ დროს ორი აყლაყუდა პოლიციელი მოგვადგა.

– მოგვყევით! – გვიბრძანა ერთ–ერთმა და სრული დარწმუნებული იმაSი, რომ მის წინადადებას ულაპარაკოდ შევასრულებდით, ზურგიც კი იბრუნა.

“ბიძაჩემი” აყაყანდა, – რა გინდათ, რა დაგიშავეთო. პოლიციელები თავისაზე დადგნენ, ხელების გადაგრეხვა და ძალით წაყვანა დაუპირეს.

“ბიძაჩემს” თუთაშხიას ძმა გამოექომაგა, შუაში ჩაუვარდა. ამაზე ჯარისკაცები მოცვივდნენ. დათა თუთაშხიას ნიდაყვზე ხელი მოვუცაცუნე და თვალებით ვანიშნე, – თავი გავარდიოთ–მეთქი. იმწამსვე დამყვა. ზურგი ვიბრუნეთ, მოპირდაპირე მხარეს წავედით. შემადგენლობას ალყა ერტყა, უკვე ვთქვი, გასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არც ვაციე, არც ვაცხელე – დაცლილ ვაგონში ავედი და დათა თუთაშხიაც ამომყვა.

ერთობ საინტერესო ვითარება ჩამოყალიბდა. მე და “ბიძაჩემი” ინსტრუქტაჟის თანახმად ვმოქმედებდით და ჩვენი საქციელი სავსებით გამართლებული იყო. თუთაშხიას უმცროსი ძმა ინსტინქტურად, უნებლიეთ ჩაერია საქმეში. თვით თუთაშხიამ, ბუნებრივია, თავის გარიდება არჩია, მაგრამ როცა უმცროსი ძმა უფროსს ესარჩლება – უფროსიც ხომ უნდა გამოსარჩლებოდა უმცროსს, მით უმეტეს, რომ ხელებგადაგრეხილი ჩვენს თვალწინ წაათრიეს ჯარისკაცებმა! ამ მიგნებამ რაღაც ეჭვი შემომიჩინა. მართალია, მაშინვე გავიფიქრე, – ამ კაცს რომ პოლიციასთან ნორმალური ურთიერთობები ჰქონდეს, მაშინ არც

თვალთვალს დაუნიშნავდნენ და რა გასაკვირია, რომ ასე მოიქცა–მეთქი, მაგრამ ის დაეჭვება ვერც ამ მოსაზრებამ მომაშორა.

– რას უზამენ ახლა მაგათ? – თუთაშხია დაკავებულებს გულისხმობდა.

– ეგენი ვიღაცას ეძებენ, შეიძლება, რამდენიმე კაცსაც, – მივუგე მე. – საეჭვოებს და ვინც წინააღმდეგობა გაუწია, პოლიციაში წაიყვანენ. ქალაქში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული – ზოგიერთი, შეიძლება, გაასამართლონ კიდეც.

დათა თუთაშხიამ გაიცინა:

– ბიძაშენს და ჩემ ძმას ვერაფერს დააკლებენ მაგენი, ასე მგონია მე. აგერ გამოჩნდება.

ფანჯარაში ვიჭვრიტებოდით. ანაზდად თავით ფეხამდე ჟრუანტელმა დამიარა. სულ ადვილად შეიძლებოდა, რომ ჩვენი საიდუმლოება გამჟღავნებულიყო და ასეც მოხდა. დაკავებულთა ალყაშემორტყმული ჯგუფიდან ჯარისკაცებს ორ–ორი კაცი გამოჰყავდათ, ჩხრეკდნენ, საბუთებს უსინჯავდნენ. შემდეგ უმრავლესობას უშვებდნენ და სხვები კი განზე გაჰყავდათ, სხვა დატოვებულებთან ერთად პირდაპირ ქვაფენილზე სხამდნენ. ჩვენი მესამე აგენტი შორიახლო ტრიალებდა. მივხვდი, ჩვენ გვეძებდა. იმ დავიდარაბაში როგორღაც გამორჩენოდა, რომ ვაგონს შევაფარეთ თავი. ამ მხრივ სადარდებელი არაფერი უნდა ჰქონოდა, რადგან ასე იყო თუ ისე, თვალთვალის პირთან, ანუ დათა თუთაშხიასთან ერთად ხომ აგენტიც გაქრა – მე, მაგრამ, ალბათ, ჩვენი ასავალ–დასავალი მაინც აინტერესებდა და წარამარა აქეთ–იქით აცეცებდა თვალებს. ამასთან, მას მეორე საზრუნავიც ჰქონდა: “ბიძაჩემი” და დათა თუთაშხიას ძმა მახეში იყვნენ გაბმული, მათი გამოხსნა იყო საჭირო. მოქმედების პირველი საფეხური მან სწორად ჩაატარა – იდგა და ელოდა, თუ რას იზამდნენ პოლიციელები. ხომ შეიძლებოდა, ორივენი გაეშვათ? მაშინ ოპერაციის წამყვან ოფიცერთან მისვლა, ვინაობის გამხელა და, ამდენად, კონსპირაციის წესების დარღვევაც აღარ დასჭირდებოდა. კაცმა რომ თქვას, აგენტმა თავისი მოქმედების მეორე საფეხურიც სწორად ჩაატარა, მაგრამ რა იცოდა, რომ დათა თუთაშხია ყველაფერს დაინახავდა.

ჯარისკაცებმა «ბიძაჩემი» და თუთაშხიას ძმა ერთად გამოიყვანეს, უმალ იცნეს – ესენი იყვნენ, წინააღმდეგობა რომ გაგვიწიესო. ხელები მიუსვ–მოუსვეს, იარაღი არ აღმოაჩნდათ და მაინც კონდახების ცემით შეაგდეს გადარჩეულ–დატოვებულთა ჯგუფში. მესამე აგენტმა კიდევ ცოტა ხანს მოიცადა, ოპერაციის წამყვან ოფიცერთან მივიდა, საბუთი აჩვენა და ლაპარაკი დაუწყო – ცხადია, მდგომარეობა აუხსნა. შემდეგ ოფიცერმა “ბიძაჩემი” გამოიყვანა, საბუთი გაუსინჯა. ილაპარაკეს და დათა თუთაშხიას ძმასაც დაუძახეს. ოფიცერმა რაღაც ჰკითხა, ბიძამ უპასუხა და სამთავენი ერთად წავიდნენ ქალაქში გასასვლელისკენ.

დათა თუთაშხიამ ხმამაღლა გაიცინა, რაღაცნაირად თვალი თვალში გამიყარა. მე იხტიბარი არ გავიტეხე და ვთქვი:

– ის კაცი, ალბათ ბიძაჩემის ნაცნობი იყო!

– კი, მასეა! – დამიდასტურა დათა თუთაშხიამ.

პირისპირ ვისხედით, ფანჯარაში ვიჭვრიტებოდით, იმ ალიაქოთის დამთავრებას ველოდით. მე ჩემსას ვფიქრობდი, ის – თავისას და ორთავე, დაახლოებით, ერთსა და იმავეზე. ჩემი საფიქრალი ის იყო, რომ გარემოებამ მამხილა, მაგრამ ეს არასგზით არ უნდა დამედასტურებინა, თუ კიდეც შეეცდებოდა დათა თუთაშხია ამას. იმაზეც ვფიქრობდი, რომ პოლიცია საცაა თავის დავიდარაბას მორჩებოდა და მაშინ როგორღა მოვქცეულიყავი? დავხსნოდი? ამის უფლება არ მქონდა. სიმართლე მეთქვა და თუთაშხიასთან ვყოფილიყავი, სანამ სადმე მივიდოდა? სიმართლის თქმის უფლება არ მქონდა. რაც იქ მაშინ მამაჩემს ჩემი ლანძღვა–გინება ერგო! ჟანდარმერიის მხილებულ აგენტს დათა თუთაშხიას შიში უნდა მწვევოდა. საკვირველია, მაგრამ ამდაგვარს არაფერს ვგრძნობდი. საიდანღაც ვიცოდი, რომ ეს კაცი არაფერს დამიშავებდა. ახლა ის ფიქრი შემიჩნდა – დათა თუთაშხია რას ფიქრობს, როგორ მოიქცევა–მეთქი, და ამ დროს ჩვენი შემადგენლობა დაძრეს, მალაკნების ბაზრისკენ წააჩანჩალეს. გარემოცვა უკვე იხსნებოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო, რომ ჯარისკაცებს გავცდით.

ჩვენი ვაგონი მაზუთის შესახვევს გაუსწორდა და შემადგენლობა დადგა. იქაურობა მოვათვალიერეთ, საეჭვო და მოსარიდალი არაფერი ჩანდა. ჩამოვხტით.

– ეხლა როგორა ვქნათ, პროკოფ–ბიძია?.. – ვკითხე და როდესაც ჩემმა თანამგზავრმა შეკითხვის თვალით შემომხედა! დავძინე: – გზა საითა გაქვთ, თვითონ გააგნებთ, თუ წამოგყვეთ?

დათა თუთაშხიამ საათი ამოიღო, დახედა. შეინახა, დაფიქრდა, ისევ შემომხედა და მითხრა:

– ქალაქში მინდა გავლა, უნდა ვნახო, რა ხდება და რა როგორ არის აქ. თუ გეჩქარება, წადი, ბიძიკო, შენ. გავაგნებ თვითონ.

– არსაით არ მეჩქარება.

– აბა, თუ არ გეჩქარება, ვიყოთ ერთად პატარა ხანს. ისე ვხედავ საქმეს, რომ ვჭირდებით ერთმანეთს. ხომ ასეა? – ეშმაკური ღიმილით მითხრა დათა თუთაშხიამ და უკვე სრულიად ცხადი გახდა, რომ ჩემი კონსპირაცია სავსებით და უიმედოდ ჩაიფუშა.

– აგერ, იმ კედელზე რომ გადავძვრეთ, უკვე ქალაქში ვიქნებით, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, – ვთქვი მე.

– გადავძვრეთ, მაშინ.

იქვე გადახტომა არ ივარგებდა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჩერქეზიშვილის ქუჩისა და მაზუთის შესახვევის კუთხეში კაზაკები ან პოლიციის პატრული მდგარიყო და მაშინვე გვტაცებდნენ ხელს. ცოტა ზემოთ, ჩუღურეთისკენ, სახლებსა და კედელს შორის ვიწრო, გრძელი გასავალი მეგულებოდა, ის გასავალი კედელს იქით წამომდგარი სახლების ეზოებიც იყო. იქ მივედით.

– აქ გადავძვრეთ პროკოფი–ბატონო, მოფარებულია, – მივთავაზე.

– აქ იყოს, – დამეთანხმა დათა თუთაშხია მიაყურა და თქვა: – რაღაც ამბავია კედელს იქით!

მეც მივაყურე.

მართლაც, ჩუმი, ხმადაბალი ჟრიამული ისმოდა.

კაი ორმოცი წლისა იქნებოდა დათა თუთაშხია მაშინ, მაგრამ ისე სხარტად ავიდა გალავანზე, რომ შემშურდა. ავიდა, გადაიხედა. ერთხანს ათვალიერა იქაურობა. მერე ხელი ჩამომაწოდა და მეც ამიყვანა. ასამდე კაცი იყო მოქუჩებული. ჯგუფებად იდგნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ. ჩერქეზიშვილის ქუჩიდან ახალ–ახალი ხალხი შემოდიოდა. აგრაგნილი ტრანსპარანტები ჰქონდათ, ზოგს კედელზე მიეყუდებინა, ზოგს იღლიაში ამოეჩარა.

გალავანზე ჩამოვსხედით. ძირს, ცოტა მარცხნივ, რამდენიმე კაცი იდგა. ერთმა მათგანმა – ქერა იყო, ოცდაათისა იქნებოდა, – ჯიბის საათი ამოიღო, დახედა, თავი გადაიქნია და თქვა, – ხალხს ვთხოვოთ, ახლო მოვიდნენო. სხვები იმავ წამს ხალხში გაერივნენ, – აქეთ წამოდითო. მოგროვდნენ. ქერამ დაბალი ხმით აცნობა, რომ გოლოვინის პროსპექტზე სობოროში თავს იყრიდნენ შავრაზმელები, ძირითადად, “მიხეილ მთავარანგელოზლები”. ისინი თორმეტ საათზე უნდა გამოსულიყვნენ და მანიფესტაცია მოეწყოთ. წინ სამღვდელოება გამოუძღვებოდა. პოლიციისა და მონარქისტების ჩანაფიქრით, ეს უნდა ყოფილიყო თბილისისა და მთელი კავკასიის მოსახლეობის სოლიდარობის გამოხატვა მეფის რეჟიმის მიმართ.

– ასე ძალიან თუ უყვართ მეფე და მისი სატრაპები, – დაიძახა ვიღაცამ, – იყოლიონ, ვინ უშლის, მარა ჩვენ, დაგვანებონ თავი, ჩვენ და ნამეტანი კარგად მოეწყვება საქმე...

– გაჩერდი მანდ, დაანებე სისულელეების ლაპარაკს თავი! – შეუძახეს აქეთ–იქიდან.

– სისულელე კი არა, პროვოკაციაა, რუსეთის მუშათა კლასს ემიჯნება. ეგ ლოზუნგია, გამთიშველი ლოზუნგი!

– ყურადღება, ამხანაგებო, განვაგრძობ!.. – დაიძახა ქერამ და ხალხს აცნობა, რომ ნამალადევის, ისნის, ნავთლუღის, ორთაჭალის, დიდუბის, მთაწმინდის – მთელი თბილისის – მუშათა კლასისა და რევოლუციურად განწყობილი სხვა ფენების წარმომადგენლებს ალექსანდრეს ბაღში უნდა მოეყარათ თავი.

– გაგვიშვებენ, ვითომ?

– კი, ეტლით მიგიყვანენ ეტლით!

– გავარღვევთ და გავალთ!

– ალექსანდრეს ბაღსაც ალყას შემოარტყამენ.

– შემოარტყან, შემოარტყან!..

– ყურადღება, ამხანაგებო, დრო ცოტაღაა, განვაგრძობ, – ისევ ძლივს დააწყნარა ხალხი ორატორმა. – ჩვენ ყველა ერთად გავალთ ალექსანდრეს ბაღიდან დემონსტრაციით და კიდევ ერთხელ დავანახვებთ თვითმპყრობელობას რომ მისი აღსასრული დადგა! ცხადია, შავრაზმელები პოლიციისა და ჯარის დახმარებით გაფანტვას დაგვიპირებენ. ცარიზმს და მის დასაყრდენს – რელიგიის ბანგით გაბრუებულ, არყით გამოლეშილ მკვლელებს უნდა ვაჩვენოთ, რომ რუსეთის იმპერიის რევოლუციური მუშათა კლასი, გლეხობა, ყველა ჩაგრული ერი მჭიდროდ არის დარაზმული და მისი დამარცხება შეუძლებელია! ამხანაგებო, რევოლუციამ მტკიცედ იცის, რაც სურს, და ჩვენ უნდა გავიტანოთ ჩაგრული მასების მისწრაფებათა მკაფიოდ გამომხატველი ლოზუნგები...

– ლოზუნგები ვნახოთ ლოზუნგები! – იყვირა ვიღაცამ.

– ლოზუნგებს რა ნახვა უნდა!

– უნდა, ბატონო უნდა! ზოგი ისეთი ლოზუნგია, რომ პირდაპირ სახრჩობელაზე გაგიყვანენ...

აი, აქ, რომ იტყვიან, აირია მონასტერიო, სწორედ ის მოხდა. უმრავლესობამ სიფრთხილის გრძნობა დაკარგა, კაზაკებსა და პოლიციაზე აღარავინ ფიქრობდა. ჯგუფებად დაიყვნენ, ერთმანეთს თავის შეხედულებებს ყვირილით უმტკიცებდნენ, ზოგმა გაწევ–გამოწევაც კი სცადა. ქერა ორატორი და კიდევ რამდენიმე კაცი ხალხს ამშვიდებდნენ, წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, სანამ ერთმა, უკვე კარგა მოხუცებულმა კაცმა, მოულოდნელი პაუზით არ ისარგებლა:

– ამხანაგებო სად არის თქვენი რევოლუციური შეგნება! – დაიძახა მან რეაქციას აღარ დაელოდა და წინადადება შეიტანა: – ჩვენ კიდევ მთელი საათი გვაქვს. თუ აუცილებლად მიგაჩნიათ, მაშინ გამოვთქვათ აზრი, მაგრამ წესიერად და ორგანიზებულად. ხუთი ორატორი, რეგლამენტი – ხუთი წუთი თითოს. თანახმა ხართ?

– კარგია! – დაიძახეს აქეთ–იქიდან.

ქერა ორატორმა ქეჩო მოიფხანა, გაიღიმა თავი გააქიცი ა და თქვა:

– ერთი პირობით: ვლაპარაკობთ მხოლოდ იმაზე, თუ ვის რა ლოზუნგები მიგვაქვს. წყნარად, არავითარი ყვირილი და ხმამაღალი რეპლიკები. ვისა აქვს სიტყვა?

სანამ პირველი ორატორი აივნის კიბეზე ადგილს დაიკავებდა, დათა თუთაშხია სიცილით გადმომელაპარაკა:

– ერთმანეთს რომ ეჩხუბებიან ესენი, იმდენი ჩხუბი ხელმწიფეს და მის წყობილებას რომ უქნან, ჩვენში კი არა და, დედამიწაზე არ დარჩეს, იქნება, მეფეების სახსენებელი...

– ჩვენ მოვიტანეთ, ამხანაგებო, ტრანსპარანტი: “პური მიწა და რვასაათიანი სამუშაო დღე!” – განაცხადა “ტრიბუნაზე” გასულმა.

– კი! გაშლი თუ არა მაგ ტრანსპარატს, იმ წუთში მოგართმევენ შემწვარ–მოხრაკულს!

– ვეღარ მოიშალეს ამათ პურ–მარილის მათხოვრობა!

– ხმელა პური რაღა სათხოვნელია, შე კაი კაცო! ღვინოც მიაწერეთ, ბარემა. რვასაათიანი სამუშაო დღის შემდეგ ბლომად დრო დაგრჩებათ ჭამეთ, დალიეთ და წამოწექით მეფისგან ნაბოძებ მიწაზედა!

ის მოხუცებული კაცი, რომელმაც აზრის გამოთქმის წინადადება წამოაყენა, ახლა ორატორს გვერდში ამოუდგა, ხელი ასწია, სმენა იყოსო და თქვა:

– აქ სასაცილო არაფერია! პური განაგებს ქვეყნიერებას!

მაგრამ უმალ შეაწყვეტინეს:

– ამხანაგო, ეგ რევოლუციის პირველ საფეხურზე, საწყის პოზიციებზე დაბრუნებას ნიშნავს!

– რევოლუცია უნდა გაღრმავდეს განვითარდეს!

– სთხოვონ კაცო! ეგება აძლევს პურსა მეფეი, რა იცით თქვენა?

– მეფეს უნდა გამოვგლიჯოთ უფლებამოსილი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც, მშრომელი მასების შხარდაჭერით, რუსეთში დემოკრატიულ წყობილებას დაამყარებს. “გაუმარჯოს სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!” – აი, ჩვენი ლოზუნგი. – დაიყვირა ერთმა, უზომოდ მძლავრი იოგების პატრონმა.

– ფეოდალური მონარქიის ხახას ბურჟუაზიული დემოკრატიის სტომაქზე სცვლით? – ხმამაღლა იკითხა “პურის, მიწისა და რვასაათიანი სამუშაო დღის” ლოზუნგით გამოსულმა.

– შენ გაჩერდი თუ ძმა ხარ! თქვენი ადგილი ხიდის ყურშია და არა ბარიკადებზე. ჩამოჯექით და იმათხოვრეთ! – შეუძახეს საიდანღაც.

– რეგლამენტი რეგლამენტი! – გაისმა ხალხში. კიბეზე მესამე ორატორი ავიდა და განაცხადა:

– “თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლება!” – ეს არის ჩეენი ლოზუნგი, ამით მივდივართ გოლოვინის პროსპექტზე!

– ჩვენი ეკონომიკური ჩამორჩენილობის პირობებში ეროვნული დამოუკიდებლობა?! – შეედავა მძლავრი იოგების პატრონი, რომელმაც “სრულიად რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის” შექმნა მოითხოვა. – ჩვენ საკუთარი ბურჟუაზიაც კი არ გვყავს, არამცთუ დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი, კარგად განვითარებული ეკონომიკა!

– კმარა, კმარა!

– რეგლამენტი!

– ვისა გაქვთ კიდევ ლოზუნგები?! – გამოაცხადა ქერამ.

მთელი ამ მიტინგისა თუ შეკრების მანძილზე – უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენი კედელზე შემოსკუპებიდან მოყოლებული – შუაში, მაგრამ განცალკევებულად იდგა რვა, ათკაციანი ჯგუფი. იდგა და ჩუმად იყო, გულდასმით ადევნებდა თვალს ყველასა და ყველაფერს. როცა ქერამ "ტრიბუნა" დაცალა და გამოაცხადა, – კიდევ ვის რა გაქვთ სათქმელიო, ამ ჯგუფს ერთი კაცი გამოეყო, კიბეზე გავიდა და დინჯად თქვა:

– "საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება!" "გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!" "ყველა – ბარიკადებზე!" მხოლოდ ამ ლოზუნგებს შეუძლია მოუტანოს გამარჯვება ჩაგრულ ხალხებსა და ექსპლოატირებულ კლასებს! მე დავამთავრე.

– ლოზუნგები სწორია, მაგრამ რუსეთი ჯერ არ არის მზად საყოველთაო და ერთდროული მოქმედებისთვის. პროლეტარიატისა და სხვა რევოლუციური კლასების ცალკეული რაზმების შეუთანხმებელ გამოსვლებს მეფის სატრაპები ადვილად ახშობენ. თქვენ, ამხანაგებო, ფაქტიურად უაზრო, გაუმართლებელი სისხლის ღვრისკენ მოუწოდებთ მასებს!..

– დღეს დაღვრილი სისხლი მომავალ ბრძოლებში გამარჯვების საწინდარია!

– სამართლიანი საქმისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვი დაღვრილი სისხლი უქმად არასოდეს ჩაივლის!

– მაგ იმედით იყავით.

– ვერ გამიგია, მშვიდობიან დემონსტრაციაზე მივდივართ, თუ სასაკლაოზე?!

– ასე ხელცარიელი და ლოზუნგების ამარა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება ვინ თქვა და სად გაგიგონიათ, ნეტავი!

– ჩირგვებში გარბიხართ რენეგატებო?!

– ვინ არის რენეგატი?.. თქვენ პროვოკაციაზე უბიძგებთ ხალხს!

ისეთი ყაყანი ატყდა, რომ ერთმანეთისა აღარავის აღარაფერი ესმოდა და დაძაბულობამ იმ დონეს მიაღწია, როცა გამშველებელს ყველა მოდავე მხარე თავის მოსისხლე მტრად თვლის. დათა თუთაშხია ჩემკენ გადმოიხარა, ყურში ჩამძახა:

– კაცო, მე ვიცი მათი ლოზუნგები ყველასი ზეპირად და ამათ ერთმანეთის არ იციან, ნეტავი?.. ახლა, რა აჩხუბებთ, თუ იცი? იმდენი მაგარი ამათში არც ერთი არ არის, ჯერჯერობით, სხვებს რომ გაუძღვეს. ერკემალი არ ყავთ. ერკემალი ყველაფერშია საჭირო. ისე, კარგია ეს. იჩხუბებენ, დაჭამენ ერთმანეთს, ამ ჭიდაობაში გაძლიერდება, ვიღაცა იქნება და როცა იქნება, და მაშინ უკეთ წავა მათი საქმე!

– ჩვენ ვტოვებთ აქაურობას! – გამოაცხადა მძლავრი იოგების პატრონმა, ჩერქე იშვილის ქუჩისკენ გასწია და ათი, თორმეტი კაცი მიჰყვა.

– ნუ დავაკავებთ, წავიდნენ!

– ვენც მივდივართ, ამხანაგებო, მომყევით! – დაიძახა მოხუცმაც, ვინც აზრის გამოთქმის წინადადება შემოიტანა და პირველი ორატორის გამოსარჩლებისას თქვა: "პური განაგებს ქვეყნიერებასო".

მოხუცსაც ოცამდე კაცი გაჰყვა.

სწორედ ამ აყალმაყალსა და ღრიალში სრულიად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: რკინიგზის ლიანდაგების მხრიდან დათა თუთაშხიას ისე მაგრად გადაუჭირეს ზურგზე მათრახი, რომ შეჰყვირა კიდეც, შეჰყვირებდა, მაშ, რას იზამდა, მარტო ტყლაშანი ღირდა ერთ რამედ! მეორედაც შემოუქნიეს მაგრამ ჩაასწრო, ძირს ჩახტა. მიხედვაღა მოვასწარი, ოთხი ცხენოსანი კაცი დავინახე და თუთაშხიას მივბაძე. ის იყო, მიწას ფეხი დავაკარე, ჩერქეზიშვილის ქუჩის მხრიდან სტვენა მოისმა, დაიძახეს – კაზაკებიო! ჯგუფები რომლებმაც მიტინგი დატოვეს, უკვე ქუჩას იყვნენ მიტანებული, რომ ისევ პირი იბრუნეს, უკანვე გამოიქცნენ. კიდევ რამდენიმე წამის შემდეგ მაზუთის შესახვევშიც შემოცვივდნენ კაზაკები – ხუთი მხედარი, და მათრახები აამოქმედეს. მერე რაც მოხდა, უფრო დაწვრილებით აღწერის ღირსია.

მაზუთის შესახვევს, თბილისელი კაცი ხართ და მოგეხსენებათ, შესახვევი ჰქვია და ნამდვილად კი ჩიხია – რკინიგზის ლიანდაგების მაღალ კედელთან წყდება. კაზაკებმა ჩერქეზიშვილის ქუჩიდან შესახვევში რომ შემოაჭენეს და წასასვლელად გამზადებული ჯგუფები წინ გამოირეკეს, სადემონსტრაციოდ მოსული ხალხი ცნობისმოყვარეობითა თუ წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, ეზოდან შესახვევში გამოცვივდა, მაგრამ ცხენების მოწოლის შედეგად სხვებთან ერთად კედელს მიაწყდა. ზოგი კედელზეც გავიდა, მაგრამ ლიანდაგებზეც რომ კაზაკები დაინახეს, ჩემი და დათა თუთაშხიასი არ იყოს, ისევ ძირს ჩამოხტნენ. კაზაკების რკალის გარღვევასა და ჩერქეზიშვილის ქუჩისკენ გასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან იქიდან, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონის სახით ქვეითი პოლიციელები მოიწევდნენ. ერთი თუ ორი წუთის მანძილზე ძლიერ მძიმე და, თითქოს, გამოუვალი ვითარება იყო. კედელზე მირეკილ–მიქუჩებული ხალხის თავ–პირსა, მხრებსა და ზურგებზე კაზაკების მათრახებს გაუდიოდა ტყლაშატყლუში. მე და დათა თუთაშხიასაც კარგებისა გვერგო, იმდენად კარგებისა, რომ დათა თუთაშხიას ტკივილისგან სახეც კი გადაებრიცა და იღლიაში ამოდებულ ფუთაზე იტაცა ხელი. რა დროის ფიქრი, თვალყური და მოსაზრება იყო, მაგრამ მაინც მენიშნა და ადრე აღებული ეჭვიც დამიდასტურდა, რომ ფუთაში იარაღი ჰქონდა. არ უხმარია. ჩვენი მხრიდან ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, კაზაკები კურდღლებივით ამოგვჟუჟავდნენ. ასე იყო თუ ისე, იმ უმძიმესი ერთი თუ ორი წუთის შემდეგ მოხდა ის, რაც გადაულახავი ჯებირით დაგუბებულ ღვარცოფს ემართება – სადღაც სხვაგან, განზე გაარღვევს დაბრკოლებას, ახალ კალაპოტს გაიკვალავს და გავა. ზემოთაც ვთქვი, რკინიგზის გალავანსა და სახლებს შორის ვიწრო გასავალი იყო

მეთქი – იგივე ერთიმეორეზე მიყოლებული ვიწრო ეზოები – რომელთაგან უახლოესში კაზაკების გამოჩენამდე დემონსტრაციაზე მიმავალი ხალხის ბჭობა–კამათი მიმდინარეობდა. როგორღაც მოხერხდა, ხალხი ისევ იმ გასავალს მიაწყდა, განაპირა კაზაკსა და მის ცხენს გვერდი აუქცია, ეზოში გაიჭრა და ერთ მთლიან ნაკადად, ძუნძულით, შემობრუნებებით, ქვების სროლით გაემართა ჩუღურეთისკენ. ჩვენც იქ აღმოვჩნდით, ნაკადის, დაახლოებით, ბოლო რიგებში. ჩვენც სხვებთან ერთად

მივძუნძულებდით და მეც სხვებივით ვესროდი კაზაკებს დიდი გაჭირვებით ნაპოვნ ქვებს. ის ჯგუფები, ვინც დემონსტრაციაზე უარი თქვა და წასვლა დააპირა, ახლა ნაკადის თავში გარბოდნენ. მიაწიეს თუ არა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გამსვლელ პირველსავე ჩასახვევს, იქით წასვლა დააპირეს, მაგრამ ქუჩა ჯარისკაცებს შეეკრათ და ისევ პირდაპირ გაქცევა ამჯობინეს – სხვა გზა არც იყო, კვლავინდებურად რკინიგზის გალავანს მიჰყვნენ. ნაკადს ბოლოდან ის ჯგუფი ჰკრავდა, რომელმაც საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისა და ბარიკადებზე გასვლის ლოზუნგები წამოაყენა და, სიმართლეს ვიტყვი, უიარაღო, ხელცარიელი ხალხის კვალობაზე საკმაოდ ყოჩაღადაც ირჯებოდნენ. ისინი რომ არა, კაზაკები ცხენის ჩლიქით ჩაგვთელავდნენ. ერთი სიტყვით, გავრბივართ და, როგორღაც იყო, დათა თუთაშხიას მხარდამხარ აღმოვჩნდი. მიძუნძულებდა, სიცილს ძლივს იკავებდა დამინახა და მითხრა:

– კარგად გავრბივართ, რობერტ–ბიძიკო, ძალიან კარგად, არა, როგორი აყოლიება ცოდნია ამ საქმეს, თუ უყურებ შენ?!

– რომ აღარც გვეშვებიან, მამაძაღლები! – ვთქვი მე – როდემდის უნდა გვდიონ?!

– ურია წყალს მიქონდა – გზაც იქით ქონდაო, ნათქვამია, – ისევ სიცილით გადმომძახა დათა თუთაშხიამ. – თუ გავუძელით და ათი წუთი ასე ვირბინეთ კიდევ, ალექსანდრეს ბაღში ამოვყოფთ თავს.

მართლაც რაღაცნაირად გამოდიოდა: რაც მეტს მივრბოდით, მით უფრო ვუახლოვდებოდით ადგილს, საითაც დემონსტრანტებს ბრძოლითა და დიდი დანაკარგებით უნდა ევლოთ. ჯარისკაცებსა და პოლიციას ყველა გზა შეკრული ჰქონდა, გარდა იმ ქუჩისა, რომელსაც ვორონცოვის მოედნისკენ, ანუ ალექსანდრეს ბაღისკენ მივყავდით.

გალავანი ჩათავდა, რკინიგზის მხრიდან მოიერიშე კაზაკებმა თავი მოიკლეს – მარცხნივ, სვანეთის უბნისკენ არავინ აუშვეს. მოგვდევდნენ და მათრახებითა გვცემდნენ. ზემო ჩუღურეთამდე სულ ამ დღეში ვიყავით. იქ ვორონცოვის მოედნისკენ დაქანებული ერთი ქუჩა შეუკრავი აღმოჩნდა. მეწინავეებმა ჩაუხვიეს, უკანა ხალხიც მივყევით და, აკი მექოთნეების ქუჩაზე ამოვყავით თავი. კაზაკები ძველებურადვე გვაწვებოდნენ. კონკის ლიანდაგი გადავჭერით, ვორონცოვის მოედანი ქარივით გადავიქროლეთ, ხიდიც გადავიარეთ და მადათოვის კუნძულზე არიერგარდმა დაიძახა, – დადგნენ, აღარ მოგვდევენო!

მივიხედე. კაზაკები ხიდის გაღმა იდგნენ, გამოგვცქეროდნენ. ალექსანდრეს ბაღს გავხედე, ზღვა ხალხი იყო წითელი დროშებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით. ჩანს, კაზაკებმა ის რამდენიმე ათასკაციანი მასა დაინახეს და შედრკნენ. არც არავის ბრძანება გაუცია, არც ვისმე ხმა დაუძრავს, გაშალა ჩვენმა ხალხმა თავისი ტრანსპარანტები – პურიდან მოყოღიებული – ბარიკადებზე გასვლის მოწოდებით გათავებული, ყველა – და, მაზუთის შესახვევიდან კისრისტეხით და მათრახების ცემით მორეკილები – ზუსტად დანიშნულ დროს ალექსანდრეს ბაღში თავმოყრილ ხალხს შეერივნენ.

დათა თუთაშხია და მე აფთიაქის წინ ვიდექით, სულს ვითქვამდით. ახლომახლო პოლიციისა და კაზაკების ჭაჭანება არსად იყო. სადემონსტრაციოდ მოსულმა ხალხმა

ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილისკენ აიწია და ქუჩა ისეთი მშვიდი იყო, როგორც ადრიან დილით, მეეზოვეების გამოსვლამდე.

– წავიდეთ და ვნახოთ ჩვენც, რა მოხდება ზევით, ჰა? – თქვა დათა თუთაშხიამ – გოლოვინის პროსპექტზე ავიდეთ!

ძალიან ნელა მივდიოდით. რამდენჯერმე ავუჩქარე ნაბიჯს, მაგრამ ისევ ვუკელი, რადგან დათა თუთაშხია სიარულის ნელ ტემპს რაღაც ხაზგასმით მთავაზობდა და სიდინჯეზე მიყოლიებდა. მე ისევ ძუნძულისა და კაზაკების ცხენების თქარათქურით ვიყავი შეპყრობილი, ის ტემპი ჯერაც არ გამომნელებოდა და ბარიატინსკის დაცარიელებული, უხალისო, ჩამკვდარი ქუჩა გულზე ლოდივით მაწვებოდა. დათა თუთაშხია ფეხს ითრევდა. მე ერთი სული მქონდა, მენახა, ზევით რა მოხდებოდა და ვთქვი:

– ჩქარა ვიაროთ, პროკოფი–ბატონო.

– არ უნდა ვიაროთ ჩქარა.

– რატომ?..

– რატომ და, ყველა რომ ჩქარობს და ჩოჩქოლია შენს გარშემო, თუ აყევი შენც, ვერ გაიგებ, რა ხდება. ცხენზე რომ ზიხარ და მიაჭენებ, ცხენის ყურებს ხედავ მხოლოდ. რომ ჩამოხვალ, მაშინ ყველაფერს ხედავ ცხენისას, ხომ ასეა?

– ეგრეა. – დავადასტურე და ოციოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ მართლაც სიმშვიდე ვიგრძენი. აზრი ისევ იმას დაუბრუნდა, თუ როგორ მოგვიყვანა პოლიციამ ალექსანდრეს ბაღში და გაოცებითა ვთქვი:

– ეს რა საკვირველი რამე მოხდა! არა, საიდან გამოიცანი, პროკოფი–ბატონო, ალექსანდრეს ბაღში ამოგვაყოფინებენ თავსაო?!

– არ გამომიცნია, სამასხროდ ვთქვი, მაგრამ ისე გამოვიდა სწორედ და ამაზე არის, რომ ვფიქრობ ახლა.

– მგონი რომ განზრახ მოგერეკეს! რაღაც დიდი მუხანათობა აქვთ მომზადებული, ჰა? – მართლა ასეთი აზრისა ვიყავი.

დათა თუთაშხიამ იყუჩა და თქვა:

– არ ჰგავს განზრახ გაკეთებულს... ან რა მნიშვნელობა აქვს, რობერტ–ბიძიკო, მაგას. იმ ზომამდეა დამპალი ეს ქვეყანა, რომ რასაც იღონებს, ყველაფერი მის წინააღმდეგ მოტრიალდეს უნდა. მითხარი, თუ კაცი ხარ, მეფისნაცვალი ხარ, ვითომ, და რას იზამდი აქ, ახლა... ამას ვგულისხმობ, აგერ–აგერ შეტაკება რომ არის მოსალოდნელი?

– ცხადია, რასაც იზამს მეფისნაცვალი. მიაშველებს პოლიციასა და ჯარს, დაარბევენ შავრაზმელები დემონსტრანტებს. დაჭრილიც ბლომად იქნება, მოკლულიც, დაპატიმრებული და გაციმბირებულიც...

– რა გამოვა საბოლოოდ მანდედან?

– რა ვიცი...

– მე გეტყვი, რაც გამოვა. ხალხი მეტ სიძულვილს ჩაიდებს გულში მთავრობისას, უფრო გაეშმაკდება და მომავალში უკეთესი ჭკუით მიუდგება თავის საქმეს. მეფე და მისი მთავრობა დარჩება წაგებული საბოლოოდ. ახლა, უკუღმა ვთქვათ და ხალხმა დაარბია შავრაზმელები და პოლიცია. გული მიეცემა ხალხს, ჩვენს ხელში ყოფილა გამარჯვების საქმეო. ხალხს თუ გული მიეცა, ძლევამოსილების რწმენა თუ გაუჩნდა, წინ ვეღარაფერი დაუდგება მერე. ამ შემთხვევაშიც მეფეა წაგებული. კაი, ბატონო. ახლა, მეფე ხარ, ვითომ, შენ, დაატყვე საქმეს, ძალით რომ ვერ ხდები ვერაფერს, და რას იზამ, ნეტავი?

– დავუარსებ სახელმწიფო სათათბიროს, დადგნენ! ირჩიონ და ილაყბონ!

– თვითონ თუ აირჩია ხალხმა იმ სათათბიროს, თუ რაცხა მაიმუნობა იქნება, იმის წევრები – ილაპარაკებენ ის კაცები იქ და წელიწადიც არ მოუნდება ხალხში სიმართლის გავრცელებას. რას შვრები მერე, მეფე რომ ხარ, გაშიშვლებული და ნიღაბჩამოგლეჯილი მეფე? არც ეს ივარგებს, თუ ატყობ შენ.

– ავდგები და... სულაც არაფერს დავუარსებ...

– არ დაუარსებ და ამ ხალხს ვერ მოუხერხებ ვერაფერს და დაწყნარებას გადაყვე იქნება ზედ. ისიც დავუშვათ, რომ აჯობა მთავრობამ გამოსვლებს და აჯანყებებს. რაი, მერე? გაითვალისწინებენ პოლიტიკოსები შეცდომებს. გაინაბება ხალხი ერთხანს. უპოვის მერე შესაფერ დროს, დაცხებს ისევ და მოგჭამა ჭირი მეფემ და იმპერიამ. მომაკვდავს, რობერტ,ბიძიკო, აღსარების და სანთლების მეტი არ

შველის არაფერი!

ბარიატინსკის ქუჩა თითქმის ათავებული გვქონდა, პროსპექტზე უნდა გავსულიყავით. დამაინტერესა, დათა თუთაშხია ამაზე რას მეტყოდა:

– შენ რას იზამდი, პროკოფი–ბატონო, როგორ მოიქცეოდი?

– მეფის ადგილზე? მივატოვებდი ტახტს, თუ მოვერეოდი საკუთარ თავს. წავიდოდი, საზღვარგარეთ ვიცხოვრებდი სადმე... მაგრამ ოხუნჯობაა ეს.

– ხალხის ადგილზე?

– ხალხი რასაც შვრება – იმას! დაველოდებოდი.

– ვის.

– ერკემალს, დანარჩენ ერკემლებს რომ აჯობებდა, ისეთს. ყველაზე სამართლიანს და ყველაზე მეტს ვინც შემპირდებოდა, ისეთს.

– მერე? იმ ერკემალს გაყვები?

– ხალხი გაყვება. ყოველთვის მიყვება ხალხი.

– შენ თუ გაჰყვებოდი, ბატონო პროკოფი, მე ეს მაინტერესებს.

– გავყვებოდი, მაგრამ ორი პირობა აქვს ამას, – უნდა დავრწმუნდე, რომ ის კაცი, ვინც ძველს გადააგდებს, იმასვე რომ არ გააკეთებს ისევ, ახლა რაც არის. ხალხი ქათმის ხორცია და საცივად არ ივარგა, მაგრამ ჩახოხბილად იქნება ნამეტანი კარგი დედას გეფიცებიო! მე თუ მკითხავს ვინმე, ძნელია ძალიან მთლად ახლის გაკეთება და საჭირო თუა, ისიც საკითხავია. ახლა, მეორე და მთავარი. გახსოვს, ალბათ: შეხედულებები განაგებენ ქვეყნიერებასო, მატარებელში თქვა ვიღაცამ და მაზუთის შესახვევში სხვამ: – პური განაგებს ქვეყნიერებასო. მე თუ მკითხავს ვინმე, ჯერჯერობით ისეა საქმე, რომ შური და სიხარბე განაგებს ქვეყნიერებას. ცუდები ვართ, ჯერ კიდევ, ადამიანები, და იმიტომ არის ასე. დამარწმუნოს ვინმემ, რომ ძველს გადავაგდებთ, ახალს ავაშენებთ და ის ახალი ადამიანს გააუკეთესებსო – გავყვები და გამოვადგები, მგონია, სხვა რომ გამოადგება, ისე ან უკეთესად.

გოლოვინის პროსპექტზე ხალხმრავლობა იყო. ჩანდა, მოსახლეობასაც გაეგო, მანიფესტაცია იქნებაო, ზოგი სეირნობდა, ზოგი იდგა და საუბრობდა. ყოველ ათ, თხუთმეტ ნაბიჯზე პოლიციელები დაიზლაზნებოდნენ, კაზაკების ცხენების თქარათქური აყრუებდა იქაურობას.

სასტუმროსთან ვიდექით. ვიღაცამ დაიძახა, – გამოვიდნენო! დათა თუთამხიამ საათი ამოიღო, დახედა, ხალხს თვალიერება დაუწყო, თითქოს ვიღაცას ეძებდა.

ჯერ სამღვდელოება გამოჩნდა. წინ მიხეილ მთავარანგელოზის ვეებერთელა ხატი მოჰქონდათ. მერე ნიკოლოზ I პორტრეტი, შემდეგ დროშები და ყოველივე ამას ზღვა ხალხი მოჰყვებოდა. მარცხნივ გამოუხვიეს, ოპერისკენ. ალექსანდრეს ბაღს გაუსწორდნენ, მაგრამ სადემონსტრაციოდ თავმოყრილ ხალხს არც ხმა დაუძრავს, არც ფეხი გადმოუდგამს ბაღიდან. იდგნენ, რაღაცას ელოდნენ.

მანიფესტაციას ორთავ მხრიდან ძეწკვად გადაბმული კაზაკების რიგები მოჰყვებოდა. მძიმე, ნელი ნაბიჯით მოემართებოდნენ და “Боже царя храни!”-ს მღეროდნენ. ამათაცა ჰქონდათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები: “За царя и отечество”, “Долой бунтовщиков”, “Вера, надежда, любовь” და სხვა ასეთები. ზოგი მანიფესტანტი ცოლ–შვილით გამოსულიყო, ბავშვები მხრებზე შემოესვათ. ბარე, სამი ათასი კაცი იქნებოდა.

გაგვისწორდნენ. დათა თუთაშხიამ მითხრა:

– სიმყრალეს თუ გრძნობ, სუნს!

საკმევლის, მოუნელებელი არყისა და ცხენის ოფლის სიმყრალე დადგა. მანიფესტაციის სათავეში კათედრალური ტაძრის პატრონიკეზე გამოწვრთნილი გუნდი მღეროდა და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ შუაწელში და ბოლოში, ჯერ იყო, გუნდის გალობა ცუდად ისმოდა, მერე, უმრავლესობას ან ხმა არ უვარგოდა, ან სმენა და, ერთი სიტყვით, ისეთი ღრიანცელი იდგა, იფიქრებდით, ხელახალი წარღვნა იწყება და ეს ამოდენა ბრბო

სიკვდილის შიშსა ღრიალებსო. გუნდი სიმღერას მორჩა, შუა რიგებში გარმონი აჭვიტინდა, ქალებმა ცეკვა–თამაში წამოიწყეს, მაგრამ სათავე ისევ მღეროდა და მოცეკვავეებს ბრძანება მოუვიდათ – შეწყვიტეთო!

შეწყვიტეს და ისევ აღრიალდნენ.

მანიფესტაცია სასტუმროს გასცდა. კაზაკების ბოლო ცხენებმა ჩვენს ცხვირწინ ბლომად ჩონჩორიკი გადმოაფრქვიეს და ალექსანდრეს ბაღიდან დემონსტრანტებიც დაიძრნენ. რატომღაც მეგონა, რომ ესენიც ოპერისკენ გასწევდნენ. არა, გამოვიდნენ. გაშალეს ტრანსპარანტები, მარცხნივ გაუხვიეს, მეფისნაცვლის სასახლისკენ აიღეს გეზი. მოულოდნელი ვითარება შეიქმნა. შავრაზმელები თავისი ბადრაგითურთ ზევით მიდიოდნენ, დემონსტრანტები – მოპირდაპირე მხარეს. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი სწორად წარიმართა: მანიფესტანტებ ქალაქის მოსახლეობის წინაშე სურდათ თავისი გრძნობების გამოხატვა, დემონსტრანტებს – წყობილების უმაღლესი წარმომადგენლის, ანუ მეფისნაცვლის წინაშე. ჩემი არ იყოს, ამგვარ შემოტრიალებას, ალბათ, არც შავრაზმელები მოელოდნენ. მანიფესტაცია გაჩერდა, პირით დემონსტრანტებისკენ შემობრუნდა. ალექსანდრეს ბაღიდან კი ხალხი უწყვეტ, მძლავრ ნაკადად გამოდიოდა.

ჩვენს გვერდით ახალგაზრდა ქალ–ვაჟი იდგა. ვაჟი ქართველი იყო, გოგო – რუსი, ჩვენსავით სეირს უყურებდნენ.

– ერთი ამათ შეხედე, ამათ! – თქვა ვაჟმა სიცილით.

მანიფესტაციის სათავიდან ანაფორააკაპიწებული მღვდლები ქოშინით მოცვივდნენ, ხელისგულები თეძოებზე შემოილაგეს და განცვიფრებული სიფათებით მიაშტერდნენ ბაღიდან გამომავალი დემონსტრანტების ბოლო ჯგუფებს. მანიფესტაცია სრულიად დაბნეული იყო და არც რაიმე განკარგულება ისმოდა.

– საით ანტიქრისტენო! – დაიძახა ერთ–ერთმა მღვდელმა.

იმავ წამს გაისმა:

– Бей их! – და მანიფესტაცია ადგილს მოწყდა, დემონსტრანტებისკენ გამოქანდა.

მღვდლებმა ხალხის შეკავება სცადეს, მაგრამ უკანიდან მოწოლილმა მასამ წინა რიგები ღვდლებიანად წააქცია, ფეხით ჩათელა და გაშმაგებით ეკვეთა დემონსტრაციის არიერგარდს.

ნამდვილი ომი ატყდა. დემონსტრანტებს ქვები და კეტები აღმოაჩნდათ. პირველივე ბათქის შედეგად კარგა ბლომა შავრაზმელებს დაუსკდა თავ–პირი, მაგრამ ის გამოსროლილი ქვები ახლა ავრაზმელებმა აკრიფეს და არანაკლებ ეფექტურად გამოიყენეს. საარტილერიო მომზადება გათავდა, მხარეები ხელჩართულზე გადავიდნენ. დიდი დაკადაკა იყო სასტიკი! კაზაკები, ჯარი და პოლიცია საქმეში ჯერჯერობით არ ერეოდა, რადგან დემონსტრანტები, მართალია, ბრძოლით, მაგრამ მაინც ხომ უკან იხევდნენ – მეფისნაცვლის სასახლისკენ. ეს, რატომღაც, გამარჯვებად შავრაზმელებს ეთვლებოდათ და “წესრიგის დამცველნი” ასეთი ვითარებით კმაყოფილი იყვნენ.

დემონსტრანტებმა მიზანს მიაღწიეს – მეფისნაცვლის სასახლის წინ გაჩერდნენ, თავისი ტრანსპარანტები მეფის ნაცვალს მიაშვირეს, ორიოდე წუთს ასე იდგნენ და ამ დროს უთვალავი შაშხანა ერთდროულად გავარდა... იმავ წამს ერმოლოვის ქუჩიდან, სასახლის ეზოდან და ერევნის მოედნის მხრიდან ცხენოსანი თუ ქვეითი ჯარის მთელი პოლკი გამოცვივდა და დემონსტრანტებს ეტაკა. გაჭირვება მაჩვენე – გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია... ესეც ნუ იქნება. მეფისნაცვლის სასახლის საიერიშოდ იქ არავინ მისულა სადემონსტრაციოდ მივიდა ხალხი: დემონსტრაცია უკვე ჩატარებული იყო, და იქამდის ხომ არ იდგებოდნენ, სანამ ნიკოლოზი პეტერბურგიდან ტახტის დატოვების დეპეშას გამოგზავნიდა?! დემონსტრაციის თავკაცებმა დაიძახეს, – ვისაც საით შეგეძლოთო! ოციოდ წამში სასახლის წინა მოედანი ცარიელი იყო. ვინც მოასწრო, ლომბარდისკენ ჩაუხვია და მოუსვა. ზოგმა კალოუბანთან უგვერდა და სალდათის ბაზრისკენ დაეშვა. ძირითადმა მასამ ისევ ალექსანდრეს ბაღისკენ აიღო გეზი, მაგრამ გეზის აღებაც არის და გეზის აღებაც: ის იმოდენა ხალხი უზარმაზარი ზვავივით მოწყდა, არიერგარდთან მორკინალ "მთავარანგელოზლებს" ეკვეთა. ვინც ჩაითელა – ჩაითელა, ვინც არა – უკან დახევას შეუდგა და დემონსტრანტების ძირითადმა მასამ წყალვარდნილივით ჩაიტანა გრიალი ალექსანდრეს ბაღში. გოლოვინის პროსპექტზე ერთი წუთის შემდეგ სეირის საყურებლად გამოსული ხალხისა და შავრაზმელების გარდა აღარავინ იყო, პოლიციას, ჯარსა და კაზაკებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. აქაც იგივე მოხდა, რაც აქამდე ორჯერ უკვე იყო. დემონსტრაციის ჩასაშლელად მოწოდებულმა ძალამ სწორედ მათ სასარგებლოდ იმოქმედა – დემონსტრაცია ჩატარდა. ხალხი სამშვიდობოს თითქმის უდანაკარგოდ გავიდა და შავრაზმელები კი გამარჯვებას ზეიმობდნენ – კუდით ქვა ვასროლინეთო, არ დაშლილან, იქვე ტრიალებდნენ, ძლევამოსილი ფიზიონომიები ჰქონდათ, ჯგუფ–ჯგუფად, ჩასუნთქულები დადიოდნენ და მოსეირნეებსა თუ გამვლელ–გამომვლელს შარსა სდებდნენ, – დემონსტრაციის მონაწილე ხარო! იყო ერთი თავის მართლება და უშვერი სიტყვის ბორიალი.

ჩვენს გვერდით, ახლოს, ქალ–ვაჟი იდგა–მეთქი, ადრეცა ვთქვი...

– ერთი შეხედეო! – ანაფორააკაპიწებულ მღვდლებზე თავის გოგონას რომ მიანიშნა, ხომ გახსოვთ?.. იმ ქალ–ვაჟთან სამი "მთავარანგელოზელი" მიიჭრა, – რას დაყუდებულხართო!

– რა თქვენი საქმეა, სად დავდგებით და საით წავალთ?! – დამცინავი ღიმილით, რუსულადვე მიუგო ვაჟმა.

ერთ–ერთმა მომხდურმა – არც აცია, არც აცხელა – ვაჟს გაუქანა და სახეში სთხლიშა. ვაჟი წაბარბაცდა, მაგრამ იმავ წამს დაუბრუნა სამაგიერო. გაწევ–გამოწევა ატყდა. ვიღაცეები ჩაუვარდნენ გასაშველებლად, ორმა შავრაზმელმა საიდანღაც შაშხანის ხიშტები დააძრო. ხიშტებს მოკლე ტარები ჰქონდათ მირგებული. იმ შავრაზმელს, რომელმაც ვაჟს გაარტყა, ჩანს, სამანიფესტაციოდ ცოლიც ჰყავდა გამოყვანილი. ის დედაკაცი ვაჟის გოგოს მიეპარა, სილა გააწნა. გოგო რუსულად მოთქმას მოჰყვა, თავის ვაჟს მკლავზე ჩამოეკიდა, – აქაურობას გავშორდეთო. ვაჟი დაჰყვა, გამშველებლების მოსარჩლეობით ისარგებლეს, ზევითკენ წავიდნენ. შავრაზმელები მაინც იწევდნენ. მაშინ ქალ–ვაჟმა უახლოეს სადარბაზოს შეაფარა თავი და მალე გამშველებლებმაც მონახეს გზა. უხიშტო შავრაზმელი თავისმა დედაკაცმა წაიყვანა. თითქოს, ყველაფერი მორჩა. ხიშტიანი შავრაზმელები ჩვენგან ათიოდე ნაბიჯზე იდგნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ისე ეტყობოდათ, რომ

ესენიც თავის გზას უნდა გასდგომოდნენ და გაუდგნენ კიდეც, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა.

ვიდექი, საითღაც ვიყურებოდი. დათა თუთაშხიამ მკლავი გამკრა:

– იქ შევიდნენ ისინიც, – მითხრა ხმადაბლა.

– ვინ? სად?

– ის ხიშტიანები. სადაც ქალ–ვაჟი შევიდა, იქ.

– ჰა? – რაღაცამ შემაფიქრიანა.

– გამოლეშილებია და გულზე არიან მოსული მაგენი... – დათა დაიძრა და მეც მივყევი.

სადარბაზოში შევდიოდით, იმ დროს ვიღაცამ დაიყვირა:

– დათა.

დათა თუთაშხია უკვე სადარბაზოში იყო. არ ვიცი, ვერ გაიგონა, თუ ჩემი თანდასწრებით ძახილზე პასუხს მოერიდა – არ გაჩერებულა. ზღურბლზე შევჩერდი, ხმაზე გავიხედე.

– დათა, დათა! – დაიძახა ისევ მამაკაცმა, რომელსაც გვერდით

ტანადი გიმნაზიელი მოსდევდა და ხელით მანიშნა, მანდ რომ კაცი შევიდა, იმას ვეძახიო.

ბრგე კაცი იყო, ასე, ოცდათხუთმეტისა თუ მეტის. ნელა მოდიოდა, კოჭლობით, ხისფეხიანივით.

– პროკოფი–ბატონო, ვიღაც გეძახის!..

დათა თუთაშხია წამით შედგა, მომხედა, დამაკვირდა და თქვა:

– ვინ დამიძახებს აქ, ვის ვიცნობ მე?! მოვალ ახლავე. – გზა განაგრძო და ეც უნებლიეთ მივყევი.

გრძელი, ბნელი დერეფანი იყო. მერე მარცხნივ კიბეები ჩადიოდა. კიდევ ერთი მოკლე დერეფანიც და აივანზე გავედით. ოთხივ მხრიდან შენობებით შეჭოსალტული ეზოდან ეს აივანი მეორე სართულისა იყო. ჩვენს ქვეშ, მარცხნივ, კედლის ძირში ვეებერთელა სანაგვე ყუთი იდგა. ახლაც არ ვიცი, ნაგავი როგორ გაჰქონდათ, ალაყაფი არსად ჩანდა. სანაგვე ყუთზე ის ორი ხიშტიანი შავრაზმელი იდგა და

ნაგავს გაშმაგებით ხიშტავდა.

– Стой, ни с места, сукины дети! – დაიყვირა დათამ იღლიაში ამოჩრილ ფუთას თითი რაღაცნაირად გამოჰკრა და მის ხელში ახალთახალმა ნაგანმა გაიბრჭყვიალა.

ხიშტიანებმა ისკუპეს, გაქცევა დააპირეს, მაგრამ დათა თუთაშხიამ ორი ტყვია ზედიზედ ისროლა.

მე, საერთოდ, გაფიქრება ვერაფრისა მოვასწარი – შავრაზმელები ორთავენი ძირს ეყარნენ და დათა თუთაშხიას რკინის კიბეებზე ჩაჰქონდა რიალი. მეც დავეშვი, არც ამისთვის დამიყოლებია აზრი პირველი სართულის აივანზე ჩასულმა, რატომღაც, სანაგვეში ჩავიხედე. ეს, ალბათ, ქვეცნობიერებაში შემორჩენილი იმპულსი იყო ჯერ ხომ არ ვიცოდი, რატომ ხიშტავდნენ შავრაზმელები ნაგავს ისე

თავგამოდებით? ჩავიხედე და უნებლიეთ რაღაც დავიღრიალე, სიტყვა არ ყოფილა, ხმა აღმომხდა, საშინელი ხმა!

სანაგვე ყუთში მოკუნტული, სისხლში ამოსვრილი ქალ–ვაჟი იწვა, ორთავე პირქვე და ოდნავ გვერდულად – ერთმანეთისგან შორიშორ.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი გაოგნება. ის კი ვიცი, იმ საზარელ სურათს უმალ მოვწყვიტე თვალი და სიარული განვაგრძე. ეზოში ჩავედი, დათას სიახლოვეს, მის პირდაპირ დავდექი, მიწაზე გაშოტილ შავრაზმელებს დავაჩერდი.

ერთი ფეხში იყო დაჭრილი, მეორე – დუნდულში. ეს იქიდან ვიცი, რომ დათა თუთაშხიამ თავად მოუძებნა ჭრილობები. ცოტა ხანს იდგა, ჩემსავით დასცქეროდა თავის ნამოქმედარს. მერე ცივი, გაბზარული ხმით უთხრა მწოლიარეებს:

– Кто из вас жить хочет?!

დაჭრილები განაბული იწვნენ, თვალებში ამოგვცქეროდნენ.

– Один из вас останется жить. Кто хочет жить?!

ფეხში დაჭრილს აზროვნების უნარი სავსებით ჰქონდა დაკარგული, ვერც ენით თქვა რამე და ვერც თვალებით. მეორეს, ალბათ, თავდაცვის ინსტინქტი აუმოძრავდა, გაცოცდა, დათა თუთაშხიას ფეხზე მკლავები შემოჰხვია, აქვითინდა. ტიროდა და ფეხებს უკოცნიდა.

დათა თუთაშხიამ ფეხი გამოითავისუფლა.

– Встань, скотина!

შავრაზმელმა ხიშტი დაიშველია, წამოდგა.

დათა თუთაშხიამ ფეხით მეორე შავრაზმელის მარცხენა ბეჭი აჩვენა და თავის აქნევით ანიშნა, – ამ ადგილას ჩაჰკარი ეგ ხიშტიო!

ზეზე მდგომი შავრაზმელი გაშრა, თვალები ააფახურა.

– Давай быстрей! – შეუძახა დათამ და ფეხებთან კიდევ წყვილი ტყვია მიახალა.

მსხვერპლი პირქვე ემხო, თვალები აივნებისკენ ჰქონდა, მაგრამ როცა მისმა თანამებრძოლმა ხიშტი შემართა, მწოლიარე ელვის სისწრაფით პირაღმა ამოტრიალდა...

ხიშტი მკერდზე დააცხრა, გული გაიარა, ვადამდე ჩავიდა და მიწას მიალურსმა სხეული.

– Теперь иди, живи! – ხაზგასმით, თითქმის დამარცვლულად ჩაილაპარაკა დათა თუთაშხიამ.

მკვლელს ვერაფერი გაეგო – უშვებდნენ, თუ დასცინოდნენ.

– Иди, говорю... Живи!

მკვლელი მიტრიალდა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, დუნდულზე ხელი მოივლო. წამით შეჩერდა. ისევ გადადგა ნაბიჯი და საიდანღაც გამოსროლილმა ტყვიამ თავის ქალა კოლოფის სახურავივით ახადა.

შიგ შუა შუბლში მოხვედროდა. ქალამ საოცარი ხმა გაიღო, ვერაფერს ვერ შევადარებ, არ ვიცი, მსგავს ხმას რა გამოიღებს ხოლმე.

აივნისკენ ავიხედე.

ის კოჭლი, ხისფეხა კაცი იდგა და ტანმაღალი გიმნაზიელი რევოლვერს კიტელის შიდა ჯიბეში იდებდა.

დათა თუთაშხიამ კარგპ ხანს უყურა აივანზე გადმომდგარ მსროლელს, მერე რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო, სანაგვეში ჩაიხედა.

– გამოვა ვინმე, ამოასვენებენ საცოდავებს, ამათ, – ჩაილაპარაკა და კიბეებისკენ გაემართა.

– დათა თუთაშხია ნელი ნაბიჯით, თავჩაქინდრული მიდიოდა.

მეორე სართულის აივანზე ავედით. ხისფეხიანი და გიმნაზიელი იქ აღარ დაგვხვდნენ, დერეფანში შესულიყვნენ, იქ გველოდებოდნენ.

ხისფეხიანი ზურგით კედელს მინდობოდა, იატაკს ჩაჰყურებდა, ცალი ხელით პატარა ულვაშს იწვალებდა. გიმნაზიელი დიდი ცისფერი თვალებით გვიცქეროდა. მისი იერი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობასა და განცვიფრებას გამოხატავდა.

ერთმანეთისთვის სალამი არ მიუციათ, ალბათ, არ იყო საამისო განწყობილება.

– ამდენი სისხლი?! – ამოიოხრა დათა თუთაშხიამ, იყუჩა და უფრო ხმამაღლა ბოღმითა თქვა: – არ მინდა ასეთ ქეეყანაში ცხოვრება, ყელში ამოვიდა უკვე...

– ხედავ, რამდენნი ვართ?.. აღარავის აღარუნდა, – მიუგო ხისფეხამ.

დათა თუთაშხიამ მოგვიანებით უთხრა:

– კი, ბევრი ხართ, ვიცი მე!.. არ უნდა გესროლა, ევლო ქვეყანაზე!

– მე არ მისვრია, ამან დამასწრო, – ხისფეხამ გიმნაზიელზე მიანიშნა... – შემაგვიანდა... ამ აყალმაყალში.

– დროზე კი არა და... აქეთ თუ გამოვწევდი საერთოდ, არ მეგონა, – თქვა დათა თუთაშხიამ ჭაბუკს თვალი შეავლო და ხისფეხას უთხრა:

– შენს ნასროლს გავდა ის.

– გავდა.

დავიძარით. დერეფანი გავიარეთ, დიდ კიბეებს შევუდექით.

– გადაწყვიტე? – ჰკითხა ხისფეხამ დათა თუთაშხიას.

თუთაშხია გაჩერდა იყუჩა და მიუგო:

– კი, გადავწყვიტე.

უკვე ავათავეთ კიბეები, სადარბაზოში უნდა გავსულიყავით და დათა თუთაშხია ისევ შეჩერდა, ხისფეხას დაუწყო ყურება. ეს იყო უსიტყვო შეკითხვა. ხისფეხამ მიუგო:

– თუ შენიშნე, მე კაი ხუთი წელია აღარ გამომითქვამს ჩემი შეხედულება მაგაზე, სიჩუმეს ვარჩევდი ხოლმე ახლა გაგიმეორებ: სწორი გადაწყვეტილებაა!

ხისფეხა გაჩუმდა და, ჩანს, თქმა აღარაფრისა უნდოდა. მაშინ დათა თუთაშხიამ უთხრა:

– მაშინ ისიც თქვი, რატომ მიგაჩნია სწორად ეს გადაწყვეტილება, დამავიწყდა, რას მელაპარაკებოდი.

ხისფეხამ ქეჩო მოიქექა ოდნავ გაიღიმა და მიუგო:

– კაი, გაგიმეორებ. შენ ადამიანებს აკვირდები, ცალ–ცალკე პიროვნებებს აღიქვამ. ხედავ, რომ არ ვარგა კაცი და ამიტომ ხალხზეც აგიცრუვდა გული. მაპატიე, მაგრამ შენ ერთი, მთავარი რამ არ იცი. ადამიანი, პიროვნება, თითქმის ყოველთვის ტყუის, ხალხი, ერი – ყოველთვის მართალია. ხალხი უნდა გაიცნო და უეჭველად შეგიყვარდება. მაშინ პიროვნებასაც სხვა თვალით შეხედავ. კაცი საზიზღარი კი არ არის – საცოდავი და საბრალოა. ხალხი უნდა ნახო, ხალხში ცხოვრებაა აუცილებელი შენთვის, რომ ადამიანი შეგიყვარდეს.

– მაშინ ბაზარში წავალ, ბევრი ხალხია ბაზარში მუდამ.

– ბაზარი ადამიანების დაპირისპირების, ურთიერთშერკინების ადგილია. იგი ადამიანებს თიშავს. ის ადგილი კი, სადაც შენ მიდიხარ, მოწინააღმდეგეებსაც კი აკავშირებს და იქაური ცხოვრება მუშტად შეკრული ხალხის ბრძოლაა ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. იქ უნდა ნახო, რა არის სიტყვა “ხალხი”. – ხისფეხა ანაზდად უხერხულობამ

დაამუხრუჭა. დავინახე, რომ რაღაცის შერცხვა, ალბათ, უნებლიეთ აღებული მენტორული, ნოტაციური ტონისა.

ცოტა ხანს სიჩუმე იყო.

– რა არ მელაპარაკეს! მიზეზი აღარ დარჩა, მგონია, იმის სამტკიცებელი, რომ უნდა ჩავჯდე, მაგრამ შენ რაც მითხარი, ეგ არ უთქვამს არც ერთს არასდროს და შენ რომ გქონდა ნათქვამი, დამავიწყდა, თითქოს. კაი, ბატონო! მივუმატებ მაგასაც და წავალ, სადაც მივდიოდი, – ხუმრობის ტონით თქვა დათა თუთაშხიამ, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ხისფეხას გადასცა. მეორე ჯიბიდან – მუჭით ვაზნები – ესეც ხელში ჩაუჩხრიალა. გიმნაზიელს შეხედა, დააკვირდა და უთხრა: – თქვენ გააკეთოთ, იქნება, ჩვენ რომ ვერ შევძელით, ის... წავიდეთ, რობერტ–ბიძიკო. ერთსა და იმავე ადგილას მივდივართ ორივე.

დათამ ორთავეს ხელი ჩამოართვა და ისევ პროსპექტზე გავედით.

– საით მიდიხარ, პროკოფი–ბატონო? – ვკითხე.

– ჟანდარმერიის სამმართველოში. ზევით უნდა იყოს, მგონია, მთაწმინდის უბანში, – თქვა დათა თუთაშხიამ და პროსპექტის მოპირდაპირე ქვაფენილისკენ გასწია.

ჟანდარმერიის სამმართველომდე აღმართ–აღმართ ათიოდ წუთის სავალი იყო. ხმა არც ერთს არ დაგვიძრავს. დათა წინ მიდიოდა, მე კვალში მივდევდი, როგორც კვიცი – ფაშატს. ბოლომდე ასე ვდიე. სადარბაზოსთან მომიბრუნდა, ეშმაკურად გამიღიმა.

– კაი, აბა. წავალ მე, მშვიდობით იყავი!

ხელი არ ჩამოურთმევია, შევიდა და კარისკაცს რაღაც უთხრა. გარედან ვადევნებდი თვალს. ორი, სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ის დიდი თანამდებობის კაცი ჩამოვიდა, რომელიც სამტრედიაში წასვლის წინ დამანახვეს, – აი, ამის გარეგნობა დაიხსომე, ერთმანეთს წყლის წვეთებივითა ჰგვანანო.

იმ კაცმა მკლავი გაუყარა და წაიყვანა.

მართლაც, საოცრად ჰგვანდნენ ერთმანეთს.

მას აქეთ აღარ მინახავს დათა თუთაშხია.

მეც შევედი და ჩემს უფროსს გამოვეცხადე, პატაკი და მოხსენება დავაპირე, არ დამაცადა. მითხრა, – წადი, დაისვენე და ხვალ დილის ათ საათზე გამოცხადდიო.

წავედი, დავისვენე, – იმ დღის შთაბეჭდილებების გადამუშავებას დასვენება თუ შეიძლება დაერქვას, – და დილით დანიშნულ დროს მივედი. არც ახლა დამაცადა ჩემმა უფროსმა. ვიღაცას დაურეკა, საითღაც წამიყვანა, სხვა განყოფილებაში. მითხრა, ზარანდიასთან მივდივართ, იმას მოახსენეო.

ზარანდია, როგორც გვარი, ჩემთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო. გარეგნობით ვერ ვცნობდი, რომელია. სამტრედიაში წასვლის წინ რომ უფროსი დამანახვეს, ის ადრეც

შენიშნული მყავდა, მახსოვდა, მაგრამ იმისა არა გამეგებოდა რა, თუ ეს კაცი იყო ზარანდია. ჩემმა უფროსმა უცხო კაბინეტში შემიყვანა და, სავარძელში რომ კაცი დავინახე, აი, მაშინღა გავაერთიანე დახსომებული გარეგნობა და ცნობილი გვარი. დაბრძანდითო, მითხრა. ჩამოვჯექი. ჩემი უფროსიც დაჯდა. ზარანდიამ შეხედა და – თქვენ თავისუფალი ხართო!

წავიდა ჩემი უფროსი კუდამოძუებული.

ჯერ ყველაფერი თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მაამბობინა, მერე ოჯახის, გვარისა და წინაპრების ამბავი გამომკითხა. შემდეგ იმის გამორკვევას მიჰყო ხელი, თუ ჟანდარმერიაში რა გზებით მოვხვდი. როცა გამოარკვია, რომ მოწოდებამ კი არა, სამხედრო ვალდებულებიდან თავის დაღწევის სურვილმა მიმიყვანა, პირდაპირ მკითხა, – სამსახურის დატოვება ხომ არ გინდაო. მინდა–მეთქი. მერე რა საქმეს მოჰკიდებ ხელსაო. სწავლა უნდა განვაგრძო, მოსკოვის უნივერსიტეტში მინდა შესვლა–მეთქი. ეს იდეა ძალიან მომიწონა. მითხრა, ხვალ მამაშენი მომიყვანეო, და გამიშვა. რა თქმა უნდა, მივხვდი, თავიდან მიშორებდა, მაგრამ გზაც იქითა მქონდა და ამით ზარანდიამ კარგად ისარგებლა. სამი დღის შემდეგ თავისუფალი ვიყავი.

კიდევ ერთი კვირა და მატარებელი მოსკოვისკენ მიმაქროლებდა. ახლა უკვე ბევრი დრო მქონდა, რიგიანად გადამევლო თვალი შვიდი თვისა და ოცდასამი დღის მანძილზე ჟანდარმერიაში ჩემი სამსახურისთვის. შეკითხვები თუ აღარა გაქვთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

## კარი მეოთხე

მაშინ აღავლინა ღაღადისი თუთაშხამ მიმართ ცათა

– ჰე, უზენაესო! არა სართეველად თავისა ვეზიარე ფიქრთა; არა კვართისა ჩემისათვის ვბეჭვე ქსელნი, არა ძიებად შურისა ვეც მახვილნი და არა ათინათისგან მოჯადოებით გარდვიქმენ ძედ ხორციელად. არამედ სნებათაგან განკურნებისთვის მოდგმისა კაცთა. გარნა უქმ მექმნენ ხმევანი გონთა და ძალთა, ვერა მოიღო ნაყოფი კეთილი თესლმან, რომელი ვბნიე მე, რამეთუ არა მომეც ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა. აწ მოველ და მომაგე ხვედრი ჩემი და მივაგო ნაგრამსა შენსა.

და განისმა ხმა:

– არა იყავ ძე ხორციელი და მით ვერა ეზიარე სიღრმეთ კაცთა გუნებისა. ნარვედ და ჰპოვებ მეინახეთა, რომელნი: იზრახვიდნენ ძღვნისა მირთმევას მავანისათვის, გარნა მიჰქონდეთ უბითა მახვილი და ფლასთაგან ძრცვიდნენ მას; ეკრძალვოდნენ აუგის თქმასა მიმართ მოყვასისა, გარნა ამოხორვილ ჰქონდეთ პაღვი ხორცითა მისითა და ეწადოთ მეტ, ჰღაღადებდნენ თაყვანს ღმრთისასა, გარნა სასოებდნენ სატანასა და მძლავრებას მისას ღმერთსა ზედა. ხოლო შენ სდექ მკვიდრად და ურყევლად რწმენასა, ვითარმედ სრულქმნისათვის ღვაწლი არს ჭეშმარიტი დანიშნულება კაცისა და დაგესხმის ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა!

მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა წამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაცნი უწამებულესნი. შემდგომ მარტვილობისა განმოეფინა შუბლისა იგურდივ ნათელი სხივთა, უკუმოიქცა სოფელსა და ჰრქვა:

– ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!

მოიკვეთა თუთაშხამ თავისითავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქა მან; მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გადმომდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და რომელთავე აგრეთვე აჭმიეს ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, აღმოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანთქა მან, არამედ ჰრქვა მეტყველებითა კაცებრითა:

– არღა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთა.

და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი.

– არა ჰკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ, გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა.

დაუტევა სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად.

**ალექსი სნეგირი**

მეტეხის ხიდი გადმოვიარეთ, ორთაჭალისკენ გავუხვიეთ. იმ უცნობ პატიმარს ავხედ–დავხედე. პატარა ტანისა იყო, ასე, ოცის, ოცდაერთისა იქნებოდა და ძალიან გაჭიმული მობრძანდებოდა. დამაინტერესა, – ნეტავი, რა ჯურის კაცი უნდა იყოს–მეთქი. თომას გვერდში იყო, ვანიშნე, გამასლაათებოდა. კარში უცნობ ადამიანს გამოკითხვა რომ დაუწყო, – ვინა ხარ და რა კაცი ხარო, უზრდელობაში ჩამოგერთმევა. ციხეში პირიქით არის – ამ პროცესს გამასლაათება ჰქვია და ყურადღების, თანაგრძნობის ნიშანია. ამდენად, ისიც ჩვეულებრივი რამ არის, თუ გკითხეს, – რა ჩაიდინე, რისთვისა ზიხარო.

– რა კაცი ხარ? – გადაელაპარაკა თომა ჩვენს გაჭაჭულ თანამგზავრს.

– კაცი ვარ! – სასხვათაშორისოდ მიუგო მან.

ციხის ენაზე ეს იმას ნიშნავდა, – "კანონიყრი ქურდი" ვარო!

– რაზე ზიხარ?

– რაზეც, – ცივად მოუჭრა.

– რამდენი გაქვს? – სასჯელი იგულისხმებოდა,

– რამდენიც არის! – რა შენი საქმეაო.

– მერამდენე ჯდომაა?

– მერამდენეც არის! – მიუგო ბიჭმა და გულმოსული თვალი ესროლა.

– რა გქვია? – განზრახ აღარ მოეშვა თომა.

– პოქტიას მეძახიან! – თავი აღარ უნდა დამანებოო?

– სახელია თუ მეტსახელი?

– რაც არის! – ლაპარაკს მოვრჩითო.

– ამას გოროდოვოის ბიჭის მტრედები ეყოლება მოპარული, – ჩურჩულით დამიდასტურა მიხვედრა თომამ.

პოქტიას ყველა პასუხის შინაარსი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც კანონიერი ქურდისა იქნებოდა, მაგრამ ინტონაციაში გაიყიდა – ქედმაღლად, უტიფრად დაიჭირა თავი, ქურდი კი ასეთ შემთხვევაში ზრდილობიანია, შემპარავია და, როგორც ჩანს, პოქტიასთვის ციხის საქციელის მსწავლებელს საქმის ეს მხარე მხედველობიდან გამორჩენოდა. თვით პოქტია დარწმუნებული იყო, რომ თავის "არისტოკრატულ" წარმოშობაში სავსებით დაგვაჯერა და

ისევ ისე იჭაჭებოდა. ერთი სიტყვით, ციხეში ადვილად და სხვის ხარჯზე ცხოვრების საფუძვლებს აქედანვე იქმნიდა ბიჭი. ამას რაც მოჰყვა, ახლავე მოგახსენებთ.

ორთაჭალის ციხემ "დაგვამუშავა" – ადმინისტრაციის ენაზე ასე ერქვა პატიმრის მიღების პროცედურას, რაც, ძირითადად, გაჩხრეკასა და მოყვანილთა დავთარში გრაფეგის შევსებას ნიშნავდა, და კარანტინისკენ წაგვიყვანეს.

დაიჩხრიალეს კლიტეებმა და ურდულებმა. გაიღო კარი – საკნის სიმყრალე და ხორხოცი ცხვირ–პირში წიხლივით გვეძგერა. ზედამხედველმა დაიძახა:

– ტარასტა, ტრი ჩალავეკ, მეტეხიი! – და ზურგს უკან კარი ჩაიკეტა.

ეს იყო უზომოდ გრძელი, ვიწრო, ბნელი და ნოტიო საკანი მთავარი კორპუსის ნახევარსარდაფში. მიუჩვეველი თვალი მხოლოდ ლანდებს არჩევდა, ლანდები კი იმდენი იყო, რომ იქაურობა ერთ მთლიან, მოფუთფუთე ფანტასტიკურ ორგანიზმს უფრო ჰგავდა, ვიდრე მრავალი ადამიანისგან შემდგარ მასას.

– ადგილი არ არის, ბატონო, ვეღარ გაიგო ამ ხალხმა! რომ ტენიან და ტენიან, სად ტენიან, ნეტავი?! მოეწყვეთ მანდ, არ არის ადგილები! – იმ აურზაურში ძლივს მოისმა "ტარასტას" ხმა საკნის ჩაბნელებული სიღრმიდან.

– მოდი აქ. – გასძახა თომამ მამასახლისს.

თვალი სიბნელეს მიეჩვია. მხარმარცხნივ უხუფო, პირთამდე სავსე პარაშა იდგა და მისგან უკვე ერთ ნაბიჯზე იატაკი არ ჩანდა – ხალხი იწვა. აქვე, პირდაპირ, მწოლიარე ხალხში იდგა პატარა მაგიდა, პატიმრები დომინოს თამაშობდნენ. საკანს მთელ სიგრძეზე გასდევდა ორსართულიანი ტახტი და ტახტს ზემოდან, სამ ადგილას, გისოსიან სარკმლებში ცოტაოდენი სინათლე შემოდიოდა. მარჯვნივ! ზემო სართულზე, პატიმრების ჯგუფი მოკალათებულიყო, ერთ–ერთი რაღაცას ყვებოდა, სხვები დროდადრო ხმამაღლა იცინოდნენ. სულ ბოლოში, სარკმელთან, რამდენიმე კაცი ქაღალდს თამაშობდა. უკეთ ვთქვათ, ორნი თამაშობდნენ, სხვები მაყურებლები იყვნენ.

– მოვედი. რომელი ხარ?! – თქვა მამასახლისმა.

– ჩვენ დასაგები არაფერი გვაქვს, იატაკზე ვერ დავწვებით. ტახტზე მისწი–მოსწიე ხალხი, – უთხრა თომამ.

– ახლავე, ბატონო... საწოლებს მოგართმევთ, ქვეშაგებს, თეთრეულს, სამოვარს!!!

– მოკეტე! – შეაწყვეტინა თომამ – ორი ადგილი ზემოთ! დროზე!

მამასახლისი მიხვდა, რომ ხუმრობა და ქილიკობა აღარ გამოადგებოდა, მაგრამ კარანტინი, მართლაც, უსაშველოდ იყო გადატვირთული. ვინ იცის, ეს მერამდენედ უნდა მიეწ–მოეწია ხალხი და ან თუ კიდევ დარჩა მისაწევ–მოსაწევი ვინმე? მამასახლისმა ტონი შეიცვალა მაგრამ ჭიჭყინს უმატა:

– წადით, ბატონო, და სადაც ნემსის ჩასაგდები ადგილი იპოვოთ, შეგარგოთ ღმერთმა. რავა, მე ის კი არ ვარ... რა ქვია იმას?..

ჩვენი არ იყოს, არც პოქტიას აწუხებდა ბარგიბარხანა. იქაურობას გაეცალა, ტახტის გასწვრივ დატოვებულ ბილიკზე ბოლთის ცემას შეუდგა. სწრაფად დადიოდა, ხელები გავაზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. ეს ილეთი კარგად გამოუდიოდა, სწორედ ისე იქცეოდა, როგორც არაერთგზის ნაციხარმა კაცებმა იციან.

შევამჩნიე, ამ შეხლა–შემოხლას შორიახლოდან ერთი ახალგაზრდა კაცი გულდასმით უსმენდა. მერე მოგვიახლოვდა, თომას დააკვირდა და წავიდა.

სანამ ჩემი ძმაკაცი მამასახლისთან კამათში დროს ატარებდა, მე საკნის თვალიერება–შესწავლით ვიყავი გართული. ჩვენს პირდაპირ, ტახტის ზემო სართულზე, ერთი კაცი პერანგის ამხანაგის ამარა იჯდა, თავისი შარვალი ხელში ეჭირა და საგულდაგულო დაკვირვების მერეღა დავრწმუნდი, რომ მკბენარს კი არ ხილავდა, ღილს იკერებდა. გავიფიქრე კიდეც, – მამაცხონებული, ამ სიბნელეში, ნეტავი, რას ხედავს–მეთქი. იქვე ფეხმორთხმით იჯდა თეთრწვერულვაშა კაცი, გიშრის კრიალოსანს აჩხაკუნებდა და ღილის დაკერების პროცესს დასცქეროდა. ბებერი კი არა, ნაადრევად გაჭაღარავებული იყო. ვიგრძენი, ეს კაცი სადღაც მენახა, საიდანღაც ვიცნობდი. ვიგრძენი და, თითქმის, დავრწმუნდი კიდეც, მაგრამ გამოცნაურების დრო არ იყო, უნდა როგორმე დავბინავებულიყავით.

ის ახალგაზრდა კაცი დაბრუნდა, რომელიც თომას აკვირდებოდა; ყაყანში, როგორღაც დრო იხელთა, თომას ჰკითხა:

– თქვენ თომა კომოდოვი ხართ!

თომამ ახალგაზრდას ახედ–დახედა და მიუგო:

– დიახ!

– წამოდით აქეთ. მე შალვა თუხარელი ვარ.

მამასახლისმა თვალები დაჭყიტა. ჩვენ უკვე ვიღაცეებს ვალაჯებდით, ბილიკისკენ მივიწევდით როცა “ტარასტამ” მოგვაძახა:

– კომოდოვი კაცო! მერე, ვერ თქვი დროზე?!

პოლიტიკურები მარცხენა კუთხეში, ფანჯარასთან, ზემო სართულზე მოკალათებულიყვნენ. ხუთ კაცს ოთხი ლოგინი ჰქონდა, შედარებით ხალვათად იწვნენ და ჩვენ ორივენი, შეიძლება ითქვას, თავისუფლად შეგვიკედლეს.

ციხეში, და ისიც, რევოლუციის მსვლელობის დროს, სალაპარაკოს რა გამოლევდა! ახალი თუ ძველი ამბების მოყოლასა და განსჯაში მთელი საათი გავიდა. პოქტია ისევ ისე დაიარებოდა. მისი საქციელის შინაარსი და მიზანი ის გახლდათ, რომ მამასახლისს თავისით უნდა მიეპყრო ყურადღება კაცისთვის, რომელიც არც რამეს თხოულობს, არც

“რკინის რიგში” იკავებს ადგილს და ნერვოზულ, სწრაფ ბოლთას სცემს. “რკინის რიგი” ნიმნავს, რომ კაცს მხოლოდ ერთი მტკაველი ეკუთვნის იატაკზე, აქ წოლაც მხოლოდ გვერდზეა შესაძლებელი. ძილის დროს ყოველი გადაბრუნება მეზობლების გაღვიძება–შეწუხებას იწვევდა – ერთი ღრენა და ჯაჯღანი ატყდებოდა ხოლმე. ამიტომ ღამით, გვერდის შენაცვლება მამასახლისის განკარგულებით, მთელი “რკინის რიგისთვის” ერთდროულად ხდებოდა: ყველა ერთად გადაბრუნდებოდა და ყველა ერთად განაგრძობდა ძილსა თუ თვლემას...

პოქტიაზე ვლაპარაკობდი. მან ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ საკნის მამასახლისს კანონიერ ქურდად მიეჩნია და ადგილი მიეთავაზებინა, მაგრამ მამასახლისი “დამპალი”, ანუ ციხის ცხოვრების თავისებურებებში კარგად გარკვეული კაცი აღმოჩნდა, პოქტიას სიყალბე მყისვე იყნოსა და აღარც რაიმე ყურადღება მიუქცევია, – ივლის, დაიღლება და პარაშასთანაც მყუდროდ მოეწყობაო! როცა ბოლთის მეთოდმა არ გაუმართლა, პოქტიამ, როგორც ციხეებში ნათრევ კაცს შეეფერებოდა, სხვა ხერხს მიმართა – ადგილის წართმევის ხერხს. საამისოდ პოქტიამ ის კაცი შეარჩია, რომელიც ცოტა ხნის წინ შარვალზე ღილს იკერებდა. არჩევანი ფორმალურად სწორი იყო. კაცი ზის, შარვალზე ღილს თავისი ხელით იკერებს, ესე იგი, ქურდი არ არის, – დაასკვნა პოქტიამ და ამაში თითქმის მართალიც იყო, რადგან ციხეში ქურდს ლაქია და მომვლელი არ მოაკლდებოდა. ის კაცი არც ტანსაცმლით ჰგავდა ცოტად თუ ბევრად “გამოსულს”. გახუნებული ხალათი, ღდინგაცლილ სალდათურ მძიმე ჩექმებში ჩატანებული შარვალი, მოკუნტული ზის, ფიქრობს.

რაღაცნაირად დაემთხვა, რომ როცა საუბარს მოვრჩით, ძირს ჩავედი, – გავიარ–გამოვიარო, მუხლებში გავიშალო–მეთქი. მოსიარულე რამდენიმე იყო. მეც მწკრივს ავედევნე და გავყევი. ცოტა ხნის შემდეგ პოქტია თავის მსხვერპლთან გაჩერდა, ბილიკი ჩაიკეტა, მოსიარულეები უნებლიეთ შეჩერდნენ. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ვიდექი, ჰოქტიას მევცქეროდი, – ვნახოთ, რა მოხდება–მეთქი.

– ჩამო, ბიძა! – მთელი თავისი მრისხანებისა და ფეხმოუცვლელობის უნარი ჩააყოლა პოქტიამ იმ ორ სიტყვას.

“ბიძა” არც განძრეულა, არც წარბი შეუხრია, არც შესტყობია, თუ გაიგონა რამე. მარტო თეთრწვერულვაშამ მოიხედა, ჰოქტიას თვალი სხვათაშორის შეავლო და ისევ მიატრიალა თავი.

იმწამსვე ვიცანი – დათა თუთაშხია! კინაღამ შევყვირე, მაგრამ ვერ მოვასწარი... “ბიძამ” მუხლი გაშალა, სალდათური ჩექმის ცხვირი პოქტიას შიგ სიფათში აძგერა, წამიერი გარინდეგა საკმარისი აღმოჩნდა, რომ დარტყმა განმეორებულიყო. პოქტია შეტორტმანდა, ცხვირიდან თქრიალით წამოსკდა სისხლი.

დათა თუთაშხია აუმღვრევლად არაკუნებდა კრიალოსანს, თვალებს დინჯად დაატარებდა: ხან პოქტიას უყურებდა ხან – ეგზეკუტორს, ხან დამსწრეთა რეაქციას აკვირდებოდა.

დომინოს ქვებს მაგიდაზე ჭახაჭუხი გაუდიოდათ.

– ზედ დაგვდის კაცო! – დაიძახა იატაკზე მწოლიარეთაგან ერთ–ერთმა და სისხლის წვეთებს გაერიდა.

– პარაშასთან მიდი... წამო, კაცო, აქეთ წამო!..

ხალხი გაიწ–გამოიწია, გზა დაუგდეს. პოქტია პარაშასთან მივიდა, ცხვირის მოვლას მიჰყო ხელი.

– ხარჩოჯან, ეგრე გამეტებით არ იქნება ჩემმა მზემ! – ვიღაცამ დაიძახა და ამ მეტსახელით მივხვდი, ვინც იყო ეს კაცი.. პროფესიით ყვავილების ვაჭარი, მოწოდებით – აქტიური მამათმავალი, რაც პერიოდულად იწვევდა მის მობრძანებას ორთაჭალაში.

– ჰა, ბალი ორი შაურიაო?! – შეუღრინა პასუხად ხარჩომ, წვივები შეიკეცა და პოქტიას ვიზიტამდე დაწყებული ფიქრი განაგრძო.

შივასავით იჯდა, ჰგავდა კიდეც.

ბოლთის მწკრივი დაიძრა, მეც მივყევი. რატომღაც ეჭვი მეწვია, – იქნებ ვცდები, ეს თეთრწვერულვაშა კაცი დათა თუთაშხია არ არის, კიდევ უნდა დავაკვირდე–მეთქი.

პოქტია, სანამ სისხლის დენამ უკლო, პარაშაზე იყო დახრილი, მერე იქვე, მართალია, შეძლებისდაგვარად მოშორებით, მაგრამ მაინც პარაშის სიახლოვეს ჩაჯდა, თავი ზურგისკენ გადაიგდო და გაინაბა.

პარაშასთან ჩაჯდა! ეს იმას ნიშნავდა, რომ პოქტია ქურდის უფლებებზე პრეტენზიას აღარასოდეს განაცხადებდა და, თეორიულად ასე საფუძვლიანად მომზადებული, მალე თავადაც მიხვდებოდა, რომ ციხეში ცხოვრების, სიცოცხლის შენარჩუნების სხვა რამ გზა უნდა ეძებნა.

ერთი–ორჯერ კიდევ დავბოლთე და ჩემიანებთან ავედი. ანდრო ჭანეიშვილს შევეკითხე, ის თეთრწვერა კაცი ვინ არის–მეთქი.

– დათა თუთაშხიაა. გაგიგონია?

გამეცინა.

გამოირკვა, რომ დათას ხუთად ხუთი წელი ჰქონდა მისჯილი. ვადას აქ, ორთაჭალაში იხდიდა. ერთი თვის წინათ, რატომღაც და რაღაცისთვის, ჟანდარმერიის საპყრობილეში გადაეყვანათ და ცხრა თუ ათი დღის შემდეგ ისევ ორთაჭალაში მოეყვანათ. მთელი ციხე იცნობდა და მეგობრებიც ჰყავდა.

– როგორ უჭირავს თავი? – ვიკითხე მე.

– არის თავისთვის.

ჩემი ახალი მეგობრები დაინტერესდნენ და საქმე მაინც არაფერი იყო, დათა თუთაშხიასთან შეხვედრებისა და ურთიერთობების მოყოლას შევუდექი.

პოქტია თავჩაქინდრული იჯდა, ხელს წარამარა ცხვირზე ივლებდა. ძალიან მიუსაფარი და საცოდავი იერი ჰქონდა, მაგრამ ის ორი წიხლი იმასთან შედარებით მაინც არაფერი იყო, რაც ციხეში ზომიერად ითვლებოდა და რაც იმ დროისთვის უკვე არაერთხელ მქონდა ნანახი. სხვა პოქტიებს მსგავსი შეცდომა "ნახევარი სიცოცხლის" ფასად უჯდებოდათ. ასეთი ტერმინიც კი იყო ხმარებაში: "Отнять полжизни".

დათაზე ლაპარაკს მოვრჩით. ისევ ძირს ჩავედი. ვფიქრობდი, ერთი–ორჯერ კიდევ ამევლ–ჩამევლო და თვითონ თუ ვერ მიცნობდა, მე გამოვმცნაურებოდი.

– მოდი აქ, ბიჭო! – დაუძახა ხარჩომ პოქტიას.

პოქტია ისევ ისე იჯდა, თავი არ აუღია – არ იცოდა, თუ მას ეძახდნენ.

– მოდი–მეთქი, შენ გეუბნები!.. მაახედეთ! – გაიმეორა ხარჩომ.

მეზობელმა პოქტიას იდაყვი წაჰკრა, – შენ გეუბნებიანო!

პოქტია ერთხანს მილურსმულივით იყო, ტახტის ზემოთა სართულს წარბებს ქვეშიდან აჰყურებდა. მერე წამოდგა, მწოლიარეებს გადაალაჯა, ხარჩოსთან მივიდა, მაგრამ იმ ვარაუდით დადგა, რომ გამოქნეული წიხლი ვეღარ მისწვდომოდა.

– ამო დაჯე! – წყნარად, შერიგების კილოზე უთხრა ხარჩომ.

პოქტია შეყოყმანდა, მაგრამ ავიდა.

დათა თუთაშხიამ ნაცემს ცხვირ–პირი გულმოდგინედ დაუთვალიერა და განზე გაიხედა.

პოქტიამ ცალი ფეხი შეიკეცა, მეორე – ტახტიდან ძირს გადაიშვირა და თავის ეგზეკუტორს გაჯავრებული თვალები მიაპყრო.

– ეხლა, რა გითხრა! – მშვიდად მამასავით მიმართა ხარჩომ. – ეგ რამე ვინც გასწავლა, არ გითხრა, "ბიძა" თუ არ ჩამოვიდა, მერე რა უნდა ქნაო?

პოქტია გაფაციცებით შესცქეროდა, ხმას არ იღებდა.

– ჰოოო, აი! – არ უთქვამს, რაღა. მე გეტყვი, შეიძლება, რო გამოგადგეს...

ხარჩო ძირს ჩახტა, ანაზდად თანამოსაუბრის ფეხს ეცა... პოქტია იმავ წამს ადგილს მოწყდა, ჰაერში კამარა შეჰკრა, დომინოს მოთამაშეებს თავზე გადაევლო და პარაშასთან მოადინა ბრაგვანი.

– ვაჰ! – აღმოხდა ერთ–ერთ მოთამაშეს. – ნახე?!

– დასვი, კაცო, რა დროს ეგენია!..

– ვაჰ, არა, ნახე?

– დასვი, დასვი!

– არა... ნახე, რა იყო?!

– მიდი, დასვი–მეთქი ჰა!

მოთამაშემ დომინოს ბოლოები მოათვალიერა, თავის ქვებს ჩახედა და დასვა.

ხარჩო ტახტზე ავიდა.

– ჰოო, აი, ეგ დავიწყნია, რაღა! – თქვა, როცა წვივები ისევ შეიკეცა და რიგიანად მოიკალათა.

აქ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. დათა თუთაშხია უკან გაჩოჩდა, ბეჭები კედელს მიაყრდნო, ხარჩოს თეძოებს ორივე ფეხი ერთდროულად აძგერა ხარჩომ, რა თქმა უნდა, პოქტიას ტრაექტორია

გაიმეორა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უკანალით შიგ დომინოში ჩაჯდა. მაგიდა მორყეული იყო, იმოდენა სიმძიმის დანარცხებას ვერ გაუძლო, ნაწილებად დაიშალა. ხარჩომ ზეზე დადგომისა და წონასწორობის შენარჩუნების ცდისას პარაშა ხელჰყო, უკეთ ვთქვათ, ფეხჰყო და საკმაოდ შედეგიანადაც, ირგვლივ მწოლიარენი თუ მსხდომნი მყისვე, თვალის დახამხამებაში, დენნაკრავებივით წამოცვივდნენ და ისეთი ალიაქოთი ატყდა, როგორსაც ციხეშიც კი იშვიათად შეხვდება კაცი.

სახელდობრ, რა რას მოჰყვა, ამის აღქმა–დადგენა შეუძლებელი იყო, არც ვცდილვარ. ცემა–ტყეპის, ღრიანცელის, ნეკნეპის მტერევის რამოდენიმე კერამ ერთდროულად იფეთქა და თვალის დახამხამებაში თითქმის მთელი საკანი ჩაითრია. დომინოს მოთამაშეთაგან ორი იქვე, იატაკზე მწოლიარე ხალხს დაასკდა. აქ ხელჩართული ბრძოლა, უმთავრესად, სახელდახელოდ წაძრობილი ჩექმებით, მძიმე ფეხსაცმელებითა და კალოშებით წარიმართა. ფეხყოფის შედეგად წამოვარდნილი “რკინის რიგი” ხარჩოს ეტაკა. ბარე ათი კაცი ერთდროულად უბაგუნებდა: ვინ – მუშტით, ვინ – წიხლით, ერთს წყლის კასრის ვეება ხუფი ეჭირა და ჩარტყმა კი ვერაფრით მოეხერხებინა, სხვები უშლიდნენ ხელს. ბოლოს, როგორც იქნა, უყელა, მოუქნია, მაგრამ ხარჩოს მაგივრად სხვას დასცხო და ჩხუბის ახალი კერაც მყისვე წარმოიშვა. პოქტია ხარჩოზე მისეულ ზედახორას უტრიალებდა, მარჯვენა ხელის სალოკი თითი გაბზეკილი ჰქონდა, შესაფერ პოზიციას ეძებდა, რომ თავის ეგზეკუტორისთვის შიგ თვალში ეტაკებინა. გამომრჩა მეთქვა, დაკა–დაკა დაიწყო თუ არა – ტახტზე ავხტი, თორემ ლაპარაკი ზედმეტია, მეც ძალიან კარგებისა მომხვდებოდა, ზემოდან ბრძოლის ველი საუკეთესოდ ჩანდა. მტკიცედ შემიძლია ვთქვა, ყველაზე ნაკლებად კურკალა, ანუ დომინოს მესამე მოთამაშე დაზარალდა. იატაკზე მწოლიარეებმა იგი ერთხანს აბურთავეს, მერე ხელებსა და ფეხებში ჩააფრინდნენ, ტომარასავით გააქან–გამოაქანეს და ტახტზე ამოისროლეს. კურკალა ჩემსა და დათა თუთაშხიას შორის დაებერტყა. მისდა ბედად, ვარდნის დროს დიდად არავინ დაუზიანებია, ამიტომ ტახტზე მჯდომთაგან ორიოდ მუჯლუგუნის მეტი არც არაფერი მოხვედრია. არც თავად ცდილა, მუჯლუგუნების სამაგიერო მიეზღო, და ასე იაფად და მექანიკურად მაყურებელთა პარტიაში ჩაირიცხა. კურკალამ რომ დაინახა, აღარავინ რასმე

მერჩისო, სასწრაფოდ წამოჯდა და ამის შემდეგ მთელი იმ ომის მანძილზე სულ ერთი და იგივე იძახა:

– ვა�ა, ე რა ხდება, კაცო!.. – ამას იტყოდა, დაბეგვილ ადგილებზე ხელებს წაივლებდა, დააყოლებდა: – უჰ უჰ, ვაი, ვაი, ვაი! – და თავიდან იწყებდა. – ვააა, ე რა ხდება, კაცო!..

სხვათა შორის, არც თვით მოჩხუბრებსა და მაყურებლებს ესმოდათ, თუ რა ხდებოდა. სათავე სად იყო, ხარჩოს მეტმა არავინ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო ჩხუბის იმ წუთში, რომელსაც ახლა ვყვები, ასე ჩანდა.

დიახ, ხარჩო–მეთქი, და ხარჩოს იმ მომენტში მძიმე საშიშროება ელოდა. ეს ეპიზოდი თავიდან, სახელდობრ, როგორ დაიწყო, არ დამინახავს, ომის სხვა უბანს შევცქეროდი. ხარჩოსკენ მაშინ გავიხედე,

როცა კურკალამ გიჟივით დაიძახა:

– ვააა... იმას ნახე, ხარჩოს ნახე... არა, დარდაკასაც ნახე, ვააა, ე რა ხდება, კაცო!..

რა ხდებოდა და, ხარჩო ერთობ შილიფად იყო. იქვე, დარდაკა – ხარჩოს კოლეგა, ერთობ ვერაგული განზრახვის სისრულეში მოყვანას ცდილობდა.

დათა თუთაშხია კვლავინდებურად მუხლებშეკეცილი იჯდა, რაღაც საგანგებო ყურადღებით დაჰყურებდა იმ ულმობელ, უაზროდ თავაწყვეტილ, გადარეულ სამყაროს. მის იერში ცნობისმოყვარეობა

უფრო სჭვივოდა, ვიდრე გაოცება ან პირველმიზეზობის სინანული. მომეჩვენა, რომ იგი ყველაფერს ერთად უყურებდა, როგორც ორკესტრს უსმენენ ხოლმე და სრულიად არ აინტერესებდა ამა თუ იმ ეპიზოდის შინაარსი ან სიმძაფრის დონე.

თქმა რად უნდა, ისეც ადვილი წარმოსადგენია, საკანში როგორი ღრიანცელი იდგა, მაგრამ სწორედ ჩემს ფეხთით ერთი ისეთი შეკივლება გაისმა, რომ უნებლიეთ ძირს ჩავიხედე, დაკივლების ავტორი ვერ დავადგინე, საზარელი ზედახორა იყო, ოცამდე კაცი ერთ დიდ გორგლად ჩახვეულიყო და ვინ ვისა სცემდა, – ვერავინ ვერაფერს გაუგებდა. ჩემი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, დომინოს მეოთხე მოთამაშემ მიიპყრო. კანონიერი ქურდი ბრძანდებოდა, მეტსახელი ტამბია ჰქონდა. ის ტამბია ზედახორას დასტრიალებდა, ცდილობდა, ერთმანეთში გადახლართული სხეულების ქვეშიდან დალეწილი მაგიდის რომელიმე ფეხი გამოეღო. რამდენჯერმე ხელიც კი მოავლო, მაგრამ სხვები ზედ იწვნენ და ვერაფერს ხდებოდა. ამ დროს სასმელი წყლის კასრის ხუფი დარდაკას ჩასცხეს თავში, დაარეტიანეს, წაქცევა არ დააცადეს, პირდაპირ პარაშამი ჩასვეს. მართალია, დარდაკა გონს უმალვე მოეგო, პარაშიდან ამოვიდა, მაგრამ ცხადია, გადატანილი ფათერაკის შემდეგ ხარჩო პროფესიულ შეურაცხყოფას გადარჩა!

ტამბიამ, როგორც იქნა, მაგიდის ფეხის გამოღება მოახერხა. ვიფიქრე, – ახლა ამ მუხის კეტს დაატრიალებს და, ვაი იმის ბრალი, ვისაც მოხვდება–მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად, არავისთვის უთავაზებია. ტახტს გასწვრივ ჩაჰყვა, დათას ათიოდ ნაბიჯით გასცდა, ჯერ მაგიდის ფეხი ამოაგდო ზემოთ, მერე თავადაც ამოვიდა და კეტით

შეიარაღებული ჩვენკენ დაიძრა. გამიელვა, – ქვემოთ მოჩხუბრებს ზემოდან დაუწყებს კეტით ცემას–მეთქი მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა: ტამბიამ კეტი

მართლაც ისე შემართა, ვითომ ძირს ერთ–ერთი მოჩხუბრის დამარცხება ჰქონდა განზრახული და უკანასკნელ წამში დათა თუთაშხიას დასცხო! თავში მოხვედრება უნდოდა, მაგრამ ტანმა უგრძნო დათას, თუ თვალმა, არ ვიცი – რაღაცნაირად წაიხარა, კეტი მის ბეჭებზე დასხლტა და ტახტს დააცხრა. ხმის ამოღება ვერც კი მოვასწარი – ტამბია განიარაღებული გახლდათ. გაქცევის მიზნით, პირდაპირ მოჩხუბრებში გადაშვებას აპირებდა, რომ დათას მოქნეულმა კეტმა მოუსწრო. ტამბია ტახტის კიდეზე სველი ჩვარივით დაეცა და ძირს მერეღა გადავარდა.

– ვა�ა! ამას ნახე .. ტამბიტს ნახე... ქურდებსა სცემენ!!! ე, რა ხდება, კაცო!.. ქურდებსა სცემენ... – დაიძახა კურკალამ.

ამ წამოძახებამ მაგიურად იმოქმედა, რადგან მაშინდელ ციხეში ქურდი ხელშეუხებელი იყო, ქურდის მცემელს სიკვდილი თუ არა, "ნახევარი სიცოცხლის" წართმევა მაინც ჰქონდა განაღდებული. რა თქმა უნდა, ყოველ მოჩხუბართაგანს ესმოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე თუ მსხვერპლი, შეუძლებელია, კანონიერი ქურდი ყოფილიყო – ისინი ასეთ საქმეში მონაწილეობას საერთოდ არასოდეს მიიღებდნენ და ამ კერძო მემთხვევაშიც ზემო ტახტზე ერთად მოქუჩებულები გადმოჰყურებდნენ სანახაობას, მოკლე კომენტარებით ამკობდნენ ომის მსვლელობას, მაგრამ, – ქურდებსა სცემენო, და იმაში დარწმუნება, რომ ქურდთან არ აქვს საქმე, მაინც ყველასთვის საჭირო იყო, ამიტომ ჩხუბის ტემპი იმ წამოძახილისთანავე დავარდა – მხოლოდ ორი–სამი წამით დავარდა – და ისევ ახალი ძალით იფეთქა.

– სადა სცემენ?! – დაიძახა სპარაპეტამ.

– ვისა სცემენ?! – ყურები სცქვიტეს სხვა ქურდებმა.

– ტამბიას ნახეთ ტამბიას! – ბაიყუშმა, ბაიყუშმა! – დაიძახა კურკალამ. დააყოლა: – ვაწაა! ე რა ხდება, კაცო! – და გაფრინდა კიდეც: დათას კეტმა ნიჩბით ახვეტილი ნეხვივით გადააგდო ტახტიდან.

ბაიყუში, თურმე, დათა თუთაშხიასთვის შერქმეული სახელი იყო და ქურდების ბრბო პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა. ფიქრის დრო აღარ მქონდა, ზეზე წამოვიჭერი. გადაველობე. იმავ წამს წამაქციეს, ზედ გადამიარეს. დათას ეტაკნენ. დათას კეტი ეჭირა, სამი თუ ოთხი ქურდი თვალის დახამხამებაში გამოიყვანა მწყობრიდან, სხვები შედრკნენ, კვეთება წამით შეწყდა.

– ეგ კეტი აქ მომე! – უბრძანა სპარაპეტამ დათას.

– მოდი, ბიძიკო, და წაიღე!

– ჰა, ბაიყუშ! – მოვალთ, კეტსაც წავიღებთ და ჯანსაც! დააგდე, რო გეუბნებიან!

– მე არ მიხლია ხელი თქვენთვის პირველს. მან დამარტყა ჯერ, ეგერ რომ გდია. ტამბია რომ ქვია, ის...

– პირველი მეორე არვიცი! კეტი დააგდე, თორე მოვედით და ეგ არის...

– ჰა, ბაიყუშჯან, დააგდე, ვერა ხედამ რამდენი ვართ?!

– ძალა ერთობაშიაო, ხო იძახიან, არა?.. აი, ერთობა შენ ჩვენი ნახე... ეგ მაგათ ჩვენგან ისწავლეს, ჩემმა მზემ და შენმა მზემ, ჩვენგან!.. – აცნობა სპარაპეტამ.

– წაიღეთ ახლა ის თქვენი ტამბია, ბოვშვებო, და წადით მშვიდობით! – უთხრა დათა თუთაშხიამ.

– არ იძლევა, ნახე?

– გიჟია, რაღა!..

დათა თუთაშხიამ უმალ იგრძნო, ქურდების შემტევი სული გატეხილი იყო და აღარც დაუყოვნებია – თავად ეკვეთა. კიდევ ორი თუ სამი კაცი იქვე წააქცია, სხვები ძირს პანტაპუნტით გადაცვივდნენ, მაგრამ ზურგიდან წამოპარულებმა დათას საბანი გადააფარეს თავზე, წააქციეს და ცემა დაუწყეს. ძირს გადაყრილი ქურდები, მათ შორის – თავდახეთქილებიც კი, ყველანი თვალის დახამხამებაში ამოცვივდნენ, წაქცეულ დათას დააცხრნენ, როგორც სვავები ლეშს, და ყველამ ერთდროულად, დაუნდობლად დასცხეს – რითაც და როგორც შეეძლოთ. ალბათ, გასაგებია, რომ ვაშველებდი და პოლიტიკურებმაც ყველამ მოირბინა, გაშველებაში ჩაებნენ, მაგრამ მხოლოდ გაშველებაში, რადგან პოლიტიკურებსა და ქურდებს შორის ერთი უთქმელი პირობა არსებობდა – ერთმანეთს არ ვერჩოდით, და ეს პირობა რუსეთის იმპერიის ყველა საპყრობილეში, ყველანაირ ვითარებაში მოქმედებდა. დათა პოლიტპატიმარი არ იყო. ამდენად, მხოლოდ გაშველების უფლება გვქონდა. მართალია, ჩვენ რომ არა, იმ გაცოფებულ ნაძირალებს დათა თუთაშხია იქნებ სიკვდილის პირამდეც მიეყვანათ, მაგრამ მთავარი მაინც თვით დათამ შეძლო.. ერთი, რომ კეტი ბოლომდე ხელთა ჰქონდა, ვერაფრით წაართვეს და, მეორე – მომხდურებს, ძალიან მოხერხებულად, დიდი ოსტატობითა და საქმის ცოდნით იგერიებდა. თვლაზე თუ მიდგა, ქურდების ერთ დარტყმაზე დათას სამი დარტყმა მოდიოდა. ეგ არის, ქურდები ოცამდე იყვნენ და დათა კი მარტოხელა იცავდა თავს, თუ გამშველებლებს არ მივიღებთ მხედველობაში... ქურდებისა და დათას ომის დროს საკანმი რა ხდებოდა, დაწვრილებით ამისას ვერაფერს ვიტყვი, სხვებისთვის არ მეცალა. ერთი კია – ჩხუბში მონაწილეთა რაოდენობამაც იმატა, ტემპმაც და გაშმაგებამაც. ძნელი სათქმელია, სადამდე მივიდოდა საქმე, საკნის კარი რომ არ გაღებულიყო და ზედამხედველს არ დაეძახა.

– ტარასტა, აბეეედ!

ბალანდა მოგვიტანეს!

ვფიცავ სინდისს, დაუყოვნებლივ და იმწამსვე, მყისვე და ერთბაშად დამთავრდა ყველაფერი. ქურდებისა და დათას ბრძოლაც კი დამთავრდა, რადგან ზედამხედველს იქით ამანათების დამტარებლის მსუქანი სიფათი გამოჩნდა და ამას კიდევ ერთი დაძახება მოჰყვა.

– პერედაჩები მოვიდა, ტარასტა�ა!

ქურდებმა ყურები ცქვიტეს, დათას დაეხსნენ. სპარაპეტამ თქვა:

– შეეშვით, გიჟიაო, და თავისი კუთხისკენ გაიკრიფნენ. საკანი დაცხრა. ახლაღა გავიგონე, რომ მთელი ციხე, უკლებლივ ყველა კორპუსი და საკანი ღრიალებდა:

– ქურდებსა სცემენ!!!

ეს ღრიალი სხვა ქურდების ორგანიზებული იყო – რა თქმა უნდა, სოლიდარობის, მხარდაჭერის, კოლეგების ხელმყოფთა დაშინება–დაშოშმინების მიზნით, და დადუმდა თუ არა ჩვენი საკანი! ის ერთობლივი ღრიალიც შეწყდა.

– უჰ! გათავდა, მგონია, კაცო?! – საკნის "ტარასტამ" ტახტის ქვეშიდან გამოყო თავი, მიიხედ–მოიხედა. დარწმუნდა, რომ მართლაც ყველაფერი დამთავრებული იყო, გამოძვრა, ტანისამოსი ჩამოიბერტყა, თანაშემწეებს თავი მოუყარა და მათი თანხლებით კარისკენ გამოსწია.

საცაა, ამანათებიც უნდა შემოეტანათ. ქურდები თავის "კუთვნილ წილს" ტიტანური სიმშვიდით ელოდნენ.

დათა თუთაშხია წამოდგა, მოწესრიგდა. ცხვირსახოცი ამოიღო, დასისხლიანებული თავ–პირი შეიწმინდა, უცაბედად შემომხედა, მიცნო და ძალიან გადამდები ხარხარი აუვარდა.

ბალანდის დარიგებას შეუდგნენ. საკანი თიხის ჯამებისა და ხის კოვზების ბორიალმა მოიცვა. კასრებთან რიგი დამწკრივდა. ხმას არავინ იღებდა. ახლახან ნაჩხუბრები ხანგრძლივი უსაქმობითა და მოწყენილობით გულგაწვრილებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ერთიანად დაბეგვილ მოწინააღმდეგეებს. ხანდახან თუ იტყოდა ვინმე:

– კარგად ამოურიე და ისე დამისხიო! – ეგ იყო.

მე და დათა ვისხედით, ვსაუბრობდით. ძალიან ნაცემი იყო, მაგრამ მაინც ისე ეჭირა თავი, ვითომ არც ეჩხუბოს, არც ეცემოთ და არც არაფერი სტკენოდეს.

საკანი ბალანდის ხვრეპას შეუდგა. ფელდშერი მოვიდა – ბიკენტი იალქანიძე, დაშავებულების მკურნალობა გაახურა. მერე ვიღაცას გასძახა, – მე აქ მარტო ვერაფერს გავხდებიო, და ცოტა ხანში მეორე ფელდშერიც მობრძანდა.

წყლები და ტილოები შემოიტანეს, იატაკის რეცხვას მიჰყვეს ხელი. სიბინძურეში ამოთხვრილებმა პარაშა დასაცლელად წაიღეს, იქიდან ზედამხედველებს აბანოში უნდა წაეყვანათ.

ამანათების მიღება–ჩაბარება დაიწყო.

"შობლებმა" ბალანდა შეყლაპეს, ფანჯრებს აეკვრნენ და ჩვენს საკანში მომხდარის გამო ზემო სართულებისათვის ზუსტი ანგარიშის ჩაბარებას შეუდგნენ.

– ვა�ა.. ე რა მოხდა, კაცო!!! – თავისას გაიძახოდა კურკალა.

ხარჩო დაბრუნდა. თავი შეხვეული ჰქონდა, სახეზე ბარე ათგან ეკრა სალბუნი და მხოლოდ თვალი მოუჩანდა. ცალი მკლავი კისერზე შებმულ ჩვარში ჰქონდა გაყრილი, მეორეთი შარვალი ეჭირა, – არ ჩამვარდესო, გაწამაწიაში ახლახან დაკერებული ღილები ასწყვეტოდა. ზემოთ ამოსვლა დააპირა. ერთიანად დალეწილი იყო, ვერც ფეხი დაიმორჩილა და ვერც ხელი.

– ხარჩო–ბატონო, – მიმართა დათა თუთაშხიამ, – რომ ამოძვრე, ვეღარ ჩახვალ მაინც, მოსაქმება მოგინდეს, იქნება, და პარაშას არ მოგიტანენ აქ, იცი შენ ეს. ერთია კიდევ – გაუპატიურებული მამათმავალი არ მჭირდება გვერდში... არ დამიწყო, ახლა, ვბორგავდი, ის საქმე არ ყოფილაო და მისთანები. ა, შენ შენი ბარგი, სხვაგან მოძებნე ადგილი, თუ კაცი ხარ.

ამის თქმა იყო, დათამ ხარჩოს ყურთბალიში და მყრალი საბანი აგორგლა – მუთაქის ტოლა გამოვიდა, მერე ყელზე ხელის ჩამოსაკიდებლად შებმული ჩვარი გაუწია, შიგ ანაგორგლი შეუჩარა და მე მომიბრუნდა:

– თქვენთან ერთად მოიყვანეს ის ბიჭი, ამან რომ გადააგდო... ეგერ რომ ზის. რა ქვია, თუ იცი?

– პოქტია მქვიანო, – ვაცნობე მე.

– რას არ გამოიგონებს ეს ხალხი.. პოქტია, მოდი აქ, ბიძიკო! – დაუყვირა დათამ.

ბიჭი მოვიდა, ღიმილით ამოგვხედა.

– ამოდი და დაწექი აქ! გათავისუფლდა ადგილი.

პოქტია უკვე ჭკუანასწავლი იყო, წარბი შეჰკრა, დათას ეჭვიანი მზერა ესროლა.

– ამოდი ბიძიკო, ამოდი! – გაუმეორა დათამ.

პოქტია დარწმუნდა, საშიშროება რომ არაფერი იყო, და მარდად ამოვიდა.

– გაშალე ეს ჩემი ნაბადი, ორნი რომ მოვთავსდეთ, ისე, და მოგიტანენ, ალბათ, ლოგინს მერე და მერე. არაფერი ქურდი არ ხარ შენ და აზნაურობის მაძიებლობას დაანებე თავი.

პოქტიამ გაიცინა, შიშველ ფიცრებზე წამოწვა.

– კვიმსაძე არი, კვიმსაძე?! – დაიძახა ამანათების დამტარებელმა.

– არის, არის, – დაუდასტურა მამასახლისმა და პოლიტპატიმრებს გასძახა: – კლასიონ ამანათია შენი აქ... კვიმსაძეეე!

– კლასიონ ბიჭიევიჩ! აგერ ვარ, მოვდივარ!

კლასიონი ორმოციოდე წლის კაცი იყო. თვრამეტი წლის ასაკის შემდეგ თხუთმეტი წელიწადი ციხეებსა და გადასახლებებში ჰქონდა გატარებული. დანარჩენი დრო, როგორც თვითონ ამბობდა, ხელახლა ჩასაჯდომად ემზადებოდა. მას იცნობდა რუსეთის იმპერიის არალეგალური სამყაროს თითქმის ყოველი ცნობილი წარმომადგენელი, მაგრამ ვერავინ იტყოდა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა კლასიონი, რა პოლიტიკური მრწამსი ჰქონდა ან რა სურდა, გარდა იმისა, რომ ცარიზმი ყოველ მიზეზს გარეშე განადგურებულიყო. სასაცილო, მაგრამ საჭირო კაცი – ასე უწოდებდნენ კლასიონ კვიმსაძეს და ეს დახასიათეგა საოცრად სწორი გახლდათ. იყო მის ბიოგრაფიაში ასეთი მომენტი: ერთ–ერთი გაცხარებული კამათის დროს, როცა ვეღარაფერი გაუგეს, თუ რომელ პოლიტიკურ მოძღვრებას იზიარებდა პირდაპირ ჰკითხეს:

– თქვენი პლატფორმა, ამხანაგო კლასიონ?

– რიონი, ბატონო! – კლასიონი ქუთაისელი მღვდლის შვილი იყო.

სწორედ იმ ქუთაისელი მღვდლის – მოხუცი ბიჭია კვიმსაძის – შემოგზავნილი გახლდათ ის ამანათი. უზარმაზარი რამ იყო, კლასიონმა მარტო მოხარშული დედლები მიითვალა თორმეტი.

– კლასიონ–ბატონო, მაგ თორმეტ დედალში ერთი ნამდვილად მამაჩემის შეწირულია მამაშენის ეკლესიისათვის, – გაემასხრა ვიღაც ქუთაისელი.

– შენ რომ დაგიჭირეს, მას მერე სად ყავს ქათამი შენს ოჯახს, ბიჭო? – შეუბრუნა კლასიონმა. – ჰა, შენ ერთი დედალი, გაუგზავნე, ყავდეთ, სანამდე გაგიშვებდნენ და საკუთარი დაუბრუნდებოდეთ შინ. ჰა, შენ ხაჭაპური და, აგერ, შოთიც წაიღე ერთი.

კლასიონ კვიმსაძემ ხორაგი მოიტანა, დაახარისხა, დაანაწილა, ჩვენთვის იმდენი დაიტოვა, რაც არ გაგვიფუჭდებოდა, და მისაკითხავების დაგზავნას შეუდგა. ამასობაში ანდრო ჭანეიშვილმა სუფრა გააწყო.

– ალექსი, წამოიყეანე დათა და მოდით, ვჭამოთ, კაცო, აღარ მოგშივდათ?! – დაგვიძახა შალვა თუხარელმა.

– გადაიშალე ნაბადი და დაწექი ისე, – უთხრა დათა თუთაშხიამ პოქტიას, როცა წასასვლელად გავწიეთ.

მივედით, ტახტზე გაშლილ პურ–მარილს შემოვუსხედით. კლასიონი ერთი ჩოჩქოლ–ჩოჩქოლით გზავნიდა მისაკითხავებს და ყოველ გზავნილებას სიტყვიერ ტექსტს მიაყოლებდა.

– ა, წაუღე ეს ქურდებს, სისხლი გაშრა მაგათი, რაფრა ჩამცხო რომელიღაცამ იმ გაშველება–გამოშველებამი, კუკუზნაკი მტკივა, გავგიჟდე ლამის... წაუღე და უთხარი: წილი არ გეგონოთ, კლასიონ კვიმსაძისაგან არაფერი წილი არ გეკუთვნით, მოსაკითხავია ეს–თქვა... მეტი არ იქნა ჩვენი მტერი და იქამდე არაფერი ეტკინოს მამაჩემ ბიჭია კვიმსაძეს... “უუფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე,

უფალო შეგვიწყალე” – მამას გამოაჯავრა შვილმა, – წაუღე და, მოსაკითხავია, წილი არ გეგონოთ, თქვე ტილიანებო–თქვა, არ დაგავიწყდეს ეს...

– ძალიან კოხტად გამოგდის, კლასიონ, შენგან კაი მღვდელი დადგებოდა, – გაემასხრა შალვა თუხარელი.

– მეფეს რომ უნდა, მღვდლებად გამოზარდოს, ისინი დაუნგრევენ სწორედ მიწიერ სასუფეველს, თვარა, ვნახავთ მაგასაც!.. – კლასიონმა ხელები გადაიფშვნიტა, ჭადი გატეხა და ჭამას შევუდექით.

– ასეთი ხაჭაპურები იცის საცოდავმა ელემ, ჩემმა დამ, – თქვა დათა თუთაშხიამ, პატარა ხანს იფიქრა და დასძინა. – რამდენი ხანია ვზივარ და ერთხელ არ მოსულა აქ, რაღაც არის მის თავს, ნამდვილია ეს.

– ამ ერთ კვირაში ორჯერ გადმოგცეს და ვის მოაქვს, გყავს ვინმე თბილისში? – ჰკითხა შალვა თუხარელმა.

– რძალია. ჩემი ბიძაშვილის, მუშნი ზარანდიას, ცოლი.

– არ იდარდო, ღმერთი მოწყალეა, დათა–ბატონო, – გაამხნევა კლასიონმა.

– კლასიონ, ქერა ზანგი გინახავს შენა? – მიამიტად ჰკითხა შალვა თუხარელმა.

– ნახავ მეფის და მისი სატრაპების ხელში რამეს! – დაუყოვნებლივ და სრულიად სერიოზულად მიუგო კლასიონმა, ერთხანს იფიქრა და თქვა: – რავა, არის, საერთოდ, ქერა ზანგები, თუუ.

ხარხარი ატყდა, კლასიონს შერცხვა, რომ წამოეგო, და მისაფუჩეჩებლად დათას შეემასხრა:

– შენ მაინც რა გაცინებს, ვიცოდე ერთი! სიკვდილს რომ გადარჩი, ის გიხარია, ხომ?.. დედა, რა ურტყეს და რას გაუძლო ამ კაცმა, არ იტყვით?!

– ასე, მართლაც, არ ვუცემივარ არავის და არასოდეს. – სიცილითვე დაუკრა კვერი დათა თუთაშხიამ. – ძალიან ბევრნი იყვნენ ოხრები!

– შენი ხასიათის პატრონს, უარესი მოგიწევს და ხშირად მოგიწევს, ძამიკო, – დასძინა კლასიონმა.

– რა ხასიათი მაქვს ასეთი, ნეტავი?

– რაც სახელი შეგარქვეს, ის ხასიათი გაქვს, სწორედ! მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, – არ უსწავლებიათ პატარაობისას შენთვის ეს ანდაზა, დავით–ბატონო?.. მარტო არ უნდა იყო, ვინმეს მხარეზე უნდა იყო, თვარა, ნაბეგვი იქნები სულ “სე ლა ვი” და რას იზამ! – დაუფრანგულა კლასიონმა.

– აქ ექვსნი ვართ. ადვილი შესაძლებელია, ბრძოლის სხვადასხვანაირი მეთოდების მომხრენი ვიყოთ, – პირველად გამოელაპარაკა დათას თომა კომოდოვი – მაგრამ ერთი რამ ექვსივეს გვაერთებს: ხალხის უმჯობესი მომავლისათვის ბრძოლის წყურვილი, რომელ პოლიტიკურ მოძღვრებასაც უნდა იზიარებდეს ყოველი ჩვენგანი. საბოლოო მიზანი მაინც ერთნაირი გვაქვს. ეს გვაერთებს, ამით ვართ ძლიერები!..

– ნამეტანი ძლიერები ვართ ნამეტანი! – სიტყვა ჩამოართვა კლასიონმა. – ძლიერები!.. გაჩერდი, თუ კაცი ხარ. ისე ერთობით ვართ და ისე ძლიერები ვართ, რომ ერთი ძღინკიანი მეფე ვერ ჩამოვაგდეთ, არ დაადგა საშველი და მაგ კი არა, აქეთ გამოგვალპო ციხეებში!.. ე, ერთობით ვინ არის, – კლასიონმა ქურდებისკენ გაიშვირა ხელი.

– მაგენი! – – თქვა დითამ, – მაგათი ერთობა იქიდან მოდის, რომ ყოველ მათგანს ცალ–ცალკე თავის გატანა და კაი ცხოვრება უნდა. საკუთარი კეთილდღეობისთვის ერთობაა ქურდების ერთობა. სხვისი კეთილდღეობისთვის ერთობა სხვაა კიდევ და ცოდნა უნდა ამას. ამის უცოდინარი კაცებით რომაა სავსე რევოლუციური მოძრაობა, მიტომ არის ის ერთობა ფუყე და უსუსური და მიტომ არის, ამდენ ხანს რომ ვერ იმარჯვებს!

– დიდი მცოდნე კაცი ყოფილხარ, რა ხანია გატყობ, დათა–ბატონო, და რომ გვასწავლიდე, ცარიზმს რა მოვუხერხოთ, კაის იზამ, ნამეტანი, – წაექილიკა კლასიონ კვიმსაძე.

ბავშვობიდან ვიცოდი, დათა თუთაშხია დასაცინი კაცი არ იყო, და მეუხერხულა. ისიც დავინახე, რომ კლასიონს არც სხვებმა მოუწონეს საქციელი. თვით კლასიონიც რამდენადმე შემცბარი იყო, მაგრამ მგონი, იმიტომ, რომ სამასხროდ ნათქვამმა მოსალოდნელი რეაქცია არ მოუტანა. მხოლოდ დათაზე ვერ იმოქმედა კლასიონის უშნო ოხუნჯობამ.

– დიდი მცოდნის რა გითხრა და, ვერც იმისას მოგახსენებ, ცარიზმს როგორ უნდა მოევლოს, მაგრამ, დავიყვან აგერ, ამ ბარკალს და ვიტყვი, რაც ვიცი!..

– ქურდების ერთობის გცოდნია, ბატონო; სხვისი კეთილდღეობისთვის ერთობის ამბავი – კიდევ უფრო მშვენივრად; შენ მარტო რომ ხარ, სხვები რომ ერთობით არიან და ამით რომ დაგირეჯგვეს გვერდები და თავ–პირი – ამასაც შენი პირით ამბობ!.. მიდი ვინმესთან, გააკეთე შენც, რასაც ისინი გააკეთებენ, და ვეღარ გაგიბედავს ვერაკაცი ვერაფერს და ვეღარც გიბაგუნებენ წაღშა–უკუღმა... – კლასიონ კვიმსაძეს ამ ადგილას გაუწყდა სიტყვა, რადგან დათა თუთაშხიამ წამახული მარგილივით მიაბჯინა თვალები. ლუკმა გადაყლაპა და მიუგო:

– შენ მაგისთვის მიეკედლე, მგონია, რევოლუციას და მეც მასე მოვიქცე, თუ?!

უხერხულობამ დაგვადუმა და კლასიონიც, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ წესიერ კაცს უღირსად ელაპარაკებოდა.

– თუ ხალხის მომავალზე უანგაროდ მოფიქრალი კაცები ხართ თქვენ, – სიჩუმე დაარღვია დათა თუთაშხიამ, – თქვენი მიზანი ის თუა, რომ ადამიანი იმაზე უკეთესი შეიქნას, ახლა რომ არის, მაშინ კაი ხნის მოსული ვარ თქვენთან მე, კაი ხნის!

პატარა ხანს ისევ სიჩუმე იყო.

– გაწყენიე, დათა თუთაშხია, ჩემი ხუმრობით, და ნუ მიაქცევ ყურადღებას, თუ კაცი ხარ, – ღიმილით უთხრა კლასიონ კვიმსაძემ.

– არაფერი არ მწყენია მე.

– შეუძლებელია, არ გწყენოდა, გადავაჭარბე... პატარაზე.

– მაგაზე ნუ იფიქრებ და ნუ შეწუხდები. მართლა არ მწყენია, ვფიცავ სინდისს! – გაუმეორა დათამ.

კლასიონ კვიმსაძე გაინაბა, დათას დააკვირდა და ცოტა ხნის მერე უთხრა:

– აბა, ის უნდა მითხრა მაშინ, რატომ არ გწყენია.

– მაგ თუ გითხარი, კლასიონ, მაშინ შენ დარჩები ნაწყენი და დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს.

დათაშ შოთის ნახევარზე მოხარშული დედლის მოზრდილი ნაჭერი, ყველი და ორი კვერცხი დააწყო, ვიღაცას დაუძახა, პოქტიასთან გაატანა. კლასიონი მხარ–თეძოზე იწვა, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, თუ რა იგულისხმა დათა თუთაშხიამ თავის ნათქვამში.

– კლასიონ–ბატონო, შენ რომ ჩემს მოსვლას და თქვენთან ერთობას ამბობ, მომიწევს მაგის გაკეთება მე, მაგრამ როდის, თუ იცი? – ლაპარაკის თემა შეცვალა დათა თუთაშხიამ.

– როდის, მაინც?

– ამ უაზრო ჩხუბს და უბედურებას ხომ უყურეთ თქვენ და ხომ დაინახეთ, რა ძალა და ილაჯი დევს ხალხში! დროით და წყობილებით გაუბედურებული და ცხოველის დონემდე დაყვანილი ხალხია ეს

ხალხი. იქაც ასეა, სწორედ, – დათამ ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი. – მდინარეს წისქვილი როგორ უნდა დავატრიალებინო – ვიცი ეგ მე; ამ ხალხის ძალა და ილაჯი, ასე უაზროდ რომ იხარჯება, მათივე სასარგებლოდ რომ დაიხარჯოს, ეს როგორ უნდა გაკეთდეს, ამას ვისწავლი ჯერ და მოვალ მაშინ – დათამ იყუჩა და დასძინა: – თქვენ თუ იცით ამ საქმის რამე, მოვალ და ვისწავლი თქვენგან.

– ჯერჯერობით არ ვიცით, დათა! – თომა კომოდოვი ჩაერია საუბარში. – ეგ რომ გვცოდნოდა, არც ამდენ შეცდომას დავუშვებდით და რევოლუცია, იქნებ, უკვე გამარჯვებულიც ყოფილიყო... ვაკვირდებით, ვსწავლობთ, ვისწავლით! ერთობა მაგაშიც საჭიროა...

– მეტი არ იქნა ჩვენი მტერი ჩვენ ვერაფერი ვისწავლოთ! – ბოღმით ჩაილაპარაკა კლასიონმა და ძირს ჩავიდა.

ჩვენი შემდგომი საუბარი ისე წარიმართა, რომ მომხდარი ჩხუბის გაანალიზებასა და პატიმართა ამბოხების შესაძლებლობებზე ვიმსჯელეთ დიდხანს. დათა თუთაშხია აქტიურად იყო განწყობილი, ჩანდა, თავადაც ბევრი ჰქონდა ნაფიქრი ამაზე.

კლასიონ კეიმსაძეს ქვემოთ ხალხი მოეგროვებინა, დიდი აზარტით უხსნიდა განსხვავებას თეატრალურ ჟანრებს შორის. დაახლოებით ასეთ განმარტებას აძლევდა:

– ა, კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: გოგოს უყვარს ბიჭი და ბიჭს უყვარს გოგო. უყვართ ერთმანეთი და რა გინდა, რომ ქნა? ცდილობს ეს ბიჭი, რამენაირად ლოგინამდე მიიტყუოს გოგო და აგერ–აგერ ქეც მიიტყუებს, ისე ეტყობა საქმეს. რცხვენია გოგოს და რაცხა ასეთები კიდევ. მოდის ახლა მესამე – მუზმუზელა და ოხერი ვიღაც, შეუჩნდება ამ გოგოს, არ აძლევს საშველს. იმდენს იზამს, რომ დაიყოლიებს, წაიყვანს და რა ქნას მაშინ შეყვარებულმა ბიჭმა? რას იზამს – მიტრიალდება და წავა სხვა გოგოს საძებრად! ა ესაა დრამა. ახლა ტრაგედია: იმ მიტოვებულმა ბიჭმა თავი თუ მოიკლა, ე, ისაა ტრაგედია, და კომედია რაა, თუ იცით? რაა და, დღეს რომ თქვენ ჩხუბი ქენით და არც ერთმა რომ არ იცოდით, რატომ ჩხუბობდით – ე, ისაა კომედია!..

ამ დროს საკნის კარი გაიღო. ჯერ აბანოში წაყვანილი ხალხი შემოიხვეტა – ბარე, ოცდახუთი კაცი, მერე ციხის უფროსი და მისი თანმხლები პირები შემობრძანდნენ. მამასახლისი მაშინვე იქ გაჩნდა და

საკანი გაინაბა.

კოცი – ციხის უფროსი, შუაში იდგა. აქეთ–იქით ორ–ორი ჟანდარმი ჰყავდა. ზურგს უკან, კარებში – ზედამხედველები. ციხის უფროსს მარტო გვარი კი არ ჰქონდა ორიგინალური – თავადაც საკმაოდ

საკვირველი კაცი იყო. მისი ხმა არავის გაეგონა და ლაპარაკი საერთოდ თუ შეეძლო, ამაზე დარწმუნებით ვერავინ რასმე იტყოდა. ამ შემთხვევაშიც ისე განვითარდა საქმე, რომ კოცს ხმა არ დაუძრავს. უფროსმა ზედამხედველმა რაღაც წაუჩურჩულა. კოცმა თავი დაიქნია – სულ ოდნავ დაიქნია, შეიძლება ითქვას, არც დაუქნევია.

– პოქტია რომელია! – დაიძახა უფროსმა ზედამხედველმა, პოქტია წამოიწია, – მე ვარო.

– გამოდი!

გავიდა. უფროსმა სამი თითი აიშვირა – კარცერში, სამი დღე–ღამით. კორპუსის უფროსმა პოქტიას თვალი შეავლო, პანღური ამოსცხო და დერეფანში გააგდო. უფროსმა ზედამხედველმა ციხის უფროსს ისევ წასჩურჩულა. ამან თავი დაიქნია.

– ხარჩო გამოდი!

ხარჩომაც სამი თითი და პანღური მიიღო, დერეფანში გალასლასდა.

– ჩემი ჯერია, ახლა... აქ ყოფნას კარცერი ჯობია, ჰაერი მაინც არის საკმარისი იქ, – ჩაილაპარაკა დათამ და, მართლაც, თუთაშხია დაიძახეს.

დათა მივიდა და დადგა. ციხის უფროსმა ერთხანს თვალებში უყურა, მერე ხელი აიქნია, – წადი, თავისუფალი ხარო, და კორპუსის უფროსს ანიშნა, – შემდეგიო.

ტამბიას, დარდაკას, თქვენ წარმოიდგინეთ, კურკალასა და სპარაპეტასაც კი, ქურდების "პაპას", ყველას სამი თითი, თითო პანღური და დერეფანში გაყვანა ერგო. ამის შემდეგ უფროს ზედამხედველს, ჩანს, გადასაჩურჩულებელი აღარაფერი გააჩნდა და მაშინ კოცი პირადად შეუდგა საქმეს. საკანმი შემოვიდა, სასიარულოდ დატოვებულ ბილიკს მარჯვნივ ბოლომდე ჩაჰყვა, მერე ზურგი იბრუნა, საკნის მეორე ბოლოში გავიდა და როცა ისევ კართან მიბრძანდა, კიდევ თხუთმეტი კაცი უკვე დერეფანში იყო პანღურის ცემით გაგდებული. რა მიზეზით დააბრუნა დათა თუთაშხია, ან რის მიხედვით არჩევდა დასასჯელებს, ამის რა მოგახსენოთ, მაგრამ, ნამდვილია, რომ ხმა არავის დაუძრავს. თითს დაუქნევდა, – ჩამოდიო, გადიო! ან ადექი და წადიო, და იმ ერთ დაქნეულ თითს კიდევ ორ თითს უმატებდა. ეს იყო და ეს. დაწუწუნებაც კი არავის მოსვლია აზრად. ბოლოს ციხის უფროსი საკნის მამასახლისს მიუბრუნდა, ხუთივე თითი ცხვირწინ აუბზიკა და ძალიან თავაზიანად, დაახლოებით ისე, როგორც ხელგაშლილმა მასპინძელმა სასურველი სტუმარი – დერეფნისაკენ გაიპატიჟა.

– ესაა საქმე? – ტახტის ქვემოდან ცხვირი არ გამომიყვია... ამდენს ვწვალობ... ესაა საქმე? – აწუწუნდა "ტარასტა" და დაიძრა.

კორპუსის უფროსმა მამასახლისსაც მიაყოლა პანღური, მაგრამ მე ისე მგონია, ნათქვამის გამო მოხვდა, თორემ კოცის გულღია, ზრდილობიანი მიპატიჟების შემდეგ პანღური მოსალოდნელი აღარ იყო, თუ ციხისა რამე გამეგება.

კარი ჩაიკეტა.

კიდევ ერთი კვირა ან ათი დღე გაგრძელდა კარანტინი, წესისამებრ, პირველი პატიმრის შემოყვანიდან ოცდაერთი დღის თავზე დაიშალა და საკნებს მივაშურეთ.

**გრაფი სეგედი**

სანამ გადადგომის თანხმობას ველოდებოდი, ხოლო მინისტრი, ჩემთვის დღემდე გაუგებარი მიზეზით, პასუხს მიგვიანებდა, სახელმწიფოში სოციალური ვითარება ერთობ დაიძაბა. ცხრაასიანი წლების რევოლუციის მემატიანეობა ჩემს ამოცანას არ შეადგენს, ამ საგანზე სხვადასხვა თვალსაზრისის ვრცელი ლიტერატურა არსებობს და დილეტანტის რემინისცენციები, ვფიქრობ, ისტორიას კეთილ სამსახურს ვერ გაუწევს. ამიტომ ორიოდ ზოგადი შეხედულებით შემოვისაზღვრები და ამ ჩანაწერების თემას გავყვები.

ყველაფერმა, რაც ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვნახე, განვიცადე და აღვიქვი, ისეთი რწმენა მემიქმნა, რომ სახელმწიფო არის ნელ ცეცხლზე მოთუხთუხე, ვეებერთელა სალაფავიანი ქვაბი და მოქალაქე – ქვაბთან ჭიპლარით მიერთებული არსება. დგება დღე, თავს იჩენს სრულიად გაუგებარი საჭიროება, რომ საკვები მილი ვიღაცამ მაკრატლით გადაჭრას და, აი, მაშინ... ატაცებულ–აფოფინებული დარბის ათეული მილიონობით ადამიანი, ყოველ მათგანს თავისი ჭიპლარი უჭირავს და ზოგი ძველ ქვაბთან კვლავ მიერთებას ლამობს, ზოგი ახალს დაეძებს, ზოგი მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებულის პოვნას არის გადაგებული... და ეს ორომტრიალი გრძელდება იქამდე, სანამ ვინმე ძველსავე ქვაბს სხვა საღებავით შეალამაზებს და ახალ სახელს შეარქმევს. მაშინ ჭიპლარები ისევ ტკიპებივით ეკვრიან ქვაბს და "ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე".

ცხრაასიანი წლების ამბებიდან მე, როგორც თანამდებობის პირსა და ტახტის მსახურს, მთავარ დასკვნად ის შემომრჩა, რომ ხალხს მეტი სიბრძნე, ხოლო ხელისუფლებას მეტი

სულგრძელობა მართებდა. სიბრძნეში საპირისპირო ინტერესების შეთანხმებას ვგულისხმობ და სულგრძელობაში – კონსტიტუციურ მონარქიას. რა თქმა უნდა, ასეთი გამოსავალი, ისევე, როგორც ყველაფერი ცისა ქვეშე, დროებითი იქნებოდა, მაგრამ...

და კიდევ ერთი დასკვნა, თუ გნეგავთ – აღმოჩენა. ზემოთ ბევრი რამ მაქვს ნათქვამი იმაზე, რომ ასაკმა, სამსახურში თუ მის გარეთ ჩამოყალიბებულმა ვითარებამ, საკუთარ ფსიქიკაში მომხდარმა ძვრებმა უმძაფრესი განცდები მომიტანეს და კრიზისიდან თავის დასაღწევად, – დღესაც უღრმესად ვარ დარწმუნებული, – ერთადერთი სწორი გზა გამოვნახე: თანამდებობიდან გადადგომა, სასამსახურო კარიერის დამთავრება. რაიმე გადაწყვეტილებამდე მისვლა, მისი შესრულება და შედეგების ანალიზი მუდამ ძლიერ საინტერესო პროცესად მიმაჩნდა. პირველი ფაზაა ვითარებაში გარკვევა, ფაქტების შესწავლა, დასკვნის გამოტანა. მეორე ფაზა – ღონისძიება და მისი განხორციელება მესამე – ახალ ვითარებასთან შეგუება და მეოთხე – გადაწყვეტილების გამომწვევ მიზეზთა ხელახალი ანალიზი, რასაც შემთხვევათა უმრავლესობაში, რაიმე აღმოჩენა მოსდევს. ჩემი აღმოჩენა იმაში მდგომარეობდა, რომ პირველ ფაზაში, ანუ ვითარებაში გარკვევის, ფაქტების განხილვა–შესწაელის პერიოდში, მხედველობიდან გაშომრჩა ქვეცნობიერება, რომელმაც, თურმე, მთავარი როლი შეასრულა: ჩემს თანამდებობაზე, იმპერიის მაშინდელ სოციალურ, შინაპოლიტიკურ ვითარებაში, უფრო ძლიერი, ულმობელი კაცი იყო საჭირო. ჩემი ლიბერალიზმით, შეხედულებებითა და ყოყმანით ტახტისა და სახელმწიფოსთვის მხოლოდ ზიანის მიყენება შემეძლო. ეს მიზეზი პატაკის გაგზავნის შემდეგღა გავიცნობიერე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ, უპირველესად ყოვლისა, ინტუიცია ქმნის საქციელს და მერეღა – სტერეოტიპები თუ ანალიზი.

დიახ, ვიჯექი და ველოდი მინისტრის პასუხს, მაგრამ სანამ თანამდებობა მეჭირა, მოვალეობებიც უნდა აღმესრულებინა. სწორედ ამ პერიოდში მივიღე დირექტივა საპატიმრო ადგილებში მოსალოდნელი ამბოხებების გამო. გვევალებოდა, საგანგებოდ შეგვესწავლა ვითარება, განწყობილებები და სამინისტროსთეის ანგარიში წერილობითი მოხსენების სახით ჩაგვებარებინა. ეს მეტად რთული, პასუხსაგები სამუშაო იყო. თავად მოვკიდე ხელი იმ იმედით, რომ გადადგომის დასტურს მალე მივიღებდი და საკითხის შესწავლას ჩემი შემცვლელი დაასრულებდა. მოხდა ისე, რომ მინისტრმა ჩემი თხოვნა მაშინღა დააკმაყოფილა, როცა სამუშაოც დამთავრებული მქონდა და ვრცელი მოხსენებაც დაწერილი.

ამბოხება თბილისის საგუბერნიო ციხეში ჩემი გადადგომიდან სამი წლის შემდეგ მოხდა. ცხადია, იმ ამბების უშუალო მოწმე არ ვყოფილვარ, სამსახურს ჩამოშორებული კაცი ამბოხეპის მიმართ არც დიდ ინტერესს გამოვიჩენდი, მაგრამ აქციის ერთ–ერთი მოთავე დათა თუთაშხია გახლდათ. ამ გარემოებამ მოვლენის მსვლელობაში ჩამითრია, რა თქმა უნდა, მოთვალთვალის სახით, და გარემოებათა ადრე მიღებულ ცოდნას, შეიძლება ითქვას, სრული ინფორმაცია დაემატა. ამდენად, მაქვს საშუალება, იმ ამბოხებაზე ვიმსჯელო.

რატომ თვლიდნენ რევოლუციონერები საჭიროდ პატიმრების ამბოხებებს? თვით რევოლუციონერები ამას დაკითხვებზე, დაახლოებით ასე ასაბუთებდნენ:

ათას ცხრაას ხუთი წლის ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტით თვითმპყრობელობა რუსეთის იმპერიის ხალხებს პიროვნების ხელშეუხებლობასთან და სინდისის, სიტყვის,

კრებების, კავშირების თავისუფლებასთან ერთად, პოლიტპატიმართა ამნისტიასაც შეჰპირდა. უმალვე აღმოჩნდა, რომ მანიფესტით ცარიზმს დროის მოგება სურდა. მანიფესტის პარაგრაფები მხოლოდ იმდენად სრულდებოდა, რამდენადაც ამას თვითმპყრობელობისთვის მოჰქონდა სარგებლობა. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა.

საკანონმდებლო სათათბიროც წინასწარ იყო დაკოდილი და პოლიტპატიმართა ამნისტიაც. პროფესიული რევოლუციონერების დიდი რაოდენობა სხვადასხვა საბაბით საპყრობილეებში ჩატოვეს, ხოლო მანიფესტის შემდეგ უფრო მეტი გაშმაგებით მიჰყვეს ხელი დაპატიმრებებს.

მანიფესტი გამოქვეყნდა, სათათბიროც აირჩიეს და რევოლუცია არა მარტო გაგრძელდა, არამედ უფრო გაღრმავდა და გამძაფრდა. რატომ? იმიტომ, რომ მასები აღთქმული დაპირებების შეუსრულებლობას ხედავენ. ხალხის გულუბრყვილო ნაწილი მანიფესტის აღსრულებას მოითხოვს. უფრო გამჭრიახი ნაწილი დარწმუნდა, რომ მანიფესტი მხოლოდ ხაფანგია, და ერთადერთ გამოსავალს თვითმპყრობელობის დამხობაში, ცარიზმის მოსპობაში ხედავს. ციხეების ამბოხება საერთო სახალხო მოძრაობის აუცილებელ შემადგენლად არის მიჩნეული. ჩვენ ცარიზმს უნდა დავუმტკიცოთ, რომ რევოლუციას საპყრობილეებითა და მასობრივი რეპრესიებით არამცთუ ვერ ჩაახშობს, არამედ გაამახვილებს კიდეც და რომ თვითმპყრობელობის ერთადერთი ხსნა, ისიც დროებითი, მანიფესტით გათვალისწინებული პირობების მთლიან, სრულ, გადაუდებელ აღსრულებაშია. ამბოხების ერთ–ერთი მიზანი მაგალითის შექმნაშიც მდგომარეობს. ჩვენ სხვა ციხეებიც მოგვბაძავენ. ეს იქნება დარტყმა თვითმპყრობელობის საფუძველთა საფუძველზე – საპყრობილეებზე. ნარმოიდგინეთ იმპერია, პოლიციური სახელმნიფო, რომელიც რეპრესიებითა და სატუსაღოებითაც კი ვეღარ იოკებს აღშფოთებულ მასებს! აქ მას მხოლოდ ის გამოსავალი ექნება, რომ ფარხმალი დაყაროს ან მასობრივ ხოცვა–ჟლეტას მიჰყოს ხელი, რაც მხოლოდ მოაახლოებს მის დაღუპვას.

ამბოხება, მოგეხსენებათ, უკმაყოფილო მასის აქტიური მოქმედებაა. მაშინ ორთაჭალის საპყროგილეში ოთხი ათას შვიდასი პატიმარი იჯდა. ერთი შეხედვით, ეს ფრიად დიდ ძალას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ აუტანელი პირობები იყო. საკნებში ორას–ორასი, სამას–სამასი კაცი პირდაპირ მოასფალტებულ იატაკზე “რკინის რიგით” იწვა. ტახტები რატომღაც მხოლოდ კარანტინში იყო შემორჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ პატარა საკანს, სადაც კატორღელები ისხდნენ. სახაზინო კვება არაფრად ვარგოდა და ციხის დიდი გადატვირთვის გამო ადმინისტრაცია გარედან მოტანილი საჭმლის მიღებას, გაჩხრეკასა და საკნებმი ამოტანას ვერ ასწრებდა. ჭირისუფლები იძულებული იყვნენ, დილიდან დაღამებამდე საკვების გადმოსაცემ სარკმელთა რიგში მდგარიყვნენ. ხშირად ვერც ახერხებდნენ გადმოცემას და მოტანილ ამანათიანად შინ ბრუნდებოდნენ. ისიც ხომ მხედველობაშია მისაღები, რომ შინიდან საჭმლის მომტანი არცთუ ყველას ჰყავდა. ამას დაერთო, რომ ციხის უფროსის ბრძანებით, ერთ მშვენიერ დღეს, სართულებისა და საკნების კარები ჩაიკეტა და პატიმრებს მიმოსვლის საშუალება მოესპოთ. აქედან მოყოლებული, საჭირო ოთახშიც კი წინასწარ შედგენილი ცხრილით, მთელი საკანი ერთად გაჰყავდათ და უმალ საკანშივე კეტავდნენ. ეს მარტო დილით და საღამოთი ხდებოდა და ამიტომ საკნებმი ვეებერთელა პარაშები დადგეს. ყოველივე ამან დიდი უკმაყოფილება, დრტვინვა გამოიწვია. გახშირდა ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევები და ზედამხედველებზე გაწევ–გამოწევის

მაგალითებიც კი. გამოსვლებზე, გაფიცვებზე, აჯანყებებზე – საერთოდ, რევოლუციის მსვლელობაზე გარედან შესული ამბები – ციხემი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სალაპარაკო თემა იყო და ესეც აღიზიანებდა ადამიანების ფსიქიკას, გადამწყვეტობით მუხტავდა, საბრძოლო განწყობილებას ქმნიდა. ამას გარდა, საკნებში მრავლად იყვნენ მოხალისე თუ გამოყოფილი აგიტატორები, რომლებიც რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ და, უნდა ითქვას, ერთობ შედეგიანადაც, იმის მერეც კი, როცა საკნებში ჩაკეტეს და პროპაგანდისტებს ადგილგადანაცვლების საშუალება თითქმის მოესპოთ, სიტყვით მოქმედება ისევე გრძელდებოდა, როგორც მანამდე. მოკლედ რომ მოვჭრათ, ციხეს, პატიმართა მასას, ერთი შეხედვით, მოწოდებისა და მაგალითის მიცემის მეტი არაფერი უნდოდა, მაგრამ... ისიც შესაძლებელია, რომ მასა საბრძოლოდ იყოს განწყობილი და აქტიურ მოქმედებამდე კი ვერ მივიდეს. მოქმედებამდე მიუსვლელობას, აქტიური, ხელჩართული წინააღმდეგობის გაუწევლობას მრავალი მიზეზი აქვს და, მათ შორის, ორია უმთავრესი: მასის სოციალური შემადგენლობა და საბაბი!

გავრცელებულია მცდარი აზრი, ვითომ ამბოხებები, აჯანყებები და ფართო მასშტაბის სხვა სახალხო გამოსვლები ვიღაცის მიერ წინასწარ დანიშნულ დღესა და საათზე იწყებოდეს. მე არ ვგულისხმობ სამთავრობო გადატრიალებებს, როცა შეთქმულთ ერთგული სამხედრო ნაწილები ჰყავთ და ოპერაციის დაწყებას ბრძანების მეტი არა უნდა რა. ხალხის ამბოხებაზე ვლაპარაკობ და აქ სულ სხვა რამ არის საჭირო. მასა, როგორი დამუხტულიც უნდა იყოს იგი, ბრბოდ თუ არ იქცა, აქტიურ მოქმედებას ვერ დაიწყეგს. იგი ინერტული, უმჯობეს შემთხვევაში, შესაძლებელი აფეთქების შემცველი რამ არის და საჭიროა მისი ამოქმედება, ბრბოდ ქცევა. ამისთვის კი საბაბია საჭირო! შემდეგ, ბრბოს, თუკი იგი ბრბოდვე რჩება, აუცილებელი დამარცხება, გაფანტვა და კვლავ მორჩილება უწერია. იმისთვის რომ

მისი მოქმედება სერიოზულ აქციაში გადაიზარდოს, საჭიროა მაორგანიზებელი ძალა გარკვეული რევოლუციური მოძღვრებით აღჭურვილი ადამიანების სახით – ძალა, რომელიც მიზანს, ბრძოლის გზებს დაუსახავს, ტაქტიკით შეაიარაღებს ბრბოს. აი, რა ხალხი იყო მაშინ ორთაჭალის ციხემი და რა ფენებისგან

შედგებოდა მისი მოსახლეობა:

ყველაზე მცირერიცხოვანი იყო პროფესიული რევოლუციონერების ფენა. მათი რიცხვი იმ ოთხი ათას შვიდას კაცში ოცდახუთ–ოცდაათს არ აღემატებოდა. აქ მე იმ რევოლუციონერებს ვამბობ, ვისაც ციხე ჰქონდა მისჯილი და არა კატორღა. კატორღელები, აგრეთვე, ოცდახუთი–ოცდაათი კაცი, ცალკე საკანში ისხდნენ და მათში პოლიტიკური, დაახლოებით, ათი თუ იქნებოდა, მეტი არა, მაგრამ ამბოხებაში მონაწილეობის მხრივ ამ გარემოებას არავითარი მნიშენელობა ირ ჰქონდა; კატორღელები ყველანი, განურჩევლად მათი სასჯელის წარმომავლობისა, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ, ამაში დარწმუნებული ვიყავი. ამდენივე უნდა მეგულისხმა, ვინც ციხეში პირველივე გამოსვლების შემდეგ მოხვდა, აქ შეგნებულად, საბოლოოდ დაუკავშირა თავისი მომავალ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რევოლუციას, მერე ამნისტიამ მოუსწრო, გათავისუფლდა და რევოლუციურ მოძრაობაში ხელმეორე მონაწილეობისთვის კვლავ ჩაჯდა.

ეს იყო სხვადასხვა სოციალური ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა. მუშათა ოჯახებიდან გამოსულთა გვერდით მღვდლისა თუ კაპიტალისტის შვილსაც ნახავდით,

მასწავლებლისა და ბანკის მოხელის შვილსაც და ერთი მათგანის მამა კი უბნის ზედამხედველი იყო, – ჟანდარმი! მხედველობამი ვიღებდი იმასაც, რომ თუ რამდენიმე ათას კაციან მასაში გარკვეული ჯგუფი აქტიურ მოქმედებას წამოიწყებდა, მაშინვე გამოჩნდებოდა კიდევ ასიოდე სრულიად მოულოდნელი, თავზეხელაღებული მომხრე. ეს მასის თვისებაა, ასეთი გამოცდილება უკვე გვქონდა. აღვნიშნოთ, რომ დასახელებული ას ორმოცდაათი–ას ოთხმოცი კაცი ავანგარდი იყო, მაგრამ ვისი ავანგარდი?

ხუთასზე მეტი პატიმარი, ანუ მთელი კონტინგენტის ათი–თერთმეტი ჰროცენტი, ციხის "მომსახურებას" შეადგენდა. ადმინისტრაცია მომსახურებას მცირესასჯელიან ან ახლო მომავალში გასათავისუფლებელ პატიმართა რიცხვიდან აკომპლექტებდა. ამ ფენას ეკუთვნოდა ყველა – ციხის კანცელარიაში, საავადმყოფოში თუ საწყობში მომუშავე პატიმრებიდან დაწყებული – მრეცხავებით, დამლაგებლებითა და ასენიზატორებით გათავებული. ეს იყო პრივილეგირებული ფენა, რომელიც ციხის ადმინისტრაციის სულიერი და ფიზიკური ნასუფრალით იკვებებოდა! მის ბრძანებებს, წესებს თუ უკანონო ღონისძიებებს მზადყოფნით ასრულებდა და უახლოეს ხანში "დაწინაურებას" ან გათავისუფლებას ელოდა. ამ ხალხისაგან ამბოხებას მხოლოდ გამცემლობის, მუხთლობისა და მუხანათობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა – სხვა არაფრისა. შესაძლებელი ამბოხების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, მომსახურებასვე მიეკუთენებოდა გულახდილი მონარქისტებისა და არსებული რეჟიმის სხვა აქტიური მომხრეების, აგრეთვე, ხუთას–ექვსასკაციანი ფენაც. ესენი ამბოხებულებს სიამოვნებით დაცხრილავდნენ, თუკი ვაზნასა და იარაღს ანდობდა ვინმე. ერთი ამდენიც ისეთი პატიმარი იყო, ვისაც ორიდან ექვს თვემდე რჩებოდა მოსახდელი ვადა და, – ამბოხებულთა მომხრედ არ მიმიჩნიონ, თანამონაწილეობისათვის ხელმეორედ არ დამსაჯონო, სულ ადვილად შეიძლებოდა, ამბოხებულთა წინააღმდეგ აღემართა ხელი. ამგვარად, პატიმართა საერთო რაოდენობის მესამედისა, შეთქმულთ არამცთუ იმედის ნასახი არ უნდა ჰქონოდათ, არამედ მისი უვნებელყოფაც კი ექნებოდათ საფიქრალი. საერთოდ, ასეთი მესამედი ყველა ციხეს ჰყავდა და ეს მესამედი რომ არა, ვერც ერთი ციხის ადმინისტრაცია ვერ განახორციელებდა თავის დანიშნულებას.

ახლა, ეგრეთ წოდებული, "ვიგინდარები": ამ ფენაში შედიოდა სამასამდე გამფლანგველი და სხვადასხვა არაპოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი წვრილმანი და საშუალო მოხელე. ესენი მთელ დღეებს იმაზე საუბრებსა და ტკბილ მოგონებებში ატარებდნენ, თუ როგორ უთხრა მას საიდუმლო მრჩეველმა ტრატატატაკოვსკიმ, – უფალო, წესიერად მოიქეციო, ან როგორ დაკარგა გენერალმა ტრალალაკოვიჩმა პენსნე და როგორ მარდად უპოვნა და მიართვა იგი ადიუტანტმა. ციხემდე ამ ფენის სულიერი სარჩო პრივილეგირებული წოდებების შარავანდედთან ლაციცი გახლდათ და ახლაც ყოველ მათგანს სერიოზული იმედი ჰქონდა, რომ ციხიდან გასვლის შემდეგ მიაღწევდა იმას, რასაც ჩაჯდომამდეც სიცოცხლის ოცნებად ატარებდა. ციხეში მათ მელებს ეძახდნენ და მელები, რა თქმა უნდა, ამბოხების დაწყებისთანავე სოროებს მიაშურებდნენ. ვიგინდარებსვე განეკუთვნებოდა კიდევ შვიდასი–რვაასი პატიმარი: ზოგმა მოღალატე ცოლს სახეში თეზაფი შეასხა; სხვამ კარის მეზობელს წერაქვი თუ ძალაყინი დაჰკრა – შენი ღორი ჩემს ბოსტანში რატომ გადმოვიდაო; ვიღაცამ იძალადა ან არასრულწლოვანი გახრწნა; ერთი ისეთიც კი იყო, რომელმაც საკუთარი ბებია გაძარცვის მიზნით ცულით დაჩეხა – ნაძარცვმა შვიდი მანეთი და ორი აბაზი შეადგინა. მაგრამ ამ ფენის დიდ უმრავლესობას, მაინც წვრილმანი ბაცაცები შეადგენდნენ და ყველას ერთად, ვიგინდარებიც ამიტომ ერქვათ. აჯანყებაში

გამოუსადეგრობის თვალსაზრისით, ამავე ფენას განეკუთენებოდა სამასამდე ავადმყოფი თუ სიმულიანტი და ასამდე უცხოელი მოქალაქეც. ამგვარად, სათვალავიდან კიდევ ათას ხუთასი კაცი უნდა მოხსნილიყო, როგორც ინერტული, პასიური, უმჯობეს შემთხვევაში, ნეიტრალური სულადობა.

იმ დროს ორთაჭალის ციხეში ათასამდე კანონიერი ქურდი და "შობლა" მოითვლებოდა. ქურდების კასტა მაშინდელ საპყრობილეებში განსაკუთრებულ ფენად იყო მიჩნეული. კასტა–მეთქი, იმიტომ, რომ მათ თავისი დაუწერელი, მაგრამ ერთობ ზუსტად ჩამოყალიბებული კანონები, ზნეობრივი კოდექსი და სამსჯავრო პროცედურა ჰქონდათ. ისინი თავს "ციხიხ ჰატრონებად" თვლიდნენ. ამ პრეტენზიას საფუძვლად ერთი ფრიად დამაჯერებელი მოსაზრება ედო: "ჩემი ცხოვრება ციხეში ჯდომა, დროებით გათავისუფლება და ისევ ციხეში მოსვლაა, ციხე ჩემი სახლია. შენ კი შემთხვევით, დროებით მოსული კაცი, და მაშასადამე, ხტუმარი ხარ!" ეს, ასე ვთქვათ, ლოგიკური წანამძღვარი სრულ პრაქტიკულ რეალიზაციას იღებდა, რადგან ციხეში პირველად მისული კაცი, დაბნეულობასა და უმწეობას იჩენდა, მაშინ, როდესაც ქურდი, ტრადიციისა და მიღებული გამოცდილების გამო, საოცარი ცხოველმოსილებით, სიცოცხლისუნარიანობითა და შეგუების ხერხების მთელი არსენალით იყო აღჭურვილი. აქვე უნდა აღინიმნოს: კანონიერი ქურდის მხრივ რაიმე სახის თანამშრომლობა ციხის ადმინისტრაციასთან ან მის წარმომადგენელთან იმ დროში ისევე გამორიცხული იყო, როგორც პოლიტიკასთან რაიმე სახის მისი ურთიერთობა. ქურდი აპოლიტიკურ, კოსმოპოლიტურ ელემენტს წარმოადგენდა, მისი საქმე იყო ქურდობა – სულერთია, სად და ვისგან. მისი მოვალეობა – კასტის კანონებისა და ზნეობრივი კოდექსის განუხრელი აღსრულება, ყოველთვის, ყველა ვითარებაში და ყველგან! მართალია, რუსეთის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის გაცხოველებამ და, ამასთან დაკავშირებით, ციხეებში პოლიტპატიმრების მომრავლებამ ქურდების უფლებები რამდენადმე შეკვეცა, მაგრამ მათ აქაც შესაშური მოქნილობა გამოიჩინეს. ქურდებმა პოლიტპატიმრებთან ურთიერთობას საფუძვლად დაუდეს პრინციპი: "არ გერჩი – ნუ მერჩი" და ამ გზით პრეროგატივების დიდი ნაწილი შეინარჩუნეს – მათ შორის, ციხის დანარჩენი ფენების ხარჯზე ჭამა–სმა, ჩაცმა–დახურვა.

ქურდებზე – კმარა. ქურდებთან ერთად "შობლა" ვახსენე. როგორც ყველა კასტას შეეფერება, ქურდებსაც ჰყავდათ თავისი თანამგრძნობები. ეს იყო სისხლის სამართლის დამნაშავეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი და ყოველ მათგანს "კანონიერი ქურდის" წოდების მოპოვება სწყუროდა. ამისთვის მათ დროთა განმავლობაში და შესაბამისი საქციელით უნდა დაემტკიცებინათ, რომ "ქურდის სისხლი" ჰქონდათ და არა გაჭირვებისა და, მით უმეტეს, შემთხვევის ძალით ჩაიდინეს დანაშაული. ისინი რიცხვობრივად რამდენჯერმე აღემატებოდნენ კანონიერ ქურდებს და კასტას მაინც განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა მათზე. ორი აზრი არ არსებობდა ამაზე, რომ ამბოხების შემთხვევაში ქურდეგი და "შობლა" მტკიცე ნეიტრალიტეტის გზას დაადგებოდნენ, თუმცა, შობლაში აგიტაციის გზით, ამბოხებას საკმაო რაოდენობის აქტიური მომხრეების მოპოვება შეეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ გამოსვლების, დემონსტრაციებისა, თუ საბარიკადო ბრძოლების დროს ქურდები თავის საქმიანობას წყვეტდნენ, ზოგჯერ ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა აღმკვეთი ძალის ფუნქციას ნებაყოფლობით კისრულობდნენ.

ამგვარად, რჩებოდა, დაახლოებით, ხუთასკაციანი მასა, რომელიც, ჩემის აზრით, ამბოხებას მხარში ამოუდგებოდა, ძირითად სიმძიმეს თავის თავზე აიღებდა და მისი საუკეთესო ნაწილი დამრტყმელი ძალის როლსაც შეასრულებდა. ვინ იყო ეს ხალხი? უპირველეს ყოვლისა, მათ დიდ უმრავლესობას უკვე მიღებული ჰქონდა მონაწილეობა არსებული წყობილების მიმართ აქტიური პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვაში: – მასობრივი გამოსვლებიდან – ერთპიროვნული წინააღმდეგობით დამთავრებული. ამათგან ერთი ნაწილი ამნისტიით გათავისუფლებული და კვლავ დაპატიმრებული იყო. ჰქონდათ სასჯელის დიდი ვადები – ხუთიდან ათ წლამდე, ასაკი – ოცდან ორმოცდაათამდე; ყოველი მათგანისთვის არსებობდა ორად ორი გზა: გრძელი – რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე სრული ბურჟუაზიული დემოკრატიის შექმნა, და მოკლე – იმპერიის ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ეს მასა, ძირითადად, თავშეკავებული, სერიოზული, უკვე დამდგარი ხასიათის ადამიანებისგან შედგებოდა. თვითონ არ იცოდნენ ზედმეტი ლაპარაკი და არც სხვისი ჭარტალის დიდი დოზებით მოსმენა უყვარდათ.

მიაქციეთ ყურადღება: აფეთქების შემცველი მასა იყო; ბრბოდ ქცეული მასის სტიქიური მოქმედების ორგანიზებულ აჯანყებად გადამქცევი, ტაქტიკით შემაიარაღებელი ძალა იყო; არ იყო კონკრეტული საბაბი, მიზეზი, რომელიც მასას ბრბოდ გადააქცევდა. ხატოვნად რომ ვთქვათ, იყო ფეთქებადი ნივთიერებით სავსე კასრი და არ იყო ნაკერწკალი, ამნთები საბაბი არ იყო და ჩვენს მოვალეობას შეადგენდა, ეს ნაპერწკალი არ წარმოქმნილიყო.

ჩემი მოხსენების მეორე ნახევარი შეიცავდა პრევენტიული ზომებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების კარგად მოსაზრებულ კომპლექსს. საფიქრებელი იყო, რომ შესაძლებელი ამბოხებების პრობლემა ჟანდარმერიის სამმართველოს დაეკისრებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ზომების მიღება საპატიმრო ადგილების უწყებას დაევალა. ამ უწყების ხელმძღვანელთა მუშაობის შეფასებას არ შევუდგები, მხოლოდ ვიტყვი, თუ რა გზას დაადგნენ, და ყველაფერი ნათელი გახდება.

ვითარება, კერძოდ, თბილისის საგუბერნიო, ანუ ორთაჭალის ციხეში, შემდეგნაირად წარიმართა: ერთ მშვენიერ დღეს კორპუსების უფროსებმა თავ–თავისი საბრძანებელი ჩამოიარეს და პატიმრებს ციხის უფროსის, ბატონ კოცის შეთხზული ბულა წაუკითხეს. იგი, დაახლოებით, ასეთი შინაარსისა იყო: ამჟამად რუსეთის იმპერიაში სახალხო ხელისუფლება სუფევს, რაც სახელმწიფო სათათბიროთია განხორციელებული. სახალხო ხელისუფლების საწინააღმდეგო ყოველგვარი აგიტაცია ხალხის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს, რასაც მისი უდიდებულესობა, სრულიად რუსეთის იმპერატორი, ვერასდიდებით ვერ დაუშვებს. თუ ვინმე ფიქრობს, ვითომ მანიფესტით შეპირებული სიტყვის თავისუფლება პატიმრებზეც ვრცელდება – გაიხსენოს, რომ მანიფესტი მოქალაქეებისთვის არის გამოშვებული, ხოლო პატიმარს სამოქალაქო უფლებები განაჩენის გამოტანისთანავე აქვს აყრილი. მაშასადამე, პატიმარი მოქალაქე არ არის! ასეთი იყო კოცის ბულის, ასე ვთქვათ, განმარტებითი ნაწილი. ამას მოსდევდა სანქციები ანუ სასჯელი: მეფეზე აუგისთვის – ხუთი დღე–ღამე კარცერში; სახელმწიფო სათათბიროს გალანძღვისთვის – ოთხი დღე–ღამე; მინისტრების, საიდუმლო მრჩევლების, ეკლესიისა თუ უმაღლესი სამღვდელოების სიტყვიერი შეურაცხყოფა სამ დღე–ღამედ ღირდა და ყველაზე იაფი პოლიცია და ციხის ადმინისტრაცია ჯდებოდა – ორი დღე–ღამე. ამაზე ნაკლებდღეღამიან სასჯელს ბულა არ ითვალისწინებდა და კოცის სულგრძელობაც განუმეორებელი იყო. ეს

სიახლე სალაპარაკოდ, სამასხროდ და სასაცილოდ ციხეს კარგა ხანს ეყო. დემბინმა ამ ბულაზე პაროდიაც კი დაწერა, ყველა საკანში გაავრცელა და ისე მოხერხდა, რომ პაროდიის ერთი ასლი თვით ბატონ კოცსაც მიართვეს. ლუკა პეტროვიჩ დემბინი რუსი მწერალი იყო, იმ დროს საკმაოდ ცნობილი არა მარტო მახვილი კალმის გამო, არამედ იმითაც, რომ მას წარამარა აპატიმრებდნენ.

ბატონი კოცი თავის თხზულებაში აღთქმულ დაპირებათა შესრულებას ერთობ ენერგიულად შეუდგა. უპირველესად ყოვლისა, დემბინი გააქანეს კარცერმი ორი დღე–ღამით – ციხის ადმინისტრაციის შეურაცხყოფა! შემდეგ კოცმა თითო სართულიდან თითო კაცი გამოაყვანინა და ისინიც კარცერში ჩასვა. ამასთან, თითქოს, იმის სადემონსტრაციოდ, რომ ბულაში აღნიშნული ოთხივე სასჯელი რეალური იყო – ერთს ხუთი დღე–ღამე მისცა, მეორეს – ოთხი, მესამეს – სამი და მეოთხეს – ორი. არავითარი მეცდომა. ოთხივე, ასე ვთქვათ, შტატიანი აგიტატორი იყო და არა ვინმე მოხალისეები, რომლებიც ზოგჯერ უფრო აქტიურადაც კი იქცეოდნენ, ვიდრე დავალებით მომუშავენი, და, ამდენად, კოცის თვალსაზრისით – უფრო დასასჯელნიც. აქედან, – შეთქმულებს, თუკი ასეთნი იმ დროს საერთოდ არსებობდნენ დასკვნა უნდა გამოეტანათ: ერთი ის – კოცი დასახული პოლიტიკის თანმიმდევრულად, მტკიცედ გატარებას აპირებდა, და მეორე – მშვენივრად იყო ინფორმირებული. მან დაჟინებით განაგრძო აგიტატორების დასჯა და, სახელდობრ, დავალებით მომუშავე აგიტატორებისა; არც რევოლუციონერებმა დაიხიეს უკან – მუშაობა გააძლიერეს; არც კოცმა – რეპრესიებს უმატა და ბულის გამოქვეყნების დღიდან თვე–ნახევრის თავზე კორპუსების უფროსებმა თავის მრევლს ციხის უფროსის დანაბარები გადასცეს: ვინც მეორედ და, მით უმეტეს, მესამედ ჩამივარდება ხელში, ისეთ საქმეს დავმართებ, რომ მეფისა და სახელმწიფო სათათბიროს გინებაც სამუდამოდ დაავიწყდება და სირცხვილისგან ცხვირსაც ვეღარსად გამოყოფსო!

ქვეყანაზე ისეთი პრობლემა არ არსებობს, პატიმრებმა რომ სწორი გადაწყვეტა არ გამოუნახონ – ეს ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ციხის უფროსის ამ მუქარას კარგა ხანს ვერაფერი ეშველა. პატიმრებმა ვერა და ვერ დაადგინეს, რა უნდა ეღონა კოცს ისეთი, რომ იმ მჭევრმეტყველ, საუცხოოდ მომზადებულ გიმნაზიელებს თავისი საქმე მიეტოვებინათ და, ამასთან ერთად სირცხვილისგან ცხვირიც ვერსად გამოეყოთ?!

**შალვა თუხარელი**

ამბოხების საორგანიზაციო კომიტეტში თავიდან შვიდნი შევედით: თომა კომოდოვი, ანდრო ჭანეიშვილი, ალექსი სნეგირი, ჰამბო ხლგათიანცი, ეზიზა ჭელიძე, პეტრე ანდრაშჩუკი და მე – შალვა თუხარელი. დათა თუთაშხია კომიტეტში, ცხადია, არ შესულა, მაგრამ ერთად ვიწექით და, არამცთუ მთლიანად იყო საქმის კურსში, არამედ ყველა საკითხის უნებლიე თანაგანმსჯელიც გახლდათ. კლასიონ კვიმსაძე საკნის მამასახლისად გავიყვანეთ, საეჭვო პატიმრებზე ზედამხედველობა, კონსპირაციის უზრუნველყოფა იკისრა. დათა თუთაშხიამ ერთხელ შეკედლებული პოქტია აღარ მოიცილა, საკანში ამოიყვანა და თავის გვერდში მიუჩინა ადგილი. საბოლოოდ, პოქტია ერთობ კარგი ბიჭი აღმოჩნდა. სასაცილო ის გახლდათ, რომ თომა კომოდოვის მიხვედრა, – ამას გოროდოვოის ბიჭის მტრედები ეყოლება მოპარულიო, ზუსტი აღმოჩნდა, ერთი პატარა განსხვავებით: მტრედები სამხედრო პროკურორისა ყოფილა! პოქტია მალე მიხვდა, თუ რაოდენ სერიოზულ და საშიშ საქმეს ვამზადებდით, თანამზრახველობა ეამაყა და უსიტყვოდ,

ფრთხილად და გონივრულად ასრულებდა სხვადასხვა ხასიათის დავალებებს, მათ შორის, საკმაოდ სარისკოებსაც.

– კორპუსებისა და საკნების გასაღებები ჩაგვაგდებინა ხელში! – ჩაილაპარაკა პეტრე ანდრაშჩუკმა ერთხელ.

– მართალია, მაგრამ მასა მხოლოდ აფექტის წყალობით ამოძრავდება და არა იმით, რომ მას საკნის კარს გაუღებენ. კარები ღია გვქონდა, მერე რა?.. აფექტია საჭირო. აფექტის გამოწვევას კი სათანადო საბაბი, მიზეზი სჭირდება! – ვინ იცის, მერამდენედ აღნიშნა თომა კომოდოვმა.

– მაგ მიზეზს ჩაადენინებს ადმინისტრაციას კაი ჭკვიანი კაცი, – განაცხადა კლასიონმა. – ხომ შეიძლება, ისეთი მოვიგონოთ რამე, რომ ადმინისტრაციამ უკიდურესობებს მიმართოს და ამან გამოიწვიოს აფექტიც და აფეთქებაც?!

– რასაც შენ გულისხმობ – ყალთაბანდობაა, – უთხრა თომა კომოდოვმა. – ერთი რამ ნუ დაგვავიწყდება: რევოლუციამ უკვე იცის რომ მასა ხელოვნურად შექმნილ პროვოცირებულ საბაბს ინსტინქტურად გრძნობს. ასეთ მისატყუარზე იგი ან სულ არ მიდის, ან მივა, აკენკავს, სიყალბეს იგრძნოგს და საქმის პირველსავე ნაბიჯებზე მიგატოვებს. ასეთი ხასიათის ერთი მარცხიც კი სრულიად საკმარისია, რომ მასამ სამუდამოდ დაკარგოს საბაბის ხელოვნურად შემქმნელი პარტიისა თუ რევოლუციონერთა ჯგუფის მიმართ ნდობა და პატივისცემა. ამიტომ არ შეიძლება, კლასიონ!

– ჰო, ჰო, აიცვით თეთრი ხელთათმანები და დავინახავ, რაღაცა ამბოხებას მოაწყობთ, – შემოგვიღრინა კლასიონმა, დასძინა: – ვიყოთ და ველოდოთ, რა მენაღვლება მე! – და ბოლთას მისდგა.

მართლაც, ისე იყო საქმე, რომ ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა. თითქოს, ჩიხში მოვექეცით და, თითქოს, მზად ვიყავით, ხელი ჩაგვექნია, მაგრამ ყველას გვქონდა რაღაც წინათგრძნობა, იმედი, ზოგ ჩვენგანს რწმენაც კი, რომ რაიმე საბაბი უეჭველად გამოჩნდებოდა. ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა, მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვზომავდით და, ბოლოს და ბოლოს, ისევ კლასიონ კვიმსაძემ მოახდინა აღმოჩენა.

– ქადაგს უხარია რაღაც. აღმოჩენა აქვს, დაიხსომე ჩემი სიტყვა, – დათა თუთაშხია კლასიონ კვიმსაძეს ხანდახან “ქადაგს” ეძახდა.

ძალაუნებურად დავაკვირდი. მართლაც, გაბრწყინებული, ეშმაკურად მოციმციმე თვალებით დაიარებოდა კლასიონი. ორი–სამი დღე, თითქმის, არც ერთს არ გამოგვლაპარაკებია და მანძილზე იგრძნობოდა, რომ მისი ტვინი ორთქლის მანქანისოდენა მუშაობას ასრულებდა – ქშინვაც კი ისმოდა. ბოლოს, როგორც ჩანს, კლასიონმა წყლისა და ნახშირის მარაგი ამოწურა, შესაფერი დრო იხელთა და

ყურში ჩამჩურჩულა:

– ვიცი მე შალვა, რასაც უპირებს კოცი ჩვენს ბიჭებს!

– რას უნდა უპირებდეს?!

– სადაა კარცერები?.. სარდაფში, ხომ?

– მერე?

– დერეფნის ცალ მხარეს რომ კარცერებია, მეორე მხარეს საკნებია, ხომ?.. ვინ ზის იმ საკნებში, თუ იცი?

– აღარ მახსოვს. თქვი, რისი თქმა გინდა?

– მამათმავლები სხედან მერვე საკანში, მამათმავლები, შე ჩემი ცოდვით სავსევ! დიღლია, დარდაკა, ხარჩო, დარჩო, ალისკერა, რუდოლფ ვალენტინოვიჩი... ვინაა კიდევ იქ?..

– მერე?

– მერე და, კარცერებში მარტო, თითო–თითოდ უზის კოცს ჩვენი გიმნაზიელები! წარმოიდგინე, ახლა, ღამით... გაუღებს კარს და შეუშვებს იმ ერთი ციცქნა კაკალაშვილთან იმხელა სპილოსავით დარდაკას, – შედი და ქენი, რაც მოგეხასიათოსო!

პირი დავაღე – არც მეტი, არც ნაკლები! პირველი რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ასეთ სიბილწეს კლასიონის მეტი მსოფლიოში ვერავინ გამოიგონებდა...

– როგორი საბაბია, ა?! – კლასიონს ძლევამოსილი მხედართმთავრის თუ ახალი მატერიკის პირველაღმომჩენის იერი ჰქონდა. – წარმოიდგინე, ახლა, მაგას ციხე რომ შეიტყობს...

– ხმა კრინტი არ დასძრა, კლასიონ!

– რატომ, ნეტავი?

– კოცს ეგ, იქნებ, აზრადაც არა ჰქონდეს, მაგრამ თუ მის ყურს მაგისთანა შესაძლებლობა მისწვდა, ვინ იცის, გააკეთოს კიდეც, – ახლა მე მომივიდა გული.

– მაგ არის სწორედ საქმე!

– რა საქმე! – ეგ სულაც რომ არ მოხდეს და მხოლოდ ვერსია გავრცელდეს... შენ გესმის რომ სამუდამო კომპრომეტაციაა?! მართლაც და, სად უნდა გამოყოს ცხვირი... პოლიტიკაა, ხელად წამოაძახებენ: აქა და აქ, ამა და ამ წელს დარდაკას საყვარელი იყავიო! – ხმა, კრინტი არ დასძრა!

– როგორ, შე კაცო, ამ ოთხი ათას შვიდას კაცში ჩემხელა ტვინის პატრონი მეორე აღარ მოიძებნება, ვითომ?.. შორს ნუ წახვალ, აგერ, ჩვენი საკუთარი აბრაგი უკვე მიხვედრილია ყველაფერს, მომკალი

თუ გინდა.

– რა იცი?

– რაის რა ვიციო... პოქტია დატოვა ეზოში გუშინ სეირნობის მერე და, ჩემი ყურით გავიგონე, რომ ეუბნებოდა; – ზუსტად დაადგინე, ვინ ზის იქ და რამდენ–რამდენი სხედან კარცერშიო. რისთვის ჭიროდა, თუ კაცი ხარ? ახლა, დათას გაზით ვერ ამოგლეჯ პირიდან მაგას, მარა, სხვაც მიხვდება ვინმე და გველივით გამოხოხდება ხმა, ცხადია ეს.

იმის მოყოლა რა საჭიროა, თუ კომიტეტში როგორი რეაქცია გამოიწვია ჩვენმა ნათქვამმა. პირველი შთაბეჭდილების ტალღამ ჩაიგრიალა და, როგორც უკვე ვთქვი, – ყველა მოვლენას ამბოხების თვალსაზრისით აღვიქვამდით–მეთქი, ამ საქმემაც იმავე კუთხით გამოიხედა. ივარგებს თუ არა საბაბად და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ?! კოცის განზრახვა – მიუხედაეად იმისა, განხორციელდებოდა იგი თუ არ განხორციელდებოდა, – აფექტის და, მაშასადამე, აფეთქების პოტენციას ეჭვს გარეშე შეიცავდა!

– კოცი ასე და ისე აპირებსო... მარტო ჭორი და მითქმა–მოთქმა ვერ იკმარებს საბაბად, – კატეგორიულად განაცხადა კლასიონმა.

– მეც ახე მგონია, ვერ იკმარებს, – დაუდასტურა თომა კომოდოვმა.

– მაშ, რა იკმარებს? – იკითხა პეტრე ანდრაშჩუკმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, რომ აფეთქებისთვის იმ სისაძაგლის მოხდენა, სისრულეში მოყვანა ან სხვა, თანაბარი აღმაშფოთებლობის შემცველი ბოროტება იყო საჭირო, მაგრამ, აბა, რომელი გაბედავდა ესოდენ დიდი შეურაცხყოფისთვის, სამუდამო კომპრომეტაციისთვის გაემეტებინა ამხანაგი, თანამებრძოლი – ასეც ნუ იქნეგა – უბრალოდ, ადამიანი!

– რევოლუცია სუფთა რამეა, ჭუჭყიანი რამეები არ იქნება! – თქვა ჰამბომ და ყველას გულზე მოგვეშვა, რომ სათქმელი ითქვა.

– მართალია ეგ, ჰამბო–ბატონო, – მიაგება კლასიონმა, – მაგრამ რევოლუცია ბრძოლაა, მსხვერპლს და დანაკარგს მოითხოვს და როცა საკითხი ამბოხებას ეხება... – კლასიონი შეყოყმანდა. თომა და ჰამბო თვალებმი შეჰყურებდნენ. დათა თუთაშხია აქამდე მხართეძოზე იწვა – წამოდგა, ფეხები შეიკეცა და ისიც კლასიონს მიაშტერდა.

სხვებს თავები ჩახრილი ჰქონდათ, ძირს იყურებოდნენ. მე ხან ერთს შევცქეროდი, ხან – მეორეს.

– უნდა მოხდეს ეგ – ამგოხება თუ გინდათ, უნდა მოხდეს, – მტკიცედ თქვა კლასიონმა. – ყველა მასე ფიქრობთ და თქმის გეშინიათ!..

– კლასიონ კვიმსაძე! – სიჩუმე დაარღვია დათა თუთაშხიამ – შენ რომ გვთავაზობ, მასეთი გზებით გამარჯვებული რევოლუციის დროშაზე კაკალაშვილი და დარდაკა უნდა იყოს ოქროს ძაფით ამოქარგული, ასე ვფიქრობ მე...

– გამომივიდა ესაც!.. დამიწყეს აქ... წმიდა ბერი წმინდად წაწყდაო, ნათქვამია!.. დროშა და ის... კიდევ!.. – ადუდღუნდა კლასიონ კვიმსაძე.

ხმა აღარავის ამოუღია.

დათა თუთაშხიამ ჩაიცინა. ერთხანს იფიქრა, მერე ქაღალდი და ფანქარი იშოვნა, საკმაოდ ვრცელი წერილი დაწერა, ციხის მასშტაბებისთვის ვრცელი, ორი გვერდი. გადაიკითხა, დაასორსოლავა, ძაფი შემოახვია და თავის პოქტიას მისცა:

– მოახერხო უნდა, კატორღელების საკანში გოგია წულაძეა, ცალფეხა, გაჩვენე მე ერთხელ. მას მიეცი ხელიდან ხელში. ჩემი მისვლა არ ივარგებს იქ იცოდე, ჩავარდნა არ შეიძლება ამ წერილის!

მერე სასეირნო ეზომი ერთი ისეთი რამ მოხდა, რომელმაც – დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორედ ასეა, – დანარჩენი თავისთავად განაპირობა. კედელს იქიდან ვიღაცამ კენჭზე დაბმული ბარათი გადმოისროლა. ერთი შობლათაგანი დასწვდა, აიღო და, რა თქმა უნდა, სპარაპეტას მიართვა. სპარაპეტამ ბარათს ძაფი შემოაცალა, ქაღალდი გაშალა, წაიკითხა, ჯიბეში ჩაიდო. პატარა ხანს იარა, მერე თომა კომოდოვთან მივიდა და უთხრა:

– თომაჯან, ეხლა გადმოუგდიათ, ჩვენი არ არის, ბაიყუშის სახელზეა... შიგ იმნაირები სწერია, რომ იქნება ჯერ შენ უნდა წაიკითხო. მოგცე, თუ ბაიყუშმა ნახოს?

– ვისიც არის, იმას მიეცი, – ღიმილით მიუგო თომამ.

– ჰა?.. – შეყოყმანდა სპარაპეტა. – ჰო, რა, შენი ნებაა.

დათა თუთაშხია მივიდა, სპარაპეტამ ბარათი გადასცა. დათამ წაიკითხა, თომას გაუწოდა და დააყოლა:

– ბიკენტის ხელია ეგ, იალქანიძის, ფერშლად რომ არის საავადმყოფოში. ძმაკაცია ჩემი!

ბარათმა ორიოდ წუთში კომიტეტის ყველა წევრი მოიარა. აი, მისი შინაარსი: კოცმა საგანგებო უფლებები მიიღო. რაში გამოიხატება და რაში გამოიყენებს – არ ვიცი. აგიტატორი ბიჭების კომპრომეტაციისათვის და სხვების დასაშინებლად მამათმავლების გამოყენებას აპირებენ. პირველი ასეთი რამ “ცუგოს” ცვლაში უნდა მოხდეს, ხვალ ღამით.

პირადად მე წაკითხვისთანავე შემიჩნდა ეჭვი, რომ ბარათი კლასიონ კვიმსაძის ინსპირირებული იყო.

– დავრჩები მე, ვნახავ ბიკენტის და გავიგებ ყველაფერს, – თქვა დათამ, სეირნობის დამთავრების შემდეგ ზედამხედველს მანეთიანი ჩასჩარა და საავადმყოფოსკენ გასწია.

საკანში ავედით. რა დაგიმალოთ, აბა, ყველანი ციხეებში და გადასახლებებში ნათრევი ვიყავით, რა არ გადაგვხდენია, მაგრამ იმ ბარათით მიღებული შთაბეჭდილება თომა კომოდოვის ნერვებისთვისაც კი მძიმე ტვირთი აღმოჩნდა. ისე უხერხულად ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია თავი. როგორ გითხრათ... მეგონა, ვითომ, ეს არის ახლა სიბინძურეში ამომავლეს და დაბანის უფლება აღმიკვეთეს, – ზედ უნდა შეგაშრესო! ჩვენს კუთხეში შევიხვეტეთ, თავები ჩავკიდეთ, ყველა თავ–თავის საფიქრალს მიეცა.

დათა თუთაშხია დაბრუნდა. ბარათი, მართლაც, ბიკენტი იალქანიძისა იყო და დათამ ახალი ვერაფერი მოიტანა, გარდა იმისა, რომ ბიკენტიმ პირველწყარო დაუსახელა, სანდო პირველწყარო – საავადმყოფოს უფროსი, სამხედრო ექიმი, გვარად შჩელკუნოვი. მაგრამ რად დასჭირდა ჟანდარმს ბიკენტისათვის გაენდო სახელმწიფო საიდუმლოება?! ესეც ცალკე საფიქრალად შემოგვიჩნდა. იმ ღამეს სისხამზედღა მოვრჩით ჩურჩულს. დილით – რაღა დილით, თორმეტი დაწყებული იყო, – ვისაუზმეთ და მერე გვიან ღამემდე ისევ იმ საქმეს ჩავკირკიტებდით. ჯერ ვითარებაში ნათლად გარკვევა იყო საჭირო, შემდეგ იმის დადგენა, თუ რა შეგვეძლო, რა სახის ჩარევას მოვახერხებდით და რა შედეგები იყო მოსალოდნელი. უკვე ყველაფერი ასგზის აღნიშნული, შეფასებული, განსჯილი გვქონდა, მაგრამ დასკვნა არსად ჩანდა

– საბაბი არის უკვე, მგონია, და ამბოხების დაწყებას რომ სჭირია, ადვილი საქნელია ისიც, მაგრამ თომას პირისპირ მინდა ველაპარაკო ჯერ, – განაცხადა დათა თუთაშხიამ.

სიმართლე უნდა ვთქვა, გამოცდილება სასესხებლად არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ დათა თუთაშხიას მაინც სულ სხვა ბუნებისა და არსის ძალად ვთვლიდით. ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, რომ მიუხედავად განდგომილი ხასიათისა, მიუხედავად რევოლუციის მიმართ ერთგვარი სიფრთხილისა და უნდობლობისა, აუცილებლად დადგებოდა მომენტი, როცა იგი თავის სიტყვას იტყოდა. ყველანი გავინაბეთ, თვალებში შევაჩერდით.

– თუ ხართ თანახმა? – შეგვეკითხა დათა.

– ეგრე იყოს, – თქვა ჰამბომ.

სხვებმაც დასტური განაცხადეს, ვინ – სიტყვით, ვინ – თავის დაქნევით.

დათა გაგვეცალა, მოცარიელებული ადგილი შეარჩია, დაჯდა და თომას დაუძახა. დიდხანს ილაპარაკეს. მერე მეც მიმიხმეს. მივედი, ის იყო, ჩამოვჯექი და ამ დროს სპარაპეტა მოგვიახლოვდა.

– მე ბოდიში! ცოტა ხანს დადექით, რამე უნდა გითხრათ. მე რო წავალ, თქვენი საქმისა მაშინა თქვით.

– დაჯექი, სპარაპეტ, – შეეხმიანა თომა კომოდოვი.

სპარაპეტა მოგვიჯდა! მიიხედ–მოიხედა. სამ–ოთხ ნაბიჯზე არავინ იყო.

– მე თქვენი რამეები ყველაფერი ვიცი. ჩემმა მზემ. – სპარაპეტამ შეგვათვალიერა, აბა, რა ეფექტი მოვახდინეო. – არა, კიდე ორმა კაცმაც იცის, მაგრამ ჩვენ ქურდები ვართ და არაფერიც არ ვიცით. გაიგეთ? – თავები დავიქნიეთ. სპარაპეტას, ჩანს, თავის შეკითხვაზე დასტური სჭირდებოდა, მიიღო და განაგრძო: – ეხლა, მე რას გეტყვით... აი, ამას, – დათა თუთაშხიას მკლავზე მოავლო ხელი, – ამას ერთი ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი ჰყვანს, ეხლა აღარ მახსოვს, სწორე როგორ იქნება – მამიდაშვილი, თუ ბიძაშვილი, მაგრამ სულერთია, და იმნაირი კაცი ქვეყანაზე არ დადის! თავი კი არ აბია – კისერზე ეჩმიაძინი ადგას! ჩემმა მზემ, ეჩმიაძინი! იცით, ვინც არი.

– ვიცით, – მიუგო თომამ.

– კარგია, რომ იცით. ეხლა აქ აღარ არი, პეტერბურგში წაიყვანეს, იქა ჰყვანთ. არა, ისეთნაირი ვინმეა, პარიჟში წაიყვანონ – ნიჩევო უდივიტელნი, ჩემმა მზემ. ჰო, იმას გეუბნებოდით, რა, მე იმის ხელში გამოვლილი კაცი ვარ ერთხელაც რას მეუბნება: – სპარაპეტჯან, ცავატტანემ, რისთვინა ქურდობ? მე ვეუგნები თუ, – ფული მინდა და ვქურდობ. ის ამბობს, – მაგნაირი ფული რო ციხეაუ. მე ვეუბნები თუ, – მაშ, ჩემთვინ ისეთი ფული სად არი, რო ციხე არ იყოს? გაიცინა და მეუბნება. – არი ეგეთი ფული! მეთქი–თუ, – სადა? ლომის უკანალშიო... ლომის უკანალშიო, კაცო! ლომი იცით? ვაცნობეთ, რომ ვიცით. – ჰოოო, მაგრამ ის ფული როგორ უნდა აიღო, იცი? – მეუბნება. – ვა, მივეპარები, დავჯდები, დაველოდები, ერთხელაც იქნება, მონეხვამს, ფულს გადმოაყოლებს, ავიღებ და წამოვალ–მეთქი. არაო! ეგრე აღებული ფულიც უეჭველი ციხე არიო. მაშ, როგორ–მეთქი?!. რას მეუბნება: – როგორა და, ხახა უნდა გაუღო... – ლომსა, კაცო! – ხელი შიგ ხახაში ჩაუყო, წახვიდე, წახვიდე, ბოლოში გახვიდე და ეგრე, იქიდან უნდა ამაიღოო!.. ცხოვრება და შოვნა ეგეთი რამეაო! გაიგეთ?.. ნაღდი რამე მითხრა, ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ, მაგრამ ამ სიტყვას კარგი გასინჯვაც უნდა! – ეხლა, თქვენ ის არა თქვათ, ვითომ მე იმისთვინ მოვედი, რო ამას ეგეთი მამიდაშვილი ჰყვანს და ვითომ ეგ მინდოდა მეთქვა არაფერიც! ეს კაცი, როგორიც გინდა მამიდამვილი ჰყვანდეს, ნაღდი კაცია. მე სპარაპეტა ვარ – კაცს ერთი შტვხედო, უკვე ვიცი არა, სხვა რამე გითხრათ: იმ ლომს თქვენ უკნიდან ნუ უტრიალებთ. ვისაც გამოღება გინდათ, ხახაში ხელი ჩაუყავით და გამაიღეთ! სხვანაირად იქიდან არაფერიც არ გამაიღება, ეგ არი. ეს სიტყვა კარგა გასინჯეთ. მოვრჩი. ძალიანაც კარგა იყავით, – სპარაპეტა წავიდა.

სხვათა შორის, დათა თუთაშხიას განზრახვა, როგორც მერე გამოირკვა, სწორედ ლომის ხახაში ხელის ჩაყოფას ნიშნავდა.

თომამ თვალი გააყოლა, მერე თავი ჩაღუნა, ცოტა ხანს იფიქრა და, ალბათ, ეს დათასთან საუბრის გაგრძელება იყო, ჰკითხა:

– კარგად აწონ–დაწონე?.. შესძლებ?

– ეს საქმე ცუდი იმით არის, რომ შევძლებ! წესიერი კაცი იმის გაკეთებას უნდა ცდილობდეს, რაც არ გაუკეთებია ჯერ და არ იცის – შეუძლია თუ არ შეუძლია ის. თქვენ ხართ სწორედ, თომა–ბატონო, ის კაცები, ვინც ისეთის კეთებას მოკიდეთ ხელი, რომ არ იცით, შეძლებთ თუ ვერ შეძლებთ იმას. მეც მხოლოდ მიტომ აღმოვჩნდი თქვენთან, თქვენთან ყოფნა რომ არ შემეძლო.

– იმიტომ, რომ არ შეგეძლო? – ჩაილაპარაკა თომამ, იყუჩა და უთხრა: – დათა, პირადად მე თანახმა ვარ პირადად მე ყველაფერზე წამოვალ, მაგრამ ერთი პირობით: უნდა მითხრა რის გულისთვის კისრულობ მაგოდენა რისკს.

– აუცილებელია, რომ გითხრა?

– არა. თხოვნაა, მინდა, ვიცოდე.

– თუ მოვახერხე თქმა. ბევრია სათქმელი და თავი ვერ მოვუყარო, იქნება, მე რომ მინდა და საჭირო რომ არის, ისე, – დათამ კარგა ხანს იფიქრა. – ერთი ბოროტება რომ ხდება რაიმე, შენს დასანახზე და ხელმისაწვდომზე, მისი მოსპობა ადვილია, ძალიან. ეგ არის, არაფერი საქმე არ არის ეს, სხვაგან და უფრო მეტი ბოროტება მოხდება, უეჭველია, მიზეზი თუ არ მოსპე იმ ბოროტების, ბუდე თუ არ დაუნგრიე. ბუდე აქვს თავისი ყველაფერს მზის ქვეშ და – ბოროტებასაც. ბოროტების ბუდის დანგრევა დიდი საქმეა ძალიან. ისე დიდი საქმეა ეს, რომ გასაჭირადაც ღირს და სიკვდილადაც. ამიტომ მინდა გავაკეთო ის, რაც გითხარი.

ერთხანს ჩუმად ვისხედით, ვფიქრობდით, თომამ გამომაფხიზლა:

– კარგი, შალვა, აი, დათა ამბობს, რომ ხვალღამ ჩაგვაბარებს ყველა კორპუსისა და საკნის გასაღებს. რა გზით გააკეთეგს ამას, თავისი საქმეა და არ სურს, ჩვენ რომ ვიცოდეთ – ჩემს გარდა, ვინმემ. ეს პირობა უნდა მივიღოთ. ყოველივე ამას მე კომიტეტის წევრებს გადავცემ და იქ გადაწყდება, ვიწყებთ თუ არა ამბოხებას. საბაბად იგივე სისაძაგლე რჩება. ჩვენს დახმარებას დათა არ საჭიროებს, მარტო შენ უნდიხარ! მძიმე და სარისკო საქმეა...

– მე მზად ვარ. თუ არ შეიძლება, საერთო ჩანაფიქრსა და გეგმას გავეცნო, არც ეგ მინდა მოვდივარ! – სიტყვა ჩამოვართვი თომა კომოდოვს.

ახლა დეტალურად აღარ მახსოვს, თათბირი როგორ წარიმართა. ვინ რა თქვა და ამის მოყოლა არც არის საჭირო. მაგრამ ვიტყვი და ეს ერთადერთი სიმართლე იქნება, რომ ყველა წევრს, უკლებლივ, გაორება შევნიშნე: ერთი მხრივ – გულის წამოძგერება და სიხარული, რომ მოდის დიდი ხნის ნაოცნებარი წუთი და, მეორე მხრივ – იმედი, რომ დათა თუთაშხია დაპირების შესრულებას ვერ შეძლებდა! არ დავმალავ, თავად მეც მქონდა ეს გაორებულობის გრძნობა. ამ მოვლენას თავისი ახსნა აქვს. საერთოდ, ხომ ძნელია, სიცოცხლეს კითხვის ნიშანი დაუსვა და ისიც – გონების კარნახით, ცივი ანგარიშით, წინასწარი მოფიქრებითა და გადაწყვეტილებით. მაშინაც კი ძნელია, როცა შენი სამშობლოს მტერს ებრძვი იარაღით ხელში და შენს ზურგს უკან დგას შენი ხალხი, შენი შვილები, შენი სახელმწიფოს კანონი, რომელიც ნებას გრთავს, ჰკლა და გაძლევს გარანტიას, რომ კეთილი ადამიანის სახელი გექნება! ახლა წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როცა ერთ მუჭა თანამზრახველებთან ერთად უნდა პირისპირ მიხვიდე, ეკვეთო უზარმაზარ იმპერიას, მის სამხედრო ძალას, თავდაცვის ათასნაირ საშუალებებსა და კანონს, რომელიც დაუყოვნებლივ გამოგაცხადებს მკვლელად, მოღალატედ, ნაძირალად...

– ამხანაგებო! არც გვიან არის და არც სირცხვილია... თუ რომელიმე ჩვენგანს რაიმე მიზეზით საქმიდან გასვლა სურს, თქვას და გავიდეს. ნურც იმას შევეკითხებით, რით არის გამოწვეული მისი გადაწყვეტილება! – განაცხადა თომა კომოდოვმა და დასძინა: – ახლა ნუ შევეკითხებით.

რომელი იტყოდა, ლაჩარი ვარო?!

დათა თუთაშხიამ გამოიარა, მგონი, დემბინისკენ მიემართებოდა. კლასიონმა ხელი წაუთათუნა, შეაჩერა – სათქმელი მაქვსო.

დათამ ჩაიმუხლა.

– რას აპირებ და როგორ აპირებ? გვინდა, ვიცოდეთ. რატომ გვიმალავ? – ჰკითხა კლასიონმა.

დათა თუთაშხიამ სათითაოდ დაგვათვალიერა.

– ნუ გეწყინებათ! ცუდი არ არის არაფერი, მე რომ ვიტყვი, იმაში... თქვენ დამდგარი ჭკუის კაცები ხართ ყველა, განსჯა, რჩევა–დარიგება გიყვართ. მე რომ უნდა გავაკეთო, იმას ერთი კაცის ჭკუის მეტი არ ჭირდება. რომ გითხრათ, რას და როგორ ვაპირებ, აზრს გამოთქვამთ თქვენსას და, ანგარიშს რომ გიწევთ, თქვენმა აზრმა შემაყოყმანოს, იქნება. ყოყმანი ცუდი ამხანაგია ასეთ საქმეში. ამიტომ ვერ გეტყვით ვერაფერს.

– კაცო შენ რაღაცა გინდა ქნა და ჩვენცა გვკითხე, რაღა! – უთხრა ჰამბომ – ერთიც ვნახოთ, ისეთი რამეა, რომ ჩვენთვის, ჩვენი საქმისთვის საზიანო გამოვიდეს, მერე?

დათა თუთაშხიამ ჩაიცინა.

– ჰამბო–ბატონო, ნიკოლოზ მეფემ იმდენი ზიანი მოგაყენა, რომ მე ვეღარ დაგიმატებ, მგონია, ვეღარაფერს. ციხეა ეს, ჩემზე მეტი იცი აქაური წესების და არავისი საქმე არ არის, რას ვაპირებ და რა მინდა! ჩემსას ვაკეთებ მე. მოყვება ამას ისეთი ვითარება, რომ გამოგადგეთ, იქნება, თქვენს ჩანაფიქრში. ბოლოს და ბოლოს, არც მინდა, ვიცოდე, გამოიყენებთ თუ არ გამოიყენებთ. ჩემი საქმის და საკეთებლის მე ვიცი და უნდა გავაკეთო!

სიჩუმე ჩამოდგა. დათამ წამოიწია.

– ტყუის ეს კაცი რამეში? – იკითხა თომა კომოდოვმა.

– ცამდე მართალია! – თქვა ეზიზა ჭელიძემ.

ჩვენი უახლოესი მიზანი იყო: გაგვეგდო ადმინისტრაცია! აგვეხერგა შემოსასვლელები, მოგვეწყო სათადარიგო ბარიკადებიც და ვმდგარიყავით მოგერიებაში იქამდე, სანამ მოვლენათა განვითარება რაიმე ახალ ალტერნატივას დაგვიყენებდა. აქ ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ რეაგირებას მოახდენდა მეტეხის ციხე, თბილისის არალეგალური კომიტეტი და მუშათა კლასი, მეფის ადმინისტრაცია და სახელმწიფო სათათბიროც, თუკი ჩვენი ამბები მის ყურს მისწვდებოდა. მოთხოვნები: ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული დაპირებეგის დაუყოვნებლივ აღსრულება – ეს, მთავარი და ზოგადი ხასიათისა, და კიდევ თერთმეტი კერძო პუნქტი, რაც ციხეებში რეჟიმის გაადამიანურებას, ინვალიდების, ავადმყოფების, მცირესასჯელიანი პატიმრებისა და ქალების დაუყოვნებელ გათავისუფლებას და სხვა ამგვარ პირობებს შეიცავდა. ჯერჯერობით – ეს, ხოლო შემდგომში უკვე თბილისის არალეგალური კომიტეტის მითითებათა თანახმად მოქმედებას ვაპირებდით.

ყოველივე ამას კონკრეტული ღონისძიებების დასახვა სჭირდებოდა და იმის გათვალისწინებაც, თუ ვის რა უნდა დაკისრებოდა ან პრაქტიკულად როგორ უნდა განხორციელებულიყო ესა თუ ის საქმე. სეირნობამდე ვბჭობდით. თითქოს, ყველა საკითხმა მიიღო სათანადო გადაწყვეტა, დანაწილდა მოვალეობები, დაიწერა რამდენიმე აუცილებელი ბარათი, მოწოდების ტექსტი, რომელშიც შუქდებოდა როგორც, საერთოდ,

ამბოხების მიზნები, ისე კოცის მიერ განზრახული სისაძაგლეც, და ახლა ჩვენი საქმე ლოდინიღა იყო.

მახსოვს, ვიჯექი, სხვებს ვუსმენდი, თავადაც ვლაპარაკობდი და განუყრელად მახლდა გრძნობა, რომ კომიტეტის წევრებში ის გაორებულობა, ზემოთ რომ აღვნიშნე, უფრო გაღრმავებულიყო, თითქმის რწმენად ქცეულიყო, – იმის რწმენად, რომ გასაღებების ხელში ჩაგდება ვერ განხორციელდებოდა, სიკვდილთან დაპირისპირება არ მოგვიხდებოდა... ეს ყოველი ჩვენგანის ლაპარაკში, საქციელში, განწყობილებაში სჭვივოდა...

დათა თუთაშხიამ ისაუზმა, ნარდს მიუჯდა და შუადღემდე ითამაშა. მერე სპარაპეტასთან მივიდა, ბარე ერთი საათი ალაპარაკა, უსმინა, იცინა. შემდეგ, ჩვენს საკანში ერთი მხატვარი იყო – გვარად ლოლაძე, დაახლოებით, ერთი საათიც იმასთან მასლაათში გაატარა. ახლა დემბინთან მოიკალათა და ლუკა პეტროვიჩმა თავისი ცხოვრებისა და გადასახლებების მოგონებები გაუხურა... ერთი სიტყვით, დათა თუთაშხიას იმისი არა ეტყობოდა რა, რომ რასმე აპირებდა და არც მე მეძახდა. ამ დროს, მოსახდენი რამდენიშე საათის შემდეგ უნდა მომხდარიყო! ერთი ხანობა გავიფიქრე, რომ თავის განზრახვაში ჩემს მონაწილეობაზე უარი თქვა. საეჭვო, ისიც ჩემნაირად გაფაციცებული კაცისთვის, მხოლოდ ის იყო, რომ პოქტიამ ორჯერ მოახერხა საკნიდან გასვლა: ერთხელ ვიღაცასთან ერთად კასრი წაიღო, წყალი შემოიტანა. ამ გასვლაზე ერთი ყალიბი შავი პური გაიტანა. დათამ ის პური დილით ქურდებს გამოართვა, თავისი ბებუთი ფარულად, ყველასთვის შეუმჩნევლად შიგ ჩამალა! პოქტიამ კარგა ხანს იარა. დაბრუნდა, პური, რა თქმა უნდა, აღარ ჰქონდა და ახლა იმის ფიქრი შემიჩნდა, რომ დათა თუთაშხია თუ თავად აპირებდა რამეს, მაშინ ბებუთი სხვაგან რატომ გაგზავნა? მეორე გასვლაზე პოქტიამ ჩვენი საკნის დამლაგებელთან ერთად პარაშა გაიტანა, ბარათი წაიღო, დაბრუნდა და დათას რაღაც აცნობა. კიდევ ერთი რამ შევნიშნე: დათასთან ლაპარაკის შემდეგ ლოლაძემ საკანი ჩამოიარა, ზოგი ვისგან და ზოგი რა ფერის ფანქრები მოაგროვა, საღებავების შეზავებას მიჰყო ხელი.

სეირნობიდან ვბრუნდებოდით. წინ მიმავალნი უკვე კორპუსის მთავარ კარში შედიოდნენ, როცა ნენემ გამოიარა – სადარბაზოს დამლაგებელმა – და ჩვარში გამოკრული, ასანთის კოლოფისოდენა რაღაც დააგდო. დათამ თვალით დამანახა და მითხრა:

– აიღე.

დავწვდი, ავიღე. ზედამხედველებს არაფერი შეუნიშნავთ.

საკანში ჭინჭი გავხსენი. თმა იყო – სქელი, უხეში, სანახევროდ ჭაღარა, სანახევროდ შავი. დათამ ის თმა ლოლაძეს გადასცა. მხატვარმა ერთხანს ათვალიერა და, მოწონების ნიშნად, თავი დააქიცინა. მერე დაჯდა. პარიკის გაკეთებას მიჰყო ხელი – ულვაშების კეთებას.

ჩვენი სართულის ზედამხედველი შეიცვალა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცუგომაც ჩაიბარა ნახევარსარდაფი. ცუგო წარსულში ჯალათი იყო, ანუ კაცი, რომელიც სახრჩობელაზე მუშაობს. მერე ჯორ–ეტაპის უფროსად დანიშნეს. ჯორ–ეტაპი ორთაჭალის ციხეში ერქვა პატარა ორთვალა ურემს, რომელშიც ჯორი ება და რითაც მკვდრები გაჰქონდათ იქვე, მთის ფერდობებზე დასაფლავად. შემდეგ ცუგომ დაწინაურება მიიღო – ზედამხედველად

გაამწესეს და, ალბათ, განსაკუთრებული დამსახურების გამო და საგანგებო ნდობის აღსანიშნავად, საზედამხედველო საქმის უძნელესი უბანი – სარდაფი – ჩააბარეს.

ციხე მეტსახელთა სამყაროა. უმრავლეს შემთხვევაში, ამა თუ იმ მეტსახელის წარმომავლობა უცნობია და, ამასთან ერთად, მისი მატარებელი პირისთვის – შეუფერებელიც. ეს, ძირითადად, იმით აიხსნება, რომ პატიმარი მეტსახელს ახალგაზრდობაშივე შოულობს და იმ ასაკისთვის, იქნებ, ზედგამოჭრილიც იყო. გადის დრო, პატიმარს სახე ეჭმუჭნება, თმა უჭაღარავდება, ნაბიჯი უმძიმდება, ზურგი მშვილდივით ეკაკვება, მაგრამ მეტსახელად მაინც ლამაზ–გოგია, ან ხენდრო–კოლა ჰქვია. სულ სხვა სურათია, როცა პატიმარს პირველსავე ჯდომაში ღორო ან ცინგლა შეერქმევა. ასეთ მეტსახელებს, უმრავლეს შემთხვევაში, ხანგრძლივი და იქნებ, სამუდამო შესაფერისობა ახასიათებს. სხვათა შორის, მეტსახელის ასეთი თავისებურება თვით პატიმრებმა უკეთ იციან და, მახსოვს, არმავირის ციხეში ერთმა ჭაბუკმა პატიმარმა მეორე პატიმარს მთელი ულუფა პური და ერთი ქისა წეკო მისცა იმაში, რომ იმ მეორეს რამდენჯერმე ორიოლობით უნდა ეხმო მისთვის, რათა პირველს ეს მეტსახელი შერჩენოდა, როდესაც დიდი საშიშროება არსებობდა, ვთქვათ, სკელეტა ან დოხლიაკი დარქმეოდა, რაც მაშინ სრულიად ეთანადებოდა მის გარეგნობას. დიახ, ცუგო–მეთქი: ასე ზუსტად შერქმეულ მეტსახელს იშვიათად შევხვედრივარ. ამ პროფესიონალ სადისტს ისეთი სუფთა თვალები, ალალი ღიმილი და კეთილი სიტყვა–პასუხი ჰქონდა, რომ ადამიანი აუცილებლად იფიქრებდა, ეს კაცი საკუთარი ცხრა და კიდევ შვიდი სხვისი წვრილშვილის მამაა, ჯამაგირის სამ მეოთხედს ღარიბ–ღატაკსა და ქვრივ–ოხერს აძლევს, უსახლკარო კატის კნუტებს ჰკვებავს და გორში თუ მცხეთაში ორი დღით მიმავალი მეზობლის გაცილებისას ცხარე ცრემლით ტირისო.

მაშასადამე, ასე: ცუგო და მისი ცვლის სხვა ზედამხედველები ექვს საათზე დადგნენ. აქვე უნდა მომხდარიყო გადათვლა, რასაც კიდევ ერთი საათი უნდებოდა. შვიდიდან რვამდე – ვახშამი, რვიდან ათამდე – პარაშეგის დაცლა, ტუალეტი, წყლის შემოტანა, ათზე – ძილი. ამ დროისათვის ყველა სართულს პირადად ჩამოივლიდა მორიგე კომენდანტი – იმ ღამეს ბატონი კანარეიკა. ეს მისი გვარი იყო და არა მეტსახელი. დიახ, ჩამოივლიდა და საკუთარი თვალით შეიხედავდა თითქმის ყოველი საკნის საჭვრეტში. რა თქმა უნდა, არა მარტო იმის შესამოწმებლად, თუ როგორ შეასრულა თავისი მოვალეობა მავანმა ზედამხედველმა, არამედ და უმთავრესად იმაში დარწმუნებისთვის, რომ მის საბრძანებელში მშვიდობა, სრული წესრიგი და სამოთხებრივი სათნოება სუფევს. პატიმრებმა ბატონ კანარეიკას თავისი გვარი კონტრასტის ნიადაგზე დაუტოვეს: იგი სქელი შავი, გაჭაღარავებული, გრძელულვაშა სუბიექტი იყო. მართალია, ყოველი სართულის ზედამხედველი ყველა თავისი საკნის გასაღების მფლობელი გახლდათ, მაგრამ სართულიდან სადარბაზოს კიბეებზე გასასვლელი მძლავრი გისოსებით იყო გადარაგული და იკეტებოდა არანაკლებ შთამაგონებელი სიმძლავრის კლიტეებით, რომელთა გასაღები მორიგე კომენდანტს ეპყრა – იმ საღამოს, როგორც უკვე ვთქვი, ბატონ კანარეიკას. ამრიგად, ზედამხედველები თავ–თავის სართულებში იყვნენ გამოკეტილები, კანარეიკას ტყვეობაში იმყოფებოდნენ და – ყველა კორპუსისა და ყველა საკნის გასაღებებს ჩაგაბარებთო, დათა თუთაშხია რომ შეგვპირდა, ამის აღსასრულებლად მას არც მეტი, არც ნაკლები – ჯერ კომენდანტის გასაღებების ასხმულა უნდა ჩაეგდო ხელში, რომ მერე, მათი წყალობით, ყველა სართულზე ყველა ზედამხედველისთვის აეყარა საკნების გასაღებები... იარაღის აყრა არ გეგონოთ, შეიარაღებული კაცის ციხის ტერიტორიაზე შემოსვლა წესდებით იყო

აკრძალული. დიახ, და იმისთვის, რომ კანარეიკა გაძარცულიყო, მანამდე სართულის ზედამხედველის ხელში ჩაგდება იყო საჭირო. კანარეიკა დერეფანში თუ არ შემოვიდოდა, რანაირად მოხდებოდა მისი გაძარცვა?.. ჩემთვის ყველაფერი გაუგებარი და მიუწვდომელი რჩებოდა იქამდე, სანამ უშუალო მოქმედება დაიწყებოდა და აქ კი ისე წარიმართა საქმე, როგორც ყველაზე მდარე დეტექტიურ თხზულებებში ხდება ხოლმე.

ჩემი ნერვების ამშლელი ლოდინი იმით გათავდა, რომ როცა ვახშმად მოტანილი სალაფავის დაცლილი კასრები დერეფანში გაგვადგმევინეს, ანუ, დაახლოებით, საღამოს რვა საათზე, დათამ მანიშნა, ჩემთან მოდიო, და მაშინღა მითხრა, თუ რა უნდა მეკეთებინა. შემდეგ ორთავენი დემბინს ვესტუმრეთ და დათამ უკვე შეთანხმებული როლი გაუმეორა.

საღამოს ტუალეტმა – ასე ერქვა საპირფარეშოში ძილისწინა გაყვანას, – დერეფნის მეორე ბოლოს მიაწია და დათა თუთაშხიას მღელვარების, წრიალისა და მოუსვენრობის მსგავსი რაღაც შევნიშნე. თავად მე, მახსოვს, მაშინ არავითარ ღელვას არ განვიცდიდი, გაცნობიერებული არ მქონდა, თუ სულ მალე როგორი ნაბიჯის გადადგმა მომელოდა, სამაგიეროდ, კომიტეტის სხვა წევრებს გადაედოთ დათას განწყობილება. წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, ყოველ ჩვენგანს თავი ისე უნდა სჭეროდა, როგორც ყოველთვის – ზოგი უნდა წოლილიყო, ზოგს ნარდი ეთამაშა, ზოგს ესაუბრა. ყველაფერი პირიქით მოხდა. ძირს დაფენილ ლოგინებზე ისხდნენ გარინდულები და ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ.

ბოლოსწინა საკანმა ტუალეტი დაამთავრა. მე და დათა თუთაშხია კარს ავეკარით, დერეფანს მივაყურეთ...

აგერ უკანასკნელი პატიმარი შევიდა!

აი, ურდულების გრუხუნი მოისმა და კლიტემაც გაიჩხაკუნა.

საკანი ჩაკეტილია.

ზედამხედველი კატორღელების საკნის კარს აღებს: ისევ კლიტის გაჩხაკუნება, ურდულის აყრის ხმა, კედელს მიხეთქებული ლითონის ჭახანი... ნაბიჯები... ბევრი ნაბიჯის ჩქამი და... სრული, უსუნთქავი სიჩუმე!

– აყვანილია! – დაიჩურჩულა დათამ.

– აყვანილი? – ვერაფერი გავიგე.

– ზედამხედველი, – დასძინა დათამ. – გასაღებები გოგი წულაძეს აქვს უკვე!..

საპირფარეშოს კარმა დაიჭრიალა, ჯახანიც გაიღო. კატორღელები თავისი საკნისკენ გაემართნენ.

გოგი წულაძემ საკნის კარს ურდული დაადო, კლიტით ჩაკეტა.

ისევ ჩეენკენ მომავალი ნაბიჯები, ისევ წყვეტილი, ნაირხმოვანი ჩქამი... ჩვენი კარის საჭვრეტში თვალი გამოჩნდა. საჭვრეტი კვლავ ჩაიხურა და ახლა კარმა დაიწყო

ჩხაკაჩხუკი. ოდნავ გაიღო. სიოში გოგი წულაძის ფიგურამ გაიელვა და კარს მიეფარა. დემბინი, მე, ლოლაძე და დათა თუთაშხია დერეფანში გავედით. სანამ ზღურბლს გადავაბიჯებდი, უზარმაზარი სურვილი მომაწვა, ჩვენებისკენ მიმეხედა, მათი რეაქცია დამენახა... ვერ მოვასწარი.

დათამ გოგის გასაღებების ასხმულა გამოართვა, ჩვენი საკნის კარის ჩაკეტვას შეუდგა. გოგი გაგვიძღვა, სამთავე საპირფარეშოში შევედით. პირსახოცით თვალებახვეული ზედამხედველი, საცელის ამარა და ფეხშიშველი, კუთხეში იდგა ზურგით ჩვენკენ. კეფაზე თოქმა ნასკვი ედო, პირსახოცის ბოლოები მხრებზე ეფინა. რატომღაც ის დიდბაფთიანი, ამურივით გოგონა მომაგონდა, რომელიც ერთხელ გემზე ვნახე ნოვოროსიისკიდან ბათუმს მიმავალმა!..

დათა შემოვიდა, დემბინს ანიშნა, – გაიძრე და ესენი ჩაიცვიო. ზედამხედველის ტანისამოსი ვიღაცას მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. ორნი იყვნენ.

ჩემი ჯერი დადგა. ლოლაძემ ჯერ ტანზე რაღაცეები შემომახვია, აქა–იქ ყურთბალიშები შემაბა და როცა, მისი აზრით, ბატონ კანარეიკას გაბარიტები შეძენილი მქონდა, ულვაშების მორგებას შეუდგა.

დემბინი ტანისამოსს იცვლიდა, საშინლად ღელავდა, ხელები არ ემორჩილებოდა, უკანკალებდა... მახსოვს, ჩექმები ვერაფრით ჩაიცვა – ცალ ფეხზე ვერა და ვერ დგებოდა. დათამ ხელი შეაშველა. გადაცმა, როგორც იქნა, დამთავრდა. ლოლაძემ დემბინს ტანისამოსი მოუწესრიგა, ბუნებრიობა შესძინა: ქამარი მოაშვებინა, ხალათის კალთა ოდნავ ქამარს ზევით ამოუწია, შინელი გაუსწორა, ქუდი ჩამოაფხატა – ზომიერად, ისე, როგორც ჩვენი დღევანდელი ზედამხედველი ატარებდა...

ძილის ზარები გაისმა.

დემბინი და დათა დერეფანში გავიდნენ. ლოლაძე, გოგი წულაძე, მე და კიდევ ორი კატორღელი, რომელთაგან ერთი ზედამხედველს დიდი თვითნაკეთი დანით ადგა თავს, საპირფარეშოში დავრჩით.

ცოტა ხანს მერე ჩვენი საკნის კარი გაიღო, კვლავ დაიკეტა . ეს დემბინმა დათა შეუშვა და, როგორც დარიგებული იყო, ისე შეუდგა თავის საქმეს.

ჩვენ უნდა გველოდნა – თხუთმეტი, ოცი წუთი, იქნებ, ნახევარი საათიც – სანამ კომენდანტი კანარეიკა სართულზე გვესტუმრებოდა.

ოპერაციის შემდგომი, ანუ ბატონ კანარეიკას დატყვევების ფაზა, მისსავე წინასწარ და დაწვრილებით შესწავლილ მოქმედებაზე იყო ნავარაუდევ–ნაანგარიშევი. ადმინისტრაციის კორპუსის წინ, ციხის ეზოში, ბოძზე ზარი ეკიდა. კანარეიკა ძილის ზარს თავად რეკავდა და მერე საავადმყოფოს კორპუსისაკენ მიემართებოდა. იმ შენობის პირველ სართულზე მომსახურება ცხოვრობდა. ღამე მათი საკნებიც იკეტებოდა. კომენდანტი ამ საკნების დათვალიერების შემდეგ იქვე, სარდაფში ჩადიოდა, სამზარეულოს, პურის საჭრელს, აბანოსა და სამრეცხაოს შემოუვლიდა და მერეღა გამოსწევდა ხოლმე ჩვენი კორპუსისკენ. რამდენჯერ მიყურებია: მოვა მშენებარე, ჯერ დაუმთავრებელი ახალი

კორპუსის კედელთან დადგება და, ასე, მანძილიდან დაათვალიერებს ჩვენს შენობას. შემდეგ, გზას გადმოჭრის, მთავარი შემოსასვლელის კარს, ანუ სადარბაზოს აღებს. ისევე, როგორც სართულებზე შესასვლელები, კარი აქაც გისოსებისა იყო. გააღებდა და მძიმე ნაბიჯით, ხვნეშა–ხვნეშით წამოვიდოდა ზევითკენ. დათვალიერება–შემოწმებას ჩვენი, ანუ მეოთხე სართულიდან იწყებდა და სართულ–სართულ ქვევითკენ მიიწევდა. სარდაფს ჩაროზივით ბოლოსთვის იტოვებდა ხოლმე. იქ კარგა ხანს ყოვნდებოდა, მერე, თერთმეტზე, თორმეტის თხუთმეტ წუთზე მისი კეთილშობილება ეზოს გადაივლიდა, ადმინისტრაციის კორპუსში შევიდოდა და მთელი ღამის განმავლობაში რას აკეთებდა, ჩვენთვის ცნობილი არ იყო – ალბათ, ეძინა. აქვე უნდა აღინიშნოს ის მთავარი მომენტი, რომელსაც ოპერაციის განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: ზედამხედველებს ბატონ კანარეიკასი ღვთის რისხვასავით ეშინოდათ – ძალიან სასტიკი კაცი იყო. ამიტომ ისინი თავის მრისხანე უფროსის გამოჩენისთანავე გაცხოველებულ საქმიანობას იწყებდნენ, ვითომდა, – მთელი ცვლის მანძილზე სულ ამ დღეში ვართ, საწყლებიო! ზედამხედველის საქმიანობა, ძირითადად, საკნების საჭვრეტებში ცქერაა. ყოველი მათგანი ცდილობდა, რომ დერეფანში შემოსულ კანარეიკას რომელიმე საკნის კართან ატუზული დახვედროდა და სწორედ ამ მომენტში თუ პატიმრებს გასაღებების ასხმით მიუბრახუნებდა ან რასმე დაიძახებდა, მაგალითად: დაიძინეთ ახლავე, თორემ მე ვიცი, მე თქვენიო! – მთლად უკეთესი. ბატონი კანარეიკა თუ ზედამხედველს დერეფნის, ვთქვათ, მარჯვენა ბოლოში "მომუშავეს" დაინახავდა, მაშინ თვითონ მარცხენა ბოლოში გავიდოდა, იქიდან იწყებდა საკნებში ჭვრეტას, მაგრამ აუცილებლად ყველაში როდი შეიხედავდა – არჩევით მოქმედებდა, ორ–სამ საკანს მოიხილავდა და საპირფარეშოს კი – უეჭველად და ყოველ მიზეზს გარეშე: ხომ უნდა შეემოწმებინა, ანტისანიტარიას არ ჰქონოდა ადგილი და იმაშიც ხომ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ზედამხედველს საკნიდან ორ შაურად ან მოხარშული დედლის ბარკლისა და შოთის ნატეხის ფასად ვინმე გაჭირვებული არ გამოუშვია საპირფარეშოში?!

– გავიდეთ, ვნახოთ, რა ხდება... – გადავუჩურჩულე გოგის.

თვალი შემავლო, შემატყო, რომ გული ამოვარდნაზე მქონდა, ასე უძრავად, უმოქმედოდ ყოფნა აღარ შემეძლო. რამდენადაც მახსოვს, ისიც ძლიერ ღელავდა და მხოლოდ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვის წყალობით ინარჩუნებდა გარეგნულ აუმღვრევლობას.

დემბინი სართულის კართან იდგა, ქვევით იყურებოდა. დაგვინახა, მოვიდა და გვითხრა:

– კანარეიკა სარდაფშია!.. დათამ თქვა, ჯერ აქ ამოვაო. ჰა?.. კოციც სარდაფშია, ერთად ჩავიდნენ!.. ჰა?

თავები დავაქიცინეთ და გოგი ფეხაკრეფით წავიდა ჩვენი საკნისკენ, საჭვრეტის უბე გადასწია. ჩანს, დათა იქვე იდგა, ჩურჩული გააბეს. ამასობაში სარდაფის სართულის კარმა დაიჩახუნა, მაგრამ ამას ურდულისა და კლიტის ჩხაკაჩხუკი არ მოჰყოლია. კანარეიკა სარდაფიდან გამოვიდა, კარი არ ჩაკეტა! ესე იგი დაბრუნებას მალევე აპირებს! ცოტა ხანს კიდევ ვიყურეთ კომენდანტი მარტო იყო, პირველ სართულს ამოსცდა!.. დემბინი კატორღელების საკნისკენ გაემართა, კართან აიტუზა. ჩვენ საპირფარეშოში შევბრუნდით. გოგიმ გამომრთველი გადააბრუნა, საპირფარეშოში სინათლე ჩაქრა და ესეც ოპერაციის მნიშვნელოვანი დეტალი იყო...

წუთიც არ გასულა, რომ ბატონმა კანარეიკამ სართულის კარს კლიტეები აჰყარა, ორად ორი მრუმე ნათურით განათებულ გრძელ დერეფანში შემოვიდა, დემბინს გახედა. ლუკა პეტროვიჩი საჭვრეტში იყურებოდა და დათას ინსტრუქციის თანახმად, გასაღებების ასხმაც სთხლიშა კარს. ისე სთხლიშა, რომ ხმა დერეფანში მეხივით გავარდა და კანარეიკას ყურადღებაც კი მიიპყრო. დემბინმა კატორღელთა საკანში კიდევ პატარა ხანს იჭვრიტა, შებრუნდა და ახლა მოპირდაპირე საკნის საჭვრეტს მიაბჯინა ცხვირი. კანარეიკა, ჩვეულებისამებრ, დერეფნის მეორე ბოლოსკენ დაიძრა, რამდენიმე ნაბიჯი

გაიარა, თვალში ეცა, რომ საპირფარეშოს კარის სიოში სინათლე არ იყო, მოტრიალდა და კარი შემოაღო. შიგ შემოვიდა, სიბნელეში კედელზე ჩამრთველი მოსინჯა, რაღაც ლანდებს მოჰკრა კიდეც თვალი, მაგრამ უკვე გვიან იყო: კისერზეც დანის წვერი ედო, გულზეც, ერთი წამიც და, თვალები პირსახოცით ჰქონდა აკრული, ხელები მაღლა შემართა და სართულების გასაღებების ასხმა უკვე მე მქონდა.

გოგიმ სინათლე ჩართო და კანარეიკა სულ მალე საცვლების ამარა დარჩა. მისი ტანსაცმელი მე ჩავიცვი. ლოლაძემ ისევ მიტრიალა, მომაწესრიგა – ნიმუში იქვე ჰყავდა რა უჭირდა. მერე უკანასკნელად შემომხედა, ხელები გაშალა და გოგი წულაძეს დიდი სიამაყის გრძნობით ანიშნა, – არა, ერთი ნახე, რანაირად დავამსგავსეო!

ოპერაციის ეს ნაწილი დამთავრებული იყო.

– Feci quod potui, faciant meliora potentes (გავაკეთე რაც შემეძლო, უკეთ – მეტის შემძლემ გააკეთოს (ლათ)) – თეატრალური მაღალფარდოვნობით წარმოთქვა ლოლაძემ და დერეფანში გავიდა.

კანარეიკა და ზედამხედველი საპირფარეშოს სხვადასხვა კუთხეში თვალებაკრული, ხელფეხშეკოჭილი იდგნენ და თითოეულს თავისი კატორღელი დარაჯობდა.

ჩვენი საკანი გავაღე, ლოლაძე შევუშვი. დათა თუთაშხია, პოქტია, კომიტეტის მთელი შემადგენლობა და კიდევ რამდენიმე მოხალისე გარეთ გამოვიდნენ, მაგრამ კაცისფერი თომა კომოდოვის მეტს არც ერთს არ ედო. მახსოვს, სანამ ზღურბლს გადმოაბიჯებდა, პეტრე ანდრაშჩუკმა პირჯვარი გადაისახა და რაღაც წაიჩურჩულა – ალბათ, რომელიმე ლოცვის ნაწყვეტი. კლასიონიც წამით შეფერხდა, ნახევარხმაზე თქვა:

– კლასიონ კვიმსაძე!.. დადგა შენი ცხოვრების უდიდესი წამი! – ზღურბლს თვალი სჭიდა და მერეღა გამოვიდა გარეთ.

დათა თუთაშხიამ ჩვენი სართულის გასაღებების ასხმა თომა კომოდოვს გადასცა. მერე კარგა ხანს ვიჩურჩულეთ, მოვალეობები გავიმეორეთ.

ბოლოს დემბინმა და მე – იგივე ზედამხედველმა და ბატონმა კანარეიკამ – დათა თუთაშხია, პოქტია, ანდრო ჭანეიშვილი, ალექსი სნეგირი, ეზიზა ჭელიძე, პეტრე ანდრაშჩუკი და კლასიონ კვიმსაძე შუაში ჩავიყენეთ, კიბეებზე დავეშვით. თომა კომოდოვი, ჰამბო ხლგათიანი და გოგი წულაძე იქ დარჩნენ, საქმეს შეუდგნენ. მათ ყოველი საკნისთვის სათითაოდ უნდა განემარტათ ვითარება, წაეკითხათ მოწოდება, გამოევლინათ მოხალისეები... ერთი სიტყვით, საქმე ბლომად იყო.

მესამე სართულის კარის კლიტემ გამაწვალა. რომელი გასაღები რომელი სართულისა იყო, აბა, მე საიდან უნდა მცოდნოდა. ვერა და ვერ მოვარგე! ხელები მიკანკალებდა და რატომღაც იმის შეგნება უფრო მეტად მანერვიულებდა, რომ ჩემს ზურგს უკან ხალხი იდგა, ღელავდა, მოთმინებას კარგავდა, თავს ძლივსღა ფლობდა და, იქნებ ვინმეს ეთქვა კიდეც – მომეცი, მე გავაღებ, რა ჭირი დაგემართაო!

ზედამხედველი ან კართან ახლო იდგა, ან მეტისმეტად გაჭიანურებულმა ჩხაკაჩხუკმა წამოიყვანა – ვერ გეტყვით, მაგრამ ის იყო, როგორც იქნა, გავაღე, რომ მოვიდა და ამეტუზა.

– Кру-гом, скотина! – ეს “სკოტინა” ნათქვამიც არ მქონდა, რომ ზედამხედველი ზურგით იდგა და ერთი პირსახოცი მისი თვალებისთვისაც მყისვე გამოინახა.

ამ სართულზე ანდრო ჭანეიშვილი და ეზიზა ჭელიძე დარჩნენ. ჩვენ მეორეზე ჩავედით... მოყოლად აღარ ღირს. აქაც და პირველ სართულზეც თითქმის იგივე განმეორდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, სარდაფის დერეფნის ზღურბლს მე და ლუკა პეტროვიჩმა გადავაბიჯეთ. სხვები კარს აქეთ დარჩნენ – კლასიონ კვიმსაძე, პოქტია, ალექსი სნეგირი და დათა თუთაშხია.

დათა თუთაშხია მეტყოდა ხოლმე, – გამბედაობა ჩვეულება არისო! იმ მოკლე ხანში ისე დავეჩვიე ზედამხედველების შეყენებას, რომ ჩვენი საყვარელი ციხის უფროსი კოცი და უფრო ძვირფასი ზედამხედველი ცუგო დავინახე თუ არა, პირდაპირ მათკენ გავემართე, ნელა მივდიოდი, თან გასაღებებს ვაჩხრიალებდი. დემბინი სამ–ოთხ ნაბიჯზე, თავდახრილი, მაგრამ ერთობ თამამად მომდევდა. გზად რომელიღაც საკანთან გავჩერდი, საჭვრეტში შევიხედე. დემბინმაც იგივე გააკეთა – შეთანხმებული ვიყავით. კოცი დერეფნის ბოლოში სკამზე იჯდა. გვერდით გაჭიმულ–გაშტრიგინებული ცუგო ჰყავდა. დერეფანში რომ შემოვედი, კოცმა მხოლოდ ერთხელ მაღირსა თავისი უფროსებრივი ყურადღება და მოწყენილი თვალები საითღაც წაიღო. ცუგო იდგა, ხან ჩვენკენ გამოიხედავდა, ხან კოცს დაჰყურებდა.

საკნის კარს გასაღებების ასხმა ვთხლიშე, ეს ნიშანი იყო და დერეფანში დათა, პოქტია, ალექსი სნეგირი და კლასიონი შემოცვივდნენ. სწორედ რომ – შემოცეივდნენ! მე ერთი კი ვესროლე შემოვარდნილებს თვალი და კოცს მივაშურე. დემბინი, რა თქმა უნდა, მომყვა.

დერეფანი ვიწრო იყო, ჩვენს უკან ვინ გამორბოდა, კოცსა და ცუგო–ზედამხედველს არც დაუნახავთ. სინათლე აქაც ისეთი იყო! როგორც სხვაგან – სანახევრო, იქნებ, სამესამედოც. კოცსა და ცუგოს, ეჭვს გარეშეა, ეგონათ, რომ მათკენ შიში მიგვარბენინებდა – თუკი, საერთოდ, რაიმეს მოსაზრება მოასწრეს, მაგრამ როცა ზედ წავადექი და დავუსისინე:

– Встань, скотина! Повернуться к стене! – ცუგოს მუხლები მოეკვეთა, გულწასული დაეცა. კოცს ყბა ჩამოუვარდა. მივხვდი, რომ განძრევის უნარიც კი წაერთვა და ამიტომ კედლისკენ სკამიანად მივატრიალე – ამაში უკვე პოქტია და კლასიონი დამეხმარნენ, ერთი კაცისთვის კოციანი სკამი საკმაოდ მძიმე იყო.

დათამ ცუგოს გასაღებები აართვა, თვალები აუხვია, პოქტიამ და მე კოცი დავამუშავეთ.

როგორღაც იყო უკან მივიხედე: დემბინი იხდიდა, ცდილობდა, ტანსაცმელი რაც შეექლო შორს გადაეყარა და ერთი ჩექმა იმ სიშორეზე მოისროლა, რომ ამ დროს სარდაფში შემოსულ თომა კომოდოვს კინაღამ შიგ ცხვირ–პირში მოახვედრა.

დათამ კარცერებს ჩამოუარა, ყველა გარეთ გამოყარა. საწყალ კაკალაშვილს ვერ გაეგო, რა ხდებოდა, თვალებს აქეთ–იქით აცეცებდა, რაღაცის თქმაც კი დააპირა, მაგრამ თომამ ტუჩებზე თითი მიიდო, ხმა არ გაიღოო. ამან საბოლოოდ დააბნია ისედაც თავრეტდასხმული გიმნაზისტი. დარდაკამაც კარში გამოსასვლელად გამოიწია. თომა კომოდოვი გადაეღოგა, ხელი ჰკრა, შიგვე შეაგდო და მასთან საკანში ის ორი კაცი შეუშვა, თან რომ მოიყვანა. ერთი მათგანი ჩალაბა იყო, ასე ეძახდნენ, გვარი არასოდეს მცოდნია. ამ ჩალაბაზეც ვიტყვი, ცოტა მოგვიანებით.

დემგინს მოვკარი თვალი, ნიფხავ–პერანგის ამარა ფეხშიშველი გარბოდა დერეფნიდან.

დათამ კლასიონს ანიშნა, რომ ბატონი კოცი ერთ–ერთ კარცერში შეეყვანათ. კლასიონი დათასთან მივიდა, თითებით რვა აჩვენა და მერვე საკნის კარზე მიანიშნა – იქვე იყო. დათამ ნიშნითვე ჰკითხა, – მერვეში რატომო? კლასიონმა ხელი უკანალზე მიიტყაპუნა და დათას ხარხარი აუვარდა. მეც მივხვდი, რომ მამაძაღლი კლასიონ კვიმსაძე ციხის უფროსის მამათმავლებთან შეგდებას მოითხოვდა და, დათასი არ იყოს, ისტერიული სიცილი ამიტყდა საოცარი რამ მოხდა: ამ დროისათვის დერეფანში უკვე თხუთმეტი–ოცი კაცი ტრიალებდა – ჩვენები და კიდევ სხვა პატიმრები, რომლებიც, მგონი, არასოდეს მენახა და ყველა ერთბაშად ახარხარდა. იმავ წამს სარდაფის ყველა საკნიდან გაისმა თავაწყვეტილი ხარხარი და სულ რაღაც ნახევარი წუთის შემდეგ მთელი ციხე ხარხარებდა, მთელი ციხე – ოთხი ათასი კაცი ერთად!

მერვე საკანი გააღეს, კოცი შეიყვანეს, კლასიონის სურვილი აღსრულდა. ვინ რას გაუბედავდა, მაგრამ მამათმავლებთან დამწყვდევის თვით იდეაც საკმარისი იყო, როგორც მასის გულის მოსაფხანად, ისე კოცის შეურაცხყოფისათვის.

– გაუხსენით ხელები და თვალები. – უბრძანა თომამ.

მამათმავლები ჯგუფად იდგნენ, კარს გამოჰყურებდნენ. ერთხანს სიჩუმე იყო. მერე ხარჩო წამოვიდა, კოცის ხელების შეხსნას შეუდგა. ალისკერამაც გამობედა, ციხის უფროსს თვალი აუხილა.

– ბისმალაჰ, ეს ვინ კაცია? – ალისკერამ იცნო, ვინ კაციც იყო, და მყისვე უკან დაიხია, თავისიანებს შეუერთდა.

ხარჩომ ციხის უფროსს სახეში შეხედა:

– ვაჰ, ჩემმა მზემ, აი! არა მართლა, რა!.. კოცია, რაღა!

რუდოლფ ვალენტინოვიჩმა ძალიან თავაზიანად და გულუბრყვილოდ იკითხა.

– Помилуйте... Государь-император разве уже отрекся от престола?

– ამან თუ აქ ჭიჭყინი და ტირილი დაინყო, – მიშველეთო და რამე – მოვალ სათითაოდ ფერდებს დაგიხეთქამთ! – უთხრა მამათმავლებს ჩალაბამ.

ჩალაბა ხელობით მეხანჯლე იყო, მისი მიცემული რევოლვერით ვიღაც ჟანდარმი მოკლეს. პირველად ამისთვის ჩაჯდა. ახლა უკვე მესამედ იჯდა იმ რევოლვერის საქმის შემდეგ, ორჯერვე პოლიციელების უმოწყალო გალახვისთვის. პუნქტი ჰქონდა – პოლიციელები ეჯავრებოდა და გამოძიების დროს, რაღაც აუხსნელი სიჯიუტის გამო, თავის საქციელს ცარიზმისადმი სიძულვილით ხსნიდა ხოლმე, აქედან – მისი პოლიტპატიმრობაც.

მამათმავლების საკნის კარი ჩაიკეტა და ჩალაბამ თომას უთხრა.

– აქაურობას პატრონი სჭირდება, თომა. თუ კანარეიკასა და ცუგოს აქ ვიტოვებთ... ეგრე არა თქვი?..

– ვიტოვებთ.

– საშიშია... პატიმრებმა კარი არ შეამტვრიონ, რამე არ დამართონ, არ შეიძლება... არა?

თომამ თავი ჩააქიცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– მოიტა გასაღებები, ამ საქმეს მე მივხედავ, – თქვა ჩალაბამ.

თომა, თითქოს მხოლოდ ამას ელოდა, გასაღებების ასხმა მიაწოდა და დასძინა:

– მაშინ, ხალხი იშოვნე, მარტო ვერ აუხვალ... საერთოდ, წესრიგი, რევოლუციური დისციპლინაა საჭირო! – ვთქვი მე.

– ყველაფერი იქნება! – დამამშვიდა ჩალაბამ.

ვიღაცამ დაიძახა, – კმარა, დაცალეთ დერეფანიო, და ხალხი უსიტყვოდ დაემორჩილა ამ მოწოდებასა, თუ ბრძანებას. მამათმავლების საკანთან სამნიღა დავრჩით – თომა კომოდოვი, დათა თუთაშხია და მე.

– არ შეიძლება! – ჩაილაპარაკა თომამ.

იმწამსვე მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

– მართალი ხარ, არ შეიძლება! – დაუდასტურა დათამ.

– ჩალაბ, მოდი აქ, – გასძახა თომამ.

ჩალაბას ამ მომენტში ცუგო მიჰყავდა საკანში. შეიყვანა, კარი ჩაუკეტა და მოვიდა.

– გამოიყვანე, ცუგოსთან ჩასვი! – თომამ თავის აქნევით მერვე საკანზე მიანიშნა.

– რომელი?

– კოცი.

– კოცი?.. მე მეგონა, რომელიმე მაგათგანზე მეუბნები... კოცი? კოცი გამოვიყვანო? – ჩალაბამ ეჭვის თვალით შეხედა თომას. – რათა?

– რათა და, გლახა რომ არის და გლახას რომ სჩადის მეფის ხელისუფლება, მიტომ უნდა ხალხს მისი ჩამოგდება. – ჩაერია დათა თუთაშხია – ჩვენ არ უნდა ვაკეთებდეთ მაგას. ასე მგონია მე.

– ცუგოსთან ჩასვი. – გაუმეორა თომამ და ჩვენც გასასვლელად გავწიეთ.

– როგორც მეტყვით, – უკვე კარგა მანძილიდან მოისმა ჩალაბას არცთუ ხალისიანი დასტური.

**გრაფი სეგედი**

ამბოხების მსვლელობისა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ვიცი – პიკანტური დეტალებიც კი. ერთ–ერთი ჩემი ყოფილი ხელქვეითი იმ ამბებს თავიდან ბოლომდე შეესწრო, როგორც ჟანდარმერიის სამმართველოს წარმომადგენელი, მაგრამ მხოლოდღა შეესწრო – მოთვალთვალედ, მიუხედავად იმისა, რომ საპატიმრო ადგილების უწყება მისთვის ერთ–ერთი დაქვემდებარებული დაწესებულება იყო, მას სათათბირო ხმის უფლებაც კი არ ჰქონია. – უკვე ვთქვი, პეტერბურგში ასე ინებეს. ასეა თუ ისე, ჩემი ყოფილი ხელქვეითი პატიმრების მიერ ციხის ხელში ჩაგდებიდან ერთი საათის შემდეგ საყარაულო კოშკზე იდგა, ვითარებას თვალს ადევნებდა და აი, რა ხდებოდა. სიბნელეში ასობით ადამიანი ფუთფუთებდა. კორპუსის გარშემო უკვე ეყარა ქვისა და აგურის დიდ–დიდი გროვები – არსენალი, შტურმის შემთხვევისთვის. სადღაც მშენებარე სახლის ხარაჩოებს გაუდიოდათ ჭრიალი, სხვაგან იატაკის ფიცარი იყრებოდა და ხალხს ხელში უკვე ზოგს კეტი ეპყრა, ზოგს – ქვები, ზოგს – წერაქვები და ძალაყინები.

ვიღაცებმა სართულებიდან პატიმრები გამორეკეს – რატომ ხუთასი კაცი არ იქნებოდა! მშენებარე ნაგებობიდან მასალის ზიდვასა და ბარიკადების მეორე რიგის მოწყობას შეუდგნენ. საქმე სწრაფად მიიწევდა წინ და ძალიან საქმიანი, მცოდნე კაცების მოკლე განკარგულებები ისმოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთად მოგროვებული ზედამხედველები ჭიშკრისწინა, პირველ ბარიკადასთან მირეკეს, ზედ სტვენტ–სტვენითა და შეძახილებით გადააძვრინეს. ალაყაფის პატარა კარი მხოლოდ დიდი ხნის ახსნა–განმარტებისა და ხვეწნის შემდეგ გაიღო. ზედამხედველები გარეთ ჩასაფრებულმა ჯარისკაცებმა პატიმრებივით მიითვალეს.

გამთენიისას ციხე უკვე კარგად გამაგრებულ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. ბარიკადებში აუარებელი ხალხი იჯდა. მათ განლაგებას, საჭურვლის – ქვებისა და აგურის ნატეხების – მარაგს, დისციპლინასა და საქციელს დახელოვნებული კაცების ცოდნა და ხელი ეტყობოდა. სამზარეულომ დილის ულუფის გაცემა დაიწყო. ბარიკადებში ჩასაფრებულებს, ასე გასინჯეთ, პირველ რიგში და პირდაპირ პოზიციებზე მიართვეს საუზმე. ყველაფერი უაღრესად წესიერად მიმდინარეობდა. მომსახურება საათივით მუშაობდა და უსიტყვოდ ასრულებდა მორიგეებისა და ინტენდანტების მითითებებს.

საუზმეს მორჩნენ თუ არა, ციხის ეზოში საშინელი სიმყრალე დატრიალდა, ის სიმყრალე, რომელიც საასენიზაციო ორმოების ამოცლის დროს დადგება ხოლმე. ერთ–ერთ თავკაცს ნაირ–ნაირი ჭურჭლით დატვირთული რაზმი მოჰყავდა და იმ სიბინძურეებს მთავარი ალაყაფის წინ აგებულ ბარიკადაზე ასხამდნენ. თავკაცი კლასიონ კვიმსაძე იყო. იგივე კვიმსაძე მშენებარე სახლის მესამე სართულის ბაქანზე რაღაც ნაგებობის მოწყობას ხელმძღვანელობდა. სხვა თავკაცები ჯერჯერობით არსად ჩანდნენ.

ამბოხებულებთან პირველი კონტაქტი ინტენდანტ ჩარაძის მეშვეობით დამყარდა. მას მთავარი ალაყაფის პატარა კარი გაუღეს, ღრიჭოში თავი გაყო და დაიძახა:

– ეს თუ არ დაშალეთ ახლა, რაფრა შემოვიტანო პროვიანტი?! პატარა კი არაა, ხუთი ათასი კაცის საჭმელია და სამი დღის... ფუჰ, რაფრა დაგისვრიათ აქაურობა, რას გავს ეს?!

ხალხი ჩუმად იყო.

– კაცო არ გეყურებათ, რას გელაპარაკებით?!

– მოხსნან რკინები რომელიმე ფანჯარას და გადმოგვაწოდონ ისე, – დაიძახა ბოლოს ვიღაცამ.

– კი, აბა!.. რკინებს მოხსნიან ისინი? მეტი არ იქნა თქვენი მტერი, – მიუგო ჩარაძემ და კარი ჭახანით ჩაიკეტა.

დილის ათ საათზე მეფისნაცვალმა ოპერატიული შტაბის შემადგენლობა დაამტკიცა. ამბოხების ჩაქრობის ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ ქუბასარიძეს დაეკისრა. მცირე თათბირის შემდეგ ადმინისტრაციის კორპუსის ერთ–ერთ, ციხის ეზოსკენ გამავალ ფანჯარას, ჯარისკაცები მიუყენეს, გისოსის მოხსნა დაიწყეს. გარეთ გამოფენილმა პატიმრებმა პირველი გამარჯვება აღტაცებული ღრიალით აღნიშნეს და ინტენდანტმა ჩარაძემ ამბოხებულთა მიერ დანიშნულ წარმომადგენელს კონტინგენტის სამი დღის საკვები ჩააბარა. ეს პატიმარი იყო შალვა თუხარელი. იგი დღესაც ცოცხალია, სოფლად ცხოვრობს, სკოლის სამოსწავლო ნაწილის გამგეა. ამ ჩანაწერების ის ნაწილი, რომელიც ამბოხებულთა შინაგან, გამოძიებისთვის უცნობ ურთიერთობებს ეხება, შალვა თუხარელის ნაამბობიდან ვიცი.

პროვიანტის მიღება–ჩაბარება თხუთმეტ წუთზე მეტი არ გაგრძელებულა. ეს ოპერაცია დამთავრდა, შალვა თუხარელი ბოლო ტომარას გაჰყვა. ჯარისკაცებმა ფანჯრის რაფა ჯერ ცოცხით გადაგავეს, შემდეგ სველი ტილოთი გაწმინდეს, მერე მშრალი გადაუსვეს და ფანჯარაში პოლკოვნიკი ქუბასარიძე გადადგა.

– გამარჯობათ პატიმრებო! – დაიძახა პოლკოვნიკმა.

მისალმებაზე არავის უპასუხია, ყველა გაინაბა.

პოლკოვნიკმა მხარზემოდან გადაიხედა და მას ორთავე მხრიდან თითო, უფრო დაბალი ჩინის ოფიცერი ამოუდგა.

– პატიმრებო! – წარმოსთქვა პოლკოვნიკმა რბილად. – ვერ გამიგია, რა გაწუხებთ, რატომ მოაწყეთ ეს... ეს სასაცილო არეულობა?

კვლავ სიჩუმე იყო.

– აი, მაგალითად, თქვენ! – მობრძანდით, გამოდით, გამოდით წინ! – რომელიღაც შობლას უთხრა ერთ–ერთმა ოფიცერმა და ვინაიდან მას თავის სიცოცხლეში პირველად მიმართეს თქვენობით და, ამასთან, ესოდენ თავაზიანადაც – იგი მექანიკურად დაჰყვა, ორიოდ ნაბიჯით გასცდა ბრბოს.

– დიახ, ძალიან კარგი, – კვლავ ალაპარაკდა პოლკოვნიკი. – რა გვარი ბრძანდები, ახალგაზრდავ?

ახალგაზრდა თავჩაქინდრული იდგა და არავითარ ნიშანს არ იძლეოდა, რომ პოლკოვნიკი მის გვარს როდისმე გაიგებდა.

– ნუ გეშინია, შვილო, მითხარი გვარი. აი, მე, მაგალითად, პოლკოვნიკი სტანისლავ ქაიხოსროვიჩ ქუბასარიძე გახლავარ. შენ? – ძალიან ალერსიანი ტონი ჰქონდა.

შობლა კყლავინდებურ ტრანსში იყო. ბრბო განაბული უსმენდა სიჩუმეს.

– თქვი, – ჩააცივდა პოლკოვნიკი. – მე ხომ გითხარი ჩემი გვარი?.. ახლა შენ მითხარი.

პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა და მერე შუა ბრბოდან, როგორც სამარიდან, ისე ამოიძახა ვიღაცამ:

– ვა, ეს ვინა ყოფილა?!.. მაგას შენი გვარი რათ უნდა. აჰა, და, იცოდეს კიდეც – რაში გამოადგება?! აი შენ რო მაგის გვარი დაიხსომო?.. იცის, ბოლოს ფინთი იქნება, იმიტომაც არ გეუბნება. გვარიო!.. ეს ვინა ყოფილა?!

ეტყობა, პოლკოვნიკი, თავის მხრივ, დაჩვეული არ იყო ასეთ უტიფარ მიმართვას და, ცოტა არ იყოს, შეცბა.

– კარგი, კარგი, – ხმა გაიღო მეორე ოფიცერმა. – არ არის საჭირო გვარი. გვითხარი, აი, ბატონ პოლკოვნიკს მოახსენე, რით ხარ უკმაყოფილო, რა გაწყენინეს, ვინ გაწყენინა, როგორ იყო...

– როგორ იყო და... – მოულოდნელად, ხმამაღლა, ერთობ ბრაზიანად ალაპარაკდა პატიმარი. – ერთი თვეა, სახლში წერილებსა ვწერ, საჭმელი მოიტანეთ–მეთქი. არ მოაქვთ... ველოდები და არ მოაქვთ!

ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს, პოლკოვნიკმა რაღაცის თქმა დააპირა... შინ მიწერილი წერილების ავტორმა არ დააცადა:

– არ უშვებენ, ფოშტაში არ მიაქვთ, ციხე არ უშვებს!

– ააა! – მიუხვდა პოლკოვნიკი – გამოვიკვლევთ, უეჭველად გამოვიკვლევთ და დამნაშავეებს დავსჯით. წადი, დაწერე წერილი, მე საკუთარი ხელით ჩავაგდებ ფოსტის ყუთში. წადი, შვილო, დაწერე!

– ბაჭიევი ვარ, ფრიდონ ნიკალაევიჩი, – დიდი დაგვიანებით, მაგრამ ამაყად, ღირსების გრძნობით, ძალიან გარკვევით აცნობა შობლამ და წერილის დასაწერად გაიქცა.

სანამ ერთ–ერთ ოფიცერს უბის წიგნაკში Бачиев Фридон Николаевич გამოჰყავდა, პოლკოენიკმა კვლავ ბრბოს მიმართა:

– აბა, კიდევ ვის რა გასაჭირი გაქვთ? გისმენთ.

– ხორცებს იპარამენ! – დაიძახა ვიღაცამ.

– კი არ იპარამენ, შედიან და სჭამენ!

– ვა, მოპარვაც კიდე სხვა რამეა?

– მოპარვაა, მოპარვა!

– მარილი, ზეთი – რაც კაი რამეა, მიაქვთ!

პოლკოვნიკმა ძლივს მოიხელთა დრო, რომ იმ ყვირილმი თავისი სიტყვაც ჩაეკერებინა.

– ვინ იპარავს, ბატონებო, საიდან იპარავს, სად შედიან?!.. რიგრიგობით ვილაპარაკოთ ერთმა თქვას!

საშინელი ღრიანცელი ატყდა, რადგან ყოველ დამსწრეთაგანს მიაჩნდა, რომ თუ რიგრიგობით ლაპარაკზე მიდგა საქმე, მაშინ სწორედ მისი რიგი იყო.

ოფიცერმა რის ვაი–ვაგლახით ჩაიწერა – ხორცები, მარილი, ზეთი, რამდენიმე გვარი და, საზოგადოება ცოტა რომ დაშოშმინდა, სიტყვა ისევ პოლკოვნიკმა აიღო:

– გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ყოველივე ამას გამოვიკვლევ და დამნაშავეებს სასტიკად დავსჯი, სასტიკად!.. რა გაწუხებთ, რა საჩივარი გაქვთ?

ბრბო მიხვდა, რიგრიგობით ლაპარაკი ჯობდა, მაგრამ იმას ვერ ხვდებოდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს ყოფით წვრილმანებზე ემასლაათებოდა, მაშინ როდესაც ამბოხებას სულ სხვა საფუძველი და მიზანი ჰქონდა. არც პოლკოვნიკი ჩქარობდა, დარწმუნებული იყო, იმ ნამდვილზეც მიდგებოდა საქმე.

– პარაშები ძველია, გამოგვიცვალონ! – მოისმტ შეძახილი.

პოლკოვნიკმა ესეც ჩააწერინა. ამ საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარებას შეჰპირდა და აქ უკვე ვიღაცამ მოითხოვა:

– საკნები, რობორც იყო, ისევ ისე გაგვიღონ!

– ვაა, მართლა, ეეე!..

ხალხმა ისევ ღრიანცელი ატეხა, თითქოს ყველას ახლაღა მოაგონდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მოთხოვნა მივიწყებული ჰქონდათ.

პოლკოვნიკს კარგა ბლომად ლოდინი მოუხდა, სანამ ის ალიაქოთი მიილეოდა და, ვითომც აქ არაფერიაო, განაცხადა:

– ხელისუფლებამ არ იცოდა, რომ საკნები ჩაიკეტა. ეს ციხის უფროსის და მისი ადმინისტრაციის თვითნებური საქციელია, ჩვენ მათ აუცილებლად დავსჯით. ამჟამად ხომ ღიაა? იყოს ღია, ხელახლა ჩაკეტვას ვეღარავინ გაბედავს... დღისით ჩაკეტვას. რა თქმა უნდა, ღამე, როგორც იკეტებოდა ისევე ჩაიკეტება – დილის ექვს საათამდე. აბა, ბრძანეთ, კიდევ რა გაქვთ?!

ბრბოში საკმაოდ ხმამაღლა ითქვა, – ღამე ჩაგვიკეტავენ და დილით აღარ გაგვიღებენო, – იმდენად ხმამაღლა, რომ პოლკოვნიკმა უეჭველად გაიგონა, მაგრამ, როგორც იტყვიან, გამწვავებას თავი აარიდა და ამაში გალამბოც დიდად დაეხმარა:

– აბანოს დროზე არ გვაძლევენ ხოლმე, აბანოსა!

– გალამბო, ხმაზე გიცანი, შენ ამბობ მაგას მანდ, ხომ?.. ვაი, შე უბედურო, შენ!.. – მოისმა ვიღაცის შეძახილი.

შემდგომში გავიგე, რომ ის პატიმარი – მეტსახელად “გალამბო” – წყალთან, საერთოდ, მწყრალად იყო, ხელ–პირსაც კი თვეობით არ იბანდა და აბანოს ადგილსამყოფელი მხოლოდ დაახლოებით იცოდა.

პოლკოვნიკმა თავის ხელქვეით ოფიცერს ესეც ჩააწერინა და სეფესიტყეა თქვა:

– ჩვენი ძვირფასი ხელმწიფე–იმპერატორის საყვარელ ქვეშევრდომებს დროდადრო უყვართ თავის აწყვეტა, მღელვარეგა, შფოთი და დავიდტრაგა, მაგრამ მის უდიდებულესოგას ეს მოვლენა მისი დიდი ხალხის ამაღლებული სულის გამოხატულებად მიაჩნია და სრულიად სამართლიანადაც. წარმოიდგინეთ, პირუტყვმაც ხომ იცის: შედგება და ადგილიდან აღარ იძვრის. ცემით აქ ვერაფერს გახდება კაცი, მოცდა უნდა! გავა პატარა ხანი, ოჩანს თავისი ხუშტურები მობეზრდება, დაიძრება, წაათრევს ფორანს და ისევ ყველაფერი ძველებურად, კარგად იქნება. მით უმეტეს თქვენ, ბატონებო! აბა, ამ საზიზღარ სახაზინო სახლში ხართ გამოკეტილები. რა თქმა უნდა, ერთფეროვნება მოგბეზრდათ და სულმა შფოთი მოგთხოვათ. იშფოთეთ, იყვირეთ, იჯანყეთ – მე თქვენ ყველაფრის ნებას გაძლევთ. ჩვენ მოვითმენთ, მოგიცდით და, – როცა იქნება, ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება....

ამ ადგილას პოლკოვნიკმა დიდი ცხვირსახოცი ამოიღო, ძალიან ხმამაღლა მოიხოცა, შიგ ჩაიხედა – შედეგს თვალი მოაელო, თავი გადაიქნია. მერე ცხვირსახოცი შეინახა, ალაყაფის წინ ახონხლილ ბარიკადას ხელი მიაშვირა და დასძინა.

– აღარ არის საჭირო, სიბინძურეებს ნულარ მოზიდავთ, ძალიან ცუდი სუნი დგას, ძალიან... დიახ, და ახლა კიდევ ერთი საქმე მაქვს თქვენთან, ბატონებო... – პოლკოვნიკმა ერთხანს აქეთ–იქით აცეცა თვალები. მერე ვიღაცაზე შეჩერდა, დააკვირდა და თქვა: – აი თქვენ... დიახ, დიახ, თქვენ! მობრძანდით ახლოს ბატონო. მე ხმა არ მეყოფა, ავადმყოფი ყელი მაქვს...

პატიმარმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, ბრბოს გამოეყო.

– თქვენ ინტელიგენტის იერი გაქვთ რა გვარი ბრძანდებით, გეთაყვათ? – ტკბილად ჰკითხა პოლკოვნიკმა პატიმარს.

– კვიმსაძე კლასიონ ბიჭიევიჩ, ტელეგრაფისტი! – სწორედ ასეთ კილოზე ეტყვიან ხოლმე: – წადი, შენი პატრონის დედაცაო!

– ძალიან სასიამოვნოა, – მიუგო პოლკოვნიკმა. – მე თქვენ გათენებიდანვე გხედავთ. იქ, აგერ, იმ დაუმთავრებელ შენობამი რაღაც ნაგებობის აღმართვას ხელმძღვანელობთ, ხომ ასეა?.. და სიბინძურეებსაც აზიდვინებთ...

კვიმსაძეს – გაფუჭდაო, რომ იტყვიან, სწორედ ის დაემართა. რა ექნა ან რა ეთქვა?.. მაგრამ ისევ პოლკოვნიკმა გამოიყვანა მძიმე მდგომარეობიდან:

– დიახ, და რაკიღა იმ კოშკის აგებას ხელმძღვანელობთ და სიბინძურეებსაც აზიდვინებთ, საფიქრებელია, რომ ამის... – პოლკოვნიკმა ხელის მტევანი დაატრიალა... – ამის ერთ–ერთი ხელმძღვანელიც ბრძანდებით. ამიტომ მოგმართავთ სახელდობრ თქვენ... აქ არის კიდევ ერთი, აი, პროვიანტი რომ ჩაიბარა, მაგრამ არ არის ახლა აქ. დიახ, და საჭიროა, რომ ბატონი კოცი და კიდევ ერთი ზედამხედველი რომ გყავთ... აუცილებლად საჭიროა, გადმოგვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მათ ვერ დავსჯით, ეს თავისთავად გასაგებია! ერთი სიტყვით წადით და გამოუშვით!

კვიმსაძემ პოლკოვნიკ სტანისლავ ქაიხოსროვიჩ ქუბასარიძეს ალმაცერად ახედა უყურა და უთხრა:

– დანებდეს, ბატონო, და გამოვუშვებთ, აბა რას ვიზამთ!

– როგორ თუ დანებდეს? – პოლკოვნიკმა იფიქრა, საქმე კარგად ყოფილა, ჯერაც არ დანებებულანო, და ხმას აუწია: – მისი უდიდებულესობის არმიის!.. ეეე, შეიარაღებული ძალების ოფიცერი?. .. ვის დანებდეს!

– ხარჩოს ბატონო! – აშკარად დასცინა კვიმსაძემ.

– როგორ ბრძანეთ? ხარჩოს? – პოლკოვნიკმა თავის ოფიცერს გადახედა.

– ხარჩოს თუ არ მოინდომებს, აბა, დარდაკას დანებდეს მაშინ!

პოლკოვნიკი მეორე ოფიცერს გადაელაპარაკა. იმანაც მხრები აიჩეჩა.

– ეგ, რა... ვინმეს მეტსახელებია! ბატონო კვიმსაძე?

– დიახ, ბატონო.

– მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ოფიცერი ტყვედ დანებდეს?! არაფრის გულისთვის! – უარესად შეიცხადა პოლკოვნიკმა.

– რავა გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ტყვე რას მიქვია, ეგერ გვყავს ნიფხავ–პერანგის ამარა საკანში... ამოირჩიოს, რომელიც მოეხასეათება და დანებდეს. მაგენს თუ არ მოინდომებს – ხარჩოს და დარდაკას, მაშინ, აგერ, მშვენიერი კაი განათლებული კაცი გვყავს ერთი – რუდოლფ ვალენტინოვიჩი...

– ლაპარაკი! – დაიღრიალა პოლკოვნიკმა.

– რავა, ბატონო... რუდოლფ ვალენტინოვიჩისთანას სად ნახავთ მეორეს და, ახლა ისიც ვთქვათ, რომ თვითონ თუ მოეწონა კოცს რომელიმე, მაშინ ვერ გავხდებით ვერაფერს და სულ ზედმეტია ჩვენი ლაპარაკი...

– როგორ ეძახიან, როგორ ბრძანეთ მათი სახელები, ბატონო ქერქაძე? – ჰკითხა ერთ–ერთმა ოფიცერმა და უბის წიგნაკი მოიმარჯვა.

– კეიმსაძე ვარ მე, კლასიონ ბიჭიევიჩ! ტელეგრაფისტი.

– დიახ, ბატონო გვიმსაძე, როგორ ბრძანეთ?

– ხარჩო, დარჩო, ალისკერა, დიღლია, დარდაკა, რუდოლფ ვალენტინოვიჩი და კარგად რომ მოძებნოს კაცმა, მოინახება სხვებიც...

– ბარბაროსებო! – დაიყვირა პოლკოვნიკმა.

– მაგ ჩვენ კოცისგან ვისწავლეთ, ბატონო! – ნიშნისმოგებით მიუგო კლასიონ კვიმსაძემ.

როგორც ხედავთ, პოლკოვნიკ ქუბასარიძეს დიპლომატიური ნიჭი მხოლოდ ემბრიონულ მდგომარეობაში ჰქონდა და ისეთი სიმძლავრით წამოდუღდა, რომ რას მოიმოქმედებდა – ძნელი წარმოსადგენია, ერთი მოულოდნელი გარემოება რომ არა:

– Простите, господа, пропустите! – ათასკაციანი ბრბოს სულ ბოლო რიგებიდან გაისმა რუდოლფ ვალენტინოვიჩის ბოხი, მძლავრი ხმა.

ხალხი გაიწ–გამოიწია. პოლკოვნიკი გაფაციცდა, რუდოლფ ვალენტინოვიჩი მარტო არ იყო, მის წინ “დარდაკად” ცნობილი მამათმავალი მიარღვევდა ბრბოს.

გამოაღწიეს, ასე ვთქვათ, ავანსცენაზე გამოვიდნენ.

– ეხლა შენა თქვი, – მიმართა დარდაკამ თანამგზავრს.

– Нетб что вы! ... Я уже в трех камерах исповедывался. Теперь Ваш черед, сударь! – მიუგო რუდოლფ ვალენტინოვიჩმა.

– კაცო, შენ უფრო ლამაზად გამოგდის, ნასწავლი კაცი ხარ, თქვი, რაღა! – ისევ დარდაკამ უთხრა.

– Ваш черед, сударь! – მტკიცედ გაიმეორა რუდოლფ ვალენტინოვიჩმა.

დარდაკამ ერთი მწიფე ლანძღვა თქვა და დაიწყო:

– ამას წინათ კოცმა დამიძახა და მეუბნება, თუ მოწყენილი ხარ, დროს გასატარებელი მაქვსო. ახლა, რაც იყო, ვიტყვი, ოღონდ ამათ, – დარდაკამ ბრბოს მიაშვირა ხელი, – ერთი პირობა თქვან: არა მცემონ. ორგან უკვე მცემეს! ჯეილი კაცი ვიყო – სხვა საქმეა. იმდენი ჯანი სადღა მაქვს, მაგდენი რამე ავიტანო.

ბრბო განაბული იდგა. პოლკოვნიკი სასტიკად დაიბნა – ვერ გაეგო, რას მოითხოვდნენ მისგან.

– შენა თქვი, რაღა! – ისევ შეემუდარა დარდაკა კოლეგას, მაგრამ რუდოლფ ვალენტინოვიჩი თავისაზე იდგა.

– ბრძანეთ, ბატონო! ბრძანეთ! – ცნობისმოყვარეობამ აალაპარაკა ქუბასარიძე, – ნურაფრისა ბეშინიათ ვერ გამიგია, რატომ გცემეს და ან ახლა რისთვის უნდა გცემონ?!

დარდაკამ, უთუოდ, სიტუაციის მიხედვით დაასკვხა, რომ ცემა არ ელოდა, და პოლკოვნიკს ხმამაღლა, ბრბოს გასაგონად უამბო შემდეგი: იმ პატიმრებს ვინც ციხის ადმინისტრაციას რაიმე უკანონობისა და წესების დამახინჯების გამო წერილობით უჩიოდა, კოცი, ვითომდა რეჟიმის დარღვევისათვის, თითო–თითოდ კარცერში აგდებდა და ღამე მათთან რომელიმე მამათმავალი შეჰყავდა. ამ მეთოდით შეურაცხყოფილთა დიდი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, გაჩუმებას არჩევდა და ბატონი კოცის შურისძიება დაუსჯელი რჩებოდა. დარდაკამ ისიც თქვა, კოცის ეს საქციელი კანონის მოსარჩლეობის თითო–ოროლა მოიმედეს გაუსაჩივრებია კიდეც, მაგრამ საჩივრის გამრჩევთათვის ასეთი ცინიზმი, ალბათ, იმდენად წარმოუდგენელი იყო, როშ ავტორებს შეშლილებად თვლიდნენ. ისიც შესაძლებელია, რომ კოცი სწორედ მათი მითითებით ხელმძღვანელობდა. ასეა თუ ისე, დარდაკას სიტყვით, ეს დამკვიდრებული პრაქტიკა იყო და არა ცალკეული ღონისძიება.

– შენ რა, იცოდი, რომ კოცი მაგას საჩივრის დაწერისთვის გაკეთებინებდა? – ჰკითხა ერთ–ერთმა ოფიცერმა.

– არა თავიდან არა – მერე გავიგე, რა!

– ვინ გითხრა?

– თვითონ მითხრა.

– ვინ თვითონ?

– ვა, ვისთანაც შემაგდეს... და ერთხელაც, როცა იქიდან გამოვედი, კანარეიკამა თქვა, აი, ეხლა წეროსო. რა წეროს–მეთქი? საჩიერებიო! – არა, კაცო, მე ეგენი ყველა ვიცი, ნასწავლები არიან, წერა კარგი იციან კლიაუზნიკი ხალხია! – დარდაკა წამით შეჩერდა და ღიმილ–ღიმილითა თქვა: – ეგ კი არა, ერთმა გასუდარსტვენი დუმაში პრაშენიაც დამიწერა, ჩემმა მზემ!

– კი მარა, კოცმა სიდან იცის, ვინ უჩივლა და ვის არ უჩიელია? – იკითხა კლასიონ კვიმსაძემ.

– Помилуйте, господа! – ჩაერია რუდოლფ ეალენტინოეიჩი. – Все жалобы на администрацию тюрмы, поступающие в любое из присутствий Российской империиб пересылаются для разбора начальнику той-же тюрмы. Как Вы можете не знать?! Это общеизвестно!

– ეგრე დადიხართ და ხან შენ ლაპარაკობ და ხან ეგა? – პოლკოვნიკმა რუდოლფ ვალენტინოვიჩზე მიანიშნა.

– აბა, ესა ლაპარაკობს, თორე!

– Вас заставили? – ჰკითხა ქუბასარიძემ რუდოლფ ვალენტინოვიჩს.

– Нет, нет, никто меня не заставлял. Приношу глубочайшие извинения и бесконечные сожаления, Ваше сиятельство, по поводу необходимости вынудившей нас, в некоемом смысле, оскорбить Ваш слух... однако... – და ფანჯარა უმალ გაიტენა სხვადასხვა ჩინის ოფიცრებით.

– ერთი, ამათ ნახე, რამდენი ყოფილან! – აღმოხდა დარდაკას, განცვიფრება უმალვე დაიოკა და რუდოლფ ვალენტინოვიჩს უთხრა:

– ო, კარგი, კარგი, თქვი.

რუდოლფ ვალენტინოვიჩს ამ აღსარების თქმა, ვინ იცის, მერამდენედ უხდებოდა, მამაო ჩვენოსავით იცოდა. ბრბო გაზეპირებულ ტექსტს მოელოდა, მაგრამ მამათმავალს შემოქმედებითი უნარი აღმოაჩნდა – სათქმელი არა მარტო ახალი დეტალებითა და სხვა, მოულოდნელი კუთხიდან დანახული მასალით შეავსო, არამედ თვით თხრობის სტილისტიკაც ძირფესვიანად შეცვალა – კოცის საქმიანობას ლირიზმი შესძინა, სიტყვა და ფრაზა სამკაულებით გაამდიდრა და ბოროტმოქმედებამ მთელი თავისი სატანურობით გამოიხედა.

პოლკოვნიკი ფიცხ ცეცხლზე შედგმულსა ჰგავდა. ჯერ შიშინი დაიწყო, შემდეგ ფსკერიდან ერთი ციცქნა ბუშტები ამოუშვა, მერე წამოდუღდა და ერთბამად გადმოიღვარა:

– Молчать, подонок!

– А у тебя, Стаська, кила (ფუში, ვეება სიმსივნე თიაქარისა (ხალხ.))! И еще, Стаська Кубасаридзе, тебя из полка за растрату казенных денег выгнали. Вот и смываешь пятно на жандармской ниве, подлец! – მშვიდად მიუგო რუდოლფ ვალენტინოვიჩშა, მიტრიალდა და წავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დარდაკამ დრო იხელთა და პოლკოვნიკს ჰკითხა:

– კილა რაღაა, ა?

პოლკოვნიკი გაქრა. ფანჯარა ჩაიკეტა.

ასე დამთავრდა ქუბასარიძის პირველი შეხვედრა ამბოხეგულებთან. მეორე შეხვედრა სამხედრო–საომარი ხასიათისა იყო და შემდეგნაირად წარიმართა: პოლკოვნიკმა საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება გასცა და შტაბი მოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მეფისნაცვალს კონფლიქტის მოგვარება პოლიტიკური საშუალებებით სურდა, ქუბასარიძემ თათბირს სამხედრო ჩარევა მოახვია თავს. ასეთი წინადადების მთავარ არგუმენტად იგი პატიმარ კლასიონ კვიმსაძის მიერ აგებულ საომარ იარაღსა და მის უცნობ საბრძოლო თვისებებს ასახელებდა, – სანამ დაუმთავრებიათ მანამდე უნდა შევუტიოთო! ამ საომარი იარაღის გარშემო ის იყო ცნობილი, რომ ძველთაძველი ორთქლის მანქანის დგუშს სახანძრო შლანგები ჰქონდა მიერთებული, რომელთა მეორე ბოლო გაურკვეველ ადგილას იკარგებოდა. ამას გარდა, თვით დგუშთან ორ დიდ, ათას–ათასი ლიტრის ტევადობის ყაზანს ცეცხლი ჰქონდა შენთებული და შიგ წყალი თუხთუხებდა. ამ არგუმენტის წამოყენებისას თათბირის ზოგიერთ მონაწილეს ღიმილი გამოეფინა, მაგრამ ქუბასარიძემ უმალ დატყვევებული ბატონი კოცისა და ზედამხედველის უმწეო, შეურაცხყოფილი მდგომარეობა მოიყვანა და გაიმარჯვა.

“უსისხლო იერიში” – ასე ეწოდა ოპერაციას, რომელშიც საბრძოლო იარაღად ხელკეტები, ვეებერთელა ფარები და გალავანზე ასასვლელი მსუბუქი კიბეები იქნა გამოყენებული. ციხის გალავანს ხუთასამდე ჯარისკაცი შემოერტყა. მთავარი ალაყაფის თავზე მეორე სართულის ორი ფანჯარა ერთდროულად გაიღო, ჯარისკაცებმა სახანძრო ბრანდსპოიტები გადაიშვირეს და ალაყაფის წინ სიბინძურეებით მორწყული ბარიკადების რეცხვას მიჰყვეს ხელი.

ბრძანება გაისმა, მეორე რიგის ბარიკადებიდან ადმინისტრაციის კორპუსს ქვა დაუშინეს. ჯარისკაცებმა ბრანდსპოიტები დაყარეს, გაიქცნენ და ნახევარ წუთში ფანჯარა აღარსად იყო ჩაუმსხვრეველი.

“ცეცხლიც” მეწყდა, მოიერიშეთა პირველი უკუქცევით გამოწვეული აღფრთოვანებული ღრიანცელიც და თავის, უკეე ჩალეწილ ფანჯარაში, პოლკოვნიკი ქუბასარიძე გადადგა. ამჯერად მას ვერცხლისფრად მობრჭყვიალე ხმამზარდი ეჭირა და ორ ფარს შუა ჰქონდა თავი გაყოფილი.

– პატიმრებო, ყურადღება! – დაიწყო მან – თავი დაანებეთ სისულელეებს. ნუ აჰყოლიხართ ერთ მუჭა ავანტიურისტებს. ჩვენ მათ ყველას სათითაოდ ჩამოვახრჩობთ. ყოველი თქვენგანი სამხედრო საველე სასამართლოს წინამე აგებს პასუხს ამბოხებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ საშუალება, გამოისყიდოთ დანაშაული. როგორ? დაეცით ავანტიურისტებს, შეუკარით ხელ–ფეხი, გადმოგვეცით და ყველაფერი ამით გათავდება!

სანამ პოლკოვნიკი ლაპარაკობდა, ბარიკადებიდან ათი–თხუთმეტი პატიმარი გადახტა, ნასროლი ქვისა და აგურების ისევ ბარიკადებზე ზიდვას შეუდგნენ. ქვების მომგროვებელთაგან ერთი, რომელიც ფანჯარასთან ყველაზე ახლო იყო, წელში გაიმართა და ძალიან ბარაქიანად, შიგ სახეში შეაფურთხა ბატონ ქუბასარიძეს.

იერიში დაუყოვნებლივ დაიწყო და ეს, ალბათ, მეურაცხყოფილი პოლკოვნიკის ნაჩქარევი ბრძანებით მოხდა. ალაყაფში დატანებული კარი შეაღეს, უნტერმა ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი ათეული შეიყვანა – მგლებივით შეცვივდნენ. ფარები მყისვე გაბინძურებულ ბარიკადას ააფტრეს და მიაწვნენ, მაგრამ მიაწვნენ ისე მძლავრად, რომ ასე გასინჯეთ, ბარიკადა დაიძრა და ნელ–ნელა გახოხდა. ბარიკადის დაძვრა იყო – ჭიშკარი ყურთამდე გაიღო, კიდევ ასამდე ჯარისკაცი შევარდა, ადრე შესულებს მხარი მისცეს და აქ კლასიონ კვიმსაძის ზარბაზანიც ამუშავდა. კაცობრიობამ ტექნიკის უდიდესი საკვირველება იხილა; მოიერიშეებს წყლის მძლავრი ჭავლი ეტაკა. წყალი, ჩანს, გრილი იყო, ჯარისკაცებზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ როცა შლანგებში ნადგომი წყალი დაიხარჯა და დიდ ქვაბებში მოთუხთუხე მდუღარე წამოვიდა, ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ჯარისკაცებმა ღრიალ–ღრიალით შეაფარეს თავი გვირაბს და ჭიშკარი დაიხურა. ბრძოლის ველზე ნადავლის სახით ათამდე ფარი და მრავალი ხელკეტი დარჩა. ამბოხებულებმა ყველაფერი ეს უმალ თავის ქონებას შეუერთეს. ახლა გალავნის სამთავე კედლიდან მიიტანეს იერიში, მაგრამ ამ წამოწყებიდან მოალყეებს სრულიად არაფერი გამოუვიდათ. საკმარისი იყო, გარედან მოდგმულ კიბეზე მოიერიშე ასულიყო და თავი მაინც ეჩვენებინა, რომ ვერავითარი ფარი ვერ შველოდა – ქვისა და აგურის სეტყვას ზუზუნი გაჰქონდა. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა სახურავიდან გამოსროლილი ქვები. მათ ძგერების იმოდენა ძალა ჰქონდათ, რომ მოიერიშეები კიბიდან ფარიანად ცვიოდნენ ძირს. შტურმი ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა. იერიშის მეთაურებს იმედი ჰქონდათ, რომ გარემოცულთ ქვა გამოელეოდათ, მაგრამ მარაგი უზარმაზარი იყო და, მიუხედავად ამისა, მშენებარე სახლის კედლების შლა და აგურის სახურავზე ატანა ერთობ სწრაფად, ორგანიზებულად ხორციელდებოდა.

შტურმის შეწყვეტის ბრძანება გაიცა. ჯარისკაცებმა კედლიდან შორს დაიხიეს, ჯგუფებად მოქუჩდნენ.

პოლკოენიკმა ქუბასარიძემ ბრძანება გასცა, ორი ზარბაზანი მახლობელი მთის ფერდობზე აიტანეს, ლულები ციხეს მოაშვირეს. ცხადია, ეს დაშინების ღონისძიება იყო. ამაზე ამბოხებულებმა იმით უპასუხეს, რომ პატარა ქვებზე შებმული პროკლამაციები დაუშინეს ჯარისკაცებს. ჯარისკაცების უმრავლესობამ თავი შეიკავა, პროკლამაციას არ გაეკარა, მაგრამ რამდენიმემ მაინც გაბედა სამხედრო წესდების დარღვევა – აიღო, წაიკითხა და ამხანაგებს შინაარსიც გააცნო. ამას ოფიცერსა და პირად შემადგენლობას შორის ექსცესი მოჰყვა. ის ოცეული სხვა ოცეულით შეცვალეს. ამბოხებულებმა თავისი პროპაგანდის ეფექტურობა იგრძნეს, მოქმედება გააძლიერეს. ქუბასარიძე სამხედრო ძალის შესაძლო დაუმორჩილებლობის წინამე აღმოჩნდა და, მისი აზრით, ერთადერთი სწორი დასკვნა გამოიტანა: სანამ ჯარისკაცები ბრძანებებს ასრულებენ, იერიში უნდა განმეორდეს.

ამბოხებულებს კორპუსების სახურავებზე სათვალთეალო პუნქტები ჰქონდათ და მოალყეების სამზადისი არ გამოჰპარვიათ. ქუბასარიძემ თავისი შეიარაღებული ძალები ორ ეშელონად გაყო. პირველ ეშელონში – ოფიცრები და უმცროს მეთაურთა

შემადგენლობა, ასი კაცი, საწვიმრებში გამოწყობილი, ფარებითა და ხელკეტებით აღჭურვილი. მეორე ეშელონი – რიგითი ჯარისკაცები იმავე საჭურვლით მაგრამ უსაწვიმრებოდ; შემდეგ, ადმინისტრაციის კორპუსის ზემო სართულის ფანჯრიდან ხმამაღარდმა დაიგუგუნა:

– პატიმრებო! ვაფეთქებთ ალაყაფისწინა ბარიკადას! უკან დაიწიეთ ასი ნაბიჯით! ვაფეთქებთ... – პოლკოვნიკმა ქუბასარიძემ, რომელსაც რუდოლფ ვალენტინოვიჩის ავტორიტეტული განცხადების თანახმად, ფუში ჰქონდა, ეს ახალი ამბავი რამდენჯერმე გაიმეორა და წავიდა.

ასი ნაბიჯით უკან დახევის რა მოგახსენოთ, მაგრამ ათიოდ კაცმა ბარიკადებიდან გაქცევა ამჯობინა. ეგ არის, იქვე წასწვდნენ, წააქციეს და კარგადაც უბაგუნეს. ალაყაფში დატანებული კარი გაიღო, ეზოში სალდათები შეცვივდნენ. დინამიტის პატრუქგამობმული ფუთები ბარიკადას მიაყარეს და ქვების ქარიშხლით თანხლებულნი, ისევ ჭიშკარს იქით გაუჩინარდნენ. მხოლოდ ერთ მათგანს მოხვდა ბრტყელი აგური ბეჭებში. პატრუქი, ჩანს, საკმაოდ გრძელი დაუდეს, ჭიშკარს აქეთ კარგა ხნის შემდეგღა აიკლაკნა ცისფერი კვამლი, აიკლაკნა და ათიოდ წამის მერე ბარიკადის ხსენება აღარსად იყო. ალაყაფის წინ მის ადგილას ვეება ორმოს დაეღო პირი.

აფეთქების შემდეგაც განმეორდა პოზიციის დატოვებისა და გაქცევის ცდები, მაგრამ უკანა ხაზებმა გაქცეულებს ქვები შეაგებეს, აიძულეს, ადგილს დაბრუნებოდნენ.

ჭიშკრის ორთავე ფრთა გაიღო. ციხე გაინაბა. მხოლოდ კლასიონ კვიმსაძის ტუმბოების ჭრიალი ისმოდა.

მერე დოლების დგრიალი მოისმა და ამას ომახიანი ბრძანება მოჰყვა..

– Господа офицеры, вперед!

მწყობრი გვირაბს გასცდა, ციხეში შევიდა. წინ ქუბასარიძე მიუძღოდა, დიდი ფარი ჰქონდა აფარებული, ქუდისა და თვალების მეტი არაფერი უჩანდა. მთელი მწყობრი გარშემო და ზემოდანაც ფარებით იყო გადაჯავშნული. ერთი შეხედვით, ასეთ მოძრავ სიმაგრეს ქვებით ვერავინ ვერაფერს დააკლებდა, თუნდ მილიონი ესროლათ.

მშენებარე სახლამდე ორმოცდაათი–სამოცი ნაბიჯი ჰქონდათ გასავლელი. შემდეგ კიდევ ამდენი – ბარიკადებამდე და ოციოდ ნაბიჯიც – კორპუსის სადარბაზომდე. ცხადია, შემტევთა საბოლოო მიზანი მომგერიებელთა გაფანტვა და ბატონი კოცისა და ზედამხედველის გასათავისუფლებლად კორპუსში შევარდნა იყო. ამბოხებულთა ამოცანას ის შეადგენდა, რომ ჭიშკრიდან ოფიცრების მწყობრის მხოლოდ სათავე გადაეშვათ, ძლიერი “ცეცხლი გაეხსნათ”, ჭყლეტა და ზედახორა გამოეწვიათ.

ბრძანება გაიცა და მშენებარე სახლიდან, მთავარი კორპუსის, საავადმყოფოს სახურავებიდან ქვისა და აგურის წვიმა წამოვიდა. მწყობრის თავებზე დაფარებულ ფარებს ისეთი ბაგაბუგი აუვიდა, მსმენელს ეგონებოდა, ზვავი მოწყდაო. მწყობრი კვლავინდებურად წინ მოიწევდა. ჩანაფიქრით, ალბათ, ისე იყო, რომ ბარიკადებში ჩასაფრებულებს ეფექტიანი ტყორცნის მანძილზე უნდა მიეშვა მწყობრი და ქვა მერეღა

დაეშინათ. მაგრაშ ეზოში მწყობრის ნახევარი რომ შევიდა, კლასიონ კვიმსაძის ტუმბო ამუშავდა... წყალი კი არა – ლურჯი, საზარლად მყრალი სითხის, ცხენის კუდის სიმსხო, მძლავრი ჭავლი დაეძგერა მოიერიშეებს. პირველ წამებში ოფიცრებს იხტიბარი არ გაუტეხიათ, ისევ ისე მიდიოდნენ, მაგრამ როცა ციხის საასენიზაციო ორმოებში მოპოვებულმა სითხემ ოფიცერთა თავებზე წამომხობილი ფარებიდან ჩაჟონა და სუნამოებით განებივრებულ ცხვირებს თავისი მოსვლა ამცნო, მწყობრი, ცოტა არ იყოს, შეცბა, ნაბიჯს სიმტკიცე მოაკლდა და სვლას – სისწრაფე. კოლონის წინამძღოლი პოლკოვნიკი ქუბასარიძე, მოულოდნელად პირქვე დაწვა, ზემოდან ფარი დაიმხო და გაყუჩდა. ოფიცრები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჯერ ისა, რომ ქვისა და აგურის მთელი კორიანტელისთვის უნდა გაეძლოთ, მერე – ეს წყეული, ბინძური, საზიზღარი სითხე. და ბოლოს, მიწაზე გაშოტილი პოლკოენიკი!.. ოფიცერთა რიგებში ალიაქოთი ერთბაშად ატყდა. კოლექტიური თავდაცეა გადარჩენის პანიკურმა სულმა შეცვალა. მწყობრმა თავისი წინამძღოლი ბედის ანაბარა მიატოვა, ზურგი იბრუნა, ჭიშკარს მიაწყდა და გარედან სირბილით მომავალ მეორე ეშელონს შეეფეთა!..

იქ გამართულ ჭყლეტა–ჯგლეთისა და ზედახორის აღწერა, ალბათ, სავსებით შეუძლებელია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დგუში სატანისეული დაჟინებითა და სიმშვიდით საკმაოდ დიდხანს რწყავდა იქაურობას – მაშინაც კი, როცა მოიერიშეთა ძირითადმა მასამ ჭიშკრის გვირაბს შეაფარა თავი, ხოლო ზედ ზღურბლზე კი თხუთმეტამდე დარეტიანებული თუ დაბეგვილ–დაჟეჟილი ოფიცერი სამშვიდობოს გასვლას სიბინძურეში ხოხვით ლამობდა.

აქ იყო, რომ ჩუმი ბრძანება გაიცა. ქვის ზვავი შეწყდა და ფარს ქვეშიდან ჰოლკოვნიკმა ქუბასარიძემ ძალიან რიხიანად დაიძახა:

– Господа офицеры, за царя и отечество, по-пластунски, - вперед!

ციხე ხარხარმა ააგრიალა.

პოლკოვნიკი მიხვდა, რომ საქმე რაღაც სხვანაირად იყო და ფარს ქვეშიდან ძალიან ფრთხილად გამოაპარა თვალი. დარწმუნდა, ქვებს აღარავინ ისროდა, მთლად გამოყო თავი, უკან მიიხედა, ერთხანს ალაყაფს უყურა. მერე ადგა, ფარი შიატოვა და თავჩაღუნული დაიძრა იქითკენ, საითაც მისი ოფიცრები მიღოღავდნენ. უკვე ალაყაფს მიახლოებული იყო, როცა მშენებარე სახლიდან ვიღაც გადმოხტა, პატარა კასრი ეჭირა – ასეთი კასრები კარცერებში პარაშის მოვალეობას ასრულებდა, – პატიმარი პოლკოვნიკს მიეპარა, კასრი თავზე ჩამოაცვა და ფაცხაფუცხით გამოიქცა. პოლკოვნიკმა კასრი მოიხადა, დააგდო, საწვიმრის კალთით სახე შეიწმინდა და ალაყაფის გვირაბში შევიდა.

ამის შემდეგ სამი თუ ოთხი დღის მანძილზე მოალყეები გოგირდოვანი თბილი წყლით იშუშებდნენ “ჭრილობებს”, კავკასიის მეფისნაცვალი და პეტერბურგი დეპეშებით საუბრობდნენ, ხოლო პრემიერ–მინისტრის პირადი დირექტივების მიღების შემდეგ პოლკოვნიკმა ქუბასარიძემ შვებულება მიიღო. ორთაჭალის ფერდობებიდან ზარბაზნები საითღაც წაიღეს და კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოსაგვარებლად ფანჯარაში პროკურორი, ბატონი კალიუზე გადმოდგა.

– ჰატიმრებო, სთხოვეთ თქვენს წარმომადგენელს, სალაპარაკო მაქვს, – მიმართა მან ამბოხებულებს.

ამ დროისთვის მთავრობასა და უფროსობასთან საურთიერთოდ ამბოხებულებს ორი კაცი გამოეყოთ – ჩემს ჩანაწერებში მრავალგზის ხსენებული ბატონი გოგი წულაძე და აგრეთვე ხსენებული მწერალ–რევოლუციონერი ბატონი ლუკა პეტროვიჩ დემბინი. დიპლომატებს არ დაუყოვნებიათ, ფანჯარასთან მივიდნენ. ურთიერთწარდგენისა და გაცნობის შემდეგ, დესპანებმა ბატონ კალიუზეს სთხოვეს, სამხედრო ექიმ შჩელკუნოვს მოვალეობათა აღსრულება განეგრძო, ანუ საავადმყოფოში ევლო და ემკურნალა. როგორც შემდგომში გამოირკვა, ასეთი თხოვნა, ძირითადად, ბატონ კლასიონ კვიმსაძის მძიმე ავადმყოფობით იყო განპირობებული. პროკურორმა თანხმობა განაცხადა და ბატონი შჩელკუნოვი სამსახურს დაუბრუნდა. ბატონმა კალიუზემ მოლაპარაკება ასე დაიწყო:

– როდემდის უნდა გყავდეთ ბატონი კოცი და ის მეორე... ზედამხედველი ტყვეობაში?

– ბატონი კოცი და ნაძირალა ცუგო პატიმრობის ვადას იხდიან, ბატონო პროკურორო, – აცნობა გოგი წულაძემ.

– რისთვის? – ღიმილით იკითხა კალიუზემ.

– ადამიანთა ღირსების შელახვისათვის, ჰომოსექსუალიზმში თანამონაწილეობისთვის, ხელისუფალთა უკანონო მითითებების აღსრულებისთვის, – მიუგო ლუკა პეტროვიჩ დემბინმა.

– სერიოზული ბრალდებებია. – თაეი გადაიქნია კალიუზემ. – რამდენი აქვთ მისჯილი?

– არ გვაქვს რწმუნება, გავამხილოთ სასჯელის ვადა, მაგრამ ჩვენ ჰუმანისტები ვართ, დავალებით ჩადენილ დანაშაულთა შემსრულებლებს მკაცრად არ ვსჯით. ვიცით, ვისაც უნდა მოეთხოეოთ პასუხი, მოვა დრო და მოვთხოვთ კიდეც, – უთხრა გოგი წულაძემ.

პროკურორი კალიუზე ერთხანს დუმდა. მერე რაფაზე ჩამოჯდა, ფეხები ეზოში გადაყო, ცხვირსახოცით უპეები ამოიწმინდა და თქვა:

– მოგეხსენებათ, მთავრობის თავმჯდომარის შეცვლა ჰოლიტიკაში ცვლილებების შეტანის მომასწავებელია. როცა მთავრობის თავმჯდომარე შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელსაც იტოვებს, ეს

იმას ნიშნავს, რომ აქცენტის, მახვილის დასმას, სახელდობრ, შინაპოლიტიკურ პრობლემებზე აპირებს. თქვენც ასე გესმით?

– დიახ, – დაუდასტურა წულაძემ.

– ჩანს კიდეც, – დასძინა დემბინმა. – რეაქცია და ტერორი მძვინვარებს. სხვა არაფერი შეცვლილა.

– შეიცვალა, როგორ არა, – მიუგო პროკურორმა. – თუ გაინტერესებთ, შემიძლია ერთი მკაფიო მაგალითი მოგიყვანოთ.

– ბრძანეთ.

– მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ღამის სამ საათზე გააღვიძებინა ბატონი პრემიერ–მინისტრი და დაუყოვნებლივ მოსვლა უბრძანა. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ერთობ ცუდი გუნებით დაუხვდა თავის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს, მისვლისთანავე მაგიდაზე დაუგდო თექვსმეტგვერდიანი ნაწერი და მრისხანედ დააყოლა:

– ბატონო პრემიერ–მინისტრო, თქვენ მე ფიცი დამიდეთ, რომ მოკლე ხანში გამოიყვანდით ჩემს სამეფოს დრტვინვისა და შფოთის მდგომარეობიდან. სად არის თქვენი დაპირება? რა არის ეს?!

ბატონმა პრემიერ–მინისტრმა ითხოვა უფლება, დოკუმენტს გასცნობოდა. დასტური გაიგონა, წითელი ფანქარი აიღო და კითხვას შეუდგა. ეს იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სამი სტუდენტის მიერ შედგენილი პროექტი რუსეთის იმპერიის რეორგანიზაციისა და ძირეული რეფორმებისა. იგი იწყებოდა იმით, რომ მეფეს უარი ეთქვა ტახტზე და მთავრდებოდა იმით, რომ უნდა გაუქმებულიყო კერძო საკუთრება.

– რა მშვენიერი ახალგაზრდობა მოდის, ბატონო პროკურორო! – ჩაურთო ლუკა პეტროვიჩ დემბინმა.

– ბრწყინვალე, ბატონო დემბინ, ბრწყინვალე, მაგრამ მინდა, განვაგრძო... სანამ ხელმწიფე–იმპერატორი ნერვებაშლილი სცემდა ბოლთას, ბატონი პრემიერ–მინისტრი პროექტს ეცნობოდა და წითელი ფანქრით ტექსტს რაღაც შენიშვნებს უკეთებდა.

– დაამთავრეთ? – ჰკითხა მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ.

ბატონმა პრემიერ–მინისტრმა კვერი დაუკრა.

– მერე?. ..

– სათხოვარი მაქვს, თქვენო უდიდებულესობავ!

– ბრძანეთ!

– მე, თქვენო უდიდებულესობავ, ერთობ განებივრებული ვარ თქვენი ყურადღებით და ნდობით. ამიტომ, გთხოვთ, დაადოთ ამ საბუთს შემდეგი ვიზა: “რუსული მართლწერის დაუფლებამდე სახელმწიფო რეფორმებს ნუღარ შეეხებით, დროს ამაოდ ნუღარ დამაკარგვინებთ. ნიკოლოზი”. ამ თექვსმეტ გვერდში სამოცდაერთი ენობრივი, სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომაა დაშვებული. თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ დაადეთ ხსენებული ვიზა, მე ამ ნაწერს ავტორებს გადავუგზავნი და თვალთვალს დავუნიშნავ. შედეგებს მოგახსენებთ.

ხელმწიფე–იმპერატორმა ჩაიცინა და ბატონ პრემიერ–მინისტრის თხოვნას დაჰყვა. ნაწერი სტუდენტებს უნივერსიტეტის მისამართით გადაეგზავნა. მისი უდიდებულესობის კარის შტემპელიანმა კონვერტმა, გასაგებია, სტუდენტობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ორასამდე ახალგაზრდამ მოიყარა თავი პაკეტის საზეიმო გახსნასა და წაკითხვაზე. რეზულტატი: ორმა ავტორმა საერთოდ დაანება უნივერსიტეტს თავი, მშობლების იმ მამულებს მიაშურა, რომლის ჩამორთმევასაც თავის პროექტში ისე დაჟინებით მოითხოვდა. მესამე გალოთდა, მეფე ტახტზე დარჩა, რეფორმებს ბატონი პრემიერ მინისტრი ახორციელებს. თქვენ გრძანეთ, არაფერი შეცვლილაო. როგორ მოიქცეოდა ბატონი პრემიერ–მინისტრის წინამორბედი? გადასახლებაში უკრავდა თავს... მინდა, გაცნობოთ, რომ თქვენი ამბოხების ამბავი ბატონ პრემიერ–მინისტრს მოახსენეს და დღეის შემდეგ რაც იქნება, ყოველივე მისი ბრძანების საფუძველზე იქნება.

– რა იქნება, ნეტავი? – ცინიკურად ჰკითხა გოგი წულაძემ.

ბატონმა კალიუზემ ჩაიცინა და თქვა:

– არაფერი ახალი, სრულიად არაფერი! გესმით?

– როგორ თუ არაფერი?! – გაუკვირდა ლუკა პეტროვიჩ დემბინს.

– არა, მე, ცოტა არ იყოს, გადავაჭარბე. როგორ თუ არაფერი? მართლაც! იქნება როგორ არა! აი, თუნდაც ის, რომ თქვენ ნებაზე იქნებით მიშვებული. რაც გინდოდეთ – ინებეთ, გალავნისა და კანონიერების ფარგლებში. ეს – ახალი. შემდეგ იქნება ის, რომ თქვენ სასამართლოს მიერ დამნაშავეებად ხართ აღიარებული და გამოტანილი გაქვთ შესაბამისი განაჩენი. განაჩენი კანონია, ხოლო კანონი Pereat mundus, et fiat iustitia, (სამართალი უნდა აღსრულდეს, თუნდაც მოისპოს სამყარო (ლათ.)) მოგეხსენებათ, უნდა აღსრულდეს ყოველ მიზეზს გარეშე. მაშასადამე, უნდა ისხდეთ, სანამ მსჯავრს არ მოიხდით. გაცნობებთ იმასაც, რომ გასაჩივრებისა და შეწყნარების დაწესებულებები კვლავინდებურად იმუშავებენ და მეამბოხეთა მიმართ რაიმე საგანგებო ზომებს არავინ მიიღებს. რა ვიცი, რა იქნეგა კიდევ?.. დიახ, იქნება ის, რომ ვადამოხდილები გათავისუფლდებიან, როგორც უწინ, და მისჯილთა ახალი ჯგუფებიც მოვლენ. დიახ, კიდევ რა იქნება?.. აჰა, მძევლებს, როგორც ბრძანეთ, გადმოგვცემთ და ჩვენ მათ სათანადოდ დავსჯით. ეს არის და ეს. თითქოს, მეტი არაფერი უნდა იქნას. დღევანდლამდე ციხეში ჩადენილ დანაშაულთათვის ხელისუფლება აღარას გერჩით, მისთვის ისიც საკმარისია, რომ კანონი სრულდება, ანუ თქვენ სასჯელს იხდით. იყავით და იცხოვრეთ, როგორც მოგესურვოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ახალი დანაშაული არავის შერჩება...

პროკურორი კალიუზე თავისი ნალაპარაკევის ეფექტს აღარ დალოდებია, მშვიდობა უსურვა და წავიდა.

ეს იყო და ეს.

ეფექტი კი განუმეორებელი იყო – დესპანები იდიოტებივით იდგნენ და ფანჯარას შესცქეროდნენ. ეს კარგა ხანს გაგრძელდა. პირველმა გოგი წულაძემ დაარღეია სიჩუმე. ძალიან გულიანად და გრძლად გადაიხარხარა.

– Ай–да премьер–министр! – ჩაილაპარაკა ლუკა პეტროვიჩმა.

კიდევ ერთი რამ მოხდა, რაც პროკურორმა კალიუზემ მეამბოხეებს დაუმალა ან, იქნებ, დაავიწყდა ეთქეა. რა მოხდა და, ციხის ბადრაგი შეიცვალა, ახალი სამხედრო ნაწილი მიიყვანეს და გალავანს გარეთა აკრძალული, ანუ ცეცხლის არეები ას მეტრამდე გააფართოვეს: ციხეში საზედამხედველო სამსახური აღარ ხორციელდებოდა და ამით გვირაბის გათხრის საშიშროება იქნა თავიდან აცილებული.

– ას მეტრს ვერავინ გათხრიდა, ასეთი რამ საპყრობილეების ისტორიას არ ახსოვს. კაცმა რომ თქვას, ეს ღონისძიებაც ზედმეტი იყო, რადგან ციხეში, საიდანაც ყოველდღე ვიღაც თუ ვიღაცეები თავისუფლდებიან, გვირაბის გათხრის დამალვა ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა ყველა თავის ნებაზე, საითაც უნდა და როგორც უნდა, ისე დაეხეტება...

**შალვა თუხარელი**

მე კომიტეტმა მასის განწყობილებებზე, სხვადასხვა ფენების ურთიერთობებსა და, საერთოდ, ვითარებაზე დაკვირვება დამავალა. დავდიოდი, ვისმენდი, ვუყურებდი, არაფერში არ ვერეოდი თუ, რა თქმა უნდა, ამის უკიდურესი საჭიროება არ შეიქმნებოდა და მაგალითებით შემაგრებულ ზოგად დასკვნებს სიტყვიერი მოხსენების სახით თომა კომოდოვსა და ანდრო ჭანეიშვილს ვაბარებდი. დათა თუთაშხიას ერთი რაიმე კონკრეტული მოვალეობა არ ჰქონდა – არც ჩვენ დაგვივალებია და არც თვითონ აუღია თავის თავზე. ეტყობა, ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა – დამყვებოდა და ვიყავით ერთად. თუმცა, სამართლიანობისთეის ისიც უნდა ვთქეა, უფრო მე დავყვებოდი დათას... რაღაცნაირი იღბალი თუ ალღო ჰქონდა – სწორედ იქ მიდოდა, სადაც რაიმე მნიშვნელოვანი ლაპარაკი იყო ან რაიმე ყურადღების ღირსი ხდებოდა ხოლმე. შემიძლია, შავი ფიცით დავიფიცო, რომ სხვისი მოტანილი ამბებითაც კი არ ვაპირებდი მესარგებლა, არამცთუ აგენტურა გამეჩინა და... რა საოცარი, შეუცნობელი

რამ არის მასა, ხალხი, საზოგადოება – რაც გნებავთ, ის დაარქვით, ვინ, საიდან და როგორ მიხვდა ჩემს დანიშნულებასა და როლს იმ ამბოხების ჰროცესში, ამისას ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ კომიტეტის პირველივე გაფართოებული სხდომის შემდეგ, სადაც ეს როლი დამეკისრა, ორი საათიც არ იყო გასული, რომ აუარებელი მოხალისე თანამშრომელი გამოჩნდა. ვიღაც უცნობი ადამიანები მოდიოდნენ, ყოველგვარი წინასწარი დაზვერვისა და შემზადების გარეშე მაბარებდნენ ანგარიშს თვალით ნახულისა თუ ყურით გაგონილის გამო და მთავარი ის არის, რომ, თითქმის, ყოველმა მათგანმა ზუსტად იცოდა, რა მჭირდებოდა მე, ანუ კომიტეტს და ამბოხებას.

მე და დათა ერთად დავდიოდით–მეთქი. იმ ერთად ყოფნამ თავისთავად მოიტანა ის, რომ შემდგომში კომიტეტსაც ერთად ვაბარებდით ხოლმე ანგარიშს და ჩემზე დაკისრებული ფუნქციაც ჩვენ ორივეზე დაკისრებულ ფუნქციად იქცა.

ეს იყო ადამიანის, მასის ფსიქიკის შესწავლის განუმეორებელი სკოლა და, ამასთან ერთად, ჩინებული გასართობი... მით უმეტეს, ეხლაა გასართობი, როცა ყველაფერი წარსულშია და როცა ისღა დამრჩენია, რომ მეგობრებსა თუ ჩამომავლობას მსუბუქი იუმორით შეკაზმული მივართვა ჩემი ახალგაზრდობის უმძაფრესი განცდები.

რაღა მაქვს სათქმელი? მნიშვნელოვანს ვგულისხმობ... ათასი რამ იყო, მაგრამ მე მაინც იმ ამბოხების ყველაზე საყურადღებო შედეგის განსჯას ვამჯობინებდი.

ერთხელ, ჯერ კიდევ ამბოხების დაწყებამდე, დათა თუთაშხიამ თომა კომოდოვთან საუბარში ასეთი რამ თქვა:

– გაწამებულს და გატანჯულს რომ ნახავ ვინმეს, უნდა იღონო რაიმე, რომ ეშველოს იმ კაცს, თუ ადამიანი ხარ. ამას ვშერებოდი მე, მაგრამ თვითონაც ხომ უნდა გაანძრიოს თავი და ხელი და ხომ უნდა უშველოს თავის თავს და მის ბედში მყოფსაც, სიკეთე და სამართალი თუ უნდა, თვითონ არ გაანძრევს ხელს არასგზით: ერთი – იმიტომ, რომ არ იცის, ვინ ან რა არის მისი გამამწარებელი და გამტანჯველი და მეორე ის, რომ თუ დაანახვე და გააგებინე, – აგერ, ეს არის მიზეზი, უბედური რომ ხარ და ამას უნდა მოსპობაო – ვერ შებედავს, მისას ბუზს ვერ აუქნევს ხელს. მისივე სიკეთისთვის როგორ უნდა დავაძვრევინო კრინტი, ხელი როგორ გავანძრევინო, ეს მინდა! ვისწავლო, თომა– ბატონო. ხომ გათქმევინე ერთხელ, – ჯერ არ ვიცით, ვსწავლობთ და უეჭველად ვისწავლით, მეფეს როგორ უნდა ჩამოგდებაო. ისე ვარ მეც, მაგრამ ჩემი სასწავლი და თქვენი სასწავლი ერთნაირიც არის და სხვადასხვანაირიც. ჩემი ძნელია უფრო.

აქვე ვიტყვი, დათა თუთაშხიამ ამით ამბოხებაში თავისი მონაწილეობის მიზეზიც მოიყვანა: მისივე სიკეთისთვის როგორ უნდა დავაძვრევინო კრინტი, ხელი როგორ გავანძრევინო, ეს მინდა, ვისწავლოო! შიში და გაბედვა ყველანაირი მასობრივი მოძრაობის თავი და ბოლო, საფუძველი და საძირკველია... ეს იქნებ, საერთოდ, ყოველი შეგნებული ნაბიჯის განმაპირობებელი საწყისიც იყოს, მაგრამ სათქმელს დავუბრუნდეთ. პატიმრობაში მყოფ ადამიანს, ზოგადი შიშის გარდა, კიდევ ერთი გრძნობა თრგუნავს – დანაშაულის გრძნობა. ამბოხების მსვლელობაში თავი იჩინა გარკვეულმა შებოჭილობამ, გაუბედაობამ, წინააღმდეგობის გაწევის უფლებაში დაეჭვებამ. საქმე ის არის, რომ დანაშაულის გრძნობა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოსი, თუნდაც შეთხზულისა, პატიმარზე დამთრგუნველად მოქმედებს. იშვიათად შეხვდებით პატიმარს, რომელიც თავის თავს ბოლომდე დამნაშავედ თვლიდეს იმ ბრალდებაში, მას რომ ნაუყენეს და რის საფუძველზეც დასდეს მსჯავრი. აქ ასეთი შედარების მოყვანა შეიძლება: ადამიანთა უმრავლესობა ხშირად ამბობს – რეგვენი ვარო, მაგრამ ისეთს ვერავის იპოვნით, რომ ეს სჯეროდეს. სამაგიეროდ, იშვიათად შეხვდებით ისეთ პატიმარსაც, ვინც რამდენადმე დამნაშავედ მაინც არ თვლიდეს თავს და აქ იმის მოტანა შეიძლება, რომ არ არსებობს ნორმალური ადამიანი, ვისაც ცოტათი მაინც სულელად არ მიაჩნდეს თავისი თავი თავის თავთან მარტოს. აი, ეს დანაშაულის მცირედი გრძნობაა, პატიმარს რომ აიძულებს, ეჭვი შეიტანოს დაუმორჩილებლობის, ამბოხების, აქტიური წინააღმდეგობის გაწევის უფლებაში. ბრძოლისუნარიანობის გასამახვილებლად საჭირო იყო ამ დამთრგუნველი ფაქტორის მოშორება და ამის მიღწევა კი, ერთი მხრივ, განმარტებითი მუშაობით შეიძლებოდა და, მეორე მხრივ, პრაქტიკას, თვით ამბოხებაში მონაწილეობას უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა. დათა თუთაშხია იტყოდა ხოლმე, – გამბედაობაც ჩვეულება არისო. მინდა, ამისი მაგაითები მოვიყვანო.

პირველი იერიში მოგერიებული გვქონდა. დათა და მ კიბეებზე ჩავდიოდით, ეზოში გასვლა გვინდოდა. ვიღაც კაცმა ჩაგვიარა. შევნიშნე, ძალიან ფრთხილად, შიშნეულად ჩადიოდა, შეიძლება ითქვას – მიიპარებოდა. არც დათას გამორჩენია იმ კაცის თვალის ცეცება და ყოყმანიანი ნაბიჯი. დათამ მაცნობა:

– თოკაძეა მაგის გვარი, გაჩვენე, თუ გახსოვს. ფოთელია, ვიგინდარებთან არის აქ.

მომაგონდა, მართლა მაჩვენა. ხელში ორი აგური ეჭირა. მოკუნტული, თავჩაქინდრული იდგა, ისეთი იერი ჰქონდა, ვითომ საკუთარ ცხედარს დაჰყურებდა. ეს მაშინ იყო, როცა ადმინისტრაციამ ციხის კარს მომდგარ ხუთას თუ ექვსას ჭირისუფალს – ძირითადად, ქალებს – ამანათების მიღებაზე უარი უთხრა და ჩვენ ამას სათანადო აქცია დავუპირისპირეთ – ყვირილი! ეს ასე განხორციელდა. პოქტიას დავავალეთ და ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ციხე აღრიალდა. ჰამბო ხლგათიანის ბიჭებმა მესამე სართულის ფანჯრებს შორის კედელზე დიდი ტრანსპარანტი გადაჭიმეს: “მოგვეცით ამანათები!!!” გალავანს გადაღმა მოქუჩებულმა ჭირისუფლებმა ტრანსპარანტი წაიკითხეს, თავის მხრივ ატეხეს ჩოჩქოლი და ზოგმა კივილიც კი.

შობლები ვიგინდარებს საკნებიდან ეზოში მოერეკებოდნენ. სწორედ რომ მოერეკებოდნენ – კეტებით, და ზოგ–ზოგი – დანებითაც. ერთი შობლა იყო, კრამიტას ეძახდნენ, კანონიერი ქურდის წოდებაში გადასელას აღარაფერი უკლდა. იმ კრამიტას ცალ ხელში თოქმა ხელკეტი ჰქონდა, ჩამორჩენილ, თუ ზანტად მოძრავ ვიგინდარებს ზურგში უბაგუნებდა. მეორეში დიდი დანა ეჭირა და ერთობ საშიშად იქნევდა. იმ დანის დანახვაზე მიცვალებულიც კი გაიქცეოდა და, მიუხედავად ამისა, ვიგინდარების უმრავლესობა არცთუ მარდად ირჯებოდა.

– გაინაღდა აზნაურობა კრამიტამ, – აზრი გამოთქვა დათა თუთაშხიამ.

– ჰა მიდით, მიდით–მეთქი! – დაჰყვიროდა კრამიტა თავის ჯოგს.

– ხაჭაპურები გინდათ, ყვირილი არ გინდათ?! ჰა, დროზე–მეთქი!.. – და შემართული ხელკეტი თავის საქმეს აკეთებდა.

ვიგინდარების კარში გასულ მეწინავეებს პოქტიას ხალხი დაუხვდა. უბრძანეს, ქეები აეღოთ. შიშითა და პანიკით ატაცებული ბრბო დაუფიქრებლად, უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას – თითოს კი არა, სამ–სამს, ოთხ–ოთხს იღებდნენ და მითითებისამებრ იკავებდნენ ადგილს კედლის ძირას.

ეს ხალხი, მართლაც, მშვენიერი სანახავი იყო. წარმოიდგინეთ: მთელი ციხე – ოთხი ათასი კაცი – სულმოუთქმელად ღრიალებს. გალავანს იქით ქალებს გააქვთ ქაქანი და წივილ–კიეილი – ექვსასამდე

ქალს ერთად. ასეთი რამ მსმენიაო, ბევრი ვერაეინ დაიტრაბახებს!..

ვიგინდარებს ქვები აუკრეფიათ: რა თქმა უნდა, ეს უკვე თაეისთავად ნიშნავს, რომ იმის წინააღმდეგ აუკრეფიათ, ვისი ყურმოჭრილი მონებიც იყვნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე და, მიიღეთ მხედველობაში, იმ მონობაში ფრიად ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ახლა წელში მოკაკულები, განადგურებულები დგანან, ყბები უცახცახებთ და მუხლებში სისუსტე შესდგომიათ. ზოგი მართლა ყვირის, ზოგი პირს აღებს, ვითომ ყვირის და ჰგონია, რომ ვიღაცას ატყუებს. ჟანდარმერიის მხრიდან თუ ვინმე უთვალთვალებს, ის მოთვალთვალე საყოველთაო ღრიალში ვერასგზით დაადგენს, მართლა ღრიალებს, აგერ ის კაცი, თუ მხოლოდ პირს აღებს. სამაგიეროდ, უეჭველად ხედავს, რომ პირს აღებს, ესე იგი, ყვირის და ამბოხებულთა მხარეზეა!.. უჭირავთ ქვები ვიგინდარებს მაგრამ ისე უჭირავთ, თითქოს ის ქვები, ეს არის ეხლა, ცეცხლიდან ამოყარეს და ხელებში ჩასჩარესო...

ერთი სიტყვით, უმწეობასა და საკუთარი სურეილის წინააღმდეგ მოქმედების იმდენად მკაფიო მაგალითს მას მერე აღარსად შევხვედრივარ. აი, სწორედ მაშინ მაჩვენა თოკაძე დათამ: მკედრისფერი ედო, უპეებიდან ჩამომდინარე ცრემლი აგურებზე ეცემოდა...

– რა კაცია? – ვკითხე დათას.

– რა ვიცი, მწერლობდა იქ, ფოთში, მაგრამ წერდა და თვითონ კითხულობდა, სხვა არავინ, მგონია.

– რაღად უბეჭდავდნენ, თუ წერა არ იცის?

– უტიფარი კაცია, თავხედი და დაშინებული ყავდა ყველა. ლანძღვასა და დაბეზღებებს ერიდებოდნენ, ალბათ. არ ვიცი, რა ვიცი მე.

– რას წერდა?

– მთავრობის სასარგებლოდ წერდა და ასეთები სხვა. ცემდნენ უბედურს, დღეგამოშვებით. ახლა თვითონ არის აქ. რისთვის ზის, ნეტავი!

ეზოში გავედით, თოკაძე სადარბაზოსთან იდგა, იქაურობა ათვალიერებდა, რატომღაც ძალიან ფრთხილად, შიშნეულად ათვალიერებდა.

ციხე გამარჯვებას ზეიმობდა, ბარიკადებზე ერთი ჟრიამული იდგა, მებრძოლები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. სხვები ძალიან სწრაფად და საქმიანად მიდი–მოდიოდნენ. ყოველ ადამიანს უღრმესი რწმენა ჰქონდა, რომ იერიშის მოგერიებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი სწორედ მან შეიტანა და ახლაც საგანგებო საქმეზე მიიჩქაროდა.

ისე მოხდა, რომ ათიოდ წუთის მერე ისევ მთავარ სადარბაზოსთან აღმოვჩნდით. დათა თუთაშხიამ მიმახედა, – ყური დაუგდეო. ფოთელი მწერალი თოკაძე იდგა, ხალხი შემოეკრიბა, ეჭვმიუტანელი უპირატესობის ტონით ელაპარაკებოდა:

– დაიბნა ესენი ყველა და არც წყალს გაუკეთებია დიდი ამბავი, ეგერ იქიდან რომ გადაასხეს სალდათებს. ყეელა დაიბნა, ყველა – მეთაურიც, ეს ხალხიც, – თოკაძემ ბარიკადებს აგდებულად მიაშვირა ხელი. – ეგერ შევიპარეთ მე და ავქსენტი კაშიბაძე, ამ დაუმთავრებელ სახლში, და როგორ ვისროდით ქვას, თუ იცით? კედელს ვახვედრებდით და იქიდან რომ ასხლტებოდა, პირდაპირ სალდათებს ხვდებოდა ის. ასე უნდოდა სროლა აქედანაც, მარა რომ ვერ მოიფიქრა ვერავინ?!

ვიღაცამ შემთხვევით ჩამოიარა, თოკაძის ტრაბახს მიაყურა და უთხრა:

– პეტია თოკაძე, რას არის რომ ტრაბახობ მანდ! მეორე ართულის საპირფარეშოში არ იწექი პირქვე მთელ იმ ამბავში?!

თოკაძემ უმალ მიიხედა და წამი არ დაუყოვნებია. პირდაპირ მიახალა:

– ცოლის დის გაუპატიურებაზე ზიხარ შენ, კოლია შილაკაძე, ვიცი მე! წადი ახლა, ჩამოიარე საკნები, უამბე ყველას ეგ და იმასაც ნუ დაივიწყებ რაც არ დაგიმტკიცდა: სიდედრის გაუპატიურებაც რომ

გინდოდა!

შილაკაძეშ პირი დააღო, გახევდა.

თოკაძე თავის მრევლს მიუბრუნდა, კიდევ რაღაც ილაპარაკა და საავადმყოფოს კორპუსისაკენ გაემართა. ლაღად მიდიოდა, იმ შიშისა, ადრე რომ ჰქონდა, კვალიც აღარსად იყო.

შილაკაძე ისევ ისე იდგა. შემიძლია, როგორც გნებავთ, ისეთი ფიცით დავიფიცო, რომ მას თოკაძის მიერ ინკრიმინირებული დანაშაული საერთოდ არ ჰქონდა გაგონილი, არამცთუ ჩადენილი.

თოკაძის პასუხმა ჩვენზეც კი იმოდენა შთაბეჭდილება მოახდინა – ისეთი უტიფარი ტონით თქვა და იმდენად მოულოდნელი რამ, რომ კარგა ხანს დარეტიანებულებივით ვიყავით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

– დაუბეჭდავდნენ, აბა, რას იზამდნენ ნეტავი? – მომაგონა დათა თუთაშხიამ თოკაძეზე ჩვენი ის ლაპარაკი, როცა კიბეს ქვევით მოვყვებოდით. შორიახლოს კლასიონი იდგა, ისიც თოკაძის საბრალდებო სიტყვას ისმენდა. დაგვინახა, შემოგვიერთდა.

შილაკაძემ, როგორც იყო, შოკს თავი გაართვა, ჩვენკენ მობრუნდა, მემოგვხედა და გაწითლდა.

– გეტყვი, თუ გინდა, კოლია შილაკაძევ, როგორ და რით გათავდება ეს ამგავი, – მიმართა კლასიონ კვიმსაძემ თოკაძის მსხვერპლს. – ჩვენც და შენც ციმბირმი ამოგვძვრება სული. რევოლუცია გაიმარჯვებს. მაგ თოკაძე მწერალი ყოფილა, – აგერ ახლა გავიგონე, – მოგონებებს დაწერს. კაი რაც ხდება აქ, იმას თავისთვის მიითვისებს, ცუდი თუ მოხდება რამე – ჩვენ დაგეაბრალებს და დიდი კაცი გახდება. ნამეტანი დიდი.

მეორე დღეს, როცა პოლკოვნიკი ქუბასარიძე მასირებულ იერიშს პირადად მეთაურობდა და როცა კლასიონი სიბინძურეების შხაპით გაუმასპინძლდა ოფიცრებს, სწორედ პეტია თოკაძე გახლდათ ის პატიმარი, რომელმაც პოლკოვნიკს სავსე პარაშა ჩამოამხო თავზე. ეს მაგალითი იმიტომ არ მომიყვანია, რომ, სახელდობრ, თოკაძის გააქტიურების გზა მეჩვენებინა – თოკაძისთანა ნაძირალები რევოლუციას არც გამოადგებოდა და არც სჭირდებოდა. მე მხოლოდ სქემა დავხატე იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ცხოველური შიშიდან თავზე ხელაღებამდე მივიდეს. აი, მეორე, უფრო მხიარული შემთხვევა. უნდა ჩაგვეტარებინა მიტინგი, სადაც წავიკითხავდით მოწოდებას სახელმწიფო სათათბიროსა და მთავრობისადმი და აქვე მოვაწყობდით ხელმოწერას ამ მოწოდებაზე. მიტინგი კარგად გვქონდა მომზადებული, დასწრებაც სრული იყო. პატიმართა საერთო რაოდენობის სამი მეოთხედი ეზოში გამოვიდა. სხვები საკნების ფანჯრებში გადმომდგარიყვნენ, იქიდან უსმენდნენ. ლუკა პეტროვიჩი რუსულად კითხულობდა და სამნი იგივე ტექსტს ამიერკავკასიის ძირითად ენებზე იმეორებდნენ.

რამდენიმე ათასკაციანი მასა მჭიდროდ იდგა, ძალიან ყურადღებით უსმენდა. უკანა რიგებში, ალბათ, რიგიანად ვერ ისმოდა და ხალხი მშენებარე სახლის ხარაჩოებზეც გასულიყო. მთავარ კორპუსს სახანძრო კიბე ასდევდა. ის კიბეც კი სავსე იყო. სულ ზევითა კაცი მეორე და მესამე სართულებს შორის იჯდა. ორნი ერთ საფეხურზე ისხდნენ – ორი ჟორა – ჟორა კაშია და ჟორა ბადალიანცი, განუყრელი ძმაკაცები და ამბოხების მიმართ საკმაოდ ფრთხილად განწყობილნიც. კიბის ძირტს, მიწაში, უზარმაზარი სახანძრო ავზი იყო ჩადგმული, სამი მეტრი დიამეტრი ჰქონდა, ამდენივე სიღრმე და შიგ წყალი გადმოღვრაზე ლაპლაპებდა. მიტინგისთვის საგანგებოდ ისეთი ადგილი შევარჩიეთ, რომ ფერდობებზე ჩამოყუნცული ზარბაზნები მონაწილეთათვის მოფარებულში ყოფილიყო. თითქმის, დარწმუნებული ვიყავით, სროლას არავინ აგვიტეხდა, მაგრამ ზარბაზანი ზარბაზანია და მის შესახედაობას შეეძლო ბევრისთვის გაეფუჭებინა სახელმწიფო სათათბიროსადმი მიმართვის მოსმენის იშტა, მით უმეტეს, რომ ის დოკუმენტი პოლიტიკური ხასიათის მრავალ მოთხოვნას შეიცავდა. ჩვენ, ესე იგი, კომიტეტის წევრები და სხვა აქტივისტები, ხალხში ვიყავით გარეული, რომ მიტინგის სწორი განწყობილება უზრუნველგვეყო. შესაძლო პროვოკაციების აღკვეთას ვცდილიყავით, ოპონენტები და უმეცარი შემსწორებლები დაგვეოკებინა. ერთი სიტყვით, თითქოს, ყველაფერი ნავარაუდევი და გათვალისწინებული გვქონდა, მაგრამ მიტინგმა უინციდენტოდ მაინც ვერ ჩაიარა.

კითხვა მალე უნდა დასრულებულიყო, რომ ძალიან შორიდან, ყრუდ, შეიძლება ითქვას, ოდნავ გაისმა – არ ვიცი, რაიმე უშველებელი ლითონის ფურცლის ვარდნა, თუ ზარბაზნის ერთი გასროლასავით რაღაც და იმავ წამს ვიღაცამ ისტერიულად დაიღრიალა:

– Палят, братцы!!!

– Стой, ни с места! Провокация!!! – რამდენიმე კაცმა ერთდროულად დავიძახეთ წინასწარ მომზადებული სიტყვები, მაგრამ ამაოდ...

როგორ მოასწრო იმდენმა ხალხმა თვალის ერთ დახამხამებაში გაქრობა, ეს ჩემთვის დღემდე და მარად ამოუხსნელ ამოცანად რჩება. ვფიცავ სინდისს, დავიძახე, მივიხედ–მოვიხედე და ორმოცი–ორმოცდაათი კაციღა შემრჩა ხელში!.. მეორე წამში უნებლიეთ კორპუსზე აკრულ სახანძრო კიბეს ვკიდე თვალი – მრავალხმოვანმა ღრიანცელმა მიმახედა. ვინც ქვევითა საფეხურებზე იყო შემოსკუპული – იმათი კვალი აღარსად ჩანდა; ვისაც კიბის შუა წელი ეკაეა – ფაცხაფუცხით, ერთმანეთის ხელებზე ფეხების დაბიჯებითა და ლანძღვა–გინებით ჩამორბოდნენ. სულ ზევითებმა, ანუ ორმა ჟორამ, თავისი მდგომარეობა, ალბათ, გამოუვლად მიიჩნიეს, რომ ორთავემ ერთდროულად ისკუპა და პირდაპირ სახანძრო ავზში მოადინა ტყაპანი. ინსტინქტურად მივირბინე, – ვუშველო–მეთქი. ჯერ ერთმა ამოყვინთა, მერე – მეორემ. ჯერ ერთს გავუწოდე ხელი, ამოსვლაში დავეხმარე, მერე – მეორეს. ერთმანეთის გვერდით იდგნენ. ძალიან საცოდავი იერი ჰქონდათ – გაფითრებულები, შერცხვენილები, მოკუნტულები და ორთავეს ყველა ადგილიდან წყალი სდიოდა.

– ფანქარი და ქაღალდი მომეცი! – ძალიან გადაჭრით უთხრა ჟორა კაშიამ ჟორა ბადალიანცს.

ჟორა ბადალიანცმა ხელი წყლით სავსე ჯიბეში ჩაიყო, შადრევანი ამოუშვა ჟორა კაშიას მიაშტერდა და ჰკითხა:

– რა მითხარი, რა მოგცე?

– ქაღალდი და ფანქარი!

ჟორა ბადალიანცს სახე ბრაზისგან გადაებრიცა:

– რა დროს ქაღალდი და ფანქარია, შენი დედა!..

კაშიამ პირი იბრუნა, კორპუსში შესასვლელისკენ გასწია. ბადალიანცი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ძალიან მოხდენილად აგინებდა.

დათა თუთაშხია იქვე იდგა, ჟორებს პირდაღებული გამოჰყურებდა და როცა მისკენ ნაბიჯი გადავდგი გაკვირვებულმა იკითხა:

– ყურმა ხომ არ მომატყუა, შალვა, მართლა ქაღალდი და ფანქარი თხოვა იმ ჟორამ ამ ჟორას?

ისტერიული ხარხარი ამივარდა, სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე, თავის დაქიცინებით დავუდასტურე და დათა თუთაშხიამ ძალიან დაფიქრებულად ჩაილაპარაკა.

– რამ მოაგონა ნეტავი?!.. ქაღალდი და ფანქარი!

როცა თავს დავეუფლე, პირველად ის მეცა თვალში, რომ დათა თუთაშხია დოინჯშემოყრილი იდგა და ქვაფენილს დასცქეროდა. მეც ძირს დავიხედე ღმერთო ჩემო! აუარებელი ქოში ელაგა და ეყარა – ორასი, სამასი ნყვილი იქნებოდა! ელაგა–მეთქი, იმიტომ, რომ ზოგი წყვილი ისე ბუნებრივად იდო, გეგონებოდათ, პატრონი ახლაც შიგა დგასო. როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა, საკუთარი ქოშებიდან ისე გაიქცეს, რომ არც კი გაანძრიოს ისინი?!

– ე, ცალი დაუტოვებია ვიღაცას და ცალით გაქცეულა! – ყვითელი ქოში დამანახვა დათამ.

მივუახლოვდით. იქვე, ორ ნაბიჯზე თუ უფრო ახლოს, ჩვენკენ ზურგით ვეება, დონდროხა კაცი იდგა, მიტოვებული ყვითელი ქოშის ცალი ეცვა. დათას ვანიშნე, ნაბიჯი წასდგა. უნდოდა ენახა, ვინ იყო ასე უიმედოდ, თითქოს, სამარადისოდ გახევებულ–გაქვავებული და უმალ ცხვირი აბზიკა:

– ფუჰ, ყარს, მამაძაღლი. ჩაუსვრია უბედურს. დარდაკაა ეგ! – აცნობა.

– კაცო, ჩამოდით, ჩუსტები მაინც წაიღეთ! ეხლა რა, მანდ მოგიტახოთ?! – კორპუსს აჰყვიროდა პოქტია.

ხალხი ნელ–ნელა მოგროვდა, მაგრამ, ძირითადად, ისინი, ვისაც თავისი ელვისებური გაქცევა სრულიად გამართლებულად მიაჩნდა. ზოგს ახლახან გამჟღავნებული ლაჩრობისა

რცხვენოდა, ზოგს შიში ჯერაც არ გამონელებოდა. ერთი სიტყვით, პოქტიას ბიჭებს კაი თხუთმეტი წუთი დასჭირდათ, სანამ ხალხს თავი ისევ მოუყარეს.

სპარაპეტა მოვიდტ, გვერდში ამომიდგა, ცოტა ხნის შემდეგ ჩამჩურჩულა:

– აი, ეხლა თქვენა რა... აგიხირებიათ, ხალხიო. მაშ, ეს ხალხია? არა, ხალხია, მაშ, მაგრამ ეგენი ღმერთს იმისთვინ გაუჩენია, რომ მაგათ უნდა იმუშაონ, სხვა არაფერი, სულაც არაფერი და რიგიანმა კაცებმა მაგათი ნაშოენი ჭამონ. ეგ არი!

– შენ სად იყავი? – ვკითხე ქურდების უდიდებულესობას.

– საცა ეხლა ვარ, იქ ვიყავი! სად ვიქნებოდი? არა გჯერა? აგე, ბაიყუშსა ჰკითხე.

მიტინგი დამთავრდა. ორი ათას ხუთასამდე ხელის მოწერა მოგროევდა, მეტი აღარც ქაღალდი იყო და აღარც საჭიროება.

დარდაკასგან ვის რა მოლოდინი ექნებოდა, მაგრამ ის ჟორები თანდათან ისე გათამამდნენ, რომ გულადობისა და ყოველნაირი შემართების მაგალითად იქცნენ. შემდგომში ჟორა კაშიამ და ჟორა ბადალიანცმა არმავირის ციხეში ანალოგიური ამბოხება მოაწყეს და თავიდან ბოლომდე ჩინებულადაც უხელმძღვანელეს.

ეს, რაც შიშის გრძნობის დაძლევას შეეხებოდა. ახლა ორიოდ, ჩემი აზრით, საინტერესო რამ და მერე, ეგრეთ წოდებულ, "ორთაჭალის დემოკრატიაზე" ვიტყვი.

დასავლეთის კედლის დაცვა ბატონ ვანო თარხნიშვილს ჰქონდა დავალებული, ამ უბანს მეთაურობდა. აღარ მახსოვს – ამბოხების მეათე, მეთერთმეტე დღე იყო, დათამ და მე გამოვიარეთ. კორპუსის ძირას ბატონი ვანო თარხნიშვილი სხვებისგან განცალკევებით იჯდა, წინ ქვების დიდი გროვა ჰქონდა, თავჩაქინდრული ფიქრობდა. საოცარი და, მგონი, განუმეორებელი წარსულის პატრონი იყო ბატონი ვანო. ოცისამ თუ ოცდაორისამ მიჰყო ხელი არალეგალურ მუშაობას. იგი საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეით იყო გატაცებული და მთელი სიცოცხლის მანძილზე ჯიუტად, ფეხმოუცვლელად ებრძოდა წყობილებას, რომელსაც მისი უახლოესი ნათესავებისთვის გენერლობა, საიდუმლო მრჩევლობა, დიდი მამულები, ორდენები, სიმდიდრე, ყოველგვარი სხეა კეთილდღეობა უხვად ემეტებოდა და ყოეელივე ამას არც თვით ბატონი ვანოსთვის დაიშურებდა, წყობილებისადმი მისი ერთობ თავისებური პოზიცია რომ არა. ბატონი ვანო თარხნიშვილი სამოცს გადაცილებული იყო და იმ ორმოც წელიწადში მოხდილი ჰქონდა მრავალი გადასახლება, რამდენიმე იძულებითი თუ ნებაყოფლობითი ემიგრაცია, უამრავი ციხე. ერთი სიტყვით, მის თავზე წისქვილის ქვაც იყო ნატრიალები, ჯაჰრუ–დოზანაც და ის, რაც მაშინ ორთაჭალის ციხეში ხდებოდა, პირდაპირ და საგანგებოდ მისი ნატურისთვის იყო ზედგამოჭრილი.

– გამარჯობათ ბატონო ვანო! – მიესალმა დათა თუთაშხია.

მოხუცმა ამოგვხედა, ღრმად ამოისუნთქა და მერეღა გვითხრა:

– ღმერთმა გამარჯვება მოგცეთ!

– როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად, ივან დარისპანოვიჩ, – მოვიკითხე მე.

ბატონმა ვანო თარხნიშვილმა წამით იყუჩა და მითხრა:

– დავიქანცე, შალვა... ძალიან დავიღალე. როდის გათავდება ეს ამბავი, ჰა?

მოხუცი, მართლაც, ღონემიხდილი და ქანცმილეული ჩანდა.

– იცით, რაზე ვფიქრობ, ბატონებო?.. – ისევ გამოგველაპარაკა.

– დიახ, ბრძანეთ.

– მე გიორგი სააკაძის პირდაპირი ჩამომავალი ვარ. ჩემმა წინაპრებმა, აი, ეს ბოლო სამასი წელიწადი სულ შფოთსა და დავიდარაბაში გაატარეს. ალბათ, ჩემში და ამ სიბერის დროს გამოჟონა მთელი მოდგმის დაღლილობამ. აღარ შემიძლია!

პატარა ხანს ჩუმად ვიყავით.

– დაისვენეთ, ვანო–ბატონო. ახლა ახალგაზრდობის ჯერია. თქვენ თქვენი ვალი დიდი ხანია მოხდილი გაქვთ. ვიცით ეს ყველამ, – უთხრა დათამ.

– არ იქნება. ჩემი ადგილი აქ არის, – მიუგო ბატონმა ვანო თარხნიშვილმა, თავი ჩაღუნა და ფიქრებს მიჰყვა.

– მაგი არ წავა მანდედან! – მითხრა დათა თუთაშხიამ, როცა ბატონ ვანოს საგრძნობი მანძილით გავცდით.

კიდეე ერთი რამ დამამახსოვდა – გოგი წულაძის დედა. ის მოხუცებული მანდილოსანი სამ დღეში ერთხელ მოდიოდა და, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საათზე მოახერხებდა ამანათის გადმოცემასა და პასუხის მიღებას, მაინც დაღამებამდე რჩებოდა. ამგვარი ჭირისუფალი, საერთოდ, იშვიათი სანახავია და, მით უმეტეს, ხნიერი. ასე ახალგაზრდა, უმთავრესად, მეოცნებე ნატურის, ქმრებზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალები რჩებიან ხოლმე, თითქოს, საქმე მოითავა, უკეე შეიძლება, დამშვიდებული, მოხდილი ვალდებულების ტკბილი გრძნობით გასწიოს შინისკენ, მაგრამ არა!.. დგას, შესცქერის ციხის კორპუსებს და კმაყოფილია, რომ აქ არის, თავის სევდასთან, ძვირფასი ადამიანის გასაჭირთან სულ ახლოს. გოგი წულაძის დედის ამანათებთან ერთად შემოსული წერილების შინაარსი ციხეში სევდიანი ხუმრობის საგანი იყო. ყველა წერილი ასე იწყებოდა.. “გოგია, შვილო, გენაცვალოს დედაშენი. ცხელი საჭმელი ჩახოხბილის მეტი ვერაფერი გაგიკეთე, მუხლები მტკივა, ქურასთან დგომა მიჭირს. დანარჩენი – ბაზარში გამოვიარე და გიგზავნი...” ამას მოსდევდა ხოლმე სანოვაგის ვრცელი სია და ბოლოში აუცილებლად მინაწერი: “არჩილა ძალიან გიჟია, მოგიკვდეს დედა, მაგრამ ძალიან ჭკვიანია, ვენაცვალე”. არჩილა გოგი წულაძის დედით ობოლი ვაჟიშვილი იყო – ერთდროულად გიჟიცა და ჭკვიანიც, როგორც პატარა ბიჭების დიდი უმრავლესობა, ხოლო ქალბატონ ნინოს მუხლები ქურასთან არ ვარგოდნენ და ციხესთან დაღამებამდე თავისუფლად ეჭირათ საკმაოდ ტანადი და წარმოსადეგი ქალი. პატიმარს საქმე არაფერი

აქვს, ამგვარ შეუსაბამობებს ადვილად ამჩნევს და ვინაიდან ციხე სანტიმენტალობისა და წუწუნის უპირველესი მტერია – სატირალსაც კი იუმორის კვართში მოსავს. ხუმრობა თავისებური გამოსავალია. გამოსავალი – თვით პატიმრისთვის ძალიან ძნელია, დიდი სულიერი ძალაა საჭირო, რომ გალავანს გადაღმა მოხუცებულ დედას გადასცქეროდე და არ მოიდრიკო. ჭირისუფლებს ეს არ ესმით, რჩებიან და დგანან. პატიმარი ღელავს, ყელში ბოღმა დაგორგლილი ზღარბივით აწვება და ხუმრობს, სხვა რა გზა აქვს!..

ერთხელ, ღამე მქონდა სათევი, უკეთ ვთქვათ, მე და დათას გვქონდა სათევი. დასვენება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, წაძინება იყო საჭირო. ლოგინებს მივაშურეთ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძილი გვაკლდა, საუბარმა შეგვიყოლია. იმდღევანდელი ამბები მოვითავეთ, თემა თანდათან შეიცვალა, სიტყვამ მოიტანა და დათას შევეკითხე:

– ცოლ–შვილი გყოლია როდისმე?

– არ მყოლია.

– სიყვარული?.. ქალი გყვარებია?

– ნამდვილ სიყვარულს დრო ჭირდება, შალვა, – მცირედი დუმილის შემდეგ თქვა დათა თუთაშხიამ, – არც ერთხელ არ დამაცადა ბედ–იღბალმა.

– არ მესმის! სიყვარული ერთი ნახვითაც შეიძლება.

– სიმღერაში.

– რატომ? არა გქონია შემთხვევა, რომ ქალი დაგენახოს და შეგყვარებოდეს? – მართლა არ მესმოდა, რას გულისხმობდა.

– ეგ სიყვარული არ უნდა იყოს, მგონია.

– მაშ რა არის?

– არ ვიცი, როგორ გითხრა... მოწონებაა, გატაცებაა, ალბათ. ხორციელია ეგ, სიყვარული სულიერია. ერთხანს მაინც უნდა იყოთ ერთად, რომ სულში ჩახედოთ ერთმანეთს, მისი სულიერი რაღაც–რაღაცები შენი სიცოცხლისთვის აუცილებელი რომ გახდება, მაშინ დაერქმევა თქვენს ურთიერთობებს სიყვარული. ასე მგონია მე და, შენი შვილების დედაც თუ არის ის ადამიანი, ამახვილებს სიყვარულს ეს.

– შეიძლება ეგრეც იყოს, – დავეთანხმე და კვლავ ვკითხე: – არც სერიოზული გატაცება გქონია?

დათა თუთაშხია კარგა ხანს დუმდა, რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ფიქრობდა. უძილო, დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ თვალებში შუქი მაინც ჩაუდგა. მერე ისევ მოიღუშა და თქვა.

– ერთხელ... სიყვარული იყო, მგონია, ის, მაგრამ... ეჰ, დავიძინოთ, შალვა.

გადაბრუნდა და აღარაფერი უთქვამს.

აღარც მე ჩავციებივარ.

მთლიანი პიროვნებაო, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ასეთად მიმაჩნია კლასიონ კვიმსაძე – ნათელი იყოს მისი ხსოვნა. მთლიანი იმიტომ, რომ იგი ყველა ადამიანურ თვისებას ერთნაირად, თანაბარი სიმძაფრით ავლენდა. ყველა თვისებას–მეთქი და, მათ შორის, უარყოფით თვისებებსაც, მაგრამ აქვე, მომდევნო წუთში უაღრესად დადებით, სულგრძელობითა და მაღალი ზნეობით აღსავსე რაიმეს აკეთებდა. ხასიათის მთლიანობა მე სწორედ ასე მესმის. საასენიზაციო შადრევანს კლასიონის მეტი ვერავინ გამოიგონებდა და ამას, უშუალო შედეგის გარდა, რაც იერიშის მოგერიებაში გამოიხატა, კიდევ ის მოჰყვა, რომ იმპერიის ყველა სატუსაღოში საასენიზაციო ორმოები გალავანს გარეთ იქნა გატანილი, ხოლო იმ იერიშში მონაწილე ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მეტსახელად მძ...ჭამიები შეერქვათ. რამდენიმე შემთხვეყა იყო – საქმე დუელამდე მივიდა. ამ მეტსახელის გამო უმაღლესი სარდლობის სათანადო ბრძანებაც კი გაიცა და, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო რეზულტატი მოიტანა.

პარლამენტის შექმნა მინდა გიამბოთ, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში პარლამენტი და კლასიონ კვიმსაძე, რატომღაც, ერთად არის ფიქსირებული, მიუხედავტდ იმისა, რომ კლასიონი პირველი მოწინააღმდეგე იყო პარლამენტისთვის ძალაუფლების გადაცემისა და მის სხდომებზე ერთის მეტად ფეხი არ მიუდგამს.

მართალია, ამბოხება კარგად ვითარდებოდა, ყველა იერიში მოვიგერიეთ, მაგრამ ახდილი თუ ფარული მოწინააღმდეგე მაინც ბლომად იყო. ოპოზიცია, მოგეხსენებათ, ყველა რევოლუციისა თუ აჯანყების აუცილებელი ატრიბუტია, ყოველგვარი სოციალური ძვრისა თუ რეფორმის თანამავალია. ეს წინააღმდეგობა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ჩალაბამ კომიტეტს რამდენიმე ბარათი წარუდგინა, რომლებშიც ვიგინდარები მოალყეებს შინაგან ვითარებას ატყობინებდნენ და ჭკუასაც ასწავლიდნენ, როგორ ჩაეხშოთ ამბოხება. მეორე მხრივ, უკმაყოფილების ახდილად, საჯაროდ გამოთქმისა და ამბოხების საწინააღმდეგო მოწოდებების შემთხვევებიც არცთუ იშვიათი იყო. აი, ზოგი მათგანიც. ციხეში თერძად მომუშავე პატიმარს ხალხი შემოეკრიბა და ამბობდა:

– კაცო, თვე არ გავა, სამი–ოთხი თუმანი ფული არ გავაკეთო. რაც იყო, ძალიანაც კარგი იყო. ეხლა, რა, ვითომ უკეთესი ციხე იქნება? ნახე, რა დღეში ჩაგვაგდონ!

– ნუ გეშინია, სანამ მეფის ხელისუფლება იქნება, ციხეც იქნება. კერე და იყავი, – მიუგო ვიღაცამ.

მეორეგან იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორ მოეწყოთ მასობრივი გაქცევა.

– მე ამათი აყალმაყალი ფეხებზეც არა მკიდია, თავისუფლებაში გასვლა მინდა. არა, ამათმა მზემ, ათი წელიწადი აქ ვიყო, არა!?

– ხალხს დააცადე, – თქეა მეორემ. – ხალხი მამაძაღლია, თავისი საქმე იცის. ისე უნდა მოიქცე, რომ ხალხის მხარეზეც იყო და უფროსებმაც ვერ დაგინახონ. გამოვა რამე – შენთვისაც იქნება, არ გამოვა და, ისევ ისა ხარ, რაც იყავი!

– კაცო, მე არც ეს მინდა და არც ისა. მოსახდელი ერთი წელიწადი დამრჩენია. ერთი წელიწადი, თუ გინდა, მარგილზე დავჯდები... რევოლუცია მაგათ გააკეთონ! – მესამემ დასძინა.

ერთხელ, როდესაც ეს თუ ამგვარი განწყობილებები კომიტეტს მოვახსენე კლასიონ კვიმსაძე აფეთქდა, სიტყვის თქმა არავის დააცადა:

– გეუბნებოდით მე თქვენ, პირველ დღესვე უნდა გაგვეგდო ეგენი – ვიგინდარა მამაძაღლები. ასტრახანის ციხეში რა ქნეს მაგათ, თუ იცით?.. რა ქნეს და, ხუთმა პატიმარმა – ორი მეეზოვე იყო, ერთი ასენიზატორი და ორიც ოხერი, ვიღაც, აღარ მახსოეს ახლა – შტოფი არაყი ჩაიგდეს ხელში, დათვრნენ – დათერებოდნენ, აბა, რა იქნებოდა – "Боже, царя храни" დაცხეს და ჩასვეს კარცერში ხუთივე, არ უშველა არაფერმა. მეორე დღის საღამო ხანი იყო, მიაყვანინა ციხის უფროსმა თავის კაბინეტში ის "царя храни"–ს მომღერლები და გამოუცხადა. – გუბერნატორმა ბრძანა, ხვალე დილით ხუთივე უნდა ჩამოგახრჩოთ და შვიდ საათზე აგერ დამხვდით ყველა, შემოსასვლელთანო. რა მოხდა, თუ იცით? ერთს გული გაუსკდა ღამე და მოკვდა. დანარჩენი ოთხი მოვიდა დაბარებულ ადგილზე და ზუსტად შვიდ საათზე დილის. საკუთარი თოკები ქონდათ ოთხივეს, კარგად და მშვენივრად გამოყულფული და ორს ასტრახანის ეპისკოპოსთან მიწერილი ცოდვების მონანიების წერილები უპოვნეს ჯიბეში, კიდევ. ჩემი თვალით ვნახე ეს და, ჭკუა თუ გინდათ, ბატონო, აგერ ვარ, დამიჯერეთ მე – მაგენი უნდა გავაგდოთ ციხიდან.

ყულფებისა და ცოდვების მონანიების წერილებისა რა მოგახსენოთ – ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არა, მაგრამ დიდი კამათისა და განსჯის შემდეგ ვაღიარეთ, რომ ეს ფენა ვნებისა და ზარალის მეტს არაფერს მოგვიტანდა.

ასეა თუ ისე, კომიტეტის ერთ–ერთ სხდომაზე მასაში აზრთა, შეხედულებათა სხვადასხვაობისა და ძირგამომთხრელი მოქმედებების თაობაზე დიდი კამათი ატყდა და კამათს მნიშვნელოვანი შედეგიც მოჰყვა. კომიტეტმა ხმების უმრავლესობით აღიარა ყოველი ადამიანის უფლება საკუთარ აზრზე, შეხედულებაზე, ამბოხების მიმართ დამოკიდებულებაზე. აღინიშნა ისიც, რომ ესა თუ ის შეხედულება, რაკიღა არსებობს, მაშინ იგი, უთუოდ, გარკვეული ფენის კუთვნილებას წარმოადგენს, და ისიც, რომ ამბოხება ყველა ფენის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მაგრამ უმრავლესობის მიერ მიღებული პროგრამით უნდა წარმართულიყო. ამბოხების მიმართ ყველა ფენის დამოკიდებულების ცოდნა შეუძლებელი ჩანდა, თუ არ დაარსდებოდა სათანადო საბჭო, რომელშიც ცალკე ყოველ ერს და ცალკე ყოველ ფენას თავისი წარმომადგენელი ეყოლებოდა და სადაც შეხედულებათა დაპირისპირება–შეჯერება განხორციელდებოდა.

– დავუარსოთ, ბატონო, პტრლამენტი! – განაცხადა კლასიონ კვიმსაძემ. – ძალა და უმრაელესობა ჩვენი იქნება მაინც, და დადგნენ და ილაყბონ, რა გვენაღვლება, ნეტავი?! მაგიერში, გვეცოდინება, ვის რა უნდა და ზურგს უკან ისე ადვილად ვეღარ მოგვიწყობენ ვნებას და ზიანს.

ანდრო ჭანეიშვილს პარლამენტის მოწვევა დაევალა. ამ მხრივ მუშაობა კომიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო და დილით, ვისაც დებატების მოსმენა სურდა, კარანტინის საკანში მოისმენდა – საბჭომ იქ დაიდო ბინა.

კლასიონის ზარბაზანი, თურმე, შიგნითაც ასხამდა სითხეს და პირველი იერიშის შემდეგ ჩვენი ძმაკაცი და თანამებრძოლი გაცივდა, მაღალი სიცხე მისცა. კლასიონისთვის ეს ერთობ საშიში იყო, რადგან მას დროებით მიყუჩებული ძველთაძველი ჭლექი ჰქონდა. არც ჩვენს ხვეწნა–მუდარას დაემორჩილა, არც კომიტეტის ბრძანებას – არ დაწვა. ერთადერთი კომპრომისი კლასიონის მხრივ ის იყო, რომ თავისი ზარბაზანი მოადგილეს გადააბარა და სხვა საქმეებს მიჰყო ხელი. მახსოეს, სწორედ მეორე იერიშის წინ იყო, ერთად ვიდექით, კლასიონი პოქტიას ჭკუას ასწავლიდა:

– ამბოხება და რევოლუცია რაა, თუ იცი?.. რაა და... ძველ კანონებს რომ მიაფურთხებ, ფეხებზე რომ დაიკიდებ და ახალს და შენსას რომ შემოიღებ – ისაა. ახლა, ამ ხალხს რა უხარია, თუ იცი? ის უხარია, არცერთნაირ კანონს რომ აღარ ემორჩილებიან. თავაშვებული, კანონის მორჩილებიდან თავდაღწეული მასაა ეს ხალხი, მარა რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს ვერასოდეს, ეს ხალხი რევოლუციის გამარჯვებისთვის საჭირო კანონს თუ არ დაემორჩილა. ნამეტანი ძნელია, ისევ კანონის მორჩილებაში მოყვანა ამ ხალხის – რევოლუციური კანონის მორჩილებაში, მარა, მაინც, კანონის თავაშვებულობა სწყურია ხალხს. აბა?

ამ დროს მოხდა, ალაყაფი რომ გაიღო და ფარებით დაცულ ოფიცერთა მწყობრს კლასიონის ზარბაზნიდან გატყორცნილი სიბინძურეების ჭავლი რომ დაეძგერა.

– ა, ანდე რამე იდიოტს, – დაიყვირა კლასიონმა. – გადააქანე, პატარაზე, ჭონია, გააქანე, შე კაცო, რავა ერთ ადგილში უმიზნებ. დაგწყევლოს ღმერთმა!

ჭონიამ გააქან–გამოაქანა და ამ დროს ბარიკადებმაც ააგრიალეს მწყობრის გვერდითი ჯავშანი... დამთაერდა თუ არა იერიში, პოლკოვნიკ ქუბასარიძის ალაყაფის გვირაბში გაუჩინარება იყო და კლასიონი იმავ წამს პოქტიას მიუბრუნდა და იერიშამდე დაწყებული სიტყვა დაუმთავრა:

– რევოლუცია სკოლაა, ბატონო! – და მეზარბაზნეებს ასძახა. – ჭონია ჩამოდი და მოდი აგერ!

– ვინ ჭონიაა ეგ? – ჩაილაპარაკა დათამ.

კლასიონმა ყური მოჰკრა, ხელი აიშვირა და მიუგო:

– ეგერ იმის უფროსად მყავს დაყენებული!

მშენებარე სახლიდან ჭონია გამოლასლასდა. თავიდან ფეხებამდე, თმიდან ლანჩამდე სიბინძურეში იყო ამოვლებული. დადგა, გვიყურა, მერე ეზოში გავიდა, ბრანდსპოიტებით გაერეცხვინა და კლასიონს ერთიანად ამოწუწული ეახლა.

– არაფერია, ჭონია, მეც მასე ვიყავი გუშინ, – გაამხნევა კლასიონმა.

– შენ წყლით იყავი, კლასიონ–ბატონო, და მე?.. – საყვედურით მიუგო ჭონიამ.

– ჭონია, გამარჯობა შენი! თუ მიცანი? – მიმართა დათამ.

– გასულ შემოდგომაზე, პირველად რომ მომიყვანეს, მაშინვე გიცანი მე, – უთხრა ჭონიამ.

– რას შვრები, როგორ ხარ?

– როგორ ვარ და, ხომ დაინახე, რა დღე დავაყენე ვაშე ბლაგოროდიებს! სიკეთის ქნას ვსწავლობ და ვისწავლე, მგონია, უკვე. აჯამეთში სადგურის უფროსი იყო, ერთაოზ ნიკოლაძე, იმან მითხრა ერთხელ, – კაცს სასიმღერო ხმა და სმენა დედის მუცლიდან დაყვეს, შეიძლებაო, მარა თუ არ ისწავლა სიმღერა, ვერ იმღერებს ვერაფერსო. სიკეთეც დაგყვეს იქნება, დაბადებით, მარა სწავლა უნდა მაინც და ყველაფერი ასეა ქვეყანაზეო. აგერ ა, ვსწავლობ სიკეთის ქნას და ვარ ასე!..

– კიდევ ერთი სიკეთე ქენი, აბა, შენ, – შეაწყვეტინა კლასიონმა. – წადი ახლა, ნუ აგვაყროლე აქ, იბანავე და რომ იბანავებ, მოდი და მიამგე, რაფრა იყო საქმე იქ, ზევით.

ჭონიამ გაიცინა, აბანოს მიაშურა.

კლასიონს ხველება აუტყდა, დიდხანს ახველა, სული ძლივს მოითქვა.

– გავცივდი, ალბათ, გუშინ. ვერ ვარ კარგად, რაღაც, – სნეული კაცის იერი ჰქონდა, თითქოს ლაპარაკიც კი უმძიმდა.

ბევრი ვარწმუნეთ, ბიკენტი იალქანიძესთან მისულიყო. ძლივს დავიყოლიეთ. ბიკენტი იმ დღეებში საავადმყოფოს უფროსობდა. დაწვა კლასიონი და მას მერე აღარ გამოჯანმრთელებულა, მაგრამ

ამაზე მოგვიანებით ვიტყვი.

– ამბობენ, დიდი ჩხუბი და დავიდარაბა არის იქო, შალვა, – მითხრა ერთხელ დათა თუთაშხიამ. – ჩავიდეთ ერთი, იმ პარლამენტში და ვნახოთ, რას ლაპარაკობენ და ვინ არიან.

პოქტია შემოგვიერთდა. ჩავედით.

“ხალხის მოვლინებულებს” კარგა საგრძნობი ზიანი მიეყენებინათ ამბოხების არსენალებისთვის. ეს ჩვენზე ადრე პოქტიამ შენიშნა და ძალიან აღშფოთდა.

– ერთი ამ დამპლებს უყურე, რამოდენა აგური ჩამოუზიდნიათ?! – დარწმუნებული ვარ, პარლამენტისთვის ასე უხეშად არსად და არავის მიუმართავს.

აგური, ანუ ჩვენი ძირითადი იარაღი, მართლაც, ბლომად იყო ჩამოზიდული. კარანტინში – ბოდიშს ვიხდი – პარლამენტში, ასამდე კაცი თათბირობდა და ყოველ მათგანს აგურების სკამი ედგა. პოქტია, რა თქმა უნდა, ამდენს ვერ აიტანდა და ვისაც მისწვდა, იმას გამოუკრა “სკამის” ძირში ფეხი. “ხალხის მოვლინებულმა” ტყაპანი მოადინა, მაგრამ აღშფოთება ვერავინ გაბედა, ყველამ იცოდა, რომ პოქტია ამბოხების ადამიანური და მატერიალური რეზერვების უფროსი იყო. კარგა ხნის შემდეგღა მოისმა შორიდან ძალიან წვრილი, კატის წამოკნავლების მსგაესი ხმა:

– რა იყო, შე კაი კაცო, მოვრჩებით და ავზიდავთ... თუ საჭირო იქნება... ჰო, მაშ!

ჰოქტიამ ძალიან მრისხანე თვალებით მოიარა პარლამენტი და გავიდა.

– ვაგრძელებთ, ამხანაგებო! ნუ აღელდებით, აქაც იგივეა. ეს შემთხვევა პირდაპირ ჩვენი მსჯელობის პარალელური რამ არის – ომის ვითარება და შესაბამისი კანონები! – დიახ, იმას მოგახსენებდით... თქვენ, ბატონო ფხაკაძევ, ამ ტრიბუნიდან განაცხადეთ, რომ დაირღვა, უკეთ ვთქვათ, თქვენს მიმართ არასწორად იქნა გამოყენებული სადილის დარიგების არსებული, ამბოხების ვითარებაში მოქმედი წესი. რატომ მოხდა ასე, ბატონებო?! – ორატორმა ხელი პათეტიკურად შემართა, მაგრამ არ აცალეს, რეპლიკა მიაგებეს:

– თვით წესია უვარგისი, უნდა შეიცვალოს!

– რატომ არის უვარგისი?! – შეიცხადა ორატორმა.

– უვარგისია ის კანონი, ის სამართლებრივი სტატუს კვო, თვით ის იდეოლოგიაც კი, რომელიც თავისივე დამახინჯების საშუალებასა და პირობას თვითვე ქმნის! – ტემპერამენტით, გზნებით განმარტა ოპონენტმა.

– მართალია, სწორია! უვარგისია მეთოდი, რომელიც საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა! – დაუდასტურა კარანტინის სიღრმიდან ბოხმა ხმამ.

– "ბუნაგო", დაიოკეთ ნერვები! – გამოსძახა ორატორმა.

– ეს აზრი მარტო "ბუნაგს" როდი ეკუთვნის, ასეთსავე პოზიციაზეა "ზავის აქცია" და "დეზინფექტორთა" მარჯვენა ფრთაც! – კიდევ გამოსძახეს.

ამ დროს პატარა ბიჭი შემოვარდა – გამომძახებელი, სიბნელეს თვალი შეაჩვია, ორატორი დაინახა ტაში შემოჰკრა და დაიძახა:

– ეეე!.. ქერქაძე, რამოტოლა ხანია გეძებ! გათავისუფლებაზე გეძახიან, კაცო... შენ კიდენა აქა ენას აჭარტალებ!

ეს ცნობა იმით იყო საინტერესო, რომ ამბოხების მსვლელობის ორ დღეში ბარე თხუთმეტ კაცს გაუთავდა პატიმრობის ვადა და ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ვინმეს გასათავისუფლებლად ეძახდნენ.

– სულ რამდენი კაცია? – ჰკითხა დათამ გამომძახებელს.

– თვრამეტია, მაგრამ ცამეტი მიდის, ხუთი კიდენა უნდა დაწერონ... აი, ისა, რა... რაღაც რო ჰქვიან...

– გაფორმება.

– ჰო, უნდა გააფორმონ... ეეე, ქერქაძე, აღარ მოდიხარ?!

– სამწუხაროდ, იძულებული ვარ... უნდა დაგტოვოთ... თორემ ჩვენ მაგ საკითხს მართებულ გადანყვეტას გამოვუნახავდით!.. უვარგისია მეთოდი, რომელიც საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა, არა?..

– კაცო, შენ წახვალ, თუ აქ უნდა დარჩე, ჰა?.. – ვიღაცამ შესძახა.

ქერქაძემ ჩაგვიარა და გავიდა.

– ასეთებს ლაპარაკის საშუალება მიეცი და თუგინდ პურს ნუ აჭმევ, – ჩავილაპარაკე დათას გასაგონად.

– ლაპარაკის უფლება მაგათ არასოდეს არ ჰქონიათ! – მოესწრო, აგერ, აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა, საცოდავს, და გაიხარა ძლივს. გათავისუფლება ქვია იმას თვარა, ტყვეობაში მიდის ისევ. იცის ეს და აითრია ფეხი, რა იქნებოდა, აბა, – ჩაიცინა დათა თუთამხიამ.

კარში გამოსულებს ბიკენტი იალქანიძე შემოგვეფეთა.

– წერილი მაქვს... ბარათი! – გვაცნობა მან, გაიღრიჭა, ვითომ რასმე სასაცილოს გვეუბნებოდა და დასძინა: – თომას სახელზეა, პარტიულ მეტსახელზე. აქ ვერ მოგცემთ. ასე ნელ–ნელა სეირნობით შევბრუნდეთ კორპუსში... იქ! კლასიონს მაღალი სიცხე აქვს. გასინჯა შჩელკუნოვმა. ფილტვების ანთება არ იყოსო, ასე თქვა!..

ფილტვების ანთება მაშინდელ დროში!..

ბიკენტიმ ბარათი დათა თუთაშხიას ჩასჩარა და აორთქლდა. კომიტეტში ავედით! თომამ ბარათი გახსნა, წაიკითხა, ერთხანს ისევ შიგ იყურებოდა, მერე ჩვენ გადმოგვცა და ბოლთას შეუდგა.

ბარათი თბილისის არალეგალური კომიტეტიდან იყო:

“არსებულ ვითარებაში გარედან რამდენადმე სერიოზული დახმარება თუ სოლიდარობის დემონსტრაცია გამორიცხულია რეაქციის გამძაფრების გამო. თქვენი აქციის განგრძობისა თუ შეწყვეტის საკითხი ადგილზე გადაწყვიტეთ. ამოცანა: ბრძოლაში გამოვლილ მებრძოლთა შენარჩუნება”.

იქ კომიტეტის კიდევ რამდენიმე წევრი იყო. ბარათს ყველა გაეცნო. დაბნეულობამ, გაურკვევლობამ, უპერსპექტივობამ აგვიტანა. იმ დღეებში პირველად ამოიღო კრიალოსანი დათა თუთაშხიამ – ეს მისი მღელვარების უპირველესი ნიშანი იყო.

– რამდენმა წაიკითხა? – იკითხა თომა კომოდოემა.

დავთვალე:

– შვიდმა!

– გაანადგურეთ.

ჰამბო ხლგათიანმა ბარათს ცეცხლი მისცა.

იმდღევანდელ საღამოს კომიტეტი ხანგრძლივ, მრავალგზის კომიტეტობად გადაიქცა, ვინაიდან ვერც ამ და ვერც კიდევ რამდენიმე სხდომაზე ვერ ვიპოვნეთ პასუხი კითხვაზე: როგორ მოვიქცეთ შემდგომში? რაც აქამდე, ესე იგი, თბილისის არალეგალური კომიტეტის ბარათის მიღებამდე, მოხდა, ყველაფერი ცხადი გახლდათ. ჩვენს მიერ წამოწყებულმა აქციამ თავის მიზანს მიაღწია. ფორმალური საბაბი ხომ ბატონ კოცის საზიზღარი საქმიანობა იყო და ეს აღარ განმეორდებოდა! შევქმენით პრეცედენტი სხვა საპყრობილეებისათვის.

– უდიდესი მნიშვნელობის მაგალითი; ამბოხების პროცესში ოთხი ათას ხუთასი კაცი, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, ბრძოლის გამოცდილებას ვაზიარეთ და აქციის აღმზრდელობითი დანიშნულებაც ამაში მდგომარეობდა; ის დღეები მთელი ქალაქი, შემდეგ მთელი კავკასია, ჩვენს ამბოხებაზე ლაპარაკობდა; მის შესახებ ცენტრალურ მთავრობასაც მოახსენეს და, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ინფორმაციამ სახელმწიფო სათათბიროშიც შეაღწია – ეს ჩეენი წამოწყების პოლიტიკური ფუნქცია იყო. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იმაშიც მდგომარეობდა, რომ თვითონ ჩვენ, პროფესიულ რევოლუციონერებს, მასობრივი გამოსვლების მოწყობის გამოცდილება გვაკლდა და ახლა საკმაოდ გავიმდიდრეთ იგი. მერე?

– ავუხსნათ ხალხს, რომ მიზანი მიღწეულია... – ვიღაცამ თქვა, მაგრამ არ დააცადეს:

– რა უნდა აუხსნა? მინდოდა, მესინჯა! აბა, როგორი რამე გამოვაო.

– მასა მასაა და გაღებული მსხვერპლის პრაქტიკული შედეგის დანახვა და ხელში აღება სურს...

– სამაგიერო თუ არ მიეცი – ავანტიურისტი ხარ!

– კაცო, ავუხსნათ–მეთქი, ამაზე მეტი სამაგიერო უნდა?..

– პროფესიული რევოლუციონერები ვართ და გულზე ხელი დავიდოთ, რაც გავაკეთეთ, იმის მნიშვნელობა ბოლომდე ჩვენ თვითონ არ გვესმის, თოკაძეს რანაირად უნდა შეაგნებინო?!

– წადი შენა და ვისმეს გააგებინე, რომ განმათავისუფლებელი, რევოლუციური მოძრაობა თავისებური ყულაბაა. საჭიროა იმდენი პროტესტი, ამბოხება, გამოსვლა, აჯანყება, თუგინდ ლოზუნგების წამოძახებები დაგროვდეს, რომ ყულაბა გაივსოს, ნაპირებიდან გადმოვიდეს...

– ჩვენ ყულაბაში მხოლოდ ერთი ციცქნა კენჭი ჩაეაგდეთ...

– მოგიბრუნდება და გეტყვის: მაგ ერთი ციცქნა კენჭისთვის სასიკვდილოდ გამიმეტეო?

სიჩუმე ჩამოდგა და დათა თუთაშხიამ თქვა:

– ან უნდა გაუძღვე ხალხს და წაიყვანო! ან უნდა დატოვო და უშველო თავს. საით უნდა წაიყვანო ამ ოთხ კედელში? სიკვდილისკენ მხოლოდ! სასიკედილოდ გამეტება არ შეიძლება ამ ხალხის ეს ხალხი ძვირად ღირს უკვე, მაგრამ ჯანდაბას, მიზანი თუ იქნა უფრო ღირებული. არ არის მიზანი! მიატოვო? დაგიხსომებს, – ამან იყო, რომ მომატყუაო, აღარ გაგეკარება სათოფეზე და მაგის დავიწყებას ერთი და ორი თაობა არ ყოფნის, მეტი ხანი ჭირია! მე თუ მკითხავს ვინმე, მთავარი საფიქრალი ის არის ახლა, რომ გადარჩეს ეს ხალხი ერთმანეთის დაჭმას და თუა შესაძლებელი, მეტი ისწავლოს კიდევ, უკეთესი გახდეს, რომ იყო იმაზე!

– მაგას ბრძოლა სჭირდება, არ გებრძვის ის კაცი. ნახე, ზარბაზნები წაიღეს!

– აბა, კარში ვიყოთ და ეს ამბავი გვქონდეს?!

– კარში ნიკოლოზა შრაპნელით ამოგვწყვეტდა და ვინც ტყვიით სიკვდილს გადარჩებოდა – ციმბირში მატარებელი დადის და ახალი ვაგონებიც გამოუგონიათ შენი და ჩემი მგზავრობისთვის!

აი, დაახლოებით, ასეთი ლაპარაკი იყო ყოველ სხდომაზე და ბოლო არაფერს უჩანდა.

შემდგომ სამ დღეში საყურადღებო ის მოხდა, რომ ხალხს თანდათან მობეზრდა ბარიკადებში ჯდომა. ზოგი სახურავზე ყოფნასა და მეთვალთვალეობას ითხოვდა, ზოგმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და წავიდა. ხალხმა შინაგანად, ინსტინქტურად იგრძნო, რომ ბარიკადებზე საჭირო აღარ იყო. მომსახურებაში საბოტაჟმა იჩინა თავი. ეს გასაგებიც გახლდათ და მოსალოდნელიც, ვინაიდან მომსახურებაში წამსვლელ პატიმარს სხვა პატიმრებისთვის სამსახური კი არა აქვს მიზნად, არამედ ჟანდარმების წინაშე თავის გამოჩენა სწყურია და ამით ცხოვრების შემსუბუქებას, შედარებით თავისუფლებას ინაღდებს. ახალ პირობებში აღარც ჟანდარმები იყენენ და ის შედარებითი თავისუფლებაც ყველას ჰქონდა. რისთვისღა მოეწყვიტათ წელი? ჟანდარმი, ექიმ შჩელკუნოვის გარდა, ერთადერთი გაჩნდა – გრძელკისერა ინტენდანტი ჩარაძე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ მეხანძრეს, რომლებიც მოკრძალებით, შიშით შემოვიდნენ, თავისი მეურნეობის მოწესრიგებას მიჰყვეს ხელი და მერე, ერთი კვირის შემდეგ, მოწიწებით ითხოვეს, – კლასიონის ზარბაზანზე მიბმული შლანგები დაგვიბრუნეთო. გასათავისუფლებელი ხალხი ძველებურად თავისუფლდებოდა. ახალი ეტაპიც კი მოვიდა – სოხუმიდან. ერთი სიტყვით, პროკურორ კალიუზეს დანაპირები სავსებით სრულდებოდა.

კლასიონს სიცხე დაუვარდა, მაგრამ საამქვეყნო რომ აღარ იყო, ამას შჩელკუნოვიც ამბობდა და ისეც ეტყობოდა, საცოდავს. დათა თუთაშხია პროკურორის უკანასკნელი ვიზიტის შემდგომ სხდომას რომ დაესწრო, მერე აღარ გამოჩენილა, პარლამენტში იჯდა და განუყრელ პოქტიასთან ერთად მოთმინებით, გულდასმით უსმენდა ორატორებს.

ერთხელ საქმე არა მქონდა რა და გავიფიქრე, – პარლამენტში ჩავალ, იქაურობას ვნახავ, დათა ჭკვიანი კაცია, იქ ამაოდ ხომ არ იჯდება–მეთქი. ჩავედი. ტევა არ იყო, განსაკუთრებით – ქანდარაზე, ესე იგი, დამსწრეთათვის მიჩენილ ნახევარში, თორემ წინა რიგები “ხალხის მოვლინებულებს” ეკავათ. მაშინვე ის მეცა თვალში, რომ ქანდარა

ბარიკადებიდან წასული ხალხით იყო სავსე, იქვე დათა თუთაშხია, პოქტია და ბიკენტი იალქანიძე დავინახე. ანდრო ჭანეიმვილი კვლავინდებურად თავმჯდომარის ადგილზე

იჯდა, სარეპლიკო ვითარების გამძაფრების შემთხვევებში ზარს აწკარუნებდა – ზარიც კი გაიჩინეს!

– ჩვენ მოვითხოვთ ყველასთვის თანასწორ პირობებსა და უფლებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში – მივდივართ! – განაცხადა ორატორმა და მაშინვე ესროლეს:

– საით, ტარიელ ავთანდილოვიჩ, პირობებისა და უფლებების უარესი უთანასწორობის სხვა სამყაროში?!

– სწორი ბრძანებაა! – სიტყვა დაიბრუნა ორატორმა. – დღეს რუსეთის იმპერიაში არ არსებობს მეორე ისეთი ადგილი, სადაც ასე თავისუფალი იყოს პიროვნება, ასე სრული იყოს დემოკრატია, როგორიც ჩვენთან, აქ, ორთაჭალის საპყრობილეში. მე ჩვენს პატარა თემობას “ორთაჭალის დემოკრატიას” დავარქმევდი...

აპლოდისმენტები გაისმა.

– ... მაგრამ, როდესაც წასვლას ვამბობთ, ვგულისხმობთ იმპერიიდან წასვლას, წასვლას სახელმწიფოდან, სადაც არის მჩაგვრელი და ჩაგრული. ჩვენ დავრჩებით მხოლოდ იმ შემთხვეეაში, თუ ყოველი მოქალაქე გარანტირებული იქნება თანაბარი პირობებითა და უფლებებით!..

– შალვა მოდი აგერ, დაგსვამთ როგორმე! – დამიძახა ბიკენტი იალქანიძემ.

გავაღწიე და ძმაკაცებში ჩავჯექი.

– რას აკეთებთ? – ბიკენტის ვკითხე სიცილით.

– უჰ, რას ამბობ] კაცო! – ამდენ ტუტუცს ერთად ვერ ნახავ ვერსად. საგიჟეთი ამასთან... პროფკავშირები დაუარსებიათ, პროფკავშირები. – ჩამჩურჩულებდა უზომოდ მხიარული ბიკენტი იალქანიძე, – კვების მუშაკების – ცალკე, სანიტარია–ჰიგიენის და მედიცინის – ცალკე... შემოდიო, მეუბნებიან. აგერ, რუდოლფ ეალენტინოვიჩია მოსული, მამათმავლებსაც პროფკავშირის დაარსება უნდათ, მგონი!.. – ბიკენტი სიცილისგან ჩაბჟირდა.

მე ორატორის – ვინმე ტარიელ ავთანდილოვიჩის – ნათქვამი დამიჯდა ჭკუაში. მართლაც, სად ნახავდა კაცი რუსეთის იმპერიაში ადგილს, სადაც ამდენი თავისუფლება იყო – აზროვნების, სიტყვის, საქციელის, სინდისის...

დათა თუთამხია კომიტეტის სხდომაზე მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. ეს ამბოხების ხუთი დღის თავი იყო. მოვიდა, პატარა ხანს გვისმინა და, როცა სიჩუმე ჩამოდგა, თქვა:

– დავაკვირდი ამ საქმეს მე და, რევოლუციონერების მოვალეობა ის არის, რომ დაამხონ ძველი წყობილება, აიღონ ხელში ძალაუფლება, დააარსონ ახალი წყობილება და ძალაუფლება ხალხს გადასცენ, მასებს. ყველაფერი გააკეთეთ უკეე თქვენ და ის დრო არის,

მგონია, ძალაუფლების გადაცემაზე რომ ფიქრობდეთ. როდემდე გინდათ გეჭიროთ, ნეტავი? სანამდე დასანახად შეგიჯავრებდეს ხალხი, იქამდე? აგერ, მზამზარეული სახელმწიფოა აქ, ორთაჭალის ციხეში: პოლიცია, შეიარაღებული ძალები, ბატონო, დაზვერვა, კვება და მეურნეობა, პროპაგანდა, დიპლომატია და ელჩობა, პარლამენტი და რა ვიცი მე. არა, კიდევ რომ იყოს რამე საბრძოლველი და მისაღწევი – კეთილი და პატიოსანი, მაგრამ აღარ არის! ერთი რჩება მხოლოდ მივაწვეთ გალავანს, გავარღვიოთ, გავიტანოთ ამბოხება გარეთ... შემოგვითვალეს, მხარს ვერ აგიბამთ ჩვენო და ქათმებივით დაგვწყვეტენ, მარტო ჩვენ თუ დავრჩით მოჯანყე და მოამბოხე. ასეა ეს.

– რევოლუციონერს არაფრის არ უნდა ეშინოდეს, დათა თუთაშხია! – შეუძახა ეზიზა ჭელიძემ.

– უაზროდ სიკვდილის მეტის და ბრძოლაში გამოვლილი კაცების ტყუილუბრალოდ დაკარგვის მეტის! – მიუგო დათამ. – მე რომ ვლაპარაკობ, სხვა ვითარებისთვის არ ივარგოს, იქნება ამან! მაგრამ აქაურობისთეის ზედგამოჭრილია პირდაპირ. გადავცეთ მართვა–გამგეობა პარლამენტს, ჩამოცილდით საქმეს თქვენც და ის კაცებიც, მომავლისთვის რომ გიღირთ რამედ. სხვებმა მართონ და იყვნენ! თუ შეტრიალდა საქმე, თუ მოეპრიანათ ჟანდარმებს ძველი წესრიგის აღდგენა და თუ შემოგვიტიეს ისევ საქმის გამკეთეველი ხალხი მთელი, საღ–სალამათი იქნება და პარლამენტმა თუ ვერ შეინარჩუნა მოპოვებული პირობები, აგერ ხართ თქვენ და აგერ – ბურთი და აგერ – მოედანიც. ვთქვი მე ჩემი სათქმელი.

დათა თუთაშხია იატაკზე დაეშვა. ხმა კარგა ხანს აღარავის დაუძრავს.

– აგე, იმ ტუტუცებსა, კაცო, კარანტინში რომ ლაყბობენ, იმ ტუტუცებსა?! – წამოვიძახე მე.

– ტუტუციც ბევრია, შალვა, იქ და ჭკვიანიც ურევია – საერთოდ, კაცობრიობას რომ ჭკვიანი კაცები ურევია, იმდენი, – მიაგება დათა თუთაშხიამ. – ტუტუცები კი არა, ხალხია ის, ხალხი! აცადეთ მათ და იზამენ საქნელს.

– მაგათ ორ ბატს ვერ ანდობს კაცი, – ჩაილაპარაკა პეტრე ანდრაშჩუკმა.

დათა თუთაშხია ადგა:

– რის პატრონი ვერ ვანდობთ ნეტავი, ბატი იქნება თუ ძალაუფლება? ალექსი სნეგირმა საჭმელი კარგად დაარიგა, პეტრემ და ეზიზამ ქვები მოაგროვებინეს პოქტიას კარგად და გოგიმ ვიღაც ძღინკ ზედამხედველს ციხის აღებისას შარვალი რომ ჩახადა – აბა, მაგ საქმეების გამკეთებელი სხვა აღარავინ ყოფილა ქვეყანაზე, ხომ? ვაცალოთ, ძალაუფლება მაგათ ხელში იქნება და საჭიროებისას მათ შორის თუ არ მოიძებნება, გოგი წულაძეს დაუძახებენ ისევ და მისი ხელით ჩახდიან ვიღაცას, შარვალი იქნება თუ ნიფხავი!.. კაი, ნუ ვიდავებთ... ისე ნუ ვიდავებთ, საქმეს რომ ეყოს ზიანი. ვიფიქროთ კიდევ, არ გამოვდგე, იქნება, მართალი, და აჩქარება არ ვარგა ასეთ საქმეებში.

– შენ რას აპირებ, დათა, ვისთან იქნები? – ჰკითხა თომა კომოდოვმა.

– აქ ვიქნები ჯერჯერობით, სადაც ვარ – ციხეში... თქვენთან! – დათამ ცოტა ხნით იყუჩა და დასძინა: – თუ გახსოვს, თომა, კარანტინიდან ჩხუბის შემდეგ ოცი კაცი რომ გაიყვანა კოცმა კარცერში და მე რომ არ წამიყვანა?

– მახსოვს. მერე?

– მამიდაშვილი მყავს მე! მუშნი ზარანდია, იცით თქვენ ეს. მას აქვს ნათქვამი აქაური ვირთაგვებისთვის, – ამ კაცს ბეწვი არ ჩამოუვარდეს არსაიდანო, და შიში მათი ხელობაა, ეშინიათ, ვერაფერს მიზამენ მე. რაც მოგთავაზეთ, ჩემთვის არ მითქვამს, საქმისთვის ვთქვი ის და პირადად ყოველი თქვენთაგანისთვისაც კიდევ.

დათა თუთაშხიამ, როგორც იტყვიან, თესლი ჩააგდო და წავიდა. ორი დღე–ღამე ვიმსჯელეთ, ვიბჭეთ, ვიდავეთ. საქმე ლანძღვა–გინებამდეც კი მივიდა. დათა იმ სხდომებს აღარ დასწრებია. ძალაუფლების პარლამენტისთვის გადაცემის მომხრეებმა გავიმარჯეეთ და რამდენიმე დღის შემდეგ ანდრო ჭანეიშვილმა ჩვენიეე შედგენილი, პარლამენტში ერთხმად მიღებული მოთხოვნა წარმოგვიდგინა, რომ კომიტეტს თავის რწმუნებებზე ხელი აეღო. ძალაუფლების გადასაცემად ლუკა პეტროვიჩ დემბინი ჩავგზავნეთ, თომა კომოდოვის შეთხზული დეკლარაცია წაიკითხა. “ხალხის მოვლინებულები” ისმენდნენ და როგორ იყვნენ, იცით?.. აი, ვითომ ჭერიდან ვაშლის სიმსხო სეტყვა მოდიოდა და აღარ იცოდნენ, თავები საით გაერიდებინათ, სად შეფარებოდნენ. მერე როგორღაც აღიქვეს, რაც მოხდა, უცბად გათამამდნენ და თავი ისე დაიჭირეს, ვითომ, მართლაც, თავისი კატეგორიული მოთხოვნის წყალობით მიაღწიეს ძალაუფლებას.

– აგურები თქვენთვის მიჩუქნია! – გამოუცხადა პარლამენტს პოქტიამ საზეიმო ცერემონიალის შემდეგ და კარანტინში აღარასოდეს ჩასულა.

ერთ კვირაში ციხე დაგვილ–დაწმენდილი და სანიმუშოდ მოწესრიგებული იყო. უკიდურესი დემოკრატია სუფეედა და ყველაფერი ეს – უჩვენოდ! ჩვენ ჭადრაკითა და დომინოთი ვერთობოდით. ათი დღის თავზე პარლამენტმა კოცისა და ცუგოს შეწყნარება დააკმაყოფილა – გაათავისუფლა. გამოტანილ იქნა გისოსების მოხსნის დადგენილებაც, მაგრამ სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა, სპეციალური იარაღი იყო საჭირო. ეს დადგენილება ნელ–ნელა დავიწყებას მიეცა და გისოსები ადგილს შერჩა. მგონი, აქ იმანაც ითამაშა როლი, რომ პატიმრები ვიყავით, ცოტ–ცოტა დანაშაულს – არა, როგორც – ვიყავით დესჯილი, იმდენს არა, დაგიფაროთ ღმერთმა: – დიახ, ცოტ–ცოტა დანაშაულს ყოველი ჩვენგანი გრძნობდა და უგისოსებოდ აბა, რაღა სასჯელი და რაღა ციხე იქნებოდა?!

ერთ მშვენიერ დღეს პროკურორი კალიუზე მობრძანდა. დიდად გაუკვირდა, რომ სალაპარაკოდ სულ სხვა ხალხი ეახლა. ძველები, ანუ გოგი წულაძე და ლუკა პეტროვიჩ დემბინი, დიდი სიყვარულით მოიკითხა და ჩამოვლის ნებართვა ითხოვა. მისცეს. პატიმრებს მოუსმინა, საჩივრები მიიღო და ჩავიდა. მეორე დღეს გრძელკისერა ინტენდანტმა ჩარაძემ მისი ნათქვამი შემოიტანა: “ყველაფერი სწორია – თვითმმართველობა, რად უნდა იხადოს ხაზინამ ამოდენა ადმინისტრაციის ჯამაგირიო?!” მთავრობის შეცვლაზე ბატონ კალიუზეს აზრი არ გამოუთქვამს.

ამავე ხანებში დათა თუთაშხიამ თავისი ერთადერთი დის სიკვდილი გაიგო. ახლა აღარ მახსოვს, რისგან გარდაიცვალა, მაგრამ საწყალმა დათამ ძალიან მძიმედ განიცადა.

ტირილი თუ შეეძლო, არ ვიცოდი. სამი–ოთხი დღე თვალები არ მეშრობია, არ უძინია, არ უჭამია, ხმა არ ამოუღია. გახდა, ხალისი ბარე ორ თვეს აღარაფრისა ჰქონდა. ბოლთას სცემდა და კრიალოსანს აჩხაკუნებდა ან იწვა და თვალდახუჭული ფიქრობდა.

ციხის უფროსი, რა თქმა უნდა, ახალი დაგვინიშნეს, გვარად – კოპლიაკოვი. შემოვიდა, გამოგვიცხადა, – დღეის ამას იქით, ციხის უფროსი ვარო, თხუთმეტიოდე წუთი იტრიალა და წავიდა. ასევე განაგრძო: დღეში თხუთმეტი წუთით შემოდიოდა, – ხომ არაფერი გნებავთო, საკუთარი ხელით, ხანდახან, საკუთარი ზურგით შემოტანილ წიგნებს ბიბლიოთეკარს უტოვებდა და მიდიოდა. პატიმრებმა გვარის პირველი ასო სანით შეუცვალეს. ძალიან საინტერესო კაცი იყო, მე ვიტყოდი, მოწინავე იდეების მატარებელიც კი – თვეში ერთხელ კინემატოგრაფი მოჰქონდა. მაშინ კინო საკმაოდ უცხო ხილი გახლდათ. კოპლიაკოვმა თავისი უფროსობის ორი თუ სამი თვის თავზე პარლამენტის სესიებზე დასწრების უფლება ითხოვა. ნება დართეს და ხანდახან საათობით იჯდა, დებატებს ისმენდა. ჩემი იქ ყოფნის მანძილზე კოპლიაკოვის მხოლოდ ორი საქციელი გახდა პარლამენტში მსჯელობის ღირსი. პირველი ის იყო, რომ ვინმე საგზალაძემ დალაქს სამართებელი მოჰპარა, კარცერში ლურსმანი და ჩაქუჩი შეიტანა, ტახტზე დაჯდა, საკუთარი სათესლე პარკი ტახტის ფიცარს მიაჭედა და ამ საქმეს რომ მორჩა, მოპარული სამართებლით საკუთარი ასოს შაურიანებად დაჭრას შეუდგა. კოპლიაკოვი ამ მომენტში პარლამენტის სესიაზე, ესე იგი, იქვე, კარანტინში აგურებზე იჯდა. გაიგო, კარცერში შევარდა. ძალა იხმარა, ანუ საგზალაძეს სამართებელი წაართვა, მერე გაზი მოატანინა და ლურსმანი ამოაძრო. პარლამენტმა საქმე არეოპაგს გადასცა. არეოპაგმა, სცნო რა საგზალაძის მიერ გამოყენებული პროტესტის მეთოდი უვარგისად, კოპლიაკოვს გამართლების ვერდიქტი გამოუტანა. მეორე შემთხვევაც გადასარევი გახლდათ. ვინმე ჩობოსიმ, წოდებრივი მდგომარეობით შობლამ, საგანგებო ტალანტი გამოიჩინა ციხის ფანჯრებიდან გალავანს გადაღმა მცხოვრები ქათმების დაჭერაში. მოგეხსენებათ, ქათმებისთვის აკრძალული ზონა არაფერს ნიშნავს, არც გუშაგისთვის არის ქათამი წესდების აღსრულების ობიექტი. ამიტომ ისინი თავისუფლად სეირნობდნენ გალავანს იქითა აკრძალულ არეში და ხანდახან ჩობოსის მიერ გადაგდებულ სიმინდის მარცვალსაც ჩაჰკრავდნენ ხოლმე ნისკარტს. ეს საკმარისი იყო, რომ ქათამს თავისი სიცოცხლე ჩობოსის ხელში დაესრულებინა. ერთ–ერთი ასეთი ნადირობის დროს კოშკზე მოდარაჯე გუშაგმა ჩობოსი ნიშანში ამოიღო, დააცადა, სანამ იგი მომიზნებულ შაშხანას დაინახავდა და კედელს ამოეფარებოდა და გაისროლა. პატიმარს ესროლეს, და არამცთუ ესროლეს – ერთი საათის შემდეგ კართან მიიტყუეს და ციხიდან ძალით გაათრიეს და ეს სრული დემოკრატიის პირობებში! საკითხი, რა თქმა უნდა, პარლამენტში აღიძრა. კოპლიაკოვმა თქვა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა ქათმების გატაცებას ჩიოდა. ამაზე კოპლიაკოვს ჰკითხეს: – ერთი გასროლა სრულიად საკმარისი იყო, რომ ჩობოსის ნადირობაზე ხელი აეღო, ხოლო არეოპაგი, თავის მხრივ, დამნაშავეს შესაფერ მსჯავრს დასდებდა და ძალის ხმარება რაღად იყო საჭიროო?! კოპლიაკოვი იძულებული შეიქნა, თავისი მოქმედება განემარტა: ჩობოსი დაჭერილი ქათმებით ქურდების ელიტას უმასპინძლდებოდა, მაგრამ დაკვლამდე აუპატიურებდა მათ! ქურდები, ადრე თუ გვიან, გაიგებდნენ, ჩობოსის პირსახოცით დაახრჩობდნენ და ამას ციხის უფროსმა ძალის ხმარება არჩია. კოპლიაკოვი კვლავ გამართლდა, დიდად კმაყოფილმა დატოვა არეოპაგის სხდომა. სამაგიეროდ, სპარაპეტამ ერთი თვის მანძილზე პირში ვერაფერი ჩაიდო, მშიერი დადიოდა და ბანჯგვლიან მკერდში მუშტებს იბაგუნებდა.

ერთადერთი, ვინც ძალაუფლების პარლამენტისათვის გადაცემას ტრაგიკულად განიცდიდა, საცოდავი კლასიონ კვიმსაძე იყო.

– რა ქენით ეს! ასეთი დაწყობილ–დალაგებული საქმე, და მერე ვის ხელში ჩააგდეთ – მოლაყბეების, კრუხების ხელში... დარდაკას ხელში?! – ამ ჩამოთვლის დროს აღშფოთებითი ინტონაცია თანდათან მატულობდა და ტაშის უმწეო შემოკვრით მთავრდებოდა.

კლასიონი მარტო ძვალი და ტყავი იყო, ფეხზე დგომა არ შეეძლო, მაგრამ ერთხელ დიდი ხნის გულისნადები აისრულა: ჭონიას და მის ერთ ძმაკაცს თავი პარლამენტის სხდომაზე ააყვანინა. ჯერ იჯდა და, რამდენადაც ამის საშუალებას განუწყვეტელი ხველება აძლევდა, ორატორებს უსმენდა. მერე სიტყვა მოითხოვა. მისცეს. ბოდიში მოიხადა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო, სიტყვის წარმოთქმა ადგილიდან მოუხდებოდა, და პარლამენტს მიმართა:

– ახლა, მაჰმადიანებს და ებრაელებს რა უჭირთ, მარა რას გიზამენ ჟანდარმები, თუ იცით? რას გიზამენ და, შემოვარდებიან ერთ დღეს ამ თქვენს სალაყბო დაწესებულებაში და მასობრივ წინადაცვეთას მოგიწყობენ ბლაგვი დანებით ყველას... – კლასიონს ამ ადგილას ხველება აუვარდა, სიტყვა ვეღარ განაგრძო და საავადმყოფოში მიაბრუნეს.

მახსოვს, სწორედ კლასიონის პარლამენტში სტუმრობის დღე იყო, რაღაც საუბარში სხვათა შორის მითხრა დათამ, – მე აქ საქმე აღარაფერი მაქვსო.

გაქცევა ჰქონდა გადაწყვეტილი!

საოცრად ცხოველმოსილი კაცი იყო კლასიონ კვიმსაძე, ვინც ნახავდა, უთუოდ იფიქრებდა, ხვალ დილამდე სულს ვერ მიაბოგინებსო, მაგრამ თითქოს მტრის ჯიბრზე ცოცხლობდა. ათას ცხრაას შვიდი წლის ოთხი ივნისის გადატრიალებამდე იცოცხლა, დიახ, ოთხი და არა სამი ივნისის, არაფერი შემშლია. ამაზე – მოგეიანებით.

ერთხელ კლასიონმა დათა თუთაშხია მიაყვანინა. ყოველდღე დადიოდა დათა კლასიონთან, მაშინაც ერთი საათის წამოსული იყო. მიბრუნდა. კლასიონმა დაუბეჭდავ კონვერტში ჩადებული ბარათი გადასცა და უთხრა:

– მიედივარ მე, დათა–ბატონო!

– ვერ წახვალ, კლასიონ, – სიტყვა ჩამოართვა დათამ. – შენი საყვარელი ხელმწიფე–იმპერატორი, სანამ ვადას სრულად არ მოგახდევინებს, არსად გაგიშვებს, მგონია მე.

– კაი, ძამიკო, მასე იყოს, მარა მაგ ბარათს მისამართი აწერია. შენთან პაემანზე მოსულებს ჟანდარმები არ ესწრებიან და გადაეცი ეგ, მიიტანონ...

ილაპარაკეს ცოტა, წამოვიდა დათა. კონვერტი დაუბეჭდავი იყო–მეთქი და ეს იმას ნიშნავდა, რომ ბარათის წაკითხვა მეგობრებისთვის ნებადართული გახლდათ. აი, რა ეწერა:

“მიედივარ, შვილო, მე, და იცოდე, სამუდამოდ. ავასრულე კაცის დანიშნულება, როგორც შემეძლო, რისი საშუალებაც მომცა ბუნების ძალამ. სათხოვარი და ანდერძი მაქვს შენთან: კაცური კაცის სიცოცხლე ის არის, რომ უნდა იწვოდე კვარივით, სანთელივით, კოცონივით, მზესავით – როგორ ხვედრსაც გარგუნებს განგება, ისე. იმაზეც უნდა იფიქრო, შენ რომ ჩაქრები, წყვდიადმა არ დაისადგუროს ირგვლივ, ან შენ რომ ხარ, მაგ ერთ ფიორა ადგილზე მაინც, სანამდე ანთიხარ, ისე უნდა ენთო, შვილო, რომ სხვაც აანთოს შენმა სიცოცხლემ და აღარ შეიქნება სიბნელე შენი წასვლის შემდეგ. ვიმედოვნებ, ასე იცხოვრებ და მივდივარ დამშვიდებული. თვრამეტი წლისას წააკითხე ბიჭს ეს ბარათი, კატია”.

ათას ცხრაას შვიდი წლის სამ ივნისს, მოგეხსენებათ, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ–დემოკრატიული ფრაქციის სამოცდახუთი დეპუტატი დააპატიმრა მეფის მთავრობამ და გადასახლებაში უკრა თავი. ეს მოვლენა სამი ივნისის გადატრიალების სახელით შევიდა ისტორიაში. ათას ცხრაას შვიდი წლის ოთხ ივნისს “ორთაჭალის დემოკრატიამ” შეწყეიტა არსებობა. ციხეში ჟანდარმები შემოცვივდნენ, ეს კოცისდროინდელი წესების აღდგენით დამთავრდა და აღნიშნული მოვლენა ოთხი ივნისის გადატრიალებით დარჩა მონაწილეთა მეხსიერებაში.

სანამ ამ გრძელი ამბის დასასრულს გეტყოდეთ, იქნებ გაინტერესებთ და იმასაც ვიტყვი, ვის რა ბედი ეწია. თომა კომოდოვი ათას ცხრაას ოც წელს ოდესის აღებისას მოკლეს თეთრგვარდიელებმა, დივიზიის პოლიტკომისრად იყო. ანდრო ჭანეიშვილი ყუბანის საბოტაჟის დროს პარტიამ კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად მიავლინა. იქ დარჩა, დიდი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გახდა და, მგონი, დღესაც ცოცხალია. პეტრე ანდრაშჩუკი სამამულო ომის დროს გენერლის ჩინით გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა. ეზიზა ჭელიძე საგანგებო კომისიაში მუშაობდა, დიდი კაცი იყო, კონტრრევოლუციონერებმა კაბინეტში ბომბი შეუგდეს. ჰამბო ხლგათიანი თბილისში მოკვდა, საწყალი გოგია წულაძე – კატორღაში. გოგიას სხვისი საქმე ჰქონდა თავის თავზე აღებული: ვიღაც გიმნაზისტს ცხრაას ხუთში ორი შავრაზმელი მოეკლა. გოგიმ ახალგაზრდა კაცი საკატორღოდ ვერ გაიმეტა, დანაშპული თავის თავზე აიღო. დემბინი და ბიკენტი იალქანიძე დიდი ხანია აღარ არიან. პოქტია ოცდაათიან წლებში დიდი კომბინატის დირექტორად იყო შუა აზიაში. ის და ალექსი სნეგირი ოცდაჩვიდმეტში დაიღუპნენ. დათა თუთაშხია ცხრაას შეიდი წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიქცა. დანარჩენი მოგეხსენებათ. ჭონიასი არაფერი ვიცი, მაგრამ თოკაძისას გეტყვით. ოციან წლებში ბელგიაში საბჭოთა საელჩოში ვმსახურობდი და მაშინ თოკაძე ტაქსის მძღოლად მუმაობდა ლიეჟში. იმას მოგახსენებდით, ოთხ ივნისს ჟანდარმები შემოცვივდნენ–მეთქი. საცოდავი კლასიონი სულს ლევდა, მაგრამ რაღაცნაირად თავს მოერია, ხუთ ივნისს ზეზე ადგა, პალატის კართან აიტუზა. საღამოს გადათვლის დრო იყო. კომენდანტი შემოვიდა, კლასიონი ეცა, ყელში ხელები წაუჭირა, რა შეეძლო. უმოწყალოდ სცემეს. გრძნობა დაკარგა, აღარც მოსულიერებულა, წავიდა, საწყალი. პარლამენტმაც საინტერესოდ შეწყვიტა არსებობა. ტარიელ ავთანდილოვიჩი “ტრიბუნაზე” იდგა, როცა ჟანდარმებმა ხელი სტაცეს, ჩამოიყვანეს. მიათრევდნენ, მაგრამ არ გაჩუმებულა, დაწყებულ სიტყვას განაგრძობდა:

– ვაი თქვენდა, გულუბრყვილონო! ახლა ხომ მაინც დარწმუნდებით, რომ დემოკრატიას თავისი აქილევსის ქუსლი აქვს და ეს ყველაზე უკეთ ტირანებმა იციან!

## გრაფი სეგედი

არმაზის აგარაკის შეკეთება–მოწყობას ბარე სამი თვე მოუნდა. ცხრაას ოთხი წლის შემოდგომაზეღა შევსახლდი. ეს იყო ჩემი სიცოცხლის მეორე ნახევრის საუკეთესო, მე ვიტყოდი, ვარდისფერი მონაკვეთი. ვკითხულობდი, ვწერდი, ვნადირობდი, ვთევზაობდი, ვფიქრობდი. თვეში ორჯერ ან სამჯერ სტუმრები მყავდა ხოლმე. საკუთარი ეტლი გავიჩინე, თბილისის ბინა ზამთარში საცხოვრებლად და სხვა საჭიროებებისთვის მქონდა. იმ დროს ეკუთვნის ჩემი ცხოვრების ყველაზე ღრმა და სერიოზული რომანი. ამავე პერიოდში გადავწყვიტე და განვახორციელე კიდეც რუსეთის მამულების ლიკვიდაცია. ახალმა გარემომ ადვილად გამომინელა საფიქრალ–სადარდებელიცა და სამსახურში ყოფნის მრავალწლოვანი ჩვეულებაც. გამიჩნდა ახალი ნაცნობ–მეგობრების წრე, ურთიერთობები, გატაცებები. ერთი სიტყვით, ოცდაათი წლით გავახალგაზრდავდი და, დარწმუნებული ვარ, ჩემი ოთხმოცდაათი წლის ასაკამდე მოღწევა არმაზში გატარებული ჩვიდმეტი წლითაც აიხსნება.

იმავე შემოდგომაზე სანდრო კარიძე მცხეთაში შემხვდა. არ დავმალავ, ვეძებდი იმ შეხვედრას, თვალყური მეჭირა, ვიცოდი, შეხვედრა, ბოლოს და ბოლს, მოხდებოდა. ვუამბე, რომ არმაზში სახლ–კარი შევიძინე, და ვთხოვე, მწვევოდა. არ დაუყოვნებია, მოვიდა. თანდათან, არამცთუ დავახლოვდით – ერთმანეთთან ურთიერთობის მძაფრი მოთხოვნილებაც კი გაგვიჩნდა. ვიმედოვნებ, დაყვედრებაში არ ჩამომერთმევა, არც იმაში, თითქოს, წარსული სამსახურიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის შერბილება მსურდეს: სანდრო კარიძე მე ჩემი ყოფილი ურთიერთობებისა და შენარჩუნებული გავლენის წყალობით, ორჯერ გამოვიყვანე სატუსაღოდან – ცხრაას შვიდი წლის ადრე შემოდგომით, რევოლუციასთან დაკავშირებული ამბების გამო აყვანილი, და მერე კიდევ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ძმასავით შემიყვარდა ის საკმაოდ ახირებული, მძიმე ხასიათის ადამიანი და მიუხედავად ხსენებული ნაკლისა, იგი მეტი სიყვარულის ღირსი იყო.

ცხადია, ინტერესს მოკლებულია ჩვენი ურთიერთობების დაწერილებითი აღწერა. მოვიყვან მხოლოდ ორ–სამ საუბარს, ისეთს, ამ ჩანაწერებთან რომ შინაგანი კავშირი აქვს და კიდევ ერთი მიზეზის გამო: მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა მოფილოსოფოსო–მოპოლიტიკოსო ტიპმა. ამ ხალხში ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენელს შეხვდებოდით. იყვნენ უჭკვიანესნი და ტუტუცებიც; ფრიად განათლებულებიც და უბირნიც; ფანატიკოსებიც და ფეხის ხმას აყოლილნიც; ინდივიდუალობანიც და ორიგინალობის პრეტენზიის მქონენიც. ჩემი ღრმა რწმენით, მათ ბევრი გააკეთეს რევოლუციისთვის. გააკეთეს იმით, რომ ხალხში დაუღალავად ავრცელებდნენ, თუმც სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის, მაგრამ საბოლოო ჯამში, რევოლუციის გარდუვალობის შემცველ

შეხედულებებს. ასეთი ადამიანები მრავლად მინახავს, როგორც სამსახურის წლებში, ისე გადადგომის შემდეგ. სანდრო კარიძე თითქმის ამ ადამიანთა ყველა დადებით თვისებას აერთიანებდა – ერთობ სერიოზული განათლებიდან და სიბრძნიდან მოყოლებული, გულუბრყვილობამდე და პატიოსნებამდე. ჩემს ჩანაწერებში მისი და, მაშასადამე, ამ სოციალური ტიპის გამოტოვება ცოდვის დადება იქნებოდა. სანდრო კარიძის ჩემთან სტუმრობის დასაწყისშივე იყო – სხალტბაში შეწყვეტილი საუბარი მომაგონდა და ვკითხე:

– თქვენ მაშინ დამთავრება არ ინებეთ, ბატონო სანდრო... გახსოვთ, “ხალხსა” და “ერს” შორის განსხვავებაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი?

– ააა, მახსოვს, როგორ არა, ძალიან დიდი განსხვავებაა! სრულიად სხვადასხვა ცნებებია. თქვენ წარმოიდგინეთ, წინააღმდეგობრივიც კი. “ერი” არის გარკვეული ეთნიკური ორგანიზმი მთელი მისი არსებობის მანძილზე, “ხალხი” არის “ერი” დღეს. ერი – ერთობ ხანგრძლივი, მდგრადი ფენომენია. ხალხი – დღესდღეობითი, მსწრაფლწარმავალი რამ. აქ შედარებისთვის ხისა და მისი მწვანე საბურვლის, კალაპოტისა და წყლის მიმართება გამოდგებოდა.

– წინააღმდეგობა?

– “ერსა” და “ხალხს” შორის?

– დიახ.

– ხალხი ხელებია და სტომაქი, ერი – მაღალი ზნეობა და შორსმჭვრეტელობა. ხალხი სულიერსა და ნივთიერ ღირებულებებს ქმნის და ვინაიდან მოთხოვნილება ყოველთეის სჭარბობს შექმნილს, მას აქვს დაუოკებელი მისწრაფება, მთლიანად შთანთქას არა მარტო ის, რაც თვითონ შექმნა, არამედ ისიც, რაც მანამდეა შექმნილი და შთანთქმას გადარჩენილი. ერი ცალკეულ პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებული ის მარადისი სულია, რომელიც ნებაყოფლობით კისრულობს მთელი ეთნიკური ორგანიზმის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობას. ერი დამაოკებელი, მომწესრიგებელი საწყისია, სულიერ და ნივთიერ საუნჯეთა დამგროვებელი, მცველი. გახსოვთ? – “ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა – ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა”. ერის ცნებასა და ზნეობის ცნებას შორის ტოლობის ნიშანი ზის.

– გამოდის, რომ ხალხი ის არის, ვინც ქვის სამტეხლოებში გროშის ფასად და იძულებით მუშაობს კათედრალების ასაგებად საჭირო ლოდების მოსაპოვებლად, ხოლო ერი – ვინც ხალხს ამას აიძულებს?

– მთლად ეგრე არა. ჩემი აზრით, როგორც იძულებულთა შორის, ისე მაიძულებლებში არიან ადამიანები, რომლებსაც ერისა არაფერი სცხიათ, ისინი ქვეყანას მხოლოდღა სამოვრად იყენებენ. არიან ისეთებიც, ვინც მეტნაკლებად ორთავე საწყისს აერთიანებს, მაგრამ ერს, ანუ უკვდავების, მარადისობის განმახორციელებელ ძირითად ძალას ის ადამიანები წარმოადგენენ...

– ... ვინც ქვეყანას აძლევს ყველაფერს, თუკი რამ გააჩნია, – სიტყვა ჩამოვართვი, – და იღებს მისგან მხოლოდ იმდენს, რამდენიც არსებობისთვის, ანუ ყველაფრის მისაცემად სჭირია, არა?

– უზუსტესი ფორმულაა, – სიხარულით დამიდასტურა კარიძემ. – ეგ უმაღლესი ზნეობისა და სიკეთის განსაზღვრებაა, გრაფ, და მაგ ფორმით პირველად თქვენგან მესმის. სწორედ მაგას ინახავს ხოლმე ბოთლში ფანტასტიკური ნოე საკაცობრიო კატაკლიზმების წინ. მაგიტომ ვუწოდებთ ერს პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებულ

მარადის სულს. ერსა და ხალხს შორის არსებული ძირითადი წინააღმდეგობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ერი ინტერნაციონალური, საკაცობრიო სათავეა, რადგან კათედრალები და მანუსკრიპტები, ფრესკები და მონუმენტები, საბოლოო ჯამში, ინტერნაციონალურ, საკაცობრიო საუნჯეს წარმოადგენს მაშინ, როდესაც ხალხი თავკერძული, პირადმომხვეჭელური სათავეა: მისი მოთხოვნილებების დიდი უმრავლესობა მხოლოდ მისი და სადღეისოა და არა საზოგადოებისა თუ აწმყოსი, კაცობრიობისა თუ მომავლის.

ერთობ მოხერხებულად გამოიყვანა სანდრო კარიძემ ყოველივე ეს, მაგრამ მის მსჯელობაში წინააღმდეგობებიც იყო, მაშინ ვიგრძენი. შემდგომში ბევრი ვიფიქრე და, მგონი, მივაგენი კიდეც ხარვეზებს. ჩემი მოსაზრებები და შენიშვნები ნაშრომად ვაქციე, წავაკითხე, არც ერთი დებულება არ მიიღო, კინაღამ წაევიჩხუბეთ. თვისება ჰქონდა: თუკი ერთხელ რაიმეს იწამებდა და ჭეშმარიტებად ჩათვლიდა – მორჩა, ზედ დააკვდებოდა, არავითარი კომპრომისი ან დათმობა!

ერთ დღეს – ეს მისი პირველი დაპატიმრების წინახანებში იყო, – სიტყვამ მოიტანა და ვკითხე:

– სანდრო, ვიცი, ბევრს კითხულობ, წერ და ღრმა ინტერესები გაქვს. როგორია შენი ამოსავალი კონცეფცია, რომელი ზნეობრივი პლატფორმიდან ახდენ აბსტრაჰირებას?

– ადგილს ეძებ? – დაუყოვნებლივ და, თუ არ ვცდები, ცინიკურად მითხრა.

– არ მესმის.

– პლატფორმას. ძველი აღარ გტკმაყოფილებს?

– ამ წუთში მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ჩემს კითხვას უპასუხე, თუ შეგიძლია!

გულის მოსვლასავით რაღაც შემატყო, დადუმდა, იფიქრა და თქვა:

– ყველა შემთხვევაში, ყოველთვის გამოვდივარ იქიდან, რომ კაცობრიობამ ადამიანის ზნეობრივი გაუმჯობესების რაიმე საშუალება უნდა გამონახოს, თორემ კანიბალიზმამდე მივა, კაცისავე ხორცს საკვებად გაიხდის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ ჩვენი ცთომილის უკანასკნელ homo sapiens–ს რომელიმე ნადირი არ გამოიყენებს ხორცად. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმპერიების მოსპობის გზით, საჭიროა რევოლუცია!

ეიცოდი, რომ სანდრო კარიძეს რევოლუციის გარდუვალობა სწამდა. ისიც ცნობილი იყო, რომ თანაუგრძნობდა და მის მხარეზე იდგა. ახლა იმაშიც დავრწმუნდი, რომ რევოლუცია კაცობრიობის სახსნელად უნდოდა.

– მე შენი ნაშრომების მხოლოდ სათაურები ვიცი და მგონია, რომ ისინი რევოლუციას ემსახურებიან...

– რევოლუცია ხვალინდელი დღეა, მე ზეგინდელ დღეზე ვმუშაობ, – შემისწორა სანდრო კარიძემ.

– საინტერესოა! – სახელდობრ, რა პრობლემებზე მუშაობ?

– ზნეობრივი პროგრესის პრობლემებზე, მართვას დამორჩილებული ზნეობრიეი რევოლუციის თეორიულ საფუძვლებზე.

– უფრო დაწვრილებით?

კარიძემ წვერში შეიცურა თითები, სახე მიიფხან–მოიფხანა:

– შენ, დიმიტრიჩ, სამართლის მაგისტრი ხარ, არა?

– ვარ, – მივუგე და გტმეცინა.

– რას იცინი?

– ადამიანის იღბლის უკუღმართობაზე ვიცინი. მოსკოვის ან პეტერპურგის უნივერსიტეტის პროფესორობას ვაპირებდი – ჟანდარმერიის გადამდგარი გენერალი და სიბარიტი ვარ. სასაცილო არ არის?

კარიძემ გაიღიმა, მგონი, დამშვიდება დამიპირა, მაგრაშ გადაიფიქრა და დაწყებულ საუბარს მიჰყვა:

– შეგიძლია თუ არა, ყველა დროისა და ერის საიმპერიო კანონების ზოგადი განსაზღერება მითხრა?

– შემიძლია, – დავფიქრდი, ჩამოვაყალიბე და ვთქვი: – პირველ რიგში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა; შემდეგ – მმართველი უმცირესობის უფლება–მოვალეობათა სამართლებრივი სტატუსი და ბოლოს, ინერტული თუ უკმაყოფილო უმრავლესობის მორჩილებაში ყოლის იარაღი. გაკმაყოფილებს?

– კეთილი და პატიოსანი. ახლა: შეიძლება თუ არა იმპერიის დამოკიდებულება, როგორც საკუთარ მოქალაქესთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან, განისაზღვროს ფორმულით: “გჭამ იმიტომ, რომ შენ არ შემჭამო, და იმიტომაც გჭამ, რომ ორგანიზმი გასუქებას მთხოვს!”

– ეგრე იყოს, – სიცილით დავთანხმდი.

– როგორ თუ – ეგრე იყოს? თუ სხვანაირად არის – თქვი!

– ეგრეა, ეგრე, განაგრძე!

– ახლა რასაც ვიტყვი, ამაზე შენ ერთხელ უკვე დამეთანხმე, დიმიტრიჩ, და ამიტომ ცნობილი ჭეშმარიტების სახით ვიტყვი: ზემოხსენებული ჭამა–ყლაპვა კეთილსახიერი, კაცობრიულად სამართლიანი მიზნებით არის შენიღბული, ქრისტიანულ ჰუმანიზმზე აგებულ დემაგოგიას ეყრდნობა და კარგად აკინძული “რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის” საშუალებით ხორციელდება.

– უფრო მართალი იქნებოდა, ჯავრით რომ არ იყოს ნათქვამი... მერე?

– ეს ჯავრი არ არის, მსჯელობის მანერაა. მართალია, არცთუ საუკეთესო, მაგრამ, მოგეხსენება, ამითაც იოლას გაედივარ. ახლა, კიდევ შეკითხვა: როგორია ერთი მხრივ, რელიგიისა და კანონის და, მეორე მხრივ, პიროვნების და, მაშასადამე, საზოგადოების ურთიერთზემოქმედების შედეგები? რა თქმა უნდა, დღეს არსებულ პირობებში, ჩვენს სინამდვილეში.

– მე, ჩემო სანდრო, მორწმუნე კაცი ვარ, მკრეხელობას ვერიდები. მოდი, შენ რელიგიისა და პიროვნების ურთიერთზემოქმედების შედეგებისა თქვი და მე – კანონსა და პიროვნებაზე ვიტყვი. ეს შენთვისაც ხელსაყრელია: ინტონაციას მომაწოდებ უნებლიეთ ჩემს სათქმელს შენი ნათქვამის რიტმში ვიტყვი.

– კაცო, მე სულაც ბერი ვარ, სულაც ბერი ვარ... – ჩააბულბულა კარიძემ.

– შენ ერეტიკოსი ხარ! წესით, მსხვილ–მსხვილ მუგუზლებზე უნდა იწვე და შიშხინი გაგიდიოდეს. შენი ბოლო მაინც ჯოჯოხეთი და კუპრია. თქვი, რასა კარგავ?!

– მართლა რასა ვკარგავ, რა!.. რელიგია ცდილობს, ადამიანი ქრისტიანული ზნეობის ჩარჩოში გამოამწყვდიოს, ამ გზით მის მორჩილებას მიაღწიოს და, ცხადია, წინააღმდეგობას აწყდება, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ თვით მქადაგებელნი და მერჯულენი უფართოესი პროფილის ცოდვილნი არიან. რელიგია ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ დოგმატურია. ადამიანი – გაცილებით უძლური, მაგრამ შეგუების დიდი უნარით აღჭურვილი და მოქნილი. ამასთან ერთად, ადამიანს აქვს მოთხოვნილება, რაიმე სწამდეს. მერჯულეთა ფარისევლობის ვითარებაში ერთადერთი სარწმუნებელი პირადი კეთილდღეობაა, რაც მხოლოდ თავგამოდებულ მორწმუნეთათვის არის სანქციონირებული. აქვდან იწყება იმ მეთოდების შემუშავება და რაფინირება, რომელთა წყალობით ადამიანი ქრისტეს მოძღვრების უმტკიცესი მრწმენელის სახელს იმკვიდრებს და, ამით, მამონის სამსახურს იადვილებს. ამგვარად, იმპერიის პირობებში რელიგიისა და ადამიანის ურთიერთზემოქმედება იძლევა, ერთი მხრივ, გამწარებულ, მოძულე მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ რევოლუციაში ხედავს ხსნას და ხდება კიდეც მისი მებრძოლი და, მეორე მხრიე, გამოფიტულ, დაუძლურებულ, ფორმალობამდე დაყვანილ კულტს. იზიარებ თუ არა, გრაფ, ზემოთქმულს, როგორც ჩვენი სინამდვილის ძირითად ნიშანს?

– ნაწილობრივ. მგონი, რომ ფერებს მეტისმეტად ამუქებ.

– ძალიან კარგი, ჟანდარმერიის ერთი გადამდგარი გენერლისაგან მაგდენი დასტური უფრო ღირებულია, ვიდრე ასი ფანატიკოსის აღტაცებული კივილი. ეხლა შენი თქვი.

– შენებურად ვილტაპარაკო?

– სხვანაირად სიმართლე არ გამოგივა.

– კაი, ბატონო! კანონი ძალადობს ადამიანზე და წინააღმდეგობას აწყდება. კანონი ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ მოუქნელია; ადამიანი გაცილებით უძლური, მაგრამ მოქნილია და მის ხელთ ყოველთვის არის კანონის გვერდის ავლის, მისი ნაწილობრივი

აღსრულების, თუ საერთოდ, შეუსრულებლობის, საშუალებები და ხერხები. კანონი იბრძვის, რომ ადამიანმა თავისი ინტერესები იმპერიის ინტერესებით შემოფარგლოს. ადამიანი ცდილობს, კანონები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენოს და, უპირველესად ყოვლისა, მათი გვერდის ავლის გზით. ბრძოლა უთანასწორო და სუსტი მხარე, ანუ ადამიანი, იძულებულია, ზნეობრივ კომპრომისებზე წავიდეს, გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც კი კანონის მოგერიებაში, არსებობის შენარჩუნებაში დაეხმარება. – შევჩერდი, რომ დასკვნაც მიმემსგავსებინა: – ამგვარად, იმპერიის პირობებში კანონისა და ადამიანის ურთიერთზემოქმედება იძლევა, ერთი მხრივ, გამწარებულ მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ რევოლუციაში ხედავს ხსნას და ხდება კიდეც მისი მებრძოლი და, მეორე მხრივ, დაუძლურებულ, ფორმალობამდე დაყვანილ სამართლებრივ პროცედურას.

– ბრავისიმო, გრაფ. – დაიძახა გახარებულმა კარიძემ. – მაგრამ მიაქციე ყურადღება, როგორი ხარისხის ზნეობრივი კრიტერიუმებით აღჭურვილ მემკვიდრეობას უტოვებს იმპერია იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც უნდა ჯერ შექმნას და შემდეგ კი მართოს ახალი სახელმწიფო. დღეს სოციალური რევოლუციის მომხრე ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას ესმის, რომ გამარჯვებისთანავე საქმე ექნება ერთობ რთულ, ძნელად მოსავლელ ზნეობრივ მასალასთან და, სამწუხაროდ, ყოველ მათგანს იმის იმედი აქვს, რომ საკმარისია, შეიცვალოს სოციალური პირობები, საზოგადოებრივი ყოფიერება და ადამიანის ზნეობა თავისით გაუმჯობესდება. მე ამას არ ვეთანხმები და ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო. ეს არის და ეს.

ერთხელ, მტკვრის პირას, ძეგვის ნაჩქრებთან ვიჯექი, მსხვილი ანკესი მქონდა გადაგდებული. შიომღვიმის მხრიდან ბორანი წამოვიდა. დურბინდით გავხედე, მგზავრებში ჩემი სანდრო ვიცანი. თუ არა ვცდები, ეს მისი მეორე პატიმრობის შემდგომ ხანებში იყო. ბორნიდან გადმოვიდა, გზას მცხეთისკენ გამოჰყვა. ადვილი შესაძლებელი იყო, ჩემთან, არმაზში მოდიოდა. ანკესს თავი მივანებე, გზაზე გავედი. მართლაც ისე აღმოჩნდა, – მარტოობა ყელში ამომივიდა, შენთან მოვდიოდიო, მითხრა.

– წაეიდეთ, ვისამხროთ, ვიმუსაიფოთ, – მივთავაზე.

არ დამყვა, – აქ გვირჩევნიაო.

წყლის პირას ვისხედით. ღრუბლიანი ამინდი იყო, ცოტა ციოდა კიდეც. სანდრო კარიძეს თავის სიცოცხლეში, თურმე, ერთი პატარა ღორჯოც კი არ დაეჭირა, ამ საქმისა არაფერი ესმოდა და არც ჩემი თევზაობისადმი გამოუმჟღავნებია რაიმე ინტერესი. მოწყენილი, უგუნებო მეჩვენა და გამოველაპარაკე:

– რასა წერ, სანდრო, რაზე მუშაობ?

ხელი ჩაიქნია, არ მიპასუხა.

– მაინც? – ჩავაცივდი მე.

– ერთ საკითხში გავიხლართე... სამი დღეა, პწკარი ვერ დავწერე, ლამის გულზე გავსკდე.

ახლაღა მივხვდი, ჩემსკენ რამ წამოაჩანჩალა. ასეთი გახლართვები მანამდეც ჰქონია. კრიზისს იმით აღწევდა თავს, რომ იმ საკითხზე ვისთანმე წამოინყებდა საუბარს და კამათში უცაბედად წააწყდებოდა ხოლმე საჭირო გადაწყვეტას.

– აბა, მიამბე, იქნებ მსჯელობამ მოჰფინოს ნათელი?

– სტუმარმასპინძლობის პრობლემაა.

– პურმარილზე გადახვედი?

– არა. აი, მისმინე. ეგვიპტელები, ასურელები, ხეთები, ურარტუელები, ელინები, რომაელები, ბიზანტიელები და, ვინ მოსთელის კიდევ, რამდენი ისტორიულად მდგრადი, ხანგრძლივი ეთნიკური ორგანიზმი – ხომ მოევლინნენ კაცობრიობას, როგორც უზარმაზარი იმპერიებისა და კულტურების შემქმნელნი და მპყრობელი ერები?

– მოევლინნენ. მერე?

– მერე, სად არიან დღეს? ეგვიპტელთა ნაშიერი აღარსად რამე ჩანს; ხეთები დაიკარგნენ; ასურელები – სადღაც ჩავიკითხე , მსოფლიოში სამასი ოჯახიღაა; ელინთა მოდგმის ბერძენს სანთლით ვეღარ იპოვნის კაცი; რომაელები – ერთი ბებერი აღმოუჩენიათ, თურმე ქალაქ–ქალაქ უპირებენ ტარებას; ბიზანტიელები ქვიშაში წასული წყალივით გაიპარნენ. ხედავ, რა ხდება?

– ყველა ერის ისტორიული ბედია ეგ.

– არა. დღეს, ჩვენს სინამდვილეში არიან ერები, რომლებიც იყვნენ ასურელების თუ ურარტუელების დროსაც, ელინთა ეპოქაშიც, რომაელთა იმპერიასაც ებრძოდნენ, ბიზანტიის ბატონობის დროსაც იყვნენ და, საფიქრებელია, კიდევ არაერთ სტუმარს გააცილებენ მარადისობაში.

– ვინა?

– ებრაელები, სომხები, იბერები, ეთიოპები, ბოლგარები, უნგრელები...

– ეგენიც წავლენ, სანდრო,

– არაფერში ეტყობა. ამ ერებმა კრიზისი გადაიტანეს და აღმავლობის გზაზე დგანან. სხვათა შორის, ციკლური კრიზისი და აღმავლობა მათი ისტორიული მახასიათებელია. ჩვენი ცთომილი სასტუმროს ჰგავს, არიან დიასახლისები და მდგმურები, მასპინძლები და სტუმრები.

– სადავოა შენი დებულება.

– დებულება კი არა – ჰიპოთეზა. მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, რომ პერსპექტიული ჰიპოთეზაა.

სიჩუმე ჩამოვარდა. კარგა მოზრდილი ციმორი ამოვიყვანე. ანკესი ხელახლა გადავაგდე და ერთი მიგნება მეწვია: სანდროს მიერ ჩამოთვლილი იმპერიების არსებობა, ძირითადად, ხუთასი წლის ფარგლებში იყო გამომწყვდეული – ეგვიპტეს ძველი და ახალი სამეფოები, ხეთების იმპერია, ასურეთი, რომაელთა იმპერია – სახელდობრ იმპერიას ვგულისხმობ. მხოლოდ ბიზანტია იყო გამონაკლისი – ათას წელზე მეტხანს იარსება. ეს აზრი კარიძეს გავუზიარე. დამიდასტურა და თარიღებიც ჩამომითვალა.

– ახსნაა საპოვნელი, თორემ ეგ ჰიპოთეზადვე დარჩება.

– ორივე მოვლენისთეის საკუთარი ნიშანი არსებობს. გადაშენებული ერებისთვის: მეზობელი თუ შორეული ხალხების დაპყრობა, საკუთარ ორგანიზმზე მიკოწიწება და განუწყვეტელი ბრძოლა მათი მორჩილებაში ყოლისთვის. გადარჩენილი ერებისთვის: საკუთარი მიწა–წყლის ეკონომიკური შესაძლებლობებით დაკმაყოფილება, სულიერი კულტურის ავტონომია, გამუდმებული ბრძოლა განთავისუფლებისთვის და დაპყრობითი ომების უარყოფა! მაგრამ ეს მხოლოდ ნიშნებია. საჭიროა მიზეზები და სწორედ მანდ ვარ გახლართული. ჯერჯერობით მხოლოდ ერთს მივაგენი და ისიც არა მაქვს ბოლომდე დამუშავებული. სინათლის შეტანაა საჭირო, მკვიდრი დამაჯერებლობის მინიჭება.

– თქვი.

– დაუსრულებელი სახით?

– მერე რა?

– გადარჩენილი ერები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, თავისუფლებისთვის, სულიერი საუნჯის გადასარჩენად იბრძოდნენ და ეს ბრძოლა მათთვის წრთობის პროცესს წარმოადგენდა, ცხოველმოსილების სტიმულატორი იყო. მპყრობელი ერების შემთხვევაში სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე: პყრობას, დაოკებას, წინააღმდეგობის ჩახშობას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ასი ხალხის პყრობას – ასჯერ მეტი ძალისხმევა. უსაზღვრო და ამოუწურავი მზისა ქვეშე არაფერია. მპყრობელი ერის ენერგიასაც აქვს თავისი საზღვარი. იღლება, იფიტება, ცხოველმოსილება უდუნდება. ჯერ პყრობის უნარს კარგავს, შემდეგ თავდაცვისას, მერე სხვა ერებში ითქვიფება და ბოლოს არსებობასაც წყვეტს.

– მანდ შეუსაბამობა იმაშია, რომ ორივე იბრძვის, ორივეს სჭირდება ძალისხმევა და ეს კი ერთს აწრთობს და მეორეს ღუპავს, – შევნიშნე მე.

– აკი გითხარი, სინათლის შეტანა, დამაჯერებლობის მინიჭებაა–მეთქი საჭირო. მაგას ეშველება. ეგ არაფერია. საჭიროა, ისტორიულ მასალაზე გაანალიზდეს დაპყრობითი და თავდაცვითი ომების სულიერი შედეგები და ყველაფერი თავის ადგილზე დაჯდება, მაგრამ ერთი რაიმე მიზეზით არაფერი ხდება. სხვა მიზეზების აღმოჩენაა საჭირო, რომ ჰიპოთეზა დადასტურდეს. ვერ მიმიგნია, დასწყევლოს

ღმერთმა, – სანდრო კარიძე ისევ მოიღუშა.

– იცი, რას გეტყვი?.. – ვთქვი მე – თუ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის თარიღად მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს მივიღებთ, მეოცე საუკუნეში ჩვენი იმპერია, შენი ჰიპოთეზის თანახმად, უნდა დაინგრეს. თუმცა, ისიც არ არის გამორიცხული, რომ ბიზანტიის იმპერიასავით ათას წელიწადზე მეტს იარსებებს.

– ბიზანტიის იმპერიამ სხვებზე ორჯერ მეტი იმიტომ იარსება, რომ გარკვეული რელიგიური სამყაროს ხელმძღვანელის ფუნქცია ჰქონდა. მისი დამხობის შემდეგ ეს ფუნქცია რუსეთმა იკისრა და ამით სათანადო სიცოცხლის გარანტიაც შეიქმნა, მაგრამ რუსეთის იმპერია მაინც მეოცე საუკუნის პირველსავე მეოთხედში დაემხობა. ამას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, სხვა დროს იყოს.

– დაემხობა და სამ–ოთხ საუკუნეში რუსი ერიც აღიგვება პირისაგან მიწისა? – სიცილით ვკითხე.

– არა. ერმა, ანუ ცალკეულ პიროვნებებსა თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებულმა მარადისმა სულმა რუსეთში ხელმეორედ იფეთქა, ამჯერად პოლიტიკური პარტიის სახით. მოგაგონებ, პირველად ეს მეთხუთმეტე საუკუნეში იყო. ახლა რუსეთის სოციალ–დემოკრატთა პარტია კაცობრიობის ისტორიაში პირველ სოციალისტურ რევოლუციას მოახდენს, დროთა განმავლობაში სათანადო იდეოლოგიური სამყაროს ხელმძღვანელის როლს იკისრებს და როგორც სახელმწიფოს, ისე ერს ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივობის სიცოცხლე გარანტირებული აქვს. არის მეორე გარემოებაც, სოციალ–დემოკრატები რუსეთის იმპერიას დაანგრევენ და თავისუფალ, თანასწორუფლებიან, სოციალისტურ ერთა ნებაყოფლობით კავშირს შექმნიან. ეს რუსი ერისთვის სხვა ხალხების საპყრობად ძალისხმევის, გამუდმებული შეტევითი ომების საჭიროებას გამორიცხავს და, მაშასადამე, ქანცის გაწყვეტა, გამოფიტვა და გადაშენებაც თავიდან არის აცილებული. დარწმუნებული არა ვარ, რომ ამ პარტიის ლიდერებს ასეთი რამ გაცნობიერებული ჰქონდეთ, გენიალური კაცის ინტუიტურ ნამუშევარს უფრო ჰგავს. რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებას პირველაღმომჩენობის დაფნა ეკუთვნის.

– პატენტი აიღონ. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, იაპონელები მაგ პანაცეას სიამოვნებით იყიდიან. შენ გადაშენება ხომ მათთვისაც გაქვს გათვალისწინებული – მპყრობელი ერები არიან.

– რუსო მამულიშვილებო! – გამოაცხადა სანდრო კარიძემ. – დროულად შეიძინეთ ბილეთები, თორემ ათ–თხუთმეტ წელიწადში მატარებელი გავა, აქვე დარჩებით და რაღას ეტყვით თქვენს სინდისს, სამშობლოს და ჩამომავლობას?!

– ეგ მატარებელი ბაბილონიდან ბაბილონში მიდის, სანდრო!

– ბაბილონში?.. ბაბილოვანი... ბაბილოვანის გოდოლი... – კარიძეს ენა დაება, გაფითრდა კიდეც. კარგა ხანს იყო გარინდებული და მერეღა ალუღლუღდა: – გოდოლის ღმერთებამდე ატყორცნის ცდა ენების აღრევა! საოცარი სიმბოლო უბრწყინვალესი სახე!.. მეორე მიზეზიც ნაპოენია... დიახ, დიახ, მეორე მიზეზი! მეორე მიზეზი!

სანდრო კარიძემ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის თებერვლის რევოლუციის ამბავი გაიგო, ძეგვში მოვიდა, რატომღაც უზომოდ დათვრა. მედუქნისა და დამსწრეთა ნაამბობის

თანახმად, თურმე, ხან ცრემლები სდიოდა და ხან ხარხარებდა. ბუნებით მოლაპარაკე კაცი იყო – იმ რამდენიმე საათის მანძილზე თითქმის არაფერი უთქვამს. მერე დაცხრა, თვალები მილულა და, ასე მჯდომარე, დუქანშივე გარდაიცვალა.

დაკრძალულია შიომღვიმის მონასტრის ეზოში.

**ვანო ნათოფრიშვილი**

– ეგა მე ყველაფერი ჩემი თვალითა ვნახე! შენთვის როგორც უთქვამთ, ეგრე არ იყო. როგორ იყო და... ჩემზე ადრე არავის დაუნახია. ჯერ მე დავინახე, ბაღებზე გამორბოდნენ. წინ სპარაპეტა მოდიოდა, უკან მეგრელი მოსდევდა – ისა, დათაი.

ეხლა როგორ დავინახე. ყაზარმებს ზემოდან, გორაკზე, აგურხანა იდგა, ეხლაცა დგას. სპარსელისა იყო. მაშინ იმ სპარსელთან დარაჯად ვიყავ, აგურხანას ვუდექი. ჰოოდე, და ვნახე, რომა გამორბიან. კვირა დღე იყო. დილითვე თვალი მოვკარი, სალდათმა ყაზარმებთან ორი პატიმარი მიიყვანა, შეშას მიუყენა: ხერხავდნენ, აპობდნენ და შეჰქონდათ. ბაღებში რომ დავინახე, მაშინვე მივხედი, – გამოჰპარვიან და გარბიან–მეთქი. თოფი მხარზე მქონდა. იმათთვის მესროლნა – არ ივარგებდა: რა იცის კაცმა, იქნება ძმები ჰყავთ ან ნათესავები... რა ჩემი საქმე იყო, მე აგურხანას ვუდექი. არ მესროლა – არ ივარგებდა, გამაქანებდნენ და თავს მეტეხის ციხეში ამომაყოფინებდნენ, – მიმრბოლავი პატიმრები ნახე თოფი გქონდა და არა იღონე რაო! ავდექი და ჰაერში გავისროლე, კიდევ გავტენე და კიდევ გავისროლე; ორი თოფი გაქცევის ნიშანია. ისე გამოვიყვანე, რომა არც მიმრბოლავ პატიმრებს ვესროლე და არც თავი ავიყრუე, ვახმისტრის გასაგონად დავცალე – დასდგომოდა და ედევნა... არც მწვადი დავწვი და არც შამფური, მაშა!

პირველი დავცალე – იმ სალდათმა, რომელიცა თვლემდა და ვისაც გამოეპარნენ – გამოიღვიძა და იმანაც ორი დაცალა. ყაზარმიდან ვახმისტრი გამოვარდა. ერთი კი დაიყვირა და კიდეე სამი სალდტთი, მეძაღლე და ძაღლი გამოცვიედნენ, აგრე უცბათა, კაცოო! ვერ წაუვლენ–მეთქი, ამის გაფიქრება მოვასწარი და თავისი ვახმისტრით გამართული სალდათები უკვე თავქვეში გარბოდნენ. ძაღლმა კვალი კუნძებთანვე აიღო და მიჰყვა. ისე ძალუმად მიდიოდა, ლამის თასმა გაეწყვიტა. ერთი სიტყვით, კვალზე სირბილით მისდევდნენ, მაგრამა სანამ ესენი წყალს მიადგნენ, სპარაპეტა და თუთაშხია, ცოტა აკლდათ, შუა მტკვარში იყვნენ.

ვახმისტრი, როგორც მირბოდა, არც გაჩერებულა, წყალში შეტოპა ლაჯებამდისინ შევიდა; ჩექმები დაუმძიმდა და მაშინღა შედგა. მამაცხონებული, რასა ფიქრობდა, სადამდის უნდა ევლო!.. ცოტა ხანი აგრე იდგა. მერე ისევ ხმელზე გამოტოპა, სალდათებს დაუყვირა, – ესროლეთო! სალდათებმა ჩაიმუხლეს და ერთი ისეთი ბაგაბუგი ატეხეს, რომაა!..

გაქცეულებმა ჩაყვინთეს. ჩაყეინთეს და ესენიც მოეშვნენ სროლასა. სპარაპეტამ ამოყვინთა, ვახმისტრს გამოსძახა, – აღარ მესროლოთ, ვბრუნდებიო! ქალაქელ ქურდსა რა ჭკუა ესწავლება, რა. სალდათებისკენ გამოსჭრა და აღარც ესროლეს. ისე კი, იმ სპარაპეტას დარდი ნაკლებათა ჰქონდათ, თვალი წყალზე ეჭირათ, თუთაშხიას ეძებდნენ.

ვახმისტრმა სპარაპეტას გასძახა, მეგრელი რაღა იქნაო. ქურდი მიბრუნდა და დაიყვირა: – დათაა!.. გამო, მე მომკლავენო!

დათა არსად იყო, სპარაპეტამ ისევ ნაპირისკენ გამოსწია, მაგრამ წყალს ქვევით მიჰქონდა და სალდათებიც ნაპირ–ნაპირ წაფრატუნდნენ; ცალი თვალი სპარაპეტაზე ჰქონდათ! თან თუთაშხიას გამოჩენას ელოდნენ. ერთი კი გავიფიქრე, – უთუოდ ტყვია მოხვდა და მოკვდა ან დაიჭრა და დაიხრჩო–მეთქი. გინახავს?! ამოყვინთა და მერე სადა – გაღმა ნაპირს აღარაფერი უკლდა! ვახმისტრმაც დაინახა, ნაბიჯს უმატა და ისევ დაიძახა, – ესროლეთო. ისევ სროლა აუტეხეს, ეჰე–ჰე–ჰეე, რა ამბავი ატყდა, კაცოო!..

მტკვარი ადიდებული მოდიოდა, თუთაშხია შორს იყო, ერთიც არ მოხვდა ისევ ჩაყვინთა და მორჩა!

ამაობაში სპარაპეტა წყალს კიდევ ქვევით ჩაეტანა. სალდათები ისევ დაიძრნენ, სპარაპეტას დასახვედრად გასწიეს. მარტო მეძაღლე ჩამორჩა – ძაღლი აღარ მისდევდა და იმიტომა. მეძაღლე ქვევით ეწეოდა, ძაღლი ზევითკენ იწევდა. ძალს ძაღლი და ძალს მეძაღლე. მერე მეძაღლე გაწყრა, წიხლი დაუშინა. რაღას იზამდა ძაღლი, დაჰყვა და ძუნძულით წავიდნენ.

სპარაპეტა ფეხზე დადგა, ხელები მაღლა ასწია, გამოტოპა. მკერდში კონდახი დაჰკრეს, წააქციეს, პირქვე დააწვინეს. ვახმისტრმა – მეძაღლეცა და ძაღლიც სპარაპეტას დაუყენა, სხვები თან გაიყოლა და ისევ ნაპირს ჩაჰყვნენ. იმ აგურხანას უჩემოდ რა მოუვიდოდა და სპარსელიც რაღა ეხლა მოვიდოდა?.. დავადე თავი და ნაპირზე ჩავედი, მეც იმ სალდათებში გავერიე.

“ვირს რომ ზურგი აჰქავდება! მეწისქვილეს მიადგებაო”, – მეც ისე მომივიდა. ეხლა ნახე შენა: გავერიე და სალდათებიც აყაყანდნენ: დათა თუთაშხია, გაღმა ნაპირზე ბექობი იყო, იმაზე იდგა ჯიშიანი მამალივითა, დოინჯშემოყრილი იდგა. მერე უბეში ხელი ჩაიყო, სვანური ქუდი ეხურა ხოლმე, ის ქუდი ამოიღო, გაწურა და დაიხურა.

დაიხურა და ცას აჰხედა.

ღრუბლიანი იყო, ცრიდა.

გამიკვირდა, – რაღას უდგას–მეთქი. სალდათებმა ისევ დაუშინეს. დათა თუთაშხია მიტრიალდა, შიმალში შევიდა. წყნარად, დინჯად მიდიოდა, თითქოს ტყვიას არა და ქოქოლას აყრიანო.

წავიდა!

ამათ რაც ვაზნა ჰქონდათ, ერთიანად დაწვეს და ვერ კი მოარტყეს. წავიდა და წავიდა!

ვახმისტრი მომიტრიალდა, თვალები გადმომიკარკლა და დამიყვირა – შე სვოლოჩო, ჰაერში რას ისროდი, ამათთვის გესროლნაო!

ვაშე სკავაროდიე–მეთქი...

ახ სკავაროდიეო?! – ერთი ისეთი სილა გამაწნა, მე და ჩემმა ღმერთმა, აგურხანაში ვყოფილიყავ, იქ გავიგონებდი. გამაწნა და დააყოლა – რაზ სკავარადაო! ახლა მეორე ლოყაში გამაწნა და დააყოლა, – დვა სკავარადაო! ხელები სახეზე ავიფარე, იქნება,

შევეცოდო და მომეშვას–მეთქი. შევეცოდე მაშ, რა იყო! – მუცელში წიხლი ჩამცხო, სანამ წყალში ტყაპანს მოვადენდი, – ტრი სკავარადაო, დამაყოლა და სპარაპეტასკენ გასწია.

აგურხანაში აველ, სამოსლის გაშრობას მივყავ ხელი...

მაგარ ხიფათს გადავრჩი. ძალიან ჭკუა ვიხმარე, რომა მეტი აღარ შეიძლებოდა, თორემა!..

როგორც გიამბე, სწორედ ეგრე იყო. ჩემზე უკეთ ეგ ამბავი არავინ იცის, იქ ვიყავი.

**გრაფი სეგედი**

ვარსკვლავთმეტყველებისა და ასტროლოგიის საიდუმლოებით გატაცებული არასოდეს ვყოფილეარ. ამ უძველეს მეცნიერებებს ოკულტიზმის თანრიგს ვაკუთვნებდი. ალბათ, ასეთი წინასწარგანწყობის გამოისობით არის, რომ დღემდე არაფერი გამეგება მათი. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ვარსკვლავებიანი ცა ჩემი ფიქრების მუდმიეი თანამავალი გახდა. როცა მოვლენები და შთაბეჭდილებები მჯაბნიდნენ, როცა ვითარებაში გარკვევა და სწორი დასკვნის გამოტანა მიძნელდებოდა, მაშინ ცაზე თორმეტ ზოდიაქოდ დამჯდარ სამყაროს ავცქეროდი, იდუმალ ციურ სიმბოლოებში ადამიანთა ხასიათებისა და ურთიერთობების ანალოგიებს ვეძებდი. ეს, თითქოს, თავშესაქცევარი და გასართობი, წვრილმანებში დაფლული მთავარის პოვნას მიადვილებდა, ფიქრთა ნისლიდან მკაფიო სურათების გამოტანაში მშველოდა. დღესაც ღრმად მწამს, რომ ვარსკელავთა სამყარო მიწიერ საქმეებზე გაცილებით მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ჩემი აგარაკის აივანი, თითქოს განზრახ, ისეა განლაგებული, რომ სარწეველაში მოკალათებულს კაბადონის თვალიერების სურვილი უნებლიეთ გეწვევა. სანამ მე შევიძენდი, აგარაკმა ორი მფლობელი გამოიცვალა. რამდენადაც ვიცი, ვერც ისინი სძლევდნენ ცის ციმციმით ტკბობის მოთხოვნილებას და ზაფხულის საღამოებს აივანზე, მყუდრო მარტოობაში ატარებდნენ. აგარაკის ახლანდელი მფლობელებისთვისაც მომიკრავს თვალი – ცას აჰყურებენ ხოლმე, როცა აივანზე მარტონი არიან.

ათას ცხრაას ცხრა წლის მაისი თავდებოდა. აივანზე ვიჯექი. ღამის ათ საათს მიტანებული იყო, მალე სავახშმოდ შესვლას ვაპირებდი. ეტლის ხმაური გავიგონე. მარტოხელა, სამსახურიდან გადამდგარი კაცი ვიყავი, სტუმარი შედარებით იშვიათად მყავდა, თუ სანდრო კარიძეს არ მივიღებთ მხედველობაში, და გამიკვირდა, რომ ეტლი სწორედ ჩემს ჭიშკართან გაჩერდა. მსახური სტუმარს გაეგება და უმალ მაცნობა, – პოლკოვნიკი მუშნი ზარანდია ბოდიშს იხდის წინასწარ გაუფრთხილებლად სტუმრობისთვისო.

ძალიან გამიხარდვ და სრულიად არ გამკვირვებია მისი მოსვლა. არ გამკვირვებია იმიტომ, რომ მუშნი ზარანდია ბუნებით გულწრფელ და კეთილისმსურველ ადამიანად მიმაჩნდა. კაცის სიკეთეს სამუდამოდ იხსომებდა, თუ ვინმე მოეწონებოდა, თავის კეთილგანწყობილებას გულუბრყვილოდ უმჟღავნებდა. გამიხარდა იმიტომ, რომ ჩემი მაშინდელი მდგომარეობის კაცთან მუშნი ზარანდიას მხოლოდ კეთილი გული მოიყვანდა, ჩემი იმჟამინდელი ცხოერების ავ–კარგისადმი ინტერესი – სხვა არაფერი.

ბევრი ვისაუბრეთ. მუშნი ზარანდია საინტერესო თანამოსაუბრე იყო ყოველთვის, მაგრამ ახლა, ათას ცხრაას ცხრა წელს, იგი უკვე ისეთი მუსნი ზარანდია გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ითქვას, პირდაღებული ვუსმენდი. ნურავინ იფიქრებს, თითქოს გადამდგარი,

საქმეებს ჩამოშორებული, პროფესიულ ინფორმაციას მოკლებული მოხუცი გენერალი ვიყავი და ამიტომ საშრობივით ვნთქავდი ყველაფერის მელანს. ეს – თავისთავად. და მთავარი კი ის არის, რომ ჩემი სტუმარი ერთდროულად იყო ორი სრულიად სხვადასხვა ბუნების ახალი ამბების ყულაბა: მან იცოდა მთელი მსოფლიოს ყველა პოლიტიკური ჭორი და ყველა სახელმწიფოს სამთავრობო კულუარების მრავალი საიდუმლო, – ერთი მხრივ, ხოლო რუსეთის იმპერიის სამეფო კარის სრული, ყოველდღიური ქრონიკა – მეორე მხრივ; ამაში გასაკვირი არაფერი იყო – მუშნი ზარანდია საგარეო პოლიტიკურ დაზვერვას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამგვარ თანამოსაუბრეს ძლიერ იშვიათად მიჰგვრიდა ვინმეს ღმერთი – ეს ხომ ასეა. იმდროინდელ პეტერბურგში იგი ერთი იმ შვიდ კაცთაგანი იყო, ვისაც იმპერატორთან პირადი აუდიენციის უფლება პერსონალურად ჰქონდა მინიჭებული. არ ვიცი, რამდენად სარგებლობდა მუშნი ამით, მაგრამ ცხადია, საჭიროების შემთხეევაში მისი უდიდებულესობის გაღვიძებასაც კი არ მოერიდებოდა. შევნიშნე კიდევ ერთი საინტერესო რამ: მუშნი ზარანდია დიდი მოწიწებითა და ღრმა ინტერესით ლაპარაკობდა უავგუსტესი ოჯახის ყველა წევრზე, მათ ცხოვრებაზე და ნათქვამის ინტონაციაში მონის თაყვანისცემა იგრძნობოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ სამეფო კარის მიმართ ამდენად მლიქვნელური დამოკიდებულების ფორმა ჩემი გადადგომის შემდეგ დამკვიდრდა და უმაღლეს თანამდებობის პირებს სხვა გზა არ ჰქონდათ – უნდა მიეღოთ და აღესრულებინათ იგი; მაგრამ მუშნი ზარანდია ამას სიამოვნებით სჩადიოდა და არა მოვალეობის გამო თუ იძულებით. მე ეს მოვლენა მისი ხასიათის არსებით ცვლილებად მივიჩნიე. არანაკლებ გასაოცარი იყო ჩემთვის ისიც, რომ სახელმწიფო აპარატის საშუალო რანგის მოხელეთა შორის გავრცელებული ერთი თვისება მუშნი ზარანდიასაც შესძენოდა: ლაპარაკია იმაზე, რომ სამსახურებრივ დაწინაურებას მოწყურებული ადამიანები უღრმეს ინტერესს იჩენენ ყოველგვარი გადაადგილებების, დაქვეითებებისა თუ დაწინაურებების, ან ასეთი მოსალოდნელობების მიმართ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ როგორ ფორმებში ამჟღავნებს ამას, ვინ და როგორ ნიღბავს თავის დამოკიდებულებას. მთავარია, რომ ასეთი ცნობების, ჭორებისა თუ შესაძლებლობების გადამუშავება უკიდურესი აზარტით, გაცხოველებული ცნობისმოყვარეობით, სულის აფოფინებით ხდება. ჩემთან სამსახურის პერიოდში მუშნი ზარანდიასთვის თანამდებობრივი ცხოვრების ეს მხარე არ არსებობდა, მას ამისთვის არასოდეს ეცალა. ახლა, ვუსმენდი მას და ვხედავდი, როგორ ჩაჰყოლოდა იმ ჩამთრევ ძალას, რომელიც მისი ინტერესების ჩარჩოებს მიღმა მოქმედებდა. პირადად მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენდა და არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ იმ ჭორ–ამბავის ცოდნა მუშნი ზარანდიას პროფესიულად სჭირდებოდა. მომეჩვენა, რომ მამამისის – მაგალი ზარანდიას – წინასწარმეტყველება: – უმაღლეს თანამდებობაზე კეთილი განზრახეებით გასული ბევრია და სიკეთეშენარჩუნებული არავინო, – მუშნი ზარანდიას შემთხვევაშიც გამართლდა. იგი უკვე მკაფიოდ გამოხატული კარისკაცი იყო.

ჩვენი საუბარი თითქმის მიიწურა, როცა გავბედე და თბილისში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი ვკითხე. განმარტების ბურუსში დათა თუთაშხიას სახელმა გაიელვა, მხოლოდ გაიელვა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ მეგრძნო – დათა თუთაშხიას საქმეს ზარანდიასთეის სადღეისოდაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. და აქ გამახსენდა, ერთხელ სანდრო კარიძემ გაკვრით, ცალი ყბით მითხრა, – დათა თუთაშხია ციხიდან გაქცევის შემდეგ ცოტ–ცოტა პოლიტიკაშიც ერევაო. გამიელვა, რომ ამგვარ ცნობას მუშნი ზარანდია, მაღალი თანამდებობით გამოწვეული სულიერი ცვლილებების შემდეგ, გულგრილად ვერ

შეხვდებოდა. ჩემი მიხვედრის დამალვას არც ვცდილვარ. პირიქით, ამ აქცენტს გავუსვი ხაზი და გამოვთქვი გაკვირვება იმით, რომ ზარანდიას საგანგებოდ მოუცლია თუთაშხიას საქმისთეის, და ეჭვიც, თუ რამდენად გამართლებული იყო დათა თუთაშხიას ესოდენ დაჟინებული დევნა და ისიც საკუთარი მამიდაშვილის მხრიე.

მუსაიფი გვიან ღამემდე გაგვიგრძელდა, ზარანდია ჩემთან დარჩა. უკვე დაწოლის წინ იყო, მითხრა:

– ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინეალებავ, მიტოვებულ თემას დავუბრუნდები. ჩემი პროფესიული და სამსახურებრივი რეპუტაცია ვერც შეირყევა და ვერც განმტკიცდება იმით, თუ სახელდობრ ვინ დაიჭერს დათა თუთაშხიას და დაიჭერენ თუ არა მას საერთოდ. მაშასადამე, ჩემი მხრივ კარიერისტული განზრახვები მოსალოდნელი არ არის.

– სწორი ბრძანებაა!

... რისთეის განაახლა ეს ლაპარაკი?

– თქვენ მაინც ხომ მოგეხსენებათ, გრაფ, რომ ჩემთვის მთავარია, გონივრულად წარიმართოს ესა თუ ის საქმე და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ წარმატების შემთხვევაში დაფნით თავს ვინ დაიმშვენებს.

– რამდენიმე ორდენი ვიცი სხვათა მკერდზე, რომელიც შენ გეკუთვნოდა, მუშნი...

... მაგრამ დათა თუთაშხიას დაჭერა–დაუჭერლობაზე რატომ ამახვილებს ყურადღებას?

– მაშასადამე, თუთაშხიას წინააღმდეგ ჩემი რაიმე მოქმედება არც თავმოყვარეობასა თუ პატივმოყეარეობას შეეძლო, გამოეწვია. რჩება სადისტური მიდრეკილებები, რაც, ვიმედოვნებ, ჩემს ხასიათში არასოდეს შეგინიშნავთ.

ზარანდიამ რეაგირება დამაცადა. გავიცინე. მაშინ პოლკოვნიკმა მსჯელობა განაგრძო;

– თქვენო ბრწყინვალებავ, ამ საქმეს სხვა, გაცილებით ზოგადი და ამაღლებული ასპექტიც გააჩნია. თქვენ ეს, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ. უნდა გავიმეორო.

– ბრძანეთ ძალიან საინტერესოა!

რაღაცის მიჩქმალვა სურდა!

– მე იმ პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომ ნამდვილმა ადამიანმა ბოროტებას არა მარტო უნდა სძლიოს, არამედ სიკეთედ უნდა აქციოს იგი!

– რა თქმა უნდა, მუშნი, თუკი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება! – ცხადი და ნათელი იყო, რომ მან დათა თუთაშხიას უკვე დაუგო რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები!

როგორც ერთხელ, ოთხი–ხუთი წლის წინ, ისევ მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდია სავარძელში გორგალივით იდო და კისერი ჰქონდა მოღერებული.

დიახ, ხაფანგები, მაგრამ, სახელდობრ, რა ხაფანგები?.. აქ მეხსიერებამ მოულოდნელად მომაწოდა ერთი დეტალი, რომელიც არც კი მახსოვდა, სად ან ვისგან მქონდა გაგონილი: ბეჩუნი პერტიამ დათა თუთაშხიას ახალგაზრდობის საყვარელმა, თავის შვილს, სახელად გუდუს, პატარაობაშივე დაუქირავა რუსულის მასწავლეგელი, ვინმე ბიქტორ სამუშია, რომელიც შემდგომში ბიჭს ლათინურსაც ასნავლიდა. ამ ბიქტორ სამუშიაზე მითხრეს, პოლკოვნიკმა კნიაზევმა მუშნი ზარანდიას დავალებით გადმოიბირაო. დათა თუთაშხიას ხელში ჩაგდების მიზნით სხვადასხვა დროს გადმობირებულთა რაოდენობის აღნუსხვას საგანგებო ბუღალტერი ესაჭიროებოდა, ხოლო მიღებული შედეგი ნულს უდრიდა და ამ ცნობას ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მიუხედავად ამისა, მომდევნო შესაძლებლობისთანავე – წინასწარი განზრახვით კი არა, სრულიად უნებლიეთ – ამ ცნობის შევსება–დაზუსტება მოვინდომე და კიდევ ზოგი რამ გავიგე: გუდუსთვის ტოლ ბიჭებს რამდენჯერმე უთქვამთ, ნაბიჭვარი ხარო, დათა თუთაშხიას გუში ხარო! გუდუ მაშინ უკვე თორმეტ–ცამეტი წლის ბიჭი იყო, თავისი ხასიათი ჰქონდა – უსიტყვური, გულჩათხრობილი და, ჩანს, დედისთვის არაფერი უკითხავს, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ თავისი მასწავლებლისთვის – ბიქტორ სამუშიასთვის მიუმართავს. მასწავლებელს ასე აუხსნია. დათა თუთაშხია დაუნდობელი ყაჩაღი და მკვლელია, დედაშენი უყვარს, თქვენთან მოდის ხოლმე და დედაშენს, მიუხედავად იმისა, რომ სძულს იგი, მის სტუმრობებზე შიშის გამო ვერაფერი უთქვამს. ნაძირალა თუთაშხია ამით სარგებლობს, თქვენთან დადის და დედაშენსაც და შენც სახელს გიტეხავთო. დიდი შთაბეჭდილება ჩემზე არც ამ ტექსტს მოუხდენია. რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას? მეტი–მეტი ის, რომ დათა თუთაშხიას მოსვლას გუდუ პერტია რაიმე საშუალებით პოლიციას შეატყობინებდა. ეს იყო და ეს. ასეთი შეტყობინებებით პოლიცმეისტერებს ყურები ჰქონდათ გამოჭედილი, მაგრამ რა?.. არც მაშინ მწვევია სურვილი, გამეგო და არც ახლა გამაჩნია იმის გაანალიზების უნარი, თუ ქარიშხალივით რატომ შემომაწყდა მუშნი ზარანდიას მაშინ ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობი გეგმების ჩაშლის დაუოკებელი წყურვილი. მახსოვს, გუნებაში ხელებიც კი გადავიფშვნიტე, – ჩემი გამოზრდილი ლეკვი ხარ, მევე მოგივლი–მეთქი, ბატონო სატანავ! – ეს უკვე გადაწყვეტილება იყო და, გადაწყბეტილებასთან ერთად, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ახლაც უკიდურესი სიფრთხილის გრძნობა ამიმუშავდა: არ შეიძლებოდა ზარტნდიასთვის, თუნდ სრულიად უმნიშვნელო ეჭვის საბაბის მიცემა! მეორე მხრივ, ხელთ ისეთი არაფერი მქონდა, საიდანაც მოქმედების დაწყება შემეძლო, მეტი ინფორმაცია მესაჭიროებოდა, მაგრამ კითხვების მიცემა გამორიცხული იყო – ზარანდია განზრახვას ადვილად მიმიხვდებოდა. მრჩებოდა მხოლოდ ის, რომ იქნებ თვით სტუმარს ეთქვა ჩემთვის საგულისყურო რამ, საუბრის ეს ეტაპი თემის შეცვლას მოითხოვდა და ვკითხე:

– ვიაზინს თუ იცნობთ, მუმში, ალექსეი ვიქტოროვიჩს? ხომ არსად შეგხვედრიათ ან ასეთი გვარისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური? ამჟამად კაი ორმოცდაათი წლის კაცი უნდა იყოს, ორმოცდათორმეტისა.

– ვიაზინი?.. ჰმ, ვიაზინი! – ზარანდია დაფიქრდა და მკითხა: – ვინ არის ეგ ვიაზინი?

– ჩემი ერთადერთი დისშვილია. მამა ბავშვობაშივე გარდაეცვალა, დედა – გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ყოფნისას. მაშინ პარიზში ვცხოვრობდი. გავიწვიე და უმაღლესი განათლება იქ მიიღო, ზოოლოგი გახლავთ, კერძოდ, ორნითოლოგი, – მუშნი ზარანდიასთვის ის არ მითქვამს, რომ ვიაზინი ოცდაერთი წლის ასაკიდან ჩვენი

სამსახურის საიდუმლო აგენტი იყო. – ერთობ ცნობილი ორნითოლოგი გახლავთ. თავის დროზე მთელი ევროპის მუზეუმებს აწვდიდა სხვადასხვა კონტინენტებზე მოპოვებულ ფრინველების ფიტულებს. ხუთი წელიწადია, მისი აღარაფერი ვიცი. უფრო ახლობელი ნათესავი სხვა აღარავინ მყავს.

– არა, გრაფ, ეგეთი არავინ შემხვედრია... – ზარანდიამ როიალს შეხედა და მკითხა: – ეს როიალი პალისანდრის ხისაა?

როიალი პალისანდრისა არ იყო და იმწამსვე მივხვდი, რომ, ჯერ ერთი, ჩემი დისწული ისევ საიდუმლო სამსახურშია, და მეორე ის, რომ ამჟამად იგი არგენტინაში ან ბრაზილიაშია – პალისანდრის ხე მხოლოდ იქ იზრდება. არა–მეთქი, ხელი გავიქნიე და ახლა, როგორ მეკითხა, – ხომ არ დაცოშვილდა ამ ხუთი წლის მანძილზე–მეთქი?..

– შარშან, გრაფ... ამას წინათ, ენისეიზე მომიხდა ყოფნა. გრანდიოზულია, საოცრებაა და, წარმოიდგინეთ, იმ უმდიდრეს ადგილებში, ას კვადრატულ ვერსზე ერთი მოსახლე მოდის!

აჰა! დამიზუსტა, ამჟამად ბრაზილიაშია – დიდი მდინარის ქვეყანაში, ჯერაც მარტოხელაა – ერთი მოსახლეო, და ეს ცნობები ახალია, – შარშან კი არა ამას წინათო! დღემდე არ მესმის, რა პროფესიულმა, თანამდებობრივმა ან სხვა რამ სპეციფიკურმა პირობებმა გამოუმუშავეს, და, ამასთან, ესოდენ მოკლე ხანში, ლაპარაკის ზემომოყვანილი მეთოდი, საერთოდ რაში სჭირდებოდა იგი და კერძოდ, ჩემთან ურთიერთობაში, მაგრამ ფაქტია, რომ ასე ლაპარაკობდა.

უწინ თუ იგი ჩემთანაც კი ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რის თქმაც საქმისთვის იყო საჭირო (და არა, ვთქვათ, იმას, რის თქმაც შეიძლებოდა, ან მით უმეტეს – რის თქმითაც დაშავდებოდა) ახლა ლაპარაკობდა ბევრს, დაუზარებლად, თითქოს ყველაფერს და, ამასთან ერთად, არაფერს ლაპარაკობდა – რა თქმა უნდა, პროფესიის ნიუანსებში ღრმად ჩაუხედავი მსმენელის გულისყურისთვის არაფერს. სხვა სიტყვებით, ის, რის თქმაც მას სურდა, ნათქვამის ქვეტექსტში უნდა მეძებნა.

ვიაზინზე საუბარი ამოიწურა. ვატყობდი, ზარანდიას საღერღელი ჰქონდა აშლილი, რაღაცის თქმა სწყუროდა და ეს სალაპარაკო დათა თუთაშხიას სფეროს განეკუთვნებოდა. ქვეცნობიერება ასე მკარნახობდა და არც მოვტყუებულვარ. მე მისთვის საშუალება უნდა მიმეცა, სასურველ თემას მიახლოებოდა...

– როგორ გგონია, მუშნი, ეგ თანამდებობა უმაღლესია შენთვის თუ უფრო დიდი სიმაღლეების პერსპექტივაც გაქვს? – ვკითხე და კიდევ ერთხელ გამიელვა, რომ ამ კაცს ერთობ ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ხან “თქვენობით” მივმართავდი, ხან “შენობით” და ამ მოვლენის არც კრიტერიუმისა გამეგებოდა რამე და არც მიზეზისა.

ზარანდია პატარა ხანს ჩუმად იყო, ფიქრობდა და მერე მითხრა:

– ჩვენი იმპერიის პირობებში, ჩემი წარმოშობისა და ეროვნების კაცისთვის, თანამდებობა, რომელიც მიჭირავს – უმაღლესია. მიუხედავად ამისა, ეხლაც დარწმუნებული ვარ, რომ

შრომა და ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ყველა დაბრკოლებას გადალახავდა... სიმართლეს გეტყვით, ასეც ვაპირებდი...

სტუმარი დადუმდა.

– გადაიფიქრე?..

– ამას წინათ, გრაფ, შუვალოვების დიდი გვარის საძვალე ვნახე, – მითხრა ზარანდიამ პატარა ხნის ფიქრის შემდეგ. – გადათელილი, უპატრონო სამარეები. სევდიანი სანახაობაა!.. აი, თუნდაც... სტეპან ივანოვიჩ შეშკოვსკისთანა დიდოსტატი, მისი პროფესიული ტალანტის მეორე მოღვაწე რუსეთის იმპერიაში ბოლო სამასი წლის მანძილზე გეგულებათ ვინმე? იგი სიცოცხლეშივე სძულდა ყველას და არც სიკედილის შემდეგ მოჰკლებია აუგი. დღეს მისი საფლავიც კი აღარ არსებობს, ყველამ დაივიწყა და თუ როდისმე ახსენებენ – მხოლოდ, როგორც ვერაგობის უმაღლესობასა და სატანას. მე ვერასოდეს შევძლებდი ტახტისთვის იმდენი სამსახურის გაწევას, რამდენიც შეშკოვსკიმ შესძლო... ჩვენს შემდეგ, თქვენო ბრწყინვალებავ, ისეთი არაფერი რჩება, რაც მომავალ თაობებს მაგალითად გამოადგებოდეს.

– ჩვენს შემდეგ, ბატონო ზარანდია, პირუთvვნელი სამსახური და სახელმწიფო, ანუ უმაღლესი სიკეთე რჩება! სახელის უკვდავება კი გმირის ხვედრია...

– ჰმ, გმირებისა და არა მათი, ვინც გმირის სახელს ქმნის, არა? – სიტყვა ჩამომართვა ზარანდიამ.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ თვით ქრისტესგანაც კი არაფერი დარჩებოდა, იუდას იგი ოცდაათ ვერცხლად რომ არ გაეყიდა. ქრისტეს ტრაგიკულმა აღსასრულმა მის უკვდავებასა და აღიარებას უდიდესი სამსახური გაუწია. ეს იუდას შეგნებული საქციელი იყო – წინასწარ განზრახული, საჭირო შედეგის მისაღებად აღსრულებული საქმე. მე ეს მტკიცედ ვირწმუნე.

– შეშკოვსკის, როგორც ჩანს, ეგ მტკიცე რწმენა არ გააჩნდა, თორემ პუგაჩოვსა და რადიშჩევს ჯერ ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდდა და მერეღა გამოიძიებდა მათ საქმეებს! – დღესაც არ ვიცი, შევძელი თუ არა აღშფოთება დამემალა.

მუშნი ზარანდიამ მშვიდად შემომხედა და ისე გადაიტანა საუბარი სხვა თემაზე, როგორც ამას მხოლოდ ფანატიკოსი გააკეთებდა.

მეორე დღეს, გავისტუმრე თუ არა ზარანდია, მსახური შიომღვიმეში სანდრო კარიძესთან ვაფრინე. დაუყოვნებლივ მოვიდა. ერთად შევუდექით იმის მოფიქრებას, თუ რა ზომები უნდა მიგვეღო, – უპირველეს ყოვლისა, დათა თუთაშხიას გასაფრთხილებლად და მერე ზარანდიას გეგმის გასაგებად და ჩასაშლელად. ამ საუბარში აღმოვაჩინე, რომ მუშნი ზარანდიამ ჩემთან განგებ, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზნით თქვა ის, რაც თქვა. ან სხვაგვარად როგორ უნდა მეფიქრა, როცა ჩემი დისწულის ამბავი და ადგილსამყოფელი პალისანდრებით, ენისეიებით, ას კვადრატულ ვერსზე ერთადერთი მცხოვრებით მაცნობა

და დათა თუთაშხიას “ბოროტი” საქმეების “სიკეთედ” ქცევის განზრახვა კი პირდაპირ მომახსენა? რა იყო ეს , გამოწვევა, შებმის სურვილი? ვთქვათ, მე ღირსეულთა რიცხვიდან, ერთადერთი კაცი ვიყავი, ვისი ჯობნა და დამარცხება მან ან ვერასოდეს შესძლო, ან არასოდეს მოინდომა და ახლა, თავის უთვალავი გამარჯვების რუკაზე ამ თეთრი ლაქის შევსების ჭია შეუჩნდა? ვთქვათ–მეთქი, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ მე დათა თუთაშხიას გადარჩენის სურვილი აღმეძვრებოდა და გამოწვევას მივიღებდი?..

ხანგრძლივი თათბირისა და განსჯის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ სანდრო კარიძე დათა თუთაშხიას სანახავად დასავლეთ საქართველოში გადავიდოდა და აცნობებდა, რომ ახალი საშიშროება მოელის, მაგრამ მუშნი ზარანდია არ უნდა ხსენებულიყო. ცნობა ჩემი სახელით იქნებოდა მიწოდებული. მე კი თბილისში ზარანდიას განზრახვებში უნდა ჩამეხედა.

ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი, საკუთარი სურვილით გაკეთებული საქმე იმის წინააღმდეგ, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე წარმოვადგენდი.

**ვასო გოდერძიშვილი**

– მეგონა რომელია! ძობა იმის კაცი არ იყო ეთქვა და არ გაეკეთებინა. განა ერთხელ და ორჯერ უთქვამს, – საცა შემხვდება, იქ მოვკლავო. ნასწავლი კაცის ნახვა და თავისი დაობლების მოგონება ერთი იყო. ჯერ იმას მიამბობდა ხოლმე, ყაჩაღებმა ოჯახი როგორ დაურბიეს. მერე იმას იტყოდა, – ეს ამბავი არ დაგვმართოდა, მამაჩემი ქუთაისში გაგზავნას მიპირებდა, გიმნაზიაში უნდა მესწავლა, ეხლა ნამდვილი მხატვარი ვიქნებოდიო. ხატვა ძალიან უყვარდა, ეხერხებოდა კიდეც, ჩემზე უკეთ ეხერხებოდა. ეხლა მხატვარი ვიქნებოდიო, ამას იტყოდა, ცოტა ხნით გაინაბებოდა, თვალებში სისხლი მოაწვებოდა და ბოღმით ჩაილაპარაკებდა ხოლმე:

– ტყის კაცია, სად უნდა ვნახო! – ამის თქმაზე კბილების დაკრაჭუნება იცოდა.

განა არ გამეგებოდა, ვისა გულისხმობდა, მაგრამ მაინც ვეკითხებოდი:

– ვინა, კაცო?. .!

– რამდენჯერ მაქვს ნათქვამი... ერთი გასული კაცია – დათა თუთაშხია.

თურმე, ის თუთაშხია ძობას მამის დუქანში იმ ამბავს შესწრებია და ხელი დაუბანია, – არავისი არა ვიცი რაო. ძობასთვის ყური დაგეგდო, – თუთაშხიას მაშინ ორი სიტყვა ეთქვა, ყაჩაღები დაშოშმინდებოდნენ და არაფერიც არ მოხდებოდაო. არა, თუთაშხიას სახელი დიდი ჰქონდა დავარდნილი, მაგრამ იქ როგორ იყო და როგორ არ იყო – ამისი რა გითხრა. ერთი სიტყვით, ძობა თავისი მამისა და დის სიკვდილში ბრალს უფრო თუთაშხიასა სდებდა, ვიდრე იმ ყაჩაღებს. ესეც არაფერი, თავად მხატვარი აღარ გამოვიდა და ამასაც თუთაშხიას აბრალებდა. ძობას გულის ჯავრი ეს უფრო იყო. სულ იმის ნატვრა ჰქონდა, – ნეტავი სადმე შემახვედრა და მე ვიცოდე და იმანაო. თითქოს ჭკუათმყოფელი კაცი იყო და, – მხატვარი არ გამოვედიო, გიჟივითა ჰქონდა აჩემებული.

შენ ამბობ, ძობა, რახან გამდგარი კაცი იყო, მკვლელობას არ იკისრებდაო. მაშ, კოლა ქათამაძე თუ გამდგარი ქურდი იყო და არავისთან საქმეს არ იჭერდა – რა, დიაკვნად დადგა თუ მეარღნეობა დაიწყო?! ყველანაირ საქმეს ეწეოდა. დაგავიწყდა?.. არა, რა მალ–

მალ გეკითხები, – დაგავიწყდა–მეთქი? სხვა რა გახსოვს, რომ ეს გახსოვდეს... ესეც იქით იყოს, ძობასთანა ჯიბრიანი და თავისნათქვამი ქვეყანაზე მეორე აღარ შემხვედრია... ბაქოში ეკატარინკები მოვჭერით და იმ საქმეზე დაგვიჭირეს. ძობა პირველი დღიდანვე მოსდგა, სულ ის იძახა, მე მარტო საღებავები ვიშოვნე, შევაზავე, დავბეჭდე და სხვა არაფერი მიქნია, ბრალი არაფერში მიდევს, უნდა გამიშვათო. არა, მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა, ყალბი ფულის მოჭრა სხვაც კიდევ რამეა?.. მანიფესტმა გვიშველა... თორემა... მერე და, მე შენ გეტყვი, ხელი აუკანკალდებოდა. ძობას, თავის დროზე, კაცის მოკვლაში და ბატკნის დაკვლაში, ორთავეში ერთნაირი გული ჰქონდა – დაუნდობელი იყო... ჩვენთან ერთად ერთი განჯელი კაცი მოჰყავდათ. იმ განჯელმა კაცმა რაღაცა მაწყენინა, – მე მაწყენინა, განა ძობას, – ეხლა რიგიანად აღარ მახსოვს, რა იყო. ასტრახანში ზღვით მიგვიყვანეს. ნავსადგურს მივადექით. ხომალდიდან ბოგირი გადააგდეს, მტკაველის სიგანე სქელი ფიცარი იყო. გადავდიოდით. ძობამ მიიხედ–მოიხედა, განჯელ კაცს წიხლი ჰკრა და წყალში გადაუშვა; ბორკილები ედო რაღას ამოყვინთავდა! დაიხრჩო. ჟანდარმებმა იფიქრეს, – ან უცაბედად გადავარდა, ან თავი განზრახ დაიხრჩოო. ძობას იმ კაცის მოკვლა ხახვივით შერჩა. იღბალი კიდევ ცალკე ჰქოზდა; იღბალია, მაშ, რა არის – გამიგონე, რა გითხრა: კატორღაში კლდეს ვანგრევდით. ზეინკალი გვყავდა – ისიც კატორღელი. ძობა იმ ზეინკალს მუშად მიუყენეს, – მიეშველეო. სამი თუ ოთხი დღე გავიდა, სალესავი ჩარხი გაფუჭდა. რაღაც იყო მოსაშვები და ზეინკალმა ვერ მოუშვა, ის ხელსაწყო ზედ არა ჰქონდა, რომელიც საჭირო იყო, მოსატანად წავიდა. ძობა დარჩა, გაზი აიღო, ქანჩის მოშვება სცადა. ზეინკალი დაბრუნდა. ხედავს, ძობა ჩარხს უჩხიკინებს. არ ვიცი, რატომა და გული მოუვიდა: ძობას გაზი გამოსტაცა, ხელში დიდი ჩაქუჩი მისცა და ასე უთხრა, – აბა, გაზი რა შენი საქმეა, შენი ჭკუა ჩაქუჩს იქით ვერაფერს გასწვდებაო. ძობამ არც აცია, არც აცხელა, ასწია და ის ვეება ჩაქუჩი კეფაში ჩაჰკრა, – აჰა, თუ არ გასწვდაო! ზეინკალი ფეხზევე მოკვდა და მერეღა წიქცა. ამ დროხ იყო, პატრუქებისთვის ცეცხლი მიეცათ დაიძახეს, – მიეფარენითო! მივიმალ–მოვიმალეთ. ლაღუმებმა დაიგრიალეს. აფეთქეპა მორჩა. მივედით, ვნახეთ: ზეინკალი ლოდებში იყო ჩამარხული. ესეც შერჩა ძობას და სხვაც ბევრი რამ. იღბალი ჰქონდა. რა ან გასდიოდა, სველ საქმეებს არც ერიდებოდა: “ბავშვსა ჰკითხეს, რა გატირებსო? გამიდის და ვტირიო”. შენ კიდევ იმას მეუბნები, გამდგარი კაცი სველ საქმეზე არ წავიდოდაო.

ეს ყველაფერი იქით იყოს. რომელი წელი იყო, ეხლა საიდანღა მეხსომება... აი, საქულა–მჭედელმა რიყეში ორი დუქანი რომ გააღო? – ორთავე ერთ გაყოლებაზე... არ მახსოვსო?.. – მოიცა, ერთ რამეს გეტყვი – მოგაგონდება. დუქნები ერთმანეთზე, ესე, ას, ას ოც ნაბიჯზე იქნებოდა. საქულამ აბრები კედელზე კი არ ააკვრევინა – ქეაფენილის გარდიგარდმო გადმოაშვერინა. აბრაზე ერთი მხრიდან ეწერა.. “კუზნეც–საქულ ზდეეს???”, მეორედან: “ზდეს!!!”. სიტყვაზე, მუხრანის ხიდის მხრიდან მოდიხარ, პირველი დუქნის აბრაზე წაიკითხავ: “კუზნეც–საქულ ზდეეს???”. გაივლი და მეორე დუქნის თავზე – “ზდეს!!!”. გინდა მეტეხის მხრიდან წამოსულიყავი, მაინც ისევ ისე წაიკითხავდი. არ გაგონდება?.. აბა, რა ვქნა, ყური მიგდე. მეტეხისკენ რომელი დუქანიც იყო, იმაში ქვრივი გოგო მუშაობდა, მზარეულს ეხმარებოდა, მაროს ეძახდნენ. ეეეჰ, ეშხიანი, ლამაზი ქვრივი იყო! – იმ მაროსა ვყვარობდი და საღამოობით, თუ ამფსონებს არსად გადავყვებოდი, ერთთავად იმ დუქანში ვიჯექი. მე იქ დროს ვატარებდი და ძობა სადღა ჯანდაბას იქნებოდა, გადაბმული ძმაკაცები ვიყავით. არა, ხელობასაც ერთს მივდევდით – ვმხატვრობდით. სამხატვრო საქმე არ იშოვნებოდა – ვკალატოზობდით. ერთხელაც, გაზაფხული დგას. მე და ძობა იმ დუქანში ვსხედვართ. საღამო ხანია. მგონი, რომ ცხრაას შვიდი ან ცხრაას რვა

წელი იყო. ვსვამთ, პურსა ვჭამთ, დროს ვატარებთ. მედუდუკეები უკრავენ, ცოლაკა მღერის. მაგარი მომღერალი იყო. იმის სიმღერისთვის საიდან რა ხალხი არ მოდიოდა... იმას ვამბობდი, ბლომად მუშტარია, ერთი მაგიდაღაა ცარიელი, ჩვენს გვერდზე რომელიცა დგას – ისა.

კარებში შუატანისაზე მაღალი კაცი გამოჩნდა. კარგა რიგიანად ეცვა. იდგა, იქაურობას ათვალიერებდა. მერე გამოსწია და ამ ერთ თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. შევხედე და ვიცანი: სანამ შემოვიდოდა დუქნის გასწვრივ რამდენჯერმე აიარ–ჩაიარა. თეალი მაშინ მოვკარი და დამახსომდა. აქეთ მოვიხედე – ძობა იმ კაცს ისეთნაირად შესცქერის, მაშინვე ტანმა მიგრძნო, რამე დავიდარაბა უნდა ატეხილიყო. ამ დროს იმ კაცმაც გამოიხედა, ძობას შეეყარა. ისე მომეჩვენა, რომ შეკრთა, მაგრამ ბევრი არაფერი შესტყობია და რაც შეეტყო, იმასაც მალე მოერია. ეგ იყო და ეგა, სხვაში არაფერში გაყიდულა.

მერე სხვაგან გაიხედა, კიდევ სხვაგან გაიხედა და მსახურს ხელი დაუქნია, – მოდი, მომხედეო.

– რას მიაცივდი, მაგისი გალიბანდი მოგეწონა თუ ჩოხის თარგი?!

ძობამ ჩანგალი აიღო, ხელში ატრიალებს, ფიქრობს, თან თავისთვის რაღაცას ლაპარაკობს, მაგრამ ვერ მეყურება. – ძობას ვეუბნები:

– რასა ბუტბუტებ, კაცო, გამაგებინე, რაღა! – გუმანით უკვე ვიცოდი, აღაცნაირად იყო საქმე.

ძობამ იმ კაცს კიდევ ერთხელ გადახედა და მითხრა:

– ის არის!

– ვინ ისა?

ჩურჩულით თქვა:

– დათა თუთაშხია! – კარგა კი ვეღარა ვცნობ, მაგრამ ჩემმა მზემ, ის არის!

ერთხელ სიზმარი ვნახე, ვითომ თავზე ათუხთუხებული სამოვარი დამაცალეს. გაფუფქულ ვარიასავითა ვარ, მდუღარე წყალი კისერში, გულმკერდში წურწურით ჩამდის და ვერკი გავნძრეულვარ – სწორედ ისეთი რამე დამემართა. ეხლა რათა: რათა და, როცა ამდენი წელიწადი ძველბიჭობაზე და მამაძაღლობაზე ხელი გაქვს აღებული, ლუკმაპურს ხელობითა შოულობ, ცხოვრებას როგორღაც მიათრევ და უცბად ციხის სიმყრალე ცხვირში გეცეშა – უეჭველია, ფინთად გახდები! ჩემგან ძობას ღალატი არ იქნებოდა; ამდენი წლის ძმაკაცობას სანეხვეზე ვერ გადავაგდებდი, ყველაფერში მხარი უნდა ამება. ეს შემოსული კაცი თუ მართლა თუთაშხია იყო, ძობა არ დაიშლიდა – ან ერთი მოკვდებოდა, ან მეორე... ყურებში ბორკილის ჟღარუნი გამიდის, თან იმასა ვფიქრობ: რა ვქნა და როგორ მოვიქცე, როშ ეს შარი ძობასაც ასცდეს და მეცა–მეთქი.

– სულ იმას ამბობდი, გინდა მოხარშული მაჩვენონ, მაინც ვიცნობო...

– ეგრე მეგონა – რამდენი ხანი გავიდა, მიმავიწყდა... კაცო, პატარა ბიჭი ვიყაეი. ვაჰ, ის არის თუ არა?! ის არის – რა!

– რაც შენ ჩემთვის გიამბნია – ეს ის კაცი არ უნდა იყოს. ერთი ნახე ალშვანგის ნოქარსა ჰგავს! – ესე ვთქვი, მაგრამ ერთი მე ვიყავი მირზოევის პრიკაშჩიკი და მეორე ის – ალშვანგის ნოქარი.

– დათა თუთაშხია ცხენის და მაუზერის კაცია... ამ ქალაქურ სამიკიტნოში რა საქმე უნდა ჰქონდეს?! ნახე, თავი რანაირად უჭირავს, მართლა ქალაქელი გეგონება. არადა, ის არის! – მოიცა, შენ ეს კაცი ან აქ, ან სხეაგან სადმე, გინახავს?

კინაღამ ვთქვი, მინახავს რომელია, ბაზრის ძაღლივით ერთთავად აქა გდია–მეთქი!

– არ მინახავს.

ძობა ადგა, სიკა–მიკიტანთან მიეიდა დაბრუნდა და მითხრა:

– ამბობს, ამ დუქანში მაგისი შემოსვლა ეს პირველიაო.

უნდა გენახა, რანაირი გაფაციცებული იყო ძობა. მონადირე არა ვარ, არც ძაღლებისა გამეგება რამე, მაგრამ კვალზე დამდგარი მეძებარი მინახავს და ძობაც სწორედ ისე იყო. სკამზე ვეღარ ისვენებდა, ბორგავდა, ხან იმას ამობდა, – ეხლა თუ წამივიდა, ვეღარასოდეს შევხვდებიო, ხან იმას, – ვნახოთ და, ის არ იყოსო!.. მე ჩემი სადარდებელი მქონდა: დამეშალა ნუ იზამ–მეთქი?.. გამინაპირებდა, უჩემოდ რასა და როგორ მოიმოქმედებდა – სასამართლოზეღა გავიგებდი. ძაან ცუდ დღეში ჩავვარდი, რომ მეტი აღარ იქნება. ისე ვიყავი, ვითომ თავში წისქვილი მედგა – ხან რასა ვფიქრობდი, ხან – რას. აზრმა გამიელვა, ავდგები და ძობას ვეტყვი – ნეტავი შენა, ზიხარ, ლამის დამაღი ჩამოგივიდეს, ის არის თუ არაო? მიდი და ჰკითხე, რამეს ხომ გეტყვის? რასაც გეტყვის, იმაზე შეეტყობა ყველაფერი–მეთქი. გულში რა მქონდა: თუ ეს კაცი მართლა თუთაშხია იყო, მაშინ უეჭველში იმალებოდა და თავის ვინაობას ცოცხალი თავით არ იტყოდა – ეს ერთი. მეორე ისა, რომ ძობასაგანაც გაგონილი მქონდა, – თუთაშხია დიდი ეშმაკი კაციაო, და ძობას თქმაც არ იყო საჭირო, ზედვე ეტყობოდა, რა ხილიც იყო – ისეთებისას აუბ–დაუბამდა, რაშიაც მოინდომებდა, იმაში დაარწმუნებდა. კინაღამ გავბრიყვდი და ვუთხარი, – მიდი–მეთქი... კაცი როცა შეწუხებულია, ათას რამეში შეცდება. ნახე: ძობამ ეჭვი საიდან აიღო, ეს კაცი თუთაშხია არისო? გარეგნობით იცნო, არა? გამოლაპარაკებოდა – შეიძლება, ცოტათი ხმითაც ეცნო...

სანამ ამ გაწამაწიაში ვიყავი, დუქანში ახვრები შემოვიდნენ. სამნი იყვნენ... ვაჰ! კარგია, ქვეყანა იმათ არ დარჩათ. დაიღუპებოდა!.. ისეთი ხალხი იყო, რაც მამა–პაპას ათასი წელიწადი უშენებია – სამ დღეში დაანგრევდნენ. “დედა ნახე, მამა ნახე – შვილი ისე გამონახეო”. ჩარჩებმა, ქორვაჭრებმა ფულები იშოვნეს, ბეზმენები და არშინები გადაყარეს, ვითომ კაცები გახდნენ. თავის ლეკვებს გუვერნანტები და ბონები დაუქირავეს. აქეთ – სწავლა, იქით – პიანინო! ადამიანობა ვიღამ ასწავლოს – ბონამ, დედ–მამამ? ჯერ ერთი, არც ესმით, რომ კაცობა ცალკე სასწავლებელია. მეორე – ეგეთ დედ–მამას ადამიანური თავისთვის რა აქეს, შვილს რა უნდა შესძინოს?.. თხუთმეტი, თექვსმეტი წლისანი ქუჩაში გამოდიოდნენ, მარაქაში ერეოდნენ – დაბადებით როგორი ჯიშიცა ჰქონდათ, იმნაირ

საქმესა და საქციელს როგორა ხვეტავდნენ, იცი? აი, როგორც ხარაზმა თავისი დაზგიდან ანდამატით ლურსმნები ახვეტოს – ისე. განა კარგსა სწავლობდნენ? რაც რამე ფინთია – იმასა სწავლობდნენ. ეს იმიტომა, რომ ცუდი სისხლისანი იყვნენ. რიგიანი კაცის შვილი, სიტყვაზე, ხელოსანი კაცისა, თავისი ალალი შრომით პურის მჭამელი კაცისა, რაღა თქმა უნდა, რომ რაც კარგია, იმას აიღებს, ცუდს არ წაეკარება – სისხლი აქვს ეგეთი... როგორები იყვნენ, ასეთებისთვის არც კანონი იყო, არც სამართალი. უმწეოსა ნახავდნენ – გაგიხარია, არაფრისთვის აწყენინებდნენ, წიხლით ჩათელავდნენ. მჯობი გამოუჩნდებოდათ ან თუ თავისი უხეირობით კანონში გაეხვეოდნენ – მამები იქ არა ჰყავდათ? ფული აკლდათ თუ გავლენა და ნაცნობობა!.. ხედავ – მოდის, მოიტყლარჭება, გინდა ასი წლისა იყავი, ერთი გოჯით არ გაგეცლება. ეეჰ, ღმერთს ვენაცვალე ერთი დრო არავის შეარჩინა!

როგორც არი!.. იმას ვამბობდი, – სამი ახვარი შემოვიდა–მეთქი. დგანან გაფხორილები, ადგილს დაეძებენ და ადგილი კი არ არის. თითო ისეთი დედას ბიჭია, შეაყენო – სამოცდაათი, ოთხმოცი თუმნისა მარტო ტანსაცმელი ჩამოვა. ჯიბეშიც კიდევ სხვა იქნება. ეხლა, ახვრები რისთვის მოვიდნენ? სადღაც ჩაუცეცხლიათ და ცოლაკას სიმღერისთვის არიან მოსულები და ვერკი სხდებიან. ეს ამბავია, ტაშიკოლა შემოვიდა, ახვარს ხელი გაუშვირა, მოწყალება სთხოვა. ახვარმა ჯიბიდან რაღაც ამოიღო, ხელში ჩასჩარა, მოუჭირა, მუჭას არ ახსნევინებს. ტაშიკოლა ყვირის, ახვრები სიცილით იხოცებიან. მთელი დუქანი იმათ მაიმუნობას შესცქერის: ზოგი იცინის, ზოგს ვერ გაუგია, საქმე როგორ არის. ტაშიკოლამ გოლოს ახვარს ხელი ძალისძალად გამოსტაცა, დაიქნია, ვითომ დაფუფჩული ჰქონდა და იატაკზე პატარა ბაყაყმა მოადინა ტყაპანი... ძობა ისეთია, დანა დაარტყა – წვეთი სისხლი არ გამოუვა, ამნაირი რამეები ეჯავრებოდა... ძობას კაციც ამ ამბავს შეჰყურებს, არც იცინის, სახეზე არც ის ეტყობა, რომ სწყინდეს რამე. საცოდავ ტაშიკოლას პირი დაუღია და თვალებს აქეთ–იქით აცეცებს. მაშ, სხვას რას იზამს!.. აი, ეგეთები იყვნენ ახვრები: საცა საწყალსა და უმწეოს ნახავდნენ, იმათი მხიარულება და დროს ტარებაც იქ იყო. მაგათი პატრონის დედაც... მეორე ახვარმა ტაშიკოლას კაპიკიანი მისცა, მესამემ პაპიროსი ამოიღო, პირში ჩაუდო, მოაკიდებინა კიდეც. ტაშიკოლამ გაიხარა – პაპიროსი მდიდრების რამე იყო, ძვირი ღირდა, მადლობა თქვა, ახვრებს გაეცალა და სხვა მაგიდებს დაუარა. ცოტა ხანში ძოგას კაცთანაც მივიდა. ამან სკამი გამოუწია, დასვა, საჭმელი მისთავაზა, ღვინო დაუსხა. ტაშიკოლამ თავისი პაპიროსი მაგიდის კიდეზე ჩამოდო, საჭმელ–სასმელს მიაწვა. იქით გავიხედე – ახვრები ძობას კაცსა და ტაშიკოლას ჩუმ-ჩუმად გაგოჰყურებენ, რაღაცის მოლოდინში არიან. ძობას კაციც გაფაციცებული ჩანდა – ხან ახვრებს გახედავდა, ხან თვალებს მაგიდაზე დაატარებდა, ჰაერსა ყნოსავდა, თითქოს რამე იწვოდა და ვერ გაეგო, სუნი საიდან მოდიოდა.

ახვრებში რომელიც უფროსი იყო, იმან შალიკო–მსახური მოიხმო, ყურში რაღაც უთხრა, თვალით ძობას კაცისკენ მიანიშნა და სამმანეთიანი მისცა. შალიკო–მსახურმა ფული გამოართვა, თავი დაუქნია, – კარგიო, აქეთ გამოსწია. სანამ შალიკო მივიდოდა, ძობას კაცმა ტაშიკოლას პაპიროსი ცხვირთან მიიტანა, უსუნა და ახვრებისკენ ჯავრიანი თვალით გაიხედა.

შალიკო–მსახური მოვიდა, ძობას კაცს უთხრა:

– ბატონო–ჩემო! სტუმრები მობრძანდნენ, ადგილები არ გვაქვს და თქვენს მაგიდას თუ დაუთმობთ, აგერ, ა, სამ მანეთს გთავაზობენ... ჩემგან ნუ გეწყინებათ ნურაფერი, მსახური ვარ.

ძობას კაცმა შალიკოს სიტყვებზე ტაშიკოლას მხრჩოლავ პაპიროსს ისევ უსუნა და დინჯად ჩააქრო. როგორ ჩააქრო, იცი? ჯერ თითებით ცეცხლი გააგდებინა, მერე მაგიდაზე დაცემული წვეთი იპოვნა, ნამწვავი იმ წვეთს ციმციმად დაადო, დარწმუნდა, ჩაქრაო, და ჯიბეში ჩაიდო. როცა ამაებს მორჩა, შალიკოსთვის მაშიზღა მოიცალა.

– მარტო რომ ვიყო – სხვაა მაშინ. ორნი ვართ და უნდა დავეკითხო ამ კაცს. წადი, ბიძიკო, და ცოტა ხანში მოდი ისევ.

მსახურმა ულვაშებში ჩაიცინა:

– ამას რა უნდა კითხოთ, ბატონო, ეს მათხოვარია, ტაშიკოლაა. შაური რომ მისცენ მუხრანის ხიდამდე კინტოურის ცეკვით მივა!

ახვრებს მოლოდინი ჰქონდათ, წარბშეკრულები იყურებოდნენ.

– წადი, ბიძიკო. მოდი ისევ და გეტყვი მერე, – გაუმეორა ძობას კაცმა და თავის საქმეს მიჰყვა, შალიკოსთვის ყური აღარ უთხოვეგია.

– აყალმაყალი ატყდეგა, ეს კაცი ხელიდან წამივა, თორემ გინდ თამამშევის შვილები იყვნენ, ამ ახვრების ოთხში ავოყვანას გაყურებინებდი! – ჩაილაპარაკა ძობამ და გადააფურთხა.

ტაშიკოლა ჭამა–სმას მორჩა, ხელები გადაიფშენიტა, წასასვლელად მოემზადა. ძობას კაცმა სათუთუნე მიართვა. მათხოვარმა ნახა, – ჩემი წასვლა არავის ეჩქარებაო, თუთუნი გაახვია, ფეხი ფეხზე გადაიდო, რიგიანად მოიკალათა და გააბოლა.

ძობას კაცის საქციელი, სიმართლეს ვიტყვი, მომეწონა. ვიჯექი, ვფიქრობდი, – ნეტავი მერე რას იზამს, რას მოიმოქმედებს–მეთქი...

დუქანში ზახარ კარპოვიჩი შემოვიდა. ზახარ კარპოვიჩი გახსოვს?.. ასლამაზოვი. არ გახსოვს ელამ კარაპეტას ბიჭი? რანაირ ბეჭედს გინდა, გერბიან ქაღალდს გინდა, რასაც გინდა, იმას გაგიკეთებდა. მოგაგონდა?.. “ზახარ კარპოვიჩი” , იმისმა მზემ!.. კაცად ვინ აგდებდა?! ეგრე იმისთვის შეარქვეს, შორიდან დაგენახა – მინისტრი გეგონებოდა: შლაპა, გალსტუკი, ბუნიკიანი ჯოხი, ფეხზე გამაშები... ახლო ნახავდი, – ყველაფერი დაძენძილ–გაწყალებული ეცვა, იმის ტანისამოსს მეძველმანე უფასოდ არ წაიღებდა. თავის თავს ატყუებდა, რაღა. ჰო, შემოვიდა, დუქანი მოათვალიერა, დახლის ბოლოში დადგა. სამზარეულოს კარი ღია იყო, ვიღაცას ხელი დაუქნია, – გამოდი, საქმე მაქვსო. მარო გამოვიდა, ჩემი ქალი. ზახარ კარპოვიჩმა ყურში რაღაც უთხრა, მიტრიალდა და დუქნიდან გავიდა. მე ეს საქმე არ გამკვირვებია – ჩემი მარო და ზახარ კარპოვიჩი კარის მეზობლები იყვნენ, მაგრამ ძობას კაცმა იმათ ჩურჩულს ისეთნაირი თვალი ესროლა... უნდა გენახა, როგორი.

– ჰა, ძობაჯან, რა კამბეჩივით იბღვირები, განა რა მოხდა? – ისე ვეუბნები, რომ გავამხიარულო და თანაც გუმანი გავუგო. – რასა ფიქრობ, რაზე მოგიწყენია!

– რასა ვფიქრობ? რასა და, ნახე, მარჯვენა ჯიბეში რევოლვერი უდევს. მე რით მივიდე?.. ცარიელა ხელებით მივიდე?!

ცივმა ოფლმა დამასხა. ეს ნათქვამი იმნაირი იყო – ძობა თავის სიტყვას აღარ გადაუხვევდა, თუნდ ეს კაცი თუთაშხია კი არა, გაბრიელ მთავარანგელოზი ყოფილიყო. როცა კაცთან მთელი სიცოცხლე და ათას რამეებში ერთად ხარ, ერთ სიტყვაზე იმისი ყველაფერი დიაკვანივით იცი. ეგრეა... არუთინოვის შვილში გიორგა მათიაშვილმა და ბიჭებმა ოცდაათი ათასი აიღეს და მერე საქმე ისე წავიდა, რომ ყველამ კატორღაში ამოყო თავი. ძობამ ეჭვი, მეთულუხე ჩიხო იყო, იმაზე აიღო, – ამან გასცაო. ვეუბნები, – ვინ გითხრა, საიდან იცი, მაგისი გაცემულები არიან, თუ სხვისი, და რას ერჩი, რათ უნდა მოკლა–მეთქი. ძაღლად ვინ ჩამაგდო, ვისი ტიკი–ტომარა ვიყავი. ორი წელიწადი იმ საქმეს უტრიალა და ერთხელაც გამომიცხადა, – ნაღდად ვიცი, ის ბიჭები მაგისი ჩაყრილები არიანო. ეხლა, როგორ გითხრა, რანაირად ვეხვეწე, ააგდო ქვა და შეუშვირა თავი, – მაგნაირი კაცის სიცოცხლე არ იქნებაო. იპოვნეს მეთულუხე ჩიხო თავგაჩეხილი. ძობას ვერაფერიც ვერ გაუგეს. ესეთ საქმეებში ბედი ჰქონდა–მეთქი, აკი გითხარი. ის მეთულუხე ჩიხო იყო, ავი საქმე სხვას გაუკეთა. ჩვენ გვერდით კაცი იჯდა, იმ კაცის ნახვას ძოვა მთელი სიცოცხლე ნატრობდა, თავისი ოჯახის ამომგდებად მიაჩნდა და გაუშვებდა? არ გაუშვებდა და, ბედი ისეთი რამეა, დღეს გაგიცინებს. ხეალე?..

– რანაირი გულღვარძლიანი კაცი ხარ, ძობა! – სხვა რა უნდა მეთქვა. თავისას მაინც არ დაიშლიდა, მოსახდენი უნდა მომხდარიყო. ეხლა მარტო იმისი ფიქრი მქონდა, რომ საქმე სუფთად გაკეთებულიყო.

სამზარეულოდან მარო გამოეშურა, ძობას კაცთან მივიდა და უთხრა:

– თქვენ რომ ელოდებით, იმ კაცმა შემოგითვალათ, შინა ვარ, მოდითო.

თუთაშხიამ მაროს თავი დაუქნია და სთხოვა, მსახური გამომიგზავნეო.

შალიკო–მსახური მოვიდა.

– მოგვეცი ის სამი მანეთი, რომ გვაძლევდი, და დავცლით ადგილს! – უთხრა ძობას კაცმა.

შალიკომ ფული ამოიღო, გაუწოდა.

– დადე მანდ! – ძობას კაცმა თითით ანიშნა, სადაც უნდა დაედო.

მსახურმა ფული მაგიდაზე დადო.

– რამდენია ჩვენზე?

შალიკომ იანგარიშა, თქვა, რამდენიც იყო.

ძობას კაცმა დანახარჯი გადაიხადა და ტაშიკოლას უთხრა:

– აიღე ეგ ფული. შენია ეგ სამი მანეთი... აიღე და წადი მალე, თვარა წაგართვან, იქნება, ისეთი ხალხი ჩანს ეგ ხალხი.

ტაშიკოლამ ფული ჯიბემი იტუცა და მოუსვა.

ახვრები ნაყიდი ადგილისკენ წამოვიდნენ. ძობას კაცი ჯერაც არ ამდგარიყო – თავზე წამოადგნენ.

– ვითომ რაო, შენმა თავის გახეთქამ, ჩვენი ფული ბარძაყზე გიკმენდა? – თქვა უფროსმა ახვარმა.

ძობას კაცმა ის ხალხი ცივი თვალებით მოიარა წამოდგა და უპასუხა:

– თქვენი აღარ იყო, ჩემი იყო და მივეცი, ვისაც მინდოდა!

ეგ იყო – მიბრუნდა და კარისკენ გაემართა. როცა დუქნიდან გავიდა, ერთმა ახვარმა ძალიან მწარე გინება თქვა და გამოეკიდა. მეორემაც წამოიწია, მაგრამ უფროსი რომელიც იყო, იმან მხარზე ხელი დაადო, დასვა.

– აყალმაყალი არ გინდა! დააქოთაქებს და მოვა.

ძობამ თვალი მიქნა. წამოვდექით, ჩვენც იმ კაცებს მივყევით. კარში გასვლა იყო – გვესმის, ახვარი ძობას კაცს უძახის, – დადექიო!

ძობას კაცი გაჩერდა, მობრუნდა:

– რა გნებავთ, ბატონო!

ახვარმა სილა გააწნა და დააყოლა:

– ეს არის, სხვა არაფერი!

ის ახვარი კაი ვირი იყო და მაგარიცა სთხლიშა.

– კარგია, მეტი თუ არაფერი! – თქვა ძობას კაცმა მიბრუნდა და წავიდა.

– ვაჰ! – ახვარმა და ძობამ ერთადა თქვეს ესა.

ძობას კაცმა თხუთმეტი, ოცი ნაბიჯი გაიარა. ახვარი ხელახლა გამოეკიდა, ისევ დაუყვირა, – დადექიო! იმან ნაბიჯს უკლო. ახვარი უკვე ზედ იყო მისული, ძობას კაცი მოულოდნელად შემოუტრიალდა, მუცელზე რევოლვერი მიაჭირა. ახვარმა რაღაცა ხმა ამოუშვა და ხელები მაღლა წაიღო.

– ჩამოუშვი, არ უთქვამს არავის ხელები მაღლა აწიეო! – ახვარმა ხელები ჩამოუშვა.

– რა გინდა ჩემგან, ბიძიკო? – წყნარად უთხრა ძობას კაცმა. – ყველაფერს ვერ იყიდის კაცი ამ ქვეყანაზე ფულად. ეს მინდოდა, გაგეგო, იმიტომ მივეცი შენი ფული მათხოვარს. ჯერ იქ გამლანძღეთ, მერე დამეწიე და სილა გამარტყი. არ გითხარი არაფერი. ერთი, რომ არ მეცალა შენთვის. მეორე ის, რომ გაპატიე, გამოფხიზლდება და მიხვდება, გლახად რომ იქცევა, ვიფიქრე. არ მეშვები მაინც. კაცმა თუ გაპატია, არ უნდა გეგონოს, ვითომ სუსტია და იმიტომ დაგითმო. ა, უყურე, ჩემს ხელში ხარ და რასაც მინდა, იმას გიზამ. მინდა – გაგლანძღავ, მინდა – გაგლახავ, მინდა – მოგკლავ, მინდა – ამას მოგაწევინებ ბოლომდე, იფუყებს თოფის–წამალი და იმ სიცილს აგერ, ამ ხალხთან ერთად ვიცინებ, შენ და შენს ამხანაგებს თქვენთვის რომ გინდოდათ, – ძობას კაცმა გულის ჯიგიდან ტაშიკოლას პაპიროსის ნამწვავი ამოიღო. – გააღე პირი! მასე... მოუკიდე ცეცხლი!

ახვარმა ისეთი ფაციფუცი ატეხა, იტყოდი, – ცეცხლი ნამესტნიკისათვის უნდაო.

– რასაც მინდა, იმას გიზამ. ჩემი ნებაა ყველაფერი. რატომ, თუ იცი? იმიტომ, ბიძიკო, რომ ძალაა ჩემს ხელში! – გადააგდე მაგ სიბინძურე, გამოიღე პირიდან, რომ გელაპარაკები!.. მასე... რას ვიზამ, თუ იცი? კიდევ გაპატიებ. წადი ახლა, ეცადე, დაივიწყო მასეთები და შენც თუ გაწყენინა ვინმემ, გახსოვდეს, პატიება აჯობებს მაგიერის გადახდას. წადი ახლა!

ძობას კაცი ახვრის წასვლას ელოდა. ახვარი იდგა, აზრზე ვერ მოსულიყო.

– წადი ახლა, რომ გეუბნებიან. – გაუმეორა ძობას კაცმა და თავის გზას გაუდგა.

ახვარმა თავი ჩაღუნა, ნელი ნაბიჯით დუქნისკენ გასნია.

დროგმა ჩამოიარა, იქაურობა ბრაგაბრუგით აიკლო.

– ნახე? – ვთქვი მე. – მაგაზე ცუდი კაცობის თქმა იქნება?

ძობამ თითქოს გამოიღვიძაო, სახეზე ხელები მიისვ–მოისვა, კბილები დააკრაჭუნა და მითხრა:

– ეგ ეხლა ზახარ კარპოვიჩთან მიდის. შორიახლოს მიჰყე. შევიდეს. გარეთ დამელოდე. შინ მივალ, იარაღს წამოვიღებ. თუ გამომასწრო, კიდევ მიჰყევი, გაიგე, სადა დგას. არსად დაგეკარგოს! მიდი.

ძობამ მეტეხისკენ გაჰკრა.

ზახარ კარპოვიჩი ჩუღურეთში იდგა. რომელ სახლში იდგა, იცი? გეო ასლამაზოვის სახლში... მაგასაც მოგაგონებ: ქალაქში ერთი ჭაღარა, წითური კაცი დადიოდა, ზურგზე ერთთავად ტომარა ეკიდა, საცა აგურსა ნახავდა, იმ ტომარაში სდებდა, შინ მიჰქონდა. ლამაზი, მოხდენილი კაცი იყო, მაგრამ ჭკუა აკლდა. მალ–მალე იტყოდა ხოლმე.

გეო ასლამაზოვ,

სახეწითელო, ლამაზო!

შენ გიჟი ეძახე. იმან ეგრე თითო–თითოდ მოგროვებული აგურებით ჩუღურეთში ოროთახიანი სახლი აიშენა. ზახარ კარპოვიჩი გეო ასლამაზოვის ძმისწული იყო. ბიძის სიკვდილის შემდეგ ის სახლი მემკვიდრეობით მიიღო. ერთ ოთახში თავად იდგა, მეორეს აქირავებდა. იმ მეორე ოთახში ჩემი ქვრივი მარო ცხოვრობდა. მაროსთან ყოველ დღემეორე, დღემესამე დავდიოდი, გზაც კარგა ვიცოდი, სახლიცა და ძობას კაცს არხეინად მივდევდი. ძალიან ნელა, ფრთხილად და ეშმაკურად მიდიოდა. ეტყობოდა, იმისიც ეშინოდა, ხომ არავინ ამეკიდაო, და იმისიც – გზა არ ამერიოსო. თვალი შორიდან მეჭირა. როგორც უნდა ევლო – იქ უნდა მისულიყო. ესე გულდაჯერებითა ვარ და, ამასობაში დამეკარგა! ჯერ აქეთ–იქით ვაცეცე თვალები მერე ვივარაუდე, იქნებ წინ წავიდა და სიბნელეში ვერა ვხედავ–მეთქი. ფეხს ავუჩქარე. მაინც არა ჩანდა. ეგრე ძუნძულ–ძუნძულით ზახარ კარპოვიჩის სახლსაც მივადექი, მაგრამ ძობას კაცისა კვალიც არსად იყო. დავაღე პირი და დავდექი. რაღა მექნა!

ცოტა ხანი გავიდა, არ ვიცი, უკან რამ მიმახედა. მივიხედე და ძობას კაცს თვალი მოვკარი. თვალი მოვკარი–მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ნაპერწკალივით გავარდა და გაქრა. კინაღამ იყო, თავში ხელი შემოვიკარი, მივხვდი, – მომატყუა; შემამჩნია, უკან რომ მივდევდი, დამემალა, წინ გამიშვა და თავად გამომყვა. კვალდაკვალ მე მივდევდი და საქმე ისე შემობრუნდტ, რომ ის გამომყვა.

ამ ამბავს კარგი მოფიქრება სჭირდებოდა. ყური მიგდე, რანაირ დღეში ჩავვარდი. ძობას კაცმა ზახარ კარპოვიჩთან მისული და ბრინჯივით დაბნეული მნახა. ახვართან ლაპარაკის დროსაც შემნიშნა. საქულა მჭედლის დუქანში მეცა და ძობაც გვერდზე ვეჯექით. ლაპარაკი არ უნდა, დარწმუნდა, რაღაც ინტერესი გვქონდა, მაგისგან რაღაც გვინდოდა. ეხლა აქ, ზახარ კარპოეიჩის სახლთან ვიდექი – არც იქით მივდიოდი, არც აქეთ ვიძვროდი. ძობას კაცი ამ სახლში შემომსვლელი იყო? ქუდი შეეგდოთ, გამოსატანად შევიდოდა? ესეც იქით იყოს; ორთავემ ვიცოდით, რომ ერთმანეთს ვუთვალთვალებდით. გამოვდევნებოდი? ჯერ საკითხავი ის იყო, ვინ ვის გამოედევნებოდა! დაეწეოდი? იმას იარაღი ჰქონდა, მე ხელცარიელი ვიყავი. მქონოდა კიდეც იარაღი, დავწეოდი კიდეც – რა მეთქვა, რა მინდა–მეთქი?.. გულზე მაინც რაღაცნაირად მსუბუქად ვიყავი. ალბათ, იმიტომ, რომ რახან მიგვიხვდა, წავიდოდა, აგვეცლებოდა, შარს გადავრჩებოდით.

რამდენი ვიფიქრე, იმაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, რომ ამ ჩასვრილი საქმისთვის თავი მიმენებებინა, ზახარ კარპოვიჩთან შევსულიყავი და სანამ ძობა მოვიდოდა, ძობას კაცის ნამდვილი ვინაობა, ძალით იქნებოდა თუ ნებით – გამეგო.

ამაზე მერეც ბევრს ვფიქრობდი ხოლმე და მუდამ იმ აზრამდის მივდიოდი, რომ სწორად გადავწყვიტე. შეიძლება, იმდენი ტვინი არა მქონდეს, რომ უკეთესი რამე მოვიფიქრო, მაგრამ ნაღდია, იმისთანა საქმეში ყველა კაცი ისე მოიქცეოდა.

უკან არც მიმიხედია – დავადე თავი და ზახარ კარპოვიჩის ალაყაფის კრიჭა შევაღე. ერთ–ერთი ფანჯრიდან შუქის ვიწრო ზოლი სცემდა – დარაბა კარგა არ იყო ჩაკეტილი. კარზე მივუკაკუნე თუ არა, ოთახში სინათლე ჩაქრა: დაიმალა ზახარ კარპოვიჩი! რახან დაბარებულ კაცთან დათქმული კაკუნი ვერ იცნო, დამალვა არჩია.

კიდევ დავაკაკუნე.

ხმა ვინ გამცა.

– კარპოვიჩ, გააღე! ვიცი, შინა ხარ. ნუ გეშინია, ვასო ვარ, ვასო! – ხმადაბლა შევძახე.

რაღას იზამდა.

– კტო ტამ?

– გააღე, ვასო ვარ!

– კარები შეგეშალა, ვასოჯან. მაროს კარები – რიადომ, თანაც ჯერ შინ არ იქნება დუქანშია!

– კაცო, გააღე–მეთქი, საქმე მაქვს.

კარპოვიჩმა ეხლაც არ გააღო:

– ვასოჯან, პაჟალსტა, სხვა დროს მოდი, ეხლა ოთახში ასობა მყავს... ქალი, რაღა!

– კარპოვიჩ! – ძალიან გავბრაზდი, რომ მეტი არ იქნება. – თუ გამიღებ, ალალად ვამბობ, საქმე მაქვს, გკითხავ და წავალ. თუ არ გამიღებ, კარს შემოვიტანან, მაგ შენი ქალით დავიწყებ და კარპოვიჩით მოვრჩები!

– ნი მაგუ. – თაეისაზე დადგა, მამაძაღლი.

მაშინ წიხლი ავიქნიე, კარის გვერდით ფანჯარა იყო, იმისი შუშა ლაწალუწით ჩამოვიღე.

– ატ–კრივაიუ! – აღარ გატეხო, ატ–კრივაიუ!

ნათქვამი არა ჰქონდა – კარი ღია იყო!

– პრაშუ, ბატონო!

სანამ ოთახში ფეხი შევდგი, კარპოვიჩი უკვე ლამპას ანთებდა. აანთო, გაასწორა და ვითომ წყალდიდობაში დამხრჩვალი შეილი საღ–სალამათი დაუბრუნდი, ისე გაიხარა:

– ვაჰ! ვასოჯან მართლა შენა ხარ?.. კავო ია ვიჟუ. არა, შენა და ძობა ეხლახან დუქანში არ ისხედით? დაჯე, რაღა. ზა მებლიროვკუ – პარდონ!

– აკი ქალი მყავსო! აბა, ასობა?

– ეჰ, ვასოჯან, კლასიჩესკი განათლება მიმიღია – ჩემისთანა კაცი სხვანაირად იტყვის?.. იმას იტყვის, ეხლა არა მცალია, ვ დრუგოი რაზ მოდიო? ეგ არაფერი. სულაც არაფერი. შენ ისა თქვი, ამ შუაღამეზე რა გაგჭირვებია, ჩემ მაგუ სლუჟიტ.

ოთახს თვალი მოვაელე, კარპოეიჩს მივაციედი:

– იმ კაცის სახელი და გვარი თქვი!

– რომელი კაცისა, ვასოჯან?

– რომელიც მაროს პირით დაიბარე და აქ უნდა მოსულიყო!

– ვაი! შტო ზნაჩიტ მოსულიყო... აღარ მოვა?..

– აღარ მოვა!

კარპოვიჩს ფერი წაუვიდა, ხელისგული პირზე აიფარა და გაინაბა.

– ჰა დროზე!

– დამღუპე, ვასოჯან?.. მართლა აღარ მოვა, თუ შუტკაა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემს სიტყვას თავი ბანისკენ უკრა და რაღაცეების ღერღვას მოჰყვა.

კარპოვიჩისთანა ცბიერი, ეშმაკი ყალთაბანდი მაშინდელ თბილისში მეორე არ იყო. შევატყე, თავის დაძვრენა უნდოდა... არა, ის კაცი რომ ხელიდან წაუვიდა, ამას მართლა ნანობდა. როგორ იყო და როგორ არა, მე იმ კაცის ვინაობა მჭირდებოდა და დაწყებული საქმე ბოლომდის უნდა მიმეყვანა; კედელთან კარპოვიჩის ვერცხლისბუნიკიანი ჯოხი დავინახე, ის ჯოხი მოვიმარჯვე და ვთქვი:

– იტყვი თუ არა!

– ვაჰ! ერთი რომ – არ ვიცი. მეორე ისა, ვიცოდე – მაინც არ გეტყოდი, პრაფესიონალნი ტაინა!

– გაიხადე! – ზეზე წამოვვარდი კარპოვიჩს თავზე ჯოხით წავადექი.

ყალთაბანდი იანერის ბელურასავით მოიბუზა, მოიკუნტა, ისეთი საბრალო გახდა, რაღა დავმალო და, შემეცოდა კიდეც.

– რა გავიხადო?..

– ყველაფერი გაიხადე!

კარპოვიჩი უმალვე გახდას შეუდგა და თან აილაპარაკა:

– პოლიციუ პაზავუ!.. – შევატყე, პოლიციის ხსენებაზე ჟრუანტელმა დაუარა.

– პოლიციუ, თორემ, შენმა მზემ, შენი გულისთვის ნახევარ თბილისს ბრატსკის კატორღაში გაისტუმრებენ, მეორე ნახევარს სახრჩობელაზე გაიყვანენ. გაიხადე, მალე!

ყვირილი საჭირო აღარ იყო; ჟილეტი და პერანგი უკვე მკლავზე ეკიდა, ხელები ქამარზე ეჭირა და თვალებში შემომცქეროდა, – შარვალიც გავიხადო თუ იყოსო? ცალი წარბი ავწიე – კარპოვიჩი თვალის დახამხამებაში დედიშობილა დარჩა.

– რას მიპირებ, ვასოჯან?

მაგიდას მკლავი მოვუსეი, ზედ თუკი რამე იყო – ძირს გადმოვყარე.

– დაწე. პირქვე დაწე!

– ვაჰ, ვასოჯან, როზგი რათ გინდა, ბურსაა თუ ბატალიონი? – თქმითა თქვა, მაგრამ მაგიდაზე პირქვე დაემხო და ხელები ისე დაილაგა, როგორც მაიდანში მექისეს დაუწვებიან ხოლმე.

ისეთებისა დავცხე – მატლივით დაიკლაკნა.

– ინკვიზიცია! პრაიზვოლ! – იძახდა კარპოვიჩი და ცრემლები ღაპაღუპით გადმოსდიოდა.

ხუთი დავარტყი, ის ერთადერთი სკამი მივიდგი, ჩამოვჯექი და წყნარად ვკითხე:

– ვინ არის და რისთეის დაიბა ე..

– კაცო, რატო არა გჯერა, გვარ–სახელი არ ვიცი. ქუთაისიდან ბუკოვსკიმ გამომიგზავნა, ცარიელა ზაგრანიჩნი პასპორტი უშოვნე, ბეჭედი უქენი და აქ მე შევამსებ, რა გვარზეც საჭირო იქნებაო. კლიანუს ჩესტიუ! ჩემი საქმე – კნიჟკა ი პეჩატ, მეტი არაფერი!

ამნაირ საქმეებში ეგრეცა ხდება, ვიცოდი, მაგრამ აზრზე მოვედი, რომ ძობას კაცი ხელიდან წაგვივიდა, ბრაზი მომედო, წამოვხტი, ჯოხი ავწიე, კარპოვიჩი წინდაწინ დაიკლაკნა და ამ დროს, პუპლუზ – ძობას კაცმა კარი შემოაღო!

ჯოხი დავუშვი. გავშრი. გავშრებოდი, მაშ რა იქნებოდა! ჯერ ერთი, არ მოველოდი. მერე, რა დასამალია, რაც მე თუთაშხიაზე მქონდა გაგონილი იმისი ნახევარი ყოფილიყო მართალი – მიდი და ნუ გაშრები! ამასაც თავი გავანებოთ, იმდენ რამეში გამოვლილ კაცს კარი ღია უნდა დამრჩენოდა? – ერთი სიტყვით, ტუტუცივით ვიყავი და სულ ის ფიქრი მქონდა, – ნეტავი არ მოსულიყო–მეთქი. კაცო, პირდაპირ საკვირველია, მთელი საღამო ვერაფრით ვერ გამეგო, რა მინდოდა. თუ დავინახავდი, რომ ძობას კაცი ხელიდან წამივიდა, – ბრაზი მახრჩობდა, – ეს რანაირად დამემართა–მეთქი. თუ თვალწინა მყავდა და ვიცოდი, ვერსად წაგვივიდოდა, – ნეტავი დაიკარგოს, თვალით აღარ ვნახო–მეთქი. შიში არასოდეს არა მცოდნია – ელდა ვიცოდი. მაშინაც შიმი არ იყო, ელდა მეცა. იმ ელდამ გადამიარა თუ არა, გავიფიქრე, ეს კაცი აქაურობას ეხლავე თუ არ გაეცალა, საცაა ძობა მოვა და სისხლი დაიღვრება–მეთქი.

ძობას კაცი მოგვიახლოვდა. ხან მე მიყურებდა, ხან პირქვე წაწოლილ ზახარ კარპოვიჩს.

– პრიშოლ. – კარპოვიჩს იმისი მოსვლა ისე გაუხარდა, მეგონა, ახტებოდა და ჩაეხუტებოდა...

მაგიდიდან ისკუპა, ნიფხავ–პერანგი ჩაიცვა, ფეხები შარვალში გაუყარა, თვალის დახამხამებაში ისე იყო, გინდა რაუტზე წამოგყვებოდა... თავისი გამაშებიც კი გაიკეთა. ცირკში ერთი კაცი ვნახე, ბარე ასნაირი ტანისამოსი ხუთ წუთში გამოიცვალა. კარპოვიჩის სიმარდე იმ კაცსაც კი შეშურდებოდა.

– პრიშოლ, გალუბჩიკ. – კარპოვიჩს კუთხეში სკივრი ჰქონდა მიდგმული, იმ სკივრს დაეჯაჯგურა, გამოწევა დაუპირა.

– ვინ ხარ და რაში გჭირდება ჩემი ვინაობა? – მკითხა ძობას კაცმა.

ის “ინკვიზიცია” და “პრაიზვოლი” თავიდან ბოლომდის მოსმენილიცა ჰქონდა და ნახულიც! ერთი წუთით გავფუჭდი მაგრამ თავს დროზე მოვერიე და ვკითხე.

– დათა თუთაშხია ხარ?

ზახარ კარპოვიჩმა ამ გვარ–სახელის გაგონებაზე სკივრს ხელი გაუშვა, ზედ ჩამოჯდა და ძობას კაცს პირდაღებული მიაცივდა.

– კატორღაში თუ ხარ ნამყოფი? – მკითხა ძობას კაცმა.

თავი დავიქნიე, – ნამყოფი ვარ–მეთქი.

– რაზე მოგცეს?

– ყალბი ფულის მოჭრაზე... – ამ კაცმა ხელში ამიყვანა და თავის ნებაზე მატრიალებდა. დავაპირე მეთქვა, – რა შენი საქმეა, ვიყავი კატორღაში თუ არ ვიყავი! თქვი თუთაშხია ხარ თუ არა–მეთქი, და ამის მაგივრად რა ვთქვი, საიდან იცი–მეთქი?

– ბორკილი გაქვს ნათრევი. სიარულში გეტყობა.

მდია და მარტო იმას კი არ უყურა, საით მივდიოდი ან სად მოვედი. ისიც შენიშნა, რომ კატორღაში ნამყოფი ვარ. ეხლა იმასაც შემეკითხებოდა, სად, რა საქმეები მიკეთებია და, ვინ იცის, მათქმევინებდა კიდეც. მერე თავს მატარებელზეც გამაცილებინებდა, ხურჯინებს ვაგონში ამატანინებდა, აბაზს მომცემდა და გამომისტუმრებდა...

– თუთაშხია ვარ. დათა თუთამხია ვარ. რა გინდა მერე.

– ძობა ძიგუა გახსოვს?

– კი მახსოვს. ის იყო, შენ რომ გახლდა?..

– ის იყო.

თუთაშხია დაფიქრდა. მერე თვალი თვალში გამიყარა და თქვა:

– მერე?

– მერე ისა, რომ საცაა შემოვა. შენ მოსაკლავად მოვა... დაუნდობელი კაცია, უკან არ დაიხევს. აბა, რა გითხრა, რომელი დაასწრებთ, მაგრამ სისხლი დაიღვრება, ნაღდია.

კარპოვიჩი სკივრიდან ნაკბენივით წამოვარდა.

– შტო?! ჩემ სახლში უბიისტვა?.. სველ საქმეში გინდათ გამხვიოთ?! პალიციუ პაზავუ, გარადავოი!..

– წყნარად!..

– დაჯე, ფარმაზონობას მოეშვი, შენი...

ზახარ კარპოვიჩი თავის სკივრზე დაეშვა, გაინაბა.

თუთაშხიამ პატარა ხანს იყუჩა და მომიბრუნდა:

– ჩემი მოკვლა უნდა ძობა ძიგუას?.. რატომ?

– ეგ თქვენ ორმა უკეთ იცით.

– რა ვქნა მერე მე, რას მეტყვი, როგორ მოვიქცე?

– გაათავე შენი საქმე და აქედან წადი სანამ მოსულა!

თუთაშხიამ ჩაილაპარაკა..

– ვიფიქრებ მე.

ჯიბიდან სამი ასმანეთიანი ამოიღო, კარპოვიჩს გაუწოდა და უთხრა:

– მო ეცი ის... რისთვისაც დამიბარე.

კარპოვიჩი რისი კარპოვიჩი იქნებოდა, ყოველნაირი საქმიდან თავისი ხეირი არ გამოეტანა; რა უთხრა, არ იტყვი?..

– იმ კაცმა შემოგითვალათ, მარტო კნიჟკა ორმოცი თუმანი მიზისო და ბეჭედიც ათი თუმანი – სულ ორმოცდაათი თუმანი უნდა. ნაკლებში არ იქნებაო! კლიანუს ჩესტიუ. რახან საქმე ცოტა სხვანაირად წავიდა, მე ჩემ კომისიონებზე ხელი ამიღია, არაფერიც არ მინდა. ნი კაპეიკი ბოლშე!

გაწუწკებულმა ჩარჩებმა იციან – საქონელს გაჩვენებენ, მოგირიგდებიან, ფულის მოსატანად წახვალ, დაბრუნდები და გეტყვიან, – ამ საქონლის პატრონმა, მაგ ფასში ვეღარ მოგცემთ, ამდენი და ამდენი უნდაო. საქონლის პატრონი თავად არის, მაგრამ გატყობს, ინტერესში ხარ, მეტი აგძვრეგა. რის კაცი, რომელი კაცი, რომელი კომისიონები და ბეებიო... კარპოვიჩმა დაინახა, – ეჩქარებათ, ოც თუმანზე ლაპარაკს არ დაიწყებენო, და ფანდები დაყარა. გული მომივიდა, მაგრამ დარდი არაფრისა მქონდა, ოღონდ ეს კაცი აქაურობას მალე გასცლოდა, კარპოვიჩს გინდ ასი თუმანი გადაეხდევინებინა.

თუთაშხიამ ჯიბეები ღიმილ–ღიმილით ამოიბრუნა, კიდევ რვა თუმანი მოაგროვა.

– ჰა ესეც, არ მაქვს მეტი, თვარა არ გალაპარაკებდი, მოგცემდი.

– ნი მაგუ, გალუბჩიკ. თორმეტი თუმანი მე დავადო? ნი მაგუ.

კაცო, საქმე წამებზე ეკიდა, ეს კიდევ – ნი მაგუო? ეგეც არ იყოს, გავუგე, კარპოვიჩს რის იმედიცა ჰქონდა. რისი და, ვასოს ამ კაცზე მეტად ეჩქარება, ამოიღებს და მომცემსო! მქონოდა კიდეც – არ მივცემდი. მივცემდი კი არა? ეფიქრობდი, თუთაშხია წავა, დავრჩები და ზახარ კარპოვიჩს იმ ფულს ან სულ წავართმევ, ან ნახევარში ჩავუდგები–მეთქი. უარესის ღირსიც იყო.

– კაი, აბა, იყოს ეს ოცდათვრამეტი თუმანი შენთან. წავალ და მოვიტან კიდევ თორმეტ თუმანს მე. – თუთაშხიამ ფული მაგიდაზე დაყარა, მე მითხრა: – ძობამ დამიცადოს პატარა ხანს, მოვალ უსათუოდ მე, – და კარისკენ გასწია.

თუთაშხიას დაბრუნება და ძობასთან შეყრა მინდოდა?!.. არა და ისეთი კაცი ჩანდა, უეჭველად დაბრუნდებოდა... ვისკუპე, ჯოხს ხელი ვტაცე და სანაშ ვინშე რამის თქმას მოასწრებდა, კარპოვიჩს დავუშინე. თანა ვცემ, თან მუხლებით თავისი სკივრისკენ მიხოხავს. თანა ვცემ, თან თავის სკივრს ეჯაჯგურება. სკივრს სახურავი ახადა, ქაღალდევში გახვეული პასპორტი ამოიღო – მე მაინცა ვცემ. მაგიდაზე დადო – მაშინღა მოვეშვი. იმოდენა ხანი ვცემე – არც დაკლაკნილა, არც კრინტი დაუძრავს, ვითომ ვერცა გრძნობდა. ეს იმიტომ, რომ ნამდვილი შიში ნახა, სიკვდილი დაინახა, არტისტობის იშტა გადაუვარდა.

– რატომ ქენი მასე. მეც შემეძლო ეგ, თუ საჭირო იქნებოდა, – მითხრა თუთაშხიამ.

– კაცო, რატომა ვქენი და აიღე შენი პასპორტი და წადი, რაღა!..

სიტყვა გამიწყდა: თვალებში დავუნახე, არსად არ იყო წამსვლელი. ჭკუამ მითხრა, ამ კაცის წასელა არ იქნებოდა, ეს კაცი ვერავისა და ვერაფერს გაექცეოდა.

თუთაშხიამ მაგიდასთან სკამი მიიდგა, დაჯდა და კარპოვიჩის ნახელავს დაუწყო თვალიერება.

ვისაც გამოუცდია, კვერს დამიკრაეს – გაჭიანურებულმა შიშმა და საფრთხემ გაპარვა იცის. გაპარვა როგორ? ერთი ისეთი საათიც დადგება, რომ ხედავ, სიკვდილია თუ რაც არის, ფეხებში გებლანდება, ერთთავად შენთან ტრიალებს, მაგრამ ამ დროს შენ რაზე ფიქრობ, იცი? რაზე და, ვთქვათ, ბალღობაში კარგი ჯილა კოჭი გქონია და გაგონდება, მტკვარზე საბანაოდ იყავი, ის ჯილა წყალში გადაგივარდა. ან კიდევ, თითებზე იყურები და გიკვირს, ფრჩხილები აყვავებული გქონდა ხოლმე, ეხლა ყვავილები ჩაგიქრა. სად წავიდა?.. სიკვდილია თუ რაც არის, ამ დროს ფეხებში დაგიძვრება, მაგრამ შენთვის უკვე სულერთია, მოვა თუ არ მოვა, მოხდება თუ არ მოხდება... აი, ამნაირ გუნებაზე დავდექი.

მივედი, მეც იმ პასპორტში ჩავიხედე. თუთაშხიამ პასპორტი გამომიწოდა, – შენცა ნახე, ვარგა თუ არაო. კარგი ნახელავი იყო. კარპოვიჩი სუფთად მუშაობდა, ნიჭი ჰქონდა – რაც მართალია, მართალია.

რაღაც გაჭრაჭუნება გავიგონე, მაგრამ იმ გუნებაზე აღარ ვიყავი, რამესთვის ყური მეთხოვებინა. სამაგიეროდ კარპოვიჩი დაფაცურდა, ხან საით მიაწყდა, ხან – საით. მერე სკივრს ისევ აჰხადა თავი...

– ვიღაცა მოდის! ძობაა, ჩემმა მზემ!.. ამაზე რიგიანი ადგილი არსადაც არ იქნება ნასინჯი მაქვს! – კარპოვიჩს შიშისგან ყბა უკანკალებდა.

თუთაშხიამ ახდილ კიდობანს გადახედა, დაინახა, შიგ ეპატიჟებოდნენ, და გაიცინა. პასპორტი უბეში შეინახა. სათუთუნე ამოიღო, ახადა.

ზახარ კარპოვიჩმა არც აცია, არც აცხელა – სკივრში ჩაძვრა და ხუფი ზედ დაიმხო.

თუთაშხია პაპიროსს ახვევდა.

გამეცინა, – ეს რა კაი ხალხში ჩავვარდი–მეთქი, და კარში გავედი. ჭიშკრამდის შუა გზაზე ძობა შემომეყარა.

– სად არის! – ფეთიანივით იყო, არყის სუნი ამოსდიოდა.

ძობა საქმეზე მიმავალი, მოგეკლა, სასმელს არ გაეკარებოდა. გამიკვირდა, – არაყი რაში დასჭირდა–მეთქი. ყველაფერი ვუამგე. ისე ვუამბე, არც დამიკლია რამე და არც მომიმატებია. ის მკელელობა და დავიდარაბა მინდოდა, თუ არ მინდოდა, იმნაირ ძმაკაცობამი ტყუილის უფლება არც ერთს არა გვქონდა, ვერცა ვთქვი. ძობა გულდასმით მისმენდა და როგორც მაძღარმა ქათამმა ანაკმაზიდან ხორბალი ამოკენკოს, ჩემი ნათქვამიდან თითო–ოროლა რამეს ისე კენკავდა და ხმადაბლა იმეორებდა:

– თავად აგედევნა?.. იცოდა, შიგ იყავი და მაინც შემოეიდა... დათა თუთაშხია ვარ, მერე რა გინდაო?.. უთხარი, ძობა შენ მოსაკლავად მოდის, წადი, აქაურობას გაერიდეო, და არ წავიდა?.. ეხლავე მოვალ, იმ თორმეტ თუმანსაც მოვიტანო? – მოვიდოდა, ნაღდია!.. კარპოვიჩმა, – სკივრში ჩაძვერიო? მანდა ზის და მელოდება? არ წავა. მაგის წასვლა არ იქნება!..

სათქმელს მოვრჩი. ძობა იდგა, ფიქრობდა, მალიმალ სახეზე ხელს ისვამდა.

– ამდენი ხნის გულისნადებზე კაცმა ხელი როგორ უნდა აიღოს! – მარტო ეს ჩაილაპარაკა და ისევ ფიქრს მიჰყვა.

მე, რატომღაც, ქუთაისელი ბუკოვსკი მომაგონდა და იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ სწორად მოიქცა, როცა ზახარ კარპოვიჩს თუთაშხიას გვარ–სახელი დაუმალა და სუფთა პასპორტი გააკეთებინა. ზახარ კარპოვიჩი წურბელა იყო, ფულს მარტო საბუთების კეთებაში კი არა შოულობდა... ამ ამბავზე ხუთი, ექვსი წლით ადრე ჩიორაძეს ინჟინრის დიპლომი გაუკეთა. ჩიორაძე არიფი იყო, დიპლომი ზახარ კარპოვიჩს შეავსებინა. მერე იმ “ინჟინერმა” კარგი

სამსახური იშოვნა, მოიჯარადრეობა დაიწყო და სახაზინო საქმეებზე გამდიდრდა კიდეც. მაშინ ზახარ კარპოვიჩმა, ძაღლისუბნელი ნიკა და ხარფუხელი არამა იყვნენ – შანტაჟისტეგი, იმათ უთხრა, ჩიორაძეს ყალბი დიპლომი აქვს, მიდით, ფულები წაართვითო. ყალბი დიპლომის წყალობით გაინჟინრებულსა და გამდიდრებულ კაცს სხვა რა გზა ჰქონდა?.. ან უნდა საქმე გაჰხსნოდა და მთავრობაში და დიდკაცობაში გარეულ კაცს ყალთაბანდის სახელი დავარდნოდა, ან შანტაჟისტებისგან ფულით უნდა დაეხსნა თავი. სამასი თუმანი გადაიხადა. კარპოვიჩს, როგორც საქმის მიმცემს, ასი თუმანი ერგებოდა, ესე იყვნენ მორიგებულები. ოცი თუმნის მეტი არ მისცეს, ოთხმოცი თუმანი გადაღუნეს. კარპოვიჩისთვის ოცი თუმანიც ნაჩუქარივით იყო. გაჩუმდა. გინდ არ გაჩუმებულიყო – რას იზამდა. შანტაჟისტებმა, რახან გზა დაისწავლეს, ჩიორაძესთან მალ–მალე მიდიოდნენ ხოლმე. ისიც აძლევდა. ერთხელაც იყო, "ინჟინერმა" ძაღლისუბნელ ნიკას ორი ტყვია ესროლა და მოკლა. ჩიორაძეს არაფერიც არ უქნეს, მთელი თავისი დღე და მოსწრება ფული ნიჩბითა ხვეტა. ეხლაც ცოცხალია, ბინების დალალობას ეწევა. ხალხი ჰყავდა, რას გაიმეტებდნენ. ხარფუხელი არამა დაიჭირეს, კატორღა მისცეს და აღარც დაბრუნებულა...

ვიდექი, ამ საქმის ასავალ–დასავალზე ვფიქრობდი და ამ დროს ზახარ კარპოვიჩის კარი გაიღო, თუთაშხია გარეთ გამოვიდა, დადგა. მთვარე ცაზე ზის, იქაურობას ანათებს, შუადღე გეგონება. თუთაშხია გულხელდაკრეფილი დგას. ძობა მისჩერებია, თვალს ვერ აშორებს. ესე ცოტა ხანმა გაიარა. მერე ძობამ ჯიბიდან რევოლეერი დააძრო, ორი ტყვია ზედიზედ გაისროლა, შეტრიალდა და ეზოდან გავარდა.

დაღმართებში გარბოდა. წყნარი ღამე იყო, ფეხების ტყაპატყუპი კარგა ხანხ მოდიოდა. თუთაშხია ისევ იქ იდგა, ისევ ისე იდგა. დავიძარი, მივედი, შევათვალიერე.

იღლიაში რევოლვერი ჰქონდა გაჩრილი, ტარი გარეთ იყურებოდა.

– ჰაერში გაისროლა ორივე! – მითხრა თუთაშხიამ.

წამოვედი.

სამი თუ ოთხი თვე გავიდა. ერთხელ ხარაჩოზე ვართ გასული, ჭერებსა ვხატავთ. ძობა კარგ გუნებაზეა, მღერის. სხვათაშორის ვკითხე, – როგორ გამოვიდა, რომ არ მოკალი–მეთქი.

– ეგეთი კაცის მოკვლა არ შეიძლებოდა!

– მაშ, რაღად ესროლე?

კარგა ხანს იყო ჩუმად. არ ვიცი, რასა ფიქრობდა. მერე ყალამი საღეგავმი ჩააწო დაბერტყა და მითხრა:

– არც ის იქნებოდა, რომ არ გამესროლა!

სიმღერის იშტა გადაუვარდა, საღამომდის ხმა აღარ ამოუღია.

ერთი კვირის შემდეგ ისევ დუქანში ვისხედით, პურსა ვჭამდით. ერთი ვანუა იყო სოლოლაკელი, მახორკას ეძახდნენ. მოეიდა, ჩვენ სუფრას მოუჯდა. ძობასა სთხოვა, –

ერთი–ორი დღით რევოლვერი მათხოვე, მჭირდებაო. ძობამ უარი უთხრა, არანაირი იარაღი აღარა მაქვსო. მახორკამ არ დაიჯერა, მაგრამ რას იზამდა – მიბრუნდა და წავიდა. მართალი გითხრა, მაშინ მეც ისე მეგონა, – თავიდან მოიშორა–მეთქი. არა, იმის მემდეგ ძობამ ბარე ოცდახუთი წელიწადი იცოცხლა, ბოლომდის ძმაკაცებად დავრჩით, მაგრამ იმის ხელში იარაღი არც დამინახია და არც გამიგონია, რომ ჰქონოდა.

აღარასოდეს აღარა ჰქონია.

## გრაფი სეგედი

აგვისტოს დასაწყისში დათა თუთაშხიამ ენგური აიარა, სვანეთში გადავიდა, მულახში გუჯეჯიანებთან სამი დღე დაჰყო. მეოთხე დღეს რიჟრაჟზე გზას გაუდგა. ღამე ზედ უღელტეხილზე გაათენა. მერე ბალყარეთში გადავიდა, ბაქსანის სათავეები და მიმდგომი ხეობები მოიარა; ძმადნაფიც აბრაგს ბილალ ზანკშის ეძებდა. ბილალის ნათესავებმა თუთაშხიას მეგზურად უმცროსი ბიძაშვილი გააყოლეს. ჩეგემის ხეობაში გადაიყვანეს, ძმადნაფიცს შეახვედრეს. აბრაგებმა სათქმელი თქვეს. ბილალმა ბიძაშვილი წაიყვანა, ჩეგემის ხეობას ბარისკენ ჩაჰყვა, სამი დღის შემდეგ ჯერ კიდევ გაზაფხულზე მუჰამედ გუტეს თავლებიდან გამოყვანილი და ლისკენის ტყეებში საიმედოდ გადამალული ულაყი დათას მოჰგვარა. თუთაშხიას ამ ულაყის მშვენება და სახელი გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ასეთს მაინც არაფერს მოელოდა. ისე მოეწონა, რომ ერთიანად აცახცახდა, მოახტა, იქამდე იჯირითა, სანამ თვითონაც გამოეცალა არაქათი და ცხენსაც.

ბილალი ისეთ ასაკში იყო, რომ ცხენი, მხედრის ხელოვნება, იარაღი, ჩუბინობა და შემართება თვით ღმერთის ღირსებებად მიაჩნდა.

უკვე ჭარმაგი, სახელგანთქმული აბრაგისა და კეთილშობილი ცხოველის ერთმთლიანობა ნახა, აღტაცებამ თუ სიამაყემ ყელში ცრემლი მოაბჯინა. როცა თუთაშხია ჩამოხტა, ბილალმა აღგზნებულსა და სახეგაბრწყინებულ ძმადნაფიცს სინანულით უთხრა:

– ამ ულაყზე ჯდომა ქვეყანაზე მხოლოდ შენ გეკუთვნის! ალლაჰსა ვფიცავ, დათა!

სახლში შევიდნენ, ნივრიან არაჟანში ჩამბალი ხამპალებით შენაყრდნენ, მოსასვენებლად წამოწვნენ. ბილალმა მოკრძალებით თქვა:

– სისუსტეში არ ჩამომართვა, უმცროსი ძმა ვარ, რაც არ გამეგება, უფლება მაქვს, გკითხო. ვისთვისაც ულაყი მიგყავს, შენი მტერია. სანამ ეგ კაცი გამოჩნდა, რამდენი წელიწადი გდიეს?! მაინც, როგორც გინდოდა, ისე დადიოდი. მაგან ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი დაგიხვედრა. ეხლა ფეშქაშად ორი ათას თუმნიან ცხენს მიიღებს. ეს საქშე როგორ არის?

თუთაშხიამ ბალყარული არ იცოდა, მაგრამ ბილალი დედით ქართველი იყო, ცოტაოდენი ქართული გაეგებოდა და ძმადნაფიცებს ერთმანეთისა ესმოდათ. რაინდობისა და ძმადნაფიცობის წესების მიხედვით, ჯერ შეკითხვისგან თავშეკავება იყო საჭირო, მაგრამ რაკიღა კითხვა მიიცემოდა, მაშინ პასუხის გაცემის გზაც აუცილებლად უნდა მოძებნილიყო. თუთაშხია გუნებაში შესაფერი სიტყვებისა და გამოთქმების ძებნას შეუდგა. კარგა ხანს იფიქრა და მიუგო:

– ის კაცი მტერი არ არის ჩემი. ამ ქვეყანაზე ყველა თავის საქმეს აკეთებს, ბილალ. თავის საქმეს რომ აკეთებდეს და ყველასთვის სასარგებლო გამოუდიოდეს – ასეთი კაცები ნამეტანი ცოტაა ჯერ. მაგიერში, თავის საქმეს რომ აკეთებს და ყველა სხვებისთვის ზიანი რომ გამოდის – ამისთანა კაცებითაა სავსე ქვეყანა. მტრად უნდა ჩავთვალოთ ყველა ცუდი კაცები, აბა?

– მართალი სიტყვაა, ძმობას გეფიცები!

– წესიერი კაცობა და ნამდვილი აბრაგობა ის კი არაა, ისინი გვდევდნენ და ჩვენ კარგად ვემალეგოდეთ, პირიქითაა: წესიერი კაცი ცუდი კაცებისგან მოტანილ ზიანს უნდა დევდეს და სარგებლად აქცევდეს, უნდა. ასე თუ არ იქნა, რა ფასი ექნება მაშინ მალვას და გაქცევ–გამოქცევას!

– მაჰმადის სიბრძნეს ამბობ ვალლაჰი ბილლაჰი!

– სხეა დრო იყო მაჰმადის დრო, ბილალ, ძმაო; ასე არც მაჰმადს და არც ქრისტეს არ უთქვამს. დღევანდელი დროის, ჩვენი ცხოვრების ნათქვამია ეს. – თუთაშხია დადუმდა, იფიქრა და განაგრძო: – იმ გზაზე თუ დადგა კაცი, რომ აუარება ცუდი საქმიდან ცოტა მაინც გადააკეთოს კარგ საქმედ, მაშინ ცუდი კაცების მტრად მიჩნევა არ გამოდგება და გეტყვი, რატომ. ის ცუდი კაცები მთელი ქვეყანაა, თითქმის. მტრად თუ ჩათვალე – აქეთ შენ დარჩები და იქით ყველა ისინი ერთად და გაჯობებენ უვჭველად. ეს – ერთი. მეორე ის, რომ თვითონ კაცს რომ ებრძოლო, ათს აჯობე, თუ გინდა – ეს ცხოვრება კრუხივით ჩეკავს ცუდ კაცებს და ათივეს მაგიერ მოიძებნება სხვა ცუდი კაცები უცბად; გამოვა, რომ ამრავლებ და კი არ ამცირებ სიგლახეს. მესამეა კიდევ: როგორიც გინდა იყოს საქმე, სიყვარულით თუ არ მიუდექი – ვერ მოერევი. კაცი მტრად თუ ჩათვალე, შეგძულდება და მისი მოტანილი ზიანის კარგ საქმედ გადაკეთებაში სიძულვილი ვერ გამოგადგება ამხანაგად. მიტომაა, მტრად რომ არ უნდა ჩათვალო ცუდი კაცები, მან ჩაგთვალოს მტრად, გდიოს, გებრძოლოს, ის მდევარი იყოს, შენ – დევნილი და ხალხი შენს საქციელს მიბაძავს, შენს მხარეს დაიჭერს მაშინ. ცუდ კაცს ნურც მტრად ჩათვლი, ნურც მოყვარედ. მის გაფუჭებულ საქმეს და მის მოტანილ ზიანს უნდა ხედავდე – არაფერს სხვას. ამას უნდა დევდე და კარგ საქმედ აქცევდე. სხვები დაინახავენ, კარგმა გლახას აჯობაო, მოგბაძავენ თვითონაც, უკეთესი გახდებიან, ვიდრე იყვნენ. გამრავლდება ასეთი ხალხი და გაუჭირდება ავ საქმეს. ესაა აბრაგის ვალი და ყველა კაცის ვალი. ასეა ეს.

– მართალი სიტყვაა, ალლაჰის მადლმა, – თქვა ბილალმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

– მონადირე ხარ შენ და ჯიხვებს მიტომ ჯობნი, რომ გზები იცი მათი. ის კაციც მასე დამდევს მე; ამდენი წელიწადია მიყურებს – და ისწავლა ჩემი გზები და ასავალ–დასავალი. მახეს მიგებს ყველგან. ვისაც ვხვდები და ვისასაც დავდივარ – აფუჭებს იმ ხალხს. ზოგს ფულად ყიდულობს, ზოგს შიშით ითანხმებს გაცემაზე, ზოგს თავისით გათახსირებულს პოულობს და ჩემს სადევრად იყენებს. ბოროტებტს სჩადის, მოკლედ. აბრაგი ვარ მე, ჩემი ვალია, მაინც იმ გზებით ვიარო და მისი განაფუჭარი გადავაკეთო. ვართ ასე: ის თავისას შვრება და მე ჩემსას. ასეც უნდა იყოს ეს. ახლა ცხენის ამბავს გეტყვი. იმ კაცმა სამი წლის წინ იცოდა, მისთვის ძღვენი რომ უნდა მიმერთმია. განზრახ ისეთ ხალხში ვთქვი, ამბავს რომელიც მიუტანდა. ყველაფერი იცის მან: ვისი ცხენია, ვინ

მოიპარა და რა გზებით უნდა მივიყვანო საქართველოში. თუ ხედავ, ჩემი კიდევ ერთი გზა მე თვითონ გავაგებინე – გააკეთოს თავისი საქმე. არაფერი არ გამოუვა ისევ. თვითონ თუ ვერ დარწმუნდა, რომ ვერ მჯობნის და თუ ვერ მიხვდა, რატომ ვერ მჯობნის – ხალხი დარწმუნდება და ერთხელ კიდევ დაინახავს, ავი საქმე კარგ საქმეს რომ ვერ აჯობებს საბოლოოდ. იმას რომ წუხხარ, ბილალ, ორი ათას თუმნიანი ცხენი არამია მისთვისო – ვერ დაიტოვებს ის კაცი ნაპარავს. გაის გაზაფხულზე, გზები რომ გაიხსნება, პოლიციის ხელიდან მიიღებს მუჰამედ გუტე თავის ლურჯას...

ბილალს ხმა აღარ დაუძრავს, ღრმა ფიქრებში იყო.

თუთაშხიამ ღამე გაათენა. ადრიან დილით ძმადნაფიცისა და მისი ბიძაშვილების თანხლებით გზას გაუდგა. ორ დღეში უღელტეხილამდე ააღწიეს. ბილალმა გამოთხოვების დროს უთხრა:

– დიდ საფიქრალს მიტოვებ დათა, ძმობას გეფიცები!

თუთაშხია მულახში გადმოვიდა, ოქტომბრის ბოლომდე ისევ გუჯეჯიანებთან სტუმრობდა. მასპინძლები გამოზამთრებას ეხვეწებოდნენ, მაგრამ აბრაგს თავისი საქმეები ჰქონდა, ხარნალისკენ დაეშვა. იქ ერთი ციხეში შეძენილი მეგობარი ჰყავდა – ბიკენტი იალქანიძე, ხარნალში იჯარით აღებული დუქანი ეჭირა, წელიწადზე მეტი იყო, ერთმანეთი არ ენახათ.

მისი ნამდვილი გვარი ჯმუხაძე იყო. სიჭაბუკეშივე გადაწყვიტა, – უკუღმართი ბედ–იღბალი განგებამ გვარზე დამაყოლაო და იალქანიძე დაირქვა.

ამ იალქანიძეს ორმოცდაათი წლის ასაკისთვის თითქმის მთელი რუსეთის იმპერია და ბევრი უცხო ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. ალბათ, ისეთი ხელობა არ არსებობდა, რომელიც მოუსინჯავი დარჩენოდა, მაგრამ მის მთავარ ღირსებას მაინც ის შეადგენდა, რომ რვა თუ ცხრა სახელმწიფოს საპყრობილეებში იყო ნაჯდომი და ყოველთვის ერთისა და იმავე მიზეზის გამო. "უწესო" კაცებს ვერ იტანდა! ეს აქტიური შეუწყნარებლობა ყოველთვის პატიმრობით როდი თავდებოდა – იალქანიძე ხანდახან გაქცევითაც შველოდა თავს. გაქცევას ცხოვრების თავიდან დაწყება–დალაგება მოსდევდა, ხოლო ეს კი, პირველ ხანებმი მაინც, გაჭირვებასთან, და ზოგჯერ, შიმშილთანაც იყო დაკავშირებული. კაცმა სიმართლე თქვას, იალქანიძეს არც ბედი სწყალობდა. ერთხელ, ახალ გვინეაში სამოთხის ფრინველზე მონადირე ინგლისელს შეუამხანაგდა. სანადირო ადგილები კუნძულის სიღრმეში, "ჭეშმარიტი კაცების" ტომის ტერიტორიაზე იდო. სამოთხის ფრინველის ფიტულებით ვაჭრობა იმ დროს ახალ გვინეაზე ძალიან სარფიან რამედ ითვლეგოდა და შეამხანაგებულებსაც რიგიანად მიუდიოდათ საქმეები. მოეალეობები ასე ჰქონდათ განაწილებული: კარტრაიტი ნადირობდა, იალქანიძეს ნანადირევი ქალაქს ჩაჰქონდა, მეფიტულეს უტოვებდა, წინა ჩამოსვლაზე ჩამოტანილი ნანადირევიდან დამზადებულ ფიტულებს ნარდად ჰყიდდა, ფულს ბანკმი კარტრაიტის სახელზე ინახავდა და ახალი ნანადირევის ჩამოსატანად ბრუნდებოდა. ოთხასი მილი იყო სავალი უღრანი ტროპიკული ტყეებით. ერთხელაც იალქენიძე ქალაქს ჩავიდა, საქმეეგი მოაგვარა.

ერთ–ერთ დუქანში ვიღაც "უწესო" ავსტრალიელ მეზღვაურს გზა–გზა გაუსწორდა, პოლიციას ხელიდან დაუძვრა და ამხანაგისკენ გასწია. აღმოჩნდა, რომ იალქანიძის

კომპანიონის თავი "ჭეშმარიტ კაცებს" თავისი კოლექციის შესავსებად წაეღოთ, რაშიც ისინი მხილებულნი ადრე იშვიათად ყოფილან – თეთრი ადამიანების თავები არცთუ ძალიან აინტერესებდათ. იალქანიძე დაბრუნდა, უბედურება პოლიციას აცნობა და თერთმეტი თვე საპყრობილეში დაჰყო. როცა გამოირკვა და დადგინდა, რომ კარტრაიტის სიკვდილში მის კომპანიონს ბრალი არ მიუძღოდა – სამძიმარი უთხრეს, გაათავისუფლეს, მაგრამ ამხანაგის სახელზე ბანკმი შეტანილი ფულის საკუთარი ნახევრის მიღებას სასამართლოთიც ვერაფერი მოუხერხა და, როგორც თვითონ ამბობდა, დედიშობილა დარჩა. ამჯერად ბიკენტი იალქანიძეს იმან უშველა, რომ ფრანგულ საოკეანო ხომალდზე ერთ–ერთ მზარეულს კეთრი აღმოაჩნდა. ბედუკუღმართმა რაჭველმა თეთრი წინსაფარი გაიკეთა და ჩამჩა–ქაფქირებით გარემოცული იღბალს ევროპისკენ წაჰყვა.

იალქანიძის ცხოვრება ერთიანად ასეთი ან ამის მსგავსი ფათერაკებისგან შედგებოდა. რომელიღაც პატიმრობის დროს იგი მიხვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერში თვითონ, უკეთ ვთქვათ, მისი ხასიათი იყო დამნაშავე. რახან წარსული და მომავალი ჯდომების მიზეზი ერთნაირი და ერთადერთი ჰქონდა, მის აზროვნებაში ყველა ჯდომამ ერთი დიდი ჯდომის სახე მიიღო. რახან კარში ცხოვრებამ არა და არ გაუმართლა, ხოლო საპყრობილეებში, რომელიღაც იდუმალი კანონზომიერების წყალობით, იგი მუდამ საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა და "რიგიანი" კაცების დახმარების საშუალებაც მუდამ გააჩნდა, მის აზროენებაში სიცოცხლე ერთ დიად, მარადიულ ჯდომად და არცთუ მთლად უარყოფით მოვლენად ჩამოყალიბდა. ბუნებით ნიჭიერმა ისიც შენიშნა, როშ გასაჭირში სასაცილო მეტია, ვიდრე სამწუხარო. სიცილი და მხიარულება დასჩემდა. ყოველივე ამის შედეგად იალქანიძე ქვეყნიერებას უზარმაზარ საპყრობილედ თვლიდა და მისთვის სულ ერთი იყო, ცენტრალურ აფრიკაში მძივებით ივაჭრებდა, თუ ტამბოვის საგუბერნიო სატუსაღოში მეძებარი ძაღლების ჯიშებზე იმუსაიფებდა საქმეში ჩახედულ "წესიერ" კაცებთან.

დათა თუთაშხია და იალქანიძე ციხეში ერთად კარგა ხანს ისხდნენ. მათი ხასიათი "უწესო" კაცების პუნქტში და უანგარობაში დაემთხვა. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყოველ მათგანს თავისი თავი მეორის მიმართ ყველაფრის ვალდებულად ჩაეთვალა და ამ ვალდებულების უდრტვინველი აღსრულება გარდუვალ აუცილებლობად მიეჩნია.

ისე მოხდა, რომ იალქანიძემ შეწყნტრება მიიღო. ციხიდან გასვლის წინ თუთაშხიას უთხრა:

– არ მოიწყინო, მალე მოვალ.

– ვეღარ მომისწრებ, ალბათ.

იალქანიძეს ეს იდეა არ მოეწონა, მეგობრის უდავიდარაბოდ გათავისუფლების იმედი ჰქონდა. აქ კი გაქცევის სუნი დატრიალდა. ციხეს, პატიმრობას თავისი წესები აქვს. თუთაშხიაც თუთაშხია იყო. ამიტომ იალქანიძე ძმაკაცის გადაწყვეტილების შეცვლას არ ცდილა, პატარა ხანს იხფიქრა და თქვა:

– რიყეში ბიძა მყავს. ჯმუხაძეა ისიც, კოსტა ქვია. მეხაშეა. ჩემი ადგილსამყოფელი მას ეცოდინება. კაცნი ვართ...

– კაცნი ვართ, – კვერი დაუკრა თუთაშხიამ.

ცენტრალურ აფრიკაში მძივებით ვაჭრობისა არ იყოს, ბიკენტი იალქანიძე ხარნალშიც ადგილობრივსა თუ გზად გამვლელ “მოსახლეობას ემსახურებოდა”, “უწესო” კაცებს ეომებოდა და ციხეში გასამგზავრებლად შერჩეული ბარხანა მუდამ მზად ჰქონდა.

უკვე დაღამებული იყო, როცა დათა თუთაშხია ბიკენტი იალქანიძის დუქანს მიუახლოვდა და რაღაც ყაყანს მოჰკრა ყური. ცხენს სადავე დაუმოკლა, მიაყურა: ღამის სიწყნარეში ხმაური შორ მანძილზე ისმოდა, მაგრამ გარკვევით მაინც ვერაფერი გაიგონა. გზა შიმალიან ხევზე გადარბოდა. აბრაგმა ხევში შეუხვია, ცხენები დააბა, ყაყანისკენ ჩუმი ნაბიჯით გაემართა.

დუქანს რუ ჩამოუდიოდა. რუს გაღმა რამდენიმე ძეწნა იდგა. თუთაშხია ჩრდილს შეეფარა, ალიაქოთს დაუწყო ყურება.

ვიღაც ზომაზე მეტად ნაქეიფარი კაცი დუქანში შესასვლელად იწევდა. ამხანაგები აკავებდნენ. კაცი ბიკენტი იალქანიძის აივანს მუშტებს უქნევდა, უშვერი სიტყვით ილანძღებოდა, შეურაცხმყოფელს ათასნაირ წამებასა და სხვადასხვა ხერხით სიკვდილს ემუქრებოდა.

– მალაქია, წადი სახლში, თუ კაცი ხარ, ნუ გამომიყვან გარეთ! – მოისმა აივანზე გამომავალი ღია კარიდან.

თუთაშხიამ ბიკენტი იალქანიძის ბოხი ხმა იცნო.

– იალქანიძე, გამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ! ცოცხალი თუ წამიხვედი, როგორ ფერდებს შეიტან უკან მაგ შენს ბუნაგში იმასაც ვნახავ! – მიუგო გარედან შფოთისთავმა და ამხანაგების ხელიდან დასხლტომა სცადა ისევ.

– შალიკა და, მეორე რომ ხარ მანდ, ღებელი კაცი, შენი სახელი არ ვიცი... გადაამეტა და უნდა გავლახო უეჭველად, მაგ მამაძაღლი! კარგად დაიჭირეთ, სოფელში არ გამექცეს, თვარა ისევე თქვენ მოგაყვანინებთ და ყველას გადაგითვლით ნეკნებს!.. აგერ, ა, ამას ჩავიკითხავ, ნამეტანი კაი ლექსია და გამოვალ ახლავე. არ გაგიწყრეთ ღმერთი, არ გაგექცეთ!..

მოჩხუბარმა რეალური საშიშროება იგრძნო და სასწრაფოდ დაცხრა. სიჩუმე ჩამოწვა. აივნის ქვეშ, დუქანში შესასვლელი კარის ზღურბლზე, ჩია კაცი გამოჩნდა. დადგა, გულხელი დაიკრიფა, ერთბაშად დაშოშმინებულ შფოთისთავს ნიშნისგებით დაუწყო ყურება – ძლევამოსილი სარდალივით იდგა. მალაქია ჩხუბისთავი, შალიკა და ღებელი კაცი ტყვედ დანებებული მეციხოვნეებივით მობუზულიყვნენ.

თუთაშხიამ ჩაიცინა.

– კაი, გეყოფა ახლა, მალაქია. შენს დარიკოს და შენს შვილებს გაფიცებ, წამოდი, თუ კაცი ხარ, – შეეხვეწა შალიკა.

– ასთიონ–ბატონო, – თავაზიანად ჰკითხა ზღურბლზე შემდგარ ჩია კაცს ღებელმა კაცმა, – რამხელაა ის ლექსი, იალქანიძე რომ კითხულობს?

ასთიონმა ხელით ანიშნა, – ერთი ციცქნა არის, ათავებს, ახლავე გამოვა და რა დღეც გეწევათ, მალე დავინახავო.

ხმა აღარავის დაუძრავს. მალაქიამ რუზე გადაგდებულ ბოგას მიაშურა. ჩია კაცის გესლიანი ხარხარი გაბრუნებულებს ქოქოლასავით დაეწია.

– ბიკენტი იალქანიძე, გამიგონე, რა გითხრა. – დაიძახა რუს გაღმიდან მალაქიამ. – ამ შენი იუდა ასთიონას გულისთვის დუქნიდან რომ დამითხოვე, მაგის ღირსი არ ვარ მე. ამას ენა მისმა ამხანაგებმა ციხეში ამოგლიჯეს, არ იცი შენ. საკაიკაცოდ არც შენთან არის მოსული და, სანამ რაცხა უბედურებას გადაგკიდებდეს, თავი მოაჭერი შენი ხელით გირჩევ მე!

ჩია კაცი ქვას დასწვდა, მალაქიასკენ ისროლა და დუქანში მიიმალა.

– მალაქია–ბატონო მოიცადე ერთ წამს, საქმე მაქვს! – ხმადაბლა შეეხმიანა თუთაშხია.

მალაქია გაინაბა, ლანდს მიაჩერდა.

– რისთვის ამოგლიჯეს მაგ კაცს ენა? სად იყო ეგ?

დაბნეული მალაქია უეცრად გამომტყვრალ კაცს პირღია შეჰყურებდა. სანამ ელდას მოერია და თავს დაეუფლა, კარგა ხანი გავიდა.

– გაგონილი თუ გაქვთ, კროპოტკინში ვაჭრის ოჯახი რომ ამოწყვიტეს და დიდი სიმდიდრე წაიღეს? – ჩუმად, საიდუმლოსავით თქვა მალაქიამ.

– მერე?

– იმ ვაჭართან იყო ასთიონა ლაქიად. ყაჩაღებს მან ასწავლა, ჩემს ბატონს ბევრი ფული აქვს შენახული აქ და აქო. რომ დაატრიალეს ის ღვთის რისხვა, მივიდა პოლიცია, დაიჭირა ასთიონა პოლიციამ. ალაპარაკეს, გათქვა ყაჩაღები. დაიჭირეს ისინიც. იმ სხვებმა ამოჭრეს ენა ციხეში...

– აუუუ!.. – აბრაგს გაეცინა. – რა იცი შენ, ნამდვილად მაგ თუა?

– მაშინ იქ ვმსახურობდი. მეჯინიბედ ვიყავი მაზრის უფროსთან და ვიცი მაგ ამბები... ცხრა თვეს არ ვყოფილვარ ოჯახში. ამოვიარე დღეს აგერ არ ყავს ბიკენტი იალქანიძეს ასთიონა? – მოვუქციე ყბა, გათახსირებულს და გამომაგდო დუქნიდან იალქანიძემ ძაღლივით. მაგას გონია... არ იცის მაგან, ბევრი იყო მედუქნე აქ. ზოგი თავისით გაიქცა და ზოგმა ჭირი მოგჭამა. ისეთი ადგილია ხარნალი. არ იცის ეს იალქანიძემ...

– კაი, მადლობელი ვარ. მშვიდობით იყავით ყველა. – თუთაშხიამ თავისი ცხენისკენ გასწია.

წყაროს ზემოდან, ბორცვზე, ძველი საყდრის ნანგრევი იდგა. თუთაშხიამ იქ სამალავი იცოდა. თოფი და ხანჯალი შეინახა. ორი მაუზერი ჰქონდა – ხურჯინში აქეთ–იქით ჩაილაგა, ცხენები წაიყვანა და დუქნისკენ წავიდა.

ფლოქვის ხმაზე დუქნიდან ასთიონამ გამოიხედა.

– დააბინავე ცხენები, დავრჩები ამაღამ აქ, – უთხრა თუთაშხიამ.

მსახურმა სადავეები ჩამოართვა და სტუმარი გულდასმით შეათვალიერა. სტუმარს ეს გადამეტებული ცნობისმოყვარეობა არ გამოპარებია.

– სად არის ბიკენტი? – ჰკითხა თუთაშხიამ.

მსახურმა ხელით ანიშნა, აგერ, იმ ოთახშია, სადაც ეს კიბე ადისო, და ცხენები თავლისკენ წაიყვანა. თუთაშხია კიბეს აჰყვა, წამით აივანზე შეჩერდა, მსახურს თვალი გააყოლა.

იალქანიძე ტახტზე იწვა, პატარა ლამპის შუქზე წიგნს კითხულობდა.

– ბიკენტი, გამარჯობა!

იალქანიძემ წიგნს თავი მიანება, სტუმარს ახედა.

– ტი–ტუუუ! – თქვა მან ხმადაბლა.

– ტი–ტუ, – დაუდასტურა თუთაშხიამ ისე, თითქოს დიდი ხნის მივიწყებული სათაკილო რამ მოაგონეს, და დასძინა:

– საიდან გაგახსენდა ეგ?.. – მაინცდამაინც მაგ რამ მოგაგონა – ჰმ, ტი–ტუ...

იალქანიძემ აღარ უპასუხა, ძმაკაცს გადაეხვია.

– სად ხარ ამდენ ხანს, შე კაცო!

თუთაშხიამ ხურჯინი მოიხსნა, ნაბადი დადო, ჩამოჯდა. საუბარი გაიბა და როცა ერთმანეთის ასავალ–დასავალს მორჩნენ, აბრაგმა ჰკითხა:

– ის თუ გაიგონე, ერთი მალაქია რომ იყო აქ და გარედან რომ მოგაყვირა ასთიონაზე, ასე და ისეო?

– გავიგონე. ვიცი მე ეგ. შენ რომ უკანასკნელად იყავი აქ და პატიმრებს რომ ამუშავებდნენ აგერ, გზაზე, უფროსი ზედამხედველი ყავდათ ერთი იმ პატიმრებს – უდოდოვი გვარად. თეთრი თვალები ჰქონდა. კაცი ეწამებია – პურს ნუ აჭმევდი და წყალს ნუ დაალევინებდი ერთ თვეს. მოვიდა. ნამეტანი წესიერი კაცი, გამოცდილი ლაქია თავისუფლდება ჩემთან, ცოლის საყვარელი დაჭრა და მისთვის იჯდაო. მუნჯია, მარა ყრუ არ გეგონოს, მშეენიერად ეყურებაო. გვარი რომ მითხრა, მივხვდი, ვისაც ლაჰარაკობდა, ვიცოდი, რისთვისაც იჯდა. ეს სისხლისმსმელი ზედამხედველი ასთიონას სიბრალულით მატყუებს–მეთქი, ასე ხომ არ

ვიფიქრებდი?! პოლიციას თავისი კაცის ყოლა ჭირდება ჩემსას. სხვას არ ნიშნავდა არაფერს უდოდოვის ვირეშმაკობა. ავიყვანე და არის ახლა აგერ.

– სწორედ მიხვედრილხარ ყველაფერს. პოლიციას ჭიროდა, მარა შენ თუ გჭიროდა?..

– რაი?

– პოლიციის კაცი დუქანში.

– მჭიროდა, ალბათ, თვარა უარს ვერ ვეტყოდი?

თუთაშხიამ მხრები აიჩეჩა და ისევ აივანზე გავიდა.

იალქანიძემ სკამები გაიტანა. დასხდნენ.

– თვეში რამდენი ულუფა ხაშლამა ივაჭროს ბიკენტი იალქანიძემ, დათვალე და შეგვატყობინეო, ასთიონას ამისთვის არ შემოგზავნიდნენ, – ცხადია ეს, – განაგრძო იალქანიძემ საუბარი. – მთავრობას რომ ემალება, ისეთი კაცები თუ ნახო, მოდი და გვითხარიო – არც ამისთვის უნდოდათ ასთიონა აქ. ამ ექვს თვეში ყაჩაღიც ბევრი გაჩერდა ჩემს დუქანში და სხვა დევნილი კაცებიც, ასთიონას თვალს და ყურს არ გამოპარებია არც ერთი, მარა, ე, იმ ზარულს არ გაცილებია აქედან. ხარნალიდან ბოქაულამდე ოცი ვერსია სრული, პოლიციამდე – სამოცი. უდოდოვმა ასთიონა რომ მომიყვანა, სამი დღის მერე გაირეკა თავისი პატიმრები და წავიდა. რომ უნდოდეს კიდეც, ვის და როგორ უნდა შეატყობინოს ასთიონამ რამე? და, როგორი მამალი სულელია, თუ იცი?.. ჯაშუში არ არის მაგ კაცი, თვარა, აგერ, მოპირდაპირე ოთახში ბოდღო ყვალთავაა გაჩერებული...

– ვინაა გაჩერებულიო?.. – გაფაციცდა თუთაშხია.

– ბოდღო ყვალთავა, ყაჩაღი... – იალქანიძეს ისე მოუწყდა სიტყვა, ვითომ თავში რამე სტაკებოდეს და იმავ წამს სახე რაღაც აზრმა გაუნათა.

– ბოდღო ყვალთაეა!.. – ჩაილაპარაკა თუთაშხიამ, ერთხანს იყუჩა და ჰკითხა: – მარტოა თუ ახლავს ვინმე?

მეფუნდუკე ფიქრებიდან გვიან გამოერკვა, პასუხი დაუგვიანა:

– რა მკითხე შენ?.. მარტოა თუ ახლავს ვინმეო? ამხანაგი ახლავს.

თუთაშხიამ დინჯად თქვა:

– ჩამოხრჩობილი, მარტო ამ ბოლო თხუთმეტ წელიწადში, ხუთი კაცი ვიცი მაგ ყვალთავას ამხანაგები და სროლაში მოკლული რამდენია კიდევ... ნამეტანი გაფუჭებული კაცია; რომ მოიხელთებს პოლიცია სადმე – ამხანაგს შეუტოვებს ხელში ეგ და იპარება თვითონ. ამითაა ცოცხალი და ამისთვის დაყავს ამხანაგები თან.

იალქანიძემ გადააფურთხა, ლანძღვა დიაყოლა და იმავე ფიქრს გაჰყვა, რომელიც წეღან ყვალთაეას ხსენებაზე ეწვია.

– რაზე ფიქრობ, ბიკენტი? – ჰკითხა თუთაშხიამ.

– რაცხა გავიფიქრე, მერე იყოს ეს. ასთიონაზე უნდა გითხრა ჯერ. ჯაშუშად არ არის შემოგზავნილი, ვთქვით უკვე...

– ტუტუციაო, ამბობ, პოლიციამაც იცის ეგ, ტუტუც კაცს ჯაშუშად არ აიყვანენ ისინი, – ჩაურთო თუთაშხიამ.

– არ აიყვანენ, მართალია. აბა, ვინ არის, თუ იცი? მკვლელია! სანამდე მივიღებდი, იქამდე მივხვდი ამას. მივიღე, პატარა ხანმა გაიარა. გავაგზავნე სოფელში საქმეზე და ბარგი გავუჩხრიკე. საწამლავი ვუპოვნე, მამაძაღლს.

– უყურე შენ! – რაც მეტი ტუტუცია კაცი, მით უფრო იოლად კლავს ადამიანს. კარგად შეურჩევიათ, – განმარტა თუთაშხიამ.

– ახლა ხომ გესმის, რისთვის მჭიროდა ეგ კაცი აქ? მე რომ უარი მეთქვა, სხვაგან ჩაასაფრებდნენ. რას გავხდებოდი მაშინ? ვერაფერს.

– სწორად მოქცეულხარ, – ხმადაბლა თქვა თუთაშხიამ.

აბრაგი ცას ასცქეროდა. იალქანიძე ფიქრობდა. სიჩუმე კარგა ხანს არ დარღვეულა.

– ელეს ვაჩუქე ერთხელ, ჩემს დას, საკაბე, ამ ცას ჰგავდა სწორედ, – ჩაილაპარაკა თუთაშხიამ ნაღვლიანად. – ასეთი ლურჯი იყო და მარგალიტები ეყარა ზედ ამ ვარსკვლავებივით – ზოგი დიდი და ზოგი პატარა.

იალქანიძის ფიქრები მუნჯი მსახურის გარშემო ტრიალებდა. უპირველესად ყოვლისა, იმის გაგება სწყუროდა, იცნო ასთიონამ თუთაშხია, თუ ვერ იცნო? ამაზე ლაპარაკის საღერღელი აეშალა, მაგრამ თავს იკავებდა, მეგობრის სევდიან მოგონებებში შეჭრას ერიდებოდა.

სიომ ჩამოიქროლა, ქედებზე შეფენილი ტყეებიდან ხმელი ფოთლის სურნელი მოიტანა.

თუთაშხია თითქოს მიხვდა იალქანიძის წრიალის მიზეზს და უთხრა:

– ძალიან დამაკეირდა, მარა მე ვარ თუ არა, ვერ დარწმუნდა, მგონია.

იალქანიძემ გაიცინა.

– კაი ხანია გასული მას მერე. ციხეში წვერს ატარებდი, გაპარსული ძნელი საცნობი ხარ ახლა. ამ სიბნელემი მაინც რას გიცნობდა... რამდენ ხანს იყავით ერთად?

– ორ თუ სამ დღეს. გაიგეს პატიმრებმა ასთიონას ამგავი და შეშინდნენ ჟანდარმები, მოკლავენო. წაიყვანეს საითღაც... ის ცხენი მოვიყვანე, ბიკენტი, მე.

– რას ლაპარაკობ! – აბა, გაგიგია, ვინაა ის კაცი! მითხარი, თუ კაცი ხარ...

თუთაშხიამ ჩიბუხის გატენვას კარგა ხანი მოანდომა. მერეღა უთხრა:

– სანდო კაცის ნათქვამია, მარა სხვა ადგილიდანაც უნდა გავიგო და მაშინ დავიჯერებ საბოლოოდ. ამ ჩავლაზე უნდა ვნახო ის კაცი... – თუთაშხიამ იალქანიძეს შეხედა, მეტად გაფაციცებული მოლოდინი დაინახა და დასძინა: – ჩემი მამიდაშვილი – მუშნი ზარანდია!

იალქანიძემ თავი ჩაქინდრა, დააყოვნა და ჩაილაპარაკა:

– სხვანაირად არც მგონებია, დათა. ვერ გითხარი... სისხლი და ხორცია შენი!

ქტრი გაძლიერდა. აცივდა. ჩუმად ისხდნენ, იქამდე ისხდნენ, სანამ იალქანიძეს გააჟრჟოლა:

– ხომ არ შევიდეთ შინ?

სკამები წამოიღეს, კარი დახურეს. თუთაშხიამ გაზეთი აიღო, თარიღი ნახა, სათაურები ჩაათვალიერა და კითხვას შეუდგა.

– ამ კარს გავაღებ, თვარა შევწუხდებით, – მეფუნდუკემ სასადილო დარბაზის კარი ყურთამდე გამოაღო.

დუქანი ორსართულიანი იყო. პირველი სართული სასადილო დარბაზს, სამზარეულოსა და სხვა სათავსოებს ეჭირა. მეორე სართულს საცხოვრებელი ოთახები შეადგენდა: სიგრძლივ სამ–სამი იყო განლაგებული და სიგანე – ორ–ორი. ოთახები ვიწრო შიდა აივანზე გამოდიოდა. აივანი ირგვლივ შემოვლებულ ქანდარას ჰგავდა, დარბაზს გადაჰყურებდა და ძირს ჩასასვლელად ოთხივე მხარეს კიბეები ჰქონდა. ღიად დატოვებული კარიდან აივნებისა და სასადილო დარბაზის დიდი ნაწილი მოჩანდა. დარბაზს ჭაღზე ჩამოკიდებული ვეება ლამპა ანათებდა. მუშტარს თუ სურდა, მისი მაგიდის სიახლოვეს კედელზე დაკიდებულ პატარა ლამპასაც აუნთებდნენ ხოლმე.

– მაგ ის ყვალთავაა, შენ რომ მედუქნის ოჯახის დარბევის ამბავი მიამბე?.. მერე მისი ბიჭი რომ შეგხვდა თბილისში, ხომ?

– კი, ის არის. რა ხნისაა უკვე, ღმერთმა იცის? თავისი დღე და მოსწრება ძარცვავს, გლეჯს, ნაშოვარი თითქმის მას რჩება სულ – ამხანაგების ბედ–იღბალი გითხარი მე შენ. რისთვის ჭირია და რას უხერხებს ამდენ ქონებას – მეტყოდეს ვინმე! საცღა იქნება, მოკლავენ მაგასაც და ჩაიარა უქმად ამდენმა კვლამ, ძარცვამ და სიმდიდრის გროვებამ. ძნელი გასაგებია ეს.

თუთაშხიამ ხელები გაასავსაეა, კვლავ გაზეთს მიუბრუნდა. იალქანიძე არ გამოლაპარაკებია, ბოლთა დაიწყო. რაღაცის აწონ–დაწონასა და ვარაუდში იყო გართული. პატარა ხანს იარა, ჩანს, გადაწყვეტილება მიიღო, ისევ მაგიდას მიუჯდა და ძმაკაცს მიმართა:

– არ მინდოდა შენი შეწუხება... შეიძლება, ხმაური ატყდეს აქ...

თუთაშხიას გაზეთისთვის თვალი არ მოუცილებია, მცირედი დუმილის შემდეგ მიუგო:

– ატყდეს, თუ გჭირია.

– მჭირია.

აბრაგმა თავისი ხურჯინი ხელმისაწვდომზე მოითრია და კითხვა განაგრძო.

მოპირდაპირე ოთახიდან ორი კაცი გამოვიდა. ორივეს მაუზრები ეკიდა, ძვირფასი ქამარ–ხანჯლით დამშვენებული ჩოხები ეცვათ.

– თუ იცანი? – ჰკითხა იალქანიძემ თუთაშხიას, სანამ სტუყრები კიბეს ჩაივლიდნენ.

– კი. კაი დაბერებულია, მაგ გათახსირებული. დათა ჩოჩიაა მეორე. თხუთმეტი წელი კატორღა გაათავა მაგან. ჩამოვიდა, იყო ერთხანს ჭკუით. ვხედავ ახლა, მოუნახავს, როგორც იქნა, თავისი წილი სიკვდილი. არც კატორღამდე ექნა ღმერთს და ახლა კაცის თავს ექვს შაურად მოგიტანს, თუ შეპირდი. როდის მოვიდნენ აქ?

– სამხრობისას, დღეს. ისე უჭირავთ თაეი, კაცს ეგონება, რაც ცოდვები კიდიათ, სულ ჭორიკანა დედაკაცების მოგონილია და თუ დასდევს ვინმე – მადლობის სათქმელად დასდევენ. იცის ასთიონამ უკვე მაგათი სახელები. ყურები კურდღელივით აქვს დაცქვეტილი, ეგება გვარებიც გამაგონონო.

– ვიცნობდი ახალგაზრდობაში ჩოჩიას მე, – თქვა თუთაშხიამ. – ერთი ხნის ვართ, თითქმის.

იალქანიძემ სტუმრებისკენ მიმავალ ასთიონას მოჰკრა თვალი; ზეზე ადგა და თუთამხიას უთხრა:

– მივხედავ იქაურობას და მოვალ ახლავე.

ბიკენტიმ კიბე ჩაირბინა, სამზარეულოში შევიდა, ზაქარია–მზარეული დაარიგა, – ასეთი და ასეთი უნდა გითხრა ასთიონას თანდასწრებით და ასე და ასე უნდა მიპასუხოო. მზარეული, ჯერ იყო, უცბად ვერ მიუხვდა და როცა მიუხვდა, პასუხის გაზეპირება გაუჭირდა, მაგრამ მაინც ყველაფერი მოგვარდა. იალქანიძე სამზარეულოდან გამოვიდა, სტუმრებს ეახლა, საღამო მშვიდობისა უსურვა. მემდეგ საჭმელ–სასმელი ჩამოუთვალა, რას ინებებთო. როდესაც შეკვეთის მიღება დაამთავრა, ასთიონა წაიყოლა, ისევ სამზარეულოს მიაშურა.

– თაბახი მოიტანე, ასთიონა! – უთხრა იალქანიძემ მსახურს, ღუმელთან მივიდა, ქვაბებს ხუფები ახადა. ჩაიხედა. ზაქარია მზარეული კუთხეში რაღაცას საქმიანობდა, ხელები გადაიბანა, მედუქნესთან მივიდა და ჰკითხა:

– რას მიირთმევენ?

იალქანიძემ ჩამოთვალა და როცა ასთიონამ თაბახი მოიტანა, ზაქარია–მზარეულს ჰკითხა:

– იქით რომ ზის, ჩვენსკენ პირით რომ ზის, ისაა დათა თუთაშხია, ხომ?

– რა ვიცი მე, როგორ დაჯდა. ვერ ვხედავ აქიდან, – შეთანხმებისამებრ მიუგო მზარეულმა. – გაიწიე პატარაზე, შემახედე.

ასთიონამ ყურები ცქვიტა, დასადებად გამზადებული თაბახი ჰაერში გაუშეშდა. იალქანიძეს ეს არ გამოეპარა, მაგრამ არც არაფრით შეიმჩნია.

– დათა თუთაშხია ისაა – პირგაპარსული. ბოდღო ყვალთავა მეორეა, ცანცარაწვერიანი. – თქვა ზაქარიამ და საქმეს მიჰყო ხელი.

– რა არიან, ნეტავი, ასე დაუჭირავი და მოუხელთებელი! – ჩაილაპარტკა იალქანიძემ.

ასთიონა გონს მოეგო, ზაქარიას გადმოლაგებულ ულუფებს დასწვდა, თაბახზე გადაიტანა.

– კარგად ემსახურეთ. მაგათი ჯაჯღანის თავი არ მაქვს. ასთიონა, ჭურჭელი წაიღე, ალექსანდრეული ჩამოუსხი. თაბახს ზაქარია მიიტანს. პატარა კასრიდან ჩამოუსხი. აბა, ჰე, ყოჩაღად!

მსახურს, ვინ იცის, გული უფანცქალებდა, – დუქნიდან გასვლა, საწამლავის მოტანა და ღვინოში ჩასხმა როგორ მოვახერხოო და, აკი, იალქანიძემ შეუწყო ხელი განზრახვის შესრულებაში. ამიტომ იყო, რომ ასთიონამ ერთობ საგანგებო მზადყოფნითა და ხალისით გაარბენინა ორი ყელმოღერებული სურა. იალქანიძემ ცოტა ხანს შეიცადა, ასთიონას დაბრუნება იანგარიშა და ზაქარია–მზარეულს უთხრა:

– აბა, მზად არის თაბახი, ხომ? წაიღე ახლა, დანარჩენი დახლიდან წაიყოლიე და მიართვი.

– ბიკენტი... – თქვა მზარეულმა, შეყოყმანდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მაინც ჰკითხა. – გაფიცებ, მართლა დათა თუთაშხიაა მაგ კაცი?

იალქანიძემ პასუხად მხოლოდ თვალეგი დაუბრიალა, სამზარეულოდან გავიდა, კიბე აიარა და თავის ოთახში შევიდა.

– ისე ეტყობა საქმეს, რომ ომი უნდა დატრიალდეს მალე, – თქვა თუთაშხიამ, გაზეთი გადადო და ტახტზე ნამოწვა.

იალქანიძე ფანჯარასთან აიტუზა, სიბნელეს ჩააჩერდა.

თუთაშხია ძმაკაცს დააკვირდა, ღელვა და შფოთი შენიშნა. თვითონაც ჩაფიქრდა და როცა სიჩუმე გაგრძელდა – გაემასხრა.

– ფერი წაგსელია, ბიკენტი–ბატონო. ტი–ტუო, ტუღუშის ამბავი რომ შემომაგებე სალამის მეგივრად – ახლა ისეა საქმე, მგონია, მე დამჭირდეს შენი მობრუნება, – თუთაშხიამ ხმამაღლა გაიცინა.

– ტი–ტუ! – თითქოს მიხვედრა დაუდასტურა მეფუნდუკემ.

იალქანიძეს ეს ერთი სიტყვა არც თუთაშხიას მოსვლით გამოწვეულმა განცვიფრებამ ათქმევინა და არც დევნილ კაცთან ერთად მოსულმა შესაძლო საფრთხემ. უბრალოდ, მისი მეხსიერება ადამიანებს რაიმე სასაცილო ფათერაკის მეშვეობით ინახავდა. ძმაკაცის დანახვისას ბიკენტი იალქანიძეს რატომღაც ვინმე ტუღუში გაახსენდა. ეს კაცი მათთან ერთად იჯდა. იალქანიძე ციხეში იმ დროს ფერშლად იყო. ტუღუში ერთ საღამოს საფერშლოში კბილის ტკივილმა მიიყვანა. იქ თუთაშხია დახვდა, იალქანიძესთან მუსაიფობდა. ბიკენტის არც კბილის მკურნალობისა გაეგებოდა რამე და, სატუსაღოს პირობებში საამისო ხელსაწყოც საიდან უნდა ჰქონდა. ამიტომ ავადმყოფს რაღაც გამაყუჩებელი დაალევინა. ტუღუში მალევე დაბრუნდა, ისეე მტკივა, ლამის მოვკვდეო. იალქანიძემ კელავ გამაყუჩებელი მისცა, მაგრამ ტუღუშმა ყოველ ათ წუთში მოსვლა არ მოიშალა – ამომგლიჯე მომაშორეო! იალქანიძეს ერთი უხეირო მაშის მეტი არაფერი ჰქონდა. ის მაშა უჩვენა, აუხსნა – ჩამტვრეული სიბრძნის კბილია, ძალიან გეტკინება და იქნებ ვერც ამოღება მოვახერხოო! ტუღუში თავისაზე დადგა, ამომგლიჯეო. რაღა იქნებოდა, – იალქანიძემ ავადმყოფი ტაბურეტზე დასვა. მაშა ნინსაფრით გაწმინდა და თუთაშხიას სთხოვა:

– მოდი, თავი დაუჭირე. ფართხალს დაიწყეგს, მარა არ გაუშვა, სანამდე არ გეტყვი. მაგრად უნდა დაიჭირო!

ავადმყოფმა პირი გააღო. დათა თუთაშხიამ ცალ მკლავში ტუღუშის თავ–შუბლი მოიქცია, მეორეში – ტუღუშის ხელები. იალქანიძემ ჯერ მაშა ვერ მიუყენა. როცა მიუყენა და კბილის მორყევა სცადა, მაშინ ტუღუშმა გაიბრძოლა და მაშა დასხლტა...

– მაგრად დაიჭირე, რა გითხარი მე შენ!

– მიჭირავს, კაცო, და მოსაკლავად ხომ არ მოგიცია ეს ადამიანი?!

თუთაშხიამ ტუღუშს ორთავე მკლავი შუბლზე შემოხვია, მოუჭირა და ისეთ სალტეში მოაქცია, რომ ტუღუშმა იფიქრა, – თავი კაკალივით გამისკდყბაო. ბევრი იწია – მაინც ვერაფერს გახდა, მაგრამ ვეღარც იალქანიძე მოერია საქმეს.

– რას იქექები მანდ? მოკვდა კაცი! – გაწყალებული ხმით ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

– შენ რაღა დაგემართა კაცო!.. ამას ტკივა თუ შენ?! ყბაზეა მიზრდილი, ოხერი. ვერ დავძარი, ხომ ხედავ, გეჭიროს, არ გაუშვა... არც მაშაა საამკბილო, დასწყევლოს ღმერთმა თფუჰ! – იალქანიძმმ მაშას დააფურთხა და ოპერაცია განაგრძო.

ტუღუშმა ორმაგ ტკივილს ვეღარ გაუძლო, იალქანიძეს ორთავ ხელებით მაჯაში ჩააფრინდა. სწორედ ამ დროს კბილის ფესვმა ტკაცანი გაიღო, მოირყა, მაგრამ იმ გაწამაწიაში მაშა ისევ დასხლტა. ავადმყოფმა ცარიელი პირი დაიგულა თუ არა – საზარყლი ხმით იკივლა:

– ტი–ტუუუ!!!

იალქანიძეს სამსართულიანი ლანძღვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ დათა თუთაშხიას გული ცუდად გაუხდა, სახეზე მკვდრისფერი დაედო, მუხლები აუკანკალდა. ტუღუშმა დრო იხელთა, თავს უშველა. თუთაშხია ტუღუშის სკამზე დაეშვა.

იალქანიძემ დოინჯი შემოიყარა, გაფითრებულ ძმაკაცს დახედა, ბოღმიანად თქვა:

– ა, ყაჩაღი, აბრაგი, ქვეყნის დამაქცეელი! ვااااი! შენი დაკლული ქათამი რა ვთქვი მე! – და მის მოსულიერებას მიჰყო ხელი.

მას შემდეგ რამდენი წელიწადი იყო გასული, მაგრამ თუთაშხია ახლაც გატაცებით, შენიშვნებით, წვრილმანებით ყვებოდა ამ შემთხვევას. იალქანიძეს ხმაც არ დაუძრავს, ასთიონას მოსვლას ელოდა, სიბნელეს იყო ჩაჩერებული.

– რამხელა ცხვირი ქონდა ტუღუშს, თუ გახსოვს! – აღარ ეშვებოდა თუთაშხია.

იალქანიძე ფანჯარას სწრაფად გამოეცალა. ქვემოდან თავლის კარის ჯახანი მოისმა.

– რანაირად ჩამაცივდა, თუ გახსოვს, – ამომგლიჯე, მომკლა და გადამაშენაო!.. – გამოეხმაურა იალქანიძე, მაგრამ ხმა ოდნავ უკანკალებდა, ცხადი იყო, ამაზე არ ფიქრობდა.

მაგიდას მიუჯდა. თვალი სასადილო დარბაზში გადააპარა. სტუმრები ვახშამს შეექცეოდნენ და მალ–მალე სამზარეულოსკენ იყურებოდნენ – ალბათ, ღვინის მოლოდინში.

სასადილოში შემოსასვლელმა კარმა დაიჭრიალა. ასთიონა სტუმრებთან მივიდა, სურები მაგიდაზე დაუდგა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ლაქიად ყოფნის ჩვევამ თავისი გაიტანა. მაგიდასთან შეყოვნდა, რამეს ხომ არ მიბრძანებენო, და როცა აღარაფერი უთხრეს, სამზარეულოსკენ გატრიალდა.

ჩოჩიამ ღვინო დაასხა, ამხანაგს ფიალა მიუჯახუნა, სულმოუთქმელად გადაჰკრა. ყვალთავამ ნახევარზე ნაკლები მოსვა, ფიალა მაგიდაზე დადგა. მსახურს ეს არ დაუნახავს, ამ მომენტში სამზარეულოსაკენ მიდიოდა. მუნჯი სამზარეულოში შევიდა, სათვალთვალოდ მოხერხებული ადგილი შეარჩია.

იალქანიძეს გაზეთი ეჭირა, ვითომ კითხვაში იყო გართული. ისე იჯდა, რომ სტუმრებსაც კარგად ხედავდა, სამზარეულოში მოწრიალე ასთიონასაც.

თუთაშხია იალქანიძეს შესცქეროდა, ცდილობდა გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა.

ჩოჩიამ ყვალთავას რაღაც უთხრა. ყვალთავამ უპასუხა. იალქანიძეს არ გაუგონია, მაგრამ მიხვდა, ჩოჩია ამხანაგს ეკითხებოდა, – ფიალა რატომ არ დაცალეო. მუნჯი სტუმრებს გულიხ ფანცქალით გამოჰყურებდა. ვერაფრით ვერ გაეგო, ღვინოს რატომ არ სვამდნენ.

ცოტა ხანმა გაიარა. ჩოჩიას მოულოდნელად სახის ფერი ეცვალა, გაფითრდა რაღაცის თქმა დააპირა: ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ ყელიდან ერთი ბგერაც არ ამოსვლია. ბოდღო

ყვალთავამ ამხანაგს თვალი სჭიდა, წამით გაირინდა, მერე თითქოს რაღაცას მიხვდა და დაიძახა:

– მარილი არაა სუფრაზე, მარილი მოგვიტანოს ვინმემ!

სამზარეულოდან ქურდულად მომზირალი მუნჯი გაშეშდა, მუხლები აუძაგძაგდა, თავს ვერ მოერია. იდგა. მაშინ ყვალთავა სამზარეულოსკენ მიბრუნდა და კვლავ დაიძახა:

– რას გაჩერებულხარ მანდ. არ გესმის, რას გელაპარაკებიან? – ასთიონა მყისვე მოსწყდა ადგილს, დარბაზში გამოვიდა, დახლიდან სამარილე წამოიღო და სტუმრებს მოართვა.

დათა ჩოჩიას თვალები დახუჭული ჰქონდა, სკამზე ოდზავ გადახრილიყო, გადავარდნას აღარაფერი უკლდა. ყვალთავამ თავისი ფიალა შეავსო მაუზერი ამოიღო და მსახურს მოკლედ უთხრა:

– დალიე!

მუნჯმა ჯერ ჩოჩიას შეხედა, შეგდეგ ღვინით სავსე ფიალას, მერე ბოდღო ყვალთავას და დაიღრიალა. იმწამსვე გავარდა. მსახური ძირს დაეცა, ხელის დაშველიება სცადა. ყვალთავამ კიდევ ერთი დაახალა.

თუთაშხიამ ხურჯინიდან მაუზრები ამოიღო და იალქანიძეს ჰკითხა:

– რა ხდება აქ?!

– ტილიანო იალქანიძე! შენი ფეხით ჩამოეთრიე მანდედან, ეს ღვინო დამილიე, თვარა კინწისკვრით ჩამოგიყვან და იმ პოლიციის სადღეგრძელოს დაგალევინებ, შენ რომ მოგისყიდა! – მოისმა დარბაზიდან.

თუთაშხიამ აივანზე გასასვლელად გაიწია. იალქანიძემ დაასწრო, კტრს ფეხი მიჰკრა, ურდული გადაადო და კედელს აეკრა.

– შხამი დაალევინა ასთიონამ! – თქვა მედუქნემ.

დარბაზში კიდეე გავარდა. ტყეიამ ბიკენტის ოთახის კარი გამოიტანა, მარჯვენა კედელზე ღრმა ღარი დატოვა და მიიკარგა.

– იალქანიძე, ჩამოეთრიე, არ ამომიყეანო მანდ! – კელავ მოისმა ყვალთავას ხმა.

– სამი ტყვია გაისროლა უკვე, – ჩაილავარაკა თუთაშხიამ და იალქანიძეს ჰკითხა: – შენ თუ იცოდი?

– ვიცოდი. მე მოვატყუე, – პირგაპარსული რომაა, დათა თუთაშხია არის–მეთქი! – მიუგო მეფუნდუკემ და ჯიბიდან იარაღი ამოიღო.

– მაგას თუ აპირებდი, მოვალე იყავი, გეთქვა!.. მე ხომ ვერ გკითხავდი?! ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!..

– იალქანიძე გააღე კარი! – დაიძახა ყვალთავამ კარს იქიდან და კიდევ ორი ტყვია დააყოლა.

– ხუთია უკვე, – აღნიმნა თუთაშხიამ.

– წაეთრიე აქედან! – უპასუხა იალქანიძემ.

ოთახის კარი ერთიანად იყო დაცხრილული. თუთაშხია და იალქანიძე უხვედრად იდგნენ, არაფერი დაშავებიათ. აბრაგმა ბიკენტის ანიშნა, – ყვალთავას მაუზერში ორი ტყვიაღა დარჩაო. იალქანიძემ ანიშნა, ქვევიდან მოვუვლიო. ოთახი ფეხაკრეფით გაიარა, გარეთა კარში გავიდა, სიბნელეში გაუჩინარდა.

თუთაშხიამ ურდული შეხსნა, კარი გააღო.

ყვალთავა და დათა თუთაშხია პირისპირ იდგნენ.

ყაჩაღს ძირს დაშვებული მაუზერი ეჭირა, ენაჩავარდნილი შესცქეროდა თუთაშხიას.

– რა გინდა, ყვალთავა. – ცივად ჰკითხა თუთაშხიამ.

– ოხხხ! – აღმოხდა ყვალთავას, კიდევ პატარა ხანს უყურა თუთაშხიას, თვალები მილულა და კედელს მიეყრდნო.

იალქანიძე კიბეზე ფეხაკრეფით მოიპარებოდა. კედელს იყო აკრული, ყაჩაღი მიზანში ჰყავდა ამოღებული.

აივანზე აშოვიდა, ყვალთავა ახლო მანძილიდან ნახა – იარაღი ქამარში გაირჭო.

ყაჩაღს ნელ–ნელა მუხლი მოეკვეთა, იატაკზე დაჯდა. მერე სული მოითქვა, თავი აწია, თვალი გაახილა.

– ოხხხ! – ისეე ამოიხრიალა და ძლივს თქვა: – დათა–ბატონო, მითხარი, რომ არ იცოდი ეს... ხომ არ იცოდი?..

– არ ვიცოდი! – მტკიცედ მიუგო თუთაშხიამ.

ყვალთავას ჩალურჯებული ტუჩები ღიმილმა წაუგრძელა. ყაჩაღი პირაღმა დაეცა, მაუზერს ხელი გაუშვა, იარაღი აივნიდან გადავარდა, დარბაზის იატაკზე დაიტანა ბახანი.

ჩოჩიას გვამი სკამიდან გადაქანდა.

თუთაშხია კარის ზღურბლზე გულხელდაკრეფილი იდგა. მხარით დოლაბს იყო მინდობილი, სასადილო დარბაზს გადაჰყურებდა. ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ იალქანიძემ, ალბათ, სისუსტე იგრძნო, კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდა და ზურგით კედელზე მიყუდებულმა თვალები ჭერს მიაბჯინა.

მძიმე სიჩუმე იყო.

თავლაში ცხენმა დაიჭიხვინა – ისეე დუმილი ჩამოწვა.

სამზარეულოდან რაღაც ფაჩუნმა მოაწია, იალქანიძეს თავისი მზარეული მოაგონდა.

– ზაქარია, ნუ გეშინია, გამოდი! – დაუძახა მედუქნემ.

მზარეულმა კერძების სარკმლიდან გამოიჭვრიტა. მერე კარის ზღურბლზე შემოდგა ფეხი, დარბაზი მოათვალიერა, აივანს ამოხედა.

– ამოდი აქ, რომ გეუბნები! – გადაჭრით იყო ნათქვამი.

მზარეულმა ზღურბლი დატოვა, სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა, დარბაზის შუაგულში ანაზდად გაშეშდა. პატარა ხანს იდგა, გვამებს უცქირა, შემდეგ ზურგი იბრუნა და კიბეს აჰყვა. აივანზე გასვლას რამდენიმე საფეხურიღა უკლდა, როცა გულაღმა მწოლიარე ყვალთავა დაინახა. კვლავ გაშეშდა და პირი დააღო. მზარეული ერთიანად ფქვილში იყო ამოგანგლული. იალქანიძე მიხვდა, რომ მისმა ხელქვეითმა პირველი გასროლისთანავე საკუჭნაოს მიაშურა, ფქვილის ტომრებმი ჩაიმალა.

– ბიკენტი... ამდენი მკვდარი, კაცო? – ყველა ჩვენია ესენი?.. – ჩაილაპარაკა ზაქარიამ.

თუთაშხიამ გაიღიმა, ოთახში შებრუნდა.

– მამაშენ დიმიტრისია ნახევარი! – მიუგო მეფუნდუკემ. – სანამდე ბოქაულთან ჩავალ, სანამდე იქედან პოლიციას ამოვიყვან, სამი დღე მაინც გავა და გაფუჭდებიან ესენი. მიწაში უნდა შევინახოთ. ბარი წაიღე, სამივე რომ ჩაეტევა, იმხელა საფლავი გაჭერი. დილაადრიან წავალ მე, უნდა დავმარხოთ იქამდე.

ზაქარია ზანტად მიტრიალდა, კიბეები ჩაიარა, დადგა, იფიქრა და მედუქნეს უთხრა:

– რას გეტყვი, იცი?.. ალექსანდრე რომ ზარულის ორმოს სათხრელად გყავს დაყენებული, ხომ გათხარა ნახევარი უკვე? იმაში ლამაზად ჩაეტევა სამივე, ასე ვფიქრობ მე.

იალქანიძეს ეს ჭკუამი დაუჯდა.

თუთაშხია ფიქრმა არ მოასვენა, გარიჟრაჟზეღა ჩაეძინა. ძილში – სიზმარმა აღარ დააყენა. ბევრი სიზმარი ნახა. ყველაში შავი კაცი დადიოდა, მოწამლული ღვინით სავსე სურა ეჭირა, გამვლელ–გამომვლელს ასმევდა: ზოგი კვდებოდა, ზოგი – არა. როცა იალქანიძემ გააღვიძა, მზე კარგა წამოწეული იყო. მაგიდაზე საუზმეული ელაგა.

უკვე ჭამად ისხდნენ, თუთაშხიამ მზეზე გაფენილ, კარგა დაჭმუჭნულ ტანისამოსს მოჰკრა თვალი და ძმაკაცს ჰკითხა:

– ციხის ტანსაცმელი გასამზეურებლად რომ გაგიკიდია... ჩაჯდომას აპირებ ისევ?

– გადაკარგვა არ მინდა არასგზით – ხეტიალი მომბეზრდა. ჩავჯდები, ვიქნები ერთხანს და გამომიშვებენ აბა, რას იზამენ! – მიუგო იალქანიძემ.

შუადღე გადასული იყო. ძმაკაცები გზაჯვარედინზე შეჩერდნენ.

თუთაშხიამ გამომშვიდობებისას თქვა:

– რად გჭირია შენ, მარა თუ გინდა, შევუთვლი მაინც ხალხს, იქ.

თვეზე მეტს თუ მოგიხდა გაჩერება, ფული მოგივა.

– მაქვს ფული.

თუთაშხია დუმდა. იალქანიძე ჯერ ღიმილით შეჰყურებდა მეგობარს. მერე რატომღაც გული აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა. დაკითხვის ოქმში ეწერა, – ანაზდად გულმა მიგრძნო, რომ უკანასკნელად ვხედავდიო. ასე იდგნენ. იალქანიძე თაეს მოერია და ძმაკაცს უთხრა:

– რატომ მოვიგიჟიანე, ნეტავი?.. სულ არ მოხდებოდა წუხანდელი ამბავი... დაგინახე და მიტომ გავაკეთე... ვერ ვლაპარაკობ სწორად! შენთან რომ ვარ, ისეთი მინდა გავაკეთო, რამე... შენს გვერდით რომ არის, ყველას ასე უნდა ეს... ვინც გიცნობს კარგად...

იალქანიძემ მარცხნივ აუხვია. თუთაშხია ენგურს ჩაჰყვა, ბარში საქმეები ჰქონდა. მიდიოდა, ხან თავის ცხენზე იჯდა, ხან ბილალის მოგვრილ ლურჯაზე. ზუგდიდი მხარმარცხნივ დატოვა, გეზი სამურზაყანოსკენ აიღო. შუაღამის ხანს ნიკო ბასილაიას სარკმელს კენჭი ესროლა. მოპირდაპირე მოსახლის – მოსე ჯაგალიას – ძაღლებმა ყეფა ატეხეს, პატრონს უცხო კაცის გამოჩენა ამცნეს. ნოკო ბასილაიამ მხრებზე ახალუხი წამოისხა, სტუმარს გამოეგება.

– მოხვედი?..

– გამარჯობა შენი! ნოკო, კატა თუ გყავს სახლში? – უთხრა აბრაგმა.

– კი.

– პარკი გექნება რამე. ჩასვი შიგ და მომიყვანე აქ. ერთი ლობიოს სარი გატეხე შუაზე და გამახული ნახევარი წამოიყოლე თან. ამაღამვე დაგიბრუნდება კატა... რამე ბაწარი შეაბი კანჭზე, ორი მტკაველი ბაწარი.

ძაღლები იქაურობას იკლებდნენ, მაგრამ თუთაშხიას ყურს მოსე ჯაგალიას ფაცხის კარის გაჭრიალება არ გამოპარვია. აბრაგი განზე გადგა, მოხერხებული ადგილი შეარჩია, ფაცხას დაუწყო თვალთვალი. მალე გაარჩია, მოსე ჯაგალია ოთხზე იდგა, ღობისკენ, პირდაპირ თუთაშხიაზე მოიწევდა და, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ ვერავინ ხედავდა. ძაღლები პატრონის საქციელმა საგონებელში ჩააგდო, დაცხრნენ. თუთაშხიამ ფაცხის პატრონი ახლო მოუშეა და ხმადაბლა გამოელაპარაკა:

– მოსე, ძაღლი თუ ხარ, რატომ არ ყეფ და ადამიანი თუ ხარ, ოთხ ფეხზე რატომ დადიხარ, ნეტავი?

ჯაგალია დაიბნა, ვეღარაფერი გაახერხა.

– მეჯინიბედ უნდა იყო ნამყოფი, მგონია, მოსე–ბატონო? – ჰკითხა თუთაშხიამ.

ჯაგალიამ საგრძნობი დრო მოანდომა იმის ვარაუდს, თუ რას ნიშნავდა ეს შეკითხვა, ან მასხრობა იყო თუ არა. თავი ვერაფერს მოუბა და სწორი პასუხი არჩია:

– ჩვიდმეტ წელიწადს ვიყავი საჯინიბოში დგებუაძეებთან!

თუთაშხია საფარიდან გამოვიდა, ღობეზე ახტა, მოხერხებულად ჩამოჯდა.

– ცხენის მოვლა კაი გეცოდინება, აბა. ადექი ახლა, მოსე–ბატონო, მოდი ახლოს. სათქმელი მაქვს შენთან. დათა ვარ, თუთაშხია.

ჯაგალიას კინაღამ გული გაუსკდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა – ადგა, გაუბედავად მივიდა.

– აგერ, ცხენი მოვიყვანე ერთი, ასეთი საქართველოში არ არის მეორე და შენახვა უნდა, ასე, ერთ თვეს, მოვლა ჭირია კარგი, საქმის მცოდნე კაცის ხელი უნდა. ა, ოცდახუთი მანეთი შენ... გამომართვი!..

ჯაგალიას ხან სიზმარში ეგონა თავი, ხან სიცრუედ და ეშმაკობად თვლიდა ყველაფერს, ხან შვილებს, შვილიშვილებს და ახლო ნათესავებს ემშვიდობებოდა გუნებაში... ხელი მაინც გაიშვირა და ფული ჯიბეში რომ დაიგულა, მაშინღა გაიფიქრა, იქნებ არც სიზმარში ვარ და არც მასულელებს ვინმეო.

– მასე. დღისით არ გამოიყვანო გარეთ. აჭამე და ასვი. მოუარე. კაცი მოვა შენთან ჩემი სახელით. გეტყვის, ვის უნდა მიუყვანო და როდის უნდა მიუყვანო ცხენი. გაიმეორე, რაც გელაპარაკე, თუ კაცი ხარ!

აბრაგმა ჯაგალიას ისიც კარგად დაასწაელა, თუ რა და როგორ უნდა ეთქვა იმ კაცისთვის, ვისაც ცხენს მიუყვანდა.

– გამოდი გარეთ და წაიყვანე!

ჯაგალიას შიში ჯერაც არ გამონელებოდა, ბანდალ–ბანდალით მოდიოდა. ნოკო ბასილაიამ პარკი გამოიტანა. პარკიდან კატას ჰქონდა თავი გამოყოფილი. წარამარა კნაოდა. ჯაგალიას ჯერ იმის დაჯერება გაუჭირდა, რომ თუთაშხიას ნოკო ბასილაიას კატა პარკით მიჰყავდა. როცა ნოკო ბასილაიამ თუთაშხიას ცხენი წაიყვანა, მოსე ჯაგალიამ იმ ცხენს შეხედა და რატომღაც მოეჩვენა, რომ თუთაშხიამ ცხენი ბასილაიას კატაში გადაუცვალა. ამისმა ფიქრმა კინაღამ გადარია. კიდევ რა შესძრავდა მის აფორიაქებულ გონებას – ვინ იცის მაგრამ თუთაშხიამ კვლავ მიმართა:

– ნუ გეგონება, მოსე! შენი ამბავი არ ვიცოდე. სამ მანეთს გაძლევს პოლიცია თვეში, ნოკო ბასილაიასთან ღამე მისული კაცები დაიხსომე და გვითხარიო. მიპატიებია, მარა მოეშვი მაგ გლახა საქმეს. სიბერეში სამ მანეთად ნუ გაყიდი სინდისს. წადი, ახლა წაიყვანე, ცხენს მოუარე და თავს მოუარე, კიდევ!

ჯაგალიამ ცხენი წაიყვანა. დათა თუთაშხიამ ნოკო ბასილაიას ღამე მშვიდობისა უსურვა და გასწია.

თუთაშხია რომ წინასწარ დაუზვერავად და მდგომარეობის შეუსწავლელად სახლში არავისთან შევიდოდა, მით უმეტეს, იმ სახლმი, სადაც უწინ იგი ორჯერ იქნა ალყაშემორტყმული, ამის მოფიქრებას არც დიდი ჭკუა უნდოდა და არც ვაპირებ, ასეთი რამ მუშნი ზარანდიას სიბრძნეში ჩამოვართვა. მოულოდნელი ის იყო, რომ მან, სახელდობრ, ეს მომენტი გამოიყენა თავის სასარგებლოდ. თუთაშხია ბეჩუნი პერტიასთან მისვლამდე მისი სახლის წინასწარ დასაზვერად და მდგომარეობის შესასწავლად, რა თქმა უნდა, იმ არემარეში ყველაზე მოხერხებულ ადგილს შეარჩევდა. ასეთი ადგილი ის ბექობი იყო, რომელიც ბეჩუნი პერტიას სახლს თავს ჩამოსდგომოდა და სადაც მარუხიას პატარა წისქვილი იდგა. ისიც ცხადია, რომ იმ ადგილებმი თუთაშხია მხოლოდ ღამით გამოჩნდებოდა. დაზვერვას დრო უნდა, თვალის ერთი გადავლება არ კმარა; გამოდის რომ აბრაგი წისქვილის ბორცვზე კარგა ხანს დაჰყოფდა. მეწისქვილის ძაღლიც კარგა ხანს იქნებოდა შეშფოთებული უცხო კაცის ხანგრძლივი, საეჭვო სტუმრობით და პატრონს მისახვედრს მიახვედრებდა, ან გააფაციცებდა მაინც. ამის შემდეგ ყველაფერი ზარანდიას მიერ გადაბირებული მეწისქვილის ღირსებებსა და შესაძლებლობებზე იქნებოდა დამოკიდებული. ზარანდიასთვის იდეალურ შემთხვევაში იგი აბრაგის მოკვლას მოახერხებდა. უარეს შემთხვეეაში – პოლიციას დროულად აცნობებდა – თუთაშხია ბეჩუნი პერტიასთან არისო. წისქვილის პატრონი მარუხია, ღრმად მოხუცებული კაცი, პოლიციასთან თანამშრომლობაზე ახალგაზრდობაშიც უარს იტყოდა, დევნილი კაცის გაცემას არასგზით არ იკისრებდა. მისი გადმობირების ცდას აზრი არ ჰქონდა. ზარანდიამ ამ საკითხს სხვა გადაწყვეტა მოუნახა – შესაფერ კაცს, ვინმე ბონიას ხუთასი მანეთი მისცა, შარუხიას წისქეილი შეასყიდვინა. ამ კაცმა თუთაშხიას გარეგნობა კარგად იცოდა. ავი ქოფაკი მოიყვანა, პალოზე დააბა და წისქვილში დაბინავდა. იმ წვიმიან ღამეს, როცა თუთაშხიამ მოსე ჯაგალიას ცხენი მიაბარა, მეწისქვილე ბონიამ თავისი მოლოდინის მეოთხე თვე აათავა.

თუთაშხიამ შეიდი ვერსი გამოიარა, ღამის ორსა და სამ საათს შუა პირდაპირ წისქვილის ბექობს მოადგა. ძაღლმა ალიაქოთი ატეხა. ბონია ტახტზე თვლემდა, ქოფაკის ყეფამ გამოაღვიძა. თუთაშხიამ გახელებული ქოფაკისაგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ლობიოს სარი მიწაში ჩაარჭო, პარკიდან კანჭზე ბაწარწაბმული კატა ამოიყვანა, სარზე დააბა და წისქვილისკენ გასწია.

ბონიამ გაიფიქრა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო, და სწორედ ამ დროს წისქვილში თუთაშხია შემოვიდა. დამხვდურმა მოსულს ჭრაქი მიანათა, აბრაგი უმალ იცნო. მეწისქვილეს რევოლვერი თავთით ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გაბედა – იცოდა, ასე, პირისპირ სროლას თუთაშხიას ვერ დაასწრებდა. ან იქნებ სახტად დარჩა და აზრად მსგავსიც არაფერი მოსვლია.

ქოფაკმა კატა იყნოსა, რაღა დააშოშმინებდა.

ქვებს ხრიალი გაჰქონდა, სარეკელა კაკანებდა. თუთაშხიამ ნაბადი მოიხადა, კედელზე კაპი ნახა, ზედ ჩამოჰკიდა და ბონიას თავზე წაადგა.

– ჩაიწიე პატარაზე, ბონია, დავჯდე მინდა, – უთხრა თუთაშხიამ.

ბონიამ სასთუმლისკენ გადაიჩოჩა. აბრაგმა საწინააღმდეგო მხარეს მიუთითა. მეწისქვილე წამით შეყოყმანდა, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა, სასთუმლიდან ტახტის ბოლოსკენ გადაინაცვლა. თუთაშხია დაჯდა, მარცხენა ბარძაყთან მკვრივი საგანი იგრძნო, სასთუმალში ხელი შეყო, ახალთახალი, ფეხზე შეყენებული რევოლვერი გამოიღო, დახედა და ძალიან გულიანად გაიცინა: სიხარული, ალბათ, მიხვედრის დადასტურებამ მოჰგვარა. ბონია იატაკზე პირქვე დაემხო აბრაგს ცრემლით შეემუდარა:

– დტთა–ბატონო, შემაცდინეს, გაჭირვებამ მაჯობა. ნუ მომკლავ, ნუ დაიდებ ჩემი ცოლ–შვილის ცოდვას. გეტყვი ყველაფერს... ნუ მომკლავ და ჩემზე ერთგული არ გეყოლება ქვეყანაზე კაცი!

– ერთგულება რომ შეგიძლია ვხედავ მაგას მე! – მიუგო თუთაშხიამ. – ადექი ახლა და ჯორკოზე დაჯექი მაგერ. მოსაკლავად არ მოვსულვარ მე.

ბონიამ უნდო ღიმილით ჰკითხა:

– აბა, რისთვის მოხვედი, დათა–ბატონო?.. – და პასუხის მოლოდინში აბრაგს მიაშტერდა.

თუთაშხიამ გაიცინა:

– რას გპირდებიან ამ საქმეში, ბონია?

ბონიამ ჯერ თავის მოსულელება განიზრახა, შემდეგ გაიფიქრა, რომ ეშმაკობით ვერაფერს გახდებოდა და ჩაილაპარაკა:

– წისქვილი მიყიდეს, ქოფაკი მომცეს! თხუთმეტ მანეთს მიხდიან თვეში კიდევ და... – ილაჯმა უმტყუნა, ენა წაუბორძიკდა, დადუმდა.

– დაასრულე!.

– ხუთი ათასს მომცემდნენ კიდეე რომ მომეკალი, მაშინ! – ძალისძალად ამოსცრა მან.

– აბა, კაი ზარალი მოგსვლიათ შენც და მათაც, – თქვა თუთაშხიამ, წამით დაფიქრდა და ჰკითხა: – კაცი თუ მოგიკლავს როდისმე?

გონიამ დინჯად გაიქნია თავი.

– ახლა მასწავლეს სროლა, ამ საქმისთვის... ქუთაისში.

– არასოდეს რომ არ გაგიკეთებია და არც იცი, რაა, ისეთ საქმეზე რამ მოგაკიდებია ხელი, შე კაცო!

– გაჭირვებამ და უბედურებამ, დათა–ბატონო. გასულ ზამთარს სახადი იყო. ორი მიცვალებული გავიტანე ფაცხიდან. წლისთავი მოდის აგერ და ქვა არ დამიდვიტ საფლავზე ჯერ... ჩემი სიმინდი და მოსავალი ორ თვეს ყოფნის ჩემს ოჯახს. ოთხი შვილი მყავს, გოგოებია ყველა. გაზრდა თუ მოხერხდა მათი ვინ წაიყვანს უმზითვოდ! – ბონიას ყელმი ცრემლი მოაწვა.

გახელებულ ქოფაკს ლამის ჯაჭვი გაეწყვიტა. წისქვილის ქვემოდან წყლის სევდიანი ხრიალი ისმოდა.

– ეს ძაღლი შენს ამხანაგებს ყეფს, ალბათ, დათა–ბატონო. უთხარი, შემოვიდნენ... ამ თავსხმაში ძნელია იქ.

თუთაშხიამ ყური არ ათხოვა, ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ბონია უცბად ვერ მიხვდა, მას ელაპარაკებოდა აბრაგი თუ თავისთვის ხმამაღლა ფიქრობდა:

– მგელიც მისი ლეკვების შიმშილს გამოყავს საშოვარზე. მშიერი და გამწარებული მგლის ფიქრი მარტო ის კი არაა, ვინმე შევჭამოო, იმასაც ფიქრობს მგელი, – ისეთი შევჭამო, რომ არ დამასწროს და აქით არ შემჭამოსო, მაგრამ მეტი ფიქრი არ იცის მგელმა. ნადირია და მიტომ. კაცი ადამიანის შვილია და იმის ფიქრიც უნდა ქონდეს, ისეთი შევჭამო, რომ ჩემი სიცოცხლე ჯობდეს მის სიცოცხლესო. ასეა ეს. – დათა თუთაშხია დაფიქრდა, თვალებში შემოშტერებულ მეწისქვილეს შეხედა და განაგრძო: – შენ რომ ხარ, მისთანა კაცის გახარებისთვის არ ღირდეს ეგებ, მე რომ ვარ, მისთანა კაცის მოკვლა, ბონია, და თუ გიფიქრია ამაზე?

– კი, მიფიქრია, – დაუდასტურა მეწისწვილემ ცოცხლად. – წისქვილი მისთანა ადგილია – ფიქრობს კაცი სულ რას არ ფიქრობს კაცი!

– მერმე?

– ამ საქმეს ასე უნდა შეხედოს კაცმა, დათა–ბატონო... – თუთაშხიას მშვიდობიანმა იერმა და კილომ მეწისქვილეს შიში გაუქარწყლა და მუსაიფის იშტა მოჰგვარა. სათქმელი მცირეოდენი დუმილის დროს ჩამოაყალიბა და განაგრძო: – რაც შენ გინდა და გჭირია, დათა–ბატონო, ყველაფერი გაქვს უკვე და აღარაფერი აღარ გინდა და აღარ გჭირია აწი. რაც მე მინდა და მჭირია – არაფერი არ მაქვს ჯერ. შენ ყველა გულისნადები ასრულებული გაქვს შენი – ასე მგონია მე, თვარა, კიდევ რომ გინდოდეს რამე – სიმდიდრე, სახელი ან პატივისცემა, ადვილად აისრულებდი იმასაც. ჩემს გოგოებს პატარ–პატარა საყანე მიწები და ცოტაოდენი ფული თუ არ გაყვა მზითვად, ვინ წაიყვანს ისე?! ჩემი ძაბუნიასთანა ქალს ამ სამურზაყანოში მეორეს ვერ ნახავდა ადამიანის თვალი. ბოდიში და, ძუკნა ძაღლს დაამსგავსა დარდმა და შიმშილმა...

ბონიამ კიდევ გადაყლაპა ყელზე მომდგარი ცრემლი, ამოიხვნეშა და თავისი ნალაპარაკევის დასკვნა გააკეთა:

– ასე მგონია მე, რომ ჩემისთანა კაცის გაჭირვებას თუ ეშველება რამე – შენისთანა კაცის სიკვდილით... დათა–ბატონო, ქვეყანაზე ჭკვიანი კაცის სახელი გაქვს... იცი შენ, მოგკლავს,

ბოლოს და ბოლოს, ვიღაც მამაძაღლი და მდიდარს და ბედნიერს თუ ერგო ის ფული – ღმერთი და სამართალი სად იქნება მაშინ?!

– შენ რომ გკითხოს კაცმა, ბონია–ღორისშვილო, გლახა და ბოროტი კაცია დათა თუთაშხია, თვარა მოვიდოდა შენსას, შენი გოგოების შემხედავს, გული აუჩუყდებოდა და გეტყოდა, – ა, თოფი, მომკალი და მზითევი გაუწყვე შენს ანგელოზებსო!

აბრაგი დინჯად მიწვდა ტახტზე მიგდებულ რევოლვერს და იატაკზე ფეხებთან დაუდო ბონიას:

– მაგერ გაქვს და მესროლე!

ბონია მოიკუნტა.

– თუ იმის გეშინია, რომ სროლას დაგასწრებ – წამოვწვები ამ ტახტზე, მოგიქცევ ზურგს და მერე მესროლე.

ბონიამ თავი გაიქნია და ჩაილაპარაკა:

– სხვას ვფიქროგ მე, დათა–ბატონო...

– რას!

– ამხანაგები გყავს გარეთ... მოსისხლე კი არ ვარ შენი, რომ ოღონდ მოგკლა და მერმე ყველაფერი სულ ერთი იყოს ჩემთვის. ცოცხალს მჭირია ფული. რომ გესროლო ცოცხალს დამტოვებენ ისინი?! – ბონიამ ხელი კარს მიაშვირა.

თუთამხიას მეწისქვილის ნათქვამმა ღიმილი მოჰგვარა:

– ჩემს სიკვდილზე მე რომ მიფიქრია, შენ არ გიფიქრია იმდენი; ვერ მომკლავს ვერავინ და ვერ აიღებს იმ ფულს ისე, ხალხმა რომ არ გაიგოს, ვინ ქნა და რა ფულად ქნა ეს საქმე. შენ რომ გეშინია, ის ბედისწერა – მომკლავენო – ახლა იქნება თუ მერე, მოგიწევს მაინც, საწევი თუა. ფულს შენს ოჯახს ჩააბარებენ და რა გინდა მეტი?..

– ცოცხალი თუ აღარ ვიქენი, ჩემი გოგოების მზითევი, – ბონიამ ხელი ჩაიქნია.

– შენთვის გინდა ის ფული, გოგოები არაფერ შუაშია, მაგრამ იმდენი ხარბი ვერ ხარ, ქონების გულისთვის ნამდვილ ხიფათში რომ ჩაიგდო თავი. წიგნი წავიკითხე, მეკობრეებზე იყო დაწერილი. მეკობრეები ზღვის ყაჩაღებია. აუარება ქონებას აგროვებენ. ერთი სამეფოს საყიდლად კმარა ის ქონება, მარა ვინ იკმარა. მაინც ძარცვავენ, გლეჯენ, იხოცებიან ბოლოს და ოხრად რჩებათ სადღაც უბედურებაში გადამალული სიმდიდრე. რა ხალხია, თუ იცი, ის მეკობრეები? სიყვარულის ხალხია: ხიფათი უყვართ, იმის ფიქრი უყვართ, სადღაც გადასაკარგავში დიდი ქონება რომ აქვთ დამალული. ფული არ უყვართ იმ კაცებს ფულის შოვნა უყვართ, შოვნა! რაც სიმდიდრეს შეუძლია, იმის სიყვარული რომ ჰქონდეთ, ხომ დაანებებდნენ მეკობრეობას თავს და გაინაპირებდნენ სამშვიდობოზე? სულელი კაცის სიყვარულია ის სიყვარული, მარა მაინც სიყვარულია, სხვები სიხარბეს ეძახიან ამას; სიხარბე რაა, უფრო ესმის ხალხს და მიტომ. გინდა შენ ფულის შოვნა, მარა რა

გაკლია იცი? ხიფათის სიყვარულს არ ვამბობ, არ გაქვს და არც უნდა ჰქონდეს შენი ჯიშის კაცს, მაგრამ ფულის სიყვარული მაინც გმართებს იმდენი, რომ მისი გულისთვის ხიფათის არ გეშინოდეს. არც ეს გაქვს. ქუთაისში სვიმონ საპყარაძეა ერთი – ხარაზი. ორმოცი წელიწადია ადანაიას სახლის სარდაფში ზის და წაღებს კერავს. გოგოები ექვსი გამოზარდა სვიმონმა ამით, ყველა გაათხოვა და დააბინავა და სარდაფიდან არ ამოდის დღესაც. მასავით კარგი კაცი თუ იქენი, უმზითვოდ ნაიყვანენ შენს გოგოებს, ბონია, სიხარულით წაიყვანენ, მაგრამ ამისთვის არ დამიწყია ეს ლაპარაკი, სხვა მაქვს სათქმელი. ჩექმები შემიკერა ერთხელ, აწონა სასნორზე – გირვანქაზე მეტი გამოვიდა და არ გამომატანა არას დიდებით. ამაზე ფილიმონა ტაბატაძემ თქვა, საქმის დიდი სიხარბე აქვს საპყარაძესო. სიხარბე არაფერ შუაშია აქ, თავისი საქმის სიყვარული აქვს სვიმონს. ზოგს გონია, სიყვარული მარტო ცოლ–შვილის, დედაკაცის, ფულის და სუკის მწვადის შეიძლება. მენ რომ გიყურებ, გონია, არც შენი მიცვალებულების სიყვარული გაქვს, არც შენი გოგოების და არც იმ შენი ძაბუნიასი, ძუკნა ძაღლს რომ დაამსგავსე, თვარა კაცის კვლაში ნაშოვნი ფულით არ დააპირებდი შენი მიცვალებულების სამარეზე ქვების დადებას, ცოლისთვის დარაიების ყიდვას, შვილებისთვის მზითვის გაწყობას. როცა სიყვარული არ გაქვს ვერც კაცს მოკლავ მაშინ; სამშობლო თუ არ უყვარს ადამიანს, მტრად მოსულ კაცს ვერ მოკლავს ის... მაგრამ ეს ამბები შენისთანებისთვის ძნელი მისახვედრია, ბონია.

მეწისქვილე ერთიანად ალეწილი და აწურული იჯდა. მერე გესლიანად ჩაიცინა და აბრაგს ჰკითხა:

– შენ თუ გიყვარს რამე, დათა–ბატონო, სიყვარული თუ გაქვს?

თუთაშხიამ მეწისქვილის კილოს ყური არ ათხოვა, დაფიქრდა და მიუგო:

– ილაჯიანი ქოფაკი გყოლია. არ გაჩერებულა, რომ მოვედით, მას მერე. კმარა, დაისვენოს, თვარა ჩაეხლიჩება ხმა.

თუთაშხიამ რაღაც ივარაუდა, წამოდგა და გარეთ გავიდა.

წვიმას გადაეღო, ცას ღრუბელი გადაჰყროდა, მიდამოს მთვარე ანათებდა. აბრაგი ზღურბლთან დადგა, სიბნელეს თვალი მიაჩვია, გარემო რიგიანად მოათვალიერა და დაღმართს ჩაჰყვა.

თუთაშხია რომ დაბრუნდა, ბონია ხვიმირში საფქვაეს ყრიდა. მეწისქვილემ კარის ჭრიალზე მიიხედა, აბრაგის იღლიაში მბორგავ სულიერს დააკვირდა. ერთხანს გახევებული იყო. მერე ტომარა ბოლომდე ჩაცალა, ძირს ჩამოვიდა. თუთაშხიამ კანჭზე ბაწარშებმული კატა იატაკზე ჩამოსვა. წისქვილს თვალი მოავლო, რევოლვერი ვეღარსად დაინახა და ბონიას შეხედა.

– სასთუმალში შევინახე ისევ, – ჩაიდუდღუნა მეწისქვილემ. – კვალში გამოგყვნენ ეგება და რომ შემოვიდნენ და მკითხონ, ხომ უნდა ვთქვა! – მზად ვარ, აგერ იარაღი, და მოხერხებულ დროს ველოდები–მეთქი. ასე თუ არ ვქენი, წამართმევენ წისქვილს...

ქოფაკი დაცხრა.

კატამ ქურქი გაიბერტყა, მყუდრო ადგილი იპოვნა, ჩაითბუნა და თვალები მილულა.

– ამ კატით გამაფუჭე და გამომტეხე, დათა თუთამხია, ხომ? – სინანულითა და ღვარძლით ჩაილაპარაკა ბონიამ. – მაგას ყეფდა ჩემი ძაღლი და მე ამხანაგები მეგონა შენი...

– მხდალი კაცი ხარ, ბონია, და თავი სიცრუით გინდა, დაიმშვიდო, მიეშმაკა თუთაშხიამ და მიტომ ვერ მოვკალიო! გაიხსენე: ჯერ ხომ გამოტყდი და მეხვეწე, ნუ მომკლავო, და მერე მოგხვდა გუნებაზე შენი ქოფაკის აურზაური. არაფერ შუაშია მაგ კატა და შენთვის არ მომიყვანია აქ. ამ წისქვილში საკაიკაცოდ რომ არ იყავი მოსული, ამის მიხვედრას არ ჭირდებოდა სოლომონ ბრძენის ჭკუა და არც კატების ტარება ამ სიშორეს.

– აბა, რაზე აყეფე ქოფაკი ამდენ ხანს დათა–ბატონო?!

– სხვა კაცებს მოიყეანს შენი ძაღლის ყეფა აქ. ამ სოფელში შენსავით დაქირავებული კიდევ რომ არ იყოს რამდენიმე კაცი, არ შეიძლება ის. ღამე იყო, ეძინათ მათ და ყეფამ რომ გამოაღვიძა, იფიქრეს, რატომ დაანგრია მეწისქვილის ძაღლმა ქვეყანაო და ისიც იფიქრეს, თუთაშხია თუა მოსული და სადმე ჩასაფრებულიო. სანამდე ძაღლი ყეფდა, ვერც ერთი ვერ გამობედავდა კარში. ისხდნენ, იარაღი ეკავათ ხელში და ხუთ ათას მანეთ ფარას ნატრობდნენ შენსავით. ახლა, ქოფაკი რომ გაჩერდა, ის კაცები იფიქრებენ, ალბათ, წავიდა თუთაშხიაო. მშიშარა კაცი ცნობისმოყვარეა და ჭორიკანაა დედაკაცივით; ვერ მოისვენებენ სანამდე სათითაოდ არ ამოვლენ და არ გკითხავენ, – რა აყეფებდა შენს ქოფაკსო. არ მცალია, თვარა დავრჩებოდი ერთხანს და ყველას ვნახავდი იმ კაცებს ჩემი თვალით. მივდივარ მე. ა, შენ ხუთი მანეთი. არ მაქვს მეტი. გამოგადგება სახარჯოდ.

– არა, დათა–ბატონო, რას ბრძანებთ, რატომ წუხდებით.

ბონიას მართლა არ უნდოდა ფულის გამორთმევა. თუთაშხიამ შენიშნა ეს და უთხრა:

– სხვა ამგავში სულერთი იქნებოდა, აიღებდი თუ არ აიღებდი ამ ხუთ მანეთს. ჩემგან მოთავაზებაც იკმარებდა და დანარჩენი შენ გეცოდინებოდა. ახლა ისეა საქმე, რომ თუ არ აიღე, მარტო მოთავაზებას არ აქვს აზრი. რომ გამომართვა, ისაა საჭირო. ჩაიდე ჯიბეში. ის ხალხი დაიხსომე ყველა, ვინც ამაღამ და ხვალ დილაადრიან ძაღლის ყეფის მიზეზი გკითხოს.

მეწისქვილემ ფული გამოართვა, უბის ჯიბიდან ქისა ამოიღო, გახსნა და ხუთმანეთიანი შიგ ჩააგდო.

– იცოდე, ბონია, არ მომატყუო, თვარა ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ამ წისქვილიდან ამოგკრავენ პანჩურს და მზითვის რა გითხრა, ღომი მოგენატრებათ შენც და შენს გოგოებსაც.

თავღია ქისა ორთავ ხელებით ეჭირა ბონიას, შიგ იყურებოდა. თუთაშხიამ კატა აიყვანა, კანჭზე გამობმული ბაწარი ააჭრა.

ბონიამ დაიყვირა:

– რაში მომეცი, დათა თუთაშხია, ეს ხუთი მანეთი! – აიღე უკან. არ მინდა ფული, ისე გეტყვი იმ კაცებს, ვინც მოვა და მკითხავს...

– სსსუ, წყნარად, ბონია! – შეაწყვეტინა აბრაგმა. – მარტო მაგისთვის არ მომიცია, ჩეიხედე შიგ!

მეწისქვილემ ისევ ქისაში ჩაიხედა.

– იყურე შიგ და იფიქრე. დაინახავ, ვინ ხარ და იმასაც მიხვდები, როგორი უნდა იყოს კაცი. ამისთვის მოგეცი მაგ ფული.

თუთაშხიამ ნაბადი ჩამოიღო, მკლავზე გადაიკიდა. მეწისქვილეს თვალებიდან ცრემლები სცვივოდა.

– დათა თუთაშხია, მოგეკალი ბარემ და ისე წასულიყავი, – გულწრფელად, ხვლიპინით თქვა ბონიამ.

– ნუ ლაპარაკობ სისულელეებს! მოსაკლავიც რომ იყო, არ მოგკლავდი მაინც, – წყნარად მიუგო აბრაგმა. – მტერი ხარ ჩემი და ისე გამოვა, ვითომ ყველა მტერი მოსაკლავია. ჩემი ხელით შენი სიკვდილი უარეს საქმეს იზამს, ვიდრე შენ იზამ შენი ბოროტი სიცოცხლით, მაგრამ გულუბრყვილო ხარ და გულუბრყვილო კაცი ხელჩასაქნევი არაა. იფიქრე, განგებამ ფიქრისთვის გააჩინა ადამიანი. მშვიდობით იყავი, ბონია.

თუთაშხიამ კარს მიაშურა. მეწისქვილემ თვალი გააყოლა და უკვე კართან მისულს უთხრა:

– დათა–ბატონო, მოიცადე ერთ წუთს, სათქმელი მაქვს რაღაც.

აბრაგი შეჩერდა, მეწისქვილეს გამოხედა.

– ქუთაისმი ვინ მელაპარაკებოდა და ვინ დამითანხმა ამ საქმეზე, თუ იცი?

თუთაშხია დაბრუნდა.

– ვინ?

– ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსიც იყო იქ, მარა ხმა არ დაუძრავს მას. მამიდაშვილი მელაპარაკებოდა შენი, მუშნი ზარანდია. სხვა გვარი მითხრა, ეს და ეს კაცი ვარო. ეგონა, არ ვიცოდი, ვინც იყო. მისი პოლკოვნიკობაც ვიცოდი და პეტერბურგში რომ დიდზე დიდი კაცია, ისიც. მუშნიმ მაყიდვია ეს წისქვილი შარუხიასგან.

დათა თუთაშხია გაქვავებული იდგა, მაგრამ ეს სულ სამიოდე წამს გაგრძელდა. აბრაგმა ჭრაქს ხელი დაავლო, ბონიას სახეში მიანათა თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

– როდის იყო ეგ?

– ივნისის თვეში.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– მართალს ლაპარაკობს, – თავისთვის თქვა თუთაშხიამ და ჭრაქი ადგილზე დააბრუნა. – აბრაგი ფიქრობდა. მეწისქვილე ერთხანს ჩუმად იყო, მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ძალიან ვერაგი კაცია მუშნი ზარანდია, დათა–ბატონო. დიდი სიფრთხილე გმართებს, დიდი!

– მუშნი არ მდევნის მე, მისი უფროსები მდევნიან და თანამდებობა აქვს მუშნის ისეთი, რომ იძულებულია, მათი ბრძანება შეასრულოს. მუშნი ჭკვიანი კაცია, დიდი კაცია. მისთანა ორი, სამი ყავთ მაგათ, მეტი არ ყავთ, იცოდე ეს. სიფრთხილე არ მაკლია მე. სიკვდილმა თუ მიწია, გაუფრთხილებლობის ბრალი არ იქნება, განგების ნება იქნება ის.

თუთაშხიამ კარი გააღო. კატამ ზღურბლზე გადაასწრო და პირდაპირ ნოკო ბასილაიას სახლისკენ მოჰკურცხლა.

– ჯიშიო! ჯიში ამათი თქვი შენ, თუთაშხიების! – ჩაილაპარაკა ბონიამ.

აბრაგმა წისქვილს შემოუარა, დაღმართი ჩაირბინა, ბეჩუნი პერტიას ღობეზე გადახტა, უკანა კიბე ფეხაკრეფით აიარა, კარი შეაღო. დერეფანში ბნელოდა. აბრაგმა კედელს ხელი გააყოლა, კარი მოსინჯა და მიაკაკუნა. კარგა ხანს არაფერი გაფაჩუნებულა. ცოტა მოიცადა, სახელურს დაავლო ხელი, შესვლა დააპირა. მოპირდაპირე მხრიდან იატაკის ოდნავი გაჭრიალება მოისმა. მაშინ თუთაშხია ხმაზე მივიდა და იმ კარს მიაყურა, საიდანაც ჭრიალი მოსწვდა. ისევ სრული სიჩუმე იყო, მაგრამ აბრაბმა კარს იქით განაბული ადამიანი ტანითა და ალღოთი იგრძნო. უცხო ხომ არავინ არისო, გაუელვა. დერეფნის ბოლოში ფანჯარას გახედა. აქედან მთვარე არა ჩანდა, მხოლოდ კაკლის ტოტები ციმციმებდნენ ვერცხლისფრად და უფრო იქით, ეზოს გადაღმა ხეხილებში სველი ფაცხები მიკუნტულიყო. რატომღაც თავისი ჯოგი და როდისღაც ბუღად განზრახული მოზვერი ქორა მოაგონდა. ქორა წინაპრებივით შავი, ფერდზე თეთრვაშლიანი და ტანადი იყო. ვნებისგან ამღვრეულ ვეება ცისფერ თვალებს აბრიალებდა. აბრაგმა მოგონებას შეჰღიმა, კიდევ ცოტა ხანს უმზირა ნარმოდგენაში აღმდგარ ომახიან ბუღას, რომელიც ახლა ახალქალაქელ მალაკნებს ჰყავდათ, და დააკაკუნა.

– ვინ ხარ მანდ? – გაისმა კარს იქიდან გუდუნას ხმა.

თუთაშხიამ შეხმიანება დააპირა, მაგრამ იატაკქვეშ ხრინწიანმა ყვინჩილამ წამოიყივლა. გრძლად, ნაწყვეტ–ნაწყვეტად, ალბათ პირველად ყიოდა. თუთაშხიამ სიჩუმეს მოუცადა და ხმადაბლა თქვა:

– დათა ვარ, გამიღე!

– მობრძანდი, – მცირედი დაყოვნების შემდეგ უპასუხა დამხვდურმა.

რაზამ დაიჩხაკუნა.

დათა თუთაშხია ოთახში შევიდა, კარი ჩარაზა, იქვე, ზღურბლთან დადგა, გუდუნა პერტიას გააყოლა თვალი.

ბიჭმა ღიად დატოვეპული დარაბა დახურა, ბუხართან მივიდა, ნაღვერდალი მოქექა, სული დაუბერა. სტუმრისთვის არც შეუხედავს, ზანტად იქცეოდა, თითქოს მხოლოდ იმიტომ საქმიანობდა, რომ ვინმე აძალებდა.

დათა თუთამხია ბიჭს ზემოდან დაჰყურებდა, რაღაცას ფიქრობდა მერე ნაბადი მოიხადა და ჰკითხა:

– ორი წელინადია არ ვყოფილვარ აქ... რამდენის ხარ ახლა შენ?

– თოთხმეტის ვარ, მეთხუთმეტეში! – მიუგო გუდუნა პერტიამ, კედელს ძველი ქაღალდი ჩამოახია და ისევ ნაკვერჩხლებს შეუბერა.

მიფიცხებულ ქაღალდს ალი მოედო.

– თოთხმეტის, მეთხუთმეტეში... კი, მასე იქნები. – თუთაშხია გულდასმით ათვალიერებდა ქაღალდის ალით პირსახეგანათებულ ბიჭს. სტუმარ–მასპინძელმა იქამდე უყურა ერთმანეთს, სანამ ქაღალდი მთლად ჩაიწვა და კვლავ ჩამობნელდა.

– ჭრაქი აანთე, ლამპა არ არის საჭირო, – თქვა თუთაშხიამ.

ბიჭმა კედლიდან ისევ ჩამოხია ქაღალდი, ცეცხლი წაიღო, სანთელს მოუკიდა და გაინაბა. ზურგით იდგა. სანთლის ალს დასჩერებოდა. აბრაგმა ოთახი დაათვალიერა.

– პატარა იყავი მაშინ შენ; ამ ორ ოთახში მასნავლებელი ქალი ცხოვრობდა ერთი, თიკო ერქვა, თინათინი, ორბელიანი იყო გვარად... – დიდი ხნის წინანდელი ხიფათიანი ღამე და მდგმურის თავგანწირული ეშმაკობა გაახსენდა. – ბეჩუნია სად არის, გუდუ?

– ინდოურები გადენა გასაყიდად გუშინ. მოვა დილით.

თუთაშხიამ ბუხარს ჩაუარა, კრეტსაბმელი გასწია, მეორე ოთახში შეიხედა. ფანჯარაში მთვარე იყურებოდა. იქაურობას მკრთალ სინათლეს ჰფენდა აბრაგმა ყველაფერი დაწვრილებით მოიგონა: სად იდგა თიკო ორბელიანის საწოლი, რომელ ადგილას იყო კედელზე აკრული თვითონ, როცა ორბელიანის ქალი კაზაკებსა და მათ იასაულებს ეომებოდა. ისიც მოაგონდა, რომ აგერ იქ მასწავლებელი მკერდში ჩაეკონა და სწორედ ამ დროს ბეჩუნიმ ფანჯარაში თავისი ნაკვერჩხლისფრად მოვარეარე თვალები შემოანათა.

აბრაგმა თავი დააქიცინა. შემოტრიალდა.

ბიჭს კარგი აღნაგობა და თავისი ასაკისთეის საკმაოდ ბრგე შეხედულეგა ჰქონდა. დაჟინებით იყურებოდა, თითქოს ცდილობდა, აბრაგის არც ერთი, სულ უმნიშვნელო მოძრაობაც კი არ გამორჩენოდა.

– კაი, – თქვა თუთამხიამ. – მოდი ახლა, ბუხარი გავაფიცხოთ. სველი ვარ მთლად, გავაშროთ ტანსაცმელი და ვილაპარაკოთ პატარა. ღამიანად უნდა გავიდე აქედან მე.

თუთაშხიამ იარაღი აიყარა, ხელმისანვდომად დააბინავა, ჯორკოზე ჩამოჯდა და გახდას შეუდგა. გუდუნამ ნაკვერჩხალს ხმელი ჩხირები დააყარა, სული დაუბერა. ცეცხლი მალე აგიზგიზდა. თუთაშხიამ წინდები, პაჭიჭები და წუღები ცეცხლს მიუმარჯვა, პერანგი მუხლებზე დაიფინა ხალათი ბიჭს გაუწოდა:

– ა, მომეხმარე, თუ კაცი ხარ.

ბიჭმა ხალათს შეუბღვირა, ჯორკოიანად გაიჩოჩა, ტუჩები მობუზა, ბუხარს წარბშეკვრით ჩააჩერდა.

თუთაშხია გაოცდა:

– შე კაცო, სტუმრის დახვედრა და პატივისცემა მასეთი ვინ გასწავლა, ნეტავი?

ამ ნათქვამში გუდუს რაღაც ენიშნა, შეკრთა, აბრაგს მყისვე თვალი თვალში გაუყერა, მაგრამ იქ ეჭვის ნატამალიც კი ვერ დაინახა. პირიქით – რაღაც სითბო იგრძნო. ელდამ გაუარა, გულზე მოეშვა, დამშვიდდა. როცა დამშვიდდა, მაშინ იმასაც მიხვდა, რომ დიდი ხნის განზრახული გულღია დახვედრის მაგიერ დაგუბებულ სიძულვილს აჰყვა, სტუმარს მკვახედ მოექცა და სწორედ ამით შეეძლო, მისთვის რაიმე ეჭვის საბაბი მიეცა, მისი სიფრთხილე გაემახვილებინა. ბიჭი მიხვდა, შემობრუნება მართებდა, თორემ შეიძლება, ყველაფერი ჩაფუშულიყო. ხალათს უკვე ორთქლი აუვიდა და მას კი ვერასგზით ვერ დაემორჩილებინა თავი, აბრაგისთვის გულთბილი რამ ან თუნდაც ორიოდ მშვიდი სიტყვა ეთქვა. იმის შიშიც ბორკავდა, რომ უდიერობიდან გულთბილობაზე მკვეთრად გადასვლა სტუმარს შეაფიქრიანებდა და, ალბათ, ისიც, რომ იშვიათი გამჭრიახობით და ეშმაკობით ცნობილ ადამიანს მასპინძლის გულითადობაში უნებლიეთ გამჟღაენეგული მცირედი სიყალბეც კი არ გამოეპარებოდა. ამ ფიქრმა ისე შეაწუხა, რომ ჯორკოზე თავი უხერხულად იგრძნო, აწრიალდა. თუთაშხიამ ბიჭს მოუსვენრობა შენიმნა და ცოტა ფიქრის შემდეგ უთხრა:

– შეგაწუხე, გუდუ, გავაშრობ ნაბადს და წავალ მალე მე. წვრილად დახეთქილი ხმელი შემა თუ გაქვს სადმე?.. ფიცხი ცეცხლი ჭირია ტანსაცმლის გაშრობას.

ბიჭს ჟრუანტელმა დაუარა, ტანში შეზრიალებამ მხრები აუბორგა.

– გაციებული ხომ არ ხარ შენ? – თქვა თუთაშხიამ. – მე გავალ და მოვიტან, სად გაქვს?

– აგერ მაქვს, პატარა ოთახში. კარში გასვლა არ მომიწეეს. მოვიტან ახლავე.

თუთაშხია ჩაცმას შეუდგა.

– გიორგობისთვეს ხარ დაბადებული, მშვილდოსანი ხარ ჩემსავით, – თქეა აბრაგმა.

გუდუნა პერტიამ მაშა აიღო, ბუხარში მუგუზლები მოაწესრიგა, დინჯად ადგა და ოთახიდან გავიდა. დერეფანში ერთი წამი შეჩერდა, მერე მოპირდაპირე ოთახის კარი შეაღო, შეშის თაკარიდან ჭინჭში გახვეული რევოლვერი გამოიღო. გულმა დაგადუგი აუტეხა, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ეს სულ ცოტა ხანს გაგრძელდა; თავისი მოდგმის

სიმშვიდე და გადამწყვეტობა მალევე ეწვია, იარაღს ჭინჭი შემოაცალა, ჩახმახზე შეაყენა, უბეში შეინახა და სიბნელეში წვრილი შეშების მოფათურებას მიჰყო ხელი. არჩევდა, იატაკზე ჰყრიდა, ხმაური სწყუროდა!

იატაკქვემ საქათმეში ისევ მამალმა დაიყივლა. მეზობლისამ ხმა მოსცა. ბიჭმა შეშას თავი მიანება, დაფიქრდა, წაიჩურჩულა:

– გათენდება მალე. გათენებას არ დაუცდის ეგ...

კარგა მოზრდილი იღლია შეშა წაიღო და ბუხარს მიაშურა. დათა თუთამხია უკვე ჩაცმული იყო. ჩოხაზე ქამარ–ხანჯალს ირტყამდა. სკამები დაედგა, ზედ გადაფარებული ნაბადი ცეცხლისთვის მიემარჯვებინა. ბიჭმა შეშა დაყარა, რამდენიმე ღერი მუგუზლებზე დაალაგა და სულის შესაბერად ჩაცუცქდა. ბუხართან მისადგომი აღარსაიდან დარჩა.

– მიმიშვი ერთი, ნახე, სულის შებერვა როგორი ვიცი მე, – აბრაგმა ბიჭს ხელი დაუთათუნა.

ბიჭი წამოდგა, დაიხია. თუთაშხიამ ჯორკო მიიჩოჩა, ზურგს უკან მდგომ ბიჭს ღიმილით ახედა, დაიხარა, ცეცხლს გრძლად, მძლავრად შეუბერა. გუდუ პერტიამ ხელი უბეში მეიყო, რევოლვერი გამოიღო, აბრაგს თავში დაუმიზნა და სასხლეტს დააწვა.

გავარდა, ჩახმახი კვლავ დასაცემად აიყალყა. დათა თუთაშხია, თითქოს თავში მარგილი დასცესო, – შუბლით ფილას ეძგერა და ხელისგულებით იატაკზე დანდობილი წამით გაქვავდა. ბიჭმა ისევ დაუმიზნა, მაგრამ სროლა აღარ დასცალდა: თუთაშხიამ რაღაცნაირად ისკუპა და ჯერ ზეზე ამართულიც არ იყო, რომ გუდუ პერტიას იარაღი ხელთ ჰქონდა.

ისინი სამიოდ ნაბიჯზე პირისპირ იდგნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ. დათა თუთაშხიას სახე უკიდურეს განცვიფრებასა და ყრუ, სასიკვდილო ტკივილს გადაებრიცა. გუდუ პერტია მხოლოდ გაფაციცებული იყო. მთელი არსებით სიცოცხლის შენარჩუნების გზას, გამოსავალს ეძებდა. იგი არავითარ დაბნევას, შიშს და, მით უმეტეს, პატიების მუდარას არ ამჟღავნებდა.

– რა ქენი, ბიჭო, ეს! – დაიკვნესა თუთაშხიამ, შუბლი მოისრისა და სინანულით გაიმეორა: – რა ქენი, გუდუნა ეს!

კეფიდან კისერში ჩაჟონილი სისხლის სიგრილე აბრაგს ხელი ჭრილობაზე მოასმევინა. ტკივილმა უმატა. თუთაშხიამ წართმეული რევოლვერი ქამარში გაირჭო, აცახცახებული ხელებით დოლბანდი დაკეცა, ჭრილობაზე მოიხვია. სისუსტე მოერია, სკამზე დაეშვა. თავჩაქინდრული იჯდა, იატაკს დასცქეროდა. ბიჭმა ბუხრის სიახლოვეს მიყუდებულ თოფ–იარაღს სჭიდა თვალი; ეერ მისწვდებოდა, შუაზე პატრონი იჯდა.

– არ შეიძლება ჩემი სიკვდილი აქ, – ჩაილაპარაკა დათა თუთაშხიამ.

ბიჭი ვერაფერს მიხვდა.

აბრაგმა თავს ძალა დაატანა, წამოიწია, ადგა. ტკივილმა დააკვნესა, ორთავე ხელი საფეთქლებმი ატაცებინა. ასე იდგა, სანაჭ ტკივილმა უკლო და თავბრუს ხვევა მოეშეა. მერე ბუხართან მივიდა, თოფ–იარაღი აისხა და ისევ გაინაბა.

– რამ მოაფიქრებინა ეს!.. მაჯობა მაინც, – ჩაილაპარაკა მან მცირედი დუმილის მემდეგ და დასძინა: – გუდუნა, დედაშენს არ უთხრა, რომ ვიყავი და მესროლე. ცოდვაა.

ბიჭი ჩუმად იყო.

დათა თუთამხიამ გასასვლელი კარი გამოაღო, ზღურბლზე შედგა ბიჭს გამოხედა და თქვა:

– ფული არ გამოართვა. გაგაწვალებს და წაგახდენს ის ფული... – სიტყვა პირზე შეაშრა, იფიქრა და დასძინა. – მე ვიზამ მაგას! გვამს რომ ვერ იპოვნიან, ისე ვიზამ ფულს აღარ მოგცემენ მაშინ!

აბრაგი ორღობეს ზღვის მიმართულებით გაჰყვა. გუდუ პერტია კარს იყო მიჩერებული, ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. მერე ტრუსის სუნმა ოდნავ გამოაფხიზლტ. ბუხარს გახედა, აგურგურებულ ცეცხლს მიაჩერდა. დრო გავიდა, გონება თანდათან დაეწმინდა და საოცრად მკაფიო რწმენა ეწვია იმისა, რომ თუთაშხიას ნათქვამი ყველაფერი უკლებლივ, ზუსტად უნდა შეესრულებინა...

ბიჭი ნაბადს ეცა, ძირს დააგდო, ალმოდებული ადგილი ფეხით ჩააქრო იატაკზე სისხლის პატარა გუბე დაინახა; კუტალით წყალი და ტილო შემოიტანა, აწმინდა, მორეცხა. იქაურობა გულდასმით დაათვალიერა, სტუმრის ყოფნის სხვა რამ კვალს თვალი ვერსად მოჰკრა. ახლა ნაბადი დაკეცა, იღლიაში ამოიდო, ტილო და კუტალი წაიყოლა, ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში დაბრუნდა, მუგუზლები დააშორა, ცეცხლი დააცხრო და ლოგინზე ჩამოჯდა. ფიქრობდა. ყველაფერი თავიდან გაიხსენა, გაიმეორა, აწონ–დაწონა.

– სად წავიდა ამ ღამეში!.. – ჩაილაპარაკა თავისთვის.

ბიჭმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ აუცილებლად, უსათუოდ საკუთარი თვალით უნდა ენახა ის ადამიანი, ვისთანაც დათა თუთაშხია მივიდოდა. ზეზე წამოიჭრა, ქურთუკში ხელი გაუყარა და კარში გავარდა. ჭიშკრის ზღურბლს გადასცდა, დადგა, ღამეს მიაყურა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა; არც ფეხის ხმა, არც ძაღლის ყეფა, არც სხვა რამ ისეთი, რაც მიმავალი კაცის კვალზე დააყენებდა... ადგილს მოწყდა, მარჯვნივ გაიქცა, ოცი, ოცდაათი ნაბიჯი გაირბინა, გაჩერდა, შეტრიალდა და საწინააღმდეგო მხარეს მოჰკურცხლა. არც პირველ არჩევანს ჰქონდა რაიმე გამართლება, არც – მეორეს; ორივე შემთხვევაში ალღო ამოძრავებდა და დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზაზე იდგა. მირბოდა, ხან სულის მოსათქმელად სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. სმენად იყო ქცეული, თვალთახედვას ძაბავდა, რომ მოძრავი რამ სიბნელეში შორიდანვე დაენახა.

მიქორის აღმართი აათავა. აქედან სოფლამდე ლარივით სწორი შარა ეშვებოდა. შუა დაღმართზე რაღაც ლანდი შენიშნა.

თუთაშხია იყო?..

ბიჭმა გზიდან გადაუხეია, ჯაგებში გადავიდა. იცოდა, აბრაგი სწრაფად ვერ ივლიდა. მორიდან შემოვლა, გადასწრება და მიქორის ბოგირთან ჩასაფრება განიზრახა. ხომ უნდა ენახა, ვის მისდევდა, – იქნებ სხვა იყო ვინმე?

ღელეს მიაწია, ნაპირ–ნაპირ იარა, ბოგირთან მივიდა. გზად მომავალი ლანდი ჯერ კიდევ შორს იყო. აქვე, ბოგირს გადმოღმა, მალაქია ნინუას სამჭედლო იდგა. ზედ პატარა ოთახი ჰქონდა მიდგმული. მჭედელი იმ ოთახში ცხოვრობდა. ბიჭმა საფარი დატოვა, სამჭედლოს უკანა კედლის ძირას ჩაჯდა, გზას დაუწყო თვალთვალი.

მგზავრი ნელი, უმწეო ნაბიჯით მოდიოდა. ჩერდებოდა, ხეებს ეყუდებოდა და ისევ წინ მოიწევდა. ბიჭი დარწმუნდა, ეს კაცი დათა თუთამხია იყო.

– მიქორში მიდის, – გაუელვა მას. – ვისას მიდის მიქორში?..

დათა თუთამხიამ სამჭედლოსკენ გადმოუხვია, მალაქიას სარკმელზე მიაკაკუნა.

ბიჭი განცვიფრდა. მალაქია ნინუა აქეთ ჩამოვლილ ან მიქორელ ბავშვებთან სათამაშოდ მოსულ გუდუნას ისე არ გაუშვებდა, რომ არ გამოლაპარაკებოდა და რაიმე არ ეჩუქებინა: კანფეტი თოხი, აბზინდი. ცხენის ან ხარის დაჭედვაში ხომ ფულს ან სულ არ ართმევდა, ან, თუ უცხო შეესწრებოდა ვინმე, ნახეყარს უანგარიშებდა ხოლმე...

დათა თუთაშხიამ ხელმეორედ დააკაკუნა. ოთახიდან ფაჩიფუჩი მოისმა და სარკმელი გაიღო.

– მე ეარ, მალაქია, – დაიჩურჩულა დათა თუთაშხიამ.

– ახლავე გაგიღებ კარს.

– ვერ შემოეალ, მეჩქარება ძალიან.

აბრაგი სარკმელთან იდგა, კუთხეს ამოფარებული ბიჭი კედელს აკვროდა, სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯით იყვნენ დაშორებული.

– ავად ხომ არ ხარ, დათა? რანაირ ხმაზე მელაპარაკები, თუ იცი?

– დაღლილი ვარ ნამეტანი. ბოღაზში თათრის ფელუკა მელოდება, სამსუნში უნდა გადავიდე, საქმე მაქვს იქ... – თუთაშხიამ სული მოითქვა და განაგრძო: – რას გთხოვ, ახლა. მოსე ჯაგალია უნდა ნახო ამ დღეებში. ცხენი მყავს დატოვებული მასთან. ნოემბერია ახლა. დეკემბერში მუშნი ზარანდია ჩამოვა, გულიებს ქორწილი აქვთ და ქორწოლში იქნება უსათუოდ. ჩემი დატოვებული ცხენი ქორწილში მიუყვანოს მუშნის ჯაგალიამ. დანარჩენი ნათქვამი მაქეს მე, რა უთხრას და როგორ უთხრას, მამაძაღლმა... – თუთაშხიამ წამოიკვნესა, ხელები საფეთქლებში იტაცა. – ჭორიკანა კაცებთან ილაპარაკე, თუთაშხია ოსმალეთშია–თქვა.

– არსად არ გაგიშვებ, დათა, გეფიცები შვილებს... რა არის ეგ, რას გავხარ, იცოდე ნეტავი... – შეწუხდა მალაქია.

– ხომ დაიხსომე ყველაფერი, მალაქია?.. გავცივდი, დასწყევლოს ზეცაუფალმა. თავი მტკივა, გამისკდეს ლამის. კაი, წავალ მე. მშვიდობით იყავი, აბა!

– მშვიდობა შოგცეს ღმერთმა! – ჩაილაპარაკა მჭედელმა ფიქრიანად.

დათა თუთაშხიამ გზისკენ გასწია, ბოგირზე ბარბაცით გადავიდა. გუდუ პერტია იმავე კედელს იყო აკრული, რაღაცას ფიქრობდა, აბრაგს გასცქეროდა. როცა დათა თუთაშხია ბოგირს გადასცდა, ბიჭი უკვე დასანახზე იყო. მოეხედა – დაინახავდა კიდეც. არ მოუხედია, ბოღაზისკენ ჩაუხვია და თვალს მიეფარა.

– მალაქია ბიძიამ იცის ყველაფერი. – ჩაიჩურჩულა ბიჭმა, ერთხანს შეიცადა და შინისკენ წავიდა.

დათა თუთაშხიამ ნავსაბმელს გვერდი აუარა, მარცხნივ, ნაპირნაპირ წავიდა. ბოღაზს ზღვისგან ვეება ფიჭვებით აფაფრული ნახევარკუნძული ჰყოფდა. თხემისკენ ბილიკი მიიკლაკნებოდა, საღი კაცისთვისაც კი მძიმე სავალი იყო. დათა თუთაშხია, სანამ აღმართს შეუდგებოდა, დასასვენებლად დაჯდა, მჯდომარემ დაკარგა გრძნობა. როცა თვალი გაახილა, გათენებული იყო, მაგრამ მზე ჯერ არ ამოწვერილიყო. ძალა მოიკრიბა, ადგა. ტკივილშა და თავბრუსხვევამ

კინაღამ ისევ ძირს დასცა. თხემამდე ნახევარი გზა ჰქონდა ავლილი – ფეხი რაღაცას წამოსდო, ცუდად, უხერხულად წაიქცა. ამის შემდეგ ზეზე აღარ ამდგარა, დარჩენილი მანძილი ხოხვით აიარა. განაპირა ქიმზე ფიჭვი იდგა. იმ ფიჭვამდე მიხოხდა, მკლავის სიმსხო ფესვებში ჩაჯდა და თვალები მილულა. მის ფერხთით კლდეს გაცოფებული ზღვა ძალუმად აწყდებოდა. ზოგი ტალღა ისეთი იყო, გრძნობამიხდილ აბრაგს შხეფი სახეზე ეპკურებოდა. ძირს, ბოღაზისპირა მინდორზე, უკვე საქონელი ბალახობდა. მენახირე გაკვირვებით ამოჰყურებდა კლდის ქიმზე, ფიჭვის ქვეშ მოკალათებულ კაცს. დაუსტვინა, ამოსძახა კიდეც, მაგრამ ვერაფერი გააგონა, თუთაშხია შორს იყო. აბრაგმა ერთხანს მზის ამოსვლას უყურა, მერე ყაბალახი მოიხსნა, წელზე შემოირტყა, შიგ ქვების ჩალაგებას მიჰყო ხელი და პირთამდე გაავსო. საკინძე შეიხსნა, უბე ქვებით გაიტენა შარვლის ტოტებშიც ქეები ჩაილაგა: ასე დატვირთული გვამი ვეღარასოდეს ამოტივტივდებოდა. როცა ამ საქმეს მორჩა, მხარიღლიზე გადაკიდებული კარაბინი მოიხსნა და ზღვაში გადააგდო, ორივე მაუზერი, გუდუს რევოლვერი, ხანჯალი და აჭარული ბებუთიც ზედ მიაყოლა. კლდის პირზე მიჩოჩდა, გულაღმა დაწვა, გაინაბა, თითქოს სიკვდილის ფეხის ხმას მიაყურა. ახლა მარტო გრძნობის დაკარგვა იყო საჭირო და გვამი თვითონ გადაიჩეხებოდა.

მხოლოდ რამდენიმე წამით მოაკითხა ფიქრის უნარმა, ეფემია წინამძღვარი და მისი ნათქვამი მოაგონდა: – “ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენთი თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებასაც გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე, მაგრამ წყვდიადის შემანგრეველი ძალა იყო...” დათა თუთაშხიამ უეცრად მოსულ მოგონებას სევდიანი ჩაღიმება მიაგება და ვარდისფრად აკიაფებული კაბადონი კვლავ ჩაშავდა. სიკვდილი მალე მოვიდა. დათა თუთაშხიას ყურებში ზარი აგუგუნდა. სხეულმა უკანასკნელად წაიბორგა. გაქვაედა, ნელა, უილაჯოდ დაცურდა და კლდეს მოსწყდა.

იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეს გენერალი სუხოდოლსკი თვით ჩაუდგა სათავემი, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო. გუდუ პერტიას ჩვენების თანახმად, თუთაშხია

მხოლოდ დაიჭრა და სხვა მოწმეთა ანალოგიური ჩვენებების უქონლობის გამო, ესეც საეჭვო გახდა.

მენახირეს, რომელმაც შეიარაღებული უცნობის კლდეზე ასვლისა და ზღვაში გადავარდნის ამბავი სოფელში მიიტანა, მამასახლისი მეორე დღესვე აჰყვა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ სიკვდილის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი ვერ ნახა და ასეთი რამ არც შემდგომში ყოფილა აღმოჩენილი. ამას გარდა, მენახირე ჭკუანაკლული იყო, ამიტომ ნაამბობი ჯერ თანასოფლელებმა არ დაიჯერეს და ხელისუფლებას ირ შეატყობინეს, შემდეგ კი მისი ჩვენება გამოძიებამ ვერ ჩათვალა სარწმუნოდ. თუთაშხიას გვამის და მის მიერ ზღვაში გადაყრილი რაღაც საგნეგის საძებნელად სოხუმიდან მყვინთავები ჩაიყვანეს, მაგრამ იმ ადგილას ზღვა მეტისმეტად ღრმა გამოდგა, მყვინთავებმა ფსკერამდე ვერ ჩააღწიეს და ვერაფერი იპოვნეს. მეორე მხრიე, მჭედელი, რომელმაც დათა თუთაშხია ერთ–ერთმა უკანასკნელთაგანმა ნახა და თვით გუდუ პერტიაც, ვინც დათა თუთაშხიას და მჭედლის ლაპარაკი მოისმინა, დაჟინებით ირწმუნებოდნენ, რომ აბრაგი თურქების ფელუკით სამსუნს გაემგზავრა. იმ ღამეს ბოღაზიდან ფელუკა მართლა გავიდა. მაგრამ არ ემთხვეოდა ერთი რამ: დათა თუთაშხია მის გასვლას ვერ მიუსწრებდა. ამგვარად, გამოძიება ჩიხში მოექცა, საქმე ვერ დაიხურა.

ეს იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ფაქტში ყველა დარწმუნებულია, მაგრამ მისი იურიდიული დადასტურება ვერ ხერხდება და კანონით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე ფაქტი მომხდარად ვერ ჩაითვლება. დათა თუთაშხიას მტრები, კეთილისმსურველები, გუდუ პერტია – ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, აბრაგი კვლავ ცოცხალია და როდისმე საღ–სალამათი გამოცხადდებაო. ამ რწმენას ერთი კურიოზული შემთხვევა მოჰყვა. ბიქტორ სამუშიას, ანუ პირს, რომელმაც გუდუ პერტია თუთაშხიას მოსაკლავად მოამზადა, ღამის ორ, სამ საათზე ვიღაცამ ენერგიულად დაუკაკუნა. ნამძინარევმა და დაფეთებულმა მასპინძელმა ჰკითხა, – ვინ ხარ და რა გინდაო. სტუმარმა ხმადაბლა მიუგო:

– თუთაშხია ვარ, ძაღლის ვილო!

ბიქტორ სამუშიას გული გაუსკდა და იქვე მოკვდა.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ დტთა თუთაშხია, სახელდობრ, იქ და ისე მოკვდა, როგორც მენახირე ამბობდა.

მუშნი ზარანდიასთვის თუთაშხიას ამბავი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გახდა ცნობილი, მაგრამ არ აჩქარებულა, საქართველოში დეკემბრის დასაწყისში ჩამოვიდა, ანუ იმ დროს, როცა მისი წინასწარი ვარაუდით, დათა თუთაშხიასთვის დაგებულ ერთ–ერთ მახეს თავისი დანიმნულება უნდა შეესრულებინა. ჩამოსვლის ოფიციალურ მიზეზად ზარანდიამ ახლო მეგობრის, სვიმონ გულიას ვაჟის ქორწილი დაასახელა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე პოლკოვნიკმა თუთაშხიას საქმეში ჩახედული თანამდებობის პირები მიიწვია, ყველას სათითაოდ მოუსმინა. შეკითხვა არავისთვის მიუცია. ორი საათის მანძილზე შუბლი არ გაუხსნია, არც ვინმესთვის თვალი გაუსწორებია. ქუთაისში ჩავიდა, ციხიდან იალქანიძე მოაყვანინა, დიდხანს ესაუბრა. მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გაეცნო, გამოძიების შეწყვეტა, პატიმრის გათავისუფლება ბრძანა და სვიმონ გულიასკენ გაემგზავრა.

ქორწილის მეორე დღეს ერთმა კაცმა გულიას ეზოში გასაოცარი სილამაზის ცხენი შეიყვანა, მუშნი ზარანდიას მიართვა და თუთაშხიას დანაბარები გადასცა. პოლკოვნიკმა სინანულით განაცხადა, – აბრაგი შეცდა, ძღვენი მე არ მეკუთვნისო. ცხენი პოლიციამ წაიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა ორი კაზაკისა და მეგზურის თანხლებით თუთაშხიას შესაძლო სიკვდილის ადგილისკენ გასწია. სამძებრო საქმეში ცნობილია, რომ დანაშაულის ადგილს საკუთარი მიზიდულობის ძალა აქვს და ბოროტმოქმედი თავისი დანაშაულის ადგილზე, ადრე თუ გვიან, უსათუოდ მივა. "ადგილის მაგნეტიზმის" სხვაგვარ გამოვლინებას შვეიცარიის ალპებში შევხედი: ოტელში გავჩერდი. მეზობელ ნომერში მხცოეანი ინჟინერი იდგა. ავდარმა დაგვაყოვნა და დაგვაახლოვა. გამოირკვა, რომ ოთხმოცს გადაცილებული მოხუცი ინჟინერი მთებში მიკარგული, არცთუ მნიშენელოვანი, ხიდის სანახავად მიდიოდა. მისი ასაკისთეის ესოდენ ძნელი მგზავრობის ნამდვილ მიზანს ვერ მივხვდი და განმარტება ვთხოვე.

– ნახელავმა მიხმო, – მითხრა მოხუცმა ღიმილით. – ჩემს მიერ აშენებულ ხიდებში ეს ყველაზე მახვილგონიერი ქმნილებაა!

მგონია, რომ მუშნი ზარანდიას მოულოდნელი სურვილიც "ადგილის მაგნეტიზმით" აიხსნებოდა. პოლკოვნიკმა კაზაკები ქვემოთ დატოვა, მეგზური გაიყოლა, კლდეზე ფეხით ავიდა. მეგზურმა მენახირის ნაამბობი ზუსტად გაუმეორა და ის ადგილიც აჩვენა, საიდანაც დათა თუთაშხიას გვამი ზღეაში გადავარდა. მუშნი ზარანდია გულხელდაკრეფილი იდგა, რაღაცაზე ფიქრობდა. მერე მოტრიალდა და დაღმართს ჩაჰყვა.

შემდგომში მუშნი ზარანდიას ავადმყოფობა მელანქოლიის მძიმე ფორმებით დაეწყო და სამიოდ წლის მერე რაღაც სხვა მძიმე სენითა და სიკვდილით დამთავრდა. რამდენადაც შევძელი დამედგინა, მელანქოლია მას საქართველოდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ დაეწყო. არ მინდა, დაუსაბუთებელი დასკვნების ავტორის შთაბეჭდილება მოვახდინო, მაგრამ თავს ვერ შევიკაეებ და ვიტყეი: ამ უდავოდ დიდი ტალანტის ადამიანს თავისი შესაძლებლობების საზომად დათა თუთაშხია ჰყავდა. თუ დავუშვებთ, რომ ადამიანს არსებობისა და მოღვაწეობისათვის ცოცხალი მაგალითი სჭირდება და მუმნი ზარანდიასთვის კი ასეთი ეტალონი დათა თუთაშხია იყო, მაშინ ისიც კანონზომიერად უნდა ჩავთვალოთ, რომ დათა თუთაშხიას სიკვდილის შემდეგ მუშნი ზარანდიაც უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან – მით უმეტეს, რომ მან თავისი სულიერი ცხოვრების მოდელი საკუთარი ხელით მოსპო.

ეს ჩანაწერები დასრულებულ სახეს ვერ მიიღებს, თუ ერთ გარემოებასაც არ შევეხე. ჩემი ღრმა რწმენით, უკანონოდ შობილნი, უმრავლეს შემთხვევაში, ენერგიულ, მოხერხებულ, აქტიურ ადამიანებად ყალიბდებიან. დასტურისთვის ისტორიაც გამოდგება და სინამდვილეც. გუდუ პერტია, მისივე მასწავლებლების აღიარებით, ნათელი გონებისა და ჭარბი ნიჭის პატრონი იყო. მან ბავშვობაშივე დიდი მღელვარება იწვნია, უმაგალითო სულიერი ტრავმა გადაიტანა, გამოიწრთო. მე მუდამ ვფიქრობდი, რომ განგება ამ ადამიანს მნიშენელოეანი მომავლისთეის ამზადებდა. ზემოთ მოთხრობილი ამბების შემდეგ მეტისმეტად ფიცხელმა, სოციალური წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიულმა პერიოდმა განვლო. ნიჭიერ, მხნე ადამიანებს მიზნის მისაღწევად, სახელის მოსახვეჭად

კარგი პირობები შეექმნათ. მართალია, სამსახურიდან დიდი ხნის გადამდგარი ვიყაეი, მაგრამ საქართველოში ვცხოვრობ და მოვლენათა მსვლელობას, ადამიანთა ბიოგრაფიებს დღემდე დიდი გულისყურით ვადეენებ თვალს. გუდუ პერტიას სახელი არსად შემხვედრია. ამას წინათ შემთხვევა მომეცა, იქაურ კაცთან ბეჩუნი პერტია და მისი შვილი ვიკითხე. სადღაც გადასახლებულან, სამშობლოსთან ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტიათ და მათი ამბავი არავინ იცის.